К 268.982
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხზულებათა სრული კრებული

ტომი

V

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი

1978

ჩოტაევი

ბოჯანიკიძე

თხზულებანი

ტომი ორეული

«საბჭოთა საქართველო»

Г 2
899.962.1—31
ბ 197

K-268.982
3

70302 — 212
Г——————93—78
М 601 (08) 78

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ

ᲕᲐᲠᲚᲝᲒᲘᲜᲘ
ᲓᲐ
ᲔᲕᲘᲚᲝᲒᲘᲜᲘ
ᲠᲝᲒᲝᲜᲘ



ბერმუხა

პროლოგი

დიდი ალაზანი მძაფრად უხვევს სწორედ იმ ადგილას, სადაც სოფელი ბერმუხა მდებარეობს თავისი ძველთაძველი ნასახლარებით, ნასაყდრალებითა და ნაციხარებით.

ბერმუხაში ძალიან გვიან ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა. თავდაპირველად ბერმუხელები მეცხოველეობას, უკეთ რომ ვთქვათ, მეცხვარეობას ეწეოდნენ.

მიუხედავად ამისა, მარტივად, „გლეხურად" მოვლილი ვაზი ჰქონდათ მათ თავიანთ საკარმიდამოში. სახელმწიფური მასშტაბი მეეენახეობისა ჯერ არსად სჩანდა.

სავსებით უპატრონო და გავერანებული იყო ბერმუხის ჩრდილოეთით მდებარე ტყემრავალი არაშენდას ზეგანი, გვიან საუკუნოებში გველეთად წოდებული, რომელიც თავისი ჯაგიანი კორდებითა და ბორცვებით ნელ-ნელა ვაკდებოდა ბერმუხისაკენ.

როგორც ამ სანახებში შემორჩენილი ნასახლარები, ნასაყდრალები და ნაციხარები, ისე ტყეში გაფანტული ვაზნარების ნამუსრევები აშკარად მოწმობდნენ, რომ ამ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე სიცოცხლე სჩქეფდა ოდესღაც.

ეამთასიავეს გაენადგურებინა არაერთი ათასი კომლი, რომელთა აქ ყოფნას ადასტურებდნენ არა მარტო ამ მხარეში გზადგაელით ჩამოსული არქეოლოგები და მათ მიერ მიწის წიაღში მოპოვებული აბჯრის, მინისა და კერამიკის ნამუსრევები, არამედ [illegible] ოდესღაც შეუვალი ციხეების ნანგრევები, რომელთ[illegible] სული მუხები, ლეღვები და კაკლები ჩვენს ცნობისწადილს. დიახაც ახელებენ დღესაც.

იმ ბნელ ეპოქაში, როცა შაჰ-აბაზმა აჰყარა და სპარსეთს წაასხა დიდი ნაწილი კახეთის მოსახლეობისა, ვენახებიც გადაბუგა და ამოაძირკვინა, ბერმუხის ტაფობზე შემორჩენილი ასიოდე კომლი აიყარა და კავკასიონს შეეხიზნა; ვიდრე გამძვინვარებული მტერი ირანს მიბრუნდა, მამაკაცების დიდი ნაწილი გაწყდა იმ აჯანყების დროს, რომელიც მოუწყვეს კახელებმა ირანის შაჰს ბახტრიონზე, ხოლო დანარჩენებმა კავკასიონს მიაშურეს.

არაშენდას წყალმრავალი და ტყიანი შემოგარენი განადგურდა მოუვლელობისა და უპატრონობის გამო, ეკლესიები და ციხეები მიწისძვრებმა დალეწეს, წელთა სიმრავლემ და მეხთატეხამ შემუსრეს უხუცესი მუხები და კაკლები.

უკაცრიელ სოფლებში გავერანდნენ ბაღები და ვენახები, ძველთაძველი არხები ნიღვრებმა ამოავსეს შლამით, დასილეს და გააოხრეს პატარა ტბაც, რომელსაც „ირმის ტბას" უწოდებდნენ ოდესღაც, არაშენდას მთელ შემოგარენს მართებულად შეერქვა გველეთი.

და ეს სახელი შერჩა არაშენდას, რაკი გველებითა და ხვლიკებით გაივსო როგორც ჭაობად ქცეული ირმის ტბა, ისე ლიხით დაბურული ზეგანი.

ბოლოს მთაში გახიზნულებს კახეთი მოენატრათ ისევ.

შინმიბრუნებულ მოსახლეობას გავერანებული დაუხვდა ნაფუძვარები, არც არაშენდა-გველეთზე დასახლება ისურვეს მათ, ოდნავ სამხრეთისკენ დასახლდნენ სწორედ იმ მიდამოში, რომელსაც ბერმუხას უწოდებდნენ ხოლმე ოდითგანვე.

არაშენდა-გველეთი წყალმრავალი ზეგანი იყო, რამდენადაც ამ უკანასკნელის საკმაოდ ჩაღრმავებულ ცენტრში მდებარე ირმის ტბაში გროვდებოდნენ კავკასიონიდან მომდინარე ხევები, ლაღობდა გაზულუქებული ვეგეტაცია და ამ ჩრდილმრავალ ტყეებსა და ლურჯად მობიბინე საძოვრებს ოდითგანვე შურით შესცქეროდნენ ბერმუხელები, რადგან ბერმუხა მუდამ განიცდიდა უწყლობასა და გვალვას.

არაშენდა-გველეთის ზეგანი საკომანდო სიმაღლეზე მდებარე-

ობდა, რა თქმა უნდა, ბერმუხის მიმართ, ასე რომ თვით პრიმიტიული მეურნეობის პირობებშიაც არ იქნებოდა ძნელი გველეთიდან ბერმუხაში წყლის ჩამოყვანა, მაგრამ გველეთსა და ბერმუხას შორის მდებარე ტერიტორია ისეთი ვრცელი და ღრმა ფუსკულებით იყო დახრამული, თანამედროვე ტექნიკის მიერ შესრულებული აკვედუკების — წყლის ხიდების გარეშე შეუძლებელი — იქნებოდა არხების გამოყვანა გველეთის ზეგანიდან.

ყოველივე ამის მიუხედავად, ვერც უწყლობამ და ვერც ყიზილბაშების ვერაგობამ ვერ მოსპო ბერმუხაში ვაზის გასაგისი. შაჰ-აბაზის მიერ ამოძირკვულ ვენახების ნაფესვარებმა კვლავ იფეთქეს მიწიდან და მათმა გაველანებულმა ნაშიერებმა ჩვენს დრომდის მოაღწიეს.

*

საბჭოთა ხელისუფლებას ამ ოცოდე წლის წინად ჰქონდა განზრახული არაშენდას ზეგანსა და ბერმუხის ტაფობზე ვაზნარების მოწყობა.

წარამარა მოდიოდნენ კომისსიები, ნიადაგთმცოდნენი და აგრონომები იკვლევდნენ ნიადაგს, სწერდნენ ოქმებს და ისევ ბრუნდებოდნენ ტფილისს შედეგების დაუბარებლად.

ბერმუხელებს ოდითგანვე მეცხოველეობაზე ჰქონდათ ხელი გაჩვეული. ამიტომაც არ ნაღვლობდნენ ამას, მით უმეტეს, რომ მოხუცების კონსერვატიზმი თავის ძალას არა ჰკარგავდა.

აქაურ თუშებს გარდაუვალი სიყვარული შემორჩათ ოდითგანვე ცხვრისადმი და ბერმუხისა და არაშენდას სანახები საძოვრებად ჰქონდათ განკუთვნილი.

ამ სოფელს ცხრამუხა რქმევია ოდესღაც. რვა მუხა ყამთასიავეს გაუნადგურებია. ზოგი სიბერეს მოუსრავს, ზოგიც მეხთატეხას უმსხვერპლნია, სხვანი ყიზილბაშებს გადაურუჯავთ, ჩვენი ტყეების უბოროტესს მტრებს.

ეს იყო ოლონდ, რვა მუხის ფესვები ჯერაც არ იყვნენ მიწის პირიდან წარხოცილნი იმ წლებში, როცა აქ მოთხრობილი ამბები ასე უცნაურად გადაესკვნენ ურთიერთს...

*

სოფელი ბერმუხა ოქტომბრის დიდ რევოლუციამდე თავად ვაჩნაძეების საბატონო ყოფილა.

ვაჩნაძიანთ სასახლეში, რომელიც სოფლიდან ოდნავ მოშორებით მდებარეობდა, საბჭოთა ხელისუფლებას გაუმართავს სოფ-

საბჭო, სკოლა, კლუბი და სასტუმრო. მეორე კორპუსი ამავე სასახლისა ფოსტას და რაიკავშირის საწყობებს ეჭირათ.

ამ სასახლის ბატონკაცურ ეზოში კეიპაროსები და მაგნოლიები დაურგავს რომანოვების არმიის გენერალს. ედიშერ ვაჩნაძეს, რომელსაც გერგებილსა და ღუნიბში, შამილის წინააღმდეგ [illegible] ბრძოლებში, შვიდი ჭრილობა და ამდენივე [illegible] სიბერის ჟამს რომაელი სარდლის, ცინცინატის ანალოგიით მეურნეობისათვის მოუკიდნია ხელი. მასვე ჩამოუტანია ამ მხარეში ფრანგული ჯიშის ვაზები, ინგლისური პარკი მოუწყვია თავის კარ-მიდამოში.

ამ გენერალსავე უცდია ცხრამუხის ზეგანზე ვენახების გამართვა, მაგრამ ომებში მრავალნაცადი მხედარი სამეურნეო საქმეებში ბალღივით გამოუცდელი გამომდგარა: დიდძალი ფული დასტყუეს მას მოურავებმა და აგრონომებმა. მართალია, რამდენსამე ჰექტარზე კიდევაც გამართეს ზვრები. მაგრამ ეს საქმიანობა თავისთავად შესწყდა, რადგან სიკვდილმა გზა გადაუჭრა მათ პატრონს:

ადრე დაიღუპა მისი ერთადერთი, საკმაოდ უნიათო ვაჟი, ხოლო ამ უკანასკნელმა ერთი თავქარიანი მემკვიდრე დასტოვა — რევაზი.

რევაზ ვაჩნაძემ თავდაპირველად ასეთი სისულელით ისახელა თავი: მას ჟამსა შინა ნიკოლოზ მეორე, ჯერ კიდევ ტახტის მემკვიდრე, საქართველოში მოგზაურობდა.

გველეთის ზეგანზე მდებარე ტყეები გაჰყიდა რევაზმა, ამ ფულით ნოხები და ფარდაგები შეიძინა და რამდენიმე კილომეტრის მანძილზე დააგო თემშარაზე. მომავალი იმპერატორი „კიცვზე მჯდარ ქრისტეს“ ანალოგიით ვირზე შეჯდა და აგრე ეწვია რევაზ ვაჩნაძეს. ამ მლიქვნელობისათვის თავადმა „მისი უდიდებულესობის კონვოის ოფიცრის“ წოდება მიიღო.

მეორე მისი საგმირო საქმე ის იყო, რომ იგი ჩაეწერა გივი ამილახვრის ცნობილ რაზმში, რომელიც 1905 წლის მომდევნო რეაქციის დროს ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა ქართლ-კახეთის გლეხობას.

ბოლოს მოსწყინდა რევაზს ბერმუხაში — „ამ ბნელ სოფელში“, როგორც მისი მეუღლე თამარი იტყოდა ხოლმე. ვაზის მოვლასა და მოშენებას მისი ნაყოფებით დატკბობა არჩია, ტფილისს გადასახლდა, თავისი მამულები ხელში შეატოვა საკმაოდ გაიძვერა მოურავს და ორთაჭალის ბაღებში განაგრძო თრობის ღვთაების — ბახუსის სამსახური.

ბერმუხის მამულები გაპარტახდა, მოურავი საიალაღო ხარკს

ახლევანებდა თუშ მეცხვარეებს, ჯერ კიდევ ერეკლე მეორის მოქმედის ამ მხარეში ჩამოსახლებულ'თ.

მალე ტფილისშიაც მოსწყინდათ რევაზს და მის „კნეინას" ბერმუხის მამულები ერთ ვაჭარს მიჰყიდეს ნიერის ფასად. რევაზი აჰყვა თავისი ქარაოცი ცოლის ხუშტურებსა და გავიგზავნა ტფილისს, სადაც მისი დაი, ეფემია ცოლად ჰყავდა ფრანგ ბანკირს — ვიხმე ალოიზ დე-მასპეროს.

ამგვარად, მოწყენის დემონისაგან შეპყრობილმა „ჩოხიანმა ჩაილდ-ჰეროლდმა" ცივილიზაციას გადაუხადა ერთგვარი ხარკი.

ამასობაში საესებით გადახმენ გენერალ ვაჩნაძისეული ვენახები ბერმუხაში, ზამთრობით აქ მგლის ხროვები დათარეშობდნენ, ხანაც კავკასიონიდან ჩამოხეტებული დათვები თავს ესხმოდნენ ბერმუხაში გადმოლალულ' ნახირს.

უფრო მეტ'ი, ხანდახან ნათესებსაც შებედავდნენ ხოლმე და უიარაღო გლეხობას უჭირდა მათთან გამკლავება.

სოფელსა და ალაზანს შორის დიდ მანძილზე თანდათან ვაკდებოდა ძეძვითა და კატაბარდით შემოსილი მწირი ნიადაგი, ნიალერებითა და ხევებით დახრამული, სწორედ ამ სანახებში იყო გაფანტული იმ რვა მუხის ნაფესვარები, ურთიერთისაგან საკმაოდ დიდ მანძილზე დაშორებულნი.

მეჩხერ ძეძვიანში მოსჩანდნენ ძველთაძველი ნაციხარები: როგორც ეს საწყალობელი ნანგრევები, ისე ტყეში შემორჩენილ'ი გაველურებული ვაზები აშკარად მოწმობდნენ, რომ აქაც სოფელი ყოფილა ოდესღაც.

ბერმუხელებს ამაოდ უცდიათ თავის დროზე ამ რვა მუხის ნაძირალების მიწის პირიდან ამოფხვრა, ჯერ უჩეხიათ, მერმე კოცონებიც გუჩაღებიათ მათზე, მაგრამ მაინც ვერ შეუმუსრავთ მათი ფესვები. ზღაპრულ ურჩხულებსავით დაგრაგნილნი რომ მოსდებოდნენ კორდებს და არამც და არამც არ აპირებდნენ თავიანთი არსებობის დათმობას.

ხავსმოდებულ, შავქერქიან ფესვებს, ალაგ-ალაგ ნიადაგს ზემოდან გამოჩენილთ, გამოზაფხულზე გამოჰქონდათ პაწია, უდღეურად ნაბარტყევი კლერტოები,—ეს უმწეო არსებანი უთუოდ მოაგონებდნენ მათ მჭვრეტელ'ს სახელოვანი მამების უნიათო შვილებს, რომელთაც მხოლოდ გვარი შერჩენიათ მამისეული, ქველი სახელი და სხვა არაფერი.

ამგვარად, ალაზნის პირად, ამ რვა ნამუხართა შორის იდგა ერთადერთი ბერმუხა, ლაღი და ამაყი, როგორც ომგადახდილი ძველი რაინდი.

ხავსმოდებული, დაგრაგნილი შტოები გაეშვირა ზეცის ოთხივე კიდისაკენ. იდგა თვალსაჩინოდ და შეუდრეკელად, თითქოს ამაყობსო კიდევაც იმით, საქართველოს აურაცხელ მტრების შემოსევას რომ გადაურჩა, ამდენსავე მეხთატეხასა და გრიგალებს.

თუმცა მისი მერქანი ფუღურო იყო, ხოლო ზოგ-ზოგი ტოტი, ვეშაპის ქერეჭივით უხეში, დახეთქილი და დაკოჭრებული, უკვე აღარ ისხამდა შტოებსა და ფოთლებს და ეს ყოველივე მაცქერალს აგონებდა მიხრწნილებას, სიკვდილის უახლოეს მეზობელს, — მიუხედავად ამისა, ამ მუხის მაცქერალი მაინც იტყოდა: რამდენსამე საუკუნეს კიდევ გაუძლებსო ბერმუხა.

გულზვიადად იდგა იგი.

მის ფესვებს ნიადაგი შემოცლოდა, ალაგ-ალაგ მიწა ჩაქცეულიყო ნიაღვრებისაგან შეძრული, ასე რომ ბერმუხის ვაგლახად დაღრეკილი ფესვები თვალსაჩინო გამხდარიყვნენ.

ზოგი მათგანი გველეშაპს ჰგავდა მიღრეცილ-მოღრეცილად მიწის პირზე გართხმული, ზოგი აქლემის კუზსავით უხეში და აბორცვილი, ზოგიც კურდღლის ზურგივით მოდრეკილი, მასავით ლეგა, სხვანი ბებერი, ნაუღლარი ხარის ქედს მიაგავდა.

•

აქ მოთხრობილი ამბავი დაიწყო ისეთ დროს, როცა ჯერ არავინ იცოდა, თუ გაზაფხული — ეს კეკლუცი, მწვანე მანდილოსანი, რომელიც ხან ქარების ფრთებზე მიმოჰქრის, ხანაც წვიმების სადავეთა ტლაშუნით მოგვევლინება, საიდან აპირებდა ამ მხარეში შემოსვლას:

ყინვის ბეჭთარებში ჩამჯდარი კავკასიონიდან ალაზანზე ფეხშიშველად ჩამობრძანებას, თუ შიდა ქართლის ნაყოფიერ ზეგანიდან მამკოდას ხეობით კახეთში შემოჭრას, ისე როგორც საქართველოს მკლავმაგარ მეფეებს სჩვეოდა ეგ, ან განჯის მხარის ველებიდან ყიზილბაშურად შემოპარვას, ალუბლის კარვების დადგმას ალაზნის ველზე, რომელსაც არამც თუ საქართველოში, ვგონებ მთელ მსოფლიოში არა აქვს ბადალი.

ლაპის ლაჟვარდის ფერები შეჰმატებოდა კავკასიონის კალთებს. იდუმალი სილურჯე ღიმღიმებდა არა მარტო ცხრამუხის ზეგანზე. არამედ მათ ქვემოთ გადაშლილ ალაზნის ჭალებში, სადაც შვინდისა და პანტის ხეებს დასახრჩობად მისევიან გაუვალი კატაბარდები.

ყველგან ჰქონდა შედგმული ტოტებსა და რტოებს სილურჯე, ოდნავ, სულ ოდნავ შეწითლებულიყო ნეკერი, ასე რომ მშვლები წარამარა ამოჰყოფდნენ თავს შინდნარებში, წაკვხეტდნენ ნეკერს და გარბოდნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხული მაინც არსად სჩანდა, თუმცა ყველგან მოელოდნენ მას. იგი იგვიანებდა თითქოს განგებ, ისე, როგორც ესა სჩვევიათ უზომოდ თავმომწონე სტუმრებს, რომელნიც წვევას ამადლიან ხოლმე მასპინძლებს.

ამ გატყიურებულ მიდამოში მხოლოდ გარეული ტახების ბორგვა და შლიგინი არღვევდა მყუდროებას მიუდგომელ ღიჭიანში, რომელსაც ეკალი ციხედ შემოსდგომოდა გარს.

/ *

სწორედ ამ ბერმუხის ქვეშ იჯდა თებერვლის ტფილ დღეს ახლადშელერებული გოგონა. წარამარა გასცქეროდა ალაზნის ველს, ხანაც აღმოსავლეთისაკენ მიმავალ ურმის გზას უთვალთვალებდა.

თაფლისფერი, წვრილი წარბები ამშვენებდა მას, ვაზის ბწკლებივით ბოლოებში წამახულნი. ოდნავ ზეაწეული ცხვირის ჭვინტი ჰქონდა ამ გოგონას, საკმაოდ ენერგიულ ნიკაპზე პაწია ორმო. მარცხენა ლოყაზე კალმით დაწერილი წერტილისოდენა ხალი ეტყობოდა.

მის შუბლს, ლოყებსა და ღაწვისთავებს ოდნავ, სულ ოდნავ ემჩნეოდა ახალ გაზაფხულზე მსუბუქი ჭორფლი.

შინდივით წითელი მისი ტუჩები ისე ამობორცვილნი იყვნენ, როგორც ეს ახასიათებთ ზედმეტად მგრძნობიარე ქალწულებს.

ზემო ტუჩზე დაკვირვებული თვალი უთუოდ გაარჩევდა სავსებით მსუბუქ ქინქლს, როგორიც შეუდგება ხოლმე ატამს, როცა იგი არც მთლად კუხეა და არც საკმაოდ შემწიფებული.

მის ლოყებზე შეფარვულად შერწყმულიყვნენ ბროწეულის ყვავილისა და სპილენძის ფერები.

დაიღალა ლოდინისაგან ეს გოგონა, თვალი აუწყალა მზის შუქზე მოელვარე ალაზნის მზერამ. ორივე მკლავი შემოსჭიდა მუხლისთავებს და ზედ დასდო თავისი ჭკვიანი თავი, წაბლისფერი, ორმაგი ნაწნავებით შემოგრაგნილი.

და ვიდრე ეს გოგონა ასე გარინდებული იჯდა, ბერმუხას მოუახლოვდა საკმაოდ ტანმაღალი, ბრგე ყმაწვილი, რომელსაც წაბლის-

ფერი კულულების ფონზე მერცხლის ბუდესავით წამოეკოსებინა ნაბდის შავი ქუდი, როგორსაც მუხარადის ქვეშ იხურავდნენ ხოლმე ძველი რაინდები ოდესღაც და ახლა „თუშურს“ უწოდებენ.

ამ ჭაბუკს მიხაკისფერი ბლუზა ეცვა, ღირკილოებით კოხტად შეკრული, წელზე ქართული ქამარი ერტყა, ამ ქამარზე [illegible] ხანჯალი [illegible] ნით შავი სატევარი ეკიდა, მაღალყელიანი ჩექმებიანად [illegible] მისი გრძელი წვივების შნოსა და სისწორეს.

ტანსრული იყო, მხარგრძელი და ბეჭბრტყელი, ისე მსუბუქად მოდიოდა ბერმუხისაკენ, თითქოს ცეკვის რიტმს აჰყოლიოო. შრიალებდნენ მის ფეხებს ქვეშ ნაზამთრალი ფოთლები და ეგეც ცხადყოფდა გაზაფხულის მოახლოებას.

როცა ეს შარიშური შემოესმა ქალს, თავი აიღო და ანაზდად გაწითლდა. უსაყვედურა თავის თავს: რად გავუშვიო წელან ბერმუხასთან მოსული ნათია თარალამვილი წისქვილში.

შეკრთა კიდევაც ოდნავ ხანჯლიანი ვაჟკაცის დანახვისას ამჯერად, თუმცა იგი სხვა დროს, როგორც კოლმეურნეობის მერგოლური, ყოველ დილას ხვდებოდა ამ ყმაწვილს, იმავე კოლმეურნეობის ბრიგადირს.

შერცხვა, რადგანაც, მისი აზრით, ეს უნებური შეხვედრა საგანგებოდ დათქმულ პაემანს წაგავდა.

წამოდგა, ჯერ გაგიმარჯოსო, მიაძახა გამარჯვების საპასუხოდ ახლადმოსულს და მერმე უნებლიე მზერა ესროლა ალაზნის ველს, საითკენაც ამას წინათ ნათია წავიდა.

აღარსად სჩანდა მისი ამხანაგი ნათია, მაგრამ ბერმუხელი გოგო-ბიჭები არც ისე შორს იყვნენ, ღორ-ხბოს მიელალებოდნენ ალაზნის ჭალებისაკენ.

გოგონამ აგრე ივარაუდა: ალბათ დაგვინახეს მარტოხელანი ბერმუხის ქვეშ და პაემანზე მოსულნი ვეგონებითო.

ვაჟმა ხმადაბლა იკითხა:

„თავმჯდომარე არ მოსულა, ნუნუ?“

არაო, მიუგო ქალმა.

„დანარჩენი მერგოლურები სადღა არიან, ნეტავ?“

„ნათია აქ იყო, მანაც ბევრი იცადა და წისქვილში წავიდა, მამას უნდა მივაკითხოო“.

„მე გზაში შევხვდი დათუნას, ვანოსა და გაბოს, ბერმუხისაკენ მივდივართო, ეგრე სთქვეს“.

„მე და ნათია აქ ვისხედით დილიდან“, მიუგო ნუნუმ.

ქალმა თვალი შეასწრო: ნათიას ხსენებაზე რატომღაც შეიშმუშნა ვაჟი.

„აკი ამბობდი, გოდერძი, პაპა მიქელას მოვიყვანო. ხალხი აგრე ამბობს, პაპა მიქელამ ჩვენს აგრონომებზე ნაკლებად რომ იცოსო ვაზის საქმე“.

„პაპაჩემი ბაბლიას უნდა წამოეყვანა, მე დილაადრიან რაიკომში გავიქეცი ცეკას კომისსიის დასახვედრად. მანდ მითხრეს, ... ვიდნენო, მერმე მოკლეებით გამოვეშურე და ის ...

„შესაძლოა, ჩვენი თავმჯდომარეც მათთან იყოს წასული“, სთქვა ნუნუმ.

„არა, მე გამოვუარე უთენია თედოს, ცოლმა გადმომძახა: სიცხე ჰქონდაო წუხელ, თუ ადგომა მოახერხა, შესაძლოა გვიან მოვიდესო“.

„დაგვიბერდა თედო“, სთქვა ნაღვლიანად ნუნუმ.

„დაგვიბერდა და დაგვისნეულდა, აბა რა მოუვა ნაციმბირალ პარტიზანს“.

გოდერძიმ ჯერ პაპიროსს მოუკიდა და შემდეგ სოფლისაკენ მიმავალ თემშარას გახედა, მერმე ზვარეში მოელვარე ალაზნისაკენ მიბრუნდა და ნუნუსგან საკმაოდ მოშორებით ჩამოჯდა ბერმუხის ფესვზე, რომელიც დაცუცქულ კურდღლის ზურგივით მოდრეკილიყო.

იჯდა გოდერძი, აბოლებდა პაპიროსს და გასცქეროდა ზვარეში მოელვარე ალაზანს. ნუნუმ ეს გაიფიქრა ამ წუთში: ალბათ ნათიას უთვალთვალებსო გოდერძი.

ვისაც არ უნდა დაენახა ნუნუ და გოდერძი იმ წუთში, უთუოდ იტყოდა: და-ძმაო.

ორივენი ერთი და იმავე სიმაღლისანი იყვნენ. გოდერძისაც წაბლისფერი თმა ჰქონდა.

მე არა მგონია, ვისო და რამინი, ან აბესალომი და ეთერი აგრე ზედმიწევნით გვანებოდნენ ურთიერთს.

ახალგაზრდებმა ყურმოკვრით იცოდნენ, ნათია თარალაშვილი მოსწონსო კოლმეურნეობის ბრიგადირს გოდერძი ელანიძეს.

თუშის ქალი, ნუნუ უჯირაული, ბევრ ვაჟკაცს მოსწონდა, მაგრამ ნუნუ ისეთი მორცხვი და თავშეკავებული გოგონა იყო, არავინ იცოდა, ვისი იდუმალი გულისმიჯნური იყო; არც ნუნუ იძლეოდა არასდროს ჭორებისა და მითქმა-მოთქმის საბაბს.

ისიც შესაძლოა, სიყვარული მოცლილთა და გალაღებულთა გულებს უფრო იოლად ეკიდებოდეს. ნუნუს ისეთი მძიმე და გაუხარებელი ცხოვრება ჰქონდა ადრიან სიყრმიდან, სად ეცალა სამიჯნუროდ.

დედამისი ნუნუს ამქვეყნად გაჩენას გადაჰყვა, ხოლო მამა გობრონი დარდისაგან გალოთდა; ჯერ იყო და კოლმეურნეობაში შეს-

ვლას განერიდა, თუმცა ვაჩნაძიანთ ნამოჯამაგირალი და უღირებესი მწყემსი იყო.

ბოლოს „ღვინის ვაჭარმა“ ვინმე კობერიძემ ტფილისში გაიტყუა იგი, ოქროს მთებს დაპირდა, მაგრამ ხელმოცარული კაცი ისევ სოფელში გამობრუნდა და თან ჩამოიყვანა [illegible] ულთა ქალ-რძალნი იტყოდნენ ხოლმე: „ჩამოაფრიე“ [illegible] მეკუბოეს ქალიშვილი, ყოვლად უქნარა დედაკაცი — ქეთუა.

იგი ყველას აგონებდა ქართულ ზღაპრებში მრავალგზის ძაგებულ დედინაცვლებს, რომელთაც იხსენიებენ როგორც „დედინაცვალი — თვალში ნაცარი“.

სოფელშიაც განაგრძო გობრონმა ლოთობა. არც სოფსაბჭოს თავმჯდომარის, არც კოლმეურნეობის თავმჯდომარის — თედო თარალაშვილის მამაშვილურ შეგონებას ათხოვა ყური: ეუბნებოდნენ, სირცხვილიაო ჩვენი ეპოქის კოლმეურნე უქნარობასა და ლოთობას ეწეოდეს. შე დალოცვილო, ღვინოს ჩვენ ყველანი ვსვამთ, მაგრამ ლოთობა რა საკადრისია, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ლოთობას დაღუპვის კარამდის მიჰყავსო კაცი.

ბოლოს დაისაჯა კიდევაც გობრონი ამ სენისაგან: ლოთობისაგან გონებაღრეულს შეეყარა ის ავადმყოფობა, რომელსაც „დელირიუმ ტრემენსს“ — „თეთრ ცხელებას“ უწოდებენ ექიმები, თავი ჩამოიხრჩო ერთ დილას საკუთარ გომურში და ქვეყანას დაუტოვა ქეთუასთან შეუღლების ნაყოფი, ბნედიანი ვაჟი.

ამ გარემოებისაგან გაცოფებული დიაცი საფლავში მდებარესაც აძაგებდა თავის მეუღლეს, ლანძღავდა მას: „ქალაქის ბედნიერ ცხოვრებას“ მომაშორა და ამ „ბნელ სოფელში“ ჩამომათრიაო.

რაკი მიცვალებულს ვერაფერი დააკლო, ნუნუზე იყრიდა ჯავრს, ყოველდღე უპირებდა სახლიდან გაგდებას იმ იმედით, ნუნუ თუ მოვიშორე თავიდან, საკარმიდამოს და სახლ-კარს გავყიდი და ტფილისს დავბრუნდებიო.

„გათხოვდი, გათხოვდის“ ჩხავილი დაუწყო ჯერ კიდევ ცამეტი წლის გოგონას, ორგზის გააგდო მამისეული ოჯახიდან ობოლი ქალი, მაგრამ კომკავშირის რაიკომის ენერგიულმა ჩარევამ მას ორგზისვე ჩაუშალა ეს განზრახვა.

რაკი სიყრმიდანვე შეიცნო ნუნუმ, მხოლოდ და მხოლოდ პარტია და ხელისუფლება იყო მისი ერთადერთი ჭირისუფალი ამქვეყნად, კოლმეურნეობაში თავგამეტებული შრომით აპირებდა თავის მხრივ მადლობის გრძნობის დამოწმებას.

არც თუ გოდერძი ყოფილა მაინცდამაინც ბედისაგან განებივრებული. პაპამისი მიქელა ათ წელს მეზვრედ ემსახურა გენერალ ვაჩნაძეს; როცა ამ უკანასკნელის ნაშიერებმა მევენახეობას აარიდეს თავი, ბარე ოც წელს მეთონედ იყო მათსავე ოჯახში.

ამ მძიმე ხელობამ, გახურებულ თონეში თავპირის ჩაკიდებამ, თვალის სინათლე წაართვა პაპა მიქელას.

ბევრი ატარა გოდერძიმ თავისი საყვარელი პაპა ექიმებთან-ტფილისში, ბოლოს, როგორც იქნა, სანახევროდ მაინც დაუბრუნეს თვალის სინათლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპა მიქელას ერთადერთი ვაჟი, გოდერძის მამა, ბიბლიოთეკა მეურნეობის მენახირე იყო, იშვიათად ჯანმაგარი კაცი, რომელიც შიშველი ხელით ფიჩხივით ამსხვრევდა ჯორის ნალებს.

ერთ უხიაგ საღამოს კოლმეურნეობის ნახირს დათვი დაესხა თავს, უიარაღო ზაქარა შინდის კომბლით გაუმკლავდა მხეცს, მაგრამ ორთაბრძოლაში კომბალი ყინვის ლოლუასავით გადაუტყდა ბედშავს...

როცა მამის დაგლეჯილი სხეულის ნაკუწები ნაბადში შებურვილი შინ მოიტანა გოდერძიმ, პაპა მიქელამ ხელები წაიშინა თავში და ისევ დაბრმავდა ბედშავი.

გოდერძისაც ადრე დაეღუპა დედა, იგი მამიდამისმა, თებრონემ გამოზარდა და. სწორედ იმ ღამეს, როცა პაპა მიქელამ სამუდამოდ დაჰკარგა თვალის სინათლე, ამ ორმაგი უბედურების საკუთარი თვალით მხილველი, ჭკუაზე შეირყა თებრონე, რომელსაც მთვარის ყოველ მოქცევაზე ისე წამოუვლიდა, ამაზრზენი კივილით შესძრავდა მთელ სოფელს.

ყური არ ათხოვა გოდერძიმ დროული კაცებისა და ნათესავთა თათბირს — სულით ავადმყოფთა კლინიკაში წაეყვანა მამიდა ტფილისს, საამისოდ ვერ შეელია მას, ასე რომ გოდერძი კოლმეურნეობის ბრიგადირის საკმაოდ საპასუხისმგებლო მოვალეობას ეწეოდა, თანაც უსინათლო პაპასა და შეშლილ მამიდას უვლიდა.

ერთადერთი ადამიანი შველოდა მას — მისი მცირეწლოვანი დაი ბაბლია, რომელიც ხელით დაატარებდა თავის უსინათლო პაპას, შეშლილ მამიდასაც თვალყურს ადევნებდა და ამიტომაც სკოლის გარეთ დარჩა.

ამ უბედურებისაგან შეძრული გოდერძი ელანიძე უყოყმანოდ დაადგა თავგამეტებული შრომის გზას, რადგან უგუნურნი ღვინოს მიმართავენ ხოლმე გულისჭირის შესამსუბუქებლად, ხოლო გულდინჯნი — შრომაში პოულობენ თავდავიწყებას.

•

ზემოდალუსხულისა და მოთხრობილის მეოხებით როგორც გოდერძი ელანიძეს, ისე ნუნუ უჯირაულს უდროოდ გაუჩნდათ ნაოჭები შუბლზე იმ ადგილას, სადაც წარბები შეყრას აპირებენ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდნავ თვალსაჩინო წვრილი ხაზები დაეტყოთ ტუჩ-პირის კუთხეებში ორივეს, რაღაც განუზომელი სიმწარისა და დარდის განმცხადებელნი.

არა მარტო ყოველივე ამით, ხასიათის ზოგიერთი გამოვლენებითაც ჰგავდნენ გოდერძი და ნუნუ ურთიერთს.

ორივენი უხალისოდ ლაპარაკობდნენ. იშვიათად იცინოდნენ, ორთავეს უყვარდა განმარტოება ბუნებაში.

თუმცა ნუნუ მხოლოდ მეოცდაორე გაზაფხულს ითვლიდა, ხოლო გოდერძის ოცდამეხუთე უსრულდებოდა, ორივენი ისე გულმეცნიერნი იყვნენ, ისე მუყაითნი და დაკვირვებულნი, როგორიც ხდება ხოლმე ნორმალურად განვითარებული ადამიანი, რომელსაც უკვე გადაულახავს მეორმოცე წელი, ახალგაზრდობისა და სიჭარმაგის ეს უტყუარი მიჯნა.

*

რამდენადაც ამ სტრიქონების ავტორი კაცთა ვნებების მემატიანედ სთვლის თავის თავს, ამ უბრალო ადამიანთა ცხოვრების შესასწავლად არაერთხელ ჩასულა ბერმუხას, რომელიც თავისთავად ისეთი მივარდნილი სოფელია, მისი სახელი საქართველოს რესპუბლიკის რუკაზედაც არაა აღნიშნული.

იგიც ცნობილია, რომ მნათობთა მეუფე, მზეც არა მარტო ოკეანეს მოსარკულ პირზე ვარვარებს, არამედ დილის ცვარშიაც გამობრწყინდება ხოლმე.

ბერმუხაში მომხდარი დრამატიული ამბავის გამო, რომელიც ბარე შვიდი წლის განმავლობაში მზადდებოდა, კანტიკუნტად მომდიოდა ცნობები.

მითქმა-მოთქმას იშვიათად ვეყრდნობი საერთოდ და მხოლოდ იმას ვენდობი ხოლმე, რასაც საკუთარი თვალით ვნახავ, ეს მაიძულებდა ხშირად ჩემი ლიტერატურული საქმეები განზე გადამედო და ბერმუხას ვწვეოდი.

მე თანაბარის გულმოდგინეობით ვადევნებ თვალს როგორც ჩვენი სულიერი კულტურის განვითარებას, ისე ჩვენი ხალხის კეთილდღეობის პროგრესსა და მის მამოძრავებელ ძალებს: ჩვენს ფაბრიკებს, ქარხნებს, კომუნიზმის დიად მშენებლობათა გიგანტებს და კოლმეურნეობებს, რაც უმთავრესია: ამ დიდ საქმეთა აღმასრულებელ ადამიანებს; ამიტომაც არ გამომპარვია ბერმუხის ამბები.

თავიდანვე ვიცოდი, რომ საქართველოს მთავრობას 1937 წლიდან განზრახული ჰქონდა ცხრამუხის ზეგანზე ნაციხარების, ნასახლარებისა და ნასაყდრალების შემოგარენში ვაზის სანიმუშო კოლმეურნეობები მოეწყო, ერთი სიტყვით ჩვენი ქვეყნის უმეტესი მტრების მიერ გაჩანაგებულ ზეგანზე მოეშენებინა ვანხარები.

თვალყურს ვადევნებდი თავიდანვე ამ საქმეს, თანაც მაინტერესებდა თუ რითი დასრულდებოდა ის დრამა, რომლის გმირები იყვნენ ბერმუხის კოლმეურნეობის მერგოლური — ნუნუ უჯრიაული, ბრიგადირი გოდერძი ელანიძე და ჩემი ძველი მეგობარი, პროფესორი, აგრონომიულ მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ კორინთელი.

ამ მცირე პროლოგის შემდეგ ჩვენ კვლავ მივუბრუნდეთ ბერმუხის ქვეშ მსხდარ ჩვენს ორ გმირს — ნუნუ უჯრიაულსა და გოდერძი ელანიძეს, რომელნიც, უკვე თავმოყრილ მერგოლურებთან და ბრიგადირებთან ერთად, მოუთმენლად უცდიდნენ ტფილისიდან ცენტრალური კომიტეტის კომისსიას.

უთქმელის ნათქვამი

„რისთვის დაგვიბარეს თუ იცი, გოდერძი?“ გაუბედავად იკითხა ნუნუმ, დანარჩენმა მერგოლურებმაც ყური სცქვიტეს ამის გაგონებაზე.

„მე ჯერ არავინ მინახავს, როგორც გითხარით, ცეკას კომისსია დილით ჩამოსულა. არ ვიცი რამდენად მართალია, და... რაიკომში აგრე სთქვეს: მთავრობას შემოუთვლია თურმე, ალაზნის პირად უნაყოფო ეწერს და ღიჭიანს რა უნდა, ზვრები უნდა გააშენოთო“.

როცა მერგოლურებმა დაიწყეს ამ საქმის გამო საუბარი, თავი აიღო გოდერძიმ და თითქმის ჩურჩულით გადაულაპარაკა მათ:

„ჯერ ნუ გაახმიანებთ ამ ამბავს, ვნახოთ, რას გვეტყვის ცეკას კომისსია“.

ესა სთქვა გოდერძიმ და ბერმუხას მიადგნენ ნათია თარალაშვილი, თანდილა, გრძელი გიგოს ვაჟი, ტრაქტორისტები: ხელაანთ ვანო, უჯრიაული ნიკა და კოლა სოკოლოვი. მათ უკან, ყავარჯენს დაბჯენილი, ტაატით მოდიოდა პაპა მიქელა, რომელსაც პატარა ბაბლია ამოსდგომოდა იღლიის ქვეშ.

მოვიდნენ და ბერმუხის ქვეშ დასხდნენ აბრია უჯრიაული და

მისი შვიდი შვილიშვილი, სწორედ ის აბრია, რომელსაც მეტსახელად „ავსიტყვა“ ერქვა.

ბერმუხაში, ისე როგორც მთელს კახეთში, თითქმის ყველა კაცი შერქმულ სახელს ატარებდა. ძველ დროში ამ შერქმეულ სახელებს პსევდონიმის მნიშვნელობა ჰქონდა: ეფრე ვარეულობდნენ ცრუმორწმუნენი — როცა სიკვდილის ანგელოზი მიქელ-გაბრიელი სოფელ-ქვეყანას ჩამოუვლის, ვთქვათ იკითხავს ვანოს, გაბოს ან აბრიას, იოლად ვერ მიაგნებსო მათ, რადგან ყველა მათგანს გარდა ნათლობის სახელისა, შერქმეული სახელი ერქვა.

ჩვენს დროში ამ მეტსახელებს არქმევენ არა მარტო გასაქირდავად, არამედ ხშირად საალერსოდ და სალაღობოდაც.

*

ზეგანი მოათავეს და უკვე უახლოვდებოდნენ ბერმუხას იჭირაულები, ტარკოშაიძენი, ჩიგლაიძეები — ძველი მონადირენი, მევენახენი: მირიანაშვილები და კევრიშვილები; თორღვაიძეები და უჯირაულები — ცნობილი მეცხვარეები; ქალაქელი შოფერი კანკრე, მენთეშაშვილი „ჭაჭა“, თენეიშვილი „ხრუკია“ და სტეფანე მარტიაშვილი — „ლალბაწა“, ხელაშვილი გიორგი, იგივე „გაგრია“, გიგოანთ ბიჭი „კეკერა“, კოლმეურნეობის მოანგარიშე „რიკვალე“, ნიკო როსტიაშვილი — მეღორე „პოპოლა“, მეწისქვილე „ნიორთავა“ — სოლომონ გულუხაიძე, რომელიც შაირებს წერდა.

ყველაზე ბოლოს მოაღწია პაპა მიქელამ, ერთი ამოისუნთქა ღრმად, ეს ამოსუნთქვა ამოოხვრას უფრო მიაგავდა, და — გამარჯვებაო, მიაძახა ბერმუხის ქვეშ მსხდართ.

ქალი და კაცი ფეხზე წამოდგა, წამოდგა აბრია უჯირაულიცა, იგი პატარა ბაბლიას შეენაცვლა, ხელი შეაშველა მიქელას გრძელ მკლავს, შვილიშვილის მხარზე გადადებულს, და მიიყვანა მიქელა ბერმუხის იმ ფესვზე, რომელიც აქლემის ორმაგ კუზს მიაგავდა, ამიტომაც „აქლემის კუზს“ უწოდებდნენ ბერმუხელები.

*

მე არ დავინტერესებულვარ ბერმუხის შორეული ისტორიებით, შესაძლოა ოდესღაც, ბნელით მოცულ დროებში საკულტე ხეც ყოფილიყოს იგი და თემისმთავარნი ან ხეთა თაყვანისცემის ქურუმებიც მსხდარიყვნენ ამ „აქლემის კუზზე“.

„დაბრძანდით“, უთხრა აბრიამ მიქელას; უსინათლომ ჯერ ხელი მოუფათურა ფესვს, მერმე ცხენურად შეჯდა ზედ.

„დღეს ნუ დამსვამთ აქლემის კუზზე, თორემ ძველი თავადი ვეგონები ტფილისელებს!

აბა ერთი შემომხედეთ, თუ მართლაც არა ვგავარ ძველ კნიაზს“, გაიხუმრა პაპა მიქელამ.

მართლაცდა პაპა მიქელას ფრიად ომახიანი ანაგობა ჰქონდა. მის მაღალ შუბლს პაწია ღარებად აჩნდა ნაოჭები, ისე სიმეტრიულად დაწყვილებულნი, თითქოს გრავიურის დიდოსტატს შეუსრულებიაო ისინი; ასეთივე ნაოჭები დახვეოდნენ მის ღაწვისთავებს.

სწორ შუბლსა და დიდრონ თვალებს მიჯნავდნენ მთლად გათეთრებული, დაფანჩული წარბები. ღაწვისთავებზე გადაჰკრავდა ის საამური სიწითლე, ღვინისმოყვარულებს რომ შეუდგებათ ხოლმე სახეზე.

გრძელი და შნოიანი ხელ-ფეხი ჰქონდა საერთოდ ტანსრულ და ახოვან ვაჟკაცს.

„აქლემის კუზის“ ხსენებაზე გაეცინა მუდამ მოლუშულ აბრია უჯირაულსაც:

„თავადებს ახლა აღარა სვამენ ამ ადგილას, ჩემო მიქელა, მათ ვირის ზურგი მიუჩინეს საჯდომად“, სთქვა მან.

პაპა მიქელამ სივრცეს მიაშტერა თავისი დავსილი თვალები და სთქვა:

„ე, რა ხანია აქ არ ამოვსულვარ, ვინ იცის რამდენი რამ მინახავს ამ ბერმუხის ქვეშ. აქ როზგავდა თავის ყმებს ედიშერ ვაჩნაძის მამა, აქ აგროვებდა ღენერალი გლეხკაცებს, როცა ლეკის ჯარი კახეთს შემოესეოდა; იმ წელს, როცა შამილმა უწია წინანდალს... გუშინდელი სადილივით მახსომს — ამ აქლემის კუზზე იჯდა ღენერალი ვაჩნაძე და ხირიმის თოფებს ურიგებდა ხალხს. შენ აქ იყავი, ბიჭავ აბრია, იმ დღეს“.

ხალხს გაეცინა, პაპა მიქელა „ბიჭას“ რომ ეძახდა ოთხმოციოდე წლის ბერიკაცს, აბრია-ავსიტყვას.

„ეჰ, რამდენმა წყალმა ჩაიარა ალაზანში მას შემდეგ, ჩვენ გრძლად გვეჩვენა, მაგრამ კურდღლის კუდივით მოკლე ყოფილა ეს წუთისოფელი, ბიჭავ. მაინც კარგია ეს ცხოვრება, ცოცხალი ვირი მკვდარ ლომს მაინც სჯობია, შვილოსან, თუნდაც იმით, რომ იგი მზეს უმზერს“.

„მზის ყურება რა ბედენაა, მარტოოდენ მზის ყურება არა კმარა, ჩემო მიქელა“, ბუზღუნებდა აბრია უჯირაული.

„ღმერთს ნუ სცოდავ, ავსიტყვავ, ნუმც მოგწყენია მზის მზერა, შვილოსან. თქვენ არც კი იცით, რა ბედნიერები ხართ, ალაზანს რომ უცქერით მზეზე მოელვარეს. თქვენ არც კი იცით, რა ბედნიერი ხართ, ჩემებრ რომ არ ზიხართ ბნელში.

მე ათ წელს ვუმზირე აღგზნებულ თონეს და ახლა უკუნეთში ვიმყოფები; შვილიშვილები მიამბობენ: დიდი ამბები ხდებოდ ქვეყანაზე და მე საკუთარი თვალებით ვერ შემიმოწმებია ეს ყველაფერი. აგრე მგონია, ზღაპრებს მიამბობენ-მეთქი.

მადლი მიაგეთ, შვილოსან, შემოქმედს, ჯანიანი ხელ-ფეხი რომ გასხიათ, თვალის სინათლე რომ არ გაკლიათ, გულის სიმთელე, მუხლი და მკლავი რომ გიჭირთ და გარჯის ფაბარი რომა გაქვთ, ვაზის ყვავილობას საკუთარი თვალით რო ხედავთ.

მე არა მგონია, თუ რომელიმე ყვავილის ან ხის აყვავება იქნება ენგრე ლამაზი, მე არა მგონია, რომელიმე ვარდს უფრო საამური სუნი უდიოდეს, ვიდრე ვაზის ყვავილს, ვერცხლის ბუზმენტებსავით რომ შემოესევა ისრიმს.

მერმე მოდგება შემოდგომა, ოქროს მტევნები დადრეკენ ვაზის რქებს. ბოლოს თუთის ქვეშ გამართულ მარანში ლალის ბეჭედივით აკრიალდება ქვევრის თავი.

მე არ ვიცი, თუ რამე სჯობია ამ ამბების დანახვას. დაბარებული მაქვს შვილიშვილებისათვის: როცა მოვკვდები, ჩემივე ხელით დარგულ ვენახში დამმარხონ, ყოველ გაზაფხულს, ვაზის ტირილის თვეში, ჩემმა ვაზებმა დამიტირონ.

სხვა ვინ გაიმეტებს ცრემლებს ჩემთვის, შეიძლება გოდერძიმ და ბაბლიამ მიგლოვონ ცოტა ხანს, ალბათ მათაც მოვაბეზრე უსინათლომ თავი. ჩემი ვაზები თუ მიტირებენ ყოველ გაზაფხულზე".

ამის თქმა მოასწრო პაპა მიქელამ და მანქანის საყვირის ხმა მოისმა ალაზნის პირიდან. ხმა გაჰკმიდა მიქელამ, დადუმდნენ ბერმუხის ქვეშ მოგროვილი კოლმეურნენიც.

ყველა წამოდგა, პაპა მიქელასა და აბრია უჯრიაულს გარდა: ყმაწვილები ბერმუხაზე აძვრნენ, თვალზე ხელს იჩრდილავდნენ. ისინი უკვე ხედავდნენ მანქანის ფარებზე ამდგარ შუქის ვარვარს.

მანქანა ხვნეშით ამოდიოდა დამრეცილ საურმე გზაზე, გოგოებს ნახირი მიეტოვებინათ, უკან მოსდევდნენ მანქანას, რომლის მონიკელებული კიდურების პრიალი სიხარულით უვსებდა მათ გულებს.

თუმცა ახალ ნაწვიმარზე ბევრი იბუბუნა და იბუქსავა მანქანამ, მაგრამ იმ გორაკამდე მაინც ვერ მიაღწია, სადაც ბატონეაცურ მარტოობაში იდგა ბერმუხა ამაყად.

კომკავშირელებმა ბილიკები ჩაირბინეს და წინ შეეგებნენ სტუმრებს.

ბერმუხის ქვეშ მოგროვილმა ხალხმაც შენიშნა. რაიკომის მდივანს — ციხისთავსა და რაიაგრონომს — მელითაურს ორი უცხო

სტუმარი თან მოჰყავდათ. როცა ეს უკანასკნელნი მიეახლნენ ბერმუხას, მოხუცებმა სტუმართა შორის შეიცვნეს პროფესორი ვახტანგ კორინთელი, ხოლო ახალგაზრდებმა ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი — ახალკაცი.

ზოგ კომკავშირელს წაკითხული ჰქონდა პროფესორ კორინთელის შრომები მეევნახეობის შესახებ, მაგრამ პირადად არ იცნობდნენ მას.

უკანასკნელ წლებში პროფესორი კორინთელი ხშირად უწევდა დახმარებას ქალაქში მასთან ჩასულ ბერმუხელებს, ზოგს შაბიამანს გამოატანდა ხოლმე ან აპარატს, ზოგსაც აგროლიტერატურას.

დროული კაცები აგრე ვარაუდობდნენ, თითქოს ამ მზრუნველობას იმიტომ იჩენდა მათ მიმართ ეს მეცნიერი, რომ იგი ვაჩნაძიანთ სიძე იყო.

სტუმრების მისალმებაზე ქუდი მოიხადეს კოლმეურნეებმა, პაპა მიქელასა და აბრია უჯირაულის გარდა. ავსიტყვამ უხალისოდ უპასუხა მისალმებაზე სტუმრებს, ხანჯლისშვილი ეჭირა ხელში, და ისე, როგორც ეს დროულ კაცებს სჩვევიათ, ჯოხსა სთლიდა.

„ვინ არიან, შვილო?“

შეეკითხა პაპა მიქელა პატარა ბაბლიას. ბაბლიამ შეათვალიერა სტუმრები, ვერაფერი მიუგო მას. იქვე მდგარი გოდერძი წამოეშველა თავის დას. გოდერძის მიერ დასახელებულ სტუმართა შორის კორინთელის გვარს ყური მოჰკრა თუ არა პაპა მიქელამ, წამოიძახა:

„ვაჩნაძიანთ სიძე, განა?“

აბრიამ და დანარჩენმა მოხუცებმა ძლივს იცნეს კორინთელი, რადგან მას ამ წლების მანძილზე საკმაოდ შეეღლალებოდა არა მარტო საფეთქლები, არამედ კეფაცა...

პროფესორმა კორინთელმა საერთო სალამი მისცა ბერმუხელებს, შემდგომ ამისა, პაპა მიქელას წამოადგა თავზე:

გოდერძი მიეჭრა პაპამისს და ეუბნება:

„პროფესორი გესალმება, პაპა“.

„აჰ, ჩვენი სიძე, ვაჩნაძიანთ სიძე?“

წაიდუდუნა მიქელამ და თავისი გრძელი, დაკოქრილი, დამკვნარი მარჯვენა მოუფათურა მის წინაშე მდგარ სტუმარს.

„როგორა ბრძანდები, პაპა მიქელავ?“ შეეკითხა კორინთელი მოხუცს.

„კარგად ვარ-მეთქი, ვერ გეტყვი, შვილო, რადგან კარგად ყოფნა იმას ეთქმის, ვინც ამ ქვეყნის სიკეთეს საკუთარი თვალითა ხედამს. ცუდად ვარო, რო გითხრა, არც ეგ მინდა, რადგან ცუდი კაცი უნდა იყოს აგრე“.

„სწორსა ბრძანებს პაპა მიქელა, — მიუგო კორინთელმა, — კაი-კაცი მუდამ კარგად უნდა იყოს“.

რაიკომის მდივანიც მიუახლოვდა პაპა მიქელას და პროფესორს ეუბნება:

„პაპა მიქელა კაცთა შორის უხუცესია ჩვენს რაიონში — ხელო ბერმუხა — ხეთა შორის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიაგრონომმა მელითაურმა ისე დაკვირვებით ახედა ბერმუხას, თითქოს პირველად ხედავსო, პროფესორ კორინთელს მიუბრუნდა და ჰკითხა:

„თქვენ რას იტყვით, ამხანაგო პროფესორო, რამდენი წლისა იქნება ეგ მუხა?“

„ჯერ ამ უხუცესსა ვკითხოთ ეს ამბავი“.

პაპა მიქელამ მცირე ხნის დუმილის შემდეგ ჩაიდუდუნა:

„პაპიჩემისაგან აგრე მსმენია, ათასი წლისაო ეს ბერმუხა“.

„შენ რამდენი წლისა ბრძანდები, პაპა მიქელავ, თავათ?“

„თუ ჩემი მომნათვლელი ხუცესი არა სტყუის, ას ოცისა გავ-ხდი წლეულს იანვარში“.

ახლა პროფესორმა კორინთელმა ახედ-დახედა მუხას და ეუბნება მელითაურს:

„ამ მუხის ასაკს შესწავლა უნდა, მისი მერქანი უნდა გაისინ-ჯოს. სამხრეთ ალპებსა და პირინეებში მინახავს ამოდენა მუხები, რომელთა ასაკი დადგენილი აქვს მეცნიერებას ათას ორასი წელი, მცირეოდენის მეტნაკლებობით.

სამი მეტრის სიგრძე გაბარიტი, ორმოცი მეტრის სიმაღლე. ეს მუხა ვგონებ, ათასზე მეტი წლისა იქნება“.

როცა ბერმუხის გამო საუბარი მოთავდა, პაპა მიქელა ეკითხე-ბა პროფესორს:

„რისთვის გარჯილხართ, მთავრობამ ხომ არ გამოგაგზავნათ?“

კორინთელს თავაზიანმა ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე და მიუგო:

„ჩვენ ყოველთვის მთავრობის გამოგზავნილად ვითვლებით, პაპა მიქელა, როცა კაი საქმისათვის გვაგზავნიან სადმე“.

„რაო, რა შემოგვითვალა მთავრობამ?“

იკითხა პაპა მიქელამ.

„მთავრობამ ეს შემოთვალა: იბრძოლეთო ბედნიერი და საამუ-რი ცხოვრებისათვის. გეყოფათო ურმით სიარული და აჩაჩით ჩორკნა მიწისა. ეს შემოთვალეს, პაპა მიქელავ“.

პაპა მიქელას გვერდით მჯდარმა აბრია-ავსიტყვამ მიატოვა ჯო-ხის თლა და ეუბნება პროფესორს:

„კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ვინ მოგვიტანს ამ ბედნიერსა და საამურ ცხოვრებას?“

„საკუთარი გარჯა“, მიუგო პროფესორმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი ჩაღუნა აბრია უჯრიაულმა და ისევ განაგრძო ბანჯღლა-შვილით ჯოხის თლა.

აბრია-ავსიტყვა თავის დროზე გამოჩენილი სარქალი იყო გენერალ ვაჩნაძის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ცხვრისა. იგი არ იყო ისეთი მიამიტი და რომანტიული მეცხვარე, როგორსაც ბუკოლიკურ პოეზიაში აქებდნენ ხოლმე, პირიქით, ფრიად გამოქექილი კაცი, რომელსაც ცხვართან ერთად ჰქონდა მოვლილი კავკასიის როგორც ჩრდილოეთი, ისე სამხრეთი. ამიტომაც იოლად ატყუებდა მოხუცებულ გენერალს.

მენშევიკების დროს აბრიას არა ერთი ათასი ცხვარი ჰყავდა, დაქირავებული შრომით სარგებლობდა, ბოგანო გლეხებს ამწყემსინებდა თავის ფარებს, ბოლოს საბჭოთა ხელისუფლებამ ეს აღუკვეთა და ამიტომაც მუდამ ბუზღუნებდა ავსიტყვა.

აბრია იმ კაცთაგანი იყო, რომელნიც მუდამ უკმაყოფილონი არიან სხვათა მიმართ, თავისთავზე უზომოდ შეყვარებულნი, თვით მზის თვალშიაც აღმოაჩენენ ხოლმე ხიწვს, ხოლო საკუთარში დვირესაც ვერ ხედავენ.

ადგილობრივი ხელისუფლება უთმენდა მას, როგორც ღრმად მოხუცებულსა და საუკეთესო მცნობს[1]. აბრია ათას ბატკანს ისე მიუსვამდა თავთავიანთ დედებს, ამ ამბის მაცქერალი განცვიფრებული დარჩებოდა უთუოდ.

პროფესორმა კორინთელმა თვალი შეავლო ამ უხიაგად მოღუშულ მეცხვარეს, მის უზარმაზარ ფაფახს, რომლის ბეწვის წილამურები ზედ ღაწვისთავამდე სწვდებოდა მოხუცს; აბრიას დევკაცურ მხარ-ბეჭს მომეტებულ ახოვანებას აძლევდა ჩალისფერი ტყაპუჭი.

ცხვრის სუნი ეცა ანაზდად პროფესორს, კიდევ და კიდევ შეხედა აბრიას, მერმე შეათვალიერა აბრიას უკან მსხდარი მოხუცებული თუშები: უჯრიაულები, ტარკოშაიძენი და თორღვაიძენი, და სთქვა:

„თქვენ ჩემზე უკეთ იცნობთ კახეთის მადლიან ნიადაგს და კარგად იცით, აქ კაცმა უკუღმა რომ გადაისროლოს თესლი, ოქრო

---

[1] მცნობი ეწოდება გამოცდილ მეცხვარეს, როცა ცხვრის ფარას ბატკნებს მიჰგვრიან, ამ უკანასკნელთ ხშირად ეშლებათ თავიანთი დედები, მცნობი ალტოთი გამოარჩევს, ყურში ხელს წაავლებს ასეთ ბატკანს და სწორედ იმ ნერბს მიუსვამს, რომელიც მისი დედაა ნამდვილად.

ამოდუღდება მიწიდან. მე ხშირად ვმოგზაურობ კახეთში, ეს მხარე სიყრმიდანვე მიყვარდა განსაკუთრებით.

დღენიადაგ ვხედავ თქვენს ზვრებს, თქვენს ჯეჯილებს, ბალ-ბოსტნებს, თქვენს ღობეებს, ბოსლებსა და თქვენს [illegible] გამოგიტყდეთ, ძმებო, მაინცდამაინც ვერა ვარ [illegible] ჯეროვნად ვერ ვუვლით მიწას".

ისევ მიატოვა აბრია-ავსიტყვამ ჯოხის თლა, თავი ასწია და უგუნებოდ ეკითხება პროფესორს:

„ჩვენ თუ არ ვუვლით, მაშ ვინღა უვლის, ჰა?"

„მოვლით უვლით, ჩემო აბრია, მაგრამ არა ჯეროვნად; არასოდეს არ უნდა მივეცეთ თვითკმაყოფილებას, მუდამ იმას უნდა ვეცადოთ, უკეთესზე უკეთესი შევქმნათ. თქვენის თვალითაც ხედავთ, ეს ცხრამუხის ზეგანი გვიმრითა და ღიჭიანით დაფარულია; ნაცვლად იმისა, რომ აქ საუკეთესოდ მოვლილი ვენახები ბიბინებდნენ და მათ ნაყოფს მოიმკიდნენ თქვენი შვილები და შვილთაშვილები, პანტასა და კუნელს, ღოლოსა და ღანძილს დახარბებიხართ; განა ეს საქმეა, პაპა მიქელავ?"

„ჰაი, ჰაი, ეგ აგრეა, მაგრამ ჩვენ სადღა გვაქვს, შვილო, საამისო წელი. ჩვენი კოლექტივი ღარიბია, ჩვენ ცოტანი ვართ და გაჭირვებულნი", სთქვა პაპა მიქელამ.

„ღარიბი და გაჭირვებული არავინ უნდა დარჩეს ჩვენს ქვეყანაში, პაპა მიქელავ. თუ კი გარჯის უნარი გვექნება და ხერხი. აბა, ნახეთ სხვა კოლმეურნეობები, თქვენი მეზობლები გაცილებით უკეთ მუშაობენ".

სთქვა პროფესორმა კორინთელმა.

„რაგვარი ხერხი, ეგებ მეც მასწავლოთ ამ სიბერეში ეგ ხერხი?" წამოიძახა გესლიანად აბრიამ.

„მართლაცდა მეცნიერება სხვა არაფერია, თუ არადა ხერხი. ამ ხერხით უნდა დავამუშაოთ ეგ ცხრამუხის ზეგანი და ზვრები მოვაშენოთ".

სთქვა ახალგაცმა, ცეკას ინსტრუქტორმა.

„ვინ დაგაბარათ ეგ?.."

შეეკითხა პაპა მიქელა ამის მთქმელს.

ახალგაცი სდუმდა მცირე ხანს:

„ჩვენმა მთავრობამ".

„ტფილისში თუ ყოფილხარ?"

ეკითხება პროფესორი კორინთელი პაპა მიქელას.

ასგზისაო, მიიღო პასუხი.

„რამდენ დღეს მიდიოდით ურმით?"

„სამ დღე და ღამეს, თუ მეტს არა“.

„ახლა ჩვენ ურმით როდი დავდივართ, ავტომანქანით სამ საათსაც არ მოუნდებით ტფილისიდან აქ ჩამოსვლას; თუ დავბერდა, თვითმფრინავით ოც წუთში ჩამოვფრინდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ აქამდის ბლაგვი სახნისებით ჩორკნიდით მიწას, ახლა ჩვენ ისეთი ძლიერი ტრაქტორები და მიწის საფხვნელი მანქანები გვაქვს, თუნდაც ერთ კვირაში ავყრით ამ ღიჭიანს“.

„როგორ? თქვენ ერთ კვირაში ამოძირკვავთ რვა მუხის ფესვებს?“

იკითხა გაოცებულმა პაპა მიქელამ და შემდეგ განაგრძო:

„ლენერალმა ვაჩნაძემ და მისმა მოურავმა ასი კაცი და შვიდი გუთნეული მიაყენეს ერთ პატარა უბანს, კოცონებიც დაანთეს ნამუხარებზე. ჩეხეს და კეპეს ნაფესვარები, სამი თვე იმუშავეს და ორიოდე ქცევა ძლივს მოაცოდვილეს.

რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, ბერმუხელებმაც ბევრი ვჩეხეთ და ვკეპეთ, მაგრამ რვა მუხის ნაფესვარები დღესაც მანდ არიან“.

„განა მარტო რვა მუხის ნაფესვარები, თქვენ წელან გაგივლიათ იმ ზეგანზე,— სთქვა აბრია უჯირაულმა: — მურყანების, თელების და წრფლების ნაფესვარებსაც ბევრს შეხვდებოდით, ახლა მათი ამოძირკვა იკითხეთ“.

აბრია უჯირაულს მისი ძმა ლუო წამოეშველა „ახალი საბუთებით“.

„არც მარტოოდენ ნაფესვარშია აქ საქმე,— ამბობდა უჯირაული ლუო, მეტსახელად „ყვავია“.— ამ ზეგანზე ქვიანი, ღორღიანი და გამოფიტული, ნალვარევისაგან სავსებით გადარეცხილი ნიადაგია.

იმ ზეგანს ხომ უყურებთ, მამუკასეულ ციხის მიდამოში, — განაგრძნო ლუომ და თითი მიაშვირა ჩრდილოეთისაკენ, გველეთის ზეგანზე.— იმ მთებიდან დაძრული ნალვარევები წამოვლენ გაზაფხულზე ზათქითა და ბუბუნით, მერმე ვნახოთ, რა ზვრებს გამართავთ თქვენ მანდა“.

„სწორია, სწორია, მეც მანდა ვარ“, აბუხუნდა ისევ აბრია.

პროფესორ კორინთელს გაეღიმა და მიუგო ლუო უჯირაულს:

„ჩვენ დავათვალიერეთ და შეეისწავლეთ ეს ნიადაგი, იმიტომაც დაგვიყოვნდა აქ მოსვლა. მართალია, ეს ნიადაგი ქვიანია და ღორღიანი, მაგრამ არც თუ გამოფიტული. სწორედ ასეთი უყვარს ვაზს.

ისეთ ქვეყნებში, სადაც სავენახე ნიადაგს ქვა არ ახლავს თან, საგანგებოდ მოაქვთ და ყრიან ვაზნარებში. რაც შეეხება გველეთის

ხევებიდან დაძრულ ნაღვარევებს, ჩვენ მათაც მოვუვლით როგორმე, იმ წყალს ჩვენს სამსახურში ჩავაყენებთ, ჰესს გავმართავთ, სინათლეც გვექნება და სარწყავი საშუალებაცა".

ახალკაცმა გადახედა ხალხს და სთქვა:

„კიდევ ვისა აქვს, ამხანაგებო, სათქმელი?"

ყვავიამ ხელახლა აიღო სიტყვა:

„მართალს ბრძანებენ ამხანაგები, შესაძლოა რვა მუხის ნაფესვარებიც ამოვძირკვოთ, ნაღვარევების წყალსაც სადენი მივცეთ, მაგრამ ამ მუხების ნაფესვარებს იმოტოლა მახრა და ღრაჭა თან დაჰყვება, ეს მწერები არ გაახარებენ ვაზს".

აბრიაც გაამხნევა უმცროსი ძმის გამოსვლამ, ახლა მანაც აიღო ხელახლა სიტყვა:

„ვაზი ცხვარსა ჰგავს ერთ რამეში: ათასგვარი მტერი და მავნე თან დაჰყვება მას. ჩვენ ადვილად ვუმკლავდებით თოფით, სატევარითა და კომბლითა ცხვრის მტრებს: მგლებს, მაჩვებს, ტურებსა და მელიებს. ვაზის მტერია თვით ზღარბიცა, რომელიც ვერავისა მტრობს, გარდა გველისა.

მთავარი ისაა, რომ ვაზის მტრები თვალშეუსწრებია, მიწის ქვეშ უჩინმაჩინად მავალნი.

ერთი შეეკითხეთ პაპა მიქელას, ვაჩნაძიანთ მეზვრეს, ღენერალმაც გამართა ცხრა მუხის ზეგანზე ზვრები, მაგრამ იმ წყეულმა ღრაჭამ შეუჭამა ვაზი".

მცირე ხნის დუმილის შემდეგ პაპა მიქელამ თავისი ჩამქრალი თვალები მიაშტერა იმ ადგილს, სადაც პროფესორი კორინთელი, რაიკომის მდივანი ციხისთავი და ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი ახალკაცი ეგულებოდა და სთქვა:

„გუშინდელ დღესავით მახსომს, სწორედ ამ აქლემის კუზზე"...

პაპა მიქელა მცირე ხანს შესდგა და განაგრძო:

„აქლემის კუზს ვეტყვით ბერმუხელები ამ ფესვს, რომელზედაც მე ვზივარ ახლა, სწორედ აქ იჯდა ღენერალი ვაჩნაძე და მოგვიწოდებდა: მომეშველეთო იმ წყეული ღრაჭას წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი მოურავი და აგრონომები აქვე ისხდნენ, სადაც თქვენ ახლა ბრძანდებით და სიტყვა ვერ დაეძრათ.

იგიც მახსომს, მამაშვილობას, მე გამგზავნა ღენერალმა სოფელსოფელ, ორასი კაცი მოვაქუჩე, მერე წინ წაგვიძღვნენ ღენერლის მოურავი და მისი აგრონომები, ვბარეთ და ვთხარეთ ღენერლის ზვრები, ვჩხრიკეთ და ვეძიეთ ი წყეული ღრაჭა, ათასზე მეტ ვაზს გამოვუთხარეთ ძირი, მაგრამ ვერსად მივაკვლიეთ მაგ ვერანა ღრაჭასა.

მერმე ის იყო, თითქოს გაგულისდაო ი ტიალი, ისე დაერია ამ ზეგანზე ჩაყრილ ვაზს, სინსილა გაუწყვიტა“.

პაპა მიქელამ მოათავა სათქმელი, აბუბუნდნენ უჯირაულები, იჭირაულები, თორღვაიძეები და ტარკოშაიძეები, შოფერი ,,ავტრე“ ლალბაწა და გაგრია, რომელთაც ზარმაცებს შორის ბირველობა ჰქონდათ მოპოვებული, სავსებით დარწმუნებულნი, ამ უკანასკნელ საბუთს ვერავინ დაარღვევსო, ცენტრალური კომიტეტის კომისსია საბოლოოდ დათმობს ამ საქმეს, საძოვრად და სანადიროდ დაგვრჩებაო ცხრამუხის ზეგანი.

ნამორიდან წამოდგა პროფესორი კორინთელი, იგი ისე სადად და მარტივად ესაუბრებოდა კოლმეურნეებს, როგორც კარგი მასწავლებელი თავის მოწაფეებს.

„აქ მართალი სთქვეს, რომ ვაზს უამრავი მტერი ჰყავს, თვით ზღარბიც კი, რომელიც გველის მეტს ვერავისა მტრობს,— ზღარბიც ვაზის მტერია“.

აქ შედგა პროფესორი კორინთელი და აბრია-ავსიტყვას ფრთები შეესხა სიხარულისაგან, ალბათ იგიც ჩვენ გვემხრობაო.

„ვაზი მართლაც ცხვარსა ჰგავს თავის უმწეობაში, განა მარტო ხილული არსებანი მტრობენ ვაზს, არამედ თვალით უჩინარიცა: ჭრაქი, ნაცარი, ათასგვარი ბაცილა და თვალით ოდნავ შესამჩნევი სოკოები, რომელთა ჩამოთვლას მე აქ არ შევუდგები. ვიმეორებ, ზოგი თვალით უჩინარია, ზოგიც ნიადაგს ქვეშ განაბული.

პაპა მიქელამ გაგვაფრთხილა, კარგი ქნა რომ გაგვაფრთხილა — არა მარტო მეომარი უნდა იყოს ფრთხილი, მეურნეც უნდა იყოს: გენერალ ვაჩნაძეს ვაზები ღრაჭამ დაუჭამაო.

ჩვენ შესწავლილი გვყავს ეს მხეცი (ირონიულად სთქვა პროფესორმა), მეცნიერებაში მარმარილოს ხოჭოს ვეტყვით ამ ღრაჭას: დამეთანხმებით, ამხანაგებო, ჩვენი ეპოქის მეცნიერებმა ცოტა უფრო მეტი ვიცი, ვიდრე ძველ გენერლებს და მეფეებს შეეძლოთ წარმოედგინათ.

აკი მოგახსენეთ, მეცნიერება ხერხია-მეთქი, ამ ხერხით მიაგნო კაცმა ელექტრობას და ჰაერის ტალღების მეშვეობით ეთერში იმ ხმების დაჭერას, რომელიც ათი ათასი კილომეტრის მანძილიდან მოდიან.

დღეს ჩვენს ხელშია ყოველგვარი ხერხი ვაზის მტრების წინააღმდეგ ბრძოლისა. ასე რომ ნურც ეს მარმარილოს ხოჭო, ან როგორც თქვენ ეძახით, ღრაჭა, დაგაშინებთ ამიერიდან“.

„კიდევ ვისა სურს აზრის გამოთქმა?“ სთქვა ახალკაცმა.

ცნობილია, თავგასულებს სიტყვა ძვირად არ უღირთ არას-

დროს, ამიტომაც პირველი სიტყვა აიღო კანკრემ, ქალაქელმა შოფერმა.

„მე გამოცდილი ვარო მანქანების საქმეში, ამბობდა კანკრე, ცხრამუხის ზეგანზე ვერავითარი ტრაქტორი ვერ იმუშავებს. ეს აზრი ბარე სამჯერ გაიმეორა, ბლუკუნებდა, ენასაკუკუნებდა.—შვრმე რაიკომის მდივანს — ციხისთავს შეხედა და სთქვა:

„ჩვენ ამ ბერმუხის ქვეშ ვისხედით და ვუყურებდით, როცა თქვენი მანქანა ამ ცხრამუხის ზეგანზე ამოდიოდა. იგიც დავინახეთ, თუ როგორ უჭირდა მსუბუქ მანქანას ნაურმალ შარებზე ამოსვლა, თუ ეგ აგრეა, რა დღეში უნდა აბობღდეს ტრაქტორი ნაღვარევებით დაღარულ ბრეკებზე“.

კანკრეს ძმა-ბიჭები: ლალბაწა და გაგრია სიტყვის აღებას ვერ ბედავდნენ, მოხუცების ზურგს უკან დაცუცქულნი: მართალია, მართალია, წამოიძახებდნენ ხოლმე.

კანკრეს გამოსვლამ გაამხნევა მეწისქვილე ნიორთავა, უებარი მოტრფიალე ნადირობისა და ასეთი რამ სთქვა:

„ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ზეგანზე იმდენი ტურა იცის, ყურძნის სინსილას არ შეგვარჩენს“.

„კიდევ ვის სურს სიტყვა?“ იკითხა რაიკომის მდივანმა ციხისთავმა და კომკავშირლებს გადახედა.

ამ უკანასკნელთა შორის პირველი სიტყვა კომკავშირელმა გოდერძი ელანიძემ მოითხოვა:

„ცნობილია: ჯერ ციხე არ აგებულა ისეთი, რომლის აღება ჩვენ, ბოლშევიკებს არ შეგვძლებოდეს, ჩვენ დავამარცხეთ მსოფლიო რეაქციის ვეშაპები: დენიკინი, კოლჩაკი და ვრანგელი, არა მარტო ესენი, ის თოთხმეტი სახელმწიფოც, რომელნიც ზურგს უმაგრებდნენ მათ.

და ნუთუ ვერ მოვერევით ცეროდენა ღრაჭას, ან როგორც პროფესორმა კორინთელმა ახსენა იგი, მარმარილოს ხოჭოს. დაე, იგი არამც თუ მარმარილოს, გინდ კაჟისაც იყოს...

რაც შეეხება კანკრეს საბუთებს, თითქოს ტრაქტორი ცხრამუხის ზეგანზე ვერ იმუშავებსო, ეს ისევე სასაცილოა, როგორც მეწისქვილე ნიორთავას ხუმრობა ტურების საშიშროების გამო. ჩვენ ესღა გვაკლია ახლა, ლომების შემმუსვრელებს ტურების შიში დაგვჩემდეს“.

კანკრემ და მისმა ამყოლებმა: ლალბაწამ, გაგრიამ და ნიორთავამ ასტეხეს ჩოჩქოლი.

შვიდმა კომკავშირელმა თითქმის იგივე სთქვა, რაც გოდერძიმ, ხელაანთ ვანომ და სამმა უჯრაულმა, აბრიას შვილიშვილებმა.

გახელდა აბრია-ავსიტყვა, მაგრამ კრინტი ვერ დასძრა, ამ ამბავისაგან გაბოროტებულს ხელში შემოელია ის ჯოხიც, რომელსაც სთლიდა წელან.

რაიკომის მდივანმა ციხისთავმა შენიშნა, კოლმეურნე ქალები ცალკე ისხდნენ, ბეჯითად სდუმდნენ მთელი თათბირის განმავლობაში. ამიტომაც გადახედა მათ და სთქვა:

„ჩვენ გვაინტერესებს, რას გვეტყვიან ჩვენი კოლმეურნე ქალები? აბრი გამოსთქვით, ამხანაგებო!"

პროფესორმა კორინთელმა თვალი შეასწრო: მორცხვად წამოდგა ჭორფლიანი გოგონა, რომელსაც პაწია ხალი ჰქონდა მარცხენა ლოყაზე და შემდეგი სთქვა:

„მართალი ბრძანა პროფესორმა კორინთელმა, მეცნიერება ხერხიაო. საბჭოთა ხელისუფლებას ყოველგვარი იარაღი ხელთა აქვს, ყოველგვარი ხერხი: როგორც უჩინო, ისე საჩინო მტრების წინააღმდეგ საბრძოლველი.

აქა სთქვეს, ღენერლის ვაზები ღრაჭამ გადასჭამაო, მერმე რა? თუ ვაჩნაძეთა ბატონობის დროს ვაზის მოვლა ჩვენი გლეხკაცის ალღოსა და მიგნებაზე იყო დამყარებული, ცნობილია, მეფის ხელისუფლება არა თუ შველოდა, ხელს უშლიდა კიდევაც გლეხკაცს.

როგორც უკვე ითქვა, მახრა და ღრაჭა უჩინარია და საშიშარი მხოლოდ იმათთვის, ვინც ეგ ხერხი არ იცის. აქ ამბობდნენ, ცოტანი ვართო, მარტონი ვართო.

ვინ სთქვა, თითქოს ჩვენ ცოტანი ვიყვეთ და მარტონი, ჩვენთანაა საბჭოთა ხელისუფლება, მთელი ჩვენი ხალხი, ამიტომაც უძლეველნი ვართ ჩვენ როგორც უჩინარი, ისე საჩინო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში".

„ვინაა ეს გოგონა?" იკითხა პროფესორმა კორინთელმა.

„უჯირაულის ქალია, ნუნუ, ჩვენი კოლმეურნეობის მერგოლური".

უპასუხა გოდერძი ელანიძემ პროფესორს.

ამ მორცხვი და „უთქმელი" გოგონას გამოსვლამ გააგულისა ხანში შესული ქალები. „მეტიჩარა, წინამასწარა!" ჩურჩულებდნენ უჯიჩაულის, თორღვაიძეების, ტაოკშაძეთა ქალ-რძალნი.

განსაკუთრებით გაბრაზდნენ აბრია და ლუო უჯირაულები, რადგან ნუნუ ალალი შვილიშვილი იყო მათი უმცროსი ძმისა. თითებს იმტვრევდა ქალაქელი შოფერი კანკრე, ნუნუს გამოსვლისაგან გააგებული...

კოლმეურნეებთან გამართული სახელდახელო თათბირი რა მოთავდა, კორინთელმა დაარწმუნა კომისიის დანარჩენი წევრები, ცენტრალური კომიტეტისათვის გასაგზავნი მოსაზრებითი ბარათის შედგენამდის საფუძვლიანად შეესწავლათ ცხრამუხის ზეგანი.

თედო თარალაშვილმა ახედა ცას და სთქვა:

„ვგონებ წვიმა მოვა, ხომ არ აჯობებდა სახვალიოდ გადაგვედო?“

„არა, ჩემო თედო, მე არ მიყვარს საქმის გადადება, გარდა ამისა, დღეს სამშაბათია, ვგონებ შესაძლოა უახლოეს პარასკევს ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე გაიტანონ ეს საკითხი“.

ციხისთავი და ახალკაციც დაემოწმნენ პროფესორს.

სულ მცირე მანძილზე მოახერხეს მანქანით სვლა, ბოლოს დაქვეითდნენ და შეუდგნენ დამრეცილ ალმართებს, ბილიკებს; თედო თარალაშვილი და ბრიგადირი გოდერძი წინ გაუძღვნენ სტუმრებს.

თედომ შენიშნა: ალმართში სვლა უჭირდა კორინთელს, რომელიც სისხლის მაღალ წნევას უჩიოდა ბოლო ხანს; თავისი წვეტწამახული შინდის ყავარჯენი შესთავაზა სტუმარს.

მხნე ნაბიჯით მიჰყვებოდა კორინთელი ბილიკებს, მისი სქელლანჩიანი ფეხსაცმელი წარამარა ცურდებოდა ნაწვიმარ ნიადაგზე. დაბარბაცდებოდა თუ არა იგი, გოდერძი წამოეწეოდა, მოკრძალებულად ხელს წაავლებდა მკლავზე.

კორინთელი წარამარა შესდგებოდა, წვერწამახული ყავარჯნით მოსჩიჩქნიდა ნიადაგს, ხელისგულზე დაიყრიდა მიწის ნაფხვენს, მოიხმობდა რაიკომის მდივანს და ინსტრუქტორს, უხსნიდა მათ: თუ რა და რა კოლორიებს შეიცავდა ეს მიწა, გახარებული აქებდა მომავალ სავენახეს: ბოლოს აგრონომს, მელიორატორს გადასძახა: ამ უბნის ნიადაგი ძლიერ ხირხატიანიაო.

ისევ და ისევ მიისწრაფოდა პროფესორი წინ, კვლავ შესდგებოდა, მოსჩიჩქნიდა მიწას და გახარებული მორთავდა ბუტბუტს.

რაც უფრო წინ მიიწევდნენ, მით უფრო უსიერი ხდებოდა ღიჭიანით დაბარდნილი ბილიკები, ძეძვიანში იკარგებოდნენ და ასეთ დროს გოდერძი შეუდგებოდა ახალი გზის ძებნას.

ღიჭიანში სიარულს გადაჩვეული პროფესორი დაადგებოდ ცხვრის მიერ გატკეპნილ ბილიკს, უცებ წააწყდებოდა გარდიგარდმო გადახლართულ ნარის ბაგირებს; მაშინ გოდერძი წალდით კაფავდა ღიჭიანს, კორინთელი კვლავ მოიკრებდა ძალას და გამალებული მიიწევდა წინ.

ადამიანის ფეხის ჩქამზე ფრთხებოდნენ ხოხბები, მამლები ჯერ ფეხდაფეხ გარბოდნენ, გაქანების ძალას იკრებდნენ, ხეობრივ ისე, როგორც ჰაეროდრომზე თვითმფრინავი, და მერე გაისმოდა მათი ფრთების ტლაშუნი, გოროზად ახორხოცდებოდნენ [illegible] დაევლებოდნენ ეწერს.

ბიბლიოთეკა

პროფესორი შესდგებოდა, ბუნებაზე შეყვარებულ მზერას გააყოლებდა მშვენიერ ფრინველებს.

სტკბებოდა ამ სანახაობის მჭვრეტელი, თანაც თავის მეგზურს ეუბნებოდა:

„რა გულქვა უნდა იყოს ამ ფრინველის მკვლელი! სულ მალე შემოვლენ ამ ეწერში დევკაცური ბუბუნით ჩვენი ტრაქტორები და გრეიდერები, ეს ლომა კამეჩები ჩვენი სოციალისტური ცივილიზაციისა, და ბუდეებს დაუფუშავენ ხოხბებს, ძილს დაუფრთხობენ ირმებს, შვლებსა და ტახებს.

რას იზამ, ჩემო გოდერძი, თუ ბუნება არ გარდაქმენი, იგი ხალხისათვის უხმარი დარჩება. ბოლოს და ბოლოს მთელი ჩვენი ცივილიზაცია ბუნებაზე ძალდატანებაა. ამ ძალდატანების გარეშე ჯერ არაფერი შექმნილა ამქვეყნად“.

ისევ მოსჩიჩქნიდა ნიადაგს, ხელისგულზე დაყრილ მიწას შინჯავდა და გახარებული უზიარებდა თავის თანამგზავრებს ამ მიწის სიმდიდრის მაჩვენებლებს.

წარამარა გულზე იკიდებდა მარჯვენას, მაგრამ გაკაჟებული იკრებდა ღონეს და ღიჭით დაბარდნილ ბილიკებს მიყვებოდა.

ბლოკნოტში იწერდა ამ ზეგანის ტოპოგრაფიულ ნიშატებს და მის წარმოდგენაში უკვე წარმოსახული იყო მომავალი ბედი ამ უკაცრიელ ეწერში გაშენებული ვენახებისა.

ერთბაშად შესდგა კორინთელი, ჯიბის დანა ამოიღო, ხელი წაავლო მურყანიდან ძირს დაშვებულ ნარს, გაჭრა დაუპირა, მაგრამ ვერას გახდა; გოდერძის გადასძახა, გასჭერიო.

გოდერძიმ სატევარი გააშიშვლა, ერთი წყრთის სიგრძე მოსჭრა ნარს, და პროფესორს მისცა.

პროფესორმა ცალი ხელი მკლავში წაავლო ციხისთავს:

„ეს მცენარე მხოლოდ ხელს უშლის ამ მიწის მკვიდრთა და ეს უნაყოფიერესი მიწა, რომელიც მოწოდებულია მცენარეთა შორის უკეთილშობილესი — ვაზი ასაზრდოვოს, ამ უხეირო ეკალს კვებავდა დღემდის.

ჩვენი აგროტექნიკის ამოცანა ეგაა: მავნე, უმაქნისი და უჯიშო მცენარე აღგავოს მიწის პირიდან და ნაყოფიერი, ჯიშდასრულებული მცენარეებით შეცვალოს ისინი“.

რაც უფრო წინ მიიწევდნენ, მით უფრო ძნელდებოდა ამ გავერანებულ კატაბარდებში გზის გაკვლევა, უკვე გადერძისაც დაუსისხლიანდა მარჯვენა.

რაიკომის მდივანი შესდგა, მოხედა ყველაზე უკანმოუყოლ კორინთელს, რომელსაც წურწურით ჩამოსდიოდა სისხლი.

„ამ უბანში ნიადაგის ჩარეცხვის საშიშროებას ხომ ვერ ამჩნევთ, ამხანაგო პროფესორო?“

ეს უთხრა და ჩრდილოეთისაკენ გაიხედა, ნაღვარევისაგან დაღადრულ ხევს მიაჩერდა.

პროფესორი შესდგა, თვალი შეავლო დიდ მანძილზე გაშლილ ხევის სადენს, მერე მზერა გადაიტანა ზედ შუაგულზე მოწანწკარე ხევის წყალზე, იგი საამური ლიკლიკით მიყვებოდა თავდაღმართს, ძლივს მიიკაფავდა გზას ირგვლივ დახერგილ ლოდებს შორის.

თედო თარალაშვილმა სთქვა:

„ამ ხევს ხომ ხედავთ, ასე უსუსურსა და ვითომდაც უწყინარს: ლელმა დაიწყება თუ არა, ე იმ გორაკებზე დარჩენილი თოვლი დადნება და ეს ეგრეთწოდებული მგლის ხევი ისე აბუბუნდება, აზვავდება და ისეთი ძალით დაიძვრება, მთელს ამ გავაკებას დაფარავს წყლით“.

კორინთელი დიდხანს უჭვრეტდა ხევის წყალს და ეუბნება თედოს:

„აქედან ნუხამდის, ესე იგი ძველი კახეთ-ჰერეთის აღმოსავლეთ საზღვრამდის, მთელი ეს ტერიტორია კავკასიონის განაშტოები მთები და გორაკები ამგვარი ხევებითაა დაღარული“.

ესა სთქვა, ჯერ მოხედა თვალსაწიერზე გაწოლილ კავკასიონს, თეთრად გადაპენტილს. მათი განშტოები ყვარლის მთები სამი მხრით შემოსდგომოდნენ ცხრამუხის ზეგანსა და ალაზანს გადმოღმეულ სოფლებს, ვენახებსა და ბაღებს.

საამური რილო-ჭრელო ისეთ სილამაზესა ჰფენდა მათ, აგრე იტყოდით, ფერწერის დიდოსტატს დაუხატავსო ისინი.

„ამ მხარის ბედნიერება ეგაა,— სთქვა კორინთელმა,— რომ მისი მთები და გორმახები ჯერ ისე გადატრუსულნი არ არიან ხვატისაგან. როგორც ქართლისა. ამ მთების უბეებში უამრავი ვეგეტაცია იხრწნება, ფოთლები და შტოები ლპებიან ხანგრძლივი ნალექებისაგან. სხვა პირობებში ჩვენ საგანგებოდ ვაგროვებთ ქვერს. ვალპობთ, ვაკეთებთ ნეშომპალას, კომპოსტს და, შემდგომ ამისა, საუკეთესო ორგანულ სასუქს ვაძლევთ ხოლმე ვაზს.

აქ კი თავათ ბუნება აკეთებს ჩვენს საქმეს.

მოვა თუ არა გაზაფხული, აჩქამდებიან ნაღვარევები და ამ მცე-

ნარეულისა და მინერალების ნაკურს ძირს ჩამოუტანს ველებსა და ზეგნებს.

პრიმიტიული მეურნეობის პირობებში ასეთი ხევები დიდ ზიანს აყენებენ სათესებსა და ნარგავებს. მაგრამ ჩვენი თანამედროვე ტექნიკის პირობებში მათი ალაგმვა არ არის ძნელი.

ნუ გვავიწყდება, რომ ამ ხევებს მოჰქონდათ საუკუნეთა განმავლობაში კავკასიონის ქედებიდან უნოყიერესი შლამი".

ახლა რაიაგრონომს მელითაურს მიუბრუნდა პროფესორი:

„აი ეს უბანი ნამდვილი ოქროს ფონდია. აქ მდიდრადაა მოცემული ნალვარევების ალუვიური და პროლუვიალური ელემენტები, მეტწილად თიხნარები და ხირხატიანი ნალექები: ჩემის ვარაუდით ოცდაათ პროცენტამდის მიაღწევს კალიუმის კარბონატები, კალიუმისა და ფოსფორის დიდ რაოდენობასთან გვაქვს ამ ნიადაგში საქმე.

ჰმ, კავკასიონი! ჯერ სათანადოდ არ შეუქიათ ჩვენს პოეტებს კავკასიონი. იგია ჩვენი მდინარეების, ჩვენი ვენახების, ჩვენი ჯეჯილების ადგილის დედა, კალთამადლიანი ადგილის დედა".

ერთბაშად ხარების ბღავილი და მენახირეთა მჭახე შეძახილი გაისმა: ხევ-ხევ მიდიოდა ბერმუხისაკენ მომავალი ნახირი.

პროფესორი კორინთელი შესდგა და ციხისთავს ეუბნება:

„ჩვენ უნდა ვეცადოთ უახლოეს ხუთწლედებში ეჯიშო საქონელი ჯიშიანით შევცვალოთ: აბა რასა ჰგავს ეს ცურდალეული ძროხები და წვრილქედიანი ხარები? ბერმუხის შემოგარენში ისეთი მდიდარი საძოვრებია, სირცხვილიცაა ასეთი უნიათო საქონლის ყოლა".

ეწერში წაქცეულ მურყანთან დაიმუხლეს. პაპიროსს მოუკიდეს. მათი საუბარი ისევ და ისევ მეურნეობის საკითხებს დასტრიალებდა თავს.

გოდერძი პროფესორ კორინთელის ფერხთით დაცუცქდა, ყოველ მის ნათქვამს გულხმიერად ისმენდა, წარამარა აძლევდა შეკითხვას.

კორინთელმა შვინდის ბუჩქი შენიშნა შორიახლოს. გოდერძის უთხრა:

„გაიქე, გეთაყვა, შვინდის ყავარჯენი გამომირჩიე შენდა სახსოვრად. მე კიდევ მომიხდება ხეტიალი ამ სანახებში ოღონდ ეცადე სწორი იყოს და ორკაპიანი თავი ჰქონდეს. მაშინ თედოს დავუბრუნებ თავის ყავარჯენს".

თედო თან გაჰყვა გოდერძის.

როცა ეს უკანასკნელნი შინდის ბუჩქთან მივიდნენ, კორინთელი ციხისთავს მიუბრუნდა:

„ეს ყმაწვილი ნიჭიერი სჩანს, გზადაგზა ისეთ შეკითხვებს მაძლევდა, მართალი გითხრა, გამაოცა. მოგეხსენებათ, ადამიანი შეკითხვებშიაც ისევე ამჟღავნებს თავის რაობას, როგორც პასუხებში".

ციხისთავმა მიუგო:

„გოდერძი ჩვენი გამოზრდილია. მძიმე ოჯახური მდგომარეობა აქვს ამ ყმაწვილს. ობლობაში გამოიზარდა, იმ უსინათლო ბერიკაცის, მიქელას შვილიშვილია. ამ უბედურ კაცს უვლის გოდერძი; ეს არაფერი, სულით ავადმყოფი მამიდაც შინა ჰყავს.

ჩვენ მას დაწინაურებას ვუპირებთ. თედო დაგვიბერდა და დაგვისნეულდა, გვეხვეწება: გამანთავისუფლეთო. შესაძლოა გოდერძი ავირჩიოთ ბერმუხის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ".

ისევ აჩქამდა ეწერი. ბილიკებზე მეცხვარეები გამოჩნდნენ. ცხვრისძაღლები გამოვიდნენ ძეძვებიდან. მათ უკან მოყვებოდნენ ნაზამთრალ ნაკელში ამოგანგლული ცხვრები. ისინი გამალებულნი ეძებდნენ ბილიკების პირად მყუდროში ამოსულ ბალახბულახს. ძლივს დაბარბაცებდნენ ბატკნები ჩირგვებში.

კორინთელმა სთქვა:

„მე არა ვარ მონღოლური ცხვრის პატრიოტი, ჩვენ ხალხს ალბათ ის ჯიში უშენებია, რომელსაც კუდიან ცხვარს ეტყვიან".

„მონღოლურ ცხვარს ცხიმი აქვს მეტი,— შენიშნა ინსტრუქტორმა ახალკაცმა.— ჩვენ ამჟამად ნაზმატყლიანი მეტისები გამოგვყავს. მე ზოოტექნიკოსი არ გახლავართ, მაგრამ აგრე მგონია, პირუტყვის მეტიზაცია მორიგ ამოცანად უნდა გავიხადოთ.

ამ მეთოდს დიდი წარსული აქვს მთელს მსოფლიოში. ინგლისელებმა თავიანთი ცხენი ბედუინურთან შეაჯვარეს და ჩინებული ეკზემპლარებიც მიიღეს. მეტიზაციის მეოხებით შეიქმნა როგორც ხოლმოგორული, ისე ჰოლანდური ჭრელი და გერმანული წითელი ძროხა.

ქართულ კუდიან ცხვარსაც გადახალისება ესაჭიროება, ასეთივე შეჯვარება უნდა მოვუწყოთ თუშურ ცხენს. ხევსურეთში მიმგზავრია იმ თუშურ ცხენზე, მე არა მგონია, თუშურ ცხენს რომელიმე სხვა შეედაროს იმ ციცაბოებზე სიარულში.

თუშურ ცხენს კისერი უნდა დავუგრძელოთ. შეჯვარებას მოითხოვს მეგრული მთის ცხენი და მეგრული თხაცა".

პროფესორმა კორინთელმა თვალი დაადვა ძეძვებში მოჩალიჩე, ბომბორა ცხვრის ძაღლს, რომელსაც სამი ლეკვი მოსდევდა უკან.

„გულახდილად უნდა მოგახსენოთ, მთელს მსოფლიოში სავსე-

ბით უბადლოა ქართული ცხვრისძაღლი.— სთქვა კორინთელმა.— ნახეთ როგორ მკვრივი ნაგებობა აქვს. მრგვალი და ჭკვიანი თავი დაკავშირებულია მკერდგანიერ და ძვალმსხვილა ტორზოსთან. კისერმოკლეა, ქედმაღალი და თათებდაფანჩული. უცნაური სიმაჯეა გამოსჭვივის მის დარბაისლურ მიხვრა-მოხვრაში". ბიბლიოთეკა

მურყაზე მსხდარნი დაკვირვებულად უთვალთვალებდნენ ამ ძაღლებს. როგორც ძუს, ისე მის ლეკვებს მოშავო დრუნჩები ჰქონდათ, თითქოს მურში ჩაუყვიათო ცხვირ-პირი. მთლად ლეგანი იყვნენ, მთლად ნაცრისფერნი და თეთრთათიანები.

როცა საყვარელ მოუტანეს პროფესორს, გოდერძი ისევ ფერხთით მიუჯდა მას და გახარებული უსმენდა ქართული ცხვრისძაღლის ქებას, თანაც თავის საყვარელ ძაღლს იგონებდა, „მგელას".

ციხისთავმა სთქვა:

„შირაქში გყავს ერთი ცხვრისძაღლი, საკავშირო ჩემპიონია, ოთხი მგელი დააჩრჩო შარშან ზამთარში; საერთოდ მას ორმოცზე მეტი მგლის ცოდვა ადევს. ალბათ მოგეხსენებათ, ეს ძაღლები მგლისა და ძაღლის მეტისებია.

ხომ ფრიად ჭკვიანია გერმანული ცხვრისძაღლი? მგელთან ბრძოლაში იგი ვერ შეედრება ქართულს. ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო ქედმაგარია და მკერდმაგარი. მთელი ნაგებობაც მისი სხეულისა უფრო მეტად მკვრივია, ვიდრე გერმანულის.

ცნობილია, მგელს, მწევრის გარდა, ვერც ერთი ძაღლი ვერ დაეწევა. არც თუ იმდენად საჭიროა მგელს გამოუდგეს ცხვრისძაღლი, **მათი ერთმანეთთან შეტაკება ხდება ფერმებისა და ფარეხების შემოგარენში.** გაქცეულ ნადირს ტყვია უნდა მიაწიოს მეცხვარემ".

„ქართული ცხვრისძაღლი კისერმოკლეა", სთქვა რაიაგრონომმა მელითაურმა.

„ეს დიახაც კარგია, — მიუგო კორინთელმა, — გერმანული გრძელკისერაა. თავდასხმისას იგი უფრო მეტად ელასტიურია, სამაგიეროდ ნადირთან გულდაგულ შებმისას მუხლი ღალატობს მას".

თედო თარალაშვილმა ცას ახედა. გველეთის გორაკებს მოსდებოდა მსუბუქი ჯანლი, გრძლივ ამოწვერილი წვეროკინები ნაძვის უზარმაზარ საჩეჩელებს მოგაგონებდათ, ხოლო მათ ზემოთ კავკასიონზე დაჯორგვილიყვნენ შავლეგა ღრუბლები, უცნაურ ქიმერებს მიაგავდნენ ისინი: ხახადაბჩენილ ურჩხულებს, თათებგაწვდილ ფრთიან ლომებს, ურთიერთზე ზედახორად შემდგარ სირაქლემებს.

„ცოტა ვიჩქაროთ, თორემ წვიმას აპირებს".

ამის თქმა მოასწრო თედომ და წვიმის წვეთები გაფაჩუნდნენ ტყეში.

„უცნაურია, როგორ იწინასწარმეტყველა წვიმის მოსვლა თედომ?“ უთხრა კორინთელმა თავმჯდომარეს.

„ჩემი ძველი ჭრილობებია ჩემი ბარომეტრი“, წაიდუდუნა თედომ.

ღიჭიანი მოთავდა, ახლა ლელიანი ჭაობები ... ლაქაშის ზედაპირზე მიფრთხიალებდნენ თელის ... ეტებული ყურები.

„მშველი, მშველი“, წამოიძახა გოდერძიმ.

ისევ ტყეში შევიდნენ, დაბნელდა ირგვლივ. მოხშირდა წვიმის შხაპუნი. კორინთელი ცას უთვალთვალებდა, გადამხმარი ვერხვებიდან დგებოდნენ ორბები, მძიმედ მიარღვევდნენ ეთერს.

წვიმა შესწყდა, ამ უბანში მოხშირდნენ მურყანების, ვერხვებისა და თელების ნაფესვარები.

კორინთელმა მიმოიხედა.

„ამ უბანში მაგარი შეტაკება მოუხდებათ ნაფესვარებთან ჩვენს რიპპერებსა და ტრაქტორებს“.

უცნაური ბუხუნი გაისმა ძეძვებში.

„რა იყო თუ იცი?“ ჰკითხა კორინთელმა გოდერძის.

„გარეული ტახი დაფრთხა ღიჭიანში სადღაც“.

ისევ მოისმა ბორგვა და ბუხუნი, ამას მოჰყვა ისეთი შეწუხებული ჭყვიტინი, როგორც შინაურ ბურვაკს სჩვევია ხოლმე. წინწასული ახალკაცი და ციხისთავი რომელიღაც ღელეს გადაღმა დარჩენილიყვნენ, ველარ უერთდებოდნენ თავისიანებს.

გზა დაეკარგათ ნახევრად ბნელში.

ისევ იძალა წვიმამ, დამუქდნენ გაცრცვნილი ხეების შტოები. გოდერძი მიარღვევდა ღიჭიანს, სატევრით კაფავდა ბილიკებზე გადმოკიდულ ნარებს, რომელნიც ციდან დაკიდებულ ტროსებსა და ბაგირებს მიაგავდნენ ამ წუთში.

კორინთელმა უცნაური დაქანცულობა შეიცნო, პიჯაკის ბორტებიდან ჩამოსული მთელს სხეულზე გადასდიოდა წვიმის წყალი, მიბობღავდა ჭოჭში, ძლივს მიათრევდა სინესტით გაჟღენთილ ფეხებს.

არავინ იცოდა, როგორ გამოსულიყვნენ თემშარაზე, სადაც მანქანა ეგულებოდათ; აქეთ წამოდითო, მოსძახოდა მათ ციხისთავი, მაგრამ ღელის სადენი ამ ადგილას ისეთი განიერი იყო, ვერც კორინთელი და ვერც თედო გაღმა ვერ გადახტებოდნენ.

ახე იბორიალეს მცირე ხანს. კორინთელი შესდგა. მან თვალნათლივ დაინახა: მეჩხერი ტყის პირას რაღაცამ მძლავრად შეატოკა

შინდის ბუჩქი, მერმე ბილიკზე გადასული გაიქცა ანაზდად: ეს ბობ-ლია არსება მიაგავდა მოკლენაბდიან, თავშიშველა, ჯუჯა კაცს.

ეს უცნაური ჩვენება ლ'ანდის უსწრაფესად მოსწყდა მიწას და მისმა მჭვრეტელმა ისეთი შთაბეჭდილება მიიღო, მხარზე ჯუბადა-დებული, შავნაბდიანი კაცი აფრინდაო ჰაერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორინთელმა თვალი შეასწრო, თუ როგორ გაისვა ხელი ჯიბეზე მის გვერდით მიმავალმა გოდერძიმ და რევოლვერმა დაიგრიალა.

სამი წამიც არ გასულა და სულ ახლოს გავარდა თოფი.

როცა სამივენი რბენით მივიდნენ იმ ადგილას ტყეში, სადაც ნა-ბადწამოსხმული არსება დაეცა, ნახეს ცხვარიჭამია ორბი ფრთებს აბარტყუნებდა ულონოდ.

გოდერძი პირველი მიეჭრა მსხვერპლს, ჭანგები გაუხსნა ძალ'ით და დამხრჩვალი ბატკანი გამოაცალა.

რამდენიმე წუთიც არ იყო გასული და ტყიდან სამი ლანდი გა-მოძვრა. ერთ მათგანს შემართული თოფი ეჭირა ხელში.

როცა მთლად ახლოს მივიდნენ ისინი, თედომ და გოდერძიმ შეიცვნეს: კანკრე, ლალბაწა და გაგრია.

კორინთელმა საეჭვოდ შეათვალიერა ისინი.

დაწინაურდა კანკრე, ბატკნის ლეშს წაეპოტინა.

„რას შვრები, ბიჭო?“ შესძახა თედომ.

„ბატკანი ჩემია და მე მიმაქვს“.

„როგორ თუ შენია?“

„ორბი მე მოვკალი და მისი ნადავლიც ჩემია“, სთქვა უჯიათად კანკრემ.

„ერთი, რომ ეს ორბი ჩვენ თვალწინ მოჰკლა გოდერძიმ, ეგეც რომ არ იყოს, ბატკანი მოტაცებულია კოლმეურნეობის ფარიდან, ჩვენ მას წავიღებთ და ჩვენს ცხვრისძაღლებს ვაჭმევთ“.

როცა ახ'ადმოსულნი დადუმდნენ, თედო მიუბრუნდა სამივეს:

„ახლა ეს მიბრძანეთ, თქვენ რას აკეთებდით აქ?“

„მეწისქვილე ნიორთავასთან მივდიოდით სათევზაოდ“.

„თოფიანად თევზაობა ვის გაუგონია?“ სიტყვა ჩაურთო გო-დერძიმ.

კანკრემ თვალი დაუბრიალა გოდერძის და ლიჭიანში გაბრუნ-დნენ სამივენი. ორიოდე წუთსაც არ გაუელია და კანკრეს ხმა მო-ისმა ტყიდან:

„დაიცა, ამ თავხედობას განანებ, გოდერძი“.

„ვინ არიან ეს ყმაწვილები?“ იკითხა კორინთელმა.

„ის ერთი, თოფიანი, ქალაქელი შოფერია, მეტსახელად კანკრე. მანქანების ჯირითისა და ხულიგნობისათვის ტარების უფლება წა-

შინდის ბუჩქი, მერმე ბილიკზე გადასული გაიქცა ანაზდად: ეს ბობ-ლია არსება მიაგავდა მოკლენაბდიან, თავშიშველა, ჯუჯა კაცს.

ეს უცნაური ჩვენება ლ'ანდის უსწრაფესად მოსწყდა მიწას და მისმა მჭვრეტელმა ისეთი შთაბეჭდილება მიიღო, მხარზე ჯუბადა-დებული, შავნაბდიანი კაცი აფრინდაო ჰაერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორინთელმა თვალი შეასწრო, თუ როგორ გაისვა ხელი ჯიბეზე მის გვერდით მიმავალმა გოდერძიმ და რევოლვერმა დაიგრიალა.

სამი წამიც არ გასულა და სულ ახლოს გავარდა თოფი.

როცა სამივენი რბენით მივიდნენ იმ ადგილას ტყეში, სადაც ნა-ბადწამოსხმული არსება დაეცა, ნახეს ცხვარიჭამია ორბი ფრთებს აბარტყუნებდა ულონოდ.

გოდერძი პირველი მიეჭრა მსხვერპლს, ჭანგები გაუხსნა ძალ'ით და დამხრჩვალი ბატკანი გამოაცალა.

რამდენიმე წუთიც არ იყო გასული და ტყიდან სამი ლანდი გა-მოძვრა. ერთ მათგანს შემართული თოფი ეჭირა ხელში.

როცა მთლად ახლოს მივიდნენ ისინი, თედომ და გოდერძიმ შეიცვნეს: კანკრე, ლალბაწა და გაგრია.

კორინთელმა საეჭვოდ შეათვალიერა ისინი.

დაწინაურდა კანკრე, ბატკნის ლეშს წაეპოტინა.

„რას შვრები, ბიჭო?“ შესძახა თედომ.

„ბატკანი ჩემია და მე მიმაქვს“.

„როგორ თუ შენია?“

„ორბი მე მოვკალი და მისი ნადავლიც ჩემია“, სთქვა უჯიათად კანკრემ.

„ერთი, რომ ეს ორბი ჩვენ თვალწინ მოჰკლა გოდერძიმ, ეგეც რომ არ იყოს, ბატკანი მოტაცებულია კოლმეურნეობის ფარიდან, ჩვენ მას წავიღებთ და ჩვენს ცხვრისძაღლებს ვაჭმევთ“.

როცა ახ'ადმოსულნი დადუმდნენ, თედო მიუბრუნდა სამივეს:

„ახლა ეს მიბრძანეთ, თქვენ რას აკეთებდით აქ?“

„მეწისქვილე ნიორთავასთან მივდიოდით სათევზაოდ“.

„თოფიანად თევზაობა ვის გაუგონია?“ სიტყვა ჩაურთო გო-დერძიმ.

კანკრემ თვალი დაუბრიალა გოდერძის და ლიჭიანში გაბრუნ-დნენ სამივენი. ორიოდე წუთსაც არ გაუელია და კანკრეს ხმა მო-ისმა ტყიდან:

„დაიცა, ამ თავხედობას განანებ, გოდერძი“.

„ვინ არიან ეს ყმაწვილები?“ იკითხა კორინთელმა.

„ის ერთი, თოფიანი, ქალაქელი შოფერია, მეტსახელად კანკრე. მანქანების ჯირითისა და ხულიგნობისათვის ტარების უფლება წა-

ართვეს. ახლა ჩვენს კოლმეურნეობას შემოეხიზნა. დიდი უქნარა ვინმეა, ლოთობის მეტს არაფერს აკეთებს.

ის ორი ბიჭი აიყოლია, ლალბაწა და გაგრია, საშუშაოდან გამოიბარებიან, ღამღამობით ტყე-ტყე დაწოწიალობენ, განუკითხავად ხოცავენ ირემს, მშველსა და ხოხობს.

ეს ყმაწვილები მიტომაც გამოსთქვამდნენ [illegible] ცხრამუხის ზეგანზე ზვრების გამართვის გამო, რომ მათ კარგად იციან: მშველი, ღორი და ხოხობი უკან დაიხევენ მთებისაკენ და მათ შორს მოუხდებათ სანადიროდ წანწალი.

ახლა აკრძალულია ხოხობზე ნადირობა, ისინი კი უსაფრთხებიან ლიჭიანებში ახლადდაბადებულ ხოხობს და ჟლეტენ".

„რაიმე ალმზრდელობითი მუშაობა თუ სცადეთ?"

შეეკითხა პროფესორი თედოს.

„მაგ. კანკრეს ტრაქტორისტობა შეეთავაზეთ. მოიბოდიშა, რევმატიზმი მჭირსო, თვითონ კი დღედაღამ ჭაობებში ნადირობს".

„ბრაკონიერობს, არა? არა სჯით მერმე? ბრაკონიერები ჩვენი ფაუნის უდიდესი მტრებია".

„დასჯით როგორ არა ვსჯით, მაგრამ ასეთ დროს უნდა შეისწროს ისინი კაცმა, ისე კანონი ხელს არ ჰკიდებს".

ღამე დაეუფლა ტყესა და ეწერს, მიდიოდნენ ბნელში და ესმოდათ გარეული ტახების ბორგვა და ბუხუნი...

ვახტანგ კორინთელის მოგონებათა ღამე

გადაიკარა.

უწყინარმა ქარმა ალმოსავლეთისაკენ გადარეკა წვიმის ღრუბლები; მხოლოდ აქა-იქ თუ შერჩნენ გამჭვირვალე ფრთილები ცას, ისეთი თეთრი, როგორც ახლადმოგებული ბატკნები დოლის მეორე დღეს.

მთვარემ გადაათოვა ალაზნის ველს. კავკასიონი ჯერ ცარცისფერი იყო, მაგრამ იძალა ღამემ და შაბიამანის სილურჯე მიანიჭა მყინვარებს.

ჩვენი გმირები ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ ბერმუხისაკენ, უკან-უკან იხედებოდნენ, მაგრამ არსად სჩანდა მანქანა.

მათი საუბარი დასტრიალებდა ბერმუხის კოლმეურნეობის საშერმისო გეგმებს; ცხრამუხის ზეგანის ათვისებას, მამუკასეულ ციხის გარემოში, გველეთში ჰესის გამართვას. რაიკომის მდივანი წარამარა გაჰკრავდა ხოლმე ასანთს, თავის მაჯის საათს დაჰხედავდა.

როცა ეწერი მოთავდა და ველზე გამოვიდნენ, მხოლოდ ბაბან წამოეწიათ მანქანა.

სოფლის სასტუმროსმდის მიგიყვანთო, ეუბნება რაიკომის მდივანი პროფესორს; თუმცა ეს უკანასკნელი საკმაოდ [illegible] იყო, მაგრამ იცოდა, ყვარელში ეჩქარებოდათ სხვა [illegible] მეცხოველეობის თათბირზე, ამიტომაც თავაზიანი უარი უთხრა კორინთელმა მდივანს.

არწმუნებდა: ფეხით გავლა მირჩევნიაო.

მაშ გოდერძის გაგაყოლებთო, ემუდარა თედო, კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

„რად შეაწუხებთ გოდერძის. მე ჯერ ისე არ დავბერებულვარ, მარტოკა სიარული რომ ველარ შევძლო. სჯობს გოდერძი თან გაიყოლოთ თათბირზე“, მიუგო კორინთელმა.

როცა ყველას დაემშვიდობა და მეორე დღის შეხვედრის საათი დასთქვეს, აუჩქარებელი ნაბიჯით მიჰყვა კორინთელი ბერმუხისაკენ მიმავალ თემშარას. ჟამიდან ჟამზე თვალს გადაჰკრავდა ალაზანს, ორაგულის ქერეჭსავით მოელვარეს.

ხევიდან მოისმა მეურმის „ჰაამო“.

მახლობელ ბოგირზე ბავშვები ცეკვავდნენ და მღეროდნენ, კორინთელი შესდგა, შესცქეროდა ამ მორიალე ლანდების როკვას.

ხევისწყალი დაუცხრომლად ჩხრიალებდა. ველიდან ტრაქტორის ბუბუნი მოისმოდა, უკაცრიელ მინდორზე რახრახით მიმოდიოდა ტრაქტორი.

ბოგირთან ქონგურებშელეწილი ციხე იდგა; ფეხშიშველა ბიჭუნა ლაფში ამოთხვრილ კამეჩს მიგრეკებოდა; მზერა გააყოლა კორინთელმა ამ საყვარელ ცხოველებს.

ერთობლივად და ტაატით მიდიოდნენ ბეჰემოტების ეს გატრუსული ნაშიერები, სიბნელეს ჰფენდნენ მთვარით განათებულ თემშარას, თითქოს ეს ღამე მათ ჩასვლოდათ გვამში.

მათ უკან ფიჩხით დატვირთული ვირები მოჩაქჩაქებდნენ, გარშემოკრულ ფიჩხის მარაოებიდან ძლივს მოუჩანდათ თავები. გროტესქულ ზღარბებს მიაგავდნენ ისინი ამ მთვარიან ღამეში.

ეს მოღუშული ციხე, ლაფში ამოგანგლული კამეჩები, ფიჩხით დატვირთული სახედრები და ხევიდან მოსული „ჰაამოს“ შეძახილი თავის სიყმაწვილეს მოაგონებდა კორინთელს...

ბექობზე გამოჩნდა ვაჩნაძისეული სასახლის უზარმაზარი სილუეტი. ორად ორი განათებული ფანჯარა გადმოსცქეროდა ალმა მიმავალ გზას.

ვახტანგ კორინთელს ეჩვენა, იმ ფანჯრებს გადაღმა რიალებდა მისი მეუღლის, მედეას ლანდი.

შესდგა, კარგად დააკვირდა: მართლაც დადიოდა ვიღაც, ხან შესდგებოდა ღია ფანჯარასთან, ხანაც გაივლიდა, დაჯდებოდა, ისევ ადგებოდა და ბოლთას სცემდა ფანჯრებს გადაღმა.

ბატონკაცურ ალაყაფის კარებში შეუხვია [illegible] ძველთაძველ ჭიშკარზე ხის კამარა გაეკეთებინათ, ფერადი ელვა-თურები ბჟუტავდნენ ირგვლივ.

ვრცელ ეზოში უკვე აღარ სჩანდნენ კორინთელის ნაცნობი მსხლისა და ნუშის ხეები, მათ ნაცვლად ფიჭვები და ნაძვები მოეშენებინათ პარკადქცეულ ხილნარში.

მაგნოლიები და ოლეანდრები კვლავინდებურად იდგნენ სასახლის წინ, ხოლო ამ უკანასკნელის გადაღმა ძველთაძველი ბასტიონის ბნელი კონტურები მოსჩანდნენ.

კორინთელმა ახედ-დახედა გზის გაყოლებით მდგარ ვერხვებს. პაწია ხეები იყვნენ მის სიყმაწვილეში ესენი.

ვახტანგის მამა როსტომი მიწისმზომლად მსახურობდა თელავში. რევაზ ვაჩნაძეს გაუთავებელი დავა ჰქონდა ყვარლის თავადებთან მამულებისა და მიჯნების გამო, ასე რომ როსტომ კორინთელი და მისი ოჯახი ხშირი სტუმრები იყვნენ ვაჩნაძიანთ სასახლეში.

ვახტანგის პატარა დაიკო ნანა და მედეა ერთგბილანი იყვნენ. ეს სამი ბავშვი ადრიან სიყრმიდანვე ბალღური, უმანკო სიყვარულით დაუკავშირდნენ ურთიერთს.

გასცქეროდა ვახტანგ კორინთელი მაგნოლიებისა და ოლეანდრების ჩრდილებს. აქ დაკუნტრუშებდა მათ ბალღობაში მშვლის ნუკრი, რომელსაც „მედიკო“ შეარქვა რევაზ ვაჩნაძემ ოდესღაც.

მაგნოლიებსა და ოლეანდრებს გადაღმა ახლა უფრო მკაფიოდ მოსჩანდა ორი გაშუქებული ფანჯარა და მათ უკან ეგულებოდა კორინთელს თავისი მედეა.

რა შეუმჩნევლად გადაიჯირითეს წლებმა, თითქოს ეს ყოველივე გუშინ ყოფილიყო ან გუშინწინ! რა მტკივნეულად ეჩვენებოდა ამ ხანში მომხდარი ამბები მათ გადამტანთ და რა დარჩა მათგან? მოგონებათა ნამუსრევები, სხვა არაფერი.

მიჰყვა თავჩაქინდრული კორინთელი ვერხვების გასწვრივ მიმავალ აღმართს, რომელიც ათასგზის აურბენია. სულმოუთქმელად სიხარულისაგან ფრთაშესხმულს, მხოლოდ ახლა ნამეტნავად დაცარეული ეჩვენა იგი.

განუზომელმა შრომამ, უცხოობასა და მარტოობაში თეთრად გათენებულმა ღამეებმა, ორი ფაკულტეტის დამთავრებამ და ათზე

მეტი შრომის დაწერამ, ათასგვარმა უსიამო განცდამ, რომელნიც უდარაჯებდნენ ადამიანს თავის ცხოვრების გზაზე, ვახტანგ კორინთელის გული ისე მოღალა, ამ მცირე შეღმართზედაც უკვირდა ასვლა...

ეს იყო თითქოს გუშინ თუ გუშინწინ. და ეს ვეფხვებლ[illegible] წვდენოდნენ უკვე.

კორინთელს სიყრმიდანვე სძაგდა ლოყებღაჟღაჟა, მუდამ ნასმურევი რევაზი და მისი ფაშფაშა მეუღლე თამარი, რომელნიც ნადიმებიდან ნადიმებამდის ცხოვრობდნენ მხოლოდ, რადგან შრომა გლეხების მოვალეობად მიაჩნდათ მათ.

სამაგიეროდ ვახტანგ კორინთელის სიხარულის დაუშრეტელი წყარო იყო პორცელანის ფიგურასავით რხეული მედიკო.

„პირველი სიყვარული მუდამ შეუღლეველი რჩება, რადგან წარუხოცელია პირველი ვნება“, ფიქრობდა ვახტანგ კორინთელი და განათებულ ფანჯრებთან მორიალე ლანდს გასცქეროდა.

თავდაპირველად ისე კეთილად წარიმართა ყოველივე, თითქოს ბედისწერაც ზრუნავდა იმისთვის, რომ ამ ორი ადამიანის ცხოვრების ეტლებს გვერდიგვერდ ეარათ მუდამ ქამს.

ოთხ წელს ერთად სწავლობდნენ თელავში: ვახტანგი, მედიკო და ნანა: მომდევნო წლების მანძილზედაც — ტფილისში, სადაც ერთსა და იმავე წელს გადასახლდნენ როგორც ვაჩნაძიანთ, ისე კორინთელიანთ ოჯახები.

უკვე შეღერებულ ყმაწვილებს მედიკოსა და ვახტანგს ოჯახური ეტიკეტი ვერ უკეტავდა ქალაქში ყოველდღიური ურთიერთობის გზას, რადგანაც მედიკო და ნანა განუყოელი მეგობრები იყვნენ.

ბოლოს, როცა რევაზ ვაჩნაძემ ბერმუხის მამულები მიჰყიდ-მოჰყიდა და ცოლშვილიანად პარიზს წავიდა, ვახტანგ კორინთელი „ეკოლ დე მინში“ სწავლობდა უკვე, იმავე ქალაქში.

რევაზსა და მის მეუღლეს ისე შეჩვეული ჰქონდათ თვალი მედიკოსა და ვახტანგის ბავშვობისათვის, მათ არც გაჰკვირვებიათ, ისინი პარიზშიაც რომ განაგრძობდნენ მეგობრობას.

მხოლოდ მამიდა ეფემიას ეჩოთირა ამ „ღატაკი“ სტუდენტის მოხშირებული ტელეფონები და ხშირი სიარული თავისი ძმის ოჯახში: დელიკატურად ურჩია თავის რძალს:

ერთად ყოფნა ჩვეულებად ექცევათ ახალგაზრდებს, ხოლო სიყვარული ბოლოს და ბოლოს ჩვევის შედეგიაო და სხვა არაფერი.

უფრო რადიკალურ ზომებსაც მიმართა მამიდა ეფემიამ.

მედეა ტფილისელი ლამაზმანების თვალი იყო ოდესღაც, ამიტომაც არ დააყოვნა მადამ დე-მასპერომ და პარიზელ „მაღალ სა-

ზოგადოებას" — „ბო მონდს" საგანგებოდ გამართულ ბანკეტებში მოაჩვენა მედიკო.

ამ საზოგადოების უდიდესმა ჭორიკანებმაც ვერავითარი ზადი ვერ უპოვნეს „ქართველ პრინცესსას". ეს იყო მხოლოდ, მანერებს უწუნებდნენ მას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

•

•

რევაზს დროზე ურჩია მისმა სიძემ — ბანკირმა დე-მასპერომ — საქართველოდან ჩამოტანილი ოქროები ბანკში შეეტანა და ამ თანხის პროცენტებით ხელი მოემართა; ეს გაფრთხილება იწყინა ხელგაშლილმა თავადმა: მევახშე ხომ არა ვარო? (იგი მომჭირნეობას ძუნწებისა და ებრაელების საქმედ სთვლიდა).

არც ლუვრში შეუვლია მას ოდესმე, არც პარიზულ თეატრებში შეუხედავს, წიგნის კითხვა „მოცლილი დიაცების" საქმეაო, ამტკიცებდა.

ამიტომ პარიზშიაც შეეყარა სპლინი და „გულის დარდების" გასაქარვებლად აქაც გაიჩინა ძმაკაცები, პირველხარისხოვან რესტორნებში დაიწყო ქეიფი.

რევაზ ვაჩნაძეს ჭირისდღესავით სძაგდა რევოლუცია, მასთან ყველაფერი წითელი, მაგრამ ის რესტორანი შეუყვარდა, რომელსაც „მულენ რუჟ" — „წითელი წისქვილი" ეწოდება.

„მულენ რუჟის" ოფიციანტებმა სულ მალე გაიცვნეს „კეთილშობილი ქართველი პრინცი", რომელიც ხურდას იშვიათად ართმევდა მათ და, გარდა ამისა, სვავივით სვამდა წითელ ბორდოს.

ერთი რამითაც მიინიშნეს იგი: რევაზს თუმცა თუთიყუშივით ჰქონდა დაზეპირებული რესტორანში მოსახმარი რამდენიმე ფრანგული ფრაზა, მაგრამ მათ გაგონებაზე თვით თავაზიანი პარიზელებიც ვერ იკავებდნენ ღიმილს.

ხანდახან ამის შედეგი ის იყო, რომ რევაზ ვაჩნაძე ცხვირპირს ამოუნაყავდა ხოლმე სიცილის გუნებაზე მოსულთ.

ერთი ორჯერ პოლიციამიც ამოაყოფინეს თავი. ასეთ შემთხვევაში მამიდა ეფემია დაფაცურდებოდა და როგორც კი გამოირკვეოდა, რომ ამ სკანდალების მომწყობი ბანკირ დე-მასპეროს ცოლის ძმა იყო და „საქართველოს პრინცი", წამსვე უკან იხევდა პოლიცია.

მადამ დე-მასპერო ხედავდა, რომ მის ძმას საქართველოდან ჩამოტანილი ოქროები თოვლის ფიფქივით ხელში ადნებოდა: რევაზი დეპეშას დეპეშაზე უგზავნიდა თავის მოურავს ბერმუხაში. ათასების დაუყოვნებლად გამოგზავნას მოითხოვდა, მაგრამ არც ფული სჩანდა სადმე და არც პასუხი.

ვაჩნაძიანთ ოჯახს ერთადერთი კაპიტალი შერჩა ხელში, ეს ესე მშვენიერი მედეა, რომელიც უკვე მაღალ საზოგადოებაში გასულს არჩევდა „საწყალ სტუდენტთან“ — ვახტანგ კორინთელთან ერთად თეატრებსა და გამოფენებზე სიარულს.

ამიტომაც მამიდა ეფემიამ ენერგიულად მოსთხოვა ძმისწულ და მის მეუღლეს, ეს „ღატაკი სტუდენტი“ — კორინთელი სახლიდან დაეთხოვათ; დაუყოვნებლივ თავზე დაახვია მედეას მასწავლებლები მანერებისა, მუსიკისა, ცეკვისა, ფრანგული და იტალიური ენებისა.

ყოველმა, თუნდაც ზერელედ განათლებულმა ევროპელმა იცის ცნობილი მითი, ბერძენი ავანტიურისტის, იასონის მიერ კოლხთა მეფის, აეტესის ქალის — მედეას მოტაცების შესახებ შეთხზული.

ეს მითიც ერთგვარ რომანტიულ იერს აძლევდა „ქართველ პრინცესასა“, რომელმაც პარიზს ჩასვლის უმალვე შეაშფოთა ბირჟის და სალონების „ლომები“.

მამიდა ეფემია წარამარა მართავდა ბანკეტებსა და „სუარეებს“[1], წამიერად მოაჩვენებდა თავის ძმისწულს ბანკირებს, ბარონებს, ამერიკელ მილლიონერებს და საეკვო საქმეთა ოსტატებს, მერმე რამდენიმე დღით ჩაკეტავდა მედეას და მათ მიერ ატეხილი ტელეფონების რეკვით ამოწმებდა, თუ ვინ უპირებდა „რეალურ გამიჯნურებას“ მედეას.

ხანდახან ისიც მოხდებოდა ხოლმე, რომ ვახტანგ კორინთელის მოკრძალებული ხმა გაისმოდა ტელეფონის ამ აურზაურში, მაგრამ მამიდა ეფემია ტლანქად გასცემდა პასუხს: შინ არ არისო.

ჩვენ არ შევუდგებით იმ პირთა ჩამოთვლას, რომელთაც მედეას ხელი სთხოვეს მამიდა ეფემიას იმჟამად. მათ შორის იყვნენ პარიზელი ბანკირები, იტალიელი გუდამშიერი ბარონები, ამერიკელი „ბიზნესმენები“, რომელნიც ტრაგიულად განიცდიან თავიანთ უჯიშობას და საკუთარი „სისხლის“ გასაკეთილშობილებლად „საგანგებოდ“ ჩამოდიან ხოლმე ევროპაში დიდგვაროვანი პრინცესების საძებნელად.

სწორედ ასეთი მიზნით პარიზს ჩამოსული იყო იმ წლებში ვაშინგტონელი მილლიონერის ვაჟი — ჰარი სნოუდენი, რომელიც წმინდა სისხლიან ცხენებს ეტანებოდა პარიზში და ასეთსავე პრინცესებს საცოლეს.

მისტერ სნოუდენმა მედეას შერთვის იმედით უარი უთხრა თავის დანიშნულს, იტალიელ ბარონესსას ლუჩეტას, და მედეას ხელი სთხოვა მადამ დე-მასპეროს.

---

[1] ფრანგ. საღამო.

მამიდა ეფემია განგებ შეყოყმანდა, თუმცა ცას ეწია სიხარულისაგან.

გაზულუქებული მისტერ სნოუდენი გააოცა თუნდაც ოდნავ პასიურმა წინააღმდეგობამ, მაგრამ მაინც მოუხშირა დარბაზობას ბანკირ დე მასპეროს სახლში.

ახლა მედეას უკვე კატეგორიულად აეკრძალა ვახტანგ კორინთელთან თეატრებში სიარული, მამიდა ეფემიამ კარჩაკეტილ რეჟიმში ჩააგდო თავისი ძმისწული და მოსამსახურეებს მტკიცე დავალება მისცა: სტუდენტ კორინთელის მიერ დარეკილ ტელეფონზე საერთოდ არავითარი პასუხი არ გაეცათ, პირდაპირ უხმოდ დაეკიდათ ტელეფონის მილი.

ამასობაში ვახტანგ კორინთელი მომპელიეს უმაღლეს აგრონომიულ ინსტიტუტში გადავიდა სასწავლებლად: მამიდა ეფემია დამშვიდდა და იმედს არ ჰკარგავდა, რომ მედეას, როგორც თვითონ ამბობდა, „ამ გაჯიუტებულ გომბიოს", ნიშნობაზე დაითანხმებდა, მაგრამ ამასობაში მოხდა ერთი საკმაოდ კურიოზული ამბავი.

ერთ საღამოს მისტერ სნოუდენი და მისი ამერიკელი მეგობრები — ვაშინგტონელი ბანკირები „მულენ რუჟში" ქეიფობდნენ პარიზელ უწესო დიაცებთან ერთად.

სტუმრები უკვე კარგად შეზარხოშებული იყვნენ „ვისკის" სმისაგან, როცა მეზობელ კაბინეტში თავის ძმაკაცების მიერ მიწვეულ რევაზ ვაჩნაძეს კაბინეტის კარი აერია და ამერიკელებთან შებორიალდა საკმაოდ შეზარხოშებული.

სიგარის კვამლისაგან შებოლილ კაბინეტიდან თავი გამოჰყო სნოუდენის ერთ-ერთმა მეგობარმა და უკმეხად შეაგინა დაუპატიჟებელ სტუმარს.

რევაზმა არც ერთი სიტყვა არ იცოდა ინგლისური, მიუხედავად ამისა, მაინც შეიცნო, რომ მაინცდამაინც დიდ კომპლიმენტებს არ ეუბნებოდნენ, ამიტომაც საკმაოდ უწმაწური ავლაბრული გინებით უპასუხა.

ახლა ამერიკელიც მიხვდა, რომ არც მას ასხამდნენ ხოტბას, მკერდზე ხელი ჰკრა თავადს, რომელსაც თავისი განუყრელი ფაფახი თავზე ეხურა და ცინიკურად შესთავაზა ყველა ენაზე იოლად გასაგები: „ბეე".

მოკლედ, ამით ამცნო: ვერძი ხარო.

მაშინ დატრიალდა ეს „ვერძი", ხელი წამოუსვა ვისკის ბოთლებითა და თეფშებით დატვირთულ ოფიციანტს და ისე მაგრად დააჯახა ამ ღიპიან ამერიკელს, იმ წუთშივე იატაკზე გაგორდა იგი.

ამ აურზაურში წამოცვენილი ახალგაზრდები, მათ შორის მისტერ სნოუდენი, ეძგერნენ „თავადს", მაგრამ მკლავი გაიმამაცურა

ამ უკანასკნელმა, ვისკის ბოთლები უთავაზა მათ და ისე დაერია დანარჩენ ამერიკელებს, როგორც ტარიელი როსტევან მეფის მოყმეებს.

ამ ამბავს დიდი უსიამოვნება მოჰყვა, შეტლგაჩეხილმა მისტერ სნოუდენმა მეორე დღესვე საკმაოდ არათავაზიანი წერილი მისწერა მადამ დე-მასპეროს და თავისი წინადადება უკან წაიღო.

ერთი კვირაც არ გასულა და მისტერ სნოუდენმა დასწყევლა პარიზი და ვაშინგტონს გაემგზავრა, ხოლო რევაზ ვაჩნაძეს სამი თვის პატიმრობა ძლივს აკმარა პარიზის პრეფექტმა.

ამგვარად იმავე ქალაქში, სადაც საბა ორბელიანმა თავისი თავაზიანობით და გონებამახვილობით საფრანგეთის მეფე ლუი XIV და მისი მინისტრები მოხიბლა ოდესღაც, თავადმა ვაჩნაძემ სკანდალებით გაითქვა სახელი.

ეს იყო ოღონდ, დანარჩენი სასიძოები ვერ დააფრთხო ამ გარემოებამ, პირიქით, პარიზის არისტოკრატიული კვარტალის — ფობურგ-სენ-ჟერმენის სალონების უსაქმურებს დიდხანს ჰქონდათ ეს ამბავი სალაყბოდ და გასართობად.

მოცლილები ათასგვარ ჭორებს თხზავდნენ: პრინც ვაჩნაძეს უწესო დიაცებთან ქეიფის დროს შეუსწრია თავისი ამერიკელი სასიძოსათვის და მაგრად დაუჟეჟავსო.

არც მედეას აქციები დაწეულა ამ ამბის მეოხებით. ერთ-ერთ მორიგ ბანკეტზე, რომელიც ბანკირმა დე-მასპერომ გამართა თავისი მეუღლის — ეფემიას დაბადების დღეს, მედეა გაიცნო ვინმე ლუსიენ შარკუტიემ, რომელსაც უამრავი ქარხნები ჰქონდა სენის დეპარტამენტში და თვალუწვდენი ვენახები შამპანის პროვინციაში.

ლუსიენ შარკუტიეს ისე სწრაფად და მძაფრად შეუყვარდა მშვენიერი მედეა, ტელეფონების რეკვით აიკლო ბანკირ დე-მასპეროს ოჯახი.

შარკუტიეს ხიბლავდა არა მარტო სილამაზე მედეასი და ის გარემოება, რომ ეს უკანასკნელი „ეგზომ რომანტიული ქვეყნიდან" იყო ჩამოსული: მონმარტრელი მდაბიორის — ღვინით მოვაჭრის ნაშიერს „თავადური სისხლი" ენატრებოდა.

მამიდა ეფემია კარგად ამჩნევდა შარკუტიეს ლოქოსავით დაბჩენილ ტუჩ-პირსა და მოქცეულ ყბას, მაგრამ ისიც იცოდა, თუ რამდენი მილლიონი ფრანკი ჰქონდა შემონახული ამ უკანასკნელს დე-მასპეროს ბანკში.

როცა მან დედის თანდასწრებით მტკიცედ განუცხადა მედეას: ლუსიენ შარკუტიეს ცოლად უნდა გაჰყვეო, მედეამ ერთი დაიკივლა შეცხადებულივით, პეშვებში სახე ჩარგო და იატაკზე დაეცა.

ბოლოს მოაბრუნეს გულშემოყრილი, იგი წამოდგა და განაცხადა: უმალ სენაში დავიხრჩობ თავს, ან მრეცხავად დავდგები ამ დაწყევლილ პარიზში, ვიდრე ამ გასივებულ ლეშს, ამ თვალებგადმოკარკლულ გომბეშოს ცოლად გავყვებიო.

„მაშ რა გინდა ქა, ეგებ გეგონოს მაგ გუდაშმიერ ტყუილს, იმ უბედური მიწისმზომელის ვაჟს გაგაყოლოთ? ჰა?“ უთხრა ამრეზილად თავის ძმისწულს მადამ დე-მასპეროომ.

თვეები გავიდნენ. ეფემიამ ხელი აიღო ჩიჩინზე, რადგან კარგად ხედავდა, რომ მედიკოს ჯერაც ვერ მოესწრო იმ „სიქველეთა“ შეთვისება, რომელნიც სიყრმიდანვე თან დაჰყვება ხოლმე ბურჟუაზიულ დამებს, სახელდობრ: ოქროსადმი სიყვარული, თვალთმაქცობა და ტყუილები.

ამასობაში შინ მობრუნდა სასჯელმოხდილი რევაზი და ახლა უკვე მომეტებულად განაგრძო ვიდაც საეჭვო ძმაკაცებთან „მულენ რუჟში“ ქეიფი.

მამიდა ეფემია ჰხედავდა, რომ მისი ძმის ოჯახი საბოლოოდ ბანკირის დე-მასპეროს სარჩენი გახდებოდა, ამიტომაც შეუნთო ცეცხლი თავის ძმას და რძალს. ნასმურევზე შინ მობრუნებულმა რევაზმა ერთი ორჯერ ნაწნავებით დაითრია თავისი საყვარელი ქალი, რომელსაც „ჩემს ანგელოზს“ უწოდებდა და მოსთხოვა სამუდამოდ ამოეღო გულიდან „იმ ღატაკი მიწისმზომლის ვაჟი“.

ბოლოს მშობლების მუქარასა და მუდარას ზედ დაერთო ზემოქმედება ეშმას ცნობილი ქვისა — ოქროსი.

მედეას სიჯიუტე ოდნავ მოსტეხა ლუსიენ შარკუტიეს მიერ მედიკოს დღეობაზე გამოგზავნილმა კოსკუცის ფირმის ბრილიანტებმა, მარგალიტებით მოოქვილმა სათეატრო კაბებმა, კომფორტული ლიმუზინებით სეირნობამ ბულონის ტყესა და შამპანის სანახებში, ლუსიენის სასახლეებმა, ქარხნებმა და თვალუწვდენელმა ვაზნარებმა.

როცა მადამ დე-მასპეროომ თავის ძმას წარუდგინა შარკუტიე, მომავალი სასიძო, რევაზს კრინტი არ დაუძრავს.

შეეშინდა: ხელმეორედ არ შეეშალა ხელი „მედიკოს ბედნიერებისათვის“, დადარდიანდა, გულჩახვეული გახდა. ერთ საღამოს ისე მაგრად გამოთვრა „მულენ რუჟში“, გული გაუსკდა ანახდად.

ისევ შეყოყმანდა მედეა, მოუხშირა მომპელიეში წერილების გზავნას. დედას დაემუქრა: თავს მოვუყრი მაგ გომბეშოს გამოგზავნილ ბრილიანტებსა და ჭინჭებს და უკან მივაშავებო.

ვახტანგ კორინთელი იმ წელს უსასტიკეს გაჭირვებაში ჩავარდა. მამამისი ტრამვაიმ გაიტანა ტფილისში. სავსებით უპატრონოდ

დარჩენილი სტუდენტი ხან პროვინციული გაზეთის ღამის გამომ-
შვებად იყო, არდადეგებზე დუკრს მიდიოდა, ნახშირის გებზე მუ-
შაობდა მტვირთავად, ხანაც გაზეთების კორექტორად; დილაადრია-
ნად ლექციებზე გარბოდა.

ამასობაში დე-მოსპეროს საბანკირო სახლმა ბანკროტობა
აცხადა. მევალეებმა და კლიენტებმა საჩივრები აღძრეს სასამარ-
თლოში. მედეა ჰხედავდა, რომ არა მარტო მის ოჯახს, არამედ
მამიდა ეფემიასა და მის ქმარსაც ქუჩაში გამოჰყრიდნენ სულ მოკ-
ლე ხანში.

ისევ შეუჩნდნენ დედა და მამიდა მედეას, ახლა უკვე ქვითი-
ნით ეკედრებოდნენ მუხლმოდრეკილნი: გვიხსენიო დაღუპვისაგან.

მედეამ უკვე ველარ გაუძლო ამ უკანასკნელ შემოტევას, ბრი-
ლიანტებისა და „ჭინჭების“ შამპანში უკან გაგზავნაზე ხელი აიღო
და ნიშნობის დღე დაათქმევინა მამიდა ეფემიას.

იმავე კვირას ლუსიენ შარკუტიემ ნახევარი მილლიონი ფრან-
კის კრედიტი გაუწნა დე-მასპეროს ოჯახს.

ბოლოს, როგორც იქნა, ჭაობის გომბეშომ საბოლოოდ აჯობა
არა მარტო „ლატაკ სტუდენტს“, არამედ თვით ბირჟისა და სალონის „ლომებსაც“ და მედეა შეურიგდა იმ გარემოებას, რომ ლუსი-
ენ შარკუტიე, საფრანგეთის არმიის ინტენდანტი, რომელსაც ღრან-
ჯი ჰქონდა მოქცეული გერმანელების შრაპნელისაგან, მისი კანო-
ნიერი მეუღლე გახდა.

ასე და ამრიგად, ახალი დროის ოქროს მაძიებელ იაზონს,
უომრად და ზღვების გადაულახავად, მხოლოდ და მხოლოდ ტელე-
ფონის რეკვისა და საჩეკო წიგნაკის მეოხებით ხელში ჩაუვარდა
მშვენიერი მედეა.

•

1936 წელს, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ მევენახეობის საქ-
მის დიდის მასშტაბით წინ წამოწევა განიზრახა, რამდენიმე ახალ-
გაზრდა სწავლული აგრონომი წარგზავნა აზიის, ევროპისა და
ამერიკის სხვადასხვა რაიონში როგორც ციტრუსების, ისე ვაზის
მოვლის საქმის შესასწავლად: მათ შორის ვახტანგ კორინთელს
დაევალა მევენახეობის ზოგიერთი საკითხის დასაკვირვებლად შამ-
პანის პროვინციაში წასვლა.

მან ეს დავალება ზედმიწევნით შეასრულა. ამ წელს გამოაქ-
ვეყნა მან თავისი ფუნდამენტური შრომა: „ვაზის უხილავი სნეუ-
ლებანი და მტრები“, რომელმაც არა მარტო საკავშირო, მსოფლიო
რეზონანსიც მოიპოვა.

უკვე შინ მობრუნებას აპირებდა იგი, როცა სრულიად შემთხვევით გაიხსნა გორდისეული კვანძი, რომელიც ათეული წლების მანძილზე სტანჯავდა კორინთელს.

ისევ მამიდა ეფემიამ, რომელმაც თავისი დაუცხრომელი ჩჩჩინით გაჰყარა სიყრმის მეგობრები, ფრიად ფატალურად შესრულა თავისდაუნებურად ამ საქმეში.

მან მიიწვია ვახტანგ კორინთელი თავისი სიძის — შარკუტიეს ოჯახში სტუმრად; სამი დღეც არ გასულა: მედეა ქმარს გაექცა და საქართველოში თან წაჰყვა თავისი სიყრმის მეგობარს, კორინთელს.

მძიმე ნაბიჯით აჰყვა ვახტანგ კორინთელი სასტუმროს კიბეებს. ამ ვაჩნაძისეული სახლის ტალანში შესულს იგიც მოაგონდა, რომ ამ კიბის თავზე იდგა ოდესღაც ბრინჯაოს დიანა, ანთებული მაშხალით ხელში. ახლა იმავე დიანას მოზრდილი ელნათური ეპყრო ხელში.

ვრცელ დერეფანში ბელადების პორტრეტები ეკიდა.

მრგვალ მაგიდასთან მკლავებზე დამხობილს ეძინა დარაჯს. ახლადმოსულის ნაბიჯის ხმაზე წამოდგა იგი ანაზდად და თავაზიანად მიაცილა იმ ოთახებამდის, რომელსაც „ლუქსს“ უწოდებდნენ.

ღამესავით შავი დობერმან-პინჩერი — ახილი გახარებული მიეჭრა პატრონს. კორინთელს კარებთან დედაბერი დაუხვდა. იცნო ვაჩნაძიანთ მზარეულყოფილი.

„როგორ მოგიკითხო, მაია?“ მოეალერსა კორინთელი დამხდურს.

გაწყობილ სუფრის თავში, წითელი ხის სავარძელში თავჩაქინდრული იჯდა მედეა და ქარგავდა. კორინთელმა უსიტყვოდ შენიშნა რაღაც იდუმალი მწუხარების ჩრდილი მის სახეზე.

აგრე ეჩვენა, თითქოს ჭაღარა შემატებოდა ამ ერთი დღის მანძილზე, ლაწვისთავებსა და თვალის უპეებში ნაოჭები მოხშირებოდა.

სუფრაზე მდგარ ბროლის გრაფინში წითელი ღვინო ვარვარებდა. მრგვლად მოხარშული დედალი ლანგარზე იდვა.

„მაპატიე, ჩემო კარგო, ამდენი რომ გაცდევინე“, უთხრა კორინთელმა ცოლს.

მაია დერეფანში გაფათურდა, ისევ შემოვიდა და თონის პურები შემოიტანა შუშასავით მკლავზე დაწყობილნი; კორინთელს ახლადგამომცხვარი პურის სუნი ეცა.

„რად არ ისადილეთ, მედიკო, უჩემოდ?“ სთქვა ახლადმოსულმა ნაღვლიანად.

მედეა სდუმდა.

„ბევრი ვემუდარე, შენმა მზემ. არ იქნა, არაფერს დააკარა პირი. მრგვლად მოხარშული დედალი დაგიმზადეთ ნივრითა, [illegible] ხული ბატი ჩურჩითა, აგრე რომ გიყვარდათ სიყმაწვილეში [illegible] ვეს, შენმა მზემ“. ამბობდა მაია და ჯარასავით ტრიალებდა სუფრის გარშემო.

კორინთელმა ხელი დაიბანა და სუფრას მიუჯდა.

ისევე ბოდიშობდა უნებური დაგვიანების გამო.

„შენ სხვა რამისთვისაც გმართებდა ბოდიში, ვახტანგ“. სთქვა თავის აუწევლად მედეამ და საქარგავი განზე გადასდო.

კორინთელმა დედალი დასჭრა, მედიკოს მიაწოდა, მაიას უწილადა, მერმე თავადაც გადაიღო და სთქვა:

„მაინც რისთვის?“

„დილიდანვე მარტოკა რომ გამომიშვი ამ ტიალ სასტუმროში“.

„მარტოკაო? მარტო როდი გამოგიშვი, მედიკო, კოლმეურნეობის თავმჯდომარეა აქ ჩვენი მასპინძელი, ის ჩაგიჯდა მანქანაში და წამოგიყვანა: გარდა ამისა, მე არ მესმის, მედიკო, რას უწუნებ ამ სასტუმროს?

სოფელში ამაზე უკეთესი ვგონებ არსადაა. სხვა არა იყოს რა, ამ დარბაზში ნაწილობრივად მამიშენისეული ავეჯი დგას. თუ არ [illegible] ბროლის გრაფინიცა“, სთქვა კორინთელმა, გრაფინს წაეპოტინა, ჯერ ღვინო დაისხა, მერმე გრაფინს ახედ-დახედა:

„ეს არც ისე ცუდი ნახელოვნებია, მედიკო, არა?“

როცა მაია ისევ დერეფანში გაფათურდა ჩურჩიანი ბატის შემოსატანად, კორინთელი ცოლს მოუბრუნდა:

„არ მესმის, მედიკო, რად მიწყრები ასეთი წვრილმანისათვის. ამ დილით კარგად ხედავდი, რა გულითადად დაგვიხვდნენ ჩვენი მასპინძლები.

რაიკომის მდივანი სწუხდა, შენი მარტოდ დატოვება რომ მოგვიხდა, მაგრამ ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვქონდა. დღესვე უნდა მოგვეთავებინა ეს საქმე“.

„რა საქმე?“ ცალყბად იკითხა მედეამ.

ისევ დაისხა წითელი ღვინო კორინთელმა, მოსვა და სთქვა:

„გუშინლამ გეუბნებოდი აკი, ზვრები უნდა გავმართოთ ცხრამუხის ზეგანზე“.

მედეა ულიმლამოდ სჭამდა. ბოლოს თეფში განზე გადასდო და სთქვა:

„რად არ ისადილეთ, მედიკო, უჩემოდ?“ სთქვა ახლადმოსულმა ნალვლიანად.

მედეა სდუმდა.

„ბევრი ვემუდარე, შენმა მზემ. არ იქნა, არაფერს დააკარა პირი. მრგვლად მოხარშული დედალი დაგიმზადეთ ნიკორა, [illegible] ხული ბატი ჩურჩითა, აგრე რომ გიყვარდათ სიყმაწვილეში [illegible] ვეს, შენმა მზემ“. ამბობდა მაია და ჯარასავით ტრიალებდა სუფრის გარშემო.

კორინთელმა ხელი დაიბანა და სუფრას მიუჯდა.

ისევე ბოდიშობდა უნებური დაგვიანების გამო.

„შენ სხვა რამისთვისაც გმართებდა ბოდიში, ვახტანგ“. სთქვა თავის აუწევლად მედეამ და საქარგავი განზე გადასდო.

კორინთელმა დედალი დასჭრა, მედიკოს მიაწოდა, მაიას უწილადა, მერმე თავადაც გადაიღო და სთქვა:

„მაინც რისთვის?“

„დილიდანვე მარტოკა რომ გამომიშვი ამ ტიალ სასტუმროში“.

„მარტოკაო? მარტო როდი გამოგიშვი, მედიკო, კოლმეურნეობის თავმჯდომარეა აქ ჩვენი მასპინძელი, ის ჩაგიჯდა მანქანაში და წამოგიყვანა: გარდა ამისა, მე არ მესმის, მედიკო, რას უწუნებ ამ სასტუმროს?

სოფელში ამაზე უკეთესი ვგონებ არსადაა. სხვა არა იყოს რა, ამ დარბაზში ნაწილობრივად მამიშენისეული ავეჯი დგას. თუ არ ვცდები, ეგ ბროლის გრაფინიცა“, სთქვა კორინთელმა, გრაფინს წაეპოტინა, ჯერ ღვინო დაისხა, მერმე გრაფინს ახედ-დახედა:

„ეს არც ისე ცუდი ნახელოვნებია, მედიკო, არა?“

როცა მაია ისევ დერეფანში გაფათურდა ჩურჩიანი ბატის შემოსატანად, კორინთელი ცოლს მოუბრუნდა:

„არ მესმის, მედიკო, რად მიწყრები ასეთი წვრილმანისათვის. ამ დილით კარგად ხედავდი, რა გულითადად დაგვიხვდნენ ჩვენი მასპინძლები.

რაიკომის მდივანი სწუხდა, შენი მარტოდ დატოვება რომ მოგვიხდა, მაგრამ ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვქონდა. დღესვე უნდა მოგვეთავებინა ეს საქმე“.

„რა საქმე?“ ცალყბად იკითხა მედეამ.

ისევ დაისხა წითელი ღვინო კორინთელმა, მოსვა და სთქვა:

„გუშინღამ გეუბნებოდი აკი, ზვრები უნდა გავმართოთ ცხრამუხის ზეგანზე“.

მედეა უღიმღამოდ სუამდა. ბოლოს თეფში განზე გადასდო და სთქვა:

„მე ძლიერ მოცებს, ვინტანგ, შენ ძველი მეოცნებე რომ დარჩი ამ ცხოვრებაში“.

„როგორ თუ მეოცნებე? რას ამბობ, მედიკო?“

„დიახ, მეოცნებე, ნუთუ შენ მართლა გჯერა, რომ რაც პაპაჩემმა ვერ შესძლო, ამ მხარის უდიდესმა მემამულემ, [illegible] თქმულმა გენერალმა, იმას ჩვენი საწყალი კოლმეურნეები [illegible] ბენ?

შენ ხომ გახსოვს, ჩვენს სიყმაწვილეში მაგ ეწრებში მეხრეებიც ვერ ბედავდნენ მგლების შიშით საქონლის გალალვას... არ მესმის, რა ვაზნარები უნდა მოაწყო მანდ“.

„მაპატიე, მედიკო, თუ გეტყვი, რომ მეოცნებე სწორედ შენ ხარ, როგორც სჩანს, ჯერ შენ ბურანიდან ვერ გამორკვეულხარ. ჩვენი კოლმეურნეები საწყლები კი არა, უძლიერესნი არიან; არ დაგავიწყდეს, რომ მათ უკან სდგას ჩვენი უმდიდრესი და უძლიერესი სახელმწიფო — მარტო ერთი საქართველოს რესურსები, მისი მარგანეცი, ღვინო, ციტრუსები და მადნები სამ რესპუბლიკას ეყოფა“.

მაია შემოფათურდა ისევ, შემწვარი ბატი შემოიტანა.

„იცოცხლე, იცოცხლე, ჩემო მაია, რა ხანია ჩურჩიანი ბატი არ მიჭამია“.

სთქვა კორინთელმა და ბატის დაჭრას შეუდგა.

ბატის ხორცი გასინჯა კორინთელმა და უთხრა მაიას:

„გიცოცხლოს მარჯვენა, ჩემო მაია, ჩემს სიყმაწვილეს მაგონებს ეგ. შენ უწინაც კარგად იცოდი საჭმლის მომზადება. რამდენი წლისა ხარ, ჩემო მაია, აა?“

„სამოცდაათისა გავხდი წლეულს“.

„როგორა გყვანან შენიანები, მაია, შვილი რამდენი გყავს, რამდენი შვილიშვილი, აა?“

„ხუთ ვაჟსა და ექვს ქალს თხუთმეტიოდე შვილიღა შერჩათ. სამი შვილი და ხუთი შვილიშვილი დიდ ომში დავჰკარგე“, სთქვა ნაღვლიანად მაიამ.

კორინთელმა წყალი მოითხოვა.

როცა მაია წყლის შემოსატანად გავიდა, კორინთელმა უთხრა ცოლს:

„მე რომ მცოდნოდა, შენ ასეთ უგუნებობას შეგყრიდა ბერმუხაში ჩამოსვლა, სწორედ გითხრა, არ ჩამოგიყვანდი, მედიკო. მე აგრე მეგონა, იმის შემდეგ, რაც შენ დასავლეთში საკუთარი თვალით ნახე“...

მაიამ წყლით სავსე ხელადა შემოიტანა. ცოლ-ქმარი მდუმარედ შეექცეოდნენ ჩურჩიან ბატს.

მაიამ შესჭამა მცირეოდენი, მერმე ადგა და ღამე მშვიდობისა უსურვა ცოლ-ქმარს.

როცა ორივენი მარტოკა დარჩნენ, მედეამ უთხრა ქმარს:

„მაინც რას გულისხმობდი შენ, რა ვნახე დასავლეთში?"

„მორალური გახრწნა ადამიანისა, ქვეყანა, სადაც ადამიანს ღირსება აქვს აყრილი და ოქროთი ყიდულობენ როგორც სიყვარულს, ისე რწმენას.

შენ ამდენი რამ წაგიკითხავს ამ თემაზე. ბალზაკი მაინც არ გაგონდება, შენი საყვარელი ბალზაკის რომანები; რაც ბალზაკმა ასწერა, ის მორალური გათახსირება დღეს მომეტებული დოზითაა აუნდაც საფრანგეთის ცხოვრებაში.

მეც ხანგრძლივად ვიცხოვრე დასავლეთში, ერთმა გარემოებამ შემაძაგა ის სამყარო; სახელდობრ იმან, რომ ბურჟუაზიული ქვეყნების მკვიდრთაგან უმეტესობა ფულისა და ქონების მონაა.

შენც რომ ასეთივე გრძნობები არ აღგძვრიდა იქ, ზურგს არ შეაქცევდი შარკუტიეს აურაცხელ ბრილიანტებსა და ჭინჭებს.

ხომ გახსოვს, ოდესღაც სასწორის ერთ ჯაშზე მე ვიყავი და ჩვენი სამშობლო, მეორეზე შარკუტიეს ოქრო. მეც იმიტომ მიყვარხარ, ჩემო მედიკო, რომ შენ მე და საქართველო გვამჯობინე ამაო დიდებას.

ახლა დაწყნარდი, ჩემო, მე დღეს ისედაც ბევრი ვიქადაგე, ვიკამათე, ნიადაგები ვჩხრიკე გაუვალ ღიჭიანებში, საყვედურები მაკმარე, რამე გასახარელი, საალერსო მითხარი".

მთვარე ჯერაც არ იყო ჩასული, როცა კორინთელმა აივანზე, გაიყვანა თავისი მეუღლე. აქედან ნათლად მოსჩანდნენ ძველთაძველი ბასტიონი ლეონ კახთა მეფისა და ვაჩნაძიანთ საგვარეულო ეკლესია.

„ხომ გახსოვს, მედიკო, განსვენებული ჩემი დაიკო ნანა გვირილების გვირგვინებით დატვირთული შეგვიყვანდა იმ ეკლესიაში, წელზე ბალიშს შემოიკრავდა, დედიშენისეულ ხალათს გადაიცვამდა, ვითომ ნანა ღიპიანი ხუცესი იყო, ხოლო მე და შენ ნეფე-დედოფალი.

ლოცვებს ბუტბუტებდა ნანა, გვირილის გვირგვინებს გვაღგამდა თავზე და ეს გვირილის გვირგვინი როდი იყო, არამედ ოქროსი ვითომდაც.

იმ ციხის გვირაბის შესავალთან დავსხდებოდით ხანდახან. მე ხის ხმალი მერტყა წელზე, ცხენჯოხზე გადამჯდარ რაინდს. შენ

დევის ცოლი იყავი. ნანა დევის დედა. მე უნდა მომეტაცნე, დევის დედა არ მანებებდა...

როგორც ხედავ, მე მოვტაცე შენი თავი დევს, გაიცინე, გაიცინე შენი შეუდარებელი სიცილით, მედიკო. ნახე რა მშვენიერია ეს ქვეყანა.

იცოდე, მედიკო, ადამიანი იმიტომაცაა თავისუფალი, ნიერი, რომ იგი არა სცნობს საგნების რეალურ ღირებულებას, ამიტომაც მის წარმოდგენაში ასე იოლად ცვლის ცხენჯოხი ნამდვილ ცხენს, ხის ხმალი — ფოლადისას და გვირილების გვირგვინი — ოქროსას". . . . . .

. . . . . .

ᲨᲠᲝᲛᲐᲓᲚᲔᲔᲑᲘ

ბერმუხის მამლებმა იძალეს. მთებისაკენ მისრისეს ღამე. ნაადრევად აღძრულმა საგაზაფხულო ოცნებამ სამზეოზე გამოიყვანა კვირტები, მაგრამ ყინულის კბილები გამოაჩინა გაზაფხულმა კვლავ.

ზათქითა და ბუბუნით გადმოიჭრა ქარბორბალა კავკასიონიდან და ურა ცხენივით გაჭენდა ალაზნის ველზე. მთების უბეში შეყუჟულ სოფელს თავს დააცხრა, კიდევ ერთხელ შებერტყა ნაციხარები, ნასაყდრალები და ნასახლარები, ყვავილის ფიფქები შემოაცალა ნუშებსა და ტყემლებს. ბერმუხის ქოხები შეკრთნენ, თითქოს შიშისაგან დაპატარავდნენო...

ქარი ნამქერს აყრიდა ბორცვებს, გააფთრებული იერიშები მიჰქონდა საბძლებსა და ფარეხებზე, თოვლნარევ ბრეს ატრიალებდა ჰაერში, შემცივნული ძაღლები გომურების კარებთან ძაგძაგებდნენ. მამაცი მამლები თავისას არ იშლიდნენ, განაგრძობდნენ საგამთენიო ყივილს.

წინადღით ნაჯაფარი გოდერძი ელანიძე უცნაურმა როხროხმა გამოაღვიძა.

თავი ოდნავ წამოსწია სასთუმლიდან.

აბრია უჯირაული და პაპა მიქელა მურყანის ნამორებზე ისხდნენ შუაცეცხლთან. ბაბლია იქვე დაცუცქულიყო, ცალ ხელს შუბლზე იფარებდა, ცალითაც შამფურს ატრიალებდა. მწვადის შიშხინი მოისმოდა, ხორცის საამური სუნი დამდგარიყო ქოხში.

იღვენთებოდა წვეთები ღადარში და ისეთი ჩქამი ისმოდა, თითქოს ახალ თოვლს ფეხს აბიჯებენო.

აბრია ყალიონს აბოლებდა, ახველებდა, იხრჩობოდა ბრაზისა და ხველებისაგან.

„ალბათ ცოლ-შვილს წაჰკიდებია აბრია, მიტომაც მოსულა უთენია პაპა მიქელასთან გულის მოსაოხებლად“, გაიფიქრა გოდერძიმ და ორთა საუბარს მიუგდო ყური.

„ძალთაპირია ჩემი ცოლი მაო, მისი გასაგისი გადაშენებულა ქალი მა. შვილები მას გამოემგვანენ და შვილთაშვილებიც — [illegible] იყოს ის დღე, როცა მაგ აშარი დიაცი შინ მოვათრიე. ნეტა ცხენი წამქცეოდა არაგვში, როცა მის დასანიშნად წავედი...“

ისე გაავებულ'ი იწყევლებოდა აბრია-ავსიტყვა, ფიქრობს ეს ყოველივე ნახევარი საუკუნის წინ როდი მომხდარიყო, არამედ აგერ გუშინ თუ გუშინწინ.

ისევ აუვარდა ბერიკაკს ხველება, მაგრამ ჩაადუქა ლაბარში და განაგრძო:

„როცა სულკურთხეული მამაჩემი გარდაიცვალა, მე დამტოვა უჯრაულთა გვარის უხუცესად. ჩვენი ხნის მამაკაცები აღარ არიან, მე და ჩემი ძმებიღა დავრჩით. თავი აიშვეს დიაცებმა და უწვერულმა ბიჭებმა.

ახალგაზრდები კომკავშირში შევიდნენ.

შენ უკეთ იცი, მიქელავ, გვარს ისე უნდა უძღოდეს უფროსი, როგორც ცხვრის ფარას ვაცი: ცხვარი თუ ვაცმა არ გაისარდლა, კლდეზე გადაიჩეხება უთუოდ.

დიაცს დაოკება უნდა, უწვერულ ვაჟკაცს — მწვრთნელი, ცხვარს ვაცი ამაგრებს, დიაცს — ქმარი, ვაზს — ჭიგო, და ლობიო რომ ლობიოა, მასაც სარი სჭირდება, მიქელავ. ენას კბილები ამაგრებს და კბილებს გადაცდენილ' სიტყვას ბრძენიც ვეღარ იხმობს უკან“.

გოდერძის გაეღიმა ამის გამგონეს. გულში გაიფიქრა: „ვეღარ გაიგე, ბებერო, ვაცობის ყავლი რომ გაგივიდა?“

„ქვეყანა ყირაზე დადგა, ჩემმა მზემ, მიქელავ, დაიკარგა უმცროს-უფროსობა. მე ბედნიერი მაშინ ვყოფილვარ, როცა ჩემს ცხვარს უკან დავსდევდი ტყე-ღრეში. ჩემი ნაბადი იყო ჩემი საბანიცა და კარავიცა, ჩემი უნაგირი — გერმის ბალიში, არც ცოლ-შვილის სიავე მხვდებოდა თვალში, არც მოკეთეებისა...

როგორც ცოფიან ძაღლს — წყლისა, ისე, მეშინია ხვალინდელი დღისა. სიკვდილი მომნატრებია, მიქელავ, შენ ბედნიერი ხარ, საკუთარი თვალით რომ ვეღარა ჰხედამ ქვეყნის წახდენას“.

გოდერძიმ ისევ ჩასთვლიმა და როცა აბრია შეუდგა თავისი შვილიშვილ'ის ნიკა უჯრაულის, და ძმის შვილიშვილის — ნუნუ უჯრაულის ლანძღვას, ნუნუს ხსენებაზე ისევ გაახილა გოდერძიმ თვალი.

„ღმერთს ნუ სცოდავ, აბრიავ, — აშოშმინებდა ავსიტყვას პაპა მიქელა.— ცოლ-შვილიც კარგი გყავს და შვილთაშვილებიც. ეგ შენი ბრალი როდია, აბრიავ, სიბერის ბრალია, ჩემმა მზემ, სიბერე ავადმყოფობაა.

ავად ხომ ყოფილხარ ოდესმე? როგორც ავადმყოფობა ეხებს ჯანსაღთა ერიამული, ისე ბერიკაცსაც სძაგს ჯეელების ანგლობა.

დრო ცხენსა ჰგავს ერთ რამეში: როცა ცხენი წინ გადახტება, თუ ტანი არ ააყოლე, უთუოდ ჩამოგაგდებს, იცოდე“.

გოდერძის გულიანად გაეცინა.

მხარი იცვალა. გულით ეწადა ძილს მინებებოდა კვლავ, მაგრამ სარკმლიდან შემოსული ძაბუნი სინათლე გაებლანდა დამძიმებულ ქუთუთოებში, სასთუმლიდან თავი წამოსწია ისევ და სარკმელში გაიხედა.

გომურის წინ დაცუცქული მგელა შესაბრალისად წკავწკავებდა. ფქვილისფერ ციდან ფიფქები სცვივოდნენ, მაისის პეპლებივით დარიალებდნენ ისინი ჰაერში.

გომურთან მდგარი ნუშის ხე საზეიმოდ მოერთო და მოეკაზმა წინალამინდელ ყინვას, ჭირხლის ლოლუები გამოსხმოდათ ტოტებსა და შტოებს.

მოუხშირეს მამლებმა ყივილს.

„ბარემ ავდგები, ვისაუზმებ და დროზე გავალ სამუშაოზე“, გაიფიქრა გოდერძიმ და ბლუზა გადაიცვა. როცა ცალი ჩექმის ქუსლი დაჰკრა იატაკს, აბრიამ კისერი მოიღრიჯა და აბუხუნდა.

„რათა დგები აგრე ადრე, ბიჭავ, ჩვენ თუ გვიყურებ, ბებრები ვართ და ძილი გაგვირბის. ნუთუ ამ ავდარში სამუშაოდ გაიყვან ხალხს?“

მეორე ჩექმაში ჩაჰყო გოდერძიმ ფეხი, ქუსლს უბრაგუნებდა იატაკს და თანაც ამბობდა:

„ავდარი პატარძლებს თუ შეაშინებს, ძია აბრიავ! თუ გამოდარებას ვუცადეთ, მაისამდისაც ვერ შევასრულებთ გეგმებს“.

„თქვენ მუდამ გეგმები გაკერიათ პირზე“.

„ოღონდაც, ძია აბრიავ, უგეგმოდ დამთხვეულები თუ მუშაობენ ჩვენს დროში“, სთქვა გოდერძიმ, მარჯვენა ფეხიდან გაიხადა ჩექმა და ასკინკილად მივიდა კერასთან.

ხმა ჩაიკმიდა აბრიამ, მცირე ხანს მდუმარედ ღეჭავდა თავისი ყვითელი ღოჯებით ხორცს, მერმე ისევ მიუბრუნდა გოდერძის:

„რა მოგსვლია, ფეხი ხომ არ იტკინე, ბიჭავ?“

„ეს ოხერი ჩექმა დამისველდა გუშინ იმ თავსხმაში“.

გოდერძიმ ცალი ფეხი ცეცხლს მიაფიცხა.

„ღვინო მოსვი, ბიჭავ“, უთხრა აბრიამ, სავსე ჯამი გაუწოდა ყმაწვილს.

„ჯერ ხელპირს დავიბან, შენ ინებე, ძია აბრიავ, ჭეშმარიტად.“

„ბაბლიავ, მიდი შენ გაზრდას, თხის ქონი ჩამოიღე-თახირდეს და მრუტანე ბიჭს“, ეუბნება მიქელა შვილიშვილს.

ვიდრე ბაბლია თხის ქონს მოსძებნიდა, გოდერძიმ ჩექმა ჩაიცვა, ხელპირი დაიბანა და გვერდით მიუჯდა პაპას.

„რა სასაცილონი იყავით ამ კვირია, ბიჭავ, რამდენი ეწვალეთ, მაინც ვერ დასძარით ნაფესვარები. ხომ გეუბნებოდით, ვერას გახდებით-მეთქი. გუშინ ვნახე, მამუკას უბანთან ხრამში ჩაცვენილიყვნენ ჩემი შვილიშვილი ნიკა და რუსის ბიჭი კოლა სოკოლოვი თავთავიანთ ტრაქტორებიანად.

წელამდის ლაფში დატოპავდნენ ის უბედურები. მეწისქვილე ნიორთავა ხომ არ შეგხვედრიათ-მეთქი, მივაძახე“.

ამბობდა აბრია-ავსიტყვა.

„ნიორთავა რა შუაში იყო?“

იკითხა გოდერძიმ და ბაბლიას მიერ მიწოდებულ ღორის ხორცს ხახვი და მარილი დააყარა.

„არ იცოდი განა, ნიორთავა ნავსია, მაგ ბედდამწვარი. მისი ერთი შეხედვა ცხენს მუხლებს შეუკრამს, ჩვენებურად რომ ვთქვათ, გაჰკირს[1] შეყრის, რამდენ კაცს ურემი გადაბრუნებია ჭალაში, ცხენი წაქცევია ალაზანში“.

ხითხითებდა ავსიტყვა.

„მოვეშვათ მაგ სისულელეებს, ძია აბრიავ, მაგ საწყალ ნიორთავას რომ ამდენი შეეძლოს, თავის დაკონკილ შარვალს გამოიცვლიდა როგორმე. ეს ამბავი არც ნიორთავას ბრალია, არც ტრაქტორისტების“.

„მე არ ვამბობდი განა, კოლა და ნიკა ვერას გააწყობენ-მეთქი? ბევრი ვიცინე, ჩემმა მზემ. ბარით ამოჩიჩქნიდნენ ფესვების გარშემო მიწას, ჯაჭვებს შეასხამდნენ ხეს, დაქაჩავდა ტრაქტორი, ხან ჯაჭვები ილეწებოდნენ, ხანაც ტრაქტორები უფუჭდებოდათ.

შესაბრალისნი იყვნენ ნიკა და კოლა. მათი საცოდაობა ქვას აატირებდა, მაინც რა თავსხმა იყო, რა მოწამლული ქარ-წვიმა.

ავდარში კი არა, დარშიაც ვერას გააწყობენ მაგ ცხვირმოუხოცელი ბლარები. ვეუბნებოდით იმ დღესაც დროული კაცები, ამაოდ დაშვრებით-თქო. არ დაგვიჯერეთ.

---

[1] ცხოველის გათვალვა, მონუსხვა, ჰიპნოტიზირება.

აბა რომელი ტრაქტორი იმუშავებს, ბიჭავ. მამუკას უბანში, ან ბგლის ხევში? განა თქვენ არ იცით, დაწყევლილი რომ არის მამუკას უბანი? მაგრამ სისხლი გერჩით ჯეელებს, ეგ არის და ეგ"...

„სცდები, ძია აბრიავ, სცდები, კოლა სოკოლოვი, ეგ შენ-შვილიშვილი ნიკა ჩვენი კომკავშირის მოწინავე ბიჭებია, ეგ ისინ ზეთელი ბრიგადიდან შინ მობრუნდნენ, თავდადებულად მუშაობენ. გაზეთებშიაც იყო მათი ქება".

„მე არ მინახავს ეგ გაზეთები".

გოდერძიმ ისევ დააყარა ხახვი და მარილი ღორის ხორცს, მალიანად ჩალუკმა და სთქვა:

„თუ ჩვენმა ტრაქტორებმა ვერაფერი გააწყეს, ეს ჩვენი ბრალია და არა მათი, სწორედ რომ ვთქვათ, რაიაგრონომ მელითაურისა.

მე და თედო იმ თავიდანვე ვეუბნებოდით: მაგ სამუშაოს ეს მცირეძალიანი ძველი ტრაქტორები ვერ მოერევიან-თქო. რაიკომის მდივანიც გვბირდებოდა მექანიზმებს, მაგრამ აიჩემა მელითაურმა: დიდძალი საწვავი დასჭირდებაო მექანიზმების ჩამოყვანახ".

„ჰო, მაგრამ, გუთნებითა და ხარ-კამეჩით ველარ შესძლებდით მაგ ნაფეხვარების ამოძირკვას?"

იკითხა პაპა მიქელამ.

„რომელი ხარ-კამეჩი, რას ამბობ, მიქელავ,— ეუბნება უსინათლოს აბრია.— იცი ტრაქტორი რამოდენაა? შენ, რა თქმა უნდა, არ გინახავს მაგ ეშმაკის კერძი, იცი რა ძალა აქვს მაგ ვერანას? ათი უღელი ხარ-კამეჩიც ვერ გასწევს მაგოდენას".

არ მინახავსო ტრაქტორი, ნაღვლიანად სთქვა უსინათლომ.

ბაბლიამ ცხელი მწვადი მიაწოდა პაპას, მიქელა მცირე ხანს ულიმლამოდ ღეჭავდა ხორცს, ხელს აშველებდა კბილებს.

„რამოდენაა მაინც ეგ ტრაქტორი?"

იკითხა პაპამ.

„როგორ გითხრა, მოფარდაგული ურმის სიმაღლე იქნება, ურმისავე სიგრძისა, ჰა და ჰა"...

ეუბნება აბრია მიქელას.

„რითი დადის?" იკითხა უსინათლომ.

„ლიგროინით", მიუგო გოდერძიმ.

ლიგროინი რალაა?

„საწვავი სითხეა, პაპავ".

გოდერძი ადგა, ღადარიდან ნაკვერჩხალი გამოიღო და პაპიროსს მოუკიდა.

„ჰო, მაგრამ ეგ სითხე როგორღა დასძრავს ამოდენა მაჯლაჯუნას, აბრიავ, ჰა?“

„ამდენი არც მე ვიცი, შენმა შვილიშვილმა გიამბოს, მიქელავ. ჯანიც გავარდნია ტრაქტორსა და მის საწვავს, მე ამ წარმოებულ ტანინოს გეახლები და ეგ არი“.

ბიბლიოთეკა

სთქვა აბრიამ, ჯამი აიღო ხელში და გამოსცალა.

გოდერძი ბევრს ეცადა როგორმე განემარტა უსინათლო პაპისათვის მაგნეტოს ანთების, ლიგროინის წვისა, მუხლოვანი ღერძის ბრუნვისა და ყოველივე ამის მეოხებით მუხლუხების ამოძრავების ამბები, მაგრამ მან ეს თავათაც ყურმოკრულად იცოდა, ამიტომაც ველარაფერი შეასმინა მიქელასა და აბრიას.

ბორბლები თუ აქვსო ტრაქტორს, იკითხა ბრმამ.

უბორბლოდ დადისო, მიაძახა აბრიამ.

„ეგ ისე ყოფილა როგორც ზღაპარში, უბორბლოდ, უცხენოდ და უკამეჩოდ. საკვირველი რამ ყოფილა მაგ ვერანა“.

სთქვა ნაღვლიანად პაპა მიქელამ.

გოდერძი კვლავ შეეცადა ტრაქტორის მუხლუხების აღწერას და მაგნეტოს კავშირს ამ მუხლუხების მოძრაობასთან. მაგრამ რა დარწმუნდა, ველარც ეს განმარტებანი მისწვდა უსინათლო პაპის გონებას, ხელი აიღო თხრობაზე და მდუმარედ განაგრძო ჭამა.

„რაკი წასვლას არ იშლი, ჩემი ტყავკაბა მაინც გადაიცვი, ბიჭავ“, უთხრა პაპა მიქელამ.

ქარი ღმუოდა, კვამლს უკან აბრუნებდა. ცრემლები მოჰგვარა კერის წინ დამსხდართ კვამლმა.

გოდერძი წამოდგა, სარკმლისაკენ გაიხედა. უკვე სინათლის ჩქერალი დაჰქათქათებდა მის საწოლს. პაპისეული ტყავკაბა მოატანინა ბაბლიას.

გოლიათური აღნაგობა მიანიჭა ისედაც მხარგანიერსა და ბეჭპრტყელ ვაჟკაცს პაპისეულმა ტყავკაბამ. ფაფახი ხელის გულზე დაირტყა და თავზე დაიხურა.

„სად მიხვალ, ბიჭავ, ამ პურმარილს და ამ ტფილ კერას რა კაცი მიატოვებს, ჰა?“

„რაღა დროს პურმარილია, ძია აბრიავ, დღეს რაიკომის მდივანი ჩამოდის და მექანიზმები უნდა ჩამოგვიტანოს“.

„ეგ მექანიზმები რაღა ეშმაკია?“

„როცა საქმეს მოვრჩებით, მერმე გაიგებ, ძია აბრიავ“, სთქვა გოდერძიმ და სწრაფი ნაბიჯით გაიხურა კარი.

„ღორი შესწირეთ ქვაკაცას წმიდა გიორგის, ღორი!“ ყვიროდა მეზობელ ოთახში სულით ავადმყოფი თებრონე.

იძალა ქარმა, კვამლმა გაავსო ქოხი, ასე რომ ბუხრის წინ მსხდარნი გამალებული იწმენდნენ ცრემლებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

•

თოვლნარევ ქარ-წვიმის მიუხედავად ახალგაზრდობა რევანშისთვის ემზადებოდა. განა მარტო აბრია-ავსიტყვა, სხვა მოხუცებიც ჩუმ-ჩუმად ქირდავდნენ კომკავშირულ ახალგაზრდობას, რომ ამჯერად მათი შეტევა, მუხების ნაფესვარებისა და გაუვალი ღიჭიანის შესამუსრად დაწყებული, უშედეგო აღმოჩნდა.

მოხუცთაგანს ზოგს სჯეროდა კიდევაც, თითქოს მეწისქვილე ნიორთავას მართლაც დაენავსოს ბერმუხელი ტრაქტორისტები ნიკა უჯრაული და კოლა სოკოლოვი, ცხრამუხის ზეგანისკენ ტრაქტორებით მიმავალნი.

სულ სხვას ფიქრობდნენ სხვანი: მამუკას უბანი ოდითგანვე დაწყევლილი აქვს ჰერეთის ქორიკოზს და მიტომაც გაქარჩხაო ქვაკაცას წმიდა გიორგის ხატმა ეს ტრაქტორები.

გარდა ამისა ეს ზეგანი ნაწილი იყო იმ ხატის ტყეებისა, რომელიც ბერმუხიდან დაწყებული არაშენდა გველეთამდის უწევდა.

ნამდვილად კი ამ ხელის მოცარვის მიზეზი სხვა იყო.

ფორდზონის თვრამეტძალიანი ტრაქტორები, რომელთაც ნიკა და კოლა მართავდნენ, მრავალგზის შენაკეთები და სავსებით დანჯღრეულნი იყვნენ.

ესენი გახლდათ პიონერები იმ მცირეძალიან ტრაქტორებისა, რომელნიც პირველად გაეჯიბრნენ ჩვენს ლომა კამეჩებსა და ყვავარ ხარებს მტკვრისა და ალაზნის ნაყოფიერ ველებზე.

ეს მათ გასტეხეს ივრის ყამირები, შირაქის ველისა და ალაზნის შამბნარები და ლელიანები,— საერთოდ ის ადგილები, სადაც გუთნისდედების საჭრეთელი არასოდეს მოხვედროდა მიწას.

ხარ-კამეჩის მოყვარულნი, საფეთქლებშეჭღალებული კოლმეურნენი, რომელთაც ურმულისა და ჰოროველას სიტკბო კიდევ აკავშირებდათ ამ ცხოველებთან, ნიშნის მოგებით ეუბნებოდნენ კოლასა და ნიკას:

„ეგეც თქვენი ტრაქტორი, ჰე, აბა გამოიყვათ ხუთიოდე უღელი ხარ-კამეჩი, ბზესავით წაიღებენ მაგ ნაფესვარებს“.

ცხადია, ამას გულის გარედ ამბობდნენ ისინი, მხოლოდ და მხოლოდ ნიშნის მოსაგებად, თორემ, თავათაც კარგად იცოდნენ,

რომ ხარ-კამეჩი თვით იმ დანჯღრეულ ტრაქტორებსაც ვერ დაიჯაბნებდნენ.

ნაფესვარებს გარდა სხვა წინააღმდეგობასაც წააწყდნენ ძველი ტრაქტორები ცხრამუხის ზეგანზე. მთელი ეს ტერიტორია ალაგ-ალაგ ბორცვიანი იყო, ზოგგან ისე მძაფრად დახრამული, ვერც ფორდზონის ფირმის ტრაქტორებმა გაართვეს თავი ამ დაბრკოლებებს.

გადაეშვებოდნენ ტრაქტორები ხრამში და ვეღარ ამ იდიოდნენ გავაკებისაკენ კვლავ. მოსდებდნენ კორდებსა და გორმახებს სახნისს, ილეწებოდა ეს უკანასკნელი, იშლებოდნენ მუხლუხები, წყდებოდნენ ფოლადის ტროსები და ჯაჭვები.

ასე რომ ექვსი შრომადღე სამი ბრიგადისა თითქმის უნაყოფოდ დახარჯეს ბერმუხელებმა: საქმე არც ისე შორს წასულა.

მერმე ის იყო, თედომ და გოდერძიმ რაიკომის მდივანს, ციხისთავს აცნობეს ყოველივე, და ბოლოს მექანიზმებმაც არ დაიგვიანეს...

•

ცხრამუხის ზეგანს მოადგა. ორი სამოცძალიანი ტრაქტორი. ორივე ახალი, ბურუხუნა ვეშაპები, მდელოსფრად შეღებილნი. ისინი ტყუპ ძმებსავით წააგავდნენ ურთიერთს.

სოფლის გოგო-ბიჭები ჟივილ-ხივილით უკან მოსდევდნენ მათ.

ტრაქტორები სვლის შეუნელებლად ზედ ამოჰყვნენ ზეგანს, გადათქერეს გზადშეხვედრილი ძეძვები, ბუჩქები, გადმოიარეს ღრანტეები და ხრამები...

როცა მესამეც ამოვიდა ზეგანზე, აქ დროული კაცებიც აჩოჩქოლდნენ და მის სანახავად ძირს ჩაირბინეს სიხარულისაგან აღტყინებულებმა.

ეს მესამე ტრაქტორიც სამოცძალიანი იყო, მაგრამ მას უკან მობმული ჰქონდა უზარმაზარი, სამკუთხედი, კიბოსებრ გაფარჩხული მოწყობილობა. ორ ბორბალზე შეყუნცულს რამდენიმე კბილებწამახული საჭრეთელი ჰქონდა ბოლო კიდეში, ეს საჭრეთლები ლეკურებივით იყვნენ დადრეკილნი.

„ეს რა მაჯლაჯუნაა?“ შეეკითხა ნიკასა და კოლას მეწისქვილე ნიორთავა, რომელიც სასეიროდ მოსულიყო იმ დღეს.

„რიპპერი“.

მიუგეს ორივემ ერთხმად.

მეოთხეც მოვიდა. ასეთივე დიდძალიანი ტრაქტორი, რომელ-

საც ერთი მხარის სიგანე წამახული დანა ჰქონდა უკანა კიბეზე. იგიც ასაწევ-დასაწევი იყო, როგორიც რიპპერის საბრეთელებზე.

„ბულდოზერი, ბულდოზერი!“

წამოიძახეს ახალგაზრდებმა, რომელთაც ბულდოზერთან ნახეთ ენახათ თელავის გზებზე.

ბოლოს მოაღწია თანადამსწრეთათვის სავსებით უცხო სტუმარმა... ტრაქტორზე მიბმული იყო ლამიყლაპიასებრ აწოწილი მუზმუზელა, მას აყლაყუდა „კისერზე“ ტროსით ჰქონდა დაკიდებული ვეებერთელა რკინის ჩამჩა, ცალ კიდეზე ფოლადის ეშვებით აღჭურვილი.

ახლა ამ ახალ სტუმარს დაესია დიდი და მცირე.

კოლა სოკოლოვი და ნიკა უჯრაული პირველნი ავიდნენ ექსკავატორის კაბინაში, კაბინიდან გადმომდგარ შავგვრემანი დევკაცის დანახვაზე ექსკავატორის გარშემო მოგროვილ ხალხში ჩოჩქოლი გაისმა:

„ხელაანთ ვანო, ხელაანთ ვანო!“

„გამარჯვება, ძია ვანო“.

მიაძახეს ტრაქტორისტებმა სტუმარს და მაგრად მოუჭირეს გამურულ მარჯვენაზე ხელი.

„აბა რა გაქვთ ჩემი საკბილო, ბიჭებო?“ იკითხა ექსკავატორის მძღოლმა.

მეწისქვილე ნიორთავაც აცუნცულდა რკინის კიბეზე.

„შენ ერთი თოხლი მოგინდება, ჩემო ვანო, საკბილოდ, თუ დიდხანს მოუნდი ნამუხარების ამოძირკვას, აბრიასეული ცხვრის ფარაც არ გეყოფა“.

გაეხუმრა ნიორთავა.

ხელაანთ ვანომ გაიცინა, შაქარივით თეთრმა კბილებმა გაიელვეს გამურულ სახეზე.

„მე ჩემს კბილებს არა ვჩივი, შე ბედდამწვარო ნიორთავა, ამ ჩემი გოლიათის საკბილო თუ რამე გაქვთ-მეთქი?“

„მაგის საკბილოსაც ვიშოვნით, ნახე როგორ დახრამულია ზეგანი“, სთქვა გოდერძიმ მშვიდად.

„რა ჰქვია ამ მხეცს?“ იკითხა ნიორთავამ.

„ექსკავატორი“, მიუგო ხელაანთ ვანომ.

„ექს...“ ბოლომდის არ დაათავა, ნიორთავამ მერმე დასძინა:

„იცი, ვანოჯან, მე მაგის სახელი ყოველდღე რომ გამოვთქვა, ხუნაგი დამემართება უთუოდ“...

„ექსკავატორი, ექვსთავა ჯორი“, დასძინა ნიორთავამ შაირი.

„წადი, გაგვეცალე, ნიორთავა. აქედან, ეს მაჯლაჯუნაც არ დაგვითარსო, შე პირშავო“.

ეუბნება კოლა სოკოლოვი მეწისქვილეს, თანაც იცინის.

„ნიორთავა, ნიორთავა, თავი ნუ მოგიკვდება, ახლა[illegible] შანზედაც გამოიჩინე შენი ნავსობა“.

ბიბლიოთეკა

იცინოდნენ ბიჭები და ათვალიერებდნენ ექსკავატორის ჩამჩაზე გამოჩენილ ფოლადის ეშვებს.

ნიორთავამ არც აცივა და არც აცხელა, ექსკავატორის კაბინაში შევიდა და შოფერის საჯდომზე გამოიჯგიმა ამაყად.

ორივე ხელი რკინის ბერკეტებს მოავლო, ორივე ფეხი პედალებს დაადვა.

„ფრთფუ!“

შესძახა მანქანას, ისე როგორც მეეტლე გაუწყრება ხოლმე თავის ცხენებს.

„ჰე, ბიჭავ, არ დასძრა, შე ოჯახქორო, ეგ ვეშაპი“.

იყვირა ვილაცამ ხალხში.

„ფიქრი არაა, გამორთულია“, სთქვა ხელაანთ ვანომ და მოდრეკილი საჩვენებელი თითით ჩაუტახუნა მეწისქვილეს მოტვლეპილ თავზე, სწორედ ისე, როგორც გასასინჯად ჩაუკაკუნებენ ხოლმე საზამთროს მცნობნი.

„მწყრები არ დაუფრთხო, ვანოჯან, ჩვენს ნიორთავას“.

სთქვა ნიკა უჯირაულმა.

„მწყრები თუ ჭკუა?“

იცინოდა კოლა სოკოლოვი.

„დარდი ნუ გაქვთ, ბიჭებო, ჭკუა, თქვენი არ იყოს, არც მე მაწუხებს მაინცდამაინც. ჭკუა და ფული თავისთვის შემოუნახავს საწყალ მამაჩემს“.

„ჭაღარა მოგრევია, ნიორთავა“.

ეუბნება ხელაანთ ვანო მეწისქვილეს.

„ეჰ, ჩემო ვანო, ჭაღარას რომ ჭკუა ჰქონდეს, აბრიას ბატკანი ყველაზე დიდი ფილასოფოსი იქნებოდა“. სთქვა ნიორთავამ, წელში მოიხარა და საზეიმო ნაბიჯით გავიდა კაბინიდან, ისე როგორც ეს ჩვევიათ ხოლმე პროვინციული თეატრების არტისტებს, როცა ისინი თავის როლს დასრულებულად ჩასთვლიან.

ხელაანთ ვანო დაინტერესდა:

„ამ ბედშავ ნიორთავას ათი წელია, რაც ბერმუხაში ვხვდები, ღვთის წინაშე, არც კი ვიცი, ვინაა?“

„მაგის ვინაობა არც ერთ მეტრიკაში არა სწერია“.

სთქვა ლიგროინში ამოთხვრილმა თანაშემწემ და ბაბიროსს მოუკიდა.

„მოცლა რომ იყოს, ბევრ რამეს გიამბობდით ჩვენი ნიორთავას ცხოვრების გამო. ერთი რამ ცხადია, პატიოსანი კაცია ნიორთავა, უპატრონო კატებისა და ძაღლების შემოკედლება სჩვევია, ფასვილის ნარჩენებით კვებავს ხოლმე მათ, ერთ ნაცეცალაც სასაფეს გაატანს არავის.

— მთელი დღეები კითხულობს ბედშავი, მუდამ წიგნში აქვს ცხვირი. ღამ-ღამობით სწერს, მაგრამ მისი ნაწერი ჯერ დაბეჭდილი არავის უნახავს".

გოდერძიმ ექსკავატორის კაბინიდან გამოიხედა, რაიკომის მდივანი მოსულაო, დასძინა და ძირს ჩამოვიდა.

*

რაიკომის მდივნის მოსვლამდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე თედო თარალაშვილი და რაიაგრონომი მელითაური ყოყმანობდნენ, მაგრამ როგორც ბრიგადირები, ისე კომკავშირული ახალგაზრდობა ერთხმად მოითხოვდნენ დილიდანვე დაეწყოთ შეტევა.

თუმცა პროფესორი კორინთელი გაცივებულიყო წინა დღეებში, იგი თავკისერშეფუთვნილი მაინც მოვიდა ცხრამუხის ზეგანზე. დიდხანს ეთათბირა რაიკომის მდივანს და რაიაგრონომს, შინ წასვლას არ აპირებდა, სანამ ციხისთავმა არ დააძალა მანქანით გაბრუნებულიყო უკან.

ტრაქტორებიდან ლიგროინის ჩამოტანასაც შეუდგნენ, მაგრამ ვიდრე ამ საქმეს მოათავებდნენ, გაზაფხულმა უეცრად შეიცვალა ზნე. შავლეგა ღრუბლები მთებისკენ მიხერგა ქარმა, ცაში უეცარი ლიცლიცი ატყდა, ცისარტყელა გამოჩნდა ყვარლის მთებისკენ.

მზემ გამოიჭვრიტა კალასფერი ღრუბლებიდან. ძაბუნი სითბო გადააფრქვია ზეგანს. ქალებმა რამდენიმე ადგილას მოაგროვეს მთელს ეწერზე ფიჩხი, ლიგროინი გადაასხეს ზედ.

ჯერ ბოლმა მოიცვა ზეგანი, ბოლოს რამდენსამე ადგილას ავარდა ალი. ერთობლივი ტკიცინი ატყდა ლიჭიანში, ავრეხის ღერრებს ალმა აჰყვა ცეცხლი, სვენებ-სვენებით მიბობლავდა ხანძარი ავრეხითა და ლიჭით დაბურული ხეების წვეროკინებისკენ.

ხიდან ხეზე, ბუჩქიდან ბუჩქზე, კორდიდან კორდზე გადაჰქონდა ქარს მოგიზგიზე ცეცხლის დაგრაგნილი მარმაშები, ათასენიანი კოცონები ავარდნენ ცისკენ.

შეცხადებულივით აჩხავლდნენ კაჭკაჭები და ჩხიკვები. ყველა-

ზე ადრე კურდღლებმა დასტოვეს თავიანთი სამალები, შიშისაგან თავგზააბნეულნი ფერხთით უვარდებოდნენ ზეგანზე თავმოყრილ ხალხს.

„არ გაუშვა, არ გაუშვა!“ ყვიროდნენ ბიჭები, თითქოს ოზული ჯერგა[1] გაუმართავსო ვიღაცას.

ბიბლიოთეკა

ყურებდაცქვეტილი გარბოდნენ მშველები, წყვილ-წყვილად მიგელავდნენ უკვე ხევსგადალმელ ლელიანისკენ შუნი და ხრამშველი, თითქოს რბენის შეჯიბრში გაუწვევიათო ერთმანეთი.

„არ გაუშვა, არ გაუშვა!“ ყვიროდა ნადირის ნახვისაგან აღტაცებული ხალხი.

„მელა, მელა!“ დაიღრიალა მეღორე პოპოლ'ამ, ყიჟინა დასცეს მელის დანახვაზე ბიჭებმა.

იცუნცულა, იცუნცულა მელიამ, ხევს გაღმა კორდზე დაყუნცდა, გაოცებული გასცქეროდა ხალხსა და ხანძარს.

ახლა მეორე გამოვარდა. მას მესამე მისდევდა უკან. ესენი უფრო დაფეთებულნი გარბოდნენ, რადგან ძლივს გაესწროთ ცეცხლმოდებული ღიჭიანიდან.

ბოლოს მთლად იდილიური ამბავიც მოხდა:

ერთ კუდბუთქა მელას პირში გაჩრილ'ი თავისი ლეკვი მიჰყავდა, ისე გამალებული გარბოდა ბედშავი, ლანდის უსწრაფესად გადაასწრო თავის თვისტომებს, მასზე ადრე ღიჭიანიდან გამოვარდნილთ.

ბიჭებმა თავს დაუარეს და ქვები დაუშინეს.

„ნუ ერჩით, დედაა!“ იკივლა ნუნუ უჯირაულმა.

„დედაა, დედაა!“ ყვიროდნენ ქალები.

ხალხი ფეხდაფეხ უკან მისდევდა ღიჭიანის სიღრმეში შევარდნილ ხანძარს.

ახლა ხოხბებმა ასტეხეს კრიახი და ხორხოცი, ისინი დიდხანს ინაბებოდნენ ბარდებში, მაგრამ როგორც კი ღიჭით შემოგარსულ რომელიმე თელას ან მურყანს გარს შემოერტყმოდა ხანძარი, ხორხოცით დგებოდნენ მამალი ხოხბები და მათი ისედაც ალისფერი ფრთები ისე ვარვარებდნენ ჰაერში, თითქოს ცეცხლი შემოგზნებოდათ.

•

მეორე დღეს ნაშუადღევზე ძლივს მოათავა თავისი საქმე ხანძარმა. იდგნენ შავოსნებივით დამწუხრებულ'ი, შეტრუსული ხეები, თითქოს მთელს ეწერს გადაჰკვრიაო ფლასი, ხოლო მიწა, რომლის

[1] კოლექტიური ნადირობა.

ზედაპირზე ცეცხლის ქარბორბალამ გადაიჯირითა, ფისგადასხმულსა ჰგავდა.

ახლა ამ გადატრუსული ხეების მოჭრას შეუდგა სამი ბრიგადა. ზოგს ხერხი ეჭირა ხელში და ზოგსაც ცული; ქალები წალდით კეპავდნენ აქა-იქ დარჩენილ, ნახშირად ქცეულ [illegible] და ავრეხის ძირებს, რომელნიც ხეებზე დაკიდულ [illegible] მიაგავდნენ.

ვაჟკაცები ხერხავდნენ მორებს, დაათრევდნენ დანახშირებულ ხეებს.

•

კანკრეს სული კბილით ეჭირა, ხოხბების ხორხოცზე ალტყინებულს. იგი დილიდანვე გადარუჯულ მურყანებს სჭრიდა ცულით. გაგრია და ლალბაწა ხერხავდნენ, ეზიდებოდნენ ხევში ჩამომდგარ საბარგო მანქანებზე დასაწყობად.

სანამდე მესამე ბრიგადის ბრიგადირი იონა გრძელიშვილი კორდზე იდგა, სამივენი გულდასმით მუშაობდნენ. მიეფარებოდა ბრიგადირი თვალს, კანკრე გადააგდებდა ცულს, ხან კურდღლებს უშენდა ქვებს, ხანაც გაქცეულ მშვლებს წინ გადაუდგებოდა ამაოდ. ლალბაწამ და გაგრიამ ერთი კურდღელი ქვით მოჰკლეს და ბუჩქებში დამალეს.

ნიორთავას მოსწყინდა ახალი ტრაქტორების თვალიერება, ბიჭებს მოვინახულებო, გაიფიქრა და ძლივს მიაგნო მათ მგლისხევში.

კანკრემ ნიორთავა რა დაინახა, ცული გადააგდო.

„სადა ყოფილხარ, ჯიგარო?“

„სადაც სხვებია ახლაც“.

„ჰო, მაგრამ შენებურად ვერ დათარსე მაგ მექანიზმები, პირშავო?“

„შე კაცო, გუშინ, როგორც ამბობენ, ორი ტრაქტორი გამომიყვანია მწყობრიდან. ყოველდღე მე კი არა, ქრისტე ვერ ახდენდა სასწაულებს“.

„მოდი ახლა ჩვენ აქ მოვაწყოთ სხვა სასწაული, ჰა?“

„მაინც რა?“

„წისქვილში ჩაიარე, შენი თოფი გამოიტანე, ჩემიც მანდა გდია სადღაც: წამოიღე, ხომ ხედავ, ფრინველი და ნადირი ცეცხლმა გაიცოფა, თავი დავუაროთ და დავცხოთ ჩვენებურად ერთი“.

„შენ ხიცხე ხომ არა გაქვს, შუშუტავ, რაიკომის მდივანი მანდაა და კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ეგეც არ იყოს, ვინ გაგიშვებთ სამუშაოდან ასეთ დროს?“

„ეგ არაფერია. ზემოთკენ გადავიდეთ, ხევ-ხევ და მერმე ჩენკაც ვერ გვიპოვნის, ჯიგარო“.

„შენ რად არ მუშაობ, შე ნავსო?“ შესძახა ლალბაწამ.

„ჩემს მაგივრად წყალი მუშაობს, ჰე!“

ახლა გაგრიამ წამოჰყო თავი:

„ერთი ჩვენც გვიშოვნე ისეთი მანქანა, ჩვენს მაგივრად რომ იმუშავოს, ნიორთავავ, ჰა?“

„წისქვილის წყალს გამოგიგზავნით, მაგ მურყანებს ჩაუსხით ძირში. ცულიც არ დაგჭირდებათ, თქვენმა მზემ“.

„წყალი მაგ ხოტორა თავზე გადაისხი, შე მასხარა“.

შეუკურთხა კანკრემ.

ნიორთავა შესდგა და ასეთი ლექსით მიმართა თავის არიფებს:

ჯანს გაგიმაგრებთ ჯაფა,
მორების თრევა სახსრებს,
რა გავაკეთო აბა,
თუ არ გემასხრეთ მასხრებს.

*

როცა ხეებისა და ბუჩქნარებისაგან ზეგანი გასწმინდეს ბრიგადებმა, სამ უბნად გაჰყვეს ცხრამუხის ზეგანი.

განსაკუთრებით დახრამული იყო პირველი უბანი. კორდები და ბორმახები უნდა გადაეკვეთათ, ხრამები ამოევსოთ როგორმე.

რაიკომის მდივანმა და რაიაგრონომმა ცოტა ხანს ითათბირეს თედოსა და გოდერძის თანდასწრებით და დაიწყო მთავარი შეტევა.

ხელაანთ ვანო ავიდა ექსკავატორის კაბინაში და დასძრა თავისი მანქანა. ექსკავატორის ამოძრავებას ხალხი აღტაცებული ადევნებდა თვალს.

„აბა შენ იცი, ფრთხილად იარე, ძია ვანო“, მისძახოდნენ ნუნუ უჯრიული და მისი რგოლის ქალები. ექსკავატორმა დინჯად გადაიარა სახიფათო გზები და ბოლოს მიადგა იმ ხრამის კიდეს, რომელსაც მგლისხევს უწოდებდნენ ბერმუხელები.

პედალზე დაადგა თუ არა ხელაანთ ვანომ ფეხი, კისერი მოიღრიჯა მანქანამ, გამოიშვირა ტროსზე მიბმული ჩამჩა, პირი დააბჩინა, გადმოჰყარა თავისი უზარმაზარი ფოლადის ეშვები, სვავივით მოჰკორტნა ღორღიანი მიწა, ყბები გაიესო მიწით და ღორღით.

ბერკეტს წაავლო ხელაანთ ვანომ თავისი გამურული მარჯვენა, შეტრიალდა ექსკავატორის კისერი ხრამისკენ, ისევ დააბჩინა ჩამჩამ თავისი გავსილი ხახა და ატყდა მგლისხევში ლოდებისა და გოროხების რიხინ-რიხინი...

რიპპერის მართვა ნიკა უჯრიაულს დაეკისრა, რადგან რიპპერისა და ბულდოზერის შოფრები თელავის სამანქანო-სატრაქტორო სადგურში გაიხმო მათმა უფროსმა: მათ შესაკეთებლად თან უნდა წაეყვანათ ნიკა უჯრიაულისა და კოლა სოკოლოვის, დახელოვნებული ძველი ფორდზონის ფირმის ტრაქტორები.

როგორც მოყვარული მხედარი გამოეთხოვება თავის საყვარელ ცხენს, ისე დაემშვიდობნენ ტრაქტორებს ნიკა და ვანო.

„ნუ ღელავთ, ბიჭებო, ამ ტრაქტორებს უტილში გავგზავნით. თქვენ ახლებს მოგიყვანთ“, ანუგეშა ნიკო და კოლა რიპპერის შოფერმა. იგი ორჯერ გამობრუნდა, შეახსენა ამ უკანასკნელთ რიპპერისა და ბულდოზერის მართვის წესები.

ნიკა უჯრიაული ოდნავ დარცხვენილი იყო, რომ მისმა ტრაქტორმა წინა დღეებში უმტყუნა. იგი გახარებული ავიდა ამ ახალი ტრაქტორის კაბინაში.

ნიკა უჯრიაულის ტრაქტორი წაიყვანა გოდერძიმ იმ ნაკვეთისკენ, რომელსაც მამუკას უბანს უწოდებდა ხალხი.

დანამდვილებით არავინ იცოდა, თუ ვინ იყო ეს „მამუკა“, არც ის ახსოვდა ვისმეს, თუ ვის უცხოვრია აქ, მხოლოდ პაპა მიქელას და აბრია უჯრიაულის გადმოცემით გაუგონიათ, რომ მამუკას უბანში დასახლება წყევლით აღუკვეთია უხსოვარ დროებში ჰერეთის რომელიღაც ქორიკოზს და მას შემდეგ ვერავინ ბედავდა მანდ დასახლებას, ან რაიმე ნაგებობის აშენებას.

სწორედ ამ უბანში იყო მრავალი ნანგრევი სამლოცველოებისა, ნასაყდრალები, ნაციხარები და ნასახლარები.

ამავე უბანში მრავლდებოდნენ მუხის, კაკლის, თელის ნაფესვარები, ხოლო ავრეხი, ველური ვაზი, ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა გამვლელს.

ნიკა უჯრიაული და მისი ახალი ტრაქტორი მიადგნენ მამუკას უბანს; ნიკას დალმართში უკუსვლით ჩაჰყავდა ტრაქტორი, კოლმეურნეები გაფაციცებით თვალს ადევნებდნენ ამ ამბავს.

უჯრიაულთა ქალ-რძალნი პირჯვარს იწერდნენ, შიშისაგან ცახცახებდნენ: მუხლუხები არ დაცურდნენ და უფსკრულში არ გადაეშვასო ტრაქტორიანად ნიკა.

თავათ ნიკა დინჯად იჯდა თავის ადგილას, კისერმოღრეჯილი გასცქეროდა ხევისკენ დაქანებულ გზას.

გადალახავდნენ მუხლუხები რომელიმე დაბრკოლებას, ძირს დაეშვებოდნენ ტრაქტორი და მასზე მობმული „კიბოს დარი“ მო-

წყობილობა, რომელსაც რიპპერს ეძახდნენ, შეძაგძაგდებოდა ტრაქტორი და შეიქმნებოდა ქალების ვიშვიში; ბოლოს შებრუნდა თავის საჯდომზე ნიკა, აღმართს ახედა და წინ გააქანა თავისი მანქანა.

რიპპერმა დაუშვა ლეკურებსავით დადრეკილი ბაჯრეთელები, მძლავრად ჩაარჭო მიწაში, სულ რამდენიმე მეტრიც არა ჰქონდა გავლილი ტრაქტორს, ქვები და ხის ნაფესვარები ამოჰყარა მიწიდან.

„ვაშა, ვაშა“, იძახდნენ ქალები და დროული კაცებიც, რომელნიც აქამდის იჭვნეულად უცქერდნენ ამ საქმეს, შიშობდნენ კიდევაც, ეს უბედური ტრაქტორისტები არ გადაიჩეხონო ტრაქტორიანად ხევში.

ნერვებდაძაბული იჯდა ნიკა უნაგირისდარ სკამზე. ადიოდა აღმართში, ღადრავდა ღორღიან მიწას, აკოტრიალებდა უზარმაზარ ლოდებს, აფორიაქებდა მუხების, თელების, წიფლების ნაფესვარებს და ერთი საათის შემდეგ აგრე ეგონებოდა მაცქერალს, დევებს უჭიდავნიათო მამუკას უბანში.

ურჩხულის ძვლებივით გამურული ნაფესვარები ეყარნენ ირგვლივ, სწორედ ამ მამუკას უბანში რიპპერის ეშვებმა მიწიდან ამოჰყარეს ქვევრების ნამუსრევები, ნაბუხრალები და ხელწისქვილები.

რაიაგრონომი მელითაური მივიდა იმ ადგილას და დაადგინა: სახლი საკმაოდ ვრცელ ფართობზე მდგარა, შუაგულში შუაცეცხლის გარუჯული ფიქალები იპოვნეს.

„მამუკას ნასახლარია!“

ამბობდნენ საფეთქელშეჟღალებული კოლმეურნენი.

ამ ადგილის მოშორებით სამლოცველოს ბალავერი აღმოჩნდა, მცირე მოცულობის თავკიდურები.

მოხუცები პირჯვარს იწერდნენ, ჩუმ-ჩუმად ევედრებოდნენ წმიდა გიორგის, „ქვაკაცად“ წოდებულს, არ განეკითხა ეს „თავხედი“ კომკავშირელები ამ „გაუგონარი მკრეხელობისათვის“.

•

როცა კოლა სოკოლოვი ავიდა ბულდოზერზე, კომკავშირელებმა შესძახეს:

„აბა, შენ იცი, პუშკინ“.

როგორც ჩვენ მკითხველს კარგად მოეხსენება, ბერმუხაში თითქმის ყოველ მეორე კაცს შერქმეულ სახელს ეძახდნენ.

ტანმორჩილი კოლა სოკოლოვი მართლაც წააგავდა თავისი ხუპუპა, შავი თმით პუშკინს. თავდაპირველად ეუცხოვა მას ასეთი სა-

ხელი, მერმე შეეჩვია და ბოლოს თავი მოსწონდა კიდეეც, რომ ასეთი დიდი პატივი ერგო, რუსეთის უდიდესი პოეტის სახელი შეარქვეს ახალგაზრდებმა.

ნიკა და გოდერძი თავდაპირველად ურჩევდნენ: თუ არ გინდა პუშკინი დაგიძახონ, თავი გადაიპარსეო. კოლამ ულვაშებში ჩაიცინა და გაჩუმდა, არამც თუ არ გადააკრეჭინა თმები, უფრო მოუშვა ხუჭუჭა ქოჩორი და ბაკები დაიყენა ისეთი, როგორიც პუშკინს ჰქონდა.

სოკოლოვი ტფილისის უპატრონო ბავშვთა სახლში გაიზარდა, შემდგომ ამისა, საბჭოთა არმიაში გამოიჭედა მისი ხასიათის საუკეთესო თვისებები: შემსრულებლობა, თავმდაბლობა და სიბეჯითე, ამიტომაც უყვარდა კოლა სოკოლოვი ბერმუხელებს.

ღელავდა სოკოლოვი: რა თქმა უნდა, მას სასაცილოდ არა ყოფნიდა როგორც ქორიკოზის წყევლა, ისე ქვაკაცას — წმიდა გიორგის ამბები: ღელავდა, რადგან მასაც სირცხვილი აჭამა წინადღეებში მისმა დანჯღრეულმა ტრაქტორმა.

საქართველოში დაბადებულს, მშობლიურ ენასავით ემარჯვებოდა ქართული, ასე რომ მან კარგად იცოდა, ზოგიერთ ავყია ბებერს ბერმუხელთა შორის გაეხარდებოდა კიდეც აქაც დამარცხებულიყვნენ ტრაქტორები, და საერთოდ, ცხრამუხის ზეგანის ზვრად ქცევა შეუძლებელი გამხდარიყო.

კოლამ ბერკეტებს წაავლო ხელი, სწრაფად დასძრა ეს უზარმაზარი მანქანა და მიადგა პირველ ორნატს, ხელაანთ ვანოს მიერ გავლებულს.

პუშკინი დალმართში ჩავიდა და მერმე უკუსვლით შეუდგა ალმართს, თანაც ჩამოუშვა თავისი ტრაქტორის ბოლოკიდეში მიმაგრებული ვეებერთელა საჭრეთლები.

მიმოდიოდა ბულდოზერი, ჩეხავდა რიპერის მიერ დახერგილ უზარმაზარ გოროხებს, დადიოდა ნიკა უჯრაულის მიერ განვლილ სვრელებზე და ასწორებდა მამუკას უბნის ოღროჩოღრო ნიადაგს...

„ვაშა, პუშკინ!“ მისძახოდნენ კომკავშირლები სოკოლოვს...

. . . . . .

*

ხალამო ხანს, როცა გოდერძი ელანიძე, ნუნუ უჯრაული, კოლა სოკოლოვი და ნიკა უჯრაული შინისაკენ მიდიოდნენ, მათ შენიშნეს: მწყემსურ ტყავკაბაში შეფუთვნილი ლევკაცი თავშიშველა იდგა ცხრამუხის ზეგანზე მარტოკა.

გოდერძი ახლოს მივიდა ლანდთან. სახეში ჩახედა თუ არა, აბრია უჯრაული შეიცნო.

„ხომ ხედავ, ძია აბრიავ, თუ რა ეშმაკები ყოფილან ჩვენი მექანიზმები?“

„ჯერ ქადილი ნაადრევია, ბიჭავ, მუხის ფესვებს [illegible] რამ თქვენ ის ნახეთ, რა დღე გაყაროთ ქვაკაცას [illegible]

„ფიქრი არ არის, ქვაკაცასაც მოვუვლით როგორმე, ძია აბრიავ“, მიაძახა კოლა სოკოლოვმა.

დიდხანს იდგა მამუკას უბანში მარტოხელა ლანდი და სოფლისაკენ მიმავალი ახალგაზრდების სიმღერას გულამრეზილი უგდებდა ყურს. . . . . .

ჰიდროგენის თეორემა

ვახტანგ კორინთელი დილაადრიან აივანზე გამოსულიყო. თვალნათლივ ხედავდა გაზაფხულის პირისჩენას ატმების კვირტებზე.

ფეთრიან მსხალზე შოშიები შემომსხდარიყვნენ, გიშრის კრიალოსნებს დაეხუნძლათ შტოები, კორინთელი ყურს უგდებდა მათს ერთობლივ ყღურტულს.

ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა მაცქერალს, თითქოს საქმიან საუბარს ეწევიან ისინიო. ერთმანეთის გასწვრივ დამსხდარნი შეყღურტულებდნენ ურთიერთს, თითქოს ახალი ცხოვრების გამო თათბირობენო.

ზოგნი დანდობილად აიჭრებოდნენ ჰაერში, კუმარას გაჰკრავდნენ, ისევ მობრუნდებოდნენ უკან და ყივოდნენ: ჩვენც მოვედით, ჩვენც აქა ვართო.

და უხაროდათ, უხაროდათ, რომ მათ საფირონის ცა დაუბვდათ, აყვავებული ტყემლები და ნუშები, ალუბლის კარვები, გაზაფხულის მიერ ალაზნის ველზე დადგმულნი.

მაია მოფაცურდა: დიასახლისი საუზმეზე გთხოვსო.

კორინთელი განაგრძობდა შოშიების ჭვრეტას, უსმენდა მათს გახარებულ ყრიამულს, აცქერდებოდა ყორნის ბოლოსებრ ელვარე მათს ნაკრტენს, წერტილებით დაწინწკლულს.

პატრონის ფერხთით დაცუცქულიყო შავი, კუდმოკვეთილი დობერმან-პინჩერი. რიკულების ჭუჭრუტანიდან გასცქეროდა ძალლი ბალში მოჩალიჩე ხბორებს.

ეზოდან მანქანის სიგნალი მოისმა, აყეფდა ძალლი, კობისთაესკენ ყურებდაცქვეტილი გაემართა.

ბატონკაცურ, გრძელსა და განიერ კიბეზე ამოდიოდა კოლმეურნეობის ბრიგადირი გოდერძი ელანიძე.

კორინთელს შეეშინდა სტუმარს არ ეცესო მყეფარი, ამიტომაც უკან გასდია მას.

„ახილ, დაწექ", უბრძანა ძაღლს.

კიდევ ერთხელ შეჰყეფა ახილმა და რა შემოესმა პატრონს ბრძანება, ანაზდად დაწვა აგურის კიბის თავზე, თათები წინ გაიშვირა და ზედ დასდო თავისი ჭკვიანი თავი.

გაუნძრევლად იწვა იგი ასე და კიბეზე ამომავალ სტუმარს მომნუსხველი თვალებით მიშტერებოდა.

გოდერძი ნელ-ნელა ამოდიოდა საფეხურზე და გაოცებული შესცქეროდა ამ ძაღლის ჭკვიან თავს, სელაპის ტყავივით ელვარე ბეწვს.

როგორც თვალის უპეებსა და ყვრიმალის არეში, ისე წინა თათებზედაც ყავისფერი წინწკლები ჰქონდა შეფრქვეული. გაუნძრევლად იწვა იგი, როგორც შავი ბაზალტის ქანდაკება, კიბისთავის სამკაულად დადგმული.

კორინთელმა კიდევ ერთხელ შერისხა ახილი და სამიოდე საფეხური ძირს ჩავიდა სტუმრის გასამხნევებლად.

გოდერძი თავაზიანად მიესალმა პროფესორს და მოახსენა:

„რაიკომის მდივანმა გთხოვათ, თუ ჯანმრთელობა ხელს გიწყობთ, ეგების ნაკვეთზე მობრძანდეთო".

„კარგია, რომ მოხვედი, ჩემო გოდერძი, ისედაც ვაპირებდი წამოსვლას, სადა ბრძანდება ამხანაგი ციხისთავი ახლა?"

„პატარა თათბირი აქვს კოლმეურნეობის კანტორაში. ასე რომ შეგიძლიათ თუნდაც ერთი საათის შემდეგ წამობრძანდეთ; მე ახლა წავალ და, თუ გნებავთ, დანიშნულ დროზე გეახლებით".

„დამიცადე, ჩემო გოდერძი, მცირე ხანს. მე გადავიცვამ და, მოდი, წავისაუზმოთ ერთად".

„გმადლობთ, ნასაუზმევი გახლავართ, ამხანაგო პროფესორო".

კორინთელმა მკლავში ხელი წაავლო ყმაწვილს და დარბაზისკენ წაიყვანა.

ახილი წინ გაუძღვა სტუმარსა და მასპინძელს.

ტალანში უამრავი ჩემოდანი ელაგა ურთიერთზე ზედახორად დაყრილი, გოდერძის ყურადღება მიიქცია პრიალა ტყავის ჩემოდნებმა, მათზე მიკრულმა სასტუმროების ფერად-ფერადმა ეტიკეტებმა და უცხოური საბაჟოების დამღებმა.

ახლადმოსულს ტყავისა და პარაფინის სუნი ეცა.

გოდერძის ბევრი რამ ჰქონდა განაგონი ვაჩნაძიანთ მედიკოს

სილამაზის გამო, თვალი შეაელო შავ კაბაში გამოწყობილ ფერმკრთალ ქალს, რომელსაც ოდნავ შესამჩნევი ჰაღარა ჰქონდა თმაში გარეული, ხოლო თვალის უპეების გარშემო უმცირესი ნაოჭები ემჩნეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედიკო თავაზიანად შეეგება სტუმარს, თავის გრძელი, თეთრი ხელი გამოუწოდა მას. სუნამოს გამაბრუებელი სურნელება ძეგრძნო ყმაწვილმა, მორცხვობისაგან ნაბიჯი აერია და ვრცელი მაგიდის წინ მდგარ სკამის ზურგს მოსჭიდა ხელი.

გოდერძიმ, თვალი შეაელო გენერალ ვაჩნაძისეულ ზალას. დარბაზის შუა გულში სპილოსფეხებიანი მაგიდა იდგა კაკლისა, - მაღალზურგიანი სკამებით გარსშემოწყობილი.

ძველებური, სპილენძის კანდელაბრიანი ლუსტრა ეკიდა ჭერზე, ბუზების სკორეთი საკმაოდ შელანძღული. ერთ კუთხეში ძველმოდური ფიზჰარმონია იდგა, მეორეში ფერადი ფაიფურის თეფშებით დატვირთული მარმარილოს ზედადგარიანი სერვანტი.

კედლებზე აღარა სჩანდნენ მეფის არმიის წვეროსანი გენერლები, მხოლოდ გრიგოლ ორბელიანი და ალექსანდრე ჭავჭავაძე თავიანთი ეპოლეტებითა და მედლებითურთ შერჩენოდნენ ამ დარბაზს.

მელანქოლიური კედლის საათი კუთხეში იდგა, გრძელი წოწოლა პენდელი რიტმულად ქანაობდა დამტვრეული შუშის ქვეშ. ერთ-ერთი კედლის ნახევარი ძველმოდურ ფორტეპიანოს დაეკავებინა, ხოლო მეორე — ბუფეტის კარადას, რომელიც ბალდახინს უფრო წააგავდა, ვიდრე ბუფეტს.

იქვე ეკიდნენ გენერლისეული ჯიხვის ყანწები, ხოლო მათ ქვემოთ ნაირ-ნაირი ჭინჭილები და აზარფეშები, ძველებურ ტახტების თავებზე თექური ნოხები.

შავი ბაზალტის უზარმაზარი ბუხარიც არ გამოცვლილიყო,— ამ გარემოში იგი ისე მოჩანდა, როგორც გარდასული დროის სამთქნარებლად დაფჩენილი ხახა.

ამ დარბაზში მხოლოდ ის იყო ახალი, რომ მის კედელზე ლენინის ფოტო-პორტრეტი ეკიდა.

მედეამ ღიმილით უთხრა სტუმარს:

„ამას წინათ ვახტანგი მიამბობდა თქვენს გამო, რევოლვერის ერთი გასროლით ცხვარიჭამია ორბი მოჰკლაო. პაპათქვენი როგორაა, ჰა? მამაჩემს ძალიან უყვარდა მიქელა. ბედშავს თვალის სინათლე ხომ არ დაუბრუნდა?“

არაო, მიუგო გოდერძიმ და სკამის კიდეზე ჩამოჯდა.

ვახტანგ კორინთელი ხედავდა: ერთობ მორცხვობდა ყმაწვილი,

ჭამა არ ინდომა. ღვინის ჭიქა ხელში აიღო, გაგიმარჯოთო, წაიდუდუნა, ტუჩი მიაკარა ჭიქას და ისევ დადგა სუფრაზე, წამოდგომას ლამობდა და ველარ გადაეწყვიტა.

კორინთელს უნდოდა როგორმე უხერხულობიდან გამოეყვანა სტუმარი, ამიტომაც უთხრა:

„შენს მოსვლამდის შოშიებს ვაკვირდებოდი, ეულს, ეფერებდი საამურ ეღურტულს, მათაც თათბირი ჰქონდათ თავიანთი საარსებო ამბების გამო. ნამდვილად, ნამდვილად, გოდერძი“.

მედეას გაეცინა, ვახტანგმა კი განაგრძო:

„მერწმუნეთ, მათ ისევე კარგად ესმის ერთიერთისა, როგორც ჩვენ. ბუნებას ყველაფერი უდიდესი მიზანშეწონილობით აქვს გაზომილი, ყოველი უმცირესი ბგერაც. ადამიანური მეტყველებაც ხომ ბგერებისა და ასოების საშუალებით მეღავნდება!“

გოდერძის უყვარდა პროფესორის ნაუბრისათვის ყურისგდება, სკამი მაგიდისაკენ მისწია და ორივე იდაყვით სუფრაზე დაეყრდნო.

„ამ შოშიებმა ერთი ამბავი გამახსენეს,— სთქვა კორინთელმა.— ერთხელ ტყის ქათმებზე ვნადირობდი მთაში. დეკაში გავლილს უცნაური წივილი შემომესმა. დაიწივლებდა რაღაცა, კვლავ გაინაბებოდა, ისევ დაიწივლებდა, დადუმდებოდა. მივყევი ამ ხმას. დიდხანს ვიბორიალე და თავზე წავადექი როჭოს მართვეს, ნახევრად შიშველსა და უბუმბულოს, მიწაზე მჯდომარეს. შორიახლოდან შიშველ მიწაზე ამოსულ რომელიღაც ჭრელჭრელა ყვავილსა ჰგავდა იგი.

თავკისერი ჯერაც მოტვლეპილი ჰქონდა, მხოლოდ მხრებზე ესხა მცირეოდენი ნაკრტენი. მშვიდად იჯდა და წივოდა. ეს ხმა არც დაშინებულის ძახილს მიაგავდა, არც მოშიებულისა ან მწყურვალის ჩივილს.

ისე აუღელვებლად, მონოტონურად წივოდა, აშკარა იყო, ხმას აძლევდა ვილაცას,— აქა ვარო, ამშვიდებდა. შემომხედა თავისი ფეტვისფერი თვალებით, თითქოს მეკითხებოდა: ვინა ხარო?

მე არც ისე დიდი მონადირე ვარ, მაგრამ საკმაოდ მინადირნია; მიუხედავად ამისა, ერთი ცოდვა მაინც არ მიმიძღვის: არასოდეს მიხლია ხელი ფრინველთა მართვეებისთვის, თვით მგლის ბოკვერებისა და დათვის ბელებისათვისაც.

რაც შეეხება მელიას, მით უმეტეს მელის ლეკვებს, არასოდეს ვხოცავდი, რადგან იგი არც ისე მავნებელია, როგორც ბევრსა ჰგონია; პირიქით, მელა დიდი მოამაგეა ჩვენი ყანებისა, იგი მუსრს ავლებს მინდვრის თაგვებს.

არც იმ როჭოს ბარტყის შეპყრობა განმიზრახავს იმ დღეს,

ამჯერად მხოლოდ ეს მინდოდა გამეგო, თუ როგორი რეფლექსი ექნებოდა, ესე იგი, რას მოიმოქმედებდა, თუ კი ხელს ვახლებდი?"

მაიამ ახალი კერძი მიართვა სტუმარს, შეჭამეო, შვილო, წასჩურჩულა, გოდერძიმ ხმადაბლა მიუგო: ნასაუზმევი ვარო.

„ჩოქვით მივედი ახლოს, სულ ახლოს, — განაგრძო ... თელმა, — შევცქეროდით ორივენი ერთმანეთს. ისე მშვიდად, აუმღვრეველად მიყურებდა როჭოს მართვე, სჩანდა, მას ჯერ არაფერი ჰქონდა განაგონი ადამიანის გულბოროტობის შესახებ. კიდევ წავიწიე მისკენ, არ განძრეულა ბარტყი.

უნაკრტენობისა და სიტიტვლის მიუხედავად ისეთი მშვენიერი იყო ეს პატარა, უსუსური არსება, ანაზდად მომინდა მისი მოფერება.

ნაზად, ნაზად გადავუსვი მოტვლეპილ თავზე ხელი. ისევ შემომხედა და განზე მიიდრიკა თავი. როცა კისერი გამართა, ოდნავ ზეწამოიწია და დამაკვირდა.

ასე ვისხედით ორივენი დეკაში მშვიდობიანად, თითქოს კაცსა და ტყიურს შორის ოდითგანვე არსებული მტრობა აღკვეთილიო. ხელახლა მოვეფერე და, როგორც კი ხელში აყვანა დავუპირე, ისეთი ამაზრზენი წივილი ამოუშვა ამ საბრალომ, როგორიც ბავშვს აღმოხდება ხოლმე გველის დანახვაზე.

მე სახტად დავრჩი და ოდნავ უკან დავიხიე.

ახლა მინდოდა გამეგო, ხელში აყვანის ცდას ისევე თუ მიეჩვეოდა, როგორც წელან თავზე მოფერებას. ისე მივედი, ჯერ ხელი გადავუსვი თავზე, მერმე ფრთხილად ხელი წავავლე მხრების არეში და მიწიდან მოცილება დავუპირე თუ არა, ხელახლა დაიწივლა, ახლა უფრო გამძაფრებულად, და ამ სასოწარკვეთილ ძახილზე დედა როჭო მოვარდა.

უცნაური შხუილით გააპო მან ჰაერი და ისეთი ყოფით შემოიჭრა დეკაში, ასე მეგონა არწივი დამესხა-მეთქი თავს.

წამსვე გავეცალე ორთაეეს და შორიახლოს გავინაბე ქვერში. სმენადქცეული ვიჯექი მიწაზე. მათი საუბარი აშკარად მესმოდა: დედა როჭო ამშვიდებდა თავის პატარას: ნუ გეშინია, აწ აღარ მოვაო ის ავი კაცი!

ჩემი ნათხრობის იგავი ასეთია: მიწიდან მოწყვეტა მტკივნეული რამეა.

ყვავი რომ ყვავია, მისი ძახილიც მრავლისმეტყველია და გასაგები. ალბათ შენც არაერთხელ გინახავს ალაზანზე: ვერხვზე ზის მარტოხელა ყვავი, ქარი აფორიაქებს შტოს, ქანაობს ზედმჯდარი

და მის ხმაში ცნაურდება ვედრება საზამთროდ მოღუშული ბუნების წინაშე: დედა-ბუნებავ, შიმშილით ნუ მომკლავო!

ქართულ ენას მრავალთა შორის ერთი გენიოსური სიტყვა აქვს: „პირუტყვი". ამ სიტყვის ბადალი არც ერთ ჩემთვის ცნობილ ენას არ მოეპოვება. როგორი თავაზიანობაა არამეტყველ ცხოველთა მიმართ! აქ სიმუნჯე კი არ არის ნაგულისხმევი, არამედ უსიტყვო პირი.

ამ ჩემ ძაღლს, ახილს რომ უყურებთ, ისეთი გონიერია, ხანდახან ასე მგონია, სადაცაა ენას აიდგამს-მეთქი. როცა იგი ჩემთანაა, მარტოობას არა ვგრძნობ. ხანდახან ვესაუბრები კიდევაც".

გოდერძიმ შეხედა პატრონის მუხლებთან დაცუცქულ ახილს და სთქვა:

ჯერ ასეთი ძაღლი არ მინახავსო.

„ახილი პარიზის პრეფექტმა აჩუქა მამიდაჩემს ეფემიას, — შენიშნა მედეამ.— ოქროს სამი დიდი მედალი აქვს მიღებული მას, მისი წინაპრებიც მედალოსნებია".

„რა ჯიშისაა?" იკითხა გოდერძიმ.

„დობერმან-პინჩერი", მიუგო ისევ მედეამ.

„ხომ არ ნადირობს?" შეეკითხა გოდერძი.

„არა, ეს პოლიციის ძაღლია, მეძებარი. მას თავის დროზე მრავალი დიდი დამნაშავე ჰყავს აღმოჩენილი. პარიზში ბანდიტებმა მოჰკლეს ცნობილი ქიმიკოსი პროფესორი შერპანტიე, გაძარცვეს და ვანაში ჩამალეს დაკუწული ცხედარი.

პროფესორი მარტოხელა კაცი იყო. დილით ადრე მოსულმა მერძევემ აცნობა ეს ამბავი პოლიციას. შერპანტიეს ერთი ელზასელი მსახური ჰყავდა, აღარც იგი სჩანდა.

მოიყვანეს ახილი, ამ ელზასელის შარვალი დააყნოსვინეს, მერმე ირბინა და ისუნსულა ახილმა, ქალაქგარეთ ერთ ძველ გარაჟში მიაგნო ბანდიტების ბუნაგს. ელზასელთან ერთად სხვა მკვლელებიც შეიპყრეს.

ცნობილია, რომ ბურჟუაზიულ პრესას სენსაციები უყვარს. ასე რომ ჩვენს ახილს წარამარა ხატავდნენ გაზეთებსა და ჟურნალებში".

გოდერძიმ კვლავ შეხედა ახილს, რომელიც თვალს არ აშორებდა სტუმარს. შენიშნა: ძაღლს გველისებური თვალები ჰქონდა, შავი, ციმციმა და ცივი, ხოლო ხვლიკისებრ წამახული დრუნჩი.

„მე ასე მგონია,— განაგრძო კორინთელმა,— ჩვენ სათანადოდ არ ვუკვირდებით ბუნებას. არა მარტო ჩვენთვის შორეულ მოვლენებს, არამედ ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში მომხდარ ამბებშიაც

მრავალი საკვირველებაა: თუნდაც მამლის ყივილი რომ აგერეთ, უცნაურია, როგორ გრძნობს ეგ არც ისე ჭკვიანად ცნობილი ფრინველი დღე-ღამის მოქცევას, ან ცხვარი, ეს საკმაოდ გონებაჩლუნგი პირუტყვი ავდრის მოახლოებას?

განა საოცარი არაა ისიც, რომ მზესუმზირა მზეს მიაქცევს ყოველთვის პირს, ანდა ხვიარები, ავრეხები და პარკოსნები მარჯვნიდან მარცხნივ რომ ეხვევიან ჭიგოებს?

აკი ბუნებისათვის უცნობია ჩვენ მიერ მინიშნებული მარჯვენა და მარცხენა?

ალბათ შენც ხშირად შეგინიშნავს, გოდერძი: როცა სოფელში საქონელს დაკლავენ, მოვლენ ხარები, დაყნოსავენ იმ ადგილს, სადაც მათი თვისტომის სისხლი დაუქცევიათ, და მორთავენ გულის მომწყვლელ გოდებასა და ბღავილს".

„ამას არაერთხელ დავკვირვებივარ მეცა", ჩაურთო სიტყვა გოდერძიმ, დადუმდა და ისევ სასმენად მოემზადა.

„ხომ დიდ წარმატებას მიაღწია ჩვენს ეპოქაში კაცობრიობამ? მარტო ელექტროლიტი, რადიოს და ატომური ენერგიის გამოგონება რადა ღირს.

მიუხედავად ამისა, ბუნებაში კიდევაა მრავალზე მრავალი მიუღწეველი რამ, რომელთა ამოკითხვას მილლიონ წელსაც ვერ შესძლებს ადამიანი. როცა ნათელი მოეფინება ყველაფერს, მაშინ ბუნება დაემსგავსება ჩვენ მიერ მრავალგზის გადაკითხულ წიგნს".

„ვახტანგ, შენ საუბრით გაერთე და სტუმარი დაგავიწყდა", სთქვა მედიკომ და ყმაწვილს ახალი კერძი მიაწოდა.

„ჰოდ, ბოდიში, მიირთვი რამე, გოდერძი. ღვინო მაინც დალიე", მიმართა კორინთელმა და ჭიქა ძალით დააცლევინა.

„თქვენი საუბარი ყოველგვარ ღვინოს მირჩევნია, ამხანაგო პროფესორო!" წაიდუდუნა გოდერძიმ მორცხვად.

„ჩემს ახალგაზრდობაში ხანგრძლივი მგზავრობისა და ნადირობის დროს მრავალი დაკვირვება მომიხდენია ცხოველებისა და ფრინველების მიმართ, ხშირად ისეთ ამბებს წავწყდომივარ, რაც არც დარვინსა და არც მენდელეევს არ აღუნიშნავთ. კაცობაში შესული ისე გამიტაცა მცენარეთა ცხოვრებამ, ამ საქმის შესწავლას ათეული წლები შევწირე.

ერთმა ჭკვიანმა კაცმა . ცხოველებსა და ფრინველებს „ჩვენი უმცროსი ლები და ძმები" უწოდა. მე მგონია, მცენარეები უფრო უცნაურნი და საყვარელნი არიან, საყვარელნი თავიანთი უმწეობის გამო,— მათ ხომ უბრალო ძახილითაც არ შეუძლიათ გვამცნონ, როცა მათ წყურიათ, შიათ, ან ცივათ... არ გამამხილო და ერთ ამ-

ბავსაც გეტყვი, გოდერძი: მგზავრობის დროს როცა ცუდად მოვლილ ბაღს, ვენახს ან ყანას ვხედავ, გუნება მიფუჭდება.

ხშირად გავაჩერებ ხოლმე გზის პირად მანქანას, გამოვიხმობ მათ პატრონს, საყვედურსაც ვაკადრებ ხოლმე.

რიგიანად ჩაცმულსა და მანქანით გზადმიმავალს [illegible], ვინმე დიდი კაცი ვგონივართ. თავმოდრეკილად [illegible]

ამას წინათ ერთი მათგანი ჩამაცივდა: გინდა თუ არა მითხარი, ვინა ბრძანდებიო? გეტყობა, მთავრობის კაცი ხარ, შენ შემობრძანდი, დაისვენე და ღვინო გაგვისინჯეო.

ჩვენ ყველანი მთავრობის კაცები ვართ, შენ ის დაიხსომე, რაც გითხარი-მეთქი, ვუპასუხე და გავეცალე.

დიდხანს იდგა იგი გაოგნებული.

ამჯერად უბრალო, შემთხვევითი შეგონება როდი კმარა, რომელიმე დიდმა და გავლენიანმა მწერალმა უნდა შეასმინოს ჩვენს ხალხს, რათა ცხოველებსა და მცენარეებს ისეთივე გულისყურით ეპყრობოდეთ, როგორც ადამიანს.

ძველ დროში ხარებს, ძროხებს, თხებს, მუხებსა და ცაცხვებს ღვთაებრიობის შარავანდით მოსავდნენ, და თაყვანსა სცემდნენ: შენც გაგიგონია, ალბათ, საქართველოს ყოველ კუთხეში იყო ხატის ტყეები.

თუნდაც ბერმუხისა და გვილეთის ტევრები რომ ავიღოთ, საღვთო მუხები და სხვა — ამას ყოველივეს, რა თქმა უნდა, ეკონომიური საფანელი ჰქონდა.

ჩვენი სოციალისტური საზოგადოებისათვის ასეთი რელიგიური კულტი უკვე ზედმეტია. უნდა ვეცადოთ უფრო მაღალი შეგნების ხარისხზე ავიყვანოთ ჩვენი ხალხის ცნობიერება"...

კედლის საათმა დაიყიყარუნა.

მედეამ ქმარს შეახსენა: უკვე ათი საათიაო.

კორინთელი წამოდგა.

მანდ იწექიო, უბრძანა ახილს. მერმე გოდერძის მიუბრუნდა:

„შენ მანქანაში ჩაჯექ, გოდერძი, მე ჩავიცვამ და ახლავე მოვალ".

როცა გოდერძი გავიდა, მაიამ სთქვა:

„კარგი ბიჭია ელანიძიანთ გოდერძი, მაგრამ ერთი უბედობა სჭირს"...

„რა უბედობა?" ჰკითხა მედეამ.

„მას ნათია თარალაშვილის ქალი უყვარს, როგორც ამბობენ, გოგოც თანაუგრძნობს, მაგრამ მშობლები არ ანებებენ".

„რას უწუნებენ, ნეტავ?" იკითხა კორინთელმა.

„აჰ, ჩემო ბატონო, აბა მაგ ბედშავს ქალს ვინ გაატანს, შენ უსინათლო პაპა და გიჟი მამიდა ჰყავს“.

„მერმე რა მოხდა?“

„ეჰ, ჩემო ბატონო, არ იცით განა, გიჟის შინ ყოფნა [illegible] მიცვალებული ესვენოს სახლში“, ამბობდა მაია.

ბიბლიოთეკა

კორინთელმა როგორც კი წასვლა დააპირა, ტფილად ჩაიცვიო, შეევედრა ცოლი. როგორც იქნა, დაითანხმა და მაკინტოში შეაჩეჩა ხელში. კიბის თავთან კორინთელს ახილი წაებლანდა ფეხებში. წკმუტუნი მორთო, სელაპისებრ იკლაკნებოდა მისი მოქნილი, დრეკადი ტანი.

„ახილ, შენ შინ დარჩები“, უბრძანა პატრონმა.

*

ავტომანქანა ნელა მიყვებოდა ტალახიან გზას.

კორინთელი მდუმარედ აკვირდებოდა უგემურად აგებულ, ძველებურ ქოხმახებს, ცუდად მოვლილ ბაღ-ბოსტნებს, ადამიანის სამყოფელის გასწვრივ მოწყობილ სანეხვეებს, ულაზათოდ შეხოხოლებულ ყორეებს, წყაროსთან მოზიმზიმე გაძვალტყავებულ, უჯიშო საქონელს. ბოლოს გოდერძის მიუბრუნდა და უთხრა:

„მე შემოვლილი მაქვს ამ მხარის თითქმის ყოველი კუნჭული; სამწუხაროდ, უნდა გამოგიტყდე, ჩემო გოდერძი, ასეთი ღარიბი კოლმეურნეობა მე ჯერ არსად მინახავს. ჩვენს ეპოქაში სიღარიბეს არავითარი გამართლება არა აქვს. მხოლოდ უქნარაა ღარიბი.

აბა რასა ჰგავს თუნდაც ეს: ამოდენა სოფელს ერთადერთი წყარო აქვს, რა გაჭირდა ორიოდე ათასი მეტრი მილის ტფილისიდან ჩამოტანა.

ამ საქმეს დაუყოვნებლივ უნდა გაკეთება, მალე ერთ დიდ სამუშაოს მოვათავებ. მილებს ჩამოვიტან და მე და შენ გავიყვანოთ წყალი. სხვა გეგმებიც გვაქვს ციხისთავსა და მე, გველეთზე ჰესი უნდა მოვაწყოთ, ამ ჰესიდან სინათლე და წყალი უხვად ექნება სოფელს“.

„ეს საშვილიშვილო საქმე იქნება, ამხანაგო პროფესორო, მე და ჩემი ბრიგადა მზად დაგიხვდებით“.

„იცი, ჩემო გოდერძი, სამშობლოს უმცირესი კუნჭულის სამსახური ეს იგივეა, მთელს ქვეყანას შეაწიო ძალა“.

„ისაა, ამხანაგო პროფესორო, სამწუხარო, რომ თქვენ შორსა ხართ ჩვენგან, სადა გცალიათ ჩვენთვის. მე წარმოდგენილი მაქვს, თქვენი მუშაობით ალბათ ისე დატვირთული ხართ, ათასში ერთხელ, მთავრობის მითითებით თუ გვეწვევით ხოლმე“.

„რატომ გგონია, გოდერძი, ასე შორს იყოს აქედან ტფილისი, სულ სამიოდე საათის გზაა. მალე ალბათ მანქანას მომცემენ. მე ისე მიყვარს ბერმუხა, აქ გამიტარებია ჩემი ახალგაზრდობის უბედნიერესი წუთები, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ვოცნებობდი, ბერმუხაში დავსახლდები-მეთქი.

ეჰ, დავიღალე, ჩემო გოდერძი, სხვის ქვეყნებში ხეტიალით, სხვათა ქალაქებში ცხოვრებით, მრავალსართულიანი სახლების კიბეებმა თავი მომაბეზრეს. შენ ხომ იცი, ევროპასა და ამერიკაში რაც უფრო ღარიბია ადამიანი, მით უფრო მაღალ სართულებზე უხდება მას ცხოვრება. ალბათ იმ სართულებმა გამოიწვიეს ეს ჩემი წნევაც.

მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე იმას ვოცნებობდი, ნეტავ ისეთ სახლში მაცხოვრა, რომელსაც სხვა სართული ზედ არ ედგას, ტრამვაების რიხინ-რიხინისა და ავტოების საყვირის ნაცვლად მამლის ყივილი და ძაღლის ყეფა მესმოდეს-მეთქი“.

„თუ აგრეა, მოდი დასახლდით, ამხანაგო პროფესორო, ჩვენს ბერმუხაში!“ თითქმის ვედრების კილოთი უთხრა გოდერძიმ პროფესორს.

კორინთელს მოეწონა ასეთი უშუალობა. პატარა გორაკისაკენ მიახედა, ღიმილით ჰკითხა:

„იმ ზეგანს რა ჰქვია, ბუ იცი?“

„გველეთის ზეგანი“, მიუგო გოდერძიმ.

„ძველი კოშკის ნანგრევი რომ მოჩანს?“

„დიახ, გველეთისა“.

„ჰოდა, თუ მოვიცალე, მანდ პატარა ქოხი უნდა დავდგა, ან არადა ფინურ სახლს ჩამოვიტან. ჭილობისოდენა ბაღს მოვიწყობ, ასიოდე ვაზს გავახარებ, არდადეგებზე მაინც ჩამოვალ, ხეებსა და ვაზებს მოვუვლი, ალაზანზე ცოტას წავინადირებ. მალე სიბერე მომაკითხავს ალბათ, სულ მანდ დავსახლდები, რათა მშობლიურ მიწაზე მშვიდად დავუხვდე სიკვდილს.

მე ძველი მესხი ვარ, მაგრამ კახეთში დავიბადე და, ხომ იცი: ჩიტი სადაც გაიზრდება, მისი ბაღდადიც იქ არისო“.

„ეს ჩინებული აზრია, ამხანაგო პროფესორო, ჩვენი სოფლისთვის საამაყო იქნება თქვენი აქ დაფუძნება“.

მცირე ხანს სდუმდა ორივე და ბოლოს კორინთელმა ჰკითხა:

„ნადირობა თუ გიყვარს, გოდერძი?“

„რატომ არა, უწინ ბევრს ვნადირობდი, რაც ბრიგადირად ამირჩიეს, სანადიროდ სადღა მცალია: ჩვენი კოლმეურნეობა, როგორც ხედავთ, ძლიერ ჩამორჩენილია და... მაგრამ თქვენ თუ ჩემთან

ნადირობას იკადრებთ, სიამოვნებით წამოგყვებით. კარგი ადგილებიც მაქვს მინიშნებული“.

„როგორ თუ ვიკადრებ, მე ახალგაზრდობის მეგობარი ვარ, გოდერძი“.

გოდერძი მცირე ხანს სდუმდა და მერმე უთხრა პროფესორს:

„გარდა ამისა, მე შრომის სკოლაში მასწავლეს დურგლობა, ახლის აგებაში წამოგეშველებით კიდევაც“.

„რას ამბობ, შენ როგორ გაგრჯი ასეთი რამისთვის. ცოტა მეც ვიცი ეს ხელობა“.

რად დაგჭირვებიათო დურგლობის შესწავლა? — ახლა ეს უნდოდა გაეგო გოდერძის.

„სტუდენტობის დროს, პარიზში, სიტროენის ავტოქარხნის საღურგლო ცეხში ვმუშაობდი, დურგლობა იქ ვისწავლე“.

„როგორ, ავტოქარხანაში, უბრალო მუშად?“

კორინთელს მწარედ გაეცინა:

„აბა დირექტორობას ვინ მომაშვებდა? ეჰ, ჩემო გოდერძი, მე ასეთ ბედნიერ ეპოქაში როდი მისწავლია, როცა ჩვენი მთავრობა სტიპენდიებს აძლევს ახალ თაობას, ოღონდ ისწავლოს. მრავალ წელს დავხეტიალობდი სხვათა ქვეყნებში, მამა მომიკვდა, უსახსროდ დავრჩი, ხან გაზეთის გამომშვები ვიყავ, ხან კორექტორი, ხან ვდურგლობდი, ხან ვზეინკლობდი.

ვინ იყო ჩვენი გამკითხავი. შიმშილი და სიღატაკე იყო ჩვენი მუდმივი სტუმარი. წელან რამდენს მემუდარა ცოლი, პალტო ჩაიცვიო. პალტო ან არ გამაჩნდა, ან ლომბარდში მქონდა დაგირავებული, ამიტომაც გადავეჩვიე მის ტარებას“.

გოდერძიმ მალულად შეათვალიერა კორინთელის შეტლალებული საფეთქლები, მძაფრი ნაოჭები ტუჩ-პირისა და ყვრიმალის არეში. სიბრალულმა შესძრა ყმაწვილის გული და გაიფიქრა: ალბათ ჭაღარა მიტომაც ასე ადრე შეპარვიაო.

„როგორც სჩანს, იქ მძიმე ცხოვრება გქონიათ“.

„მიტომაც შემძულდა ბურჟუაზიული დასავლეთი, ოქროს მამონის სამფლობელო.

უკანასკნელად, როცა ჩვენმა ხელისუფლებამ ისევ იქ გამგზავნა, გამოტეხილად გითხრა, უხალისოდ მივდიოდი, მაგრამ რა მექნა, მთავრობის დავალებანი უნდა შემესრულებინა.

მე დავსნეულდი იმ ქვეყანაში, ახლა ჩემი ნატვრა ესაა — ჩვენი ქვეყნის სილამაზით დავტკბე, ჩვენი მიწის სუნით გავძღე, ჩვენი ჩქერალების ჩხრიალი, ჩვენი ტყეების დუმილი, ჩვენი ვენახების ბიბინი თუ მომარჩენს“.

კიდევ გაიხედა კორინთელმა გველეთის ზეგნისკენ. დიდხანს უთვალთვალა მზით გაბრწყინებულ პირამიდისებრ აზიდულ გორაკს და სთქვა:

„მშვენიერია ეს ცხოვრება, გოდერძი, მხოლოდ მთავარი ისაა, ადამიანმა ისწავლოს, თუ როგორ იცხოვროს კარგად. ულამაზესი ბედნიერებათაგანი, რაც კი განგებას მოუნიჭებია ადამიანისთვის, ეს არის შრომა, ჩემო გოდერძი“.

*

ცხრამუხის ზეგანზე მისულთ გული გაუნათდათ. თედო თარალაშვილი და ვახტანგ კორინთელი ახალგაზრდული ხალისით ავიდნენ დამრეცილ ბილიკებზე.

რა შეედრება იმ სიხარულს, რომელსაც განიცდის კარგი მეურნე, როცა იგი სათესად ან სარგავად გამზადებულ მოხნულ, მოფარცხულ, გაფხვიერებულ ნიადაგს თვალს დაადგამს.

მიწას გახსნილი აქვს ნაყოფიერი საშო, ნებიერად გალურსულა იგი, ბუნების მაცოცხლებელი დვრიტა უკვე სთვლემს იდუმალებით მოცულ მის წიაღში.

სულ მცირე ხანი, დაიბუღრავებს მზე მის ზედაპირზე და აღმოცენდება ხესასწაული, განა თუ ერთი, მრავალი ათასი, კაცთა გულის გასახარებლად...

„კიდევ ერთი გენიოსური სიტყვა მოეპოვება ქართულ ენას,— ეუბნება ვახტანგ კორინთელი მის გვერდით მიმავალ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რაიკომის მდივანსა და გოდერძის,— მე მგონია, ეს სიტყვა სავსებით უბადლოა, ეს არის „დედამიწა“. იგი მართლაც უხვკალთიანი დედაა ჩვენი, რომელსაც ოქროები აქვს შემონახული თავის უბეებში, მაგრამ არა უქნართათვის, არამედ გამრჯელ შვილთათვის“.

ახლადმოსულნი შედგნენ.

„ამონალი მოიტანეს?“ იკითხა ციხისთავმა.

„მოიტანეს“, მიუგო თედომ.

„კარგი ვქენით, ეს საქმე საგაისოდ რომ არ გადავდეთ,— სთქვა რაიკომის მდივანმა,— ძლიერ შევწუხდი, როცა ჩვენი პირველი იერიშები უშედეგო აღმოჩნდა“.

„ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აქ პრესტიჟის საქმეც იყო,— სთქვა თედომ,— დაგვცინებდნენ ბებრები: ბოლშევიკებმა ცხრამუხის ზეგანი ვერ აიღესო“.

ციხისთავმა სთქვა:

„ჯერ სადა ვართ, კიდევ რამდენი ათასი ჰექტარი მოგვეპოვება ამ რაიონში, ზოგი ურწყულია, ზოგიც უნაყოფო ეწერი: თუ ირაციონალურ მეურნეობას მოვეკიდებით, ნამდვილ სამოთხედ ვაქცევთ ამ მხარეს. არა მარტო ცხრამუხა, გველეთის ზეგანიც უნდა ავეთვისოთ უახლოეს ხუთწლედში.

ჩვენი საზღვარგარეთელი მტრები ამტკიცებენ: ბუნების წიაღში დაცული სიმდიდრენი, ნავთის, ნახშირის, მინერალების საბადონი უკვე ექსპლუატირებულია და აღნუსხულნი, კაცობრიობის რიცხვობრივი ზრდა ხელოვნურად თუ არ შევანელეთ, ხალხთა მასები დაიმშევიანო.

ამიტომაც ჰქადაგებენ ისინი მუდმივი ომების გაჩაღებას, რათა „რჩეულნი“ გადარჩნენ და საკმარისი საზრდო ექნეთ კიდეც. ჩვენ კი პირიქით ვამტკიცებთ: მიწის წიაღში იმდენი სიმდიდრეა დაცული, თუ მექანიზაცია მოვიმარჯვეთ, გამრჯელ ადამიანებს საზრდო არასოდეს მოაკლდება“.

*

ცხრამუხის ზეგანი რამდენიმე უბნად დაჰყვეს. მთელი ნაკვეთი წინასწარ დაეღარათ ტრაქტორებს. სამივე ბრიგადა ამონალის ჩაყრას შეუდგა.

„ერთი ეს მიბრძანეთ, რა საჭიროა მაინცდამაინც ამონალი ამ შემთხვევაში?“ ხმადაბლა ეკითხებოდა გოდერძი კორინთელს.

„რიპპერმა ხომ ამოძირკვა ხეების ნაფესვარები, მაგრამ ლპობაში გადასულ ფესვებსაც, როგორც ყოველ ორგანიზმს, უამრავი ბაცილა, ნაირ-ნაირი მატლი უჩნდება. ეს ყოველივე საზიანოა ვენახის ფესვთა სისტემისათვის. ამონალის აფეთქებისაგან ეს პარაზიტები იღუპებიან. ეგეც რომ არ იყოს, როგორც მიწის ზედაფენა, ისე მისი წიაღი უამრავ ბაცილას შეიცავს.

გარდა ამისა, თვით ამონალი აფეთქების, დაშლის შემდეგ მცენარეთათვის გამოსადეგ ნივთიერებებს სტოვებს, ამ გზით აზოტის რაოდენობა მატულობს ნიადაგში, თანაც იგი ფოსფორული ელემენტების მოძრაობებას იწვევს“.

გოდერძიმ ორად გაჰყო თავისი ბრიგადა. მამაკაცების ნაწილი მგლისხევის გადალმა გაგზავნა, რადგან იქ ჯერაც არ იყო მოთავებული ზეგანიდან ამოძირკვული, ნაცეცხლარი მორებისა და ფესვების სოფელში გადაგზავნა.

ხოლო თავათ აიყოლია ნუნუ უჯრიანულისა და ნათია თარალაშვილის რგოლის ქალები და ამონალის აფეთქებას შეუდგნენ.

გოდერძიმ ბიკფორდის ზონარი აიღო, პირველი მივიდა ნაკვეთის თავთან, პატრუქს ცეცხლი წაუკიდა და ნელი ნაბიჯით განერიდა მას. ერთბაშად დაიგრიალა ამონალმა და გარს მოხვდარმა ხეებმა ეხო გამოსცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდერძი მერგოლურებს მიუბრუნდა და უთხრა:

„აბა ვინაა თქვენს შორის მამაცი, ვინ გაუჩენს ცეცხლს ბიკფორდის ზონარს?“

ქალები აფეთქებისაგან ისე შეკრთნენ, არავინ აპირებდა ბიკფორდის ზონარის ხელში აღებას.

გოდერძიმ ნათია თარალაშვილს შეხედა. ქალმა იგრძნო, რომ მას უცქეროდნენ, ლოყაზე ალმური წამოეძალა, დარცხვენილს ზემო ტუჩი შეუტოკდა.

„ნათია, აბა გამოდი, ბიკფორდის ზონარს მოუკიდე“, მიაძახა თარალაშვილის ქალს ბრიგადირმა.

ქალი ანაზდად გაწითლდა, თითქოს ფეხებში რაღაც გაებლანდაო, წაღმა ვერ წადგა ნაბიჯი.

„აბა ვინ მოუკიდებს ცეცხლს ბიკფორდის ზონარს?“ კიდევ იკითხა ბრიგადირმა.

ქალებს ნუნუ უჯირაული გამოეყო, იგიც გაწითლდა, რა შეიცნო იქ მდგარი მამაკაცების შემოხედვა.

„საშიში აქ არაფერია“, სთქვა აუმღვრევლად, ბიკფორდის ზონარს ხელი წაავლო, ცეცხლი წაუკიდა და ანთებულ პატრუქს აუჩქარებელი ნაბიჯით გაეცალა.

ამონალმა დაიგრიალა და გარს მოჯარული მთები ისევ აზანზარდნენ.

გოდერძი დანარჩენებსაც არ მოეშვა.

„აბა გამოდით, ქალებო, რამ დაგაშინათ? ხომ ხედავთ, მე და ნუნუს არაფერი დაგვშავებია“.

რაკი არავინ გამოჩნდა ამ საქმეში მშველელი, გოდერძი და ნუნუ დადიოდნენ, ბიკფორდის ზონარებს ცეცხლს უკიდებდნენ.

როცა ეს ამბავი მრავალგზის უხიფათოდ განმეორდა, ამ ორთა მაგალითს მიჰყვნენ ნათია თარალაშვილი, რუსიკო როსტიაშვილი, ზინა ბენაშვილი, თინა ბეწუკიშვილი, სხვანი და სხვანი.

ასე რომ მთელი საათის მანძილზე თავათ ქალები ახდენდნენ ამონალის აფეთქებას და ცხრამუხის ზეგანზე ერთობლივი გრიალი ისმოდა.

ხანშიშესულ'ი კოლმეურნენი ამ ამბისაგან მაინცდამაინც აღტაცებულნი არ იყვნენ, ზოგ მათგანს არა სჯეროდა, რომ ბიკფორდის

ზონარით ამონალის აფეთქება სრულიადაც საზიანო არაა თავად ამფეთქებლებისათვის.

განსაკუთრებით ღელავდა აბრია უჯირაული. აფეთქება და ბოლ-ლა ქალის რა საქმეაო. სხვა არა იყოს რა, ეს ყოველივე ბინაზეს ართმევსო დედაკაცს, ეუბნებოდა იგი თავის ძმას ლუთს. „რაც ასეთ რამეს მიაჩვევენ დიაცს, იგი იარაღსაც წაეპოტინება და თუ დასჭირდა, მოჰკლავს კიდევაც მამაკაცს“, დასძინა აბრიამ.

„ჰაი, გიდი, რა კარგი გოგო გაგვიგიჟეს ამ ოჯახქორებმა. უწინ ნუნუ ჭიანჭველას არ დაადგამდა ფეხს, ახლა ნახეთ, დინამიტებს ისვრის!“ ეჩურჩულებოდა ლუთ ნუნუს დედინაცვალს, ქეთუას.

„ოღონდ მალე გავათხოვოთ მაგ გომბიო, მე მომაცილეთ რო-გორმე და თუნდაც ბომბები უსვრია თავის ქმრისათვის“, მიუგო ქეთუამ.

ციხისთავი და კორინთელი ნაკვეთის ბოლოს იდგნენ, ყურს უგდებდნენ მოხშირებულ გრუხუნს.

„ეს ჩვენი სოციალისტური ინდუსტრია შემოდის ცხრამუხაში სალიუტით“, სთქვა ციხისთავმა.

•

ნაშუადღევს მოვიდნენ ტრაქტორისტები — ნიკა უჯირაული და კოლა სოკოლოვი, ავტომატური ფარცხები მიაბეს ტრაქტორებზე და ნაკვეთის გასწორებას შეუდგნენ.

როცა საკვებით მოთავდა ცხრამუხის ზეგანის მოპირკეთება, პროფესორმა კორინთელმა სამივე ბრიგადირი და მერგოლურები მოიხმო, აიღო პალო და პირველი ნაკვეთის კიდესთან დაარჭო.

კანაფი მომიტანეთო, დაიძახა.

გოდერძიმ კანაფი მისცა ხელში.

კორინთელმა კანაფი შუაში გაკეცა, ჯიბიდან სანტიმეტრი ამო-იღო, ორივე მხარე გადაზომა. მარყუჟი გაუკეთა და პალოს თავზე გადააცვა. ცალი წვერი გოდერძის მიაჩეჩა და დასძინა: აღმოსავლე-თით წადი და მანდ დაამაგრეო. მეორე წვერი ნუნუს გადასცა. მას დაავალა სწორი გზით, ჩრდილოეთით წასულიყო და ხრამის პირად დაემაგრებინა.

როცა ეს გაკეთდა, თავათ თოხი აიღო, ორი ლარის გასწვრივ სამკუთხედად მოხაზა ნიადაგი.

ბრიგადირები და მერგოლურები გაოცებული შესცქეროდნენ, ვერ გაეგოთ, თუ რად დასჭირდა პროფესორს ამ სამკუთხედის მო-ხაზვა.

„აი ეს გახლავთ მართკუთხა სამკუთხედი.

შვიდწლედი ხომ დასრულებული გაქვთ?“ შეეკითხა იგი გარსმომდგარ ახალგაზრდებს. თითქმის ყველამ, ნუნუ უჯრიულის გარდა, ხმის გაუცემლად დაუქნია თავი.

„ეს თუ ასეა, თქვენ ცოტაოდნად იცნობთ გეომეტრიას, მაშასადამე, ეს სამკუთხედი გეცნაურათ კიდევაც.

ახლა კარგად მისმინეთ, ახალგაზრდებო.

ჩვენს წინაშე ასეთი ამოცანაა: ამ ნაკვეთზე უნდა გავმართოთ სავენახე მწკრივები, ისეთი წინასწარი გაანგარიშებით, რომ ეს უკანასკნელი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გავლებულ პარალელურ ხაზებს მისდევდნენ ზუსტად“.

„რატომ მაინცდამაინც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ?“ იკითხა ნუნუ უჯრიულმა.

„ჯერ ერთი, ეს საჭიროა, რადგან ქარები ამ მიმართულებით ჰქრიან აღმოსავლეთ საქართველოში, ქარის ტალღები ამ მწკრივებში გაივლიან და ვენახს ნაკლებად დააზიანებენ.

მეორე მიზანიც გვაქვს დასახული: დაბურულ ვაზებს მზის სხივები უფრო თამამად მიაღწევენ.

ახლა ვიკითხოთ, რად გვესაჭიროება მართკუთხა სამკუთხედი? აბა გაიხსენეთ ცნობილი თეორემა სწორკუთხოვანი სამკუთხედის შესახებ.

იგი, როგორც იცით, ეკუთვნის ძველ ბერძენ გეომეტრს პითაგორას. ახლავე გიჩვენებთ, თუ როგორ მოგვეშველება ეს მეცნიერება.

მოგეხსენებათ, გლეხი ალაღბედზე გააბამდა ლარს და მწკრივებს ისე დასარავდა, ამიტომაც ძველ ვენახებში მწკრივთაშორისი მანძილი არასოდეს არ გამოუდიოდათ ზუსტად თანაბარი.

ჩვენი მექანიზაციის პირობებში ასეთი მეურნეობა სავსებით გამოუყენებელია.

ჩვენ გვესაჭიროება ვაზსა და ვაზს შორის ერთი მეტრი და ათი სანტიმეტრი მანძილი, არც მეტი და არც ნაკლები. თუ ეს სისწორე დაირღვა, ჩვენ ხომ კილიფერი უნდა გავატაროთ მწკრივთა შორის? განზე დარჩენილ ვაზს სახნისი მოედება და ამოძირკვავს.

დახედეთ ამ სამკუთხედს: აღმოსავლეთისკენ გაჭიმული თოკის სიგრძეა ექვსი მეტრი, ხოლო სამხრეთისაკენ გამართულისა — რვა მეტრი; ამ ორ სიგრძეს ეწოდება კათეტი.

აბა მიდი, გოდერძი, და ამ ორ კათეტს შორის გააბი ეს ათმეტრიანი კანაფი, პალოებით დაამაგრე და ნიადაგი თოკების სისწორეზე გახაზე“.

როცა გოდერძიმ დავალება შეასრულა და ისევ მობრუნდა, პროფესორმა სთქვა:

„ამგვარად გოდერძიმ ორ კათეტს შორის გააკლო ჰიპოტენუზა. ახლა გაგახსენებთ პითაგორას თეორემას: ორივე კათეტის კვადრატების ჯამი უდრის ჰიპოტენუზის კვადრატს. აბა, რამდენია პირველი კათეტის სიგრძე?“ შეეკითხა კორინთელი მესამე ბრიგადის ხელმძღვანელს იონა გრძელიშვილს..

„ექვსი მეტრი“, მიიღო პასუხი.

„კვადრატი ნიშნავს მოცემული ციფრის თავის თავზე გადამრავლებას. მაშ გადაამრავლე, იონა“.

„ოცდა თექვსმეტი“, მიუგო იონამ.

„კეთილი, აბა თქვენ თქვით, რამდენი მეტრია მეორე კათეტის სიგრძე? შეეკითხა ნუნუ უჯრიაულს პროფესორი.

„რვა“.

„ახლა ეს გადაამრავლე და სთქვი რამდენი იქნება?“

„სამოცდათხი“.

„მიუმატე ერთმანეთს“.

„ასი“.

„ჰიპოტენუზა რა სიგრძისაა, გოდერძი?“

„ათი მეტრისა“.

„გადაამრავლე ათი ათზე“.

„მივიღებთ ას მეტრს“.

„ახლა ხომ ხედავთ, ორივე კათეტის სიგრძე ასი მეტრია, ჰიპოტენუზაც ამდენივე. მაშასადამე, ორივე კათეტის კვადრატების ჯამი მართლაც უდრის ჰიპოტენუზის კვადრატს.

ასე რომ კათეტისა და ჰიპოტენუზის გადაკვეთის წერტილი იქნება ის ადგილი, სადაც პირველი სავენახე მწკრივი გაივლის.

ასე მიჰყევით და ზუსტად განრიგებული მწკრივი გამოგივათ. გასაგებია?“ შეეკითხა პროფესორი ბრიგადირებსა და მერგოლურებს.

„გავიგეთ, გავიგეთ“, პასუხობდნენ სახეგაბრწყინებული ახალგაზრდები პროფესორს.

მხოლოდ ნუნუ უჯრიაული სდუმდა.

„თქვენც გაიგეთ, გოგონავ?“ შეეკითხა კორინთელი.

ნუნუმ: თავი ჩაჰქინდრა ანაზდად და გაწითლდა.

„როგორც ჰხედავთ, ყმაწვილებო, ჩვენი კოლმეურნეობის წარმატება წარმოუდგენელია, თუ ჩვენ არ დავეუფლეთ მეცნიერების მიღწევებს და არ გამოვიყენეთ ისინი.

სხვა შემთხვევაში ჩვენი მეურნეობა დაემსგავსება ძველი დროის ჩამორჩენილი გლეხის ან უწიგნური აზნაურის მეურნეობას“.

ახლა კორინთელი აპირებდა საგანგებოდ ნუნუსათვის ეთხოვა ეს ამოცანა ხელახლა. რაიკომის მდივანი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე მოვიდნენ. ციხისთავმა მკლავში ხელი გაუყარა პროფესორს და უთხრა:

„მწკრივების მოხაზვის საქმე ახლა ამ ახალგაზრდებს დავავალოთ; წამობრძანდით, მამუკას ციხეზე ავიდეთ, მგლისხევის სათავე დავათვალიეროთ. ვნახოთ ერთი, წყალსაწრეტი დრენაჟები ხომ არ დაგვჭირდება“.

რაიაგრონომი მელითაური წინ წაუძღვა მათ. ისინი აღმა აჰყვნენ მგლისხევს, მთელი საათი იარეს ჩრდილოეთისკენ ხევ-ხევ და მიაღწიეს ხევის სათავეს.

რიყის ქვისაგან ნაკეთები წოწოლა ციხე იდგა ქარაფზე, უზარმაზარი წიფლებითა და თელებით გარსშემორტყმული. ციხეზე ლეღვის ხეები ამოსულიყვნენ.

„ეს არის მამუკას ციხე?“ იკითხა კორინთელმა.

„მამუკას ციხეა“, მიუგო თედომ.

სწორედ იმ ქარაფს, რომელზედაც ციხე იდგა, კირიანი ქანობების გამორეცხვის შედეგად ფერდი ჰქონდა შელეწილი, და სწორედ აქედან გამოდიოდა უღიმღამო წყარო. წყლის გამოსადენთან ვიღაცას ჩალის ღერო მიედო და ზედ მოწანწკარებდა წყალი.

კორინთელმა გაიხარა ამ ჩრდილიანი, მყუდრო ადგილისა და წყაროს დანახვაზე; პეშვი შეუშვირა წყაროს, ჯერ პირი დაიბანა, საფეთქლები გაიგრილა და მერმე ხარბად დაეწაფა წყალს.

ჩალის ღეროდან ნადენი წყლისაგან პაწია ტბა დამდგარიყო. შიგ თავკოპალები დასცურავდნენ. ამ ტბის შუაგულში, ლოდზე, ვეებერთელა გომბეშო შესკუპულიყო, თვალებს კუსავდა და უთვალთვალებდა ახლადმოსულებს.

კორინთელი გოროხზე შედგა და აქედან დახედა თავქვე მიმავალ ხევს, რომელიც ასიოდე მეტრის მანძილზე მიყვებოდა ორივე მხრით ქარაფებით შემოზღუდულ სადენს და შემდგომ ამისა იშლებოდა გავაკებისაკენ.

კორინთელს არ მოეწონა ხევის ეს საკმაოდ მძაფრი დაქანება, გოროხიდან ძირს ჩამოვიდა, აიყოლია ციხისთავი, თარალაშვილი და მელითაური. მცირე ხანს ატარა ისინი და, როცა გავაკებამდის მოიყვანა, ეს უთხრა:

„გონიერი ადამიანი ყოველთვის უარესის ვარაუდიდან უნდა გამოდიოდეს. ეშმაკს თვალი არ უჩანს, წყალდიდობის დროს შესაძლოა ამ ხევმა ცხრამუხის ზეგანზე გამართულ ვენახებს ავნოს კიდევაც.

მოდი, აი ამ ადგილას განდაგან რკინა-ბეტონის კედელი გავაკეთოთ. ეს მანძილი ას მეტრს არ აღემატება, ასე რომ არც თუ ძვირად დაგვიჯდება ეს საქმე.

ნაღვარევი წყალი ამ ორწოხში მოგროვდება და ძირს დაშვების ინერციას დაკარგავს, ბოლოს და ბოლოს, აქ პატარა ჭის გამართვაც შეიძლება. არა?"

თედო თარალაშვილი და მელითაური არ იზიარებდნენ ამ შიშს. ოც წელზე მეტია, რაც ამ ხევის საქციელს ვაკვირდებით, არ გვახსოვს თუნდაც ნიაღვრების დროს მას საგრძნობლად მოემატებინოსო.

ციხისთავი საერთოდ მუდამ ფრთხილი იყო თავის დასკვნებში, ახლაც თავი შეიკავა, რადგან ამ ხევის რეჟიმის დაკვირვების შემთხვევა არასოდეს ჰქონია.

ბოლოს მაჯის საათს დახედა და სთქვა: ყვარელში თათბირი მაქვს და უნდა წავიდეო. პროფესორს შესთავაზა — ისევ ცხრამუხის ზეგანზე დავბრუნდეთ, იქიდან მანქანით მიგიყვანთო სასტუმროში.

კორინთელმა გორისთავიდან გადახედა ძირს გადაშლილ პანორამას, მისმა დანახვამ მოხიბლა და მიუგო ციხისთავს:

„როგორც ვატყობ, ამ ბილიკებს თუ დავყვები, სასტუმრომდის უფრო ადრე ჩავალ, ჭალას გადავივლი და ორიოდე ნაბიჯი დამრჩება შინამდის".

ციხიწისქვილში წარმოთქმული სადღეგრძელონი

კორინთელს ეამა ტყეში მარტო დარჩენა. ნელი ნაბიჯით მიჰყვა დალმა მიმავალ ბილიკებს. ხვლიკები გადარბოდნენ შარებზე. მთა ტერრასების სახით ვაკდებოდა ალაზნის ჭალისკენ.

ეს ტერრასები იელის აყვავებულ ბუჩქებს დაემშვენებინათ. ესენი ისე ღვივოდნენ ახლადგადაშლილი მწვანეულის ფონზე, თითქოს გამოხურვებული ოქროსფერი კოცონები დაუნთიათო.

ჯაგების ძირში კვრინჩხივით ამოსული იებიდან გამოძვრა ბუ-ურუხუნა გველი. მზის სხივი აციმციმდა მის მძაფრ თვალებში, არც მორიდებია კორინთელს, ჭავლივით მოქნილი სხეული ზლაზვნით გადაიტანა ბილიკზე.

მზეწვია გახარებული ჭიკჭიკებდა სადღაც, ნამრუდისფერი ცარგვალი ზედ დამხობოდა აყვავებული იელით მოჩითულ მთასა და ველს. ყვავილების სურნელება, ნეშომპალის და მიწის სუნი იდგა ირგვლივ.

კორინთელმა სამხრეთიდან მომავალ წერილებს მოსიყვარულე თვალით ახედა. შესდგა, უთვალთვალებდა მათ. თავდაბრეველად ისე შორს იყვნენ ისინი, რომ ჯერ კიდევ მრავალწერტილებად მოსჩანდნენ ცაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერმე ნელ-ნელა გადიდნენ ეს წერტილები, უკვე თავ-კისრისა და ფრთების კონტურები მოიხაზა. ქარავანი ძალაცად მიაპობდა ჰაერს.

ახლა მძაფრად შესცვალეს სვლის გეზი, ოდნავ მოადუნეს ფრენის ინერცია და ფოლადისებრ მოლაპლაპე ალაზანს უსწორეს.

უეცარმა ხმაურმა მათი ,ჰვრეტა შეაწყვეტინა კორინთელს, მზერა გადაიტანა გარეული იხვების გუნდზე; სულ ახლოს გადაუარეს მათ მჰვრეტელს თავზე, მერმე გაისმა „ფრფრ“ და ის საამური წიწინი, რომელიც ველური იხვების ფრთების ქროლვას მოსდევს ხოლმე თან.

კორინთელი თვალს ადევნებდა ალაზნისაკენ გაფრენილ იხვებს. ხოლო მურყანების გადაღმა, ალაზნის პირად, ისე ეშვებოდნენ გარეული ბატები ძირს, თითქოს ციდან მდინარეში ჰყრიანო პორცელანის თეფშებს.

„რა ცოტა რამ უნდა ბედნიერებას ამქვეყნად: შრომობდე და გიხაროდეს, თვალნათლივ სჰვრეტდე მიწის აყვავებას, ლოყებზე გცემდეს მოუღალავი მზის მცხუნვარება და გესმოდეს ამ ფერთა სიუხვით გახარებულ მიწაზე ნაბიჯების ჩქამი“.

ამას ფიქრობდა კორინთელი, ჭუდი ხელში ეჭირა და მიჰყვებოდა ჭალაში ჩამავალ ბილიკს. უკვე ველზე ჩასული, ფიქრებისაგან გამოარკვია ბუჩქებში ატეხილმა შარიშურმა: კურდღლები სტოვებდნენ ჯაგებს, აუჩქარებლად გადარბოდნენ გზაზე.

ცხენის ჭიხვინი მოისმა სულ ახლოს. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა კორინთელმა და ყავრით დახურულ თავლას წააწყდა თვალი. მინდორზე რამდენიმე ცხენი სძოვდა.

თავლის წინ დაყორებულ ნეხვში სინდიოფალები იქექებოდნენ. ზოგნი საამოდ დაციგლიგობდნენ იქვე, ზოგნიც პირაღმა წამოწოლილნი გაზაფხულის მზეს შეფიცხებოდნენ.

„კოლმეურნეობის საცხენეა, ალბათ“, გაიფიქრა კორინთელმა.

გზისპირად მდგომარე ცხენმა თავი აიღო და დაიხვიხვინა. კორინთელმა უკან მოიხედა. სამ ცხენოსანს ერთი შეეღალებული, ბრგე ვაჟკაცი წინ მოუძღოდა ცხენდაცხენ. წინმომავალს ლენინის ორდენი უმშვენებდა მკერდს.

ცხენოსნების უკან ქართული ცხვრიხძალები მოძუნძულებდნენ ენაგადმოგდებული, ფეხდაფეხ მოსდევდნენ ცხენოსნებს.

ოდნავ მოშორებით ორი ურემი მოდიოდა, ხოლო ურმებს უკან აურაცხელი ცხვარი.

ირგვლივ მწყემსების ქაქანი ისმოდა.

კორინთელმა ცხენოსნებს გამარჯვება მიაძახა, სადაურობა და ვინაობა გამოჰკითხა.

ორბოძალ გზაზე შედგა კორინთელი. ერთი სოფლისკენ მიდიოდა, მეორე ალაზნისაკენ. შინ წავალ და ცოტას წავიმუშავებო, გაიფიქრა და სწორედ ამ დროს მთლად უცნაური გნიასი ატყდა.

ზევით ახედვაც ვერ მოასწრო, გარეული ინდოურების ქარავანმა დააბნელა გარემო, ბოლოს იგი შარაგზის გასწვრივ სულ ახლოს დაეშვა ჯეჯილზე.

კორინთელი შედგა. ინდოურები ჯეჯილს წამოესიენ; თვალნათლივ ხედავდა, თუ როგორ წაიგრძელებდნენ ისინი კისერს და გამალებული სძოვდნენ.

თვალგადაუწვდენელი ჯეჯილი დაფარული იყო ამ მშვენიერი ფრინველებით. ერთი მათგანი მოსძოვდა თავის გარშემო ამოსულ პურეულს, მერმე თვისტომების სიახლოვით გახარებული იცვლიდა ადგილს და ასე ეჯიბრებოდნენ ურთიერთს ეს მსუნაგები.

კორინთელს სელის გეზი შეაცვლევინა ამ ახალმა სანახაობამ. ნელი ნაბიჯით მიჰყვა წისქვილისაკენ მიმავალ საურმე შარას.

როცა ინდოურებს თოფის სასროლ მანძილზე მიუახლოვდა იგი, მათმა გზირებმა, გუნდსა და გზას შორის საძოვრად გასულებმა, თავი აიღეს, თითქოს იცვნესო უიარაღო კაცი და არხეინად განაგრძეს ძოვა.

„როგორ აბუჩად ამიგდეს“, გაიფიქრა ძველმა მონადირემ. გასცილდა თუ არა ამ ერთ გუნდს, ისევ ჩამობნელდა ირგვლივ და მიწა დაფარეს მორიალე ლანდებმა.

ახალი სტუმრების დანახვაზე წამოეძალათ სიხარბე, წელან მოსული ინდოურები აიყარნენ, წამოეწიენ ახალმოსულებს და მათმა ნაჩრდილევებმა ღრუბელივით დაჰფარეს ველი.

ბოლოს, ერთ დიდ გუნდად გაერთიანებულნი, ისევ ურმის შარასთან დააცხრნენ ჯეჯილებს.

„ნეტავ მეველე სადღაა?“ — გაიფიქრა კორინთელმა,— ეს აურაცხელი ფრინველი ნათესებს ანადგურებს და არავინაა განმკითხველი“.

მის გულში უკვე განელდა ის აღტაცება, რომელიც აღეძვრის ხოლმე ტყიურის ახლომჭვრეტელ ადამიანს. ქვა აიღო ხელში, თანაც მიიხედ-მოიხედა, ასეთ ყმაწვილობისას არავინ შემასწროსო თვალი, გაეცინა გუნებაში და ესროლა.

რამდენიმე ასეული ინდოური მოეშვა ძოვას, აფრინდნენ, მაგრამ შორს წასვლა არც იკადრეს, სულ ათიოდე მეტრის სიგრძეზე გადაინაცვლეს საძოვარი ადგილი და ისევ დაიწყეს გამალებული ძოვა.

ეროვნული

კორინთელი მიჰყვებოდა საურმე გზას, ხანგამოშვებით ქვას ესროდა გზის პირად დაშვებულ ინდოურებს. ასე ჩაიტყუეს იგი გარეულმა ინდოურებმა. წისქვილის გრუტუნი ისმოდა.

თვალი შეავლო რიყის ქვებითა და კირით ნაგებ წისქვილს, იგი გარეგნულად ციხეს უფრო მიაგავდა, ვიდრე წისქვილს. ამიტომაც ციხიწისქვილი შეერქმიათ მისთვის. დროული კაცებისაგან განაგონი ჰქონდა კორინთელს: ამ წისქვილში მიჰქონდათ თურმე ომიანობის დროს საფქვავი.

ველის ირგვლივ დამკვიდრებულ სიწყნარეში უცნაური სიმშვიდე და სათნოება აღეძრა კორინთელს. მოაგონდა თავისი სიყმაწვილე, რამდენჯერ მოსულა აქ სათევზაოდ. მაშინაც უყვარდა სოფელს განრიდებულ მეწისქვილესთან კერის პირად ჯდომა და ძველთაძველი ზღაპრების მოსმენა.

ციხიწისქვილის კარი გამოკეტილი იყო. სწყუროდა, დაენანა, წყლის დამლევინებელი რომ არავინ დაუხვდა.

მოულოდნელად გაიღო წისქვილის კარი და თავშიშველა, მელოტი კაცი გამოვიდა, თვალზე მიიჩრდილა ხელი და დააცქერდა ნელი ნაბიჯით ციხიწისქვილისკენ მომავალს.

როცა ეს უკანასკნელი მიეახლა, აჩქარებული ნაბიჯით შემოეგება კორინთელს, ორივე ხელით ჩამოართვა ხელი და გაუღიმა.

„კეთილი იყოს ციხიწისქვილში თქვენი მობრძანება, ჩემო ბატონო“.

ამ გაღიმებამ კორინთელს ის ქერა ყმაწვილი მოაგონა, რომელსაც „სოლოს“ ეძახდნენ ედიშერ ვაჩნაძის სასახლეში; სოლოს ვირებით მოჰქონდა წყაროს წყალი, მედიკო და ვახტანგი ხშირად მსხდარან მის სახედრებზე.

„როგორ მოგიკითხო, სოლომონ?“

მელოტ კაცს გაეცინა.

რა გაცინებსო, შეეკითხა კორინთელი.

„მე გადავეჩვიე ჩემს სახელს, ჩემო ბატონო“.

„როგორ თუ გადაეჩვიე?“

„გავბელატდი, ამიტომაც ნიორთავა შემარქვეს და მეც მივეჩვიე ამას, ჩემო ბატონო“.

„ხომ მიცანი?“ ჰკითხა კორინთელმა.

„როგორ არა, ჩემო ბატონო, თქვენ ვინ არ გიცნობთ, მე ის მაკ-ვირვებს, მე როგორღა მიცანით?“

„ვითომ რათაო?“

„აბა ჩემისთანა მაჩუჩის ტაბიკი ვის დაახსომდება?!

„რად იტყვი მაგას, სოლომონ, ჩვენს ქვეყანაში ყველა მშრომელი პატივისცემის ღირსია, ვინც თავის საქმეს კარგად აკეთებს.

ჩვენ ყველანი მარჭვლები ვართ ერთი დიდი მანქანისა. მანქანას მარჭვალი თუ არ ექნა, ბორბალი მოვარდება ღერძს, ეს უკანასკნელი ბრუნვას შესწყვეტს და მთელი მანქანა დადგება“.

ახლა მედიკო მოიკითხა ნიორთავამ. როცა ამ კითხვაზე პასუხი გასცა, წყალი დამალევინეო, სთხოვა კორინთელმა.

„შინ შემობრძანდი, ჩემო ბატონო“.

კორინთელმა გაიღიმა.

„არაფერია. აქ ვიყოთ“.

„თუმცა მე არც ბინა მაქვს და არც შინა, ჩემო ბატონო, მაგრამ ჯერ არავინ მიპირებს გარედ გაგდებას და ჩემი ერთადერთი სახლკარი, ციხიწისქვილია“.

დიდხანს უარზე იდგა კორინთელი, მაგრამ ნიორთავა მაინც არ მოეშვა, მკლავში ხელი წაავლო და სტუმარი წისქვილში შეიყვანა.

კორინთელმა გადაშლილ წიგნს წაატანა თვალი.

„ხელი შეგიშალე კითხვისას, სოლომონ“.

„რასა ბრძანებ, ჩემო ბატონო“.

„რა წიგნია?“ იკითხა სტუმარმა.

„ვეფხისტყაოსანი, ჩემო ბატონო. ეს მეათეჯერ გადავიკითხე და ეგ არის“.

როცა კორინთელი ცივი წყლით გაგრილდა, მასპინძელს შეეკითხა:

ნიორთავას რომ გეძახიან, ხომ არ გწყინსო ეს ამბავი, სოლომონ?

„არა, ჩემო ბატონო, თქვენც ამას გთხოვთ. ნიორთავა დამიძახოთ ამიერიდან. სოლომონ ბრძენის სახელი ნამეტანი პატივი იქნება ჩემთვის. დიდი კაცის სახელი დიდ რამეებს ავალებს ადამიანს.

ეს ასეა, ჩემო ბატონო, რა გამოვა ბრძენის სახელს ამოეფაროს კაცი და დიდი სისულელეები დააფრქვიოს: ცხადია, დიდკაცის სახელი სიბრძნეს ვერ შეჰმატებს შლეგებს“.

„არამც და არამც, ჩემო სოლომონ, ალბათ ეს სახელი სოლომონ ბრძენამდისაც ბევრ რეგვენს ერქვა. ბოლოს მოაღწია ჭკვიანმა კაცმა და გაასხივოსნა იგი.

ჩვენ ისეთ დროში ვართ, ჩემო სოლომონ, როცა სახელსა და გვარს პატივი აეყარა და მარჯვენას მიენიჭა იგი.

წეღან ერთი ცხენოსანი მეცხვარე შემხვდა. ლენინის ორდენი უმშვენებდა მკერდს. გვარი გამოვკითხე. „ბეწუკიშვილი ალმუჩნდა“.

ნიორთავა ტანაჯორიკით დატრიალდა. კარი, „ბალი“ და „ბარეთ გაიდა.

მარტოდ დარჩენილმა კორინთელმა მიმოიხედა. კერის ირგვლივ კატები და ძაღლები ყვინთავდნენ.

ერთი ბებერი მურა უღიმღამოდ სთვლემდა, ხანდახან დააფახულებდა თვალებს და დასისხლიანებულ თეთრონებს მიანათებდა კერას. გამურულ კაკუტებზე მჭვარტლის ლოლუები ეკიდა. გელაზები ბეჯითად ბრუნავდნენ და საამურად გრუტუნებდნენ.

ნიორთავამ ფიჩხი და შეშა შემოათრია, დაჯდა კერის გადაღმა. ფიჩხს მუხლისთავებზე იმტვრევდა და ცეცხლს უკეთებდა.

„თავს რად იწუხებ, ჩემო სოლომონ, რად გინდა ცეცხლი?“

„არაფერია, ჩემო ბატონო, მოგეხსენებათ, წისქვილში მუდამ სინესტეა, თქვენისთანა სტუმარს სხვები ნატრობენ.

მე ადრე გავიგე თქვენი ჩამოსვლა, მინდოდა მაიას პირით მეთხოვა მედიკოსა და თქვენთვის, ეგებ ფეხი შემოგიცდეთ-მეთქი ჩემს ციხიწისქვილში და მოგეკითხათ ის ბედდამწვარი ბიჭი, ვაჩნაძიანთ სასახლეში ოდესღაც ვირებით რომ გასეირნებდათ“.

„რა მოხდა მერმე, დიახაც მოვიდოდით, ჩემო სოლომონ, განა ასეთ გაყინჩულ კაცად მიცნობ?“

„არა, მაგრამ, ხომ იცი, ჩემო ბატონო, ჩემისთანა ბედშავი კაცი...“

ნიორთავამ ახლა კოკას წამოუსვა ხელი, წყალი შემოარბენინა, დარბოდა, კუთხე-კუთხე დაფაცურობდა, უწყრებოდა კერის გარშემო მოგროვილ ძაღლებსა და კატებს, მაგრამ ისინი მხოლოდ ადგილს იცვლიდნენ, არც აპირებდნენ გარედ გასვლას.

კორინთელმა შენიშნა: ნიორთავა რაღაც სამზადისშიაო. ცოტა ხანს მისჩერებოდა კერაზე გაღვივებულ ცეცხლს. ფიქრში წასულს ეამა მისი ცქერა. მერმე წამოდგა და წასვლა დააპირა.

ნიორთავა წინ გადაუდგა სტუმარს და მტკიცედ განუცხადა: უპირობარილოდ არასგზით არ გაგიშვებო.

„რას ამბობ, სოლომონ, ინდოურებმა გამომიტყუეს აქეთკენ, გზადაგზა სხდებოდნენ, ახალგაზრდობა მომაგონეს, ბალღივით ქვას ვესროდი, ისე მოვყვებოდი ურმის შარას. ახლა მეჩქარება. ცოტა სამუშაო მაქვს“.

„ვაცხონე იმ ინდოურების მამა, კაი უქნიათ, რომ გამოგიტყუეს.

ქვას ესროდით? აფსუს, აქ მოსულიყავით, ჩემი ცალპირა თოფი წაგელოთ, ნეტავი!"

„ეხლა ხომ ბარტყობენ, და ნადირობაც აკრძალულია".

„ეჰ, მაგას ვინ დაეძებს".

„მერმე რა, არ ვარგა, სოლომონ, ასე განუკითხავად, რომ ტეტენ ნადირსა და ფრინველს".

„მეც არ ვესვრი თოფს ამ თვეში ფრინველებს, მაგრამ ჩემს ძმაკაცებს ბევრი მოაქვთ ნანადირევი".

ეს სთქვა ნიორთავამ და კუთხეში მიფაცურდა, კაჩხიდან ღვედზე თავებით დაკიდული სამიოდე ინდოური ჩამოიღო და წინ დაუდო სტუმარს. ახლა დიდი ვარცლი გამოიტანა, რომელზედაც ერთიც ახლადგაპუტული ინდოური იდო, ჭადის ცომივით ყვითელი და ცხიმისაგან გატკიცინებული.

„ვინ დახოცა ესენი, სოლომონ?"

ჩემმა ძმაკაცებმა: კანკრემ, ლალბაწამ და გაგრიამ დახოცესო გუშლამ, მიუგო ნიორთავამ.

ერთი გაუპუტავი მამალი ინდოური მუხლისთავზე დაიდო კორინთელმა, ხელს უსვამდა ფრინველის ფერად-ფერად ნაკრტენს.

„გარეული ინდოურის ხორცს რა სჯობია, ახლავე გაგემებ, ჩემო ბატონო".

„რასა ბრძანებ, სოლომონ, შინ მიცდიან სადილად, არამც და არამც არ შემიძლია, სხვა არა იყოს რა, მედიკოს შეეშინდება".

კერის წინ დაცუცქული ძაღლები აყეფდნენ. ნიორთავამ კარი გააღო. კორინთელმა თვალი შეასწრო კარგ ცხენზე მჯდარ ნაბდისქუდიან ბიჭს.

ნიორთავამ კისერი მოიღრიჯა და კორინთელს გადმოსძახა:

„მე ახლავე ვაცნობებ მედიკოს, შევატყობინებ, რომ თქვენ ჩემთან ხართ სტუმრად".

საფქვავი ჩამოართვა ბიჭს, დაავალა: სასტუმროში ეცნობებინა მედეასათვის, პროფესორს სადილად ნუღარ უცდითო.

„ლექსო, შენ ეგ გამიკეთე და როგორც კი მობრუნდები, მზად დაგიხვდება საფქვავი".

ეს უთხრა, ხელში პატარა ტიკი შეაჩეჩა და მცირე ხანს ეჩურჩულა. პროფესორი ნანობდა თავის გუნებაში, იმ წყეულ ინდოურებს რა ეშმაკად გამოვსდიეო.

შინ წასვლაც ვერ გადაეწყვიტა, იცოდა ეწყინებოდა სოლომონს, სხვა არა იყოს რა, „პურმარილზე ფეხის დადგმას" უკადრისობაში ჩამოართმევდა.

აწუხებდა ამ ქეციანი ძაღლებისა და კატების სიახლოვე, ციხი-

წისქვილში დამკვიდრებული მჭვარტლი და მტვერი. იქვე ბარცალი წინ ედვა ნიორთავას და ცომს ზელდა. არც კარის გაღებას აპირებდა მასპინძელი, ბოლი დგებოდა ირგვლივ.

როგორც იქნა მოაგელვა ლექსომ თავისი გაქაფული ცხენი, ნიორთავამ გაუტანა საფქვავი და სტუმარს პატარა ტიკი ფერხთით დაუდო.

„მე აქ სხვა ღვინოც მქონდა, ჩემო ბატონო, მაგრამ ეს ერთი ტიკი ქინძმარაული სხვას ემართა ჩემი და ის მოვატანინე თქვენთვის საგანგებოდ“.

პროფესორს გაეცინა ტიკის დანახვაზე და მასპინძელს უთხრა:

„ამაოდ დაშვერი, ჩემო სოლომონ. სამ წელიწადზე მეტია ექიმები ღვინის სმას მიკრძალავენ“.

„ეჰ, ექიმებს რომ ჰკითხოს კაცმა, სმა-ჭამას აგვიკრძალავენ. შარშან ერთი ექიმი ჩამობორიალდა ბერმუხაში. ჭკუის აცრას გვპირდებოდა ყველას, მერმე ეს ეგრეთწოდებული ექიმი დაიჭირეს, ვიღაც გაიძვერა ექიმბაში აღმოჩნდა“.

„მერმე, ხომ არავისთვის აუცრია ჭკუა?“

„ჩემმა ანგალმა ძმაკაცებმა, კანკრემ და მისმა არიფებმა აიცრეს, მეც კინალამ გამაბრიყვეს მაგ ოჯახჭორებმა!“ ხითხითებდა ნიორთავა.

კორინთელი კარგად ვერ გარკვეულიყო, ნიორთავა ხუმრობდა თუ მართალს ამბობდა. იცინა, იცინა და ისევ მიუბრუნდა „ჭკუის აცრის“ საქმეს.

ნიორთავამ ცომი ჩააგდო ღადარში, ნაცარი წააყარა ზედ და სთქვა:

„მართალს მოგახსენებთ, ამის გამო გამოძიებაც მიდიოდა. რაიპროკურორი ჩამოვიდა. ოღონდ ესაა, მე ცოტა შევალამაზე. ის ოხერი ექიმბაში სულით ავადმყოფებს პირდებოდა განკურნებას; როგორც ბოლოს გამოირკვა, მათ ნიახურის წყალს უშხაპუნებდა.

მართალი რომ მოგახსენოთ, არც ჩვენს ბიჭებს სჯეროდათ იმ ექიმბაშისა, მათ ეს ყომარბაზობით ჭნეს. ხომ ხდება ცხოვრებაში ასეთი რამ, ოღონდ თავის გამოჩენის საბაბი იპოვნოს ზოგიერთმა კაცმა, სალაყბო მასალა მისცეს უქნარებს და რას არ მოიმოქმედებს“.

ნიორთავა წამოდგა, ინდოური მზადაო, წამოიძახა.

როცა მასპინძელმა ინდოური დასჭრა და გობზე დააწყო, ხორცის სურნელებამ ნერწყვი მოჰგვარა კორინთელს.

ნიორთავამ კორინთელს დაბალი, სოფლური ტაბლა დაუდგა წინ. ქინძმარაული მოსვა სტუმარმა, ამ გაჩალებული ცეცხლის პი-

რისპირ ძლიერ ეამა ღვინო, შინ ღვინის სმას ცოლი არ ანებებდა.

ერთი რამ არ მოსწონდა: კატები და ძაღლები გარს შემოადგნენ ტაბლას, ზოგი მათგანი იქექებოდა და ბეწვნარევ მტვერს აყენებდა ირგვლივ.

ეროვნული

გუნებას სხვა რამეც უფუჭებდა პროფესორს: ბელეტრისტიკა

რების გამო ნიორთავა იძულებული გახდა წისქვილის კარი გაეღო. კორინთელის ერთადერთი სურვილი იყო ამჯერად ნიორთავას კარი დაეკეტა და არავინ შემოეშვა, რათა ბერმუხელებს საბაბი არ მისცემოდათ ეთქვათ: პროფესორი წისქვილში ქეიფობდაო.

ნიორთავამ დაითრია ერთი მოზრდილი კათხა, რომელსაც იგი ალბათ სხვადასხვა დროს სამინდედაც ხმარობდა, ქინძმარაულით გაავსო, ფეხზე ადგა და პათეთიურად წარმოსთქვა კორინთელის სადღეგრძელო.

ახლა ინდოურის ხორცს ურჩევდა მასპინძელი, რა გაიგო, საბძელი ყვარებიაო სტუმარს, ინდოურის საბძელი მიართვა მას.

როგორც კი ჭამას შეუდგა მოშიებული სტუმარი, ერთი გამურული ხვადი კატა ეცა მარჯვენაში და ხელიდან წაჰგლიჯა ინდოურის საბძელი.

ნიორთავა ბრაზისაგან აენთო, დაუცაცხანა ონავარს.

„არაფერია, ჩემო სოლომონ, როგორც სჩანს, მაგ კატასაც ჰყვარებია ინდოურის საბძელი“.

კორინთელი მადიანად შეექცეოდა ნაცრიან პურს, ღვინოსაც სვამდა ფრთხილად.

კატები და ძაღლები იერიშის მოტანას განაგრძობდნენ.

ნიორთავა ღვინოში შევიდა, ახალ-ახალ სადღეგრძელოებს იგონებდა. სმას გადაჩვეულმა კორინთელმა უკვე იგრძნო ქინძმარაულის ძალა, მასპინძლის მუდარის მიუხედავად ღვინის სმას უკლო და ბოლოს საკუთრებით აღიკვეთა.

ხელში იღებდა გავსილ ჯამს, ტუჩს ოდნავ დააკარებდა და ისევ დადგამდა ტაბლაზე. ნიორთავა გარედ გავიდა და ღარისთავები ჩაჰკეტა.

ახლა გარეული ბატების ყიპყიპი და ინდოურების გნიასი მოისმა. კანტიკუნტად ალაზნის შხუილი მოჰქონდა ნიავს. მასპინძელმა გაჰყარა ძაღლები გარედ, რადგან მათ გამუდმებული იერიში მიჰქონდათ სტუმარზე.

„რად გინდა, სოლომონ, ამდენი ძაღლი და კატა?“

„რა ვქნა, ჩემო ბატონო, ყველა უპატრონო მე მეკედლება, თავათ უპატრონოს. რაც შეეხება კატებს, ისინი რომ არ იყვნენ ამ წისქვილში, აქამდის ვირთხები შემჭამდნენ. ეს არაფერი, ამ წის-

ქვილის გარშემო ბარე ორმოც წყვილ მერცხალს მიდგმული აქვს ბუდეები".

კორინთელი წასვლას აპირებდა, მაგრამ მასპინძელი სადღეგრძელოებს არ ათავებდა.

ისევ შიშობდა სტუმარი, უცხო არავინ მოსულიყო.

გარედ გაიხედა. გზაზე ერთი თავსაფრიანი ქალისა და უქუდო ბიჭის სილუეტი გამოჩნდა. ტომრებაკიდულ ვირს მოერეკებოდნენ ისინი. ჯერ მათი ნაჩრდილები მოჩანდნენ. როცა ისინი წისქვილს მიეახლნენ, ნიორთავა გამოეგება.

„გაგიმარჯოს, ნუნუ", წაიდუდუნა სალამის პასუხად და ახლადმოსულებს ტომრების ჩამოღებისას უშველა.

მეწისქვილეს თავსაფრიანი ქალი და ბიჭი შემოჰყვა.

„ჩემმა დედინაცვალმა გთხოვათ, ეს სიმინდი ნაპურალზე არ დაფქვაო", ჩაილაპარაკა ქალმა, კერასთან მჯდარს ერთი ჩახედა სახეში, განცვიფრებისაგან გაშეშდა და უკუდგა.

„რამ შეგაკრთო, შე ქალო, აქ მო, დაგვეწვიე!" შესძახა მასპინძელმა ახლადმოსულს, რომელსაც მკლავზე მობღაუჭებოდა ყმაწვილი. მეწისქვილემ ისევ აუშვა წისქვილი. მერმე გამოათრია რკინის სამკუთხედი, რომელზედაც უზარმაზარი ჭრაქი იყო შესკუპული და აანთო იგი.

ჭრაქის სინათლეზე კორინთელმა იცნო კოლმეურნეობის მერგოლური, ნუნუ უჯირაული.

ნუნუს შვენოდა წითელი შალი, უბრალო, შავი მძივები ეკიდა ყელზე და ამ შალით თავწაკრულმა მძივებიანმა გოგონამ კორინთელს ლეონარდო და-ვინჩის „რკინის მანიაკიანი ქალი" მოაგონა.

ამ წითელ ფონზე გამოჩენილი სპილენძისფერი სახე და დიდრონი მუქლურჯი თვალები ფერთა უცნაურ სიმფონიას ჰქმნიდა.

ამას ზედ ერთვოდა შვინდივით წითელი ზემოტუჩის კუთხეებში ბაწია, ოდნავ საჩინო ბუსუსები და მარცხენა ლოყაზე ხალი.

კორინთელი შესცქეროდა ამ გოგონას, მის შეგნებაში ღიმღამობდა ასეთი აზრი: კიდევ ვიღაცას მაგონებსო ეს ქალი.

ახლა ნუნუს გვერდით მდგარ თავმსხვილა, წვრილკისერა ბიჭუნას დაადგა თვალი კორინთელმა და შეძრწუნდა: თითქმის სამკუთხედი, უპროპორციო თავი, უზომოდ ფართო შუბლი, გაპარჭყული ცხვირი და სავსებით მოკლე ნიკაპი, რაც უმთავრესია, დიდი, ყვითელი ყურები და ლიმონისფერი სახე.

ნუნუს სილამაზეს განსაკუთრებით ხაზს უსვამდა მის გვერდით მყოფის სიმახინჯე. კორინთელს მოაგონდა ბრძენის ნათქვამი: რო-

ცა სილამაზე და სიმახინჯე ურთიერთს მიეახლებიან, ორივენი ძალას მოიცემენ.

„დაიმუხლე, შე ქალო!“ ევედრებოდა ნიორთავა სტუმარს.

კორინთელი მიხვდა, რომ უმთავრესად მას ერიდებოდა ქალი: „დაბრძანდით“, ალერსიანად მიმართა, თავათ კოპიტის მორზე გადაჯდა, ხოლო თავისი დანჯღრეული ტაბურეტი ახლადმოსულს დაუთმო.

ნიორთავამ კიდეჩამოტეხილი თეფშები მოარბენინა, წინ დაუდვა და-ძმას, ინდოურის ხორციც ჩამოურიგა მათ.

„რა ჰქენი, ბიჭო მალხაზ, ინდოურები არ დახოცე გზაში?“ ჰკითხა ნიორთავამ ბიჭუნას.

„ინდოურები არა, დველი მოვკალი დზაში“.

კორინთელს ეუცნაურა ასეთი მოქცევა სიტყვისა. მასპინძელს იდაყვით შეეხო.

რას ამბობსო ეს ბიჭიკო?

„ამ საცოდავს ენა ეჩლიქება. „განი“ ვერ გამოუთქვამს: ინდოურები არა და გზაში გველი მოვკალიო“.

უთარჯიმანა ნიორთავამ.

ნიორთავას ხვეწნის მიუხედავად ნუნუმ არაფრის ჭამა არ ისურვა, ხოლო მალხაზმა უკითხავად დაითრია ინდოურის ბარკალი, ნადირივით ღიჯნიდა მას, ცხენის კბილისებრ ყვითელ ღოჯებს აჩენდა ჭამის დროს.

სუფრაზე ჩამოვარდნილი უხერხული სიჩუმის დასარღვევად კორინთელი ნუნუს შეეკითხა:

ვისიაო ეს ბიჭუნა?

ჩემი ძმა არისო, მიიღო პასუხი.

„ნამდვილი ძმა?“

„ჩემი ნახევრად ძმაა, მამის მხრიდან ერთნი ვართ“, სთქვა თავჩაქინდრულმა ქალმა.

კორინთელი გაოცებული დარჩა: ასეთი ლამაზი და ეგზომ მახინჯი ერთი და იმავე მამის ნაშიერნი როგორ არიანო, გაიფიქრა და ღვინო მიაწოდა ქალს. ბიჭი მოებღაუჭა ჯამს, ხელიდან წაჰგლიჯა ნუნუს და ხახაში გადაუძახა.

ნუნუ მისწვდა ჯამს და არ აცალა გამოცლა. ღვინო ბლუზაზე ჩამოეღვენთა ყმაწვილს.

„რატომ დაუშალე, ქალო?“ შეეკითხა კორინთელი.

„თუ არ დავუშალეთ, ძლიერ ეტანება ღვინოს. სამ წლამდის მიწას სჭამდა. ახლა ღვინო შეუყვარდა. მთვრალი რომ მივგვარო, ჩემი დედინაცვალი მომკლავს“.

„რამდენი წლისა ხარ, ბიჭიკო?“

მალხაზი მოიღუშა და პასუხი არ გასცა კორინთელს.

ცამეტისაო, მიუგო ნუნუმ.

კიდევ ერთი ნაჭერი დაითრია გობიდან მალხაზმა. ისევ იგივე ხვადი, რომელმაც კორინთელს ინდოურის საბძელი წაართვა, ეცა მალხაზს და ხელიდან გამოაცალა ბარკალი.

ღრიანცელი მორთო ყმაწვილმა. კორინთელი შესძრა ვაგლახად დაღრეჯილი ყმაწვილის ცრემლებმა, ახალი ნაჭერი გადაუღო და მოეფერა...

თავი მომჭრესო ამ ტიალმა კატებმა, აყვირდა ნიორთავა და ცოცხს წამოუსვა ხელი. კატები ფაცხაფუცხით აჰყვნენ სხვენზე მიდგმულ კიბეს, ნიორთავა უკან გამოუდგა მათ ცოცხით ხელში და სხვენზე გაიმართა ნამდვილი ომი.

უარესი ამბავი დაატრიალა ამ ღონისძიებამ, კაკუტებზე მორბენალმა კატებმა მჭვარტლის ლოლუები ჩამოჰყარეს ძირს, მჭვარტლით გაივსო გობი და პროფესორის გაკრიალებული კაბარდინის საწვიმარიც გაიმურა.

მალხაზმა თავადვე იპოვნა ნუგეში: ნიორთავას მიერ ძირს ჩამორეკილი კატები რა დაინახა, შურისგება მოუნდა, წკნელს დააავლო ხელი.

სასოწარკვეთილი ნიორთავა ანუგეშა კორინთელმა: საწვიმარს არა უშავს რაო.

როცა ყოველივე მიწყნარდა, ნუნუს სადღეგრძელოც წარმოთქვა მასპინძელმა: აქებდა მის თავმდაბლობას, სათნოებას და სიბეჯითეს.

კორინთელმაც ხელში აიღო ჯამი, ადღეგრძელა და ჰკითხა:

„შვიდწლედი ხომ გაქვს დასრულებული?“

ნუნუმ თავი ჩაღუნა და გაწითლდა ისევე, როგორც წეღან ნაკვეთზე.

„არ აცალა მაგ აშარმა დედაკაცმა. თორემ ნუნუ ფრიადოსანი იყო“, სიტყვა ჩაურთო ნიორთავამ.

„ვინ არ აცალა?“ იკითხა კორინთელმა.

„ქეთუამ, მისმა დედინაცვალმა“, მიუგო მასპინძელმა.

„ალბათ მიტომაც ვერ გაიგე პითაგორას თეორემა“,— უთხრა კორინთელმა ნუნუს.

„ცოტა რამ გავიგე, მაგრამ მთლად ნათლად არა მაქვს წარმოდგენილი, თუ რა საჭიროა სწორკუთხოვანი სამკუთხედი ვაზნარის დაგეგმვისას“, მორცხვად სთქვა ქალმა.

კორინთელმა ჩხრი აიღო ხელში, მუგუზლები განზე გადასწია,

ნაცარმოყრილი ფიქალი ჩხირით მოასწორა, ჯერ ოთხი კიდიდან მოხაზა, ზედ სწორკუთხოვანი სამკუთხედი გამოსახა და სთქვა:

„ცოტა პრიმიტიულად გამოგვდის ეს საქმე, მაგრამ არაფერია, ძველ ბერძნებს ჩვენებური აუდიტორიები არ ჰქონიათ, ისინი ასე კერასთან პურობის დროს, ან სადმე ბაღში ასწავლიდნენ გეომეტრიასა და ფილოსოფიას, ნახშირის ნაჭრით ან ჩხირით აღჭურვილნი.

ვთქვათ, ეს ჩვენი საგენახე ნაკვეთია, ეგეც სწორკუთხოვანი სამკუთხედი“...

ამგვარად მიჰყვა და ხელახლა სათითაოდ აუხსნა ნუნუს კათეტებისა და ჰიპოტენუზის სიგრძის ამბავი, პითაგორას ცნობილი თეორემა. და მანამ არ მოეშვა, სანამ თვალებგაბრწყინვებულმა ქალმა არ განაცხადა:

ახლა ყოველივე ნათელიაო.

ნიორთავა შეთვრა, იგი დაჟინებით აძალებდა კორინთელს ღვინოს. სტუმარს თავათაც მისწევდა ის შემპარავი წადილი სმისა, რასაც იწვევს ხოლმე ქინძმარაული თავისი სურნელებისა და გემოს მეოხებით.

მას უკვე სიამოვნებდა ამ მშვარტლიან წისქვილში ყოფნა, გელაზების ერთობლივი გრუტუნი, ფქვილში ამოთხვრილი მეწისქვილის საუბარი და ეგ ნაცრიანი პურიცა, მაგრამ იმასაც ჰხედავდა, რომ აქ ხანგრძლივად დარჩენა და ღვინის სმის განგრძობა აღარ ვარგოდა.

„თუ გინდა ადამიანმა შენი ქვეყნისათვის რაიმეს გაკეთება შესძლო, სათანადო ავტორიტეტი უნდა შეინარჩუნო როგორც ხელისუფლების, ისე ხალხის თვალში.

წვრილმანიო? ხანდახან წვრილმანსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. უქნარა ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებს ადვილად ამოეფარება ბოლმე, მაგრამ წვრილმანებშიაც გამოჩნდება კაცი“, ფიქრობდა კორინთელი.

კერაზე გაჩაღებული ცეცხლი საამურად ტკიცინებდა, კოპიტის მორებიდან გამოჟონილი დუჟი შიშხინებდა. ამ იდილიას ამშვენებდა ეს მწყერივით პუტკუნა და მშვიდი გოგონა, რომელიც ასე ძლიერ აგონებდა კორინთელს „რკინის მანდაკიან ქალს“, ბოლო ქინძმარაული საამურ წინწკლებს აფრქვევდა სველი ხელადიდან ჯამში გადმოსხმისას. იგი ძლიერ, ძლიერ წააგავდა იმ ღვინოს, რომელიც კორინთელმა და მისმა მეგობრებმა სვეს ქვევრის თავზე, გიმნაზიის დასრულების აღსანიშნავ ქეიფზე, თელავში.

კორინთელს ამ ღვინომ თავისი გამწარებული, მაგრამ მაინც ტკბილი სიჭაბუკე მოაგონა.

„ოცი წლის რომ ვიყვე ახლა, ოჰ, როგორ მოვულხენდი ამ ღვინოს, თუნდაც გათენებამდის ვიქეიფებდი ამ გამურულ წისქვილში. მაგრამ ვაგლახ, ჭაღარა არა მარტო სიკვდილის მოახლოვების მაცნეა, არამედ იგივე ჭაღარა ჰმატებს ადამიანს თავმდაბალ სუხისმგებლობას ოჯახისა და თანამემამულეთა [illegible]“ — [illegible] კორინთელი და მის გულში ერთი და იგივე აზრი წრიალებდა: არავინ შემოვიდესო უცხო; უცნაურად თრთოდა, თითქოს უსაშველო რაიმე დანაშაულს ჩადიოდა.

მეორე მხრით, არც ის უნდოდა, ბედშავი ბიჭუნა მალხაზი შემობრუნებულიყო წისქვილში და ეს იდილიური განწყობა დაერღვია თავისი მოუსვენრობითა და კატებთან ბღლაძუნით.

ნიორთავა არ ცხრებოდა, მის დამჭკნარ ლოყებსა და დანაოჭებულ ღაწვისთავებს თრობის ალმური შემოგზნებოდა, დამტვერილი განჯინიდან წარამარა გამოჰქონდა ჩურჩხელები და ჩირის გალა, ისევ აძალებდა ღვინოს თავის სტუმარს, ხოლო ეს უკანასკნელი აშკარად გრძნობდა, მას უკვე მიღწეული ჰქონდა ის მიჯნა, რომლის გადალახვისას კარგი ღვინო შემპარავი ძაღლივით გეცემა ხოლმე მუხლებში.

„აწი აღარ შეიძლება მეტის დალევა“, მტკიცედ უბრძანა თავის თავს ვახტანგმა.

როცა ისევ გაუვსო ნიორთავამ ჯამი, კორინთელმა აიღო და განზე გადადგა.

მასპინძელი მცირე ხანს დაცხრა იმ იმედით, რომ ქინძმარაული უჩემოდ შეიტყუებსო სტუმარს.

ახლა ესღა უნდოდა, როგორმე საუბრით შეექცია კორინთელი.

„ჩემი ციხიწისქვილი ნამდვილი კლუბია, ჩემო ბატონო, მონადირეების კლუბი, ხშირად ეზარებათ ყვარელს წასვლა, ხანაც სასტუმროში ოთახს ვერ პოულობენ და მე მეწვევიან ხოლმე. ამ ზამთარში, ერთ წვიმიან ღამეს, სამი ტფილისელი აგრონომი მეწვია. ნაშუალამევს, ნადირობიდან მობრუნებულებმა ღვინო სვეს და მთელი ღამე კერის პირად საუბრობდნენ ტკბილად.

ერთი მათგანი პროფესორის თანაშემწე იყო ვგონებ. რა ჰქვია პროფესორის თანაშემწეს, ჩემო ბატონო?“

„ასისტენტი“, მიუგო კორინთელმა.

„ჰო, ასისტენტი,— განაგრძო ნიორთავამ.— ეს ასისტენტი ამტკიცებდა: ვაზი და ღვინო ჩვენგან წაულიათო ბერძნებს და კიდევ სხვა ხალხებს, მე მათი სახელი არ მაგონდება. ახლა მე მინდა, თქვენი აზრი მოგვასმენინოთ ამ საქმის გამო, ჩემო ბატონო“.

„დიახ, ასეთ შეხედულებას მართლაც იცავს ზოგიერთი“.

სთქვა კორინთელმა და, რაკი ნიორთავა ისევ წამოდგა და რომელიღაც ახალი სასმისის გამოსაჩხრეკად წავიდა, ნუნუ მეუბნება: ისტორია თუ გისწავლიათო?

ცოტაოდენი მისწავლიაო, უპასუხა მოკრძალებულად ქალმა.

„მრავალგვარი საბუთი ამოწმებს ამ დებულებას: ჩვენს ქვეყანაში აღმოჩენილ სამარხებში ნაპოვნი ღვინის ფიალები, სამწდეურები და სხვა მისთანანი, რომელნიც არა ერთი ათასი წლის წინანდელ ხანას მიეკუთვნებიან.

გარდა ამისა, სხვა საბუთებიც გვაქვს: მცირე აზიიდან გადაიღეს ბერძნებმა ე. წ. „დიონისიას“ დღესასწაული, რომელიც იმართებოდა ღვინობისთვესა და მარტში.

იგი მიძღვნილი იყო თრობის ღმერთის — დიონისოსადმი.

შეუძლებელი აქ არაფერია. ცხადია, ბერძნებსა და ჩვენი ქვეყნის სხვა დამპყრობლებს მარტო ოქრო როდი მიჰქონდათ ჩვენგან, მიჰქონდათ ახალი, მათთვის უცხო იდეები, მცენარეთა და ცხოველთა სხვადასხვა ჯიშიცა.

ჰოდა, ცოტაოდენი ისტორია თუ გისწავლია, ისიც განაგონი გექნება, რომ დაახლოებით მეცხრე საუკუნეში, ჩვენს წელთაღრიცხვამდის, ბერძნების პოეტმა ჰომეროსმა დასწერა პოემა „ოდისეა“, რომლის გმირი ოდისე ჩამოდის კოლხიდაში ანუ „აიას ქვეყანაში“ და ეწვევა სტუმრად კოლხთა მეფის აეტესის დას — კირკეს“.

ნიორთავას ეუცნაურა ეს სახელი და ბარე სამჯერ ჩაიდუდუნა: „კირკე, კირკე, კირკე“, ბოლოს დასძინა:

„რა უცნაური სახელია, ჰა?“

და როგორც საამურ ცეცხლის პირად დამჯდარი მეზღაპრე აუჩქარებლად, დინჯად და სადად მოჰყვება ხოლმე ძველსა და გრძელ ამბებს, ტაატით საუბრობს, რათა დრო მოჰკლას როგორმე და მსმენელებსაც არ მოჰგვაროს რული, ისე მოუთხრობდა კორინთელი ნუნუსა და ნიორთავას იტაკის მეფის — ოდისეს ძველ კოლხიდაში, ანუ „აიაიას ქვეყანაში“ მოსვლას.

ჯერ ის უამბო მათ, თუ როგორ განგმირა ოდისემ შუბით „დიდი და ქორბუდიანი რქებით აღჭურვილი ირემი“, მხარზე გაიდო და მიუტანა თავის მხლებლებს გემზე. და როცა ბერძნები ირმის ხორცს მიაძღნენ, ორი რაზმეული შეადგინა ოდისემ „აიას ქვეყნის“ დასალაშქრავად, ერთს თავათ დაუდგა სათავეში, ხოლო მეორეს ევრილოხოს უსარდლა.

დიდხანს იარა ევრილოხოსმა უკაცრიელ ღრანტეებსა და ტყეებში, ბოლოს მიადგა „გულბოროტი“ კოლხთა მეფის — აეტესის

დის — კირკეს სასახლეს, „თლილი ქვით ნაგებს“ უსიერ ტევრში.

მოჯადოებული ლომები, მგლები და გარეული ტახები დასუნსულებდნენ სასახლის ირგვლივ და ერთგულად, ეცავდნენ მას.

„ქალი თუ ღმერთქალი“ კირკე ჯარას ატრიალებდა და თანაც მომჯადოებლად მღეროდა. კირკემ იხტუმრა ბერძნები, ფქვილი, თაფლი და რაღაც „ჯადოსნური შავი ბალახი“ გაარევინა ღვინოში, შეასვა სტუმრებს და ღორებად აქცია ისინი.

ღორული დინგი გამოესხათ ბერძნებს, ღორული ჯაგარი ამოუვიდათ სხეულზე, ღორული ღრუტუნი მორთეს და რკოს დაუწყეს ჭამა. სახრე აიღო კირკემ და საღორეში შერეკა ისინი.

ძალით გაღორებას შემთხვევით გადაურჩა ბერძენთა სარდალი ევრილოხოს, გემზე მიბრუნდა და ტირილით ამცნო ეს ყოველივე თვისტომებს.

ოდისემ წელზე შეირტყა „ვერცხლით მოჭედილი დიდი ხმალი“ და კირკეს სასახლეში გაემართა ტყე-ტყე...

იგი თავაზიანად მიიწვია თავის სასახლეში კირკემ, ვერცხლის ტაბაკი წინ დაუდგა და მასაც შეასვა ჯადოსნური წამლით შეკაზმული ღვინო. ბოლოს სახრე აიღო კირკემ და საღორეში დამწყვდევა დაუპირა ოდისეს.

ხმალი გააშიშვლა ოდისემ და ერთგულების ფიცი გამოსძალა კირკეს.

ახლა ოქროს ტაბაკი დაუდვა თავის სტუმარს მასპინძელმა „ოქროთი და ძოწით მორთულ“ თავის სასახლეში და მიართვა ოდისეს „წინწკლების მფრქვეველი ღვინო“. და ეს „წინწკლების მფრქვეველი“ კოლხური ღვინო მრავალგზის ნახსენებია ჰომეროსის „ოდისეაში“, დასძინა კორინთელმა.

ცნობილია: ცეცხლი, ქალი და ღვინო საუბრის წადილს უორკეცებს მამაკაცს. ახლა ეს უნდა ეამბნა თავის მეინახეთათვის კორინთელს, თუ როგორ შეიწყალა კირკემ „გაღორებული“ ბერძენი მეომრები და ისინი კვლავ ადამიანებად აქცია. ისიც უნდა მოეთხრო, თუ როგორ მივარდნენ ბერძნები „წინწკლების მფრქვეველ“ კოლხურ ღვინოს, — სწორედ ამ დროს ისეთი ძალით მოაბრახუნა წისქვილის კარზე ვიღაცამ, აგრე ეგონათ მასპინძელსა და სტუმრებს, სადაცაა ჩამოვარდებაო კარი.

კორინთელი უსიამოდ შეკრთა, ერთი მიიხედა გასავლისაკენ — სამი თოფიანი კაცი შემოვარდა წისქვილში.

„ნიორთავა, სადა ხარ, შე ღმერთძაღლო?..“

დაიღრიალა სამთა შორის პირველად შემოსულმა, რომელსაც დახოცილი კურდღლები ეკიდა ქამარზე.

ნიორთავა კარებთან გაჩნდა.

„ჭკუით იყავი, კანკრე!“ დასჭყივლა ახლადმოსულს და კორინთელზე აჩვენა თვალით.

დამდუღრულივით გაბრუნდა კანკრე და სამივენი გაქრნენ ბნელში...

„ვინ იყვნენო?“ იკითხა კორინთელმა.

ნიორთავა მიხვდა, ამ ანგლების დანახვა მაინცდამაინც რომ არ ეამა კორინთელს. ძლიერ შეცფუნდა ნუნუც, მაგრამ ხმა არ გაიღო. უხერხული დუმილის დასარღვევად ესღა წაიდუდუნა ნიორთავამ:

„ჰაი, გიდი, მაგ დალოცვილ კირკეს ღვინო მქონოდა ერთი, ღორებად ვაქცევდი სამივეს ახლავე“.

კორინთელმა ჯამი გამოართვა ნიორთავას, ღვინით გაავსო და სთქვა:

„ახლა მე ვიტყვი უკანასკნელ სადღეგრძელოს, ჩემო სოლომონ. მთელი მსოფლიო შემომივლია თითქმის და არსად მინახავს ციხიწისქვილი სხვაგან. ეს „ციხიწისქვილი“, როგორც თქვენ იტყვით ხოლმე, დიდად დაძაფიქრებელი რამაა.

მაშასადამე, ჩვენს ხალხს ციხეში უხდებოდა მარცვლეულის დაფქვაც. ჩვენ აბჯარი შემოგვაცვდა აურაცხელ მტრებთან ბრძოლაში, ზოგი მათგანი ღორად გადაიქცა, ზოგის გასაგისი აღარაა ამქვეყნად.

რომაელებთან და ბერძნებთან გვიბრძოლია, მონღოლებთან და სელჯუკიანებთან, ზოგ-ზოგი მათგანი უკვე აღარ არიან ამქვეყნად, ჩვენ გადავრჩით, და გადაგვარჩინა ჩვენი ხალხის შეუმუსვრელმა მხნეობამ და ვაჟკაცობამ.

ქართველი ხალხის სადღეგრძელო იყოს!“

პროფესორმა სანახევროდ დაცლილი ჯამი ნიორთავას გადაულოცა და სუფრიდან წამოდგა.

ამაოდ ეშუდარა მასპინძელი. ბოლოს წისქვილი გამოკეტა ნიორთავამ და სტუმრების გაცილება არ დაიშალა არასგზით.

•

ჰაერზე გამოსვლისას უკვე იგრძნო კორინთელმა, რომ ღვინო წამოსძალებოდა. იგი გზადაგზა ესაუბრებოდა ნუნუს ყვავილებისა და ფოთლების სახეცვლის, მიწის წიაღში მომხდარი ბიოქიმიური პროცესსების გამო. თანაც ნატრობდა, არასოდეს მრთავებულიყო კოლმეურნეობის წისქვილიდან ბერმუხამი მიმავალი გზა.

მათ უკან ნიორთავა და მალხაზი ტაატით მოერეკებოდნენ სახედარს. შეზარხოშებული მალხაზი ისეთი ტკბილი ტენორით მღეროდა, გაოცებული იყო კორინთელი:

ასეთ ულამაზო ყმაწვილს როგორ ამოდისო ყელიდან კერკეს ღვინოსავით მომჯადოებელი ხმა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრაველის ქუდი

„მალხაზ, გაიხედე, ნუნუ ხომ არ მოდის?“ მიაძახა ქეთუამ თავის ვაჟს, კეცი შეაგდო ღადარში, მერმე გამოიტანა ვარცლი და ცომს დაუწყო ზელვა. ბიჭი შემობრუნდა შრამელში, კერას მიუჯდა და წაიდუდუნა:

„ნუნუ არსად სჩანს და პაპა აბრია კი მოდის“.

ამის თქმა მოასწრო მალხაზმა და შრამელის კარის ჩარჩოებში გაეხირა აბრია უჯირაული.

კარი დაბალი იყო და ვიწრო, ასე რომ აბრია იძულებული გახდა წელში მოკუზული შემობოტებულიყო შიგ. ახლადმოსულმა დიასახლისს სალამი უთხრა და დასძინა:

„რა გაგჭირვებია, ქალავ?“

ქეთუა ვარცლს მოეშვა, ცომიანი ხელები ზეასწია და უთხრა:

„მე ქმარი არა მყამს და განმკითხავი, პაპა აბრიავ, შენა ხარ უჯირაულთა გვარის უმფროსი და თავკაცი; სასიხარულო ამბავი უნდა გამცნო“.

აბრიამ შენიშნა, ქეთუას უზომოდ შეეთხიპნა ლაშები სისხლისფერი პომადით. დედაკაცმა შრამელში მიიხედ-მოიხედა, მალხაზზე შეაჩერა მზერა და უთხრა:

„გარეთ გადი, მალხაზ, მცირე ხანს“.

„რა მინდა დარეთ?“ სთქვა ჭირვეულად ბიჭუნამ.

„გარეთ გადი-მეთქი, ბიჭო, ერთი ნახე, ხბორები ხომ არ შეპარულან ბოსტანში?“

„არ მინდა დარეთ დასვლა“, ისტერიულად იყვირა ბავშვმა და ფეხების ბაკუნი მორთო.

„გარეთ გაეთრიე-მეთქი!“ დასჭყივლა ქეთუამ და ბრაზმორეული გაემართა ყმაწვილისაკენ.

მალხაზი ტაბურეტს მოებღაუჭა, ქეთუა დააცხრა შვილს და ტაბურეტიანად გარედ გააგდო, ყმაწვილის ჭირვეული ტირილი მძაფრად გაჯახუნებული კარის ჭრიალმა დაფარა.

შრამელში მიბრუნებულმა რა შენიშნა გახურებულაო კეცები,

ისევ კერასთან მიფათურდა. ხაჭაპურის ზედაპირზე უტკაპუნებდა ხელს ლოყებშეწითლებული, თანაც ქაქანებდა:

„ქმარი არა მყამს და განმკითხავი, პაპა აბრიავ, ვისდა ვკითხო რაიმე. შენ ხომ პაპა ხარ ნუნუსი, მისი ერთადერთი პატრონი, რაკი მაგ ოხერს არც დედა შერჩა და არც მამა. ბედი კარზე მოადგა ნუ-ნუს, პაპა აბრიავ“.

„რა ბედი, რას ამბობ, ქალავ?“

„კობერიძე ჩამოვიდა ქალაქიდან დიდის საჩუქრებითა“

„ვინ კობერიძე, ქალავ?“

„კობერიძე, ღვინის ვაჭარი, ჩემი საწყალი ქმრის მეგობარი, პაპა აბრიავ“.

„შენ გინდა თქვა, შენი ქმრის დამღუპველი, არა?“

„რომელი დამღუპველი, რას ამბობ, პაპა აბრიავ, თავათ დაღუპა იმ ბედშავმა თავისი თავი“.

„მე კობერიძე არ მინახამს. ცხვარში ვიყავი მაშინ, მაგრამ ეს კი მაქვს განაგონი, სწორედ მაგ ღვინის ვაჭარმა კობერიძემ წაიყვანა შენი ქმარი ქალაქს, მთელი თავისი მონაგარი იქ ჩაატოვებინა გაოხრებულ არტელში, გაალოთა, გადარია კაცი და მერმე ის იყო, გაძვალტყავებული შინ მობრუნდა ბედშავი გობრონი“.

ქეთუამ ცომზე ხელის ტყაპუნი შეაჩერა, თავზე წამოადგა ჯირკვზე მჯდარი აბრიას და სთქვა:

„ასე იყო, თუ ისე, ჩემო აბრიავ, ი გომბიო უნდა გავათხოვოთ როგორმე, თორემ იცოდე, ბუშს მოგიგდებთ უჯირაულებს. სოფლის ბიჭები დალესილები არიან ნუნუზე.

რაღა დღეს, რაღა ხვალ: დღევანდელი ქალები დღედაღამ ბიჭებთან არიან ტყეში, ყანაში, ვენახში, ფარეხში, კრებაზე და კინოში, ყველგან, ყველგან...

მუდამ გეგმის შესრულებაზე ოცნებობენ: კოლმეურნეობა ჩამორჩაო, დღე და ღამეს ასწორებენ. მე ეს მითქომს და სხვა თქვენ იცოდეთ. ან თქვენ გაათხოვეთ, ან მე გამიხსენით ხელი. თქვენ მოუარეთ, ბატონო, თქვენს სისხლსა და ხორცს“, ანჩხლობდა ქეთუა.

აბრია ცოტახანს თავჩაღუნული შესცქეროდა ცეკვლს, ხოლო ქეთუამ განაგრძო:

„ბედი კარზე მოადგა ნუნუს, ენითუთქმელი საჩუქრები ჩამოუტანა. მდიდარი კაცია კობერიძე, ყელამდის დოვლათში ცურავს“.

„ნუ გშურს მაგის სიმდიდრე, ქალავ, მართალია, ქურდს გრძელი ხელი აქვს, მაგრამ ქურდი ტყუილის მთქმელს ერთ რამეში ჰგავს: მასაც მოკლე აქვს ფეხები“.

„მე ის არ ვიცი, ქურდია თუ მამისეული მონაგარი აქვს — მეფესავით რომ ცხოვრობს, ამას მეზობლიანთ მარუაც დაგიმოწმებს; მარუას დაი ქალაქშია გათხოვილი, ასე ამბობს, მშვენიერი შიფონერკა აქვს თურმე სახლში, რკინის საწოლები, ნოხები და პიანინო".

„ნურც მაგ შეგშურდება, ქალავ".

„ასეა თუ ისე, შენ ეგ იცოდე, აბრიავ, მე დღეს-ხვალ სახლი და კარ-მიდამო უნდა გავყიდო, ქალაქს უნდა წავიდე: ორიოდე პარასკევი დამრჩენია, მოსვენებით უნდა ვიცხოვრო, ჩემს ვაჟს უნდა კუალიმო, მე თავათ ავადა ვარ, შარდის ბუშტის ანთება მჭირს, პაპა აბრიავ".

„თუ ჭკუას მკითხავ, უნდა მომისმინო კიდევაც, ქალავ, კობერიძე რად გინდა, გადამთიელი, მე და ჩემს ძმას — ლუოს სულ სხვა რამ გვქონდა გუნებაში. კანკრესთვის უნდა მიგვეთხოვებინა ნუნუ. შოფერი კაცია, ხელობა ხელში აქვს, ამას წინათ გამოგვიტყდა ნალინევზე კანკრე: მე ქალაქიდან ამიტომაც ვარ ჩამოსული, ცოლად უნდა შემრთოთო ნუნუ. კანკრე ჩვენი გაზრდილია..."

შეცბუნდა ქეთუა:

„კანკრეო? აკი თქვენ, თუშები, სხვა გვარის შვილებს ერთავთ მხოლოდ. რას ამბობ, ძია აბრიავ, რას, უჯირაულის ქალი უჯირაულს უნდა მიათხოვოთ?"

„საქმე ისაა, რომ კანკრე უჯირაული როდია, ბოდბელი დიაკვნის კოპეშავიძის ობოლი იყო, და ჩემმა ძმისშვილმა იშვილა, — ეს ჩვენში დარჩეს ოღონდ, ეს ამბავი შირაქში მოხდა და დღესაც არავინ იცის".

„ოჰო, ეს რა მითხარი, აბრიავ, ახლა კი მესმის, მიტომაც ამიყენა ტალახი კარზე მაგ კანკრემ, დღედაღამ აქ იყო აყუდებული, ხან ღორის დაკვლას მოიმიზეზებდა, ხან შეშის დაჩეხაზე მშველი და ღვთის წინაშე, მიკვირდა კიდევაც.

ამას წინათ გვიან საღამოს უნახავს ნუნუ სანერგე ფარდულთან გოდერძისთან მოსაუბრე. იმ ღამეს მოუვარდა და უშვერი სიტყვებით ლანძღავდა, თუ ერთხელ კიდევ მოგახელე მაგ გოდერძისთან, ორივეს ხანჯლით გამოგშიგნავთო".

ისევ კერასთან მიფათურდა ქეთუა, ხელებს უტკაპუნებდა ცომს და ქაქანებდა:

„მე თუ ამ ოჯახის პატრონადა მთვლით უჯირაულები, არ მინდა ამ სოფელში გავათხოვო ნუნუ. კანკრეს ზედსიძედ მოსვლა ენდრომება, მე კი ეს მინდა — ქალაქში გავათხოვო ქალი, სახლ-კარსა და საკარმიდამოს გავყიდი, თავის წილს მივაშავებ და ტფილისს წავალ".

„სახლ-კარის რა გითხრა და საკარმიდამო ნაკლებად გაგიყიდნია. ჩემო რძალო. თედო თარალაშვილი შავ დღეს დაგაყენებს, იცოდე. მიწის გაყიდვა მოკვდა, ჩემო რძალო“.

„ისე გავყიდი, მზეც მაღლა იყვეს“, სთქვა ქეთუამ და შრამელის კარი აჭრიალდა, მოლუშული კანკრე შემოვიდა, კერასთან მივიდა, ნაკვერჩხალი გამოიღო და პაპიროსს მოუკიდა.

„რა მოგსვლია, კანკრე, რად ჩამოგტირის თავპირი?“ შეეკითხა ქეთუა და ისევ განაგრძო კეცზე დაკრულ ხაჭაპურზე ხელების ტკაპუნი.

„არაფერია, ძალუა ჩემო, სატირალი რა მაქვს, სატირალი შენ გაქვს, ბედშავო“.

„მე რა მაქვს სატირალი, რას ვროშავ, სატირალი ღმერთმა ნუ მომცეს მეტი!“

„კი არ ვროშავ, მართალს გეუბნები, ძალუა ჩემო, მართალს!“.

„შენ ეგა თქვი, სატირალი რა მაქვს?“

„ნუნუს ათხოვებთო, მომახარა მეზობლიანთ მარუამ წეღან, სასიძოც მოგსვლიათ, კობერიძე, ქალაქელი ავარა, იმ შენ ნუნუს ერთი ორი თვით წაიყვანს, მერმე უკან მოგიგდებს. შესაძლოა, კვიციც გამოატანოს თან, ბარე სამი ცოლის ალიმენტს იხდის უკვე“.

„ნელა ილაპარაკე, ბიჭო“, შერისხა ქეთუამ კანკრე და სასტუმრო ოთახის კარისკენ თვალით ანიშნა. შრამელის კარი გაიღო, ჭროლათვალება დედაკაცი შემოვიდა, მეზობლიანთ მარუა და კერას მიუჯდა.

„მოგილოცავთ ნუნუს გაბედნიერებას“, უთხრა დამხვდურებს მარუამ.

„ეჰ, ჯერ ბედნიერება შორსაა, მარო ჩემო, ვნახოთ რას იტყვის ნუნუ“, უთხრა ნაღვლიანად ქეთუამ.

„ნუნუს ვინა კითხამს, ქა, მე და შენ როდი გვკითხეს, ვის მიგათხოვოთო?“ სთქვა მარუამ, აბრიასა და კანკრეს შეავლო თვალი.

კანკრემ ხმა არ გაიღო და აბრიამ დაიბუტბუნა:

„ეჰ, ბარემც მართალი ხარ, მარუა, ჩვენს დროში ქალს გათხოვებას იმდენს კითხავდნენ, რამდენსაც გასახედნავ ცხენს უნაგირის ზედდადგმას. აგეთი ყოფილა ჩვენი მამა-პაპის წესი და უჯიროულებს სხვა წესი არასოდეს გვქონია. მაგრამ“...

„მაგრამ რაო?“ ჩაჰკითხა მარუამ.

„ისა, რომ დღევანდელი ქალი სხვაა. შვილოსან, ხომ ნახე იმ დღეს დინამიტს როგორ აფეთქებდა ჩვენი ნუნუ“, მიუგო აბრიამ,

ლადარიდან გამოღებული ნაკვერჩხალი ყალიონზე დააგდო და ცეცრით ჩასტენა შიგ.

„ქოჩორში უნდა წაავლო, პაპა აბრიავ, ხელი. აკი შენა ხარ უჯირაულთა გვარის უხუცესი“, ამბობდა მეზობლიანთ მარუა.

„ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ კობერიძის სახლობა უჯირაულებს არ გამოადგებათ“, სთქვა კანკრემ.

„ნუ ყვირი, ბიჭო!“ დასჩხავლა ქეთუამ და ისევ ანიშნა თვალით სასტუმრო ოთახის კარზე.

„თუ გაიგონებს, ხახვი არ დამაჭრას ყურებზე მაგ ჩემანალამ“, ლრინავდა კანკრე.

„სსსუ, სად დაგიკარგავს სირცხვილი, ბიჭო, რას როშავ?“

„რასა და მართალს“.

„აბა, ეს მითხარი, შენ საიდან იცნობ კობერიძეს, ჰა?“

„მაგის მზემან, არ ვიცნობ! ქალაქში ვინ არ იცნობს მაგ სპეკულანტს, კობერიძეს, კახეთიდან წაღებულ ღვინოებს წყალსა და სახარინს გაურევს და ამის ვაჭარია“.

„მერმე შენი რა დარდია ეგა?“ წიწმატობდა ქეთუა.

„მე ნაკლებად დამდგომია მის გამო დარდი, შენ შეგხვდება, როცა ვირის აბანოში ჩააყუდებენ მაგ შენ სასიძოს“.

„იყუჩე, ბიჭავ. სტუმარი ღვთისაა, ხომ გაგიგონია?“ შერისხა აბრიამ კანკრე.

შემოვიდა ლუო უჯირაული, მას თან შემოჰყვა პატარა მალხაზიც.

აბრია წამოდგა, ლუოსა და კანკრეს ხელი წაავლო და დაბალ ბერიან სასტუმრო ოთახში შეუძღვა.

ახლა მხოლოდ მეზობლიანთ მარუა იჯდა კერასთან და უცქეროდა, თუ როგორ შეჰქონდათ ქეთუასა და მალხაზს ხაჭაპურები, ქათმები და სველი ხელადები.

ღრიჭედ დარჩენილი კარიდან იგი ხანდახან თვალს მოჰკრავდა ხოლმე კობერიძეს, სქელნიკაპიან, ლოყებლაჟლაჟა ახმახს, რომელიც სვავივით ყლაპავდა ღვინოს, მოლუშული იჯდა და ყურს უგდებდა მეინახეთა ულიმლამო საუბარს.

გრძელკისერა, მხარბეჭიან ვაჟკაცს კრაველის ფაფახი ეხურა. ქეთუა უთვალთვალებდა ბრჭყვიალა კრაველის ქუდს, რომელიც სიახლისაგან ოქროსფერად ვარვარებდა.

ცა არა ჰქონდა კონუსისებრ წოწოლას, ზეთაჩაკეცილი ქუდის ქვედა კიდეები ზედ ეყრდნობოდა კობერიძის ფართო და მსუქან ყურებს.

კარი ჭრიალებდა, გარბოდა და გამორბოდა მალხაზი, ყოველ ხელადას იყუდებდა პირზე.

„რასა შვრებიან, ბიჭავ?“ ეკითხება მეზობლიანთ მარუა მალ-ხაზს.

„სვამენ“.

სტუმარ-მასპინძელნი ისხდნენ და სვამდნენ, სჭამდნენ და სდუმ-დნენ, თითქოს სატირალში ყოფილიყვნენ მოსულნი.

მარუა უცდიდა ისეთ დროს, როცა სტუმრებს ღვინო მოეკი-დებოდათ, რადგან გამხიარულებულ სუფრაზე უნდოდა მისვლა. როცა სტუმრები აჩქამდნენ და გაისმა კანკრეს მჭახე ხმა: „და-ლიე“, ისევ აჭრიალდა სასტუმრო ოთახის კარი. ქეთუამ და მალ-ხაზმა უზარმაზარი ჩემოდანი შემოათრიეს შრამელში და კერის პირად გახსნეს.

არა მარტო ფაფახის ბრწყინვალება ხიბლავდათ ქალებს, მარუ-ასა და ქეთუას თვალი აუჭრელდათ კობერიძის მიერ მოტანილი საჩუქრების დანახვაზე.

სასოებით ამოჰქონდათ საქორწინო თეთრი კრეპქორქეტის კა-ბა, თეთრი მძივებით მოოქვილი შავი კაშემირის ბლუზები, ფე-რად-ფერადი აბრეშუმით ამონევსილი პერანგები, ლაკის ფეხსაც-მელები, აბრეშუმის წინდები, კაბები, პერანგები და კიდევ კაბები, ფეტრის ქუდები, თავშალები და ყელსახვევები.

ეს ყოველივე გამიზნული აღმოჩნდა ვინმე ძონძროხა დედაკა-ცისათვის. სჩანდა, მათ მყიდველს ბაზარში გაევლო, საეგებიოდ და განუკითხავად ეყიდა ისინი.

ერთი ხავერდგადაკრული ყუთი გახსნეს და შიგ აღმოჩნდა სა-ათი ამერიკული ოქროსი, ასეთივე სამაჯურები და ბეჭდები, აგ-რეთვე თაღლითი თვლებით დამშვენებული.

ერთადერთი ბაჯაღლო ოქროს საათი იდო შიგ და ერთიც და-სანიშნავი ბეჭედი ნამდვილი. ოქროსი. საათზე ვენზელი იყო და ზედ ლათინური „N“ ეწერა.

ცხადია, ამ ნივთების მქვრეტელთ, სიხარბისაგან აღტაცებულთ, მათი უხარისხობა არ შეუნიშნავთ, მაგრამ ყოველივე ეს უგემუ-რობის ბეჭედს ატარებდა.

ქეთუამ აიღო ყავისფერი ფეტრის ქუდი, რომელზედაც კაკა-დუს მწვანე ფრთა იყო მიკერებული, ძლიერ მოეწონა იგი და თავზე დაიხურა.

„ჯერ კაბა მოიზომე, ქა“, უთხრა მარუამ.

ქეთუამ ქუდი განზე გადასდო და შავი შალის კაბა გადაიცვა თავზე, მერმე ისევ იგივე განიერი ქუდი ჩამოიფხატა თავის წო-

წოლა თავზე, მკერდზე საათი დაიკიდა, სამაჯური ხელზე გაიკეთა, გაიძრო ოფლით გაზინთული ჩლატები და ლაკის ფეხსაცმელები ჩაიცვა.

„იფ, იფ, როგორ დამშვენდი. ათი წლით გაგაყმაწვილა, ქა", ამბობდა მეზობლიანთ მარუა, თანაც ისე უტრიალებდა ბანს, თითქოს ქეთუა ყოფილიყო სასძლო.

„ეჰ, მარო ჩემო, აწი მე ვინ მაღირსებს ასეთ რამეებს".

გულდაწყვეტილად კვნესოდა ქეთუა, მაგრამ უცებ ისე აკისკისდა, თითქოს ამ ნივთებმა მას მართლაც შეჰმატესო ახალგაზრდობა.

გახალისებული ქეთუა დარდობდა, სასტუმრო ოთახში რომ არ შეეძლო შესვლა, რათა კედლის სარკეში ენახა თავისი თავი, ასეთი „უცხო სიმდიდრის" შარავანდით მოსილი.

კეკლუცად ბზრიალებდა ქეთუა, იგონებდა თავის ქალწულობას და იმ „ბედნიერ დღეებს", როცა მამამისი, ცნობილი მეკუბოე, მას აბრეშუმის კაბებს აცმევდა.

და როგორც ცუდად აღზრდილ ადამიანებს სჩვევიათ, მოსდგა ქეთუა და მეათასეჯერ უამბო მარუას თავისი ოჯახის არც ისე ბრწყინვალე მატიანე.

მამაჩემი ბედნიერი იყო, ქალაქში ცნობილი მეკუბოე, რომელიც საკმაოდ დიდ მუხთლობას იჩენდა თურმე კუბოებით ვაჭრობის საქმეში. გამოსაჩენად ერთ-ორ კუბოს გამოსდებდა სახელოსნოში, სხვა დანარჩენებს „შავი დღისთვის" ინახავდა და, როცა ეს „შავი დღე" ჩამოდგებოდა, ესე იგი, რაიმე ჩამომრები სენი გაჩნდებოდა ქალაქში და მეკუბოეები ვერ აუდიოდნენ გამწარებული მუშტრების მოთხოვნას, ფასებს აუწევდა და მუშტრებს ოქროებს დააყაჭვინებდაო. ამ გზით გამდიდრებული მამა ნაირ-ნაირ კაბებს მიკერავდაო.

უკვე შეზარხოშებული, ცალიერი ხელადებით დატვირთული მალხაზი გამობრიალდა სასტუმროდან და როცა თავისი ნირშეცვლილი დედა დაინახა, წელზე შემოეჭდო.

„რა ლამაზი ხარ, დედიკო, დენაცვალე, ჩემო დედიკო, არასოდეს არ დაიხადო ეს კაბა, ჩემო დედიკო!" ემუდარებოდა შეღვინიანებული ბავშვი და კოცნიდა იმ კაბას, რომელსაც ასე დაემშვენებინა მუდამ დაკრეცილ სამოსელში გამოწყობილი დედა.

მარუამ შენიშნა, ქეთუას ღვინო მოჰკიდებოდა. ბავშვის აღტყინებამ დედაც ააღელვა. თავზე აკოცა თავის საწყალ შვილს. ჩემოდნიდან აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოიღო, ცრემლები მოიწმინდა და უთხრა:

„როცა გაიზრდები, ხომ მიყიდი ასეთ კაბას, შვილიკო?“

„სწორედ ასეთ კაბებს დიყიდი, ჩემო დედიკო“.

სასტუმროდან ისმოდა აბრიას ოხოროხი, ლუო უჯრედულის აჩახლეჩილი სიმღერა და ხანაც კანკრეს მჭახე შეძახილი:

„კობერიძე, ღვინოს ნუ იპარავ, დალიე, ჯიგარო“...

„გაიქე, მალხაზ, ღვინო შეუტანე სტუმრებს“, უთხრა ქეთუამ ძვილს და ორი სავსე ხელადა შეაჩეჩა ხელში.

კარის ჭრიალმა შეაკრთო ქეთუა, შეეშინდა: უცხო ვინმემ არ შემომისწროსო: სტუმრის ნაცვლად ნუნუ შემოვიდა, კერას მიუახლოვდა თუ არა, გახევდა მდიდრად მორთული ქალის დანახვაზე, რადგან შრამელში ოდნავ ბნელოდა. ახლა ნუნუს თავისი დედინაცვალი „უცხო სტუმრად“ მოეჩვენა.

მეზობლიანთ მარუამ ეს შენიშნა.

„სტუმარი გვეწვია, ნუნუ“, უთხრა ახლადმოსულს.

ქეთუამ აბრეშუმის ცხვირსახოცი ტუჩებთან მიიტანა და გაილურსა.

ნუნუ ჯერ დაიბნა, მერმე მხნეობა მოიკრიფა და მოკრძალებულად წაიდუდუნა:

„დაბრძანდით, ჩემო ბატონო, ჩემი დედინაცვალი ახლავე გეახლებათ“.

ქეთუა სიცილისაგან გადაფიჩინდა, ატკარცალდა მარუაც, ახლა უარესად შეკრთა ნუნუ.

„ვერ იცანი, გო?“ წამოიძახა მარუამ, კართან მიფათურდა და გამოაღო.

ნუნუ გაოცებული შესცქეროდა ქეთუას და ვერ გაეგო: ვის შეემოსა იგი ასე „მდიდრულად“?

მალხაზმა მოირბინა ქალების ტკარცალზე.

ნუნუმ გახსნილ ჩემოდანს დაადგა თვალი და იკითხა:

„ვინ მოგიტანა ამდენი სიმდიდრე, ქეთუა?“

„აკი გეუბნებოდი, გო, თუ არ გათხოვდები, მე დაგასწრებ-მეთქი. საქმრო ჩამომივიდა ტფილისიდან, ნახე, რაები ჩამომიტანა“, სთქვა და ყვლავ შეუდგა კაბების, საათების, სამაჯურების და პერანგების ამოლაგებას.

„ხვალ ხელს მოვაწერთ და ქალაქს წავალთ მე და მალხაზი“, დასძინა ქეთუამ.

ნუნუს გაეხარდა, ეგებ ეს ჭირი მომცილდესო. განჯინასთან მივიდა, თონის პური გამოიტანა და პირისკენ წაიღო.

მალხაზმა მართლაც დაიჯერა: დედა მითხოვდებაო.

„რა მინდა ქალაქში, მე მამიჩემის სახლიდან არსად წავალ“.

ქეთუა და მარუა კვლავ ატკარცალდნენ.

„დღეს გვიანამდე ვერ მოვრჩებით მუშაობას, ცოტას წავეამ ამ ხმელაპურს და ფარდულში უნდა გავბრუნდე“, ებოდიშებოდა ნუნუ მეზობლიანთ მარუას.

„რას ამბობ, გო, ჩემს ნიშნობას არ უნდა დაეს[illegible]“ ეხვეწებდა ქეთუა.

ბიბლიოთეკა

მალხაზი ღნაოდა, ნერვიულად აბაკუნებდა ფეხებს: არ წავალო მამაჩემის სახლიდან.

ნუნუ გაოგნებული იდგა, ქეთუა და მარუა ხარხარებდნენ... სასტუმროდან კანკრეს ხმა ისმოდა:

„კობერიძე, ღვინოს ნუ იპარავ, დალიე, ჯიგარო“.

მალხაზის ღნავილსა და ქალების ისტერიულ ტკარცალზე სასტუმროდან გამოვარდა შეზარხოშებული კანკრე.

„რა მოგსვლიათ, ჩვენგან შესმულმა ღვინომ ხომ არ დაგათროთ, ქალებო?“ სთქვა და გაოგნებული მიაშტერდა მორთულ-მოკაზმულ ქეთუას. მეზობლიანთ მარუა არ დაიბნა:

„ქეთუას საჩუქრები მოუტანა საქმრომ, უნდა გავათხოვოთ ქეთუა“.

დედინაცვალმა მკლავში ხელი წაავლო გერს.

„მე კი არა, შენ ჩამოგვიდა საქმრო, ნუნუ. ეგ საჩუქრებიც შენია, უნდა მოგილოცო ბედნიერება“, უთხრა და საოცნელად წაეპოტინა მას. ნუნუმ უკან დაიხია ანაზდად, ლოყა აარიდა და სთქვა:

„რას ამბობ, ქა, ვინ საქმრო, რა საჩუქრები? მე სადა მყავს საქმრო?“

„აქამდის თუ არა გყავდა, აწი გეყოლება, გო“, სიტყვა ჩაურთო მარუამ.

„გეყო ერთი და იმავე კაბის ტარება, ამდენი ღარიბობა და ობლობა“, გესლიანად შესძახა დედინაცვალმა. ნუნუმ თავი ჩაღუნა:

„მე ჯერ არავისთვის შემიჩივლია ჩემი სიღარიბე, ჩემო ქეთუა“.

„შენ არ შეგიჩივლია, მაგრამ ღმერთმა უსიტყვოდ გისმინა და ბედი მოგაყენა კარზე“, ისევ ჩაერია საუბარში მარუა.

„მე არავითარი ღმერთი არა მწამს, არც საქმროების მაძებარი ვარ, მარო დეიდა“.

„დაჯექ, გითხრა რამე, გო“, უთხრა დედინაცვალმა გერს, მაგრად მოიზიდა მკლავი და ნუნუს კერის წინ მდგარ სამფეხა სკამზე დაუპირა დასმა.

„დასაჯდომად სადა მცალია, მუკუზნის კოლმეურნეობა გვყავს სოცშეჯიბრებაში გამოწვეული, ამ კვირია რამდენიმე ათასი ნაყენი ვაზი უნდა დავრგათ“.

„მაგას უშენოდაც დარგავენ. ყური მიგდე, გო, კობერიძე ჩამოვიდა, ნიშნობა უნდა მოგიწყო დღეს-ხვალ“.

„კობერიძე ვინ ეშმაკია, ან რა საქმე აქვს ჩემთან?“

კანკრე გატვრინული ყურს უგდებდა ქალების პაექრობას.

„კობერიძეს როგორ არ იცნობ, მამაშენის ძმაკაცს. არ გახსოვს კრაველის ფაფახიანი კაცი, კინოში რომ დაგვპატიჟა მე და შენ, როცა მალხაზი ექიმთან გვყავდა ტფილისში?

გახსოვს, მე ვინატრე კიდევაც მაგ კობერიძის კრაველის ფაფახი ჩემი პალტოს საყელოდ, გო, მას იმ დღიდან ჩავარდნიხარ გულში“.

ნუნუს მართლაც მოაგონდა კობერიძე, რომელსაც თავზე ეხურა უჩვეულოდ წოწოლა და ელვარე კრაველის ქუდი.

„უმდიდრესი კაცია ქალაქში კობერიძე“, დასძინა ქეთუამ.

„ვაჭრებთან და მდიდრებთან მე რა საქმე მაქვს?“

„აბა მუდამ შენისთანა ლატაკები უნდა გეხვიოს თავზე, გო?“

„მე არავინ თავზე არ მახვევია, ქეთუა, და ჯერ არც ვაპირებ გათხოვებას“.

ახლა კანკრემ დასძრა სიტყვა.

„იცი, ძალუა ქეთო, მაგ კობერიძე შენ უფრო შეგშვენდება საქმროდ, მისი მოტანილი კაბებიც შენ უფრო გიხდება, ძალუა ჩემო“.

„რაო, ვითომ რა ცუდი კაცია, მეც სიამოვნებით გავყვებოდი კობერიძეს, მაგრამ, სამწუხაროდ, მას ჩემისთანა კვიციანი დედაკაცები არ უნდა საცოლედ“.

ნუნუმ შოთის პური ისევ განჯინაში შესდო და შრამელის კარისკენ გაემართა ჩქარი ნაბიჯით.

ქეთუა უკან გამოუდგა ნუნუს და ანჩხლი ხმით მიაძახა:

„სად მიდიხარ, გო, ზრდილობისათვის მაინც ეჩვენე სტუმარს, შე გასაჭრობო“.

„ერთხელ გითხარი, არა მცალია-მეთქი“.

„ჯანაბას იქით გქონია გზა“, მიაძახა გამოხურულ კარს ქეთუამ.

დიდხანს ისხდნენ თავჩაქინდრულნი ქეთუა და მეზობლიანთ მარუა ჩანაცრულ კერასთან. სასტუმროდან ისმოდა მამაკაცების როხროხი და კანკრეს ომახიანი შეძახილი:

„კობერიძე, ღვინოს ნუ იპარავ, დალიე ჯიგარო“.

ქეთუამ ახალ-ახლები გაიხადა, ისევ გადაიცვა თავისი გახუნებული კაბა და ოფლით გაზინთულ ჩლატებში შედგა ფეხი, წარამარა გარბოდა მარანში, რეზინის მილით წრუპავდა კასრიდან ღვინოს, ავსებდა ხელადებს და შრამელში მოჰქონდა.

გრძნობდა: ამ საქმიანობისაგან თრობა წამოეძალა, [illegible] ეხვეოდა, კერას მიუჯდა, დიდხანს სდუმდა [illegible] [illegible] ცქეროდა ძაბუნი ალის პარპალს, ბოლოს თავი აიღო და უთხრა მარუას:

„მე მეშინია, ამაღამ ჩვენსას ცოდვა არ დატრიალდეს".

„რა უნდა მოხდეს, ქა?"

„რა და ი კანკრე ქრისტეს ფეხის მკვნეტელია, აბა რა იქნება ქალაქელი შოფერი, ქა! მე მეშინია, არ მოგვიკლას ი ოჯახქორი კობერიძე".

„არც კობერიძე დაურჩება ვალში, ეგეც კაი ოხერია".

„ეჰ, მაგრამ რაღა ჩემს სახლში... ოღონდ აქედან წაშავდნენ და თუნდაც კეფა ჩაუმტვრიონ ერთმანეთს".

„კი მაგრამ, სად უნდა წავიდეს კობერიძე ამ შუაღამისას?" იკითხა მარუამ.

„მეღორე პოპოლას სახლშია ჩამომხტარი, პოპოლა მისი სიმამრიშვილია".

სასტუმროში უკვე იძალა მთვრალების როხრობამ, ქალები წამოდგნენ და კარის ჭუჭრუტანიდან უცქეროდნენ სეირს.

სუფრის თავში კობერიძე იჯდა, უკვე მოეხადა კრაველის ფაფახი, თრობისგან პილპილისფრად ანთებოდა მაღალი ღაწვისთავები და ძვალმსხვილა ყბები, შუბლზე წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი.

სუფრის საპირდაპირო მხარეს საკინძეგაღეღილი კანკრე იდგა და ნერვიულად ათამაშებდა ხელადას ხელში.

„ღმერთძაღლო, დალიე, ღვინოს ნუ იპარავ, თორემ"... ზეწამოიჭრა კობერიძე, ხარისთვალება ახმახი, ცხვრისთავისოდენა მუშტი დაჰკრა მაგიდას.

აზრიალდნენ თეფშები, ქეთუას ტანში გააჟრჟოლა: უკანასკნელი თეფშებიც არ დამიმტვრიოსო ამ წვერძაღლმა.

ლუო უჯირაული წამოდგა, კანკრეს მიეჭრა და სავსე ხელადა გამოაცალა ხელიდან.

„თუ დედალი არა ხარ, გარეთ გამოდი და დავარტყათ", იყვირა კანკრემ და ახლა ცალიერ ხელადას მისწვდა ყრონტში.

კობერიძეც წამოდგა, მამალი ინდოურივით გაიფხორა და მანაც წაავლო ხელი მის წინაშე მდგარ სავსე ხელადას.

კობერიძეს ცალიერმა ხელადამ საფეთქელთან ჩაუარა, იგი არ დაიბნა, კანკრეს სავსე ხელადა ესროლა, მანაც დააცდინა მიზანს, მოპირდაპირე კედლებს შეასკდნენ ხელადები.

დინჯად წამოდგა გვარის თავკაცი აბრია უჯრიაული, ერთი შეუკურთხა მეცხვარულად კანკრეს, თავისი ნიჩაბივით ხელები [illegible] თაქა კეფაზე, მერმე მკლავზე წაავლო, მთელი სუფრა [illegible] კობერიძის ბრგე მკერდზე მიაგდო და უბრძანა:

„აკოცე სტუმარს".

ახლა ჭირვეულობა ასტეხა სტუმარმა, წარამარა ხმობილობდა მალხაზის პირით ქეთუას, უჩურჩულებდა, ნუნუ რად არ მოდისო?

ქეთუა ანუგეშებდა, მალე მოვაო.

ქალები ჭუჭრუტანას მოეშვნენ, ისევ მოუსხდნენ ჩაფერფლილ კერას. ახალი კაბებისა და სამკაულების მოზომებამ ისე აუშალა საღერღელი ქეთუას, წარამარა უბრუნდებოდა თავისი სიქალწულის „ბედნიერ დღეებს", როცა მამამისი, „მთელს ქალაქში სახელგანთქმული მეკუბოვე", უკერავდა მას ნაირ-ნაირ კაბებს.

ღვინისაგან ოდნავ შეზარხოშებული დედაკაცი ისე გაიტაცა ყოველივე ამან, არც ის დაუფარავს მას, ვილაც შოფერი რომ გამიჯნურებია. უკანასკნელად ტფილისში ყოფნის დროს, ცოლად შერთვასა და მდიდრულ სამოსებს დაპირებია.

მცირე ხანს მშვიდობა სუფევდა სასტუმრო ოთახში, მაგრამ ერთბაშად ისევ გაისმა კანკრეს ღრიალი:

„კობერიძე, ღვინოს ნუ იპარავ, დალიე, ჯიგარო".

ვიდრე ქალები კარის ჭუჭრუტანასთან მიასწრებდნენ, სასტუმრო ოთახში ღორის ჯიგარივით აირია ყოველივე, სკამები იქცეოდნენ, ხელადები სუფრიდან ცვივოდნენ. კანკრე და კობერიძე ერთიმეორესკენ მიიწევდნენ საცემად, ბოლოს ისევ აბრია უჯრიაულმა ითავა წესრიგის აღდგენა.

მან კანკრე გაიყვანა გარედ, ხოლო ლუომ კობერიძეს წაავლო ხელი და ალერსიანი დაყვავებით გაიტყუა ეზოში.

როცა ქალები შრამელიდან გამოცვივდნენ, მათ უკვე შორიდან მოჰკრეს თვალი თემშარაზე მოლასლასე ოთხ ლინდს...

ქეთუა დარწმუნებული იყო, რომ ამაღამ საშინელი რამ უნდა მომხდარიყო, კობერიძეს მოჰკლავდა კანკრე, და საჩუქრებით სავსე ჩემოდნისათვის ფიქრი უკვე რიალებდა მის თავში. ეს არ გაუმხილა მარუას, სულ სხვა რამ უთხრა:

„რაც უნდა ყოს, მაინც სტუმარია კობერიძე, ცოტა ხანს უკან გავყვეთ, ვნახოთ, რა მოხდება".

ვიდრე კოლმეურნეობის საბჭლებამდის მიაღწევდნენ, მთვრა-

ლების უკან მომავალი ქალები აშკარად ხედავდნენ, აბრეშუმ ხელ-ახლა შეარიგა ისინი, ერთიმეორისათვის აკოცნია ისევ, თუმცა ეს ამბავი ურთიერთისადმი შუბლების მიხლას უფრო ჰგავდა, ვიდრე კოცნას.

ცხადი იყო, მოხუცებს მოეწყინათ მთვრალებთან ბლაჟუნი და სწრაფად აქ ჩამოსცილდნენ მათ.

რაიკავშირის სავაჭროსთან ისევ წალაპარაკდნენ კანკრე და კობერიძე.

მთვარე გამოვიდა ცარცისფერი ღრუბლებიდან და გაანათა მძინარე ქოხები, ვენახების გასწვრივ აყვავებული ატმის ხეები დათოვლილებს მიაგავდნენ უკვე.

ჭიშკრებს გადაღმა ძაღლები ყეფდნენ, სხვაგვარი ჩქამი არ ისმოდა სოფელში.

ქალები თვალნათლივ ხედავდნენ: კობერიძე და კანკრე შეუშლელი ნაბიჯით მიყვებოდნენ გზას. საკმაოდ ხმადაბლა მისაუბრობდნენ, შთაბეჭდილება ისეთი რჩებოდა, თრობა და ბრაზი გამონელებიათო.

სულ მალე შეიცვალა მათი საუბრის კილო, ისევ აუწიეს ხმას, ფიცხლად აქნევდნენ ხელებს, შესდგებოდნენ, შექმნიდნენ როხროხს, დაზავდებოდნენ, გაივლიდნენ მცირეს, ისევ მატულობდა საუბრის სიფიცხე და ამ დროს მათ უკან მომავალთ წარამარა ესმოდათ ნუნუს სახელი.

ნუნუს ხსენებამ თითქოს ორივეს შეჰმატა ბრაზი, უკვე ყვირილზე გადავიდა მათი საუბარი.

დაცარიელებულ თემშარაზე ერთადერთი ურემი მიდიოდა, თავშლიანი დედაკაცი კოფოზე იჯდა, ორი ბიჭი გვერდით მოსდევდა ურემს.

ქალებს გაეხარდათ ჭრიალის გაგონება.

ქეთუამ სთქვა:

„მოდი, მარუა, შევაჩეროთ ეს ურემი, ეგ ბიჭები მოვიშველიოთ, ზედ შევსვათ მთვრალები, კობერიძე თავის სიმამრიშვილს მივგვაროთ, მეღორე პოპოლას, ხოლო კანკრე სოფელში წამოვიყვანოთ უკან“.

„სადა ცხოვრობს პოპოლა?“ იკითხა მარუამ.

„ხევს გადაღმა, ტყის პირად“, მიუგო ქეთუამ.

მეზობლიანთ მარუამ არ გაიზიარა ქეთუას გეგმა: ამ ორ გოლიათს ის ორი წკიპურტა ბიჭი როგორ შესვამს ურემზე, მოდი, ცოტა ხანს მივყვეთ უკან მაგ ოჯახქორებს, ალბათ შერიგდებიან და დაიშლებიანო.

ვიდრე ქალები ამ საკითხის გამო პაექრობდნენ, ურემი მოსახვევში გაუჩინარდა. თითქოს მთვრალები ამას უცდიდნენო, მიდიოდნენ, მიჩოჩქოლობდნენ, შედგებოდნენ, უყვიროდნენ ერთიმეორეს და, როცა ცხრამუხის ზეგანს გაუსწორდნენ, მიეჭრნენ ერთმანეთს და აქ გაისმა კანკრეს მჭახე ხმა:

„თუ შენ მართლაც დედალი არა ხარ, ღვინოს რად იპარავდი, შე ლეშო! არ გეყო ღვინის ქურდობა ქალაქში?"

ამის გაგონებისას კობერიძემ ისეთი სილა გააწნა კანკრეს, სამიოდე მხარის სიგრძეზე გასტყორცნა იგი. დაბარბაცდა კანკრე, წამოყირავდა, მაგრამ ხელები ოსტატურად დაიბჯინა ზურგს ქვეშ, შეშვებულ ზამბარასავით ზეწამოიჭრა, ავაზასებრი ნახტომი გააკეთა, ზედ შეახტა ამ ვეება ვაჟკაცს და ისე მაგრად ჩაასესხა სილაქი, ტარაბუასავით დატრიალდა კობერიძე.

კობერიძემ ცალი მუხლი დაჰკრა გუდრონიან გზას და ერთი დაიზმუვლა (ასეთ ხმას გაიღებს ხოლმე დასაკოდად გაკოჭილი ბუღა). მერმე დანდობილად შეიმართა და ისე ძლიერად მოუქნია თავისი გრძელი და შავი მკლავი კანკრეს, ლაწანმა შეაკრთო გზისპირა ჩირგვებში განაბული ქალები.

ხელი შეუბრუნა კანკრემ, თავიდან გადასძვრა კობერიძეს კრაველის ქუდი და აუტში გადაგდებული ბურთივით გადაეშვა გზის პირად მოძალებულ ღიჭიანში.

ქუდის დაკარგვა გულზე შემოენთო კობერიძეს, მკლავი გაიმამაცურა და ახლა ტუჩ-პირის სრეში უთავაზა კანკრეს მუშტი.

ქალები წამოეწივნენ მთვრალებს, მაგრამ სააშკარაოზე გამოსვლას ვერ ბედავდნენ, ღობე-ყორეს ეფარებოდნენ. ახლა მათ გარკვევით დაინახეს, თუ როგორ შებზრიალდა კანკრე, ისევ მიეჭრა კობერიძეს და ისეთი გასცხო მოტვლეპილ თავზე, სიცილი შესკდათ გალურსულ ქალებს.

ამჯერად ისევ ინატრა ქეთუამ თავის გახუნებული პალტოს საყელოდ ხრამში გადავარდნილი კრაველის ქუდი, მაგრამ ეს არ გაუმხილა მარუას.

აწრიალდა მარუა, კობერიძე მან მოიყვანა ნუნუს ოჯახში, ეს მეზობლებმაც იცოდნენ. კარგად ხედავდა: თუ იგი კანკრეს შემოაკვდებოდა ამაღამ, მარუას დაეკისრებოდა პასუხისგება.

ამიტომაც ემუდარა ქეთუას, შოფრები გავაღვიძოთო.

სწორედ იმ ადგილს იყო მტს-ის ფარდული. რკინის ჭიშკარი ურდულით დაკეტილი დაუხვდათ. შიგ შეიჭვრიტეს: ადამიანის ჭაჭანება არ ისმოდა, ეზოში მიტოვებული ტრაქტორები, კომბაინები, რკინის გუთნები და საბარგო მანქანები იდგნენ.

ქალების ძახილზე საბარგო მანქანიდან გამოძვრნენ ხელაანთ ვანო და ნიკა უჯირაული.

როცა ქალებმა მოსალოდნელი „უბედურების“ გამო შესჩივლეს მათ, ხელაანთ ვანოს ეს სასაცილოდ არ ეყო, თავი მოიფხანა:

„დღეს ჩვენ სოცშეჯიბრებაში გამოვიწვიეთ მუკუზნულები, მთელი სოფლის დიდი და პატარა ოფლში ვიწურებოდით და ასეთ დროს ვინც ლოთობდა, შეუძლიათ კეფა ჩაამტვრიონ ერთიმეორეს“.

ნიკამ სთქვა:

„საქმე ხომ არ შემოგლევიათ, ქალებო, მე და ვანოს არც წუხელ გვძინებია. ეს-ესაა მოვედით, ცოტა ხანს თვალს მოვატყუებთ, მერე ტრაქტორები უნდა გავიყვანოთ მინდვრად.

წადით, თქვენს ბავშვებს მიხედეთ. რაც შეეხება მაგ ლოთებს, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს, იცოდეთ“.

გაწბილებული ქალები ისევ მოჩხუბრებთან მიბრუნდნენ.

როგორც ადრიან გაზაფხულზე ახოში გამოსული ველური ტახები ასტეხენ ბუხუნს, აკუნტრუშდებიან, აიქოჩრებიან, თავიანთი ნეზვების თვალწინ დაერევიან ურთიერთს და დუჟმორეულ დრუნჩებიდან იელვებენ ლაპლაპა ეშვები, ისე აწყდებოდა ერთმანეთს ორი გაცოფებული, მთვრალი მამაკაცის ლანდი.

კობერიძე რა დარწმუნდა ვერ იგერიებდა კანკრეს მუშტებით, სილაქებით, თავურით, სარმითა და ბლიკვებით, ბებუთი იძრო.

მთვარის შუქზე ალაპლაპდა კანკრეს ხელშიაც ტახის ეშვივით მოდრეკილი ბებუთი და სწორედ ამ დროს მოჩხუბართა თვალწინ დაამუხრუჭა შოფერმა „პიკაპის“ ფირმის მანქანა. ყვარელიდან თელავს მიმავალი. კაბინიდან გადმოხტა მაიორი და მასთან ერთად ორი მილიციელიც.

ფარების შუქი დააცხრა გუდრონიან გზას.

ვიდრე მილიციელები წაიდებულებამდის მიაღწევდნენ, ერთმა ლანდმა მხარმარცხნით, ცხრამუხის ზეგანისკენ ისკუპა, ეკლიან ბარდებს ზედ გადაევლო და ხრამში გადაეშვა, ხოლო მეორე მხარმარჯვნით გაიქცა და მოხშირებულ შინდის ბუჩქებს შეაფარა თავი.

ორჯერ გაისმა შესაშინებლად გასროლილი რევოლვერის გრიალი. მილიციელებს მალე მოსწყინდათ მათი ძებნა. ისევ მანქანას მიაშურეს და შოფერმაც დაქოქა მოტორი.

როცა გზა დაცალიერდა, გზისპირა ჩირგვებიდან გამოძვრნენ ქალები, ხრამში ჩავიდნენ და დიდხანს ეძიეს ღიჭიანში გადავარდნილი კრაველის ქუდი...

მარუა დაბეჯითებით უმტკიცებდა ქეთუას: როცა ჩვენ ხრამში ჩავდიოდით, ხრამს გადაღმა ღიქიანიდან გამოძვრა მაღალქუდიანი კაცი და გამალებული გარბოდაო ცხრამუხის ზეგანისაკენ.

ქეთუამ მაინცდამაინც სარწმუნოდ არ მიიჩნია, მარუას ხა-თქვამი.

ეს შეუძლებელიაო, ამბობდა იგი. რაკი მანქანა უკვე წასული იყო, კობერიძე არამც და არამც მხარმარცხნით, ესე იგი ცხრამუხის ზეგნისაკენ, არ წავიდოდა; საფიქრებელია, საპირისპირო მხარეს, წისქვილისაკენ, თავის სიმამრისშვილის — პოპოლას სახლისაკენ გაემართებოდა, რაკი მილიციელები უკან არ გამოსდგომიან მას.

ცოტა ხანს კიდევ იდგნენ ქალები ხრამის პირად. ბოლოს მარუა დააშტერდა მთვარის შუქით განათებულ ცხრამუხის ზეგანს და სთქვა:

„აბა გაიხედე კოლმეურნეობის სანერგე ფარდულისაკენ, კარგად დააკვირდი, ქა".

ქეთუამ დიდხანს უთვალთვალა ზეგანს და მართლაც შენიშნა ლანდი ახმახი მამაკაცისა, რომელსაც მაღალი ქუდი ეხურა თავზე.

სოციალისტური შეჯიბრება

...„იმ უაზრობათა რიცხვს, რომელთაც ბურჟუაზია ხალისით ავრცელებს სოციალიზმის შესახებ, ეკუთვნის ის, თითქოს სოციალისტები უარყოფდნენ შეჯიბრების მნიშვნელობას".

ვ ლ ა დ ი მ ე რ ლ ე ნ ი ნ ი.

სწორედ იმ შაბათს, როცა უკანასკნელ თავში აღწერილი ამბავი მოხდა, ბერმუხის კოლმეურნეობამ, ოდესღაც ყველაზე მეტად ჩამორჩენილმა ალაზანს გადაღმელ კოლმეურნეობათა შორის, სოც-შეჯიბრებაში გამოიწვია მუკუზნის კოლმეურნეობა, რომელსაც უკვე საკმაოდ გახმიანებული სახელი ჰქონდა მოხვეჭილი.

გარდა ამისა, იმავე დღეს მოთავდა კოლმეურნეობის სანერგე ფარდული. ეს იყო ბარე ორმოციოდე მეტრის სიგრძეზე გამართული შენობა, რომელიც გარეგნულად ძველებურ საქორწილო სეფას წააგავდა.

ამ ფარდულის აგებას ერთგვარი სიმბოლური მნიშვნელობაც ენიჭებოდა, რამდენადაც ამ სამასიოდე წლის წინათ, შაჰ-აბაზის

მიერ ცხრამუხის ზეგანზე ოდითგანვე დასახლებული ხალხის აყრის შემდეგ, ეს იყო პირველი შენობა, მამუკას უბანში აგებული.

დილაადრიან მოგროვდნენ ბერმუხელი მშრომელები დროშებით შემკულ სანერგე ფარდულში — სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხდნენ რაიკომის მდივანი ციხისთავი, კომკავშირის რაიკომის მდივანი ალავიძე, პროფესორი კორინთელი, თედო თარალაშვილი, რაიაგრონომი მელითაური, ბრიგადირები და მოხუცი კოლმეურნენი.

ტრიბუნაზე ავიდა რაიკომის მდივანი ციხისთავი. მან ჯერ ხაზი გაუსვა ბერმუხის კოლმეურნეობის ჩამორჩენას, აღნიშნა შრომის ნაყოფიერების ზრდა ამ უკანასკნელ ხანში, სათანადოდ შეაფასა კოლმეურნეთა თავდადებული და ერთობლივი შრომა ოდესღაც გავერანებული ცხრამუხის ზეგანის ასათვისებლად.

მოუწოდა მშრომელებს, პირნათლად შეესრულებინათ ის დიდი და საპატიო მოვალეობა, რომელსაც აკისრებდა მათ მუკუზნის კოლმეურნეობის სოცშეჯიბრებაში გამოწვევა.

შემდეგ ტრიბუნაზე გამოჩნდა ჭაღარა თედო თარალაშვილი, სამოქალაქო ომების ძველი პარტიზანი, მუხის კუნძივით ჩასკვნილი, ბრგე ვაჟკაცი, რომელიც ლაპარაკის დროს ნერვიულად ხუჭავდა დაფანჩვულ, ჭაღარა წარბებს ქვეშ შეხიზნულ თვალებს.

მოკლე-მოკლე ფრაზებს ხმარობდა, საუბრობდა სადად, ხმის აუმაღლებლად და საქმიანად. როცა აზრს მიიყვანდა დასკვნის ზღურბლამდე, მისი ჭრუტა თვალების თეთრონები განიერდებოდნენ და რაღაც უჩვეულო დამაჯერებლობით ელერდნენ მისი მართალი და გაურანდავი სიტყვები.

როგორც კი სიზარმაცეს, ჩამორჩენას, ლოთობასა და უქნარობას შეეხებოდა, უმოწყალოდ ელუშებოდა დაფანჩვული წარბები და ისეთი ოდნავ შემწყარალი ტონით შეუძახებდა ახალგაზრდებს, როგორც კეთილი მამა თავის შვილებს.

„ამხანაგებო, საბჭოთა მთავრობა მოგვიწოდებს შევქმნათ ბედნიერი და საამური ცხოვრება. იცით, რა არის ამისათვის საჭირო? (აქ შედგა იგი და ხმაგაკმენდილი აუდიტორია დადუმდა). სამი რამ: შრომა, შრომა და შრომა“.

თედო თარალაშვილის სიტყვის შემდეგ დიდხანს ისმოდა ხმადაბალი ზუზუნი, მიტინგის თავმჯდომარემ ორ-სამჯერ დააწკარუნა ზარი, მაგრამ არა წყდებოდა ზუნი, სჩანდა, ზარმაცების ჩუმ ბუზღუნს მშრომელები აძლევდნენ პასუხს.

და როცა ნუნუ უჯრიული ავიდა ტრიბუნაზე, მოზუზუნე ხალ-

ხი ერთბაშად დადუმდა, ზოგი მოიხიბლა იმით, რომ საერთოდ მორცხვმა, დიდთან და მცირესთან თავმდაბალმა გოგონამ ასე უბრალოდ, ასე სადად და გულმართალი სიტყვებით დაიწყო ლაპარაკი, ყოველივე კეკლუცობის, მშვენრმეტყველების ან თავის გამოჩენის პრეტენზიის გარეშე.

ისე მშვიდად, დამაჯერებლად შეესიტყვა იგი ამ მრავალრიცხოვან აუდიტორიას, თითქოს თავისი რგოლის წევრებს ესაუბრებაო.

პროფესორი კორინთელი შესცქეროდა ამ უბრალო გოგონას, რომელსაც სიამაყის ნატამალიც არ ეტყობოდა იმის გამო, რომ მას ასეთი პატივი ერგო — მთელი სოფლის ქალების სახელით ეთქვა სიტყვა, არც თუ კეკლუცობის რაიმე ნიშანწყალს ამჟღავნებდა უჩვეულო სილამაზის პატრონი.

მას უკვე აღარ ეკიდა კისერზე პლასტმასის შავი მძივები, რომელნიც ასე აგონებდა კორინთელს ლეონარდო და-ვინჩის „რკინის მანიაკიან ქალს"; მიუხედავად ამისა, ნუნუს სახე, მთელი მისი ანაგობა რაღაც უცნაური გრძნეულების სხივით იყო გაშუქებული.

„ეს ასეა ყოველთვის, სრულყოფილსა და გულით უმანკოს არასოდეს ჭირდება არც სამკაული, არც გარეგნულად გამჟღავნება საკუთარი სრულყოფისა და მშვენებისა", — ფიქრობდა პროფესორი კორინთელი და ხმაგაკმენდილი უსმენდა ორატორს.

ნუნუმ ჯერ ილაპარაკა იმის გამო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ შეჯიბრებას ჩვენი სახალხო მეურნეობის, ჩვენი წარმოების, ჩვენი ქარხნების წინსვლის, აღმავლობის საქმეში და მერმე სთქვა.

„თუ ჩვენი კოლმეურნეობა დღესდღეობით ჩამორჩენილია და ღარიბი, ამაში ჩვენ, ქალებსაც, მიგვიძღვის ბრალი. ამხანაგებო, მოვიგონოთ ჩვენი შორეული დიდედები, რომელნიც ხმალსა და ფიწალს აიღებდნენ ხოლმე ხელში, როცა ჩვენი ქვეყნის დამპყრობლები შემოესეოდნენ საქართველოს.

მოდით, ქალებო, ჩვენ შრომაში გამოვიჩინოთ ის სიმამაცე, რომელიც ჩვენს წინაპრებს არაერთხელ გამოუჩენიათ ომებში".

როცა ერთობლივად დაიგრიალა ტაშმა, ნუნუ შეკრთა, შეიშმუშნა და გაწითლდა.

ახლა ტრიბუნაზე აბობღდა ქერაკულულებიანი, ცისფერთვალება მეღორე პოპოლა — ნიკო როსტიაშვილი. თავის სიცოცხლეში იგი პირველად გამოვიდა ამოდენა აუდიტორიის წინაშე. ამიტომაც ქალწულივით გაწითლდა ისედაც ლოყებდაბრაწული, როხროხა ვაჟკაცი, რომელსაც არა მარტო კიდურების მოხაზულო-

ბაში, თვით მიხრა-მოხრაშიაც დათვური მოუხეშაობა ეტყობოდა...

სიტყვებს ეძებდა ლაპარაკის დროს, ძლივს ახერხებდა აზრის აზრთან დაკავშირებას და როცა ფრაზასა და ფრაზას შორის გადასასვლელებში სიტყვა დააკლდებოდა, მისი წამომბერცველი ტუჩები წამოისროდნენ ამგვარ შეძახილს: „ო-ო"... წარმარა, ამბობდა: „რა თქმა უნდა", „რა თქმა უნდა".

მღელვარებისას ცოტა ენასაც უკიდებდა, მაგრამ როცა მღელვარებას დასძლევდა, ამ შემთხვევაშიც მჯილებს აშველებდა სათქმელს, ან დასამტკიცებელს. საერთოდ მისი „ორატორობისაგან" ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს საკუთარი ხორხიდან ჭანგებით ამოაქვსო სიტყვები.

პროფესორი კორინთელი და რაიკომის მდივანი ციხისთავი გაოცებული იყვნენ იმის გამო, რომ ეს არამჭევრი ორატორი მაინც ახერხებდა ამოდენა აუდიტორიის დაოკებას.

ბოლოს ორივენი მიხვდნენ: ამას იგი აღწევდა მხოლოდ და მხოლოდ იმის მეოხებით, რომ რაღაც დიდი და წრფელი აზრი უდუღდა გულში და მისი ამოთქმის აუცილებლობას გრძნობდა.

ამას გრძნობდნენ სხვა თანადამსწრენიც და ამიტომაც სულგანაბულნი მისჩერებოდნენ მას იმ მონუსხული გულისყურით, რომელსაც გამოიწვევს ხოლმე დიდი ორატორი, ოქროპირი სიტყვისა, რომელმაც კარგად იცის არა მარტო ხერხები მჭევრმეტყველებისა, არამედ შინაგან ძალასაც ამჟღავნებს მასების მოსანუსხავად.

შესაძლოა იგი თავისი ომახიანი გარეგნობითაც ხიბლავდა თანადამსწრეებს: ბალღივით უმანკო თვალები ჰქონდა, ენდროსფერი ტუჩები და კვერცხის ცილივით თეთრი, მსხვილ-მსხვილი კბილები.

მისი ქერა, ჭაღლისებრ ხვეული წვერი, ნიკაპის ქვეშ იხვის ბოლოსებრ ოდნავ მოდრეკილი და წაწვეტებული, უთუოდ მოგაგონებდათ ქართული ფრესკის ოსტატების მიერ ვამოხატულ წვეროსან მამაკაცებს.

პოპოლამ სთქვა:

„მე თუმცა უპარტიო ვარ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩემს სუსტ ძალ-ღონეს არ დავზოგავ (ზოგს გაეცინა, როცა ამ გოლიათმა თავის ძალ-ღონის სისუსტე ახსენა) და, რა თქმა უნდა, თავს გავწირავ ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი მთავრობისათვის".

ამ განცხადებაში იყო რაღაც დიდი უშუალობა, შინაგანი სიმართლე, რომელიც ყოველგვარ ლამაზად დაწერილზე და ლამაზად ნათქვამზე მეტად ხიბლავს ხოლმე მასებს.

აქ შედგა პოპოლა და თავისი საკმაოდ შელახული ფრენჩის

ჯიბეში დაუწყო თითქოს რაღაცის ძებნა. ხალხს გული დასწყდა, დაიბნაო ბედშავი.

ზოგს შეეცოდა კიდევაც მეღორე პოპოლა, ბოლოს ხელი ჩაიქნია პოპოლამ და ეს განაცხადა:

„მე თუმცა უპარტიო ვარ, მაგრამ არავის ჩამოგრჩები [illegible] შრომაში, არც ბრძოლაში, თუ ეს საჭირო იქნება, რა თქმა უნდა".

მიუხედავად ორატორული უმწეობისა, მხოლოდ და მხოლოდ იმ კაიკაცობისა და ჩუმი კეთილშობილების მეოხებით, რომელიც მისი სახის ყოველი ნაკვთიდან გამოსჭვივოდა, მეღორე პოპოლას სიტყვამ ტაში გამოიწვია.

მიტინგი გათავდა თუ არა, სამივე ბრიგადა შეუდგა საქმეს. ბრიგადა ბრიგადას გაეჯიბრა, რგოლი — რგოლს, ხოლო რგოლებში — ყოველი წევრი ურთიერთს.

ბრიგადირები და მერგოლურები გაფაციცებით დარბოდნენ, თვალყურს ადევნებდნენ მუშაობის პროცესს, მამაკაცები ორმოების თხრას ამთავრებდნენ, ქალები ფარდულის ქვეშ ისხდნენ და ნამყენ ნერგებს ახარისხებდნენ.

ეს ხდებოდა კონვეიერის წესით. ერთი რგოლი ხსნიდა ნერგების შეკრულ კონას, მეორე ახარისხებდა დაფესვიანებას, მესამე ორ კვირტზე ნეკავდა რქას, ზოგიც ფესვებს სამი სანტიმეტრის სიგრძეზე კვეცავდა.

ციხისთავი და კორინთელი ჯერ ორმოების დათვალიერებას შეუდგნენ.

როცა დახარისხებული ნერგები მოიტანეს, სათითაოდ დააწყეს ისინი ორმოების გვერდით.

ნუნუ უჯრარულმა თავისი რგოლიდან სამ-სამი ქალი მიუჩინა ყოველ ორმოს. ერთი ნერგს პერპენდიკულარულად სდებდა ნახევარი მეტრის სიღრმით ამოთხრილ ორმოში, ხელში დაიჭერდა მას, მეორე იღებდა ორმოების გვერდით დაყრილ ნაკელს, ურევდა თხრილიდან ამოღებულ ფხვიერ მიწაში და გარს აყრიდა ნერგის შტოებს.

როცა ნაკელნარევი მიწა ნახევრად დაფარავდა ნერგს, ფეხით დასტკეპნიდა მესამე და მერმე ისევ მიაყრიდნენ მიწას და რამდენიმე სანტიმეტრის სიმაღლეზე უკეთებდნენ კოკოლას.

როცა ტაფობი მოთავდა და შელმართი დაიწყო, პროფესორი კორინთელი წინ გადაუდგა ბრიგადირებსა და მერგოლურებს:

„ბა მითხარით, ყმაწვილებო, რამდენ სანტიმეტრზე ამოაყოფინეთ ნერგს რქა მიწის პირიდან?“

„სამი სანტიმეტრის სიმაღლეზე, ამხანაგო პროფესორო“.

„ახლა ამ შელმართში რას აპირებთ?“

„ნერგის რქა უნდა ვუსწოროთ მიწის ზედაპირს“.

„რათა?“ შეეკითხა პროფესორი.

„რათა და წვიმებისა და ლელმის დროს ნიადაგი თავისთავად ჩამოირეცხება“.

„სწორია. ეს თუ არ ვივარაუდეთ, ნამყენის რქა ზომაზე მეტად ამოჩრილი დარჩება მიწის პირზე“.

პროფესორი კორინთელი სავსებით გაჭაბუკებული ეჩვენა ყველას. მხოლოდ თავისი განუყრელი, ჭრელი კაშნე შემოეხვია ყელზე, ნაკვეთზე უპალტოოდ მოსულიყო: სეკატორი ეჭირა ხელში.

„გრიპის არ გეშინიათ, ამხანაგო პროფესორო?“

ჰკითხა ციხისთავმა.

„გრიპისა? ჰმ, — იცინოდა კორინთელი, — იმ ოჯახდაქცეულ ლმერთს გრიპი რომ გამორჩენოდა ქვეყნის გაჩენისას, ჩემისთანა ბედნიერი კაცი არ იქნებოდა“.

„ვინ იცის, ეგებ მას არ გამოუგონია გრიპი, ექიმებმა ხომ არ გამოიგონეს, ჰა? ხუმრობდა ციხისთავი.

„ნაპოლეონს გრიპმა წააგებინა ვატერლოოს ომი, თურმე სწორედ იმ დღეს დამართნია გრიპი“, დასძინა კორინთელმა.

ახლა მგლისხევის ყოფილ უბანში გადავიდნენ სამივენი: პროფესორი გახარებული დადიოდა მწკრივებს შორის, უთვალთვალებდა რგოლების მუშაობას, ხანდახან დაიკუზებოდა, ხელიდან ართმევდა ნერგს რომელიმე ქალს, თავათ დაიჭერდა ხელში ნერგს ზედმიწევნითი სისწორით. ხანაც რომელიმე უხეიროდ შერჩეულს ნერგს სინჯავდა. როცა არ მოეწონებოდა, განზე გადააგდებდა. ორმოების გვერდით დაწყობილ ახალსა და ახალ ნერგს ათვალიერებდა.

სეკატორს ხელს წამოაკლებდა. ხან რქის შეკვეცას იწყებდა, ხან ფესვების შეჭრას, თავათ მოჰყავდა კანონიერ ფორმაში ნერგი და შველოდა დარგვისას.

ასე რომ, მისი დაუთოებული, გაკრიალებული შარვლის მუხლი უკვე დაისვარა წარამარა დაჩოქებისაგან. ნუნუ უჯირაული მივიდა მასთან, ჯერ ბოდიში მოიხადა, მერმე თვითონვე გაუწმინდა ხელით მუხლისთავები.

„არაფერია, ჩემო ნუნუ, მხოლოდ ნამდვილ მეთევზეს უსვამდება ფეხი“.

კორინთელი შესდგა. თვალი გადაავლო ცხრამუხის ზეგანზე გამოფენილ ბრიგადას, და ციხისთავსა და თარალაშვილს უთხრა:

„მევენახე ხალხების წარმოდგენაში ვაზი ყოველთვის ერთგვარი რელიგიური კულტის ხარისხზე იყო აყვანილი.

ქრისტიანიზმმა მისტიური ელფერი მისცა ღვინოს, „ქრისტეს სისხლად" გამოაცხადა იგი. ეს მითი ქრისტეს წამებისა და მის მიერ ვითომდაც კაცობრიობის სახსნელად სისხლის დანთხევისა ნასესხებია ძველბერძნულ „დიონისიას" მითიდან, დიონისოს აკუწვის, მისი წამებისა და გაზაფხულზე მკვდრეთით აღდგომის მისტერიებიდან.

ორივე ლეგენდა დაკავშირებულია ვაზის ნერგის მიწაში დამარხვასთან, გაზაფხულზე მის გამოცოცხლებასა და ბოლოს ღვინოდ ქცევის პროცესებთან.

ქრისტიანულ ლოცვებში გაკვრით მითითებულია კიდევაც ამ გარემოებაზე — „შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი", სადაც ვენახს უპირისპირებენ ქრისტეს.

ჩვენ, ქართველებს, ცნობილი გადმოცემაც გვაქვს, თითქოს ვაზის ჯვრით მოსულიყოს ქართველთა მომნათვლელი ნინო.

დაუკვირდით, რა შემმართებელ მდგომარეობაშია მშრომელის სხეული, როცა იგი მიწას ხნავს ან გუთნისდედა, რომელიც მიწას მისდგომია ბასრი საჭრეთელით აღჭურვილი გუთნითა. სიმინდის გამმარგვლელიც საკმაოდ ტლანქი იარაღით, თოხით შეიჭრება და უმოწყალოდ გამოხშირავს ყანას.

ახლა დავაკვირდეთ ვაზის მიმართ წარმოებული შრომის პროცესებს. ადამიანი მუხლმოდრეკილი ან დაცუცქული უნდა იყოს მუდამ ვაზის წინაშე. მხოლოდ ამ პოზაშია შესაძლებელი ნერგის მიწაში დაფუძნება.

შეიფოთლება, ყლორტებს ამოიყრის ვაზი, ისევ წელში უნდა მოიდრიკოს მშრომელი და სათუთი რუდუნებით უნდა მიაკრას იგი ჭიგოს ან მავთულს.

ახლა რამდენი სიფაქიზე, სიფრთხილე და შორსმჭვრეტელობა სჭირდება ვენახის გამსხვლელს, ნამხრევების ან ქირქას შემომცელს.

როცა ვენახს სხლავს მევენახე, საკმარისია ოდნავ გულაყრილი ან დაუკვირვებელი გაჭანება დანისა და სამუდამოდ დაიღუპება სამამულე რქა.

ბოლოს მოდგება ვაზის ყვავილობა და ქართველი ხალხის სი-

ბრძნე უნდა გვახსოვდეს მუდამ: ვაზმა სთქვაო — როცა მე ვიკვა-ვილობ, ნეტავ მაშინ ჩემი პატრონი ავად გახდებო.

მცენარეთა შორის განსაკუთრებული სიყვარულით ბიტომაც მიყვარს ვაზი, რომ ჩვენმა ხალხმა თავისი ისტორიის ეს ოდე ათასი წლის მანძილზე ამდენი ოფლი ღვარა მისი — დანერგვისა, შენარჩუნებისა, მისი ნაყოფის — ღვინის დაყენების საქმეში.

იგივე ამბავი მოხდა ჩინეთში. იქაც რელიგიური კულტის იერი მიეცა ჩაის მეურნეობას. ჩაიც ვაზსავით შრომატევადია.

ერთ უცნაურ ჩინურ ლეგენდას გიამბობთ — იგი დაკავშირებულია ჩაის კულტურის წარმოშობასთან.

ამ ლეგენდის მიხედვით, ერთმა ჩინელმა „წმიდანმა", რომლის სახელი ახლა არ მაგონდება, აღთქმა მისცა თურმე ბუდდას, მუდამ უძილოდ ვადიდებო შენს სახელს. მაგრამ დაეძინა ბედშავს; განრისხდა წმინდანი იყო თუ ბერი, მაკრატლით ამოიჭრა ქუთუთოები და დაჰყარა მიწაზე.

ბუდდაც, ისე როგორც ყოველი ღმერთი, მსხვერპლისა და სისხლის მოყვარული ყოფილა: გაეხარდა ეს ამბავი და ამ ქუთუთოებიდან ამოვიდაო პირველი ჩაის ბუჩქი, რომელსაც ჩინურად „ჩა" ეწოდება დღესაც.

ბუდისტი ბერები „ჩას" მათრობელ საშუალებად იყენებდნენ ნირვანაში გადასასვლელად. არსებობს დღესაც ჯერ კიდევ ჩინეთის უძველესი — ტანგ, სუნ და მინ დინასტიებისდამინდელი, დიდად საყურადღებო ბოტანიკური ფოლიანტები.

ჩაის ათასგვარი საკულტო და სიმბოლური მნიშვნელობანი ჰქონდა ჩინურ ფილოსოფიაში. ტაოისტების აზრით, ჩაი „უკვდავების მთავარ ელემენტად" ითვლებოდა. ჩინეთის უძველესი პოეტები ქებათაქებას უმღერიან „ჩას".

*

როცა ციხისთავი და კორინთელი პირველ ნაკვეთზე მიბრუნდნენ, ნუნუ უჯირაული და მისი რგოლი სათითაოდ უვლიდნენ კოკოლაწამოდგმულ ორმოებს და მისამაგრებელ ჩხირებს არჭობდნენ მათ სათითაოდ.

აქაც შედგა კორინთელი, ერთ-ერთი კოლმეურნე ქალის მიერ დარჭობილი ჩხირი ამოიღო, მიუბრუნდა მას და უთხრა:

„შენ უნდა ეცადო, გოგონავ, ეს ჩხირი კოკოლის ცენტრში კი არ ჩაარჭო, არამედ კიდეში, რათა ნამყენს არ მოხვდეს იგი".

ბინდმა გაჰყარა შრომასთან შებმულნი. ჩრდილოეთისკენ ნელ-ნელა მიცურავდნენ თეთრი, ქანცმილეული ღრუბლის ფრთილები, მათ ენდროსფრად შეფაკლული კიდეები ჰქონდათ. [illegible] სიონის ქვედა კალთებზე ღამე ნაბდის კარვებს იდგამდა [illegible]

გოდერძიმ თავიდანვე შენიშნა, რომ დღის მეორე ნახევარში შინიდან ნაკვეთზე დაბრუნებულ ნუნუს წყენისაგან ტუჩები გათეთრებოდა, მაგრამ მიზეზის საკითხავად ვერც მოიცალა ვაქმა და არც გარემოება უწყობდა ხელს საამისოდ.

როცა მუშაობა მოთავდა და კოლმეურნენი წავიდ-წამოვიდნენ, როგორც იქნა, დაიმარტოხელა ბრიგადირმა თავისი მერგოლური და ჰკითხა:

„დღეს, როცა შინ დაბრუნდი, რა შეგემთხვა, ნუნუ?“

„რად მეკითხები ამას, გოდერძი?“

„სახე სულ შეცვლილი გქონდა. ავად ხომ არ იყავი?“ ნუნუმ თავი ჩაჰქინდრა და არა მიუგო რა.

„დედინაცვალმა ხომ არ გაწყენინა რამე?“ ჩაჰკითხა გოდერძიმ.

არც ამ კითხვაზე გასცა პასუხი ნუნუმ.

„ამას წინად ყური მოვკარი ქალების საუბარს: თურმე სტუმარი მოგსვლია, ნუნუ?“.

„მე არავითარი სტუმარი არ მომსვლია. ჩემს დედინაცვალს ეწვია ვინმე კობერიძე, მე ის თვალითაც არ მინახავს“.

გოდერძის ისიც ჰქონდა იმ დღეს განაგონი, დედინაცვალი ვიღაც ღვინის ვაჭარს, კობერიძეს ურიგებსო ნუნუს.

ამის გამო არაფერი გაუმხილა ქალს და, როცა ნუნუმ ფარდულიდან გასვლა დააპირა, გოდერძიმ უთხრა:

„მოიცა ცოტა. მეც წამოვალ ახლავე. უნდა ვნახო, წუნდებული ნერგები ხომ არ გადაუყრიათ?“

როცა ნუნუ და გოდერძი ფარდულიდან გამოდიოდნენ, ქალი შესდგა. ჩამწკრივებულ კოკოლებსა და მათზე სიმეტრიულად დარჭობილ ჩხირებს გადაავლო თვალი და სთქვა:

„რა ლამაზი სურათია, გოდერძი, ეს კოკოლიანი ორმოები. მუდუს სოროებსა ჰგვანან, ხომა? ამ ჩხირების შემხედვარეს ეგონება, ისინი სათამაშოდ დაურჭვიათო ბავშვებს“.

„მე უფრო მეტს გეტყვი, ნუნუ, როცა ჩვენ მიერ გაკეთებულ ამ დიდ საქმეს ვუფიქრდები, გაოცებული ვარ, რა უცნაური ძალა აქვს მიწასა და მზეს.

ამ დღეებში რამდენიმე ათასი ცოცხალ-მკვდარი ნერგი მივაბარეთ მიწას. მიწისავე ქუდები ზედ დავახურეთ. ეს ბოროტები მართლაც ხომ ჰგვანან სვანურ ქუდებს?

არც ერთი მათგანი გარეგნულად არ ამჟღავნებდა ბოროტების რაიმე ნიშან-წყალს.

ხომ გახსოვს, თითოეულ ნამყენ ნერგს დანის წვერით ვსინჯავდით. მხოლოდ პაწია, მომწვანო წერტილი გამოჩნდებოდა, როცა სიფრიფანა კანს გადავაცლიდით.

გაივლის რამდენიმე კვირა, მიწისა და მზის შეწყვილებული ზემოქმედების მეოხებით ეს მიძინებული არსებანი გაიღვიძებენ, თითქოს მკვდრეთით აღდგებიანო, შეიმოსებიან მწვანითა და ყვავილით, და მათ შეცვლიან ნექტარით გავსილი მტევნები".

ნუნუმ გაიცინა.

გოდერძიმ შეხედა მის ჩაკაწკაწებულ, თეთრ კბილებს, ფარდულისკენ მიბრუნდა ისევ და ფარდულის შესასვლელთან მჯდარ ცალთვალა დარაჯს გადასძახა:

„გაიოზ, არ დაიზარო, თუ ძმა ხარ, ის წუნდებული ნერგები მოაგროვე და ფარდულში შეიტანე".

„ბატონი ბრძანდები", სთქვა მოხუცებულმა გაიოზმა.

გოდერძის განსაკუთრებულად მოეწონა ნუნუ ამ სალამოს. თეთრი აბრეშუმის ბლუზა შეენოდა მას.

გოდერძის მის ტანზე თეთრი ტანისამოსი არასოდეს ენახა, ყოველ შემთხვევაში, ნუნუს მამის სიკვდილის დღიდან.

თავდასხმა

..გოდერძის არ უნდოდა სოფელში გაბრუნება, რადგან იცოდა: ჭალას რა გასცდებოდნენ, ხალხმრავალი თემშარა დაიწყებოდა და აქ მტს-ის ფარდულის და რაიკავშირის სავაჭროს მახლობლად მოზიმზიმე ქალების ჰვრეტას უთუოდ მოერიდებოდა ბუნებით მორცხვი და თავშენახული ნუნუ. ამიტომაც უთხრა მას:

„წამო, ნუნუ, ბერმუხისკენ გავიაროთ, ბიჭები ამბობდნენ, გრიგალს ერთი დიდი შტო ჩამოუმტვრევიაო".

ნუნუს ამჯერად მით უმეტეს არ ეჩქარებოდა შინ წასვლა. მან კარგად იცოდა, რომ იქ დაუხვდებოდნენ ტუჩებშედღაბნილი, შეზარხოშებული დედინაცვალი, აბეზარი კანკრე, არანაკლებ საძაგელი კობერიძე, პაპა აბრია, ლუო, იგივე ყვავია და მათ შორის ყველაზე მეტად აუტანელი, მეზობლიანთ მარუა, რომელსაც ყო-

ველ წელს ახალ-ახალი „საქმრო“ მოჰყავდა „შემთხვევით გაბრგ-ლილი სტუმრის“ სახით.

სწორედ ამ წუთში სულმწარედ განიცდიდა ნუნუ თავის უბედობასა და უდედობას, განსაკუთრებით იმას, საკუთარ „მამა“ რომ არ გააჩნდა.

ახლა რომ შინ წასულიყო, ქეთუა უცილოდ მოსთხოვდა მას მთვრალ სტუმრებთან გამოჩენას, ბოლოს იძულებული გახდებოდა, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, მარანში გაეთია ღამე.

სანერგე ფარდულიდან ჩინებულად გატკეპნილი ბილიკი მიდიოდა ბერმუხისაკენ, მაგრამ გოდერძიმ იცოდა, მასთან მარტოკა გავლას რომ გაურბოდა ნუნუ, — არა მარტო მასთან, საერთოდ მამაკაცთან სეირნობას ერიდებოდა იგი შეღამებულზე, თუ ნათია ან სხვა რომელიმე ამხანაგი თან არ ახლდა.

სწორედ ამიტომაც სთქვა:

„მოდი, ხევ-ხევ ვიაროთ, უფრო მალე მივალთ ბერმუხასთან“.

ქალ-ვაჟი ნელი ნაბიჯით მიჰყვა ამომშრალ ხევს. ამ გზით მართლაც დადიოდნენ მეცხვარეები, ღორ-ხბოს მწყემსები და მევეღლეები, მაგრამ რიგიანად ჩაცმულთათვის იგი დიახაც უხერხული იყო სასიარულოდ.

ეს კარგად იცოდა ნუნუმ, მაგრამ ჭორიკანების ყბაში ჩავარდნას ხევ-ხევ სიარული არჩია და გულგრილად გასწირა თავისი ერთადერთი ფეხსაცმელი.

ბილიკი ღორღიანი იყო, ალაგ-ალაგ რიყის ქვებით დახერგილი.

მიდიოდნენ, წარამარა აწყდებოდნენ ხევის გარდიგარდმო გადმოსულ ღიჭს, კაბის ქუბას ბირკა ედებოდა.

გოდერძი ერთხანს წინ მიუძღოდა ქალს, ხანჯლით უკაფავდა გზას, მაგრამ რა შენიშნა, რიყის ქვებზე სიარული უჭირდა მას, გამობრუნდა, მკლავში ხელი წაავლო, ცალითაც ღიჭს ცელავდა.

ნუნუს სიამოვნებდა კიდევაც, გოდერძი მასთან ასე ახლოს რომ მიდიოდა, ქალის სხეული დააელექტრონა ღონიერი ხელის მკლავზე შემოჭდომამ.

როცა ქალი ღიჭს წააწყდებოდა ან ქვას წამოჰკრავდა ფეხს და წასაქცევად გადაიზნიქებოდა, ვაჟი მოხვევდა მას თავის ძლიერ მკლავს.

ნუნუ ფრთხილად წაეპოტინა ვაჟის ხელს და გაითავისუფლა მკლავი. როგორც კი ვაჟმა თავისთავად სიარულს მიანება იგი,

ერთი ორჯერ წაფორხილდა ქალი, ისევ წაატანა ვაჟმა თავისი ძლიერი მკლავი, მაგრამ ხელის ნაზად მოცაცუნებამ კვლავ შეაშვებინა ხელი.

გოდერძი ხედავდა, რომ ნუნუ ვეღარ ახერხებდა ხელ-ხელ სიარულს. ამასობაში უკვე ღამის ბნელი კალთა ზედ დაეფენოდა ველს.

ახლა ვაჟმა ჭალაზე ამოიყვანა ქალი ცხვრის ჭლიკებით დასერილი ბილიკით.

დასავლეთისაკენ ვარვარებდა ცარგვალი. მთვარე ჯერაც არ იყო ამოსული, მაგრამ მოთეთრო ღრუბლის ბლონდიდან გამოდენილი შუქი უკვე ლიცლიცებდა ველზე.

ალაზნის ჭალიდან მოისმოდა გამყივანი ძახილი მეველისა:

„ჰააუუუ“, და ეგ ხმა ისე საამურად ხმიანდებოდა ველზე, თითქოს შეწყვეტილი, შორეული სიმღერის რეფრენი ყოფილიყოს იგი.

რომელიღაც ფრინველმა გადაუქროლა თავზე ჭალაში მიმავალთ და ალაზნისკენ გასწია თავისი გრძელი და ბნელი ფრთების რხევით.

გოდერძიმ ისევ წაავლო მკლავში ხელი ქალს და უთხრა:

„ერთხელაც ვერ დაგიმარტოხელე მას შემდეგ, ნუნუ, თორემ მინდოდა მეთქვა: რა კარგი იყავი იმ დღეს“.

„რომელ დღეს?“

„იმ დღეს, როცა ამონალს აფეთქებდი მამუკას უბანში“.

ნუნუმ გაიღიმა.

„რა მოხდა მერმე, განა პირველად მნახე იმ დღეს?“.

გოდერძიმ ხმამაღლა გაიცინა.

„მართლაც, შეიძლება ითქვას, იმ დღეს განახე პირველად, ნუნუ“.

„არ მესმის, რა გინდოდა ამით გეთქვა, გოდერძი?!“

„ხშირად ხდება ხოლმე ცხოვრებაში, ნუნუ, ასეთი რამ: ადამიანი ყოველდღე ხედავს სხვა რომელიმე ადამიანს, ან საგანს, და ვერ კი ამჩნევს მას.

მერმე რაღაც უნდა მოხდეს ისეთი, რის შემდეგაც იგი შენიშნავს მას, მთელი თავისი სილამაზითა და მშვენებით გაბრწყინვებულს.

ერთს სავსებით უცნაურ ამბავს გიამბობ: როცა საავიაციო სკოლაში ვსწავლობდი, ერთ საღამოს საყარაულოდ ვაპირებდი გასვლას. ვერხვის შრიალი შემომესმა ზედ ყაზარმის კართან.

ცხელი ზაფხული იყო და მიამა ფოთლების შრიალი. თავი

ავწიე და რას ვხედავ? უშველებელი ვერხვი იდგა ყაზარმის კარებთან და შრიალებდა.

ათასგზის შევსულვარ იმ კარებში, ამდენჯერვე გამოვსულვარ იქიდან და ეს ვერხვი არასოდეს შემიმჩნევია".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუნუმ გაიცინა.

გოდერძიმ ტუჩ-პირზე შეეხეო ქალს.

ეწყინა, მთვარე რომ არ იყო ჯერაც ამოსული და მას არ შეეძლო ამ წუთში კიდევ ერთხელ ენახა ნუნუს ჩაკაწკაწებული, თეთრი კბილების ელვა...

„რა უცნაური ამბავია. ადამიანის სხეულში ყველაზე მეტად მახინჯია ძვალი, ხორცსა და თმასთან შედარებით გაცილებით უფრო უსიამოვნოდ შესახედავი, მაგრამ, რა ლამაზია ხანდახან კბილები, განსაკუთრებით ქალწულის კბილები", გაიფიქრა გოდერძიმ.

„განა რა მოხდა იმ დღეს ისეთი, ბიკფორდის ზონარისთვის ცეცხლის წაკიდება რა დიდი გმირობაა?" სთქვა ნუნუმ.

„არც იმდენი, მაგრამ შენ ისე შეგიწითლდა ლოყები, ცხადია, სავარაუდო განსაცდელის წინაშე კრთოდი, და ეს ძლიერ გშვენოდა კიდევაც".

მცირე ხანს უხმოდ მიჰყვებოდნენ ორივენი ბილიკს და მერმე ისევ გოდერძიმ დაარღვია დუმილი:

„მე როგორც კომკავშირელს, დიახაც, მჯერა ქალისა და კაცის თანასწორობა, მაგრამ, სხვათაშორის, ისინი ურთიერთისაგან ერთ რამეშიაც განსხვავდებიან:

როცა მამაკაცი განსაცდელის წინაშე დაფრთხება, მაშინ იგი უთუოდ სასაცილოა, ხანაც საძაგელი, სახე დაეჯლანება და შესაბრალისი ხდება, ხოლო ქალს, ქალს უთუოდ შვენის განსაცდელის წინაშე შეკრთომა".

„მეტი არაფრით განსხვავდებიან ქალი და ვაჟი?"

„კიდევ ერთი რამითაც განსხვავდებიან ურთიერთისაგან ისინი"...

„მაინც რითი?"

„როცა მამაკაცი სტირის, მე ვიტყოდი, იგი ძალზე საცოდავია და ხანაც საზიზღარი, მაგრამ არავის ისე არა შვენის ტირილი, როგორც ქალსა და ბავშვს".

„როგორც სჩანს, შენ ბევრს კითხულობ ამ ბოლო ხანს, გოდერძი, მართალი თქვი, ეს აზრები ხომ არ ამოგიკითხავს სადმე?"

„გეფიცები, არა. ჩემი პირადი დაკვირვებებია მხოლოდ. ეს აზრი მე ვერ გამოვთქვი, როგორც საჭიროა. ცხადია, რომელიმე დიდი მწერალი უკეთ იტყოდა ამას.

საერთოდ უნდა გითხრა, ჩემო ნუნუ: ჩვენ იმდენ რამეს ვკითხულობთ, რომ ასეც ხდება — ვიმეორებთ სხვის აზრებს და ჩვენად გვაქვს ისინი მიჩნეული.

დიდი მწერლები ხანდახან ისეთ აზრებს ამბობენ, რაც ჩვენ უკვე ვიცოდით თითქოს, მაგრამ თქმა ვერ მოგვიხერხებია.

ისინი უჩვენოდ გამოთქვამენ ჩვენი გულის ნადებს — ისე სადად, ისე მარტივად, რომ მათ ჩვენად მივიჩნევთ ხოლმე".

ნუნუ ამ უკანასკნელ ფრაზებს არც თუ დიდი გულისყურით უსმენდა: ამ წუთში სულ სხვა რამ უნდოდა ეთქვა გოდერძისათვის.

„ნათია თარალაშვილიც ხომ წითლდებოდა იმ დღეს, როცა ბიკფორდის ზონარს ცეცხლი წაუკიდა!"

ეს სიტყვები ენის წვერზე დაიჭირა ქალმა, ხოლო გოდერძიმ განაგრძო:

„მე მგონია, ადამიანი განსაცდელში ამჟღავნებს როგორც თავის სიდიადეს, ისე სიძაბუნესაც. ჩვენს ეპოქაში ძაბუნი ადამიანები რისი მაქნისია, ჩვენ დღეს მხოლოდ მამაცები გვესაჭიროება".

ნუნუ ჩააფიქრა ამ სიტყვებმა. ახლა მოაგონდა: როცა გოდერძიმ ნათიას სთხოვა პირველად, ცეცხლი წაეკიდებინა ბიკფორდის ზონარისათვის, ნათია გადაფითრდა და ვერ გაბედა ბიკფორდის ზონარის ხელში აღებაც.

*

ხმის გაუღებლად მიყვნენ გოდერძი და ნუნუ ბერმუხისაკენ მიმავალ ბილიკს.

ნუნუს ეწადა, როგორმე ეხსენებინა ნათია ამ წუთში და გაეგო, რას იტყოდა გოდერძი, როგორი კილოთი ახსენებდა ამ ქალს, — ქალს, რომლის სახელს ბერმუხელი ჭორიკანები წარამარა უკავშირებდნენ გოდერძის სახელს. გულით ეწადა, მაგრამ ვერ ახსენა ნათია.

ნუნუს იდუმალ უხაროდა გულში, რომ „იმ დღიდან", ესე იგი, რაც ამონალის აფეთქება დაიწყეს კოლმეურნეებმა ცხრამუხის ზეგაწზე, უმცირესი ჭორის ნატამალიც არ ისმოდა სოფელში გოდერძისა და ნათიას გამო.

უკვე აღარავინ აწყვილებდა ამ ორთა სახელს, არცთუ ვინმეს უნახავს ისინი ერთად მომავალნი კოლმეურნეობის კანტორიდან, სანერგედან, მტს-ის ფარდულიდან ან კლუბიდან. მხოლოდ ზინა ზალდასტანიშვილმა გაანდო ნუნუს წინადღეს ასეთი საიდუმლო: გოდერძიმ გული აარიდაო ნათიას.

ისიც მართალი იყო, რომ „იმ დღიდან" თავათ ნუნუც კარგად ამჩნევდა გოდერძის „სხვანაირ" შემოხედვას, განსაკუთრებულ გულისხმიერებას მისალმებისას, ჯანმრთელობისა და გუნების ვითარების გამოკითხვისას.

ეროვნული

არც ის გამოპარვია ნუნუს, რომ თითქმის ყოველ [illegible] მეურნეობაში მუშაობის დასრულების შემდეგ, გოდერძი შემთხვევას ეძებდა ნუნუსთან ერთად წასულიყო სოფლისკენ, მარტოკა მასთან გაეარნა თუნდაც მცირე მანძილი, კოლმეურნეობის სანერგე ფარდულიდან ბერმუხის კლუბამდე. მაგრამ ნათია თითქოს განგებ არ სცილდებოდა ნუნუს.

მოთავდებოდა თუ არა სამუშაო, მკლავზე დაეკიდებოდა და შეპყრობილსავით მიჰყავდა იგი შინისაკენ.

და დღეს, რატომღაც დღეს, ადრე წავიდა ნათია შინ. ნეტავ მართლაც შეუძლოდ გახდა, თუ განგებ მოიმიზეზა ავად გახდომა და ასპარეზი დაუთმო ნუნუს?

ეგებ უსიტყვოდ მიხვდა, რომ გოდერძის გული გაუცივდა მის მიმართ და ამჯერად ნუნუსთან ერთად შინდაბრუნების საშუალება მიანება?

ამავე წუთში სულ სხვა რამეს ფიქრობდა გოდერძი:

„ვინ მიინიშნავს იმ დღეს, როცა წამი მოდგება და სასურველისადმი სიყვარული ჩაესახება ადამიანს გულში?". . . . .

ასე გამოდიოდა: როგორც გოდერძის, ისე ნუნუს ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ მოგროვებოდათ ერთმანეთისათვის სათქმელი და საუწყებელი.

მიუხედავად ამისა, მიდიოდნენ და სდუმდნენ.

ახლა კაცის სიმაღლე შინდნარი დაიწყო. ნუნუს აქაც ებლანდებოდნენ ხვიარები ფერხთით. აქაც ღორღიანი იყო გზა, ნუნუ ყოველ წუთში მოელოდა, რომ გოდერძი მკლავზე ხელს წაავლებდა კვლავ და ასე წყვილად ივლიდნენ ისინი ველზე გაზაფხულის ამ მშვენიერ საღამოს, როცა გახურებულ ლოყებს ელამუნებოდა ალაზნის ჭალებიდან მომავალი ნიავი.

შინდნარში, უცნაურად ამო სურნელება იდგა, მიწის სუნთან შერწყმული სუნი ველის ყვავილებისა.

მთვარე უკვე გამოსულიყო ცაზე, მშვენიერი **იყო ეს** ღრუბელთა თეთრი კრაველებით მოგებული ცა და უკაცრიელი შინდნარი, ფრინველებისა და ნადირის უეცარი ჩქამი, ეს **ახალგაზრდული** სისხლის ჩქროლვაც ძარღვებში, სასურველთან სიარული ველდაველ. . . . . .

დაცალებულნი მიდიოდნენ ისინი, ვისაც დაწყვილებულად და ხელგაყრილად სურდათ ეარნათ.

უხმოდ მიჰყვებოდა ბილიკს ქალ-ვაჟი, რომელთაც ჯერაც წარმოუთქმელი სასიყვარულო სიტყვები უყვავოდათ გულში.

და ისე გამოდიოდა, თითქოს ვიღაცასი ეშინოდა ნეტარებას დაურწმუნებია ორივენი: შეუძლებელიაო სასურველ [illegible] რამ უთხრა და სიყვარული სამზეოზე გამოიტანო, გულისთქმას გულისხმით უპასუხო და მოსიყვარულეს სიყვარულითვე მიუზღო.

სდუმდნენ, თითქოს სიტყვები გამოლევიათო, ან ერთმანეთისათვის სურვილების გამხელა ალუკვეთავსო ვიღაცას.

მათი გულები დიახაც მიიწევდნენ ურთიერთისაკენ. არა მარტო ფიზიკური მსგავსება, გაუხარებელი ბედიც აერთიანებდა მათ, მაგრამ ვიღაცა თიშავდა და...

აჰა, დადგა ქამი და მოვიდა ის დღე, როცა სავსებით უმნიშვნელო ბიკფორდის ზონარისათვის ცეცხლის წაკიდებამ ააფეთქა ის ზღუდე, რომელიც ამ ორთა შორის აღმართულიყო, როგორც გარდუვალი, ყრუ კედელი...

ეს ამბავი უკვე ორივეს ჰქონდა შეცნობილი, მაგრამ არც ერთ მათგანს არ უნდოდა ეს ამკარად ეღიარებინა, თავგამართულად ჩაეხედათ ერთიმეორის მოსიყვარულე თვალებში გაზაფხულის ამ მშვენიერ საღამოს, როცა ალაზნის ჭალიდან ისმოდა მარტოხელა მეველის ძახილი: „ჰააუ“ და ნიავს მოჰქონდა მარტოხელა ქედნის დაგვიანებული ღუღუნი.

მოჰყვებოდნენ შინდის ბუჩქნარებს, ჭოტები ისხდნენ ხელის გამართვის სიმაღლეზე და აბრიალებდნენ ცეცხლოვან თვალებს. გარეულმა იხვებმა გადაიარეს, ბილიკზე მომავალთ კურდღელმა გადაურბინა წინ.

უსიამოდ შეკრთა ნუნუ.

შერცხვა კომკავშირელს, ცრურწმენის ნატამალიც რომ აჩქამდა სადღაც მისი გულის სილრმეში.

უკვე გამოჩნდა ბექობზე შემდგარი ბერმუხა. ცას შებჯენოდა მისი ძლიერად დაგრაგნილი ტოტები, ღამის მუქი საღებავებით მკვეთრად მოხაზულნი.

მათ გადაღმა ვარსკვლავებით მოჭედილი ცის კალთა მოჩანდა, გამოხურვებული ოქროს ფერისა.

იდგა გულზვიადი ბერმუხა, ცასა და ხმელს შორის გახიდული და ფიქრში წასული, როგორც ტალად დამდგარი ჩაფხუტიანი რაინდი, ამ ქვეყნიურ ერიამულს წამიერად განრიდებული.

გრიგალს ჩამოეტეხა ერთი უზარმაზარი ტოტი და ისე გკიდა იგი ბერმუხის გოლიათურ ტანზე, როგორც შავქარქაშიანი ხმალი დევკაცის მხარზე.

როცა გოდერძი და ნუნუ მუხის ფესვებზე ჩამოსხდნენ, მათ აშკარად შემოესმათ მუხაზე შემომსხდარი ქედნების ფრთხიალი და თავშეკავებული გრუტუნი.

„აფსუს, როგორ დაუმახინჯებია ჩვენი ბერმუხა ქარიშხალს!“

სთქვა ნუნუმ და წამსვე აიყარნენ ქედნები და ფარფატა ლანდებმა გაიშრიალეს ჰაერში.

ნუნუ ისე ახლოს იჯდა გოდერძის გვერდით, მისი სუნთქვაც აშკარად ესმოდა.

გოდერძი პაპიროსს აბოლებდა, მონუსხულივით გასცქეროდა სხივის უჩვეულო ლიცლიცს, მთვარისა და ალაზნის ურთიერთთან ალერსისაგან წარმომდგარს.

გოდერძის პირი უშრებოდა მღელვარებისაგან. მან პაპიროსი გადააგდო და თავისი ძალოვანი მკლავები შემოხვია საკუთარ მუხლისთავებს, ნიკაპი ზედ დაადო მათ და მიწას დასჩერებოდა.

ამჯერად გოდერძის სითამამემ უღალატა, ვერ იქნა და თავი ვერ მოუყარა მარჯვე სიტყვებს.

ეს მაინც უნდოდა ეთქვა ნუნუსთვის: მადლობელი ვარ, ამ მშვენიერ საღამოს შენთან განმარტოების საშუალება რომ მომეცი.

საერთოდ მჭევრმეტყველებას არც ისე მოკლებულს ვერც ამის თქმა მოეხერხებინა.

ნუნუს არ უკვირდა გოდერძის დუმილი. აგრე ეოცნებებოდა მას: სიტყვები უკვე ზედმეტი გამხდარანო.

კარგად ამჩნევდა ქალი, რომ ეს მოხშირებული თუთუნისწევა ვაჟის მღელვარების საფარველი იყო.

იმასაც გრძნობდა ნუნუ, რომ ეს ნიღაბი დიდხანს ვერ შერჩებოდა გოდერძის, რადგანაც იგი ასანთის ანთებასაც ვერ ახერხებდა, წარამარა უჩხაკუნებდა, აპარპალდებოდა ალი და პაპიროსის ტუჩებთან მიტანამდის ჰქრებოდა უკვე.

ასანთის ღეროს ანთებისას ნუნუ ამჩნევდა ვნებისაგან გაღვივებულ თვალებს.

ამ წუთში ნუნუს ერთადერთი ნატვრა ეგ იყო: სოფლისაკენ მიმავალი მეველე ან მენახირე არ მოხეტებულიყო ბერმუხის ქვეშ დასამუხლებლად და ეს ბედნიერი წუთები ისე არ დაეფრთხო, როგორც წეღან დაფრთხნენ ბერმუხიდან გაფრენილი ქედნები.

ქალწულს უჩვეულო ერეოლა გასდგომოდა ძარღვებში, მთელი

მისი სხეული თრთოდა. ნატრობდა: სალტედ შემოეკვეთენ ის ძლიერი მკლავები, რომელნიც ვაჟმა საკუთარ მუხლისთავებს მოაცილა წელან.

ასე მოუთმენლად მოელოდა ნუნუ გოდერძის ბანაში დახუთული ვნების ამბოხებას და სწორედ ამ დროს [illegible] რევოლვერის გრიალი ორჯერ. . . . . .

ნუნუ შეკრთა, მაგრამ ხმა არ გაიღო. გოდერძი წამოდგა და გახედა ცხრამუხის ზეგანის გასწვრივ მიმავალ თემშარას. ერთადერთი მანქანა მიჰქროდა მასზე:

გოდერძი ნუნუს მიუბრუნდა:

„ნუ ღელავ, არაფერია, მილიციის პატრული იქნება. ყვარელს მიმავალი, ან, შესაძლოა, მთვრალები ისვრიან!"

ნუნუმ რატომღაც სარწმუნოდ არ მიიჩნია გოდერძის ნათქვამი. წამოდგა თავათაც და დაკვირვებულად უყურებდა ყვარლის გზას.

მყუდროება დამყარდა ისევ. შორს, ძლიერ შორს ტრაქტორი ბუბუნებდა.

მალე ეს ბუბუნიც შესწყდა, მხოლოდ ალაზნიდან მოისმოდა მარტოხელა მეველის ძახილი: „ჰაეუუ".

გოდერძი ხედავდა: რევოლვერის ხმამ გუნება რომ გაუფუჭა ნუნუს, მკლავში ხელი წააკლო, გვერდით მოისვა.

ისევ მოუცაცუნეს ქალის ნაზმა თითებმა ვაჟკაცის ხელს და მკლავი გაითავისუფლა ნუნუმ.

„რა მოგდის, შენ ხომ მხდალი არა ხარ? რისი გეშინია, მე აქ არა ვარ?"

ნუნუ დაეინებულ მზერას არ აშორებდა ბერმუხის ბექობს ქვემოთ მდებარე შინდნარს. ვაჟმა თავათაც გადახედა ზღვისებრ გადალურჯებულ შინდნარს.

„ნახე გოდერძი, რაღაც შავი მოცოცავს შინდების წვეროკინებზე".

გოდერძიმ მზერა დაძაბა, თავათაც შენიშნა შავი წერტილი, რომელიც ნელ-ნელა გაიზარდა და ბურთისოდენა გახდა. კიდევ დააკვირდა.

უცნაური რამ ჩვენება წარმოუდგა ორივეს მზერას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს უპატრონო ქუდი მოცოცავდა შინდნარების წვეროკინებზე.

რამდენსამე წუთსაც არ გაუვლია და უკვე მეჩხერ შინდნარში გამოჩნდა წოწოლა ქუდიანი, ახმახი კაცის ლანდი.

„ხომ ხედავ, გოდერძი, ის ლანდი ჩვენსკენ მოდის გულდაგულ".

„რამ დაგაფრთხო, ქალო, ვინც მომსვლელია, მოვიდეს“. სთქვა ვაჟმა.

ახლა იგი თვითონაც უთვალთვალებდა ბერმუხისაკენ ჯიქურ მომავალს. ბოლოს, რაკი ძლიერ ღელავდა ქალი, მის დასაშოშმინებლად სთქვა:

„რა მოგდის დღეს, ნუნუ, განა მარტო ჩვენ გვიყვარს ბერმუხა? ვინ იცის, ეგებ ის კაციც ჩვენებრ მოქანცული იყოს ლიბერ შრომისაგან და მოდიოდეს მუხის ქვეშ დასასვენებლად ამ მთვარიან ღამეში. მე აქ ამაზე უფრო გვიან მოვსულვარ ზაფხულის ღამეს“.

ამასობაში თოფის მისაწვდენ მანძილზე მოუახლოვდა ბერმუხას უცნობი, ჯერ ნაბიჯი შეანელა, მერმე შედგა, ახალ მუხის ქვეშ მსხდარნი აშკარად ამჩნევდნენ:

ახლადმოსული დაკვირვებით უყურებდა მათ.

ეს კაცი ისე ახლოს მოვიდა, რომ გოდერძიმ დააპირა კიდევაც შეხმიანებოდა, რომელი ხარო, ეკითხა. მაგრამ აგრე ივარაუდა, ეს უფრო შეაშფოთებდა ქალს.

ახლა განზე გაუხვია უცნობმა, მხარმარცხნიდან შემოუარა ბერმუხას, ჯერ ალაზნის ჭალისკენ დააპირა წასვლა, მერმე ისევ გამობრუნდა, მუხისკენ წამოვიდა აუჩქარებელი ნაბიჯით, ბოლოს შედგა, პაპიროსს მოუკიდა და ჯირკზე ჩამოჯდა, გოდერძისა და ნუნუს მიმართ ზურგშექცეული.

აწრიალდა ნუნუ: აქედან წავიდეთო, შეეევედრა გოდერძის.

„რას ამბობ, ქალო, თუ მართლაც ავისმზრახველია ვინმე, რას იფიქრებს: ჩემი შეეშინდათო.

შევიცადოთ ცოტა, თუ რამე გაბედა, ვანანებ თავხედობას, თუ არა და რას გვიშლის, ეგდოს იქ თავის ჯირკზე“.

„გეხვეწები, წავიდეთ აქედან, გოდერძი“, ემუდარა ისევ ნუნუ.

როცა ორივენი შინდნარში შევიდნენ, გოდერძი ჩაცუცქდა შინდის ბუჩქს მოფარებული და დაკვირვებით მიხედა უცნობს.

ლანდი არხეინად იჯდა, ისევე როგორც წელან, პაპიროსი ბზინავდა მის ხელში.

მცირე ხანს მიჰყვნენ ორივენი შინდნარს, მთვარის შუქი ვერ აღწევდა ხშირ შინდნარში გავლებულ ბილიკამდის, ამიტომაც სულ მალე დაჰკარგეს იგი.

ორივეს ბურდები და ღიჭი ებლანდებოდათ უკვე ფეხებში.

სანერგე ფარდულს რა მიაღწიეს, აქ შედგა გოდერძი და, როცა მოხუცი დარაჯის ხველა შემოესმა, შეეხმიანა მას:

„გაიოზ, ხომ არა გძინავს, ჩემო გაიოზ?“

„რომელი ხარ?“ ისევ შეეკითხა ცალთვალა დარაჯი ახლადმოსულებს, მიუახლოვდა და სახეში ჩახედა მათ.

„წოწოლა ქუდიანი კაცი ხომ არ შეგხვედრია, გოდერძი? ჰკითხა გაიოზმა ვაჟს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვინა, გაიოზ?“

„ამას წინად ერთი ახმახი მობორიალდა აქ, შორიდან შემომძახა: უჯირაულის ქალი ხომ არ გინახავსო, ნუნუ“.

„მერმე შენ რა უთხარი, ჩემო გაიოზ?“ შეეკითხა ქალი.

„მე შენი ნათესავი მეგონა და მივასწავლე, ბერმუხისაკენ მიჰყვებოდა-მეთქი გოდერძის“..

ქალს არ ეამა ეს ამბავი, ხოლო ვაჟმა სთქვა:

„შენ ტყუილად დაფრთხი. ხომ გეუბნებოდი, ჩვენიანია-მეთქი. შესაძლოა ლუო ყოფილიყო. ჯერ აქ გეძია და მერმე ბერმუხის ქვეშ რა გვნახა ერთად, ჩემი მოერიდა და მიტომაც დამდურებულივით ჩამოჯდა ჯირკზე.

სხვა არა იყოს რა, ლუო ხმას არა მცემს, მე კამეჩები ჩამოვართვი ოდესღაც მას“.

„მერწმუნე, გოდერძი, ის წოწოლა ქუდიანი კაცი არამც და არამც ჩვენიანი არ უნდა იყოს“.

როცა ფარდულს გასცდნენ და ყვარლის თემშარზე გავიდნენ, ნუნუ ცდილობდა გოდერძისაგან მოშორებით ეარნა, რადგან აქაიქ ჯერ კიდევ დადიოდნენ საბარგულები და კამეჩის ურმები.

გოდერძი არ მალავდა თავის უკმაყოფილებას: საღამო მომეშხამაო, აყვედრიდა ქალს. უსაფუძვლოდ დაფრთხი და ერთ საათსაც არ ინდომეო ჩემთან დარჩენა.

„იცი, რა გითხრა, გოდერძი, ასე გაუფრთხილებლად დადიოდით ალბათ შენ და ნათია, მიტომაც ალაპარაკეთ ამდენი ბერმუხელი ჭორიკანები“...

გაკვირვებისაგან მხრები აიჩეჩა ვაჟმა.

„მე და ნათია? რას ამბობ, ნუნუ? მე არაფერი მქონია მასთან საერთო“.

ნუნუ მოიღუშა. ნამდვილად კი ესიამოვნა კიდევაც ამის გაგონება გოდერძის პირიდან.

ახლა ეგ უნდოდა: კიდევ რაიმე, უფრო საფუძვლიანი და დამაჯერებელი ეთქვა გოდერძის, კიდევ ერთხელ უარეყო ნათიასადმი თავისი დამოკიდებულება.

ამიტომაც სთქვა:

„რა ვიცი. წელიწადზე მეტია, დაბეჯითებით ამტკიცებენ შენი ნათესავი ქალები: სულ რამდენიმე კვირა და ხელს მოაწერენო“.

„ხელს მოაწერენო? ვინ მოჩმახა ასეთი სისულელე? შატშან ზალდასტანიანთ ეუეუნას ქორწილში ერთად დაგვსხეს სუფრასთან, იქ იყვნენ შენი დედინაცვალი ქეთუა და თქვენი მეზობლის რძალი მარუა. თუმცა ხუმრობით, მაგრამ მაინც ჩაგვაცივდა ორივე: ისე შვენიხართ ურთიერთს, ქორწილიღა გაკლიათო. მე და ნათია ადრე წამოვედით, რადგან დილაადრიან დაბარებული ვიყავით კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან, ეს იყო და ეს, ენის ქავილი აუტყდათ უქნარებს“.

ნუნუ გახარებული იყო ამ ამბით, თუმცა მთლად სარწმუნოდ არ მიაჩნდა ვაქის ნათქვამი. ამ გარემოებაში ერთი ამბავიც ახარებდა მას:

იგი განსაკუთრებით ერიდებოდა გოდერძისთან ერთად ყოფნას და მასთან შესაძლებელ მეგობრობას, რათა არავისთვის მიეცა საბაბი ეთქვათ, სიყრმის მეგობარს ართმევსო საქმროს.

ნუნუ თავად აძაგებდა ისეთ ქალებს, რომლებიც შეუჩნდებიან ცოლშვილიან, ხან. კიდევ დანიშნულ მამაკაცებს და ამას სპორტული დაჟინებით ეწევიან ხოლმე.

ნუნუ ისე დამტკბარი და ბედნიერი იყო ამ ახალი ამბის გაგონებით, რომ უკვე აღარ უცაცუნებდა მისი პატარა ხელი გოდერძის მკლავს, მის მკლავში გაყრილს.

ორივენი მღელვარედ განიცდიდნენ ერთად ყოფნას, ერთად სიარულს. გზის გაყოლებით ჩამწკრივებული ვენახებიდან გადმომცდარი, აყვავებული ატმის ტოტები დათოვლილ ქოლგებად გადმოსულიყვნენ გზაზე.

სწორედ მათ ჩრდილს ქვეშ მიმავალმა ვაქმა საკუთარ სხეულზე მაგრად მიიკრა ქალი და ის იყო ვნებისაგან გაცხელებული ტუჩები უნდა მისწვდომოდნენ ნუნუს ტუჩებს, სწორედ ამ დროს ჩამოიქროლა ყვარლიდან მომავალმა საბარგო მანქანამ, რომლის კოფოზე ბარე ოცი ქალ-ვაჟი იდგა და მღეროდა. ნუნუმ განზე გადასწია თავი და ანაზდად მოსწყდა ვაქს.....

შიშის ცახცახმა აიტანა ნუნუ: ეს მოხდა გზის ასაქცევთან და მანქანის ფარებმა შუქი მიაფინეს ატმის ჩრდილებს ქვეშ მიმავალთ.

ნუნუს უკვე აღარ უნდოდა, შეესმინა ვაქის ვედრება; ახლავე დავცილდეთო, შენ ახლავე გაუხვიე სოფლსაბჭოსკენ, მე კი მარტოკა წავალო შინ.

გოდერძი გამოემშვიდობა ნუნუს და ვაჩნაძისეულ სასახლისკენ მიმავალ ბნელ შუკას მიჰყვა.

ნუნუ ისე შესძრა გოდერძისთან დაცილებამ, რომ უკვე აღარ ემორჩილებოდნენ მუხლები, გალახულივით მოეშალა სახსრები.

სულ ათიოდე წუთის წინად პირველად ნაგემ[illegible] სურველთან ერთად ყოფნისა უცნაურმა შავ[illegible] ცვალა.

ქალს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მთელი მისი არსება შუაში გაჰკვეთესო და დაცილებული მისი სული მოაცილესო მთელს.

ისე ულონოდ მილასლასებდა იგი მთვარის მიერ დათოვლილ ატმების ჩრდილებს ქვეშ, თითქოს იოგებში გადაუკრესო ძარღვები.

არც წალმასვლის ძალა შესწევდა მას, არც ნებისყოფა ღონის მოკრეფისა და გოდერძის ნაკვალევზე უკან გაკიდებისა.

ისევ წარმოუდგა თვალწინ ამარი დედინაცვლის სისხლისფრად შედღაბნილი ლაშები, მთვრალების ხორხოცი სასტუმრო ოთახში, თავისი უბედობა და უდედობა.

და რაც უმთავრესია: საკუთარი „შინ" რომ არ გააჩნდა მას, გაზაფხულის ამ მშვენიერ ღამეს ასე მარტოკა გარედ დარჩენილს.

და ინანა ქალწულმა, რომ იგი არ ანებებდა თავის სასურველს არც ხელის წავლებას მკლავზე, არც წელზე ხელის შემოხვევას, არც მკერდზე მიხუტებას, ასე მხდალად რომ გაექცა მისი ტუჩების, მაძებარ ტუჩებს ატმების ჩრდილს ქვეშ...

თავისი გარდაცვლილი დედის საყვედური მოაგონდა ნუნუს, ათი წლის წინად ნათქვამი:

„შენი სიჯიუტე შენვე დაგლუპავს, ნუნუ".

სწორედ ამ დროს, მტს-ის ფარდულის გასწვრივ მდგარ ცაცხვის ჩრდილს გამოეყო ღამეზე უშავესი ლანდი, რომელსაც წოწოლა ქუდი ეხურა თავზე და ჯიქურ წამოვიდა ნუნუსკენ.

ქალმა იგრძნო მოახლოებული საფრთხე, უკან გაბრუნდა და ფარდულისკენ გაიქცა, მაგრამ რამდენიმე წამიც არ იყო გასული, ლანდი წამოეწია ქალს, ყელში სწვდა და მკერდზე მიხუტება დაუპირა.

გააფთრებულმა ნუნუმ მთელი ძალით ჩასცხო დევკაცს ცხვირპირში მჯიღი. სისხლმა იფეთქა თავდამსხმელის ნესტოებიდან და თეთრ ბლუზაზე შეექცა ნუნუს.

დაიზმუვლა მამაკაცმა და დააპირა ხელების გაკავება, მაგრამ მამაცმა ქალმა გაითავისუფლა მარჯვენა და სილა გააწნა აქლოშინებულს.

ერთ წუთს უკუიქცა ბობღია ლანდი, შეეხიზნა ატმების ჩრდილს და ისევ წამოვიდა ეს მაჯლაჯუნა, ეძგერა ქალის სხეულს და გაკარვარებული ბებუთი უნდა დაესვა სახეზე, მაგრამ მომხვდურის მკლავს მოხვდა შემკრთალი ნუნუს ხელი და მხრისთავში შეერტყა ქალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ისე შემზარავად შეჰკივლა ნუნუმ, რომ მტკ-ის ფარდულში გაეღვიძათ საბარგო მანქანის კაბინაში მწოლარე ტრაქტორისტებს. მანქანების დასაქოქავ რკინას ხელი წამოავლეს ნიკა უჯრაულმა და ხელაანთ ვანომ და ჩადმოეშვნენ ღობეზე, რაკი ეზოს კარი დაკეტილი დაუხვდათ.

მამაკაცების ყიჟინა რა შემოესმა, ლანდი მოეშვა ნუნუს და ყვარლის თემშარას დაადგა. ერთ წუთს შედგა ნიკა უჯრაული, რეოლვერი ესროლა გაქცეულს.

ეს უკანასკნელი მიხვდა, რომ მეორე სროლას მოუნაცვლებდა მდევარი, მიაწყდა საცდელი სადგურის ეკლიანი მავთულის ღობეს და სწორედ ღობეზე გადახტომისას თხრილში ჩაუვარდა თავიდან გადამძვრალი ფაფახი.

როცა ნიკამ და ხელაანთ ვანომ შინ მიიყვანეს სისხლში ამოთხვრილი ნუნუ, ქეთუამ იცნო კობერიძის კრაველის ფაფახი, მაგრამ ხმა გაკმინდა. თუმცა ასე ივარაუდა თავათ: მთვრალი კობერიძე თავს დასხმიაო ნუნუს.....

ერთუცნობიანი განტოლება

შაბათ საღამოს მომხდარმა თავდასხმამ დისონანსი შეიტანა ბერმუხის კოლმეურნეობის შრომით ალსავსე ცხოვრებაში.

ათასგვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ ამბავმა. ბერმუხელი მშრომელები აღშფოთებული იყვნენ ამგვარი თავხედობისაგან.

რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, დამნაშავე უნდა ვიპოვოთ და სამაგალითოდ დავსაჯოთო, განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

დილაადრიან ბერმუხაში ჩამოვიდნენ რაიონული ცენტრიდან — კომკავშირის რაიკომის მდივანი კევრიშვილი და პროკურორი ხიდაშელი, მილიციის სამი სერჟანტის თანხლებით.

ამ საქმეს იმიტომაც მიაქციეს საგანგებო ყურადღება როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ისე რაიპროკურორმა, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ბერმუხაში ბარე სამგზის მოხდა უცნობი პირების მიერ ფართობიდან შინმიმავალ კოლმეურნე ქა-

ლებზე - თავდასხმა ნამუსის ასახდელად, მკვლელობაც კი ჰოხდა ერთხელ.

ხიდაშელის წინა მოადგილე რაიპროკურორი ამაოდ ეცადა თავდამსხმელთა ვინაობა გამოერკვია.

ხიდაშელი ხანგრძლივად ნამუშევარი იყო [illegible] რაიონებში, მას რამდენიმე საკმაოდ დახლართული საქმე ჰქონდა გახსნილი; ესენი ეხებოდნენ თავდასხმას, სოციალისტური ქონების მიტაცებას, ზოგი მათგანიც — მკვლელობას.

რამდენიმე წლის მანძილზე მუშაობისას პროკურორმა ხიდაშელმა სახელი გაითქვა თავისი მტკიცე იურიდიული ლოგიკისა და ფაქტების ფრთხილი ანალიზის მეოხებით, ამიტომაც არავის ეჭვი არა ჰქონია, რომ სულ მოკლე ხანში აღმოაჩენდა დამნაშავეს ამ შემთხვევაშიაც.

თედო თარალაშვილი სოფლსაბჭოში დაუხვდა სტუმრებს, მაგრამ პროკურორმა მოითხოვა ჯერ ნუნუს მამისეულ ოჯახში წასვლა, რათა თავდაპირველად იქ ეწარმოებინათ მოწმეების დაკითხვა.

უჯირაულების მრავალრიცხოვანმა გვარმა შეურაცხყოფად მიიღო ეს, ამიტომაც უხუცესებმა თითქოს პირი შეჰკრეს, შეეცადნენ მათთვის ხელმისაწვდენი საშუალებით გზა აებნიათ ძიებისათვის.

ფაქტების თანმიმდევრულად დადგენას უთუოდ აბრკოლებდა ის გარემოებაც, რომ უჯირაულთა გვარის მთელი ახალგაზრდობა, განსაკუთრებით კომკავშირლები, იმ დღეს ცხრამუხის ნაკვეთზე იყვნენ.

მოხუცებს არ უყვარდათ მაინცდამაინც ნუნუ, „წინამასწარას", „მეტიჩარას" ეძახდნენ მას. ზოგი დედაბერი მოშაინობდა კიდევაც: ახია მასზე, აწი მაინც მოეშვება ვაჟებთან მეგობრობას და ჭკუას ისწავლისო.

ქეთუას გააჟრჟოლა მანქანის სიგნალის გაგონებისას, აცახცახებული შეუძღვა პროკურორს, კომკავშირის რაიკომის მდივანსა და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნუნუს ოთახში. იმწამსვე გავიდა გარეთ.

პროკურორმა უპირველეს ყოვლისა ეს ჰკითხა ნუნუს:

„ნუთუ არავის მიმართ არა გაქვთ ეჭვი?"

არავის მიმართო, მიიღო პასუხი.

„ნამდვილად?"

„მართალს მოგახსენებთ".

ახლა თედო თარალაშვილმა უთხრა ნუნუს:

„იცოდე, ყოველივე ზუსტად უჩვენე ამხანაგ პროკურორს, შვი-

ლო. ამ შემთხვევაში შენ უნდა დაგვეხმარო გამოვარკვიოთ, თუ ვინ ამღვრევს წყალს ჩვენი მშრომელი კოლექტივის ცხოვრებაში.

საჭიროა სანიმუშოდ დავსაჯოთ დამნაშავე, რათა საბოლოოდ ამოვძირკვოთ ძველი ყოფის ნაფესვარები ამ ახალი ცხოვრებიდან".

„ეს ამბავი, როგორც მოგეხსენებათ, ძია თედო, [illegible] ატმების ჩრდილებს ქვეშ, სწორედ იქ, სადაც [illegible] დგას, მტს-ის ფარდულის გასწვრივ. გასაგებია, ასეთ პირობებში მე ვეღარ შევძლებდი თავდამსხმელის სახის ნაკვთების გარჩევას. ამას ყოველივეს ისიც ზედ დაერთო, რომ მას ფაფახი ცხვირის კეხამდის ჰქონდა ჩამოფხატული".

„არც ხმა გაუღია თავდამსხმელს?" შეეკითხა ხიდაშელი ნუნუს.

„არა, ამხანაგო პროკურორო. ეს იყო ოღონდ, როცა ჩემი მჯიღი მოხვდა ცხვირ-პირში, მოზვერივით დაიზმუვლა, ატმის ჩრდილებს შეეხიზნა მცირე ხანს, ბოლოს ისევ გამომივარდა და დანა დამარტყა მხრისთავზე".

„აბა ეს მითხარი, მამაშვილობას, ეჭვი თუ გაქვს ვინმეს მიმართ? ნუ დავფარავთ, შენ ლამაზი გოგონა ხარ, არ შეიძლება არავინ გეტრფოდეს ბერმუხაში, თუნდაც იდუმალ და იჭვიანობის ნიადაგზე ჩაიდინა ასეთი ხელყოფა.

შესაძლოა, შენ გეშინოდეს კიდევაც თავდამსხმელის ვინაობის გამხელისა, მაგრამ დარდი ნუ გაქვს, ჩვენ აქ არა ვართ? ჩვენი პარტია, ჩვენი კომკავშირი არავის გადაათქერინებს შენს თავს", უთხრა თედომ.

ნუნუმ ხმა არ გაიღო.

„ხომ იყო ბარე ორი შემთხვევა, თუ არა ვცდები, როცა დაჩაგვრა მოგინდომა დედინაცვალმა, კომკავშირის რაიკომი ჩაერია ამ საქმეში და ავლაგმეთ ის დედაკაცი კიდევაც.

თუ ვინმეს მიმართ ეჭვი გაქვს, ჩვენ გვითხარი და საკადრისს სასჯელს მიიღებს იგი", ეუბნებოდა კომკავშირის რაიკომის მდივანი ნუნუს.

ორ ცეცხლს შორის იდაგებოდა ქალი. მას თვით უბრალო ყოფისმიერ ამბებშიაც არა ჩვეოდა ტყუილის თქმა.

სწორი ჩვენება მიეცა?

ამ შემთხვევაში იგი იძულებული გახდებოდა დაწვრილებით მოეთხრო, თუ როგორ გაისეირნეს მან და გოდერძიმ სანერგე ფარდულიდან ბერმუხისაკენ.

ეამბო ისიც, რომ თუ როგორ გამოვიდა წოწოლა ქუდიანი უცნობი შინდნარიდან და უთვალთვალა მათ.

არც ის უნდა დაეფარა, რომ მან გოდერძი ძალით ჩამოიცილა და შინ მიცილება არ დაანება ჭორიკანების შიშით.

ეს ყოველივე მთელ სოფელში გახმიანდებოდა. ბოლოს ჭორიკანები ამ უბრალო გასეირნებას ამხანაგ ვაჟთან ერთად გვიანი ღამით, ათასგვარ განმარტებას და კუდს მოაბამდნენ; ნუნუ მუშაობის გათავების შემდეგ ბრიგადირთან ერთად ტყე-ღრეში ღამეულ სეირნობას აწყობსო და სხვა მისთანანი.

რაც შეეხება ეჭვს, უფრო მეტიც ჰქონდა სათქმელი ნუნუს. გაემხილა თავდასმსხმელის ვინაობა? ხელისუფლება დიახაც სათანადოდ დასჯიდა დამნაშავეს, მაგრამ ეს ნიშნავდა თავდამსხმელის მახლობლების მტრად მოკიდებას, რაც უფრო მეტად აუტანელ ატმოსფეროს შეჰქმნიდა მის გარშემო.

გარდა ამისა, სხვა რამის უფრო მეტად ეშინოდა ნუნუს: ამ ამბის გამხელით შესაძლო იყო გოდერძის სიცოცხლეც განსაცდელში ჩავარდნილიყო და იმ ღამეს ნუნუ დარწმუნდა, თუ როგორ აუცილებელი და ძვირფასი ყოფილა მისთვის ეს ვაჟი.

ნუნუ კარგად იცნობდა შეუდრეკელსა და უშიშარ გოდერძის, იგი უეჭველად ზედ შეაკვდებოდა ასეთი ხულიგნური თავდასხმის მომწყობს.

ამიტომაც არჩია ნუნუმ ეს ყოველივე როგორმე უსიტყვოდ გადაეტანა. სწორედ ამიტომაც გაბრაზებული ხმით წაიდუდუნა ნუნუმ:

„ცრავის მიმართ არა მაქვს ეჭვი".

პროკურორის მბაფრმა სმენამ ეს შენიშნა; კიდევ ერთხელ ჩაჰკითხა თავჩაღუნულ ქალს: როცა იგივე პასუხი მიიღო, სერჟანტს უბრძანა: ქეთევანი შემოეყვანათ.

თვდომ თავის დაფანჩვული წარბებიდან გამოხედა ახლადმოსულს:

„დედაკაცო, შენ ყოველ კვირას ახალ-ახალი მოწმობები მოგაქვს კოლმეურნეობის კანტორაში.

მუდამ ამას წუწუნებ: ავად ვარ, მუშაობა არ შემიძლიაო, როგორც ჩანს, სტუმრებისათვის მაინც მოგიცლია?

გუშინ ათი წლის ბალღებიც გვეხმარებოდნენ ცხრამუხაში, და შენ ასეთ დროს ქეიფსა და ლრეობას აწყობ. როგორაა შენი საქმე, ბა?"

„რასა ბრძანებთ, ბატონო, თავმჯდომარე, რომელი სტუმრები, რა ქეიფი? ნაკვეთზე რად არ მოველი? შარდის ბუშტის ანთება მაქვს (დაურცხვენლად იხმარა ეს სიტყვები ქეთუამ), როგორღა შემიძლია დაკუზულად ვიმუშაო.

გუშინ ქალაქს ვაპირებდი საექიმოდ წასვლას და... მე არ შემიძლია ვენახში მუშაობა. ნახირში გასვლა მირჩევნია დაკუზულად მუშაობას".

„ჩვენ აქაც გამოგცადეთ, არც მენახირეობა ინდომე შარმან".

ქეთუას შეეშინდა — მენახირეობა ხელახლა არ [illegible] ცრემლები გადმოღვარა და სთქვა:

„მე არც მენახირეობა შემიძლია, მე რომ სახლიდან გავიდე, ბიჭს რა ვუყო, ჩემს მალხაზს?"

„ბიჭს რა უჭირს, ტოლებთან ითამაშოს".

„განა არ იცი, ძია თედო, მიწას რომა ჰამს ჩემი მალხაზი?"

მერმე ისევ ატირდა, მოებღაუჭა შვილსა და „მიწას" და არ აპირებდა წუწუნის მოთავებას.

„ქეთუა, გირჩევ, ყოველივე სწორედ უჩვენო ამხანაგ პროკურორს", მტკიცედ განუცხადა თედომ.

პროკურორის ხსენებაზე ელეთმელეთი მოუვიდა ქეთუას. მას ვერც კი წარმოედგინა, პროკურორი ჩვეულებრივი ადამიანი თუ იქნებოდა. ხან ხიდაშელს უცქეროდა დაფეთებული თვალებით, ხანაც კომკავშირის რაიკომის მდივანს, ვერ გაერკვია, თუ რომელი მათგანი იყო პროკურორი.

„რა უნდა ვუჩვენო, ძია თედო, რაც არ ვიცი, რა უნდა ვუჩვენო?"

ეს წაილუღლუღა, მუხლი მოეკვეთა, იატაკზე დაეცა, იდაყვები მუხლისთავებზე დაიბჯინა, ორივე პეშვში ჩარგო ცხვირპირი და მოჰყვა ზლუქუნს.

შრამელიდან უჯირაულების ჩოჩქოლი ისმოდა, სერჟანტები ვერ აუდიოდნენ მათ დაშოშმინებას. ბალღები და დედაკაცები წარამარა აღებდნენ შრამელის კარს, ყურთასმენა არ იყო ჭრიალისაგან.

ახლა მეზობლიანთ მარუა შემოიყვანა სერჟანტმა.

როცა მარუამ აზლუქუნებული ქეთუა დაინახა, საქმე ცუდადაა — გაიფიქრა და თავათაც გადმოჰყარა ცრემლები. მანაც ეს აიჩემა:

არაფერი არ ვიცი, არც არსად ვყოფილვარ, არც არავინ მინახავს.

ყველა წმიდანი ჩამოიყვანა ციდან, მიცვალებულების სული და ცოცხლების სიცოცხლე დაიფიცა.

პროკურორმა რაღაც გადაუჩურჩულა თედოს, ამ უკანასკნელმა სერჟანტი მოიხმო, ნიკა უჯირაული და ხელაანთ ვანო შემოიყვანეს.

მალხაზი უკითხავად შემობორიალდა სასტუმროში, გულდაგულ მივიდა იმ მაგიდასთან, რომელსაც გარს უსხდნენ სტუმრები და გაოცებული მიაშტერდა პროკურორის ხელში მოლვაროე წითელ ავტოფანქარს.

არც ხიდაშელმა და არც თედო თარალაშვილმა [illegible] იცოდნენ, თუ რა მომენტები უძღოდნენ წინაღ[illegible] [illegible]ასა მას, ერთი რამ ჰქონდათ განაგონი მხოლოდ: ქეთუას სახლში ქეიფი ყოფილაო იმ საღამოს, მაგრამ ამ ამბის დეტალებს არავინ უმხელდა მათ.

პროკურორმა ისევ მისცა რამდენიმე შეკითხვა ქეთუასა და მარუას, მაგრამ ორივენი ერთსა და იმავეს იმეორებდნენ:

არც არავინ გვინახავს, არც არაფერი ვიცით, არც არავითარი ქეიფი ყოფილაო.

ხელაანთ ვანო პირზე დაადგა მათ:

„რას ბრძანავთ, ქალებო, თქვენ ორმა არ გაგვაღვიძეთ განა წუხელ? განა თქვენ არ გვთხოვეთ გაგვეზავებინა მოჩხუბარნი? ჰა?“

„გაგაღვიძეთ, მერე რა, მე და მარუა რაიკავშირში მივდიოდით, ვნახეთ, ორი კაცი ჰკლავდა ერთმანეთს, მიტომაც გაგაღვიძეთ, მერე რა?“

„თქვენ აკი ამბობდით, არავინ გვინახავსო. საინტერესოა, რად მალავდით ამ ამბავს აქამდის?“

მშვიდად შეეკითხა ხიდაშელი ქეთუას.

ახლა პროკურორის მახვილმა თვალმა შეამჩნია: როცა ქეთუა და მარუა ჩვენებას იძლეოდნენ, პატარა მალხაზს ეცინებოდა, წმინდა ბალღური ანგლობის გამოსხივება ციმციმებდა მის თვალებში.

პროკურორმა თვალით ანიშნა სერჟანტს, ქეთუა და მარუა გარედ გააყვანინა, მერმე მალხაზს ხელი გადაუსვა თავზე და უთხრა:

„რამდენი წლისა ხარ, ბიჭიკო?“

კარისკენ მიმავალ ქეთუას ჟრუანტელმა დაუარა ტანში, ერთი მიხედა მალხაზს, გაიფიქრა: ბავშვი ყველაფერს დაფქვავსო, და სასტუმროდან გავიდა.

„ცამეტისა“, მიუგო ბავშვმა და თავათ მიუბრუნდა პროკურორს:

„რა კაი კალამი დაქვს, ძია“.

„ეს კალამი როდია, ფანქარია“.

„ჰოდა... ვინ მოდცა ეს ფანქარი, ძია?“

„ძალიან მოგწონს ეს ფანქარი, ბიჭიკო?“ მალხაზი წაეპოტინა ფანქარს.

„რაკი აგრე მოგწონს, შენი იყოს ეს ფანქარი, ბიჭიკო“, უთხრა პროკურორმა და გულმტკივნეულად შეხედა ამ საცოდავ უბედურ ლის სამკუთხედ თავსა და ობობის ჰარტლასავით წეწვრიტებულ ყვითელ ყელ-კისერს, რომელსაც ჩიყვის ნიშნები უკვე ეტყობოდა.

ახლა სხვა ფანქარი ამოიღო პროკურორმა ჯიბიდან:

„შენ რა გქვია, ბიჭიკო?“

„მალხაზი“.

„იფ, რა ლამაზი სახელი გრქმევია, ბიჭიკო, აბა ეს მითხარი ახლა: შენ რა ხარ დაზარალებულისა?“

„ვისი?“ ჩაჰკითხა მალხაზმა და ახლა მეორე ფანქარს, ამჯერად მწვანეს, მიაშტერდა.

„აი ამ გოგონასი“, უთხრა პროკურორმა და ნუნუზე მიუთითა.

„დაა ჩემი“.

„კარგი და პატიოსანი. ახლა ისიც მითხარი, მალხაზ, წუხელ საღამოს სად იყავი, ჰა?“

„რად დინდა, სად ვიყავი ძია? მანდ ხომ არ უნდა ჩაწერო ედეცა?“.

„არა, მე არაფრის ჩაწერას არ ვაპირებ, ისე მინდა გავიგო“.

„შინ ვიყავი“.

„კიდევ ვინ იყო შინ?“

„დედაჩემი“.

„კიდევ?“

„ძალუა მაროო“.

„კიდევ, კიდევ?“

„კიდევ ვინ იქნებოდა“, მალხაზი დაფიქრდა, კეფა მოიფხანა და ზედიზედ ჩამოთვალა:

„პაპა აბრია, პაპა ლუო, ძია კანკრე და ერთი დზელი, დზელი კაცი, აი ეს ფაფახი მას ეხურა თავზე“.

„კიდევ ვინ იყო?“

„კიდევ არავინ“.

„კეთილი. ახლა ეს მითხარი, მალხაზ რას აკეთებდნენ ისინი?“

„რასა და ღვინოს სვამდნენ“.

„კიდევ რას?“

„არაფერს, კიდევ... ჩხუბობდნენ“.

„არ იცი, რად ჩხუბობდნენ?“

„არ ვიცი, ძია“.

„ახლა შენ ეს მითხარი, მალხაზ, ამ ფაფახის პატრონი როდის მოვიდა, არ გახსოვს?“

„ჭზე არ იყო ჩასული, როცა ის დზელი კაცი მოვიდა, ძია“.

„მარტოკა მოვიდა?“

„არა, ძალუა მარომ მოიყვანა, მერე თვითონ წავიდა ძალუა მაროი“.

„რამე ხომ არ მოუტანია, თუ იცი?“

„დიიდი, დიდი ჩემოდანი მოათრიეს ერთი“.

„რა იყო, თუ იცი, იმ ჩემოდანში?“

„ბევრი, ბევრი კაბები, ქუდები და ფეხსაცმელები. ქალაქში უნდა წავეყვანეთ იმ დზელ კაცს მე და დედიკო, მაგრამ მე ვიტირე და დედა არ წავიდა ქალაქში“.

შრამელში მოგროვილი უჯირაულები ისე ხმამაღლა ჩოჩქოლობდნენ, სასტუმრო დარბაზში ისმოდა ეს გნიასი.

პროკურორმა თავი გადაწია განზე და თედოსა და კომკავშირის რაიკომის მდივანს, კევრიშვილს უჩურჩულა:

„აქ ისეთი ხმაურობაა, მუშაობა შეუძლებელია, ხომ ხედავთ, სულ სხვა რამეები ირკვევა. მოდი, სოფლსაბჭოში წავიდეთ და იქ დავკითხოთ დანარჩენები“.

*

რადგან კვირა დღე იყო, ამ ახალი ამბით დაინტერესებულნი სოფლსაბჭოსთან მოგროვილიყვნენ. ჯერ არავინ არაფერი იცოდა დანამდვილებით, უსაქმურნი ათასგვარ ზღაპარს თხზავდნენ.

ზოგი იმასაც ამტკიცებდა: მერგოლური ნუნუ უჯირაული და გოდერძი ელანიძე წუხელ ბანდიტებმა მოიტაცესო, გოდერძი გაუთოკავთო. სადღაც ტყეში მილიცია გადაჰყრია ბანდიტებს, ხანგრძლივი სროლისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ ნუნუ დაუჭრიათ ყაჩაღებს, შემდეგ ამისა, დაუთმიათო.

მანქანიდან ჩამოსულებმა ძლივს გაარღვიეს მოსეირენი და სოფლსაბჭოს დარბაზში შევიდნენ.

დარბაზში ლენინისა და სტალინის პორტრეტები ეკიდა კედელზე. ახლადმოსულნი მაგიდას მოუსხდნენ.

ხიდაშელმა სთხოვა თედოს, უკანვე გაეგზავნა მანქანა და მალხაზის მიერ დასახელებული პირები მოეყვანათ სერჟანტებს.

აბრია უჯირაული ქუდმოხდილი შემოვიდა დარბაზში, სალამი მისცა დამხვდურებს.

პროკურორმა თვალი შეავლო მას და უთხრა:

„კანონის სახელით გიცხადებთ: სწორი ჩვენება ნუნდა მოგვცეთ, ხომ გესმის, ძია კაცო?“

„მესმის, ბატონო, როგორ არ მესმის, მე გაფრთხილებაც არ მჭირია ასეთ საქმეში. ჩემს დღეში ტყუილი არ მითქვამს და ახლა როგორღა გეტყვით ტყუილს“.

„ეხლა ეს მითხარი, ძია კაცო, წუხელ საღამოს დაესწარით თუ არა ქეთუას სახლში გამართულ ქეიფს?“

„რომელ ქეიფს, სად იყო ქეიფი, მე შემთხვევით გავიარე იქ და პური ვჭამეთ“.

„კეთილი. თქვენ პურის ჭამას უწოდებთ ისეთ ქეიფს, რომელიც თავპირის მტვრევით თავდება. კიდევ ვინ დაესწრო ამ „პურის ჭამას“, თქვენი სიტყვით რომა ვთქვათ?“

„ვინა და ჩემი ძმა — ლუო, ჩემი ძმისშვილის შვილი — კანკრე“...

„კიდევ ვინ?“

„კობერიძე, ტფილისელი სტუმარი“.

„ვისთან ჩამოვიდა ის კობერიძე?“

„არ ვიცი!“

„ეს ქუდი ვისია?“

„კობერიძისა“.

„ახლა ეს მიბრძანეთ, რა ჩამოიტანა იმ კობერიძემ?“

„არაფერი ვიცი“.

„ვინ იჩხუბა წუხელ ქეთუას სახლში?“

„ჩხუბიო? სად იყო, ჩემო ბატონო, ჩხუბი? ტყუილუბრალოდ წალაპარაკდნენ კობერიძე და კანკრე, ჩემი ძმისშვილის შვილი“.

„საგანი რა იყო ჩხუბისა, რის გამო წაეკიდნენ ისინი ერთიმეორეს?“

„ღვინოს იპარავო, ჩააცივდა კანკრე სტუმარს“.

„მხოლოდ ამიტომ?“

„სხვა არაფერი ვიცი“.

ლუო უჯირაული თუთიყუშივით ერთსა და იმავეს იმეორებდა: არავინ მინახავს, არაფერი ვიციო, და როცა პროკურორმა თანმიმდევრული გამოკითხვა დაუწყო, მან თითქმის იგივე გაიმეორა, რაც მისმა ძმამ, აბრიამ.

ახლა კანკრე შემოიყვანეს სერჟანტებმა.

მას, სოფლსაბჭოს დარბაზში შესულს, არც კი მოჰგონებია, თავისი ოფლით გაზინთული, ფასონდაკარგული კეპის მოხდა, მიუსალმებლად მიადგა იმ მაგიდას, რომელსაც პროკურორი და სხვა პასუხისმგებელი პირები გარს უსხდნენ.

პროკურორმა თავისი ელვარე პენსნე მიანბათა მას, მაგიდაზე დადებულ კრაველის ფაფახზე მიუთითა და ჰკითხა:

„თქვენ ეს მითხარით, ვისია ეს ქუდი?“

„ქუდიო? მე რა ვიცი, ვისია? მე ხომ მექუდე არ ვარ, აბა რა ვიცი, ვის როგორი ქუდი ახურავს თავზე?“

„მაშ თქვენ აგრე ფიქრობთ, მხოლოდ მექუდეს შეუძლია ნაცნობის ქუდი იცნოს, არა?“

ცივად, აულელვებლად უთხრა პროკურორმა კანკრეს.

„მაშ, დავიჯეროთ, რომ თქვენ კობერიძის ქუდი ვერ იცანით, არა?“ სთქვა კომკავშირის რაიკომის მდივანმა და თვალი გაუსწორა კანკრეს უხიაგად მოლუშულ წარბებს.

კანკრეს არა ერთხელ უგემნია პროკურორების დაკითხვა. იგი შეჩვეული იყო ასეთ რამეებს, ამიტომაც გამომწვევად ეჭირა თავი.

ეს შენიშნა თედო თარალაშვილმა და ამიტომაც ჩაერია საქმეში:

„შენ როგორ გიჭირავს, ყმაწვილო, თავი. ხომ არ დაგავიწყდა, სადა ხარ და ვის წინაშე?“

„მე არაფერიც არ დამვიწყებია და ყველაფერი კარგად მახსომს, ძია თედო. სოფლსაბჭოში ვარ, მერე რა?“

„იცი თუ არა შენ, რა დაგავიწყდა უპირველეს ყოვლისა? ქუდის მოხდა და ისე შემოსვლა.

კიდევ დაგავიწყდა ერთი რამ: ზრდილობა, ქართული ზრდილობა. შენზე ადრე აქ მწყემსები შემოვიდნენ — აბრია და ლუო, ამას მწყემსებიც მიხვდნენ ქუდის მოხდას და მისალმებას“.

კანკრე დამდუღრულივით შეტოკდა და სწრაფად მოიხადა თავისი გაზინთული კეპი.

პროკურორმა ისევ განაგრძო დაკითხვა, მაგრამ კანკრე ერთსა და იმავეს იმეორებდა: ავად ვიყავი, ექიმთან მივდიოდი და შემთხვევით ქეთუასთან გავიარეო. ღვინოს იპარავდა და კობერიძეს ამიტომ ვცემეო.

„ახლა ეს ვიკითხოთ: ყმაწვილო, თუ მართლაც ავად იყავი, ღვინის სმაში როგორღა ჩაები, ან იმ კობერიძეს როგორღა სცემე ავადმყოფმა?

ნუთუ ამ ცემის საბაბად ისღა კმაროდა, კობერიძე ღვინოს რომ არა სვამდა?

ჯერ განაცხადეთ, კობერიძეს არ ვიცნობო, მერმე წამოგცდათ, ღვინის ვაჭარიაო. ახლა ეს გვიბრძანეთ, როგორღა გავიგოთ, სად ამბობთ მართალს, ან როდის ტყუით?“

„მე ტყუილი არა მჩვევია, არაფერსაც არ ვტყუი. ხოში მქონ-
და და ვცემე“.

პროკურორმა გესლიანად გაიღიმა და მიუგო:

„მაშ თქვენა გგონიათ, საკმარისია „ხოში“ მოეცეს
მოქალაქეს და ყველას სცემოს, ვინც მას არ მოეწონება, ...
ლა მე გეკითხებით:

ჰგავს თუ არა ეს თქვენი საქციელი საბჭოთა ადამიანის საქცი-
ელს? ხოში გქონდათ და სცემეთ, არა? კეთილი.

ახლა ეს მითხარით: კობერიძეს იმ დღეს ხომ არაფერი ჩამოუ-
ტანია ქეთუასათვის?“

„მე არ ვიცი, რა ჩამოიტანა კობერიძემ. ხომ გითხარით მე
ექიმთან მივდიოდი და გვიან გამოვიარე-მეთქი“.

ახლა თედო თარალაშვილმა ჩაურთო სიტყვა:

„რამდენადაც ვიცით, ჩვენი ექიმი სოფლის ბოლოს ცხოვრობს
და შენ შავსოფლის უბანში გზად როგორღა გაიარე? გარდა ამისა,
შენ ისე ჰგავხარ ავადმყოფს, როგორც მე აბესინიის იმპერატორს,
ხომა?“

კანკრემ ხმა გაკმინდა, ხოლო პროკურორმა განაგრძო კანკრეს
დაკითხვა:

„მაშ თქვენ არც ჩემოდანი გინახავთ და არც საჩუქრები?“

„მე ვიცი, ეს ვინც გითხრათ“.

„საიდან იცით?“

„მე შრამელში ვიყავი და იქ გავიგონე — მალხაზს გამოკი-
თხეთ თქვენ ეს ამბავი, მაგრამ თქვენ გავიწყდებათ, რომ ის ბავშვი
სულელია და ბნედიანი“.

„კარგი, ბავშვის სიტყვებს ნუ დავემყარებით, ის სულელია და
თქვენ ჭკვიანი, კეთილი. ახლა ეს მიბრძანეთ: როცა თქვენ კობე-
რიძეს სცემეთ, ეს ქუდი თუ შერჩა მას თავზე?“

„როცა მე მას უკანასკნელად შემოვკარი, ეს მახსომს, ხრამში
გადაუვარდა ქუდი, მაგრამ არ ვიცი, ეს იყო თუ სხვა ქუდი“.

„ეგებ სხვა ვინმე ნახე იმ ღამეს, საერთოდ ქუდი რომ ამო-
ეღოს ხრამიდან?“

„არავინ“.

„თქვენ როგორ ფიქრობთ, ჩხუბის შემდეგ სად წავიდა კობე-
რიძე?“

„არც ეგ ვიცი“.

„თქვენ სად წახვედით ნაჩხუბარზე, არც ეგ გახსოვთ?“

„ნიორთავასთან, წისქვილში“.

„რად წახვედით იქ?

„სათევზაოდ ვაპირებდით მეორე დილას წასვლას“.

კანკრე მიხვდა, რომ მისმა გამომწვევმა ტონმა თანადამსწრენი გააბრაზა. ამიტომ უკუქცევას დაადგა. უკვე თავმდაბლური ტონით მიმართა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს:

„აბა მე მართალს ვიტყვი, ძია თედო. იმ [illegible] ერთი იმიტომ, რომ ღვინოს იპარავდა, ჩემი დათრობა უნდოდა, გარდა ამისა, კიდევ მქონდა სხვა მიზეზი.

როგორც კი ღვინოში შეევიდა, ჩააცივდა დიასახლისს: ახლავე ნუნუ მომიყვანეთო. ჩვენ, უჯირაულები, ასეთ რამეებს არავის გავაბედინებთ, შენ კარგად იცი, ძია თედო“.

„აჰა, თქვენ აქამდის მალავდით ამ მიზეზს? კეთილი. ახლა წადით და დერეფანში მოიცადეთ“, სთქვა პროკურორმა.

როცა კანკრე კარებისაკენ გაემართა, თედო თარალაშვილმა იგი უკუიხმო და მაგიდასთან მოკრძალებით მოახლოებულს უთხრა:

„ახლა ხომ იცი, თუ ვინ არიან ეს ამხანაგები?“

ვიცი, მიუგო თავჩალუნულმა კანკრემ.

„გამოძიება ალბათ გამოარკვევს, თუ ვინ ჩაიდინა წუხელ ასეთი ხულიგნობა ჩვენს ბერმუხაში: ჩვენ მას სასტიკად დავსჯით, მაგრამ ამისგან დამოუკიდებლად უნდა გაგაფრთხილო, კიდევ ერთხელ და უკანასკნელად: ეცადე, როგორმე თვითონვე გამოსწორდე, კანკრე.

მე თვალყურს გადევნებ მას შემდეგ, რაც შენ ჩვენს კოლმეურნეობას შემოეხიზნე.

ორჯერ გაგაფრთხილე, მარტო ის რადა ღირს წუხელ შუალამეზე ჩხუბი და ღრიანცელი რომ ასტეხე და ჯაფისაგან დაქანცულ მშრომელებს ძილი გაუტეხე.

შენ იცი თუ არა, ჩვენს ქვეყანაში ვინც არ შრომობს, იგი არც უნდა სჭამდეს, ვინც არ მუშაობს და სხვასაც ძილს უფრთხობს, ხომ იცი, იმას რა მოელის?“

ვიცი, თავმოდრეკილად მიუგო კანკრემ.

„ჩვენ აგრე გვასწავლეს, განაგრძო თედომ, კოლექტივი მარტოოდენ საზრდოს მომხვეჭელი როდია, არამედ მშრომელების აღმზრდელიცაა. ახლა წადი და კარგად დაუფიქრდი, რაც გითხარი“.

ესა სთქვა თედომ და მისი ლაბინარისფერი თვალებიდან იელვა რისხვამ.

სერჟანტებმა კობერიძე შემოიყვანეს. იგი ბარე ორჯერ შრომის კოლონიაში იყო ნამყოფი, ამიტომაც წელში მოკუტული მიუახლოვდა მაგიდას.

კობერიძე კანკრეზე უფრო ნაკლებად თავხედი აღმოჩნდა, თუმცა იგიც ბევრს ეცადა ტყუილების ღობე-ყორეს ამოფარებოდა. თავდაპირველად დაჰპირდა კიდევაც პროკურორს, [illegible] სისწორით მოგახსენებთო, მაგრამ წარამარა იმეორებდა — „[illegible] ცი“, „არ მინახავს“, „არ მახსომს“.

კობერიძემ არ გაამხილა ბერმუხაში ამჯერად ჩამოსვლის ნამდვილი მიზეზი. ჩემს სიმამრიშვილის, მეღორე პოპოლას სტუმრად ვეწვიეო, მასპინძელი კრებაზე აღმოჩნდა, ამიტომაც ქეთუას, ჩემი ძმაკაცის ქვრივს შევუარეო.

არავითარი ჩემოდანი და არც რაიმე საჩუქრები არ ჩამომიტანია, მე, მცირე ხელფასიან კაცს, საჩუქრების საყიდელი ფული სადა მაქვსო.

იგი არც თუ ტრაბახს გამოსდგომია კანკრესავით. როცა პროკურორი შეეკითხა, თქვენ ორს შორის რომელმა რომელს სცემაო, კობერიძემ მიუგო: ორივემ საკმარისად ვცემეთო ერთიმეორეს.

ჩხუბის მიზეზი მანაც მიაფუჩეჩა.

„კეთილი და პატიოსანი, — სთქვა პროკურორმა, — ჩხუბის დასრულების შემდეგ ხომ არ გიძებნიათ, ან არ გიპოვიათ თქვენი ქუდი?“

„ვეძიე და ვერ ვიპოვე“.

„მერმე სად წახვედით იქიდან?“

„ჩემი სიმამრიშვილის, მეღორე პოპოლას სახლში“.

„რომელი საათი იქნებოდა, თუ გახსოვთ?“

„ზუსტად თორმეტი“.

პროკურორმა ჩაიწერა ეს ციფრი.

„საიდან იცით?“

„როცა მასპინძლისას მივედი, საათი ამოვიღე. შუშა დამსხვრეული იყო, მაინც მუშაობდა“.

„მერმე ხომ არსად წასულხართ?“

„არსად წავსულვარ“.

პროკურორმა კობერიძესაც გარედ გასვლა და დერეფანში მოცდა უბრძანა. სერჟანტებმა ნიკა უჯრიალული და ხელაანთ ვანო შემოიყვანეს ხელახლა.

„თქვენ ხომ არ გახსოვთ, რომელი საათი იქნებოდა, როცა ქალებმა გაგაღვიძათ მტს-ის ფარდულში?“

„თერთმეტი, მიუგო ორივემ, ახლადმოსულები ვიყავით სამუშაოდან“.

„როცა ქალის ყივილმა გაგაღვიძათ, მაშინ რა დრო იყო?“

„პირველის ნახევარი“.

ეს ციფრიც ჩაიწერა პროკურორმა.

ახლა ნიორთავა და მეღორე პოპოლა შემოიყვანეს სერჟანტებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროკურორმა ჯერ პოპოლა მოიხმო და ჰკითხა:

„კობერიძე რა ნათესავია თქვენი?"

პოპოლამ თავისი თეთრი კბილები გამოაჩინა და სთქვა:

„ბევრი არაფერი, ჩემო ბატონო, მას ჩემი დაი ცოლად ჰყავდა ოდესღაც".

„ახლა სად არის თქვენი დაი?"

„გარდაიცვალა, ჩემო ბატონო".

„რისთვის ჩამოვიდა, თუ იცი, ეგ კობერიძე ბერმუხაში?"

„სწორედ რომ მოგახსენოთ, არ ვიცი, ასე მითხრა, ყვარელს მივდიოდი და გამოგიარეო".

„წინათ თუ გწვევია ოდესმე?"

„შარშანწინ იყო ჩვენსას სტუმრად".

„რისთვის იყო ჩამოსული, თუ გახსოვს?

„თუ არა ვცდები, არტელისგან იყო გამოგზავნილი ღვინის შესაძენად".

როცა ნიორთავა შეიყვანეს დარბაზში, პროკურორს გაეღიმა.

„როგორ ბრძანდები, სოლომონ?" შეეკითხა ახალმოსულს პროკურორი.

„ყველაზე უკეთესად, ჩემო ბატონო".

„ერთი ეს მითხარი, ჩემო სოლომონ, კანკრემ მართლა შენთან გაათია წუხელ წისქვილში ღამე?"

„ჩემთან იყო, ჩემო ბატონო, კანკრე".

„რად გეწვია ღამის გასათევად?"

„ტილით უნდა გვეთევზავა".

„რომელი საათი იქნებოდა, თუ გახსოვს?"

„გლეხის ვახშმობა იქნებოდა, ჰა და ჰა".

„მერმე არსად წასულა?"

„არსად, ჩემო ბატონო".

„რა იცი, ეგებ შენ დაგეძინა და ის კი გაგეპარა".

„არა, ჩემო ბატონო, პირიქით, მე მთელი ღამე ვფხიზლობდი. საფქვავი მოგვაყარეს გადალმელმა კოლმეურნეობებმა. კანკრეს კი ეძინა, რადგან ნამთვრალევი იყო".

„ეს ქუდი ხომ არ იცი, ვისია?" შეეკითხა პროკურორი და კობერიძის ქუდი აიღო ხელში.

„არა, ჩემო ბატონო".

„კანკრე უქუდოდ მოვიდა?"

„დიახ, უქუდოდ, ჩემო ბატონო“.

„როგორ, მუდამ უქუდოდ დადის ეგ თქვენი კანკრე?“

„დიახ, ჩემო ბატონო, კანკრე უქუდოდ დადის ხანდ[illegible] ჩემ[illegible] თანა ქაჩალი როდია, გრუზა თმა აქვს თავზე“.

ბიბლიოთეკა

„კეთილი. ახლა ეს მითხარი, ჩემო სოლომონ, როცა კანკრე გეწვია, არ შეგინიშნავს ნაცემი რომ იყო?“

„ვკითხე კიდევაც, ჩემო ბატონო, ვინ გცემა-მეთქი?“

„რა მოგიგო ამ კითხვაზე?“

„ერთ კაცს მაგრად ვცემეო“.

„ხომ არ დაუსახელებია ვინმე“.

„არც მე მიკითხავს და არც მას დაუსახელებია არავინ“.

მოწმეების დაკითხვამ თითქმის არავითარი შედეგი არ გამოიღო. რაც უმთავრესია, არ მოხერხდა იმის დადგენა, თუ ორთა შორის ვინ აიღო ღიჭიანში გადავარდნილი ქუდი.

თედო თარალაშვილი და კომკავშირის მდივანი კევრიშვილი ყოყმანობდნენ: ამ სამთაგან არც ერთი არა სთვლიდა შეუძლებლად იმას, რომ ვინმე მესამე პირს ეპოვნოს ეს ქუდი და ამ უცხო თავსაბურავით ასე თუ ისე შენიღბულს, თავდასხმა მოეწყოს.

მით უმეტეს სავარაუდო იყო ეს, რამდენადაც თავათ ნუნუ ამტკიცებდა: თავდამსხმელს ეს ქუდი წარბებამდის ჰქონდაო თავზე ჩამოფხატული.

მათი აზრით, ესეც შესაძლებელი იყო: თავდამსხმელი უკან მოჰყვებოდა ნუნუს და გზაში შემთხვევით ნაპოვნი ქუდი შესანიღბავ საშუალებად გამოიყენა.

პროკურორმა ხელმეორედ დაჰკითხა ქეთუა და მარუა, მაგრამ ორივემ ისევ ჩამოიყვანეს ციდან წმინდანები, მიცვალებული ქმრების სულები და ცოცხალი შვილების სიცოცხლე. იფიცეს: არც კრაველის ქუდი გვიძებნია, მისი მპოვნელი არც თუ ვინმე გვინახავსო.

ასე რომ მოწმეების დაკითხვის შედეგად მოპოვებულ მონაცემთა შორის ერთი და უმთავრესი რამ მაინც უცნობი რჩებოდა, კერძოდ, ის ფაქტი, თუ ვინ იპოვა კრაველის ქუდი და შესანიღბავად ვინ გამოიყენა?

პროკურორს უკვე საეჭვოდაც მიაჩნდა, რომ მილიციის პატრულისაგან გაფრთხილებულს რომელიმე მოჩხუბართაგან სითამამე ყოფნოდეს ქუდის მოსაძებნად.

ამ ვარაუდს ისიც ზედ ერთვოდა, რომ როგორც კობერიძე, ისე კანკრე მაგრად დაბეჟილები იყვნენ. ერთ მათგანს: სახელდობრ, კობერიძეს საკმაოდ მოზრდილი ბებერა ჰქონდა მარჯვენა წარბს

ზემოდ, ნიკაპზე სისხლჩანაქცევი ტალი აჩნდა, ხოლო კანკრეს ორივე ღაწვისთავი და ცხვირის ბვინტი მაგრად ჰქონდა დალილავებული.

მაშასადამე, მოსაძებნი იყო მესამე პირი და ~~ხაბოლოდ~~ ბოხვითარი გზა არა სჩანდა.

*

სწორედ იმ კვირას, როცა პროკურორი ეწვია ბერმუხას, პროფესორი კორინთელი და მისი მეუღლე მედეა თელავს აპირებდნენ ნათესავების მოსაკითხავად, ერეკლე მეფის სასახლისა და იქაური მუზეუმის დასათვალიერებლად წასვლას.

ცხრამუხის ზეგანზე ვაზნარების მოწყობასთან დაკავშირებულმა საქმეებმა და მათთვის თვალყურის დევნებამ ისე ჩაითრია კორინთელი, ბარე ორჯერ გადაიდო ეს სასიამოვნო მოგზაურობა.

დასთქვამდნენ გამგზავრების დღეს და ან. რაიკომის მდივანი ციხისთავი ჩამოვიდოდა, ან კოლმეურნეობის თავმჯდომარე თედო თარალაშვილი გამოიცლიდა. ნაკვეთზე წაიყვანდნენ პროფესორს და ეს უკანასკნელიც საღამომდის თავზე ადგა ბრიგადირებს.

კორინთელი ისე გაიტაცა ამ საქმიანობამ, რომ ხელი შეუშვა თავის კაპიტალურ შრომას: „ქართული ამპელოგრაფია"; ბოლოს თავი დაანება მკურნალობასაც, თუმცა საკმაოდ სერიოზულად და დაბეჯითებით არაერთხელ გაუფრთხილებიათ იგი ექიმებს.

მაია ველარ აუდიოდა მისი კოსტიუმების წმენდას. ლილით გაკრიალებულ ტანისამოსს ჩააცმევდნენ, საღამოს ტალახში ამოთხვრილი შინ ბრუნდებოდა.

კორინთელი ვერ ითმენდა რომელიმე ზარმაცის უგერგილო მუშაობის ცქერასაც. ასეთ შემთხვევაში ზოგს თოხს გამოაცლიდა ხელიდან, ზოგს ბარს, ზოგსაც სეკატორს და თავათ აჩვენებდა გულიანად გარჯის მაგალითს უჯლაჯოდ მომუშავეთ.

ხშირად ოფლიანდებოდა ხოლმე ამ დროს, ციოდებოდა, ლოგინად ჩავარდებოდა, გულის შეტევა წამოუვლიდა, ხანაც გრიპი; იხმობდნენ ექიმს, გამომჯობინდებოდა, ისევ მიდიოდა ნაკვეთზე,— ასე იღვწოდა დაუღალავად...

როცა ცხრამუხის ზეგანზე ვაზის რგვა მოთავდა, მამუკას უბანში კორინთელმა საცდელი მიკრონაკვეთი მოაწყობინა, მიკრონაკვეთს ხუმრობით „საქართველოს ზვარი" დაარქვა და აქ დაარგვევინა თითო-ოროლა ძირი ქართული ვაზის ოთხას ორმოცდაათი ჯიშის ნიმუშად.

მას მიზნად ჰქონდა დასახული თავათ ენახა, თუ როგორ გარსარებდა ცხრამუხის ზეგანზე საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოტანილი ალადასტური, ალმურა, ავშილური, არიშული, ბლარჯულა, მუხამწვანე, თითა, ჩინური, ხიხვი, შავკაპიტო, [illegible], საკმიელი, ოროლა, ჭვიტილური და სხვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის საქმეზე განუზომლად შეყვარებული მეცნიერი ყმაწვილივით ხალისობდა თვით ამ ჯიშთა სახელების უცნაური ეტიმოლოგიისათვის დაფიქრებისას.

მედეა ფრიად ჭირვეული გახდა: ძალიან ბრაზობდა, როცა კორინთელი რაიმე გარემოების მეოხებით გადასთქვამდა ხოლმე შეპირებულის შესრულებას, ან დათქმულ ვადას სხვა დროისათვის გადაიტანდა.

თვით კორინთელს არაერთხელ განუზრახავს თელავს წასვლა.

ძალიან ენატრებოდა მოხუცებულ მამიდას და ამ უკანასკნელის მეუღლის, ნიკო მირიანაშვილის ნახვა, მამისეული ოჯახისათვის თვალის მოვლება და ერეკლეს სასახლის კიდევ ერთხელ დათვალიერება, მაგრამ ტფილისში ყოფნის დროს ვეღარ აუდიოდა კონფერენციებს, თათბირებსა და სხდომებს; ამიტომაც ვერ მოიცალა თელავს ჩასასვლელად.

მედიკოს სულ რამდენიმე ნათესავი ჰყავდა შემორჩენილი. ესენი ამ უკანასკნელ ხანებში თელავში იყვნენ თავმოყრილი.

წერილებს წერილებზე სწერდნენ, გვინახულეთო, ემუდარებოდნენ, მაგრამ, როცა პროფესორი და მისი მეუღლე ბერმუხას ჩავიდნენ, თელაველი ნათესავები ფრიად განაწყენდნენ და ბარათების წერაზედაც ხელი აიღეს.

ბოლოს, როგორც იქნა, მოაგროვა მედეამ ნათესავებისა და მათი ბავშვებისათვის მისატანი საჩუქრები და მტკიცედ დასთქვეს თელავს გამგზავრების დღე და აცნობეს კიდევაც ნათესავებს: ჩამოვდივართო.

ყოველივე ამას ისიც ზედ დაერთო, რომ პროფესორ კორინთელს სწორედ კვირა დილას ჩამოუვიდა ტფილისიდან მსუბუქი ავტომანქანა, საქართველოს, მთავრობის მიერ მისთვის განკუთვნილი.

პარიზული კომფორტაბელური ლიმუზინებით სეირნობას მიჩვეულ მედიკოს უმძიმდა მუდამ სხვისაგან ნათხოვარი მანქანით მგზავრობა.

უცხოეთიდან ჩამოსვლის დღიდან ოცნებობდა მის ქმარს მსუბუქი მანქანა შეეძინა და საშუალება მისცემოდა ამ მანქანით ნათესავები ხშირ-ხშირად მოენახულებინა, თანაც შემოეარა კახეთი,

რომლის ხელახლა ნახვას წლიდან წლამდის ოცნებობდა პარიზში.

დილას მაიამ წინალამინდელი თავდასხმის ამბავი მოიტანა. როგორც მივარდნილ კუთხეებში მცხოვრებთ სჩვევიათ, ამ ამბავს სულგვარი ფანტაზიები მოაყოლა ამ ამბავს:

ბიბლიოთეკა

თავდამსხმელებს ქალი მთელი ღამე ტყეში ჰყოლიათო გატაცებული, ტრაქტორისტებს უვაჟკაცნიათ და ძლივძლივობით წაურთმევიათო ყაჩაღებისათვის მძიმედ დაჭრილი, სულთმობრძავი ნუნუ და სხვა მისთანანი.

ცნობილია, თვით ადამიანის ბუნებაშია მოცემული ფანტაზირების, უჩვეულო ამბავთა არა მარტო გამოგონების, არამედ გაგონების წყურვილიცა.

ეს გრძნობა მომეტებულად მძაფრდება მაშინ, როცა ცხოვრება კანონზომიერად მიმდინარეობს, როგორც ზღვას მიახლოვებული მდინარე, რომელსაც ნელ-ნელა აკლდება ტალღების სრბოლის ინერცია და უდრტვინველად მიედინება თავის ლაღად გამართულ კალაპოტებში მხარგაშლილი.

მაია მდუღარებას აფრქვევდა ამ „უბედური", ობოლი ქალის ასეთი ტრაგიული ბედის გამო. კორინთელი ჯერ კიდევ იწვა, როცა ეს ამბავი გაიგონა.

ცოლმა შენიშნა: იგი უჩვეულოდ აღშფოთდა. ცოტა ხანს ნერვიულად სწევდა პაპიროსს, მერმე ეს ჰკითხა მაიას:

„რას ამბობ, მაია, ვინ გითხრა ასეთი საშინელი ამბავი?"

ამ ავაზაკების საქციელით მთელი ბერმუხა შეძრულაო, უთენია შემხვდა თედო თარალაშვილი, მანაც დაადასტურა, რომ პროკურორს და მილიციას ყოველ წუთში მოველითო.

მედიკოს შენიშნული ჰქონდა: როცა გვიანამდის მუშაობდა კორინთელი, ადრე ადგომა ძალიან უჭირდა. ახლა მოათავა თუ არა პაპიროსის წევა, წამოდგა და კოსტიუმის ჩაცმას შეუდგა.

„რად იცვამ მაგ კოსტიუმს, ვახტანგ? აკი მივდივართ, ბარემ სამგზავრო ფრენჩი და საცხენე შარვალი ჩაიცვი. მანქანაში გაგიფუჭდება ახალი კოსტიუმი".

„ჯერ ვნახოთ... ეგეც არ იყოს, კოსტიუმის გამოცვლას რა უნდა".

მედიკო აილეწა, უსიტყვოდ შენიშნა, რომ მისი ქმარი ისე ააღელვა მაიას ნათქვამმა ამბავმა, ამჯერადაც აპირებდა თელავში წასვლის გადადებას.

კარებზე ვილაცამ დააკაკუნა. კორინთელმა პიჯაკს გაუყარა ხელი და კარისკენ გაემართა. შემოდითო, მიაძახა კარს უკან მდგარს.

შოფერი შემოვიდა, პროფესორს მიესალმა.

„როგორაა საქმე, ჩემო ანდრო?“ შეეკითხა კორინთელი.

„ჯერ ვერსად წავალთ, პროფესორო ბატონო“.

რათაო? იკითხა გაოცებულმა კორინთელმა.

„კარტერი ზეთს უშვებს, ბატონო“.

„რა მოუვიდა კარტერს?“

„რაღაც მცირე მიზეზია, გზაშიაც ოდნავ მოჟონავდა ზეთი. მოგეხსენებათ, ხანდახან ახალ მანქანასაც დაჰყვება ხოლმე თავიდანვე მცირეოდენი ზიანი. ერთი ორი საათი მადროვეთ, კარტერს დავშლი და მერე მოგახსენებთ“...

კორინთელს გაეხარდა, მისი მანქანის კარტერი დაზიანებული რომ აღმოჩნდა. შეეშინდა: სახის გამომეტყველებამ არ გამთქვაოს, გარედ გავიდა, ნერვიულად დადიოდა, ბოლთასა სცემდა განიერ აივანზე.

საათს დახედა, ისარი ცხრას უახლოვდებოდა.

მაია გამოვიდა დარბაზიდან, დიასახლისი საუზმეზე გთხოვსო.

„ახლავე, ჩემო მაია, ახლავე მოვალ, თქვენ დასხედით, ისაუზმეთ, მე ახლავე მოვალ“.

ბოლოს თავათ მედიკო გამოვიდა. მან განაწყენებული კილოთი მიმართა ქმარს:

„რად გვაცდევინებ, ვახტანგ, ბარემ ვისაუზმოთ. კარტერის დაშლას რა უნდა, შოფერი მალე გამოასწორებს ალბათ ამ დეფექტს, ამასობაში ჩვენ მზად უნდა ვიყვეთ“.

კორინთელი შეყოყმანდა, შინ შესულიყო, იცოდა გუნების ხელოვნურად შეცვლას ვერ შესძლებდა. იგი ხშირად ხუმრობდა ხოლმე:

ბუნებას ყოველგვარი ნიჭი მოუცია ჩემთვის ცოტ-ცოტა, ცოტას ვნადირობ, ცოტას ვმღერი, ცოტას ვცეკვავ, მაგრამ არტისტობის ნიჭზე ჩემთვის მტკიცე უარი უთქვამსო.

შინ არშესვლაც შეუძლებელი იყო, რადგან მედეა უსიტყვოდაც შენიშნავდა მის უგუნებობას. ბოლოს მხნეობა მოიკრიბა, დარბაზში შევიდა, ხელ-პირი დაიბანა და გაშლილ სუფრას მიუჯდა.

როცა მაია გარეთ გავიდა, მედეამ უთხრა ქმარს:

„რა მოგდის, ვახტანგ, როგორც გატყობ, დღესაც აპირებ თელავში წასვლის გადადებას?“

„ვინა სთქვა, რას ამბობ?“

„ჯერ ერთი, ეს იქიდანაც ჩანს, სამგზავრო კოსტიუმი რომ არ

ჩაიცვი, არც წვერის გაპარსვას აპირებ. არ მესმის, აგრე უცნაურად რამ აგაღელვა?"

„როგორ... ვინ ღელავს, რას ამბობ, მედიკო?"

„ვინა და შენ".

„სრულიადაც არ ვღელავ. მაგრამ არცთუ გასახარელია ასეთი ხულიგნური ამბის გაგონება".

„მე არ მესმის. რა დიდი ამბავია: სოფლელ გოგონას ვინმე გამოჯნურებული ვაჟი მოტაცებას დაუპირებდა და შემთხვევით დაჭრიდა, რა მოხდა მერმე?"

„სამწუხაროა ძველი ყოფის რეციდივების გამეორება დღევანდელ დღეს, სხვა არაფერი".

„ასეთი რამ არ უნდა გიკვირდეს, ვახტანგ, შენგანვე მაქვს ჭანაგონი: ორი-სამი ათეული წელი ერთი პიროვნების ცხოვრებაში სიცოცხლის დიდი მანძილია, მაგრამ ხალხის ცხოვრებაში თვალის ერთი დაფახულებაა. რად გაგკვირვებია ასეთი რამ?"

კორინთელმა ამის საპასუხოდ არაფერი სთქვა. პაპიროსს ცეცხლი მოუკიდა და ჩაილაპარაკა:

„ეჰ, სილამაზე თითქოს ბედნიერებას უნდა ანიშნებდეს ადამიანს, ისე, როგორც ტალანტი. შეიძლება ითქვას, როგორც უჩვეულო სილამაზეს, ისე უჩვეულო ტალანტს საკუთარი დამსახურების გარეშე ღებულობს მათი პატრონი.

ლამაზი ქალებიც უბედური ხდებიან ხანდახან, რადგან სილამაზე და ტალანტი ზოგჯერ იმდენ მეშურნეს გაუჩენს მათ პატრონს, დაბადების დღეს დააწყევლინებს უთუოდ".

„შენ ამას მართალს ამბობ, ვახტანგ, სილამაზე მართლაც გზას უმრუდებს ხანდახან ქალს, ამ მხრივ, უნდა ითქვას, ხშირად შეათანა სილამაზის ქალები უფრო სეებედნიერად აწყობენ თავიანთ ცხოვრებას.

მე არ მინახავს ის ნუნუ, მაგრამ დავიჯერო, რომ ბერმუხელი გლეხის გოგონა ასეთი სილამაზის პატრონი იყოს?"

„რატომ ფიქრობ, მედიკო, აგრე? რად არ შეიძლება კოლმეურნე ქალი ლამაზი იქნეს? მე ბევრს დავდივარ ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში, უცნაურად ლამაზი ახალი თაობები მოდიან ამ ახალ დროში, და ეს გასაგებია"...

ახლა მედეა დადუმდა. კორინთელს არ უნდოდა ამ საკითხის მთლად გაღრმავება, ამიტომაც, როგორც კი გამოსცალა ის ერთადერთი ღვინის ჭიქა, რომელსაც ყოველ დილას სვამდა საუზმის დროს, წამოდგა, ახილი გაიყვანა აივანზე და განაგრძო ბოლთას ცემა.

ამასობაში სოფლსაბჭოს აივანზე გამოჩნდნენ თედო თარალაშვილი, კომკავშირის რაიკომის მდივანი — კევრიშვილი და პროკურორი ხიდაშელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორინთელი მიესალმა მათ და სახლის კიბეზე ჩავიდა. ახილი უკან გამოუდგა პატრონს, მაგრამ კორინთელი გამობრუნდა, კიბისთავზე მიუთითა ცხოველს, დაწექიო, უბრძანა მკაცრად.

ძაღლი დაემორჩილა ნაბრძანებს.

პროფესორი, უწინარეს ყოვლისა, გამოძიების შედეგებით დაინტერესდა.

სოფლსაბჭოს აივანზე უკვე მოგროვილიყვნენ ამ ამბით აღშფოთებულნი და უჩვეულო ამბებს დახარბებულნი. ამიტომაც თედო თარალაშვილმა მკლავში ხელი გაუყარა პროფესორს, სოფლსაბჭოს დარბაზში შეუძღვა ოთხივეს და კარები ჩაჰკეტა.

როცა ხიდაშელმა თავისი დასკვნები გაუზიარა პროფესორს, ამ უკანასკნელმა მოიწონა გამოცდილი იურისტის სიფრთხილე.

კორინთელი სავსებით დაეთანხმა მას: წინასწარი გამოძიების მონაცემები შესაძლებლად ვერ ხდიანო იმის ვარაუდს, თითქოს რომელიმე მოჩხუბართაგანს კრაველის ქუდი ეპოვნოს და თავდასხმის მომენტში გამოეყენებინოსო.

„აბა ერთ რამეს გირჩევდით, ამხანაგებო, — ეუბნება კორინთელი სამივეს, — ერთი მაძებარი ძაღლი მყავს და ეგებ ის გამოგეყენებინათ“...

ესა სთქვა პროფესორმა და ფანჯრიდან მიუთითა კიბის თავზე გაწოლილ ახილზე. პროკურორი მიაცქერდა ძაღლსა და სთქვა:

„აჰა, ჩვენს რაიმილიციასაც ჰყავს სწორედ ასეთი მაძებარი ძაღლები. წელან ვნანობდი კიდევაც, რომელიმე მათგანი თან რომ არ ჩამოვიყვანე. მართლაც მოდი, ეს საშუალებაც ვსინჯოთ, რა თქმა უნდა, თქვენი ნებაც თუ იქნება, ამხანაგო პროფესორო“.

„რა სათქმელია, ინებეთ, მხოლოდ არ ვიცი, რომელიმე თქვენთაგანს თუ წაჰყვება იგი“.

„არაფერია, მე რატომღაც ადვილად მემორჩილებიან ასეთი ძაღლები“.

კორინთელი გავიდა აივანზე და გადასძახა კიბისთავზე მწოლარე ცხოველს:

„აქ მოდი, ახილ!“

ძაღლმა კიბე ჩამოირბინა, მერმე ზედ გადაევლო სოფლსაბჭოსა და სასტუმროს შორის გამართულ კაცის სიმაღლე ღობეს და სოფსაბჭოს აივანზე გაჩნდა.

„დაწექ!“ უბრძანა ახილს კორინთელმა.

ყურებდაცქვეტილი იჯდა ახილი, წინგაშვერილი დრუნჩი დაედო ყვითელ თათებზე, კვრინჩხივით შავი, ციმციმა თვალებით შესცქეროდა კორინთელს, თითქოს ეკითხებოდა:

რას მიბრძანებო, ჩემო პატრონო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხივენი ისევ სოფლსაბჭოს აივანზე გამოვიდნენ. თედო თარალაშვილი მიესალმა სასტუმროს აივანზე გამოსულ მედეას და კიბის საფეხურებს ძირს ჩამოჰყვა, შოფერი ანდრო წინ შეეგება კორინთელს და მოახსენა, კარტერი უკვე გავასწორეო.

კორინთელმა შენიშნა, რომ ეს სიტყვები, მედეას სმენას მისწვდა. ქალი აივნიდან გადმოიხარა და ფრანგულად გადმოსძახა ქმარს ნელი ხმით:

„არ მივდივართ თელავს?“

კორინთელი შეცფუნდა.

ერთი საათის შემდეგ მოვბრუნდები, შენ მანამდის დაემზადეო.

„მე უკვე მზადა ვარ“.

გადმოსძახა მედეამ და, როცა დაინახა, მანქანაში ჩასხდნენ ოთხივენი და ახილიც თან წაიყვანეს, სასტუმროში შებრუნდა და კარი გაიჯახუნა.

თედო თარალაშვილის გარდა სხვას არავის შეუნიშნავს ასეთი აფექტირებული სცენა.

კორინთელმა და თედო თარალაშვილმა ურჩიეს პროკურორს, ახილი თავდაპირველად ქეთუას სახლში წაეყვანათ. ასეც მოიქცნენ. ნუნუს ოთახში შესვლისას ძაღლს ჯერ ფაფახისთვის აყნოსვინეს, მერმე პატრონმა უბრძანა მას:

„შერშ“ [1].

კარგა ხანს დასუნსულებდა იატაკზე ცხვირჩარგული ძაღლი, მერმე ეზოში გავარდა სწორედ იმ კარებიდან, საიდანაც აბრიამ და ლუომ ძლივს გამოათრიეს კობერიძე და კანკრე.

ბოლოს გუდრონიან გზას დაადგა ახილი. გვერდით ჩაუარა კოლმეურნეობის საბძლებს, რაიკავშირის სავაჭროს, მტს-ის ფარდულს და იმ ადგილას შესდგა, სადაც მოჩხუბარნი მუშტებსა და წიხლებს თავაზობდნენ ურთიერთს.

გუდრონიანი გზის ნაკვეთი რა მოთავდა, საურმე შარას დაადგა ახილი და მეღორე პოპოლას ჩალით გადახურულ სახლს მიადგა.

ბოლოს კორინთელმა ახილს ისევ აყნოსვინა ქუდი, ძაღლი

---

[1] ეძიე.

ეზოში გამოვიდა და იმ ადგილას მიაღწია კვლავ, სადაც მრჩხუ-ბარნი დიდხანს ებრძოდნენ ურთიერთს.

აქ ღიჭიანით დაბარდნილ ხრამში გადაიჭრა, მანდაც რამდენიმე წრიული მოძრაობა გააკეთა და სანერგე ფარდულისაკენ გაემარ-თა. იქიდან კი იარა ხევ-ხევ, შინდნარი გადაირბინა, და ბერმუხისა-კენ გასწია.

მაყურებლები გაოცებულნი იყვნენ ამ გონიერი ცხოველის საქციელით. მათ სწორედ აქ შემოეყარათ სანერგე ფარდული-დან მომავალი გოდერძი. პროფესორს გაეხარდა მისი დანახვა, ხელი ჩამოართვა და უთხრა:

„როგორ მოგწონს ჩემი ახილის მუშაობა, გოდერძი?“

ყმაწვილმა გაიღიმა და სთქვა:

„ეტყობა, ძალიან გონიერი ცხოველია“.

გოდერძი დააკვირდა ძაღლის მოძრაობას, ახილი ბერმუხის ქვეშ მდებარე ჯირკვთან მივიდა, სწორედ იმ ჯირკვთან, რომელზე-დაც წოწოლა ქუდიანი ლანდი იჯდა წუხელ.

ძაღლმა რამდენჯერმე შემოუარა ჯირკვს, მერმე იარა, ისუნ-სულა და წისქვილისკენ მიმავალ შარას დაადგა, მცირე ხანს მიყ-ვნენ ამ მიმართულებით მიმავალ გზას და აქ შესდგა ახილი, აშკა-რა იყო მან კვალი დაჰკარგა წყლის პირად: გზა საკმაოდ განიერ რუს გადააწყდა.

ისევ ბერმუხისაკენ გამობრუნდნენ ხუთივენი.

გოდერძი ახლა უკვე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ის ლანდი, რომელიც ლუო უჯირაული ეგონა, ბერმუხიდან უკან გაჰყოლია სოფლისკენ მას და ნუნუს, მერმე, ბუჩქებში სადმე განაბულს, უც-დია, ვიდრე გოდერძი ბნელ შუკაში გაუხვევდა და ამის შემდგომ თავს დასხმია ცაცხვის ქვეშ ნუნუს.

მას არ შეეძლო ყოველივე ამის გამხელა, რადგან ეს ამბავი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა ნუნუს. ამიტომაც დადუ-მება არჩია.

ასე რომ თვით გოდერძიც იძულებული გახდა ერთ-ერთი დე-ტალი დაემალა პროკურორისათვის.

ბოლოს ბერმუხის ფესვებზე ჩამოსხდნენ ხუთივენი და განაგ-რძეს ბჭობა.

არც პროკურორი, არც თედო თარალაშვილი და არც კორინ-თელი საკმარისად არა სთვლიდნენ გამოძიების მიერ მოპოვებულ მონაცემებს.

კომკავშირის მდივანი ბუნებით თავშეკავებული და მდუმარე ახალგაზრდა იყო, მას საჭიროდ მიაჩნდა კობერიძე დაუყოვნებლივ

დაეჭირათ და საბრალდებულო საკამზე დაესვათ, მაგრამ ჯერ ერთობით თავს იკავებდა, რადგან საკმარისი საბუთები არსად სრულდა.

მაძებარი ძაღლის ნიშნებას წინ გადაეღობა შემდეგი გარემოება:

ეროვნული

როგორც თედო თარალაშვილი, ისე კევრი[illegible]
ბიბლიოთეკა
დნენ, მეღორე პოპოლა პატიოსანი კაციაო, ხოლო ნიორთავას ზნეობრივი სისპეტაკის ამბავი თვით პროკურორმაც კარგად იცოდა.

არც ტრაქტორისტების — ნიკა უჯრიაულისა და ხელაანთ ვანოს რიგიანობაში ეპარებოდა ვინმეს ეჭვი.

მეღორე პოპოლას ჩვენებიდან ირკვეოდა, რომ კობერიძე 12 საათზე მოსულიყო პოპოლას სახლში, ხოლო კანკრე ამავე დროს უნდა ყოფილიყო წისქვილში მოსული.

რაც შეეხება მეძებარი ძაღლის მიერ ვეშის აღებას, ხომ დასაშვები იყო ასეთი რამ: კობერიძის ქუდი გაჟღენთილი იყო მისი პატრონის ოფლის სუნით, ამ სუნს მიჰყვა მეძებარი ძაღლი მეღორე პოპოლას სახლისაკენ, მერმე, როცა უკან გამობრუნდა, მტს-ის ფარდულის გასწვრივ შეჩერდა და ცხრამუხის ზეგანისკენ გადაუხვია.

შესაძლო იყო, რომ ამ ადგილას ვინმეს, მესამე პირს ეპოვნა ის ქუდი და რაკი მასში დომინანტა — ე. ი. სუნის სიჭარბე, ისევ და ისევ კობერიძის ოფლს ექნებოდა, ამ სუნს გაჰყვა ძაღლი ახალი მიმართულებით.

ამ ახალმა მიმართულებამ დააეჭვა კომკავშირის რაიკომის მდივანი, მაგრამ როგორც პროკურორმა, ისე თედო თარალაშვილმა მას შეახსენეს კობერიძის ჩვენებიდან კიდევ ერთი დეტალი: როცა კობერიძე პოპოლას სახლიდან მარუას სახლში მისულა პირველად, ეს უკანასკნელი შინ არ დახვედრია, პატარა მალხაზს უთქვამს: ძალუა მარო წისქვილშიაო.

ასე რომ, კობერიძე ჯერ ნიორთავასთან წასულა, მერმე იქიდან უკან გამობრუნებულა და მხოლოდ ამის შემდეგ სწვევია ქეთუას.

ამრიგად, არც მაძებარი ძაღლის გულმოდგინე მუშაობით გამორკვეულა რაიმე ახალი დამნაშავის აღმოჩენის საქმეში.

და ეს ყოველივე იმის შემდეგ იყო, როცა უჯრიაულების გვარმა მაინც შესძლო ძიებისათვის ხელი შეეშალა.

გარდა ამისა, თვით ნუნუ და გოდერძიც იძულებული გახდნენ, ზოგ-ზოგი ფრიად არსებითი დეტალი არ გაემხილათ პროკურორისათვის.

ასე და ამგვარად, მიუხედავად ხანგრძლივი ანალიზისა და ბჭო-

ბისა, ვერც პროკურორი და ვერც დანარჩენები რაიმე დასკვნას ვერ დაადგნენ. ასე რომ მათ ხელში შერჩათ ერთუცნობიანი განტოლება.

პროკურორ ხიდაშელს თავისი ხანგრძლივი იურიდიული პრაქტიკის შედეგად ერთი დიდი ჭეშმარიტება ჰქონდა მიხვეულ-მოხვეულ:

მართლმსაჯულება ორლესული მახვილია, თუ იგი ფრთხილად არ მოიქნიე, ერთი დანაშაულის ძებნაში შესაძლოა ორ უდანაშაულოს წააცალო თავი.

ამიტომაც ერთადერთი შედეგი ამ გამოძიებისა ეს იყო: კანკრემ უკანასკნელი გაფრთხილება მიიღო, ხოლო კობერიძეს წინადადება მისცეს დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ბერმუხა.

შინმიბრუნება

დამდურებულსავით ისხდნენ მანქანაში მედეა და ვახტანგი. ვერც ახლადმოღებული მერსედეს-ბენცის საამურმა ქროლვამ, ვერც ახლად დაგებულმა გუდრონიანმა გზამ, ვერც იმ ცვლილებამ, რომელიც ამ უკანასკნელი წლების მანძილზე განეცადა ამ მშვენიერ კუთხეს, უგუნებობა ვერ გაუფანტეს ქალს.

მას ჯერაც ვერ ეპატივებინა ქმრისთვის, რომ, „ეიღაცა თხუპნია გლეხის გოგონას" დაჭრამ ისე შესძრა ეს სოლიდური კაცი. სამი საათით დააგვიანა გამგზავრება თელავს, სადაც მათ ამდენი პატივცემული ნათესავი უცდიდა საღილად.

ბერმუხაში წარამარა სჩოდა მედეა: ამდენ ხანს ძია ნიკოს, მამიდა თეკლასა და დეიდა ვარას რად ვალოდინებთო? მანქანაში ჩაჯდა თუ არა, მოიღუშა და ხმა ჩაწყვიტა.

აბრეშუმის ცხვირსახოცი პირზე აეფარებინა. იჯდა და მიშტერებოდა თელავის გზის გალმა-გამოღმა გაფაშლილ სანახებს. პირს რომ მოიბრუნებდა, რაიმე თქმას დააპირებდა. შოფრის ზურგს ესროდა მზერას და ეს ზურგი იყო ერთგვარი ბარიერი, მისი უკმაყოფილების შემზღუდველი.

მანქანა გამალებული მიჰქროდა გუდრონიან გზაზე და ზედ დაყრილ ქვიშას აფორიაქებდნენ ბორბლები, ნაფხვენები ეხლებოდნენ მანქანის ფრთებს და ამის გამო ისეთი მონოტონური წიკწიკი ისმოდა, თითქოს უწვრილესი ძეწკვები და ხანზალაკები შეუსხამთო მისთვის.

ვახტანგი კარგად ამჩნევდა, რომ სწორედ შოფრის სიახლოე

ჰქმნიდა ერთგვარ უხერხულობას, მწვავედ განიცდიდა ამას: რას იფიქრებსო ამის გამო ეს უცხო კაცი.

უნდოდა გამოლაპარაკებოდა მედეას, მაგრამ სათქმელს ვერ მოუყარა თავი, ბოლოს ფანჯრიდან გაიხედა, გუდრონ[illegible] საამური რამ გაეზიარებინა ცოლისთვის, ამიტომ[illegible]ნაზ[illegible]

დად:

„რა მშვენიერი გზა გაუკეთებიათ, მედიკო! როგორც სჩანს, სულ ორიოდე კვირის წინათ დაუსხამთ გუდრონი“.

„მიტომაც აგრე უცნაურად ჰყარს აქაურობა“.

„მართალი გითხრა, მე არა მძაგს ეს სუნი. მე ის მტვერიც მიყვარს, დღევანდელ ჩვენს ქალაქებში რომ სცვივა ხარაჩოებშედგმულ ახალ ნაგებობათა ირგვლივ.

თუმცა მე ყოველივე ხმაურობა მაწუხებს უკვე, მაგრამ ის გნიასიც მახარებს, მშენებლობას თან რომ დაჰყვება ხოლმე. მე ყველაფერი მიყვარს, რაც ჩვენი ქვეყნის აღორძინების მაცნეა“.

„რას იზამ, ჩემო ვახტანგ, კაცია და გუნებაო, ხომ გაგიგონია! მე არც გუდრონის სუნი მიყვარს, არც ბენზინისა. რაც შეეხება მტვერს, უეჭველად მას კოტის ფირმის ნელსურნელება მირჩევნია.

საერთოდ მერჩია, ისეთ დროს დავბადებულიყავ, როცა ეს ყოველივე მზად დამიხვდებოდა, მაშინ არც გუდრონის სუნი შემაწუხებდა და არც ეს ალიაქოთი“.

„ოჰო, ასეთი რამეები ვის არ უყვარს, მედიკო? მეტი რა გინდა, ამ რამდენიმე წლის მანძილზე რამდენი რამ გაუკეთებიათ!

აბა მოიგონე, დანჯღრეული ეტლებით რომ დავჩაქჩაქებდით მე და შენ თელავსა და ბერმუხას შორის.

როგორი გოროხები იყო ზაფხულობით ამ გზაზე, ხოლო ზამთრობით ტლაპოებში დაცურავდნენ გიგო მეეტლის ცხენები.

ხომ გახსოვს სწორედ იმ ტყის პირად დაუწყდა სახამლავები გიგოს ცხენებს. ქარბუქი ნამქერს გვაყრიდა ცხვირპირში, მოკუნტული ვისხედით ეტლში მე, შენ და განსვენებული ნანა, შიშისაგან ეცახცახებდით: მგლის ხროვას გზა არ გადაეჭრა ჩვენთვის“.

მედეა ისევ დადუმდა და ფანჯრიდან გაიხედა. ვახტანგმა თავის მაჯის საათს შეავლო თვალი და სთქვა:

„ნახევარ საათში თელავში ვიქნებით. ჰა, შენ რას იტყვი, ანდრო?“

„ვგონებ, უფრო ადრეც, ბატონო პროფესორო“.

„ეს ჩემთვის კარგია, — სთქვა ვახტანგმა და მედეას მიჰხედა,—

ბოლოს და ბოლოს მხოლოდ ერთ საათს მოვუნდები ბერმუხასა და თელავს შორის, იმავე დღეს დავბრუნდები ხოლმე უკან".

„რაო, შენ უკვე თანხმობა მიეცი თელავის ინსტიტუტს?" გაანჩხლებული ტონით იკითხა მედეამ.

„აბა რას ვიზამდი, მედიკო, თუმცა მე უპარტიოდ ვარ, მაგრამ საერთო დისციპლინა მეც მეხება, ხომ?

ხელმძღვანელი ამხანაგები საჭიროდ სთვლიან ამ მხარეში ვიმუშაო ერთ-ორ წელს, თელავის მევენახეობის ინსტიტუტი წინ უნდა წავწიოთ, გარდა ამისა, ჩემს მიკრონაკვეთზე ცდები უნდა მოვახდინო ამპელოგრაფიის თვალსაზრისით.

ტფილისში კარჩაკეტილ ცხოვრებას ვინ გაცლის, ხოლო თელავში იმდენი მოკეთენი გვყავს, სტუმრების მიღებას და გაცილებას ვერ ავუვალთ.

გარდა ამისა, მამიდა თეკლესა და ბიძია ნიკოს შინიდან ხომ არ დავითხოვ? ამიტომაც გადავწყვიტე ბერმუხაში დავფუძნდე ერთ-ორ წელს".

„ჰო, მაგრამ, სანამდის უნდა ვიცხოვროთ იმ მოუწყობელ სასტუმროში?"

„გუშინწინ ხომ გეუბნებოდი, ამ თვის დამლევს ფინურ სახლს გამომიგზავნიან ტფილისიდან, გველეთში მოვაწყობ პატარა აგარაკს".

მედეამ შეხედა შოფრის ზურგს, ენის წვერზე დაიჭირა საყვედურის სიტყვები.

გამალებული მიჰქროდა მანქანა და მონოტონური წიკწიკი ისმოდა კვლავ.

„ვისაც თავისი სამშობლო მართლაც უყვარს, იგი მის სამსახურში ყოველივე უხერხულობას უნდა შეეწიგდეს წინასწარ, თუ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა მოითხოვს ამას.

სახელმწიფო კურორტი როდია, ჩემო კარგო, ისეთი სამყოფლო აირჩიო, როგორც შენ გეპრიანება.

მე რომ კომფორტი დამესახა ჩემი ცხოვრების მიზნად, მომპელიეში მტოვებდნენ კათედრასთან და იქ დავრჩებოდი. დამეთანხმები, მომპელიეში უფრო მეტი კომფორტია, ვიდრე ბერმუხაში".

„ეჰ, ჩემო კარგო, გამოტეხილად რომ გითხრა, ყოველი ასე თუ ისე კულტურული ადამიანის სამშობლო მხოლოდ დიდი ქალაქია".

კორინთელს ბრაზი წაეკიდა გულზე, მანაც შოფრის ზურგს ესროლა მზერა. მცირე ხანს შეიკავა თავი და შემდგომ ამისა ფრანგულად უთხრა თავის ცოლს:

„ასეთი აზრები შენ არც უნდა გაივლო გულში, როგორც ქართველმა ქალმა, ამგვარი რამ მხოლოდ პარიზელ ხნობებს თუ დაშვენდებოდათ"...

მედიკოს გულით ეწადა მკვახე, ძლიერ მკვახე პასუხი გაეცა ამის მთქმელისათვის, მაგრამ გულში დაახშო ეს წადილი და მოფერს გადასძახა:

„რომელი საათია, ანდრო?"

„შვიდის ნახევარი, ბატონო", მიუგო ანდრომ.

კორინთელი მდუმარედ უთვალთვალებდა კრამიტით გადახურულ ახალ სახლებს, კოლმეურნეობების კანტორებს, ფარდულებს, საგაზაფხულო წესრიგში მოყვანილ ზვრებსა და აყვავებულ ბაღებს.

რომელიღაც ახლადაგებულ სკოლასთან გაიარა მანქანამ, ახალი თაობის მხიარული ჟრიამული ისმოდა, პაწია ბუდრუგუნა გოგობიჭებისკენ გაექცა მზერა.

მოაგონდა: ოდესღაც ამ ადგილას დაფეხვილი სამიკიტნოები იდგა, ლოთების ღრიალი და ზურნის გულისწამღები ჭიჭყინი აყრუებდა აქაურობას, იმ ზვრების ნაცვლად გაუვალი ძეძვიანი იყო.

მანქანამ სრიალით გადაიქროლა ახლადაგებულ ხიდზე — ამ ხევში ნაწვიმარზე გასვლას იშვიათად თუ გაბედავდნენ ხოლმე წინათ უთამამესი მეეტლეებიც.

პაპიროსს სწევდა კორინთელი და ახლადდარგულ კაკლის ნერგებს უკვირდებოდა, წინასწარ ახარებდა ის აზრი, რომ ათიოდე წლის შემდეგ აქ ჩრდილმრავალი კაკლის ხეივნები დაუხვდებოდნენ მგზავრს.

„როგორც კი ბერმუხას გავბრუნდები, ციხისთავი უნდა შევაგულიანო და კაკლის ხეები იქაც უნდა დავრგათ", გაიფიქრა კორინთელმა.

როგორც ყოველთვის, იმ საღამოსაც მშვენიერი იყო კავკასიონი. ოჩინათ მხატვარს მოეხაზა ღრუბლების მომიჯნავე ბროლის პატიონთა კონტურები. მრავალსართულიან ქორედებსავით ზეატყორცნილნი, მათ ქვემოთ ლილისფერი ფორეჯები შესდგომოდნენ აქა-იქ ცას, ხოლო ამ მოლიბრო მოლების გაყოლებით ისეთი ერთობლივი სილურჯე იყო განფენილი, თითქოს ზღვა მისდგომიაო იმ მთებსა და იმ თეთრ მწვერვალებს.

ყოველივე ამას ზედ დაჰქათქათებდა უცნაური აპოთეოზი მრავალფერად აყვავებული ღრუბლებისა. საამო სანახავი იყო თეთ-

---

[1] მეტიჩარა კაცი, რომელიც ეფრო მეტად ინებივრებს თავს, ვიდრე ამას შესაძლებელს ხდიან მისი ინტელექტუალური და მატერიალური სახსრები.

რად მორიალე მარმაშები, რომელთა ზიგზაგიან კიდეებს სიმგურისფერი ალმური წაჰკიდებოდა.

გზადაგზა თანდათან იცვლებოდნენ პანორამები.

მანქანამ სამხრეთისაკენ გადაუხვია, უკვე შორს ფარჩენილ სიონის მწვერვალები, თვალუწვდენელი სილურჯე ბინდბუნდში.

დარბაისლურად ისხდნენ გვირგვინოსანი მყინვარები თეთრი მუსლინით შემკულ კვარცხლბეკებზე და ცის თავანზე მიებჯინათ მოოქვრილი ღრუბლებით შემოგრაგნილი ზეთავები.

ხევს გადაღმა ორბები რიალებდნენ ცაში. და იქიდან უთვალთვალებდნენ მინდორზე გაფანტულ ცხვრის ფარებს.

მანქანა შეაჩერა შოფერმა, კაპოტი ახადა მოტორს და კარტერს დაუწყო კირკიტი.

კორინთელი ძირს ჩამოვიდა, დააკვირდა გზის პირად გაბნეულ, ფარეხების ნაკელში ამოთხვრილ ფარას, რომელიც ხარბად სძოვდა ახლადშეღერებულ ბალახს.

უამრავი შოშიები დასეოდნენ გაღვერილ ცხვრებს, ისინი ზოგს თავზე ასხდნენ, ზოგს ზურგზე, უჩიჩქნიდნენ ჯერაც დაუბანელ მატყლს, ტკიპებზე ნადირობას დაწაფებულნი.

ისიც შენიშნა კორინთელმა, თუ როგორ უნებივრდებოდნენ ცხვრები ამ მზრუნველ მეგობრებს, თავს უშვერდნენ საამურ ხიჩინს.

და ისე გატვრინულნი იყვნენ, როგორც ბატონები, რომელთაც ფეხისგულებს ფხანდნენ ყმები.

და როცა ადგა მთელი გუნდი შოშიებისა და მთის ძირას გაფანტულ მეორე ფარისკენ გაემართა, რათა იქ განეგრძოთ ერთგვარი „სანიტარული მომსახურება“, ანაზდად გაეცინა კორინთელს, ბუნების უცნაური გონიერების გამოჩენით გახარებულს.

შოფერმა წესრიგში მოიყვანა მოტორი. ისევ გამალებული მიჰქროდა გუდრონიან შოსეზე მერსედეს-ბენცი.

მონოტონური წიკწიკი ისმოდა კვლავ და ეს დაქინებული, რიტმული ხმაური ისე ხმიანდებოდა, როგორც გულში მოღიმღამე სიხარულის აკომპანიმენტი.

* * *

უკვე თელავს უახლოვდებოდა მანქანა, როცა მედიკომ ანაზდად დაარღვია ხანგრძლივი დუმილი. ჯერ შოფრის ზურგს ესროლა მზერა და მერმე საკმაოდ გაავებული ტონით ეუბნება ფრანგულად ქმარს:

„იცი, ჩემო ძვირფასო, მე იმისთვის როდი დამითმია პარიზული სალონების ბრწყინვალე ცხოვრება, რათა ბერმუხაში, დათვების ამ ბნელ ბუნაგში დავლიო ჩემი ცხოვრების დღენი.

ის სამშობლო, რომელსაც შენ ეტრფი, ჩემის აზრით უბრალო ფიქციაა, ჩემი სამშობლო ის არის, სადაც ჩემთვის ხელსაყრელი წესწყობილებაა, ლამაზი მთები და ხევები ვოგეზებშიაც ბევრია, ხოლო შვეიცარიაში უფრო მეტი“.

კორინთელი გახევდა ამის გამგონე. გადაფითრდა, ენის წვერზე დაიჭირა სათქმელი, ბოლოს გამოაღო მანქანის სარკმელი და ცეცხლშემოგზნებული პაპიროსი გადაისროლა.

•

როგორც იქნა, გაძოჩნდა ერეკლე მეფის სასახლე თავისი გარეული ბასტიონებით. მთელი თავისი სიყრმე ამ სასახლის შემოგარენში გაეტარებინა ვახტანგ კორინთელს.

ეს იყო მისთვის თავდაპირველად დევების ბუნაგი. აქ უცხოვრიათ დევებს, მერმე თითქოს აყრილან და წასულანო.

როცა ცნობიერება წამოეძალა ყმაწვილს, ერეკლესეული კარის ეკლესიის დიაკონს, პაპა ნოშრევანს გამოჰკითხავდა ამ სასახლის პატრონყოფილთა ვინაობას.

ულიმლამოდ, გულდაწყვეტილად მოუთხრო ბალღს სიტყვაძვირმა პაპამ კახთა ბატონის გამწარებული ცხოვრებისა და გაცხარებული ბრძოლების ამბები და ეს ყოველივე ისე ჩარჩა კორინთელს ხსოვნაში, თითქოს გუშინ მომხდარიყოს.

ყმაწვილის წარმოდგენაში ეს იყო მთელს ქვეყანაზე უდიდესი სასახლე, რომელიც თავისი სიდიდითა და ქედმაღლობით სრესდა მის ირგვლივ მდებარე სახლებსა და ქოხებს იმ ქარაფს გაღმა-გამოღმა, სადაც ეს სასახლე დღესაც სდგას ეგზომ ამაყად.

სწორედ ამ ქარაფს ქვემოდ, ხევში, ზედ გალავნის ძირას იდგა კორინთელიანთ აივნიანი ქვიტკირის სახლი, საკმაოდ მოზრდილი, მაგრამ ვაგლახად დაჩიავებული კახთა ბატონის ზვიადი სასახლის გასწვრივ დგომისაგან.

გადიოდა წლები, ვახტანგ კორინთელი ახალსა და ახალ ქალაქებსა და სასახლეებს ათვალიერებდა: შინ მიბრუნებულს უკვე ნაკლებად გრანდიოზულად ეჩვენებოდა ეს სასახლე.

ახლა, ამ უკანასკნელად, მრავალსართულიან ამერიკულ ქორედების მნახველს მთლად დაპატარავებულად ეჩვენა იგი, მაგრამ მაინც გამოუტყდა თავის თავს: ეს იყო მისთვის ყველაზე მეტად დიადი ყველა სახლთა და სასახლეთა შორის.

მანქანამ მარჯვნით ჩაუხვია ვიწრო ქუჩაში და თავქვე მიმავალ შარას ჩაჰყვა.

კორინთელი ძირს ჩამოვიდა და ხავსმოკიდებული მუხის ჭიშკარი გააღო.

ეზოში შესვლისთანავე თვალში ეცა ბეხრეკა მუხნები, ყველა მთლად დაბერებული ლეღვისა და კაკლის ხეები, ტალავერების ხარაჩოებზე მისეული, კამეჩის მუხლის სისხო ვაზები, გაბერწებული მსხლები, რომელთა გადამხმარ შტოებში კაჭკაჭის ბუდეებსავით შეყუჟულიყვნენ ფითრის ბუჩქები.

ეზოს ერთ კუთხეში რიყის ქვისაგან ნაგებ გოდოლზე უშველებელი ლეღვები იდგნენ. ეს ოდესღაც მტკიცე ფარი სამეფო სასახლისა კორინთელებს მარნად ჰქონდათ გადაკეთებული.

ხავსმოკიდებულ კედლების ძირში ალიზში ამოთხრილ ქვევრებს ნილოსის კროკოდილებსავით დაებჩინათ გამომშრალი ხახა.

იქვე ეყარნენ დამტვრეული ურმები და ფარცხები, გრძელტარიანი ორშიმოები და დაძენძილი კალათები.

ეზოში ჩამიჩუმი არ ისმოდა. ბებერი მგელძაღლა კიბისთავზე იწვა. მანქანის ხმაზე მან თავი წამოსწია და ერთი შეჰყეფა.

კორინთელმა იგრძნო: ამ ეზოში სიძველისა და სიბერის უტყუარ ტვიფარს ატარებდა ყველაფერი, — ეს ქვიტკირის სახლი, ეს ხეები და ეს ძაღლიცა.

ქარაფისაკენ მიიხედა და თვალი მოჰკრა ერეკლეს სასახლის კარის ეკლესიას, სადაც სამი თაობის სიცოცხლის მანძილზე მედავითნედ იყვნენ ვახტანგის პაპა, ამ უკანასკნელის მამა, და შორეული პაპის პაპა—კიმოთე, რომლის მხოლოდ გადმოცემითი მოგონება დარჩენილიყო კორინთელიანთ ოჯახში.

გრძელსა და განიერ ტალავერებს ქვეშ მიმავალნი დაცერებულ ქვის კიბეს მიადგნენ.

„რა მძიმედ ასასვლელია იმ სახლის კიბეები, სადაც ოდესღაც შენთვის უძვირფასეს ადამიანებს უცხოვრიათ. რა ცივად ელავენ ის ფანჯრები, რომელნიც არასოდეს გაიღებიან იმისათვის, რომ მათ გადმოგხედონ კვლავ, ვინც აღარ არიან უკვე...

რა უსიამოდ მოსასმენია იმ კარების ჭრიალი, რომლის გაგონებას თან არ მოჰყვება მათი გამოჩენა ამიერიდან“.

ამას ფიქრობდა ვახტანგ კორინთელი და ნელი ნაბიჯით ადიოდა მამისეული სახლის ქვის კიბეებზე.

ძაღლმა ისევ დაიყეფა უღიმღამოდ. წამოდგომა სცადა, მაგრამ ვეღარ შესძლო, თავისი თელგამიანი თვალებით შეხედა ახლად

მოსულთ, იწვა და თავის ბანჯგვლიან კუდს არაკუნებდა ფილაქანზე.

ვახტანგი მიეალერსა ძაღლს შეჭრილ ყურებზე და მოგვიანით მსხვილ თავზე მოუცაცუნა ხელი.

ანაზდად გაიღო აივნის კარი და წელში მოხრილ-მოკეცილ თეკლა გამოფათურდა. უნებლიეთ შემჭკნარ ლოყებზე იწვიმეს ცრემლებმა, დამჭკნარი ხელები ქედზე შემოჰხვია ვახტანგს, კოცნიდა ყვრიმალში, მთელი სხეული უძაგძაგებდა.

„ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!"

მოისმა როხროხა ხმა, ომახიანი, ბრგე მოხუცი შემოეგება ახლადმოსულთ, გაშალა თავისი გრძელი მკლავები, ჯერ მედეას გადაეხვია, მერმე მაგრად მიიხუტა თავის განიერ მკერდზე ვახტანგი, ორივე ხელი მკლავებზე წაავლო, ოდნავ გადააწევინა თავი, კიდევ აკოცა და სთქვა:

„შენ კარგად იცი, სიკვდილი მე არასოდეს მიწამებია, ვახტანგ, მაგრამ ამ წუთში კვლავ ვირწმუნე, რომ სიკვდილი მართლაც არ არსებობს ამქვეყნად.

ძაღლის ყეფა რა შემომესმა, თეკლაზე ადრე მოვედი კართან. სულგანაბული გითვალთვალებდი, როგორ ამოდიოდი კიბეზე. ასე მეგონა: განსვენებული მამაშენი, როსტომი გაცოცხლებულა და შინ მობრუნებულა-მეთქი, ჩემმა მზემ".

„ეგ ცნობილია, ძია ნიკო, — მიუგო ვახტანგმა, — რაც უფრო მეტად უახლოვდება ადამიანი სიკვდილსა და სიბერეს, მით უფრო ემსგავსება თავის მშობლებს".

ძია ნიკომ შეიხსნა ცოლი, მიუხედავად ამისა, სტიროდა მამიდა თეკლა: ამ ბნიასზე გამოვიდნენ ქვრივი ბიცოლები და ბიძათაშვილების ცოლები, შაოსნებმა თავშეკავებული, ერთობლივი ქვითინი შეჰქმნეს.

მამაკაცური ნაბიჯით გამოიარა დეიდეფანი გრძელკისერა, ახმახმა სახედაკენკილმა ქალმა:

„დეიდა ვარა", წამოიძახა მედეამ და შემოეხვია მას. ბოლოს ეს გრძელკისერა დეიდა სულ ახლოს მივიდა კორინთელთან და თავისი ძარღვიანი, გრძელი ხელი საკოცნელად გაუწოდა სიძეს ისეთი გასხიპული გამომეტყველებით, როგორც ეგ ხჩვეოდათ ძველ „კნეინებს", როცა ისინი თავიანთ მოურავებსა და ღარიბ ნათესავებს შეეყრებოდნენ ხოლმე.

როცა სასტუმრო ოთახში შეიყვანეს ახლადმოსულნი, გაფშეკილი დაჯდა დეიდა ვარა საპირეშემოხეულ, ზამბარებმოშლილ სა-

ვარძელში და გამალებით დაუწყო თვალთვალი ვახტანგ კორინთელის შეყვალებულ საფეთქლებს.

ამ ქალის გამოცივებულ, ოდნავ ჭრუტა თვალებში ვერაფერს ამოიკითხავდა, უხაროდა თუ სწყინდა მას კორინთელის დანახვა ამ წუთში.

ვახტანგმაც საკმაოდ არამეგობრული მზერა ესროლა „ბიძია ვარას“ და წამსვე შენიშნა; ზომაზე მეტად მოსძალებოდა თმიანობა უკვე შეყვალებულს, რომელსაც ახალგაზრდობაშიაც ისეთი ულვაშები ჰქონდა, როგორიც ახლადშეღერებულ ბიჭუნებს გაუჩნდებათ ხოლმე.

ეს ულვაშები უკვე შეეფერცხლოდა მას: ხოლო ეჩოსავით წამოწეულ ნიკაპს ქვემოდ და ყბების სათავეში ისეთი მეჩხერი თმა გამოსულოდა, როგორიც ქოსა მამაკაცებს შეუდგებათ ხოლმე. იგი სრულიადაც არა ჰგავდა იმ ფაშფაშა ჩაქვირითებულ „კნეინებს“, რომელთაც ილია ჭავჭავაძე აგვიწერდა.

ვახტანგს მუდამ სძულდა მედეას დეიდა, თავად დადიანის ამპარტავანი ქალი, რომელსაც „ბიძია ვარას“ ეძახდა ხუმრობით ვახტანგის მამიდის ქმარი — ნიკო მირიანაშვილი.

ძველ დროში, ვიდრე „კნეინა ვარას“ უწოდებდნენ ამ ქალს, ნიკო ვერ უბედავდა მას ასეთ შეხუმრებას, მაგრამ რევოლიუციის შემდეგ ნიკოც გათამამდა და უკვე მოურიდებლად შეარქვა: „ბიძია ვარა“ ამ გაზულექებულ „კნეინას“.

როცა ქალები სასადილო დარბაზში გავიდნენ, ვახტანგ კორინთელი ადგა. მზერა შეავლო ბუხრის მარჯვნითა და მარცხნით კედელზე ჩამწკრივებულ, გამოხუნებულ სურათებს: დედა, პატარა დაიკო ნანა, სამი გარდაცვლილი ბიძია: ამათ შემდეგ მთლად ბუნდოვნად მოჩანდნენ ოთხი თაობის თავკაცები: თეთრწვეროსანი პაპა, პაპის მამა და შორეული პაპა კიმოთე. — მედავითნენი ერეკლე მეფის კარის ეკლესიისა: ბოლოს ვახტანგის მამა როსტომი. მიწისმზომელის ფორმაში გამოწყობილი, გრძელწვერა ვაჟკაცი.

ეს გადასული ლანდები საწყალობლად აწერულიყვნენ კირით შეთეთრებულ დაბალ კედელზე, როგორც ამ სოფლიდან გასულთა აჩრდილნი, რომელთათვისაც ამ უკანასკნელ წლებს ფერგამკრთალობა შეემატებიათ საგრძნობლად.

ხელის დაბანა მოთავდა თუ არა, ძველებური, გრძელი სუფრის თავთან დამჯდარმა ძია ნიკომ არ დააყოვნა, მკლავზე ხელი წაავლო ვახტანგს და გვერდით მოისვა.

კორინთელი თვალნათლივ ხედავდა: ასე თუ ისე ყველას მიწვ-

დენოდა ყოველთა შემმუსვრელი სიბერის შაშარი, ყველაზე, ძია ნიკოს გარდა.

თითქმის არ შეცვლილიყო ეს შეუცვლელი თამადა, გაუტეხელი ეპიკურელი, უკვე თმაშეეერცხლილი პროვინციელი დინ-ჟუანი, რომელსაც ჭაღარაც ვერ ათმობინებდა ღვინისადმი ტრფიალს.

მის კეთილშობილ, ოვალურ სახეს გრუზა ფაფარით დამშვენებულს, ძლიერ უხდებოდა ჭავლისებრ ხვეული, ელალი წვერი.

ოდნავ მოდრეკილი ცხვირისა და ღაწვისთავების არეში მოსწანდა ისეთი წვრილი და წითელი ძარღვები, რომელნიც ღვინის მოყვარულთა სახეებს შეუდგება ხოლმე.

ხმაც ჰქონდა ამ ბუხუნა ბერიკაცს დიდი ფიზიკური ძალისა და სიმართლის მაუწყებელი, ხოლო წითელი, მსუქანი ტუჩები და ჯერაც შეუმუსვრელი კბილები სიცოცხლისადმი განუზომელ სიყვარულს ამჟღავნებდნენ.

კორინთელი ღიმმორეული გადახედავდა ხოლმე ამ გახარებულ, ვეება ვაჟკაცს, მის გრძელ მკლავებსა და არც თუ მოკლე, კოტიტა თითებს, ბებერი მამლის დეზებსავით ყვითელ ფრჩხილებს, და ფიქრობდა თავისთვის:

„რომელიმე თანამედროვე მხატვარს რომ მოუნდეს თრობის ღმერთის — ბახუსის გამოსახვა, უეჭველია, ძია ნიკოს აირჩევდა“.

არ გამართლდა მედეას შიში: დაგვიანების გამო ძია ნიკო გაგვიწყრებაო, რომ ამტკიცებდა. როცა ვახტანგმა ამ ამბის გამო მოიბოდიშა, ასეთი პასუხი მიიღო:

„კაია რომ დაიგვიანე, ვახტანგ, მე მაქვს ჩემი მოსაზრება და მერმე გეტყვი“.

ყოფის საქმეებში მრავალნაცადმა მოხუცმა კარგად იცოდა: ვახტანგი და მედეა ორიოდე საათით ადრე რომ ჩამოსულიყვნენ, მამიდა თეკლა ხელახლა შეიცხადებდა თავის ძმას, შეიქნებოდა ქალების ვიშვიში, დაუყოვნებლივ სასაფლაოზე წასვლას მოითხოვდნენ და ნიკო მირიანაშვილს ისე არაფერი სძულდა, როგორც ტირილი, პანაშვიდი და სასაფლაო.

ბოლოს ეს ყოველივე იმით დასრულდებოდა, რომ სიცოცხლეზე განუზომელად შეყვარებულ „ძია ნიკოს“ წამწარდებოდა ის შინაურული ნადიმი, რომლის მოსაწყობად მთელი კვირა დაფუსფუსებდა იგი.

ისიც დაცდილი ჰქონდა მას: სუფრა და ღვინო ისეთი რამეებია, სიკვდილისათვის დაფიქრებას ოდნავ მაინც რომ აქარვებენ.

ძია ნიკოს არ სიამოვნებდა შავოსანი დედაკაცების სიმრავლე სუფრაზე და ამიტომაც ბოდიშობდა ვახტანგის წინაშე.

„ვაჟთა სკოლის დირექტორი დაგიპატიჟე, სამიოდე მასწავლებელიც. მაგრამ ტფილისიდან რაღაც კომისსია ჩამოსულა და ბოდიში შემოთვალეს.

იცი კიდევ ვინ დაგიპატიჟე? დოცენტი ზურაბ ბარდელი, შენი სიყრმის მეგობარი, რომელიც შენთან ერთად სწავლობდა უცხოეთში“.

„საოცარია, რად არ მოვიდა, ჰა?“

„არ ვიცი სწორედ. დღეს მე გული უნდა ვიჯერო მოგზაურობის ამბების მოსმენით. სად რა ნახეთ, რა გზებით იარეთ?“ უთხრა ძია ნიკომ ვახტანგს.

„ჩვენ კონსტანტინოპოლიდან ბომბეის ჩავედით, მოვიარეთ ცეილონი, იავა, მადაგასკარი, ჰოლანდური ინდოეთი, ტოკიოს ვუწიეთ, იქიდან ნიუ-იორკი და ვაშინგტონი. ამ ქალაქში ახალი დავალებანი მოგვაწვდინეს საქართველოდან.

სამხრეთ-ამერიკა მოვვლეთ, ჰაიტის კუნძულზედაც ვიყავით, ჰაიტიდან ბარსელონაში ჩამოვედით; სამხრეთ ესპანეთიდან შამპანის პროვინციაში ჩავედით, ბოლოს გავიარეთ მთელი იტალია, საბერძნეთი გადავიარეთ და ისევ სტამბოლით შინ გამოვბრუნდით“.

„ცისთვალა“, დაიბუტუნა ნიკომ.

შემოვიდა პატარა გოგონა, რომელსაც მართლაც ცისთვალას[1] ფერი თვალები ჰქონდა.

„წადით შენ და ლევანა მარანში, ხელადები მოიტანეთ“.

ეს განკარგულება მისცა ცისთვალას ნიკომ, მერმე მიუბრუნდა ვახტანგს და გულითადად ეეკითხა:

„თუ ჩემი ბიძიკო ხარ, დღეს უნდა დავლიოთ. მხოლოდ სამი ყანწი, შესანდობარი, დანარჩენი ხელადები: ხომ გახსოვს, მამაშენს უყვარდა ხელადებით სმა სამღვთოს გადახდის დღეებში“.

კორინთელი შეეკითხა: ავად ვარ, ნუ მასმევო ღვინოს.

ამასობაში ცისთვალამ და ლევანამ სველი ხელადები შემოიტანეს და ჩამოარიგეს.

„ბიჭო ლევან, ხომ ხედავ დაგვაღალატეს სტუმრებმა. ამ დედაკაცების იმედით რას დავლევთ, მოდი, გაგვიმაგრე გუნება“.

ლევანამ დააფახულა თავისი გრძელი წამწამები, მორცხვად ჩაჯდა შავოსან ქალებს შორის, რომელნიც ეკლესიის ყვავებივით გარს მოსხდომოდნენ სუფრას.

---

[1] ყვავილია ერთგვარი.

„ღმერთო დიდებულო და დიდად სახსენებელო“, სთქვა თამადამ, თუმცა მას, როგორც ეპიკურელსა და ვეტექიმს, „ყოველივე ანგარიში გასწორებული ჰქონდა ღმერთთან“, როგორც თავათ იტყოდა ხოლმე.

წამოდგა ეს ბახუსის თანამოსაყდრე ამ [illegible] გრძელ მარჯვენაში აღიმართა ჯიხვის ყანწი, [illegible] ხმარებისაგან ისე ლაპლაპებდა, თითქოს სტერლინგის ლაკი ზედ გადაუკრავთო.

როცა თამადამ გავსილი ყანწი შეაძლია ვახტანგს, მას არც ისე დიდი წინააღმდეგობა გაუწევია, რადგან გზაში მოყენებულმა წყენამ და მიცვალებული მამის ოჯახში მიბრუნებამ იმდენი იდუმალი წუხილი დაუგროვა, გადააწყვეტინა მღელვარების დასაოკებლად ცოტა მაინც დაელია, ამიტომაც შეეკითხა თამადას ხმადაბლა:

„ჯერ მითხარი, რა ღვინოა ეგ, ძია ნიკო?“

„არამც და არამც არ დაგისახელებ, ჩემო ვახტანგ, მიირთვი და გამოიცანი. შენ ხომ იცი, ამქვეყნად ყველაფერზე უფრო ძნელია ძველი ღვინისა და ახალგაზრდა ქალის გამოცნობა“.

ვახტანგს გაეცინა.

„გარდა ამისა, — განაგრძო ნიკომ, — ადამიანების საერთო სენია, ისინი მომეტებული ხალისით აქებენ იმას, რაც უკვე ათასგზის ნაქებია, რადგან ახლის საქებრად მარტოოდენ საქებარის ღირსებები როდი კმარა, არამედ მაქებარის მიერ ახლის შენიშვნის ჟანარიცაა საჭირო. ამიტომაც ადამიანებსა და ფოსტის ცხენებს ნაჩქეფ გზაზე ჩაქჩაქი ურჩევნიათ ხოლმე.

ბიჭობა ისაა, იგი აქო, რაც სხვებს არ უქიათ ჯერ. ჰა, ჰა, ჰა“.

ამ სიტყვებმა ისე წაახალისა კორინთელი, მედეას პროტესტის ძიუხედავად, ადგა, თავისი სიჭაბუკე მოიგონა, ყანწი გამოსცალა და ცერის ფრჩხილზე დააკაკუნა გადმოყირავებული ყანწის ყელით.

ახლა თამადის ერთადერთი იმედი იყო მეზობლიანთ ლევანა.

ამასობაში ცისთვალა მიუახლოვდა თამადას, ზედ ყვრიმალთან მიეტანა ტუჩი და უჩურჩულა: სტუმრები გეახლნენო.

„კეთილი იყოს მათი მობრძანება“, აროხროხდა გახარებული თამადა და სასტუმროში შემოვიდა სამი კაცი, ორი მათგანი გადაეხვია დეიდა ვარას და მედეას, საერთო სალამი მისცეს დანარჩენებს და სამივენი სუფრის ბოლოს დასვა ლევანამ.

სტუმრები ჭამითა და საუბრით გაერთვნენ, ხოლო ვახტანგმა ჩურჩულით ჰკითხა თამადას: ვინ არიანო ახლადმოსულნი?

ნიკომ მხარზე ხელი დაადო კორინთელს, თავისკენ მისწია, რგი და ჩურჩულითვე მიუგო:

„ის გრძელკისერა — დადიანია, თავმსხვილა — ვაჩნაძე, ხოლო თავკოპალა, ქაჩალი, ცეროდენაშვილია გვარად და აქ „ცეროდენას“ ეძახიან. ინჟენერია, ვგონებ“.

ბიბლიოთეკა

რა საქმის კაცებიაო ის ორი, უნდოდა გაეგო კორინთელს.

„დადიანი ზოოტექნიკოსია, ვაჩნაძე — მეჯინიბედაა ტფილისის ჰიპოდრომზე; შენი ცოლის შორეული ნათესავებია ორივენი, პატიოსანი მშრომელები, ალბათ საბეითლო საქმეებზე მოსულან ჩემთან“.

თამადა გახარებული იყო, ღვინის სმაში მხარის დამჭერნი რომ შემოემატა, თუმცა შორიდანაც კარგად ამჩნევდა: სამივეს ბლომად ჰქონდათ უკვე მირთმეული.

კორინთელმა იგრძნო, ხანგრძლივად ღვინოს გადაჩვეულს, ჯერ კიდევ პირველმა ყანწმა უწია და აჩქარებულად უცემდა გული, ამიტომაც გადაწყვიტა მეტი აღარ დაელია, სთხოვა კიდევაც თამადას: გეთაყვა, მეტს ნუღარ მასმევო.

ძია ნიკო ამჩნევდა: მხოლოდ თავაზიანობისათვის ხარკის გადასახდელად იღიმებოდა ხანდახან ვახტანგი. ნიკოსთვის გასაგები იყო ეს დალვრემილობა.

ან როგორი გუნება უნდა ჰქონოდა იმ ადამიანს, რომელიც მამისეულ სახლში მიბრუნდა და მიცვალებულთა გახუნებული სურათებიღა დაუხვდა, მოხუცი მამიდა და ბებერი ძაღლი, რომელთაც ზეწამოდგომის ძალაც აღარ შეწევდათ უკვე.

ისიც გასაგები იყო ნიკოსთვის, თუ რად ითრევდა ფეხს ვახტანგი თელავში ჩამოსვლამდის: ამდენ მახლობელთა დაკარგვა ისეთი დიდი სიმძიმილის შემცველი იყო, ცხადია, ამ ღრმა ჭრილობების მოშუშებას უცდიდა იგი.

ყოველივე ამის შემცნობი თამადა საგანგებოდ მონდომებული იყო როგორმე ლაღბობითა და ღვინით გაემხიარულებინა ვახტანგი. ამიტომ უთხრა მას:

„იცი, როგორი უბედურება შემემთხვა ამ გასულ შემოდგომაზე, ვახტანგ?“

„რაო?“ იკითხა შეცფუნებულმა კორინთელმა.

„ბევრი არაფერი, ჩემო კარგო, — სთქვა ნიკომ და სიმინდის მარცვალივით ყვითელი კბილები გამოაჩინა — თუ არა ვცდები, ოდესღაც შენვან მაქვს განაგონი, ვახტანგ, ემპედოკლეს ძლიერ აინტერესებდა თურმე, თუ რა ხდება მიწის წიაღში. ამიტომაც ამდგარა და ეტნაში გადამხტარა; მერმე, როგორც მოგეხსენება, გა-

ულია რამდენიმე წელს, ცეცხლი ამოუფრქვევია ეტნას და ემპედოკლეს სანდალი კრატერიდან ამოუგდია თურმე".

„ჰო, მახსოვს, ძია ნიკო, მე გიამბობდი ამას", სთქვა ლრმილით ვახტანგმა, რაკი დარწმუნდა, ახალი რამ უბედურება არ მომხდარაო.

„ეს არაფერი, ამაზე უფრო უცნაური ამბავი მეგულება, ბატონო, შენ კარგად იცი, ეს ჩვენი მეზობელი, ერეკლე მეფე, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ებრძოდა თურქებს, სპარსებს, ლეკებს, მე კი — საქონლის ბირს, ბრუცელოზას, ციმბირულ წყლულს, ცხვრის პეპელას, მაგრამ ყველაზე მედგრად — ღვინოს. ხომ ვგავარ ჩვენს მეზობელს, ერეკლე მეფეს?.. ჰა, ჰა, ჰა!"

გადაიხარხარა ნიკომ ისეთი გულიანი სიცილით, როგორიც სჩვევიათ მხოლოდ კაიკაცებს, რომელთაც მუდამ ჰყოფნით გამბედაობა საკუთარ თავს დასცინონ ხოლმე.

ვახტანგსაც გაეცინა, მაგრამ უგუნებობის გადაყრა ჯერ შორს იყო.

„ბოლომდის მისმინე, ვახტანგ, შენ გახსოვს ალბათ მამიშენისეული, უკეთ რომ ვთქვათ, პაპიშენისეული ქვევრი, თქვენს მარანში, მარცხნიდან პირველი, ეტნას კრატერივით რომ დაუბჩენია ხახა. ორმოცი კოკა ჩადის იმ ქვევრში.

ისიც გეხსომება, მამაშენი კიბით ჩაგზავნიდა მის გამოსარეცხად ბიჭს. როგორც შენი წინაპრები, ისე მამაშენიც ყოველ წელს ავსებდნენ ღვინით ამ ქვევრს.

„ჰოდა... შარშან ყურძენი ვიყიდე წინანდალში, თავათ დავწურე. კიბე ჩავდგით იმ ქვევრში მე და მეზობლიანთ ლევანამ, გამოვრეცხეთ და მოგეცა ლხენა, ჩავასხით ღვინო და, იცი, რა მომივიდა?"

„რა მოგივიდა?" შეეკითხა ვახტანგი.

„მოგეცა ლხენა, წინა დღის ნასმურევი ვიყავი, როგორც იტყვიან, მაგრად გამოყოლილი. ორივე ხელი დავაბჯინე ქვევრის თავზე, ყმაწვილო, ერთი ჩავხედავ-მეთქი, რადგან მთლად სავსე არ იყო ქვევრი და არ ვიცოდი კიდევ რამდენს ჩაიტევდა იგი თავის უძღომელ ხახაში.

დახე უბედობას, ხელი დამიცურდა და ჰოპ, ჰოპ, შიგ ჩავვარდი! მეზობლიანთ ლევანას რომ არ მოესწრო, მოგეცა ლხენა, ჩემს ძველ ჩექმას ისე ამოისროდა ამბოხებული მაჯარი, როგორც ეტნა ემპედოკლეს სანდალს! — სთქვა ნიკომ და ისევ მორთო კაიკაცური ხარხარი: — ჰა, ჰა, ჰა!"

როცა მეორე ყანწი გამოსცალა მეზობლიანთ ლევანამ, წამოდ-

გა და მოკრძალებულად შეეკითხა თამადას: ვის გადავცეო ყანწი. რაკი სტუმართა შორის ფხიზელი მამაკაცი არავინ დარჩა, ანაზდად წამოიძახა ნიკომ:

ბიძია ვარას გადაეცითო ყანწი.

ვარას არ ეპრიანა სტუმრების თანადასწრებით [illegible] რება, გამოსცალა სასმური, მერმე ასწია მარჯვენა ხელით იგი და მიმართა კორინთელს:

თუ ვაჟკაცი ხარ, შენც აგრე გამოსცალეო.

კორინთელს არ ეამა ამ წვეროსანი დიაცის ასეთი მოთამამება. მედეას პროტესტის მიუხედავად, ცისთვალას ხელიდან გამოართვა ყანწი და უკლებლად დასცალა.

ნიკომ კარგად იცოდა, სისხლის წნევა რომ აწუხებდა ვახტანგს, მაგრამ, როგორც ყოველ მოყვარულს ღვინისას, მასაც ურყევად სჯეროდა, ღვინო ყოველი დარდისა და სენის წამალიაო; ამიტომაც ისარგებლა „ბიძია ვარასა“ და პროფესორს შორის მომხდარ წაკინკლავებით, ვახტანგის მიცვალებული დედის შესანდობარს მამის მოსაგონარიც ზედ მიაყოლა.

ოდნავ გასჭრა მედეას მუდარამ, თამადა მოეშვა ყანწს და ახლა ხელადებით სმაზე გადავიდა.

წვეროსან დიაცს წამოეძალა ღვინო, პაპიროსიც გააბოლა. მედეასთან ლაპარაკს უმატა, ოდნავ მოღუშული იჯდა ეს წელს ზემოდ გაშეშებული დიაცი და მისი გრძელი და გამხმარი ხელების ფიცხელი ჟესტიკულირება უკვე ამქოცავნებდა მის შეზარხოშებას.

კორინთელი შორიახლოდანაც ამჩნევდა, რომ მას შებერტყილი ლოყები შეუწითლდა, ოდნავ გაუფართოვდა ჭრუტა თვალებში შეყუჟული თვალის თეთრონები, მამაკაცურად აბოლებდა, თანაც ფრანგულად ესაუბრებოდა მის გვერდით მჯდარ მედეას, სავსებით დარწმუნებული: მის ნაუბარს სუფრის თავში მჯდარი კორინთელი ვერ გაიგონებდა.

ლაპარაკობდა იგი ისეთი ძველმოდური ფრანგულით, როგორსაც ამ ნახევარი საუკუნის წინ ასწავლიდნენ ხოლმე „კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტებში“ პარიზიდან ჩამოხეტებული შინაბერა ფრანგის ქალები.

ასო „რ“-ს ქართული „ღ“-ს დარად წარმოსთქვამდა ისეთი თავმოთნე და გაბღენძილი კილოთი, რომელიც დასჩემდებათ ხოლმე იმ ადამიანებს, ფრანგული ენა ღმერთების ენად რომ მიაჩნიათ სერიოზულად.

სუფრაზე ატეხილი ჟრიამულის მიუხედავად, კორინთელის სმენას წვდებოდა ზოგი რამ „კნეინა ვარას“ ნაუბარიდან, მაგრამ ისეთ

გამომეტყველებას ღებულობდა, თითქოს მას არ ესმოდა ეს ყოველივე.

სადღეგრძელოებს შორის გამომხდარ ხარვეზებში გახტანგი პირს მიიბრუნებდა თამადისაკენ და ტკბილად ესაუბრებოდა მას, თანაც წამახულ სმენას აპყრობდა ყოველივე იმას, რასაც ზარხოშებული „კნეინა“ ეუბნებოდა თავის დისწულს.

... „მე ასე მგონია, ძვირფასო, შენ არც ისეთი სვებედნიერი მეუღლე ამოგირჩევია, — ეჩიჩინებოდა დეიდა ვარა თავის დისწულს: — ერთი რომ შენი მეორე ქმარი უფრო ხნიერია, ვიდრე მუსიო შარკუტიე, მე მაქვს შენ მიერ გამოგზავნილი მისი ფოტო. იგი საკმაოდ გალანტური ჯენტლმენი სჩანს.

გულწრფელად გითხრა, მე შენი პროფესორი არ მომეწონა, რაც უმთავრესია, მისი მანერები. ასეთ კაცს ჩვენს დროში მაღალ საზოგადოებაში სუფრაზე არც კი დასვამდნენ პურის საჭმელად. შენი ქმარი „უნივერმაღის“ ნოქარს უფრო ჰგავს, ვიდრე მეცნიერს“.

იგიც შენიშნა კორინთელმა: მედეამ ამ გახუმრებაზე ჯერ გაიღიმა და მერმე რაღაც უჩურჩულა თავის დეიდას, მაგრამ „კნეინამ“ ასანთი მოუკიდა პაპიროსს და განაგრძო:

„უნდა გამოგიტყდე, მე მაინცდამაინც არ მიყვარს, ძვირფასო, ეს აგრონომები და ზოოტექნიკოსები, რომელთაც მე ვირის ექიმებს ვეძახი ხოლმე. მათ მუდამ კართოფილისა და ცხოველთა ექსკრამენტების სუნი უდით.

არც იმას დაგიმალავ, ძვირფასო, მე მძაგს პლებეების ნაშიერები, რადგან მათ აკლიათ არა მარტო ფული და გალანტობა, ფანტაზიაც დაჩლუნგებული აქვთ მუდამ.

და ეს თავისთავად გასაგებია, ძვირფასო, ადამიანებს, რომელთაც ცხოველებთან, მწერებთან და მცენარეებთან აქვთ დღე და ღამე საქმე, უთუოდ გადაეედებათ ცხოველების ბესტიალობა და მცენარეთა სირეგვნე (აქ „კნეინა“ ვარამ იხმარა ფრანგული სიტყვა „სტუპიდიტე“).

გარდა ამისა, შენი ქმარი დიაკვნის შვილიშვილია, ცნობილია, მედავითნენი მუდამ გაკრეტინებული იყვნენ ფსალმუნის ღეჭვისაგან“...

ამასობაში პურის მცხობელ დედაკაცს, ფქვილში ამოთხვრილ მაკოს მოჰქონდა ცხელ-ცხელი შოთი პურები, ხოლო ცისთვალას ნაირ-ნაირი კერძები.

ძია ნიკო ჩვეულებისამებრ მკლავში უბიძგებდა კორინთელს, მადისმომგვრელ ქებას ასხამდა სუფრაზე მოტანილ კერძებს.

„აჰა, შენი საყვარელი დედას-პურები, მთელი ქვეყანა მოგვიგ-ლია, ყველაფერს გაფიცებ, აბა თუ ვინმე სჯამს ასეთ შესანიშნავ პურს.

ეგეც ჩალაღაჯი, აგერ დედალი ნივრით, გინდ [illegible] წვნითა, გინდა უშობელის სუკი, იფ, იფ, ყველაფერ[illegible] მაქვს შერჩეული, ჩემმა მზემ.

როგორც ჰხედავ, ერეკლე მეფეს ვერ გავუტოლდი, მაგრამ მის ზაქიჭამია შვილს, გიორგის, მაინც არ ჩამოვრჩები, რა თქმა უნდა, ჭამა-სმის საქმეში უელსის პრინცს მიუქარავს ჩემთან, ჰა, ჰა, ჰა...“

როცა ლევანამ შამფურზე წამოგებული გოჭი შემოიტანა, გახარებული ახორხოცდა ნიკო:

„ნახე, ნახე, ვახტანგ, როგორაა შებრაწული! ასეთი რამ აბესინიის იმპერატორს მოჰგვრიდა ნერწყვს!“

„რატომ ასე შორს მიდიხარ, ძია ნიკო, ბრიტანეთის იმპერატორი რად დაგავიწყდა?“

„რას იზამ, ჩემო კარგო, რევოლიუციამ ისე გააწყო იმპერატორების სინსილა, მათ საძებნად ან აფრიკას უნდა გადაიხვეწო, ან ინგლისს, ჰა, ჰა, ჰა“.

ვახტანგი უკვე გულიანად იცინოდა, ხანდახან მზერას გააპარებდა ხოლმე და სუფრის ბოლოს მსხდარი ორი ქალის სერიოზულ სახეს შეხედავდა. მედეას მარჯვენა ხელში ჩაებღუჯა თავისი დეიდის მკლავი და მოწყენილი გამომეტყველებით ეჩურჩულებოდა რაღაცას.

ძია ნიკო ახლა ქინძით, ძმრითა და პილპილით შეკაზმულ ქათმის კუჭმაჭს აქებდა, ხოლო ვახტანგის სმენას ეს სიტყვები მისწვდა:

...„ბერმუხაში უნდა იცხოვროთო? მონ დიო, მონ დიო![1] ეგეც ახია შენზე, ძვირფასო, შამპანი მოგწყინდა? ფობურგ სენ ჟერმენი, მულენ რუჟი, კაფე ნაპოლეონ, ტროკადერო, პლას დელა კონკორ, გრან ოპერა, ვიო კოლუმბიე[2], და ბერმუხელი გლეხების სანეხვეების სუნით უნდა დასტკბე? აფსუს!

მთელი ჩემი სიცოცხლე ვოცნებობდი ამ წმინდა ადგილების ნახვას, რამდენ ხანს ვუცადე ვიზას. ხომ მპირდებოდი ვიზას გამოგიგზავნიო.

რა ვუთხრა მამიდაშენს, ეფემიას! მე რომ იქ ვყოფილიყავი,

---

[1] ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო.

[2] „ვიო კოლუმბიე“ — ცნობილი თეატრია პარიზში.

როგორ დაგანებებდი მუსიო შარკუტიესთან გაყრას. სე დომაე, სე დომაე"[1].

თამადამ ასწია მის მიერ დაცლილი ხელადა და მოუწოდა მეიზბეებს გადმოეყირავებინათ თავიანთი ხელადები.

ყველაზე ადრე „ბიძია ვარამ" და იმ თავკოპალ[illegible]ვენეს დაცლილი ხელადები ძია ნიკოს.

ისევ გაერთვნენ, მედეა და დეიდამისი საუბრით. სავსებით უტიფრად აჭარტალებდა ენას უკვე შემთვრალი წვეროსანი დიაცი:

„სამშობლო? სამშობლო მხოლოდ გონებაშეზღუდულ (აქ ხმარობდა იგი ფრანგულ სიტყვას „ბორნეე"-ს) ადამიანებს უნდა უყვარდეთ, ძვირფასო.

არისტოკრატიასა და ბურჟუაზიას სამშობლო ისევე ესაჭიროება, როგორც მეხუთე ფეხი სახედარს.

მუშებსა და გლეხებს თუ დასჭირდებათ, ძვირფასო, ის, რასაც შენი ქმარი სამშობლოს ეძახის. ჩვენ, დადიანები, გლეხს მეგრელს ეუწოდებდით, აქ აღმოსავლეთშიაც, ქართველი და გლეხი სინონიმები იყვნენ.

იცი თუ არა, ძვირფასო, რომ ჩვენს ოჯახებში ცუდ ტონად ითვლებოდა ქართულად ლაპარაკი?"

არც ძია ნიკოს ჰქონდა დაჩლუნგებული ჯერჯერობით სმენა, მაგრამ იგი ფრანგულზე მწყრალად იყო, მიუხედავად ამისა, ინსტინქტიურად მიხვდა გულმეცნიერი ბერიკაცი, სასიკეთოს რომ არაფერს ეტყოდა თავის დისწულს „ბიძია ვარა".

სწორედ ამიტომაც ძია ნიკომ შესწყვიტა საუმელების აპოლოგია და ხმადაბლა უთხრა კორინთელს:

„შენ, როგორც აგრონომმა, ჩემზე უკეთ იცი, მსხალი თითქმის ყოველ ხილზე უფრო ხანგრძლივად შერჩება ხოლმე თავის ყუნწს.

გვიან შემოდგომაზე ჩამოსცვივიან კაკალი, ნუში, წაბლი და უნაბი, ხოლო მსხალზე მუდამ შერჩება ხოლმე თითო-ოროლა ნაყოფი. დეკემბრის ბოლოს, როცა ჭირხლი ედება ხეებს, გაიხედავ და სადღაც, მსხლის კენწეროში, ორიოდე ნაყოფი შერჩენია ყუნწს, ისეთი ჩაშავებული და დაღმეჭილი, ძირს რომ დავარდეს, უწუწკესი ღორიც არ შესჭამს მას.

ეს ნაყოფი ისე ზედმიმკვდარია თავის ყუნწზე, უმძაფრესი გრიგალებიც ვერ ჩამოაგდებენ მას.

ვინ დაიჯერებს, რომ დღეს ჩვენს სინამდვილეში კიდევ დაღო-

---

[1] რა სამწუხაროა, რა სამწუხაროა!

ღავენ ისეთი კუზიანები, როგორიცაა შენი ცოლის დედა? ეჭვარიტად, სამარე თუ გაასწორებს მათ.

ეს ყბადაღებული „ბიძია ვარა“ სარზე ეგებოდა, რა გაგიგო, მეცა დისწული ცოლად მიჰყვებაო მიწისმზომელის ვაჟს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც კი არ მერიდებოდა, წიწმატობდა, ანჩხლობდა: ბილლიონები წყალს გაატანა და დიაკვნების ნაშიერს უნდა მითხოვდესო? მოგეცეს ლხენა, არა ერთხელ შევჯორე მაგრად“.

„ეჰ, რას ვიზამთ, ძია ნიკო, ადამიანების ფსიქიკის გარდაქმნა არც ისე ადვილი ყოფილა. ალბათ გეხსომებათ ბურბონების გამო ნათქვამი: მათ რევოლუციის შემდეგაც არც არაფერი უსწავლიათ და არცთუ დავიწყნიათო რაიმე“.

ძია ნიკომ მიუგო:

„აკი ამბობდა დიდი ილია: თავადიშვილი კარგი რა არის, ავი რა იყოს“.

„ცხადია, ამ სენტენციაში გაღაჭარბებაც არის, რამდენადაც ჩვენი თავადაზნაურობის უდიდესი ნაწილი უკვე ჩაება ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში, მაგრამ სანამ კაპიტალისტური გარემოცვა იქნება, აქა-იქ კიდევ იბოგინებენ ეს ბედისაგან განწირულები, მაგრამ ეგ არც ისე საშიშია, დამუკნარი მსხლები საბოლოოდ ძირს დასცვივიან და ღორი შესანსლავს მათ. ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის“...

ესა სთქვა კორინთელმა და კიბისთავთან მართლაც აყეფდა ძაღლი.

ცისთვალა შემოვიდა და ახალი სტუმრების მოსვლა აცნობა თამადას. სუფრას შემოემატნენ დოცენტი ზურაბ არადელი და მასწავლებელი ჩხეტიანი. არადელის დანახვისას დეიდა ვარამ გადაუჩურჩულა მედეას:

„ეგეც წითელი პროფესორია“.

ზურაბ არადელი სახელგანთქმული მეცნიერი იყო, ავტორი მრავალი საყურადღებო შრომისა, ესენი ეხებოდნენ ჩვენი ფლორის მავნებლებს და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს.

კორინთელი გადაეხვია სტუდენტობის მეგობარს, რომელთანაც მთელი მსოფლიო შემოიარა ორიოდე წლის წინად. გვერდით მოისვა ზურაბი, იგონებდნენ ერთად მგზავრობის ამბებს.

ნიკომ დაგვიანების გამო ჯარიმა დააღებინა დაგვიანებულ სტუმრებს. მერმე მკლავში უბიძგა პროფესორ არადელს:

„მე ვიცი, ახლა ხოჭოებისა და კალიების ამბებს მოჰყვებით თქვენ: გიჯობთ ეგ გვიამბოთ, გეთაყვა, სად რა დალიეთ, ლამაზი ქალები სად მეტი ნახეთ, ან რით თვრებიან იმ ქვეყნებში, ჰა?“

„თერებიან, ყველგან თერებიან, მაგრამ ვაი ამ დათრობას, — სთქვა არადელმა, — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნიკო ბატონო, ის ყავა, რომელსაც მზამზარეულს მიირთმევენ ფლეს-ჰარბიზის, ბერლინის, ლონდონისა და ვაშინგტონის ბურჟუაზიები,

რა სისხლის ფასად უჯდება მალაკასა და ბრაზილიას — ოსტატობას?

იქაურ გლეხებს, არამცთუ გლეხებს, მათ ქალებსა და ბალღებს კბილები არ შერჩენიათ პირში.

თუ რომელიმე ევროპელი ან ამერიკელი მაძღარი სადილის შემდგომ მიირთმევს ამ პროდუქტს, ადგილობრივი ხალხი მშიერ კუჭზე სვამს ყავას და ამას მოჰყვება კბილების ცვენა და კუჭის დასნეულება“.

„თამბაქოს თუ ბლომად წევენ, ჰა? ჯერ ეს მითხარით, თამბაქოს სამშობლო ინდოეთია, ხომ?“

„არა, ძია ნიკო, ტობაკო — ამერიკული პროვინციაა ერთი, სადაც ეს მწარე მცენარე იპოვნეს თეთრკანიანებმა პირველად. — სიტყვა ჩაურთო კორინთელმა, — ჰაიტის კუნძულის მკვიდრთა ენაზე ტობაკო თავდაპირველად იმ ჭურჭელს ერქვა, საიდანაც ფერადკანიანები თუთუნს წევდნენ“.

„ცისთვალა, გაგვივსე ხელადები!“ დაიბუხუნა ძია ნიკომ.

ცისთვალამ ისევ მოართვა სველი ხელადები სტუმრებს.

კორინთელმა დასცალა ხელადა და არადელსაც მიაძალა — შენც გამოსცალეო.

ქალებს მოსწყინდათ, სათითაოდ გაიკრიფნენ სასტუმრო ოთახიდან,

მათ შორის ერთადერთი ვარა შემორჩა სუფრას, მან თავისი ადგილი დასთმო და ინჟენერ ცეროდენას მიუჯდა.

•

ცისთვალა ისევ მიუახლოვდა თამადას, მოახსენა: სტუმრები გეახლნენო.

„კეთილი იყოს მათი მობრძანება“, დაიბუხუნა ძია ნიკომ.

ისედაც ოდნავ მბეუტავ ელნათურებს უარესად მოაკლდათ შუქი, ასე რომ ახლოსმხედველი კორინთელი სუფრის ბოლოს მსხდართა სილუეტებს ხედავდა მხოლოდ.

ვიდრე მამაკაცები დაცლილ ხელადებს აჩვენებდნენ თამადას, სასადილოში შემოვიდა სამი მანდილოსანი: ერთი ქერა, ერთი ჭროღა და ერთიც წაბლისფერთმიანი, მკერდსაკეთე ქალი, რომელ-

საც თმა არსებითად წაბლისფერი კი არა ჰქონდა, არამედ ალაგ-ალაგ ალისფერში გადამავალი.

ოდნავ შესამჩნევი ჭორფლი აჩნდა განსაცვიფრებლად ფეთრ-სახეზე. დაკვირვებული თვალი უთუოდ შეამჩნევდა ამ ქალის თმა-ში სავსებით იშვიათად გარეულ ჭაღარას.

მთელი მისი ანაგობა, მისი გულმკერდი და ვნებიანად ამობორცვილი ტუჩები, რომელნიც კიდევ აღუთქვამდნენ მამაკაცს ნექტარს, მოაგონებდნენ ამ ქალის მნახველს ნაყოფსავსე კახურ შემოდგომას, როცა ყურძენში იძალებენ ქარვის ფერები. ხოლო ფოთლებში ის სიწითლე, გახლეჩილ, მწიფე ბროწეულში რომ ცნაურდება ხოლმე.

ეს უკანასკნელი წვეროსანმა კნეინამ მოისვა გვერდით. ვახტანგ კორინთელი ხმადაბლა ესაუბრებოდა ძია ნიკოს, ხანდახან მზერას შეავლებდა ხოლმე ამ ორს.

ვარას გვერდით მჯდარი მაგნიტისებურის სიმძლავრით იტაცებდა ცნობისმოყვარეთა თვალს და მისი მნახველი გაოცებით იკითხავდა უთუოდ, ასეთი მშვენიერი ეგზემპლარი ადამიანისა როგორ გამოპარვიათო ფერწერის ოსტატებს.

ულაზათო, მწვანე ბერეტი ეხურა ამ ქალს თავზე და ეს თვალში მოხვდა კორინთელს. ინატრა კიდევაც: ნეტა ამ ბერეტს მოიხდიდესო.

თვალისმომჭრელი თეთრი კისერი ჰქონდა შემართული ოდნავ ფაშფაშა სხეულზე და კორინთელს ასეთი შთაბეჭდილება დარჩა: ერთსა და იმავე სუფრას მოსხდომიანო ზამთარი და შემოდგომა.

დაჟინებით ფიქრობდა კორინთელი: ოდესღაც მინახავსო ეს ქალი. ფიქრობდა, მაგრამ ვერ მოეგონებინა, როდის და სად?

რაც უმთავრესია, კორინთელმა შენიშნა ისიც, რომ უცნობი საოცრად მიაგავდა ნუნუ უჯრიულს. მასაც ნუნუსავით მუქლურჯი თვალები ჰქონდა.

ოღონდ იგი უფრო ძვალმსხვილა და გრძელკიდურებიანი იყო, უფრო ხორცმოჭარბებული, ვიდრე ნუნუ: ერთი სიტყვით, ორივენი ისე ჰგავდნენ ურთიერთს, როგორც შესაძლოა დას დაემსგავსოს დაი.

კორინთელს მოაგონდა ის რამდენიმე ბედნიერი წუთი, ნიორთავას მჭვარტლიან წისქვილში რომ განიცადა, თავმსხვილა და კისერწვრილა პატარა მალხაზი და მისი ბღლაძუნი უპატრონო ძაღლებთან და კატებთან, წისქვილის ხშული, გარეული ბატების ყიპ-ყიპი, მთვარიანი ღამე... და ვნებიანი ტუჩები, რომელთა ჩაკოცნა მან ვერ გაბედა, როგორც ხანდაზმულმა კაცმა და პროფესორმა

„უცნაურია, აუხდენელი ვნებები გაცილებით უფრო ღრმა ტვიფარს სტოვებენ ჩვენს ხსოვნაში, ვიდრე უკვე ახდენილნი, მოსებულნი“.

აგრე ფიქრობდა ვახტანგ კორინთელი.

ამასობაში ფეხზე მდგარი თამადა ქადაგად დაუარდნილებით წარმოთქვამდა რევაზ ვაჩნაძის შესანდობარს, არცთუ დიდი პათეტურობითა და დამაჯერებელი რიხით, როგორც მას სჩვევოდა სხვა შემთხვევებში, მაინც აქებდა მას, ვითარცა „შესანიშნავ მამას“, ასეთსავე „ვაჟკაცს“ და სხვა.

ამ ტოსტებს მოჰყვა მედეას მამიდის, ეფემიას სადღეგრძელო, აქ კი სავსებით უღალატა სიმჭევრემ თამადას.

მსმენელები მუდამ ატყობენ ხოლმე, როცა ორატორი სტყუის, ამიტომაც სმენას არიდებენ ასეთ შემთხვევაში მას; მართლაც და მეინახეებმა ჩურჩული შეჰქმნეს, ზოგმაც ჭამას უმატა, ხოლო ინჟენერმა ცეროდენამ ფლირტი გაუმართა ახლადმოსულ ლამაზმანს.

ვახტანგი ყურს არიდებდა თავისი ცოლის მახლობლების აპოლოგიას, შიგადაშიგ უსმენდა უკვე შეზარხოშებულ ზურაბ არადელის საუბარს პარიზში გატარებული სტუდენტური წლების შესახებ. ზურაბი იგონებდა „პიკანტურ ამბებს“, ლათინური კვარტალის მიდინეტებს.

როცა „კნეინა ვარას“ სადღეგრძელო დაიწყო თამადამ, ისედაც დაძაბუნებული ელნათურები ჩაჰქრნენ. თანადამსწრენი აზუზუნდნენ, ხოლო თამადამ ვახტანგს უჩურჩულა:

„მადლი უფალს, რომ ღამემ გადამაფარა თავისი კალთა, თორემ ძთლად უსირცხვილო ქებანი უნდა წარმომეთქვა, ჰი, ჰი, ჰი“.

ლამპებიო, იყვირა ძია ნიკომ. შემოიტანეს ძველმოდური ლამპები, ოჩოფეხებზე შემდგარი მახინები, რომელთაც ასეთი გროტესკული იერი მისცა ელექტროფიკაციის ეპოქამ.

ამ ლამპების მკრთალ შუქზე ძლივს მოაცოდვილა თამადამ დეიდა ვარას სადღეგრძელო. აქა-იქ ჩაილუღლუღა ნაძალადევი ქებაც. მაგრამ თანდამსწრენი ისე ზუზუნებდნენ, თითქმის არავის გაუგონია მისი ნათქვამი.

ლევანა შემოვიდა, ელნათურებიც განათდა, უფრო მომეტებული ბრწყინვალებით მოსილნი.

უცნობმა ქალმა თავისი უშნო ბერეტი მოიხადა. კორინთელმა შენიშნა, რომ ახლა პროპორციული მოსჩანდა მისი ჭკვიანი თავი, ხოლო მის თმებს გადაჭკრავდა ელვარება ისეთი ალისა, როგორსაც ცეცხლშემოგზნებული ვაზის წალამი გამოსცემს ხოლმე.

მაღალ კისერზე დადგმული თავი და მის გარშემო შემოგრაგნილი ნაწნავები საოცრად ვარვარებდნენ ელექტროს შუქზე.

ხომ არსებობს ხანდახან ერთგვარი, უფაქიზესი მიჯნა, ცნობასა და ვერშეცნობას, იქვსა და დაჯერებას, მიხვედრასა და ვერმიხვედრას შორის, — სწორედ ასეთ მიჯნაზე ქანაობდა კორინთელის ცნობიერება. ეგონა: სადაცაა მომაგონდება, სად და როდის მინახავსო ეს ქალი?

როცა თამადა დაჯდა, ტუჩ-პირი ზედ ყურის ბიბილომდის მიუტანა მას ვახტანგმა:

„ერთი მიბრძანე, ძია ნიკო, სუსქია მინდელია ეს ქალი, არა?"

„ნუთუ ვერ იცანი სუსქია მინდელი. ლუკა მეთონის ქალი, მე ასე მახსოვს. შენ უმიჯნურდებოდი კიდეეაც სიჭაბუკეში მას როგორც სჩანს, ჩემს მაგივრად შენ დამთვრალხარ, შე ქაი ქაცო".

ვახტანგმა ფრთხილი მზერა ესროლა ქალს და გაუღიმა შორიდან, სამაგიეროდ ქალის ტუჩ-პირში გაიელვა ოდნავ, ოდნავ შესამჩნევმა ბაგეების შეტოკებამ, რომელიც თანა სდევს თავშეკავებული ქალების გაღიმებას, გაღიმებას კი არა, გაღიმების დაპირებას.

ახლა ისიც მოაგონდა კორინთელს, რომ სუსქია მინდელი სწორედ იმ წელს გადმოვიდა წმიდა ნინოს სახელობის სასწავლებელში, როცა მედეა და ვახტანგი ტფილისს აპირებდნენ გადასვლას.

ისევ მიუბრუნდა კორინთელი თამადას:

„მე არც კი მახსოვს, ძია ნიკო, რად შეურქმევიათ ლუკა მეთონის ქალისთვის ასეთი უცნაური სახელი".

„დანამდვილებით არც მე ვიცი, მაგრამ ასე მაქვს განაგონი: ვილაცა მხატვარი ჩამოხეტებულა უცხოეთიდან თელავში, ჯახეთის კავკასიონის დასახატავად.

მას ქართული თონის პური შეუყვარებია, ხშირად დადიოდა თურმე ლუკა მეთონის სახლში, თუშურქუდიანი ლუკა და მისი ქალი დაუხატავს, პატარა გოგონასთვის დაურქმევია რატომღაც რემბრანდტის საცოლის, სასკიას სახელი: მერმე სასკია სუსქიად გადაუკეთებია ქართულ ენას.

ლუკას ცოლი სუსქიას ამქვეყნად გაჩენას გადაჰყოლია და მეთონე ლუკამ თავათ გაზარდა ეს მშვენიერი ქალი".

კორინთელს ახლა ისიც მოაგონდა, რომ სუსქია მინდელი სიყმაწვილეში ისევე გამხდარი იყო, როგორც ნუნუ უჯრიული ამჟამად.

პორცელანივით რბილი სხეული ჰქონდა მას, არცთუ ასეთი მკერდსავსე იყო და თეძოგანიერი, სრული განსახიერება იმ ზომი-

ერი ხორციანობისა, რომლის გამოხატვა სჩვეოდათ ხოლმე ძველ-ბერძენ სკულპტორებს სილამაზის გენერალური ტიპის დაჭერისას.

„ეს გოგონა ჩვენ ისე მოგვწონდა, მე და მამიდაშენი სარძლოს ვეძახდით, ვაწითლებდით მაგ საწყალს“, სთქვა ძია ნიკომ.

კორინთელი სდუმდა და ფიქრობდა:

„ვინ იცის, ეგებ უფრო ბედნიერი ვყოფილიყავ, მეთონის ქალი რომ შემერთო. მე სიამოვნებით დავუბარებდი ჩემს მომდევნო თაობებს: მხოლოდ მშრომელთა ოჯახებს დაუმოყვრდნენ.

შრომაა საძირკველი ყოველივე წესიერებისა და მორალური სისპეტაკისა.

ვგონებ, ერთადერთი სიხარული, რომელიც ჩვენთვის მოუცია გამჩენს თუ ბუნებას, ეს არის შრომა“.

აგრე ფიქრობდა ვახტანგ კორინთელი.

„ეგ მითხარი, ძია ნიკო, რას აკეთებს ამჟამად სუსქია?“

„ექიმია. აქაურ საავადმყოფოში მსახურობს. რატომღაც გათხოვება არ ისურვა სუსქიამ, აგერ ჩვენს ქვემოთ ცხოვრობს, პაწია ქოხში, მამასთან ერთად. ლუკა ისევ მეთონეა.

ხომ არ ნანობ, ვახტანგ, სუსქია რომ არ შეირთე?“ იკითხა ძია ნიკომ.

„სინანულისა რა მოგახსენო, სინანული უხასიათოთა სენია, მე არასოდეს ვნანობ იმას, რაც კი სრულცნობიერს ჩამიდენია, მაგრამ“...

„მაგრამ რაო?“

„მედეას მე პატივსა ვცემ, მაგრამ მისი გარემოცვა არც უწინ მომწონდა და მით უმეტეს, არც ახლა.

მისმა უზნეო დედ-მამამ, ასეთივე გათახსირებულმა მამიდამ ძალით წამიბილწეს ის ხელშეუვლები მშვენება, რომლისთვისაც ქართველი ვაჟკაცი ეტრფის ხოლმე თავის საცოლეს.

როგორც საკუთარ მამას, ისე გენდობი, ძია ნიკო, და ამიტომაც გიმხელ ყოველივე ამას.

ჯერ იყო და მთავარი სული ამომართვეს ჩემი განსვენებული მამის აუგად ხსენებით: „ღატაკი მიწისმზომლის“ ვაჟს მეძახდნენ“.

თამადა წამოდგა, ხელადა ხელში აიღო და ადღეგრძელა ახლადმოსული ჭაღარა ქალი, რომლის სახელიც არ იცოდა კარგად, და თამადური ამბიციების ზეგავლენით ისეთი ორპოფული სიტყვა წარმოთქვა, როგორსაც ამბობს ხოლმე ზოგიერთი კრიტიკოსი, როცა გულისგარეთ ვითომ აქებს ავტორს, რომლის ქებისათვის არც დიდი საბუთი აქვს და არც ძაგებისთვის საჭირო გამბედაობა მოსდგამს.

ძია ნიკომ ცალი მკლავი გადახვია ვახტანგს, თავისკენ მიიზიდა და უჩურჩულა:

„ვწუხვარ, მედეას არა ჰყავს შვილი“.

„ეჰ, მე საშინლად განვიცდი უშვილობას, ძია ნიკო. როცა ქუჩაში სადმე რომელიმე ბავშვი წაიქცევა, ვერავინ მოგასწრებს მის აყვანას.

გულგრილად ვერ გამივლია საბავშვო ბაღებთან და ბაღებთან, როგორც ყველების მოყვარულთ სჩვევიათ ეს სავარდელების გვერდით ჩავლისას“.

მედეამ უცნაურად მოიწყინა. ბოლოს იგი წამოდგა და ჩუმად გაიპარა სასადილოდან.

ნიკომ ჯერ თვალი გააყოლა მის ამაყად შემართულ სხეულს, შეუდარებელ ბეჭებსა და ასევე პლასტიური ჰარმონიით გამოკვეთილ მაღალ თეძოებს, მერმე სულ ახლოს მიუტანა ტუჩ-პირი ყურიმალთან ვახტანგს და უთხრა:

„მე გატყობ, ვახტანგ, მას შემდეგ, რაც ღვინო ოდნავ წამოგეძალა, სულ მაგ სუსქიას უშვერეტ. ვგონებ ეს შენიშნა მედეამ და მიტომაც დაგეტოვა.

ჩვენ მამაკაცები ვართ და ბევრი რამ ისეთი გვაწუხებს, რასაც ცოლებთან ვერასოდეს გაამხელს კაცი.

მე ყოველდღე გულისწუხილით შემყურებ თქვენს გრძელ აივანს, რომელზედაც შენ და განსვენებული ნანა ცხენჯოხებზე გადამჯდარი დაჯირითობდით.

მე და მამიდაშენიც ღმერთმა დაგვსაჯა და შვილი არ გაგვიჩნდა. და, როგორც ხედავ, დაცალიერებულია ეს მშვენიერი, რიკულებიანი ქართული აივანი, რომლის ბაღალი არამცთუ თელავში, ვგონებ ტფილისშიაც არ მოიპოვება.

ამას წინათ ერთი ხევსური მოვიდა ჩვენსას, ცომბირის წყლულის წამალი მთხოვა.

მამიდაშენი თეკლა ავად იყო, მზა კერძი არა მქონდა, ხმელი ხილი და ღვინო გამოეტანე. ხევსურმა ყალი[1] ამოიღო ჯიბიდან, თავისი მგლური კბილებით ღეჭავდა ყალს, ღვინოს სვამდა და მლოცავდა. მერმე ერთბაშად თვალი მოაელო ჩვენს აივანს და მკითხა:

„შენი შვილები სად არიან? ჰა?“

არა მყავს-მეთქი.

---

[1] ჭერხოში, სხვენზე გამხმარი ხორცია, რომელსაც მგზავრობის დროსაც თან ატარებენ ხევსურები სახელდახელო საკვებად.

„ცოლი ხომა გყავს?“

მყავს-მეთქი.

„ჩვენში თუ ცოლს შვილი არ ეყოლა, ან გაამეტებენ ან შეუთანხმდებიან მას და სხვა ცოლს მოიყვანენ.

ჩვენში სამოცდაათი წლის კაცები ერთავენო ახალ ცოლს; თუ უშვილოდ დაბერდნენ, სიკვდილის მოახლოებას რა შეიცნობენ, თავტირილს გადაიხდიანო.

მე მაგ ხევსურის მოსვლამდისაც განვიცდიდი ამ ტრაგედიას, მაგრამ თქვენი ოჯახისადმი პატივისცემის გამო ვერ მოვიყვანე სხვა ცოლი.

მამაშვილობას, გირჩევ, დროზე იზრუნო და შვილი გაიჩინო როგორმე.

შვილი რაა? როცა შენ აღარ იქნები, ვიღაც დარჩება იქ, სადაც შენ მუდმივად არ დაგტოვებს ბუნება. შენსავით ახალგაზრდა რომ ვიყვე, მოგეცეს ლხენა...

შვილია სიკვდილის დამთრგუნველი. შენ უკეთ იცი, ვახტანგ, ბუნების მშვენება და ძალა გამრავლებაშია და არა დაშრეტაში.

მამაჩემი არც ექიმი ყოფილა და არც აგრონომი, ერთი ბნელი, უსწავლელი კაცი იყო განსვენებული.

დღედაღამ უჩიჩინებდა თავის ძმებს: მოსჭერით და ცეცხლში შეაგდეთ უნაყოფო ხეები, დაჰკალით ბერწი ძროხები და ბერწ დედაკაცებს გაეყარეთ, თუ მათ არ მოისურვეს გვერდით იყოლიონ ისეთი ქალები, რომელთაც ქოჩორა ბიჭებისა და ნაწნავიანი გოგოების გაჩენა შეუძლიათო.

ვიმეორებ: როცა დღეს ჩვენს ქვის კიბეზე ამომავალი დაგინახე, ‘ბავიხარე, აგრე მეგონა, გაცოცხლებულა და შორეთს მოგზაურობიდან შინ მობრუნებულა-მეთქი საცოდავი მამაშენი, როსტომი.

ვაი ჩვენ, თუ ისე მოვკვდებით, რომ ამ ქვის კიბეებზე არავინ ამოვა ისეთი, ვინც ჩვენი ჩამქრალი თვალების გაელვებას, ჩვენი ჩაწყვეტილი ხმების დრვინვას უკან ვერ დაუბრუნებს ბუნებას და კვლავ სიცოცხლით არ გაავსებს ჩვენს დადუმებულ ბაღს, ჩვენს აივანს, ჩვენს მარანსა და ჩვენს ეზოს, სადაც ერეკლესეამინდელი ხეები დღესაც ხარობენ“.

არადელმა რა შენიშნა, თანამოსაუბრე აღარ გააჩნდა, როგორც კი ღვინო მოეძალა, ახლადმოსული სტუმრებისაკენ გადაჯდა.

თამადა და ვახტანგი ამჩნევდნენ, კნეინა ვარა დაუცხრომლად ეკამათებოდა საერთოდ ენამჭევრსა და საუბრის მოყვარულ არადელს.

„ხმამაღლა, ხმამაღლა, ჩვენც გაგვაგონეთ თქვენი მეგზურობის ამბები“, გადასძახა ნიკომ.

„თქვენ უნდა ნახოთ, რა საშინელი სატანჯველი ადგას მალაელ ან მონღოლ გლეხს თუნდაც ბრინჯის მოყვანისას, — [illegible] არადელმა.

ბრინჯის ჯეჯილები მუდამ ჭაობებშია. კამეჩშებმული სახნისით ხნავს ნესტიან მიწას მალაელი გლეხი, წამოიზრდება ბრინჯი. ტლოკებგაშიშვლებული ქალები და ბავშვები დაიწყებენ ამ ჭაობებში ტოპვას. მოაწევს მოსავლის მოწევა, დანით ჭრიან თავთავებს.

აურაცხელი ფრინველი წამოესევა ყანებს. დატოპავენ ეს ნახევრად შიშველი ადამიანები გაუძლისი სიცხისაგან წამოდუღებულ წყალში, ზოგს ჭინჭებწამოცმული, ბამბუკის ჯვარედინები უჭირავს ხელში, ზოგს საყვირები, ზოგსაც ლითონის დაფდაფები, ისმის საშინელი სტვენა, ყვირილი და ღრიანცელი, და ეს გრძელდება მზის ამოსვლიდან ვიდრე საღამომდის

გველები და ჯოჯოებიც ნადირობენ ხშირად ქალებისა და ბავშვების შიშველ წვივებზე“.

„ფუი, ფუი, წაგვბილწა მაგ ოჯახქორმა ზურაბმა, ფანდური მოიტა, ცისთვალა“.

ცისთვალამ ფანდური მოიტანა და დაამღერა:

ბატონიშვილს ერეკლესა
ირმის ძუძუ უწოვნია,
დაკარგულა საჩალეში,
მონადირეს უპოვნია.

„სინგაპურში, მალაელი „გიდი“-მეგზური ავიყვანეთ მე და ვახტანგმა, — განაგრძო ზურაბ არადელმა, — დაგვპირდა, ნიანგებსა და თუთიყუშებს გაჩვენებთო; საღამომდის გვატარა ჯუნგლებში, ლამის იყო გველებმა არ დაგვჭამეს, — საქმე არა გაქვს, არც ნიანგი გვინახავს სადმე და არც თუთიყუში.

მალაელი ძლივს ამტვრევდა ინგლისურს, იცინოდა, იცინოდა, თავის მშვენიერ ელვარე კბილებს აჩენდა, ზოგი თავისი ჩიქორთული ინგლისურით, ზოგიც ხელებით გვამცნო: ინგლისელებმა ნიანგებს ტყავი გააძვრეს, თუთიყუშებს ფრთები დააგლიჯეს, ახლა ყოველივე ამით ინგლისელი და ამერიკელი ქალები ეპრანჭებიანო თავიანთ კუროებს.

მე არასოდეს დამავიწყდება ამ პირმშვენიერი მალაელის სიცილი, რომელშიაც მოშაინური სიხარული როდი გამოსჭვიოდა ჩვენი ხელმოცარვის გამო, არამედ გაუმხელელი გულისწუხილი იმისთ-

ვის. რომ უცხოელები მალაური ბუნების სილამაზის ამ უკანასკნელ ნამუსრევებსაც არ უტოვებდნენ მალაელებს თვით მიუვალ ჯუნგლებში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყვარხარ, ტკბილო კახეთო,
დიდო ალაზნის ჭალაო,
ირემო იალაღზედა,
ივრის პირებზე ჩალაო...

მღეროდა ცისთვალა, მონოტონურად აჩხაკუნებდა თავის ფანდურს.

„ეს ყველაფერი კარგი, რაც აქ ბრძანეთ, მაგრამ თქვენ უმთავრესი მაინც გავიწყდებათ, ჩემო ბატონო, — შენიშნა გესლიანად ვარამ, — ამერიკელები, ინგლისელები და ჰოლანდიელები რომ აზიასა და ამერიკას არ დაპატრონებოდნენ, განათლების შუქს ვერასოდეს იხილავდნენ ეს ყვითელი და რაგინდ რა ფერის ხალხები: ევროპელებმა შეიტანეს ამ ბნელეთში ცივილიზაციის შუქი“.

„რატომ გგონიათ, ქალბატონო, თითქოს ინდოეთსა და ჩინეთს ნაკლები კულტურა ჰქონდეთ, ვიდრე თუნდაც ინგლისს, ამერიკას და გერმანიას? — მიუგო არადელმა. — ჩინეთს უხუცესი ისტორია აქვს. ასეთივე კულტურა, დამწერლობა, ხუროთმოძღვრება და მხატვრობა, რომელნიც ჯერაც საკმაოდ შესწავლილი არა აქვთ ევროპის ისტორიკოსებსა და ენათმეცნიერებს“.

ცისთვალა ისევ აჩხაკუნებდა ფანდურს და მღეროდა:

ბარდებში მძრომო ხოხობო,
ტურფაო ხარისთვალაო,
შირაქო, ცხვრების დედაო,
ზედ ჯეირნების ფარაო...

ახლა კორინთელმა შენიშნა:

„რაც შეეხება ამერიკას, მას არც ისე დიდი კულტურა აქვს, არც მხატვრობა გააჩნია, არც მუსიკა. თუ თქვენ დამისახელებთ ორიოდე ამერიკელ დიდ მწერალს, ესენი ინგლისური ლიტერატურის ინერციის გამომჟღავნებაა და სხვა არაფერი.

ჯერჯერობით ცნობილია „ემერიკენ ბარ“ — ამერიკული დუქანი, „ემერიკენ დრინკს“ — ამერიკული სასმელები, „ემერიკენ ლენჩ რუმ“ — ამერიკული სასაუზმეები, „ემერიკენ სტიიმ ლანდრი“ — ამერიკული სამრეცხაოები, სადაც მრავალი ათასი აზიელი რეცხავს ამერიკელი ბურჟუების საცვლებს.

ჰო, რაც უმთავრესია, მე დამავიწყდა უმთავრესი — ამერიკული

იმპერიალიზმი, რომელიც საფრთხეს უქადის არა მარტო ევროპას, მთელი მსოფლიოს ხალხებს.

ეს უსტილო, უწარსულო ქვეყანა, ენააღრეული ბაბილონი, თავის მრავალსართულიან ქორედებზე წამოყუნცულ[illegible] გადმოცქერის ყველას, ვისაც უოლ სტრიტი და ბ[illegible] არ უნახავს".

„მე ვხედავ, შენ და ვახტანგი გაუბოლშევიკებიხართ ამ მოგზაურობას", გესლიანად უთხრა კნეინა ვარამ არადელს.

„თქვენ ვერ გვამჩნევდით, როგორც თქვენთვის უმნიშვნელო ადამიანებს, ალბათ, თორემ მე და ვახტანგი მანამდისაც ასეთნი ვიყავით, რადგან ორივენი მშრომელი დედ-მამის ნაშიერები ვართ, თავათაც მშრომელნი", მიუგო არადელმა.

„ნუთუ ევროპასა და ამერიკაში სხვა ვერაფერი ისწავლეთ?"

„რაც გვჭიროდა, ყველაფერი ვისწავლეთ და შევითვისეთ, რა თქმა უნდა, რაც კარგია მათს მეცნიერებაში, მაგრამ კაციჭამიაობა და რასსული თეორია ჭკუაში არ დაგვიჯდა".

ცისთვალა მიუახლოვდა და რაღაცა უჩურჩულა ძია ნიკოს.

ნიკო წამოდგა და აჩქარებული ნაბიჯით დერეფანში გავიდა.

მცირე ხნის შემდეგ სუფრის გარშემო მსხდართ ასეთი დიალოგი მოესმათ:

„შემობრძანდით ერთ წუთს, გემუდარებით".

„არა მცალია, ჩემო ნიკო, ამ კვირია ცხვარს ვაგზავნით ქაჩალგორაზე, ორიოდე თოხლი მოგვიკვდა. მეშინია, ციმბირის ჭირი არ იყოს; ჩვენი ზოოტექნიკოსი ავადაა, თუ არ გამომჯობინდა, მე გაცნობებთ და როგორმე ყვარელს ჩამოდით ზეგ".

„ბატონი ბრძანდებით, მაგრამ ასე ვერ გაგიშვებთ".

„სტუმრებთან გამოსაჩენად არა ვარ მორთული. მინდვრიდან მოვდივარ პირდაპირ, ასეთი ტალახიანი ჩექმებით როგორ შემოვიდე?"

„არავინაა, ვახტანგ კორინთელისა და ზურაბ არადელის გარდა".

რაიკომის მდივანი შემოძყვანა ძია ნიკომ.

ციხისთავის ფრენჩი და შარვალი ბირკაში იყო ამოგანგლული, მოქანცულობა დასტყობოდა ჯერაც ახალგაზრდა სახეზე.

როცა ეს ახალი სტუმარი სუფრას მიუჯდა, დეიდა ვარამ უჩურჩულა მის გვერდით მჯდარ ცეროდენას:

„ამ გასაქრობმა ჩამოგვართვა ჩვენი დიდი ზვარი. ნახე, თმაგაბურძგვნილი ტყის კაცია ნამდვილი. ასეთი ტალახიანი ჩექმებით საზოგადოებაში გამოჩენა? აჰ, მონ დიო, დიო!"

ცეროდენა კარგად იცნობდა თავის ავყია მეზობელს, შეეშინდა, კიდევ სხვა რამე არ წამოროშოსო. ცოტა ხნის შემდეგ ადგა და მხარმარცხნივ მიუჯდა სუსქია მინდელს.

თამადამ სუფრის გამხიარულება სცადა, მაგრამ ეს უშედეგო დარჩა, ციხისთავის მოსვლამ მორიდების ატმოსფერო დაამყარა სუფრაზე. ეს თავათაც შენიშნა ახლადმოსულმა და თანადამსწრეთა გასაგონად ჩაილაპარაკა:

„როგორც ვატყობ, ჩემი მოსვლა არ ესიამოვნათ ამხანაგებს".

„რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ", მიაძახეს მას ყოველი მხრიდან.

კორინთელი გვერდით მიუჯდა სტუმარს, თავათ თავაზობდა მას ჯერძებს, ემუდარებოდა, ხელადა გამოეცალა: თუ თეთრი არ მოგწონთ, წითელს მოგართმევენო ახლავე. გულით ეწადა გაერთო იგი, ამიტომაც ემპედოკლეს კრატერში ჩახტომისა და ძია ნიკოს ქვევრში ჩავარდნის ამბავს წაატანა ხელი.

ისევ შეუძახა თავის მეინახეებს თამადამ.

რა ბედი ეწვია იაპონელ ჯენტლმენს

„მე არაფერი ისე არ მენატრება ამქვეყნად, ჩემმა მზემ, ერთი იმ ამბავს მოვესწრებოდე: ბურჟუები თავიანთი ჩემოდნებიანად გარბოდნენ ბერლინიდან, რომიდან, ვაშინგტონიდან", სთქვა ნიკო მირიანაშვილმა.

„ლონდონი და ნიუ-იორკი რად დაგავიწყდათ, ძია ნიკო?" სიტყვა ჩაურთო ციხისთავმა.

„შაქარი შენს პირს, დამავიწყდა მე საწყალს, ლონდონიდან და ნიუ-იორკიდანაც. ჰა, ჰა, ჰა".

თამადამ ბრძანა და ცისთვალამ ისევ აიღო ფანდური ხელში.

ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლვას.

მღეროდა ცისთვალა, აფახულებდა თავის მშვენიერ, ცისფერ თვალებს, შაშვის ბარტყივით აღებდა თავის ჯერაც ბალღურ ტუჩპირს.

არადელმა სთქვა:

„ტოკიოს ერთ-ერთ იაპონურ „ჩაის სახლში" შემთხვევით გამოგველაპარაკა მე და ვახტანგს ერთი ინგლისელი მეცნიერი, სპე-

ციალობით ციტრუსოვანთა მკვლევარი; საუბარში მან ასეთი ბატონკაცური რამ გვითხრა:

„თეთრები, მათ შორის მაღალი რასსის ნაშიერები, ვერასოდეს გულს ვერ დაუდებენ იმ პრიმიტულად მექანიურ საქმიანობას, რომელიც ადამიანის მაწყანად ქცევას მოითხოვს.

საამისოდ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ჩინელები, მალაელები და სხვა ყვითელკანიანები“.

„ევროპელ ბურჟუებს მუდამ პირზე აკერიათ საფრთხე, რომელსაც ჩინეთიდან მოელიან ისინი“, — შენიშნა კორინთელმა.

„არსებითად, თუ საიდანმე მოსალოდნელია საფრთხე მთელი ცივილიზაციისათვის, ეს არის იაპონიის იმპერია, ყველაზე უფრო რეაქციული სახელმწიფო მთელს მსოფლიოში.

იმავე მიზეზით, რის გამოც პლაგიატორს შესძულდება ხოლმე ის ავტორი, რომელსაც იგი წარამარა ჰპარავს, ან უხეირო და უმადურ მოწაფეს — თავისი მასწავლებელი, იაპონელებს სძაგთ ჩინელები.

იაპონიის არისტოკრატია — სამურაები ჩვენს დროშიაც გაცილებით უფრო რეაქციული ელემენტებისაგან შედგება, ვიდრე ჯვაროსნული დროის ევროპელი ბარონები.

იაპონური ცივილიზაცია სრული კონტრასტია იმ დიდი ცივილიზაციისა, რომელსაც, პირობითად რომა ვთქვათ, ქრისტიანული ეწოდება.

მარტო ეს ფაქტი გასინჯეთ, იაპონელი ცხენზე მარცხნიდან ჯდება, მისალმებისას ქუდის ნაცვლად ფეხსაცმელს იხდის, ან პირქვე დაემხობა მიწაზე. ერთი ხმლის ნაცვლად ორს ატარებს.

ისევე როგორც ამერიკული ცივილიზაცია მონური მიბაძვაა ევროპულისა, იაპონიაც ხშირად აღმოჩნდება ხოლმე ევროპის მიმართ მიმბაძველის როლში.

პირდაპირ სასაცილოა იაპონელი სამურაი, როცა იგი ინგლისურ ყალიონს პირში გაირჭობს და ჯენტლმენურ კოსტიუმს გადაიცვამს.

მის შემეცნებაში ყოველივე დომხალივითაა არეული — ამერიკული სნობიზმი, ჰინდური ბუდდიზმი და ევროპული მაკიაველიზმი.

ზოგ იაპონელს დღესაც სჯერა, ამა თუ იმ პიროვნების ფოტოსურათი ბოლოსდაბოლოს არყოფნაში გადაიტყუებს მის პატრონს და ლანდად აქცევსო.

როგორც ყოველ ჩამორჩენილ ქვეყანაში, იაპონიაშიაც სრულიად უფლებააყრილია ქალი. როცა ქალი ეყოლება რომელიმე

სამურაის, სამ დღესა და სამ ღამეს მიწაზე აწვენენ ახლადშობილს: ამას იმით ასაბუთებენ, უნდა დაამახსოვრდეს ქალს, რომ იგი მიწისაა, ხოლო მამაკაცი ცისაო.

იაპონურ ოჯახურ კოდექსში „დიადი წესრიგნა [illegible] მუხლია ამგვარი: ქალს აწვალებსო ხუთი სხვადასხვაგვარი [illegible] უვიცობა, უკმაყოფილება, ცილისმწამებლობა, ჭორიკანობა და სისულელე“.

როცა ამას ამბობდა ვახტანგ კორინთელი, მამაკაცები იცინოდნენ, ეღიმებოდათ ქალებსაც. მხოლოდ დეიდა ვარა გაწიწმატდა და აყვირდა:

„ძალიან მიუქარავთ მაგათ“.

თამადამ ხმადაბალი რეპლიკა შეაწია ამ შეძახილს:

„ბიძია ვარა ისე გაწიწმატდა, ვგონებ, ქუერდს ქუდი ეწვის“.

ამ რეპლიკამ მამაკაცების ხარხარი გამოიწვია, ვარამ ვერ გაიგონა ეს, მაგრამ მაინც გაწითლდა.

„იაპონიაში ორგვარი ტიპია უმთავრესად: ერთი შედარებით ბრტყელთავიანი და ბრტყელსახიანი, რომელსაც „პუდინგ ფეისედს“ ეტყვიან ინგლისელები, ხოლო მეორე სქელყბიანი, ძვალმსხვილა, გრძელხელებიანი, — ასეთნი სამურაებს შორის მოიპოვება მრავლად“.

ვახტანგ კორინთელი დადუმდა, ციხისთავისკენ მოიდრიკა თავი, ორივემ ხმადაბალი საუბარი დაიწყეს ბერმუხის ამბების გარშემო.

ციხისთავმა ახარა კორინთელს: ტფილისიდან მაცნობეს, ცეკაში მოსწონებიათ ჩვენი საერთო აზრი და ფონდებს დაუშვებენო გველეთის ზეგანზე ჰესის ასაგებად...

ვახტანგი გახარებული იყო ამ ამბით, დაუყოვნებლივ შევუდგეთო ამ საქმეს.

თამადა ჩაერია მათ საუბარში:

„გეყოფათ სულ ბერმუხაზე თათბირი, მოდით, ცოტა მოვილხინოთ, ვისიამოვნოთ, მამა ნუ წაგიწყდებათ“.

ციხისთავმა ღიმილით უპასუხა თამადას. ბოლოს ისევ ჩააცივდა ძია ნიკო ვახტანგს: გინდა თუ არა, უნდა გვიამბო, რა დღე აყარაო. იაპონელ შპიონს ზურაბ არადელმა.

კორინთელი ოდნავ შეყოყმანდა, მაგრამ მაინც განაგრძო:

„ერთი გორილასებრი იაპონელი აგვეკვიატა მე და ზურაბს ჯერ კიდევ იავაში. იგი პირველად გემის რესტორანში ვნახეთ ოფიციანტად. იმწამსვე ეჭვი ავიღეთ, იაპონელი ჯაშუში უნდა ყოფილიყო.

წესიერ იაპონელებსაც სჩვევიათ: უბოდიშოდ გამოეცნაურე-

ბიან უცნობს, სახელსა და გვარს გამოჰკითხავენ, რა გვარისა ხარო, ვისი შვილი, რამდენი წლისა? რა საქმეს ეწევი, სად მიდიხარ და მგზავრობის მიზნად რა გაქვსო, რამდენი შვილი გყავსო, რამდენი ცოლი და რამდენი გეიშა — მოცეკვავე დიაცი?

ამ იაპონელმაც იფარა ეს ჩვეულება, თავი მოგვაბეზრა გამოკითხვით, ბოლოს ისიც გვკითხა: ბოლშევიკები ხომ არა ხართო?

ჩვენ ასე ვივარაუდეთ: რადგან საბჭოთა კავშირის საელჩომ კალკუტაშივე მოაცემინა ვიზა იაპონიის კალკუტელ საელჩოს, რათა ჩვენთვის ტოკიოში ჩასვლის ნება მიეცათ, იაპონიის დაზვერვამ გეში აიღო და იავაში მოგვძებნა მათმა მსტოვარმა.

სინგაპურში ერთ სასტუმროში ჩვენს გვერდით აიღო ამ იაპონელმა ნომერი, ინგლისელ დენდისებრ კოსტიუმში გამოწყობილმა.

მეორე დღეს ჩვენ ვიდექით ერთი ინგლისური ტაძრის ეზოში. ამ ტაძარმა იმიტომ მიიქცია ჩვენი ყურადღება, რომ იგი გოტური სტილითაა აგებული.

იაპონელი გამოგვეცნაურა და კათოლიკური რელიგიის შესახებ გამოგველაპარაკა.

ზურაბმა მითხრა: ეს გორილა თუ არ მოგვეშვა, ერთი წამოვაქცევ ქართული სარმით მაგ ღორისშვილს და ისე გავჯეგავ, როგორც ჩვენებური დედაკაცი გასთელავსო სანაალე მატყლს.

ზურაბი ახალგაზრდაა და მით უმეტეს იმ წელს ჯერაც გამონელებული არა ჰქონდა სტუდენტური ანგლობა.

მე დავაშოშმინე ზურაბი, აწი მოგვეშვება-მეთქი: მოვერიდე აურზაურსა და სკანდალს სხვის ქვეყანაში.

მალაკაში მოგზაურობის დროს იმ იაპონელმა ჩინურ ჯონკაში ამოჰყო ჩვენთან ერთად თავი.

გამოხდა ხანი, პეკინის სანახებში ვათვალიერებდით ძველი ციხის ერთ-ერთ ბასტიონს: სწორედ აქ მოდიან ხოლმე მტვერში ამოთხვრილ აქლემებზე ამხედრებული მექარავნენი.

გავიხედეთ, ორკუზიანი აქლემიდან ჩამოხტა იგი. პლანტატორის ქუდი ეხურა. დიდის ამბით მოგვესალმა და მოგვითხრო ჩინური ციხეების, ჩინური კედლის აგების მრავალსაუკუნიანი ისტორია.

ლაპარაკობდა საკუთარი დახვეწილი ინგლისურით, თუმცა ოდნავ უჭცევდა ამერიკული აქცენტით, — არ დამავიწყდეს, იაპონელები საერთოდ ძნელად ითვისებენ ევროპულ ენებს.

მისგანვე გავიგეთ, ჰარვარდის უნივერსიტეტში დოქტორობა

მიელო, საერთოდ უნივერსალურად განსწავლული სჩანდა, რამდენიმე უცხო ენას დაუფლებოდა არც ისე ხნიერი კაცი.

თავისი მონღოლური ღაწვისთავები და ჭრუტა თვალები ვერსად დაემალა, თორემ ისე სრულყოფილად ლაპარაკობდა ფრანგულადაც, ფრანგი გეგონებოდათ.

რატომღაც დაჟინებით გვეკითხებოდა — ვაშინგტონს ხომ არ აპირებთო წასვლას. ჩვენ უარი ვუთხარით, რადგან არც ის გვეჩვენა შეუძლებლად, როგორც ეს ამ პროფესიის ადამიანებს სჩვევიათ ხანდახან, ამერიკის დაზვერვის დავალებების შემსრულებელიც ყოფილიყო იგი.

შველასაც დაგვპირდა, მე ახლა ამერიკელ ქალს ვირთავ ცოლად, იქაურ გავლენიან პირებთან ვარ დაკავშირებული და ყოველნაირად დაგეხმარებითო.

როგორც ზღვის ღორი, რომელიც აეკვიატება ხოლმე ოკეანის გემს, ჯერ კიდევ რეიდზე მდგარს გაეთამაშება კეკლუცად, მერმე თავს ჩარგავს ისევ უფსკრულში და უკან გაჰყვება გემს, ტალღებსა და შტორმებს ამოფარებული, გამოხდება ხანი, ასიოდე მილს ვაივლის გემი და ისევ თავს ამოჰყოფს მოსარკულ წყლის თავზე ზღვის ღორი — ასე მოგვდევდა ეს იაპონელი ჯენტლმენი იავიდან სინგაპურამდის, სინგაპურიდან ჰონკონგამდის, ჰონკონგიდან პეკინამდის, პეკინიდან ტოკიომდის.

ზურაბს ძლივს ვაკავებდი, კბილებს აკრიჭინებდა, ცემას უპირებდა ამ აბეზარს, მაგრამ იძულებული ვიყავით ეს ყოველივე მოგვეთმინა, რადგან კარგად ვიცოდით, ამ ჯენტლმენის ღორისებრ წვრილი თვალებიდან გვიჭვრეტდა და გვითვალთვალებდა იაპონიის მუხანათი დაზვერვა, რომელიც არა ერთი ათასი კილომეტრის მანძილზე გვსინჯავდა საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ ორ მშვიდობიან აგრონომს.

ტოკიოში ხომ მთავარი სული ამოგვართვა, არც ციტრუსოვანთა საკვლევი ინსტიტუტების შემოვლა გვაცალა, არც მუზეუმების დათვალიერება. ერთ რესტორანში პურისჭამის დროს ვნახეთ, ფოქსტროტს ცეკვავდა ვიღაც ამერიკელ ქალთან.

შეგვეპატიჟა კიდევაც — ჩემს საცოლეს გაგაცნობთ, ვისკი ვსვათო ერთად, მაგრამ ჩვენ თავაზიანი მადლობით ჩამოვიცილეთ.

ეს ამბავი ვინმემ რომ დასწეროს, ფანტაზიამოჭარბებული მწერლის გამონაგონი ეგონება უთუოდ.

ცხადია, ამ საქმეში ყველაფერი იაპონური დაზვერვის მიხვედრილობას როდი მიეწერება, არამედ ზოგი რამ ბრმა შემთხვევითობასაც, რომელსაც ხელმარჯვედ იყენებენ არა მარტო რომანისტე-

ბი, არამედ კონტრდაზვერვის აგენტებიცა, მაგრამ უნდა გითხრათ, ზურაბმა ჩაუფარცხა ბნელი ზრახვები ამ ჯენტლმენს.

დავმშვიდდით, როცა ტოკიოდან ვაშინგტონს გავემგზავრეთ. ეს იყო მხოლოდ, ზურაბი ძლიერ ნაღვლობდა: რად არ ვაზიარეთ ტფილისურად მაგ აბეზარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ზაფხულს ძლიერ ცხელოდა ვაშინგტონში. ბინა ნესვი იყიდა გასაგრილებლად, მაგრამ, როგორც გამოირკვა, მას კარგად არა სცოდნია ნესვის არჩევა.

ისეთი გადამწიფებული და დონდლო იყო ის ოხერი, კანიდან გამონაჟონმა წვენმა კოსტიუმი დაუსვარა.

გზადაგზა ბუზღუნებდა, ლანძღავდა ნესვის გამყიდველს.

გადაგვეგდო? დაგვაჯარიმებდნენ ამისათვის. ბოლოს იმით ინუგეშა თავი — სასტუმროს ოფიციანტს მოვიმადლიერებო.

ოთხმოცსართულიან ამერიკულ ქორედში იყო მოთავსებული ჩვენი სასტუმრო, რომელშიაც, როგორც გვიან გავიგეთ, სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატები და შპიონები ცხოვრობდნენ, რადგან იგი პენტაგონის მახლობლად მდებარეობდა.

ლიფტში ჩავსხედით და მივდივართ აღმა. სწორედ მეოცე სართულს რა გავუსწორდით, თვალი მოვკარით იმ იაპონელ შპიონს: აბრეშუმის ლამპასებიანი სმოკინგი ეცვა, თავის ამერიკელ საცოლესთან ხელგაყრილი იდგა და ქუდმოხდილი უცდიდა ლიფტს. ცალ ხელში ქალის მარაო ეჭირა და ოფლში გაღვარულ შუბლს იგრილებდა.

ზურაბმა ლიფტის ფოლაქს ხელი დააჭირა, გაგრილება მოუხდებაო ამ საწყალს, ჩაილაპარაკა, ლიფტის კარი გააღო და ზედ თავში უთაქა ამ ჯენტლმენს გადამწიფებული ნესვი.

უნდა მოგახსენოთ, ეს საქმე ისეთი ვირტუოზული სისწრაფით გააკეთა ზურაბმა, გონს მოსვლაც ვერ მოასწრო მაგ უბედურმა.

ამ წუთში იგი მართლაც ჰგავდა იმ გორილას, რომელსაც ასიოდე ლაყე კვერცხი თავზე დაახალეს".

ირმის სიკვდილი

ირემო, მთასა მყვირალო,
რამ ჩამოგაგდო ბარადა...

შაბათ საღამოს მომხდარი ამბავი დაჩრდილა საკმაოდ უცნაურმა შემთხვევამ: მთებიდან გადმოხვეწილი ირემი უთენია ნახეს მამუკას ციხის ძირში. თვალუწვდენი ქარაფიდან გადმომდგარიყო

რქაბორჯღალა ხარი და საწყალობლად ყვიროდა. ხეობებში ღერინავდა ძალოვანი ეხო.

ამ სასოწარკვეთილი ბღავილის გაგონებაზე გაოცებულ გაჰევდნენ ალაზნის ჭალისკენ მიმავალი მეველეები, მეცხვარეები, მეღორეები, თვით ტრაქტორისტებმაც შეწყვიტეს მუშაობა.

დიდი და მცირე ბუნების ამ უცნაური აპოთეოზის განმცდელი, ისე გაინაბა, როგორც პარტერში მოგროვილი ხალხი გაიტვრინება და ხმას გაჰკმენდს, როცა რომელიმე დიდი ორატორი ავა ტრიბუნაზე და მომნუსხველ მზერას შეავლებს გარსმოჯარულთ.

თვალშეუდგამ კვარცხლბეკზე შემდგარი ხარირემი გადმოსცქეროდა ცხრამუხის ზეგანზე გამართულ ვაზნარებს, თითქოს გლოვობდა ამ შემოგარენში ველური ვეგეტაციის შემუსვრას კაცთა მიერ.

შთაბეჭდილებაც ასეთი რჩებოდა: ეს უკანასკნელი მოზარე კავკასიონის ორწოხებში მომწყვდეულ ტყიურებს წარმოუგზავნიათო.

დროული კაცები მხრებს იჩეჩდნენ, რადგან მყვირალობის დრო გასული იყო უკვე.

მამუკას ციხის სანახებში ღამენათევი მეძროხეები სთვლემდნენ თურმე. წამოცვივნულან ირმის დანახვაზე, სულ ახლოს მიჰპარვიან, სროლაც ვერ შეუბედავთ ამ ტყიურის სილამაზითა და დიდებულებით მოხიბლულთ.

მერმე ის იყო მამუკას ციხიდან ხევ-ხევ გადმოჭრილა ალაზნის ჭალისკენ. ბარად ჩამოხვეწილს პირველად წისქვილიდან მომავალი ნიორთავა გადაჰყრია, მაგრამ მეწისქვილეს ისეთი ელეთმელეთი მოსვლია, მხარზე გადაკიდული თოფი დავიწყნია და ქვის სროლა დაუწყია.

ვიღრე ნიორთავა ქვის აღებას მოასწრებდა, ირემს კოლმეურნეობის საცხენესთან ჩაუვლია ჯირითით, მეცხენეობის ფერმის გამგე კოპეშავიძე ცხენზე ჯდებოდა თურმე, ახლად განახედნი კვიცი დამფრთხალა, უზანგში შედგმული ფეხით უთრევია მხედარი და ბოლოს სქელი გამგე მაგრად დაუნარცხებია მიწაზე.

მეღორე პოპოლა ღორებს მიერეკებოდა ალაზნის ჭალისკენ, ღორის კოლტი ბრესავით გაუფანტავს ირემს, თავათ პოპოლა დამდუღრულივით აყვირებულა.

ღორების უკან მიმყოლი ცხვრის ფარები წინ გადაებორკნენ თურმე ჭენებით მომავალ ნადირს, რომელსაც რამდენიმე თოხლი გადაუთქერავს.

მეცხვარეებიც ისე დაიბნენ, სტვენის მეტი ვერაფერი მოასწ-

რეს, რამდენიმე ცხვრისძაღლი აძუნძულდა, მაგრამ ირემმა სულ მალე უკან ჩამოიტოვა ისინი.

მგელძაღლებისგან დამფრთხალმა ნადირმა დასტოვა თემშარა. ოდნავ შენელებული ტემპით საზამთროების ნაკვეთზე გადავიდა. ბოლოს, თითქოს ქალთა სქესის ლმობიერება შეიტყო, ალაფრად ჩააგდო ნაკვეთზე ახლადმოსული დედაკაცების [illegible] ჟივილი, რუს პირად შედგა, ვაცისწვერას დრუნჩი დააკარა და ჯეჯილებისაკენ გადავიდა დინჯი ნაბიჯით.

ნერგებს გადაღმა ორი ბიჭი გამოენთო ნადირს, სტვენა აუტეხეს გულის მოსაოხებლად, ირემი დაფრთხა და გადაევლო აკაციების მაღალ ღობეს, ისევ დააგდა თემშარას.

თელავიდან მოდიოდა ხალხით სავსე ხეთტონიანი მანქანა, ირმის დანახვით აღტყინებულმა მგზავრებმა სტვენა და ყივილი ასტეხეს, შოფერმა მესამე სიჩქარეში ჩააგდო ბერკეტი, მგზავრებმა ხორხოცსა და ყიჟინს უმატეს, ქალი და კაცი გაიტაცა ტექნიკისა და ნადირის უეცარმა შეჯიბრებამ. . . . . .

გაუსწრო ირემმა მანქანას, ძალა მოიკრიბა და მოუსვა გუდრონიან გზაზე. ეზოებიდან გადმოცვენილი ხალხი სტვენდა და ყიჟინებდა. ირემს რა მოესმა მანქანის გაბმული სიგნალები, რქები გადაიკეცა ქედზე, ქარს მიუშვირა წინ გაწვდილი ლამაზი დრუნჩი.

ახლა მეოთხე სიჩქარეში ჩააგდო შოფერმა ბერკეტი, მანქანა საშინელი სისწრაფით მიჰქროდა, ზედმსხდომნი არ გრძნობდნენ რაიმე საფრთხეს, სტვენდნენ და ყივოდნენ, ნატრობდნენ ფრთები შეესხა მანქანას, ოღონდ როგორმე დაეჯაბნა ირემი.

უკვე ალმართი დაიწყო, შოფერმა მესამე სიჩქარეში ჩააგდო მანქანა, მაგრამ სულ რამდენიმე წუთში დაჯაბნა ირემმა მანქანა და ისეთი სისწრაფით გაჰქანდა, თითქოს ქარბორბალას ფრთები შეუსხამსო.

უკვე აღარ ესმოდა მას არც აღტყინებული ახალგაზრდობის ყიჟინი, არც მანქანის სიგნალების ხმა...

ნადირმა თვალი მოჰკრა მოპირდაპირე მხრიდან მომავალ ცხენოსნებს, ერთბაშად სრბოლის გეზი შესცვალა. მოუჭირვებლად გადაეკვლო ძეძვით დაბარდნილ ღობეს და ლანდის უსწრაფესად გამოვიდა სანერგე ფარდულისკენ მიმავალ ბილიკზე.

სწორედ ამ დროს გოდერძი ფარდულში ეძებდა თავის სეკატორს, თვალი შეასწრო აღელვებულ გაიოზს, რომელმაც ჭაბუკური სიანცით ჩამოხსნა ეაჩხიდან თავისი დაჟანგული ბერდანის თოფი.

ანჩხლი ბერიკაცი ვინმეს ხომ არ წაჰკიდებიაო, გაიფიქრა გოდერძიმ და გასდია მას.

„თოფი რად გინდა, გაიოზ?“ შეეკითხა გოდერძი დარაჯს.

„ირემი, ირემი“, აღტაცებული ყვიროდა გაიოზ.

გოდერძიმ ვერ მოასწრო ირმის დანახვა, ისე ბალიანი გაუსროლა მკლავში და წაართვა შემართული თოფი.

ირემმა რა შეიცნო სამშვიდობოს გასვლა, სვლა შეუნელა. მიჰყვა ახლადშეღერებულ ვაზების მწკრივებს, არხეინად მიდიოდა და კორტნიდა მორჩს, თავჩაღუნული მიბალახობდა ისე აუჩქარებლად, როგორც უხვ საძოვარზე გაგდებულ ცხენს სჩვევია ხოლმე.

გოდერძი უკვრეტდა ამ მშვენიერ სანახაობას, ბოლოს აღტაცებამ იგიც გამოიყვანა [illegible]ნასწორობიდან: ჯერ მთვარეულივით მიჰყვა შორიახლოს მიმავალ ნადირს, მერმე ისე მაგრად წამოეძალა ამ იშვიათი ტყიურის ახლო ხილვის წადილი, რბენაზე გადავიდა. ისაფრებდა ვაზნარის მწკრივებში დარგულ ატმის ხეებს, ანგარიშმიუცემლად მისდევდა ირემს.

ირემი ჯერ სამხრეთისკენ მიჰყვა ვენახის მწკრივებს, ამიტომაც ასე ივარაუდა გოდერძიმ: იმ მხარეს ღიჭიანისა და გლედიჩიას ისეთი მტკიცე ზღუდე დაუხვდებოდა მას, ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესძლებდა ნახიდურთან აღმართული ძეძვიანი ბარიერის გადალახვას, მაშასადამე, იძულებული გახდებოდა მგლისხევისაგან დარჩენილი არხი გადაეარა და კორინთელის მიკროუბნისკენ გადასულიყო.

გოდერძიმ უსწორა იმ ძელის ბოგირს, რომელიც ბეტონის ხიდის აგებამდის სახელდახელოდ ჰქონდათ გაკეთებული კოლმეურნეებს.

მხოლოდ ეს ეწადა გოდერძის: გაღმა გასულ ნადირს ახლა წინიდან შევაგებებო მზერას, ამიტომაც გარბოდა გამალებული. როცა ძელის ხიდზე გასელა დააპირა, აქაც ცალი თვალი ირმისკენ ეჭირა. რათა ენახა — როდის გადმოლახავდა იგი არხს.

ერთბაშად ძელი გადაბრუნდა და გოდერძი გადაეშვა სამიოდე მეტრის სიღრმე ხრამში, მოპირდაპირე ქარაფზე ფეხი დაუცურდა და ქვას დაჰკრა შუბლი. სულ მცირე ხანს იწვა იგი თავქვე, მარჯვენა წარბის ქვეშ იგრძნო მსუბუქი ხიჩინი.

ანაზდად ზეწამოიჭრა და როცა სახეზე ხელი მოისვა, ლოყაზე საკმაოდ ჭარბად მოწანწკარებდა სისხლი.

გოდერძის ვარაუდი სწორი არ აღმოჩნდა, ირემი ჯერ მიადგა აკაციების ღობეს, მერმე აღმოსავლეთისკენ გაბრუნდა, მგლისხევ-

ზე გავლებული არხი გადაიარა, მიადგა ნახიდურთან ძეძვიან ქარაფს და ლანდის უსწრაფესად გადაახტა უფსკრულს.

როცა გოდერძი სანერგე ფარდულში მიბრუნდა, ცალთვალა გაიოზი შეშფოთდა.

„ეგ რა მოგსვლია, გოდერძი?“

„არაფერი, ჩემო გაიოზ, ძელი გადაბრუნდა და ქვას დავკარი შუბლი“.

გაიოზმა სასწრაფოდ გაფხრიწა გოდერძისავე ცხვირსახოცი, თუთუნი დააყარა იარას და შეუხვია.

ვიდრე კოლმეურნეები ნაკვეთზე მოვიდოდნენ, გოდერძიმ სიტყვა ჩამოართვა მოხუცს, ეს ამბავი არ გაეხმიანებინა, რადგან ახლა მას თავად რცხვენოდა თავისივე უმაწვილური აღტყინებისა.

ორივენი ჩამოსხდნენ ჯირკვზე, ნაღვლიანად იგონებდნენ ასე წამიერად მოლანდებულ მშვენებას ტყისას.

გაიოზმა ყალიონი დასტენა, თუთუნს ცერით ტკეპნიდა და ამბობდა:

„ახია, ჩემო გოდერძი, შენზე, არც მე დამანებე, და ვეღარც შენ დააკელი რამე“.

„რას ამბობ, გაიოზ, შენ მართლა ესროდი ირემს?“

„რატომ, შვილი ხომ არ მომინათლავს მისთვის, ვესროდი, ჰაა გიდი, მემრე როგორ? შენ ნუ ეხუმრები ცალთვალა გაიოზს, — იმდენი შენ იხარე, რამდენი ტახი და ირემი გაიოზს მოეკლას“.

„განა შენ არ იცი, გაიოზ, ირმის მოკვლისათვის ხუთი წლის ციხე რომაა ჩვენს კოდექსში გათვალისწინებული?“

„ეჰ, შენც ერთი, ვინა გვნახავდა აგრე უთენია“.

„რაო, მე კაცად არა მთვლი, გაიოზ?“

„დავიჯერო, შენ გამთქვამდი, გოდერძი?“

„შენ გავიწყდება, მე კომკავშირელი ვარ, გაიოზ“.

„მაშ შენ რაღად მისდევდი, ჰე?“

„მე უმაწვილურმა ჟინმა წამომიარა, მივდევდი, რათა ახლოს მენახა ის ტიალი“.

„დავიჯერო, რევოლვერს არ ესროდი ირემს?“

„ბალღი ხომ არა გგონივარ, გაიოზ, ეგეც არ იყოს, რევოლვერით ვის მოუკლავს ირემი?“

გაიოზი მცირე ხანს სდუმდა, თავის ჩაფერფლილ ყალიონს აფშუკუნებდა, მერმე პირიდან გამოიღო, განზე გადაადუჟა და სთქვა:

„გაწყდა ნადირი ჩვენს მხარეში, კომბაინები და ტრაქტორები სადაც გაჩნდებიან, იქ ირემი ვეღარ გაიპარებს. აფსუს, რამდენი ხარირემი მოგვიკლამს მე და პაპაშენს ცხრამუხაში“...

დაზაფრული ადამიანისათვის (უბრალო სატკივარიც) ადვილად ასატანია. გოდერძი ისედაც უგუნებოდ მოვიდა იმ ოფშაბარის კოლმეურნეობის ნაკვეთზე.

ჯერ წინა დღესაც გაოგნებული დადიოდა იგი. [illegible] ვერ ეპატიებინა, რად დავუჯერე ნუნუს და შინ [illegible] ვაცილეო.

ბერმუხაში ათასგვარი ხმა დადიოდა თავდამსხმელის ვინაობის გამო, არავინ არაფერს უმხელდა გოდერძის, მიუხედავად ამისა მას თავათ ჰქონდა მცირეოდენი ეჭვი ერთი კაცის მიმართ. მაგრამ ხელმოსაჭიდი საბუთი არა სჩანდა, ამიტომაც სდუმდა და ბრაზობდა.

გოდერძი წინასწარ დარწმუნებული იყო, რომ ნუნუსთან შეხვედრა ახალ შუქს მოჰფენდა ამ საკითხს. ბევრი იწრიალა კვირა დღეს, მაგრამ ნუნუ აღარსად სჩანდა.

ბოლოს მიუგზავნა ნუნუს თავისი ალალი ბიცოლა ოლა, უჯრაულის ქვრივი. დაანამუსა იგი და სთხოვა, ფრთხილად გამოეკითხა, თუ ვინმეზე ეჭვი ჰქონდა ნუნუს.

ამ უკანასკნელმა შორს დაიჭირა ასეთი რამ, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: თავდამსხმელის ვინაობა რომ ვიცოდე, მე თავათ ვეტყოდი პროკურორს და იმ თავხედს გავაბაწრინებდი.

ყოფის საკითხებში მრავალნაცადი დედაკაცი გოდერძისთან მიბრუნდა და გულწრფელად უთხრა თავისი აზრი: ეტყობა, ნუნუმ კარგად იცის თავდამსხმელის ვინაობა, მაგრამ ამ ამბავს რატომღაც მალავსო.

„როგორ შეატყვე?" შეეკითხა გოდერძი.

„საეჭვოდ მეჩვენა ერთი რამ, როცა ასეთი კითხვა მივეცი, ნუნუ ანაზდად აილეწა და ხელაღებით უარს დაადგა", დაბეჯითებით სთქვა ბიცოლა ოლამ.

დღე დღეს მისდევდა.

ბრიგადები და რგოლები უკვე ჩაებნენ მუშაობაში. არსად სჩანდა ნუნუ; ბოლოს მობორიალდა პატარა მალხაზი და ამბავი მოუტანა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს: ნუნუს ხელახლა სიცხე მისცა და დღესაც ვერ მოვაო.

გოდერძიმ დაიმარტოხელა მალხაზი. ამაოდ უჩიჩინა. მაგრამ საბოლოოდ მისი ნაუბარიდან ვერაფერი გამოიტანა.

„ეს მითხარი, შენ გაზრდას, მალხაზ, ლოგინში ხომ არ წევს ნუნუ?"

წევსო.

ხომ არა სტკივაო რამე?

მალხაზმა ჯერ თავი დააქიცინა, მერმე ისევ იუარა და ისევ გაიმეორა: „ნწუ“.

გოდერძი მთელი დღე უქმურშეყრილივით აქეთ-იქით ეგეთქებოდა. საერთოდ დინჯი და აუღელვებელი ყმაწვილი უცნაურად ავობდა, თითქმის ყოველ მეორე კაცსა და ქალს შენიშვნას აძლევდა, ზოგს სეკატორს გამოაცლიდა ხელიდან, ზოგს ვერმორელის აპარატს, მიადგებოდა და თავად აკეთებდა სხვის გასაკეთებელს.

მაგრად შეუკურთხა შავ წელიწადსავით წაგრძელებულ სტეფანე მარტიაშვილს — ლალბაწას, თოხი ხელიდან გამოართვა, მიადგა და საათის განმავლობაში თოხნიდა, თანაც უწუნებდა უგულო და უგერგილო ჩოკნას.

„ამხელა კაცი გაზრდილხარ და თოხის მოხმარაც ვერ გისწავლია.

რამდენჯერ გითხრეს, თოხი არ უნდა გააკარო ვაზის შტამს, რადგან ეს ცოცხალი არსებაა, ქერქის გაფხაჭნა აზიანებს ვაზს“.

„ბატონი ბრძანდები, ვთქვათ, ცოცხალი არსებაა ვაზი“.

„დიახ, ცოცხალი, მხოლოდ შენა ხარ მკვდარი“.

„აბა ღვინის სმაში გამეჯიბრე და მაშინ ვნახოთ, ჩვენ ორში ვინ იქნება მკვდარი“, იჯღანებოდა ლალბაწა.

„ღვინის სმაში, ო, ღვინის სმაში შენ ვინ დაგიჯაბნებს“.

„ერთი მითხარი, რას ბრაზობ, გოდერძი?“

„შენს უილაჯობას რომ ვუყურებ, ის მაბრაზებს“.

ლალბაწამ კეფა მოიფხანა და დაიჯღანა.

„რა გაცინებს?“ შერისხა გოდერძიმ ლალბაწა.

„ნეტავ ასე გაბრაზდებოდე ყოველ დღე და ჩემ მაგივრად მიეძალებოდე თოხნას“.

ფართობზე შუბლშეკრული გოდერძის გამოჩენამ ახალი საშორაო საზრდო მისცა ზარმაცებსა და ავენიანებს, რომელთაც ჭირის დღესავით სძაგდათ გოდერძი (ეს იმიტომ, რომ ზარმაცებს ისევე უყვართ შრომისაკენ მომწოდებელი, როგორც შლეგებს მწვრთნელი).

ავყიებმა რა დაინახეს შუბლშეხვეული და უგუნებო ბრიგადირი, უკვე მტკიცედ ირწმუნეს წინა დღეს გავრცელებული ჭორი, თითქოს შაბათ საღამოს გოდერძიც ხლებია ნუნუს, თავდამსხმელებს მაგრად უცემიათ ვაჟი, ნუნუ დაუჭრიათ და ტყეში გაუტაცნიათო.

შესვენებისას გოდერძიმ განზე გაიხმო ნათია თარალაშვილი, უნდოდა მისგან გაეგო, თუ მართლა ავად იყო ნუნუ.

ნათია ისე მოღუშული ეჩვენა გოდერძის ამჯერად, რომ გაოცდა. ცხადია, ვაჟმა არ იცოდა, რომ თავდასხმამ რამდენიღაც გაახმიანა ერთგვარი სიახლოვე გოდერძისა და ნუნუს შორის.

უმთავრესი მიზეზი ამისა გახდა როყიო გაიოზი — [illegible] სავსებით უბოროტოდ წამოროშა: ბერმუხიდან სანერგე ფარდულში შუალამეს მოსულნი გოდერძი და ნუნუ მე თავათ ვნახეო.

ჭორიკანებმა სწორედ გაიოზის ნათქვამს მიაბეს თავიანთი სხვადასხვაგვარი ვარაუდი. ერთნი მჭევრმეტყველურად ამტკიცებდნენ: თავდასხმის დროს გოდერძისათვის მაგრად უცემნიათო.

სხვანი დასძენდნენ: გოდერძი შეშინებულა, გაქცეულა და თავდამსხმელთათვის მიუნებებიაო უმწეო ქალი.

ზოგ-ზოგი უსაქმური იმასაც ამბობდა, ყოველივე ეს ჩვენი, საკუთარი თვალით ვნახეთო (ეს ასეა ყოველთვის, როცა „საკუთარი პირით" ნათქვამს არ დაუჯერებენ ვინმეს, „საკუთარ თვალს" წამოიშველიებს ხოლმე).

აქამდის ნათიას ხშირად ეხუმრებოდნენ ტოლები: გოდერძის თვალი შენზე უჭირავსო. ეს დიახაც სიამოვნებდა ქალს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უარყოფდა რაიმე ურთიერთობას მასთან. ხშირად დასძენდა კიდევაც: გოდერძის გიჟი მამიდა და ბრმა პაპა შინა ჰყავს. რომელი გონიერი ქალი ინდომებსო მის ცოლობას. მაგრამ როგორც კი გახმიანდა გოდერძისა და ნუნუს ერთგვარი სიახლოვე, ნათიამ ანაზდად შეიცნო ქალური თავმოყვარეობის შელახვა. თუმცა საერთოდ ფრთხილსა და თავდაჭერილ გოდერძის არასოდეს მიუცია მისთვის რაიმე საბაბი.

სიძულვილი და სიყვარული მუდამ სააფთიაქო სასწორის ფიალებზე ქანაობენ. ხანდახან საკმარისია იოტისოდენა სიმძიმის დამატება ერთ რომელიმე მხარეს, და მოულოდნელად წონასწორობა დაირღვევა.

ამ შემთხვევაშიაც ასე მოხდა: ნათიას, რომელიც მუდამ სიმპატიურად ექცეოდა გოდერძის, აქებდა კიდევაც მას, როგორც ჭკვიანსა და გამრჯელ ვაჟკაცს, ერთბაშად შესძულდა გოდერძი და არა მარტო იგი, — ნუნუცა.

როცა გოდერძი ნუნუს გამო ესაუბრებოდა ნათიას, ვაჟმა ანაზდად დაიჭირა სიძულვილის ის შეფარვული გამოსხივება, რომელიც ამ წუთში ვერ დაჰფარეს ნათიას საკმაოდ გრძელმა წამწამებმაც.

გოდერძის გვერდით მიმავალმა ქალმა ატმის შტოს მოსწყვიტა ფოთოლი, სრესა დაუწყო და სთქვა:

„ნუნუ წუხელ ძლიერ ცუდად იყო. ჭრილობა დაუჩირქდა. მისი დედინაცვალი ქეთუა დილიდანვე გადასულიყო მაროსას, მშიერ-მწყურვალი, დასიცხული ავადმყოფი შუშუტა ძმისშვილი [illegible] დია მაგ გასაქრობს“.

ბიბლიოთეკა

გოდერძის ყელის არეში შემოეჭდო ბრაზი, ერთბაშად სუნთქვა შეეკრა, წამოიძახა:

„როგორ, ექიმი ვერ მოუყვანეს?“

„ვინა ჰყავს პატრონი, ამ დილით მე ვაპირებდი ექიმის მოყვანას, მაგრამ ფართობზე მიგვიანდებოდა და რა მექნა“.

ახლა მეორე ფოთოლი მოსწყვიტა ნათიამ, მასაც დაუწყო სრესა და სთქვა:

„ასეა, როცა გასათხოვარი ქალი მამაკაცებთან ღამღამობით სეირნობას დაიწყებს, აბა რა სიკეთეს გადაეყრება“.

გოდერძი გველცემულივით შეაკრთო ამ გესლიანმა სიტყვებმა, ბილიკზე შედგა და ჩაიდუდუნა:

„ვინ მამაკაცთან, რას ამბობ, ნათია, რამდენადაც ვიცი, ნუნუ იმ ღამეს სანერგე ფარდულიდან ბრუნდებოდა მარტოკა“...

ნათიამ ირონიულად გაიღიმა:

„მარტოკა ბრუნდებოდაო, ღამის 12 საათზე რა უნდოდა სანერგე ფარდულში?“

გოდერძი შეაწუხა ამ სიტყვების გაგონებამ, ვრთი დააპირა გაემხილა ნათიასთვის, ნუნუს მე ვახლდიო, მტს-ის ფარდულამდის მე მივაცილეო, მაგრამ ენის წვერზე დაიჭირა სათქმელი და ეს უთხრა:

„შენ როგორ ფიქრობ, ნათია, იმ ღამეს ვისთან უნდა ყოფილიყო ნუნუ სანერგე ფარდულში?“

მოშაინურად გაიღიმა ნათიამ:

„მე რა ვიცი ვისთან დასეირნობს ღამღამობით ნუნუ?“

გოდერძის საძაგებელი სიტყვები მოებჯინა ყელში. ამ რამდენიმე წუთის წინათ ვერც კი წარმოედგინა, რომ ეს სათნო სახის, საერთოდ წესიერად ცნობილი ქალი, ასე ხელაღებით გაჰქირავდა თავის სიყრმის მეგობარს.

„მაინც რას ამბობენ, ნათია, ვინ ხლებიაო იმ ღამეს ნუნუს?“

„რა ვიცი, გოდერძი, მე ისე მეკითხები, თითქოს მეც იქ ვყოფილიყავ. ათასგვარ რამეებს ამბობენ, ზოგი ასეთ რამესაც ამტკიცებს: იგი, ვინც მასთან ყოფილა, მაგრად უჟეჟიათო, ამას ამბობენ და სხვა არა ვიცი რა“, სთქვა ნათიამ, დასრესილი ფოთოლი გა-

დააგდო, ჯიქურად გაუმართა მზერა ვაჟს და დაკვირვებულად შეხედა მის შეხვეულ შუბლს.

ამ წუთში ქვეშეცნეულად შეიგრძნო გოდერძიმ, რომ ნათიას ეშვი ჰქონდა, ეშვი კი არა, იგი სავსებით დარწმუნებული იყო, ეს „მშიშარა მამაკაცი", რომელსაც სცემეს, გოდერძი [illegible] ლიყო.

„მაინც ვინ ავრცელებს ასეთ რამეებს, თუ და ხარ, მითხარი, ნათია".

ეს „თუ და ხარ" სამსჭვალივით შეერჭო ნათიას გულში, მის სიღრმეში უცნაური წყენა შეიცნო და ხელახლა შეეცადა უფრო მწარედ დაეგესლა ვაჟი:

„დაბეჯითებით ვერაფერს გეტყვი ამის შესახებ, გოდერძი, მაგრამ გუშინ საღამოს კანკრე იდგა რაიკავშირის წინ და იჯღანებოდა, მის გარშემო მოგროვილ ახალგაზრდებს არწმუნებდა: ნუნუს გამტაცებლებს თავპირი ჩაუმტვრევიათო იმ ვაჟისათვის".

გოდერძიმ ამის პასუხი არ გასცა ნათიას, საათს დახედა და სანერგე ფარდულისკენ გაემართა, რადგან უკვე მუშაობის განახლების დრო იყო.

საღამო ჟამს გოდერძი ექიმის ძებნას შეუდგა. გადაწყვეტილი ჰქონდა: ვინც რა უნდა სთქვას, მოვძებნი ექიმ გოდაბრელიძეს და ავადმყოფს თავათ მივუყვანო.

ექიმი თელავს წასული აღმოჩნდა, ყოველ წუთს ველოდებითო, ამბობდა ექთანი. გოდერძი ისე მოაქცია ამ უკანასკნელმა ხელისმოცარვამაც, გამოიხურა კარი და ქუჩაში გამოლასლასდა.

თავჩაქინდრულად ქუჩაში მიმავალს ვიღაცამ მკლავში ხელი წაავლო. გოდერძიმ მოიხედა: კოლმეურნეობის თავმჯდომარე, თედო შეიცნო.

„ჩემი დედაკაცი ცოლოურს წავიდა. მამაშვილობას, წამო ჩემთან, არ მიყვარს მარტოკა პურისჭამა. — უთხრა თედომ, და უცებ გაოცებული უკუდგა, — რა მოგსვლია, გოდერძი?"

„არაფერი, მგლისხევს გადაღმა გადავდიოდი, ძელი გადმომიბრუნდა და ხევში ჩავვარდი", მიუგო ვაჟმა.

„შენ რაღაც უგუნებოდ სჩანხარ, გოდერძი, წამო, ბატკნის ბულლამა მაქვს შინ".

„გმადლობთ, ძია თედო, წეღან ვისადილე", იცრუა გოდერძიმ.

თედომ ისევ შეხედა სახეში გოდერძის.

„რა მოგსვლია, ბიჭო, ასე უგუნებოდ ჯერ არ მინახავხარ".

„არაფერი, ძია თედო, წუხელ პაპაჩემი ვერ იყო კარგად და ღაშე ვუთიე", უნებლიეთ იცრუა გოდერძიმ ხელახლა.

უგუნებობას თავს ნუ მისცემ, მამამვილობას, შენ ხომ იცი, მხოლოდ მხდალები ეუბნენ უგუნებობას თავს, შენი ახალგაზრდობა მომცა, იმ მთებს გადავდგამდი".

თედო ხელახლა შეეპატიჟა გოდერძის, წამო, ბატკნის ბულლამა ვჭამოთო. გოდერძიმ მადლობა გადაუხადა. კვლავ გაუწერია: ნასადილევი ვარ, ცოტას კვაცილებ და შინ გავბრუნდებო.

ამ საუბარში გართულთ ძაღლების ყეფა შემოესმათ. გოდერძიმ გაიხედა: ზედ გზისპირად მდგარ ჩალით დახურულ ქოხის კართან სამი მადევარი ძაღლი წკავწკავებდა — ერთი ჭრელი, ერთი შავი, ერთიც ყვითლად დაწინწკლული.

თედო დაინტერესდა: რომელ სულელს მონდომებიაო ამ საქმიან დღეებში სანადიროდ წასვლა?

ამის თქმა მოასწრო თედომ და ჩალით დახურული ქოხიდან გამოვიდა საკმაოდ შეზარხოშებული ლალბაწა, აედევნა თედოს და გოდერძის დაეღრიჯა:

პურმარილი დაგვილოცეთო.

თედომ უკმაყოფილო მზერა შეავლო მასპინძელს და უთხრა:

რა დროს პურმარილია, შე კაი კაცო, ჩვენ დაქანცულები შინ მივდივართ, პურმარილი სხვა დროს იყოსო.

ბრაზი მოერია ლალბაწას, მაგრამ ვერაფერი შეჰბედა დროულ კაცსა და თავმჯდომარეს; აბა შენ წამოდიო, ჩააცივდა გოდერძის. გოდერძიმაც იგივე გაუმეორა და წასვლა დააპირა.

თედომ განაგრძო გზა. ისევ წამოეწია ლალბაწა გოდერძის და სახელოზე ხელი წაავლო საკმაოდ უხეშად. გოდერძის ეს არ ესიამოვნა, მაგრამ შეეცადა წყენა მიეჩქმალა.

ერთბაშად ქოხის კარი გაიღო, კანკრე და გაგრია თემშარაზე გამოვიდნენ ანაზდად.

„გამარჯობა შენი", მიაძახა კანკრემ გოდერძის.

„გაგიმარჯოს", ცივად და უგუნებოდ მიუგო მან.

გოდერძი დააცქერდა კანკრეს სახეს: კანკრეს ცხვირის ჭვინტი დალურჯებული ჰქონდა. მხოლოდ ამის დანახვა უნდოდა გოდერძის, გაბრუნდა, — ძია თედო, მომიცადეო, მიაძახა თავის თანამგზავრს.

თედო გახევებული იდგა შორიახლოს, მოღუშული და წარბშეკრული უცქეროდა შეზარხოშებულთ — კანკრეს, გაგრიას და ლალბაწას, რომელნიც უხიაგად ებღლაძუნებოდნენ გოდერძის

ახლა კანკრე მისწვდა გოდერძის, ამჯერად არა სახელოზე, არამედ საკინძეზე და ღიმილით შეეკითხა:

„როგორა ხარ, ჯიგარო?"

„ჯიგარო? რა სიტყვაა ეს „ჯიგარო?“ უთხრა გოდერძიმ კანკრეს და ხელი გააშვებინა.

„რა სიტყვაა და ქალაქური“.

„ქალაქური თუ კინტოური?“

„რაც არის, კარგია, სულ ერთია, ქალაქური [illegible] კინ-
ტოური“.

ბიბლიოთეკა

„მე კი არ მიყვარს კინტოური სიტყვები“.

კანკრემ ვერაფერი მიუგო ამის საპასუხოდ, საკინძეს ხელი უშვა, უკუდგა და ეუბნება:

„არა, მაინც როგორა ხარ, გოდერძი?“

„რა მიშავს, კარგად ვარ“.

„კარგად მყოფს მაინცდამაინც არა ჰგავხარ, გოდერძი, ჰა?“ უთხრა კანკრემ და ეშმაკურად გაიღიმა.

„რაო, რას მამჩნევ ვითომ?“

„ეს რა მოგსვლია შუბლზე?“

„არაფერი, გუშინდამ წავიქეცი ბნელში“.

კანკრემ ისევ ჩაიცინა.

„ჰმ, ჩვენ სხვა გვეგონა“.

„მაინც რა გეგონათ?“

კანკრემ შეკრული მუშტი ტუჩ-პირზე მიიბჯინა, თვალები ეშმაკურად უციმციმებდა:

„უარესი რამ გვეგონა, ჯიგარო“.

„მაინც რა?“

„ჩვენ ეს არ გვჯერა, მაგრამ ავი ენები აგრე ამბობენ: უცემიხართო“.

„ვინ გითხრა ასეთი სისულელე?“

„ჩვენ ეს არა გვჯერა, მაგრამ მთელი ქვეყანა ამას ამბობს“...

„შენ როგორც გინდა ისე იფიქრე, კანკრე“...

„არა, მე ვაქცაცი მეგონე და დედალი ყოფილხარ. მე ვყოფილიყავი შენს ადგილას, ღმერთს გავაცლიდი იმ ძალლის შვილებს“.

„ქადილი არაა საჭირო, თავის დროზე გამოჩნდება. ვინც ვაქცაცია“.

„არა, შენი არ ვიცი და ჩვენი ვაქკაცობა დიდი ხანია გამოჩენილია, გოდერძი“.

„აბა მე ერთ რამეს გირჩევ, კანკრე: ნუ დაემსგავსები იმ ტრაბახა ქოთანს, რომელიც იკვეხნიდა, ოქროს ძირი მაქვსო“.

„ქოთანი, ჰა, ჰა, ჰა, ჩვენ ვიცით, თუ ვინცაა ქოთანი, ისიც გატეხილი“, ხითხითებდა კანკრე და შესცქეროდა გოდერძის შეხვეულ შუბლს.

ლალბაწა მიხვდა: კიდევ ერთი მკვახე სიტყვა და ჩხუბი აატეხებოდა, ამიტომ თავისი გრძელი მკლავი გახიდა ორთა შორის. ლოყა ლოყასთან მიუტანა გოდერძის და უთხრა:

„წამო, პურმარილი დაგვილოცე, გოდერძი, ისიც გვეუფლა ნაკვეთზე რომ გვეჩხუბები დღე-ღამ“.

ბიბლიოთეკა

ოდნავ მოშორებით მდგარი თედო მიხვდა, რომ ჩხუბს აპირებდა კანკრე, ამიტომაც გამობრუნდა უკან.

„ნაკვეთზე თუ გეჩხუბებით, ეს ავკაცობით როდი მომდის: მოგეხსენება, პაპაჩემის მამულებში არ გამუშავებთ; თუ ყველანი კარგად ვიშრომებთ, შინ წასაღებიც დაგვრჩება რაიმე“, მიუგო ლალბაწას გოდერძიმ.

„ეჰე, მოეშვი ჭკუის სწავლებას აქ მაინც“, დაიღრიალა კანკრემ და მარჯვენა ხელი ჰაერში აიქნია, ლალბაწას მკლავი განზე გადაადგო და სულ ახლოს მიიწია გოდერძისაკენ.

ლალბაწამ ისევ გახიდა თავისი გრძელი მკლავი ორთა შორის, ისევ მიუტანა ლოყა ლოყასთან გოდერძის და უთხრა:

„დედის სულს გაფიცებ, პურმარილი დაგვილოცე, წამო“.

„რა დროს პურმარილია, შე კაი კაცო, სხვა არა იყოს რა, მიცდიან“, სთქვა და თედოსკენ მიიხედა.

ამასობაში მოაღწია თედომ. ახალგაზრდებმა ხმა გაკმინდეს, კანკრემ ერთი ნაბიჯი უკან გადადგა.

„ბიჭო, როდის უნდა გაათავო ყოჩობა, ჰა?“ პირდაპირ მიმართა ახლადმოსულმა კანკრეს.

„ყოჩობაო? რასა ბრძანებ, ძია თედო, ჩემისთანა თავმდაბალი, ვგონებ, იესო ქრისტეც არა ყოფილა“, სთქვა კანკრემ.

„ჭკუას დაუძახე, გირჩევ“, მიუგო გოდერძიმ მშვიდად.

„ჭკუით იცვნეს იესო ქრისტე“, სიტყვა ჩაურთო ლალბაწამ და კანკრეს კისერზე წაუთაქა თავისი გრძელი ხელი.

ახლა თედოს შეეპატიჟა თავაზიანად ლალბაწა: პურმარილი დაგვლოცეო.

„არა, შვილებო, პურმარილს ჩვენ წიხლს არა ვკრამთ, მაგრამ ამ კვარტალში ისეთი გეგმები დაგვაკისრეს, სამაგისოდ არ გვეცლება“, სთქვა თედომ, გოდერძის მკლავში ხელი წაავლო და სამივენი დასტოვა გზის პირად.

*

ღამდებოდა, როცა გოდერძი ნუნუს მამისეულ ეზოში შევიდა. ძროხა საწყალობლად ბღაოდა ბოსელში. აფხორილი წიწილები შრამელის კარის ალაგს აწყდებოდნენ, საცოდავად წივწივებდნენ, აფორიაქებული კრუხი აქეთ-იქით ეხეთქებოდა.

შრამელის კარი რა შეაღო, ნახევრად ბნელში გაარჩია: ძაღლს საჭამადიანი ქვაბი გადმოეყირავებინა და გოდერძის დანახვაზე გაავებული ღრენა ასტეხა.

ეს ამბავი სასტუმროსაკენ გასასვლელ კართან [illegible] დერძის აღარ შეეძლო კარს მისწვდენოდა. ამიტომ [illegible] დაიძახა:

„მალხაზ".

ჩამიჩუმი არ ისმოდა. ახლა ყეფა ასტეხა გაავებულმა ძაღლმა. იგი ყოველ წუთს მზად იყო ბარკლებში სცემოდა გოდერძის. ვაჟმა რევოლვერი მოისინჯა, მერმე მიიხედ-მოიხედა და იქვე მიყუდებულ ურდულს წაეპოტინა. ისევ დაიძახა:

„მალხაზ, ჰა, მალხაზ".

არ სჩანდა არც მალხაზი, არც კარის გამღები სხვა ვინმე, ძაღლმა უმატა ღრენას და მუქარას.

„რომელი ხართ, მობრძანდით", შემოესმა ქალის ხმა.

გოდერძიმ დააპირა კარისკენ ნაბიჯის გადადგმა. ძაღლი მოეშვა. ამოსვლებულ ქვაბს და მისკენ გამოეშურა. ისეთი განიერი მკერდი და მგლურად გაშეშებული ქედი ჰქონდა, ცხენიან კაცს დაამარცხებდა.

გოდერძიმ ცალი ხელით სწრაფად გააღო შრამელის უკანა კარი, რათა გასაქცევი გზა დაეთმო ლაშებდაღრენილ პირუტყვისათვის, ხოლო მეორეში მომარჯვებული ურდული მოუქნია მყეფარს. ძაღლი შეკრთა, შრამელიდან გავარდა.

ნუნუ აილეწა გოდერძის დანახვაზე, საბანი ზედ ტუჩ-პირამდის მიიტანა.

უცნაური სილარიბე სუფევდა ირგვლივ. სუფრაზე გაურეცხავი თეფშები ელაგა. არაფერი აქ თავის ადგილას არ იყო. მეორე კუთხეში აულაგებელი ლოგინი სჩანდა, ნუნუს საწოლთან ცხვირმომტვრეული დოქი იდგა. ბოლო ტაბურეტზე — ნავთის ლამპა, რომლის გამურულ შუშას ზედვე ეტყობოდა, რომ წარამარა უბოლავს.

მშვილის დაფხრეწილი ტყავები ეკიდა კედელზე, დათვის პეწგაცლილი ტყავი საწოლის წინ ეგო. კედელზე გახუნებული ფოტოსურათები ჩაეწკრიბებინათ, იქვე კაჩხზე ფაფახი, ტყაპუჭი და ქამარ-ხანჯალი ეკიდა.

გოდერძიმ იცნო ნუნუს მამისეული, მტვერისფერი ფაფახი და ტყაპუჭი. მოეჩვენა, თითქოს უპატრონო ქუდის ქვეშ ჩამოუკიდნიათო ნუნუს გალოთებული მამის საცოდავად აწოწილი სხეული.

ეს კაცი მის თვალწინ დალასლასებდა სოფელში, როგორც მუდამ გამომთვრალი უქნარა. იგი თავათაც კარგად გრძნობდა, რომ

თავისი დაუსრულებელი ლოთობით ყველას მოაბეზრა თავი. ამიტომ სიფხიზლეში თავდახრილი დადიოდა, ყველას უმალავდა თუთუნისა და ღვინისაგან ჩანაცრულ თვალებს.

როგორც კი დათვრებოდა, მოჰყვებოდა ხანჯალ[illegible]ლების ბრიალს, ომახიანი ხმით ბღაოდა და მღეროდა [illegible]დის სულს უგინებდა დიდსა და პატარას. ხანაც ხანჯალს გაიშიშვლებდა, ბაზარში მოგროვილ ხალხს დაერეოდა და ასე მძვინვარებდა, ვიდრე არ გაკოჭავდნენ.

გოდერძის უცნაურად შეებრალა ნუნუ, რომელიც შრომაში სიმამაცეს იჩენდა, რათა თავისი უგერგილო მამის ოჯახი როგორმე ფეხზე წამოეყენებინა.

ოთახში შესვლისას შენიშნა გოდერძიმ: სტუმრის მოახლოება რა შეიცნო, ნუნუმ ხელი გამოჰყო საბნიდან, საწოლის ზურგზე დაკიდებული წინდები და საცვალი ჩაბღუჯა და საბანში შეიტანა.

„მეზობლიანთ მარო მეგონა", სთქვა ნუნუმ. იგი ძლივძლივობით იოკებდა მღელვარებას. ბოდიშობდა, ასეთ მიუღებელ სამყოფლოში რომ დაუხვდა სტუმარს.

„შენი დედინაცვალი სადაა?" იკითხა გოდერძიმ. ნუნუს ჯერ არ უნდოდა დედინაცვლის აუგი ეთქვა სტუმრისათვის, დაჟინებული გამოკითხვის შემდეგ გამოირკვა, რომ ქეთუა წაჰკიდებია გერს, მეზობლიანთ მარუასას გახიზნულა. გოდერძის სამსჭვალივით ეცა გულზე ქალწულის სიტყვები: ბოლოსდაბოლოს მთელ ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ დამიგვიანდა შინმისელა, და იგიც ასე წამმწარდაო, სჩიოდა ნუნუ.

დედინაცვალს საჭამადიანი ქვაბი გამოუგზავნია მალხაზის ხელით გერისთვის. გოდერძი მიხვდა, სწორედ ეგ იყო ის ქვაბი, წეღან ძაღლი რომ აგორებდა. — საჭმლის მოსატანად აპირებდა წასვლას, მაგრამ გამოირკვა, რომ მეზობლიანთ მარუა მოსულიყო წეღან და სამაგიერო სადილიც მოეტანა ნუნუსთვის. გოდერძი ძლივს დამშვიდდა.

ახლა ექიმის ამბავი წამოიწყო გოდერძიმ: სადაცაა დაბრუნდება თელავიდან გოდაბრელიძე, ცოტა ხნის შემდეგ წავალ და უთუოდ მოვიყვანო.

ნუნუმ უარი სთქვა:

„სიცხე უკვე აღარა მაქვს, ჭრილობა მოშუშდა თითქოს".

გოდერძი რაკი დარწმუნდა, ნუნუს არავითარი საფრთხე არ მოელოდა, ახლა ფრთხილად შეუდგა თავდამსხმელის ვინაობის გამორკვევას.

როგორც დახელოვნებული გამომძიებელი ჯერ უწყინარი საუბ-

რით შეიყოლიებს ბრალდებულს, ან მოწმეს, დაუყვავებს თანაზიანად, მერმე უცაბედად ამოღებულ სატევარსავით იშიშვლებს შეკითხვას, თანაც მომნუსხველი მზერით შეაშტერდება სახეში დაკითხულს, ასე ესაუბრა გოდერძი ნუნუს.

ეროვნული

მერმე სავსებით გულგრილად ჩაიდუდუნა: ნათიამ [illegible] ნასადილევს ხომ არ გამოუვლიაო ნათიას, ბოლოს სავსებით დანდობილად ეს უთხრა ნუნუს:

„ხომ გამოვტეხე ის ხულიგანი"... ისეთი სერიოზული და დამაჯერებელი ტონით წარმოთქვა მან, თითქოს ეს ამბავი მისთვის თავიდანვე ცნობილი და გამორკვეული ყოფილიყო.

როცა ამას ამბობდა გოდერძი, თავი ჩაქინდრული ჰქონდა, მაგრამ ტუჩებს გადაცდენილი არ იყო ეს სიტყვები, სწრაფად ზეასწია თავი და პირდაპირ მიანათა მზერა ნუნუს გადაფითრებულ სახეს.

ნუნუ არ მოელოდა, თუ გოდერძი ოდესმე მიაკვლევდა თავდამსხმელის ვინაობას. რაკი უკანასკნელი სიტყვები მშვიდად და აუღელვებლად წარმოთქვა გოდერძიმ, მართლაც დაიჯერა: დამნაშავე გამოუტეხია და არც არაფერი უსიამოვნება მოჰყოლიაო ამ საქმეს. ამიტომ თავათაც დანდობილად წამოსცდა:

„მერმე რა სთქვა იმ უნამუსო კანკრემ?"

გოდერძი სრულიად არ მოელოდა, ასეთ ეფექტს თუ მიაღწევდა თავისი წინასწარ მოფიქრებული ხერხით. მან ისეთი სახე მიიღო, თითქოს მეორე დღესვე გაიგო, რომ კანკრემ გამოსძებნა კობერიძის თავიდან გადავარდნილი ქუდი ლიჭიანში, თავათ დაიხურა, შეინიღბა და თავს დაესხა ნუნუს.

„ახლა მეც დავრწმუნდი, — სთქვა აგრეთვე მშვიდად გოდერძიმ, — რომ ის ფაფახიანი კაცი, რომლის დანახვაზე შენ აგრე კრთოდი, კანკრე ყოფილა.

მან ცალთვალა გაიოზისაგან გაიგო, რომ ჩვენ ბერმუხისკენ გავისეირნეთ, თან გამოგვსდია. მაგრამ ბერმუხის ქვეშ ვერაფერი გაბედა, მერმე კვალდაკვალ წამოგვყვა და როცა შენ შინამდის მიცილება აღარ დამანებე, იდროვა და თავს დაგესხა".

ნუნუმ სთქვა:

„მას ორიოდე სიტყვა წამოსცდა, როცა მუშტი ვუთავაზე ცხვირში. ცხადია, მე ვიცანი კანკრე. მაგრამ ეს არ გავუმხილე პროკურორს, რადგან საქმის გართულება საჭიროდ არ მიმაჩნდა. ისედაც აღრენილი არიან ჩემზე პაპა აბრია და მისი ძმები, შენ არ იცნობ უჯირაულთა გვარის თავკაცებს: მტერი ჩავარდა მათ ყბაში".

„ვაი დედიჩემის ღმერთსა, როცა ბერმუხის ქვეშ მოგვაკითხა. რაიმე გაებედნა, ვანანებდი ამქვეყნად გაჩენას. აფსუს, შენ რომ დაგიჯერე და შინამდის არ მიგაცილე“.

„კიდევ კარგი, რომ აგრე მოხდა, გოდერძი, მადლობა ღმერთს, ყოველივეს მშვიდობით რომ გადავრჩით, უარესიც ხომ შეიძლება მომხდარიყო.

ვთქვათ კანკრე შემოგკვდომოდა, შენც დაიღუპებოდი, კომკავშირიდან გამოგაგდებდნენ, როგორც კაცისმკვლელს და ეს ყოველივე მთელი ჩემი სიცოცხლე სანანებლად დამრჩებოდა.

გაფიცებ ყველას, ვინც გიყვარს, გოდერძი, ხმასაც ნუ გასცემ მაგ ოხერ კანკრეს. შენ გონიერი ვაჟკაცი ხარ და ჩემზე უკეთ იცი: ბრიყვი მიუშვი ნებასა“...

„საქმე არა გაქვს, სადა მცალია მაგისთანა ხულიგნების სადევნად, აწი თუ რაიმე გაგიბედა, აქ არა ვარ?“

დაამშვიდა ვაჟკაცმა ქალი, ხოლო მის გულში გამოხურვებული ფოლადივით შიშხინებდა ბრაზი. ახლა უკვე აღარ უნდოდა აქ დაყოვნება, ამასაც ცდილობდა, ნუნუს არ შეემჩნია მისთვის მოუთმენლობის უმცირესი ნატამალიცა.

პაპიროსის ბოლი ხომ არ გწყენსო, შეეკითხა ნუნუს; არაო, მიუგეს, ასანთი ამოიღო და გაჰკრა. ეს კი შენიშნა ნუნუმ: რატომღაც პაპიროსის ზედიზედ წევას უმატა გოდერძიმ.

გოდერძიმ მაჯა მოსთხოვა ქალს და, როცა მის ხელს შეეხო, თვალში ეცა მკლავის სიშიშვლე; მაჯა გაუსინჯა და დარწმუნდა, პულსი ნორმალური აქვსო.

ბოლოს ველარ შეიკავა თავი და აკოცა არა ხელის ზურგზე, არამედ იმ ადგილას, სადაც ხელისა და მკლავის იოგები უერთდებიან ურთიერთს.

ნუნუმ შიშველი ხელი დამალა. ავადმყოფის განკურნების გამო გახარებული ვაჟი მისჩერებოდა ქალწულის შეწითლებულ ლოყებს.

ეს ღამენასვამი ფანჯრები, ეს იშვიათი მყუდროება და ორთა მარტოობა უცნაურად აღელვებდნენ მას...

სწორედ ამ დროს კარები შემოანგრია ცხენჯოხზე გადამჯდარმა მალხაზმა.

გოდერძიმ ბრაზმორეულმა შეხედა ამ საცოდავ ბიჭუნას, რომელიც თავისი ასაკის მიხედვით გადამცდარიყო ბავშვობის ზღურბლს, ხოლო ჭკუისმიერი შესატყვისობით გაცილებით უფრო უგუნური სჩანდა, ვიდრე ექვსი წლის ყმაწვილი.

„სად ყოფილხარ, მალხაზ?“ შეეხმიანა მაინც სტუმარი ახლადმოსულს.

„ირემი მოვკალი, ძია“.

„რას მეუბნები, მალხაზ, მართლა ესროლე ირემს, თუ გაეხუმრე, ან ქვები დაუშინე გულის მოსაოხებლად, როგორც ივეს ნიოლთავას უქნია ეს?“

„დედა ნუ მომიკვდება, მართლაც მოვკალი, ძია დოდერძი, ირემი. დეიდა მაროს ბოსტანში შეპარულიყო წეღან, კომბოსტოსა სჭამდა, მივუსწარი და მოვკალი“, სერიოზული, დამაჯერებელი კილოთი ამტკიცებდა ბიჭი.

„რითი მოჰკალი, მალხაზ?“

„აი ამ ხმლით, დედა ნუ მომიკვდება, ამ ხმლით მოვკალი, ძია დოდერძი“, სთქვა მალხაზმა და ძეწნის წითელი წკეპლა ხმალივით ზეაღმართა.

გოდერძი და ნუნუ გულხმიერად ყურს უგდებდნენ ნამდვილად გახარებული ყმაწვილის ბეუტურს.

უსაზღვრო ფაბულირების ჯადო, რომელიც არყოფილს შესაძლებლად ასაღებს, ხოლო აუხდენელს — უკვე ახდენილად, ბედნიერებას ჰგვრიდა ამ გონებადაჩლუნგებულ ყმაწვილს, ისეთივე დიდის ალტყინებით აღზევებულს, როგორც ეს ნამდვილ ხელოვანს ემართება ხოლმე, როცა იგი გამონაგონის ფარვარტერში შედის.

სწორედ ამიტომაც უბრწყინავდა მალხაზს თვალები და ლოყებზე სიხარულის ალმური წაჰკიდებოდა, ისეთი, როგორიც თან მოსდევს ხოლმე უეცარ სიხარულს ან დიდ მწუხარებას.

გოდერძი თავზე დაადგა ნუნუს და უთხრა:

„იმედია, მალე გნახავ, ნუნუ“.

•

გოდერძი მხნე ნაბიჯით გავიდა „შავი სოფლის“ თემშარაზე: ასე უწოდებდნენ ძველთაგანვე უჯრაულების ამ უბანს.

„შავსოფლელი“ საძაგებელ სახელად იყო მიჩნეული მუდამ. კაცისკვლა, ქალის მოტაცება, უზრდელი შესიტყვება, — ამას ყოველივეს შავსოფლელებს მიაწერდნენ ხოლმე.

მიუხედავად ამისა, მოხუცები არ იშლიდნენ შავი სოფლის ხსენებას, მაგრამ როცა უჯრაულების ოჯახებში ახალი თაობა წამოიზარდა, განსაკუთრებით კომკავშირლები, ცდილობდნენ სიტყვა „შავი სოფელი“ წარხოცილიყო ხსოვნიდან, ამიტომაც „წითელი სოფელი“ დაარქვეს მას.

მთვარე გამოსულიყო საასპარეზოდ. შუკების გაყოლებით მდგარი მიწურების ბანებზე ისხდნენ მგელძაღლები, თავებ[illegible] რათ, ყეფდნენ, ღრენდნენ და ყმუოდნენ.

ბიბლიოთეკა

გოდერძი მუდამ კრთოდა ძაღლების წინაშე, ამიტომაც უხმოდ გაიარა შაესოფლელთა უბნის ეს ჩაბნელებული შუკა, მერმე მიხედა ძველებურ ბანებზე დამსხდართ.

თუჯის შავ ქანდაკებებსავით ისხდნენ ისინი, ყეფდნენ, წკავწკავებდნენ და ყმუოდნენ ამ მშვენიერ მთვარიან ღამეში.

შორიდან, ძლიერ შორიდან ისმოდა ერთობლივი გნიასი მყეფარებისა და ისეთი შთაბეჭდილება დარჩა გოდერძის, თითქოს ბერმუხელი ძაღლები რაღაც საშინელ მუქარას უთვლიდნენ ალაზანს გადაღმელთ.

ეს დაუშოშმინებელი გნიასი ავსებდა ღამეს და გზადმიმავალ გოდერძის არ აძლევდა საშუალებას, გონება მოეკრიბა და სამოქმედო გეგმა შეედგინა სამერმისოდ, თავისთვის.

მიჰყვებოდა უკვე განიერ თემშარას, უხაროდა, რომ მისმა დიპლომატიამ გასჭრა და ასე მიამიტად წამოაცდინა ეს ამბავი ნუნუს.

მხოლოდ ახლა მოაგონდა: როცა პროკურორი ხიდაშელი გაწბილებული ბრუნდებოდა ყვარელში, მას წამოცდა თედოსთან საუბარში (გოდერძის თანდასწრებით):

„მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ამხანაგო თედო, თითქოს ამ ქალს ვიღაც უყვარს თქვენს ბერმუხაში. მან კარგად იცის თავდამსხმელის ვინაობა, მაგრამ არც ის ავიწყდება, ეს რომ გასთქვას, მისი შეყვარებული თავს გამოიდებს და ეს ყოველივე სისხლისღვრით დამთავრდება.

ჩემთვის ცხადია, რომ ამ სოფელში გადამთიელი არ მოვიდოდა ასეთი ხულიგნური საქციელის ჩასადენად. ხომ შესაძლოა, სხვა ვინმესაც უყვარდეს ეს გოგონა ამ სოფელში?

ჩემი აზრით, თავდამსხმელი ვინმე უნუგეშოდ გამიჯნურებულია, და არა ის სპეკულანტი კობერიძე, რომელსაც გამბედაობა არც ეყოფოდა ასეთი რამისათვის.

საკარაუდო არ არის, ის მოხულიგნო შოფერი კახკრე, რადგანაც იგი თავადაც უჯირაულია გვარად. და როგორც ცხობილია, თუში წმიდად ინახავს გვარისმიერ ნათესაობას.

მე ბარე ათიოდე წლის იურიდიული პრაქტიკა მაქვს, ამაზე უფრო სერიოზული და დაბურდული საქმეები გამიხსნია. მაგრამ აქ დავმარცხდი, რადგან თავათ იგი, ვისაც თავს დაესხნენ, არ იძლევა.

ან ვერ იძლევა გულმართალ ჩვენებას და ამან ხელი შეუშალა ძიებას.

ხელშემშლელი იყო ძიებისათვის ის გარემოებაც, რომ უჯირაულთა გვარი, მე არ ვიტყოდი — გვარი, არამედ [illegible] გვარში, განგებ ხელს აფარებდნენ ხელმყოფელს [illegible] ნე, რომ შავსოფლის კომკავშირელი ახალგაზრდობა კოლმეურნეობის ფართობზე იყო იმ დღეს. ხოლო შინ დარჩენილმა ბებრებმა განგებ არ მოგვცეს სწორი ჩვენება".

პროკურორის ნათქვამი ახლა სულის სიღრმეში ჩასწვდა გოდერძის. ერთი პიროვნ კიდევაც ლამობდა ხიდაშელისათვის გაემხილა, რომ კანკრე უჯირაულთა შეილობილია და არა მათი სისხლისმიერი თვისტომი.

მაშინ მთლად დარწმუნებული არ იყო, სახელდობრ კანკრე თუ იყო თავდამსხმელი, ახლა უკვე უკადრის საქმედ მიაჩნდა ამის გამხელა, რადგან, უწინარეს ყოვლისა, საჭიროდ სთვლიდა თავათ ეკისრა ანგარიშის გასწორება კანკრესთან.

ახლა ამ ნათელ ღამეში ჩაისახა გოდერძის გულში ასეთი ბნელი განზრახვა: სამაგიერო მიეზღო კანკრესთვის.

მიდიოდა, ფიქრობდა, მაგრამ თავათ არ იცოდა, როგორ მოეყვანა სისრულეში იგი...

•

სამშაბათს ნუნუ მართლაც მოვიდა სანერგე ფარდულში. განუზომელად გაიხარა გოდერძიმ. უკანასკნელი დღეების ტანჯვას რაღაც უცნაური სათნოების იერი მიენიჭებინა მისი მშვენიერი სახის ნაკვთებისათვის.

იგი ოდნავ დარცხვენილი სჩანდა, მაგრამ მაინც ამჟღავნებდა იმ შეუდრეკელობას, რომელიც თან ახლავს ხოლმე მორალურად მტკიცე და შეუბღალავი ადამიანების გამომეტყველებას.

გული ეტკინა გოდერძის: რად ესაჭიროებოდა ბედისაგან ისედაც დაჩაგრულ უბედურ გოგონას ასეთი უხეში შეურაცხყოფის მიღება.

გულით მართალი ადამიანები მაშინაც იხვეჭენ ბრწყინვალების ახალ შარავანდს, როცა ისინი უმართებულო შევიწროების ახალ იერიშს აიტანენ ხოლმე.

. . . . . .

გოდერძი ხალისიანად მუშაობდა იმ დღეს, თავაზიანად ეპყრობოდა დიდსა და მცირეს. მან ისიც იგრძნო, წინა დღეს ოდნავ უხეშად რომ მოექცა ლალბაწას.

დასვენების დროს ბოდიშიც მოუხადა:

„შენ არაფერი გეწყინოს, ჩემო ლალბაწა, მე ოდნავ მეტად მოგექეცი გუშინ, მაგრამ მერწმუნე, ამის მიზეზი ჩემი ავგულობა როდია, არამედ საერთო საქმისადმი სიყვარული.

შენ თავათ განსაჯე, ლალბაწა, პარტია ჩემგან მოითხოვს ხელოვნურად ვიდგე ჩემს პოსტზე, ყველას მოვთხოვო თავდადებული შრომა.

განა მე რა პოსტი მაქვს ისეთი სახარბიელო, შენსავით რიგითი მუშაკი ვარ, სხვა არაფერი. და პარტია მოითხოვს არა მარტო ჩემგან, არამედ ყოველი ჩვენთაგანისაგან, რათა პატიოსნურად ვიშრომოთ.

ამასვე მოითხოვს ჩვენი ქვეყნის, ყოველი ჩვენთაგანის კეთილდღეობა. საათის ბორბლები ხომ გაქვს წარმოდგენილი“...

ეს უთხრა გოდერძიმ, თავისი საათი ამოიღო, უკანა ხუფი ახსნა და აჩვენა ლალბაწას კბილანებიანი პაწია ბორბლები, რომელნიც ურთიერთზე მჭიდროდ მიბჯენილნი მარჯვედ ბრუნავდნენ და ერთობლივად წიკწიკებდნენ.

„მე არამცდაარამც შენზე მეტად მჭევრმეტყველი და ჭკვიანი. არა ვარ, ჩემო ლალბაწა, შენ ნაადრევად გაგერია ქაღარა, თორემ სამოდე წლით თუ იქნები ჩემზე უფრო ხნიერი.

მაგრამ ამას გეუბნები — აი ასე უნდა ტრიალებდეს და ბრუნავდეს ჩვენი კოლექტივი: როცა ერთი დაიძვრის და ამუშავდება, მეორესა და მესამეს უნდა წამოედოს და ასე ამოძრავდეს და ამუშავდეს მთელი მექანიზმი.

თუ ამ ბორბალთაგანი თუნდაც ერთი შეჩერდა და არ ამოძრავდა, ეს სხვასაც უმოქმედობაში მოიყვანს, ხომ ასეა, ჩემო ლალბაწა?!

მართალია, მე წუხელ უხეშად მოგექეცი, გაწყენინე კიდევაც, მაგრამ მერწმუნე, ამას ედო საფუძვლად არა ყოყოჩობა, არამედ საერთო საქმისადმი, ჩვენი კოლექტივისადმი სიყვარული.

აქ იგივე ამბავია, რაც ამ პაწია ბორბლების ურთიერთთან შეხლას იწვევს, სხვა არაფერი.

მეც, ისე როგორც შენ, ან სხვა ვინმეს ჩვენთაგანს, მრავალი ნაკლი მაქვს, ერთი მათგანია უხეშობა.

თუ ოდნავ უხეში ვარ, ეს იმიტომ, რომ უსასტიკესი ცხოვრება მქონდა სიყრმიდანვე“.

ლალბაწა უცნაურად შესძრა მონასმენმა, გაიღიმა, თავისი შეუდარებელი თეთრი კბილები გამოაჩინა, კეფა მოიფხანა და მიუგო:

„ეგ არაფერია, გოდერძი, შენ რომ მაწყენინე: მე არც ისე რეგვენი ვარ, კაი გულით ნათქვამი მწარე სიტყვა ცუდი განზრახვით

წარმოთქმული ფლიდობისგან ვერ გავარჩიო. მაგრამ თქვენ, კომუნისტები, მუდამ იბრძვით, მუდამ მუშაობთ და სხვებსაც არ ასვენებთ.

ჩვენი გაზეთები სულ ამას სწერენ: ვიბრძოლოთ ბერიასთვის, ვიბრძოლოთ ბამბისთვის, ვიბრძოლოთ ყურძნის [illegible] სულ ვიბრძოლოთ და ვიბრძოლოთო...

ამასობაში ცხოვრება თვალსა და ხელს შუა გაგვეპარება. მე ნიჰური როდი ვარ, მომწყვიტონ და ხელახლა ამოვიდე. თოხნა კი საქმე რომ იყოს, ძველ თავადებს თოხის ტარამდის ჩვენ მივასწრებდით?

პაპაჩემს წელკავი დამართნია თურმე ვაჩნაძიანთ ვენახში მუშაობისას, ამავე ცხრამუხაზე დასნეულებულა ის უბედური.

როცა ბერმუხის ქვეშ ცეკას წარმომადგენლებმა თათბირი გამართეს ცხრამუხაზე ვაზნარების მოწყობის შესახებ, პაპაშენმა, მიქელამ, და აბრია უჯირაულმა ერთი რამ არა თქვეს. შესაძლოა, მათ მეხსიერებამ უღალატა და მიტომაც არა თქვეს.

მე კი ერთ ამბავს გეტყვი: გენერალ ვაჩნაძისეული ვენახი დაიღუპა არა მარტო ღრაჭას მეოხებით. მთელი სოფელი დაიმშა იმ წლებში, დიდი გვალვა იყო თურმე, ჯეჯილები და საძოვრები გადაბუგა სიცხემ, აგვისტოში სეტყვა მოვიდა ყვავის კვერცხის სისხო, კაცს არ მოსწრებია, ისეთ საშინელ უდაბნოდ აქცია თურმე მთელი კახეთი.

დამშეული ხალხი ტყეში დაძრწოდა, ღოლოს, კუნელსა და კურკახტელას დაეძებდა გამწარებული...

მოსავალი დაიღუპა, მერე მიადგნენ ეს დამშეული გლეხები გენერლის ვაზებს და წოვა დაუწყეს ღამღამობით"...

გოდერძი გაოცდა. ასეთი რამ მას თავის სიცოცხლეში არ გაეგონა. ამიტომაც საუბარი შეაწყვეტინა ლალბაწას:

„რას ამბობ, კაცო, როგორ? ვაზს სწოვდნენ? ან როგორ უნდა მოეწოვათ ვაზი? რას მეუბნები, ლალბაწა, ვის გაუგონია ასეთი რამ?"

„მომითმინე და გაიგებ. თუ გინდა, ახლავე გამოვცადოთ, აი ამ ვაზის ლერწი გადავჭრათ, პირში ჩაიდევი, მოსწოვე და ნახავ, შაქარივით ტკბილი წვენი გამოდინდება მისგან.

ასე და ამგვარად, დამშეული გლეხები დაესივნენ თურმე გენერლის ვაზნარს, ქალი და კაცი, მოხუცი და ბალღი შეიპარებოდნენ ვენახში და სწოვდნენ ვაზს.

თავად ვაჩნაძესაც, როგორც სხვა დიდ თავადებს, ლეკები ჰყოლიათ მცველებად.

ეს ლეკები ჩაუსაფრდნენ თურმე ხალხს და ბევრი დახოცეს. პაპაჩემიც მოუკლავთ ვაზის წოვისას.

ჩემი დიდედა მის დარდს გადაჰყოლია. არც ჩემს მშობლებს უცხოვრიათ დიდხანს. ობლად დარჩენილი სამოწყალოდ გამზრდიდნენ ბიბლიოთეკა
რდივართ მეზობლებს მე და ჩემი ძმები.

სამი ძმა უკანასკნელ ომში დავკარგე. მე მარტო დავრჩი იმ დაფეხვილ ქოხში, რომელშიაც შენ და თედომ არც იკადრეთ გუშინ შემოსვლა".

ეს სიტყვები ტყვიასავით მოხვდა გოდერძის გულში და შეარხია იგი, მაგრამ მოითმინა და საუბარი აღარ შეაწყვეტინა ლალბაწას:

„მე ცოლი არ შევირთე, აბა ვინ წამოჰყვება ჩემისთანა უბედურსა და უმექონოს, შვილი არ მაწუხებს და ძირი. სამი მადევარი ძაღლი მყავს და მათ ვუვლი.

ორიოდე პარასკევი დამრჩენია ამქვეყნად, ვისთვის ან რისთვის ვიბრძოლო?

ამიტომაც არ ვეძალები ამ გაძაღლებულ წეთისოფელს, თუ სადმე ღვინო მოვახელე, ვსვამ და ამით ვახარებ ჩემს გულისშიას".

გოდერძი შესძრა ლალბაწას ნათქვამმა, მაჯაზე წაავლო ხელი და უთხრა:

„უპირველესი შენი შეცდომა ისაა, ჩემო ლალბაწა, რომ შენ რევოლუციის მეორე ათეულ წელშიაც კიდევ ვერ მოგიშლია სიტყვები: „თქვენ, კომუნისტები" და „ჩვენ, უპარტიოები".

ჩვენს პარტიას სხვა მიზანი არა აქვს, თუ არ აღორძინება ჩვენი ქვეყნისა და ამ მუშაობაში პარტიული და უპარტიო მასების ჩაბმა.

თავათ დაუფიქრდი იმას, რაც წელან სთქვი.

ჩვენი კოლმეურნეობა თუ ხვალ-ზეგ მოწინავე, მილიონერი კოლმეურნეობა გავხადეთ, როგორ გგონია, ეს ყოველივე მარტო კომუნისტებს მოხმარდება, თუ ჩვენ ყველას, განურჩევლად იმისა, პარტიული იქნება რომელიმე ჩვენთაგანი თუ უპარტიო?

შენ ხომ შვილიშვილად ერგები პაპაჩემს, მიქელას, როცა ამ უსინათლო ბერიკაცმა გაიგო, რომ ჩვენმა ტრაქტორისტებმა და ექსკავატორებმა აითვისეს ცხრამუხის ზეგანი, მან სთქვა:

გენერალ ვაჩნაძეს ტრაქტორებს ვინ მიაშავებდაო, ან ჩვენს საწყალ ბერმუხელებს ტრაქტორების მოყვანის საშუალება სად ექნებოდათო.

თუ ჩემი უსინათლო პაპა ამას მიხვდა, შენ რა მოგდის, ლალბაწა? შენ თავათ განსაჯე, ლალბაწა, რა უნდა ჩვენს პარტიას და ხელისუფლებას?

მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მტრების დამხობა და ჩვენი ხალხის ბედნიერება. ჩვენს მთავრობას ის უნდა, რომ ჩვენი ბედნიერება გამდიდრდეს, იმდენი დოვლათი მოიმარაგოს, გვალვის, სატყვისა და სხვა უბედურობის დროს ვაზის წოვა აღარ დასჭირდეს, ხომ სწორია, რასაც გეუბნები?"

„სწორია, წყალი არ გაუვა", მიუგო ლალბაწამ და გაიღიმა.

„შენ ამბობ, შვილი არა მყავსო და ძირი. ნუ გეწყინება, ჩემო ლალბაწა, და ეგეც შენი ბრალია.

მაპატიე, ხნით უმცროსი რომ გიბედავ ასეთ რამეს: მოეშვი ღვინის სმასა და ბედოვლათობას, ოჯახს მოეკიდე და ყველაფერი კარგად იქნება.

ღვინოს მეცა ვსვამ, მე თავათ არ მიყვარს ის მამაკაცი, რომელიც ღვინის ნაცვლად კამფეტებს ეტანება, მაგრამ ღვინის სმას დროს შერჩევა უნდა და კიდევ ერთი რამ — ზომა.

მოიგონე, როგორ დაღუპა ლოთობამ ის უბედური გობრონ უჯირაული, ეს კიდევ ცოტაა: იდიოტი შვილი დასტოვა ამქვეყნად.

შენ არა ხარ მართალი, ლალბაწა, თითქოს მე და თედომ არ ვიკადრეთ შენს ქოხში შემოსვლა:

ჯერ ერთი, ორშაბათს, გახურებული შრომის დღეს, ვის გაუგონია ღრეობის გამართვა. გარდა ამისა, ის შენი მეგობარი კანკრე ისე უდიერად მომექცა, თედოს ხათრით, შენი ოჯახის ხათრით, მოვითმინე, თორემ გავასილაქებდი მას".

„შენ აქაც მართალი ხარ, გოდერძი". სთქვა ლალბაწამ და გაიღიმა თავისი კაიკაცური, მართალი ღიმილით.

გოდერძიმ ისევ წაავლო მაჯაზე ხელი ლალბაწას, თითქმის ჩურჩულით უთხრა:

„მე გირჩევ, ლალბაწა, ამხანაგურად, ძმურად, ჩამოსცილდე მაგ კანკრეს, ქალაქში გახულიგნებულ ახალგაზრდას, რომელსაც ცუდი თვალით უყურებენ აქ. ახლა ერთ რამესაც გეტყვი ამხანაგურად, ლალბაწა. ყოველ ადამიანს აქვს მიდრეკილება სიზარმაცისადმი, შრომა ერთ რამეში ჰგავს ღვინოს, თუ ერთხელ გაუგე გემო, მერე ვეღარ მოეშვები.

„ვგონებ, ამ საქმეშიაც მართალი ხარ, გოდერძი, არც მე მომეწონა გუშინ მისი ყოყოჩობა. სიტყვა მივეცი, ამ დღეებში სანადიროდ გაგყვები-მეთქი.

ხომ იცი, ვაჟკაცისათვის სიტყვა ოქროზე მეტად ძვირფასია. ამჯერად დანაპირებს შევუსრულებ, და თუ არ გამოსწორდა, მორჩა"...

ლალბაწას უკვე თოხი აღებული ჰქონდა, როცა გოდერძის მოეწადინა მისთვის ეკითხა: სანადიროდ სად მიდიხართო, ან როდის,

მაგრამ ნაკვეთზე თედო თარალაშვილი გამოჩნდა, გოდერძი ტანზე გაიხმო და ამცნო: რაიკომის მდივანი ციხისთავი სასწრაფოდ გვიხმობსო თათბირზე ყვარელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

•

გოდერძი მხოლოდ იმავე კვირის პარასკევს დაბრუნდა ყვარლიდან. ლალბაწასთან შემთხვევით გასაუბრებამ ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გოდერძის ცნობიერებაზე, რომ მან გადასწყვიტა თავათ დაეპატიჟებინა შაბათ საღამოს ლალბაწა და უფრო მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა მასთან.

აყვედრიდა კიდეც თავისთავს გოდერძი: „ამდენი ხანია ამ კაცს ვხვდები, ვებუზღუნებოდი, ვეჩიჩინებოდი, ვეძალებოდი, და ერთხელაც თავში არ მომსვლია უფრო ამხანაგურად, ტფილად მივდგომოდი მას და მისი ჭირვარამი გამეგო“.

ისევ მოაგონდა გოდერძის ამბავი იმ ალვის ხისა, რომელიც საავიაციო სკოლის ყაზარმების კართან იდგა სამ წელს და გვიან შეიცნო მისი შრიალი.

შაბათ დილას დიდხანს ეძია გოდერძიმ ლალბაწა, მაგრამ ეს უკანასკნელი ფართობზე არც კი გამოცხადებულა. სხვა ვინმესაც ეძებდა გოდერძი, სახელდობრ კანკრეს, რომლის გამომწვევმა საქციელმა-გასულ ორშაბათს ისე გააბრაზა იგი.

და განა მარტო ამისათვის, გოდერძის გადაწყვეტილი ჰქონდა დაემარტოხელებინა კანკრე და ნუნუს შეურაცხყოფის გამო მოეთხოვა მისგან პასუხი.

ნაკვეთზე არ აღმოჩნდა არც კანკრე, და არც გაგრია...

გოდერძის, როგორც ბრიგადირს, შენიშნული ჰქონდა: როცა რომელიმე ამ სამთაგანი სამუშაო დღეს გააცდენდა, ორი დანარჩენიც გაუჩინარდებოდა. ახლაც დარწმუნდა, რომ ისინი წასული იყვნენ სანადიროდ, ან საქეიფოდ. მერგოლურებს გამოჰკითხა და ზეიაც დაუმოწმეს: სამივენი გაუჩინარდნენო სადღაც.

შაბათ საღამოს, მუშაობის დასრულების შემდეგ, სოფლსაბჭოში მიმავალ გოდერძის ნიორთავა შემოეყარა.

გოდერძის უყვარდა ნიორთავა, ისე როგორც ორს, სხვადასხვა ბუნების ადამიანს უყვართ ხოლმე ერთიმეორე არა ხასიათისმიერი მსგავსებიდან გამომდინარე სიმპათიების, არამედ მათი სხვაობისაგან წარმომდგარ თვისებათა გამო.

გოდერძი ერთი მათგანი იყო, რომელნიც ამ ცხოვრებას განიც-

დიან. როგორც გმირულ დრამას; ასეთები შეწკიპული თოფის ჩახმახივით შემართულნი არიან მუდამ.

ამ დრამატული ბუნების საწინააღმდეგო პოლიუსზე დგანან ისინი, ვინც ამ ცხოვრებას კომიურ, სასაცილო ასპექტში [illegible]ბენ; ეს სხვაობა კაცთა ბუნების ორგვარობისა [illegible] სებით განსხვავებული ტემპერამენტის გამომჟღავნებას.

პირველნი მძაფრად განიცდიან ცხოვრებას, ხოლო მეორენი უფრო მსუბუქად.

გოდერძიმ ზოგი რამ იცოდა ნიორთავას — ამ უცნაური კაცის ბიოგრაფიიდან. იმასაც კარგად ამჩნევდა გოდერძი, რომ მეწისქვილე ნიორთავა ვაჟკაცურად ატარებდა საკუთარი ცხოვრების სიმძიმილს.

სულ სხვა რამ ხიბლავდა გოდერძის ნიორთავას ხასიათში, სახელდობრ ისა, რომ ნიორთავა ისე მსუბუქად და სხვებისათვის შეუმჩნევლად ატარებდა რაღაც უჩინარსა და გაუმხელელ წუხილს, და ამის გამო როდი შესჩიოდა გამვლელ-გამომვლელს იგი, მუდამ სიხარულითა და სიხალისით შენიღბული დადიოდა.

გოდერძი კარგად ამჩნევდა ამ ფაქტში ნიორთავას უბადლო კეთილშობილებას: მას არასოდეს ენა არ მოუბრუნდებოდა იმისათვის, რომ თავისი პირადი ძნელბედობის გამო შეეჩივლა მეგობრებისათვის და გუნება გაეფუჭებინა მათთვის. ამიტომაც ან სდუმდა, ან ხუმრობდა.

„როგორა ხარ, ჩემო ნიორთავა?“ ჰკითხა მეწისქვილეს გოდერძიმ.

„ყველაზე უკეთესად, ჩემო ბატონო“.

„რა კაი გუნებაზე ხარ, ჩემო ნიორთავა“.

„ამის მიზეზს ახლავე მოგახსენებ. ჩვენს წისქვილში, როგორც იცი, უამრავი ბუდე გაიშენეს მერცხლებმა. გუშინ რაიკავშირში დამიძახეს. წისქვილში ჩემი არყოფნის დროს მოსულან ვიღაც ანგალი ბიჭები, ერთი წყვილი მერცხლის სახლ-კარი დაურბევიათ.

გუშინ საღამოსვე შევნიშნე ეს ამბავი. დამნაშავენი არსად სჩანდნენ, თორემ ყურებს ავუწევდი იმ ყურუმსაღებს“, ნიორთავა შესდგა და გოდერძი შეეკითხა:

„მერმე რა მოხდა, ჩემო ნიორთავა?“

„როცა აქეთ მოვდიოდი, ასეთი რამ ვნახე: დედალ-მამალი მერცხალი მოფრინდებოდნენ ყოველ წუთს წისქვილში და თან მოჰქონდათ თიხა, თივა და ბუმბული, ხელახლა იგებდნენ ბუდეს. მე მომწონს ეს შეუდრეკელობა ისეთი უმწეო არსებისა, როგორიცაა მერცხალი.

თუ საწყალი, ყველას მიერ დაბრიყვებული მერცხალი ასეთი ვაჟკაცია, ჩვენ ხომ უფრო დიდი გმირები უნდა ვიყოთ და არასოდეს არ უნდა გავიტეხოთ გული".

გოდერძის გულიანად გაეცინა, ხოლო ნიორთავამ განაგრძო:

„თუ ეს უმართებულოდ აკლებული მერცხალი [illegible] აგებს თავის დარბეულ ბუდეს. შენ რაღას უყურებ [illegible]

მე რომ მწერალი ვყოფილიყავი, ასეთ იგავს ვეტყოდი ყველა ეცოლოებსა და უქმროებს:

გრცხვენოდეთ, ყმაწვილებო, ბუდეებს რომ არ იშენებთ! ცხოვრება უდიდესი ბედნიერებაა, და უნდა შეეცადოთ სხვებიც აზიაროთ ამ ბედნიერებას!"

„ეს ყველაფერი კარგია, რასაც შენ ბრძანებ, ნიორთავა. მაგრამ თავათ რატომ არ მოგვეცი ამისი მაგალითი?"

„მე ხომ შენისთანა ბედნიერი არა ვარ, გოდერძი. მე ისე მაგრად დამდალა ძველმა დრომ, ღამურად ვიქეცი და ამიტომაც შევეხიზნე ციხიწისქვილს: გეცოდინება, ღამურები ძველ წისქვილებსა და ძველ ციხეებს ეტანებიან ხოლმე".

გოდერძიმ გაიცინა, წასვლა დააპირა, ნიორთავამ ხელი დაადო მხარზე.

„ეს იგავი შენს გამოა ნათქვამი".

„ეჰ, მეც ისეთი მძიმე მემკვიდრეობა დამიტოვა ძველმა დრომ, ჩემო ნიორთავა"...

„შენ არა ხარ მართალი, გოდერძი, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს შენიანები, მაგრამ პაპა მიქელაც მოკვდება და არც საცოდავ მამიდაშენს უწერია გრძელი მზე, სიბერე ალბათ შენს თავზედაც ჩამოსთოვს ერთ მშვენიერ დღეს და ჩემსავით მარტო დარჩები.

ხოლო, რაც შეეხება მარტო დარჩენას, ჩემ მაგალითზე გახსოვდეს: მე ვერ ვიტყოდი, თუ რომელი სჯობია ამქვეყნად — მარტო სიკვდილი, თუ მარტო დარჩენა".

გოდერძის ენიშნა ნიორთავას იგავური საუბარი, მაგრამ ეჩქარებოდა და ისევ დააპირა წასვლა, გამომშვიდობებისას ცალყბად ჰკითხა მეწისქვილეს:

„თევზზე ხომ არ გინადირია ამ დღეებში, ჩემო ნიორთავა?"

„თევზი, როგორც მოგეხსენება, იმ თვეებში არ იჭმევა, როცა ბგერა „რ" არ ურევია თვის სახელში. გუშინწინ ბიჭები მეხვეწნენ — ირემზე განადირებთო, მაგრამ წისქვილი ვის ჩავაბარო?.

ალბათ გაიგებდი, რა მომივიდა მე ბედდამწვარს. ნათხოვარი თოფი მიმქონდა პატრონთან. ირემი შემომეყარა ფიქრებში წასულს, ოციოდე ნაბიჯზე შემომეფეთა ნადირი, ლამის იყო თავზე

არ გადამახტა, შენ რა გგონია, რა მომივიდა? მხარზე გადებული თოფი გადამავიწყდა და ქვებს დავუწყე ძებნა... ჰა, ჰა, ჰა!"

იცინოდა ნიორთავა.

„მერმე, მერმე?"

„მერმე და ირემი და ბედი ერთმანეთს ჰგვანან ერთ რამეში: ორივეს დროზე უნდა წაეტანო. ჰა, ჰა, ჰა!"

საუბარი მოათავეს და ერთიმეორეს დაემშვიდობნენ. გოდერძი მობრუნდა და მიაძახა მეწისქვილეს:

„ვინ ბიჭები გეპატიჟებოდნენ სანადიროდ, ჩემო ნიორთავა?"

„კანკრე, გაგრია და ლალბაწა".

„საით წავიდნენ, თუ იცი?"

„ვგონებ, აბაშის ციხისკენ. მეტყველეს ჩამოუტანია ამბავი, დურუჯის ხეობას მიჰყოლიაო ირემი", მიუგო ნიორთავამ.

•

გოდერძიმაც ასე ივარაუდა: ბერმუხიდან გაქცეულ ირემს სხვა გზა არა ჰქონდა, დურუჯის ხევს აჰყვებოდა, — მისი მდევრებიც ამ ხეობით იქნებოდნენ წასულნი...

წინა ღამეს გოდერძიმ ხელაანთ ვანოს, თავის სიყრმის მეგობარს, გაანდო თავისი განზრახვა. ხელაანთ ვანო დიხჯი და უძრავი გულის კაცი იყო. უცნაურად აღშფოთდა, როცა კახკრეს ოინები გაიგო.

„აფსუს, იმ ღამეს გაგვექცა მე და ნიკას, თორემ ნამჯასავით გავჯეგავდი მაგ ხულიგანს. ესღა აკლდა ისედაც ბედისაგან დაბრიყვებულ ობოლ ქალს".

„არაფერია. მე მას ვასწავლი ჭკუას", სთქვა გოდერძიმ.

„იცი, გოდერძი, საწყალ მამაჩემს ერთი უხიაგი კვიცი ჰყავდა არ იქნა და ვერ გახედნა ცხენი. ბოლოს ხურჯინი გაავსო რიყის ქვით, აჰკიდა ამ კვიცს, თავათაც ზედ შეაჯდა, შეაგელვებდა ალაზანში, ატარებდა ალმა და დალმა, სცემდა ცხვირპირში, ბამბასავით გახადა ის გიჟი კვიცი.

მერწმუნე, მაგ უბედურ კანკრეს იგივე მოელის, მას თავათ ცხოვრება ასწავლის ჭკუას".

რა დარწმუნდა ვანო, რომ თავისას არ იშლიდა გოდერძი, თან წამოგყვებიო, უთხრა. გოდერძიმ ეს ითაკილა.

მაშინ ხელაანთ ვანომ შესთავაზა მამისეული თუშური ცხენი, მუხლმაგარი და მთებში ნავალი. ოღონდ მათრახს შეჩვეული არაა, ეს დააბარა.

ჯერ კიდევ ჩრდილები იწვნენ დურუჯის ხეობაში, როცა გზას დაადგა გოდერძი. კავკასიონზე დახერგილ ქედნისფერ ლრუბლებს ნელ-ნელა უთეთრდებოდათ კიდეები. მათ ქვემოთ, [illegible] ბიამნისფერ მთებზე ბნელს მოეხაზა ნაძვების წვეროკინები, გოდერძის ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა: გოლიათური საჩეჩელები დაუდგამთო ზედ. თოვლივით თეთრი ნისლის ფანტელები დაფოფინებდნენ თავს ამ საჩეჩლებს.

ჩაბნელებულ ხეობაში ისმოდა მარტოხელა ცხენის ფლოქვების ტკაპუნი. სერები, ბორცვები, კორდები მორიგეობით ცვლიდნენ ერთიმეორეს.

დურუჯი მოხტოდა ხავსმოდებული ლოდების ტერასებზე. ჩქეფდნენ და ჰქუხდნენ ლანქერებისგან ამღვრეული ტალღები, მოჰქონდათ გამურული მორები, რომელნიც შორიდან დევების ლეშებს მიაგავდნენ.

ჯერ მწკრივად მოათრევდა დურუჯი მათ, მერმე შემოუტევდა ერთს, ზედახორად ერთმანეთზე მიახერგავდა და ისე გადაჰყრიდა მორევში, კაცს ეგონებოდა ოთურმას თამაშობენო გზადაგზა ეს მორები.

სულ ალმა და ალმა მიჰყვებოდა გოდერძი ხეობას. კაცის ჭაჭანება არსად ისმოდა, დაჭრილ ავაზასავით ღმუოდა დურუჯი და დუქმორეული ლოშნიდა დალმეჭილ კლდეებს.

მსუბუქი ორთქლი ასდიოდა აქაფებულ მდინარეს, ტინიან ქარაფებიდან ზანტად დგებოდნენ ორბები, ჯერ ალმა მიიწევდნენ შეჟრუნებულ ცისკენ და ცაში აჭრილ ნაძვებს რა გასცდებოდნენ, ირაოს გაჰკრავდნენ ჩრდილოეთისაკენ, სადაც ნაძვნარის საჩეჩლებზე გაწოლილიყვნენ ბამბისფერი ღრუბლის ფრთილები.

ასე იარა მთელ საათს გოდერძიმ, ცხენი ფრუტუნებდა და ქშინავდა, კისერი წაეგრძელებინა სადავემიშვებულს, ზედმჯდომის უკითხავად მიიკვლევდა ალმართში გზას.

გოდერძის შეეცოდა ცხენი, დაქვეითდა, სადავე გადაუგდო ტახტაზე, წინ მიჰყვებოდა მას. სტკბებოდა გარინდებული ნაძვნარის ჰვრეტისაგან.

მზეწვია იძახოდა სადღაც, გაზაფხული ზეიმით შეჭრილიყო ამ ძერასფერი კლდეების კარიბჭეებში. თვალშეუდგამ ქარაფებზე ალმართული მტუტისფერი ლოდები ისე შესხდომოდნენ ურთიერთს, ცას შებჯენილ ციხე-კოშკებს მიაგავდნენ ისინი.

ცხენის ფრუტუნი შემოესმა გოდერძის. ბილიკი დაბურულ

ნაძვნარში შედიოდა. ცხენის ფრუტუნს ფლოქვების ტკაპუნი მოჰყვა, ბოლოს გაისმა ხეობაში უცხოური სიტყვა თუ შეძახილი.

გოდერძი მოსახვევთან პირისპირ წააწყდა ტანმორჩილ, ჩოხიან კაცს, რომელსაც პატარა ცხენი დასადავებული მოუყვებოდა.

შავი სატევარი წელზე ეკიდა ამ კაცს, თავზე ალისფერი [illegible]ხი ეხურა. მოკლე ფეხებზე ჭრელჭრელა პაჭიჭები ეცვა, პაჭიჭებს ქვემოთ აგრეთვე ჭრელჭრელა მთიულური ჩითები.

გუნებაში გაეცინა გოდერძის, ამ დალეულმა კაცმა ასეთივე დაჩიავებული ცხენი სად ნახაო: ცხენს კი არა, ბალღების სათამაშოდ გაკეთებულ ცხენჯოხს მიაგავდა იგი.

მხედარს ჭრელი ხურჯინი ეკიდა უნაგირის ტახტზე. გოდერძის გაეხარდა ადამიანთან შეყრა ამ გაველურებულ სანახებში.

ვინაობა და სადაურობა ჰკითხა უცხოს.

ეს მგზავრი ლეკი აღმოჩნდა. სანდომიანი სახე ჰქონდა და ეჩოსავით წინ გაშვერილი მწითური წვერი. კაჭკაჭის ბუდესავით აბურძგვნილ ფაფახს ქვეშ ხალისიანად ციმციმებდნენ მისი ცისფერი თვალები. ღიმილის დროს თოვლისფერ კბილებს აჩენდა.

მგზავრი ქართულს ამტვრევდა, წარამარა ხმარობდა სიტყვაში „კაცოს“, მაგრამ ამ სიტყვის ნაცვლად „კასოს“ ამბობდა.

გამოირკვა, რომ ეს ლეკი ორი დღის წინათ გადმოსულიყო დაღესტნიდან, აბაშის ციხესთან გაეთია ღამე.

მონადირეები ხომ არსად შეგხვედრიაო, შეეკითხა გოდერძი ლეკს.

მონადირენი არსად შეხვედროდნენ, მაგრამ სამი მადევარი ძაღლი შემოჰყროდა გზაში.

„რა ფერისანი იყვნენ ის ძაღლები?“ შეეკითხა გოდერძი ლეკს და პაპიროსი მიაწოდა.

ლეკმა პაპიროსი გააბოლა, გამოკითხვის შემდეგ გოდერძიმ გაიგო: ერთი ჭრელი იყოვო, ერთი შავი და ერთიც ყვითლად დაწინწკლული.

გოდერძის ენიშნა ეს ამბავი. ასე დაასკვნა: ესენი უთუოდ ლალბაწას ძაღლებიაო.

გოდერძიმ ისევ ამოიღო სათუთუნე, ხელახლა მიაწოდა პაპიროსი ლეკს, გაუმეორა კითხვა: მაშ მონადირენი არსად შეგხვედრიაო?

„ხო გებნები, კასო, არ მინახავს“, მიუგო ლეკმა, ბოლოს დაბძინა: მონადირე თვალით არ მინახავს, მაგრამ მთაში რამდენჯერმე გავიგონეო სტვენა და მადევარი ძაღლების ყეფა.

„სად და რა ადგილას გაიგონე სტვენა და ყეფა?“

ლეკმა სთქვა:

ამ დურუჯს მიჰყევი ცოტა ხანს, მხარმარცხნით ერთი ნანგრევია ძველი ეკლესიისა, დურუჯი მარჯვნით დასტოვე, აჰყევი აღმა მიმავალ საცხენე ბილიკს, იქ დახრამული ტაფობია ერთი და ამ გავაკებაზე გორაკი დგას; ამ გორაკზე ნაციხარია; სწორედ ამ ნაციხარის მიდამოში შესმოდაო ძაღლების ყეფა და მონადირეების სტვენა.

მოუთმენლობამ შეიპყრო გოდერძი. ლეკი მძიმე-მძიმედ ლაპარაკობდა, ქართულ სიტყვებს ძლივს უყრიდა თავს, ხელებს იშველიებდა ლაპარაკის დროს, წარამარა ამბობდა „კასო“.

გოდერძიმ უკანასკნელად შესთავაზა პაპიროსი ლეკს, შეეკითხა რა ჰქვიაო იმ ციხეს?

„არ ვიცი, კასო“, მიუგო ლეკმა. ბოლოს გამარჯვება უსურვა გოდერძის, ცხენს მოაჯდა და შეუდგა დაცერებულ აღმართებს.

ერთი საათი კიდევ იარა გოდერძიმ დურუჯის ხეობაში და მართლაც წააწყდა ეკლესიის ნანგრევს, სუროთი დაბურულს.

ისევ შეუდგა ბილიკს, მაგრამ გზა ისე დახერგილი იყო ლოდებით, გოდერძიმ დაქვეითება არჩია. ორბები უკვე აღარ დგებოდნენ არც ცხენის ფლოქვების ტკაპუნზე, არც მისი მხედრის გამოჩენაზე. გადამხმარ ფიჭვებზე ისხდნენ ისინი და აბრიალებდნენ გაავებულ თვალებს.

ერთი ბებერი, სავსებით თავმოტვლეპილი კრავიჭამია ორბი იჯდა, დანგრეული ეკლესიის სამრეკლოზე, კისერს იღრეჯდა ზეაწეული ცალი მხრისაკენ და არხეინად იქექებოდა ფრთის ქვეშ.

გოდერძის ღიმილი მოჰგვარა ამ ბებერი ორბის სითამამემ. რევოლვერი ესროლა და კრავიჭამია ნიყვივით დაენარცხა მიწაზე.

ვიდრე გოდერძი მომაკვდავ ორბთან მიაღწევდა, ფიჭვნარიდან გამოვარდა შავი ძაღლი და ეცა სულთმობრძავ მტაცებელს, რომელიც გაავებული სცემდა მიწაზე თავის ძალოვან ფრთებს და უმწეოდ აღებდა სისხლიან ნისკარტს.

გოდერძის გაეხარდა ამ ძაღლის დანახვა, რადგან იცნო ლალბაწას ერთ-ერთი ძაღლი.

გათამამებული ძაღლი წაეტანა სულთმობრძავ ორბს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ისე ჩასცხო ნისკარტი ქედზე, აწკმუტუნებული მყეფარი ისევ ფიჭვნარში შევარდა.

გოდერძი შეაწუხა ამ ამბავმა, ისევ მოაჯდა ცხენს და მიჰყვა ფიჭვნარში მიმავალ საცხენე გზას.

ამ ფიჭვნარის გალმა-გამოღმა კლდეები იყო აღმართული. გოდერძი ხედავდა — ძლიერ უჭირდა ცხენს: ლოდებით დახერგილი

ბილიკი დასთმო, ფიქვნარში შეიყვანა დასადავებული ცხენი და მიჰყვა კლდესა და ფიქვნარს შორის დარჩენილ არეს.

თანაც უსტვენდა იგი, უძახოდა შავ ძაღლს, მაგრამ ჩამიჩუმი არსად ისმოდა, აღარსად სჩანდნენ ორბები, მხოლოდ ფამფარა ბუები ისხდნენ კლდის ქიმებზე და თვლემდნენ.

ერთ მღვიმესთან შედგა გოდერძი. რამდენიმე მეტრის სიღრმეზე შელეწილი იყო კლდე, უზარმაზარ ლოდზე იდგა მოყვითანო ქვისაგან გამოთლილი კუბო.

გოდერძი მიუახლოვდა მას, ქვის კუბოში ჩაიხედა, შიგ ესვენა გრძელწვივიანი კაცის ჩონჩხი, თავისი გრძელი ხელები ჯარისკაცსავით გაეშვირა აგრეთვე გრძელი ბარძაყების გასწვრივ.

კედელზე მიკრული იყო ორი, დაუანგული რკინის რგოლი. გოდერძი ხევსურეთში იყო ნამგზავრი, მთიულური სამარხი შეიცნო.

ცხენოსანმა რგოლზე მიაბა ცხენი, თავათ გავიდა სამარხიდან და მიჰყვა კლდის ძირში მიმავალ ბილიკს, რადგან ეს ბილიკიც ისე დახერგილი იყო, მაღლიდან ჩამოცვენილი ლოდებით, რომ არც მასზე შეიძლებოდა ცხენის გატარება.

ამ გზამ პირდაპირ გაიყვანა გოდერძი ვრცელ ტაფობზე, რომელსაც სამი მხრით გარს ერტყა ნაძვნარიანი კორდები, ხოლო შუაგულში ზეაწეულ გორაკზე ნაციხარი იდგა ავრეხით და კატაბარდით დაბურული.

ამ დალეწილ ბასტიონს თითქმის დაკავებული ჰქონდა მთელი ეს გორაკი, რომელიც თავისი მოყვანილობით ტრაპეციას მიაგავდა.

გოდერძი უკვე დაღლილი იყო, მაგრამ არ გასჭირვებია ამ ზეგანზე ასვლა.

კედლებშელეწილ ნაციხარში შეიხედა თუ არა, ნახა: ყვითელი იელით დამშვენებული იყო ეს გავერანებული მიდამო, წრიულად ამოსულ იელის ბუჩქებს შორის სავსებით მტუტისფერი ფიქალი ეგდო.

ამ ფიქალზე იწვა გემის ბაგირივით დაგრაგნილი მაისის გველი, გედის კისერივით ამაყად მზისკენ აეშვირა თავი, ასავსავებდა ციმციმა თვალებს...

გოდერძი დააკვირდა გველის თავს, ასე მოეჩვენა: თვალებიდან ალმასებს აფრქვევსო.

მის გარშემო ათზე მეტი წიწილები დასხმარტალებდნენ, კი არ დაცოცავდნენ, დაფრინავდნენ თვალმიუწვდენელი სისწრაფით, გარს ევლებოდნენ ცისკენ მოზეიმედ თავაწეულ დედას...

გოდერძი გაინაბა და დიდხანს უყურა ამ უცნაურ სანახაობას. მერმე შეეცადა ორიოდე ნაბიჯი ფრთხილად გადაედგა წინ, კიდევ

ერთხელ შეხედა საგაზაფხულო ექსტაზში მოსულ დედას და ვაზნების შვიდეული დაახალა გველების ოჯახს.

გოდერძი მივიდა მტუტისფერ ფიქალთან, დედაგველი საკუთარ სისხლში სხმარტალებდა, მხოლოდ ორიოდე წიწილას ეპოვნა თავშესაფარი ირგვლივ ამოსულ იელის ბუჩქებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლვერის გრიალის გაძლიერებული ეხო ჯერ კიდევ გაგრძელებულიყო ამ ვრცელ ტაფობზე, როცა ირგვლივ მოჯარული ნაძვნარიდან გამოცვენილი სამი ძაღლი ყეფით შემოიჭრა კედლებშემუსრული ნაციხარის ნანგრევებს შორის.

გოდერძი დააკვირდა მადევრებს: ერთი ჭრელი იყო, ერთი შავი და ერთიც ყვითლად დაწინწკლული.

იმ წუთშივე მოესმა შას ნაძვნარიდან სტვენა და მონადირის ძახილი „ჰოპ, ჰოპ“.

ძაღლები გაქანდნენ ჩრდილოეთისაკენ, საიდანაც დაჟინებული სტვენა და ხმობა მოისმოდა.

გოდერძი მიადგა დროის შემოტევას გადარჩენილი კედლის სათოფურს და ზვერავდა სწორედ იმ ნაძვნარს, სადაც წეღან ძაღლები გაუჩინარდნენ.

ჩრდილოს მხრიდან ბაიბური არ ისმოდა, მხოლოდ სამხრეთისაკენ მდებარე ქაჩალ გორაკზე, რომელზედაც მარტოხელა ფიჭვი იდგა, შავი ძაღლი შავ წერტილსავით მოჩანდა ფიჭვის ქვეშ და გამწარებული ყეფდა.

მალე მახლობელ ნაძვნარში გაუჩინარდა ისიც და სამარისებური სიჩუმე დამყარდა ირგვლივ.

ოციოდე წუთი სრული მყუდროება იდგა ამ ვრცელ ტაფობზე, ბოლოს გაისმა კანტიკუნტი ყეფა.

მხოლოდ მონადირეს შეუძლია განიცადოს ის მღელვარება, რასაც იწვევს მადევრების ყეფა და წკავწკავი, არც ძაღლი სჩანს სადმე და არც ნადირი, ერთს დაიყეფებს რომელიმე მათგანი, შეჰყეფს და დადუმდება, დგახარ და საკუთარი გულის ბაგაბუგი გესმის.

გარინდებული შესცქერი დადუმებულ ტყეს. ახლა მეორე და მესამე დაიყეფს, ისევ ჩამოვარდება ისეთი სიჩუმე, გამხმარი წიწვების მსხვრევასაც მისწვდება სმენა.

ბოლოს შეიყრებიან მადევრები ერთად და მყეფარების მხიარული მაყრიონი ზეიმით წამოიყვანს სახუნდარებში გატვრინული მონადირისაკენ ნადირს...

ასეთი ამბავი მოხდა იმ დღესაც. გოდერძი არ შორდებოდა სათოფურს. და როცა ატყდა ერთობლივი ყეფა და წკავწკავი, სმენად იქცა.

თითქოს ნაძვნარების რკალი გაირღვაო, თავდალმართში წამოვიდა ირემი საშინელი სისწრაფით და გულდაგულ უსწორო ნაციხარს. სამი ძაღლი ფეხდაფეხ მოსდევდა მას.

მხოლოდ ახლა აუხდა ნანატრი გოდერძის: იგი პირისპირ შესცქეროდა ამ მშვენიერ ნადირს, რომელიც თავგამეტებულად შორბოდა თავდალმართში.

ოციოდე ნაბიჯიც არ უკლდა მას ნაციხარამდის, როცა ჩრდილოეთით მდებარე ნაძვნარიდან გამოშვერილმა თოფის ლულამ იელვა მზვარეში.

თოფის ხმის ეხომ ორჯერ ზედიზედ დაიგრიალა მთელს ტაფობზე ირგვლივ, მუხლმოჭრილივით წამოიქცა ირემი და თავისი ლამაზი, ნესტოებდაბერილი დრუნჩით დაეცა მიწაზე.

სათოფურიდან მოთვალთვალემ ისეთი შთაბეჭდილება მიიღო, თითქოს კისერს გადაღმელი ნაწილი უკანა მხრიდან ზეწამოიწია და დააწვა ირმის მოგრეხილ თავკისერს.

გოდერძი უცნაურად შესძრა ამ სანახაობამ. იგი სწრაფად გამოვიდა ნაციხარიდან და თავზე წაადგა მომაკვდავ მშვენებას ტყისას.

ნესტოებიდან სისხლი წასკდა ირემს.

ახლა ისიც შენიშნა გოდერძიმ, თუ როგორ გათეთრდნენ მისი მშვენიერი, მოლიბრო თვალები, უკუშეიქცნენ ქუთუთოების ქვეშ და მარღია კამეჩის თვალებს დაემსგავსნენ.

ბოლოს თავისი მშვენიერი დრუნჩით მიწაზე დაწყობილი ცხოველი ნაციებსავით შეძაგძაგდა და რამდენჯერმე ძლიერად გაუსვა ჩლიქები ნიადაგს, თითქოს ეწადა: უკანასკნელად დაემჩნია მიწის პირზე თავისი აქ ყოფნის ტვიფარი.

განზე გახედვაც ვერ მოასწრო გოდერძიმ, პანიური ყვირილი შემოესმა. გაიხედა ჩრდილოეთისკენ, თოფშემართული კანკრე გაცოფებული მორბოდა თავდალმართში.

იგი სულ ახლოს მიეჭრა გოდერძის და ყვირილითვე შესძახა:

„ეს ირემიც ხომ არ გინდა მიითვისო, როგორც ჩემგან მოკლული ორბი მიიჩემე?"

გოდერძიმ მშვიდად მიუგო გაავებულს:

„ჯერ თოფი დადეგი ძირს, მერმე დავსხდეთ და ვილაპარაკოთ".

„თოფი რად მინდა შენთან, უთოფოთაც არ მეყოფი ერთ ლუკმად", დაიღრიალა კანკრემ.

„გირჩევ ტრაბახს მოეშვა, კანკრე".

კანკრემ თოფი მიწაზე დააგდო, ჯიქურ მიეჭრა გოდერძის და შემოუქნია თავისი გრძელი მკლავი, გოდერძიმ აიცდინა სილა და

ჩიღუკულმა ლეწა ისე ძლიერად, რომ კანკრე დაბარბაცდა და ცალი ბუხლი დაჰკრა მიწაზე.

ისევ ზეწამოიჭრა კანკრე, ეცა და ყვრიმალში გაარტყა ისე მაგრად, რომ გოდერძი შეჰქანდა და ლამის იყო წონასწორობა არ დაჰკარგა. ნაბიჯი წინ გადმოდგა გოდერძიმ.

„მაშ არ გინდა ჭკუაზე მოსვლა?“ ეს უთხრა და ბაკლარი ხელაქი ჩაასესხა კანკრეს.

კანკრემ აიტანა ეს სილაქიც, დაკოდილ ნადირსავით ისკუპა ადგილიდან და გოდერძის გაშლილი მკლავებით ქედზე ზედ დაბტომა მოუნდომა. მაგრამ ამ უკანასკნელმა თავის დაბლა დახრა მოასწრო და ისე ძლიერად უთავაზა ცხვირპირში თავური, რომ კანკრეს ტუჩ-პირიდან იფეთქა სისხლმა და პირალმა გაიშხლართა მიწაზე.

გოდერძიმ მუხლისთავი მკერდზე დააბჯინა და ბრძვიდად უთხრა:

„ახლა სულ სხვაგვარად მოგელაპარაკები, იცოდე. მე შენ ის ღვინის ვაჭარი კობერიძე ხომ არ გეგონე, დედალო?“

კანკრემ სისხლი ამოაფურთხა პირიდან და სთქვა:

„მე მართლაც დედალი ვარ, იმ ღამეს რომ არ გესროლე რეოლვერი ბერმუხის ქვეშ, როცა შენს ბოზს ჰკოცნიდი“.

„შენ კიდევ არ მოეშვები მაგ საცოდავ ქალს?! მე წაქცეულის ცემა არ მიყვარს, მაგრამ ეგეც შენ“, უთხრა და მიწაზე განრთხმულს კიდევ უთავაზა სილაქი.

კანკრე სიმწრისაგან ნაცემი ბალღივით ატირდა. გოდერძის სიბრალულის გრძნობა გაეღვიძა გულის სიღრმეში, სადღაც.

„ახლა ადექი და ხელი არ გააქნიო, იცოდე, თორემ გაჩვენებ, თუ როგორ უნდა სროლა“.

კანკრე წამოდგა, ჯერ ხელი ჩამოისვა ტუჩ-პირზე, მერმე სისხლიანი თითები შარვლის ტოტზე შეიწმინდა.

„დაჯექი“, უთხრა გოდერძიმ კანკრეს.

კანკრემ მიმოიხედა: ნაციხარიდან ჩამოცვენილი ქვები და ლოდები შორს არ იყო, განზე გაიწია, მაგრამ გოდერძი წინ გადაუდგა და უბრძანა:

„არა, აქ დაჯექი, მიწაზე“.

კანკრე დაემორჩილა ბრძანებას. საწყალობელი თვალებით ზეახედა გოდერძის და მიწაზე მოიკეცა.

ნაბიჯის ხმა მოესმა გოდერძის, დაღმართში ახმახი კაცი ჩამორბოდა, თოფი მხარზე ჰქონდა გადადებული.

გოდერძიმ ერთი განზე გახედა თოფიანს და კანკრეს უბრძანა, ხიშტი მოეხსნა ქამრიდან.

ჰიწაზე მჯდომარემ ესეც შეასრულა. გოდერძიმ მარცხენა ხელით გამოართვა გერმანული ხიშტი, რომელსაც ორივე პირი დანისებრ წამახული ჰქონდა.

„რა მოხდა?“ იკითხა ახლადმოსულმა. გოდერძიმ [illegible] ბაწა, რომელსაც მთლად ჭრელჭრელა, დაბებ[illegible] ჩაეცვა და ოჩოპინტრეს დამსგავსებოდა. ზურგზე დაკიდული ხბოს ტყავის გუდა უფრო აძლიერებდა ამ შთაბეჭდილებას.

გოდერძის მარჯვენა ხელი არ ამოუღია ჯიბიდან, ისე მიუგო ლალბაწას:

„მე ხომ გეუბნებოდი, ლალბაწა, ჭკუა დაგერიგებინა კანკრესათვის“.

ლალბაწა მიშტერებოდა კანკრეს დასისხლიანებულ ტუჩ-პირს.

გახევდა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ენის წვერზე დაიჭირა სათქმელი.

„ახია ჩემზე, დანახვის უმალვე რომ არ გესროლე თოფი“, სთქვა მიწაზე მჯდომარე კანკრემ, ლალბაწას მისვლით გულმოცემულმა.

„ლალბაწა, მოდი, თუ ძმა ხარ, და აქ მომიტანე კანკრეს თოფი“, უთხრა გოდერძიმ და მიწაზე დაგდებულ თოფზე მიუთითა.

ლალბაწამ მაშინალურად შეასრულა გოდერძის სურვილი. გოდერძიმ გადახსნა კანკრეს თოფი, ცარიელი ლულის თავები აჩვენა ლალბაწას და უთხრა:

„აი, ასე სტყუის მუდამ ეს უბედური კანკრე. მე კარგად მესმოდა, თუ როგორ ესროლა მან დუპლეტები ირემს წელან, ასე, რომ თოფი არა ჰქონდა დატენილი. სავაზნეებიც ცარიელი აქვს, როგორც ჰხედავ“, სთქვა და მიუთითა ლალბაწას კანკრეს წელზე შემორტყმულ სავაზნეზე.

ლალბაწამ სთქვა:

„თქვენ ორივენი ისეთი კარგი ვაჟკაცები ხართ, მე მგონია, არაფერი გაქვთ საჩხუბარი“.

„არა, შენ ცდები, ლალბაწა. კანკრე რომ კაი კაცი იყოს, მე მას აგრე არ გავიმეტებდი, შენ სიყრმიდანვე მიცნობ, ლალბაწა, აბა, თუ გაგიგონია, ვინმეს ასე მწარედ წავჩხუბებოდე, ან მეცემოს ვინმე.

მე არამცთუ ამხანაგს და ადამიანს, პირუტყვსაც არა ვცემ. ჩემს ძაღლს, მგელას, არ ვაკადრებ ცემას, მაგრამ ამ კაცმა გამომიყვანა წონასწორობიდან, ახლა მე თავათ ვწუხვარ, რომ ასე გავწირე კანკრე“.

კანკრეს ორივე ხელი დაედო მუხლისთავებზე. საკუთარ ხასხლ-ში ამოსვრილი მორჩილად იჯდა და ამბობდა:

„მე რა დაგიშავე, გოდერძი, ეს შენ გვეჩხუბებოდი და არ გკაძლევდი მე და ლალბაწას გასაქანს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდერძიმ ხმა არ გაიღო და ლალბაწამ სთქვა:

„მე ნამუსის ქვეშ უნდა ვთქვა, კანკრე, რაც ამას წინათ გვითხრა ჩემი ქოხის წინ გოდერძიმ, ყველაფერი მართალი იყო, წყალი არ გაუვა, ისე მართალი იყო.

რა უნდა ქნას გოდერძიმ? პარტია მას ავალებს, ისიც ჩვენგან მოითხოვს შრომას, სხვას არაფერს, არა?“

თავი ჩაჰქინდრა კანკრემ.

ახლა გოდერძიმ სთქვა:

„კიდევ კარგი, შენ რომ არ დამიკარგე სიმართლე, ლალბაწა. აბა თავათ განსაჯე, ლალბაწა, მე ხომ მუდამ ბრიგადირი არ ვიქნები, ხომ შეიძლება სხვაგან გადამიყვანოს პარტიამ, ან საერთოდ მომხსნას? განა ახალი ბრიგადირი არ მოითხოვს თქვენგან შრომას?“

„მართალია, წყალი არ გაუვა“, დაადასტურა ლალბაწამ.

„მერმე გადამეკიდა ეს კაცი, თუ გახსოვს, ორბი მოვკალი შემთხვევით, თედო და პროფესორი კორინთელი იქ იყვნენ, მომვარდა და დამაბრალა: ორბი მე მოვკალი და ორბის ნადავლი შენ მიითვისეო.

შენ თვითონ სთქვი ნამუსის ქვეშ, ლალბაწა, რა ჭირად მინდოდა მკვდარი ორბი, ან მის მიერ მომხრჩვალი ბატკანი?

მერმე ის იყო, ჩემს გამო გადაეკიდა იმ ობოლ გოგონას ნუნუს, წელან თავათ გამოტყდა, აფსუს, ბერმუხის ქვეშ რომ არ მოგკალიო.

ხულიგნურად თავს დაესხა საწყალ ქალს გზაზე, დანით დასჭრა. ხულიგნური თავდასხმისთვის ხომ ეკუთვნის მას სამი წლის ციხე, ხუთიც — ირმის მოკვლისთვის. ამას შეირგებს, მერმე თავათ განსაჯოს, თუ რა მოელის მას“.

ლალბაწამ კანკრესკენ გაიხედა და სთქვა:

„ამას წინათ მე გული გამიხსნა ამხანაგურად გოდერძიმ, ხომ გიამბობდი ამას ყოველივეს გუშინ. მე გადავწყვიტე, გოდერძის ვეძმო ამიერიდან, რადგან ის ცამდის მართალია როგორც ჩემს მიმართ, ისე შენს მიმართაც, უნდა გამოგიტყდე, კანკრე.

ახლა მე შენს წინაშე მაქვს ასეთი სათხოვარი, გოდერძი, აპატიე კანკრეს ეს დანაშაული, მეც მაპატიე, რადგან ირემი თუმცა მე არ შომიკლავს, მაგრამ ჩვენ, მონადირეებს, თუ ნადავლის გაყოფა წესადა გვაქვს, სასჯელიც უნდა გავიყოთ ძმურად.

თუ გვაპატიებ ყოველივე ამას, ჩვენზე ერთგული ძმა შენ არ

გეყოლება, შესაძლოა, მთავრობასაც დავუმტკიცოთ ერთგულება და თავგამეტება“.

გოდერძის გულს მისწვდა ლალბაწას ნათქვამი. მარჯვენა ხელი ჯიბიდან ამოიღო, კანკრესთან მივიდა და უთხრა:

„ვაქცაცური სიტყვა მოიტა, კანკრე, რომ ამ[illegible] წორდები“.

„ვაქცაცურ სიტყვას ვიძლევი, შენი ნათქვამი შევასრულო, გოდერძი“, სთქვა კანკრემ.

„ადექი!“ უთხრა გოდერძიმ და ხელი მიაშველა წამოდგომისას კანკრეს.

ლალბაწამ მოიხსნა ზურგიდან ხბოს ტყავის გუდა, ღვინო და საუზმე ამოალაგა. გაგრიამ მოუსწრო მხოლოდ პურმარილს, მდელოზე გაშლილს.

პირველი ყანწი აიღო ლალბაწამ და სთქვა:

„ეს გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას. ბელურა რომ ბელურაა, მასაც ძვირად ულირს თავისი სიცოცხლე. მეც ასე თუ ისე მაინც მიყვარს ჩემი გაძაღლებული სიცოცხლე, მაგრამ თუ საჭირო იქნა, გავწირავ ჩვენი ქვეყნისთვის.

გასულ ორბაშათს მიამბო გოდერძიმ, თუ რა უთქვამს პაპა მიქელას. თუ უსინათლო მიქელამ დაინახა, რა დიდ საქმეებს გვიკეთებს ჩვენი მთავრობა, მე და შენ რა ღმერთი გაგვიწყრა, კანკრე.

მე სიცოცხლის მეტი არაფერი მაბადია, რადგან, როგორც ბელურა, ისე მეც მხოლოდ ერთხელ მოვსულვარ ამ მშვენიერი მთების სილამაზით დასატკბობად, მაგრამ თქვენ დაიხსომეთ დღევანდელი ჩემი ნათქვამი, ძმებო, ჩვენს ქვეყანას რომ დასჭირდეს ჩემი საწყალი სიცოცხლე, მე უკან არ დავიხევ არასდროს“.

კანკრემ ჩამოართვა მოზვრის ყანწი ლალბაწას და სთქვა:

„არც მე დავშურავ ჩემს სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნისთვის“.

ახალგაზრდები ღვინოში შევიდნენ. გოდერძი არ სვამდა, კუჭის ტკივილი მოიმიზეზა. როცა საყოვლათწმინდო აიღო თამადამ, ირმის ყვირილი მოისმა სამხრეთით მდებარე ქაჩალ გორიდან.

იდგა ფურირემი და საწყალობელად ბღაოდა. სავსებით გაჭალარავებულმა, ძველმა მონადირემ, გაგრიამ განუმარტა ახალგაზრდებს: ბერმუხაში ჩამოხეტებული ხარი დაეძებდა თავის ფურს, ამიტომაც შესძრაო ყვირილით მთელი ბერმუხა. როგორც სჩანს, ამ სამი დღის წინად დევნა რომ დავუწყეთ ხარირემს, მას ამასობაში ფური გადაეყარაო.

კანკრემ ფიცი დასდო იმ დღეს, დედა შემერთოს ცოლად, თუ ამიერიდან ირემს თოფი ვესროლო.

ფურირემი იდგა ქაჩალ გორაზე მარტოხელა ფიჭვის ქვეშ და მის საწყალობელ ბღავილს დვრინვით უპასუხებდა უსახელო ციხის შემოგარენი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზმანებანი ნასმურევისა

ნიკო მირიანაშვილის სახლში პურობა მოთავებული არ იყო, ისე შემოიტანეს ტელეფონოგრამა: ციხისთავი საჩქაროდ გაიძახეს ყვარელს.

თამადამ ბრძანა და ცისთვალამ და მეზობლიანთ ლევანამ აივანზე გაშალეს ახალი სუფრა.

ამ აივნიდან როგორც ხელისგულზე, ისე მოსჩანდა ალაზანი, ხოლო მის გადაღმა კავკასიონი. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩრდილოეთით გადაეტიხრათ მალაქიტისფერ მთებს.

ბნელში დამხობილ მყინვარებს თეთრი ღრუბლების ყაბალახებით შემოეგრაგნათ ამაყად ზეაწეული თავები. აღმოსავლეთიდან მოდიოდნენ ღრუბლის ფრთილები, რომელთაც ხასხასა სიწითლე გადაჰკრავდა, კახური ხოხბების ნაკრტენს რომ გადასდის, სწორედ ისეთი.

კორინთელი მონუსხულივით შესცქეროდა ამ სანახაობას.

„შენ, ჰეი, მეოცნებევ, ხელადა გიცდის“, მოაგოხა თამადამ.

კორინთელმა ხმადაბლა უთხრა:

„გემუდარები, ძია ნიკო, მაკმარე, რაც დავლიე: კარგადაც რომ ვიყო, უხერხულია ჩემი მდგომარეობის კაცისათვის საზოგადოებაში დათრობა“.

„ეს ნადიმი შენთვისაა გამართული, პირიქით, უხერხული ის იქნება, შენ რომ არ დალიო შენს სახლში. ცოტა დალიე, მაინცდამაინც არ დაგაძალებ, შენმა მზემ“.

საქმე სულ სხვარიგად წარიმართა. კნეინა ვარამ თავისი ადგილი დასთმო, ადგა, საკმაოდ გრძელ სუფრას ირგვლივ შემოუარა და გვერდით მიუჯდა კორინთელს.

ძია ნიკოს არ ეამა ეს, ერთი გადახედა ამ დედაკაცს, რაღაც უსიამო რამ უნდოდა ეთქვა მისთვის, მაგრამ დუმილი არჩია.

ახლადმოსულმა ფრანგულად უთხრა კორინთელს:

„ეგებ არც თუ გესიამოვნათ ჩემი მოსვლა, მონ შერ ჟანდრ?[1].

„რასა ბრძანებთ, პირიქით“...

---

[1] ჩემო ძვირფასო სიძეო.

„ეჰ, ვინ იცის! მუსიო პროფესორ, თქვენ ევროპაში გაზრდილი კაცი ხართ, კარგად გეხსომებათ, ალბათ, ფრანგული კალამბური ერთი იეზუიტი ეპისკოპოსისა: „ლე მო სონ დონე, პურ კაშელე პანსე“[1].

„მე იეზუიტების სკოლაში არ გავზრდილვარ, [illegible] და არცთუ იეზუიტური კალამბურები მიჯდება ჭკუაში“.

„მე კი მგონია, მონ შერ ჟანდრ, ისინი, ვინც თქვენ გზრდიდნენ, იეზუიტებთან შედარებით ანგელოზებად გამოჩნდებოდნენ უთუოდ“.

„ამაოდ მიგინებთ ჩემს ძველ პროფესორებს. ისინი ჩინებული ადამიანები იყვნენ, პოზიტიურად მოაზროვნე მეცნიერები, რომელთაც ჭირის დღესავით სძაგდათ როგორც იეზუიტები, ისე ფაშისტები“.

„ნუთუ პოზიტიურად მოაზროვნე პროფესორები კიდევ დარჩნენ ევროპაში?“

„როგორც სჩანს, თქვენ გაზეთებს არა კითხულობთ“.

„მე უკვე აღარაფერს არა ვკითხულობ, მონ შერ ჟანდრ“.

„რათაო ვითომ, წაკითხვის ღირსად არა სთვლით ჩვენს დროში დაწერილს, ჰა?“

„ეგეც არ იყოს, საკითხავად სადა მცალია!“

„აბა რას აკეთებთ, მადამ?“

„მე რევოლიუციამ დამსაჯა, კოლმეურნე ქალების ტრიკოებს მაქსოვინებენ დადიანის ქალს“.

„ოჰო, მერე თქვენ ამას სასჯელად სთვლით? ჩვენი მთავრობის ადგილას მე ასეთ ლმობიერ სასჯელს არ გაკმარებდით“, ღიმილით უთხრა კორინთელმა ვარას.

„აჰ, ჰა, ჰა“, გულის გარედ ხარხარებდა შეზარხოშებული დედაკაცი და ზედიზედ აბოლებდა პაპიროსს.

„მამაჩემი ბრწყინვალე თავადი იყო, განჯის ვიცე-გუბერნატორი, მე კი აი რა დღეში ვარ, და თქვენ ეს მიგაჩნიათ ჰუმანურ სასჯელად?“

„ვიმეორებ, ეს დიდი ჰუმანიზმია, უდიდესი ლმობიერება — თქვენ მიმართ გამოჩენილი. თუ ამას შეიგნებთ, ეს აგრეა“.

ამ ორთა დიალოგში მხოლოდ ზოგი რამ ითქვა ქართულად, გულისხმიერი თამადა მაინც მისწვდა ამ უსიამო საუბრის შინაარსს, ვარასკენ თავი გადასწია, გაუღიმა და ხმადაბლა უთხრა ქალს:

„ამ ტკბილ პურმარილს თუ არ დაგვამწარებ, მე დავანიშნინებ

---

[1] სიტყვები იმისათვისაა მოცემული, რომ (ადამიანმა) აზრი დაფაროს.

თქვენს თავს მოსაცვეთის ვიცე-გუბერნატორად, ბახუსს გეფიცებით".

„შენ შენი საქმე განაგრძე, სქელო", ღიმილითვე მიუგო გარამ თამადას, და, რადგან ხელადის დაცლის ჯერმა მოაღწია, ხელადა წაიმოუსვა სავსე ხელადას, უკლებლად დასცალა და ალაგერდა უთხრა კორინთელს.

ეს უკანასკნელი შეყოყმანდა, არ აპირებდა ხელადის დაცლას, მაგრამ ამ წეროსანმა დიაცმა დაასწრო და გესლიანი ღიმილით უთხრა:

„მე ვხედავ, თქვენ ფრიად უგერგილო მამაკაცი ხართ, ვაჟკაცი ჭარბსისხლიანი უნდა იყოს, კამეჩის მოზვერივით ამტანი და გამძლე".

„მე მაღალი სისხლის წნევა მაქვს".

„თქვენ ისეთი დუნე ტემპერამენტისა სჩანხართ, მუსიო, არც კი მეგონა, სისხლი თუ გქონდათ საერთოდ" (ამ სიტყვებსაც ღიმილი დაატანა მთქმელმა).

კორინთელი ოდნავ მოიღუშა და მიუგო:

„ცხადია, ცისფერი სისხლი არა მაქვს, მე გლეხი გახლავართ, ქალბატონო, და შესაძლოა ამტანობაში კიდევ ვაჯობო ბევრს".

„დალოცვილო, თუ ეგრე გძულდათ ეს თქვენ ზიერ ყბადაღებული ცისფერი სისხლი, რად ჩამოეკიდეთ ვაჩნაძის ქალს? ბარემ დროზე მოგეძებნათ თქვენებრ მოაზროვნე გლეხის ქალი".

„თქვენ სცდებით, მე არავის ჩამოვკიდებივარ კისერზე".

„ეჰ, მოვეშვათ პოლემიკას, დავლიოთ!"

ამასობაში მედიკო მიუახლოვდა თავის დეიდას, ყურის ბიბილოსთან მიუტანა ტუჩ-პირი და რაღაც უჩურჩულა მას.

„არ გამიჯავრდეთ, მონ შერ ქანდრ, ესეცაა შენიშვნა მივიღე ჩემი დისწულისაგან, ჩემს ქმარს არაფერი აწყენინოო. მინდა გულახდილი ვიყო თქვენთან, რადგან გეთამამებით, როგორც სიძესა და მახლობელს.

რა საჭიროა ფლიდობა და სიცრუე, მე სავსებით არ ვეთანხმები იმ იეზუიტ ეპისკოპოსს, რომელმაც სთქვა: სიტყვები იმისთვისაა მოცემული, რომ აზრი დავფაროთო".

თამადამ გამხიარულება უბრძანა სუფრის წევრებს. ჭალარა ქალი სასტუმრო ოთახში შევიდა, პიანინოს მიუჯდა და ფოქსტროტი დაუკრა.

ძია ნიკომ სუსქია მინდელს სთხოვა ამდგარიყო და რომელიმე კავალერი საცეკვაოდ გამოეწვია. სუსქია კორინთელს მიუახლოვდა. ეს უკანასკნელი ყმაწვილივით გაწითლდა და უარი სთქვა ცე-

კვაზე. მაშინ უთხოვნელად წამოდგა ინჟენერი ცეროდენა და ცეკვა დაიწყო მიხდელის ქალთან.

ვარამ ღიმილით უჩურჩულა კორინთელს:

„თქვენ ბევრი წააგეთ, ძვირფასო სიძევ. საერთოდ, გამოტეხილად უნდა გითხრათ: მეცნიერები მოკლებული ხარ ერთგვარ გალანტობას, მამაკაცი კიდევაც უნდა ცეკვავდეს, უკრავდეს და სვამდეს.

ახალგაზრდობაში ბარე ორი პროფესორი მეარშიყებოდა. მაგრამ არ მიყვარდა ეს ჩანჩურა მამაკაცები, რომელთაც მუდამ აკლიათ ერთი ღილი პიჯაკზე, ან შარვლის შესაკრავები მუდამ გახსნილი რჩებათ“.

„უნდა მოგახსენოთ, მადამ, მე არ ვიცი, თუ როგორ მეცნიერად მთვლით მე თქვენ, მაგრამ ნამდვილ მეცნიერს მანჭვა-გრეხისათვის არა სცალია“.

ვარამ შთაბეჭდილების შესამსუბუქებლად ჩაიხითხითა:

„გეხუმრეთ, ძვირფასო სიძევ, მოგეხსენებათ, საუბარსაც ისევე ესაჭიროება პილპილი, როგორც კერძს.

და არც არაფერია ისე მოსაწყენი ამქვეყნად, როგორც საუბარი, რომელიც პარადოქსებსა და წინააღმდეგობებს არ შეიცავს.

აბა რა გამოვა, რომ დავსხდეთ გუგულისა და მამალის დარად, ვაქოთ ერთიმეორე და ყველაფერში დავეთანხმოთ ურთიერთს“.

ამასობაში მორიგი სადღეგრძელო წარმოთქვა თამადამ. ზურაბ არადელმა ხელადა გამოსცალა, კორინთელს გადაულოცა და დასძინა:

„რატომაც დაღვრემილი მეჩვენები, ვახტანგ, გახედე ჩვენს ალაზანს, ჩვენს შეუდარებელ კავკასიონს, ხომ ხედავ, მთვარე ნათლისმცემელივით თავს წამოდგომია მყინვარებს.

რამდენჯერ გვინატრია მე და შენ ალაზნისა და კავკასიონის კიდევ ერთხელ ნახვა, როცა ჯუნგლებში დავბობლავდით მოსაცვეთში, სადღაც. მაშ, მოვილხინოთ, თუ ძმა ხარ, ვახტანგ“.

ისევ დაასწრო ვარამ ხელადის დაცლა თავის სიძეს. ამ წვეროსან დიაცის ქედმაღლურმა საუბარმა და არანაკლებად თავხედურმა სმაში გამოწვევამ უცნაურად გაამხნევა იგი.

ეს ხელადაც გამოსცალა და ახლა უკვე აღარც წნევა აწუხებდა და აღარც უგუნებობა.

კორინთელმა ერთხანს დაისვენა ვარას მოსაბეზრებელი ლაყბობისაგან, რადგან ამ უკანასკნელს ერთ-ერთი შავოსანი ბიცოლა მიუჯდა და საუბარი გაუბა.

კორინთელს თვალი გაეჭცა სასტუმრო ოთახისაკენ, სადაც პია-

ნინოს გადმოლმა სუსქია მინდელი და ინჟენერი ალროლენა ცეკ-ვავდნენ.

ამ ბობლია, თავმოტვლეპილსა და კისერმოკლე, მუზმუზელას სუსქიასთვის შემოეხვია ცალი ხელი წელზე, მაგრად ეხუტებდა ტანზე მის მოხდენილ, ოდნავ ფაშფაშა სხეულს.

ვაწითლებულ თვალის თეთრონებს უბრიალებდა მის სახეს და ენერგიულად ეჩიჩინებოდა რაღაცას.

დანჯღრეული პიანინოს ბრაგაბრუგში მისი სიტყვები აივანზე აღარ ისმოდა, მაგრამ ყველანი ხედავდნენ, სუსქია წითლდებოდა და ცდილობდა შეძლებისამებრ განზე გადაეხარა მაჯის სისხო ნაწნავებით შემოგრაგნილი თავი.

კორინთელს აღელვებდა ამ თმებისაგან ამდგარი ლაპლაპი, ზუსტად ისეთი ალისფერისა, რომელსაც ცეცხლმოდებული ვაზის წალამი გამოსცემს ხოლმე.

კორინთელი მონუსხულივით აკვირდებოდა სუსქიას სავსე მკერდის ყოველ შეტოკებას. მაცქერალი ამჩნევდა, რომ ზეამდგარი და მოძრაობაში მოყვანილი მისი სხეული გაცილებით უფრო მეტ ეფექტს იძლეოდა, ვიდრე მაშინ, როცა იგი უძრავად იჯდა სუფრის გადაღმა.

კორინთელი ნანობდა, რატომ არ წამოვდექი და სუსქიასთან არ ვიცეკვეო თუნდაც მცირე ხანს.

ამ წუთში მას არაფრად მიაჩნდა, თუ როგორ შეხედავდა ამას მედიკო, ან მისი წვეროსანი დეიდა, რომლის ფიზიკურ სიახლოვეს და რეაქციულ აზრებს კორინთელი განიცდიდა, როგორც ქედაფის სუნს.

ამას ფიქრობდა კორინთელი და სწორედ ამ დროს დეიდა ვარამ წაიგრძელა თავისი ისედაც გრძელი, დამჭკნარი კისერი და უჩურჩულა მას:

„ჩემო ძვირფასო სიძე-ბატონო, მე ისეთი შეგრძნობა მაქვს, თქვენ ოდნავ ეჭვიანობთ ამ წუთში“.

„რასა ბრძანებთ, ვის მიმართ?“

ფრანგულად მიუგო ვარამ:

„მე ყველაფერი ვიცი, მონ შერ ჟანდრ. რაც კი რამ მომხდარა ამ ოციოდე წლის მანძილზე თელავში. ისიც ცნობილია, რომ თქვენ ჩემს დისწულზე ადრე სუსქია მინდელი მოგწონდათ, ლუკა მეთონის ქალი. ჰა, ჰა, ჰა... იგიც ვიცი, მან საწამლავი დალია სწორედ იმ წელს, როცა თქვენ პარიზს გაემგზავრეთ.

აჰ, რა ტუტუცები იყვნენ მაშინდელი ქალები, აბა თანამედროვე კომკავშირელი ქალი მამაკაცისთვის ხომ არ მოიწამლავს თავს.

ეს ფთუოდ სწორია, მამაკაცისადმი სიყვარულისთვის მურაბიანი წყლის დალევაც საკმარისია. ხომ აგრეა? ჰი, ჰი!

ნუ გეშინიათ, მედიკოსთან არ გაგამხელთ. კიდევაც რომ ვუთხრა, მერმე რა: დარწმუნებული ვარ, არც ეწყინება ჩემს მედიკოს.

თქვენ პარიზში ხართ აღზრდილი და ალბათ ჩემზე უკეთ გეცოდინებათ, თუ პირადი განცდის მიხედვით არა, პიკანტური ფრანგული რომანებიდან მაინც: თუ თქვენი ცოლი დარწმუნდა, რომ თქვენ მხოლოდ მასზე ამოგდით მზე, იგი მოდუნდება და ცუდად მოზელილ ცომს დაემსგავსება. ჰი, ჰი, ჰი“.

კორინთელმა ერთი გადახედა ამ დიაცს, მას მოხარშულ ჭარხალსავით შეწითლებოდა ვაცისწვერასფერი, მეჩხერი წვერით მოსილი ლოყები.

„მე მაოცებს თქვენი ეგზომ უეცარი ფამილარობა ჩემდამი და დღევანდელი პარადოქსები, რომელთა საბაბი მე თქვენთვის არამცდაარამც არ მომიცია.

მინდელის ქალს ოდესღაც ვიცნობდი და ჯერაც არ გამოვლაპარაკებივარ. ამიტომაც ჩემთვის სავსებით გაუგებარია ყოველივე ეს“.

„მონ შერ ჟანდრ, ნუთუ სიფხიზლეშიაც ასეთი ანჩხლი ხართ? მე გეხუმრებით, ჩვენ ხომ ნადიმზე ვართ და არა ქელეხში“.

კორინთელის ოდნავ გაღიზიანებული ტონი თამადას საბაბს აძლევდა დაესკვნა, რომ ეს ქალი პირდაპირ შემოჩენილივით იყო, რათა ეს საგანგებოდ გამართული ნადიმი როგორმე წაემწარებინა კორინთელისათვის.

ამიტომაც მოიხმო ცისთვალა, კისერზე ხელი მოხვია, ტუჩ-პირი ყურთან მიუტანა და უჩურჩულა:

„მიდი მედიკოსთან და ჩუმად უთხარი ჩემს მაგივრად, აქ მოვიდეს და მოუაროს თავის გადარეულ დეიდას“.

თამადა უკვე გრძნობდა, რომ სუფრა მოუდუნდა. ეს შავოსანი ბიცოლები, რომელნიც ეკლესიის ყვავებივით გარს მოსხდომოდნენ მაგიდას ცალ კიდეზე, მხოლოდ მთქნარების განწყობილებას ბადებდნენ.

ტფილისელი მეჯინიბე ვაჩნაძე ცეროდენას ეკამათებოდა წმინდა სისხლიანი კვიცების შესახებ, ხოლო ზოოტექნიკოსი დადიანი, რომელსაც თრობის ალმური წაჰკიდებოდა სახეზე, თავგამოდებით ცდილობდა ამერიკისა და ევროპის პოლიტიკის ახალ-ახალი ამბები გამოეძალა არადელისაგან.

თამადამ საჭიროდ დაინახა, უკვე მოშვებული და აღრევის

ზღურბლამდის მისული სუფრა სერიოზული ამბებით გამოეცხიზ-ლებინა, ამიტომაც გადასძახა არადელს:

„ზურაბ ბატონო, შენ ისეთი საინტერესო რამეები გვიამბე წე-ღან, რომ დიდად გვასიამოვნე, ნუთუ ჩვენ ღირსი არა ვართ გაგვა-გებინოთ იგივე, რასაც გივი დადიანს მოუთხრობთ ხანდ?"

„მე კი მგონია, ნიკო ბატონო, თავი მოგაბეზრეთ ამდენი ლაყ-ბობით. მე არც ისე მჭევრმეტყველი და განსწავლული ვარ, რომ ჩემი საუბრით ვინმე გავართო, ან გავაკვირვო. ჩვენ აქ ვსაუბრობ-დით ამერიკული პრესის გამო, მე და ამხანაგი გივი.

მე ვამტკიცებ, ძია ნიკო, ევროპისა და ამერიკის ჟურნალის-ტებს, „გაზეთისკაცებს", ვინმე თავს რომ დააჭრიდეს, არამცდა-არამც არ ატყდებოდა ომი".

„არა, შენ სცდები, ჩემო ზურაბ, — სიტყვა ჩაურთო კორინ-თელმა: — მათი პრესა ჭინკების სამზარეულოა ერთგვარი, მათი გა-ზეთისკაცები — მზარეულებია: კიდევ ვიღაცეებს მოუხდებოდათ თავების დაჭრა: ამ მზარეულების პატრონებს, მათ, ვისაც ფრანგე-ბი „ლომ დუ პოლიტიკ", ე. ი. პოლიტიკოსებს, უწოდებენ".

„არაფერი ისე არა მძულს, როგორც ეგრეთწოდებული სუფ-რის პოლიტიკოსები, — უჩურჩულა დეიდა ვარამ თავის დისწულს ჭართულად. — აბა რა აზრი აქვს ამ ლაყბობას?"

„ეჰ, თქვენ ყველა გძულთ, ბიძია ვარა, ყველა, თქვენი ნათესა-ვების გარდა. ჩვენ ეს ამბები დიახაც გვაწუხებს, ამიტომაც სუფ-რაზედაც არ ვიშლით მათ გამო საუბარს", სიტყვა ჩაურთო ძია ნიკომ.

„მე ვხუმრობ, სქელო, მოგეხსენება, საკუთარი გვარისა და ნა-თესავების წინ წამოწევა არისტოკრატების ძველი ჩვეულებაა".

თამადამ მზერა ესროლა მის იდაყვგამოცვეთილ სამოსს, გუნე-ბაში გაეცინა — ეს მათხოვარი „არისტოკრატობას" ახლაც არ იშლისო

კორინთელი ადგა და ზურაბ არადელს მიუჯდა გვერდით.

მედიკო გამოვიდა საწოლი ოთახიდან და ქმრის ადგილი და-იკავა

თუმცა თამადა ყველაზე მეტსა სვამდა, მაგრამ მისი გონება ჯერაც სავსებით ფხიზელი იყო. მას ხალისიანი ფერებით ჰქონდა წარმოდგენილი ვახტანგისა და მედიკოს ცოლქმრული ცხოვრება: სიყრმის მეგობრებმა მრავალი დაბრკოლება გადალახეს და ოჯახი შეჰქმნესო.

ამ ნადიმამდისაც იცოდა ძია ნიკომ, ვარა კარგი ხანია ემზადე-ბოდა მედიკოს ახალ ოჯახში ხანგრძლივად სტუმრობისათვის. ძია

ნიკო შიშობდა: თუ ეს ვეშაპი ბერმუხას წავიდა, იქაურობას მაგრად აურევსო.

გამოსავალსაც ვერ ხედავდა ყოფის საკითხებში [illegible] მოხუცი: არც ვახტანგს და არც მის მახლობლებს [illegible] ეთქვათ მედეასთვის, საკუთარ დეიდას ნუ მიიღებო შენს ოჯახში.

თამადას დინჯად მიჰყავდა სუფრა. მისი გულისყური აქეთკენ იყო მიქცეული; მიუხედავად ამისა, მას არ გამოპარვია მედიკოს მიერ ნაჩურჩულევი:

„დეიდაჩემო, ნუ ლაპარაკობ ფრანგულად".

ვარამ ახლა რუსულად მიუგო:

„მე საერთოდ არაფერი მაქვს დასამალავი, შვილო, დედაშენი, ჩემი დაი, უცხოეთშია, ამიერიდან მისი მაგივრობა მე უნდა გაგიწიო. ეს რა მოგსვლია, ქალო, კომუნისტს რომ გაჰყოლიხარ ცოლად! პარიზში ვაჩნაძიანთ პრინცესამ კომუნისტი რომ გამოსჩხრიკოს, სე კელკ შოზ რიდიკულ [1].

ჰაი გიდი, სად ვიყავი მე დასამიწებელი, აბა როგორ დაგანებებდი მაგ სისულელეს, ნუთუ პარიზშიაც ამ ჭკუაზე იყო შენი ქმარი?"

„ვინ გითხრა, დეიდა, რომ ვახტანგი კომუნისტია?"

„არა, ჯერ ეს მითხარი, პარიზშიაც ასეთ რამებს როშავდა?"

„ღვთის წინაშე, იქაც ასეთ აზრებს გამოთქვამდა ვახტანგი".

„შენ ამბობ, მუსიო კორინთელი კომუნისტი არ არისო? არ დაიჯერო, შენ გიმალავს ალბათ".

„არა, რად დამიმალავს, იგი პარტიის წევრი არაა".

ძია ნიკო ამას ისმენდა, მაგრამ ისეთ გამომეტყველებას იღებდა, თითქოს მას სუფრის სხვა წევრებისაკენ ჰქონდა მიქცეული მთელი ყურადღება.

მედიკოსა და დეიდამისს საუბარი შეაწყვეტინა ერთმა უეცარმა შემთხვევამ: ზოოტექნიკოსი დადიანი და ინჟენერი ცეროდენა ჭალაპარაკდნენ, დადიანმა სპეკულანტი უწოდა მას.

არადელმა გარედ გაყვანა მოუნდომა ცეროდენას, მაგრამ იგი ორივე ხელით მოეჭიდა თავის სკამს. გივი დადიანმა თავისი გრძელი მკლავი ტუკივით ზეაღმართა, მაგრამ ჩხეტიანმა ჯერ დააშოშმინა იგი და მერმე, როგორც იქნა, გარედ გაიტყუა.

სუფრაზე უსიამოვნების ჩამოვარდნამ შავოსანი ბიცოლები ისე დააფრთხო, რომ სათითაოდ გაიპარნენ.

ზურაბ არადელს მეორე დღეს საკონსულტაციო საქმეები ჰქონ-

---

[1] ეს სასაცილო რამეა.

და ინტიტუტში. შავოსანი მანდილოსნების გაცილება მოიმიზეზა და თან გაჰყვა მათ.

ბეჯინიბე ვაჩნაძემ რა გაიგო, დადიანი გააპარესო, ისიც მის საძებნად გაემართა. ამრიგად, სუფრის მეორე მხარეს დარჩენილა ქია მინდელი, ვახტანგ კორინთელი, ინჟენერი ცეროდენა და ფერი ანდრო.

ისევე როგორც მამაც სარდალს, რომელსაც მხდალი მეომრები შემოეცალნენ, გუნება გაუფუჭდა თამადას. სუფრაზე დარჩენილთა შორის უკვე აღარავის ჰქონდა გამწე სმის თავი. ანდროს ღვინის სმა აღკვეთილი ჰქონდა კორინთელის მიერ.

ცეროდენა ნამეტნავად აგრესიული გახდა. იგი წარამარა ეპოტინებოდა სუსქიას იდაყვის ქვემოთ გაშიშვლებულ მკლავს. როგორც კი შენიშვნას მიიღებდა მკლავის პატრონისაგან, გაბრაზდებოდა და გვი დადიანის ლანძღვას მოჰყვებოდა.

ძაგებდა მას, როგორც აყლაყუდას და თავმოტვლეპილს, ავიწყდებოდა, რომ მას თავათაც გოგრის ქერქივით გასიებული კეფა ჰქონდა. მხოლოდ საფეთქლებსა და ქედზე შერჩენოდა ისეთი ქინქლი, როგორიც ბატების მიერ მოძოვილ მინდორზე დარჩება ხოლმე.

ძია ნიკოს არ მოსწონდა მისი ასეთი უტიფრობა, მაგრამ არ ივიწყებდა ვადაგასულ ხალხურ სენტენციას: „სტუმარი ღვთისაა“.

ითმინა, ითმინა და ბოლოს ასეთი სასჯელი გამოიგონა ამ აბეზარი სტუმრის დასაოკებლად: მოზრდილი საშაქრე მოატანინა ცისთვალას, ღვინით გაავსო, თავათაც გამოსცალა და ცეროდენას გადაულოცა.

როცა ინჟენერმა ეს მორიგი სასმისი დალია, ისე დარეტიანდა, როგორც თხიპაშეყრილი ქათამი. ხუთი წუთიც და შაქარივით ტკბილ ძილს მიეცა.

აგრესიული გახდა შეზარხოშებული „ბიძია ვარაც“, რომელიც განსაცვიფრებელი სიჯიუტით ეჯიბრებოდა სმაში ვახტანგ კორინთელს, და არა მარტო მას, „უთრობელ თამადას“ — ძია ნიკოსაც.

ვარა უკვე არ ერიდებოდა საუბარში გესლიანი რეპლიკების ჩაკერებას, იმ შეგონებათა მიუხედავად, რომელთაც დაუცხრომლად ისმენდა მხარმარცხნით მჯდარი დისწულისაგან.

ბოლოს, როგორც იქნა, მოეშვა კორინთელს და მოჰყვა ზურაბ არადელის ძაგებას, „ხოჭოების პროფესორს“ უწოდებდა მას, „სულითა და ხორცით მახინჯს“ (მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი ოდნავ ელამი იყო). ბოლოს მოჰყვა მტკიცებას: ფიზიკურად მახინჯნი უცილოდ სულიერადაც მახინჯნი გამოდიანო.

ახლა იმისთვისაც ჰქონდავდა არადელს, როგორ თუ მან გაბედა და ამერიკის „დიდი ცივილიზაცია“ აუგად ახსენა.

კორინთელი თავათაც გრძნობდა ღვინის მოძალებას, ბრაზობდა ყოველივე ამის გამო. მაგრამ ცოლის ხათრით, [illegible] ირით ითმენდა, ეშინოდა, სტუმარი არ შემომელ[illegible] უბრალო რეპლიკებითაც, არ აძლევდა პასუხს.

ამ ამბავმა უარესად გააკაპასა წვეროსანი დიაცი, როგორ თუ პასუხის ღირსადაც არა მთვლიანო?

უკვე გადაავიწყდა მედიკოს გაფრთხილება ფრანგულად ლაპარაკის გამო, საკმაოდ უხეშად აძაგებდა მას, აყვედრიდა: კეთილშობილი დედ-მამის შვილმა უკეთესი ვერაფერი გამოიგონე, „გალანტობისა და ბომონდის“ ამ სატახტო ქალაქში, პარიზში, თელაველი დიაკვნების ნაშიერი არ გამოგეჩხრიკაო.

მედეას შეეშინდა, უარესი რამ არ წამოეროშა, ამიტომაც უჩურჩულა:

„შენ უკვე დაიქანცე, დეიდა, საზოგადოებაში ყოფნით. წამო, ბაღში გავიდეთ ცოტა ხანს, სიტყვა მაქვს შენთან“...

„სხვათაშორის, მეც მაქვს ზოგი რამ შენთვის სათქმელი, მე იმიტომაც გევედრებოდი თელავს ჩამოსვლას, მამიდაშენის — ეფემიას წერილი მომივიდა ამ ერთი თვის წინად“.

კორინთელი უარესად აიმრიზა, როცა ამ უკანასკნელ ფრაზას წაატანა სმენა.

ვარას გაყვანამ გუნება გამოუკეთა ძია ნიკოს. იგი ახლა მოვიდა ნამდვილი, გამწე ქეიფის გუნებაზე, მაგრამ ღვინის სმა, ჩვენი თამადების მიერ ერთგვარი „დახელოვნების“ რანგზე აყვანილი, უცილოდ ოკუმენური მოვლენაა, მასში შეჯიბრების მომენტია მთავარი მამოძრავებელი ზამბარა.

შეჯიბრება პერსონების სიმრავლეს მოითხოვს და იგი რომელიღაც თვალსაზრისით ოდნავ მაინც წააგავს იაპონურ „ჩაის ცერემონიებს“—რამდენადაც როგორც ღვინით, ისე თეატინით თრობა შუასაუკუნეთა რიტუალებს უნდა მიეკუთვნონ: რაინდები ომებში ეჯიბრებოდნენ ერთიმეორეს ხმლით, სიფხიზლითა და ჩაუქობით, ხოლო მშვიდობიანობის დროს — მათრობელი საშუალებებით.

ძია ნიკო ხედავდა, რომ უკვე აღარავის ყოფნიდა მასთან შეჯიბრების ძალა.

სწორედ ამიტომაც უკვე არ იცოდა თამადამ, როგორ დაემთავრებინა ნადიმი.

ამასობაში ცეროდენას გამოძინება მოესწრო. უწინარეს ყოვ-

ლისა, იგი მისწვდა სუსქია მინდელის მშვენიერ ხელს და გამწარ-ლურად აკოცა ზედ.

სუსქიამ ხელი წაართვა და დაბეჯითებით უთხრა: ასეთი უკადრისი საქციელი თქვენვე გამცირებთო.

ცეროდენამ სიტყვა მისცა: აწი არ გავიმეორებ, ოღონდ ამას გთხოვ: მე უნდა გაგაცილოო შინ, ეს უთხრა და ისევ წაეპოტინა საკოცნელად მის ხელს.

სუსქიამ ერთი ცალიერი სკამი გამოსტოვა და გაეცალა ცეროდენას.

ხდება ხოლმე ცხოვრებაში, ადამიანის დასასჯელად ყოველთვის ძმარს რთდი ხმაობენ, ზოგჯერ საამურ საშუალებებსაც მიმართავენ.

ამიტომაც, ძია ნიკომ რა შენიშნა, ცეროდენა დაცხრომას არ აპირებდა, ქინძმარაულით გაუვსო იგივე საშაქრე და, როცა ცეროდენამ ესეც გამოსცალა, უკვე აღარ იყო ამსოფლად.

ორივე მკლავი მაღლა ატყორცნა, ისე როგორც მორევში გადამხტარი ადამიანები სჩადიან ხოლმე ამას, და ნიყვივით გადავარდა სკამიდან.

მეზობლიანთ ლევანამ და შოფერმა ანდრომ მას ხელ-ფეხში წაავლეს ხელი და სამზარეულოში გაათრიეს.

როცა სუსქია მინდელი წასვლას დაადგა, ძია ნიკომ ანიშნა კორინთელს: გაეცილებინა მარტოხელა ქალი, რადგან ეშინოდა — ვაითუ სამზარეულოდან გამოძვრეს ცეროდენა და მინდელის ქალს გაცილება მოუნდომოსო.

როცა სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ, ძია ნიკომ შენიშნა: პიანინოზე თავისი რედიკული დავიწყებოდა სუსქიას; თავათაც ბაღში აპირებდა გასეირნებას, ხელი წაავლო რედიკულს, სრულიად დარწმუნებულმა, ვახტანგი და სუსქია ჭიშკრამდისაც არ იქნებიანო მისულნი.

გვერდის კარი ღრიჭედ დაეტოვებინათ ახლადგასულთ, ძია ნიკომ დახედა დალმართში მიმავალ ბილიკს, მაგრამ ადამიანის ბაიბური არსად ისმოდა.

ბაღში გამოსულს იამა ირგვლივ დავანებული სიგრილე და სიჩუმე. უზარმაზარი ხეების ჩრდილები შებჯენოდნენ ცას.

ლელვიანში ძია ნიკოს ბაწია სკამი ეგულებოდა, ერთი გაიფიქრა ნასმურევმა: ცოტა ხანს დავიმუხლებ და გავგრილდებიო.

ამ სკამის უკან ბებერი ლელვის ხე იდგა, ჯგროდ ამოსული, აურაცხელი ამონაყარებით გარსშემორტყმული. დაჯდომაც ვერ

მოასწრო ნიკომ, ისე მოესმა „კნეინა“ ვარას უსიამო. მამაკაცური ხმა. ამჯერად რუსულად ლაპარაკობდა იგი:

„მოუთმენლად მოველოდი შენს ჩამოსვლას, მედიკო“.

„როდის მიიღე მამიდა ეფემიას წერილი?“

ძია ნიკომ მედიკოს ხმაც შეიცნო.

„გასულ კვირას“, მიუგო კნეინა ვარამ.

„აქამდის რად არ მაცნობე მისი შინაარსი?“

„შემეშინდა, შენს ქმარს არ ჩავარდნოდა ხელში“.

„რაო, რას იწერება?“ მოუთმენლად იკითხა მედიკომ.

„ლუსიენი ავად ყოფილა, აპრილში დაბრუნებულა ნიცადან“.

მედეა გაილურსა ამ სიტყვების გაგონებისას, ბოლოს ხმადაბლა სთქვა:

„რაო, რას იწერება მამიდა ეფემია, რა ამბებიაო პარიზში?“

„პარიზში რაცა ხდება, ამას გაზეთებშიაც ამოიკითხავდი. შენ სხვა რამეები იკითხე, ბალღო.

მამიდაშენი ეფემია მწერს: ლუსიენი მედიკოს წასვლას ძლიერ დარდობსო. მელანქოლია შეჰყრია, მიტომაც ნიცას წასულაო.

ამ ზაფხულს იტალიას აპირებსო გამგზავრებას.

ეფემიას წერილიდან ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა...“

„სსუ, არვინ გვისმენდეს, რას ამბობ, დეიდა“.

„შენ ჯერაც ბალღი ხარ, შვილო, და საკმაოდ გაბრუებული იმ სისულელეებით, რომელთაც ყოველი მამაკაცი შერთვის უმალვე უცილოდ შთაუნერგავს ხოლმე თავის ცოლს. შენ ვერც იმაში გარკვეულხარ კარგად, როგორი უგუნური ნაბიჯი გადადგი, ძვირფასო. Ты даже не даешь себе отчета, что ты накуролесила[1].

იცოდე, მედიკო, ახალგაზრდა ადამიანების სამი მეოთხედი სომნამბულისტია[2], ვინ იცის, რამდენ სისულელეს სტენიან ჩვენს შემეცნებაში სკოლა და რომანები, გაზეთები, მეგობრები და ამხანაგები, რომელთაც „გარემოცვას“, „წრეს“ უწოდებენ ხოლმე.

მერმე ჩვენც ავტოკდებით და ავყვებით ხოლმე ამ მირაჟებს და ვივლით ასე დაბანგულნი, სანამ საფეთქლები არ შეგვიჭღალდება.

რაღა შენ გაყვედრი, მეც ასეთი სომნამბულიზმის მდგომარეობაში დავლუპე ჩემი ბედი. არ გეგონოს, ახალგაზრდობაშიაც ასეთი უსახური ვყოფილიყავ, როგორიც დღესა ვარ.

ეგ შენაც იცი, ყვავილი გათხოვების შემდეგ შემეყარა ჩემი

---

1 შენ შენს თავს ანგარიშს არ აძლევ, თუ რა მიჰქარე.

2 სომნამბულისტი — ლათ. მთვარეული.

გამდელისაგან. სამეგრელოს დიდი თავადისა და გენერლის ქალი ვიყავი. ხომ იცი, ეს გარემოებანი განსაკუთრებულ მარავალდა ანიჭებენ გასათხოვარ ქალებს.

ჩემს გარშემო ტრიალებდნენ ნიკეგოროდის პოლკის ეგზეკუტივალესი ქართველი ოფიცრები: ბაგრატიონები, ამილახვრები, ანჯაფარიძეები, ერეჯიბები და ფალავანდიშვილები.

იმ ხანებში გამიმეჯნურდა ამავე პოლკის ოფიცერი, დიდი მემამულე, ბალტიელი ბარონი მანტოიფელი, რომელიც ჩემი გულისათვის დუელში მოჰკლა თავადმა მუხრან-ბატონმა.

ჩვენი დიდედები, დეიდები, მამიდები და დედები ქალიშვილებს მუდამ ასეთ რამეებს გვიჩიჩინებდნენ: ყველა გამეჯნურებული მამაკაცი მაგრად გასწურეთ და დასტანჯეთ, მაჯის ზემოთ არ აკოცნინოთ მათ, სანამ მშვილდივით არ მოიდრეკებიან თქვენს წინაშე, განა ერთგზის, — შვიდგზის...

და იცოდეთ, მხოლოდ იმათ აღირსეთ თქვენი ცოლობა, ვისაც მოთმინება ეყოფა და ხელის თხოვნის განმეორება არ მოსწყინდებაო, როგორც დიაკვნებს თავიანთი ლოცვების ღეჭვა.

მერმე ის იყო, ჩემზე გამეჯნურებულმა ულამაზესმა კორნეტმა, თავადმა მაჩაბელმა ტყვია იკრა შუბლში, მხოლოდ იმიტომ, რომ უარი ვუთხარი ცოლობაზე.

მამაჩემს შეეშინდა; მაჩაბელის ნათესავებს შური არ ეძიათ, და სოხუმში წამიყვანა მამიდაჩემთან.

სოხუმში ყოფნის დროს შევუყვარდი ერთ ბერძენ მილლიონერს, დიმიტრიადის, თამბაქოს ქარხნების პატრონს, რომელსაც დიდძალი აქციები ჰქონდა ოტომანის საიმპერიო აქციოხერთა საზოგადოების „ტაბაკ-რეჟიისა" კონსტანტინოპოლში.

ეს ბერძენი ისე გაგიჟდა, დააპირა მიტოვება თავისი ულამაზესი ცოლისა, იტალიელი ქალის მარჩიასი და სამი ვაჟისა, მაგრამ მე ამოკითხული მქონდა სულელურ რომანებში, ახალგაზრდა პრინცესა მხოლოდ სიყვარულით უნდა გათხოვდესო. იმ კაცს კარგა მოზრდილი ღიპი ჰქონდა და ფურუნკულები კისერზე.

ამიტომაც მანჭვა-გრეხა დავიწყე და შევეყოყმანდი.

ის ბერძენი ფრიად თავმოყვარე მამაკაცი აღმოჩნდა. როცა მას მამაჩემმა ჩემი დაქორწინებით თავაზიანი უარი უთხრა, მან უკვე აღარ მოინდომა ჩვენი დიდედებისა და დედების მიერ დათქმული რიტუალები. არამცთუ შვიდგზის, ერთხელაც არ მოდრეკილა წელში.

ერთ საღამოს ოფიცერთა კლუბიდან შინ მიმაცილა, ხელზე მეამბორა და თითქმის გულგრილად მითხრა:

„მე და თქვენ ამიერიდან ველარ შევხვდებით ერთიმეორეს, მადემუაზელ, ოღონდ არ ინანოთ“.

მერმე ის იყო, ტფილისში გადამეკიდა ერთი გუდამშიერი ქართველი თავადი ჯორჯაძე, საწყალი ბიძაშენი, რომელსაც ... ორმოციოდე ჰექტარი მიწა ჰქონდა, ქალაქში ერთ ... ალი, წარამარა ბანკში დაგირავებული, და ალაზანზე — ორიოდე დაფეხვილი წისქვილი.

განსვენებული ჩემი ქმარი ქართული გაზეთების რედაქციებში, დაეხეტებოდა დღენიადაგ, ჯიბეები სავსე ჰქონდა სოციალისტური გაზეთებითა და პროკლამაციებით.

მიუხედავად ამისა, იგი გარეგნულად თავადობდა, სააზნაურო ბანკის არჩევნებსა და ბანკეტებს ესწრებოდა, მაგრამ, როგორც გვიან გავიგე, შენიღბული კაცი აღმოჩნდა, თავის წისქვილებში სოციალისტებს მალავდა და თავის უკანასკნელ ლუკმას მათ აჭმევდა.

რაკი მას ისე შევუყვარდი, რომ შვიდგზის კი არა, ათგზის მოიდრიკა ქედი ჩემ წინაშე, მეც ავყევი ჩვენი დიდედებისა და დედების შეგონებებს და მას გავყევი ცოლად.

მას შემდეგ რაც მოხდა, შენც კარგად იცი. მე არ მიყვარდა გრძელთმიანი სოციალისტები, დღენიადაგ უსიამოვნება მქონდა მათ გამო ქმართან.

მოვიდნენ ბოლშევიკები, მამულები ჩამოგვართვეს და წისქვილებიც ზედ მიაყოლეს.

მე აგრე, სხვათა სამადლოდ, დავრჩი და გლეხის დედაკაცების ტრიკოებს მაქსოვინებენ.

მე ამას გირჩევ, შვილო, ჭკუას უხმე, სანამ ლამაზი ხარ და ახალგაზრდა. შენ ევროპაში ხანგრძლივად ნაცხოვრები ქალი ხარ და გეცოდინება: სილამაზე ის უშრომლად და უეშმაკოდ მიღებული კაპიტალია, რომლის პროცენტებით ლამაზი ქალები არამცთუ კომფორტით ცხოვრობენ, თავიანთ სიბერესაც უზრუნველყოფენ ხოლმე.

შენს ქმარს კომუნისტები ენდობიან, ჩააგონე მას, სთხოვოს მთავრობას, ხელახლა მიაკლინონ საზღვარგარეთ, სამეცნიერო საქმეები მოიმიზეზოს. შენც თან წაჰყევი როგორმე, ავადმყოფობა ისაფრე.

როგორც მამიდაშენის — ეფემიას წერილებიდან სჩანს, მუსიო შარკუტიე ძლიერ ნაღვლობს უშენობას.

წარმოდგენილი მაქვს, შენ რაც ამ მოკლე ხნის მანძილზე განიცადე ბერმუხაში, უფრო მეტად დააფასებ იმ ბედნიერებას, რომე-

ლიც შენი ახალგაზრდობისა და დაუფიქრებლობის მეოხებით ისე გააგდე სახლიდან, როგორც მთვრალ ოფიციანტს გაუვარდება ხოლმე ძვირფასი სერვიზი“.

„რას ამბობ, დეიდაჩემო, მართალია, მე უკვე ადრე მეყვარეს ვახტანგი, მაგრამ... ღალატიც ძნელია... ან ლუსიენი როგორ მიმიღებს?“

ამის გამგონე ძია ნიკომ სუნთქვა მოიპარა.

„მიგიღებს, სიამოვნებით მიგიღებს, იცოდე. მე ხვალვე მივწერ ეფემიას დააზუსტოს ის ორიოდე გადაკრული ფრაზა. შენ ხომ იცი, ფრანგი და გერმანელი მამაკაცები ჩვენებსავით ველურები როდი არიან ამ საკითხში.

ევროპელ მამაკაცებს საერთოდ ასე სჩვევიათ: როგორც კი ცოლები უღალატებენ, მომეტებულად დააფასებენ მათ. შენ ბალღი ხარ და გეშინია ღალატისა.

მას შემდეგ, რაც ლუსიენი დარწმუნდება, რომ შენ თვით შენს თვისტომს უღალატე მისდამი სიყვარულის გამო, ხელისგულზე დაგისვამს, იცოდე.

შენ გამოუცდელი ხარ და ჯერ არ იცი ღალატის ნამდვილი ღირებულება: ეს კარგად იციან იმ ცოლებმა, რომელნიც რქებს ადგამენ თავიანთ ქმრებს. ისეთი მომენტებიც ყოფილა წარსულში, როცა ერთგულებს ეშაფოტებზე გასვლა უწევდათ, ხოლო მოღალატენი ტახტსა და დიდებას ღებულობდნენ ღალატის საფასად.

ეს არც მინისტრებს ავიწყდებოდათ არასოდეს, არც პოლიტიკოსებსა და არც მწერლებს.

შენ არც კი იცი, მამაკაცები რქოსანსავით უხეშები არიან მანამდის, სანამ ჭკვიანი ცოლები მართლაც თავზე არ დაადგამენ რქებს.

როცა ეს მოხდება, ისინი იმდენ ჭკუას შეიმატებენ, ნეზვებს დაემსგავსებიან ხოლმე. და მოღალატე ცოლები ისე, დაასხდებიან თავიანთ ქმრებს თავზე, როგორც ინგლისელი პლანტატორი რიკშაში შებმულ ყულის.

გარდა ამისა, ყოველ მამაკაცს ერთიდაიგივე უბედურება სჭირს: რაც უფრო ხანში შედის, მით უფრო დაჟინებით იყურება სხვა ქალებისაკენ.

შენი ქმარი ხომ საკმაოდ სოლიდური პროფესორია, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე მეჩვენება. იგი თავიდანვე უგუნებოდ იჯდა სუფრასთან, მაგრამ როგორც კი ის ექიმი, ლუკა მეთონის ქალი მოვიდა, ღვინის სმასა და მჭევრმეტყველებას უმატა.

მერწმუნე: ქალები რომ არ გავეჩინეთ იმ დალოცვილ ომერთს, მამაკაცები ნაკლებად იყბედებდნენ.

ცნობილია: არც დედალი შაშვი, არც დედალი ბულბული არა გალობენ, მხოლოდ მამლები გალობენ, რათა დეკანოზებს ფაბრუ დაასხან".

ბიბლიოთეკა

მცირე ხანს სდუმდნენ ორივენი, ძია ნიკომ კისერი წაიგრძელა, მზერა დაძაბა, რათა როგორმე შეენიშნა, ადგნენ თუ ისევ იქავე ისხდნენ ლეღვებს გადაღმა ისინი.

შეეშინდა: ვაითუ აქეთკენ წამოვიდნენ და გადამეყარონო, წინ წასვლა დააპირა, მაგრამ ისევ მოისმა მამაკაცური ხმა:

„შენ თუ არ შეგაწუხებ, ცოტა ხნით წამოვალ ბერმუხას, შენსას. მე აქ ერთი პარტკომის მდივანი გადამეკიდა, გასაქანს არ მაძლევს. მინდა ცოტა ხანს დავასვენო ნერვები".

„რასა ბრძანებ, დეიდა, შენი სტუმრობა მე როგორ შემაწუხებს".

„სოხუმში მეპატიჟებიან დედაჩემის ნათესავები, მაგრამ ისე მაწუხებს შენი მდგომარეობა, მინდა წამოვიდე, დაგხედო, მაგ შენ პროფესორსაც უკეთ დავაკვირდები".

ისევ დადუმდა ვარა და დასძინა:

„შენ უფრთხილდი იმ ძია ნიკოსაც, არც ისაა კაი კაცი, ვგონებ იგიც შენიღბული ბოლშევიკია. მე ასე თუ ისე კიდევ მითმენენ აქაურები, აგრე ვარაუდობენ ალბათ: მაგ დედაბერი რას დაგვაკლებსო. შენ კი უცხოეთიდან ახლადჩამოსული ხარ, ისიც თავადის ქალი, გენერალ ვაჩნაძის შვილიშვილი.

გულს ნურავის გაუხსნი, შვილო, მეშინია, არაფერი მოგწიონ. ილ ფო ფერ ლანტანსიონ"[1].

ეს ფრაზა ვერ გაიგო ძია ნიკომ.

„მე განზრახ ვუთხარი შენს ქმარს, გაზეთებს არა ვკითხულობ-მეთქი. — განაგრძობდა ვარა. — პირიქით, მე წაღმა-უკუღმა ვატრიალებ მათ გაზეთებს, ქვეტექსტსაც კარგად ვკითხულობ და ვიცი, ადრე თუ გვიან, ომი იქნება უთუოდ და ეს იქნება მათი წითელი პარასკევი...

რა თქმა უნდა, კომუნისტებს არ უნდათ ომი, სამაგიეროდ, ევროპას უნდა ომი, არისტოკრატიასა და ბურჟუაზიას სჭირდებათ ომი".

ძია ნიკომ მედეას ჩურჩულიც გაიგონა:

„ვგონებ, ვიღაც მოდის, დეიდა. ვახტანგი ხომ არ დაბრუნდა ნეტავ?"

---

[1] საჭიროა სიფრთხილე.

„ვინც უნდა ის მოვიდეს აწი, ჩვენ უკვე მოვიოხეთ გული. არ დაგავიწყდეს, მე დადიანის ქალი ვარ, დადიანის ქალები მუდამ მამაცები იყვნენ, მათ წინაშე ცახცახებდნენ ქმრები“.

ძია ნიკომ ფეხის ხმა გაიგონა, ადგა, ლეღვის ხის გარშემო ნაბარტყევ ყლორტების ბუჩქებს შეეხიზნა და იფარა მათგან დამდგარი ჩერო...

•

ამასობაში სუსქია და ვახტანგი მიჰყვებოდნენ დაღმა მიმავალ ბილიკს, მაღალ ქუსლებზე შემდგარი ქალი დიდი გაჭირვებით მიდიოდა ბნელში. კორინთელს მკლავი ჰქონდა მის მკლავში გაყრილი და ამ მაღალ ქუსლებზე შემდგარი ქალის არცთუ მსუბუქი ტანი მას აწვებოდა.

მხრისთავზე მჭიდროდ მიკრული ჩაჰყავდა იგი დაღმართში. ნასმურევი მამაკაცი გრძნობდა ამ ქალის სხეულის გამაბრუებელ სურნელებას, მისი სუნთქვა ისე ახლოს მოდიოდა მასთან.

როგორც კი ბილიკზე ჩამოვარდნილი ლოდები ან თხრილი წინ გადაეღობებოდათ, კორინთელი შემოხვევდა ხოლმე ზემოტანზე ხელს და უნებლიეთ ახლოს იხუტებდა მის ფაშფაშა სხეულს, ღელავდა, თანაც ფრთხილად ჩაჰყავდა სუსქია დაღმართში.

ქალმა სთქვა:

„მე სიზმარში მგონია თავი, ვახტანგ“.

„რატომ?“

„მე არ მეგონა, თუ ოდესმე შეგეყრებოდი სადმე. შენ ისე შორეული და მიუწვდომელი მეჩვენებოდი მუდამ“...

„რათაო ვითომ?“

„როგორ თუ რათა, შენ ასეთი სახელმოხვეჭილი, მსოფლიოს მომვლელი მეცნიერი ხარ, მე საწყალი პროვინციელი ექიმი“.

კორინთელმა მიუგო:

„რატომ, ჩვენს ქვეყანაში პატივისცემის ღირსია ყველა ეშრომელი“.

მცირე ხანს მდუმარედ მიდიოდნენ, ბოლოს ქალმა დაარღვია დუმილი:

„მე ახლა მაგონდება: ამ ოცდაოდე წლის წინათ, შენ ტფილისელი გიმნაზიელი იყავი, მე — წმინდა ნინოს სასწავლებლის მოწაფე. აღდგომა ღამეს ერთად წამოვედით ერეკლე მეფის კარის ეკლესიიდან, ამხანაგების მთელი ჯგუფი მოვდიოდით სიცილ-კისკისით. დანარჩენები გზადაგზა ჩამოგვცილდნენ.

მე მეშინოდა მარტოკა შინ წასვლისა, ვერ გამვბედა, მეთხოვა გაგეცილებინე. გულწრფელად გითხრა, ისიც მაფიქრებდა, მარტოკა გავეცილებინე ვაეს.

ბოლოს გადავწყვიტე, მეთხოვა გაცილება, მაგრამ [illegible] მიღალატა და, როცა თქვენებიანთ ჭიშკარს გავუსწორდით, [illegible] ბე, თანაც ვცახცახებდი: მარტოკა როგორღა წავალ-მეთქი შინ; შენ შემომთავაზე — გაგაცილებო.

ესა სთქვი მოკრძალებულად, ყმაწვილურად. მე ცალყბად გითხარი: რა საჭიროა-მეთქი.

შენ ჭიშკარს წაეპოტინე, რადგან ჯერ უწვერული ყმაწვილი იყავი და არც კი იცოდი, როცა ხანდახან ქალი „არას“ ამბობს, „ჰოდ“ უნდა იგულისხმო.

გუშინდელ დღესავით მახსოვს, უკანასკნელად მე და შენ შევხვდით ერთმანეთს რუსიკო ოდიშელიძის დღეობაზე.

შენ სწორედ იმ საღამოს მიმაცილე შინამდის, მეორე დღეს პარიზს წახვედი. როგორი უბედური ვიყავი მაშინ მე, შენ კი ალბათ ახლაც ბედნიერი ხარ“...

კორინთელს უნდოდა ეთქვა, მე შენზე მეტად უბედური ვარო, მაგრამ სათქმელი ხორხის არეში გაეხირა... და სუსქიამ განაგრძო:

„შენ იმ საღამოს, თუ გახსოვს, დამპირდი კიდევაც, პარიზს ჩასვლის უმალვე მოგწერო წერილს და არც არაფერი მოგიწერია მას შემდეგ.

ოჰ, ღმერთო, რა ნათლად მახსოვს: შემოდგომის მშვიდი საღამო იყო. ვენახებიდან გადმოცვენილი გამხმარი ფოთლები ფაჩუნობდნენ ჩვენს ფერხთით, ამ ბილიკს მივყვებოდით ისე კმაყოფილნი და ბედნიერნი! ხომ ასე იყო, ვახტანგ?“

ვახტანგმა კავკასიონს გახედა, მთვარის შუქით გაბრწყინებულს, პორცელანისფერი ღრუბლების დეკორაციებით დამშვენებულს, და სთქვა:

„მართალია, სუსქია, მე დაგპირდი, ბარათს მოგწერ-მეთქი და არც არაფერი მომიწერია, მაგრამ ვინ გაიგებს ამ ცხოვრების დაბურდულ ამბებს. განა ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ჩვენ ყოველთვის შეგვეძლოს დანაქადნებისა და დანაპირების შესრულება?

ჩვენ გვეჩვენება მხოლოდ, თითქოს ჩვენ ვქმნიდეთ და ვმართავდეთ საკუთარ ცხოვრებას, მაგრამ საბოლოოდ ისე გამოდის, ზოგს თავათ ცხოვრებაც გვატარებს ხოლმე თავის დამრეცილ გზებზე, რადგან გარემოებანი ჩვენზე მეტად ღონიერ ნებისყაცებზე უფრო ძლიერნი აღმოჩნდებიან ხოლმე.

იმ უშველებელი წნევის ქვეშ, რომელსაც გარეშო ახდენს ხოლ-
მე ჩვენზე, ვიცვლებით და განვიცდით განუწყვეტელ ცვალებადო-
ბას. და მაინც ისე გვეჩვენება, თითქოს ჩვენ ერთი და იმავე გზით
მივდიოდეთ და იგივე ვიყვეთ, რაც გუშინ და გუშინწინ ვიყავით.

მეც მახსოვს ის საღამო, როცა რუსიკოს დღეობიდან შინ მიგა-
ცილე უკანასკნელად. მაშინაც ოდნავ ნაღვინევი ვიყავი, ასე ხელ-
გაყრილი მომყავდი ამავე ბილიკზე და ასევე ვღელავდი და პირი
მიშრებოდა"...

სუსქიამ გაიცინა:

„მართლა თუ ღელავდი, ვახტანგ? მე ვერ გამჩნევდი".

„ვღელავდი, მაგრამ ვერ ვბედავდი ამის გამხელას".

ვახტანგი სდუმდა მცირე ხანს და მერმე სთქვა:

„ერთადერთი, რაც მას შემდეგ შეუცვლელი დარჩენილა, ეს
არის კავკასიონი; ზუსტად ასეთი წყნარი საღამო იყო, ასეთი მრუ-
მე ზღვისფერი იყო კავკასიონი და ის ღრუბლებიც ასეთივე ფე-
რისა, როგორც ესენი, თითქოს ქარს მას შემდეგ ერთხელაც არ
აულაგებიაო ის ღრუბლები კავკასიონის მოდრეკილი ზურგიდან".

სუსქიამ მკლავი გაითავისუფლა ვახტანგის ხელიდან, ოდნავ
უკან დაიხია და წინდები გაისწორა.

ვახტანგს გაეცინა:

„სწორედ აქ, სადღაც, შესდექი, განზე გაიწიე და წინდები
გაისწორე და ისევ დავყევით დალმართს, მაგრამ არც ერთი არა-
ფერს ვამბობდით, მე პირი მიშრებოდა ვნებამოძალებულს, მოკრ-
ძალებულად მეკიდა ხელი შენს მკლავზე, სუსქია".

ამ საუბარში ვახტანგმა თვალი მოჰკრა ლუკა მეთონის თეთ-
რად შელესილ ქოხს. ორი პაწია განათებული ფანჯარა გამოჩნდა
შორიდან.

„ჩვენ ვუახლოვდებოდით შენს სახლს და მე, ვგონებ შენც, გე-
შიხოდა. მამაშენს არ დაენახა, როგორ მოგაცილე".

ესა სთქვა კორინთელმა და უფრო ახლოს მიიკრა ქალის სხე-
ული მხრისთავზე. ამ ადგილას ძლიერ დაცერებული იყო დალმარ-
თი და მაღალქუსლებიან ქალს უჭირდა ძირს ჩასვლა.

„შენ ეს იკითხე, ზამთარში ამ ალმართზე ასვლა-ჩამოსვლა, რამ-
დენჯერ წავქცეულვარ აქ, ამ ადგილას".

სთქვა და მართლაც დაუცდა ფეხი და მისი საკმაოდ მძიმე სხე-
ული წასაქცევად გადაიზნიქა, კორინთელმა მეორე ხელი მიაშვე-
ლა და, როცა ქალის გულმკერდს მოხვდა მთრთოლვარე მკლავი,
კორინთელი აღელდა, მაგრამ არ შეიმჩნია ეს.

უკვე სამშვიდობოს გასულნი იყვნენ, შავი ფინია ბურთივით

გამოვარდა ვაზებით დაბურდული აივნიდან და ვახტანგისკენ გამოჰქანდა ყეფით.

სუსქიამ ჯიბიდან გასაღები ამოიღო, სწორედ ისევე, როგორც უკანასკნელ საღამოს, დიდხანს უკირკიტა ჩაკეტილ საკეტს.

არავითარი ცვლილება არ დაუხვდა კორინთელს ამ დიდ ბინაში. ჭერიან ოთახში, ოღონდ ეს იყო, ტლანქად გარანდული ხის იატაკი წითლად შეეღებათ, ელექტროს სინათლე გამოეყვანათ. ბუხრის თავზე ძველმოდური საათი წიკწიკებდა.

პირსაბანიდან წყალი წვეთავდა, კედლებზე გახუნებული ფოტოსურათები ეკიდა. მხარმარცხნით წითელსაფრიანი ტახტი იდგა, მწვანე ხავერდის მუთაქებითა და ბალიშებით მორთული. კედელზე კაპიტნის ჩინებიანი ვაჟკაცის სურათი ეკიდა. იგი ძლიერ მიაგავდა სუსქიას. კორინთელმა ამ ვაჟის ვინაობა გამოჰკითხა მასპინძელს.

„ეს ჩემი ძმაა, ავთანდილი“, მიუგო ქალმა.

როგორც მაშინ, ახლაც ტახტზე ჩამოსხდნენ ორივენი.

ვახტანგს მოაგონდა: მან მხრისთავზე ხელი წაავლო სუსქიას, აკოცა მკერდზე, და სწორედ იმ წუთში აივანზე აყეფდა ძაღლი, ათრთოლებული ვაჟი ზეწამოიჭრა, მაგიდას მიუჯდა და გაზეთს დაუწყო განგებ კითხვა.

ორ წუთსაც არ გაუვლია, თონეში მორიგეობიდან შინ მობრუნებული ლუკა მინდელი წამოადგა თავზე შეცფუნებულ ქალ-ვაჟს.

ახლა უფრო გაბედულად წაავლო ხელი კორინთელმა სუსქიას, საკინძე გაუხსნა და აკოცა.

ჩამიჩუმი არ ისმოდა, შავი ფინია ხმას არ იღებდა, მაგრამ ორივენი ღელავდნენ მაინც. კორინთელმა თავი გადაუწია ქალს, აკოცა ზედიზედ და მის კორსაჟს შეავლო ხელი, მაგრამ ქალი წელში გაიმართა და ენერგიული ხმით უთხრა:

„არა“.

მერმე ბუხრის თავზე მოწიკწიკე საათს მიხედა და სთქვა:

„სადაცაა, უნდა მოვიდეს მამა“.

ვახტანგი ისევ მისწვდა ქალის ტუჩებს, მაგრამ შავი ძაღლი უკვე აყეფდა აივანზე...

•

•

ალმართს მიჰყვებოდა ვახტანგ კორინთელი. იგი ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ ასე შემთხვევით, ასე უცაბედად შეეფეთა ეგზომ დაუმსახურებელი სიტფო და სიყვარული, მონიჭებული სწორედ იმ ადამიანისაგან, რომლის მიმართ უყურადღებობის მე-

ტი არაფერი გამოუჩენია, ვისაც შეპირებული ღია ბარათიც არ მოსწერა უცხოეთიდან.

მხნე ნაბიჯებით მიდიოდა კორინთელი აღმართ-აღმართ, თითქოს მას ოთხი ათეული წელი აღარ ეკიდა უკვე მხრებზე, მალალი წნევა ჰქონოდეს ოდესმე.

ბიბლიოთეკა

შესცქეროდა ოქროს ვარსკვლავებით მოოქვილ ცას, ღრმად ისუნთქავდა წარუყვნელ ჰაერს, შეყვარებული თვალით გასცქეროდა მარად საყვარელ კავკასიონს და ასე ეოცნებებოდა, თითქოს იმ ღამესა და ამ ღამეს შორის მას ერთხელაც არ ეგრძნოს ბედნიერება, თითქოს ეს ორი ღამე უწყვეტლივ ყოფილიყო ერთიმეორეზე გადაბმული. . . . . .

მამისეული ჭიშკარი შეაღო, ერთი შეხედა ერეკლეს სასახლეს. გამოცივებული ფანჯრებიდან გარეთ იმზირებოდა ამ სასახლეში გამომწყვდეული ღამე.

გალავნის ბნელი სილუეტები გარს ერტყნენ მას და, როგორც თავის სიჭაბუკეში, ისე ახლაც დევების გაპარტახებულ ბუნაგად ეჩვენა იგი.

დევები დახოცილან და უპატრონოდ დარჩენილა სასახლე, რომელშიაც წარმავლობას და ღამეს დაუვანებიათ სამარადჟამოდ.

„ო, მწუხარებავ, გავერანებულ კაცთა სამყოფლოს სარკმელებიდან გამომზირალო, შენ უფრო ბნელი ხარ, ვიდრე უმთვარო და უვარსკვლავო ღამე“...

ასე ფიქრობდა ვახტანგ კორინთელი, ღვინისა და ვნებისაგან აღგზნებული მიდიოდა ასწლოვანი ხეების ჩრდილებს ქვეშ, ლეღვების წვეროკინები ხატავდნენ თვალსაწიერის კიდეზე ირაციონალურ აჟურებს.

აქაც ყოველივე უცვლელად ეჩვენებოდა კორინთელს. მის ძარღვებში სდუღდა ქინძმარეულისაგან მოგვრილი მხურვალება, სავსებით გაჭაბუკებულად სთვლიდა იგი თავის თავს და იგივე ღვინო, რომელიც იწვევს ჩვენში ფანტაზირებისა და მითების თხზვის აუცილებლობას, უმსუბუქებდა გასულ წელთა მანძილზე განვლილ შრომასა და სიმძიმილს.

აგრე ეგონა კორინთელს, თითქოს კირკეს მიერ შეკაზმული ჯადოსნური რამ წამალი ესვას, კვლავ მოეხვეჭოს სიჭაბუკე, რომელიც მუდამ მზადაა დაბრკოლებათა მთებს შეასკდეს მკერდით...

*

კორინთელს უკვე მაგრად მოკიდებოდა ღვინო. ესეც აგონებდა მას თავის სიჭაბუკეს, რადგან წლების განმავლობაში მას არ დაულევია ერთ საღამოს ამდენი ღვინო.

მამისეული სახლის წინ შესდგა იგი. მაგრამ ალარ უნდოდა შინ შესვლა, რადგან იქ ეგულებოდა მიცვალებულთა გამოხუნებული ფოტოსურათები და ცოლი.

ეს მამისეული კარ-მიდამო, ეს ჰორიზონტზე განჩრდილული ხეთა წვეროკინების აეურები ამბობდნენ, თითქოს ამ ორ ღამეს შორის არაფერი მომხდარიყოს ვახტანგ კორინთელის ვნებათა სამყაროში, მაგრამ ნასმურევის შემეცნებაში უკვე შემოჭრილიყო მწვავე შეგნება იმისა, რომ მედიკო და მისი წვეროსანი დეიდა შინ დაუხვდებოდნენ მას და საყვედურებით დაგესლავდნენ, რათა წაეშხამებინათ მისთვის სუსქია მინდელთან გატარებული ორიოდე ბედნიერი წუთი...

და ახლა აგონდებოდა ვახტანგ კორინთელს მოხუცებული მამის შეგონებანი, ჯერ კიდევ მაშინ თქმული, როცა კორინთელიანთ თელაველი ნათესავები ხუმრობით უწოდებდნენ მას „ვაჩნაძიანთ სასიძოს“.

უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა ბედშავი მიწისმზომელი:

„შრომაში წელგაწყვეტილი ოჯახის ნაშიერი ხარ, შვილო, რა ხელი გვაქვს ჩვენ თავადებთან, რომელთაც შრომა მხოლოდ გლეხების მოვალეობად მიაჩნიათ“.

იგავიც სთქვა მან ერთხელ ასეთი:

თურმე ბუს მოუნდომებია არწივთან დამოყვრება. თავისი ქალი. შეუძლევიაო მისთვის. დასთანხმებია არწივიც ბუს, ქორწილიც გაუმართავთო თურმე, მაგრამ ღამით გამართულ ქორწილში არწივის მართვეს ვერ უცვნია თავისი საცოლე, ხოლო დღისით გამართულ ლრეობაში — ბუს ბახალას არწივის მართვე.

რამდენიმე საათის წინ, სუფრაზე ჯდომისას, კორინთელის სმენას მისწვდა რამდენიმე ფრანგული ფრაზა, ვარას მიერ ნათქვამი, თუმცა მედიკო მდუმარედ უსმენდა მას, მაგრამ კორინთელი მთლად დარწმუნებული არ იყო, ეს დუმილი თანხმობას რომ არ ნიშნავდა. ახლა ისიც მოაგონდა, თუ როგორ გაიცინა მედიკომ, როცა ბიძია ვარამ უნივერმაღის ნოქარს შეადარა კორინთელი.

ყოველივე ამან მოაგონა კორინთელს განსვენებული მამის მიერ ნათქვამი იგავი. ქორწილი შემდგარი იყო უკვე ორიოდე წლის წინად, მაგრამ კორინთელისათვის მთლად ცხადი არ იყო, არწივისა და ბუს მართვეები საბოლოოდ თუ შეიცნობდნენ ოდესმე ერთმანეთს.

როცა კიბისთავზე მწოლარე ძაღლი აყეფდა, კორინთელი გამოერკვა ფიქრიდან. ოთახებში ჩამიჩუმი არ იყო, მხოლოდ ძველებური საათი აეღრიალდა და სამჯერ დარეკა. პიანინოს წინ

მდგარ სავარძელში იჯდა ძია ნიკო, მისი უმარჯვოდ მოდრეკილი გოლიათური სხეული ძილს მინებებოდა.

საწოლის ტალანიდან ხროტინი ისმოდა: დივანზე პირალმა გაშლილთული ვარა ხვრინავდა.

ჩაცვენილი თვალის უპეები და შებერტყილი ლოყები უკვე ვეღარ ფარავდნენ ოსტენიური[1] სახის კუთხოვან მონახაზებს და სიგრძეზე გაჭიმული მისი სხეული ჩონჩხს მიაგავდა, ანატომიურ მუზეუმში სადემონსტრაციოდ გამოტანილს.

მისი ხროტინი იმას მოწმობდა, რომ თვით ძილსაც ვერ დაეშოშმინებინა მისი აფორიაქებული სული, რომელიც ყოველ წუთს აფრქვევდა პირიდან სიავის ჩქერალებს.

საწოლის კარი შეაღო კორინთელმა, საღამური ელნათური ჩაუქრობელი დარჩენოდა ქმრის მოლოდინში მედეას. კარისაკენ პირშექცეული იწვა, საბანი გადახდოდა სანახევროდ შიშველს.

კორინთელი იდგა და შესცქეროდა ძილნასვამ სხეულს. არც ერთი ნაოჭი არა სჩანდა არც მის სახეზე ან სხეულის სხვა რომელიმე ნაწილზე.

რაღაც უცნაური სითეთრის ელვარება გადასდიოდა მის შუბლს, ლოყებს, მკერდს, მხრისთავებსა და გრძელ მკლავებს, ისეთი სითეთრე, ლოპოტის მარმარილოს რომ ახლავს ხოლმე.

ახლადმოსულის ნაბიჯების ჩქამზე ოდნავ გასაგონი კვნესა ამოუშვა მძინარემ, უნებლიეთ ხელი ჰკრა საბანს და პირალმა დაწვა. სავსებით უზადო იყო ამ წუთში მისი გრძელი, მშვენიერი სხეული...

ვახტანგმა ტანზე გაიხადა, საღამური ლამპა ჩააქრო, მაგრამ ძილი გაურბოდა თვალებს. ისევ აანთო იგი, ცოლის გვერდით იწვა ვნებაგაცლილი და ფიქრობდა...

კონტრასტულმა ასოციაციამ სუსქია მინდელის სხეული თვალწინ დაუყენა კორინთელს. სუსქიას ტანს გადაჰკრავდა მოწითანო იერი. მთელს მის სხეულს ამობორცვილობისა და სიმრგვალისკენ ჰქონდა მიდრეკილება.

ხელ-ფეხის კიდურები მასაც გრძელი ჰქონდა, ოდნავ მომრგვალებული მხრებისა და თეძოს თავები. და ამას ყოველივეს აგვირგვინებდა მისი ნაწნავების ლაპლაპი ზუსტად ისეთი ალისფერისა, რომელიც ცეცხლშემოგზნებულ ვაზის წალამს შეუდგება ხოლმე.

ტალანიდან მოისმა ვარას ხროტინი, იგი ისე ხვრინავდა, თითქოს ათასი ეშმაკი ჩასვლიაო გვამში.

კორინთელს მოაგონდა ამ უკანასკნელის მიერ ფრანგულად ნათ-

---

[1] ოსტენიური — ბერძ. „ოსტენინ" . ძვლები, ძვალგამოჩრილი, გამხდარი.

ქვამი გესლიანი სიტყვები და ისიც, თუ როგორ აღუშფოთებლად ისმენდა ყოველივე ამას მედიკო...

უეცარმა ბრაზმა გაჰკრა კორინთელის გულს სამართებელსავით წამახული ჭანგი. ახლა სუსქიას მიერ გზაში ნათქვამი სიტყვებიც ახმიანდნენ მის ცნობიერებაში... ამ წუთში იგრძნო კორინთელმა, თუ რა უცხო ყოფილა მისთვის მის გვერდით მწოლარე ქალი, რომლის სილამაზე უფრო დახატულს წააგავდა, ვიდრე ხორცშესხმულს...

ადგა, ისევ ტანთ ჩაიცვა, ლამპა ჩააქრო და აივანზე გავიდა. ერთადერთი მამალი ყიოდა სადღაც. გარინდებულნი იდგნენ ხეთა კონტურების ბნელი მონახაზები ირგვლივ მოჯარულ ჩრდილების ზღვაში.

კორინთელი ეზოში ჩავიდა და ვაზის თალარს ქვეშ დაფენილ ჩეროს შეეხიზნა.

მას ეწადა—ამ ჩრდილების ზღვაში ყოფილიყო ყელამდის ჩაფლული. ახლა არავის სიახლოვე არ ენატრებოდა.

მთვარე ჩამქრალიყო თითქოს. ნაზამთრალი ცხვრის მატყლისფერი ღრუბლების ბლონდს შენთებოდნენ მისი ძაბუნი სხივები.

კორინთელი იჯდა გარინდებული, მზერას უმართავდა გარსმოწოლილ სიბნელეს. ღვინისაგან მოგვრილი მხურვალება ჯერაც არ გამონელებოდა. საყელო მოიხსნა, ვაზის ლერწზე გადაჰკიდა, მკერდი გაიღეღა და ნიავს შეუშვირა.

ადგა, მის გასწვრივ მდგარი სკამი მოსწია და ფეხები ზედ დაალაგა. აგრე იჯდა კარგა ხანს, კი არ იჯდა, თითქმის წამოწოლილი იყო და მისჩერებოდა იმ ადგილს ცაზე, სადაც მთვარის დისკოზე გადაფოფრებული ღრუბლის ფრთილა ნელ-ნელა იცრიცებოდა.

ამაოდ ლამობდა ღამის მნათობი საასპარეზოდ გამოსვლას; აღმოსავლეთიდან მოდიოდა ახალი ღრუბლების გალა. ზოგი მათგანი ნიაღვრის ფერისანი იყვნენ, ზოგნიც იმ ფერისა, გაზაფხულის პირზე ჯერაც დაუბანელ ცხვრის ფარას რომ გადაჰკრავს ხოლმე.

და ეზმანებოდა მთელემარეს ორიოდე წლის წინად განცდილი მგზავრობის ეპიზოდები. . . . . .

...ზღვა საღამანდრასავით იცვლიდა იერს, ხან ასფალტისფერი იყო სავსებით, ხანაც ცინკის ფერისა.

გემი მიჰყვებოდა ელასტიურად მოლივლივე შიფერის ტალღებს, თეთრი მეთოლიები დაჰფარფატებდნენ მოტორტმანე წყალთა უდაბნოს.

გემის შუაგულში მდერინავი მანქანა ქუსქუსებდა, ოხრავდა და ჭშინავდა, დაუცხრომლად იკაფავდა აღმოსავლეთისკენ გზას და

ეს იწვევდა არა მარტო რითმიულ როკვას, არამედ დაუცხრომელ ჭრიალსა და ტოკვას, ჯახუნსა და ტლაშუნს.

რაკრაკებდა კაიუტებში ჭურჭელი და ავეჯი... ცაზე მიჰქროდნენ მგლისფერი ღრუბლები დგანდგარით, ძლიერდებოდა ქარი, თითქოს ათასი ჭინკა ცეკვავსო ანძების წვეროკინებზე.

გემი ნელ-ნელა უმატებდა ტოკვასა და როკვას, და უკუნეთიდან ამოხეთქილი ქარბორბალა გადაიჯირითებდა ზღვის ზედაპირზე.

შეძაგძაგდებოდა, აძუნძულდებოდა ეს მდვრინავი, მქშინავი მახინა, ატყდებოდა დაჟინებული ჭრიალი და კაკუნი, კაიუტებში და კედელზე დაკიდული ინვენტარის რითმული რაკუნი, რომელიც მაცნეა პოსეიდონის უეცარი განრისხებისა.

მოჰქროდა მრავალი ათასი გაცოფებული ნიაგარა და ტყვიის ფურცელივით გაშლილ ზღვაზე ატორტმანდებოდა, აცეკვდებოდა ეს უზარმაზარი სახლი და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა მგზავრს, თითქოს ვიღაცა, ამ მანქანებზე, ამ გემზე უფრო ძლიერი, უკანიდან წამოუვლიდა ამ ვეებერთელა მახინას, ზეასწევდა, ისევ ხელს შეუშვებდა, ერთბაშად ჩაჰყვინთავდა გემის ჭვინტი მრავალ ათას მარგალიტებად დამსხვრეულ ტალღათა უფსკრულში, მერმე ისევ შეიმართებოდა გემი და ერთხანს რიტმული ქუსქუსით, ქშენითა და ბუბუნით გაჰქანდებოდა წინ.

ახლა გვერდიდან წამოუვლიდნენ გემს კალასფერი, ჭალარა ტალღები და გაჰკრავდნენ მას ტლაშუნა ფრთებს.

...მოჰქროდნენ უფსკრულიდან ლივლივა ბორცვები, ერთიმეორეს ზედახორად ზედ ასხდებოდნენ, ბორცვები კორდებად იქცეოდნენ, კორდები გორებად და გორმახებად, ისევ გამოჭენდებოდა ვიღაც, ქარსა და გემზე უფრო ძლიერი, დაეჯახებოდა ამ კორდებსა და გორმახებზე ხტომით მიმქროლავ მახინას.

ისევ ატყდებოდა ჭრიალი, გრიალი, კაკუნი და რაკუნი და მანქანების რიტმული ქუსქუსი იჩქმალებოდა უსაშველო დვრინვაში, რომელიც პოსეიდონის განრისხებას მიაგავდა ზღვაზე.

და ამ წყალთა უდაბნოში სასოწარკვეთილად ზმუოდა გემის სირენა და ტყვიისფერ ცისკენ აიჭრებოდა ზლაზნია, კლაკნია კვამლი, რომელიც ისე დაიგრაგნებოდა ხოლმე ეთერში, როგორც თავმოკვეთილი ურჩხულის ბოლო...

კორინთელმა თავი წაართვა თვლემას.

მთვარე უკვე გამოსულიყო მღვრიე ტალღების მორევიდან, კავკასიონისკენ ზანტად მიდიოდნენ აბრეშუმივით ხასხასა ღრუბლები.

ისევ ჩასთვლიმა ვახტანგ კორინთელმა.

გემი უკვე დარბაისლურად მიგოგავს ნეფრიტისფერ ზღვის ზე-

დაპირზე, შორეთის ზღურბლამდის დაგებულია ატლასის ფარდაგები ცაზე, ვრცელი და ნათელი, როგორც ბედნიერების საუფლოში მიმავალი თემშარა.

...ფორთოხლისფერ ღრუბლებს დაუბურავთ სუმბინის მწვერვალები, პლანტაციების განუზომელი სივრცეები, ფერადი თევზების ლითონისფერი ფრთები ლაპლაპებენ ზანტად მოტორტმანე ოკეანის ტალღებზე...

მალახიტისფერი ზვირთები გოგვით წინ ეგებებიან გემს, დელფინები ცეკვავენ გემის მიერ გავლებულ რძისფერ ორნატზე.

მრავალი მილლიონი შავი ფრინველი გარს შემოსევია სუმბინეის მწვერვალს... კრატერიდან ამომავალი კვამლი ჰკიდია ცაზე, როგორც უშველებელი შავი ჯაჭვი, პლანეტებზე ზედასასვლელი.....

...და ეზმანება ვახტანგ კორინთელს, თითქოს სჭამდეს მანგოს ეგზოტიურ ნაყოფს; აჰა, დურიონები მოართვეს მალაელი ქალების შოკოლადისფერმა ხელებმა, დურიონები — ნამდვილი სამოთხის ხილი. მათი სურნელებით გაჟღენთილია ჯუნგლი. აგერ მოფრინავს ფოლადისფერი თევზი და მოაპარპალებს სადაფის თვალებს...

კორინთელმა იგრძნო მძიმე ხელის დადება მხარზე.

თვალი გაახილა მთვლემარემ.

„მე შენ გიცდიდი, ვეჟო, სავარძელში ჩამძინებია ამასობაში. ადექ, წავიდეთ შინ“.

კორინთელმა ძია ნიკო შეიცნო, ანაზდად ზეწამოდგა და თან გაჰყვა. როცა ისინი სასტუმრო დარბაზში შევიდნენ, კორინთელმა თვალი გადაავლო აულაგებელ სუფრას, უკვე გამოფხიზლდა და სავარძელში ჩაჯდა.

„ვახტანგ, — ეუბნება მას ძია ნიკო, — შენ ხვალ ნუ წახვალ, გეთაყვა“.

„რატომ ამბობ, ძია ნიკო, ამას?“

„გრძელი სასაუბრო მაქვს შენთან“.

„ვინ გვიშლის, ახლა რომ ვისაუბროთ?“

„ახლა გვიანია უკვე. ხვალ შენმა შოფერმა მედიკო და დეიდამისი ბერმუხას წაიყვანოს ბარემ. შენ როგორმე ერთ ორ დღეს დარჩი“.

„ისედაც მინდოდა ერთ ორ დღეს დარჩენა, მაგრამ რაც სათქმელია, ახლავე უნდა მითხრა, ძია ნიკო“.

მოუთმენლად ემუდარა კორინთელი მოხუცს, რომელიც თავისი ძალოვანი ხელებით მაგრად მობღაუჭებოდა ძველებური საკარცხლულის სახელურებს.

ბოლოს წარბებშეყრილმა და დამწუხრებულმა ეს უთხრა კორინთელს:

„როცა შენ სუსქია გააცილე წელან, მე დაწოლას ვაპირებდი საკმაოდ დაქანცული, პიანინოზე შევნიშნე სუსქიას [illegible] ლი წამოვავლე მას და გამოგიდექით.

კაცმა რომა სთქვას, აქ რედიკული როდი იყო მთავარი, მე შემეძლო იგი ხვალ გამეგზავნა სუსქიასათვის, მაგრამ უკანა აივანზე გასულმა ის ოხერი ცეროდენა ველარ ვიპოვნე იქ, სადაც იგი დაეწვინა მეზობლიანთ ლევანამ.

სად წავიდა-მეთქი? შევეკითხე ყმაწვილს. ამ წუთში გავიდაო ბაღში. შემეშინდა, მთვრალს რაიმე უსიამოვნება არ მოეყენებინა თქვენთვის, ამიტომაც გავეშურე ჭიშკრისკენ.

ღია დამიხვდა იგი. თქვენ აღარსად სჩანდით. ბოლოს გამოვბრუნდი. ლელვიანში დავიმუხლე თუ არა, ორთა საუბარი შემომესმა. იმ წყეული ბიძია ვარას ხმა შევიცანი. გაავებული უჩიჩინებდა მედიკოს...

...მე თავი მტკივა, ვახტანგ, მამაშვილობას ამას გთხოვ, ნურც ახლა, ნურც ოდესმე ნუ მომთხოვ ყოველივე წვრილად გიამბო"...

სთქვა ძია ნიკომ მისთვის სავსებით უჩვეულო, ძაბუნი ხმით და ვახტანგს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, სადაცაა ხმა ჩაუწყდებაო ამ ბუხუნა დევკაცს.

„მე შენი თვალი და ყური ვარ, იქ, სადაც შენ არა ხარ, ვახტანგ.

როცა საჭიროდ მივიჩნევ, ყოველივეს შეუფარველად გეტყვი, რა თქმა უნდა.

შენ გულმეცნიერი კაცი ხარ და უჩემოდაც იცი, არაა მართებული ყოველივე განაგონის ხელახლა თქმა, სანამ ეს ყოველივე ჯეროვნად არ შემოწმდება.

გამოტეხილად გეტყვი, ძლიერ მიმძიმს ამის თქმაც... მოგეხსენება, ცოლქმრული ცხოვრება ისეთი სათუთი ამბავია, აქ მესამე პირის მიერ სიგნალის მიცემაც საბედისწერო შედეგებს გამოიღებს ხოლმე... მაგრამ ამჯერად საჭიროდ დავინახე სიგნალის მოცემა.

მე... მე მამის მაგიერი ვარ შენთვის და არ შემიძლია არ გაგაფრთხილო, მაგრამ, მეორეს მხრით"...

აქ ხმა ჩაუწყდა ძია ნიკოს და ისე ძლიერად ჩაებღაუჭა საკარცხლულის სახელურებს, ჭრიალი დაიწყო საკარცხლულმა. იჯდა თავჩაქინდრული მოხუცი, ველარ აბრუნებდა ენას, ხოლო კორინთელს მოუთმენლობა მოებჯინა ყელზე.

„მაინც რას ამბობდნენ, ძია ნიკო, სთქვი"...

ძია ნიკო გახევებული იჯდა და მარწუხით იღებდა ხორხიდან

სიტყვებს, ენა უბორძიკებდა, ქუშმორეულ ცხენსავით ხვნეშოდა.

...„რაც უმთავრესია, მე არ მომწონს იმ წყეული წვეროსანი დიაცის ბერმუხას წასვლა. სწორედ გითხრა, ვშიშობ, [illegible] აგირიოს. მაგ დიაცს ხელობადა აქვს ასეთი რაღაცეები. [illegible] მივე ქალი გაჰყარა ქმრებს“.

„ეგ არაფერი, ძია ნიკო, რაც ასარევია, დროზე უნდა აირიოს, რაც დასანგრევია — დაინგრას, ხოლო რაც სათქმელია — დროზე უნდა ითქვას. შენ ეს მითხარი, რას ამბობდნენ მაინც?“...

„შენ უკეთ იცი, ვახტანგ, ქართული სიბრძნე: შავს ლუდსა, წითელ ღვინოსა — განა სულ ყველას სმა უნდა? პირში მოსულსა სიტყვასა განა სულ ყველას თქმა უნდა?

მომეშვი, მამაშვილობას, ხომ გითხარი, თავი მტკივა-მეთქი, განა თუ ღვინისაგან, წყენისგან.

ტანში მაჟრჟოლებს, ვგონებ ხურვება შემდგომია... ამჯერად მხოლოდ ამას გეტყვი: იმ აშარ დედაკაცს თვალი მიადევნე... შენს ცოლსაც კარგად დააკვირდი... ეგ არის, რაც გითხარი“...

კორინთელი ხედავდა, თუ როგორ იტანჯებოდა ბერიკაცი. სიმწრის ოფლი გადასქდომოდა შუბლზე... იგი შეძრული იყო არა მარტო არსათქმელის წარმოთქმის სიძნელისაგან, არამედ მის მიერ უკვე თქმულსაც ინანიებდა. ამიტომაც კორინთელმა ველარ იკადრა მესამეჯერ ეკითხა: მაინც რას ამბობდნენო?

ძია ნიკო ისე ვაგლახად დაღრეჯილი სჩანდა, მას უკვე აღარ გააჩნდა ძალა რაღაც საშინელისა და უცნაურის წარმოსათქმელი...

. . . . . .

თავის მხრით ნიკო უსიტყვოდაც მიხვდა, უკვე თქმულმაც იკმარა იმისთვის, რომ კორინთელის სულში ჩანთხეულიყო იქვი, არა მარტო ვარას, არამედ მედიკოს მიმართაც.

ამიტომაც უკანასკნელი ძალი მოიკრიბა, უფრო მაგრად ჩასჭიდა ხელი საკარცხლულის სახელურებს, თითქოს ეწადა მათგან გამოეწურა სიტყვები და მოჰყვა ენააღრეულ ლუღლუღს:

...„მმე... რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, გეტყოდი, რაიმე საფრთხე რომ მოგელოდეს, მაგრამ მე... მე მაცალე მამაშვილობას, უკეთ დავაკვირდეთ საქმეს... ახლა ეს იკმარე, რაც გითხარი...

მხოლოდ ამას გთხოვ, დამშვიდდე და თვალყური ადევნო... ორივეს... რა თქმა უნდა, მეც ფრთხილად ვიქნები...

გახსოვდეს, შენი თვალი და ყური მე ვარ ყველგან, სადაც შენ არ იქნები, ვახტანგ... თავი მტკივა... მეტს ნურაფერს მკითხავ, მამაშვილობას“. . . . . .

„დაბლალეს წიგნებმა,
დაშქანცეს სიტყვებმა,
ახლა მე მწყურია საუბარი.
ემილ ვერჰარენი

კორინთელს გაუტკბა შინ ყოფნა. მედეას და დეიდამისის ბერმუხას წასვლის შემდეგ განსაკუთრებით დახარბდა მარტოობას. ნიკოს სთხოვა სტუმრებისთვის აღარ დაეძახა.

სამნი მოწყენილნი გარს უსხდნენ სადილობისას სუფრას.

ნიკო მირიანაშვილი იტანჯებოდა, როცა ვახტანგს მოღუშულსა და დაღვრემილს ხედავდა. აღარც ხუმრობდა თავისებურად, არც ღვინის სმას აძალებდა.

ისადილებდა თუ არა ვახტანგი, ჯერ გაზეთებში „ჩაიფლობოდა“ (როგორც იტყოდა ხოლმე ხუმრობით ძია ნიკო), მერმე ადგებოდა და მამისეულ სავარძელში ისვენებდა. ხანაც გაოგნებული იჯდა კაკლის ქვეშ, ნამორზე ბაღში. ტკბებოდა ერეკლე მეორის სასახლის ბნელი კონტურების ჭვრეტით.

ადრე წვებოდა, სტეარინის სანთელს ანთებდა საკუთარი ხელით, რადგან თვალებს იტკივებდა და ვერ იტანდა ელექტრონის ლაჟვარდა შუქს.

ერთ ორ საათს იკითხავდა, უთენია დგებოდა, ამუშავებდა ზოგიერთ დეტალს თავისი მონუმენტური შრომისა — „ქართული ამპელოგრაფიისათვის“.

როცა თვალების ტკივილი წამოეძალებოდა, დახეტიალობდა მარტოკა ასწლოვან ხეების ჩეროში და სთვლემდა.

იგონებდა სიჭაბუკის დღეებს, როცა დედ-მამისა და დების ხმა გაისმოდა ამ დამუნჯებულ ბაღში, როცა ამ ხეთა ჩრდილებს ქვეშ ისვენებდნენ ისინი, ვინც თავათაც ქცეულიყვნენ უკვე ჩრდილებად.

უხაროდა, როცა შეღამებისას ქათმები ადიოდნენ წელში მოდრეკილ კომშებზე, მათთან ერთად იძინებდა, ძაღლების ყეფა და მამლის ყივილი ამცნობდა დღისა და ღამის ურთიერთთან გაყრას.

ასე დაბორიალებდა იგი, მწუხარებით აღვსილი, თავის ბალღობისა და სიჭაბუკის მირაჟებს შორის.

ბერმუხიდან წერილი წერილზე მოდიოდა. მედიკო იწერებოდა: რად ყოვნდები ამდენ ხანს თელავში, ავად ხომ არა ხარო?

კორინთელს შეეშინდა, აქ არ ჩამოვიდეს და თავისი დეიდაც არ ჩამოათრიოსო. შოფერი გაგზავნა ბერმუხას, როგორც იქნა მოუ-

ყარა რამდენიმე სიტყვას თავი და მისწერა ცოლს: თელავში ცოტაოდენი საქმეები გამიჩნდა, მალე ჩამოვალო.

ნატრობდა: ნეტავ შემეძლოს ასეთ მარტობაში ვიმუშავოთ ამ წიგნზე ერთ ორ წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცებულ ნიკოს გულში დაუცხრომლად ასუფევდა ბატონ-ლის სიყვარული, მისი ბუნების მიუცილებელი სტიქია იყო შრომის შემდეგ ღვინის სმა, ხუმრობა და სიცილი, ამიტომაც ვერ იტანდა მოწყენას იგი.

ეუცხოვა, ოდესღაც მხიარული ვახტანგი დაყუდებულ ბერსავით რომ ეძებდა მარტობასა და სიწყნარეს.

ამიტომაც შინ ყოფნა აღარ უხაროდა ძია ნიკოს. უკანასკნელ დღეებში დადარდიანდა... იტანჯებოდა არა მარტო ვახტანგის შემყურე, სინდისის ქეჯნა აწუხებდა თავათაც.

ვერ გადაეწყვიტა, დაწვრილებით ეამბნა თუ არა ვახტანგისათვის ყოველივე, რაც იმ საბედისწერო ღამეს ლეღვებს გადაღმა მჯდომარემ ვარას პირიდან მოისმინა. გაურბოდა კიდევაც ვახტანგთან განმარტოვებას.

ბოლოს ძია ნიკოც გატყიურდა, გადაეჩვია სადილად შინ მისვლას. დაუბარებდა ხოლმე თავის ცოლს, თეკლას, კრებაზე დარჩენა მომიხდება, სადილად ნულარ მიცდითო.

ძმაკაცებთან სადილობდა ხოლმე, მთვრალი მოდიოდა გვიან, ფეხაკრეფით შეიპარებოდა საწოლ ოთახში.

შოფერი ანდრო მეზობლიანთ ლევანასთან ერთად სვამდა მარანში, შემდეგ ჩადიოდა უზარმაზარ საწნეხელში და იქ იძინებდა.

მამიდა თეკლა ნაღვლობდა; ვერ გაეგო: რად გახდაო ვახტანგი აგრე დაღვრემილი?

მოხუცებული ქალის იქვნეულობა ისე შორს წავიდა, რომ ერთ ღამეს შეეკითხა კიდევაც თავის ქმარს: ეგებ ვახტანგს არ სიამოვნებდეს მამამისისეულ სახლში რომ ვცხოვრობთ, ტფილისში გადავიდეთო შენი დის ბინაზე.

ერთ დღეს თელავის ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის უფროსმა მოაკითხა კორინთელს, ამცნო ინსტიტუტში მისი მთავარ კონსულტანტად მოწვევის ამბავი.

ამ დღიდან მოეღო ბოლო ვახტანგის მარტობას, იგი ყოველ მეორე დღეს მიდიოდა ინსტიტუტში, გვიან ბრუნდებოდა და სადილობდა მამიდა თეკლასთან ერთად.

მოხუცებული მამიდა დაფეთებული შესციცინებდა თვალებში სათაყვანებელ ძმისწულს, ვერც კი უბედავდა დაღვრემილობის მიზეზის კითხვას.

ფეხაკრეფით დადიოდა, როცა იგი მუშაობდა და, როცა შრომისაგან მოქანცულს გაუხდელად ჩასთვლემდა სავარძელში საწყლად მიგდებულს, მოვიდოდა მამიდა თეკლა, ტანზე გააძრობდა, ფეხს დაბანდა, ბალღივით ჩააწვენდა ლოგინში და თავათ აქრობდა სანთელს.

უკვირდა მოხუცებულს, მხიარული და ცხოვრების მოყვარული ვახტანგი რამ შეცვალაო ასე ანაზდად. არც ის დარჩენია შეუმჩნეველი, ერთხელაც რომ არ იხსენებდა იგი უბრალო საუბარში თავის ცოლს.

ერთ ორჯერ თავათ ჩამოუგდო სიტყვა, მედიკო ახსენა, უქო ვახტანგს ცოლის სილამაზე და სათნოება, ვახტანგი გათანგულივით შეხედავდა მამიდას, სულ სხვა საგანზე გადაიტანდა საუბარს.

ერთ დღეს უთენია მოვიდა დეპეშა ყვარლიდან: სასწრაფოდ ჩამოსვლას სთხოვდა მას ციხისთავი, რაიკომის მდივანი.

იმ დღეს დროზე მოვიდა ძია ნიკო სადილად. მთათუშეთისკენ გავისეირნოთო, ამ მხარის ნახვა გიამებაო, არწმუნებდა იგი ვახტანგს.

კორინთელმა დეპეშა ამოიღო პიჯამის ჯიბიდან.

ძია ნიკომ დეპეშას დახედა, უკან დაუბრუნა ადრესატს და სთქვა:

„მერმე რა მოხდა, ასეთი. სამიოდე დღე გინდ აქეთ იყოს, გინდ იქით“.

ბოლოს დახედა თავის თეფშს და ჩაიდუდუნა:

„განა მარტო მე? სუსქიაც გთხოვს, მას მივლინებაში გზავნიან საავადმყოფოდან“.

სუსქიას ხსენებამ საამური ჟრჟოლა მოჰგვარა კორინთელს. ამ წუთში მას ეწადა, კიდევ ერთხელ ეხსენებინა ამ ქალის სახელი ძია ნიკოს, კიდევ და კიდევ...

მართლაცდა, ძია ნიკომ კიდევ ახსენა იგი.

„გუშინ აფთიაქში შემხვდა სუსქია. ჯერ მოგიკითხა, მერმე ეს მითხრა: დიდად მასიამოვნებთ, თუ ჩემთან ერთად წამოხვალთო რამდენიმე დღით მთათუშეთს. იქ მასპინძელიც მყავსო.

შენ ინსტიტუტში იყავი წასული და დღეისათვის დავპატიჟე სადილად“.

ნიკომ ჯერ კედლის საათს შეხედა, მერმე თავის ცოლს მიუბრუნდა და ჰკითხა:

„ხომ არაფერი შემოუთვლია სუსქიას?“

„შესაძლოა რაიმე შეემთხვა, ვინ იცის, ეგებ მოულოდნელი

კრება დაუნიშნეს სამსახურში, ჰა? სთქვა თეკლამ და ცისთვალაც შემოვიდა.

„ექიმი მობრძანდაო“, ამცნო მასპინძლებს.

კორინთელი ზეწამოიჭრა, ბოდიშობდა:

„ესესაა მამცნო თქვენი მობრძანება ძია ნიკომ, მაპატიეთ, პიჯამით რომ დაგიხვდით“.

„მე ექიმი გახლავართ, ბატონო პროფესორო, ასე რომ, მამაკაცებს ხშირად ვხედავ შილიფად ჩაცმულს“.

კორინთელმა ფრთხილი მზერა შეავლო ახლადმოსულს. ოდნავ მოქანცული სახე ჰქონდა მთელ დღეს ნამუშევარს. ეს უხდებოდა კიდევაც.

იგი ისეთი მომხიბვლელი სჩანდა, რომ კორინთელი გაოცებული იყო: ამ ქალის ნახვა თუ აგრე გამეხარდებოდა, მის უნახავად ამდენ ხანს როგორ გავძელიო თელავში.

კორინთელმა ფრთხილად მიხედა საათს, უკვე ხუთს უჩვენებდა ისარი. გულისტკივილით შეიცნო, რომ ასე მალე გახდა ხუთი საათი, ისიც, რომ მისი პიჯამის ჯიბეში იდო ეს ტელეგრამა.

ძია ნიკო ღვინის ამოსაღებად წავიდა მარანში. სუსქია მამიდა თეკლას მიუჯდა და ხმადაბლა უამბობდა თავის შინაურ ამბებს.

მამა დამისნეულდაო, ჩიოდა, მე დღედაღამ სამსახურში ვარ, ის კი განუკითხავად მიწევსო შინ. ახლა ბიცოლაჩემი დაქვრივდა და უნდა ჩამოვიყვანოო.

კორინთელი მოხიბლული ისმენდა ამ ქალის ხმას. მას უბრალო ჩითის კაბა ეცვა, მოყვითანო ფონზე მუქი ცისფერი წერტილებით დაწინწკლული, და ეს წინწკლები ვაზის ყვავილებს მიაგავდნენ ზუსტად.

კორინთელი უსმენდა სუსქიას სადა საუბარს და თავისთვის ფიქრობდა:

„მე მგონია, ადამიანის შეყვარება იწყება, უწინარეს ყოვლისა, ხმიდან. თანამედროვე ფონოგრაფიის ეგზომ განვითარების მიუხედავად, ხელოვნების არც ერთ დარგს ჯერაც არ გააჩნია ადამიანის ხმის მთლად ზედმიწევნით გადმოცემის საშუალება.

უწინარეს ყოვლისა, ხმა გვაყვარებს ადამიანს, იგივე ხმა იწვევს სიძულვილის შთასახვას“.

ამასობაში ძია ნიკო შემობორიალდა, მეზობლიანთ ლევანას თან მოჰქონდა მოზრდილი კოკა, ჩალის საცობი ხელში ეჭირა ნიკოს.

კორინთელს გაეცინა.

„ვისთვის გინდა, ძია ნიკო, ამდენი ღვინო, დავიჯერო, შენ და ექიმი ამ კოკას დაცლით?“

„დავლევთ, დავლევთ, ხომ გაგიგონიათ, ვისაც მოუკლავს, ეს მოკლავს ირემსა შავი ტყისასა“.

ძია ნიკო დარწმუნებული იყო, სუსქიას მოსვლა ისე გააბარებდა ვახტანგს, ჩხირს გასტეხდა და სმაში ჩაებმებოდა. აგრე ვარაუდობდა ძველი ეპიკურელი: გულის ჭირის ერთადერთი წამალია ღვინო.

მშვენიერი ქალის სიახლოვე და დაძველებული ქინძმარაულის სურნელება თუ გადასძლევდა ციხისთავის დეპეშას. ამას მოჰყვებოდა მთათუშეთს გამგზავრება. ერთი სიტყვით ყოველივე ეს გამოიწვევდა ერთგვარ გარდატეხას დაზაფრული ვახტანგის ქცევაში. აგრე ვარაუდობდა ნიკო.

კედლის საათმა ექვსჯერ დარეკა თუ არა, კორინთელი ადგა და გამოემშვიდობა დამსწრეებს.

ძია ნიკო არ მოელოდა ამას. უცნაურად ათუხთუხდა:

„რა გახდა ეს ტელეგრამა, ვახტანგ, ახლავე ვუდეპეშოთ ციხისთავს, სამიოდე დღის შემდეგ ჩამოვალ-თქო“.

კორინთელმა შენიშნა, რომ სუსქია გაილურსა.

„არა, ძია ნიკო, საქმე არც ისე მარტივადაა. როგორც მოგეხსენება, მე ვხელმძღვანელობდი იმ კომისსიას, რომლის დასკვნის მიხედვით ბერმუხის ვაზნარები გააშენებინა მთავრობამ, დიდი გვალვა დაწყებულა იქ.

ახალნაშენი ვენახები განსაცდელშია. თქვენთან მგზავრობას რა მირჩევნია, მაგრამ, სამწუხაროდ, არ შემიძლია. ამაღამ ბერმუხას ჩავალ და მანქანას გამოგიგზავნით“.

„არა, მანქანა არაა მთავარი, — სთქვა სუსქიამ, — მანქანა ალვანებამდის დაგვჭირდება, მერმე ცხენებით უნდა ვიაროთ. ჩვენი დირექტორი, კორსაველი, მოდის ჩვენი დაწესებულების მანქანით, მე და ძია ნიკოს გაგვეხარდებოდა, თუ თქვენც წამობრძანდებოდით“.

ახლა სხვა საბუთი მოიშველია ძია ნიკომ.

„მე არ მეგონა, თუ დღეს წახვიდოდი, ამიტომაც ღვინო ვასვი ანდროს. არ ივარგებს მთვრალ შოფერთან მგზავრობა, ვახტანგ“.

„არაფერია, თუ გასჭირდა, მე თავათ წავიყვან მანქანას“.

რაკი არც ამან იკმარა, ძია ნიკომ სთქვა:

„მეზობლიანთ დარო ჩამოსულა ამ დილით ყვარლიდან, ალაზნის ბორანი გაფუჭებულა გუშინწინ“.

კორინთელს დარჩენაც ვერ გადაეწყვიტა და წასვლაც უმძიმდა.

ამჯერად გაცილებით უფრო სადა და ბუნებრივი ეჩვენა სუსქია. სჩანდა: იგი საკმაოდ გაშინაურებული უნდა ყოფილიყო ძია ნიკოს ოჯახში.

ვახტანგი თითქმის იძულებით უსმენდა ძია ნიკოს მიერ ულიმ-ლამოდ წარმოთქმულ კანტიკუნტ ფრაზებს. არსებითად ყურს არ უგდებდა მის ნაუბარს.

ცისთვალას ნაირ-ნაირი კერძები შემოჰქონდა. კორინთელი უხალისოდ გადმოიღებდა მცირეს, ცოტას მოსციცქნიდა და ისევ განაგრძობდა სმენას.

სუფრა შუაში გაიყო თითქმის, მაგიდის საპირისპირო მხარეს დაბალი, დაბალი ხმით საუბრობდნენ თეკლა და სუსქია.

ეს უკანასკნელი ისე ახლოს მიხუტებოდა მოხუცს, მის მხარზე მხარი მიებჯინა, აგრე იტყოდა მაცქერალი: ნაფერები შვილი მისჯდომიაო დედას.

კორინთელმა კიდევ ერთხელ შეხედა სუსქიას, თვალნათლივ წარმოუდგა მისი აღნაგობა, ზუსტად თვრამეტი წლის წინანდელი. ოდნავ ჭორფლიანი, მაღალთეძოებიანი, მაღალკანჭებიანი, ახლად ბეღერებული გოგონა:

მდუმარე,

მორცხვი,

თავმოდრეკილი.

იმჟამად არც ეს გრუზა თმები ჰქონდა მას, არცთუ თმების ეგზომ ელვარე ფერები, რომელთაც გამოსცემს ხოლმე ცეცხლშემოგზნებული წალამი ვაზისა. არც ასეთი სიჭარბე ხორცისა, არც ეგზომ მღელვარების მომგვრელი სისავსე ძუძუ-მკერდისა და თეძოთა.

ხმის ტემბრიც შესცვლოდა ქალს, ეს იყო ოღონდ, თვალის უპეებში შესდგომოდა ოდნავ, სულ ოდნავ მოლიბრო ზოლები.

ვახტანგს მუდამ მოსწონდა სუსქიას თეთრი და გრძელთითებიანი ხელები, ახლა მის ხელის ზურგებს სიმსუქნე შეჰმატებოდა ოდნავ.

არა, საქმეც რომ არ მოითხოვდეს, არ ივარგებს თელავში დარჩენა, მტკიცედ უბრძანა კორინთელმა თავის თავს და მოაგონდა ის მითიური ბერძენი, რომელიც ზღვისკენ გარბოდა, დიაცის სიყვარულს განრიდებული.

„ჭალარამ საფეთქლებზე გადამათოვა, რაღა დროს ჩემი მიჯნურობაა. რაღა დროს ახალი ცხოვრების დაწყებაა, ძველი დაიმსხვრა, და ახლისთვის ვისღა სცალია.

მე ამქვეყნიური მისია დასრულებული მექნება, როცა ჩემს დიდ შრომას მოვათავებ, მორჩა და გათავდა“...

ფიქრობდა კორინთელი. ახლა მან ხელახლა შეავლო თვალი ამ გრძნეული ქალის ალმურწაკიდებულ ლოყებს. მამაკაცს ეწადა,

თუნდაც ელემენტარული თავაზიანობის გასამეღავნებლად რამე ეკითხა სტუმრისათვის, რაც მის პირად ცხოვრებას შეეხებოდა უშუალოდ, ამიტომაც ორიოდე სიტყვას ძლივს მოუყარა თავი:

„იმ საღამოს თქვენ ბრძანებდით, ქალბატონო სუსქია, ფელა

-დან სადღაც მაგზავნიანო, საით გიპირებენ, თუ იცით?“

სუსქიას ეხამუშა ეს განგებისად მშრალი ტონი.

„რა მოგახსენოთ, პროფესორო ბატონო, ამ მოკლე ხანში ექიმების მობილიზაციას აპირებს ჩვენი ჯანგანი: მამაჩემი მეცოდება, ბედშავი, თორემ ჩემთვის სულერთია: სადაც მიბრძანებენ, იქ წავალ“.

კორინთელმა ქვეშეცნეულად იგრძნო ამ სიტყვებში შეფარული სევდა, სჩანდა, თელაგში მას არავითარი პირადული ცხოვრება არა ჰქონდა.

ახლა სუსქიამ თვალი შეასწრო, კორინთელმა კედლის საათს რომ შეხედა. რაღაც იდუმალი წუხილი შემოენთო ქალს გულზე.

ძია ნიკომ ვეღარ აიტანა გარსმოწოლილი უგუნებობა, რომელიც აშკარა მოწყენაში გადადიოდა ნელ-ნელა, გულმეცნიერი მოხუცი გრძნობდა, რომ იგი და მისი ცოლი უნებლიედ გამხდარიყვნენ ერთ-ერთი მიზეზი ორთა მოწყენისა.

და „ღვინო, გულდარდიანთა მკურნალი“, როგორც ძია ნიკო იტყოდა ხოლმე, სავსებით უკმარი აღმოჩნდა ამჯერად; იგი ცხადად ატყობდა: კორინთელი ისე გათანგული იყო ამ ბოლოხანს მიღებული დეპრესიისაგან, მას თვით სუსქიას სიახლოვემ ვერ შეუცვალა გუნება.

თავათ დაისხა ღვინო, უხმოდ გამოსცალა თასი და ომახიანად დაიბუხუნა:

„მოდი, ჩემო სუსქია, დაუკარ, გეთაყვა, რამე“.

სუსქია როიალს მიუჯდა. კორინთელმა აგრე ივარაუდა: ლისტის რომელიღაც რაპსოდია უნდა ყოფილიყო.

... მიდის შორეულ ზღვაზე მარტოხელა გემი, შრიალებს ტალღა, მთვარის მიერ გადმოგდებულ ხიდზე გადადის თეთრაფრიანი გემი.

კვნესის მარტოხელა მგზავრი და პარპაშებს აფრა, და მღერის მგზავრი... ტლაშუნობს ტალღა, ჭრიალებს ანძა და ისმის ცხადლივ ზვირთების ლიკლიკი.

ნელ-ნელა სცვლიან ნახევარ ტონებს ომახიანი, ძლიერი ბგერები, აბორგდნენ ზვირთები, ჭრიალებს ანძა და ისმის ამბოხებულ ტალღათა ზათქი.

მთვარე ურჩხულმა შეიპყრო ბნელში და გრიალებს ქარი და

ქარბორბალა, ოკეანის ქვესკნელეთიდან მოისმის პოსეიდონის ბრისხანე დვრინვა. . . . . .

შვიდჯერ დაჰკრა კედლის საათმა. სუსქია ისევ გვერდით მიუჯდა თეკლას. როცა კორინთელი წამოდგა, მას ისევ [illegible] მინდელის ქალთან განშორება, გარღვეულივით დაბარბაცდა. მაგრამ სუფრის კიდეს ხელი დაჰკრა და ადგილიდან დაიძრა მხნედ.

ახლა მან შენიშნა: ძია ნიკო მოიღუშა, სუსქიას წყენის ჩრდილმა გადაურბინა სახეზე.

კორინთელმა მადლობა მოახსენა დამკვრელს, ტუჩები დააკარა მის თეთრ ხელებს, ძია ნიკოს გადაეხვია.

მამიდა თეკლამ კარგად იცოდა, ერთხელ ნათქვამის გადათქმა რომ არ უყვარდა ვახტანგს, ამიტომაც ცრემლმორეულმა გადაკოცნა თავისი ძმისწული.

*

მოასფალტებულ შოსეზე გამალებული მიჰქროდა მანქანა. კინოლენტის სისწრაფით სცვლიდნენ ლანდშაფტები ურთიერთს. კორინთელი დამდურებულსავით გვერდით უჯდა შოფერს.

იმდენად გართული იყო ფიქრში, რომ ვერც ამ ლანდშაფტების თვალმიუწვდენელ რიალს ამჩნევდა და ვერც იმას, რომ ქინძმარაულის ცეცხლი ჯერაც არა ჰქონდა გამონელებული ანდროს: მას ისეთი სისწრაფით მიჰყავდა მანქანა, ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ხიფათი ამ ზიგზაგიან მოსახვევებთან.

ახალგაზრდა შოფერს უხაროდა კიდევაც, კორინთელი ამჯერად რომ არ უშლიდა ეგზომ თავაწყვეტილ ქროლვას. აქ სხვა მიზეზიც იყო: ჰაზარტში შესული ხელოსანი აკვირდებოდა მისთვის ჯერ კიდევ უცნობი მექანიზმის გამძლეობის უნარს. გარდა ამისა, ჭაბუკური სისხლი უდუღდა ძარღვებში.

მანქანის პატრონი უგუნებოდ იყო, მანქანების საქმეში თავათაც ჩახედული, სხვა დროს შოფერისათვის სავსებით შეუმჩნევლად თვალყურს ადევნებდა მის მუშაობას, თავაზიან შენიშვნასაც აძლევდა ხანდახან, როცა იგი მოძრაობის წესებს დაარღვევდა ნებსით თუ უნებლიეთ, ან მომეტებულ ძალდატანებას მიაყენებდა მანქანას.

ახლა სავსებით გულგრილ მზერას შეავლებდა ხოლმე საჭის მოძრაობას ხანგამოშვებით. ფატალურად მინებებოდა ამ უსაშველო ქროლვას.

მიიჩქაროდა მანქანა, მაგრამ მანქანის პატრონს არ მიუხაროდა

შინ. ისე გამოდიოდა, რომ შინ მიიჩქაროდა კაცი და „შინ“ ან ეგულებოდა იქ.

ამ წუთში ბერმუხა იყო მისთვის მხოლოდ და მხოლოდ უმცირესი სოფელი, რომლის სახელი საქართველოს რესპუბლიკის კაზე აღნიშნულიც არ არის, სამშობლოს ერთ-ერთ [illegible] ტილი, სადაც მას დიდზე დიდი დაკვირვებანი უნდა მოეხდინა ქართული ვაზის მრავალსახეერი ჯიშების მიმართ. ბერმუხა თავათ იყო მიკროუბანი.

სულ ორიოდე საათიც, და შინ მივიდოდა იგი, მაგრამ სადღა იყო „შინ?“ წვეროსანი დიაცი დაუხვდებოდა მას.

კიდევ ერთი გმირი ჰყავდა ამ სამიოდე დღის წინათ წამოწყებულ დრამას. კაცმა რომ სთქვას, უმთავრესი გმირი იყო მედიკო, რომლისადმი სიყვარულმა ბარე ორიოდე ათეული წლის მანძილზე იბოგინა ვახტანგის გულში და ქარიან ღამეს ველზე დანთებულ ცეცხლსავით ჩაჰქრა იგი...

ოდესღაც ამ ქალს სთვლიდა კორინთელი სავსებით უბადლო ხნეობის ადამიანად, რომელიც აჰყვა სიყრმის სიყვარულის რომანტიზმს, ერთ მშვენიერ დღეს მხნეობა მოიკრიფა და თავში ახალა ღრანჭმოქცეულ ლუსიენ შარკუტიეს „ჭინჭები და ბრილიანტები“, სამშობლო არჩია პარიზს, რომელსაც ოდესღაც „ქალების სამოთხესა და ცხენების ჯოჯოხეთს“ უწოდებდნენ.

როცა ჩვენ უმცირეს განდრეკილობას შევამჩნევთ საყვარელ ადამიანს, ჩვენი გული ხშირად ორდება. ერთი ბრალმდებელი ხდება, მეორე — ვექილი.

სანამდის საკმარისი საბუთები ხელთ არა გვაქვს, გამოცდილი იურისტის ხერხიანობით ვეძებთ გზებსა და მომენტებს, რათა როგორმე გავამართლოთ ეს ადამიანი და ნაწილობრივად მაინც შევინარჩუნოთ მისდამი სიყვარული, სიყვარული თუ არა, თუნდაც ოდნავი პატივისცემა.

ეგ მაინც...

ამ შემთხვევაში ერთ მომენტს ებღაუჭებოდა კორინთელი გულმოდგინედ: როცა „დეიდა ვარა“ ფრანგულად აძაგებდა კორინთელს, არა მარტო კორინთელს, არამედ ყველასა და ყველაფერს, რაც ასე წმიდად და შეუბღალავად ჰქონდა მიჩნეული ვახტანგს, მედიკო სდუმდა.

„მართალია, სდუმდა, — ასე მსჯელობდა ახლა კორინთელი, — მაგრამ დუმილი ყოველთვის როდია თანხმობის ნიშანი. როცა შეპყრობილი ან შლეგი რაიმეს დაბეჯითებით და ფანატიურად გვიმტკიცებს, ხანდახან იძულებული ვხდებით ფარ-ხმალი დავყაროთ,

რადგან წინასწარ დარწმუნებული ვართ, ვერც საბუთების მოყვანით, ვერც ენამჭევრობით და ვერც ლოგიკით ვერას დავაკლებთ მას, ვერაფერში დავაჯერებთ.

ამიტომაც ნებსით თუ უნებლიეთ დუმილით ვუსმენთ მას. სწორედ ასეთ შემთხვევაში დუმილი როდია თანხმობის ნიშანი“.

სხვა გარემოებაც ჰქონდა მინიშნებული კორინთელს.

როცა გაცოფებული, შეზარხოშებული ვარა ლაპარაკობდა, მედიკოს წარამარა მიჰქონდა ტუჩ-პირი მისი დამჭკნარი ყურის ბიბილოსთან, ეჩურჩულებოდა რაღაცას.

მართალია, კორინთელს არ ესმოდა, თუ რას ეუბნებოდა იგი ამ დედაკაცს, მაგრამ ამ ამბის მაცქერალისთვის ცხადი იყო, რომ იგი ამშვიდებდა დეიდამისს, ურჩევდა, ხელი აეღო ამგვარ მსჯელობაზე.

სხვა რა უნდა ექნა სუფრაზე? წესიერი და კეთილად აღზრდილი მანდილოსანი უხეშად, ბრიყვულად ხომ ვერ მივარდებოდა ხნით უფროს ქალს, ისიც საკუთარი დედის დას, და სტუმრების წინაშე სკანდალს ხომ არ მოუწყობდა, ან ხომ არ შეუყვირებდა უხამსად?

ეს მომენტი ახლა ხელმოსაჭიდად და სანუგეშოდ ეჩვენებოდა კორინთელს.

მართალია, იმ ღამეს ეს მომენტი ქმრის აუგის დუმილით მოსმენისა განსაკუთრებული სიმძაფრით შემოიჭრა ნასმურევის ცნობიერებაში, მაგრამ ახლა, როცა კორინთელი სავსებით ფხიზელი იყო, დიახაც ცდილობდა იგი, როგორმე ნაწილობრივად მაინც შეენარჩუნებინა მედიკოსადმი ნდობა და სიყვარული.

სიყვარულიო? არა, კორინთელის გულის სიღრმეში გატყდა რაღაც, რაც არასოდეს არ უნდა გამტყდარიყო.

„ჰო, მართლაც... სიყვარული და მეგობრობა უფაქიზეს ვაზასა ჰგავს, საკმარისია უმცირესი წკიპურტიც და შესაძლოა ის გაიბზაროს, განა მარტო გაიბზაროს?“...

მისი ცნობიერების ზედაპირზე ამოტივტივდა ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტი: როცა ფრანგულად მოსაუბრე ნაღვინევმა ვარამ უნივერმაღის ნოქარს შეადარა კორინთელი, მედიკოს გაეღიმა... არ აღშფოთებულა, არც არაფერი უთქვამს, გაიღიმა მხოლოდ...

ეს გაღიმება იყო უმცირესი წკიპურტი...

მანქანა შეუნელებლად მიჰქროდა. ამ ხეობაში ჩაიარეს რამდენიმე დღის წინათ მედიკომ და ვახტანგმა, მართალია, ოდნავ გაბუტული იყო მედიკო, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ძველი მედიკო იყო, კორინთელის სიჭაბუკისდამინდელი სიყვარულით გასხივოსნებული.

და იმ ღამეს გაიბზარა, თუ გატყდა რაღაც, რაც არასოდეს არ უნდა გამტყდარიყო...

რა უცნაური ამბავია... წლების განმავლობაში სწავლობ და უკვირდები მახლობელ ადამიანს, სიყვარულით, ნდობით და ბატ-ვისცემით აღჭურავ მას, მასვე მიაწერ ყოველივე ... ქველეს და სათნოებას, და ერთ წუთში იგი გაქარჩხულივით შეტ-რიალდება და ნიღაბი აეხდება მოულოდნელად, თვალის დახამხა-მებასაც ვერ მოასწრებ, ისე შემოეძარცვება მას შენივე ფანტაზი-ის მიერ მინიჭებული სხივმოსილება და სათნოება...

შავლეგო ღრუბლები გარს ეხვეოდნენ მყინვარების წამახულ მწვერვალებს, მათ დაბლა ნისლი წვებოდა მოლურჯო მთებზე, ჩრდილები რიალებდნენ კორდებზე, ტაატით მოჭრიალებდნენ თი-ვით დატვირთული ურმები, ნაჭირნახულევი კოლმეურნენი, ქალე-ბი, კაცები და ბავშვები ყანებიდან და ვენახებიდან შინ ბრუნდე-ბოდნენ.

სიმშვიდე და უდრტვინველობა გამოსჭვივოდა ამ გულმართალი და პატიოსანი მშრომელების სახის ნაკვთებიდან.

სადღეისო მოვალეობა შეესრულებინათ მათ, ყოველ მათგანს შინ მოუხაროდა, რადგან „შინა" ეგულებოდათ.

გზის პირებზე მოჩაქჩაქებდნენ თივის ბულულებით დატვირ-თული სახედრები, ყურებპანტურა ჩოჩრები მოკუნტრუშობდნენ მათ გვერდით, მაკე ჭაკებს მოზრდილი კვიცები მოსდევდნენ უკან, მათი მხიარული ჭიხვინი მოწმობდა, რომ პირუტყვებსაც მიუხა-როდათ შინ.

დინჯად და მწყობრად, ტაატით და წყვილ-წყვილად მოდიოდ-ნენ შავად გამურული კამეჩები, მოაჭრიალებდნენ დატვირთულ ურმებს.

შოფერმა მანქანის სვლა შეანელა. ჩრდილები ზანტად წვებო-დნენ სერებზე. შორიდან ბავშვების სიმღერა მოისმოდა.

ურემს შეეღალებული ქალი და კაცი მოჰყვებოდა ნელი საუბ-რით, ზედვე ეტყობოდათ, ცოლ-ქმარნი უნდა ყოფილიყვნენ (ცნო-ბილია: ხანგრძლივად ერთად ნაცხოვრებ ცოლ-ქმარს ერთნაირი იერი გადაჰკრავთ ხოლმე).

„აი ამ მშრომელ ადამიანებს უთუოდ მშვიდი და ტკბილი ცხოვრება ექნებათ,—ფიქრობდა კორინთელი,—მათი ცხოვრება კი-დემდის აღვსილია ყოველდღიური გარჯითა და ზრუნვით.

ზოგი ლიტერატორის მიერ მოჩმახული ამბავია „საწოლის ტრა-გედიები", „ოჯახური ინტრიგები", იჭვიანობისა და უნდობლობის ამბები.

მხოლოდ ქალაქელი უქნარა ქალებისთვისაა მიუწვდომელი ის უდრტვინველი იდილია, რომელიც შორიდანაც შეღავნდება თუ-შურჭუდიან კოლმეურნისა და მისი ცოლის სახეზე.

შრომა უდიდესი ფაქტორია, არა მარტო მატერიალური დოვლათის მომხვეჭელი, არამედ ერთგვარი „კათარზისი“ — განწმენდა ადამიანის ზნეობისა.

ისინი ვინც შრომას განიცდიან როგორც სიმძიმილს, ვერასოდეს მისწვდებიან ცხოვრების ამ დიდ საიდუმლოს“.

აგრე ფიქრობდა ვახტანგ კორინთელი. აქ არ შემდგარა მისი რეზონირების ჟინი.

ადამიანების ბუნება პირველი სამი ათეული წლის მანძილზე ფორმდება. მედიკოს ხასიათი, როგორც სჩანს, საბოლოოდ გაფორმდა პარიზში ფრანგი ბურჟუას, დე-მასპეროს ოჯახში, სადაც შრომა მხოლოდ „დაბალი კლასისა“ და „დაბალი რასის“ მოვალეობადაა მიჩნეული.

ამ წრეში აღზრდილ ქალს, რა თქმა უნდა, ჭკუაში არ დაუჯდებოდა ბერმუხაში გატარებული დღეები, როცა მას სხვა სანახაობა არ გააჩნდა, გარდა შრომისა...

აქ ისევ გაიღვიძა კორინთელის გაორებულ გულში იმ მეორემ — ვეჭილმა, რომელმაც ბრალმდებელს სიტყვა ჩამოართვა და დაასკვნა:

„ვინ იცის, ეგებ შეიცვალოს ეს ადამიანი!..“

ახლა სულ სხვა ბრალმდებელი წარმოდგა კორინთელის ცნობიერებაში. მის თვალწინ გაიელვა საკარცხლულზე მჯდარი ძია ნიკოს მოღუშულმა სახემ.

„მეტს ნურაფერს მკითხავ, მამაშვილობას“, გახმიანდა კორინთელის სმენაში. . . . . .

*

მანქანა მიჰქროდა ჩამობნელებული სერების გასწვრივ. ტურები ვიშვიშებდნენ სადღაც. ხეობაში გაწოლილი ღამე ფურკამეჩსავით ფშვინავდა უკვე.

ქედებზე დაჯორგილი ღრუბლები ოფორტით მოეხატა დასავლეთში გაუჩინარებულ მზეს.

ჩამობნელდა კორინთელის სულშიაც. ახლა ნახობდა კორინთელი, რომ ძალა ვერ დაატანა ძია ნიკოს, რათა იმაზე მეტი ეთქვა, რისი თქმაც შესძლო, მაგრამ განა ფრაზებისა და სიტყვების თანმიმდევრულად ზუსტად წარმოთქმაა ყოველთვის მიუცილებელი?

სიტყვებს შორის დარჩენილი ხარვეზები ხშირად უფრო მრავალსიტყვიანი არიან.

უწესრიგოდ, წყვეტილებით წამონასროლი სიტყვები ზოგჯერ უფრო მძიმედ და დამაჯერებლად მოქმედებენ, ვიდრე ლოგიკურად, თანმიმდევრულად, ნათლად წარმოსახული [illegible]

მარტოოდენ სიმჭევრე როდი აძლიერებს ნათქვამს, არამედ ინტონაციაც, კილოც და, რაც უმთავრესია, სიწრფელე მთქმელისა, მისი მიმიკა, მისი ხმის ტემბრი...

ისიც ხდება ცხოვრებაში, რომ მჭევრად, ხატოვანად, ლამაზად წარმოთქმულ სიტყვებზე უფრო ძლიერ ზეგავლენას ახდენენ უმწეოდ მორიალე, ფარფატა სიტყვები და ესენი ისე შემოიჭრებიან ჩვენს ცნობიერებაში, როგორც ბინდისას ღია ფანჯრებიდან შემოხეტებული ღამურები.

ასე შემოიჭრა კორინთელის სულში ძია ნიკოს გულმწუხარე ლუღლუღი და მის უაღრეს ჯურღმულებში დაისადგურა სადღაც...

*

კორინთელმა შენიშნა, რომ სრულიად უცნობ გზას დადგომოდა შოფერი. ეს კლდეები, ეს ტყეები და ეს ხევები მას არასოდეს არ ენახა. ქონგურებშელეწილი ციხეები იდგნენ ჩამობნელებული ქარაფების კიდეზე.

მიხედა შოფერს, რომელიც მდუმარედ ატრიალებდა საჭეს და გამალებულად მიაქროლებდა დაცერებულ დაღმართებში მანქანას.

გზა მიიკლაკნებოდა მქუხარე ხევის ნაპირას. შოფერი ამჩნევდა: ფრიად უგუნებოდ იყო მანქანის პატრონი, და გულით ეწადა შენიშვნის მიუღებლად გასულიყო შარაგზაზე, ვიდრე იგი მქეჯნავ ფიქრებს თავს დააღწევდა.

კორინთელს მუდამ წესად ჰქონდა ხელქვეითის მიმართ ლმობიერი მოქცევა. მას სიყრმიდანვე მიენიშნებინა ხალხური სიბრძნე: სხვათა მოჯამაგირობას ადვილად იტყვის ენაო, ამიტომაც ცდილობდა იშვიათად მიეცა შოფრისათვის შენიშვნა.

ფიქრის ბურუსიდან რა გამოერკვა, უკვე ხედავდა, გზა არეოდა ანდროს, გარდა ამისა, იმასაც ამჩნევდა, რომ მომეტებული სიჩქარით იღებდა იგი აღმართებს, ხოლო დაღმართებში ჩასვლისას მომეტებული ნდობით ეკიდებოდა მუხრუჭებს. მიუხედავად ამისა, სდუმდა კორინთელი.

აგრე ფიქრობდა: „დაე, იაროს, როგორც მოეპრიანება!"

კორინთელისათვის უკვე სულ ერთი იყო, სად და როგორ მი-

დიოდა ამ უკუნეთში მანქანა. მას თავათაც ენატრებოდა ანუ ვეტილი და სახიფათო ჭენება მრისხანედ შემართული ქარაფების გვერდით, უფსკრულების კიდეებთან ჭროლვა, ღამისაკენ, მოსაცვეთისაკენ მიმჭროლავ მანქანაში ჯდომა...

სულ დაღმა და დაღმა მიჰქროდა მანქანა. ამ უფსკრულებში განრთხმულ ქაოსს დაებჩინა თავისი ბნელი ხანა, მხოლოდ განზე გახვევისას ისროდნენ მათში ავტოს ფარები შუქის შლეიფებს.

კორინთელი გატვრინული გვერდით უჯდა თავის შოფერს და მისთვის სულ ერთი იყო, რაც მოხდებოდა ამალამ...

„მხარი ხომ არ აექცა ანდროს?“ ეს გაიფიქრა კორინთელმა და ანაზდად საშინელი სისწრაფით დაამუხრუჭა შოფერმა მანქანა, კორინთელი საჯდომიდან წამოისროლა და შუბლით მიეხალა პარტბლიზის შუშას.

ანდრო და ვახტანგი მანქანიდან გადმოხტნენ, მოვარვარე ფარების შუქზე გაიელვეს კამეჩის თვალებმა.

ისე გაქვავებული იდგა უფსკრულის პირად ეს დინჯი ცხოველი, თითქოს თუჯის ქანდაკება ყოფილიყო და არა სულიერი რამ.

შოფერმა განზე გააგდო კამეჩი და ისევ წაავლო საჭეს ხელი, თანაც დარცხვენილად სთქვა:

„რა ბედზე გადაგვირჩა ეს კამეჩი“...

„არც ჩვენ დაგვადგებოდა კარგი დღე“, შენიშნა კორინთელმა და პაპიროსს მოუკიდა.

„ხანდახან პირუტყვისაგან უნდა ისწავლოს ადამიანმა სიკვდილის წინაშე დინჯად წარდგომა“, ფიქრობდა ვახტანგ კორინთელი თავისთვის.

ისევ სუსქია მინდელს მისწვდა მისი ცნობიერება. როგორი უჩვეულო სილამაზით ბრწყინავდა იგი თავის სადა, ვაზის ყვავილის ფერ ჩითის კაბაში.

ზოგი ქალი ღამით, ელექტრონის შუქზე შეიმატებს ხოლმე სილამაზეს, ზოგსაც მზის სინათლე მოსავს უცნაური სხივმოსილებით.

„ვინ არის ნეტავ ის დირექტორი კორსაველი?“ დიდხანს ჩხრეკდა იგი თავის მეხსიერებაში ამ კაცის ვინაობას. ბოლოს მოაგონდა თელაველი ცნობილი მოქეიფე და ლოველასი, რომელსაც „მარადიულ სტუდენტს“ უწოდებდნენ ოდესღაც.

რუსეთის იმპერიის ყველა უნივერსიტეტი შემოიარა მან. ქეიფობდა, თამადობდა, დებოშებს ახდენდა და, როგორც იქნა, დაუსრულებია თავისი სტუდენტური კარიერა ხარკოვში და „გაექიმებულა“.

უცნაური იქვნეულობა განიცადა ამ წუთში კორინთელმა.

ხვალ გავლენ ისინი თელავიდან. მოგზაურობაში ათასგვარი შესაძლებლობანი არსებობს სასურველ ქალთან ინტიმურად გაბმარტოებისა... და...

„მე მგონია, სუსქია არ უნდა იყოს ისეთი ქალი“... ფიქრობდა კორინთელი.

მანქანა რომელიღაც ხევში ჩაბორიალდა და, როცა ალმართს შეუდგა, სველმა მუხრუჭებმა ვერ დაიკავეს მანქანის კორპუსი, იგი უკან გაჰქანდა და ისევ ხევში ჩაცურდა. ბევრს ეწვალა შოფერი, ველარ აიყარა ალმართი. კორინთელმა თავაზიანად უთხრა შოფერს:

„ერთ წუთს ჩამოდი, ანდრო, მე მინდა ვცადო ამ ალმართის ავლა“.

შოფერი გაიტვრინა, დაემორჩილა პროფესორის თხოვნას. კორინთელი ჭაბუკური სიკისკასით მიუჯდა საჭეს და ზიგზაგური სვლით აიყვანა მანქანა ზეგანზე. იგი გრძნობდა, რომ ძლიერ შეწუხდა შოფერი, ბოლოს შეაჩერა მანქანა და ისევ მას გადასცა საჭე.

„ერთი რამ დაიხსომე, ჩემო ანდრო, არასოდეს ღვინოს არ მიეძალო, როცა რაიმე საქმის გაკეთებას ან მოვალეობის შესრულებას აპირებ.

ღვინოს ჩვენ ყველანი ვსვამთ, მაგრამ მუშაობა და ღვინო ერთ თხიერში არასოდეს მოთავსდებიან იცოდე, ზომიერად მირთმეული ღვინო წამალია, უზომოდ შესმული — გველის გესლი“.

„მე არ მეგონა, ბატონო პროფესორო, თქვენ თუ დღეს აპირებდით ბერმუხას გამგზავრებას“.

„მართალია, შენ ეგ არ იცოდი, მაგრამ ხომ გაგაფრთხილე გუშინ, შესაძლოა ინსტიტუტში მოგვიხდეს-მეთქი გავლა?“.

შოფერი დადუმდა და მარჯვენა ფეხი დააჭირა აქსელატორს[1].

როგორც იქნა, გუდრონიან გზაზე გაიყვანა შოფერმა მანქანა და ისევ მეხამე სიჩქარეში ჩააგდო ბერკეტი.

კორინთელს მაინც მხარაქცეულად ეჩვენებოდა შოფერი. იხედებოდა ჩამობნელებულ ხეობაში ირგვლივ. ხევის წყალი საამურად ქშუოდა, ფოცხვერის ყეფა ისმოდა შორიდან, დადუმდებოდა ფოცხვერი, ახლა ჭოტი დაიწყებდა ძახილს.

„ტფილისისაკენ ხომ არ მივდივართ, ანდრო?“ იკითხა კორინთელმა.

„ტფილისის გზა უკვე მარჯვნით დავტოვეთ, ბატონო პროფესორო“.

---

1 მანქანის დამაჩქარებელი პედალი.

კორინთელს არაფერი ჰქონდა ტფილისში წასვლის საწინააღმდეგო იმ ღამეს, მაგრამ ბერმუხის ზეგანის ვენახებისა და ჰიდროელექტროსადგურის საქმე, ბოლოს ციხისთავის მიერ გამოგზავნილი სასწრაფო დეპეშა არ ანებებდა უეცრად წარმოქმნილ სურვილის სისრულეში მოყვანას.

„ჩემი ხნისა და მდგომარეობის კაცს რა უფლება აქვს ყმაწვილივით აჰყვეს თავისი პირადული ცხოვრების კაპრიზებს.

მშვიდობა როგორც მედეას, ისე სუსქია მინდელს. ბოლოს და ბოლოს ყოველ ადამიანს უფლება აქვს იცხოვროს ისე, როგორც მას მოეპრიანება“.

ბერმუხელები მოაგონდა, ყველაზე მეტად. მკაფიოდ ციხისთავის სახე. ბოლოს თავისი საყვარელი მიკროუბანი.

ამ ქვეყნად გაუმჟღავნებელი არაფერი დარჩება: ხომ სამუდამოდ დაეცემოდა მისი პრესტიჟი, როცა გამოირკვეოდა, რომ სოლიდურმა მეცნიერმა და პატრიოტმა საქმე მიატოვა მხოლოდ იმიტომ, რომ ცოლს დაეუბრა...

კორინთელი უკვე დასრულებულად სთვლიდა თავისი ცხოვრების მატიანეს.

პირადული ცხოვრება ერთგვარი ლოტერეაა. არა, ნარდის თამაშს უფრო წააგავს იგი, კამათლების უსაზმნო მღერას...

ზოგი გამუდმებით და დაჟინებით ამღერებს კამათლებს, აგორებს და აგორებს, და დუშაშის მაგივრად დუ-იაქეს დაისვამს, მაინც არ იტეხს გულს.

კორინთელს იმდენი სულიერი ენერგია წაართვა სხვათა ქვეყნებში ყიალმა და გამუდმებულმა შრომამ, უკვე აღარ ჰყოფნიდა ძალა, კიდევ ერთხელ ეცადა ბედი...

...რაღა დარჩენოდა სხვა? პირადულ ცხოვრებაში ხელმოცარულს მთელი თავისი მხნეობა და ცოდნა თავისი დიდი შრომისათვის შემოენახა.

ახლა სუსქია მინდელი დაუდგა თვალწინ. იმ ბედშავსაც კორინთელსავით მოსცარვოდა ხელი. საეჭვო იყო ამ ორ ხელმოცარულ ადამიანს შესძლებოდა ახალი ენერგიის კვლავ მოხვეჭა და ცხოვრების ხელახლა მოწყობა.

როგორ გადაფითრდა სუსქია, როცა ძია ნიკომ ციხისთავის დეპეშა ახსენა. ბოლოს ხომ შეეძლო კორინთელს მოებოდიშებინა: დეპეშა გვიან მივიღეო, და არხეინად წასულიყო სამოგზაუროდ სუსქიასთან ერთად მთათუშეთს?

არა, რას ემგვანებოდა ეს?

ვინ მოიგონა ორმოც წელს გადაცდენილი კაცის რომანი? ჯერ

რამდენი უსიამოვნება წინ უძევს კორინთელს, ვიდრე ამ სანახევროდ დანგრეული ოჯახის არტახებს თავს დააღწევდეს?

ეს წვეროსანი დიაცი შემოიჭრა მოულოდნელად ვახტანგისა და მედიკოს ოჯახურ ცხოვრებაში, როგორც განმკითხველი კორინთელის ჭაბუკურ ენებათა და შეცდომათა.

ამ შემთხვევაში პასიურობის გამოჩენა უფრო სანუკველია, ვიდრე გააქტივება.

კორინთელის ოჯახური ცხოვრება ნამეტნავად გვიან დაიწყო და ნამეტნავად ადრე მოთავდა.

მაშასადამე, რაღა დარჩენია მას, თავისი დიდი შრომისათვის საჭირო დაკვირვებებს თავი მოუყაროს და თავის ქვეყნის მშენებლობის საქმეში მცირეოდენი წვლილი შეიტანოს. ამასობაში სიბერეც მოაკითხავს, სიბერე — სიკვდილის მაცნე.

„მერმე რა, განა ჩემისთანები დაბერებულან და მომკვდარან ამქვეყნად? მე თუ მკითხავთ, ყოველგვარ სტატისტიკის გარეშე ითქმის, რომ საუკუნეთა ულევ მანძილზე მილიონჯერ მეტი მომკვდარა, ვიდრე ამჟამად ჩვენს პლანეტაზე ცოცხალს დაითვლით“, ღიმღამობდა ხმამაღალი ფიქრი კორინთელის ცნობიერებაში.

ახლა სამშობლოსადმი სიყვარული თუ გადაარჩენს კორინთელს იმ საშინელ მწუხარებას, რომელიც მოჰყვება ხოლმე პირადი ცხოვრების დანგრევას...

„სამშობლოსადმი სიყვარული კი მტკნარი ფიქციაა, თუ მისი ოავკიდური არ იქნება საქმე...

...და პირველთაგანვე იყო საქმე“

რისთვის ეგრძოდა აგრია ალაზანს

... ალაზნამდის სამიოდე კილომეტრი უკლდათ, როცა უკვე გამოფხიზლებულმა შოფერმა შენიშნა მანქანების მთელი ქარავანი, თემშარაზე ტაატით მომავალი. იგიც მოაგონდა ანდროს, რომ ამ მანქანებმა წეღან ჩაუარეს მას.

გამოირკვა, რომ ბორანი მართლაც გაფუჭებული ყოფილიყო. თელავში უკან გაბრუნებას ტყის პირად ღამის გათევა ამჯობინეს.

გზად მიმავალი მანქანების სიგნალმა უთენია გამოაღვიძა მანქანაში მთვლემარე კორინთელი. ალაზნის ბორნის სადგომი ჯერ არა სჩანდა, როცა კორინთელმა თვალი მოჰკრა შინდისფერ მანქანას იგი შუაგულ თემშარაზე გაჩხირულიყო. შოფერი კამერას ბერავდა, ოთხი მგზავრი მანქანის მახლობლად მასლაათობდა.

კორინთელმა ციხისთავი შეიცნო, ახალკაცი და რაიაგრონომი მელითაური მას გვერდით უდგნენ, სამივენი ვიდაც თავმოტვლეპილ კაცს ესაუბრებოდნენ.

ამ თავმოტვლეპილის ფიცხელი ჟესტიკულირება ,,ზორიდანაც იქცევდა ყურადღებას. კორინთელს ეცნაურა იგი. ბოლოს მიხვდა, რომ იგი უნდა ყოფილიყო სწორედ ის კაცი, რომელსაც ცეროდენა შეარქვა ამას წინათ ძია ნიკომ.

კორინთელის დანახვაზე სახე გაუბრწყინდა ციხისთავს. იგი გამოეთიშა მოსაუბრეებს, მანქანიდან ჩამოსულ კორინთელს წინ შეეგება, მაგრად ჩამოართვა ხელი და უთხრა:

„ჩემი დეპეშა მიიღეთ?"

მივიღეო, მიუგო ვახტანგმა. ორიოდე წუთს შემდეგ ხელი მკლავში გაუყარა ციხისთავმა პროფესორს, ბორნისაკენ მიმავალ ბილიკზე დააყენა და უთხრა:

„ისე შეგეჩვიეთ, ამხანაგო ვახტანგ, ამ დღეებში ძლიერ მაკლდით თვალში".

კორინთელს ციხისთავი მინიშნებული ჰყავდა, როგორც არალირიული კაცი. იგი ოდნავ მშრალი სჩანდა, სიტყვაძვირი და გულჩათხრობილი, ლაპარაკის დროს თავშეკავებული, საუბარში მოკლე-მოკლე ფრაზებს ხმარობდა, მას არ უყვარდა გადაჭარბებანი არც რაიმე შთაბეჭდილების გამოთქმისას, არც რომელიმე ვარაუდის გაკეთებისას.

კორინთელი მუდამ აგრე ფიქრობდა ციხისთავის გამო:

„იგი ერთი მათგანია, ვინც ამჟამად აგრე ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას:

არაპათეთიური,

არაორატორი,

არცთუ სენტიმენტალურად განწყობილი ადამიანი.

კაცი, რომელიც გაცილებით უფრო მეტად მოქმედებს, ვიდრე ალიქვამს, სანამ ფაქტები, ციფრები და მონაცემები ხელთ არა აქვს.

ფრიად პუნქტუალური, უაღრესად ზომიერი და მშვიდი ტემპერამენტის ადამიანი, რომელიც არასოდეს ისწრაფვის ნაადრევი აღტაცების გამოთქმისა და დაუფიქრებელი დასკვნების გამოტანისადმი.

ასეთი ადამიანები ჰქმნიან ჩვენი ცხოვრების პროგრესს.

ისინი არა ყვირიან,

არ ხმაურობენ,

არც იქადიან, და უქადნელად, ჩუმად იჩენენ მამაცობას შოთაასა

და ბრძოლაში. არც გმირობის პრეტენზიებით კოკეტობენ და უდრტვინველად შებმიან ამ ცხოვრების მძიმე ჭაპანს“...

ამიტომაც გაუკვირდა კორინთელს, როცა ასე უშუალოდ [illegible] ქალბატონ ციხისთავმა მასთან ხელახლა შეხვედრით [illegible] რული.

„აქ ხმა დაჰყარეს, ამხანაგო ვახტანგ, პროფესორი ტფილისს გაიწვიესო, ისევ უცხოეთს აგზავნიანო, და სხვა მისთანანი.

სწორედ გითხრათ, არ გამეხარდა. მეწყინა იმიტომაც, რომ თქვენი ბერმუხაში ყოფნის დროს სათანადო გულხმიერება ვერ გამოვიჩინე თქვენს მიმართ“...

ეს თქვა და მანქანასთან დარჩენილ თანამგზავრებს მიაძახა:

„როცა შოფერი საქმეს მორჩება, მანქანაში ჩაბრძანდით, ჩვენ ბორანთან გიცდით“.

კორინთელი გაოცდა:

„უცხოეთს აგზავნიანო? ვინა სთქვა?

არა, რასა ბრძანებთ, მე უკვე დამნიშნეს თელავის ინსტიტუტის მთავარ კონსულტანტად. ბერმუხიდან ვივლი ალბათ“.

„ძლიერ სასიამოვნოა, ამხანაგო ვახტანგ. მე კი ვწუხდი. თქვენისთანა კაცი ჩემთვის რად არა ღირს.

ამ დღეებშიაც ყოველ წუთს მესაჭიროებოდა თქვენი თანბირი.

მოგეხსენებათ, რაიკომის მდივანს დიდზე დიდი მოვალეობა აწევს თავზე. საერთოდ წუწუნი არ მიყვარს, მაგრამ უნდა ითქვას, რაც უნდა პატარა რაიონი გებაროს, ათასგვარ საჭირბოროტო საკითხს უნდა გაართვა თავი.

დღე ერთია და ასი სხვადასხვაგვარი პრობლემა აგეტუზება მოულოდნელად თვალწინ. თითქმის უნივერსალურად განსწავლული ადამიანი უნდა იყოს რაიკომის მდივანი.

ჩვენს მუშაობაში თავს იყრიან ნიადაგთმცოდნეობის, ბიოლოგიის, აგროტექნიკის, ბოტანიკის, ზოოტექნიკის საკითხები და განა მარტო ესენი: საინჟინერო, საფინანსო, საადმინისტრაციო, სხვანი და სხვანი.

ახლო მომავალში ჩვენ შეგვცვლიან ალბათ ასეთები.

სანამ ეგ არ მომხდარა, ჩვენ მივაჩაქჩაქებთ ამ უღელს, გაგონილი გექნებათ, დიდია ძალა სიყვარულისა, იგი შეუძლებელს შეგაძლებინებს...

ყოველ წუთს ცეკას ხომ არ შეაჩერდები, ისე როგორც უქნარა მოწაფე თავის მასწავლებელს. ყოველივე ჯერ თავათ უნდა ასწონდასწონო და განსაჯო. ხშირად ერთი საათის დაგვიანებაც საკმარისია, რომ ზიანი მიადგეს სახელმწიფოს.

დღევანდელი ჩვენი სოფელი ძველი, გლეხური თემი რომელიც რომელიმე გამოყრუებულ, მეჭრთამე მაზრის უფროსს ებარა, უკულტურო გლეხური მეურნეობა. ჩვენი სოფელი მინიატიურული სახელმწიფოა".

ციხისთავი შესდგა, ალაზანს გადახედა და თქვა:

„წინეებში სასტიკად იმძლინვარა ჩვენმა ალაზანმა. ღორები გადმოჰყავდა თურმე მეღორე პოპოლას, რამდენიმე წყალს გაუტაცნია. უვაჟკაცნია პოპოლას, ძლივსძლივობით გადაურჩენია კოლმეურნეობის ღორები.

თქვენც გახსოვთ ალბათ ის კაცი, თუ არა ვცდები, თქვენ ის მოგეწონათ კიდევაც მიტინგზე, ხომ გახსოვთ, მთავრობას დავეხმაროთო, რომ მოუწოდებდა ხალხს".

კორინთელმა გაიღიმა:

„ცისფერთვალება, რარხროხა ვაჟკაცი, არა?"

„სწორედ იგი".

ალაზანი ახლაც მთელი სისავსით მოდიოდა, მოგრიალებდა.

ლანჭერებისაგან ამღვრეული მდინარე დუქმორეული ლოშნიდა კბოდეებს.

ბორნის სადგომთან შესაბრალისად მიყრილიყვნენ დასიცხული ცხვრები. მეცხვარეები ზედ წყლის პირად ისხდნენ ფიქვის ძელებზე და მადიანად საუზმობდნენ.

ახლადმოსულთა დანახვაზე ზეწამოდგა მეცხვარეთა ბრიგადირი — აბრია უჯირაული, თავისი წილამურებიანი ფაფახი მოიხადა, თავმოდრეკილად მიუახლოვდა პროფესორსა და რაიკომის მდივანს.

„დიდკაცები ხართ, მაგრამ ეგებ გვიკადროთ, პურ-მარილი გაიზიაროთ".

„დიდკაცობა რა შუაშია, ჩვენც თქვენისთანა მშრომელები ვართ", მიუგო ციხისთავმა და მკლავში ხელი წაავლო კორინთელს.

აბრიამ გამურული ორი ჯამი კიდემდის გაავსო ღვინით და მოწიწებით მიართვა სტუმრებს. მათაც ადღეგრძელეს მწყემსები. მადლობა გადაუხადეს, მოიბოდიშეს: წელან ვისაუზმეთო, და შორიახლოს ჩამოსხდნენ ჰაწია ფარდულის ქვეშ.

ციხისთავმა ხმადაბლა უთხრა კორინთელს:

„ჰო, მართლა, ფინური სახლი მოგვიდათ ტფილისიდან, ამხანაგო ვახტანგ".

„კარგია, — მიუგო კორინთელმა. — ჩემი მიკროუბანი როგორაა?"

„გაუჭირდა მიკროუბანს. ამ ერთი კვირის წინათ დიდი სიცხეები დაიჭირა. ალაგ-ალაგ შეყვითლდა ახალშენი ვაზები. გოდერძიმ

ხელი გამოიღო, ჯერ ვირებით მოჰქონდათ წყალი, მერე შემეცოდა — მანქანები არც ისე ბევრი მყავდა, მაინც მივეცი და მიკრუბანს ბლომად მისცა წყალი.

სამაგიეროდ დიდ საფრთხეშია ცხრამუხის ზეგანი. როგორც კი ჰესს მოვათავებთ გველეთში, საწნეო არხს ბერმუხის ვაზნარებში გადავატარებთ და გამოულევლად გვექნება წყალი ცხრამუხის ზეგანზე. როგორც უკვე იცით, მანდ ნიადაგი ძლიერ ხირხატიანია, ზოგ ალაგას რამდენიმე მეტრის სიღრმეზე ნაყარი მიწაა და ამიტომაც ძლიერ დაგვაზიანებს ალბათ უწყლობა".

ციხისთავი და კორინთელი ცხვრის ფარას უკვირდებოდნენ. საცოდავად თავჩაქინდრულნი იდგნენ და იწვნენ ცხვრები, შლამიან მიწას ეხუტებოდნენ.

ციხისთავმა მზერა აარიდა მათ და კორინთელს უთხრა:

„თქვენი მეუღლე კარგა ხანია აქ ბრძანდება, არა?"

„დიახ", უხალისოდ მიუგო კითხულმა.

ციხისთავმა მაჯის საათს დახედა.

„ალბათ ხალხი უკვე გვიცდის ბერმუხაში.

„ფორმალური ამბები?" იკითხა კორინთელმა.

„გუშინწინ საერთო კრება გვქონდა. საალმშენებლო კომიტეტის თავმჯდომარედ თქვენ აგირჩიეთ. როგორც სჩანს, დაუგვიანია ჩემს დეპეშას. სახელმწიფო ორმოცდაათ პროცენტს გვაძლევს. ალაზანს გადაღმელი ხუთი კოლმეურნეობა შეგვეზიარა. მუშახელი უფასოა.

საკოლმეურნეო ბრიგადების ხელმძღვანელად გოდერძი ავირჩიეთ. ცეცხლიანი ვაჟკაცია, იმუშაოს".

ციხისთავი ფარდულიდან გამოვიდა. თვალზე ხელი მიიჩრდილა, გაღმა გაჩხირულ ბორანს გახედა.

„ჯერაც ვერ მორჩნენ კაკუნს?"

ამასობაში მანქანა მოადგა ნაპირს. სამი თეთრბლუზიანი კაცი ჩამოვიდა ძირს.

„ის მესამე ვინაა?" იკითხა კორინთელმა.

„სოფლელექტროს მთავარი ინჟინერია ცეროდენაშვილი, ბერმუხელი მკვიდრი. თავნება კაცი სჩანს და უზომოდ ამპარტავანი,— უთხრა ციხისთავმა კორინთელს. — არასპეციალისტად მთვლის, ამიტომაც მეურჩება ოდნავ.

მე კამეჩისებრ მაგარი ნერვები მაქვს, თორემ ეს კაცი უცილოდ გამომიყვანდა მოთმინებიდან...

არ მინდოდა თქვენთვის გუნების გაფუჭება, თორემ ეს მესამე თვეა, ვებრძვი მას. თქვენ უკეთ იცით, სულით მდაბალ ადამიანებს

უცხაური უნარი აქვთ ბრძოლისა, ისინი თავისი სიპატარავის მეოხებით შემოსილნი არიან შეუმუსვრელობით...

დიდი გაიძვერა უნდა იყოს, როგორც სჩანს წამოსვლა არ უნდოდა ქალაქიდან, ამიტომაც რა არ მიკიბ-მოკიბეს [illegible] არ დაუგო ამ საქმეს, ხან ცეკაში ჩამიფარცხა საქმე, ხან [illegible], ხან სახკომსაბჭოში.

ყველგან მივაკვლიე და ყველგან მივსდიე, ბოლოს ეს მოიბოდიშა: არც ტურბინი აქვსო სოფლელექტროს, არც მილები და არც აგრეგატი.

ბოლოს ცემენტის უქონლობას ჩამოეკიდა. ცემენტიც ვიშოვნე. ახლა აწუწუნდა: არ გვეყოფაო.

თქვენც კარგად ხედავთ, მე მარჯვენა ხელით დაკიდულ კაცსა ვგავარ, სადა მცალია ქალაქში სარბენად, ეს მესამე თვეა. რაც ძველებურ ალილოსავით დავდივარ ტფილისში, ჩამოვითხოვე ყოველგვარი მასალა.

უკანასკნელ კვირას ახალი პოტიკები დამიგო, გამომიცხადა: სიდედრი მომიკვდა და ჯერჯერობით ბერმუხას ვერ წამოვალო.

გაბრანგული მთვრალი იყო იმ დღეს. მაშინ, სწორედ გითხრა, ვეღარ მოვითმინე და პირდაპირ მივახალე:

არა მგონია, აგრე გიყვარდეთ-მეთქი სიდედრი. საერთოდ მოსიყვარულე სიძეები არ ქეიფობენ, როცა საყვარელი სიდედრი უკვდებათ; თუ არ წამოხვალ, ძალით წამოგიყვანთ-მეთქი.

ალბათ გაგონილი გექნებათ ცნობილი ანდაზა: დაუჭერელი ქურდი მპარავად ვერ ჩაითვლებაო, თორემ მაგას ვანანებდი თავის გაჩენის დღეს".

კორინთელი მცირე ხანს სდუმდა; ბოლოს გახედა ალაზანს და სთქვა:

„უსათუოდ ძნელია რაიმეს თქმა, მაგრამ მაინც ფრთხილად ვიყოთ, მაგ კაცს დავაკვირდეთ შეძლებისამებრ!

ჩე მძაგს სამგვარი ტიპი: ლოთი, ფულის მოყვარული და მშიშარა, რადგან ლოთი ღვინოზე გაგყიდის, ფულის მოყვარული — ფულზე, ხოლო მშიშარა ყელს გამოგჭრის ცამდის მართალსაც".

ციხისთავმა პაპიროსი გააბოლა და ნაღვლიანად სთქვა:

„ეს ვირეშმაკა წინ არ გადამლობებოდა, ახლა ჰესი თავის ადგილზე იქნებოდა და ახალშენ ვაზებსაც ექნებოდათ წყალი".

აბრია-ავსიტყვა მიუახლოვდა ახალმოსულებს. მათაც შესთავაზა პურ-მარილში წილი დაედოთ. ახალკაცმა და მელითაურმა ტუჩი მიაკარეს ჯამების კიდეს, მადლობა მოახსენეს მწყემსებს და გაეცალნენ.

ცეროდენამ აბრიას გვერდით მოიკალათა ნამორზე. ჯერ ჭაქრს არაყი მიირთვა, მერმე საუბარში ჩაება. ტაატით სვამდა ღვინოს და მადიანად შეექცეოდა გლეხურ „დედას-პურებს“, ღვინოსა და თუშურ ყველს.

ხშირკულულიანი ახალგაზრდა მეცხვარე მღეროდა:

დავლიოთ ღვინო, დავლიოთ,
სანამ ერთმანეთს ვხედავთო,
დარდი მაშინაც გვეყოფა,
შავ ლოდს რო ამოვხედავთო.

შორიახლოდან ისმოდა აბრია-ავსიტყვას როხროხი. იგი გაავებული ჩიოდა:

„აღარ ვიცით რა უნდა ვუყოთ ცხვარს. შამა-პაპიდან ცხრამუხა იყო ჩვენი ცხვრის სარჩო, ახლა იქ ზვრები გამართეს. წრეულს ცუდი დოლი გვქონდა. ნამატი დღითი დღე მცირდება. ეს გაოხრებული ვაზები რომ არ ჩაეყარათ, საქმე კარგად მიდიოდა.

ვენახმა და პურმა დაგვიმშია ცხვარი. შირაქი გადახნეს ტრაქტორებმა, ჩვენი ცხვრის ულევი იალაღი“.

კორინთელი ყურს უგდებდა მოხუცი სარქალის ჩივილს.

ბოლოს მოთავდა პურ-მარილი.

აბრია და ცეროდენა მოშორდნენ მწყემსებს, მათგან შორიახლო დასხდნენ, დიდხანს საუბრობდნენ ერთად. ბოლოს ორივენი ადგნენ და ფარდულს მიუახლოვდნენ.

ციხისთავმა ახედა მარცხნით აღმართულ გველეთის ზეგანს და უთხრა ახალკაცს:

„იმ ზეგანზე უნდა ავაშენოთ ბერმუხის ჰესი, აი იქ, ციხე რომ სდგას, სწორედ იმის ქვემოთ“.

„ადგილი ჩინებულია, ოღონდ ესაა, წყლის დებეტი თუ საკმარისია?“

„იქ ორი პატარა ტბაა, სამიოდე წყაროს თვალიც. ესენი უნდა გავაერთიანოთ“.

„საწნეო არხს საითკენ წამოიყვანთ?“ იკითხა ახალკაცმა.

„პირდაპირ ცხრამუხის ზეგანზე გადმოივლის საწნეო არხიდან დაშვებული წყალი და ჩვენს ახალ ვაზნარებს მორწყავს“.

„სამარქაფო არხს?“

ციხისთავი მცირე ხანს სდუმდა, მერმე კორინთელზე თვალით უჩვენა ახალკაცს და უთხრა:

„სოფლელექტროს მთავარი ინჟენერი ამტკიცებს, ასეთ პატარა ჰესს სამარქაფო არხი არ დასჭირდებაო.

პატივცემული პროფესორი თუმცა ძირითადად აგრონომია, მაგრამ მას ჰიდროლოგიური განათლებაც მიუღია. საინტერესოა მისი აზრი".

ცეროდენა, რომელიც მელითაურსა და ახალგაზრდებს შორის იჯდა, წამოდგა, დამდუღრულივით ათუხთუხდა:

ბიბლიოთეკა

„მე სოფლელექტროს მთავარი ინჟენერი გახლავართ, ოცი წლის სტაჟით, და ჩემი საქმე კარგად ვიცი, გარდა ამისა, პროექტიც უკვე დამტკიცებულია".

„პროექტი არაფერია, სჯობს პროექტი შევცვალოთ, ვიდრე განსაცდელი შევუქმნათ სოფელს. პროექტს შევცვლით, თუ საჭიროდ ვცანით". შენიშნა ციხისთავმა ხმის აუწევლად.

კორინთელმა სმენა აარიდა ცეროდენას ტრაბახს და მშვიდად სთქვა:

„მაგ ადგილს მეც ვიცნობ, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, კიდევ ერთხელ გაგვესინჯა ეს ყოველივე ადგილზე".

ისევ დახედა ციხისთავმა მაჯის საათს:

„როდისღა მორჩებიან ეს ოჯახქორები კაკუნს?"

აბრია-ავსიტყვა მიუჩოჩდა ციხისთავს და უთხრა:

„მომიტევეთ, ჩემის მოკლე ჭკუით თქვენს საუბარში რომ ვეჩრები, მაგრამ, ეს მიბრძანეთ, მართლა აპირებთ მამუკას ციხის კარზე ელექტრონის გაყვანას?"

ციხისთავმა თავაზიანად მიუგო:

„ჩვენ იქ ელექტრონი როდი გამოგვყავს, აბრია ჩემო, წყლის ელექტროსადგური უნდა ავაგოთ".

„ჰო, თქვენ იცით, რასაც კარგს იზამთ, შვილოსან, მე მეშინია, სამებამ არ გიწყინოთ".

„როგორც კი ბორნის შეკეთებას მოათავებენ, ჩვენ ავალთ გველეთის ზეგანზე, თავათ ნახავთ, რა ნაყოფიერი ნიადაგია იმ ციხის გარშემო, ნამდვილი საგარაკო ადგილი. ცივი წყაროები მოჩხრიალებენ და კაცის ჩაურევლად რწყავენ იქაურობას". სთქვა ციხისთავმა.

„ოდესღაც იქ ციხე-ქალაქი ყოფილა, რასაც მოწმობენ უამრავი ნაციხარები, ნასაყდრალები და ნასახლარები", სთქვა ცეროდენამ.

„ცნობილია, როცა შაჰ-აბაზის რისხვამ გრიგალივით გადაიარა კახეთზე, მთებში გახიზნული ბერმუხელები დაბრუნდნენ, თავიანთი კარ-მიდამო გაოხრებული დაუხვდათ ცხრამუხის ზეგანზე, მაგრამ მათ არ ინდომეს არაშენდა-გველეთის სანახებში ასვლა და ურწყული ადგილები ირჩიეს, სადაც სამოდე კილომეტრის მან-

ძილზე დღემდის ვირებით მიჰქონდათ წყალი", შენიშნა ციხისთავმა.

„იმ ზეგანზე გაცილებით უხვად ექნებოდათ წყალი, მაინც არავინ დასახლდა, რადგანაც ბნელი დროებიდან შემორჩენილი ლეგენდის მიხედვით, რომელიღაც „ქორიკოზს", კახეთ-ჰერეთის მმართველს დაუწყევლია ყველა, ვინც იმ მიდამოში ბარს დაჰკრავდა ან რაიმე ნაგებობას ააშენებდა.

მე ოდესღაც განაგონი მაქვს ეს ლეგენდა, მაგრამ დამავიწყდა, აქ ბერმუხელებია, მათ ჩემზე უკეთ ეცოდინებათ ალბათ", დასძინა ციხისთავმა, თან აბრია უჯირაულსა და ცეროდენას გადახედა.

ცეროდენა ნამორზე ჩამოჯდა და სთქვა:

„რაკი ჩვენი ბორნის მოსვლას საშველი არ დაადგა, სხვა საქმე მაინც არაფერი გვაქვს, მე ბერმუხელი ვარ და ბარემ გიამბობთ ამ ლეგენდას, ჩემს სიყმაწვილეში აქაური მოხუცებისაგან განაგონს.

იმ მთაზე, საიდანაც დედაციხე მოსჩანს, უზარმაზარი ციხე-ქალაქი ყოფილა. ვინმე დიდაზნაურს თუ ერისთავს—მამუკას ეკუთვნოდა თურმე იგი. მე კარგად არ მახსოვს, რამდენი შვილი ჰყოლია იმ მამუკას, აბრია, ჰა?"

შეეკითხა მთხრობელი აბრიას.

„შვიდი", მიუგო აბრიამ და თავისი ყალიონიდან გამოუშვა სქელი კვამლი.

„ჰოდა, იმ შვილთაგან უფროსი კეთრისაგან მოკვდომია იმ უბედურ ერისთავს, მამუკას, რომლის გვარი ცნობილი არაა.

ღვთისმგმობი გამხდარა გამწარებული მამა. ქვაკაცას წმიდა გიორგის ხატი გამოუტანია თავისი კარის ეკლესიიდან სწორედ იმ დღეს, როცა სამი საერისთავოდან მოსული ხალხის თანადასწრებით მარხავდა თავის უფროს ვაჟს, მიწაზე დაუნარცხებია ღვთაებაზე განრისხებულ კაცს ეს ხატი.

ჯერ თავათ შესდგა თურმე და ფეხით გასთელა, მერმე მოარეკინა ღორის კოლტი და გადააჯეგვინა უძვირფასესი თვლებით მოოქვილი ხატი.

მამუკას მკვრეხელობა წამსვე უცნობებიათ კახეთ-ჰერეთის ქორიკოზისათვის. დიდი ლაშქრით დაძრულა ქორიკოზი გრემიდან.

ჯერ აქ, ცხრამუხის ზეგანზე, ეგრეთწოდებულ მამუკას უბანში, საღაც მას საპატრონო სოფლები ჰქონია, შებმულან თურმე კახეთ-ჰერეთის ქორიკოზი და ერისთავი მამუკა.

როცა ცხრამუხაში სასტიკად დამარცხდნენ მამუკა და მისი ექვსი ვაჟი, უკუქცეულებმა თურმე გველეთში აასწრეს მტერს და დედაციხეში გამაგრდნენ.

უსაშველო სისხლისღვრის შემდეგ აუღია ქორიკოზს როგორც დედაციხე, ისე ყველა თორმეტი გოდოლი, რომლებიც ციხე-ქალაქს იცავდნენ ოთხივე მხრიდან.

მამუკას ექვსივე ვაჟი ციხის ხვრელებიდან გაქცეულან, ხოლო ღვთისმგმობელი ერისთავის გვამი ცხენის ძუაზე მიაბმევინა და ათრევინა თურმე მძვინვარე ქორიკოზმა.

წმიდა გიორგის ხატი დიდი ცერემონიებით კარის ეკლესიის კანკელზე დაუკიდია და გაპარტახებული ნაქალაქევის მცველად დაუყენებია.

ალბათ მოგეხსენებათ, ამ წმიდანს იმდენი სახელი აქვს საქართველოში, რამდენიც დღეა წელიწადში; როგორც გამიგონია, ამ წმიდა გიორგის „ქვაკაცას" უწოდებდნენ".

ციხისთავი უსმენდა, თან ნერვიულობდა, წარამარა დახედავდა ხოლმე თავის მაჯის საათს, ნამორიდან დგებოდა, გასცქეროდა გაღმა გაჩხერილ ბორანს. ბრაზობდა: რა გახდაო ამ ტიალი ბორნის შეკეთება.

ბოლოს ღიმილით მიუბრუნდა კორინთელს და ხმადაბლა უთხრა:

„ხომ ხედავთ, რა დღეში ვარ, ბერმუხაში იმდენი ხალხი გვიცდის, ალაზანს გადაღმა კომბაინებს უნდა მივხედო, ყვარელში თივა ასაღებია, რამდენიმე ათასი ცხვარი ჩრდილო-კავკასიაში უნდა გავაგზავნო სასწრაფოდ, სამი დღის შემდეგ ცეკას პლენუმს უნდა დავესწრო.

ჩვენ აქ ვზივართ და ქორიკოზის ამბებით თავს ვირთობთ".

„არაფერია, ამხანაგო რაიკომო. ყველა ლეგენდა უქმად მყოფი ადამიანების მიერაა შეთხზული ღამის თევისა და წისქვილებში ძილფხიზლობის დროს. მაგრამ მოცალეობის ჟამს საქმიანი ადამიანებისათვისაც გამოდგება იგი გასართობად. სანამ ამ ბორანს არ მოვაშორებთ და ხიდს არ ავაგებთ, ხშირად მოგვიხდება ლეგენდებით თავის გართობა", სთქვა ცეროდენამ.

ახალკაცი დაინტერესდა, მას უნდოდა გაეგო, თუ როგორ დამთავრდა ეს ამბავი, რომელიც ჩვენს ეპოქაში მოსჩანს როგორც თარიღგადაშლილი რომელიმე მონეტა, მეფეთა ან ერისთავთა ბეჭედი, ანდა ცხენსაკაზმი, დღევანდელობისათვის უქმი და უხმარი, მაგრამ ჩვენი ეპოქის საპირისპირო და მისი სიდიადისათვის შუქის მიმფენი, შუქის მიმფენი კონტრასტების ძალით.

პაპიროსს მოუკიდა ცეროდენამ და განაგრძო თხრობა:

„ეს ხატი არაბების შემოსევის პერიოდში მთათუშეთში გაუხიზნავთ ბერებს. თუშები მას ირმის წყაროზე აგებულ სამლოცვე-

ლოში ინახავდნენ, მძიმე ჯაჭვებით დაბმულს. ბოლოს ჰერეთის ქორიკოზს დაუბრუნებია იგი ისევე კახეთ-ჰერეთში.

ასე რომ ბერმუხელ თუშებს დიდად სათაყვანო ღვთაებად მიაჩნდათ დღემდის იგი, ირმისა და ჯიხვის რქებით საპატიოდ შემკული.

მთელი მთათუშეთი ჩამოდიოდა ამ ხატის სათაყვანოდ, ვაჟიანობას და ჯანის სიმრთელეს შესთხოვდნენ მას, ისე, როგორც ტფილისელ დიდ ექიმებთან დადიან ხოლმე დღეს ავადმყოფები, ყველა ისინი, ვისაც გაცილებით ხანგრძლივად ცხოვრება ენატრება, ვიდრე მათი ჯანმრთელობა ამის ნებას აძლევს.

ეს ჩვენი რევოლიუციის შემდეგაც დიდხანს არ მოშლილა. მე ჩემი თვალით მინახავს: სახვეწრად მოსულ უძეო მამაკაცებს სოფლის გოგოები გაიტაცებდნენ და ირმის რქებით საგანგებოდ მორთულ ყორეზე ჩაათრევდნენ ხოლმე.

გამოდიოდა ჩოხაშემოფხრეწილი თუში დეკანოზი, დაამწყალობებდა და ვაჟიანობას უსურვებდა უძეო მამაკაცებს.

აქ მოჰყავდათ არა მარტო თუშებს, არამედ თუშყოფილებსა და კახელებსაც, ბნედიანები, მუნჯები და ენაბრგვილები, სად ჩამოვთვალო ყველა, ჩუმი და დასაბმელი გიჟები, მედიცინის ენით რომ ვთქვათ, შიზოფრენიკები, პანაროიკები, მელანქოლიკები და სხვა მისთანანი, ციმბირის წყლულითა და ცხვრის ჭირით სნეულნი; ქვაკაცას შესთხოვდნენ საქონლის მომრავლებას, ორსული დედაკაცებისათვის „მშვიდობის მუხლის მოგებას“ და სხვა მისთანათა.

საინტერესოა: ვისაც თავათ არ შეეძლო მისვლა, ჭირისუფლებს მოჰქონდათ სნეულის ტანისამოსი, ფეხქვეშ უფენდნენ დეკანოზს ავადმყოფის სამოსს და უცდიდნენ მის დამწყალობლებას.

სიტყვა გამიგრძელდა და უმთავრესი გადამავიწყდა: მამუკა ერისთავის ექვს ვაჟს ლაშქარი უთხოვნიათ თავიანთი დედის ძმის—პანკისის ერისთავისათვის. ექვსჯერ მიუტანიათ იერიში დედაციხეზე, მაგრამ, როგორც გადმოცემა მოგვითხრობს, ექვსჯერ უკუუქცევია იგი „უძლეველ“ ქვაკაცას.

ბოლოს მოსულა ქორიკოზი და უსაშინელესი წყევლით შეუჩვენებია ყველა, ვინც ოდესმე მამუკასეულ მკვდარ ქალაქში ბარს დაჰკრავს და ბალავერს ჩაჰყრის, რაიმე ნაგებობას ააშენებს, დროებით ან სამუდამოდ დასახლდება.

მე სადღაც ძველ ქრონიკებში ამოკითხული მაქვს იმ ქორიკოზის მიერ დანთხეული წყევლა, მაგრამ, მართალი გითხრათ, აღარ მახსოვს...

აბრია დაგვიმოწმებს, თვით ჩვენი მეცხვარეები ვერ ბედავ-
დნენ იქ თუნდაც სახელდახელო ფარეხების გამართვას".

„სწორია, — დაადასტურა აბრიამ, — მე დღესაც მეშინია ქვაკა-
ცასი, ვენაცვალე მის მადლს".

როგორც ციხისთავს, ისე ყველა თანადამსწრე [illegible]
ხედავად ამისა, განაგრძო ამ ბნელი ამბების მთხრობელმა:

„ვინ მოსთვლის, რამდენჯერ ცდილან შემდეგსა და შემდეგ
საუკუნეებში ამ მხარის ფეოდალები თავიანთი ყმები დაესახლე-
ბინათ გველეთში, მამუკასეულ ციხე-ქალაქის შემოგარენში. მაგ-
რამ, როგორც გადმოცემა გვაუწყებს, ქვაკაცა ყოველთვის გაუბ-
რაზებიათ ამ გზით, ხან ჭირს, ხან სახადს და ყვავილს ამოუყუ-
ყავს ხალხი.

ბოლო ხანს გენერალ ვაჩნაძეს ლეკები ჩამოუყვანია და დაუსახ-
ლებია იქ. მაგრამ, როგორც კი ეს ამბავი შეუტყვიათ ლეკებს, შე-
შინებიათ ქვაკაცასი, აყრილან და მთებში გაქცეულან ისევ. ამგვა-
რად, ქვაკაცა შიშის ზარს სცემდა ამ მხარეს ჩვენს დრომდის"...

ციხისთავმა ღიმილით დასძინა:

„როცა ჩვენ ცხრამუხის ზეგანზე ტრაქტორები და ექსკავატო-
რები მივაყენეთ მამუკას უბანს, ხანდაზმული ქალები და კაცები—
კომკავშირელი ტრაქტორისტებისა და შოფერების მშობლები ში-
შისაგან ცახცახებდნენ. პირჯვარს იწერდნენ, ლოცავდნენ ტრაქტო-
რისტებს, ევედრებოდნენ ქვაკაცას, ნუ უწყენთო ამ ახალგაზრდებს
ამგვარ მკრეხელობას, მაგრამ ჩვენი კომკავშირელები არ შედრ-
კნენ და, როგორც ჰხედავთ, კეთილად დააგვირგვინეს ეს საქმე.

დღეს-ხვალ თქვენ ნახავთ, როგორი წიოკობა ატყდება მოხუ-
ცებს შორის, როცა ჩვენს მექანიზმებს მივაყენებთ ზედ მამუკას
ციხის კარს".

„თუ ჩემისთანა ჭკუამოკლეს რამე დაეჯერება, არამცდაარამც
არ გირჩევდით ასეთ რამეს, შვილოსან. იცოდეთ, ნუ აჩქარდე-
ბით, ჯერაც ძალი არ დაუკარგავს ქვაკაცას", სიტყვა ჩაურთო ამ
საუბარში აბრიამ.

„ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მექანიზმებს როგორღა აიყვანთ
იმ სიმაღლე მთაზე?" იკითხა ახალკაცმა, ცეკას ინსტრუქტორმა.

ციხისთავმა მზერა ესროლა მთას და სთქვა:

„ეს ფლატეები აქედან მოჩანს დაცერებული, ისე კი ჩრდი-
ლო-აღმოსავლეთიდან მოსასვლელი აქვს, საკმაოდ განიერი თემ-
შარა ადის ზედ.

გველეთზეა არა ერთი ათასი ჰექტარი, ჯერაც გაუტეხელი ყა-

მირი, სავსებით ადვილად მოსარწყავი. ეს ტერიტორია ბერძენების კოლმეურნეობის ფარგლებში შემოდის.

ასე რომ ჩვენს სამერმისო გეგმაში შედის ახალი ვაზნარების გაშართვა გველეთის ზეგანზე".

ახლა ციხისთავს ეწადა გველეთის ზეგანის ... ათვისების გეგმებს შეხებოდა, მაგრამ თვალი მოჰკრა, თუ როგორ დაიძრა გაღმიდან ბორანი და გაჩერდა.

ციხისთავი და მისი თანამგზავრები წასვლას დაადგნენ, მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა მათი მანქანა ბორნის ტრაპზე უნდა დაეყენებინა შოფერს, ლურსმანი შეერჭო საბურავს.

ბორნის მიახლოებაზე ერიამული ატყდა ნაპირზე. მწყემსებმა ყვირილი ასტეხეს. ცხვრის მოქუჩებას შეუდგნენ. კორინთელმა თვალი მოჰკრა: აბრია მდინარის პირად დაცუცქულიყო, შავ თოხლს თავზე წყალს ასხამდა, ეფერებოდა დასიცხულ ცხოველს.

ამასობაში უამრავი ხალხი მოადგა ბორნის სადგომს — წერაქვებით, ბარებით, ცულებით შეიარაღებული კოლმეურნე ქალები და კაცები.

„ალაზანს გადალმელები მოდიან ჰესის სამუშაოებში წილის დასადებად", სთქვა ციხისთავმა.

ცეროდენა ნაპირს მოახლოებული ბორნისაკენ გაემართა, მაგრამ ციხისთავმა თავაზიანად შეაჩერა იგი, სიცხისაგან დაოსებულ ცხვრებს გადახედა და სთქვა:

„მოდი, ჯერ ცხვარი გადავაყვანინოთ, ცოდვაა დასიცხული პირუტყვი. ეგეც არ იყოს, ჩვენი მანქანის საბურავი დაეშვა".

მეცხვარეები წამოიშალნენ, რადგან ბრიგადირმა ყვირილით ამცნო მათ, ბორნის მისადგომისაკენ მოელალათ ცხვარი.

ვაცმა გასარდლა ფარა, მას უკან მიჰყვნენ ამაყი ბაკიბუკით სხვა თხები. მეცხვარეები უბილიკებდნენ ცხვრებს. ზოგს ყურით მიათრევდნენ ბორნისაკენ, ზოგიც ხელში აჰყავდათ ბალღივით. მკერდზე იხუტებდნენ, ან ხურჯინივით მხარზე შეგდებულნი აჰყავდათ ბორანზე.

ციხისთავმა აბრიას გადასძახა:

„ძია კაცო, არა სჯობს, ორგზობაზე გადაიყვანო ცხვარი?"

გაჯიქდა აბრია.

„არა, ერთად გადავიყვან, ფიქრი არ არის, ჩვენს უკან სამი ათასი ცხვარი მოდის, საღამომდის ვერ მოვილევთ".

შუა მდინარემდისაც არ იყვნენ მისულნი, რომელიღაც ცანცარა ვაცს ფეხი გადაუცდა ბორნის ბორტიდან და წყალში ისკუპა. მას თან გადაჰყვა ბარე შვიდი ჭედილა.

სამმა მეცხვარემ სწრაფად გაიხადა ტანზე და ალაზანში გადაეშვა. უკანასკნელად გადავარდა სწორედ ის შავი თოხლი, რომელსაც ეგზომ დიდი მზრუნველობით ელოლიავებოდა აბრია წელან.

ლანდის უსწრაფესად ძირს დააგდო აბრიამ ფეხსაცმელი, წელამურებიანი ქუდი და ტყაპუჭი, ანაზდად გაშიშვლდა ტყის ცეცხლ მეაგავდა ამ წუთში იგი, მთელ ტანზე თმით შემოსილი.

ციხისთავი და მისი თანამგზავრნი გაოცებულნი უცქეროდნენ ამ ბანჯგვლიან დევკაცს, რომელიც ჭაბუკური თავგამეტებით გადაეშვა ალაზნის ამღვრეულ ზვირთებში.

მეცხვარეებმა ექვსივე ცხვარი ცურვით გაათრიეს მდინარის გადაღმა, ხოლო შავი თოხლი, შუაგულ მდინარეში გადავარდნილი, მაგრად აბურთავა ალაზანმა და შორს გაიტაცა.

მხარულით უკან მისდევდა მას აბრია, მამაცად მიაპობდა ამღვრეულ ტალღებს.

ახალკაცი აღტაცებული იყო ამ სანახაობით:

„რა უცნაური ვაჟკაცი ყოფილა ეს ბებერი. რამდენი წლის იქნება, ნეტავ?“ შეეკითხა იგი ციხისთავს.

ვიდრე ეს უკანასკნელი პასუხს გასცემდა, კორინთელმა ჩაილაპარაკა თავისთვის:

„ეჰ, ეს რა ბედენაა. ოთხმოცდაორი წლის ერეკლე მეფის ვაჟკაცობა იკითხეთ, კრწანისის ომში რომ დააგელვებდა ცხენს და ჭაბუკურად იქნევდა ხმალს“.

„საქმე ისაა, ჩვენი დროის ბრიგადირი ასე თავგამეტებით რომ იცავს სოციალისტურ საკუთრებას“, შენიშნა ცეროდენამ.

ციხისთავის უკან მდგარ ახალგაზრდა მეცხვარეს გაეცინა:

„ეჰ, მაგ შავი თოხლი საკუთარი არ ყოფილიყო, ჩვენი აბრია აგრე არ გამოიდებდა თავს!“

ჟონდრისკაცის იტალიური მოგზაურობანი

თელავიდან უგუნებობა თან ჩამოჰყვა კორინთელს. უდრტვინველად იტანდა თავისი ოჯახის უსიამო ამბავს. მოხუც მაიასა და შოფერ ანდროს გარდა ხმას არავის სცემდა შინ.

დილით მიკროუბანში და კოლმეურნეობის ვაზნარებში დადიოდა, ღამღამობით თავაუღებლად მუშაობდა თავის წიგნზე.

ხედავდა: გვალვა დიდ საფრთხეს უმზადებდა ვაზნარებს. მან უკვე აღარ იცოდა, ამ საქმეშიც რომ ხელი მოსცარვოდა, რა უნდა ექნა?

ახლა უკვე ნანობდა: რატომ დაჟინებით არ გამოჰკითხა ძია ნიკოს, თუ რას ეუბნებოდა მედიკო თავის დეიდას?

ერთ დღეს კიდევაც განიზრახა: თელავს ჩავალ და ძია ნიკოს ყოველივეს გამოვკითხავო.

ბოლოს აგრე დაასკვნა: ამაზე მეტი რა უნდა მითხრასო ძია ნიკომ? თელავს წასვლა გადაიფიქრა. უხერხული იქნებოდა ასეთი სულმისწრაფება, ეგეც არ იყოს, არ უნდოდა სუსქიასთან შეხვედრა.

ბერმუხას ჩასვლისთანავე მოინახულა დიდი ვენახი, თავჩაქინდრული დადიოდა მწკრივებს შორის, წყვეტდა ლერწზე შემხმარ ფოთოლს, ძირებს უსინჯავდა ვაზებს. თვალნათლივ ჰხედავდა, თუ როგორ ეძლეოდა ფოლადისფერი იერი მწკრივებს, რომელნიც სულ ორიოდე კვირის წინად ლაღად შეფოთლილნი ბიბინებდნენ, დასავლეთის ნიავის ქროლვას აყოლილნი.

ეს მშვენიერი, რქათამამი ვაზები იდგნენ ნირშეცვლილნი, გარინდებულნი, ხვატისაგან კიდეშეტრუსული ფოთლები უცაბედად მოკლულ ფრინველებსავით ცვიოდნენ მიწაზე.

კორინთელი თვალნათლივ ხედავდა, თუ როგორ ეპარებოდა ჭკნობა ვაზნარს, მის თვალწინ თუთქავდა კასპიის გადაღმიდან გადმოხვეწილი ცხელი სუნთქვა სამოთხისდარად აყვავებულ ვენახს, რომელიც ადამიანების თავგამოდებულმა შრომამ აღმოაცენა ამ გავერანებულ ზეგანზე.

კორინთელი შესდგა, დასავლეთისკენ გაიხედა. მაინცდამაინც სანუგეშო პირი არ უჩანდათ ფორთოხლისფერ ღრუბლებს, ისინი გულგრილად გადაუვლიდნენ ალაზნის ველს, იალქანგაშლილ გემებსავით მიაშურებდნენ შორეთს, როგორც აუხდენელი იმედები ხელმოცარული მეოცნებისა.

ისე გამოდიოდა: ბუნების უცნაურ ჭირვეულობას მიზნად დაუსახავსო ერთის დაკვრით შემუსრვა თავდადებული კოლექტიური შრომის კეთილშობილი ნაყოფისა.

პირი შეეკრათ ცასა და მიწას, რათა ქაოსი და უნაყოფო ქვეერი კვლავ დაემკვიდრებინათ ბერმუხის ზეგანზე.

დაზაფრულმა კორინთელმა გამოიხურა ჩელტის კარი და საბერგე ფარდულისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა.

ცალთვალა გაიოზი თავისი განუყრელი საჩიტე თოფით ხელში გამოეშურა მისკენ.

„რად დაღვრემილხარ, პროფესორო ბატონო?“

„აბა სასიხარულო რა გვაქვს, ჩემო გაიოზ, სადაცაა ეს ამოდენა ნაჭირნახულევი უნდა გაანადგუროს ამ ტიალმა გვალვამ“.

„ფიქრი არაა, უფროსო, მალე ათენგენობა[1] მოდგება. ისევ ქვაკაცას წმიდა გიორგი თუ გვიშველის, უფროსო“.

„ჰმ, ათენგენობა? წმიდა გიორგის იმედი ძლიერ საეჭვოა, ჩემო გაიოზ“.

სულ რამდენიმე ნაბიჯიც არა ჰქონდა კორინთელს გავლილი, გაიოზი ისევ მობრუნდა და ეუბნება კორინთელს:

„მართლა, სულ დამავიწყდა, პროფესორო ბატონო. გუშინ მთელი დღე დაგეძებდათ ვიღაც თელაველი მოხუცი. ბარე სამგზის მოვიდა სანერგე ფარდულში.

მე აღარ ვიცოდი სად ბრძანდებოდით. ჯერ იყო და სასტუმროში მივასწავლე. უარი სთქვა მანდ წასვლაზე. ვინაობა ვკითხე, პასუხი არ გამცა, ხვალაც გამოვივლიო და ჯერაც ადგილად სჩანს“.

კორინთელი დაფიქრდა.

ახლა იმ მოხუცის ანაგობის გამოკითხვას შეუდგა. როცა გაიოზმა ამ უკანასკნელის გარეგნობა აუწერა მას, კორინთელის ფიქრი ძია ნიკოს მისწვდა.

სანერგე ფარდულამდის მისულიც არ იყო კორინთელი, როცა ახოვანი მოხუცი გამოვიდა ფარდულიდან და აჩქარებული ნაბიჯით გამოეშურა მისკენ. კორინთელმა შორიდან შეატყო: ფრიად აღელვებული სჩანდა საერთოდ დინჯი და თავშეკავებული ძია ნიკო. კორინთელს მიეჭრა და უთხრა:

„ეს ორი დღეა, რაც დაგეძებ, ვახტანგ“.

„რა იყო, რა მოხდა, ძია ნიკო?“ შეცფუნებულად იკითხა კორინთელმა.

ნიკომ თავი აარიდა ამ კითხვას, ხოლო კორინთელმა კითხვა მოუნაცვლა:

„სასტუმროში ხომ არა ყოფილხარ, ძია ნიკო?“

„არა, სწორედ გითხრა, არავითარი ხალისი არა მქონია პირისპირ შევხვედროდი ვინმეს.

აქ ერთი ნათლიმამა მყავს სოფლის ბოლოს, — მთელი დღე იქ ვიყავი, ყველას ვარიდებდი თავს. რამდენჯერმე მოვედი, ცალთვალა დარაჯმა სანუგეშო ვერაფერი მითხრა, მერმე ერთ ახალგაზრდა ქალს გამოვკითხე: ჰესს აშენებენ გველეთში და, შესაძლოა, პროფესორი იქ ბრძანდებოდესო, მიპასუხა:“

კორინთელს მუხლი მოეჭრა მღელვარებისაგან. იქვე გდებულ წიფლის ნამორებზე მიუთითა სტუმარს:

„მოდი, აქ დავიმუხლოთ, ძია ნიკო“, უთხრა, თანაც თვალს არ

---

[1] წმ. გიორგის დღესასწაული თუშ-ფშაე-ხევსურეთში.

ამორებდა; კორინთელს აოცებდა მუდამ მოლხენილი მოხუცის ვაგლახად დალრეჯილი სახის იერი.

„ცუდი რამ ხომ არ შეგმთხვეოვიათ, ძია ნიკო?“

„ბევრი არაფერი, მაგრამ არცთუ სასიამოვნო ამბავ ვარ მოსული, ვახტანგ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რა მოხდა ასეთი, მამიდაჩემს ხომ არაფერი მოსვლია, ძია ნიკო, ჰა?“

„მაძმიდაშენი კარგადაა, ღვთით, შენ სხვა რაზე თქვი...“

„მაინც რა მოხდა?“

ძია ნიკომ ღრმად ამოისუნთქა და დამდუღრულივით ათუხ-თუხდა:

„გუშინწინ ღამით გამგე შემხვდა იმ არტელისა, სადაც ის გაოხრებული ბიძია ვარა მსახურობს, მკითხა: თუ სადმე ხვდებითო ვარას, ჯორჯაძის ქვრივს?

ვხვდები-მეთქი ხანდახან. მერმე ასეთი რამ მითხრა იმ კაცმა: მაგ დედაკაცს წერილი მოუვიდა პარიზიდან. ფოსტალიონმა აგვიკლო, სამჯერ მოგვიტანაო, და ხელში მომაჩეჩა უშველებელი პაკეტი.

ღვთის წინაშე, დავინტერესდი და გამოვართვი; უნდა გამოგიტყდე, ვახტანგ, მე ამ ხნის კაცი ვარ და ჩემს დღეში არ მიკაძრებია სხვისი ბარათის თავნებურად გახსნა.

სასწრაფოდ გავეცალე წერილის მომტანს, სასადილოში შეეუხვიე და ფრთხილად გავხსენი კონვერტი.

ვიმეორებ, ეს ჩემთვის შეუფერებელი საქმეა, მაგრამ აკი გეუბნებოდი თელავიდან წამოსვლის წინა დღეს, სადაც შენ არა ხარ, შენი თვალი და ყური მე ვარ-მეთქი, მიტომაც ჩავიდინე ეგ.

მე ფრანგული არ ვიცი, ამ წერილის წაკითხვა ვერ შევძელი, მაგრამ წინასწარ ვგრძნობ, ამ ბარათში სასიკეთო არაფერი უნდა ეწეროს. ბარათი რა ბედენაა, ეს ფოტოსურათებიც კმარა...“

კორინთელმა გახსნილი კონვერტი გამოართვა ძია ნიკოს, ჯერ უამრავი ფოტოსურათი გამოიღო, ისინი ისე გაშალა ხელში, როგორც ბანქოს მოთამაშენი გაშლიან ხოლმე კარტს, როცა უნდათ გვერდით მჯდარს დაუმალონ კარტები.

ყოველ მათგანზე გამოკრთოდა ლუსიენ შარკუტიეს ღრანჭმოქცეული სახე.

კორინთელმა მერმე ეს ფოტოსურათები ერთიმეორეზე დაალაგა. ბოლოს ბარათი ამოიღო კონვერტიდან. თვალი გადაავლო ეფემიას მიერ დაუდევარი ხელით ფრანგულად ნაჯღაბნს:

...„ლუსიენს, როგორც ამას წინათ გწერდი, მელანქოლია შეეყარა, ხანგრძლივი მოგზაურობიდან პარიზს დაბრუნდა გუშინწინ.

მისი დავალებით გიგზავნი ამ ფოტოებს. გითვლის მხურვალე კოცნას და გემუდარება — ისევ დაუბრუნდე მას"...

კორინთელმა აუღელვებლად დაალაგა ფოტოსურათები, ეფემიას წერილი ზედ დაადო, ხელახლა ჩასდო ეს ყოველივე კონვერტში, ნიკოს მიუბრუნდა და მშვიდად უთხრა:

„ახლა ყოველივე ნათელია ჩემთვის, რაც შეეხება ამ პაკეტს, შენ თავათ ვისაც გენებოს, მას გადაუგზავნე იგი; ძია ნიკო".

*

მედიკო რა დარწმუნდა, ბერმუხიდან წასვლას ალარ აპირებდა კორინთელი, ანგარიში გაუწია დეიდამისის, ვარას, დაჟინებულ მოთხოვნას და, როგორც იქნა, გადასწყვიტა გაემზეურებინა თავისი გარდერობი.

შოფერს შემოათრევინეს უზარმაზარი კოფრები და ტყავის ჩემოდნები, სათითაოდ დახსნეს ისინი. ნაფტალინისა და ტყავის სუნი დადგა გენერლისეულ დიდ დარბაზში.

„ეს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ჩემი დიდი გარდერობისა, — სთქვა ნაღვლიანად მედიკომ, — ეს ყველაფერი მამიდა ეფემიას აგარაკზე დამრჩა.

გაყრის მეორე დღესვე ხუთი ასეთი კოფრი და ტყავის ათი ჩემოდანი შამპანში გადავუგზავნე ლუსიენს. ამათ გაგზავნასაც ვაპირებდი, მაგრამ მამიდა ეფემიამ არ დამანება".

მედიკო მცირე ხანს სდუმდა, მერმე სთქვა:

„მე დამნაშავე ვარ ლუსიენის წინაშე, დეიდა, ან არ უნდა გავყოლოდი, ან არ უნდა გავყროდი... როგორც ახლა ვაკვირდები ამ საქმეს, ორივე შემთხვევაში მამიდა ეფემიას მიუძღვის ბრალი".

მედიკომ ჩემოდნიდან კაბები ამოალაგა, პირველხარისხოვანი პარიზული მკერავების ნახელოვნები, ნაფტალინისა და ტყავის სუნის მიუხედავად ნაირ-ნაირი ნელსურნელებანი თან ამოჰყვა მათ.

ეს საგნები ორგვარ ასოციაციას იწვევდნენ ორი სხვადასხვა ასაკის ქალის წარმოდგენაში. მედიკოს შემეცნებაში ყოველი მათგანი პარიზში გატარებული წლების, დღეების, წუთების მოგონებებს ჰბადებდა.

ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა მედიკოს, თითქოს მის მიერ პარიზში გატარებული ცხოვრება დაქუცმაცებულაო მრავალ ნამუსრევად და ყოველი საგნის ჭვრეტა აღუძრავდა იდუმალ ტკივილს განვლილისა და ახდენილის დაუბრუნებლობის გამო.

ამ ნივთებმა აღძრეს მის გულში მოგონებანი პარიზული სპექ-

ტაკლებისა, ოპერებისა, დარბაზობათა, აგარაკებისა და მოგზაურობათა გამო, ფლირტის, შეხვედრებისა, ყოველივე იმისა, რაც ბურჟუაზიული უქნარა ყოფის უცილო ატრიბუტს შეადგენს.

და აღდგა მის თვალწინ ფუქსავატი, მაგრამ მოსაგრძნობად ტანადი, ეფემერული, მაგრამ „სანტიმენტებით“ აღვსილი ცხოვრება, რომელიც ბერმუხელთა შრომით აღსავსე ყოფის ფონზე მოჩანდა, როგორც ეკრანის ტილოზე წამიერად გაელვებული.

სულ სხვა გრძნობები აღეძრნენ ვარას, რომელსაც მხოლოდ გალანტურ ფრანგულ რომანებში ჰქონდა ამოკითხული ამ საგნების აღწერა.

იგი შურით ივსებოდა, რომ სადღაც კიდევ არის ისეთი ქვეყანა, სადაც ბურჟუებისა და აზნაურების ქალებს კიდევ შერჩენილი ჰქონიათ საშუალება ასეთი იგავმიუწვდენელი კომფორტით დატკბობისა.

გენერალისეულ დარბაზში სარქველახდილ კოფრებსა და ჩემოდნებს მისხდომოდნენ მედიკო და ვარა, ეს აბრეშუმის კაბები, მაკინტოშები, ქურქები და მოსასხამები ისე ელაგა მათ წინაშე, როგორც სატირალში გამოტანილი ძვირფასი სამოსელი მიცვალებულისა.

სწორედ ამ დროს შემოვიდა შოფერი ანდრო, პაკეტი დასდო მაგიდაზე და ხმის გაუღებლად გაემართა კარებისაკენ, მაგრამ ვარამ თვალი შეასწრო პაკეტს და წამოიძახა:

„ეს რა პაკეტი მოგიტანია, ანდრო?“

„ერთმა თელაველმა შოფერმა შემომაჩეჩა ეს კონვერტი თქვენთვის გადმოსაცემად“, მიუგო ანდრომ.

ვარა ზეწამოიჭრა, რაღაც უჩურჩულა ფრანგულად მედიკოს და, როცა ანდრო გავიდა, ნერვული ხელით გაფხრიწა კონვერტი, დიდხანს უკვრიტა წერილს, მაგრამ ვერ ამოიკითხა წვრილი ხელით ნაწერი:

„ჩემი სათვალე!“ წამოიყვირა ისტერიული ხმით.

მედიკომ დიდხანს ეძია სათვალე, ბოლოს, როცა თავათ ვარამ გამოჩხრიკა იგი, ერთი დახედა ბარათს და წამოიძახა:

„ეფემიას წერილი, მედიკო!“

სხაპასხუპით გადაიკითხა იაპონურ ქაღალდზე დაწერილი ბარათი ვარამ და სათვალე მოიხსნა.

„ხომ გეუბნებოდი, მედიკო, მე ნამდვილი მისანი ვარ-მეთქი. შენ მეკითხებოდი, მიმიღებსო? კაცს მელანქოლია შეჰყრია შენს გამო, როგორ თუ არ მიგიღებს, მუხლისთავებსაც დაგიკოცნის,

ძვირფასო", ფრანგულად უთხრა თავის დისწულს ვარამ, რადგან მაია შემოფრატუნდა და ბუფეტის კარს აკრაჭუნებდა.

ვარამ აცალა მაიას დერეფანში გასვლა, მცირე ფორმატის ფოტოსურათები პაკეტიდან ამოალაგა. პირველად ხელში მოხვედრილი ზედ ცხვირთან მიუტანა მედიკოს.

ლუსიენი მონტე-კარლოში ნებივრობს, თავის ძმაკაცებთან ერთად ვისტს თამაშობს.

მრგვალ მაგიდას უსხედან ქინჩგასუქებული, ჩაკურატებული ბურჟუები, რომელთაც ბულდოგის ჯიშის ძაღლსავით გამოშვერილი ლაშები დაუბჩენიათ, ასეთივე მსხვილძვლიანი ყბები, მოკლე კისრები, მოკლე ხელ-ფეხი, მრგვალი მკლავები და სოლიდური ღიპები.

მარაოსებრ გაშლილი კარტები უჭირავთ ხელში და იღიმებიან

მედიკომ დახედა ამ სურათს და სთქვა:

„ერთ უცნაურ ამბავს დავკვირვებივარ ჯერ კიდევ პარიზში ყოფნისას, დეიდა: მთელი ქვეყნის ფაბრიკანტები და ბანკირები ზედმიწევნით ჰგვანან ერთიმეორეს.

ლუსიენის მხარმარჯვნით მჯდომარე ებრაელი ბანკირია — რუდოლფ შტაინბახ, საპნის ქარხნების პატრონი სენის დეპარტამენტში, მხარმარჯვნით — ინგლისელი, მაუდის ფაბრიკანტი მისტერ საიმონ, ეს მესამე ლუსიენის საქმისმიერი მეგობარია — შვეიცარელი „ყველის მეფე" შტოლბერგი, მეორე — ჰოლანდიელი, „ნახშირის მეფე" — ვან ჰოვენ.

მე მგონია, ასევე ჰგვანან გარეგნულად ერთიმეორეს ევროპელი და ამერიკელი მწერლები და მსახიობები, არტისტები და მკერავები, რკინიგზელები და კომივოიაჟორები, კოკოტები და დემიმონდენები"[1].

ახლა მეორე ფოტოსურათი ამოაძრო დასტიდან ვარამ.

ლუსიენი ნიცაში ისვენებს სასტუმრო მაჟესტიკის ვერანდაზე. მის გარშემო უამრავი ჩინური ვაზები აწყვია, თეთრი ყვავილებით დამშვენებულნი.

ვარა დიდხანს ფურცლავდა ფოტოსურათებს, ბოლოს ერთ-ერთი აიღო ხელში.

„იტალიური მოგზაურობა იწყება!" წამოიძახა გახარებულმა, თითქოს თავათ ყოფილიყოს ამ მოგზაურობაში წილის დამდები.

რკინიგზის სადგურზე ჩამომდგარი ექსპრესი: პარიზი — რომი. ტურისტულად მორთული ლუსიენი ვაგონის წინ სდგას. ორი

---

1 მსუბუქი ყოფაქცევის ქალი.

მხლებელი და ერთი ფოტოგრაფი საპატიო მანძილზე თან ახლავს ამ დამბლას.

ახლა შემდეგი სურათი ამოაცოცა ვარამ.

ლუსიენი ლაგო-მაჯორეს ნაპირას ზის უზარმაზარი გრანიტის ქიმზე, ბინოკლი უჭირავს ხელში და გასცქერის ლაგოს.

„აჰა, ლაგო-მაჯორე, ვგონებ პირანდელოს აქვს [illegible] ტბა. აჰ, მონ დიო, სადა ვართ მე და შენ, მედიკო. ნეტავ ამ მოგზაურობის დროს თან ვხლებოდით ლუსიენს“, კვნესოდა ვარა.

მედიკომ გაიღიმა, ხოლო ვარამ სხვა სურათი ამოაცოცა. „მილანი, მილანი, თეატრი ლა სკალა“, წამოიყვირა ვარამ.

ლუსიენი სწვევია სანტა მარია სოპრა მინერვას ეკლესიას, რომელიც ოდესღაც წარმოადგენდა ინკვიზიციის მთავარ შტაბს და სადაც გალილეიმ „მაინც ბრუნავს“ წამოიძახა (ჰომუნკულუსი[1] უჭვრეტს პალაცო ფარნეზეს. შესაძლოა მან არაკი იცოდეს, რომ ამ სასახლის მახლობლად თავს იყრიდნენ ოდესღაც მთელი ქვეყნის მპარავები და ვაჭრები, სამღვთოს სწირავდნენ ქურდების ღვთაებას. — ავტორისეული მინაწერი).

უკანასკნელი ფოტოსურათის მიხედვით, ლუსიენს კაპიტოლამდის მიუღწევია. სწორედ იმ ადგილზე სდგას იგი, სადაც დღესაც დამწყვდეულია სიმბოლიური ძუმგელი — რომულუსისა და რემას „ძიძა“ (და ეს ხვადი მგელი, ფრანგული ბურჟუაზიის ბანაკიდან გამოსული, დაჟინებით უჭვრეტს სიმბოლიურ ძუმგელს. — ავტორისეული მინაწერი).

ლუსიენს „აკადემიის დი-ბელ-არტის“ (მშვენიერ ხელოვნებათა აკადემიის) ექსპონატების საჭვრეტად მოუცლია. ვარას ხელში მოხვდა ტიციანის „ასუნტა“: პირმშვენიერი მადონა მოოქროვილი ცისკენ მიფრინავს; ექსტაზში მოსული, აღტყინებული ანგელოსების დასტები შეფრფინვით ეგებებიან მას.

აქვე სხვა რეპროდუქციები გამოუგზავნია ლუსიენს (საბუთად იმისა, რომ ეს ყოველივე საკუთარი თვალით უნახავს ქონდრისკაცს: ლეონარდო დავინჩის, ტიციანის, ვერონეზეს, ალბრეხტ დიურერის, ლუკას კრანახისა და რუბენსის

[1] ქონდრისკაცი.

უკვდავი ქმნილებებისა. — ავტორისეული მინაწერი).

„ესეც რომში გადაღებული ფოტოებია!“ სთქვა აღტაცებულმა ვარამ.

ლუსიენის ღრანჭმოქცეული სახე მოჩანს ტრიტონების შადრევანის ფონზე. (ეს ვაგლახად დაღრეჯილი მიჯნური ტარიელსავით გლოვად დამჯდარა კოლოსალურ ღინჭილებიდან გადმომჩქეფარე წყლისპირად. — ავტორისეული მინაწერი).

როცა ფოტოსურათების თვალიერება მოთავდა, ვარამ მზრუნველი ხელით დაალაგა ისინი და უთხრა მედიკოს:

„ხომ ხედავ, ძვირფასო, მხოლოდ შენ აკლიხარ ამ ფოტოებს“.

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა ვარას, მაგრამ მამაკაცური ნაბიჯების ჩქამი შემოესმა.

სუფრას კიდე აუწია და შიგ შეალაგა ფოტოსურათები სწრაფად. მედიკომ თვალი შეავლო ვახტანგის დასიცხულ სახეს და უთხრა:

„ეს ამბები ცუდად გათავდება, ბიოდე ვახტანგ“.

„რა ამბები?“ ირონიულად იკითხა ახლადმოსულმა.

„სარკეში ჩაიხედე, აბა რას ჰგავხარ, შენი ჯანმრთელობის პატრონს როგორ შეუძლია ამ გაუძლის სიცხეში მუშაობა?“

„მე მეგონა, შენ სხვა რამეს გულისხმობდი“.

მედიკომ წაუყრუა ამ უკანასკნელ ფრაზას. ვარამ მენტორული ტონი აიღო:

„უნდა გაუფრთხილდეთ თქვენს ჯანმრთელობას, მონ შერ ჟანდრ“.

„საუზმე გაუწყვე ვახტანგს“, მიაძახა კარებში შემოსულ მაიას მედიკომ.

ვახტანგი შირმის გადაღმა გავიდა. სატალახო ჩექმები გაიხადა. ბირკით მოცული ხალათი გამოიცვალა, კოსტიუმი გადაიცვა და მანქანა გამოაძახებინა მაიას. შინ სიტყვა დააგდო: ყვარელს მივდივარო თათბირზე.

როცა კორინთელმა კარი გაიხურა, შეცფუნებულმა ვარამ უპატრონოდ დარჩენილ საუზმეს დახედა და ფრანგულად უთხრა მედიკოს:

„ვაიმეთუ ანდრომ აჩვენა მას ეს პაკეტი, ჰა?“

„ვახტანგი არამც და არამც არ იკადრებდა პაკეტის გახსნას“, მიუგო მედიკომ.

აბრია უჯირაული ღვინისაგან დაოსებული მიბრუნდა შინ. ჯერ ეზოშიაც არ იყო შესული, ყვირილი მორთო:

„მაო, მაოო“...

მაო თონეში პურს აკრავდა, ამიტომაც წამსვე ვერ უპასუხა ქმარს.

„მაო, მაოო“...

დამდუღრულივით ბრდღვინავდა ავსიტყვა. აბრიას გამოეგება შვილიშვილი — თეთრო. თეთრო ქმართან გაყრილი იყო და ამიტომაც შეიძულა იგი პაპამ. ახლა, როცა მთვრალს შეეჩეხა, სასტიკად შეუბღვირა მას აბრიამ და ისე დაუტატანა, როგორც აბეზარ ძაღლს დატუქსავს ხოლმე ბოროტი პატრონი.

„მაოო!“ აყვირდა ხელახლა აბრია.

თეთრო გაიქცა, ბოლოს როგორც იქნა მოაღწია ფქვილში ამოთხვრილმა, ოფლში გაწუწულმა მაომ.

სად ჯანაბაში ხარო, დიაცო?

შესძახა აბრიამ.

„პურს ვაცხობდი, ეგე კაცო“, მიუგო აცახცახებულმა ქალმა.

„პური რა შავ ქვად გინდა, ქვეყანა სიცხისაგან იდაგება, წყალი მოიღე, იავოჰ“.

„წყალი სადა მაქვს, ეგე კაცო! ორიოდე პეშვიღა დამრჩა პურის საცხობლად. წყლის მომტანი ვინა მყავს, მე პურს ვაცხობდი, თეთრო კერავს, ყმაწვილები კრებაზე წავიდნენ“.

გაცოფდა აბრია. როდის გაათავებენო ი ოხრები კრებებს, ან ამდენი საკერავი რა აქვსო მაგ გომბიოს, თავტირილისათვის ხომ არ ემზადებაო თეთრო?

„ქვეყანა იწვება, საძოვრები გადახმა, ცხვარი გვეღუპება და ჩემი შვილები და შვილიშვილები კრებებზე დაეხეტებიან, ზოგი კერავს, ზოგიც ენის ქავილს აჰყოლია“.

გახევებული იდგა მაო და შესცქეროდა გალეშილ ქმარს, არყის სუნი ცხვირში სცემდა დედაკაცს.

აბრია განაგრძობდა დუდღუნს:

„ქვაკაცა გააჯავრეს, აბა რა ეგონათ კომუნისტებს. მამუკას უბანში ფარდულები ააგეს, ვაზები ჩაჰყარეს, წმიდანების ძვლებზე ტრაქტორები გადაატარეს. აბა რას იზამდა ქვაკაცა“.

„პური მიფუჭდება, ეგე კაცო“, წაიდუდუნა მაომ და თონისაკენ წასვლა დააპირა.

„მაოო, — იყვირა აბრიამ ისევ, — წყალი“.

„საიდან მოგართვა წყალი, მე თავათ მახრჩობს წყურვილი, თონეში ჩაყუდებულს“.

„წყალი-მეთქი, ჩქარა“.

მაო წაფრატუნდა და წყლის მაგივრად საჩხრეკა[1] მოართვა კაკლის ქვეშ მჯდომარე ქმარს.

ტუჩ-პირზე მოიყუდა აბრიამ ქილა, მერმე უცებ მოიცილა იგი, გადმოადუქა საჩხრეკა და ქილა ესროლა ცოლს, მაგრამ მაომ აიცდინა.

„ეს გადამეავებული საჩხრეკა შენს მკვდრებს გადაასხი, დიაცო, საფლავზე“.

„დღევანდელია, ქვაკაცას წმიდა გიორგის გეფიცები, ეგე კაცო“.

„ქვაკაცას მადლიმც გაგიწყრეს, იავოჰ!“

მაო ისევ გაბრუნდა თონისკენ.

„სად მიეთრევი, იავოჰ“?

„პური მეწვება თონეში“.

„აქ მო, შენ გეუბნები, რა ეშმაკსა და დოზანას უცდით, ქვეყანა იღუპება, იავოჰ“.

„მერმე მე რაი ვქნა, ეგე კაცო“.

„დიდებაზე[2] წაშავდით, ან საწვიმარა გუგაი[3] მორთეთ, ან მკვდრების ძვლები გადაყარეთ წყალში, შეაევდრეთ ქვეყანა ქვაკაცას. ხომ არ დაგავიწყდათ, იავოჰ, ქვაკაცას ნაყმევები რომა ვართ თუშები“.

„მე ერთი ვარ და სად წავიდე, ეგე კაცო?“

„შენ ერთი როგორა ხარ, შვიდი რძალი გვყავს და ოცდიდე ძმათაშვილებისა და ბიძათაშვილების ქალ-რძალი“.

„რას ამბობ, ეგე კაცო, თხუთმეტი კომკავშირელი შინა გყამს და ვინ დაგანებებს დიდებაზე წასვლას, საწვიმარა გუგაის მორთვას, ან ალაზანში მიცვალებულთა ძვლების გადაყრას“.

„იცოდე, დღესვე შეკრიბე დიაცები და სამების კარზე წადი, თორემ არც ერთი არ დამიხვდეთ შინ, თეთროც თან წაიყვა“.

---

[1] საჩხრეკას დოს უწოდებენ თუშები.

[2] ძველად დიდი გვალვის დროს თუშ დედაკაცები ფეხშიშველა შემოიკლიდნენ სოფლებს, ფითო მუჭა ხორბალს ჩამოითხოვდნენ და ამგვარად შესაწირავს მიუტანდნენ ხატს.

[3] თუშური ჩვეულების მიხედვით, სოფლის გოგოები პატარძლის სამოსელს გადააცვამდნენ ჯოხს, მდინარეში ამოავლებდნენ „გუგაის“ და მღეროდნენ: ღმერთო, მოგვეც ტალახი, აღარ გვინდა გორახი.

„ჩვენ, დედაბრები, დიახაც წავალთ, მაგრამ თეთრო კომკავშირელია და როგორღა წამოვა?..“

„კომკავშირელი მე არ ვიცი, თეთრო წაიყვანეთ, თორემ შინ არ დამიხვდეს, იცოდე“.

*

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის პირველ ნახევარში როგორც ყვარლის რაიკომის, ისე ბერმუხის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ მთელი გულისყური ჯერ ვაზნარების მოწყობას, შემდეგ ჰესის აგებას მიაპყრო, ამის გამო მეცხოველეობისადმი ყურადღება ოდნავ შენელდა.

ბერმუხის პარტორგანიზაციას ჯერ კიდევ გაზაფხულზე მოუვიდა არაერთი სიგნალი: ცხვრის ფერმაში არა მარტო გარღვევას, არამედ კანონის დარღვევასაც ვაკვირდებითო.

ეს ამბავი ციხისთავს აცნობეს პარტკომის მდივანმა გაბო ცისკარიშვილმა და გოდერძიმ. ციხისთავის მითითებით კომისსია გამოჰყვეს მეღორე პოპოლას თავმჯდომარეობით.

ამ კომისსიამ გულდასმით შეისწავლა ცხვრის ფერმის საქმეები და მრავალი რამ საგულისხმო გამოარკვია.

ჯერ კიდევ თებერვალში ვიღა-ვიღაცეები თელავის ბაზარზე ბერმუხიდან ჩამოყვანილ ნაბუშარ ბატკნებს[1] ყიდდნენ ჩუმ-ჩუმად. მილიციამ შეიპყრო სპეკულანტები, მაგრამ იმის დადგენა ვეღარ შესძლო, თუ ვისგან ჰყავდათ შესყიდული ისინი.

დოლმა კარგი შედეგები დასტოვა, მაგრამ ბატკნის სიკვდილიანობამ იმატა, ალაგ-ალაგ ციმბირის წყლულის ნიშნებიც გაჩნდა.

ზოოტექნიკოსი ყოველ მეორე დღეს მოიმიზეზებდა: რაიკომში მეძახიანო, ნამდვილად კი ყვარელს მიდიოდა და იქ ლოთობდა.

ცხვრის ფერმის ბრიგადირის — აბრია უჯრაულის მუშაობაც ზუსტად შეისწავლა ამ კომისსიამ.

არ იქნა და საშველი არ დაადგა ცხვრის პარსვას. აბრია რას არ იმიზეზებდა, ღობე-ყორეს ედებოდა. ჯერ ამტკიცებდა: დუქარდები არა მაქვსო; დუქარდები ჩამოიტანეს,— სამი კვირით კიდევ გადასდო ეს საქმე.

ერთ ღამეს ბრიგადირის დაუდევრობით ცხვრის ნოტო[2] მოწყვეტილიყო ფარას, გველეთში დათვს დაეგლიჯა ოცდაოდე ცხვარი.

ერთი თვის შემდეგ ხუთასოდე სულისაგან შემდგარი ცხვრის ნოტო უკვალოდ დაიკარგა ნამატიანად.

არ იქნა და ვერ გააგზავნეს საზაფხულო საძოვრებზე ბერმუხის კოლმეურნეობის ცხვარი.

---

[1] ნაბუშარი ეწოდება დოლამდის დაბალიბუნ ბატკანს.

[2] ნოტო — ცხვრის ფარის ერთი გუნდი.

აბრია ფეხს ითრევდა, დაკინებით ამტკიცებდა: გვალვისაგან გადამხმარიაო როგორც სპეროზიას მთა, ისე საყორნიას და დიდოს მთები; ყაპუჭების მთებიდან ჩამოსული მეცხვარეებიც ადასტურებენ: წრეევანდელ გვალვას ხუფთასა და ჭარის თავზედაც მოუსპია ბალახი.

ბიბლიოთეკა

თედო თარალაშვილის მოთხოვნისამებრ, აბრიამ ექვსი ათასი ცხვარი გაგზავნა სპეროზიას მთაზე და ერთი ნოტო ბერმუხაში დასტოვა. თვითონ თიაქარი მოიმიზეზა და არ ინდომა მთაში გაგზავნილ ცხვარს თან გაჰყოლოდა.

ისიც დაადგინა კომისსიამ, რომ აბრია უჯირაული კანონიერად კუთვნილი ხუთი სულის ნაცვლად ასიოდე ნერბის მითვისებას აპირებდა. ცხადი შეიქნა, ფარას იმიტომ არ გზავნიდა საზაფხულო იალაღებზე, რომ ეს ცხვრები ხელის ახლოს ჰყოლოდა.

ბრია ამ ნოტოს წარამარა დაათრევდა ალაზანს გაღმა-გამოღმა, ხან კიდევ გველეთის ზეგანზე აძოვებდა მას.

დაკითხვის დროს მან პირიქით შეუტია კომისსიის თავმჯდომარეს, მეღორე პოპოლასა და წევრებს:

„ტყეები გასჩეხეთ, შვილოსან, ჭაობები ამოაშრეთ, ცხრამუხაზე ბალახის სინსილა გასწყვიტეთ, ახლა გველეთის ზეგანს წაეპოტინეთ, ქვაკაცას წმიდა გიორგი გაარისხეთ, უნახავი გვალვები დააყენეთ, ცხვარი დაიმშეოდა, აბა რა იქნებოდა, შვილოსან“.

საბოლოოდ ამ გარღვევებისა და დარღვევების გამო პასუხისმგებლობა უმთავრესად კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, თედო თარალაშვილს დაეკისრა.

ბუნებით რბილი და უხერხემლო მოხუცი მუდამ იმის ცდაში იყო, „მამაშვილური“ მოპყრობით გამოესწორებინა ზარმაცები, სიმულანტები და კოლმეურნეობის ქონების მიმტაცებელნი; ისიც დადგინდა, რომ თედო გადამეტებულ ლიბერალობას იჩენდა აბრია უჯირაულის მიმართაც.

კომკავშირლების ენით რომ ვთქვათ, ასეთმა „დამპალმა ლიბერალიზმმა“ ისე გაათამამა ავსიტყვა, რომ ყოველ გზაჯვარედინზე შეუფარველად ჰქირდავდა ხელისუფლებას. როცა რომელიმე კომკავშირელი ამის გამო სიტყვას შეუბრუნებდა, უკუქცევას დაადგებოდა აბრია: მე ჩვენს მთავრობას თაყვანსა ვცემ, ბერმუხელ ბიჭებუჭებს ვაძაგებო.

ასეთ რამეებს კისრულობდა აბრია, რადგან სავსებით დარწმუნებული იყო, მას, როგორც ღრმად მოხუცებულსა და სახელგანთქმულ მცნობს, პასუხს არ აგებინებდნენ (აბრია ეკუთვნოდა იმ პირთა რიცხვს, რომელნიც ახალგაზრდობის ჟამს ახალგაზრდობასა

სთვლიან შეღავათის მომნიჭებელ ფაქტორად, ხოლო ხანდაზმულობაში გადასულნი მაგრად აწვებიან სიბერის კაპიტალს).

კოლმეურნეთა საერთო კრებამ დაადგინა: თედო თარალაშვილი მოეხსნათ. მის ნაცვლად გოდერძი ელანიძე აირჩიეს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

ბოლოს საერთო კრებამ მხედველობაში მიიღო ძველი პარტიზანის — თედო თარალაშვილის ღვაწლი და „მოხსნა" შეუცვალეს „განთავისუფლებად".

მოხსნეს აბრია უჯრაული და მის მაგივრად ბრიგადირად აირჩიეს შველა გაბედაიძე. ამ დღესვე დაადგინეს, ასი ცხვარი ნამატიანად ჩამოერთმიათ აბრიასათვის.

ამ კრებიდან გაავებული გაბრუნდა ავსიტყვა, მიეჩქარებოდა შინ, რათა მთელი თავისი გულის ბოღმა, რომლის გამჟღავნება საერთო კრებაზე ვეღარ გაებედნა, ახლა როგორმე შინაურებზე გადაენთხია.

ჯერ თავის ძმას ლუოს გაუარა, რათა მაგარ-მაგარი საყვედურები ეთქვა მისთვის იმის გამო, რომ კრებაზედაც არ მოვიდა და ადგილიდან წამოძახილით მაინც არ წაეხმარა.

ლუო მთვრალი დაუხვდა უფროს ძმას. ენას ძლივს აბრუნებდა პირში. აბრიას მოსვლა გაეხარდა, სმის განახლების საბაბი რა მოეცა. ანწლის არაყით სავსე ხელადა დაუდგა წინ. დასხდნენ და სვეს.

როგორც კი სიმთვრალე მოეკიდა, ენა აიდგა დარდისაგან გათანგულმა ავსიტყვამ.

ლანძღვის პირველი ტირადა მიუძღვნეს პარტკომის მდივანს გაბო ცისკარიშვილს: გაბო თავის სიდედრთან ცხოვრობსო.

როცა ლუომ გაუბედავად სცადა დაემტკიცებინა, ეს ამბავი ჭორი უნდა იყოსო, ახლა ასეთი „საბუთი" მოიტანა აბრიამ: ეს რომ აგრე არ იყოს, თუში ვაჟკაცი სიდედრს სახლში როგორ შეუშვებსო.

ლუომ მიუგო:

„ჰო, მაგრამ, აბრია, ამოწყვეტილია იმ გაოხრებული სიდედრის ოჯახი, მაშ რაღა ჰქნას? სად წავიდეს ის უბედური დიაცი?"

აბრიას ბრაზი წაეკიდა უმცროსი ძმის შეკამათების გამო, დამდუღრულივით ათუხთუხდა:

„განა ცოტა აქვს ბოლშევიკებს ქარხნები, სადაც მუშებს ბინებსაც აძლევენ? ასეთ ქარხანაში გაგზავნოს თავისი სიდედრი მაგ ლაჩარმა".

ლუოს გაეცინა, ერთბაშად რა წარმოიდგინა, სიდედრების მიერ

ამუშავებული ქარხნის ამბავი. დადუმდა აბრია და ახლა გოდერძისკენ მიმართა თავისი ძმის გულისყური.

თავგამოდებით ამტკიცებდა ავსიტყვა: გიჟიაო გოდერძი, მამიდა გიჟი ჰყავს, თავათაც გიჟი იქნებაო უთუოდ. ლუოს ხარე ჩამოართვა ოდესღაც გოდერძიმ და ამიტომაც არ იკისრა გოდერძეს დაცვა.

აბრიამ განაგრძო:

სანამ მე ცოცხალი ვარ, ვერ მოესწრებაო გოდერძი უჯირაულის ქალის, ნუნუს, ცოლად მოყვანას. კობერიძეს ჩამოვაყვანინებ ქალაქიდან, ძალით გავატანო ნუნუს.

ახლა კანკრეს, მაგ „ნაბიჭვარის" ლანძღვას შეუდგა აბრია. გვიღალატაო კანკრემ: გოდერძიმ სცემა და ცემით გადაიბირაო იგი. სხვა ვერაფერი მოიგონაო ამ „გლახაკმა". მიტომაც აგრე გულმოდგინედ ეხმარებაო „კუიხებს"[1].

კუიხებს ცხრამუხის ვაზები იმიტომ უნდათ, რომ ყურძენი და ღვინო სახელმწიფოს ჩააბარონ; ამისთვის წაგვართვესო ცხრამუხის საძოვრები. მალე გველეთის ზეგანზედაც ვაზს გააშენებენ და ჩვენ ის ხუთიოდე ცხვარიც დაგვემშევა, სამოწყალოდ რომ დაგვიტოვესო.

ვინ იცის, კიდევ რა და რა გვარის ცილისწამებებს ამოაფრქვევდა პირიდან ავსიტყვა, ნასმურევ ლუოს სუფრის კიდეზე რომ არ ჩამოსძინებოდა.

აბრიამ დიდხანს აჯანჯღალა იგი, მაგრამ ამაოდ დაშვრა. ბოლოს წამოაქცია არყის ხელადა, უკანასკნელი ყლუპიც გადაჰკრა და თავის კომბალს წაავლო ხელი.

მიბუტბუტებდა, მიჰყვებოდა თემშარას. მისი გულისყური თავს ევლებოდა კარ-მიდამოს, ამ ნახევარ ჰექტარზე დარჩენილ სიმინდს, სამასიოდე ვაზს, ბალ-ბოსტანსა და ხუთიოდე ცხვარს.

ხუთი ათასი ცხვრის პატრონს ხუთი ცხვარი და მათი ნამატიღა შეარჩინეს. საერთო ჯამში გამართლდა: თხის პატრონს — თხის კუდი, ეს იყო და ეს მთელი მისი ავლადიდება.

შინ მისვლისთანავე იპოვნა საავსიტყვო მიზეზი: ჭიშკარი ღიად დაეტოვებინა ვიღაცას. ალბათ თეთრო იზამდაო ამას, გაიფიქრა აბრიამ. ლალბაწას ღორი შეპარულიყო ეზოში. ამ წუთში წინ რომ შეჰყროდნენ ლალბაწა და თეთრო, ორივეს ამ კომბალით გაუტეხავდა თავს.

დამდუღრულივით აყვირდა აბრია:

---

[1] თუშები „კუიხებს" უწოდებენ არათუშ ქართველებს, მხოლობითი რიცხვის ფორმაა: „კოხივ".

„მაოო“...

არც კი მოგონებია მთვრალს, თავისი ცოლი მაო თავათ რომ გააგდო დიდებაზე, უჯირაულთა მოხუცებულ ქალ-რძალთან ერთად.

როცა ამ ყვირილს მხოლოდ ბატები გამოეხმაურნენ ეზოდან, გონს მოვიდა. ახლა თავის შვილიშვილს დაუწყო ხმობა:

„თეთრო, ჰაუ თეთროო“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარსად სჩანდა თეთროც, ისევ ბატებმა მოსცეს პასუხი. გააგებული შევარდა ეზოში აბრია, კომბალი გადააგდო, ქვები აკრიფა და დაუშინა ლალბაწას ღორს. იგი გამოუხშირავ სიმინდებში შეძვრა და იქ „გამაგრდა“ სავსებით არხეინად.

ახლა ლალბაწას ჩალით დახურულ ქოხისაკენ მოიხედა აბრიამ და მორთო ყვირილი:

„ლალბაწა, ჰაუ, ლალბაწა“.

კარგამოკეტილი ქოხიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

„გამოგეკეტა კბილები“, ჩაიდუდუნა აბრიამ.

დაიკუზა აბრია და სიმინდის ყანაში შეიხედა, რათა ენახა, თუ რას აკეთებდა ის „უნამუსო“ ღორი.

აბრიას იერიშებს მცირეოდენი ნაყოფი მაინც გამოეღო: ღორი ყურებდაცქვეტილი იდგა და მონუსხულივით უთვალთვალებდა აბრიას.

რა დარწმუნდა, მთლად უწესოდ არ იქცეოდა ეს „ყაჩაღი“, ახლა გადაწყვიტა: ჯერ საკუთარი ბატებისათვის გაესწორებინა ანგარიში.

ამ უგუნურებმა უჩვეულო სტოიციზმი გამოიჩინეს, გაქცევა არ იკადრეს, ერთად შეეკუჭდნენ და ერთობლივი ყიყინი მორთეს.

ქვები გადაყარა აბრიამ, იფნის წკეპლას ხელი წამოავლო და გაბოროტებული დაერია ბატებს.

გააგულისა მათმა უგუნურებამ: ნაცვლად იმისა, რომ თალარებისაკენ გაქცეულიყვნენ, ლობიოთი დაბარდნილ ბოსტანში შეცვივდნენ, ბოსტნეულს დაუწყეს კორტნა, თანაც უდარდელად დადღანებდნენ, თითქოს ეძახდნენ პატრონს: აქ მობრძანდი, ნახე, რა კარგ საქმეს ვაკეთებთო.

უარესად გაავდა აბრია, დაერია „გამეტიჩრებულ“ ბატებს იფნის წკეპლით და საბატეში შეაგდო საცოდავად აყიყინებულნი.

ახლა ისევ შეიპვრიტა სიმინდებში: როგორც ყოველ ჭკუამჩატეს, მცირე გამარჯვებისაგან თავბრუ დასხმოდა ლალბაწას ღორსაც. ნაცვლად იმისა, რომ ღია ჭიშკრისაკენ მოეკურცხლა, ყანის სილრმეში შეჭრილიყო უდიერად, თავისი ლაპლაპა ღოჯით ცელავდა სიმინდებს და არხეინად შეექცეოდა დაჯიჯგნილ ღეროებს.

სასტიკად გაამწარა ავსიტყვა ლალბაწას ღორმა: როგორც კი ქვას ესროდა, ღორი სასწრაფოდ იცვლიდა სამალს, ლობიოთი დაბარდნილ სიმინდს ამოეფარებოდა; როცა იქაც უწევდა ქვა, ჯერ დაიწყებდა სიმინდებში ჯირითს და ახალ სამალს [illegible]

ყველაზე მეტად უცნაური ეს იყო: როგორც [illegible] ...ებოდა, ქვა ვერ მომახვედრესო, დაჟინებით უჭვრეტდა თავის მდევარს, აპარპალებდა თავის ღორულ წვრილ თვალებს, თითქოს იგი ყოფილიყო ღორების იმ კოლტიდან ახლად გამოქცეული, რომელთა გვამებში „ეშმაკები ჩარეკა“ ქრისტემ.

ვერგამკლავებისაგან გაცოფებული აბრია უშვერი სიტყვებით ლანძღავდა არა მარტო ღორს, მის პატრონსაც:

ქვაკაცას წმ. გიორგიმ დაუვსოსო ლალბაწას ისედაც დავსილი კერა, ჯინჭარი და ანწლი მენახოსო ამოსული მის ნასახლარზე. დედის სულსა და მამის წვერებს უგინებდა ობლობაში გამოზრდილ ლალბაწას.

ბოლოს, როგორც იქნა, მოისაზრა აბრიამ, ჯაჭვი ახსნა ცხვრის ძაღლს, ბროლას, და ორივენი გამოუდგნენ ღორს.

დიდხანს დაგელავდნენ სიმინდებს შორის ბროლა და ღორი და როცა ეზოს კუთხეში მიიმწყვდიეს იგი, აბრიამ ბეჭში ჩასცა ხანჯალი ძაღლის მიერ დაოსებულ ცხოველს, და მანამდის არ მოეშვა, სანამ ამ საცოდავმა პირუტყვმა გამოცივებული თვალის თეთრონები არ გადმოკარკლა.

კიდევ ერთხელ შეუკურთხა აბრიამ ღორის პატრონს, წამოიკიდა მკვდარი და ჯინჭრიანში ჩაუგდო თავის მეორე მეზობელს, შველა გაბედაიძეს.

ამ გზით ორი კურდღელი მოჰკლა აბრიამ ერთი გასროლით: მისთვის ცხადი იყო, ლალბაწას ღორის მოკვლა შველას დაბრალდებოდა და ორივე მისი მტერი მაგრად დასცხებდნენ ერთიმეორეს.

როცა ომგადახდილი აბრია შინ მობრუნდა, უკვე ბინდდებოდა. ლამპა აანთო: მაგიდაზე ლობიოს შეჭამადი და ცხვრის ყაურმა დაეტოვებინა მისთვის განკუთვნილ თეთროს.

ახლა მოაგონდა მთვრალს: როცა იგი ჭიშკარს მოადგა, სიმინდებში მხმარი ფურცლების შარიშური მოესმა და ისეთი უეცარი გაშლიგინება, რომელიც ქვერში ადამიანის გაქცევას მოჰყვება ხოლმე.

აბრიასთვის ცხადი იყო: თეთრომ მისი ძახილი რა გაიგონა, სიმინდებში შეძვრა, რადგან „პირშავად“ იყო პაპის წინაშე თეთრო, არ უსმენია აბრიას შეგონებას და დიდებაზე წასულ მაოს არ გაჰყვა თან.

ანწლის არაყი ჩამოიღო აბრიამ კედლის განჯინიდან.

მადიანად შეექცეოდა არაყსა და კერძს, თანაც აბოყინებდა. ლანძღავდა თეთროს, ლალბაწას, თავის სიძეებსა და რძლებს, რომელთაც კომკავშირელი შვილები და შვილიშვილები გაზარდეს. აბრიას სიბერის საბოლოოდ გასამწარებლად.

როცა ხელადაში არაყი აღარ დარჩა, ტახტზე მიეგდო მეცხვარულად და თავისი წილამურებიანი ფაფახი ამოიდო თავქვეშ.

*

ცას შებჯენილ მყინვარებს არწივები თავზე დაფოფინებენ. სპეროზიას მთების გავაკებაზე ფარეხი აქვს აბრია უჯირაულს, ცხვრის ფარის სარქალს.

აბრია სდგას ფარეხის კართან, კომბალს ურაკუნებს ზურგზე ბაკიდან გამომავალ ცხვრებს და ითვლის...

ხუთი ათასი თეთრი თუშური ცხვარი დაითვალა სარქალმა, ხუთი ათასი საკუთარი ცხვარი, სიზმარი აღმოჩნდა ყველაფერი, რაც აქამდის მოხდა ამქვეყნად.

აბრია კვლავ მესაკუთრეა, ხუთი ათასი ცხვრის პატრონი. მაგრამ დახეთ უბედურებას, მზემ გადმოლახა ყინვის ჩაჩქანით წვეტდამშვენებული მყინვარები, გაუძლისი ხვატი დადგა და აბრიას ცხვრები ერთბაშად ნახშირისებრ გაშავდნენ.

კომბლიანი სარქალი თავის ცხვარში გაერია და მთელი ფარა შეძრწუნებული აბუბუნდა.

დასიცხული ცხვარი შებღავის პატრონს. პირუტყვმა ენა აიდგა. წყალს ეეედრებიან აბრიას. საწყალობლად აბჩენენ პირს და ქივიან გაშავებული ცხვრები...

უცნაურ რამეს ჰხედავს აბრია:

ქვაკაცას წმ. გიორგის ხატი მოუტანია დეკანოზს და სპეროზიას კლდესთან დაუსვენებია ჯიხვისა და ირმის რქებით მორთულ კვარცხლბეკზე.

დროშა დააყრიალა დეკანოზმა, დაილოცა:

„დიდება ღმერთსა, ღმერთო, გაუმარჯვე დღესა დღევანდელსა, ცხვარს ცხვრის კრავს მიუმატებდითაო, ცხვარს ცხვრისფერს მისცემდითაო, ფურს ფურის ხბოს მიუმატებდითაო, წულს წულის ტოლს მიუმატებდითაო“.

მერმე გამოიყვანა ერთი შავი ცხვარი აბრიამ ფარიდან, შუბლი შეუტრუსა და აძგერა ხანჯალი. გათეთრდა შავი ცხვარი და გადა-

თეთრდა აბრიას ფარაც, მაგრამ მაინც ქივიან ცხვრები და წვიმაც არა სჩანს; „აწყენინეს ქვაკაცას“, ფიქრობს აბრია და იტანჯება ცხვრის ქივილისაგან შეწუხებული...

ბროლას ყეფა შემოესმა აბრიას, გამოეღვიძა ერთ-ერთ ეკლესიარულს. წამოდგა და უკანა ეზოში გავიდა.

ბროლა განაგრძობდა ყეფას. სმენა დაძაბა აბრიამ. თალარის ქვეშ თეთრმა ლანდმა გაიელვა; დააცქერდა: თეთრიანის გვერდით შავოსანიც შენიშნა.

ფეხაკრეფით შეიპარა სიმინდებში და უსწორა ვაზებით დაბურდულ თალარს. ჩრდილიდან ხეიანში ორთა ჩურჩული ისმოდა გარკვევით.

ქვები ეძია აბრიამ, მაგრამ ვეღარსად იპოვნა. იფნის წკეპლა ხელში მოხვდა, ბატების საწურთვნელად წეღან გამოყენებული.

აბრიამ ოსტატურად იფარა ლობიოთი დაბურდული სიმინდები, ახლოს მიუჩოჩდა ვაზების თალარს.

ლალბაწას ხმა მოესმა გარკვევით:

„იცოდე, მე არაფერი გამაჩნია, თეთრო, არაფერი, ამ მარჯვენის გარდა. ერთადერთი ღორი მყავდა, ისიც ვიღაცას მოუკლავს და შველას ეზოში გადაუგდია“.

ახლა თეთროს ხმა გაიგონა აბრიამ:

„მე არაფერი არ მინდა, შენი სიყვარულის გარდა, კარგო. სიყრმიდანვე მიყვარდი, პაპაჩემს აჩემებული ჰქონდა: კოხივს არ მივცემო ქალს. ამიტომაც გამათხოვა ძალით.

შენი გულისთვის გავექეცი ქმარს. ნუ გეშინია, მეც ამოგიდგები მხარში, ვიშრომოთ და ვიცხოვროთ, კარგო, ჩვენში ჯერ არც ერთი მშრომელი არ მომკვდარა მშიერი“.

ახლა ლალბაწამ სთქვა:

„მთელი ჩემი ახალგაზრდობა ლოთობაში გავატარე. შენ მაკლდი, თეთრო, და ამიტომაც ღვინოში ვახრჩობდი გულის დარდს. შენმა დარდმა უდროოდ გამიჩინა ჭაღარა. ახლა მიყურე, როგორ გამოვიღო ხელი“.

ესა თქვეს, შავი ლანდი და თეთრი ლანდი გადაეხვივნენ ურთიერთს და მანამდის კოცნეს ერთიმეორე, სანამ ბობღია დევკაცი არ დატრიალდა თალარის ქვეშ.

ზეწამოიჭრა ლალბაწა და ეცა ამ მაჯლაჯუნას. მოხუცმა კიდევ მოასწრო ერთი ორჯერ ეთავაზებინა მისთვის იფნის წკეპლა. როცა აბრია იცნო ლალბაწამ, წნელი გადაუმტვრია და ორივენი სიმინდებში შეევარდნენ...

*

სპეროზიას მთაზე შავი ცხვრების სიხმარში ნახვამ დააღონა აბრია.

სასიხარულოს არც სიცხადეში ჰხედავდა იგი. მას ბრიგადირობა ჩამოართვეს. ეგეც არ აკმარეს: ხელიდან გამოაცალეს ანი სული ცხვარი თავთავიანთი ნამატით, ხოლო იმ ხუთას სულიან ნოტოს გამო, რომელიც ყვარლის ერთ-ერთ კოლმეურნეობაში გამოსჩხრიკა ხიდაშელმა, გამოძიება წარმოებდა.

პროკურორი იკვლევდა, თუ რაგვარ პირობებში, ან რა მიზეზით მოსწყდა ეგზომ მრავალრიცხოვანი ნოტო ბერმუხის კოლმეურნეობის ფარას.

აბრიას ბედად ყვარლის კოლმეურნეობის ბრიგადირი ვარდოსანიძე მძიმედ ავადმყოფი აღმოჩნდა და მისი დაკითხვა ვერ მოხერხდა, მაგრამ ვინ იცის, რას მოიტანდა ხვალინდელი დღე?..

უცნაური ის იყო, რომ ეს ხუთასი სული ცხვრის შემომატება აღნუსხულიც არ ჰქონდა ხსენებულ ბრიგადირს.

ახლა ამას ნატრობდა აბრია: ვარდოსანიძეს უწევდესო სიკვდილი.

ასე მოულოდნელად გამოაცალეს აბრიას „ყოველივე სიკეთე" ხელიდან; ამ საქმის გამო ისეთივე სიმძიმილი განიცადა, როგორც იმ თვეს, როცა ხუთი ათასი სული ცხვარი ჩამოართვეს.

მისი ერთადერთი იმედი იყო საკარმიდამოში დარჩენილი სიმინდის ყანა და პატარა ვენახი: თუ ერთი კვირა გაგრძელდებოდა გვალვა, ორივენი განსაცდელში აღმოჩნდებოდნენ.

*

ბუნება უცნაურად გაჭირვეულდა. ცა თვალთმაქცურად მოიღუშებოდა დილიდანვე, ღრუბლების ბლონდით შენილბული მზე საეჭვოდ აფახულებდა თავის გრძელ წამწამებს.

ძაბუნი თქორი გადაურბენდა მიწას თუ არა, შავსოფლელი მოხუცები პირჯვრის წერას მოჰყვებოდნენ. მკერდზე მუშტს იცემდნენ, ევედრებოდნენ ქვაკაცას წმ. გიორგის ადამიანებისაკენ მოებრუნებინა გული.

ბოლოს გააპობდა მღვრიე ღრუბლების მორევს ზეციური მნათობის თვალი და გულდაწყვეტილი ხალხი იტყოდა: მზე პირს იბანსო.

შაბათ საღამოს მორეკა ქარმა შავლეგო ღრუბლები. ჯერ განრისხებული დგანდგარით წამოვიდნენ დაგრაგნილი ურჩხულები ცა-

ზე, როგორც მტვრიან აქლემებზე აღმხედრებული შავრსნების ლაშქარი, მაგრამ, ყვარლის მთებს რა გაუსწორდნენ, ზენაქარი წინ გადაუდგა მათ, ისე დაფლითა და დაფხრიწა ისინი, ცაზე ბოფანტული დურაჯების გუნდები ეგონებოდა მაცქერალს.

ისევ ატყდა ამ ღრუბლებს გადაღმა ნათლის ლიცლიცი, მზე პირის ბანას შეუდგა კვლავ, ისევ წამოწვიმა ოდნავ, მაგრამ ძალი მოიცა ქვენა ქარმა: კავკასიონის კალთებზე ჩამოწვა ჯანღი და ელვის ლეკურები ათამაშდნენ შორს, ძლიერ შორს ლეკის მთის მიჯნებზე, ბნელში.

ერთბაშად საეჭვოდ გაილურსა ბუნება, დაიგრგვინა, დაიგრუხუნა, დაიჭექა. პირჯვრის წერას მოუხშირა აბრია-ავსიტყვამ.

არა მარტო მისი, ბერმუხელი ყველა მოხუცის ერთადერთი იმედი იყო ქვაკაცას წმ. გიორგის ცხენის ფლოქვების თქარუნი.

მეორე დღეს ათენგენობა იყო და მოხუცები შეუძლებლად თვლიდნენ, ჭექა-ქუხილს ნაყოფიერი წვიმები თან არ მოყოლოდა.

იმ საღამოს მიბრუნდნენ ბერმუხაში აბრიას, ლუოს, აგრეთვე ფოცხვერი და უთი უჯირაულის ცოლები და შვიდი შავოსანი ქვრივი. მთელი კვირა დაწოწიალებდნენ ისინი სოფელ-სოფელ, ჭიშკრებთან ატუზულნი ღნაოდნენ დიდებას, საწყალობლად მღეროდნენ:

ღმერთო, მოგვეც ტალახი,
ალარ გვინდა გორახი.

„სიფრთხილეს თავი არ ასტკივდება,— ეუბნება მუდამ გაუფრთხილებელი აბრია-ავსიტყვა უჯირაულთა გვარის უხუცესებს: ლუოს, ფოცხვერსა და უთის:— დიაცები ავიყოლიოთ და გვიან ავიდეთ სამებაზე. ამ დროს მანდ არც ალმასკომის თავმჯდომარე იქნება, არც რაიკომის მდივანი, ხოლო ბრიგადები და მუშები ბინდისას უკვე ძირს იქნებიან ჩამოსულნი“.

*

საწვიმრად შუბლშეკრულმა ცამ დასავლეთისაკენ აალაპლაპა თავისი მოოქროვილი კალთა და როცა მგლისფერი ღრუბლებიდან გამოპარულმა მთვარემ კავკასიონის ქედებს გადაათოვა ნათელი, ეს ვაგლახად მცირერიცხოვანი პროცესია მაზვეწარი ხატიონებისა აჰყვა მამუკას ციხისაკენ მიმავალ ბილიკებს.

ასეთი გეზი აიღეს მათ, რადგან გველეთს მიმავალ ერთადერთ საურმე გზაზე ჯერ კიდევ ჩამოდიოდნენ ხალხით დატვირთული მანქანები.

როგორც უხუცესი უჯირაულთა გვარისა, მოხუცებს წინ მიუძღოდა აბრია-ავსიტყვა. იგი წარამარა შესდგებოდა ხოლმე რომელიმე კორტოხზე, გადახედავდა ამ მანქანებს და გულხატკენი ფიქრობდა თავისთვის:

„ნაცვლად იმისა, რომ ეს აურაცხელი ხალხი დარჩენილიყო ღვთაებისათვის ღამის სათევად, დეკანოზების დამწყალობებლად მოესმინათ, სამღვთო დაეკლათ ქვაკაცას წმიდა გიორგისათვის, ვიღაცამ ჩასხა მანქანებში და ბერმუხისაკენ გააქანა“.

იგონებდა აბრია იმ „ბედნიერ დროს“, როცა სწორედ ამავე გზაზე მოჭრიალებდნენ ღვინით, პურ-მარილით, საკლავით დატვირთული ურმები; როცა ცხენზე და ჯორებზე ამხედრებული თუშები, ხევსურები და ფშაველები მიდიოდნენ სამების კარზე სალოცავად, ისმოდა დეკანოზების ხელში აღმართული დროშების ჟღარუნი, ცხენების ჭიხვინი და ხატიონების გნიასი.

მერმე ეს ხალხი მოედებოდა ზედ სამების კარზე მდგარ მუხნარს, ერთ წუთში ყოველ ხეზე მიაკრავდნენ ანთებულ კელაპტრებს. დეკანოზები დაამწყალობებდნენ ხატიონებს; ლოცავდნენ „დასაკოჭად“ მოყვანილ სულით ავადმყოფებს, ბრმებს, მუნჯებსა და ყრუებს...

იმ საღამოს აბრიამ და მ-სმა ძმებმა კიდევ ერთი თუშური რიტუალი შეასრულეს წვიმის მოსაყვანად. გველი და ბაყაყი მოჰკლეს, გუდაში ჩააგდეს და ჩრდილოეთისაკენ გადაისროლეს, თანაც უსურვეს ლეკებს: გვალვას მათი ჯეჯილები და ბაღ-ბოსტნები მოესპო.

ძლევა უძლეველისა

ბერმუხას ჩასვლის უმალვე არასანუგეშო ამბები დაახვედრეს ციხისთავსა და კორინთელს თედომ და გოდერძიმ. განსაკუთრებით სასოწარკვეთილი სჩანდა გოდერძი:

„მიკროუბანს, როგორც იქნა, ვუშველეთ, მაგრამ ცხრამუხის ვაზნარებს ვინ შეაჯერებს წყლით?“

გოდერძის მუდამ ხიბლავდა ციხისთავის სიმტკიცე და შეუპოვრება. მას არაერთხელ ჰქონდა დაცდილი, რომ უდიდესი შეჭირვებისა და განსაცდელის ჟამს იგი არასოდეს მიეცემოდა უიმედობას.

ამჯერად იქვე შეეპარა გოდერძის: ციხისთავი რამდენიმე ათას ვაზს ამ განსაცდელისაგან როგორღა გადაარჩენსო.

კორინთელიც შეშფოთდა, როცა გზაგავლითაც შენიშნა, რომ

დიდ ზვარს იერი წახდომოდა. განსაკუთრებით შტამზე ამოსული ქვედაფოთლები იძლეოდნენ საგანგაშო სიგნალს.

ეს ხომ არ იყო მრავალწლიანი ვენახი, რომელსაც ღრმად გადგმული აქვს ნიადაგში ფესვთა სისტემა, არამედ [illegible] ლინთქოშო მორჩი, ნიადაგის სიმშრალის მიმართ [illegible].

ცხრამუხის ზეგანზე ახალშენის ვაზნარების დაღუპვა წარუშლელ ლაქად დააჩნდებოდა პროფესორ კორინთელის პრესტიჟს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი კორინთელის უნარსა და გამოცდილებას დაემყარა, ამიტომაც დააშვებინა ფონდები.

თავისთავად იგულისხმებოდა, რომ კორინთელი, როგორც განსწავლული აგრონომი და ნიადაგთმცოდნე, სათანადოდ შეისწავლიდა ამ საკითხს, წინასწარ გამოიძიებდა ყოველივე ხელშემშლელ პირობებს, რაც კი რამ წინ გადაუდგებოდა ამ საშვილიშვილო საქმეს და, შემდგომ ამისა, მისცემდა თავის მხრივ დასკვნას.

თუ ეს დიდი წამოწყება მარცხით დასრულდებოდა, არც კორინთელსა და არც ციხისთავს საბუთად არ გამოადგებოდათ იმის მტკიცება, რომ სოფლელექტროს მთავარმა ინჟინერმა ხელი შეგვიშალაო.

ცხადზე უცხადესი იყო, რომ მას შემდეგ, რაც ტრაქტორებმა, ბულდოზერებმა და ექსკავატორებმა ამოძირკვეს და მოსპეს ველური ვეგეტაციის ნამუსრევი ცხრამუხის მთელს ზეგანზე, ტენიანობამ საგრძნობლად იკლო და უკანასკნელ დღეებში მთლად გაჰქრა, რადგან მიწის ზედა შრეები გამოაშვრეს ცალკე მზემ, ცალკე აღმოსავლეთის მცხუნვარე ქარებმა.

ცნობილია: ყოველ ახალ საქმეს შემფერხებელნი გამოუჩნდებიან ხოლმე. ამ შემთხვევაში საქართველოს მიწსახკომის ხელმძღვანელ წრეებში საკმაოდ ძლიერი ოპოზიცია ჰყავდა ცხრამუხაზე ვაზნარის გაშენების საკითხს.

ამ პოზიციას ხელმძღვანელობდა განყოფილების გამგე აგრონომი ბილანიშვილი. ამ უკანასკნელს უაზრობად მიაჩნდა ეს საქმე. ცხადია, აბრია და ლუო უჯრაულების დარად იგი ღრაჭასა და სხვა მავნებლებს როდი ასახელებდა, არამედ მოულოდნელ გვალვიანობას.

ბილანიშვილი ამტკიცებდა: ცხრამუხის ზეგანი ისეთი ხირხატიანია და ირგვლივ მდებარე მიწის მასივიდან მოწყვეტილი, რომ მოურწყავად ვაზს ვერასოდეს გაახარებთო.

გაჩეხავთ თუ არა ღიჭიანებსა და კატაბარდით დაბურდულ რცხილებს, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქარები შეუტევენ მოტიტვლებულ ზეგანს და ნიადაგს ქვედა შრეებს გამოუშრობენო.

როგორც კორინთელი, ისე ციხისთავი თავის დროზე ანგარიშს უწევდნენ ამ საფრთხეს, მაგრამ უმთავრეს იმედს ჰესის აგებაზე ამყარებდნენ.

ახლა, როცა ცეროდენას მეოხებით ძვირფასი სამი თვე დაკარგეს, განსაცდელი უკვე კარზე იყო მომდგარი.

ამ განსაცდელმა უფრო მჭიდროდ დააკავშირა მეცნიერი და რაიკომის მდივანი.

ამან ყოველივემ ისე შესძრა ვახტანგ კორინთელი, მას უკვე საკუთარი გადაავიწყდა პირადი ცხოვრების საკითხები. ამჯერად ცეკას კომისია საფუძვლიანად აპირებდა ამ საქმის შესწავლას.

გოდერძი და შვიდი ბრიგადირი მამუკასეულ ციხესთან დაუხვდნენ რაიკომის მდივანსა და სტუმრებს.

მისვლის უმალვე ატყდა ცილობა სამარქაფო არხის გამო. ცეროდენა თავისას არ იშლიდა, ასეთი პატარა ჰესისთვის სამარქაფო არხის გაკეთება სახსრების უქმად განიავებას უდრის, ჩვენ კი ნაბრძანები გვაქვს, სახელმწიფო რესურსებს გავუფრთხილდეთო.

კორინთელი და ციხისთავი დათმობას არ აპირებდნენ, ისინი მოულოდნელ წვიმიანობას და ავარიის შემთხვევებს უწევდნენ ანგარიშს. ორივენი მოითხოვდნენ სიმკვრივის სარეზერვო მაჩვენებელი ათზე ნაკლები არ ყოფილიყო. ცეროდენა ცემენტის სიმცირეს უჩივოდა მხოლოდ.

დიდხანს უსმინა ინსტრუქტორმა ახალკაცმა ამ დავას, თვალი მოავლო გორმახებით შემოზღუდულ ზეგანს, რომელიც თავისთავად უზარმაზარ ტაფობს წარმოადგენდა, სოფელ ბერმუხისაკენ დაქანებულს.

კორინთელმა თვალნათლივ დაუსაბუთა მას, რომ ირგვლივ მოჯარული გორმახებიდან დაძრული ნალექები დიდი წვიმიანობის დროს ტაფობის ცენტრში დაგროვდება და უშველებელი ძალით მიაწვება კაშხალს, ასე რომ მარტოოდენ საწნეო არხი ვეღარ აიტანს ამ ოდენობის წყლის გატარებას და, თუ სამარქაფო არხი არ მიეშველება ასეთ დროს საწნეო არხს, არა მარტო ცხრამუხის ვაზნარებს, სოფელ ბერმუხასაც წალეკავსო წყალი.

ახლა უკუქცევას დაადგა ცეროდენა.

„მე სახელმწიფო ჯიბეს ვუფრთხილდები, ამხანაგებო, თორემ რა მენაღვლება, როგორც თქვენ მიბრძანებთ, ისე გავაკეთებ.

მე არ მიმაჩნდა საჭიროდ ამოდენა ცემენტის უსაზღვროდ ხარჯვა. იყოს ნება თქვენი, ჰა თქვენი ხმალი და ჩემი კისერი“, წუწუნებდა იგი.

*

სახელდახელოდ თათბირი რა მოათავეს, ციხისთავი სტუმრებს წინ წაუძღვა, თან უამბობდა მათ თავის გეგმებს ამ მშვენიერი არემარის სამერმისო პერსპექტივების გამო.

ჩქამი არ ისმოდა მკვდარი ციხექალაქის შემოგარენში. ადამიანთევი ჭოტები ისხდნენ ნაციხარების, ნასაყდრალებისა და ნასახლარების ნამუსრევებზე.

თავჩამონგრეულ გოდოლებსა და სამრეკლოებზე ლეღვის ხეები ამოსულიყო. სუროსა და ავრეხს დაებარდა აქაურობა. მაყვლიანებიდან ზანტად გამოდიოდნენ სიცხისაგან დაოსებული გველები.

მოჩუქურთმებული თავკიდურები უწესრიგოდ ეყარნენ წარწერაგადაშლილ ლოდების ყორეებზე.

ნაციხარებსა და ნასაყდრალებს ზედვე ეტყობოდათ, რა მკაცრად უჯირითნიათ სიკვდილსა და წარმავლობას ამ გავერანებულ ნაქალაქარში.

არც ღვთისმგმობელი ერისთავისეული სასახლე იყო უკეთეს დღეში — მთავარ დარბაზში უზარმაზარი მუხები და თელები ამოსულიყვნენ. კორინთელმა დიდხანს უთვალთვალა მათ და დაასკვნა: თითოეული მათგანი ათასი წლის მაინც იქნებაო.

მთავარი დარბაზის ბუხრებს საწყალობლად დაებჩინათ ქაოსის ნაპრალივით ჩაშავებული ხახა.

გოლიათური ქვის საწნეხლები, ქვევრები, ხელწისქვილები, ზეთის სახდელი მოწყობილობანი, დალეწილი რკინის კარები და ფანჯრების კიდეებზე დაყოლებული ორნამენტების ნამსხვრევები ეყარა ირგვლივ.

„ამ მახინაში მონებს შეაბამდნენ ხოლმე, ატრიალებდნენ და ამგვარად ხდიდნენ ზეთს“, განუმარტა ახალკაცს ცეროდენამ. ბოლოს თავათ იკისრა მეგზურობა და ისე ომახიანად წინ წარუძღვა სტუმრებს, თითქოს თავათ ყოფილიყო მამუკა ერისთავის განმგეთუხუცესი.

„ეს გახლავთ მთავარი დარბაზი. ეს დამსხვრეული თავკიდურები ამკობდნენ ალბათ ამ დალეწილ კოლონებს; ეგერ საძილო ოთახები, ეს თაღოვანი ვერანდა უნდა ყოფილიყო, უეჭველია. ამ აივნიდან, როგორც ჰხედავთ, ალაზნის ველი ხელისგულსავით მოჩანს.

ეგეც კარის ეკლესია გახლავთ. ფიქალის სახურავი სვანურ ქუდსავით ჩამოუფხატავს გუმბათს.

ჩემი ვარაუდით, ეს ნაგებობა მეათე საუკუნეზე ადრინდელი იქნება. მე არქიტექტურაშიაც მესმის ცოტა რამ.

აქ ასვენია ის უძლეველი ქვაკაცას ხატი, რომელიც ჩვენ დრომ-

დის თავზარსა სცემდა ამ არემარეს (სიტყვა „უძლეველი“ ირონიული ტონით წარმოთქვა ცეროდენამ). ჯერ კიდევ ჩემს სიყმაწვილეში ხატობის დღეს აქ მოდიოდნენ არა მარტო ხევსურები და წოვათუშები, არამედ ლეკები და დიდოელებიცა. შესაწირავი მოჰქონდათ ქვაკაცისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა მოგახსენოთ, ნეკრესის შემდეგ ეს მთელს საქართველოში ერთადერთი ტაძარია, რომელიც მხოლოდ ღორს იღებდა ზვარაკად. ალბათ აქაურ ბერებს უყვარდათ ღორის „ხორცი.ი. ჰი, ჰი...“, იჯღანებოდა ცეროდენა.

„აქ მოდიოდნენ არა მარტო სალოცავად: საქონელი მოჰქონდათ, გასათხოვარი ქალები მოჰყავდათ, ზოგი მთიელი თავის მოსისხარს ეძებდა აქ. არაერთხელ მიწახავს, თუ როგორ დასხმიან თავს, რა თქმა უნდა, ამ ეკლესიის გალავანს გარეთ, მოსისხარები ერთმანეთს ხმლით; ხშირად ამ ბრძოლაში მთელი გვარი, ბოლოს მთელი ტომი ჩაერეოდა, და უსაშველო სისხლის ღვრა იწყებოდა“.

ამ საუბრით გართულნი უკვე მიადგნენ სამების ეკლესიის ღია კარებს. რკინის კარები ეანგს გამოეხრა. ჩამორეცხილ ფრესკებზე გამოსახული ერისთავები, ეპისკოპოსები და წმიდანები სამოსშემოფხრეწილ მათხოვრებს დამსგავსებოდნენ.

„ეს არის ის ღვთისმგმობელი ერისთავი მამუკა, ხოლო მოპირდაპირე კედელზე მისი მაწყევარი ქორიკოზი. განსაზღვრულ ეპოქაში სასტიკად ებრძოდა ეს ორი წოდება ურთიერთს, ქვაკაცა ხან ერთს შველოდა, ხან მეორეს“, სთქვა ცეროდენამ.

კორინთელი დააკვირდა აბჯარში ჩამჯდარ გრძელულვაშიან მამუკა ერისთავს, რომელსაც მარჯვენა ხელი ხმალზე ჰქონდა დაყრდნობილი, მარცხენაში ურმის ფერსოსოდენა ფარი ეჭირა.

ხმლის ვადამდის უწევდა მგლისფერი წვერი, ხოლო წვეტგადადრეკილ მუზარადიდან თაფლისფერი კულულები სამხრე აბჯარზე გადმოღვროდა.

მოპირდაპირე კედელზე გამოსახული იყო კუპრივით შავწვეროსანი ქორიკოზი. მას კვერცხისგულისფერი სახე ჰქონდა, მხრები და ხელ-ფეხი ისე უმარჯვოდ და პრიმიტიულად გამოხატული, ბალღების სათამაშო გოჯილას უფრო მიაგავდა იგი, ვიდრე ადამიანს.

ფისივით შავი წვერი სცემდა ომფორის ქვეშ გამოჩენილ რკინის პერანგზე, რომელიც ორაგულის ქერეჯს უფრო მიაგავდა, ვიდრე თორს.

ეს შავად გარუჯული, ყვითელი და ჯუჯა ეპისკოპოზი მრისხანე თვალებს უბრიალებდა მოპირდაპირე კედელზე გამოხატულ ახოვან ფეოდალს.

ციხისთავი და სტუმრები როგორც კი სოფელში მიბრუნდნენ, სახელდახელო მიტინგი გაიმართა ბერმუხის ქვეშ, რადგან ველარც სანერგე ფარდულმა დაიტია კოლმეურნენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობებისა და სოფლსაბჭოების თავმჯდომარეები, ბრიგადირები და მერგოლურები სცვლიდნენ ტრიბუნაზე ურთიერთს.

ისინი ლაპარაკობდნენ მოკლედ და საქმიანად, ასევე მოკლედ და სადად დაასკვნა თავისი სათქმელი სიტყვაძვირმა ციხისთავმა:

„ამხანაგებო, ჩვენი უძლეველი პარტია წინ მიგვიძღვის, ამიტომ ვერც თქვენი უქმური მტრები დაგვაკლებენ რაიმეს, ვერც ბუნების უგუნური სტიქიონები“.

შემდგომ ამისა დაიწყო დიდი ლაშქრობა უძლეველის დასაძლეველად.

მანქანებში ზეზე მდგარ მერგოლურებსა და ბრიგადირებს ხელში ეჭირათ პოლიტბიუროს წევრების სურათები.

ამ კოლონას უკან მოჰყვებოდნენ მექანიზმები: მძიმე ტრაქტორები, ბულდოზერები, გრეიდერები, რიპპერები და ბარე სამი ბეტონისამრევი მანქანა.

დანარჩენ მანქანებზე წერაქვებით, ბარებით, ცულებით შეიარაღებული ახალგაზრდები ისხდნენ, ისინი სიმღერით მიჰყვებოდნენ გველეთის ზეგანისკენ მიმავალ ალმართებს.

ყველაზე უკან მიჩაქჩაქებდა ერთი საკმაოდ დანჯღრეული სამტონიანი მანქანა, ფქვილის ტომრებით, საკლავით, ღვინის კასრებით დატვირთული.

ურთიერთზე ზედახორად დაყორებულ ფქვილის ტომრებზე ყველიერის ‘ყეენივით შესკუპულიყო მეწისქვილე ნიორთავა. მისი „მცველი ანგელოსები“, კანკრე, ლალბაწა და გაგრია ფერხთით მოსხდომოდნენ ტომრებს.

„სამების ხატისთვის შესაწირავი მიგვაქვს, ბიჭებო, ისემც გაგიწყრეთ მისი მადლი, ჰი, ჰი...“, იჯღანებოდა ნიორთავა და თანაც მოხარშულ სიმინდს ღიჯნიდა.

„შენ, ჰეი, მოცოროზო, ავად ნუ ახსენებ ქვაკაცას, თორემ კომუნისტებზე გაავებულმა თუ შეგიბერა ერთი, მამუკა ერისთავზე უარეს დღეს დაგაყრის“, შესძახა ლალბაწამ.

„შე ბორნის ორთაყვირივით წაგრძელებულო, შენ ვინა გკითხა?! ერთბაშად ციხე-ქალაქი არ დამიქციოს, ან ჩემი ორი წყვილი ცოლშვილი არ ამომიწყვიტოს! რას მიზამს, ჰა?“

„რას გიზამს და ჭკუას აგირევს, ჯიგარო, გაგაგიჟებს და ეგ იქნება“, უთხრა კანკრემ.

„ერთადერთს შენ ვერას დაგაკლებს ქვაკაცა, კანკრე“.
სთქვა ნიორთავამ.

„რათაო?“ ჰკითხეს ბიჭებმა.

„ქვაკაცა ყოვლისშემძლეა, მაგრამ ვერც იგი გაგაგებინებს“ გაიღრიჯა ნიორთავა და სიმინდის ღიჯნა რომ მოათავა, ბალიჩვლის უთაქა თავში კანკრეს.

„რას ჩადიხარ, ეშმაკის ცურცლო?“ უყვირა კანკრემ.

„ეშმაკის ცურცლიცა ხარ და მაჩუჩის ტაბაკიცა“.

ახალი ტარო აიღო ნიორთავამ და ახლა მას მიადგა, მერმე თავში ჩაუტახუნა კანკრეს და სერიოზული გამომეტყველებით უთხრა:

„არა, კანკრე, ახლა აღარ გეხუმრები, იცოდე: შენ არც უნდა წამოსულიყავი დღეს, რაიკომის მდივანი იქ იქნება და ცეკას წარმომადგენელი... შენებურად დღესაც მოგეგონებინა კბილის ტკივილი, ან მუცლისგვრემა...“

„რაო, მე კი არა, შენ რას მოეთრეოდი, შე კაცის მატყუარავ! მე თუ წამოვსულვარ, ჯიგრიანად ვიმუშავებ კიდევაც, შენ რისი მაქნისი ხარ, მეშინია არ დანავსო იქაურობა“.

„ისევეც გაგიხმეს ეგ გამოლაყებული გოგრა. სამი წელია, რაც კოლმეურნეობაში გდიხარ, თევზაობისა და საბამთროების პარვის მეტს არაფერს აკეთებ დღისით, ხოლო ღამღამობით საქათმეებში უვარდები ქვრივ დედაკაცებს“.

„ქათმებთან შენ უნახავხართ, შე ბოთლის ლანდო. ყოველი მამალი შენზე უფრო მაღალია და აბა რომელი ქალი... ჰე, ჰე, ჰე...“

ეს დიალოგი კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, მაგრამ მანქანა უკვე მამუკას ციხის მისადგომებთან შესდგა.

კანკრე მანქანაზე ავიდა და ტომრების გადმოტვირთვა დაიწყო, ერთბაშად გაშალა თავისი გრძელი მკლავები, ტომარაზე წააწვინა ნიორთავა, ორივე მხარზე გაიდო და ძირს ჩამოათრია.

ნიორთავა არ დაიბნა. ფქვილში ამოთხვრილმა ჩამოჩაჩული შარვალი გაისწორა და მშვიდად სთქვა:

„შენ გაიხარე, ჩემო კანკრე, რა ხანია, ვირზე არა ვმჯდარვარ“.

*

საესებით მოულოდნელად გამოცოცხლდა მამუკასეული ციხე-ქალაქი. არასოდეს, გარდა ხატობის დღეებისა, ამდენი ხალხი არავის უნახავს მის შემოგარენში.

საუკუნეების მანძილზე მდუმარება და მწუხარება სუფევდა აქ, ერთბაშად იფეთქა სიცოცხლემ და სტუმრად ეწვია მკვდარ ქალაქს, რათა კელავ ხალისი დაებრუნებინათ ამ არემარისათვის.

დაკვრითი წესით შეუდგნენ ბულდოზერები და გრეიდერები ბოოცვებისა და გორმახების გასწორებას. ექსკავატორი წაიგრძელებდა ყანჩასებრ კისერს, ჩაკორტნიდა მიწას ფოლადის ლოჯებით, ყბებს გაავსებდა ლორდითა და მიწით და გადაყრიდა ერთ-ველივე ამას.

უშველებელი რიპპერი მიდგომოდა სწორედ იმ ადგილს, სადაც ჰიდროელსადგურის შენობა უნდა აეგოთ.

ბუდრუგანა ტრაქტორები დაათრევდნენ მილებს, ტურბინის, აგრეგატის მოწყობილობას, დაჭროდნენ თვითდამცველი მანქანები, ეზიდებოდნენ ქვიშას, რკინას, ხრეშსა და ცემენტს.

ხუთი ძმა დემეტრაშვილი, ალაზანს გადაღმა ცნობილი დურგლები, ბეტონის ჩასასხმელ ფორმებს აკეთებდნენ, კახეთში სახელგანთქმული კალატოზები — სამი ძმა ჯოხაძე ხელმძღვანელობდა ჰიდროელსადგურის შენობაზე მომუშავეებს.

ხელაახთ ვანო, ნიკა უჯრაული, კოლა სოკოლოვი ტრაქტორისტების ბრიგადირებად გამოჰყვეს.

აბრია და ლუო უჯრაულის თხუთმეტი შვილიშვილი, თხუთმეტივე კომკავშირელი, თავგამეტებით მუშაობდა.

პროფესორ კორინთელს ნიუველირი, რულეტი და ვატერპასი ეჭირა ხელში, ტრანშეების სისწორეს ამოწმებდა; მას უკვე გადავიწყებოდა ექიმების დარიგება, მზვარეში სიარულსაც რომ უშლიდნენ, ისიც ცხელ დღეებში.

ბრიგადირებს და ძერგოლურებს არა სჭირდებოდათ არც შეხსენება, არც შეძახილი, ყოველი კაცი გულწრფელად მონდომებული იყო, თავისი წვლილი შეეტანა ამ საქმეში.

აქ მოსულიყვნენ შვილთა შვილიშვილის შვილები იმ თუშებისა, რომელნიც შველოდნენ ერეკლე მეფეს დაღესტანში სწორედ იმ წელს, როცა მან დასტოვა ლეკ-ოსმალთა მიერ გარემოცული ყვარლის ციხე, ლეკეთი დალაშქრა და ციხის გარემოცვა მოხსნა ამ გზით: ცისკარიშვილები, თორღვაიძეები, ელანიძეები, ნაბაიძეები, ქაალეები, ხეცოძეები, სხვანი და სხვანი.

მაძაცურად შრომობდნენ ნაშიერები იმ თავდადებული ვაჟკაცებისა, რომელნიც ასპინძასა და კრწანისში იბრძოდნენ ერეკლე მეფის ლაშქარში: ალადაშვილები, მახრაშვილები, ფეიქრიშვილები, კვირიკაშვილები, მახნიაშვილები, მაზაშვილები, ნავროზაშვილები და სიფროშვილები.

ჩვენმა ეპოქამ ახლა შრომის გმირობა მოითხოვა მათგან და არც აქ დაიხიეს უკან.

როგორც ხელწაკარწახებული ცეცხლის ფარეშები ოფლში გალ-

ვარულნი ტრიალებენ ფოლადის დომნებთან, ისე მუშაობდნენ, ამ გაუძლისს სიცხეში კანკრე, ლალბაწა და გაგრია: ბერმუხელები გაოცებული იყვნენ, რა „ბზიკმა უკბინაო“ ამ ზარმაცებს, რომელთაც წლების განმავლობაში ლაზღანდარობის, ბრაკონიერობისა და პაპიროსის წევის მეტი არაფერი გაეკეთებინა მეურნეობების ფართობებზე.

არც თედო თარალაშვილმა იცოდა, რითი აეხსნა ამ ზარმაცების ეგზომ გააქტიურება.

როცა თორმეტ მკლავმაგარ ვაჟკაცს ტურბინი ჩამოჰქონდათ ხუთტონიანი მანქანიდან, თავის საქმეზე მიმავალმა კანკრემ რა შენიშნა, გაუჭირდათო ბიჭებს, მხარი შეუშვირა და სამი კაცის ტვირთს გაუძლო ბარე ოცი წუთის მანძილზე.

სადაც მუშაობა შენელდებოდა, ან გარღვევა და ჩამორჩენა იყო მოსალოდნელი, იქ მიაგდებდა გოდერძი კანკრეს, ლალბაწას და გაგრიას, და ავაზასავით დატრიალდებოდნენ სამივენი.

შეხუმრებით და ანგლობით ამხნევებდნენ ისინი ამხანაგებს, თავათაც გახარებულნი იყვნენ, ბოლოსდაბოლოს რომ მიაგნეს ცნობილ ჭეშმარიტებას: თუ ადამიანი სიყვარულითა და ხალისით მოეკიდა შრომას, იგი უკვე შემოქმედებად იქცევა და მაშინ ჯაფა თავისთავად ჰკარგავს თავის სიმძიმეს.

როცა ტურბინისა და აგრეგატის დადგმას შეუდგნენ, ელექტრომექანიკოს გოდაბრელიძეს სისხლი წასკდა ცხვირიდან; წყაროზე წაიყვანეს, წყალი ასხეს კეფაზე, მაგრამ ვერ შეუჩერეს სისხლის დენა.

ექიმი მოჰგვარეს, ვერავითარმა პროფილაქტიკურმა საშუალებამ ვერ უშველა წინა დღეებში დასიცხულს.

საქმე ბრკოლდებოდა, მისი შემცვლელი არავინ სჩანდა. მთავარ ინჟენერთან მივიდა კანკრე და განუცხადა: ტურბინსა და აგრეგატს მე დავდგამო. ციხისთავმა იჭვნეულად გაიღიმა, ახედ-დახედა კანკრეს და უთხრა:

„შენ რა გესმის, ბიჭო?“

„რაც მესმის, ამას საქმე გვიჩვენებს“, მიუგო კანკრემ.

ციხისთავს ბევრი რამ ჰქონდა განაგონი კანკრეს ანგლობისა და ბედოვლათობის გამო, ჯერ შეყოყმანდა, მერე გამოჰკითხა: ეს საქმე საიდან იცი?

თურმე კანკრეს ელექტრომექანიკოსადაც უმუშავნია ტფილისში კარგა ხანს.

როცა კანკრე მუშაობას შეუდგა, ციხისთავი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს. ყოველივე დეტალის გამო დაობდნენ ცეროდენა და კანკრე; ასეთ შემთხვევაში ჩუმად შეეთათბირებოდნენ ხოლმე

კორინთელს, და აშკარა ხდებოდა, რომ კანკრე ელექტროტექნიკის პრაქტიკაში გაცილებით მეტ მიხვედრილობას იჩენდა.

არანაკლებ გააოცა ბერმუხელები ლალბაწას მუშაობამ: ლალბაწა უცნაურად შეიცვალა, სხვა დროს იგი თვით [illegible] ქვის მოქნევისას იჩენდა გულგრილობას და ისე [illegible] და ამ იარაღებს, წარამარა უტყდებოდა მათი ტარები და ამიტომაც გახუმრების საბაბს აძლევდა ნიორთავას: ლალბაწა ტარების შეკეთებას გაცილებით მეტ დროს ანდომებსო, ვიდრე მუშაობას.

ახლა ლალბაწამ ისეთი ხელმარჯვობა გამოიჩინა, თედო და გოდერძი საკუთარ თვალს არ უჯერებდნენ: მის ხელში ცვილივით მორჩილი გახდა რკინა, იგი მხარში უდგა კანკრეს და ყოველ მის მითითებას გულდასმით ასრულებდა.

•

იძალა გვალვამ, თვით გველეთის ზეგანზე. მამუკას ციხის შემოგარენში გაუძლისი ხვატი დადგა. უხიაგი აღმოსავლური ქარი ჰქროდა, სახეში აყრიდა მშრომელებს ცემენტის, კირის და ქვიშის მტვერს, ქალები და ბავშვები ვერ აუდიოდნენ ოსტატებისა და მუშებისათვის წყლის მიწოდებას.

„წყალი!“ იძახოდნენ თხრილების გამვლებნი, მებეტონენი, ცემენტის მდღვებელნი, მეარმატურენი. ხარაჩოებზე გასული ოსტატები ყვიროდნენ: წყალი!

ამათზე უფრო ხშირად ითხოვდნენ წყალს რკინის მიმდუღებელნი, რომელთაც სახეზე ლითონის ნიღაბი ჰქონდათ აფარებული, ძველი რაინდების ზარადისებური: გრანდიოზული სათვალეებით აღჭურვილნი ელექტროს ცეცხლით აწრთობდნენ და ადუღებდნენ არმატურის ტროსებს, მილებსა და ფოლადის დეტალებს.

მანძილი დიდი იყო საიაეო ნავებობიდან ჰიდროელსადგურის შესხმამდის, ხოლო იქიდან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე გაჭიმული საწნეო და სამარქაფო არხების დასასრულამდის; იღვწოდნენ და იბრძოდნენ კოლმეურნენი და ოსტატები.

გოდერძი და შვიდი ბრიგადირი დაუცხრომლად დაჰქროდნენ ამ უშველებელ ტერიტორიაზე გაჭიმული ობიექტის სხვადასხვა პუნქტს შორის.

ამ საქმის სირთულეს ისიც ზედ ერთვოდა, რომ ამ ფართობის ზედაპირი უსწორო იყო. დახრამული აღმართ-დაღმართი, ალაგ-ალაგ ბაწია გვირაბები უნდა გაეყვანათ პირამიდულ გორმახებს ქვეშ, ხან ბატარა აკვედუკები უნდა გაეკეთებინათ, ხანაც დაცერე-

ბული ბილიკი ჩადიოდა ტაფობში და იქ საჭირო იყო წყლის ინერ-
ციის ოსტატური გამოყენება.

ყველაზე მეტად მისჭირდა ცემენტის, კირის, არმატურისა და
ხრეშის მიწოდება ისეთ უბნებში, სადაც მექანიკური საშუალებანი
უკვე უხმარნი ხდებოდნენ; მკლავმაგარი ბიჭები აიკიდებდნენ ხოლ-
მე არმატურის რკინეულს და თავათ აწვდიდნენ ოსტატებს ამ მა-
სალას.

ამ შემთხვევაში გამოიყენეს ტრადიციული ხერხი ჩვენი ციხე-
ების აშენებისა: ხუთასიოდე კაცი მწკრივში დგებოდა და კონვეი-
ერული წესით აწვდიდა მასალას მანძილის ბოლოში მდგარი...

ასე და ამგვარად, ამ დამუნჯებული მკვდარი ქალაქის შემოგვა-
რენში, სადაც მრავალი საუკუნის მანძილზე არავის სმენია ჩაქუჩის
რაკუნი, ეროს ცემა და ნაჯახის ჩქამი, ერთბაშად გახმიანდა მან-
ქანების ბუბუნი და ქშენა, ტრაქტორების, ბულდოზერების, ცე-
მენტსადღვები მანქანების გუგუნი, ეროებისა და ჩაქუჩების ცემი-
საგან ამტყდარი ხმაური, ის საამური სიმფონია, რომელიც თან ახ-
ლავს ხოლმე საბჭოური ეპოქის მშენებლობის ტრიუმფულ სვლას.

უფრო და უფრო ძლიერდებოდა ხვატი. ჩრდილში უკვე 45 გრა-
დუსს უწია სიცხემ. ოსტატებს უჭირდათ გახურებული მილებისა
და რკინის დეტალებისათვის ხელის შევლება.

ნიავი სადღაც ჩაკვდა, კიდეშეტრუსული ფოთლები ისე გახევე-
ბული ეკიდნენ ყუნწებზე, თითქოს თუნუქისაგან გამოუკვეთი-
ათო.

გველეთის ზეგანის ტბებსა და წყაროებს მოადგნენ უამრავი გვე-
ლები, ნადირითა და ფრინველით გაივსო ბუჩქები, რომელთა შორის
ჩამიჩუმი არ ისმოდა ამ რამდენიმე დღის წინათ.

წყალს ეწაფებოდა ნადირი, ფრინველი და ქვეწარმავალი. უწყ-
ლოდ დასიცხულ, საცოდავად მობუზულ ხეებს შტოები აღეპყროთ,
თითქოს ცას შესთხოვენო სიცოცხლის მომნიჭებელ წვიმებს.

ორშაბათ დილას, როცა ჯერაც მშენებელნი მოსულნი არ იყვ-
ნენ, ველად მიტოვებული ხელსაწყოების დარაჯები უთენია გამო-
ალვიძა ირმის ბღავილმა. ფური ირემი გამომდგარიყო მამუკასეულ
ციხის ძირში და საწყალობლად ბღაოდა...

*

ციხისთავი ამჩნევდა, სიცხე განსაკუთრებით ცუდად მოქმედებ-
და კორინთელის ჯანმრთელობაზე, იგი წარამარა სველ ცხვირ-
სახოცს იდებდა თავზე. ამაოდ ემუდარებოდა ციხისთავი კორინ-

თელს: „ღილის საათებში ამოდით, თვალი გადააკლეთ მუშაობის მსვლელობას და შინ დაისვენეთო.

გაცილებით მეტ ზიანს აყენებდა მის ჯანმრთელობას ოდუმალი შიში ამ ახლადმოშენებული ვაზნარების კატასტროფულად ... გურებისა.

მან კარგად იცოდა, რომ გამწე გვალვის დროს არსებობს დასიცხვის კულმინაციური წერტილი, როცა ერთი დღე-ღამის განმავლობაში შესაძლოა ანაზდად განადგურდეს მთელი ვენახი.

გველეთის ზეგანზე მანქანის ასვლამდის ჯერ თავის საცდელ უბანში მიდიოდა კორინთელი.

გულმოდგინედ აკვირდებოდა, ბლოკნოტში ინიშნავდა — გვალვის ჯანაბარ პირობებში როგორ გამძლეობას იჩენდნენ ცხრამუხის ხრეხატიან ნიადაგზე ქართული ვაზის ნაირ-ნაირი ჯიშები.

•

შაბათ საღამოს გვიანამდის იმუშავეს ბრიგადირებმა, რსტატებმა და კოლმეურნეებმა, რადგან ჰესი სამი დღის შემდეგ ექსპლუატაციაში უნდა შესულიყო.

ციხისთავმა და კორინთელმა თავისუფლად ამოისუნთქეს, ბინდისას ფეხით გაუდგნენ გველეთისკენ მიმავალ გზას.

კავკასიონი გატვრინული იწვა ცარცისფერი ღრუბლების ბუმბულებზე.

ნათლად მოსჩანდნენ მყინვარების კალთებზე შურების ნაღარები, მათ კალთებს მისეოდნენ პაწია, საყვარელი გორმახები და კორდები. წყალს დანატრებული ორბები და ქორები მდორე ეთერში ტორტმანობდნენ, დინჯად არხევდნენ ფრთებს.

გველეთის ზეგანი საამკუთხედსავით შეჭრილიყო ტყით შემოსილ ხეობებში და ამ მკვდარი ნაქალაქარის ირგვლივ დახრამულ უფსკრულებში გადაცვენილი ლოდები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდნენ, თითქოს დევებს უბურთავნიათო მამუკასეული ციხის შემოგარენში.

ხევის წყალი საამოდ ჩხრიალებდა, კაკაბი კრიახებდა სადღაც ძეძვით დაბარდნილი ქარაფების ქვემოდ.

ციხისთავი ბექობზე შესდგა და თვალი მოავლო ნაქალაქარის ზეგანს.

„ეს ვაკე დიდძალ ხალხს დაიტევს, ამხანაგო ვახტანგ. ჰე, იმ წოს ხომ ჰხედავთ: მანდ უნდა ავაგოთ ლენინის მონუმენტი.

ირგვლივ ყვავილნარებს გავაკეთებ, მერმე აშენდება ადმინისტრაციული სახლი, სკოლა, კლუბი და, პირველ რიგში, საავადმყო-

ფო, კოლმეურნეობის კანტორა, მარანი, სანერგე, ფარდულები და მეცხოველეობის ფერმების სათავსოები.

ბერმუხის რელიეფი ისეთი ოლოროჩოლოროა, თანამედროვე კულტურული სოფლის მანდ დაგეგმვა შეუძლებელიცაა.

მე უკვე მოლაპარაკებას ვაწარმოებ დასახლება-[illegible] კომიტეტთან ტფილისში. ათასი მზა სახლი უნდა [illegible] წლედის პირველ კვარტალში. სამასი მოსახლე რაჭიდან უნდა ჩამოვიყვანო, დანარჩენს მთიდან გადმოასახლებენ".

კორინთელი გატვრინული ყურს უგდებდა რაიკომის მდივანს და ბოლოს დასძინა:

„ჩვენთვის გადაუდებელი ამოცანაა ტომობრივი ნიშატების მოსპობა ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს უდიდესმა მეფეებმა კუთხური პარტიკულარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შეალიეს საუკეთესო ძალა. საბჭოთა საქართველოში ხელი უნდა მოვუთავოთ კუთხურ განკერძოებას".

კორინთელი შესდგა. უსახელო გორაკის ფერდობზე ჯახველის ბუჩქებს გადახედა: ლალისფერი ნაყოფი უცნაურად ელავდა ოდნავ შეყვითლებული ფოთლების ფონზე. გველისხვების წითელყვითელი ფოთლები პურპურის ფერებით ავსებდნენ ამ სურათს. ერთბაშად შეიცვალა ზეციური დეკორაცია. ბნოლისფერი სიპარბე დაეტყო ცას.

დიდხანს იარეს ორმა გავერანებულ ნაქალაქარში, სულიერის ჭაჭანებაც არსად ისმოდა.

რომელიღაც საფლავის ქვაზე ჩამოსხდნენ ჩამობნელებულ ფიჭვნარში.

ციხისთავმა თქვა:

„დიდ საქმეებს უნდა მოვაბათ თავი, ამხანაგო ვახტანგ. უწინარეს ყოვლისა, ბერმუხიდან მომავალი საურმე გზა ასფალტირებულ თემშარად უნდა ვაქციოთ, რადგან გზაა ცხოვრების მთავარი არტერია.

გახსოვთ, რა დღე დაგვადგა იმ უბნებში, სადაც მანქანით ვერ მივზიდეთ არმატურა და ცემენტი?"

ციხისთავი ადგა, სამხრეთისაკენ ზეგანს გადახედა:

„თქვენ როგორ გგონიათ, ვახტანგ, ამ ზეგანზე საუკეთესოდ იხარებს ვაზი, არა?"

„ინდიკატორი[1] თითქმის ყველგან ვნახე... გუშინწინ შემოვიარე

---

[1] ინდიკატორს უწოდებენ ძეძეს, რომელიც სწორედ ისეთ ნიადაგზე ჩნდება, როგორიც ვაზისთვისაა განკუთვნილი.

მთელი ეს ზეგანი. ათასამდის ჰექტარს თამამად ავითვისებთ ბაზნარებისათვის.

აქაც გავაშენებ ახალ საცდელ უბანს“.

„რაც შეეხება ბერმუხის მოსახლეობის შენაერთებულ ადგილებას, პირველ ხანებში გაგვიჭირდება მათი აქ ამოყვანა“.

„როგორც მოგეხსენებათ, მე ხელოსნები უკვე ამოვიყვანე გველეთში, ჰესის საქმეებს მოვრჩებით, ჩემი ფინური სახლი უნდა დავდგა ქვევით, პატარა ნიშის გვერდით, გავაკებაზე“, ღიმილით ამბობდა კორინთელი.

ასეთ საუბარში გართულნი იყვნენ რაიკომის მდივანი და პროფესორი, როცა ციხისთავმა თვალი მოჰკრა, თუ როგორ ამოდიოდნენ სამების კარზე შავოსანი დედაკაცები ანთებული სანთლებით ხელში.

მზერა დაძაბა მათმა მჭვრეტელმა: ახლა მოხუცი მეცხვარეები შეიცნო — აბრია, ლუო და ფოცხვერი. სულ ბოლოს ღორის უსიამო ჭყვიტინი გაისმა დამუნჯებულ მუხნარში.

„დღეს ათენგენობაა, როგორც სჩანს, სამღვთო მოყავთ თუშებს“, ღიმილით ეუბნება ციხისთავი კორინთელს.

პირჯვრის წერით მივიდნენ მოხუცები ზედ სამების ეკლესიის კარებთან მდგარი მუხების ძირას. სანთლები ხეებზე მიამაგრეს. უზარმაზარ მუხის ქვეშ მდგარ აბრიას მიჰგვარა უთიმ ღორი, ძირს დაიხარა აბრია, შუბლი შეუტრუსა ანთებული სანთლით.

მცირე ხანს რაღაც ლოცვებს ბუტბუტებდა, წამოაქცია ღორი, მუხლი ზედ დააჭირა, მარცხენა ფეხი განზე გადაუწია, მეორე ხელით სატევარი გაიძრო და აძგერა პირუტყვს. საშინელმა ყვირილმა შესძრა მკვდარი ქალაქის დადუმებული შემოგარენი.

„ეს მოხუცები უკანასკნელი მოჰიკანებია, — ამბობდა ციხისთავი, — გადაეგებიან ესენი და არავინ შესწირავს ქვაკაცას სამღვთოს.“

უთი დაკლულ პირუტყვთან დარჩა, დანარჩენები ეკლესიაში შევიდნენ.

მუხლმოყრილი წარსდგა ქვაკაცას წმიდა გიორგის წინაშე აბრია. უჯირაულის უშველებელი ლანდი და დამუნჯებულ თაღებს ქვეშ გახმიანდა ბებერი მწყემსის ბარბაროსული ბუბუნი:

„დალე, ლამრე, წიბორე ლეტლე ვაი რჯულ საქრისტიანუინ, ვაი და ჩუიშნ, ვაი ბეწჩუნშ წყალობებ, ჰამინ“[1].

---

[1] ღმერთო, მთისა და ბარის ანგელოზო, გეიშველე ჩვენ, საქრისტიანოს, და სხვ.

„ჰამინ“, ბუტბუტებდნენ დაჩოქილი მოხუცები და ეეფერებოდნენ ქვაკაცას, კვლავ წარმოეგზავნა ნაყოფიერი წვიმები ხვატისაგან გადარუჯულ მიწაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*

მეორე დღეს ქვიშისფერმა ღრუბლებმა დაფარეს ცა, უთენია წამოვიდა მსუბუქი თქორი, მაგრამ ამაოდ იწერდნენ მოხუცები პირჯვარს, სავსებით დარწმუნებულნი, „უძლეველმა“ ქვაკაცამ შეიწყნარაო „ცოდვილი მიწა“.

კვლავინდებურად ამობრწყინდა მცხუნვარე ჰელიოსი და განაგრძო ლოპოტის მარმარილოსავით გადათეთრებულ ცაზე თავისი ტრიუმფული სვლა.

ნასადილევს ამოვარდა უხიაგი აღმოსავლური ქარი, ბალახი ხმებოდა სერებზე, ვენახებსა და ბაღჩებში სიყვითლე ებრძოდა მალახიტის ფერებს და წითელ-ყვითელი ტალები ემატებოდა ხვატისაგან დაოსებულ მწვანეს.

ასე რომ განაწყენებული ქვაკაცას წმიდა გიორგი არ აპირებდა „მოწყალების მოღებას“.

მესამე დღეს, ზუსტად დათქმულ ვადაზე, ამუშავდა ბერმუხის პატარა ჰესი. საწნეო არხიდან გადმოღვრილი წყლის ჩქერალი გადმოიჭრა სამოცდაათგრადუსიან დაქანებაზე, მიჰყვა სარწყავ მაგისტრალს და სულ რამდენსამე წუთში ცხრამუხის ზეგანზე გაჩნდა.

სწორედ ბერმუხის ქვეშ უცდიდა წყალს უამრავი ხალხი.

ამ წყლის უეცარი აჩქეფება შეიცნეს ბერმუხელებმა, დიდი და პატარა გაიქცა წყლის შესაგებებლად.

როგორც ურწყულ ველებზე ხახაგამშრალმა ბერძნებმა შავი ზღვის დანახვაზე ასტეხეს ყვირილი „თალატა“, 'თალატა“[1], ისე აღტყინებული ყივოდნენ ბერმუხელი ბავშვები: წყალი, წყალი.

„წყალი“, აწრიალდნენ დედაკაცები, ყველა ცდილობდა პირველი შეგებებოდა მას.

ფეხშიშველა ბალღები კვალდაკვალ მისდევდნენ წყალს, რომელიც მიიჩქაროდა ცხრამუხის ვენახებისაკენ, რათა კვლავ მიენიჭებინა მათთვის სიცოცხლის გამჭრალი ელექსირი.

---

[1] ბერძნულად ზღვა.

ალაზანზე ჩამოდგა კახური შემოდგომა, ფერთა და ხილთა სიცხვით ქებული. ადრე შეყვითლდნენ ვაზები ურწყულ-ვენახებში. ცხელმა ქარბორბალამ ჩამოუარა მათ, ფოთლები დაკარგნენ, ნაყოფი გაშავდა და იწყო ცვენა.

აბრიას, ლუოს, უთისა და ფოცხვერი უჯირაულებს თავიანთ საკარმიდამოებში ჰქონდათ ვაზი. მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ისინი ბერმუხიდან განკერძოებით, „შავსოფელში" ცხოვრობდნენ.

სწორედ ეს „შავი სოფელი" მთის ფერდობზე იყო ღრმა ხრამებით გათიშული ბერმუხიდან, ასე რომ ამ უბანში წყლის გამოსაყვანად აკვედუკების გაკეთება იყო საჭირო, ამის მოწყობას დიდძალი ხარჯები დასჭირდებოდა, ამიტომაც შავსოფლელები ძველებურად უწყლოდ დარჩნენ.

აბრია, ლუო და უთი უჯირაულები შურით აღივსნენ, როცა დაინახეს, თუ როგორი სასწაულებრივი ზეგავლენა მოახდინა ახლადგამოყვანილმა წყალმა არა მარტო ცხრამუხის ზეგანის ახალშენ ვენახებზე, არამედ იმ კოლმეურნეთა ზვრებზედაც, რომელთაც შესძლეს საკუთარი სახსრებით გაეყვანათ წყალი თავთავიანთ საკარმიდამოში.

უჯირაულები ჩუმად შეეკაჭრნენ კიდეც ინჟენერ ცეროდენას ხრამების გადალმა შავ სოფელში გადაეყვანა წყალი, მაგრამ აკვედუკების გაკეთებაში ზღაპრული თანხები მოითხოვა ინჟენერმა და მათაც ხელი აიღეს ამ განზრახვაზე.

გული საგულეს ჰქონდათ კოლმეურნეობის ახალ თავმჯდომარეს, გოდერძის და პროფესორ კორინთელს. სოციალისტურმა ტექნიკამ მორიგი სასწაული ჩაიდინა. რამდენიმე თასი ვაზი ჭკნობას გადაარჩინა.

. . . . . .

კორინთელს თავის საკონსულტაციო საქმიანობა უკვე მოთავებული ჰქონდა თელავის მევენახეობის ინსტიტუტში. როცა დარწმუნდა, რომ ცხრამუხის ტაფობზე გამართული ზვარი და მისი საყვარელი საცდელი უბანი დაღუპვას გადარჩა, ახლა საპირადო საქმეებისათვის მოიცალა.

უცნაური ენერგიის გაღება შესძლო კორინთელმა უკანასკნელ თვეებში განცდილი გამუდმებული ნერვიულობის მიუხედავად.

ბერმუხის სასტუმროს ერთადერთ ოთახში ძლიერ უჭირდა მუშაობა. განსაკუთრებით სამძიმო გახდა ეს ამბავი მისთვის მას აქეთ, რაც „კნეინა ვარა" შემოეკედლა კორინთელიანთ ოჯახს.

ამ უკანასკნელის სანახავად მოდიოდნენ ყოველდღე ვაჩნაძიანთ,

რუსიშვილიანთ და ჯორჯაძიანთ ოჯახების ნათესავები. ქვრივები და შინაბერა ქალები, რომელთაც ნათესავების მოკითხვისა და ბანაშვიდებზე სიარულის მეტი არავითარი დანიშნულება არ დარჩენოდათ ამქვეყნად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი თვის მანძილზე კორინთელმა საკმაოდ კომფორტული კოტეჯი გამართა გველეთში, მამუკასეულ ციხის შემოგარენში.

კორტოხზე დაადგმევინა ხუთოთახიანი ფინური სახლი. იგი უთენია დგებოდა, ხან ცულით ხელში მუშაობდა, ხან ქაფჩით, შეთავსებით ასრულებდა სადურგლო და საკალატოზო საქმეს. კვირაობით გოდერძი და ლალბაწა შველოდნენ მას.

ჩინებული ყვავილნარი მოაწყო კორინთელმა, მრავალწლიანი ხეები ამოაძირკვინა და სანაქებო ხილნარი გამართა.

გამვლელნი გაოცებულნი იყვნენ, თუ როგორი სისწრაფით მოაგვარა ეს საქმე პროფესორმა „ერთ მშვენიერ დღეს".

ხალხს აოცებდა ეს ყოველივე: კვრინჩხის, კუნელისა და კურკანტელას მეტი აქ არაფერი უნახავს არავის.

ამასობაში ციხისთავმა გველეთის ზეგანზე გაცილებით უფრო დიდ საქმეებს დაადგა თავი. დასახლების კომიტეტმა ორასიოდე სტანდარტული სახლი გააშენა წინასწარ დაგეგმილი ქუჩების პირად. სახელდახელოდ ააგეს ამბულატორიისა და საექიმო პუნქტის შენობანი, რომლებშიაც ექიმის ბინაც გათვალისწინებული იყო წინასწარ.

ამათ მოყვა კლუბის, აფთიაქის, სოფლმაღაზიათვის და პიონერთა ბანაკისათვის განკუთვნილი სახლების აგება.

დაუცხრომლად იღვწოდნენ კალატოზები და დურგლები ახალნაგებობათა ხარაჩოებზე.

თუმცა კორინთელიანთ კოტეჯი მომავალი სოფლისაგან განკერძოებით იდგა, მიუხედავად ამისა, კორინთელებს წარამარა ესმოდათ მანქანების გუზგუზი, ტრაქტორების რახრახი, ჩაქუჩების რაკუნი.

ვახტანგი უსიტყვოდაც ამჩნევდა, რომ არც მედიკო და არც დეიდამისი ვარა არამც და არამც აღტაცებულნი არ იყვნენ ამ ახალი სამოსახლოთი, მაინც ვერა ბედავდნენ ამის გამხელას, რადგან მათ ჯერ კიდევ ბერმუხაში ყოფნისას საკმაოდ მოაბეზრეს თავი ვახტანგს „გაოხრებული სასტუმროს" ერთადერთი ოთახის სივიწროვის გამო ბუზღუნით.

გარჯას მიუჩვეველი ქალებისათვის განსაკუთრებით საძძიმო

იყო ის გარემოება, რომ მოხუცი მაია ველარ ახერხებდა გველეთის ზეგანზე ყოველდღე ფეხით ამოსვლას.

კიდევ ერთი რამ აწუხებდათ მათ: ბერმუხაში დაუზარებლად მოდიოდნენ ვაჩნაძიანთ, ჯორჯაძიანთ, [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

დილაადრიან გადმოდგებოდა აივანზე, გაყინჩული ურიგებდა განკარგულებებს მოხუც მაიას და შოფერს — ანდროს.

კორინთელმა უკვე აღარ იცოდა, რა ექნა. სიფრიფანა კედლებიან სახლში თავის ოთახშიაც ვეღარ ახერხებდა მყუდროდ მუშაობას, რადგან დღისით დანჯღრეული როიალის ჩახჩახი აწუხებდა.

მთელ ღამეს იმუშავებდა ხანდახან, გათენებისას გულმავიწყი ვარა ასტეხდა განგაშს და შეუდგებოდა ბაღში დავიწყებული ტანისამოსის შინ შემოზიდვას.

ბოლოს ვეღარ მოითმინა კორინთელმა და თავის ცოლს ასეთი რამ აკადრა:

„კარგი იქნებოდა, ეს პარიზული კაბები ცეცხლში დაგეწვებოდეს, მედიკო, სულ ერთია, არც ერთ ბალზე აღარ დაგჭირდება მათი ჩაცმა“.

მედიკო უსიამოვნოდ აიმრიზა და გაჩუმდა. თავმოთნე ვარამ ვეღარ მოითმინა და წაიდუდუნა:

„ვინ იცის, ვის რა დასჭირდება და როდის?“

•

კვირა დილას კორინთელი გააღვიძა პიონერთა საყვირების ხმამ. პიჯამა გადაიცვა და ფანჯარას მიადგა.

ერთობლივი და მწყობრი მარშით ამოდიოდნენ გველეთის ზეგანზე წითელყელსახვევიანი პიონერები, ქოჩორა ბიჭუნა ხარ-ჯიხვივით კისერშემართული მიუძღოდა მოყვავივე კოლონებს.

წინ მომავალ შიშველ ტლოკებიან ბიჭუნებს ამაყად გამოეშვირათ ტუჩ-პირიდან საყვირები, ისმოდა დაფდაფების ცემა და ნაბიჯების რიტმული ტკაპუნი.

გახარებული იდგა ფანჯარასთან კორინთელი და ფიქრობდა თავისთვის:

„აღსდექ, ჩემო ხალხო, და ჟრიამულით შესძარი ნაციხარების, ნასაყდრალებისა და ნასახლარების გულისმომწყლველი დუმილი.

აღსდექ, ჩემო ხალხო, და სიცოცხლე დაამკვიდრე იქვე, სადაც იგი შეუწყვეტია ჩვენი ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიალს“ . . . . .

„ესენი გვაკლდნენ ამ ჯოჯოხეთში“, მოესმა კორინთელს ვარას ხმა. ბრაზი წაეკიდა კორინთელს გულზე. მაგრამ დუმილი არჩია, კარი გაიხურა რაჯგუნით და აჩქარებული ნაბიჯით ჩავიდა ბაღში.

კორინთელი ქარაფის პირად შესდგა, მანქანის შორეული ქუსქუსი შემოესმა, თვალებზე ხელი მიიჩრდილა.

ბაგირივით დაგრეხილ თემშარაზე ამოდიოდა შინდისფერი მანქანა.

იგი სწრაფად იღებდა ალმართებს, ხან წითელ-ყვითელ ირიმლის ბუჩქებში იკარგებოდა, ხან ასწლოვანი მუხების ჩრდილში გაელვებდა, ისევ გამოჩნდებოდა ღიჭით დაბურდულ ტყვრებში.

კორინთელმა იცნო ციხისთავის მანქანა, ჭიშკრისაკენ გაეძართა, მაგრამ როცა მანქანამ მხარმარჯვნივ გაუხვია, აგრე ივარაუდა: ახალშენის დასათვალიერებლად ამოსულაო რაიკომის მდივანი, ამიტომაც ბაღში შებრუნდა ისევ და ახლად დარგულ ხეებს დაუწყო თვალიერება.

ბოლოს ბაღის კიდეში, ქარაფისპირად დაგდებულ ლოდზე ჩამოჯდა და მთების ჭვრეტით გაერთო. სილურჯე შემატებოდა ამ დილით მათ.

კახეთის კავკასიონის მთელ სიგრძეზე გაფენილიყო წაგრძელებული, თეთრად ნაპენტი ღრუბლების შლეიფი და ეს იშვიათი დეკორაცია მთებისა ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, თითქოს ეს მალაქიტისფერი მთაგრეხილი დაკიდულაო ცასა და ხმელეთს შორის.

ოციოდე წუთიც არ იყო გასული, მანქანის სიგნალმა შეაკრთო კავკასიონის ჭვრეტით გართული კორინთელი.

ვიდრე იგი ჭიშკრამდის მისვლას მოასწრებდა, ეკლიანი მავთულით შემორაგვულ ბაღს მოადგა შინდისფერი მანქანა. ახალგაზრდული სიკისკასით ჩამოხტა მანქანიდან მზეარეში გარუჯული ციხისთავი.

გაიხარა მასპინძელმა ამ გაუტეხელი, სიცოცხლით სავსე ვაჟკაცის დანახვისას. ამ სიტყვაძვირი, მაგრამ ტფილი ადამიანის არსებიდან კორინთელის დაზაფრულ გულში გადმოიღვარა რაღაც უჩინარი ფლუიდები სიხარულისა და მხნეობისა.

„ჭეშმარიტად აგრეგატებს ჰგავს ზოგიერთი ადამიანი ისინი ერთი შეხედვით ლითონისმიერ სიცივეს გაგრძნობინებენ, მაგრამ დაუახლოვდები თუ არა, ისეთსავე ცეცხლს და მხურვალებას გამოსცემენ ხოლმე, როგორც ამოძრავებული დიდძალიანი აგრეგატები“.

ეს გაიფიქრა კორინთელმა.

„რატომღაც მოწყენილი მეჩვენებით, ამხანაგო ვახტანგ, — სთქვა ციხისთავმა და კორინთელის მიერ გაღებულ პატარა, ღრიჭინა ჭიშკარში შემოვიდა. — მე მგონია, ჩვენთაგანმა არასოდეს არ უნდა მოიწყინოს ამქვეყნად: იმდენია გასაკეთებელი, არა მარტო გასაკეთებელი, არამედ გადასაკეთებელიცა, მოსაწყენად სადღა გვცალია.

ახალი სოფლები და ახალი ქალაქები უნდა ავაშენოთ, ახალი

გზები და ავტოსტრადები გავიყვანოთ, ეჰ, ვინ იცის, რამდენი საქ-
მეა წინ“.

„მე აგრე ვფიქრობ, — მიუგო კორინთელმა, — ჩვენი ტოქის
ამოცანაა არა მარტო ჩვენი ქალაქების, ჩვენი ქარხნების გაფართოვა
და გადაკეთება, არამედ რაც უმთავრესია ადამიანების გადაკეთება.

უწინარეს ყოვლისა, ამას უნდა მივაღწიოთ, რომ ადამიანი გადა-
კეთდეს, არა?

ეს ქალაქები, ეს ქარხნები, ეს ავტოსტრადები, თეატრები და
წიგნები, არც ერთი მათგანი არაა თვითმიზანი, მთავარია ადამიანი
და მისი სულიერი კულტურა, ამიტომაც ადამიანი უნდა წამოვწიოთ
წინა პლანზე“.

„თქვენ ცამდის მართალი ხართ, — მიუგო ციხისთავმა, — ადა-
მიანის გადაკეთებაა მაინც უმთავრესი“.

სთქვა და ბაღს შეავლო მზერა.

„ეს რა ამბებია, ამხანაგო ვახტანგ?!“

„ეს გახლავთ გველეთის პირველი მოსახლის საკარმიდამო ნაკ-
ვეთი, — ღიმილით მიუგო კორინთელმა. — სულ ერთ თვეში დავ-
რგი ეს ხეები თქვენგან გამოყოფილი მანქანების მეოხებით. ხეხილ-
თა შორის თითქმის ყველა მსხმოიარეა.

ეს ხე ხომ იცანით?“ შეეკითხა კორინთელი ციხისთავს.

„ეს უნაბია, არა?“

„მე ძლიერ მიყვარს უნაბი. სამწუხაროდ, ნაყოფი არ შერჩა აქ
გაღმოტანისას ამ ხეს.

რა უცნაურად დაღლარჭნილ-დამრეცილია მისი შტოები. მისი
ნაყოფი ჯერ იაგუნდებს ჰგავს, სიმწიფეში შესული — ლალებს. თა-
ვისი უცნაური გემოს მიხედვითაც არც ერთ ნაყოფს არა ჰგავს იგი“.

„ამ ხნულებში რა უნდა დარგოთ, ვახტანგ?“

„აქ ასიოდე ვაზს ჩავყრი ამ შემოდგომაზე. შესაძლოა, ვაჭარ-
ბებდე, მაგრამ, აგრე მგონია, ხილთა მეფედ ყურძენი უნდა ჩაითვა-
ლოს. ვერც რომელიმე ტროპიული, ვერც სუბტროპიული ხილი
ყურძენს ვერ შეედრება სილამაზითა და სიკეთითაც.

შესაძლოა, ეგ იმიტომაც მეჩვენებოდეს, რომ მე მთელი ჩემი
ცხოვრება ვაზის შესწავლისათვის შემიწირავს.

ჩვენს ხალხსაც ყველაზე მეტად ვაზი უყვარს. ალბათ ამაგია სიყ-
ვარულის უპირატესი საწინდარი.

მალაკის ნახევარკუნძულზე დურიონებს, კოკოსებსა და მანგოს
ხეს მალაელი გლეხი თავათ არ უვლის: გულუხვი მასპინძელი —
ბუნება მზამზარეულად მოართმევს მას ამ მშვენიერ ნაყოფს.

ეს ყოველივე ალალბედზე იზრდება მალაის ტყეებში; მომწიფ-

დება თუ არა ნაყოფი, მალაელი მიაკითხავს ამ ხეებს და სტკბება მათი სურნელებითა და გემოთი.

ქართველი კაცი იმდენ ოფლსა ღვრის ვაზის დაღგლარეშნილ ქერში, რომ ამ შემთხვევაში საკუთარი ამაგი უყვარს, ალბათ, უპირატესად".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხისთავმა მაჯის საათს დახედა.

„მე უნდა წავიდე, ამხანაგო ვახტანგ, ახლავე. მალე თათბირი უნდა გავხსნა. სადაცაა ამხანაგები ამოვლენ ჯანგანიდან და დასახლების კომიტეტიდან.

ჩვენი რაიონის პიონერთა ბანაკი უნდა გავხსნათ აქ საზაფხულოდ. ამბულატორიას ხვალ-ზეგ გავხსნით. ექიმები უკვე წამოსულნი იქნებიან ალბათ.

იცით, ვისა ნიშნავენ საექიმო პუნქტის გამგედ?"

ციხისთავი შესდგა, ველარ მოჰგონებოდა პუნქტის გამგე ექიმის გვარი და სახელი.

კორინთელი რატომღაც შეაკრთო მისმა შეკითხვამ.

ციხისთავმა ჩაიდუდუნა:

„ეჰ, დამავიწყდა იმ ექიმის გვარი, რაღაც უცნაური სახელი ერქვა იმ ქალსა, ნიკო მირიანაშვილისას რომ გავიცანით ამ ზაფხულზე. თქვენ თავათ ამბობდით, ერთსა და იმავე დროს გვისწავლიაო თელავში"...

კორინთელი ყმაწვილსავით წამოწითლდა. მღელვარების გასაოკებლად პაპიროსი ამოიღო, ცეცხლი მოუკიდა და მიუგო:

„მინდელი ხომ არა?"

„დიახ, მინდელის ქალი. სახელი რა ერქვა?"

„სუსქია".

„ჰო, სუსქია... ასეთი სახელი არსად გამიგონია. ამბობენ, ბავშვთა გამოცდილი ექიმიაო".

კორინთელი გაიტვრინა სუსქია მინდელის ხსენებაზე. ეამა მისი სახელის და გვარის ხსენება და სხვისი პირიდან გაგონებაც.

კიდევ და კიდევ ეწადა ეხსენებინათ იგი, მაგრამ შეეცადა, სულ სხვა საგანზე გადაეტანა საუბარი. ამიტომაც შეეკითხა ციხისთავს: რაჭველები, ფშაველები და ხევსურები როდის მოგყავთო?

„ერთი ეშელონი ალბათ დღეს მოაღწევს, დანარჩენები ხვალ ჩამოვლენ თელავს".

კორინთელი შეწუხდა, ციხისთავი რომ ახლავე უნდა წასულიყო. ენერგიული შეპატიჟებისაგან თავი შეიკავა მაინც, რადგან კარგად იცოდა: ვარას მიერ მოთუხთუხებულ სადილზე ვერ მიიწვევდა

სტუმარს: იმასაც ეჩიდებოდა, თავისებური სისულელეები ... წამოეტორტლა „ენეინას".

ციხისთავი მანქანამდის მიაცილა თუ არა, ბალში გამოუნდა კორინთელი. მას უცნაური მღელვარება მოჰგვარა სტუმრის მიერ შემთხვევით ნააბობმა.

როგორც მრავალნაცადი რომანისტი, რომელიც ძარღვად იყენებს ხოლმე შემთხვევითობის ჭირვეულობას და ერთ წუთში იქ გააჩენს რომელიმე გმირს თავის რომანისას, სადაც სრულიადაც არ მოელის მკითხველი, აგრეთვე იქცევა ხანდახან თავათ სინამდვილეც, რომელიც უდიდესი, მაგრამ დაუწერელი რომანების შემქმნელია უთუოდ. . . . . .

*

გველეთის ზეგანზე განმარტოებით დასახლებულ პროფესორს, რომელსაც გულით ეწადა დროებით მაინც, ხელოვნურად შეექმნა თავისი დიდი შრომის დასაწერად მიუცილებელი განკერძოება და მყუდროება, თან ამოჰყვა მსუბუქი ჭმუნვა სუსქია მინდელის გამო.

იგი ხანდახან წამოუვლიდა კიდეეაც, სადაც გულის სიღრმეში-მიჩქმალული, და თელავს წასვლა მოუნდებოდა, მაგრამ ამ გრძნობას განუხრელად ებრძოდა და ბოლო ხანს უკვე მოშუშებულ ტკივილად სთვლიდა მას...

ამ კვირეების მანძილზე ძია ნიკო წარამარა სწერდა მას წერილებს, მოგვეწყინაო უშენოდ, მაგრამ კორინთელი შებირებებით აშოშმინებდა მოხუცებს, ჰპირდებოდა — ჩამოვალო, და არც კი აპირებდა თელავს წასვლას.

საერთოდ კორინთელს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი: როგორმე განრიდებოდა ამ ქალთან შეხვედრას.

თავისი ბირადი ცხოვრება უკვე მოთავებულად მიაჩნდა. კარგად იცოდა, ყოველივე მღელვარება უსასტიკესი მტერია ჭვრეტისა და აზრის კონცენტრირებისა, რაც მიუცილებელია ყოველგვარი შემოქმედისათვის.

მედიკო და ვარა რევმატიზმს უჩივოდნენ და წყალტუბოს წასასვლელად ემზადებოდნენ. ხოლო შემდგომი სამი თვე აფხაზეთის სანაპიროზე უნდა გაეტარებინათ.

კორინთელიც ამას ნატრობდა: რაც შეიძლება მალე წასულიყვნენ ისინი წყალტუბოს. მაგრამ ინიციატივის ამღები არავინ სჩანდა.

კორინთელი დღესასწაულივით მოელოდა მათ გამგზავრებას. ამ ვარაუდით დაგეგმა კიდეეაც მან თავისი სამუშაო დრო. უკვე გადა-

წყვეტილი ჰქონდა, მოხუცი მაია გველეთში გადმოეყვანა, შეშა მოემარაგებინა და ბუხარი გაეკეთებინა.

ამგვარად, გველეთში გადმოსახლებას კორინთელი შესცქეროდა. როგორც შრომის მძიმე უღელში მარტოხელად შებმას.

ბოლთასა სცემდა კორინთელი თავის ბაღში. ფიქრობდა... ფიქრობდა... იგი უკვე ამჩნევდა, რომ მისი ცხოვრება აპირებდა საუხებით მოულოდნელად ნირის შეცვლას. დაიქანცა სიარულისაგან, ქარაფის კიდესთან გდებულ ლოდზე დაიმუხლა.

ახალი და ახალი მანქანები მოდიოდნენ გველეთისაკენ, ხალხითა და ბარგით დატვირთულნი მობღაოდნენ ახლად გაჭრილ გზაზე.

აჩქარებული ნაბიჯით შევიდა საწოლ ოთახში: მედიკო თან შემოჰყვა: რაიმე უსიამოვნო ამბავი ხომ არ მოუტანიაო ციხისთავს?

კორინთელმა თავი გააქნია და თავის კოსტიუმს დაუწყო ძებნა.

მაია შემოფათურდა: მზად არისო სადილი. საღამომდის ვერ ვისადილებო, მიუგო და ჩაცმას შეუდგა.

გადაწყვეტილი ჰქონდა, ბირს ჩასულიყო და ახლად მოსული მანქანები შეეთვალიერებინა: პირდაპირ ყმაწვილურმა ენერგიამ წამოუარა, რათაც არ უნდა დაჯდომოდა, მოსვლის უმალვე ენახა სუსქია.

უკვე ბინდდებოდა და თუ ახლავე არ ნახავდა მინდელის ქალს, მერმე დილამდის აღარ მიეცემოდა მასთან შეხვედრის შემთხვევა.

ახლა თავათ ხედავდა კორინთელი, თუ რა ძლიერი აღმოჩნდა მის გულში ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში დაგუბებული წადილი სუსქიას ნახვისა.

რცხვენოდა კიდევაც იდუმალ ასეთი სულმოსწრაფებისა საკმაოდ სოლიდურ კაცს.

სარკის წინ გავლილმა საკუთარი სახე დალანდა. სამიოდე დღის გაუპარსავს კვირინჩხვივით ამოსვლოდა ჭაღარა. აგრე მოეჩვენა: ამ სამ დღეში სამი წლით დაებერებულვარო.

ახლა გადასწყვიტა, არ ივარგებდა გაუპარსავი სჩვენებოდა მას. ვისი გველეთს ჩამოსვლის ამბავმა აგრე ააღელვა იგი.

კორინთელმა თავისი ნესესერი გამოსჩხრიკა. სამართებლები ფრჩხილზე გასინჯა, მაგრამ ორი დაბლაგული აღმოჩნდა, ერთიც ფხამოცვეთილი.

ვახტანგმა მაია მოიხმო. შოფერი ხომ არ მოსულაო? ჰკითხა.

გულზე შემოენთო, ვაითუ აღარ მოვიდესო ანდრო. ყვარელს აქეთ არსად ეგულებოდა საღალაქო.

ნერვიულად დადიოდა კორინთელი ოთახში, ნანობდა, მომეცადა ციხისთავისთვის, როცა იგი თავის საქმეებს მორჩებოდა, თან გავყოლოდიო ყვარელს.

სწორედ ამ დროს მოისმა მანქანის სიგნალი ჭიშკრიდან. კორინთელმა სიტყვა დააგდო შინ, მალე მოვალო, და სასწრაფოდ ჩაირბინა კიბე.

კორინთელი გაახარა მანქანის მოსვლამ. თავაზიანი, საფამო მშვიდობისა უთხრა ანდროს და გვერდით მიუჯდა მას.

მანქანების მთელი ქარავანი მოდიოდა გზაზე. მათგან ამდგარი მტვრის ბოლის მიუხედავად, კორინთელი დაჟინებით ათვალიერებდა როგორც შოფერის გვერდით, ისე საბარგოების კოფოზე დამსხდართა და დამდგარ მგზავრებს.

გველეთისაკენ მომავალ ახალმოსახლეებს საბარგო მანქანებზე დაეყორებინათ შინაური ავეჯი, მაფრაშები, ხურჯინები და ჩემოდნები, თვით ძროხები, ცხვრები და თუშური ცხენებიც თან მოჰყავდათ.

ხევსურულ ჭრელ ჩოხებში მორთული ვაჟები, წინამოთი მორთული ქალები მხიარული ყრიამულითა და სიმღერით მოყვებოდნენ მანქანების ქარავანს.

საბარგო მანქანებს ისეთი ბოღი დაეყენებინათ თემშარაზე, ძნელად თუ ვინმე გაარჩევდა კაბინებსა და კოფოებზე მსხდართა ანაგობას.

ხუთიოდე კილომეტრი უკლდა ყვარელს ჩასვლამდის კორინთელს, როცა გზისპირა ვერხვებს ქვეშ განზე გადაყენებულ „პიკაპს“ წააწყდა მისი მზერა. დანკრატზე წამოეყენებინა შოფერს საკმაოდ გახუნებული, დაჟეჟილი მანქანა.

კოფოზე უწესრიგოდ ეყარა საწერი მაგიდები, საბეჭდი მანქანები, საკაცეები, ნიკელირებული საექიმო ხელსაწყონი და ნაირ-ნაირი საკანცელარიო ბარგი.

კაბინაში იჯდა თავჩაქინდრული ქალი, რომელსაც გახუნებული, მწვანე ბერეტი შუბლზე ჩამოფხატოდა.

კორინთელმა ეჭვი აიღო, ეგებ მინდელის ქალი იყოსო იგი, მაგრამ ვეღარ მოასწრო თავისი შოფრის გაფრთხილება. ბოლოს გონს მოვიდა და, შესდექიო, უბრძანა ანდროს.

ამასობაში პიკაპის კაბინის კარი გაიღო და შიგ მჯდარი ქალი ძირს ჩამოვიდა. კორინთელმა შეიცნო სუსქია მინდელი.

თავის შოფერს ეუბნება ვახტანგი:

„ერთი მიდი იმ პიკაპთან, ანდრო, და ხომ არაფერი გიჭირსთქო, შეეკითხე შოფერს, ოღონდ ნუ გაუმხელ ჩემს აქ ყოფნას“.

ანდრო მობრუნდა და გულგრილად განაცხადა:

„წასულია მაგათი საქმე, პროფესორო ბატონო, კარდანის

აუტანელი ეჩვენა მას, რომ ეს დალაქი ბეჯითად დასხდომოდა თავს, მოაგონებდა სიბერეს, თავათ სიბერესავით [illegible] და [illegible]ცხვირპირო კაცი.

ხელოსანმა ქვეშეცნეულად იგრძნო, მის მიერ [illegible] ტორტლილმა სიტყვებმა ოდნავი წყენა რომ [illegible] ამიტომაც უკუქცევას დაადგა:

„არა, მართალი მოგახსენოთ, როგორც კი გაგპარსეთ წვერი, უფრო ჯეელად მეჩვენებით, თქვენმა მზემ, ხუთიოდე წელი მაინც ჩამოგთალეთ, ჰე, ჰე...

ეგ არის ოღონდ, ეს ოხერი თეთრი თმები თავზედაც ბლომად გაქვთ, თუ ნებას მომცემთ, თავსაც გადაგპარსავთ, ბატონო“.

კორინთელი სდუმდა, მაგრამ მაინც არ ისვენებდა დალაქი. მან ყვრიმალამდის მიუტანა თავისი ხაშნაჯამი პირი კლიენტს და უჩურჩულა:

„გუშინ მირონის საღებავი ჩამოვიტანე ტფილისიდან, — ესა სთქვა და შემართული ცერი უჩვენა კორინთელს. — აქაური სკოლის დირექტორი და აფთიაქის გამგე ამ საღებავით იღებავენ თმასა და ულვაშებს; თუ თქვენი ნება იქნება, საფეთქლებს მაინც შეგიღებავთ, ბატონო“.

„იცით, რა გითხრათ, ჩემო კარგო, მე არც თუ ისე მრცხვენია ჩემი ჭაღარისა, რადგან ცუდკაცობასა და ლოთობაში არ შემიძენია იგი.

გარდა ამისა, მე არ მესმის რისთვის იღებავენ ჭაღაროსნები თმებს? თავათ ხომ იციან, ჭაღარა რომ გაერიათ, სხვებიც კარგად ამჩნევენ ამას. მაშ ვისღა ატყუებენ ნეტავ?“

„ეჰ, ჩემო ბატონო, ეს ცხოვრება ორმაგი ტყუილია ზოგჯერ, ზოგს აგრე ჰგონია, სხვას ვატყუებო, და თავისთავს იტყუებს მხოლოდ“.

მოსმენილი შეგონების შემდეგაც არ მოეშვა დალაქი კლიენტს. ბოლოს იმდენი უჩიჩინა, ნულის მანქანით გადაუკრიჭა ჭაღარა თავი კორინთელს.

როცა ამას გადაურჩა, საკარძლიდან წამომდგარმა კლიენტმა თვალი მოჰკრა საკუთარ სახეს. გაეხარდა: მართლაც რამდენიმე წლით მაინც გაეახალგაზრდებინა ამ უსიამო ოპერაციას იგი.

როცა კორინთელი მანქანაში ჩაჯდა და გველეთს გაბრუნება დააპირა, მხოლოდ ახლა განუცხადა ანდრომ: ბენზინის მაჩვენებელი ნულზე დავიდაო.

„ახლა ამბობ ამას?“ უთხრა კორინთელმა.

„თქვენ ძლიერ გეჩქარებოდათ აქეთ წამოსვლა, ბატონო პრო-

ფესორო, გველეთში კიდევაც რომ მეთქვა, აბა იქ სადღა იშოვ-ნიდით ბენზინს?"

„შენ რომ იქ გეთქვა, მე მქონდა ორიოდე კალისტრა, გაჭირ-ვებისათვის შემონახული. აბა ნუღარ აყოვნებ, ეგებ სადმე იშ-ოვნო ბენზინი".

„დღეს კვირა დღეა, ბატონო პროფესორო, ბენზინ[illegible] კეტილი იქნება, ალბათ; მაინც წავალ, ეგებ შოფრებისაგან ვი-სესხო სადმე".

კორინთელი ბოლთასა სცემდა უკაცრიელ ქუჩაზე, აღელვე-ბული გასცქეროდა მოლრუბლულ ცას, კავკასიონი ღრუბლების შავ ნაბდებში იბურებოდა.

როგორც იქნა, ყვარელს გამოსცილდნენ, დაკინებული ქარ-წვიმა ატყდა, მერმე ქარბორბალა ამოვარდა, მანქანა ძლივს მი-იკვლევდა გზას. ბოლოს კოკისპირული წვიმა დაუშინა.

კორინთელის ფიქრი დანკრატზე შეყენებული პიკაპისკენ მი-იწევდა.

არა, შეუძლებელია, რომელიმე მანქანას არ გამოეარნა და ბუქ-სირით არ წაეყვანა ეს მანქანა გველეთს.

გაგრძელდა გზა, მაგრამ, როგორც იქნა, მიაღწიეს ვერხვებამ-დის.

კორინთელმა მანქანიდან გადაიხედა. შავი პიკაპი ისევ იმავე ადგილას იდგა.

ანდრომ ზედ მიაყენა თავისი მანქანა. კორინთელი არ დაერი-და თავსხმას, მანქანიდან ჩამოხტა და ჯიქურ მიეკრა სარკმელჩაბ-ნელებულ პიკაპს. ადამიანის ჭაჭანება არ ისმოდა, არც შიგ მოს-ჩანდა ვინმე.

ბოლოს კაბინასთან მივიდა, წვიმისაგან გაღვარული შუშა გას-წმინდა, ელექტროფანარი ჯიბიდან ამოიღო და კაბინაში შეანათა.

საცოდავად მრკრუნჩხულ სუსქიას შალი შემოეხვია თავზე, პირქვე დამხობილი გაწოლილიყო ვიწრო საჯდომზე.

ანდრო ეძახდა პიკაპის შოფერს, მაგრამ არსად სჩანდა ეს უკა-ნასკნელი.

უცნაურად აღელდა კორინთელი, თუმცა ცდილობდა ეს მღელ-ვარება არ შეემჩნია შოფერს. საშინელი ფიქრები აიშალნენ კო-რინთელის გულში.

განზრახ, ორ-სამჯერ ხმამაღლა შეეხმიანა კორინთელი ანდროს, მერმე მივიდა კაბინის სარკმელთან, ნერვიული ხელით დააკაკუნა ზედ, ხმას არ იღებდა კაბინაში მწოლარე. ახლა სასოწარკვეთამ მოიცვა კორინთელი.

აუტანელი ეჩვენა მას, რომ ეს დალაქი ბეჯითად დასჩხაკუნებდა თავს, მოაგონებდა სიბერეს, თავათ სიბერესავით ბახინჯი და უცხვირპირო კაცი.

ხელოსანმა ქვეშეცნეულად იგრძნო, მის მიერ [illegible] ტორტლიანმა სიტყვებმა ოდნავი წყენა რომ მიაყენეს კლიენტს, ამიტომაც უკუქცევას დაადგა:

„არა, მართალი მოგახსენოთ, როგორც კი გაგპარსეთ წვერი, უფრო ჯეელად მეჩვენებით, თქვენმა მზემ, ხუთიოდე წელი მაინც ჩამოგთალეთ, ჰე, ჰე...

ეგ არის ოღონდ, ეს ოხერი თეთრი თმები თავზედაც ბლომად გაქვთ, თუ ნებას მომცემთ, თავსაც გადაგპარსავთ, ბატონო".

კორინთელი სდუმდა, მაგრამ მაინც არ ისვენებდა დალაქი. მან ყვრიმალამდის მიუტანა თავისი ხაშნაჭამი პირი კლიენტს და უჩურჩულა:

„გუშინ მირონის საღებავი ჩამოვიტანე ტფილისიდან, — ესა სთქვა და შემართული ცერი უჩვენა კორინთელს. — აქაური სკოლის დირექტორი და აფთიაქის გამგე ამ საღებავით იღებავენ თმასა და ულვაშებს; თუ თქვენი ნება იქნება, საფეთქლებს მაინც შეგიღებავთ, ბატონო".

„იცით, რა გითხრათ, ჩემო კარგო, მე არც თუ ისე მრცხვენია ჩემი ჭაღარისა, რადგან ცუდკაცობასა და ლოთობაში არ შემიძენია იგი.

გარდა ამისა, მე არ მესმის რისთვის იღებავენ ჭაღაროსნები თმებს? თავათ ხომ იციან, ჭაღარა რომ გაერიათ, სხვებიც კარგად ამჩნევენ ამას. მაშ ვისღა ატყუებენ ნეტავ?"

„ეჰ, ჩემო ბატონო, ეს ცხოვრება ორმაგი ტყუილია ზოგჯერ, ზოგს აგრე ჰგონია, სხვას ვატყუებო, და თავისთავს იტყუებს მხოლოდ".

მოსმენილი შეგონების შემდეგაც არ მოეშვა დალაქი კლიენტს. ბოლოს იმდენი უჩიჩინა, ნულის მანქანით გადაუკრიჭა ჭაღარა თავი კორინთელს.

როცა ამას გადაურჩა, საკარძლიდან წამომდგარმა კლიენტმა თვალი მოჰკრა საკუთარ სახეს. გაეხარდა: მართლაც რამდენიმე წლით მაინც გაეახალგაზრდებინა ამ უსიამო ოპერაციას იგი.

როცა კორინთელი მანქანაში ჩაჯდა და გველეთს გაბრუნება დააპირა, მხოლოდ ახლა განუცხადა ანდრომ: ბენზინის მაჩვენებელი ნულზე დაეიდაო.

„ახლა ამბობ ამას?" უთხრა კორინთელმა.

„თქვენ ძლიერ გეჩქარებოდათ აქეთ წამოსვლა, ბატონო პრო-

ფესორო, გველეთში კიდევაც რომ მეთქვა, აბა იქ სადღა იშოვ-ნიდით ბენზინს?"

„შენ რომ იქ გეთქვა, მე მქონდა ორიოდე კალისტრა, გაჭირ-ვებისათვის შემონახული. აბა ნუღარ აყოვნებ, ეგებ სადმე იშ-ოვნო ბენზინი".

„დღეს კვირა დღეა, ბატონო პროფესორო, ბენზსაწყობი და-კეტილი იქნება, ალბათ; მაინც წავალ, ეგებ შოფრებისაგან ვი-სესხო სადმე",

კორინთელი ბოლთასა სცემდა უკაცრიელ ქუჩაზე, აღელვე-ბული გასცქეროდა მოღრუბლულ ცას, კავკასიონი ღრუბლების შავ ნაბდებში იბურებოდა.

როგორც იქნა, ყვარელს გამოსცილდნენ, დაყინებული ქარ-წვიმა ატყდა, მერმე ქარბორბალა ამოვარდა, მანქანა ძლივს მი-იკვლევდა გზას. ბოლოს კოკისპირული წვიმა დაუშინა.

კორინთელის ფიქრი დანკრატზე შეყენებული პიკაპისკენ მი-იწევდა.

არა, შეუძლებელია, რომელიმე მანქანას არ გამოეარნა და ბუქ-სირით არ წაეყვანა ეს მანქანა გველეთს.

გაგრძელდა გზა, მაგრამ, როგორც იქნა, მიაღწიეს ვერხვებამ-დის.

კორინთელმა მანქანიდან გადაიხედა. შავი პიკაპი ისევ იმავე ადგილას იდგა.

ანდრომ ზედ მიაყენა თავისი მანქანა. კორინთელი არ დაერი-და თავსხმას, მანქანიდან ჩამოხტა და ჯიქურ მიეპრა სარკმელჩაბ-ნელებულ პიკაპს. ადამიანის ჭაჭანება არ ისმოდა. არც შიგ მოს-ჩანდა ვინმე.

ბოლოს კაბინასთან მივიდა, წვიმისაგან გაღვარული შუშა გას-წმინდა, ელექტროფანარი ჯიბიდან ამოიღო და კაბინაში შეანათა.

საცოდავად მოკრუნჩხულ სუსქიას შალი შემოეხვია თავზე, პირქვე დამხობილი გაწოლილიყო ვიწრო საჯდომზე.

ანდრო ეძახდა პიკაპის შოფერს, მაგრამ არსად სჩანდა ეს უკა-ნასკნელი.

უცნაურად აღელდა კორინთელი, თუმცა ცდილობდა ეს მღელ-ვარება არ შეემჩნია შოფერს. საშინელი ფიქრები აიშალნენ კო-რინთელის გულში.

განზრახ, ორ-სამჯერ ხმამაღლა შეეხმიანა კორინთელი ანდროს, მერმე მივიდა კაბინის სარკმელთან, ნერვიული ხელით დააკაკუნა ზედ, ხმას არ იღებდა კაბინაში მწოლარე. ახლა სასოწარკვეთამ მოიცვა კორინთელი.

„რა მოხდა ნეტავი, ა, შენ რას იტყვი, ანდრო?“

„მე მგონია შოფერი წასულია სადღაც“.

„ნეტავ სად?“

„ალბათ მახლობელ სოფელში გადაიელიდა საქმე“, ამბობდა ანდრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორინთელი კაბინის კართან მივიდა და ამჯერად მაგრად დააკაკუნა ზედ. კაბინაში მწოლარე არ იძვროდა. ახლა კორინთელმა იგრძნო, რაღაც საშინელი მხურვალება შემოეგზნო ლოყებსა და საფეთქლებზე.

ასე ეგონა: კიდევ ერთი წუთი და საგულედან ამოვარდებაო გული. სუნთქვა შეეკრა, თვალები დაუბნელდა, ადგილიდან ვეღარ დაიძრა...

ეს მღელვარება ანდროსაც გადაედო უნებლიედ, ერთი ნაბიჯი გადასდგა ამ უკანასკნელმა კაბინის კარისკენ, კორინთელმა მოასწრო, დააბრახუნა კარზე და როცა არც ახლა მოესმა ჩქამი, უკვე სავსებით სასოწარკვეთილმა ისე მაგრად დაანჯღრია კაბინის კარი, ლამის იყო არ ჩამოვარდა იგი.

დამდუღრულივით ზეწამოიჭრა მძინარე და განრისხებულმა იკივლა:

„ვინა ხართ?“

„ნუ გეშინია, ეს მე ვარ“.

მიუგო კორინთელმა.

„თქვენ რომელი ხართ?“

„ვახტანგი ვარ, ნუ გეშინია“.

გაოცებულმა სუსქიამ კარი გააღო.

„რა ბედმა შეგვყარა აქ?“

ამასობაში პიკაპის შოფერმაც მოაღწია მთლად გაზუზულმა. მას ხელში ეჭირა საკამეჩე ჯაჭვი. გამოირკვა: იგი კამეჩების ფერმაში წაეყვანა გზადგამოვლილ მეკამეჩეს.

პიკაპი მერსედეს-ბენცს მიაბეს ამ ჯაჭვით, კორინთელი უკანა საჯდომზე მოთავსდა და გვერდით მოისვა სუსქია.

როცა უეცრად შეყრილმა მღელვარებამ გაუარა კორინთელს, იგი ისე ცუდად გახდა, უკვე აღარ ჰყოფნიდა სულიერი ენერგია, რათა სუსქიასთვის ემცნო, თუ როგორ ბედნიერი იყო ამ წუთში იგი.

საერთოდ მას არ უყვარდა გამჟღავნება ნაგრძნობისა, აგრე ამტკიცებდა: ნაგრძნობის შეუფარველად გამჟღავნება აშაბლონებსო თვით უწმინდეს გრძნობას.

იგი მხარით მიყრდნობოდა ქალის ტფილსა და რბილ მხარს,

მინებებოდა მანქანის სრბოლას და გასცქეროდა ავდრისა და ნა-
მისაგან დათალხულ ხეების შორეულ რიალს.

ბოლოს, როცა ამ მღელვარებამ სავსებით გაიარა, ესლა ჰკითხა
ქალს:

„ეს მითხარი, სუსქია, აგრე მაგრად რამ დაგაძინა, ეს
ხულ, ვიწრო კაბინაში, ჰა?“ .

„უხერხულიო? ამაზე უარესს ვარ შეჩვეული, ვახტანგ. ასეთი
კაბინაც სანატრელი ყოფილა ხანდახან ჩემთვის. ხშირად ნაშუალა-
მევს წავუყვანივარ ავადმყოფის ჭირისუფალს მთაში, ქარბუქსა
და თავსხმაში ცხენით. გამოცივებულ მთიულურ მიწურებში თეთ-
რად მითენებია ღამეები.

ბედი არ გინდა? — განაგრძო სუსქიამ. — სწორედ წუხელ,
როცა აქეთ წამოსასვლელად ვემზადებოდი, რუისპირში წამიყ-
ვანეს შუა ღამეს. საშინელი აგონია ჰქონდა იქაური მასწავლებ-
ლის ბავშვს, ქუნთრუშა შეჰყროდა.

გონებაფრეული მეეედრებოდა სასოწარკვეთილ დედა: გადა-
მირჩინეო ბავშვი. ჩემს მიერ თანწაყვანილ ექთანს არ ენდო, მე
თავათ ვუკეთებდი ნემსებს, სანამ არ მოიკეთა ბავშვმა, შინ ვერ
წავედი“.

„გმირი ყოფილხარ, ჩემო სუსქია“.

„რას ვიზამთ, ვახტანგ, გმირობას მოითხოვს ჩემისთანა უბრა-
ლო ადამიანისაგანაც ჩვენი ეპოქა“.

ეუხილი შესწყდა, კავკასიონს გადაღმა ელავდა. გრიგალი და-
ელავდა უკაცრიელ ველზე. გზის პირებზე ჩაწკაპული ხეები ლე-
ლვით იკეცებოდნენ. ისევ გაიელვებდა დაბნეულ გზებზე, შა-
ეაე შესუდრული მუხები და ვერხვები გამოჩნდებოდნენ ცაზე.

მიუხედავად ამისა, ვახტანგ კორინთელი გრძნობდა, რომ ნამ-
დვილი გაზაფხული მისი ცხოვრებისა ამ ნაქუხილარზე უნდა
დაწყებულიყო...

უეცრად რომელიღაც ბობღია ფრინველი დაეძგერა მანქანის
პარტბლიზის, შეფრთხიალდა და განზე გადავარდა... თუმცა ორი-
ვენი მოზღვავებული გრძნობისაგან გაოგნებულნი იყვნენ, ვახტ-
ანგმა და სუსქიამ უმალვე შენიშნეს ეს.

როცა ანდრომ მხარნაღრძობი ქედანი შემოიყვანა ელექტრო-
ნით გაჩაღებულ მანქანაში, ამ უცნაურმა შემთხვევამ გაიხელა ის
დაძაბულობა ენებათა, რომელსაც თანაბრად განიცდიდნენ გამიჯ-
ნურებულნი...

გატვრინული იჯდა ფრთებდაშვებული ქედანი მათ შორის, სა-
ცოდავად კუსავდა თვალებს.

ბედნიერებას თან მოჰყვება ხოლმე მოფერების წადილი, ასე რომ სუსქიას ნაზი ხელები გველეთს ჩასვლამდის ეფერებოდნენ ამ მშვენიერ ფრინველს, მკვეთრი შუქისაგან მონუსხულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლი

გველეთში ბნელი ღამე დაუხვდათ მასპინძლად მგზავრებს. გზასპირად ჩამწკრივებულ სვეტებზე სულს ღაფავდნენ ელნათურები. ახლადგაჩეხილ ახოში დაუმთავრებელი სახლების სილუეტები რიალებდნენ. ხარაჩოების დაბურული მონახაზები ქაოტიურ შთაბეჭდილებას ჰქმნიდნენ.

გზის დასალიერში ტყე მოსჩანდა ბნელით შესუდრული, მის კიდეებში გაწკაპული გოლიათი ალვები გიშრის შანდლებივით შებჯენოდნენ ვარსკვლავებიან, მაგრამ უმთვარო ღამეს.

ტელეგრაფის მავთულებს ფრთებს უბარტყუნებდა მსუბუქი ქარი და ეს გამუდმებული ზუნი უფრო და უფრო ძლიერდებოდა აღმოსავლეთისაკენ; სწორედ აქედან მოჰქროდა ახლადდასახლებულ სანახებისაკენ ისეთი ერთობლივი ქშუილი, როგორიც შტორმის დაწყებისას სჩვევია ხოლმე ბნელში გალურსულ ზღვას.

სუსქიამ ქედანი ხელში აიყვანა, ყელთან მიიტანა მისი მშვენიერი თავკისერი, აკოცა შიშისაგან გაოგნებულს, მერმე საბაზრო ბოღჩაში ისე ჩასვა, რომ თავი ზეამოყოფილი დარჩენოდა.

კორინთელი მდუმარედ გვერდით უჯდა ქალს, ნაზად უალერსებდა მის ხელს.

შეუძლოდ ხომ არა ხარო? ჰკითხავდა.

„ცოტას, სულ ცოტას მამტვრევს, ოდნავაც თავის ტკივილს ვგრძნობ“.

„ალბათ გაცივდი ველზე გაჩხირულ მანქანაში“

„არა, მე გუშინ ღამით გავცივდი, როგორც სჩანს. გაციება გაციებას მიეჭატა“.

კორინთელი აყვედრიდა თავის თავს: რა ეშმაკად წავედით წვერის გასაპარსავად ყვარელს.

ანდროსაც უსაყვედურებდა თავის გუნებაში: გადაჰყვაო ბენზინის ძებნას.

მერმე სხვა მიზეზს მოეჭიდა: არამცდაარამც არ ივარგებდა დღისით-მზისით ექიმი ქალის მანქანით ჩაყვანა გველეთში, ეს ამბავი მითქმა-მოთქმის საბაბი გახდებოდაო, ალბათ.

გზა ახლადნაგები იყო, ჯერაც ვერ მოესწროთ ხრეშის დაყრა. ამიტომაც ალაგ-ალაგ ბუქსაობდა მანქანა.

კორინთელი მდუმარედ იჯდა, მანქანის ყოველი შეტოკებისას გრძნობდა სუსქიას ფაშფაშა სხეულის შემოხლას და ეს ყოველი ვე ისე რიტმიულად მეორდებოდა, მღელვარება ემატებოდა თანდა-თან.

შორიდან, ძლიერ შორიდან მოისმოდა ნაღვლიანი ძახილი ჭოტისა, ხან სიზმარს აყოლილი წამოყეფება ძაღლებისა, ხანაც ტრაქტორის ბუბუნი.

მანქანამ სვლას უკლო, რადგან მთავარ გზაზე საიდგანღაც შემოიჭრა ცხვრის ფარა, ბნელში გახმიანდა მეცხვარეების „ფრთუ, ფრთუ“...

კორინთელის მზერა წააწყდა აურაცხელი ფოსფორული წერტილების რიალს, ჭავლისებრ მოზღვავებული ცხვრების თვალებიდან გამონაკრთობს.

გულამაყი შავი ყოჩები დარბაისლურად წინ მიუძღოდნენ ფარას, ღამის სარანგებივით სარდლავდნენ სტიქიურად მოდენილ ცხვარს, ბოლოს თვალსაწიერზე გამოჩნდნენ მეცხვარეების ბნელი სილუეტები.

მათ ახმახ ფიგურებს, ელექტროს შუქით განჩრდილულთ, მაღალი, წოწოლა ფაფახები დიდებულების იერს ანიჭებდა უცნაურს.

სუსქიამ დიდხანს უმზირა დგანდგარით მომავალ ფარას და სთქვა:

„მე და ჩემი ექთანი მთელ თვეს ვიყავით წრეულს ცხვრის ბინებში. დიდად დამაინტერესა მეცხვარეების ჯაფით სავსე ცხოვრებამ.

ყოველი პროფესია იოლად ეჩვენება შორიდან მაცქერალს. ჩემს ბავშვობაში აგრე მეგონა: მეცხვარეზე უფრო უდარდელი ცხოვრება არავის გააჩნია-მეთქი ამქვეყნად.

მე აგრე მქონდა წარმოდგენილი: არხეინად წამომჯდარა მეცხვარე, მოლით დაფარულ კორდზე, ძაღლები გარს უვლიან და მწყემსავენ ტაფობზე გაშლილ ფარას, ზის ნებიერად მეცხვარე და აკვნესებს თავის სალამურს.

ნამდვილად კი მძიმეზე უმძიმესი ჯაფა ადგია მეცხვარეს, დილა-საღამოს საძოვარზე ცხვრის გადენა და მოდენა, ცხვრის წველა, დაბანა და კრეჭა, ავდარში მინდვრად ყოფნა ფარატინა თექის ამარა.

ახლა ნაირ-ნაირი ჭირი და სახადი. მგელსა და არწივს ნუ იკი-

თხავ, კაჭკაჭი რომ კაჭკაჭია, იგიც კი თავს ესხმის ბატკნებს, თვალს ამოჩიჩქნის ხოლმე".

„ეჰ, ჩემო სუსქია, ყოველი საქმე ძნელზე ძნელია. ყველაფერი, რასაც გულიანად გააკეთებს კაცი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვრები ზვირთებსავით მოზღვავებულნი [illegible] მანქანის ფრთებს. ანდრო ფრთხილად მართავდა საქეს, სიგნალით იკაფავდა გზას. სუსქიას მზერა გაექცა გზის კიდეზე მომავალ ბატკნების ნოტოსკენ.

მათაც აერაცხელი ფოსფორული წერტილები უბზინავდათ თვალებში მანქანის შუქზე.

მოდიოდნენ. მოაქიცინებდნენ თითოეკვით ფაფუკ ყურებს, მოაპაკუნებდნენ პრიალა, კოხტა ჭლიკებს, მოკიკინებდნენ ეს საყვარელი, თოვლის ფანტელივით თეთრი არსებანი.

ქალმა შენიშნა:

„აგრე უქნია თურმე დედაბუნებას: ყოველი ახალგაჩენილი სულიერი უზადო სილამაზითაა შემკული. რა. მშვენიერია თვით ჭოტისა და ყვავის მართეებიცა.

შარშან მთათუშეთში ესტუმრობდი. ჩემს მასპინძელს მგლის ლეკვები ჰყავდა შინ.

ისეთი საყვარელნი იყვნენ ის ვერანანი, სეირი იყო მათი თამაშისა და ბღლავუნის მზერა. ისეთი გაბუტუნებული დრუნჩები ჰქონდათ, ხალისიანად ჰკოცნიდნენ ბალღები.

პატარებისადმი სიყვარულით შეძრული ვიყავი მუდამ. ადამიანს გებრალება უმწეო არსება, რომელიც უთუოდ დაიღუპება, უკეთუ შენ არ მიეშველე.

ამიტომაც მუდამ მიყვარდა ბავშვები, ამ სიყვარულს აყოლილმა ავირჩიე პედიატრია: თელავში ბავშვის ექიმის საშტატო ერთეული არ აღმოჩნდა, იძულებული გავხდი ჩვეულებრივ კლინიკაში მემუშავნა.

ახლაც ამიტომ მიმიხარია გველეთში, ჯანვანი დამპირდა, პიონერთა ბანაკის ექიმად დაგნიშნავთო.

სამი სიცოცხლეც რომ წილად მერგოს ამქვეყნად, ბავშვთა ჯანმრთელობისათვის ბრძოლას შევალევდი სამივეს.

ჩემი ცხოვრების უდიდეს ჯილდოდ მიმაჩნია, როცა ჩემს მიერ განკურნებული ბავშვები შემხვდებიან სადმე. ყოველი მათგანი ბინიშნებული მყავს, ყოველი მათგანის სახელი და გვარი მახსოვს".

ვახტანგ კორინთელს იდმა განაგონი, არა მიუგო რა, ბოლოს შოფერს მიუბრუნდა:

„გზა ხომ არ აგვერია, ანდრო?“

მანქანამ მხარმარჯვნივ გადაუხვია; შოფერი წარამარა თავს გამოჰყოფდა თავისი კაბინიდან, სად არისო საექიმო პუნქტი? ეკითხებოდა გზისპირად მოჩალიჩე გამვლელთა ლანდებს.

ახალშენის მკვიდრთ, რომელნიც თავათაც ვერ [illegible] ვნენ ამ ახალ გარემოში, ვერაფერი დააცდენინა საექიმო პუნქტის სადაურობის გამო.

როგორც იქნა მთვარემ თავი გამოჰყო მღვრიე ღრუბლებიდან.

ახალშენის მხარმარცხნით ტრაქტორები მუშაობდნენ, ხეებზე ჯაჭვები მიებათ, ფესვებიანად გლეჯდნენ უზარმაზარ ვერხვებსა და თელებს. ამოძირკვული ხეები ურჩხულების ლეშებივით ეყარნენ ირგვლივ.

კორინთელმა მზერა ესროლა ამ სანახაობას. აქ იქნებაო დიდი საბჭოური მეურნეობა გამართული, წაიდუდუნა, ჯერ კიდევ ამ ხუთწლედში სამი მილლიონი მანეთი უკვე დაშვებული აქვსო ამ საქმისათვის მიწსახკომს.

დიდხანს იბორიალა მანქანამ უკაცრიელ ქუჩებში. ელექტრომონტიორი აბობღებულიყო ტელეგრაფის სვეტზე.

როცა ანდრო შეესიტყვა მას, შავბლუზიანი, უქუდო კაცი ჩამოძვრა ძირს, რკინის ჭანგები მოიხსნა ფეხებიდან, ორიოდე ნაბიჯი გადადგა, სამხრეთისაკენ გაიშვირა თავისი გრძელი ხელი და უთხრა შოფერს:

„ამ შუკას დაადექი, ძმობილო, როცა ეს ახალშენი მოთავდება, პატარა მოედანს მიადგები, იმ მოედანზე უსახურავო სახლია ერთი ხარაჩოებშედგმული და მანდ მოიკითხე საექიმო პუნქტი.

მხარმარჯვნით არ გადაუხვიო, იცოდე, ირმის ტბის ჭაობისკენ, თორემ ორი უღელი ხარ-კამეჩი ვერ ამოგათრევს ლაფიდან“.

ბოლოს, როგორც იქნა, მიაგნეს უსახურავო სახლს.

კორინთელმა ამ დაუმთავრებელი სახლის დანახვაზე ადვილად წარმოიდგინა, თუ როგორ გაუჭირდებოდა ამაღამ ექიმს ამ მოუწყობელ სახლში ღამის გათევა. ნაწვიმარზე საკმარისად ციოდა.

კორინთელი ნაღვლობდა იღუმალ: ნეტავ მედიკო და ვარა გასულ კვირას წასულიყვნენ წყალტუბოს, ერთი ღამით მაინც ისტუმრებდა ვახტანგი ავადმყოფ სუსქიას, თუნდაც იმ პაწია ოთახში მოათავსებდა მას, სადაც ეძინა ხოლმე მაიას ხანდახან.

კარის ალაგთან ტყაპუჭიანი მოხუცი შემოეგებათ. ფანარი ზეასწია თეთრწვერამ, სახეზე მიანათა ახლადმოსულებს და ამცნო: აქ არისო საექიმო პუნქტი.

როცა დარაჯმა შოფერისაგან გაიგო ექიმი ჩამობრძანდაო, და-

ჯოჯმანდა უზარმაზარ ქურქში გამოხვეული დევკაცი, გრძელ და ბნელ დერეფანში შეუძღვა სტუმრებს.

ალიფას, კირისა და პარაფინის სუნი იდგა ირგვლივ, ბურბუშელაც არ გამოეხვეტათ ჯერ, ახლადგარანდულ იატაკებზე ფობნეული.

მიბაჯბაჯებდა დარაჯი ნახევრად ბნელში, ყოველ [illegible] კართან ზეასწევდა ხოლმე თავის ფანარს, ბოლოს შესდგა იმ კარის წინაშე, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა:

„არაშენდა-გველეთის საექიმო პუნქტი".

დარაჯმა კორინთელს შეეხედა და უთხრა:

„ჯანგანის გამგემ დღის ბოლომდის გიცადათ, ბატონო ექიმო. ბოლოს წავიდა და ასე დაგვიბარა: ამ ოთახში მოასვენეთო. იგიც უთხარით, მხოლოდ დღეს მოათავესო ეს ოთახი დურგლებმა, ხვალ დამლაგებელი მოვა და წესრიგში მოვიყვანთო ყველაფერს".

კორინთელი ამჩნევდა, რომ შპალერგაკრული კედლები რიგიანად გამომშრალნიც არ იყვნენ, ამიტომაც საგრძნობლად ციოდა დაბალჭერიან ოთახში.

კარ-ფანჯრები ახლად შეღებილნი სჩანდნენ, იატაკს კირის შხეფები ემჩნეოდა, თოვლის ფანტელებივით მიმობნეულნი ირგვლივ. ერთადერთი საველე საწოლი იდგა შიგ, ერთი სკამლოგინი, ორი ტაბურეტი და ერთიც დაბალი მაგიდა.

შოფერმა შემოათრია სუსქიას ორი მათრაშა, ორიც ჩემოდანი, რომელთაც კიდეები ისე შემოცვეთილი ჰქონდათ, თითქოს ვირთხებს დაუძიძგნიათო ისინი.

საოცარ სილარიბეს მათი პატრონისას ადასტურებდნენ ეს ვაშკარანები.

კორინთელი ელექტროს შუქზე დააკვირდა სუსქიას სახეს, თვალნათლივ სჩანდა: ხურვების ალმური შესდგომოდა მის ლოყებს. ღაწვისთავები შეწითლებოდა, მშვიდად აფახულებდა დასიცხულ თვალებს.

ბოლოს მზერა აარიდა პროფესორმა ავადმყოფს, ღუმელისკენ მიბრუნდა, ახლად შეთეთრებული ღუმელის კარი მიხურა, და უთხრა დარაჯს:

„ეგებ ცოტა შეშა გვიშოვნო, ძია კაცო, სადმე, თუნდაც ბურბუშელა".

„ჩემი თავი შენ გენაცვალოს, ექიმო ბატონო, შეშის მეტი რა გვაქვს. მაგრამ ამ სახლს ჯერაც სახურავი არ გააჩნია და სახანძრო არ გვანებებს ცეცხლის დანთებას".

კორინთელი შეწუხდა, ზამთრამდის რომ ვერ მოასწროს ამ სახლის გადახურვა, რა ეშველებაო სუსქიას?

„ექიმი ,ეს ამხანაგი გახლავთ“, მიუგო მოხუცს. ამ უკანასკნელმა ახედ-დახედა სუსქიას, შეებრალა ხურვებისაგან ლოყებშეფაკლული ქალი და წაიბუტბუტა:

„მე ერთი მანგალი მიგდია ჩემს ოთახში, თუ გნებავთ, მოგიტანთ“.

„ნუ შესწუხდებით, — მიუგო სუსქიამ, — ამაღამ იოლად წავალ, ხვალისთვის ხვალემ იზრუნოს“.

კორინთელს უმძიმდა ამ ვითარებაში მარტო დატოვება ქალისა, მაგრამ შოფერსა და დარაჯს მოერიდა.

„ღამე ნებისა, ამხანაგო ექიმო“, უთხრა სუსქიას თავაზიანად.

ქალმა ქვეშეცნეულად იგრძნო ამ განგებისად მორიდებული ტონის მნიშვნელობა და აგრე მიუგო:

„დიდი მადლობა, პროფესორო ბატონო“.

როცა შოფერი და დარაჯი დერეფანში გავიდნენ, კორინთელი კარის ზღურბლიდან გამობრუნდა ანაზდად.

კიდევ ერთხელ შეხედა სუსქიას, უფრო აღგზნებულად მოეჩვენა მისი თვალები, ღაწვისთავებზე უკვე ისეთი ხასხასა სიწითლე შესდგომოდა, როგორიც ბროწეულის ყვავილს სჩვევია ხოლმე.

ისიც შენიშნა კორინთელმა: ქალი უკანასკნელ ენერგიას იკრეფდა, როგორმე არ გამოემჟღავნებინა შეუძლოდ ყოფნა.

კორინთელი სულ ახლოს მიეჭრა მას, სუსქიას თეთრსა და რბილ ხელს მაგრად მოუჭირა მარჯვენა, მომეტებული სიმხურვალე შეიცნო, აკოცა ზედ და უთხრა:

„ამაღამ როგორმე გაიჭირვე, სუსქია, ხვალ დილაადრიან ვინახულებ ჯანგანის გამგეს, ვაცნობებ შენი ავადმყოფობის ამბავს და ვთხოვ უკეთ მოგიწყონ ეს ოთახი, საექიმო დახმარებაც ალმოგიჩინონ“.

„დაბეჯითებით გთხოვ, ვახტანგ, ჩემი ავადმყოფობის ამბავი არ ამცნო ჯანგანის გამგეს, თორემ აგრე იფიქრებენ ამხანაგები, ჯერ სამსახურშიც არ გამოცხადებულა ეს ქალი და ახლავე გვენაზებაო.

ვინ იცის, რამდენჯერ შემყრია გრიპი, მაგრამ სამსახურში არც გამიმხელია არასდროს. ასეთ რამეებს სიმულანტები ებღაუჭებიან მხოლოდ.

მე სიდუხჭირეში გაზრდილი ვარ, შვიდ წელს მიმუშავნია მთლად მიყრუებულ რაიონებში, ასეთი ოჯახი ჯერ არასდროს

მქონია დღემდე. ეგეც არ იყოს, მეთევზეს ფეხის დასველების არ უნდა ეშინოდეს“.

„არა, მე მეშინია, უარესად არ გახდე, თუ გინდა დაგრჩები მცირე ხანს, ეგებ შევძლო რითიმე დაგეხმარო“, წაიდუდუნა ვახტანგმა.

„ნუ შესწუხდები, მე ახლავე კალცექსს მივიყვანს, ოფლს ნოდენ და ყოველივე რიგზე იქნება“.

სუსქია თავის გუნებაში გამოუტყდა თავს: მაინცდამაინც არ ეხალისებოდა მარტო დარჩენა.

ეს უნდოდა: სასთუმალთან დამჯდარიყო ვახტანგი, თავის ძლიერ მარჯვენაში სჭეროდა მისი დასიცხული ხელი. მის ახლოს ყოფილიყო, ამაღამ, მხოლოდ ამაღამ...

როცა კორინთელი კარისკენ გაემართა, შეეშინდა: უკან არ მოიხედოს და არ შემნიშნოსო ქუთუთოებთან მომდგარი სიძაბუნის ცრემლები.

კორინთელს იამა ასეთი სპარტანული ამტანობა ქალისა, მაგრამ მაინც გულდაწყვეტილი გავიდა ოთახიდან, შოფერსა და დარაჯს წამოეწია.

გაოგნებული მიჰყვებოდა ბნელ დერეფანს. სწუხდა: რა გაათეინებსო ხურვებაშეყრილ ავადმყოფს ამ კუბოსავით გამოცივებულ ოთახში.

როცა გარედ გასულთა ნაბიჯების ჩქამი მისწყდა, სიცხისაგან გათანგული სუსქია მოსასხამის გაუხდელად დაეშვა საველე საწოლზე და დიდხანს იწვა პირქვე დამხობილი, ყურს უგდებდა მარტოხელა ჭოტის ძახილს.

ნატრობდა: ნეტავ შემოვიდოდეს ვინმე, გამხდიდეს ამ სველ მოსასხამს და ზედ დამაყრიდესო ტყვიასავით მძიმე საბნებს. ისეთი გრძნობა ჰქონდა, ყბები დასცილდნენო ურთიერთს.

მერე მოეჩვენა, თითქოს მთელი სხეული დაერღვა, აკაპკაპებდა კბილებს, თვალნათლივ ამჩნევდა, შორს იყო ძილი და ეს სიცხადე რაღაც აუტანელ ბურანად ქცეულიყო.

კარგად არ იცოდა, სიცხადე იყო ეს ყოველივე, თუ ავი სიზმარი.

მერმე იძალა ხურვებამ, პირი უშრებოდა, წარამარა უტოკავდნენ სხეულის ოგეები, აგრე ეგონა: ვიღაცის ძლიერი ხელი ანჯღრევსო სარეცელს, საოცარ რყევას განიცდიდა.

თვალები ეწვოდნენ, მთელი სხეული უძაგძაგებდა, ქანცმილეული კვნესოდა, წყალიო, მაგრამ წყლის მომტანი არავინ სჩანდა.

ზანზარებდნენ ფანჯრის მინები, ისმოდა ისეთი ფრთხიალი, რო-

გორსაც შეჰქმნის ხოლმე ზაფხულის ღამეს კაცთა სამყოფლოში შემოხეტებული ღამურა: ფრთები ეხლებოდნენ მინებს და ეს მონოტონური ბარტყუნი და ფრთხიალი მთლად აუტანელი გახდა პირქვე მწოლარისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა გვერდზე გადმობრუნდა, ხედავს: ქედანი ბოლჩიდან, აწყდება ფანჯრებს, წვალობს ეს მშვენიერი ფრინველი, სასოწარკვეთილი ეხლება მინებს.

ფრთხიალი უფრო და უფრო ხშირდებოდა და ძლიერდებოდა, ავადმყოფს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მისი გულისცემა მაშინალურად აყოლილიყო ამ მონოტონურ ფრთხიალს.

ადგომა მოინდომა სუსქიამ, მაგრამ ვეღარ შესძლო, ახლა იმას ნანობდა: რად გავუშვიო ვახტანგი, ამ ქედანს ფანჯარას გაუღებდა, წყალსა და კალცექსს მაინც მომიტანდაო დასიცხულს.

ისევ მოეძალა თავის ტკივილი... დერეფანში ნაბიჯების ჩქამი გახმიანდა თითქოს, ვიღაც მოდიოდა მამაკაცური დინჯი ნაბიჯით, დაახველა კიდევაც ვიღაცამ, სიხარულმა შესძრა ქალის გული, ინატრა:

დეე, ვინც რა უნდა თქვას, ოღონდ მოვიდესო ვახტანგი.

ნელი, მორიდებული კაკუნიც შემოესმა თითქოს.

სუსქიამ ხელი აჰკრა თვალებზე ჩამოფხატულ ბერეტს. მზერა მიაშტერა დახურულ კარებს და ძაბუნი ხმით დაიძახა კიდევაც: შემობრძანდიო, ვახტანგ.

ისევ შემოენთო ხურვება ღაწვისთავებსა და საფეთქლებს, თავის ტკივილმა უმატა, ყურებმა უცნაური წივილი შექმნეს. ქუთუთოები დაუმძიმდა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა თვალს.

თვალნათლივ ხედავს სუსქია: კარი არავის გაუღია, მაინც შემოსულა ვახტანგ კორინთელი. გიმნაზიელის ფორმა აცვია. ელექტროს შუქზე ვარვარებს მოწაფურ ქამარზე თითბერის ბალთა.

საყვარელი და სათნო გამომეტყველება აქვს ყმაწვილს. გულხელდაკრეფილი მომდგარა ზედ კარებზე და ვეღარ ბედავს ნაბიჯის გადმოდგმას.

წყალი მომიტანეო, ევედრება ავადმყოფი სიყმაწვილის მეგობარს, მაგრამ ადგილიდან არ იძვრის ვახტანგი.

ამ წუთში საშინელი რყევა შეიცნო სუსქიამ, აგრე მოეჩვენა, თითქოს უფსკრულისაკენ გადატყორცნესო მისი დასიცხული სხეული...

...ცერაღმართულ ბილიკს მიჰყვება ექიმი სუსქია მინდელი, მხარი ატკინა წამლებით გავსილმა აბგამ. ოფლში იწურება მგზავრი, ბოლოს შესდგება, ხევში გადასროლას მოუნდომებს მძიმე

ტვირთს, მაგრამ მაინც ვერ შელევია... ამ წამლებს უცდიან გველეთში ახალმოსახლეთა ავადმყოფი ბავშვები...

...მიდის ალმართ-ალმართ ექიმი მინდელი, უფრო და უფრო მძიმდება მედიკამენტების აბგა, პირი უშრება, მაგრამ არსად სჩანს წყალი...

ბიბლიოთეკა

სადღაც შრიალებს რაღაც, სადღაც ფრთხიალებს რაღაც, სადღაც უპატრონოდ იღვრება წყალი...

...უცებ წამოეწია გიმნაზიელის ფორმაში მორთული ვახტანგი, ვაჟკაცურად შეაშველა მხრები, თავათ გადაიკიდა მედიკამენტების აბგა.

მიდიან ორივენი გულმხიარულნი და სვებედნიერნი. ლანდის უსწრაფესად ზედმოექცნენ გველეთის ზეგანს...

ჯახველის ტევრები მოსჩანან გზის გაღმა, ხოლო გამოღმა წითელ-ყვითელი ფერებით შემკული გველისხვები. ხასხასა რუბინებივით ელავს ჯახველის ნაყოფი.

მამალი ხოხბები დგებიან გზის პირებზე. ჯახველის ნაყოფსავით წითელი ფრთები აქვთ ამ ხოხბებს...

ზეგანზე მუხა სდგას ერთი, მუხის ქვეშ ბავშვები დამსხდარან, რუბინებით აუვსიათ კალათები: ლოყებღაღაჟა, ბედნიერი ბავშვები მღერიან, სუსქიამ იცნო ისინი: ყველანი აქ არიან, ვინც მან გამოსტაცა ამ წლებში სიკვდილის ბნელ ჭანგებს...

ექიმის დანახვაზე წამოცვივდნენ ბავშვები, გარს შემოეხვიენ მათ საყვარელ „დეიდა სუსქიას“.

ზეაიხედა სუსქიამ: ქედნები მუხაზე შემომსხდარან და მოესმის მათი ერთობლივი გრუტუნი. ფრთებს აბარტყუნებენ ქედნები, ლოყებზე ქედნის ფრთები ელაციცება დასიცხულს.

თვალები მოიფშვნიტა ხურვებაშეყრილმა. ფანჯრისკენ მიბრუნდა ერთი და ხედავს: ფანჯრის რაფაზე შემდგარა ქედანი და მინებზე უბარტყუნებს ფრთებს...

დასიცხული ქალი წამოდგა, ქედანი ისევ ბოღჩაში ჩასვა, იამა სიგრილის შეცნობა. ქვეშაგები გაშალა, სამოსი შემოიძარცვა სწრაფად და ისევ დაეშვა საწოლზე...

სოლომონ გულუხაიძის ალსარებანი

კორინთელი დაზაფრული გამოვიდა საექიმო პუნქტიდან. მას უმძიმდა შინ მიბრუნება. გულის სიღრმეში გამოუტყდა თავის თავს: მას საბოლოოდ შესძულდა არა მარტო კნეინა ვარა...

უკვე აღარ შეეძლო ამ გაუთავებელი ფარსის ატანა.

ერთი კი გაიფიქრა: თელავს წავალ, ძია ნიკოსთან ვივახშმებ და ვისაუბრებ, გულს გადავაყოლებო, მაგრამ როცა შოფერი შეეკითხა, კიდევ ხომ არსად მიბრძანდებიო, შეყოყმანდა, ეგონა, ალბათ, ეტყოდა: თელავს რომ წავიდე, სუსქიას ვინღა მიხედავსო?

უცნაურად მოენატრა ღვინო. იგი საერთოდ მარტოხელა არასოდეს სვამდა, ეთქვა ანდროსთვის: ჩამოდი, ვივახშმოთთო? ვერც ეს გადაეწყვიტა, ამიტომ, ჭიშკრამდისაც არ იყო მისული, ისე უთხრა შოფერს: წადი, ჩემო ანდრო, შენც დაისვენეო აწი.

თავის აგარაკში ფეხი შესდგა თუ არა, სახლიდან შემოესმა საშინელი რიხინრიხინი და ლიწინლიწინი, რომელიც სავსებით კატასტროფული ჩხრიალითა და მსხვრევით დასრულდა.

რამდენიმე ნაბიჯიც არ ჰქონდა გავლილი, მან თვალი წაატანა ჯუჯა კაცს, რომელსაც ორივე ხელი კეფაზე წაეფარებინა, ფაცხაფუცხით ჩამორბოდა კიბეზე. მას უკან მოსდევდა ახმახი დედაკაცი, დაუზოგავად უშენდა ცოცხის ტარს.

კორინთელმა სავსებით მკაფიოდ გაიგონა ნაგვემის ყვირილი და გაანჩხლებული დიაცის კრიახი:

„ჰე შე გველიჭამია, ნავსო“.

ქურდს მოსდევენო, ივარაუდა კორინთელმა, ორივე მკლავით შეიპყრო ჯუჯა, და როგორც კი ხმა გაიღო მან, ვისაც სცემდნენ, ნიორთავა შეიცნო.

დაუყვავა აქშინებულს, მხარზე ხელი დაადო, ნამორამდის მიიყვანა და ზედ დასვა. ბოლოს ასეთი დიალოგი გაიმართა პროფესორსა და მეწისქვილეს შორის:

„რა მოგივიდა, სოლომონ ჩემო?“

„ფეხი მომტეხოდა, ჩემო ბატონო, და არ გამომევლო თქვენსას მე უბედურს“.

„მაინც რა მოხდა, სოლომონ?“

„ჯერაც სასადილო ოთახში არ ვიყავი შესული, კნეინა ვარა გამოვიდა სამზარეულოდან, უამრავი თეფშები მოჰქონდა ერთმანეთზე შეკოლიკებული, თვალი შემასწრო თუ არა, ხელიდან გაუცვივდა თეფშები და ნაკუწებად აქცია.

რა ვქნა, მე ქართველი ვაჟკაცი ვარ და დიაცის ცემას ვერ ვიკადრებ, თორემ ნაკერზე გავხლეჩავდი მაგ დედაბერს.

ხომ ხედავთ, ძველი დრო მონატრებია დეიდა ვარას.

მე დღენიადაგ მცემდნენ ვაჩნაძიანთ სასახლეში: ცემითა და ცრემლიანი პურით ვარ, ჩემო ბატონო, გაზრდილი.

განაგონი გექნებათ, ალბათ, შეთე გულუხაიძე, თუშების სახალხო გმირი, ჩემი დიდი პაპა იყო.

დიდხანს ეხმარებოდა შეთე გულუხაიძე რუსებს შამილის წინააღმდეგ ომში, სამი შვილი თან ახლდა მას ამ ბრძოლებში. ხშირად მესამე შვილი მოუკლეს ლეკებმა დარგოს ბრძოლაში. შეთემ ნაკუწ-ნაკუწად დაკეპა თავისი საყვარელი ვაჟის სხეული და თავის ნათესავებს დაუგზავნა. სამოცდახუთი მარჯვენა ლეკისა გამოუგზავნეს ნათესავებმა ამის საპასუხოდ, თავათაც თხუთმეტი მარჯვენა მოიტანა ერთ-ერთი ბრძოლიდან.

თუშები დღესაც თამაშობენ ათენგენობას შამილისა და შეთეს ბრძოლას, რომელიც შეთე გულუხაიძის გამარჯვებით თავდება მუდამ.

გამარჯვებულის სახელი დაიმკვიდრა ჩემმა დიდმა პაპამ.

მე ძველ დროშივე დამამარცხა ბედმა და დამარცხებულივე მოვედი ამ ახალ დროში.

ამასაც თავისი მიზეზი ჰქონდა, ჩემო ბატონო, შეთე გულუხაიძეს თან ხლებია ამ ბრძოლებში საწყალი პაპაჩემი. იგი ტყვედ ჩავარდნია ლეკებს და როცა დარგოს აული აუღია გენერალ ვაჩნაძეს, პაპაჩემი ერთ გომურში უპოვნია ბორკილებშესხმული, ბერმუხაში ჩამოუყვანია სამგზის დაჭრილი ხეიბარი და თავისი მოახლე მიუთხოვებია მისთვის.

ერთი წლის შემდეგ ორივენი ყვავილს უმსხვერპლნია. სავსებით თოთო ბალღი დარჩენილა ბედშავი მამაჩემი რევაზ ვაჩნაძის ოჯახში.

უარესი ბედი სწვევია მამაჩემს: გერმანიასთან ომში დაღუპულა მამაი, პერემიშლის აღებისას ხიშტზე აუყვანიათ გერმანელებს იგი.

დედაჩემი ვაჩნაძიანთ სამზარეულოში დამწვარა საცოდავი იმავე წელს.

მას შემდეგ თავლაში ვიზრდებოდი გაუკითხავად. ბზე და თივა იყო ჩემი საფენ-საგები. ვირებისა და ღორ-ხბოს მწყემსვა დამაკისრეს შვიდი წლის ბავშვს.

მე მგონია, არ უნდა იყოს მართალი, ხორციელად მახინჯი უთუოდ სულიერადაც ასეთი იქნებაო, რომ ამტკიცებენ. თავად ვაჩნაძეს ერთი კუზიანი დაი ჰყავდა, რომელსაც სტუმრებთან არც აჩენდნენ ხოლმე.

იგი დღენიადაგ კითხულობდა და ლოცულობდა. თავათაც უბედურს მე ვებრალებოდი. ნამდვილი დედობა მან გამიწია, წერა-კითხვა მასწავლა, წიგნი შემაყვარა, თავათ ზეპირად იცოდა „ვეფ-

ხისტყაოსანი“ და მეც მაზეპირებინა ეს წიგნი, სახარებასა და წმიდანთა ცხოვრებას წარამარა მაჩრიდა ხელში, მეც მოვდექი და ვიკითხე თავლაში, ფარეხსა და ბოსელში...

მოგეხსენებათ, ჩემო ბატონო, ადამიანის უბედურებისათვის სულ მცირე საბაბია საკმარი. თმა ადრე გამცვივდა თავზე, ცეცხლივით წითელი თმაწვერი მქონდა, იმიტომაც შემარქვეს „ნავსი“.

მოსამსახურეს თეფშები გაუვარდებოდა ხელიდან, მე მომვარდებოდა და დამიშენდა ცხვირ-პირში, მეთონე დედაკაცს კუტი პურები ჩაუცვივოდა ცხელ თონეში, ამოიღებდა ცხელ კუტს და მე დამახლიდა თავზე.

ბატონს ცხენი წაექცეოდა ნამთვრალებზე, მათრახები მე მხვდებოდა, ცხვარს ციმბირის ჭირი დაერეოდა ან უდღეური ბატკნები მომრავლდებოდნენ დოლში, სარქალი მე მითაქებდა კომბალს.

ალბათ ბუნების წესია აგეთი, სისულელე ქათმის ჭირივით გადადის კაციდან კაცზე ხანდახან. ახალგაზრდები დღესაც ხუმრობით მეძახიან ნავსს, მაგრამ აბრიას, ლუოს, უთის, ფოცხვერი უჯირაულებს და სხვა შავსოფლელებს ახლაც სჯერათ ჩემი ნავსობა.

ადამიანის ბუნებაა ასეთი, იგი მუდამ იმის ცდაშია, სხვას გადააბრალოს საკუთარი ხელისმოცარვა. მე დღესაც გზას მიქცევენ დილაადრიან გზადშემოყრილი შავსოფლელები. გაივლიან მცირეს, გამობრუნდებიან და მომაფურთხებენ...

როცა ვაჩნაძიანთ ოჯახი დაიქცა, ყველას გადაავიწყდა ჩემი ნავსობა, მაგრამ ახალ დროში იმ წყეულმა აბრია უჯირაულმა შეახსენა ეს ამბავი ხალხს“.

„ერთი ეს მითხარი, სოლომონ, გველიჭამია რად გიწოდა იმ გაოხრებულმა კნეინა ვარამ?“

ნიორთავამ არა მიუგო რა, ამოიოხრა და დადუმდა. მთვარემ გამოიხედა ენდროსფრად შეწითლებული ღრუბლის ფრთილიდან.

უცნაურად გაანათა გველეთი და მისი შემოგარენი. თეთრად ავარვარდა კავკასიონი, ხოლო მის გასწვრივ გაჭიმულ წინკლდეებს ნამრუდისფერი გადაეკრა ერთობლივ.

ნიორთავა გაქვავებულივით იჯდა. გადასცქეროდა ბაღს გადაღმა ჩაბნელებულ უფსკრულს. ორივე იდაყვი მუხლისთავებზე დაეყრდნო, ხელისგულებში ჩაებღუჯა თავი.

„ადე, სოლომონ, შინ შევიდეთ, ღვინო მომენატრა რატომღაც, ამას წინად თელავიდან გამომიგზავნეს საუცხოო ღვინო, უნდა გაგასინჯო ერთი“.

ნიორთავამ თავი აიღო.

„მეც მომინდა ამ წუთში სმა, მაგრამ თქვენსას ველარ მრავალ, სანამ ის აშარი კნეინა ვარა არ წაშავდება აქედან“.

ნიორთავა მცირე ხანს სდუმდა და მერმე წაიბუტბუტა:

„როგორ შევკადრო შენისთანა დიდკაცს, თორემ, ოჯინო, მეცა მაქვს მთლად უკეთესი, პროფესორო ბატონო; დიდ-კაცი რომ ხარ, ეგ მეც ვიცი, მაგრამ შენ იმ დიდკაცებს არაფრითა ჰგავხარ, ჩემებრ გასრესილ ადამიანებთან პურისჭამას რომ უკადრისობენ“.

ისევ მიეძალა კორინთელი. შეუფარველად აძაგა ის მეტიჩარა კნეინა, ბნელი დროიდან ჩვენს ეპოქაში შემორჩენილი აჩრდილიაო ეს ქალი; დაიქადნა ბრაზმორეულმა: არ შევარჩენო ამ აბეზარ დედაკაცს ჩემი სტუმრის აბუჩად აგდებას. უშენოდაც მრავალგზის დაუმსხვრევიაო ჭურჭელი ჩემს სახლში.

„ნუ იზამ ამას, ჩემო ბატონო, ჩემი გამოისობით რად უნდა შეეყაროთ უსიამობას; მოხუცი მაიასაგან განაგონი მაქვს, ისედაც აგირია ამ გველისთავმა ოჯახი. მოკლეებით თუ ჩავალთ, აქვეა ჩემი წისქვილი.

კერის ცეცხლი რომ გიყვარს, ეგეც ვიცი, მირონის ცეცხლს გავაჩაღებ.

იმ ღამინდელი საუბრის გემო ჩამრჩა გულში, ეგებ კიდევ მიამბო რაიმე, რაც ჭკუას შემმატებს.

თქვენ არც კი იცით, თუ როგორ გამამხნევა იმ ზაფხულს უეცარმა თქვენმა სტუმრობამ წისქვილში.

გავიხარე, ჩემი ნამდვილი სახელი რომ მიწოდეთ, კაცად ჩამთვალეთ და ჩემი ღარიბული პურ-მარილი გაიზიარეთ...

თქვენისთანა ადამიანები ამაღლებენ და სულიერად ზრდიან ჩეზებრ გასრესილ ადამიანებს, კაცურ ღირსებებს აღვივებენ ჩვენში“.

კორინთელს არ უნდოდა აგრე ნაღვლიანი გაეშვა ნიორთავა წისქვილში. მკლავზე ხელი წაავლო, წამოყენება მოუნდომა და სწორედ ამ დროს მოისმა ირმის ყვირილი მამუკასეულ ციხის სანახებიდან.

ნიორთავა ყმაწვილური სიკისკასით ზეწამოიჭრა, ერთის დაკვრით ძირს დააგდო მის მოდრეკილ მხრისთავებზე დაწოლილი ვარამი და აღტყინებულმა წამოიძახა:

„ჩუ, ირემი მოსულა ვგონებ“.

„რომელი ირემი?“

იკითხა გაოცებულმა კორინთელმა.

„უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ერთი წყვილი ირემ და-

დიოდა ირმის ტბაზე, გველეთში: ჩვენ, მონადირეებს, მინიშნებული გვყავდა ისინი, მოკვლას ვუპირებდით, მაგრამ მარჯვე დროს ვეძებდით.

მერმე ის იყო, წრეულს ზაფხულში ბერმუხაში [illegible] ხარი, შოფრები გამოუდგნენ მანქანით, რა თქმა უნდა, [illegible] დააკლეს; მერმე, როგორც საიდუმლოდ გავიგეთ, ვიღაცას მოუკლავს ხარიერემი აბაშის ციხის სანახებში".

კორინთელი აღშფოთდა:

„ირმის მოკვლა კანონით ხომ აკრძალულია ჩვენს ქვეყანაში?"

ჩაჰკითხავდა მეწისქვილეს: მე გამანდვე, ვინ მოჰკლაო ირემი, მაგრამ ნიორთავამ არ ინდომა კანკრეს დასახელება, არც იმ ამბის გამხელა, რომელიც ჩვენ უკვე აღვწერეთ ამ რომანში.

ისევ შეეპატიჟა პროფესორი თავის შეურაცხყოფილ სტუმარს, შინ შევიდეთ და გავსინჯოთო თელავური ღვინო, მაგრამ ახლა ისეთი დაიქუხა ირემმა, თავათ კორინთელსაც მღელვარება შეუდგა და ნებას დაჰყვა ნიორთავას, რომელიც დაბეჯითებით არწმუნებდა: ირმის ტბისკენ გავიაროთ, ამ მთვარიანში უცილოდ გაჩვენებო ირემს.

კორინთელი შესდგა, სასაცილოდ ეჩვენა ასეთი ახირება. ნიორთავამ სთქვა:

„საექიმო პუნქტი ხომ იცით სადაა, სწორედ იმის გასწვრივ ჭაობია ერთი, ირმის ტბად წოდებული. ტბა უკვე აღარაა მანდ, მაგრამ ტყიანი კუნძულია ერთი, ირგვლივ ფშანებით შემოზღუდული; როგორც სჩანს, მარილიანი წყაროებია იმ ფშანებში და იმისთვის დადიან ირმები იმ ჭაობში".

ისევ დაიქუხა ირემმა.

კორინთელის გულში აღსდგა ნადირობისადმი ტრფიალი. მასაც მოუნდა შორიდან მაინც დაელანდა ირემი.

პროფესორი და მეწისქვილე თანაბრად შეძრულნი იყვნენ იმ ქვეშეცნეული აღტყინებით, რომელიც დაეუფლება ხოლმე ადამიანს ტყიურის ხილვისაგან. ეს ადამიტური ინსტინქტები ჩვენს ბუნებაში სთვლემენ იდუმალ და მცირედი ბიძგიც საკმაოა მათ გასაღვიძებლად.

ეს ყოველივე ნამუსრევთა ნამუსრევია ბუნებისადმი გარდაუვალი ტრფიალისა, რომელსაც კოსმიური გრძნობა ეწოდება.

ამ გრძნობას ვერ წარხოცავს ჩვენს გულში ვერც დიდი ქალაქების ასფალტების ტკეპნა და ვერც ბიბლიოთეკებში ქედმოხრილი ჯდომა.

ტკბილად მისაუბრობდნენ პროფესორი და მეწისქვილე. ეძინა ახალშენს. ღამის დარაჯები შესავლებთან ყვინთავდნენ. მამლების ყივილი ისმოდა უკვე.

კორინთელს უხაროდა, რომ ამ ნაცხარების, ნასაცრეფებისა და ნასახლარების სანახებში კვლავ გაისმოდა ყივილი იმ შესანიშნავი ფრინველისა, რომელიც ყოველ დღე გათენებას უქადის კაცთა მოდგმას.

მთვარის შუქით გაბადრულ გარემოში იდგა ბნელში გარინდებული მამუკას ციხე, მინებებოდა საუკუნეთაგან მონაბერ კოშმარულ ძილს.

კორინთელს მზერა გაექცა იმ ხარაჩოებიანი სახლისკენ, სადაც საექიმო პუნქტი ეგულებოდა. ერთადერთი ფანჯრიდან გამოკრთოდა მბჟუტავი სინათლე.

„როგორი ძვირფასია ის სახლი, რომელშიაც შენთვის საყვარელი ადამიანი სუნთქავს!“

ეს გაიფიქრა კორინთელმა, ნაბიჯს აუჩქარა, სულ ახლოს ჩაუარა უფარდო ფანჯარას, უმაწვილურად აღტყინებულმა წამოიწია ცერებზე და შიგ ოთახში გადაიხედა.

სუსქიას პირსახოცი აეფარებინა ფანჯარაზე, მაგრამ უკმარი აღმოჩენილიყო იგი და ამიტომაც ცნობისმოყვარე თვალმა წაასწრო მის მოშიშვლებულ, მშვენიერ მკერდს. კიდევ და კიდევ ეწადა ამ სანახაობისათვის ემზირა გამიჯნურებულ პროფესორს, მაგრამ ერთბაშად ელექტრონი ჩაჰქრა და ბნელმა მოიცვა თვალისმომჭრელი სითეთრე სუსქიას ზემოტანისა...

ალბათ მხოლოდ ახლა დაწვაო, გაიფიქრა კორინთელმა და ნიორთავას მკლავს მისწვდა, თითქოს ღონე აღარ ჰქონდაო წალმა წასვლისა. უხმოდ ვიაროთო, სთქვა ნიორთავამ, ძველმა მონადირემ.

ირმის ტბასთან მისულნიც არ იყვნენ, გაისმა ლიწინლიწინი ფშანებს გადაღმელ ტყეში. ძალოვანად გაიშლიგინა რაღაცამ და მერმე ისევ მდუმარებამ მოიცვა ბუნება.

ჭოტი იძახოდა სადღაც, ფოლადის ლენტებად ელავდნენ ფშანები.

„წავიდა“, ამოიოხრა ნიორთავამ.

კორინთელმა მდუმარედ გადახედა ჭაობს.

„ნუთუ ირმის ტბასაც დააშრობენ?“ ნაღვლიანად იკითხა მეწისქვილემ.

„ეს მიდამო მეორე ჯერის სამუშაოთა გეგმაშია უკვე შეტანი-

ლი, — სთქვა კორინთელმა. — არაშენდა-გველეთის მთელს ზეგანზე, ვიდრე იმ წოპიან მთამდის, ზვრების გაშენებას აბრკოლებს მთავრობა.

ციხისთავი კომისსიას მოელის ამის გამო ტფილისიდან ამ დღეებში. ეს ტყეც ამოიძირკვება, ამ ფშანებს დააშრობენ.

„წავიდა ჩვენი ნადირობის საქმე, — ნაღვლიანად ჩაიდუდუნა ნიორთავამ. — აქ ჯერაც ბოგინობენ ღორი, ხოხობი და მშველი. მაგრამ აქ ცხოვრობს ერთი ვინმე, რომლის ხსენებას ამ ღამეში ვერიდები მაინცდამაინც“...

კორინთელი დაინტერესდა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ის „ერთი ვინმე“, ყაჩაღი ხომ არ არისო? ჰკითხავდა მეწისქვილეს.

„ყაჩაღზე უარესია“, დასძინა ნიორთავამ.

კორინთელს ცნობისწადილი მოეძალა, მაგრამ ხელახლა აღარ შეეკითხა ნიორთავას.

ნიორთავა დაჟინებით ჩააცივდა პროფესორს, ამალამ ღვინო რომ არ დავლიო, შესაძლოა გული გამისკდესო, თუ მიკადრებ და მოიხალისებ, წისქვილში წავიდეთ, ცეცხლს გავაჩაღებ, მწვადებს შევწვავ და ყოველივეს წვრილად გიამბობო.

კორინთელი გულის სიღრმეში გამოუტყდა თავის თავს, რომ მასაც უცნაურად ენატრებოდა ღვინო. დიდ ქალაქში რომ ყოფილიყო, რესტორანში წავიდოდა უთუოდ.

მას აღარ უნდოდა შინ მისვლა, მზად იყო ამ მშვენიერ მთვარიან ღამეში ქვეყნის კიდემდის ფეხით ეარნა თუნდაც.

„ჰო, მაგრამ, აქედან როგორღა ჩავალთ შენს წისქვილში, სოლომონ, შარაგზიდან რომ მოვუაროთ, გათენებამდის ვერ მივალწევთ“.

ნიორთავა მოკრძალებულად მკლავში წაეპოტინა კორინთელს, ქარაფის კიდემდის მიიყვანა.

„ეჰე, ეგერ მოსჩანს წისქვილი, ორი წნორი უდგას აქეთ-იქით. მათ გადაღმა მაღალ ვერხვებს ხომ ხედავთ, ოცი წუთიც არ დაგვჭირდება, ისე ჩაგიყვანთ ძირს“.

ნიორთავა ფაცხაფუცხით მიყვებოდა დაკლაკნილ ბილიკს, ბარდებში გზას უკაფავდა მის უკან მომავალ პროფესორს. ზვავებისაგან შეძრულ ქარაფებს, უზარმაზარ ლოდებსა და გოროხებს შორის მიდიოდა საცალფეხო გზა.

კბოდეებიდან გადმოშვერილი ფესვები ისე დაკლაკნილნი ეკიდნენ უფსკრულების თავზე, თითქოს დაოსებული გველები გადმოუყრიაო ვიღაცას ამ მთვარიან ღამეში.

ნიორთავა ხელს აკლებდა მათ, სრიალით ჩადიოდა ძირს, კო-

რინთელიც მას ბაძავდა, მიიკვლევდა გზას ძეძვებს შორის. სადღაც ხევის წყალი ქშუოდა, ალაზნის პირიდან მოისმოდა ტურების ერთობლივი ღნავილი.

კორინთელი სდუმდა და ფიქრობდა:

„როგორი ჭირვეულია ეს წუთისოფელი, ამდენი მისწავლია და მიშრომია, მსოფლიო შემომივლია კიდიდან კიდემდის. ამდენი წიგნი წამიკითხავს, სიბრძნე შემიცვნია და ისეთივე უბედური და მიუსაფარი დავრჩი, როგორც ეს სვეგამწარებული მეწისქვილე, სოლომონ გულუხაიძე“.

გულის სიღრმეში გამოუტყდა თავის თავს: ვეღარ მოერია თავის გულის დარდს და წისქვილში თან გაჰყვა ნიორთავას, რადგან არც მას გააჩნია „შინა“.

რომელიღაც ბნელფრთიანმა ფრინველმა თავზე გადაუქროლა მათ, წყვილმა კურდღელმა გადაირბინა მთვარით განათებულ შარაზე.

წისქვილიდან გამომკრთალი მარტოხელა შუქი უკვე ჭიატობდა შინდის ბუჩქებს შორის. იხვები დგებოდნენ ფშანებიდან, წიწინით მოჰქროდნენ ალაზნისაკენ.

კორინთელი უკვე ჰხედავდა წისქვილის გადაღმა ჩარაზმულ გოლიათურ ვერხვებს, ხვიარებით დაბარდნილს, ისინი უცნაურად მიაგავდნენ ანძებიან გემებს, აურაცხელი ბაგირებით გათოკილთ.

წისქვილის კარებთან დაჯორგილმა ძაღლებმა ყეფა ასტეხეს კორინთელის დანახვისას. ნიორთავამ დააშოშმინა ისინი. მერმე დიდხანს უჩხიკინა დაჟანგულ ბოქლომს, როგორც იქნა გახსნა და წისქვილში შეუძღვა სტუმარს.

კორინთელის ყნოსვას მისწვდა დაობებული ფქვილისა და თაგვის სუნი. მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ ამდენი ხეტიალისაგან ძლიერ მოშივნოდა. მოუთმენლად უმზერდა ნიორთავას საქმიანობას.

ბოლოს, როცა მასპინძელმა ცეცხლი დაანთო და თოხლის ნეკნები გადმოიღო კაჩხიდან, თავათაც წილი დაიდო ნიორთავას საქმიანობაში: ერთ შამფურზე თვითონ ააგო თოხლის ხორცი, მარილი მოაყარა და შეუფიცხა ცეცხლს ჯირკვზე ცხენურად გადამჯდარი ატრიალებდა შამფურს და ნერწყვმორეული ისმენდა ცხიმის საამურ შიშხინს...

ნელ-ნელა წითლდებოდა მწვადი, პროფესორი მარდად ატრიალებდა შამფურს და უამბობდა მეწისქვილეს ძველბერძენი პოეტის ჰომეროსის მიერ შექებულ ბატკნებისა და ციკნების შიშხინა მწვადების გამო.

ნიორთავა შეწუხდა, როცა გაიგო, რომ ქართველებზე ადრე ძველ ბერძნებს უგემნიათ მცვრიანი მწვადები.

როცა მწვადები დაამზარეულეს და ღვინო გასინჯეს, კორინთელი ხელახლა შეეკითხა ნიორთავას: რად გიწოდაო „გველიჭამიაო“, მაგ წყეულმა კნეინა ვარამ?

ნიორთავას უკვე შეწითლებოდა ფერგამკრთალი ლოყები.

„რაკი არ იშლი, ჩემო ბატონო, გიამბობ, ყოველივეს გიამბობ. ოღონდ ეგ არ ვიცი, რამდენად მოხერხებული იქნება პურიჭამის დროს ასეთი უწმაწური ამბების თხრობა, მე მეშინია, მადა არ გაგიფუჭო“.

„შენ დარდი ნუ გაქვს, ჩემო სოლომონ, მე ისე მომშივდა ამდენ ყიალში, ახირებულად ვერაფერი გამიფუჭებს მადას“.

„შარშანწინ რაიკომში დამიბარეს ერთ დღეს, — აგრე დაიწყო ნიორთავამ სათხრობი. — ინსტრუქტორის ოთახში შემიყვანეს და ასეთი რამ მითხრა ინსტრუქტორმა: ერთი სტუმარი გვეწვია და მეგზურობა უნდა გაუწიოო მას.

იქვე იჯდა ვიღაც წვერულვაშგაპარსული, სათვალიანი კაცი, რომელიც გამხვრეტი მზერით მითვალთვალებდა.

მე გამოაცა ინსტრუქტორის ნათქვამმა, გამეცინა კიდევაც გუნებაში: როდის იყო სტუმრებს ნიორთავას წარუდგენდნენ-მეთქი.

ბერმუხაში ხშირად ჩამოდიან სხვადასხვა მხრიდან სტუმრები კახეთის ბუნების, ხანაც ციხეებისა და მონასტრების დასათვალიერებლად, მაგრამ ასეთ შემთხვევაში რაიკომი გაზეთის რედაქტორს, ან სკოლის დირექტორს, ანდა სხვა ვინმეს გამოჰყოფდა ხოლმე.

ჩემთვის გაუგებარი იყო, ფქვილში ამოთხვრილი ბლუზითა და დაკონკილი შარვლით რა გამოსაჩენი ვიყავი უცხო სტუმრის წინაშე.

მე დაჩვეული ვარ დაცინვას და ამჯერადაც აგრე მეგონა: ალბათ თუ დამცინის-მეთქი ინსტრუქტორიც.

ინსტრუქტორმა გამოკითხვა დამიწყო: შენ ხომ იცი, თუ რა არისო ზოოპარკი? როგორ არ ვიცი-მეთქი.

„ეს ჩვენი სტუმარი, — განაგრძო ინსტრუქტორმა, — გველის მგეშავია, ქვეწარმავალთა სპეციალისტი, ზოოპარკებისათვის აგროვებს ირანულს და კავკასიურ გველებს.

კახეთში უნდა დაიჭიროს ზოგ-ზოგი და შენ უნდა დაეხმარო, ამხანაგო სოლომონ, ამ საქმეში მას.

შენ ძველი მონადირე ხარ, შენზე უკეთ ვინ დაეხმარება“...

ლამის იყო სიცილი არ წამსქდა, მაგრამ თავი შევიკავე და მხოლოდ ეს წავიბუტბუტე: მე არასოდეს დამიჭერია-მეთქი უხსენებლები.

ინსტრუქტორს გაეცინა: „შენ მათ დაჭერას არავინ ვაკალებს, სოლომონ ჩემო, როგორც მონადირეს, ადგილები გეცოდინება“...

გულწრფელად რომ ვთქვა, მაინცდამაინც არ მოვხიბლულვარ ასეთი საპატიო დავალებითა; გულამრეზილმა გადავხედე იმ ქერა კაცს, სავარძელში ხმაგაკმენდილად ჩაყუჟულს.

სჩანდა: მასაც ეცინებოდა გუნებაში, შეპყრობილ თორთიხასავით დაძრწოდნენ მისი კვრინჩხივით წვრილი თვალები სათვალის ლაპლაპა შუშებს გადაღმა.

თფუი, თფუი, ამაღამ იმდენს ვლაპარაკობთ ბაგ ტიალი უხსენებლების გამო, ვიღაცამ გაგვჭორა ალბათ. ვინ იცის, ეგებ ზის ახლა მაგ ოხერი კნეინა ვარა და გვლანძღავს“, სთქვა ნიორთავამ.

„ეჰ, ჩემო სოლომონ, ეს სულ ქრისტიანული ცრურწმენის ამბავია. მეცნიერებისათვის ვარდი და ჯიჯაყვა, ვაზი და ჯინჭარი, ირემი და გველი დაკვირვებისა და შესწავლის საგნებია და სხვა არაფერი...

სხვადასხვა ჯურის გველებს წამლებად იყენებს თანამედროვე მედიცინა. მაგალითად, არსებობს ერთი ჯურის მახრჩობელა, რომელსაც „კროტალუს მუტუსს“ უწოდებენ. თავის წონა ოქროდ ჰღირს იგი, რადგან ათასგვარ ავადმყოფობას არჩენს.

ასეთებს იჭერენ კიდევაც ამერიკის ზანგები, დაგეშავენ ხოლმე, მოიშინაურებენ და ჰყიდიან.

ამერიკელი და ინგლისელი ვაჭრები დიდძალ ფულს იძენენ ამ გზით. ხომ იცი, გველებს კი არა, თავიანთ ღმერთებს გაჰყიდიან ისინი ფულზე. ინგლისსა და ამერიკაში ქარხნები არსებობს, გველის ხორცისგან კონსერვების დასამზადებლად“.

ნიორთავამ განაგრძო:

„მერე ის იყო, ეს გველისმგეშავი, თუ არ ვცდები ლესნერი იყო მისი გვარი, წავიყვანე და სასტუმროში დავაბინავე.

უნდა გენახათ მისი ათასგვარი სანადირო ხელსაწყონი. ნაირნაირი ქამანდები, ბამბუკის ჯოხებზე წამოცმული ანკესები, ხელბადეები და ორკაპიანი რკინის ხელჯოხები, ჩანგლები და სხვა მისთანანი.

ორი დამბაჩა ჰქონდა მას აი ასეთი“, სთქვა ნიორთავამ, თავისი ჭრელჭრელა ზანდუკი გახსნა და კერასთან მოიტანა მთელი წყრთის სიგრძე, თეთრად ნიკელირებული, სამლულიანი რევოლვერი.

კორინთელმა გამოართვა, ცეცხლთან მიიტანა და ამოიკითხა: „პისტოლეტების ქარხანა. სმიტი, ვესონი და კომპანია. საგანგებო შეკვეთა“. ამ იარაღს ჯერაც არ გადასვლოდა თვალისმომჭრელი ელვარება.

„მთელი ალაზნისპირეთის ჭაობები და ფშანები შემოვიარეთ, — განაგრძო ნიორთავამ. — გამუდმებულად ვნადირობდით გველებზე. მე ისე გამოვიწაფე ამ საქმეში, თავათაც დავხვლეტდი

თხილის გრძელი ჯოხი მეჭირა ხელში, კომბალივით, [illegible] ვეხეხავდი თავში უხსენებელს, გავაბრუებდი, მერმე ქეჩოში წავავლებდი ხელს მარდად და ბრეზენტის ბოღჩაში ვუტუცავდი თავს.

აგრე დავიჭირეთ უამრავი ჯაგრიანები, რქიანები, მაისის გველები, მტვრისფერი ანკარები.

„ვერი უელ, ვერი უელ", იძახდა ყოველი მათგანის შეპყრობისას ლესნერი, მაგრამ მაინც ვერ შეეჯერე მისი გული.

ნიორთავამ თხრობა შესწყვიტა, ჰკითხავდა კორინთელს: რა დოზანაო ეს „ვერი უელ?" და როცა პასუხად მიიღო: ძლიერ კარგს ნიშნავსო „ვერი უელ", ისევ განაგრძო:

„ბოლოს გამიტაცა კიდევაც ამგვარმა ნადირობამ, რადგან ყოველივე ამასთან დაკავშირებული იყო საფრთხე და მე ძლიერ წუწკი ვარ ამგვარ რამეებში.

გველისმგეშავმა არც ქართული იცოდა და არც რუსული, ამიტომაც მუნჯურად ვესაუბრებოდით ერთმანეთს. ბოლოს ისე მივეჩვიეთ ამგვარ მუნჯურს, ჩინებულად გვესმოდა ერთიმეორისა.

იგი გახარებული ეგებებოდა ყოველი ახალი ჯურის მცურავის დაჭერას, უფრო დიდის შეპყრობას მიელტვოდა, ფულსაც მპირდებოდა ნიადაგ, მაგრამ მე გაფრთხილებული ვყავდი ინსტრუქტორს, ფული არ გამოართვაო არას გზით; ეგეც რომ არ იყოს, არც მე ვყოფილვარ ოდესმე ფულს დახარბებული კაცი, მითუმეტეს სტუმარს არ გამოვართმევდი ფულს.

ლესნერი ღვინის მოყვარული სჩანდა, როცა ღვინოს ვერ ვიშოვნიდით, ნაირ-ნაირი კონიაკი მოჰქონდა, დღისით ვსვამდით არხეინად, ღამღამობით გველებზე სანადიროდ მივდიოდით...

ერთ დღეს მოვიდა, უზარმაზარი რუკა თვალწინ გამიშალა. თითით მაჩვენა ირანი და აზერბაიჯანი, იგიც მანიშნა: ამ ქვეყნებიდან დიდ-დიდნი იქნებიან წამოსულნი და როგორმე დამაჭერინეო ისინი.

მე კაი ხანია განაგონი მქონდა: გველეთში ბინადრობსო ერთი უზარმაზარი მახრჩობელა, გიურზას[1] ეძახიან თათრები; რამდენჯერმე შეხვედრია იგი მეცხვარეებს.

ერთ დღეს ღორ-ხბოს მწყემსი, შვიდი წლის ბალღი დაუგეს-

[1] გველის ჯიშია ერთგვარი, ირანსა, აზერბაიჯანსა და საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში ცნობილი.

ლავს მაგ ტიალს, მამას მიუსწრია და გამოუწოვია ნაგესლი, მზის ჩასვლისას მომკვდარა მამა და შვილი.

ეს მე ვიცოდი, მაგრამ მაინც არ ვუხსენე გველეფელესნერს, რადგან გიურზასთან შებმის თავი არა მქონდა.

ერთ დღეს სასტუმროს გამგემ მიამბო ყვარელში: ლაძის იყო არ ვეეეე შენი სტუმარი, — სამზარეულოში შესულა, ტაფაზე გველი დაუდვია, მოხრაკვას უპირებდაო.

ამის გამო გაგულისებულ სტუმარს არაფერი გაუმხელია რაიკომში, სასტუმრო დაუგდია, ისე მომადგა თავის ბარგი-ბარხანით წისქვილში. თან მოათრია ჩვენს მიერ დაჭერილი მცურავებით გავსილი ყუთები, ყულაბები და რკინის გალიები.

შეწუხებული მოვარდა რაიკომის ინსტრუქტორი, ბოდიშობდა: საყვედური გამოვუცხადეთო სასტუმროს გამგეს, დაბეჯითებით სთხოვდა სტუმარს ისევ მიბრუნებულიყო სასტუმროში, მაგრამ ლესნერი გაჯიქდა, დაარწმუნა: წისქვილში ყოფნა უფრო ხელმარჯვეაო ჩემი საქმისთვის.

მე ძველი მონადირე ვარ, დათვებს შევბმივარ იარაღით მთაში, ფოცხვერები და მგლები დამიხოცია, მაგრამ უნდა გამოგიტყდე, მთელი ღამეები არ მეძინა ჩემს წისქვილში, მეშინოდა, ვაითუ გამოძვრნენ ეს უსახელონი თავიანთი საპყრობილედან და დამგესლონ-მეთქი მძინარე.

რაც უმთავრესია, ისინი ისე გატვრინულნი ისხდნენ თავიანთ გალიებსა და ყუთებში, სწორედ ეს გამუდმებული მათი სიჩუმე ჰბადებდა საოცარ შიშს, განსაკუთრებით ღამღამობით, როცა წისქვილის ღარისთავებს გადავკეტავდი და უმცირესი გაფაჩუნებაც თაგვის ღვლიპისა თავზარსა მცემდა...

აგრე მეგონა, ჩემსკენ მოცოცავენ-მეთქი წისქვილის მტვერში ამოგანგლული მცურავები: ბალღივით გავეხვეოდი ჩემს საბანში და ვთრთოდი...

ერთ საღამოს ტაფა მომთხოვა ჩემმა სტუმარმა. არა მაქვს-მეთქი ტაფა. ბოლოს კერისპირად გდებულ შამფურს წამოავლო ხელი, მოსასხამის ჯიბიდან ამოათრია თავწაჭრილი გველი და ისე წამოაცვა ზედ, როგორც ჩვენ სუკს ავაგებთ ხოლმე.

როცა შესწვა, კონიაკი მოიტანა, შემომთავაზა უხსენებელი... რა თქმა უნდა, შორს დავიჭირე ეს საქმე და, სულო ცოდვილო, მეც მომინდა ნუგუზალი მეთავაზებინა თავში მისთვის.

ბოლოს მომბეზრდა მისი სტუმრობა. ყვარლის კოოპერატივში სიტყვა დავაგდე: ჩემი სტუმარი სამას მანეთს ჰპირდება იმას, ვინც გიურზას დააჭერინებს-მეთქი.

ცნობილია, აბრია ფულზე გაწუწკებული კაცია, იგი წარამარა ქვაკაცას წმიდა გიორგის კარზე ლოცულობს, მაგრამ ქრისტეს გვა-ყიდის ფულისთვის.

მეორე დღესვე მეწვია აბრია. ლესნერი მორიგ გველს სწვავდა შამფურზე ამ დროს. ჯერ მოურიდებლად გადააფურთხა აბრიამ, მერმე იცინა, იცინა და მითხრა: ალბათ შენც შეექცეოდიო გველს.

მე ბევრი ვიფიცე, არა-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა მაგ სულ-ძაღლმა სიმართლე და მას შემდეგ „გველიჭამიაც" შემარქვეს შავ-სოფლელებმა.

გველისმგეშავმა კონიაკი ასვა ახლადმოსულს და როცა კარგად შეთვრა იგი, ასეთი რამ გვითხრა აბრია-ავსიტყვამ:

გველეთში ვაძოვებდი გუშინწინ ცხვარს და ერთი უხსენებელი შემეფეთაო ისეთი, კამეჩის მუხლის სისხო იქნებოდა ის რჯულ-ძაღლი, ხოლო სიგრძე მისი სამ მხარს უდრიდაო.

ლესნერმა ჭამა მიატოვა, უმაწვილივით ზეწამოიჭრა და მუნჯუ-რად მანიშნა: ახლავე წავიდეთო.

იმ დღესვე აღვიჭურვეთ ყოველივე სანადირო ხელსაწყოთი და უკან გავყევით აბრიას. ლესნერი გზიდან გამობრუნდა და ეს დამ-ბაჩა თან წამოიღო.

ნადირობა დავიწყეთ ირმის ტბის მიდამოებში. აბრიამ სთქვა: სამი რამ აშინებსო უსახელოს:

ცეცხლი,
ღორი
და ცხვარი.

ჯერ უზარმაზარი კოცონი დაანთო ფუღურო იფნის ქვეშ. მერმე ბიჭებს ღორები გამოალალვინა ფშანებს გადმოღმიდან, ხოლო თა-ვათ ყოჩები მორეკა ირმის ტბაში და შეუსია ჭაობს ღორები და ყოჩები...

როგორც გარეული ტახის მარეკი შევა ღიჭით დაბარდულ ტყე-ში, სტვენითა და ღრიანცელით აფრთხობს ნადირს, აგრე დაბობ-ღავდა ტყისკაცივით გაბურძგვნილი აბრია ჭაობებში და ყვირილით აფრთხობდა თავის გუნებაში უსახელოს.

აბრიას საქმე წაუხდა კოლმეურნეობაში ამ ბოლო ხანს, იგი დიდ იმედებს ამყარებდა ამ ახალ საქმეზე, ეგებ გველებზე ნადირო-ბით მოვიტფოო ხელი.

ნაშუადღემდის ვიბორიალეთ, ვტოპეთ იმ ჭაობებში, ტანისამო-სი შემოგვაცვეთა სამივეს.

ის-ის იყო შინ გაბრუნებას ვაპირებდით, მე ქალამნის თასმები გამიწყდა, დავცუცქდი მათ შესაბნევად. როგორც კი ლაქაშიდან

თავი ამოვყავი, ჯერ შარიშური მომესმა მხმარ ლელიანში, მერმე დავინახე: ხმალამოწვდილ ვაჟკაცსავით მამაცურად ზედწამომდგარიყო უხსენებელი, კაცის სიმაღლეზე მოდიოდა და მოარღვევდა ლაქაშს...

შავი ტალები ჰქონდა მას კამეჩის მუხლის სიგრძე თავსა და ტანზე, ხოლო გულ-მუცელზე ფაიფურისებრი სითეთრე გადაჰკრავდა.

მოდიოდა, მოასავსავებდა ორკაპიან ენას, ლაპლაპებდნენ მზვარეში ღამესავით შავი, გამხვრეტი თვალები.

სჩანდა აბრიას გამოედენა იგი. როცა ავსიტყვამ ქამანდი ესროლა, ვერც გადააცო მარყუჟი თავზე, ალბათ ღიჭმა შეუშალა ხელი. გაიქცა დაშინებული აბრია. სიხარულისაგან აღტყინებულმა ლესნერმა ყვირილი მორთო:

„გიურზა, გიურზა!"

ლესნერმა გაიძრო ქამრიდან თავისი სამლულიანი დამბაჩა, მაგრამ უმტყუნა ვაზნამ, ხელახლა ესროლა და დააცდინა, გველისმგეშავი დაფრთხა ვაგლახად და ლაქაშებს მისცა თავი. სროლისაგან შემკრთალი ჩემსკენ გამოეშურა მაშინ უსახელო გულდაგულ.

ქადილი იქნება, რომ გითხრა არ შემშინებია-მეთქი, ჰაუ-მეთქი შევსძახე ერთი, თხილის ჯოხი ხელიდან გამივარდა, ხანჯლის ამოღება ძლივს მოვასწარი და პირისპირ შევეჩეხე უხსენებელს, რომელსაც ორიოდე მტკავლის სიმაღლეზე ჰქონდა დაბჩენილი ხახა.

მე ახლაც არ ვიცი რამ გადამარჩინა, ჩემი სატევრის ლაპლაპმა თუ ჰაუს დაყვირებამ: ერთი მოიკეცა უხსენებელი, დაიგრაგნა ანაზდად და მერმე შეშვებულ, ზამბარასავით ზეამხტარმა მახლობელ გუბეში მოადინა ზღართანი.

აბრია იმ დღესვე მიბრუნდა შავსოფელში და ხმა დაარხია: ნიორთავამ ერთი შეხედა გიურზას და იმ წუთშივე დანავსაო წყეული. მერმე ის იყო, შავსოფლელებმა მართლაც ირწმუნეს ჩემი ნავსობა.

ამაოდ მემუდარა სტუმარი: კიდევ ერთხელ ვსინჯოთო ბედი, — მე მტკიცე უარს დავადექი. ბევრს მევედრა აბრიაც, მაგრამ ვერ დამიყოლია. გულაცრუებულმა ლესნერმა მეორე დღესვე წაასხა თავისი გველები და ირანს წავიდა. ეს დამბაჩა დამიტოვა საჩუქრად.

მე არ მჯეროდა ამხელა უსახელო თუ მართლაც ბოგინებდა კახეთში სადმე. თქვენ როგორ გგონიათ, . პროფესორო, მართლაც ირანიდან ხომ არ იქნება ის წყეული მოსული?"

„შესაძლოა, მართალს ამბობდა გველისმგეშავი, — სთქვა კო-

რინთელმა.—ერთი ბერძენი ფილოსოფოსი იტყოდა: „პანტა რეი“— ყოველივე მდინარებსო. ამ მიწაზე გამუდმებული წრიული მოძრაობაა ვარსკვლავებისა, მცენარეებისა, თევზებისა, და მწერებისა.

მეცნიერება აგრე ვარაუდობს: წყნარი ოკეანის ბასეინიდან მიდიმოდიან ტროპიული და სუბტროპიული მცენარეები, [illegible] შორის: ვეფხვები, ლომები, ავაზები, ქვეწარმავალთ[illegible] ბელა გველები და სხვა შხამიანი მცურავები. ისიც ცხადია, ჩვენებური კამეჩიც ინდოეთიდან ჰყავთ ჩამოყვანილი ჩვენს შორეულ წინაპრებს.

როგორც მნათობები, ისე მიწაცა წრეებს აკეთებენ თავიანთი ღერძის გარშემო.

ყოველწლიურად ადგილსამყოფელს იცვლიან ფრინველები, მწერები, მხეცები და ქვეწარმავალნი.

ცნობილია: მიწისძვრებისაგან შეძრწუნებული გველების მთელი ქარავნები აიყრებიან ინდოეთიდან ან ირანიდან და ჩვენს შირაქის ველს უწევენ ხოლმე.

უსურიის ვეფხვები კრასნოიარსკის მხარეში თავს ესხმიან მონადირეებს და ალბათ ის ვეფხვიც აღმოსავლეთიდან იქნებოდა გადმოხვეწილი, ჩვენმა გლეხებმა რომ მოჰკლეს ამ რამდენიმე წლის წინად დილომში.

როცა ღამე დაეუფლება მიწას, ნაირ-ნაირი ნადირი და ქვეწარმავალი მოყვება ტყეებსა და ჭაობებს ბუნების რომელიმე სტიქიისაგან შეძრულნი, ან უკეთესი სარჩოს მაძიებელნი.

ვინ იცის, რა სიშორიდან ჩამოხეტებულა ის გაურზა, ირმის ტბის ჭაობში რომ შეგფეთებიათ თქვენ“...

*

ნიორთავა ძლიერ გახალისდა ნასმურევზე. კორინთელიც სიამოვნებით სვამდა, ერთი ორჯერ საათს დახედა. წამოდგომა დააპირა, მაგრამ ისევ ნებას დაჰყვა მასპინძელს, უმძიმდა მოგიზგიზე ცეცხლის დათმობა. კარგად იცოდა იგიც, გათენებამდის წასვლას რომ დადგომოდა, ნიორთავა მის გაცილებას არ დაიშლიდა.

ახლა მორიგი საღღეგრძელო დალია ნიორთავამ და დასძინა:

...„იმ ოჯახჭორი ლესნერის წასვლა დიახაც გამეხარდა, მაგრამ მცირე ხანში მომეწყინა კიდევაც. გველებზე ნადირობამ დიდი ხალისი შემოიტანა ჩემს ცხოვრებაში.

მე შეთე გულუხაიძის ნაშიერი ვარ და ჩემს ცხოვრებას მხოლოდ საფრთხე თუ შეჰმატებს ხალისს. მთელი ჩემი სიცოცხლე

ვოცნებობდი სამხედრო პირი გავმხდარვიყავ, მაგრამ ეტრაბლო სალდათობაც არ მეღირსა, რადგან პრტყელტერფიანი ვარ. ნადირობაც ამიტომ მიყვარს... ნადირობა ხომ ვარჯიშია მეომრისათვის.

ახლანდელი ჩემი მუშაობა ისეთი მოსაწყენია, [illegible] ლი ჩერჩეტი ადვილად გაართმევს მას თავს, ღარისთავების დროზე გადაკეტვას და აშვებას, საფქვილე ალატების გავსებას და დაცლას მაინცდამაინც დიდი სიბრძნე არა სჭირდება, ამიტომაც მეწისქვილედ მოხუცებს ნიშნავენ ხოლმე.

მე უბინაობის მეოხებით შევრჩი ამ საქმეს. ახალგაზრდობაში ნადირობითა და ღვინის სმით ვიოხებდი გულს. როცა ჭკუა შემემატა, უკვე გვიან იყო დაოჯახება, ამასობაში მხეცებზე და ფრინველებზე ნადირობის საქმე წახდა...

ტყეებს სჩეხენ, ჭაობებს აშრობენ, მანქანებისა და ტრაქტორების ბუბუნმა დააფრთხო ტყიური. უცნაური სევდა შემიპყრობს ხოლმე ხანდახან...

გაგეცინებათ, მაგრამ ამ ბოლო ხანს მწერლობას მივყავი ხელი. მთელი ღამე ვიჯექი, ვწერდი და ვხევდი, ღამით დაწერილი მეორე დილით არ მომეწონებოდა.

თქვენ ყველაფერი ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ჩემო ბატონო: კაცმა რომ თვალსაჩინო რამ დასწეროს, ძლიერად უნდა შესძრას იგი რაიმემ... სხვა დანარჩენი ქაღალდის გაფუჭებაა, მეტი არაფერი.

ამას წინად მწერლები ჩამოსულიყვნენ ალაზანზე სანადიროდ. საღამოს ხელცარიელები მოვიდნენ ციხისწისქვილში ღამის გასათევად.

მხოლოდ ერთ ქერას, მათ შორის ყველაზე უფროსს, საფეთქლებშეჭღალებულს, ერთი მშველი მოეკლა. კერასთან დასხდნენ, მწვადები შესწვეს, მეც მიმიწვიეს ვახშამზე.

მთელი საღამო ბოსტანში შეპარული მაჩვივით ვიყავი გატვრინული, ვუსმენდი მათ საზეიმო სიტყვებს. თითქმის ყველა მათგანის ნაწერები გადაკითხული მქონდა, მაგრამ თავი მოვიკატუნე, უწიგნური ვარ-მეთქი, რადგან კარგად ვიცი: მწერლებს, არტისტებს და ქალებს ძლიერ უყვართ, როცა მათ აქებენ, ისინი სუფრაზედაც უთუოდ მოიწყენენ, თუ არ აქეს.

ის ქერა კაცი დასვეს თამადად. ხარივით სვამდა, ხოტბას ასხამდა თავის ამხანაგებს, ზოგს გენიოსობას აბრალებდა, ზოგს „მაღალნიჭიერს“ უწოდებდა, ზოგსაც „ნიჭიერსა“ და ასე შემდეგ. გათენებამდის ყველა თავისი მეინახე სათითაოდ დაათრო თამადამ.

მორიგეობით გამყავდა გულარეულნი გარეთა, ბოლოს მათივე ნაბდები და ტყაპუჭები გავუშალე სოხანეზე და დავაწვინე.

თუმცა მეინახეები შემოელია, სმა მინდაო, ყვიროდა უძლიერესად თამადა. ბოლოს მე მომწვდა:

„შენ რას გასუსულხარ, ძია კაცო, ახლოს მოიწიე, ერთად ლოთიანად დავლიოთ, ყანწით ხელში შევეგებოთ ალაზანზე გამოსულ თიადს“.

მერმე მხარზე ხელი მომიცაცუნა და მითხრა:

„მე მთელი საქართველო ნადირობით მაქვს შემოვლილი და ჯერ უწიგნური არც მეწისქვილე მინახავს, არც მეცხვარე და არც მეკამეჩე. შენ თუში ხარ, არა? ზოგმა თუშმა მეცხვარემ უცხო ენებიც იცის“.

მე თავი მოვითავმდაბლე, ცოტას მეც ვკითხულობ-მეთქი.

ჩემი ლექსები და პოემები არ წაგიკითხავსო?

წაკითხული მქონდა. მაგრამ ვიცოდი, ქებას მომთხოვდა, ამიტომაც განგებისად ვიცრუე, არ წამიკითხავს-მეთქი.

„მაშ ვილაც-ვილაცეებს მაინც კითხულობ, არა? ამ მონადირეების ნაცოდვილარები ხომ არ წაგიკითხავს?“

ისევ ვიცრუე, არა-მეთქი.

„ბევრი არაფერი დაგიკარგავს, ძმაო. საერთოდ გირჩევ ბევრი არ იკითხო, თორემ უთუოდ გამოჩერჩეტდები. ბევრი კითხვა ალაყებს ადამიანებს.

მე რომ მთავრობა ჭკუას მეკითხებოდეს, სამ გონიერ კაცს დავიქირავებდი, დავავალებდი, ჩვენი ბიბლიოთეკები მაგრად გაეჩითათ და მაკულატურაში გადაერიცხათ ის ნაგავი, რომელსაც ამათთანა მწერლები შიგა ჰყრიან“, სთქვა და მძინარეებს გადახედა.

რა ინადირეს-მეთქი ამ ვაჟკაცებმა? შევეკითხე მორიდებულად.

„რა და ბისტი! ისინი ისეთივე მონადირეებია, როგორიც მწერლები, ისეთი ბათქაბუთქი გამართეს, ომი გეგონებოდათ.

ზოგი ნამეტნავად სულმოსწრაფებულად ესროდა ნადირს, ზოგიც ნამეტნავად გვიან. ხომ იცი, როგორც წერას, ისე სროლასაც დროის შერჩევა უნდა“.

მე დამაინტერესა ამ კაცის ნაუბარმა, ამიტომაც სათითაოდ გამოვკითხავდი თამადას თავის აზრს სოხანეზე მწოლარეთა შესახებ.

„ეს აქეთა, კიდეში რომ სძინავს, ქაჩალი, უდიდესი მედროვეა, ის მართლაც ნიჭიერია, მაგრამ ოსპის წვენზე გაჰყიდა თავისი ტალანტი.

ყოველ ინსტრუქტორს შესციცინებდა თვალებში, კახპა ქალი-

ვით ეკეკლუცებოდა ყოველ ხელმძღვანელს, ხოტბას ასხამდა მათ, მაგრამ როგორც კი წაიქცეოდა რომელიმე დიდკაცი, ქება და გუნდას მიაყოლებდა ზედ.

ერთხელ სიმთვრალეში წამოსცდა: მე ვინც ფულს მომცემს, იმისი კაცი ვარო, თუ დამჭირდა იუდა ისკარიოტელ[illegible] ქებას შევასხამ, რომ ქრისტეს ასესხოსო ნათელი.

ეს კაცი დიდი ცინიკოსია, გულახდილად მითხრა ერთხელ:

ქება ის ნაკელია, რომელიც ვარდსა და მყრალ ბალახს თანაბრად უხდება.

გაზეთებში ჩემი ქება ხშირად თუ არ წავიკითხე, უთუოდ მომივლის კუჭის გვრემა, ამიტომაც წერას არ ვანდომებო იმდენ ენერგიას, რამდენსაც ჩემივე შექების მოწყობას.

მე სულმა წამძლია და შევეკითხე, როგორ ახერხებ-მეთქი ამ საქმეს?

„ეჰ, ყველაფერი რომ გაგიმხილო, მე მაშინ აღარავინ დამიწყებს ქებას. ზოგ რამეს მაინც გაგიზიარებ:

თუ გინდა ქების რთველი მოისთვლო, მაქებარებს მანამ უნდა სცე პატივი, სანამ მათ შენი ქებით ყრონტი არ გაუშრებათ.

საამებელს საამო უნდა უთხრა, რადგან ადამიანებს არავინ ისე არ უყვართ, როგორც მაამებელი.

ადამიანებს დროშკის ცხენებსავით უყვართ გატკეპნილ გზებზე ჩაქჩაქი, თუ ერთხელ მიაჩვიეს ყური შენს ქებას, მერმე მორჩა და გათავდა... ყველასათვის საქებარი გახდები.

ერთი რამ უნდა მიინიშნო, ჭაბუკო: სიცრუე, ფლიდობა, თვალთმაქცობა და მაამებლობა, ეს ოთხი უებარი კლიტეა, რომელნიც სამოთხის მაგრად დახშულ კარებს აღებდნენ ყოველ დროში.

ესენი გახლავს ბურჯები იმ ხიდისა, რომელზედაც იმპერატორები, მინისტრები და ზოგ-ზოგი მწერლები ტრიუმფით გადადიოდნენ ხოლმე...

ამქვეყნად ისეთი რეგვენებიც ბლომად არიან, რომელთაც სერიოზულად სჯერათ, რომ მართლის თქმისათვის იუბილეებს გადაუხდიან.

მალე დაესწრები ჩემს იუბილეს და ნახავ: მე გამოვიჭიმები ოპერაში და ჩემი მაამებლები ისე შემომიძვრებიან პირში, როგორც ნიანგს — პაწია ჩიტები, რომელნიც მისი კბილებში ჩარჩენილი ნამუსრევებით იკვებებიან“.

... მეორემ, მის გვერდით ლიპიანი რომ წევს, თავისი ამხანაგების უმართებულო დაბეზღებით გაიკაფა გზა.

იგი ნერვებს არ იფუჭებს ღამეების თევით,— სხვისი რითმების

გორგოლაჭებზე დაჰქრის, სხვათა წიგნებიდან ქაფავს. მუდამ თვისი თავის ქებითა და სხვათა ძაგებითაა გართული. ხშირ-ხშირად გამოათრევდნენ ხოლმე წმენდაზე და ხარივით აბღავლებდნენ აღსარებას"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ეს მესამე ვინაა?" ვკითხე მე.

„ის მესამე, ცხვირკეხიანი, სათვალიანი, რომელიც ახლა ბანით ხვრინავს, დიდი ვირეშმაკაა, თუმცა მან ვერამც თუ მწერლობა და ნადირობა, ღვინის სმაც ვერ ისწავლა, ამიტომაც ყველაზე ადრე დათვრა.

სამაგიეროდ იგი ლიტერატურული საქმეების მოჭახრაკების ოსტატია, ჩინელ ჯამბაზსავით ათამაშებს ხელში თავის ორიოდე კუდა მოთხრობას და რამდენიმე გუდაფშუტა ლექსს, თამადობით, ანონიმური წერილების ჯღაბნით, პურ-მარილით გაიტანა ლელო.

მან კარგად იცის, რომ კაი წიგნის დაწერა როდი კმარა, კაი პრესის მოწყობაა უმთავრესი. ამიტომაც კასრებით დაათრევს ღვინოს კიევსა და მოსკოვში.

როცა ის რომელიმე ქალაქს მიადგება თავისი ქმნილებების გამოსაცემად, პასუხისმგებელი პირები ტელეფონებს გამოთიშავენ ხოლმე; მიუხედავად ამისა, მაინც პოულობს იგი ისეთ პირებს, რომელნიც არამც და არამც არ გამორთავენ ტელეფონს.

ის მეოთხე იმ მესამეზე უფრო მოხერხებულია. ისეთ წყალწყალა დრამებს სწერს, პარტყაპურტყით სცვივიან ისინი ყოველ სეზონში სცენიდან, მაგრამ გულს არ იტეხს და მადლიერი რეცენზენტებიც იმედს არ ჰკარგავენ, რომ იგი შექსპირი თუ არა, მოლიერი მაინც გახდება მალე.

ერთი ქეიფის დროს ყურში მიჩურჩულა: მე იმდენი ჭკუა კიდევ შემრჩენია, კარგად ვიცოდე, შექსპირი რომ ვერა ვარ, მე ფული მინდა და სახვეტად მაქვს იგი, ხოლო რაც შეეხება უკვდავებას, უკვდავება ჩვენი კრიტიკოსების ბებიებისთვის დამილოცნიაო.

ის მეხუთე, — სიცილით ამბობდა უკვე სავსებით გამომთვრალი თამადა,— ის მეხუთეც ქუდბედნიერი კაცია, მან ერთი კუდა მოთხრობა დასწერა; ჯერ იყო და დრამად გადააკეთა.

მოგეხსენებათ, ზოგ თეატრს ისეთი მაყურებლები ჰყავს, რომელთაც მხოლოდ ტაშის სატყაპუნებლად აქვთ გამოსხმული ხელები.

ბოლოს ისე გააბრუეს ეს უბედური, ახლა ოპერად გადააკეთა თავისი ნაცოდვილარი და ჩვენ უკვე ვშიშობთ, მალე სიონში არ დადგან მისი დრამა.

ეს კაცი სერიოზულად ამტკიცებს: ბევრის წერა ჭკუანაკლებობა კაცის საქმეაო. საერთოდ უნიჭოები შრომობენო ბევრს.

სულ განაპირას დისკანტით რომ ხვრინავს, შავგვრემანი, ცხვირ-კეხიანი, სათეატრო რეცენზენტია. მისი ნაწერები [illegible] ამ ციხისწისქვილში ვერ დაეტევა. რად გინდა [illegible] აქვს კვირაში მაგ ოჯახქორს.

უყვარს ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე მუცელზე ხოხვა, ხოლო უჩინო და უვნებელთა ზურგზე მალაყების გადასვლა.

ერთხელ ერთ პიესას დავესწარით მე და მაგ. მთელი საღამო იფურთხებოდა, ილანძღებოდა. მეორე დღეს ამავე პიესის ქება გააშანშალა გაზეთში.

როცა ვუსაყვედურე, ეს მიპასუხა:

რა ვუყო ძმაო, ეს პიესა მოსწონთ ზევით; ალბათ გსმენია იმ მამლის ამბავი, უდროოდ ყივილისთვის თავი რომ წააცალეს. ისეთი მამლებიც ბევრია ამქვეყნად, გათენების შემდეგ რომ ჰყივიანო.

ვუსაყვედურე: რა აზრი აქვს-მეთქი ასეთ წერას?

მიპასუხა: ეჰ, აზრი! შენი არ მიკვირს? აზრი ხანდახან ისე აწუხებს ადამიანს, როგორც მკბენარი პატრონს. ღვინო მასვი, ცოტა მოვიცადოთ, მალე არც ჩვენ ვიქნებით ამქვეყნად და არც ჩვენი აზრები".

უკვე გათენდა ამ საუბარში.

თამადა მაინც არა ცხრებოდა.

„ის თმახუჭუჭა კაცი რომელიღაც გაზეთის რედაქტორია — მაკრატელაძე, იგი დახელოვნებულია სხვადასხვა გაზეთიდან მეთაურებისა და ფელეტონების ამოჭრასა და გადაბეჭდვაში.

მის გვერდით თავქვე მწოლარე — კინორეჟისორია, მან ამას წინად მშვენივრად დადგა დრამა: „დათვი ხეზე როგორ გავა, იავნანინაო". ზოგიერთმა კრიტიკოსმა ცაში აიყვანა ეს ფილმი, მაგრამ მესამე დღეს სამი კაცი ძლივს დაღოღავდა კინოთეატრში. ახლა ამზადებს კომედიას „ბოსტნის ხოჭო" და ტრაგედიას „დიდმელი ბედაური", მოსკოვში მიაქვთ ეს ფილმი, ახლა ეს უნდათ დაამტკიცონ, რომ ვახტანგ გორგასალისა და დავით აღმაშენებლის ქვეყანაში დიდმელ ბედაურებს დარჩათო ბურთი და მოედანი.

ეგერ სულ კიდეში პირდაბჩენილი რომ ხროტინობს, მეცნიერებათა დოქტორია, მან შარშან ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია „ყაყიტას ქურდის" შესახებ; რა თქმა უნდა, ერთხმად მიანიჭეს დოქტორის ხარისხი, სამაგიეროდ ჩიტის რძე არ აკლდა, პურ-მარილს".

თამადამ კიდევ დამალევინა ერთი ყანწი, მერმე ამოიხვნეშა და სთქვა:

„ეჰ, ჩემო სოლომონ, ქართული ასოების გენიოსურად მარტივ მოხაზულობას შეცდომაში შეჰყავს ბევრი, ამიტომაც ასე დაუფიქრებლად ხელს ჰკიდებენ კალამს.

ბიბლიოთეკა

მე ძლიერ მაკვირვებს ამქვეყნად სხვათა შორის ერთი რამეც: სახელსა და გვარზე უფრო ძვირფასი რამ ხომ არც ერთ ადამიანს არაფერი გააჩნია, მაგრამ კაცთა შორის უმეტესობას არ ესმის ეს.

ამიტომაც აგრე დაჩხაპნილია მთელს ქვეყანაზე გაზეთები, ჭიშკრები და ფეხისადგილების კედლები ისეთი ადამიანების სახელითა და გვარით, რომელნიც პატივს არა სცემენ საკუთარ სახელსა და გვარს.

ალბათ განაგონი გექნება: მელიამ ზღვაში მოშარდა და დაიქადნა: ზღვას წავუმატეო; ასეა ამ მწერლების ამბავიცა“, სთქვა და ისევ გადახედა სოხანეზე მწოლარეთ.

„ყველაფერი კარგი, მაგრამ ნუთუ კარგი მწერლები აღარა გვყავს?“ შევეკითხე მოკრძალებულად თამადას.

მიპასუხა:

„ეჰ, ჩემო ნიორთავა, შენ ძველი მონადირე ხარ და განა არ იცი, როცა კარგ სანადირო ადგილს უახლოვდები, კაჭკაჭები, კირკიტები და ჩხიკვები დაფარფატებენ ჰაერში; ცუდ მონადირეებს ჰგონიათ, ეგ არის რაც არისო, ის კი არ იციან, გნოლები, ხოხბები და დურაჯები სამალში განაბულნი არიან მუდამ და მათთან მიკვლევაა ძნელი... კარგი მწერლები გვყავს, მაგრამ ისინი ისე ბევრნი არიან, ყველანი რომ აქ გამოგვეცხადონ, ციხისწისქვილში ვერ დაეტეოდნენ“, ესა სთქვა თამადამ და მუხანათურად დამიპაჭუნა თვალი.

ახლა მე მომიბრუნდა:

„შენც ხომ არ გიცდია კალამი, ნიორთავა, ჰა?“

მე დარცხვენილად თავი ჩავღუნე: მეცა ვცოდავ-მეთქი ცოტ-ცოტას.

„ოჰო, ეგებ მაჩვენო“, მითხრა სტუმარმა ხორხოცით.

ველარ გაჩვენებ, ჩემო ბატონო, ვწერ, მაგრამ მეორე დღეს ვხევ და წისქვილის წყალს ვატან-მეთქი.

„დიდებულია, დიდებული, ჩემო ნიორთავა, როცა ჩვენი მონადირეები გაიღვიძებენ, მათაც ასწავლე ეგ უებარი ხერხი“.

ის იყო და ის, ამის შემდეგ ერთი სტრიქონიც არ დამიწერია, რადგან ამასობაში მართლაც დავრწმუნდი, მწერლობა გველებზე ნადირობაზე უფრო ძნელი რომ არის.

ამ უკანასკნელ წელს კითხვას მივყავი ხელი, საესე ხურჯინით

ჩამომქონდა ტფილისიდან წიგნები. ამდენმა კითხვამ უარესად ამიცრუა წერაზე გული.

მართლაც იმდენი შესანიშნავი რამ დაწერილა ამქვეყნად, აგრე მგონია, უთუოდ თავხედებია ისინი, ვინც ხელადებით ჭამდენ წერას. თავხედობა და ფულის სიყვარული ამოძრავებს ალბათ მათ, როცა კალამს აწობენ მელანში.

ამ დილით ერთმა მონადირემ ახალი გაზეთი ჩამომიტანა ტფილისიდან, კაცმა რომა სთქვას, მე ამ გაზეთის საჩვენებლად შემოგიარეთ", ესა სთქვა ნიორთავამ, დაჭმუჭნული გაზეთი ამოიღო უბიდან და წინ დაუგდო კორინთელს.

„ჩემი მოკლე ჭკუით, აგრე მგონია, ფაშისტები ისე გაზულუქდნენ, ომში გაგვხვევენ უთუოდ.

და თუ ეს მოხდა, არ გაგაცინოს, ჩემო ბატონო, ჩემისთანა ნაცარქექიას ქადილმა: შესაძლოა არც მიმიღონ არმიაში, როგორც პრტყელტერფიანი, მაგრამ მოხალისედ წავალ. ვინ იცის, ეგებ ამიხდეს ჩემს სიჭაბუკეში დანაქადი და პაპიჩემის სისხლი ავიღო"...

უკვე რიერაკი იწყებოდა, როცა კორინთელი წისქვილიდან გამოვიდა. მან ყური არ ათხოვა მასპინძლის ვედრებას: კიდევ დაყოვნდი მცირე ხანს, ხელახლა შევწვავო მწვადებს.

ნიორთავა ისევ შებორიალდა წისქვილში. გამოიტანა ხანჯალი, რევოლვერი და გაზეთი. კორინთელს ვერ გაეგო, თუ რად დასჭირდა ეს ყოველივე მასპინძელს?

ნიორთავამ კედელზე გააკრა გაზეთი, მის გასწვრივ ხანჯალი მიწაზე დაარჭო. მერმე ოციოდე ნაბიჯი გადაზომა, დაიჩოქა და ესროლა. როცა ტყვიის ნამსხვრევები შავ წერტილებად შეასხდნენ კედელზე აკრულ გაზეთს, აღტაცებული მიეჭრა პროფესორს.

„ხომ სცოდნია სროლა გველიჭამია ნიორთავას? ჰი, ჰი... წერა ვერ ვისწავლე, ბატონო პროფესორო, მაგრამ რაც შეეხება სროლას, ნიორთავა მოგიკვდეს, ფაშისტებს თუ არ ვაჯობო ამ საქმეში, ჰი, ჰი... ეს დამბაჩა რომ ჩემთვის მოეცა ამ ოჯახქორ ლესნერს, იმ დღეს უთუოდ მოვკლავდი იმ გიურზას, ხომ გჯერა, პროფესორო, ჰა?"

*

ვისაც ალაზნის პირას წისქვილებსა და მეკამეჩეთა ბინებში ღამე უთევია, მხოლოდ მან იცის, თუ რა მშვენიერია განთიადი ალაზნის ველზე...

ჭაობებიდან და ფშანებიდან ზანტად დგებოდნენ ნისლის ფრთი-

ლები, იხვების გუნდები შავი წერტილებით წინწკლავდნენ სადაღის ცას.

მზეს მთებს გადაღმა უკვე დაედგა ოქროს კარავი, ჯერ-ჯერობით ბიბლიოთეკა
რი გადაკვროდა ღრუბლების ქულებს.

მხნედ მიყვებოდა გველეთისკენ მიმავალ დამრეცილ ბილიკებს ღამენათევი კორინთელი. ერთადერთი ფიქრი ღიმღამობდა მის გონებაში: როგორ გადაიტანაო ციების შემოტევა გასულ ღამეს სუსქია მინდელმა?

მტკუანს კარამდე მიჰყვნენ...

ცხოვრებაში ხანდახან აგრე ხდება: როგორც უსიამო, ისე სასიამოვნო ამბებიც ზედიზედ წაეწყობიან ხოლმე ურთიერთს.

იმ დღეს, როცა გოდერძი ელანიძე კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს, მოხდა მერგოლურის, ნუნუ უჯირაულის დაწინაურება, იგი ბრიგადირად გამოჰყვეს.

ნუნუ დაჟინებით ეევედრა თავის ამომრჩევლებს, ნუ დამაკისრებთო ასეთ მძიმე მოვალეობას, ამდენ საქმეს თავს ვერ გავართმევო.

მიუხედავად ამისა, საერთო კრებამ მისი განცხადება არ შეიწყნარა და ერთხმად აირჩია იგი.

ბერმუხის კოლმეურნეობამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა როგორც მეევნახეობაში, ისე მემინდვრეობაში, მხოლოდ მეცხოველეობა ჩამორჩა იმ გარღვევებისა და უყაირათობის მეოხებით, რომელთა გამო პროკურატურას გადაეცა მეცხვარეთა ბრიგადირის, აბრია უჯირაულის საქმე.

ახალმა მოსავალმა, სამასამდე შრომადღემ და ორგზის მიღებულმა პრემიალურმა ნუნუს საშუალება მისცა ფეხზე წამოეყენებინა წაქცევაზე მიმდგარი მამისეული ოჯახი.

ნუნუს მამა, გობრონ უჯირაული, თავისი მეორე ცოლის, ქეთუას ხუშტურებს აყოლილი, დღენიადაგ ოცნებობდა ტფილისში გადასახლებაზე, გაყიდვას უპირებდა სახლსა და გომურს, ამიტომაც მათ შეკეთებაზე არასოდეს უფიქრია.

სახლს იმდენი აწვიმა წლების განმავლობაში, კაკუტები დაულპა და სერაბახი ჩაექცა, ხოლო გომური ფრთამოტეხილი ბატივით დააფრაკებული იდგა და ძლივს უმკლავდებოდა ქარების შემოტევას.

სულ ერთი თვის განმავლობაში ნუნუმ სახურავი განაახლებინა, ვომური დაარღვევინა და ხელახლა ააგებინა ოსტატებს.

ქეთუა გააცოფა ნუნუს მიერ ეგზომ „ვაჟური თავიანობის“ გამოჩენამ. ქეთუას სულ სხვა გეგმები ჰქონდა: უკეთუ ნუნუს კობერიძეს მიათხოვებდნენ როგორმე, თავათ ეწადა მთელი სახლ-კარის გაყიდვა და ტფილისს გადაბარგება.

ნუნუს მიერ კობერიძისათვის მტკიცე უარის „ქალურ გაპრანჭვად“ სთვლიდა, რადგან თავათ ვერც კი წარმოედგინა, თუ რომელიმე ქალი ცოლობაზე უარს ეტყოდა „ისეთ მდიდარს, ახოვანსა და ლამაზ ვაჟკაცს“, როგორიც იყო კობერიძე.

ქეთუა უკვე ხედავდა, რომ ნუნუს მიერ სახლ-კარის შესაკეთებლად გაწეული ხარჯი უფლებებს უმატებდა მას მამისეული ოჯახის შენარჩუნების საქმეში.

ნუნუს და გოდერძის რომანის გამო იმდენი იჭორავეს ქეთუამ და მეზობლიანთ მარუამ, რომ ბერმუხელები გოდერძის ოფიციალურ საცოლედ სთვლიდნენ ნუნუს.

ქეთუა და მისი ამყოლ-დამყოლნი აგრე ვარაუდობდნენ: სანამ გოდერძის სულით ავადმყოფი მამიდა ცოცხალი იყო, ნუნუს შინ ვერ მიიყვანდა საქმრო, თუნდაც საცხოვრებელი ფართობის უკმარობის გამო.

ამიტომაც მათ ეჭვი არ ეპარებოდათ: ნუნუ ზედსიძედ მოიყვანდა გოდერძის, რამდენადაც მალხაზს, გობრონისეული ოჯახის „ნამდვილ მემკვიდრეს“, შუშუტად სთვლისო.

აგრე ასკვნიდნენ ხელაღებით ისინი, მიუხედავად იმ უფაქიზესი მზრუნველობისა, რომელსაც იჩენდა ხოლმე ნუნუ თავისი ბნედიანი ძმის მიმართ.

ქეთუას მხარს უჭერდნენ ამ შემთხვევაში უჯირაულთა უხუცესები: აბრია, ლუო, უთი და ფოცხვერი უჯირაულები.

ისინი ქალს შესაქერეროდნენ როგორც „ოჯახიდან მიმავალს“, ამიტომაც გობრონისეული ოჯახის კანონიერ და ერთადერთ მემკვიდრედ მალხაზს სთვლიდნენ.

გოდერძისადმი ცხოველური სიძულვილით დაბრმავებულმა უჯირაულთა გვარის თავკაცებმა შეიძაგეს ნუნუ, გოდერძის „სათრეველა ხასასა“ და „გვარის შემრცხვენელს“ უწოდებდნენ მას.

ყოველი დროის ცილისმწამებლებს კარგად სცოდნიათ, რომ ადამიანის უსასტიკესად დასჯა მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მას სწორედ იმაში დასდებენ ბრალს, რის წინააღმდეგაც თავათ იბრძვის იგი.

გოდერძის ინიციატივა იყო აბრიას პასუხისგებაში მიცემა, ბოლოს, გოდერძის თავმჯდომარედ გაყვანის შემდეგ, უსასტიკესი ზო-

მები ჩაატარეს სოციალისტური ქონების მიმთვისებელთა წინააღ-
მდეგ.

არც ის გამოპარვიათ ცილისწამებლებს ოდესმე, რომ უდიდესი
და უმტკნარესი ცილისწამებისაგან შესაძლოა უმცირესი ჩრდილი
მაინც მიადგეს მას, ვისაც ცილი დასწამეს.

ეს ამბავიც მინიშნებული ჰქონდათ უჯირაულთა უხუცესებს:
თუ გსურს ღირსეულს მიაყენოთ ჩრდილი, უღირსის ქებას უნდა
მიჰყო ხელი.

ვიდრე თედო თარალაშვილი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ
იყო, მუდამ მის ლანძღვაში იყვნენ როგორც აბრია, ისე დანარჩენი
მოხუცებული შავსოფლელები: „ბეყეირათს", „უქნარას", „შუშუ-
ტას" ეძახდნენ მას: მაგრამ როგორც კი გადააყენეს თედო, მათ
ერთბაშად კეხი შეაბრუნეს და მრავალი სიქველენი მიაწერეს თე-
დოს.

ახლა აგრე ამბობდნენ: თედო დიდი „ხელმომჭირნე", „შორს-
მჭვრეტელი" თავმჯდომარე იყო.

ყიამყრალებმა პირი შეჰკრეს ერთობლივ, დაბეჯითებით ამტკი-
ცებდნენ: ორასი შრომადღე ზედმეტი გამოუწერა გოდერძიმ ნუ-
ნუს, სწორედ ამის მეოხებით შესძლო ამ უკანასკნელმა სახლისა
და გომურის შეკეთება.

ქეთუას, აბრიას და სხვა შავსოფლელებს აჰყვა ნათია თარალა-
შვილი, გოდერძისადმი უნუგეშო სიყვარულით გაბოროტებული:
ისეთ ფანტასტიურ ამბებს თხზავდა ნათია გოდერძისა და ნუნუს
ღამეული შეხვედრების გამო, რომელთა გამოგონება მრავალნაცად
რომანისტსაც გაუძნელდება.

ნოემბრის დამლევს გოდერძი ელანიძე ყვარელში გაიძახა რაი-
კომის მდივანმა მეცხოველეობის თათბირზე დასასწრებლად.

იმავე დღეს მევენახეთა თათბირზე თელავს წარგზავნეს ბერმუ-
ხის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ცისკარიშვილი,
ბრიგადირები: შველა გაბადაიძე და ნუნუ უჯირაული.

ქეთუამ, მარუამ და ნათიამ ხმა დაარხიეს ბერმუხაში: გოდერ-
ძიმ და ნუნუმ მივლინება მოიმიზეზეს, ტფილისს გაიპარნენ, რათა
საწოლები, ბუფეტი და რბილი ავეჯი ჩამოიტანონო ახალი ოჯახი-
სათვის.

შემთხვევითობა უცნაურ როლს ასრულებს ადამიანთა ყოფა-
შიაც. სწორედ იმ დღეს, როცა ნუნუ თელავიდან ბერმუხას უნდა
გაბრუნებულიყო, მის მიერ სამი წლის წინად შეძენილმა ობლიგა-
ციამ ათი ათასი მანეთი მოიგო.

სიხარულისაგან ცას ეწია ქალი. თელავში მან მართლაც იყიდა

საწოლები, მაგიდები, სუფრა, სკამები, საზაფხულო- და საზამთრო ტანსაცმელი, ტუფლები, კაბები და წინდები, დიდძალი საჩუქრები მალხაზისათვის.

სატვირთო მანქანის შოფერი აიყვანა და ვიდრე [illegible] და ბრიგადირები სოფელში ავტობუსით მიბრუნდებ[illegible] [illegible] მოასწრო მათ.

როცა მანქანა ეზოში შემოვიდა, ქეთუა ძროხას წველიდა ბოსლის კართან.

ქეთუას სული ყელში მოებჯინა. უნდოდა საქმისათვის ხელი შეეშვა და მყისვე გაქცეულიყო შინისაკენ, მაგრამ ბოსლის. მახლობლად მოჩალიჩე ღორს ველარ ანდო რძიანი კასრი.

ქეთუამ სწორედ მაშინ შემოუსწრო ნუნუს, როცა მას ჩემოდნიდან ამოჰქონდა მალხაზის საჩუქრები: საზამთრო პალტო, ბლუზა, შარვალი, ფეხსაცმელები, კალოშები და ერთი ცხენჯოხი.

მალხაზმა არაფრად ჩაიგდო ფრიად საჭირო ნივთები, მხოლოდ გაპრიალებული კალოში ჩაიცვა შიშველ ფეხზე, გამალებულად ეცა ცხენჯოხს და უკვე შეღერებული ყმაწვილი აღტყინებული შემოახტა ზედ.

ფქვილში ამოთხვრილი ქეთუა გაოგნებული იდგა, აღარ იცოდა: სიცხადე იყო ეს თუ მოჩვენება?

შოფერი უკვე წასულიყო, მალხაზისაგან ვერაფერს გაიგებდა, აღარ იცოდა რა ექნა, რა მოემოქმედნა? თავათ ნუნუს ვერაფერი გამოჰკითხა, რადგან დაუბრებული იყო მასთან.

ამ დაუბრებას თავისი მიზეზიც ჰქონდა. სწორედ იმ ღამეს, როცა კობერიძეს სცემა კანკრემ, გვიან შინ მიბრუნებულ ქეთუას ნუნუმ დაბეჯითებით მოსთხოვა:

დაუყონებლივ მოეძებნა კობერიძე და მის მიერ ნუნუსთვის მოტანილი საჩუქრები უკან დაებრუნებინა მისთვის.

ქეთუა დაჰპირდა: თავში მივახლიო კობერიძეს თავის ჭინჭებს, ბოლოს წაიღო კიდევაც ისინი სადღაც.

ნუნუმ შენიშნა: ქეთუამ ისევ მოიტანა ეს ნივთები შინ. ხან ერთ კაბას გადაიცვამდა, ხან მეორეს, ხოლო ტუფლებს უკვე მოქცეული ჰქონდათ ქუსლები.

ეს იყო და ეს, ამ დღიდან ნუნუს ხმა არ გაუცია დედინაცვლისათვის.

მეზობლიანთ მარუას პირით ასეთი მობოდიშება შემოუთვალა ქეთუამ გერს: ნუნუს რა ესაქმება, ეს საჩუქრები კობერიძემ მე მიფეშქაშაო.

ასეთი „გაუგონარი სიმდიდრის" საკუთარი თვალით მხილველ-

მა ქეთუამ უკვე დაბეჭითებით ირწმუნა მის მიერვე მოჭორილი ამბავი — გოდერძიმ უკანონოდ გამოუწერაო ორასი შრომადღე ნუნუს.

სული ყელში მოებჯინა, აღარ იცოდა პირველად ვისთვის ემცნო ეს ყოველივე. სასწრაფოდ შეინახა რძიანი კასრი და მარუასთან გაიქცა.

ქეთუა გამალებული მიდიოდა ჩამობნელებულ, უკაცრიელ შუკაში, ეზოებში ნელ-ნელა წყდებოდა ადამიანების ჩქამი და საქონლის ბღავილი.

ქეთუა ნატრობდა: მარუასას მისვლამდე თუნდაც ერთი ნაცნობი შეხვედროდა და თავისი გულისჭირი გაეზიარებინა მისთვის.

ორიოდე კომკავშირელი გზაში შეეჩეხა, კრებიდან მოდიოდნენ. მაგრამ რა აზრი ჰქონდა მათთვის გულისტკივილის განდობას.

მარუას ეზოში ჭაჭანება არ ისმოდა, ქოხიდან ძაბუნი სინათლის ბეუტვა მოდიოდა.

ეზოსთან მისულმა ერთი დაიძახა „მარუა". გაავებული ძაღლი მოვარდა ჭიშკართან, ყეფა აუტეხა სტუმარს.

ქეთუამ კარგად იცოდა, რომელიღაც მოხულიგნო შოფრის მანქანამ რომ გაიტანა მარუას ძაღლი; ბევრს ეფერა შორიდან ახალს, მაგრამ მყეფარი არ აპირებდა ლმობიერების გამოჩენას, უარესად გაავებული უტევდა ქეთუას.

ერთი მიაწყევლა ქეთუამ იმ „სულელ მარუას", ნიფხავიც არ აცვია და რომელი მემამულე ისა მყავს, მეორე დღესვე ძაღლი გაიჩინაო.

ახლა ნათიას სახლისკენ გაეშურა.

აქაც მოსდია „უიღბლობამ" ქეთუას. ნათია და მისი მეგობარი ელიკო, კინოდან შინ მობრუნებულნი, ახალი ფილმის გამო საუბრობდნენ.

ოთახში საამურად გუგუნებდა თუნუქის ღუმელი. ქალები გარს უსხდნენ და წაბლს სჭამდნენ.

ნათიამ წაბლი შესთავაზა ახლადმოსულს, მაგრამ დანა პირს არ უხსნიდა ქეთუას, უკანვე დაუბრუნა წაბლით სავსე თეფში.

„რა მოგსვლია ქა, რად ჩამოგტირის თავ-პირი?"

„არაფერი, შეუძლოდა ვარ, გო", იცრუა ქეთუამ.

ქეთუა გაავებული შესცქეროდა ელიკოს, რას უცდის ეს გომბიო, რად არ წაშავდებაო? ქეთუას გულში შიშხინებდნენ წარმოუთქმელი სიტყვები სიავისა და ძაგებისა...

აგრე ეგონა: სადაცაა გული გაუსკდებოდა და ის სიტყვები თავისთავად ამოხტებოდნენ მისი თხელი, სიფრიფანა ტუჩ-პირიდან.

ელიკო იჯდა და ახალ ფილმში ნანახ კაბებსა და ტუფლებს აქებდა, მათ უკანასკნელ მოდად სთვლიდა იგი. ქეთუამ ჯერ უგუნებოდ უსმინა ამ ხოტბას, მერმე სახეში შესცინა ნათიას და უთხრა:

„სწორედ ასეთი მაკინტოში, ასეთივე კაბებ[illegible] ტუფლები ჩამოიტანა ერთმა ქალბატონმა წელან“.

ვინაო? დაინტერესდა ნათია.

„არაფერი, მერმე გეტყვი“. სთქვა მიკნავებული ხმით ქეთუამ.

ელიკო მიხვდა — ქეთუა რაღაც „დიდი საიდუმლოს“ საუწყებლად მოსულაო, მაჯის საათს დახედა და წასვლა დააპირა. ნათია წამოეპოტინა თავის მეგობარს მკლავზე, დაჯექიო ცოტახანს. ისევ შესთავაზა ცხელი წაბლი.

ქეთუას გული უთრთოდა, ვაითუ სტუმარი კიდევ დარჩესო, კარებამდე მიაცილა ნათიამ ელიკო და ამ დროს გასქდა ღადარში ჩაგდებული წაბლი.

„უამე!“ იყვირა ქეთუამ და სკამიდან გადავარდა.

როცა ნათიამ წყალი ასვა სტუმარს და მოასულიერა, ქეთუამ სთქვა:

„აგრე მეგონა, თოფი გავარდა-მეთქი, გო“.

„რა მოგვიდა, ქა, ეგრე რამ შეგაშინა?“ უთხრა ნათიამ და ხელახლა მიაწოდა ქეთუას წყალი.

„გული საგულეს აღარა მაქვს, გო, სულ უსიამოვნებაა“...

„რა იყო, რა მოხდა?“ იკითხა ნათიამ.

„ხომ გამართლდა ჩემი ნათქვამი. გაწკიპული მანქანით ჩამოიტანა ნუნუმ უამრავი ავეჯი, ათასგვარი კაბები და ტუფლები, სწორედ ისეთი ფასონის, როგორც კინოში გინახავთ წელან“.

და მოჰყვა ქეთუა ამ „აურაცხელი“ სიმდიდრისა და კაბების „ფასონების“ აღწერას.

„ნუ მკითხავ, ნუ მკითხავ, რა და რაგვარი მაკინტოშები, რა საწოლები, რა სუფრები მოიტანა. კობერიძის საჩუქრები ვის დაკარგვია, ზღაპრებში თუ გამიგონია ისეთი სიმდიდრე...

იმდენი რამ ჩამოათრია, და მხოლოდ ერთი გატყავული ხის ცხენი ჩამოუტანა ავადმყოფ ბავშვს“, ამბობდა ქეთუა.

ნათია გაშრა და სიტყვა ვერ დასძრა, ხოლო ქეთუა გამალებული აჭარტალებდა ენას:

„აბა რა გგონია, გო, აგრე კარგია კოლმეურნის თავმჯდომარის მოფერება. შენც ბევრი გსდია გოდერძიმ ბედი კარზე გადგა, მაგრამ გაიპრანჭე, ახლა მოდექი და სდიე შენს ელიკოს და მეზობლიანთ თინიას.

რა გამოდის გომბიოებთან მეგობრობისაგან: რა ენაღვლება გოდერძი ელანიძეს, ჩვენს ნაოფლარს თავის საყვარლებს უწერს.

ხუმრობაა ორასი შრომადღე? განა შენ ნაკლებად შრომობ? მე თედო თარალაშვილს არ გავყავდი ფართობზე; რაც გოდერძი დანიშნეს, ახლა გავყავართ.

შარდის ბუშტის ანთება მაქვს, მაგრამ ვინ დაეძებს: მაინც გავყავართ ფართობზე ავადმყოფი ბავშვის პატრონი".

ქეთუას არ დასცალდა გოდერძისა და ნუნუს ძაგებით გულის მოოხება, მეზობლიანთ თინიამ შემოჰყო თავი.

ქეთუამ კარგად იცოდა, რომ თინია გოდერძის შორეული ნათესავი იყო, შეეშინდა: ვაითუ თინიამ გამთქვასო, ხმა ჩაიკმინდა და წაბლს დაუწყო კვნეტა. როცა თინიაც მადიანად შეექცა წაბლს, ქეთუა გულამრეზილი წამოდგა.

„რა გეჩქარება, მაიცა, ქა", მიაძახა ნათიამ; არც იგი იყო მაინცდამაინც კმაყოფილი სტუმრის შემოსწრებით, რადგან გული მოოხებული არა ჰქონდა გოდერძისა და ნუნუს ძაგებით.

„აბრიასთან საქმე მაქვს", მოიბოდიშა ქეთუამ.

„მაშ კარგი, შესაძლოა მეც გამოვიარო გვიან", წაიდუდუნა ნათიამ და კარამდე მიაცილა სტუმარი.

ღელვისა და ქოთქოთისაგან ქანცმილეული იყო ქეთუა, ერთი ახედა აბრიას სახლისაკენ მიმავალ ცერაღმართულ შარას, ძლიერ დაეზარა ამ სიბნელეში გზის განგრძობა, მაგრამ გრძნობდა, გული შეჯერებული არა ჰქონდა ბილწსიტყვაობით და ოფლში გაღვარული შეუდგა აღმართს.

აბრიას ეზოში საოცარი გნიასი ასტეხეს ცხვრის ბომბორა ძაღლებმა, იერიში მიიტანეს სტუმარზე, მაგრამ როგორც კი მათ მეთაურს მოესმა ალერსიანი „ბროლავ", კუდის ქიცინი დაიწყო და დანარჩენებმაც დაზავება არჩიეს.

შუაცეცხლს მიჯდომოდნენ აბრია და მისი ძმები. უზარმაზარი ქვაბი იდგა სამფეხზე, ღორის შიგნის საამური სუნი ეცა ქეთუას. ახლად გატყავებული ღორი ეკიდა შუა ცეცხლის მახლობლად, კაჩხაზე.

დიასახლისი დაფათურობდა, დაბალ სუფრაზე ალაგებდა დედას-პურებს. როცა მან ქვაბიდან ამოიღო ორთქლიანი ჯიგარი და სუფრაზე დაალაგა გულ-ღვიძლი, ელენთა და ფილტვები, უცნაური შიმშილი შეიცნო ქეთუამ.

ახლადმოსულმა წაუსწრო ძმებს შორის ატეხილ პაექრობას ახალი სენსაციური ამბის გამო. ეს ამბავი შეეხებოდა თეთროს შინიდან გაქცევას.

აბრია გაავებული ბრდღვინავდა: როგორ გაბედაო ჩემმა შვილიშვილმა თეთრომ ჯერ შინიდან გაქცევა და მერმე ლალბაწასთან ხელისმოწერა. უფრო „საზარელ“ ამბავს ჰყვებოდნენ ისინი: თურმე თეთრო ხუთი თვის ორსული ყოფილა, როცა ლალბაწასთან ხელი მოუწერია; ჭინჭებით ჰქონიაო მუცელი აკრული.

ფოცხვერი უფრო ზომიერად მსჯელობდა:

„სტეფანე მარტიაშვილი არც თუ ურიგო კაცია. ლოთობას მოეშვა, ახლა კოლმეურნეობაში კარგადა აქვს საქმე, ორას ორმოცდაათი შრომადღე მოაგროვა. მალე ბრიგადირი გახდება, თეთროს ერთნაირი დანაშაული ეგაა, პირველ ქმარს რომ გაექცა“.

აბრიამ გაჰგლიჯა ღორის გული, თავისი ძალოვანი ღოჯებით დაღეჭა ლუკმა, მადიანად გადასანსლა და მერმე შეუღრინა ძმას:

„რას ამბობ, ბიჭავ, შენ თავათ არ იცი, რას როშავ. დიაცი უკითხავად არ უნდა გაჰყვეს ქმარს; ეგეც იცოდეთ, ვინც პაპის ან მამის უკითხავად ქმარს გაჰყვება, იგი უკითხავადვე გაექცევა ქმარს. აბა ნახეთ, თუ იმ ყლანწო ლალბაწასაც არ გაექცეს თეთრო. ყველაზე საშინელი ეგაა, ბუში რომ ჰყოლია გვამში“.

ქეთუამ თავი მოიკატუნა უჯირაულთა უხუცესების წინაშე.

„მე ერთს ვიტყოდი, პაპა აბრიავ, ქალი დიაღაც უნდა წავიდეს ოჯახიდან, რადგან დიაცს არ მართებს მამის ან პაპის ოჯახში დიდხანს მოცდა.

მამაჩემი ჭკვიანი კაცი იყო და მისგან მაქვს განაგონი: გაუთხოვარი ქალი ოჯახის წყევლაა, ამბობდა მამაი“.

„ენა დაიმოკლე, იავოჰ, — შეუბღვირა აბრიამ სტუმარს. — ჰე, ჰე, მამაშენს რომ ჭკუა ჰქონოდა, გობრონს არ გაატანდა შენს თავს.

ჩემი ძმისშვილი იყო შენი ქმარი, მაგრამ შენსავით ქარაოცი იყო მაგ საცოდავი, რამდენი ვემუდარე მას — ნუ ირთავ-მეთქი მეორეხელ ცოლს, ცოლს დიდი ცომი უნდა-მეთქი.

ჩემის იმედით მოგიყვანა... ახლა რა გამოვიდა, იავოჰ, შენ დღეს-ხვალ გათხოვდები და ის უბედური მალხაზი ჩემი სარჩენი გახდება, ხომა?“

ქეთუამ ხმა გაკმინდა, ამჯერად გუნებაში იამა კიდევაც, აბრია რჩენას რომ უპირებდა მალხაზს ქეთუას გათხოვების შემთხვევაში.

მოკრძალებულად მისწვდა შეძლეულ ელენთას, რადგან ელენთაც უყვარდა ქეთუას. მცირე ხანს სჭამდა, ბოლოს სთქვა:

„ერთი მიბრძანე, აბრიავ, მაშ ეგა სჯობს, ნუნუ რომ შინა გვყავს გაუთხოვარი, მთელს სოფელში თავი გვეჭრება, კოლმეურნეობის ფარდულებში დაათრევს გოდერძი“.

„გაუთხოვარი ქალი და გაუსვენებელი მკვდარი ერთი და იგი-

ვეა, იავოპ! მემრე შენ რა გააკეთე? კობერიძეს რად არ ვაყოლე ეგ გომბიო?

ეგეც შენი უპკუობა იყო, იავოპ, ის გადარეული კანკრეს არ დაეგეპტიენა და კანკრეს არ ეცემნა სტუმარი, ის კობერიძე, ვერ ... და ნუნუს".

„მე აგრე მეჩვენება, ქეთუა, — სიტყვა ჩააკერა უთიმ, — ის კობერიძე შენთვის უფრო გინდოდა, არა?"

ქეთუამ ლოყებზე ხელი შემოიკრა, ანგელოზები დაიმოწმა, მალხაზი დაიფიცა, კობერიძე თუ ნუნუსთვის არ მომეყვანოსო.

„არა, გამოტყდი, ქეთუა, — უთხრა აუღელვებლად ლუომ: — საჩუქრები ხომ შენ დაგრჩა, არა?"

„ნუნუმ არ მიიღო, კობერიძემ არ წაიღო, აბა ქუჩაში ხომ არ გადავყრიდი საჩუქრებს?" თავი იმართლა ქეთუამ.

ახლა „უკანონოდ გამოწერილი" ორასი შრომადღის ამბავი წამოიწყო ქეთუამ და საჩუქრებით „გაწკიპული მანქანით" ჩამოტანილი „ზღაპრული სიმდიდრე" ახსენა.

ამ ამბავმა დიდი აღშფოთება დაატრიალა მოხუცებულ უჯრაულთა შორის.

ამასობაში მოაღწია ნათიამ, დამხვდურებს მიესალმა და ქეთუას ამოუდგა გვერდით.

ფოცხვერიმ სთქვა:

„ახალგაზრდა კაცი არ უნდა აგვერჩია თავმჯდომარედ უცოლო კაცი საყვარელს გაიჩენს, აბა რაღას იზამს, ხოლო საყვარელს საფანელი უნდა, არა?"

ნათიამ დიდხანს უსმინა მოხუცი უჯრაულების ჯაჯღანს, გოდერძისა და ნუნუს ძაგებას, ბოლოს ასეთი რამ ჭანაცხადა:

„ეს ლაპარაკი ვერას უშველის საქმეს. მთავრობას მისწერეთ ეს ყოველივე, ეგა სჯობს".

აბრიამ არაყი გადაჰკრა, უცნაურად დაემანჭა სახე და დაიბუხუნა:

„მივწეროთ? ჩვენ რა უნდა მივწეროთ, გო, მე როცა ცხვარს ვითვლი, იმის ჩამოწერაც არ შემიძლია, კომბალზე ვინიშნავ ნაჭდევებს. რომელი მწერლები ჩვენა გვნახეთ!

მე რა ვიცი წერა? კითხვით დიახაც ვკითხულობ, მაგრამ მარტო წიგნის კითხვით შორს ვეღარ წახვალ. ახალგაზრდები თქვენა ხართ, შვილოსან, ბარემ თქვენ მისწერეთ თქვენს მთავრობას, შვილოსან".

„მივსწერთ, დიახაც მივსწერთ, ბაბა აბრიავ, ოღონდ თქვენ უკან არ დაიხიოთ, როცა ტფილისიდან კომისსია ჩამოვა. თქვენ რა ვგო-

ნიათ, ის ორასი შრომადღე საიდან აიღო გოდერძიმ? ყოველი თქვენთაგანის სარჩოდან, მთელი სოფლის სარჩოდან“.

ლუომ სთქვა:

„მართალს ამბობს ნათია, რა გამოვა აქ, გერის პირად, რომ ვლანძღოთ გოდერძი, ამას მთავრობა რას გაიგებს. ჩვენ რას მივწერთ, ნათიამ მისწეროს!“

ფოცხვერიმ სთქვა:

„ნუნუმ შეგვარცხვინა უჯირაულები, მაგრამ მაინც ჩვენი სისხლი და ხორცია. შენ რას იტყვი, აბრიავ, ჰა?“

აბრიამ მწარედ გაიცინა:

„რას მიჰქარავ, ბიჭავ, კარგი სისხლი და ხორცი კია! მე წურბლები დამისხამს ქეჩოზე და წამხდარი სისხლი მომიცილებია, ჰე“...

აბრიამ კიდევ გამოსცალა ერთი ჭიქა არაყი, ძმებსაც უწილადა, მერმე გაავებული, ჭრუტა თვალები მიანათა ნათიას და უთხრა:

„შენ მისწერე, ნათიავ, ყველაფერი თქვენს მთავრობას, იგემოს გოდერძიმ, თუ რა ტკბილია პროკურორის კარზე ტალახის აყენება. ჩვენ უკან არ დავიხევთ, ოღონდ შენ მისწერე, ნათიავ“. . . . . .

მ ი ნ ა წ ე რ ი:

„ტფილისიდან ჩამოსულს სახელმწიფო კონტროლის კომისსიას დიდხანს მუშაობა არ დასჭირვებია: ბერმუხის კოლმეურნეობაში ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა.

როცა ნუნუმ მოგებული ობლიგაციის ნომერი ჩააწერინა ამ კომისსიის თავმჯდომარეს, ტელეფონით შეამოწმეს ეს ამბავი თელავის შემნახველ სალაროში და ყოველივე ნათელი გახდა...

წ ვ ი მ ა

დიდხანს იმძვინვარა იმ წელს ზამთარმა. კავკასიონიდან გადმოვარდნილმა გრიგალებმა ზედიზედ დალაშქრეს ალაზნის ველი. მკაცრმა ყინვებმა დაშარტეს დურუჯის ხეობის წყაროები.

კბოდეებზე გადმოღვარული ნაკადულები ვერცხლის ლიუსტრებივით ჩამოეკიდნენ ფლატეებს.

კოლმეურნეობის საგაზაფხულო საქმიანობა საგრძნობლად შეფერხდა, გაჭიანურდა დოლი. საგაზაფხულო ხვნა ძლივს მოათავეს ტრაქტორისტებმა. ბრიგადირები და მერგოლურები ამაოდ ცდილობდნენ სტიქიის უგუნურ ბობოქრობას გამკლავებოდნენ როგორმე.

დილიდანვე ნისლი დავარდებოდა ხეობებში. ნისლში იფლობოდა არა მარტო კავკასიონი, წინკლდეებიც მოეცვა ნისლს.

ნისლი გადაეფოფრა გველეთის ზეგანსა და ალაზნის ველს, ისე რომ ჰორიზონტების დახშვამ დააპატარავა ბერმუხა, კაცს ეგონებოდა ამ პაწია სოფლის გარეშე აღარაფერი არსებობსო ამქვეყნად.

ადამიანისა და საქონლის მკრთალი სილუეტები, საზმარეულნი ქიმერებივით დალასლასებდნენ ნისლში.

მარტის მიწურულში დაიწყო თქორი, ისეთი დაჟინებული და მონოტონური, როგორც ტროპიული წვიმები.

უკანასკნელად მთლად თავაწყვეტილი ქარბორბალა გადმოიჭრა ლეკიმთიდან, ღრიალით მიჰყვა დურუჯის ხეობას. ორბები წამოჰყარა, კლდეთა ნაპრალებში მყუდროდ შეყუჟულნი.

ცხვრის ფარეხები მილეწა ხევის თავებთან, ზათქითა და ბუბუნით ეკვეთა გველეთის ზეგანს, მუქარით გადაუქროლა ნაციხარებს, ნასაყდრალებსა და ნასახლარებს.

ახალ ნაგებობათა ხარაჩოები ალაგ-ალაგ დაანგრია, უფსკრულში გადაუძახა ქარაფების კიდეებზე მდგარი ახწლოვანი მურყანები, ეკვეთა ალაზნის პირად განმარტოებულ ბერმუხას, ორიოდე შტო კიდევ ჩამოლეწა, კოლმეურნეობის ფარდულებს სახურავი გადააძრო, ბრესავით აისროლა ყავარი ჰაერში.

გზა გადაუჭრა ალაზნისკენ მომფრინავ წეროებს, მხედრული წესით გაწკაპულნი რომ მოფრინავდნენ ცაში, მათი სასომიხდილი ყივილი გახმიანდა ეთერში.

საღამოს დაიწყო ტლაშუნა მერეხი, ნიაღვრები დაიძრნენ მთებიდან ზათქით, ამომშრალ ხევებსა და ნაღვარეებს მიჰყვნენ. წყლით გაივსო ირმის ტბის კალაპოტიცა, ელსადგურის შლიუზები დააზიანა წყალმა, სამ ადგილას გაარღვია ბეტონირებული სამარქაფო არხი.

მთელი ღამე არ ეძინა დაზაფრულ გოდერძის, მისი მღელვარება პაპა მიქელასაც გადაედო; გარიჟრაჟზე ოდნავ წაეძინა ვაჟს, ჯოხის რაკუნმა გამოაღვიძა იგი.

პაპა მიქელა ნერვიულად დადიოდა ოთახში, არაკუნებდა ჯოხს, მიდიოდა ფანჯარასთან, ამაოდ აშტერდებოდნენ მისი ღამენასვამი თვალები ვაგლახად მოღუშულ ცას, წვიმებით მოქადულ ღრუბლების სქელ ჯიქნებს.

გული აუჩქროლდა ამ სანახაობის შემყურე გოდერძის, ხმაგაკმენდილმა საბანი გადაიხურა თავზე.

პაპა მიქელა ეუბნება ბაბლიას:

„დავიღუპეთ, ბაბლია, წრეულს თუ ცუდი მოსავალი გვექნა, გოდერძის ჩამოართმევენ თავმჯდომარეობას“.

ამ უკანასკნელ სიტყვას ისე წარმოთქვამდა უსინათლო პაპა, თითქოს მთავრობის თავმჯდომარე ყოფილიყო მისი შვილისშვილი.

გოდერძის გული ატკინა პაპა მიქელას სიტყვებმა. დანდობილად წამოდგა.

რამ აგაყენაო ასე ადრე? უსაყვედურა პაპას. [illegible] ცხლი გააღვივა, ხელისგულები მიაფიცხა უსიამოდ შემცივნებულმა.

შესჩივოდა პაპა მიქელას:

„რაღა ახლა უნდა მოხდეს მაინცდამაინც ყოველივე უბედურება? ჰა? ჯერ დოლიც არ მოთავებულა ფერმებში, ასიოდე ბატკანი ნიაღვარმა დამიხრჩო, საბძლები მილეწ-მოლეწა ქარმა, რამდენიმე ტონა ბზე მოგვტაცა, ეგ კიდევ არაფერი, შენ ეგა სთქვი, ახლადჩაყრილი ვაზები თუ გადაგვირეცხა ღვარმა.

გუშინღამ კოოპერატივის წინ დამდგარიყო აბრიკოსავსიტყვა. მოშაინობდა: ნახეთ რა დღე აყაროსო ბერმუხის ზვრებს მთებიდან დაძრულმა ნიაღვრებმა“.

„ნუ დარდობ, შვილო, — ეუბნებოდა მიქელა, — ლელმა მხოლოდ წინკლდეებში თუ იქნება დაწყებული, ლეკიმთაზე ჯერაც ყინვები მძვინვარებენ ალბათ.

თუმცა ვინ გამოიცნობს განგების ნებას: წრეულს იმდენი სთოვა, შესაძლოა წყალდიდობა იქნეს ზაფხულში, მაგრამ ღმერთი მოწყალეა, შვილო, განა ცოტა ნიაღვრებს გადარჩენია ქვეყანა მშვიდობით.

ეჰა, სადა ხარ, ჩემო დავსილო თვალის სინათლევ, ერთხელ მაინც მომავლებია კავკასიონისთვის თვალი, წამსვე გეტყოდი, წყალდიდობა გვექნება თუ არა წლეულს“.

ერთ კვირასაც არ გაუვლია იმ დღიდან, ქარბორბალა ჩადგა, ხანგამოშვებით თქორავდა დილაობით, ბოლოს როგორც იქნა გადაიკარა, მსუბუქი ქარი დაერია ღრუბლებს, ლეკიმთისკენ მიხერგა ისინი.

ორიოდე კვირას თავგამეტებით იმუშავეს ბრიგადირებმა, მერგოლურებმა და კოლმეურნეებმა, რათა მინდვრის სამუშაოები დროზე მოეთავებინათ, ვაზნარებში მინერალური სასუქის შეტანა, ბარვა, გასხვლა, ვაზის აკვრა მოესწროთ კვირტის დაძვრამდის.

*

ქეთუასა და მოხუცი უჯრიაულების მიერ ატეხილი მითქმა-მოთქმის მეოხებით გოდერძი და ნუნუ დაუბრებულებივით ხვდებოდნენ კოლმეურნეობის ფართობებზე ურთიერთს. იმასაც კი ერიდებოდნენ, მუშაობის მოთავების შემდეგ ერთად მიბრუნებულიყვნენ სოფელში.

ნუნუს და გოდერძის დათქმული ჰქონდათ ბერმუხის ქვეშ შეხვედროდენ ერთმანეთს დღის ბოლოს, შაბათს.

სანერგე ფარდულიდან გამოდიოდა გოდერძი, სწორედ ამ დროს თედო თარალაშვილი შემოეყარა წინ. თედო მთელი [illegible] ში იყო, ამიტომაც განსაკუთრებით გაუხარდა მისი [illegible] დერძის.

„გამხდარხარ, გოდერძი, რა მოგსვლია, ბიჭო?“

„დავიღალე, ძია თედო“, წაიდუდუნა ვაჟმა.

„ششش, აგეთი რაიმე არ გამაგონო, ყმაწვილო, დაღლა და დაღონება არც უნდა დასცდეს პირიდან ვაჟკაცს. შენი ჯანი და ჯეელობა მომცა, სპეროზიას მთას გადავახტები, ჩემმა მზემ“.

„არა, ძია თედო, მომეტებული ტვირთი დამაკისრეს, მართალი გითხრა, მეშინია თავი ვერ გავართვა ამოტოლა საქმეებს და შევრცხვე.

მე შენოდენა რევოლიუციური დამსახურება როდი მაქვს, „განთავისუფლება“ რომ მაკმარონ, ბოლტივით მომაძრობენ და პირად საქმეშიაც ჩამიწერენ, მორჩა და გათავდა. ამ ავდრებმა და ქარებმა მთლად მოგვითავეს ხელი, დიდი ზარალი მოგვაყენეს, ალბათ, გაიგებდი“...

„ნუ წუწუნებ, ჩემო გოდერძი, პარტია ბრძენია, შვილო, კაი ქნეს, მაგრად რომ დაგტვირთეს, ახალგაზრდებმა უნდა იმუშაოთ, აბა ჩვენისთანა საბრინჯე ბებრებმა რა უნდა გავაწყოთ.

სამ წელიწადს ვეღმერთე ციხისთავს, დავბერდი, დავსნეულდი-მეთქი, ჯანი აღარ მაქვს-მეთქი, მაინც არ მომეშვა.

მერმე ის იყო იმ წყეულ აბრიას საქმეზე წავიტეხე ფეხი. ვენახის გონიერი მსხვლელი არასოდეს ნაძველარ რქას არ დაენდობა, ნორჩ რქებს სტოვებს სანაყოფოდ და სამამულოდ...

შენ ახლა დიდი სიფრთხილე და სიფხიზლე გმართებს, გოდერძი, ჩემი ნაუბარი მიინიშნე, იცოდე, კაცის ვაჟკაცობა ორ რამეში გამოჩნდება ხოლმე:

როცა მას დააწინაურებენ, და როცა მას დააქვეითებენ; ორივე შემთხვევაში გონიერება და მხნეობაა საჭირო, არა მარტო მხნეობა, თავმდაბლობაცა, შვილო.

ჩემს შეცდომებზე შენ უნდა ისწავლო, შვილო, საზოგადო საქმეში მამაშვილური მოპყრობით ფონს ვერ გახვალ თურმე, დანდობილად ნურვის მიანდობ საქვეყნო საქმეს და ქონებას.

ბრძენკაცს უთქომს: ფრთხილი იყავ — შინაც იყვეო, შენი საკუთრება ვისაც გენებოს იმას მიანდე, თუ მოგატყუებს, ეგ არის და ეგ, საბოლოო ანგარიშში შენ ერთი დაზარალდები.

როცა საზოგადო ქონებას განუკითხავად მიანდობ სხვას და მოგატყუებენ, აქ ორგვარი ზარალია: როგორც შენი, ისე საზოგადოების; ამას ემატება სახელის გატეხა და სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო, ეგეც გსმენია ალბათ.

ჩვენი უბედურება ისაა, ბევრი რამ თეორიულად ვიცით, მაგრამ წიგნებში ამოკითხული სიბრძნე ცხოვრებაში ვერ გამოგვიყენებია.

ყოველ კაცს რომ შეეძლოს ამოკითხული და განაგონი სიბრძნის გამოყენება, მაშინ ერთ მშვენიერ დღეს დავბრძენდებოდით ყველანი და არც ამდენი ლექციები დაგვჭირდებოდა, არც ამდენი კრებები და ჩიჩინი.

მე ეს ყოველივე ადრეც ვიცოდი, მაგრამ მაინც მომატყუეს; კიდევ კარგი, პარტია ენდო ჩემს პატიოსნებას, ჩემი სიცოცხლე არაერთხელ შემიგდია სასწორზე რევოლუციისათვის, ხალხისათვის, ალბათ იცოდნენ, ავკაცობას არ იკადრებსო თედო, თორემ ამ სიბერის დღეს მოსაკლავი მექნებოდა თავი".

თედო მცირე ხანს სდუმდა.

„ნაავადმყოფარი ვარ, მოდი, აქ დავიმუხლოთ მცირე ხანს", ესა სთქვა და წიფლის ნამორზე ჩამოჯდა, იქვე გდებული ჩხირი აიღო, ჯიბის დანით დაუწყო თლა.

„იცი, გოდერძი, ძალიან მესიამოვნა, ჩემმა მზემ: შენი კაიკაცობის ამბები გადმომცეს წუხელ, შაბათობა რომ მოგიწყვიათ თურმე შენ და ნიორთავას იმ საცოდავი ლალბაწასათვის. ქარს დაულეწიაო მისი ქოხი, ლალბაწა და თეთრო გაბედაიძეანთ გომურში ათევდნენო ღამეს".

„მე და ნიორთავა მარტონი როდი ვიყავით, ძია თედო, ბარე ორმოცი კაცი გვეხმარებოდა, სასეირო ამბავი იყო, ზოგს აგური მოჰქონდა, ზოგს ქვები, ზოგმა მინები აჩუქა, ზოგმა მზა კარ-ფანჯარა".

„სანაქებო სახლი გამოგიჭიმიათ, ბიჭებო, აფერუმ თქვენს ვაჟკაცობას! კაი ხანია უცნაურად გამოსწორდა ლალბაწა.

მე ვეღარ ვცნობილობ ამ კაცს, როგორც იქნა მოეშვა ბედოვლათობასა და ლოთობას. წინეებში მხრისთავები გადათეთრებული ჰქონდა სიმთვრალეში კირით შეთხუპნილ კედლებზე მიყუდებისაგან, ყურთასმენა არ იყო მისი ღრიალისაგან, დღენიადაგ გაბრანგული დაბორგანობდა.

მახარებს შენი კაიკაცობა, გოდერძი, ბიჭობა ისაა, შენზე დაბლა მდგარს ზევიდან რომ არ დასცქერი, საქმე ისაა, შენს სიმაღლეზე ამოიყვანო შენს ქვემოდ მდგარი, თორემ თავაწეულის წი-

ნაშე მუცელზე ხოხვასა და თავში ჩაკრულისათვის წიხლის მიყოლებას ყოველი გაიძვერა იოლად შესძლებს“.

გოდერძის ძლიერ უყვარდა თედოს ტკბილი საუბარი, მაგრამ ნუნუსთან ეჩქარებოდა, ამიტომაც მაჯის საათს ფრთხილად დახედა და წამოდგა: თედომ ეს ვერ შენიშნა, მკლავში ჩაებღუტა ვაჟს და ეუბნება:

„მე კაი ხანია რაც შენი ნახვა მინდოდა, ყმაწვილო, მაგრამ ქალაქიდან ავადმყოფი დავბრუნდი, ეს სამი დღეა ვწევარ.

დამანელა კუჭის ტკივილმა. რა იქნებოდა იმ ოჯახქორ ღმერთს უკუჭოდ გაეჩინა კაცი. კუჭია კაცთა მოდგმის უდიდესი მტერი.

ჰო, სათქმელს გადავცდი... იგიც ძლიერ გამეხარდა, შენმა მზემ, რევიზია რომ კარგად დამთავრებულა, ხომ დაესხათ ლაფი ანონიმური წერილების მჯღაბნელებს....

კიდევ ერთ საქმეზე მინდოდა გამოგსაუბრებოდი, გოდერძი, მაგრამ სწორედ გითხრა მიმძიმს...

ეს ძლიერ სათუთი საქმეა, ძნელია ადამიანის პირადულ ცხოვრებაში ჩარევა, მაგრამ ეგეცაა, მე თუ არ გითხარი, სხვა ვინ გეტყვის: მამა შენ არა გყავს და საცოდავი პაპაშენი ვერც სიკეთეს ჰხედავს ამ ქვეყნისას და ვეღარც სიავეს.

ბერმუხაში ჩამოსვლისთანავე უამრავი ახალი ამბავი დამახვედრეს რევიზიის გამო.

მე მივახალე ჩემებურად, როყიოდ, ხომ სუფთად გამოვიდა-მეთქი ამ საქმიდან გოდერძი?

ახლა გადარჩა, მაგრამ კიდევ იქნებაო რევიზია.

რევიზია მუდამ იქნება-მეთქი, ეს სახელმწიფური ღონისძიებაა და სანამ სახელმწიფო იქნება, მუდამ იქნება-მეთქი რევიზია“.

„მაინც რა უნდათ, ძია თედო, ჩემგან?“ იკითხა გოდერძიმ.

თედომ ჩხირის თლა განაგრძო და სთქვა:

„არ იცი რა უნდათ? შენ არცთუ დაუკვირვებელი ვაჟი ხარ, გოდერძი, შენი ჯეელობის მიუხედავად, ხანდახან ბრძენკაცად მეჩვენები, ჩემმა მზემ.

უჩემოდაც კარგად იცი, წარმატებას განა მარტო სიხარული მოჰყვება? წარმატებას მტრებისა და მეშურნეთა გაბოროტებაც მოსდევს ხოლმე, შვილო.

ეგეც გეცოდინება, ალბათ, განა მარტო კლასთა ბრძოლაა ამქვეყნად, ზარმაცსა და ბეჯითს შორის, რეგვენსა და ჭკვიანს შორის, უნამუსოსა და პატიოსანს შორის, საქმეში გამარჯვებულსა და საქმეში ხელმოცარულს შორის ბრძოლა წარმოებს ნიადაგ.

იმ დღიდან, რაც ადამიანი წარმატებას მიაღწევს, სახელთან ერთად მტრებს მოიხვეჭს ხოლმე.

ალბათ განაგონი გექნება ქართული ანდაზა: არ ვარგა კაცი უმტერო, მაგრამ არც მტერმორეულიო; იგიც გსმენია ალბათ: ვინც პირველი ფანდური გამოიგონა, პირველი მტერი მანვე გაიჩინაო. ჰოდა"...

აქ შესდგა თედო და გოდერძი ისევ შეეკითხა ხმადაბლა:

„მაინც რა უნდათ, ძია თედო, ჩემგან? მე ხომ არ მითხოვნია დამაწინაურეთ-მეთქი. ვერც კი წარმოვიდგენდი, ასეთი ნდობის ღირსი თუ გავხდებოდი.

მიბრძანეს და ვმუშაობ რაც შემიძლია ნამუსიანად. ნეტავი მშვიდობით გადავრჩე ამ საქმეს, სანამ ეს მარჯვენა თანა მაქვს, მუდამ ვარჩენ ჩემს უსინათლო პაპას, ჩემს საცოლეს და ჩემს საწყალ დას, ბაბლიას.

შენც კარგად იცი, უსინათლო პაპის მოვლაში სკოლის გარეგ დამირჩა ბაბლია.

მე კიდევ მემარჯვება ერთი ორი ხელობა. მფრინავების სკოლას ვათავებდი, ავად რომ არ გავმხდარიყავ. თუ დამჭირდა, სამოქალაქო ავიაციაში წავალ ბორტმექანიკოსად მაინც.

სადურგლო საქმეც არ მეუცხოვება. თუ დამჭირდა, ტრაქტორზეც დავჯდები, არც საზეინკლო საქმეს დავერიდები. „კამეჩის მოზვერი ვერ გამიძლებს შრომაში. მეტი აღარაფერი მინდა, ძია თედო"...

თედომ მწარედ გაიცინა:

„ჰა, რა უნდაო? ხომ გაიგონე, რაც წეღან გითხარი, შვილო. როცა მთავრობა კაცს აწინაურებს, ყოველი უქნარა და ხელმოცარული აგრე ვარაუდობს: ის რომ არ იყვეს, მე დამსვამდნენო მის ადგილას, აი რა უნდათ.

შენც არ გესაჭიროება ჭკუის დარიგება, გოდერძი, შესაძლოა ჩემზე მეტი აღმოგაჩნდეს ჭკუა, მაგრამ შენ ჯეელი ხარ და გამოცდილება ვერ გექნება ჩემდენი. ამიტომ გეთამამები, მამაშვილობას. იმ ანონიმურ წერილებში შენსა და ნუნუს სახელს ერთიმეორეს არ აცილებენ".

„რა თქმა უნდა, ეს ყოველივე მოხუცი უჯირაულების მოჩმახული იქნება".

„ეგეც იცოდე, იმ წერილებს, როგორც ყური გამეხვრიტა, ვიღაც ქალი უნდა სწერდეს.

ეს ხომ ხელზე შეეტყობა ნაწერს. ახლა მე ერთს რამეს გეტყო-

დი თუ საწყენად არ დაგრჩება, გოდერძი: ამ საქმეს თავი უნდა დაადგა როგორმე“.

„რა საქმეს, ძია თედო, არ მესმის“.

„მთელი სოფლის უქნარები შენი და ნუნუს შეხვედრების გამო ჭორაობენ. რა თქმა უნდა, პარტია არ გვიკარნახებს შედგომას, მაგრამ შენ ჭკვიანი ვაჟი ხარ და უჩემოდ როგორც ბრიგადირი, ასე თუ ისე შენი ხელქვეითია.

ეს საკითხი აქამდის უნდა მოგეგვარებინა როგორმე, ყიამყრალებს ჭორაობის საგანი გამოეცლებოდა ხელიდან“....

„რანაირად, ძია თედო?“

„რანაირად? ხელი მოაწერეთ, მორჩა და გათავდა“.

„განა მარტო ხელის მოწერაზეა, ძია თედო, საქმე? ქეთუას შემხედვარე მე მაგ ოჯახში ზედსიძედ არ მივალ, თუნდაც ქუჩაში რომ მოგვიხდეს მე და ჩემს საცოლეს ღამის გათევა.

ჩემთან აბა სად მოვიყვანო, ძია თედო, ცოლი; როცა მაგ უბედურ მამიდაჩემს მოუვლის, ისეთ კივილს ასტეხს, მე ტუჩებს ვიკვნეტ სიმწრისაგან.

ხოლო პაპაჩემი, კერის პირად მდუმარედ მჯდარი, თავზე წაივლებს ორივე ხელს, სანამ ბაბლია მიუსწრებდეს; თმების ბღუჯას ამოაცლის ხოლმე თითებიდან“.

თედომ ჩხირი გადატეხა ამის გამგონემ. მცირე ხანს დასცქეროდა მიწას, მერმე თავი აიღო, გოდერძის შეხედა გულდაგულ და უთხრა:

„ცხოვრებას არ უნდა შეუშინდე, ყმაწვილო, თორემ ცხოვრება ავ ძაღლსა ჰგავს ხანდახან, თუ შეკრთი და უკან დაიხიე, ბარკლებს გამოგჭამს, იცოდე. ცხოვრებას უნდა შეუტიო როგორც კი შეგიძლია, ყმაწვილო“.

„მე რა შემიძლია, ძია თედო, სანამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვარ, პაწაწკინტელა ქოხიც რომ ავიშენო, ჩემი მტერმოყვარენი ქვეყანას შესძრავენ, ფანჩატურები აიგოო.

იმ საცოდავმა ნუნუმ ათი ათასი მანეთი მოიგო ობლიგაციით, ამ ამბის შეუმოწმებლად ქვეყანა შეუყარეს, ამოაშხამეს საწყალს“.

„მაშ შენის აზრით აგრე გამოდის, ყმაწვილო, რაც კოლმეურნეობის უცოლო თავმჯდომარეებია საქართველოში, მათ შორის ვერავინ ვერც ცოლს შეირთავს და ვერც სახლს აიშენებს, არა?“

„ჩემი საქმე აგრეა, ძია თედო, და სხვების რა მოგახსენოთ“.

მცირე ხანს სდუმდა თედო, ახლა სხვა ჩხირი აიღო, თლა დაუწყო და სთქვა:

„აბა ერთ რამეს გეტყვი: მე ავიღებ ჩემს თავზე, შაბათობას

გავამართვინებ შენთვის, ერთ ოთახს მიგიშენებთ პაპისეულ სახლზე".

„ამდენი მასალა სადღა ვიშოვნო, ძია თედო?"

„ჰმ, მასალა... მე კარგად მახსოვს, როცა მიქელამ თვალის სინათლე დაჰკარგა, სწორედ იმ წელს აპირებდა ძველი სახლის დარღვევას და ახლის აგებას, მარნის გვერდით, ფარდულ ქვემ თქვენ იმდენი მასალა გაქვთ შემონახული, რატომ ორ ოთახს არ ეყოფა.

მე ძველი დურგალი ვარ. შალაშინს ვეღარ დავაჯდები, მაგრამ მეთვალყურეობას მე გავუწევ. ბოლოს და ბოლოს ათასიოდე კრამიტის მოტანა დაგვჭირდება, ეგ არის და ეგ".

გოდერძიმ თავი ჩაჰქინდრა.

„ჰო, მაგრამ შენი შეწუხება, ამდენი ხალხის შეწუხება"...

„სამაგიეროდ მთელი სიცოცხლე უნდა ემსახურო ჩვენს ხალხს. ხომ გაგიგონია: ხელი ხელსა ჰბანს და ორივენი ერთიმეორეს.

შენ ნუ გედარდება, ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ კეთილი დასასრული მიეცი ამ საქმეს"...

•

გოდერძი დაფიქრებული მიჰყვებოდა ვაზნარებიდან ბერმუხისაკენ მიმავალ ბილიკს. ღაწვისთავზე წვიმის წვეთი დაეცა. შესდგა და ცას ახედა. გამჭვირვალე ღრუბლის ფრთილები ნელ-ნილა გროვდებოდნენ. შუქი ფორეჯები ლოყაზე დაასხდნენ მოლიბრო ცას.

გახარებული მიჰყვებოდა ვაზების მწკრივებს შორის მიმავალ საცალფეხო გზას.

ახალგაზრდა ვაზებს ურთიერთისკენ გაეშვირათ რქები. ზოგი მათგანი თავის ტოლს გადასკვნოდა, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა მაცქერალს, თითქოს ეუბნებოდნენ კიდევაც ერთიმეორეს: ხელი მივცეთ, ბიჭებო, ერთმანეთს, მედგრად დავუხვდეთო ქარიფანტია ქარს.

მოეწონა გოდერძის ეს თამამი რქები. ლონთქოში ფოთლები მწვანენი როდი იყვნენ, ოქროში ამოვლებულ ლაზურისფერს გადაიკრავდნენ. უდიდესი მხატვარიც ვერ გამოსახავსო ამ სილამაზეს, აგრე ფიქრობდა გოდერძი, გახარებული მიჰყვებოდა ბილიკს.

გაზაფხულის ტიტინა ნიავი იდუმალ ამბებს ეჩურჩულებოდა ფოთლებს. და როგორც აურაცხელი ჩიტი, აქყოფნის სიხარულისაგან აღტყინებული, დააპარპალებენ ხოლმე ფრთებს, თრთიან და ცახცახებენ, ეთერში ასაფრენად განმზადილნი, ისე შეფრფინვით

შეხაროდნენ ახლადგაშლილი ფოთლები გაზაფხულს, მზესა და აბრეშუმივით ვასვასა ცას.

მიდიოდა ბედნიერი, თავაწეული გოდერძი, ისე მიისწრაფოდა ნუნუს სანახავად, თითქოს სხვა საღამო აღარ დადგებოდა აწი.

კიდევ დაეცა წვიმის წვეთი ლოყაზე ვაჟს, უკვე ერთი კვირაა, ბარე სამი. მცირეოდენი წყენის ჩრდილი მიეფინა მის ბედნიერებას: ვაითუ წვიმა მოვიდეს ამ საღამოს და ნუნუსთან შეხვედრა წამამწაროსო.

მთელ სოფელში არსად საიმედო ადგილი არ ეგულებოდა მას ისეთი, სადაც ჭორიკანების თვალთაგან განრიდებულ მიჯნურებს შესძლებოდათ ერთად ყოფნით დატკბობა.

გოდერძიმ სათითაოდ გადათვალა თავის გუნებაში ყველა მისთვის მისანდობელი ოჯახი.

დაასკვნა: არსად არ შეიძლებაო შეხვედრა.

შავსოფელზე ფიქრიც ზედმეტი იყო, ხოლო ბერმუხის დანარჩენ უბნებში ისე მიჯრით მიწყობილნი იყვნენ ურთიერთზე სახლები, ლანდის უსწრაფესად მოედებოდა ეს ამბავი მთელ სოფელს.

კორინთელის მიკროუბანში შესდგა გოდერძი და დასავლეთისკენ გაიხედა. უჩვეულოდ ვარვარა მზე ნელ-ნელა ინთქმებოდა კვერცხის ყვითელისფერ ღრუბლებში. ალიუმინისებრ ელავდა ალაზანი წნორებს გადაღმა.

შორს, ძლიერ შორს სავსებით გალურჯებულ პირამიდისებრ მთას თავზე წამოდგომოდნენ სავსებით ლეგა ღრუბლები, ამ ღრუბლებსა და მთას შორის გაბმული იყვნენ ახლადამოღებული აბრეშუმისფერი ლარები წვიმისა.

იმ მთის ქიმზე წვიმსო, გაიფიქრა გოდერძიმ და მოუჩქარა ნაბიჯს.

ვაზნარების კიდეებში აყვავებული ატმები ატკბობდნენ მის მზერას, ახალი ზვრებიდან დაწყებული ვიდრე ჭალებამდის გაბნეული ალუბლები ისე გადათეთრებულიყვნენ, თითქოს გაზაფხულს კვლავ დაუდგამსო თავისი კარვები ბერმუხასა და ალაზანს შორის.

პაპისეული სახლისათვის ბატარა ოთახის მიშენების იდეამ, რომელიც თედომ მიაწოდა გოდერძის წელან, უცნაურად ააფორიაქა მისი ფანტაზია.

მას უკვე ეოცნებებოდა საკუთარი ოჯახი, საყვარელი, გამრჯელი ცოლი, მასთან ერთად შრომა და ბრძოლა ნათელი მომავლისათვის.

გოდერძის თვალწინ წარმოუდგა უმცირესი წვრილმანიც, თავისი განახლებული ცხოვრებისა.

იმ ოთახს ფანჯარა უნდა ექნეს სწორედ იმ მხარეს, სადაც ნუშის ხე სდგას ამჟამად.

ოთახის ერთ კუთხეში ბუხარი უნდა გაიმართოს. [illegible] ძლიერ უყვარს ბუხარი.

ეგაა ოღონდ, ერთი ნაკლი აქვს ბუხარს...

თელავში უამბეს მას: ამას წინად ბუხრის წინ თავის ტოლთან მოთამაშე ბავშვი პირდაპირ შევარდნილა ცეცხლში და ორივე ხელი დაუფუფქავს.

გოდერძი ასეთ სისულელეს არ იზამს. თუჯის კარები უნდა გაუკეთოს ბუხარს. შინიდან წასვლისას ნუნუს დაუბარებს: უეჭველად მიხუროს ბუხრის კარი.

ახლა ასეთ რაძესაც ფიქრობს გოდერძი: რა უნდა დაარქვას პირველ ვაჟს? რა თქმა უნდა თავისი პაპის სახელი — ძიქელა.

გოდერძის ძლიერ უყვარს ცხენჯოხზე გადაჯდარი ბიჭების ჯირითი. მათრახებს უტლაშუნებენ თავიანთ მერნებს, ისე ომახიანად ყივიან, თითქოს შეტევაზე მიჰყავთო კავალერიის ესკადრონი.

ამ წუთში თვალნათლივ ხედავს გოდერძი, თუ როგორ დააგელვებს თავის ცხენჯოხს პატარა მიქელა, თითქოს ოოესმის კიდევაც მისი აღტყინებული ყიჟინი. . . . . .

თუმცა უკვე ნაბიჯებს მოუჩქარა გოდერძიმ, მაგრამ ვიდრე ბერმუხამდის მიაღწევდეს იგი, აკტორს საჭიროდ მეაჩნია მკითხველს შეახსენოს: განა მარტო ის ჰბადებს აღტაცებას, რაც უკვე მოცემულია და შექმნილი, არამედ უდიდესს აღტყინებას იწვევს იგიცა, რაც ფანტაზიის მიერ გამონაგონია და შეთხზული.

*

მკითხველს ალბათ ახსოვს, თუ როგორ შეხვდნენ ამ რომანის დასაწყისში გოდერძი და ნუნუ ბერმუხის ქვეშ ერთმანეთს.

ამჯერადაც დასხდნენ ისინი იმ დაღვლარჭნილ ფესვზე, რომელსაც აქლემის კუზს უწოდებდნენ ბერმუხელები.

მოსვლის უმალვე მოიბოდიშა გოდერძიმ: ძია თედო შემეყარა, საუბარი გამიბა, ამიტომაც დამიგვიანდაო. ნუნუმ არა მიუგო რა. ხოლო გოდერძიმ დასძინა:

„იცი, ნუნუ, მას შემდეგ, რაც შენ შემიყვარდი, ჩემი მოუცლელობის მიუხედავად ორიოდე რომანი გადავიკითხე.

მე სად შევხვდები ამ ავტორებს, მაგრამ შემთხვევა რომ იქნეს და რომელიმე მათგანს გადავეყარო, უთუოდ ვუსაყვედურებდი: მაინცდამაინც რა საჭიროა-მეთქი ასეთი რამ: ვთქვათ, ვაჟი ქალს ეტრფის, ბევრს იწვალებენ შეყვარებულნი, ათასგვარ დაბრკოლებას გადალახავენ.

ბოლოს, როგორც იქნა, ბედნიერებას უნდა ეწიონ, ამ დროს ვიღაც მესამე ჭინკასავით გამოუხტება მათ, ან არადა მთლად უარესი: ქალს დააშლექებს ავტორი, ან ვაჟს რაღაც ხიფათი ეწვევა“.

„ამის გამო მეც ხშირად მიფიქრია, გოდერძი. ამას წინად ერთი რომანი წავიკითხე: ქალსა და ვაჟს თავგამეტებით უყვარდათ ერთიმეორე, მაგრამ ავტორი უგულო აღმოჩნდა, ბოროტმა ენებმა დააშორეს ერთმანეთს ისინი. პირდაპირ გული დამწყდა ამ ამბის გამო.

მე არ მიყვარს, მითქმა-მოთქმის აყოლა, მაგრამ უნდა გითხრა, ნათია თარალაშვილი ისეთ რამეებს ლაპარაკობს, რომ“...

„აბა მე ერთ რამეს გეტყვი, ნუნუ, ამიერიდან ვერავინ და ვერაფერი გაგვყრის მე და შენ“...

ეს უთხრა გოდერძიმ ქალს და თავისი ძლიერი მკლავი შემოხვია წელზე.

მცირე ხანს სდუმდნენ ორივენი, გასცქეროდნენ ალაზანს გადაღმა ღრუბლებში მოჩალიჩე მზეს, ბოლოს ნუნუმ ხელი მოუფათურა დაკოჟრებულ ფესვს და სთქვა:

„მართლაც აქლემის კუზს არა ჰგავს ეგა?“

„ერთ რომანში ავტორმა აქლემზე შესვა შეყვარებულნი და უდაბნოში გაგზავნა...

მე და შენ აქლემის კუზზე ვზივართ ახლა, ნუნუ, და დიდი, დიდი მანძილი გვიძევს წინ, ალბათ მრავალი დაბრკოლება და ხიფათიც, მაგრამ არ უნდა შევკრთეთ.

ძია თედომ გზიანი სიტყვა მითხრა წელან.

ცხოვრება ავ ძაღლსა ჰგავსო ხანდახან, თუ შეშინდი და უკან დაიხიე, შემოგიტევს და ბარკლებს წაგჭამსო“.

ადამიანების ჩქამი მოისმა ალაზნის პირიდან. მეველეები რაღაცას გადასძახოდნენ ერთმანეთს. როცა მყუდროება დამყარდა ისევ, ნუნუმ სთქვა:

„მოდი, აქედან წავიდეთ, გოდერძი, არ მინდა აქ მოგვისწროს ვინმემ“.

გოდერძის გაეცინა:

„კანკრესი ხომ არ გეშინია, ჰა?“

„კანკრე მორჯულდა, როგორც სჩანს: როგორც კი დამინახავს, თავს ჩაჰლუნავს და ნაბიჯს მოუჩქარებს“.

ამის თქმა მოასწრო ნუნუმ და მხმარი ფოთლების შრიალი მოისმა.

ნიორთავა გულდაგულ მოდიოდა მათკენ, ორი მერცხალი ეჭირა ხელში.

„ესენი გზის პირად ვიპოვნე წეღან, — სთქვა ნიორთავამ და ხელის გულზე დაიდო მკვდარი მერცხლები. — მერცხლები ამას წინად ეწვივნენ ჩემს წისქვილს. ეს ორი ალბათ უსახლკარონი ყოფილან, შარშანდელი ნაბარტყევებია.

ბუდის აშენება ვერ მოუსწრიათ საწყლებს; წუხელ ცივოდა, მიტომაც დაღუპულან უბინაოდ დარჩენილები, ალბათ.

ხომ გახსოვს შარშან რა გითხარი, გოდერძი: ბუდე გაიშენე-მეთქი. ახლაც ამასვე გეუბნებით, ჩემო მერცხლებო“, სთქვა ნიორთავამ და მის ჭრუტა თვალებში აციმციმდა სიხარულის სხივი.

„სხვა, როგორა ხართ, ჩემო მერცხლებო?“ შეეკითხა ნიორთავა ქალ-ვაჟს.

„ყველაზე უკეთესად, ძია სოლომონ, რად უნდა ვიყვეთ ცუდად, ქარიშხალი ჩადგა, გაზაფხული მოვიდა, ადამიანს სხვა რაღა უნდა, ჰა?“

გზისპირიდან სიმღერა მოისმა. ხელაანთ ვანოს ტრაქტორი მიჰყავდა ალაზნის ჭალისკენ ტაატით. ტრაქტორისტი გულიანად მიღიღინებდა:

საჭრელით დახვრეტილი ხარ,
არ გირევია სატეხე,
სულ რომ ნარბილში დაძვრები,
ერთხელ ყამირი გასტეხე.

„ხომ ხედავ რა მხიარულია მშრომელი ადამიანი, — სთქვა ნიორთავამ. — რა გულიანად მიიმღერის ხელაანთ ვანო.

მე ძლიერ გვიან გავიგე, ჩემო გოდერძი, ამქვეყნად მხოლოდ შრომაა სიხარულის მომნიჭებელი.

ამიტომაც უამრავი სიმღერები და ლექსები აქვთ შეთხზული ჩვენს გუთნისდედებს, მწყემსებს, მეხრეებს, დურგლებს და კალატოზებს.

ამას წინად ტფილისში ვიყავი: კრებებსა და დახურულ კინოებში ჯდომისაგან გამოთაყვანებული ადამიანები დარბიან და დაფუსფუსებენ, ზოგს სახე ჩამოსტირის, ზოგიც მიდის მარტოკა და თავის თავს ესაუბრება.

ერთი ჩვენს ციხისთავს ჩააბარებდნენ ნეტავი მათ, მოგეცალ ლხენა, მიაყენებდა მათ ირმის ტბის ჭაობების ამოსაშრობად, ბარე ათი ათასი ჰექტარი ძეძვიანია გველეთში ამოსაძირკავი, ხუთი ათასი ნამყენი უნდა ჩაიყაროს ამ ხუთწლედში, მაშინ, ვნახავდი მათ სეირს... ჰი, ჰი...

ალბათ მოეშვებიან გრიპის, სისხლის წნევის და გულის მანკის გამო წუწუნს, გაგიხარია სიმღერებსაც შემოსძახებდნენ, ჰი, ჰი.

იცი, გოდერძი, მე არ მიყვარს წუწუნი, მძაგს ტირია ადამიანები, რომელნიც მუდამ ოხრავენ, სიღარიბესა და მუცლის გვრემას უჩივიან.

მათ არ ესმით, რომ ეს ცხოვრება ცხენსა ჰგავს ერთ რამეში: მარჯვედ უნდა შეახტე მას ზედ, თორემ თუ ქვეშ მოექეცი, უთუოდ გადაგთქერავს საკუთარი, უსაყვარლესი ცხენიცა.

მე ქვეშ მომიქცია ამ ცხენმა, მაგრამ შენ ხომ ნაცარქექიას მეძახდი ოდესღაც, როცა იქნება, გამოვძვრები და ზედ მოვახტები, იცოდე.

მე მართლაც ნაცარქექია ვარ, გოდერძი, შენმა მზემ, ამიტომაც ვემუქრები ჩემი წისქვილიდან ასთავიან მდევებს, მთელი ქვეყნის არამზადებს ომს ვუცხადებ ჩემი ციხიწისქვილიდან, ჰი, ჰი....

მე აგრე მგონია, გოდერძი, ცუდია, როცა ადამიანი ღორივით თავჩაქინდრული დღენიადაგ ჩასჩერებია მიწას, ისა სჯობს, მამალივით თავაწეული იყვე და ყიყლიყო შესძახო ცას... გაიხარეთ, ჩემო მერცხლებო, მალე აიშენეთ ბუდე, იცოდეთ, მალე მაჭამეთ ქორწილი, ჰი, ჰი".

როცა ნიორთავა შინდნარში შევიდა, ნუნუ შეეკითხა გოდერძის:

„ნასვამი ხომ არაა ეგ საწყალი ნიორთავა, ჰა?"

„არა, მას ოდნავ ამღვრეული თვალები აქვს, ნასმურევი რმიტომ გეჩვენება. ოქრო კაცია ნიორთავა".

გოდერძის შეეშინდა, ახლა სხვა მოსაუბრენიც არ შემოგვემატოსო, მკლავში ხელი წაავლო ნუნუს, ალაზნის ბორნისაკენ მიმავალ საურმე ბილიკს დაადგა.

„ბორანზე რა გვინდა, გოდერძი, იქ შესაძლოა ბერმუხელებს გადავეყაროთ"...

გოდერძი ჭალაში წაქცეულ ვერხვზე ავიდა. ძირს ჩამოსულმა სთქვა:

„ბორანი ცალიერი მოდის გალმიდან. მე ისეთ ადგილას წაგიყვან, ერთად ყოფნა არავინ დაგვიშალოს, ეჰე, მაღალი, მაღალი კვიპარო-

სები რომ მოჩანს იქ, საბჭოთა მეურნეობის გადაღმა, ერთი დანგრეული ნასაყდრალია, ადამიანების ჭაჭანება არაა მანდ".

როცა ბორანზე ფეხი შესდგეს, ოთაყვირივით გრძელმა, და მოღუშულმა მებორნემ ხარბი მზერა ესროლა ნუნუს, უდიერად აჭედადახედა, მაგრამ გოდერძი რა შეიცნო, თვალი აარიდა ქალს და როყიოდ შეეკითხა ვაჟს:

„საითკენ გაგიწევია, გოდერძი?" ეს სთქვა და ოთაყვირს წაეპოტინა.

„გაღმა მივდივართ, სათალარო ნამყენი უნდა გამოვართვა საბჭოთა მეურნეობაში ბიჭებს", უნებურად იცრუა გოდერძიმ.

მებორნე ოთაყვირს მოეშვა. როცა მეორე ნაპირს მიუახლოვდა ბორანი, ისევ ნუნუსკენ გაექცა მზერა. ქალს არ მოეწონა მისი თავხედური ჭვრეტა, გაეცალა და ბორნის კიდეს მიაწყდა.

მებორნე ჯიქურ მივიდა გოდერძისთან და ხმადაბლა უთხრა:

„ეგ შენი დაიკო უნდა იყოს, გოდერძი, არა?"

გოდერძის გუნებაში გაეღიმა, არ უნდოდა ნუნუს ვინაობის გამხელა. ამიტომაც უხალისოდ დაუქნია თანხმობის ნიშნად თავი.

„ეგ ისაა, შენს უსინათლო პაპას რომ უვლის, არა? ღვინის ორი წვეთივით ჰგავხართ ერთმანეთს, ღვთის მადლსა".

ისევ დაუქნია გოდერძიმ თავი, მხოლოდ ამჯერად გაცილებით უფრო უხალისოდ.

ოდნავ გაგულისდა კიდევაც ასეთი დაჟინებული დაკითხვის გამო და საკმაოდ მკვახედ უთხრა მებორნეს:

„ყველაფერი კარგი, მაგრამ შენ რატომ გაინტერესებს ძმობილო, ეგა?"

მებორნემ თავისი ყვითელი ღაჯები გამოაჩინა, ისევ ესროლა მზერა ბორნის კიდესთან მიმდგარ ნუნუს და წაიდუდუნა:

„იცი, გოდერძი, ეს ქალი გულში ჩამივარდა ჯერ კიდევ შარშან. პაჰ, პაჰ, რა გოგოა, მაგის ნაბანი დაილევა, ღვთის მადლსა! თუ დავმოყვრდებით, მტლედ დაგედები, იცოდე!"

გოდერძის ისევ გაეღიმა გუნებაში და მიუგო:

„არა, ჩემო ძმაო, მე ჯერ არ ვათხოვებ ჩემს დას".

მებორნემ ხელახლა გამოაჩინა სიმინდის მარცვალივით ყვითელი კბილები და წამოიძახა:

„რაო ვითამ, მებორნე რომ ვარ, იმიტომ არა მკადრულობ?"

„არა, ძმაოჯან, ჩვენ ყოველ მშრომელს პატივსა ვცემთ, რა თქმა უნდა თუ იგი ნამდვილად მშრომელია".

მებორნე გაამხნევა ამ ფრაზამ და სთქვა:

„შენ აგრე ნუ მიყურებ, გოდერძი, მე ხუთთვალიანი სახლი მაქვს იმ სოფლის ბოლოში, ერთი ჰექტარი საკარმიდამო, ერთი ფუტკარმეჩი და სამოცი ცხვარი მყავს“.

გოდერძიმ მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ იგი ნაღვინევი იყო და უთხრა:

„იცი, ძმობილო, ჯერ შენ ღვინო გამოინელე, ლოთი სიმღერები ჩვენ არ დაგვჭირდება: საერთოდ უნდა გითხრა, სამსახურში თავრალი რომ არ მოსულიყავი, ეგა სჯობდა ყველაფერს“.

მებორნე წამოჭარხლდა.

„მართალია, მე ცოტა გამოყოლილი მაქვს, წუხელ დაი გავათხოვე, და თუ დღეს სამსახურში გამოვცხადდი, ეგ იმიტომ, რომ ჩემს შემცვლელს დედა მოუკვდა“.

გოდერძიმ ბორნიდან გადასვლა დააპირა, მებორნე წინ გადაეღობა. ეველრებოდა, მოიცადეთო მცირე ხანს, ცოტა წავიპურმარილოთო იმ ფარდულის ქვეშ.

გოდერძიმ წარბები მოღუშა, იდაყვით განზე გასწია მებორნე და მკლავში ხელი წაავლო ნუნუს.

მებორნემ ისევ დაადგა თავისი ჭროღა-თვალი ნუნუს და წაიდუდუნა:

„მე არა მგონია მეურნეობამდის მიასწროთ წვიმას. ის გირჩევნიათ, ამ ფარდულში მოუცადოთ გადაკარებას“.

„შენ რა იცი, ძმობილო, ჰა?“

შეეკითხა გოდერძი.

„ჰმ, რა ვიცი, მაშ სხვა რა მცოდნია ამქვეყნად, ამინღისა და ვარსკვლავების ამბები ჩემზე უკეთ ვინ იცის? მთელი ჩემი სიცოცხლე ამ ბორანზე ვარ გამოყუდებული“.

გოდერძიმ ცას აჰხედა, მართლაც შენიშნა: საგანგაშო ნიშნებს იძლეოდნენ ეს კურდღლისფერი ღრუბლები, რომელნიც აღმოსავლეთისაკენ მიეშურებოდნენ საკმაოდ სწრაფად.

უკანასკნელად გამოაშუქა შეწითლებული ღრუბლების მორეიდან ცეცხლებრ-აღგზნებულმა მზის ეტლმა. სპილენძისფერი სხივები გადააფთოვა ატმისა და ალუბლის ყვავილებს.

ქალ-ვაჟი მდუმარედ მიჰყვებოდა საბჭოური მეურნეობის გასწვრივ გაწკაპული ალუბლების მწკრივებს, მავთულის ღობის გადაღმა ატმები ჰყვაოდნენ, თემშარის მეორე მხარეს — ალუბლები.

მათ შტოებიდან ჩამოყრილ ყვავილთა ნამუსრევებს ისე გადაეთეთრებინათ გზა, თითქოს ახალი თოვლის უხვად დაყრილი ფიფქები ყოფილიყვნენ.

მიდიოდნენ ორივენი ისე ბედნიერნი და გაოგნებულნი, სიტყვები

ზედმეტი გამხდარიყვნენ უკვე. გოდერძი მხნედ მიყვებოდა თავის სასურველს გვერდით.

„კიდევ შორსაა ის ნასაყდრალი?“ იკითხა ნუნუმ.

სწორედ ამ დროს გაისმა საგაზაფხულო ქუხილი. ლეკიმთისკენ გაიხედა გოდერძიმ: აფხორილი, ლეგა ღრუბლები ზედახორად შეესხდომოდნენ კავკასიონს ქედზე. აქლემისფერნი, სხვანი, ფიფქლდეებოან მიეხერგა ქარს.

დაიგრუხუნა ისევ და კიდევ ერთი წვეთი დაეცა გოდერძის შუბლზე.

„მართალი სთქვა მაგ ოჯახქორმა მებორნემ, წვიმა მოგვისწრებს, ნასაყდრალზე წასვლას მოვეშვათ, მოდი მეურნეობაში შევუხვიოთ და იქ გადავიწვიმოთ“.

ნუნუს არ უნდოდა საბჭოურ მეურნეობაში შესვლა: ამერიკული მწარას მოსატანად გამგზავნა შარშან ძია თედომ მანდ, უეჭველად მიცნობენო, ამბობდა.

ისევ განაგრძეს გზა ალუბლის ხეივნების გასწვრივ. ამასობაში ისევ დაიქუხა, ცას ტყვიისფერი გადაეკრა ერთობლივ, მხოლოდ ერთი დახამხამება თვალისა და მოისმა ისეთი ხივილი, რომელიც მერეხის მოსვლას წინ უსწრებს ხოლმე.

და წამოვიდა წვიმა, ჯერ წვეთ-წვეთად, მერმე მოისმა ქუხილი ხელახლა, ქალი ნებას დაჰყვა ვაჟს, ჯერ ჩქარი ნაბიჯით იარეს, ბილოს იკადრეს რბენა.

გოდერძი მიხვდა: ალაყაფის კარებამდის რომ ერბინათ, გასაწურავი გახდებოდნენ უთუოდ. ერთბაშად შენიშნა, ერთ ადგილას გარბილის ღობე მოეხსნათ და მის ნაცვლად ეკლიანი მავთულის გაჭიმვა მოენდომებიათ, ეს ვერ მოესწროთ, ამიტომაც რამდენიმე მეტრის მანძილზე ღია დარჩენოდათ საკმაოდ მტკიცედ შემორაგვული ვრცელი ფართობი საბჭოური მეურნეობისა.

ნალობარის გადაღმა პატარა ფარდულს ქვეშ ყვინთავდა თეთრწვერა დარაჯი. მან თვალი გაახილა, ერთი შეხედა ახლადმოსულებს, მერე ისევ ჩაჰქინდრა თავი.

გოდერძი ვაზის ამ მეურნეობაში არაერთგზის იყო ნამყოფი, ამიტომაც უცებ მოისაზრა: მეურნეობის კანტორამდის ბარე ორი კილომეტრი უნდა ერბინათ: მკლავში ხელი წაავლო ნუნუს, საყარაულო კოშკისკენ გავიქცეთო, უთხრა.

წვიმა უკვე როდი წინწკლავდა, მსხვილ-მსხვილ წვეთებად ეშვებოდა ძირს და როცა წვიმის შხეფები მოსილულ შარაზე ეცემოდნენ, მორბენალებს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდათ, ბელურები ფართხალებენო ქვიშაში.

გოდერძი ჰხედავდა: ნუნუს მხრისთავები დაუსველდა უკვე, ამიტომაც გაიხადა თავისი ტყაპუჭი და ზედ წამოასხა საკმაოდ გაწეწულს.

გოდერძის ბლუზა გასაწურავი იყო უკვე, როცა საყარაულო კოშკამდის მიაღწიეს აქშინებულნი.

ეს საყარაულო კოშკი წარმოადგენდა რკინისფერებით ნაგებ დასებრ მახინას, რომლის ზეთავზე წამოდგმული იყო სამკედლიანი ოთახი.

როცა ჩვენი გმირები ხვეულ კიბეზე ადიოდნენ, ისე ძალოვნად ქახაობდა და ჭრაჭუნობდა ეს პირამიდა, ნუნუს ეშინოდა არ წაიქცესო იგი.

ბოლოს მიაღწიეს სამკედლიან ოთახამდის, მასში ერთადერთი მაგიდა იდგა, ზედ ტუჩმომტვრეული დოქი და ერთიც გამურული ფარანი.

კუთხეში თივა ეყარა კაცის სიგრძეზე, ერთი საპირეშემოხეული მუთაქა ეგდო იქვე.

გოდერძიმ გახადა თავისი ტყაპუჭი ნუნუს და ძირს დაგებულ თივაზე გადააფინა პირუკუ შებრუნებული, ზედ დასვა ქალი. იელვა ერთბაშად. ნუნუ ზეწამოიჭრა.

რკინის მოაჯირთან მივიდა, გადახედა ძირს გაშლილ ზვრებს, რამდენიმე კილომეტრის სიგრძეზე გაჭიმულთ. უბან-უბან დაყოფილი იყო ზვარი, ყოველ უბანს ატმისა და ალვის ხეების მწკრივები მისდევდა.

ნუნუს ვაზებისაკენ გაექცა თვალი. მრავალი ათასი რქათამამი ვაზი გადასკვნოდა ურთიერთს რქებით, შხაპუნა წვიმის ღარები ტლაშუნობდნენ მათზე, თვალის მომჭრელად ცახცახებდნენ და ტოკავდნენ ფოთლები...

„ნეტავ როდის იქნება ჩვენი ზვრები ამოტოლანი, გოდერძი, ჰა? ნახე, შენი მაჯის სისხო შტამები აქვთ. ღმერთო, რა თამამი, მხარგაშლილი რქებია, აჰ, რა სილამაზეა, გოდერძი!

მე რომ მხატვარი ვიყვე, უთუოდ დავხატავდი ამ კვიპაროსებს, ამ ვაზებს, ამ ატმებსა და იმ ალუბლის ხეებს“.

„ერთი ორიოდე წლის შემდეგ, როცა გველეთის ზეგანში ოცი ათას ვაზს ჩავყრით, მაშინ ნახე ჩვენი ზვრები.

ბერმუხის ტაფობი და გველეთის ზეგანი ტერასებით დაუკავშირდებიან ერთმანეთს, ტფილისელები საგანგებოდ ჩამოვლენ ამის სანახავად“.

ქარი ამოვარდა, ნუნუ მოეშვა რკინის მოაჯირს, იატაკზე დაყრილ თივაზე დაგებულ ტყაპუჭზე დაჯდა და სთქვა:

„ეჰ, ნეტავ ასეთი სამკედლიანი ოთახი მაინც მოგვცა მე და შენ. მართალს ამბობდა ნიორთავა: ბუდის გარეთ დარჩენილ მერცხლებს ვგავართ, გოდერძი“.

„ნუ გეშინია, ჩემო, სულ მალე ოთხკედლიანიც გვექნება. ათასიოდე ცალი კრამიტი უნდა ვიშოვნო, სხვა ყველაფერი აქვს ჩემს ჩემს“.

ნუნუ დაინტერესდა: რად გინდაო კრამიტი? მერმე გეტყვიო, მიუგო ვაჟმა.

მოუხშირა ქუხილმა, წვიმა მერეხად იქცა, იძალა ქარმა, ახლა ატმისა და ალუბლის ყვავილების ნამუსრევები დაფარფატობდნენ ჰაერში, აგრე ეგონებოდა მაცქერალს: სთოვსო ამ აყვავებულ ვაზნარებში შებინდებისას.

კვიპაროსები ტოკავდნენ და როკავდნენ დაუცხრომლად. ნუნუ გოდერძის ტყაპუჭზე იჯდა, კისკისებდა. ასეთი ბედნიერი და მხიარული ჯერ არასოდეს ენახა იგი გოდერძის.

ისევ გაიელვა, კავკასიონის ნაჩრდილევი მოიკრა ცაზე. ნუნუ წამოდგა, რკინის მოაჯირს მივარდა: უნდა შევხედოო კავკასიონს....

გოდერძი მიუახლოვდა, ხელი მოხვია ნაზად რკინის მოაჯირზე გადამდგარს.

წამო, თივაზე დავსხდეთო.

ნუნუმ დაიჩემა, აქ ვიყვეთ ჯერ, აქედან დავტკბეთო ამ სანახაობით, ხელი წაავლო რკინის მოაჯირს.

გოდერძი ქალის მაჯას მისწვდა, ნუნუ მეორე ხელითაც მოეჭიდა რკინის მოაჯირს. გოდერძიმ ხელები გააშვებინა მოაჯირისთვის ქალს, თმის ძირებზე აკოცა, ბალღივით აიყვანა იგი და თავის სანადირო ტყაპუჭზე დააწვინა.

ამაოდ ეევდრა ქალი ვაჟს: მაკმარეო კოცნა, შეძლებისამებრ ეურჩებოდა კიდევაც, მაგრამ ისეთ მტკიცე სალტეებში მოხვდა მისი მთრთოლვარე სხეული, ბოლოს ხელი აიღო ქალურ ურჩობაზე.

. . . . . .

მთელი ღამე გადაუღებლად სწვიმდა, ხანაც ელავდა, საგაზაფხულო გრგვინვა ბობოქრობდა კავკასიონის მთებში, ქარბორბალა დაჯირითობდა ვაზნარებში, ატოკებდა საყარაულო კოშკს, ალუბლისა და ატმის ყვავილების ნამუსრევებს ზედ აყრიდა სიყვარულისა და ვნებისაგან ცნობამიხდილ ქალ-ვაჟს....

. . . . . .

დილაადრიან კოშკის კიბეების ჭრაჭუნმა გამოაღვიძა ვაჟი: თეთრწვერა მოხუცი შემოვიდა ოთახში.

დილა მშვიდობისა უსურვა გოდერძის. უცხო მამაკაცის ხმაზე

გველცემულივით წამოვარდა ნუნუ, საკინძე შეიბნია სასწრაფოდ.

თეთრწვერა მოხუცი ამბობდა მშვიდად:

„ნუ გეშინიათ, შვილებო, მეც ვყოფილვარ ჯეელი, მოგეცათ ლხენა, მითენებია საყარაულო ქოხებსა და თივის ზვინებში, გულის მიჯნურთან ერთად ღამე.

გაიხარეთ, გაიხარეთ, შვილებო, მე ამ დოქს წავილებ და ახლავე გაგეცლებით, შვილებო“.

გოდერძის ეცნაურებოდა ეს მოხუცი, მაგრამ ვერ მოეგონებინა: სად ენახა იგი პირველად. ბოდიშობდა: თავსხმამ მოგვისწრო, ვერასგზით ვერ წავედითო შინ.

„ნუ თუ ვერ მიცანი, ძია შიო, ვარ, შიო! ეჰ, სიღარიბეს დაუდგეს თვალი, თორემ ჩემგან ნამდვილი პატივისცემა გეკუთვნის, გოდერძი“.

დაინტერესდა გოდერძი, საიდან მიცნობო, ჰკითხავდა მოხუცს.

„ალბათ შენ არ გახსოვს, შვილო, შარშან ნოემბრის ღამეს მომაკვდავი შვილიშვილი ურმით მიმყავდა თელავში.

შენ მანქანა გამიჩერე ხიდის ყურთან და სულთმობრძავი ბავშვი საავადმყოფოში მიმაყვანინე.

მე გიცანი, ფარდულთან რომ გამოიარეთ, მივხვდი, გადასწვიმებლად მოდიოდით, მაგრამ არ გამოგეცნაურე განზრახ“.

მოხუცი ქვეშეცნეულად მიხვდა — შეშფოთებული იყო ქალი, ამიტომაც დააშოშმინა იგი:

„ჯავრი ნუ გაქვს, მამაშვილობას, შენც გიცნობ, ვინცა ხარ, მაგრამ ეს საიდუმლო ჩემთან ერთად მოკვდება, იცოდე“.

ბიჟინა

კორინთელი სამგზის ეწვია ჯანმრთელობის მოსაკითხავად სუსქიას, მაგრამ იგი არც ერთხელ შინ არ დაუხვდა. დარაჯმა მათემ, ამცნო: ექიმს სწრაფად მოეცილებინა თავიდან გრიპი და ყოველდღიურ საქმიანობაში ჩაბმულიყო.

ახლა უკვე მტკიცედ გადასწყვიტა კორინთელმა, მეტი აღარ შეევლო საექიმო პუნქტში, სანამ შემთხვევით არ შეხვდებოდა სუსქიას სადმე.

გულის სილრმეში ღიმღამობდა ასეთი აზრიც: ეგებ მასთან შეყრის სურვილმა გადამიაროსო.

თავს ინუგეშებდა: „როგორც თვალი შორს, ისე გული შორს. ამასობაში შემოდგომაც მოაღწევს და შესაძლოა თელავს გადავიდე საცხოვრებლად და“...

ასეთ ფიქრებში გართული დანაღვლიანდა კორინთელი, ქარჩაკეტილ ცხოვრებას შეუდგა, დღისით ფიზიკურ შრომას ეწეოდა თავის ბაღში, ღამღამობით სამ საათამდის სწერდა თავგამეტებით.

მაიას კაბინეტში შემოჰქონდა მისთვის საუზმე, და საღილი, მხოლოდ დერეფნებში თუ შეეფეთებოდა ხოლმე მედიკოსა და ვარას.

კორინთელმა რადიომიმღები დაიდგა: მთელს ქვეყანას მოწყვეტილს, მხოლოდ ეთერის საშუალებით ჰქონდა ცხოვრებასთან კავშირი. ეთერის გრძელსა და მოკლე ტალღებზე იჭერდა ამქვეყნიურ გრძელსა და მოკლე ამბებს.

ბობოქრობდა ევროპა, იმუქრებოდა ჰიტლერი, იარაღის ბედითი ჟღარუნი ისმოდა მრავალი ათასი კილომეტრის მანძილიდან.

გველეთის ტყეთა სიჩუმეში იჯდა თავის პატარა კაბინეტში მშვიდობიანი მეცნიერი და გამალებული მუშაობდა შეღამებიდან გათენებამდის; შიშობდა: ვაითუ ომი ატყდეს და ჩემი კაპიტალური შრომა მოუთავებელი დამრჩესო.

გვიანი ღამით, როცა ლონდონის, პარიზისა და ბერლინის რადიოსადგურები მოათავებდნენ მთავრობათა დეკლარაციებისა და ნოტების გადმოცემას, ბახის, ბეთჰოვენისა და ბიზეს მუსიკა სცვლიდა მათ.

გათენებისას ქაიროდან მოისმოდა მოლას გამყივანი ხმა, ხოლო იერუსალიმიდან რაბინების გალობა. როცა რადიოს გამორთავდა, ბნელში განრთხმულ ველს გასცქეროდა ღამეული შრომისგან დაქანცული კორინთელი და სტკბებოდა ალაბნის ხოხბების ერთობლივი ყივილით.

უცნაური ცხოვრება მიმდინარეობდა კორინთელიანთ ოჯახში. ეს ყოველივე პანტომიმას უფრო წააგავდა, ვიდრე დრამას.

ქალები იშვიათად გამოდიოდნენ სახლიდან, ასე რომ კორინთელი ბაღში ატარებდა თავისუფალ დროს, გულმოდგინედ უვლიდა ვაზებსა და ვარდებს. ხანაც გვერდს მოისვამდა თავის ახილს და მას ესაუბრებოდა მოწყენის გასაქარვებლად. ღამღამობით ისევ შეებმებოდა შრომას.

კვირა დილით ძია ნიკოს როხროხა ხმამ გამოაღვიძა კორინთელი. სტუმარს ძღვენი ჩამოეტანა გველეთის „პირველი მოსახლისათვის", თან ჩამოეყვანა პროფესორი არადელი, რომელსაც ამჯერად გადაეწყვიტა თავისი შვებულების პირველი კვირა კორინთელიანთ ოჯახში გაეტარებინა.

მაია და შოფერი ანდრო ველარ აუდიოდნენ ძღვნად ჩამოტანილი ინდოურებისა და გოჭების პუტვას, „დედას-პურების" თვლასა

და ღვინის ჩამოსხმას; სალხინოდ ყოველივე მზად იყო, მაგრამ მომლხენნი აღარსად სჩანდნენ.

კორინთელი განსაკუთრებით გაახარა ნიკოს მიერ ჩამოყვანილი შვლის ნუკრის დანახვამ. ეს მშვენიერი, უსუსური არსება მთათუშეთიდან მოეყვანათ ნიკოსთვის მონადირეებს.

ნაჩუქარ ნადირს ბიჟინა დაარქვა კორინთელმა (ერეკლე მეფის საყვარელი ნუკრის საალერსო სახელი).

ბიჟინას საჩიხე მოუწყო ახალმა პატრონმა ბაღში, მაგრამ მან არ ინდომა მისთვის მიჩენილი სამყოფლო: ადამიანის სიახლოვეს არჩევდა, ძაღლივით უკან დასდევდა კორინთელს, შეღამებისას შიშველ იატაკზე წვებოდა, ყურებდაცქვეტილი შესცქეროდა საწერ მაგიდასთან მომუშავეს.

ბიჟინა არ ერიდებოდა თვით ძაღლს — ახილს; ამ უკანასკნელს სრულიადაც არ სიამოვნებდა უცხო სტუმრის შემომატება.

შეულრინა კიდევაც ერთი ორჯერ მას, მაგრამ როცა მაგრად დატუქსეს, აგრესიულ ზრახვებზე ხელი აიღო და საბოლოოდ შეეგუა ბიჟინას.

ძვირფასი სტუმრების ჩამოსვლამ სავსებით უმნიშვნელო ცვლილება შეიტანა კორინთელიანთ ოჯახის დაძაბულ ვითარებაში.

მედიკო ბოლოხანს ავადმყოფობდა, საძილო ოთახიდან იშვიათად გამოდიოდა. ახლა კნეინა ვარა მხოლოდ ცალკბად შეესიტყვებოდა ხოლმე კორინთელს.

უცნაური ის იყო, რომ ვარა, რომელიც ასე თუ ისე შეეგუა ოჯახურ საქმიანობას, სტუმრების ჩამოსვლის უმალვე განზე გადგა.

მთელი მეურნეობა მაიასა და შოფერს გადააპირა, მედიკოსეულ ფარჩის კაბებში გამოპრანჭული, ამაყად დაბაკუნებდა ლაკის მაღალქუსლიან ტუფლებით, ომახიან განკარგულებებს იძლეოდა, პირიდან პაპიროსს არ იშორებდა, ხანაც როიალს მიუჯდებოდა.

„რამდენი ხანია ბახის ფუგები არ მომისმენია“, ეუბნება არადელი ვარას.

„ბიჭოს, თქვენ როგორ მიხვდით, რას ვუკრავდი, ჰა? თურმე ხოჭოების პროფესორსაც ჰქონია მუსიკისადმი ინტერესი, განა?“

„მე თქვენისთანა მუსიკალური არსება ვერა ვარ, სამწუხაროდ, მაგრამ ცოტა რამ მეც გამეგება, როგორც მუსიკის მოკრძალებულ მოტრფიალეს. ეგეც არ იყოს, დიდი ტალანტები უთუოდ უმწეონი იქნებოდით, თაყვანისმცემელთა მრევლი რომ არ გყოლოდათ“.

„მახლას, თქვენისთანა წითელი პროფესორები ვერ დამცინებდნენ, ცა რისხვით რომ არ მობრუნებულიყო ჩემს თავზე“, წაიდუდუნა ვარამ და განაგრძო დაკვრა.

ძია ნიკო წამოდგა ამის გამგონე და კორინთელის კაბინეტს მიაშურა.

„როგორ მოგეწონათ, ძია ნიკო, გველეთის პირველი მოსახლის კარ-მიდამო, ჰა?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეკითხა ვახტანგი ნიკო მირიანიშვილს.

„ეჰ, ჩემო ვახტანგ, ყველაფერი ჩინებულია. მართლაც, რა ძლიერია თანამედროვე ტექნიკა! წინათ ვინ შესძლებდა ამოტოლა ხეების ამოღებას და მათ გადარგვას.

ამ შენს ბაღს რომ შეხედავს გამოუცდელი თვალი, აგრე ეგონება, ნახევარი საუკუნის წინ გაღშენებიათო.

ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგზეა.

ეს სახლი, ეს ბაღი და ეს ბაღჩა, მთელი შენი პატარა მეურნეობა დიდი გემოვნების გამოჩინებაა, მაგრამ რად გინდა, შენ ის გაკლია, რაც უმთავრესია ამ ცხოვრებაში: ოჯახური ბედნიერება.

არადელი აღტაცებაში მოვიდა, როცა ეს ყოველივე ნახა. უბედნიერესი კაციაო ვახტანგი. საუცხოო სახლ-კარი, ჩინებული სამეცნიერო კარიერა. ასეთივე რეპუტაცია მთავრობისა და ხალხის თვალში.

ქალთა შორის ულამაზესი ცოლად ჰყავს, ამაზე მეტს ვინ ინატრებსო, მხოლოდ ეგაა სამწუხარო, შვილი რომ არ გაუჩნდაო.

მე ვერაფერი მივუგე, მაგრამ გულმა რეჩხი მიყო. ვაი ჩემს თავს. ნეტავი სმენა დამხშობოდა და ის არ გამეგონა, რაც იმ ღამეს მოვისმინე ლეღვიანში. ან არადა ის პაკეტი არ ჩამომეტანა შენთვის. იმ წყეული ეფემიას მიერ გამოგზავნილი.

„ეჰ, ძია ნიკო, მე გულდამშვიდებით შევეგებე ყოველივე ამას“.

„ჰო, მაგრამ ნუთუ ერთხელაც არ გიცდია, ვახტანგ, გამოსაუბრებოდი ამ საქმეების გამო მედიკოს?“

„კრინტიც არ დამიძრავს. სიტყვები განა ყოველთვის ესაჭიროება ადამიანს, ძია ნიკო? სიტყვამ უკვე დაჰკარგა თავისი ფუნქცია ჩვენ შორის“. ამის თქმა მოასწრო კორინთელმა და სასტუმრო ოთახში როიალის ხმა მისწყდა.

ნიკო წამოდგა, ღიჭედ დარჩენილ კარებში შეიხედა, ისევ თავის ალაგას დაჯდა და სთქვა:

„ინჟენერი ცეროდენაშვილი მოსულა. საიდან გაჩნდა ეს ოჯახქორი აქ?“

„ეს კაცი გველეთის ჰესის მთავარი ინჟენერია, ვარამ შემოგვაჩვია იგი. ერთი ორჯერ შევეკითხე კიდევაც ცალყბად, რას დადის-

მეთქი ეს კაცი ჩვენსას? ანგელოზები დაიმოწმა: ალალი ბიძაშვილია ჩვენი“.

„ეს მეც გამიგონია, ვახტანგ, ცეროდენას დედა ჯორჯაძის ქალია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საერთოდ, აღარ დავეძებ, ჭირსაც წაუღია სამშვენ-

ორივენი სდუმდნენ, ბოლოს კორინთელმა დასძინა:

„ასეთი გაცინიკებული დიაცი ჯერ არ მინახავს. უტიფრად ჩამაცივდა: ევროპაში გაისეირნეთო შენ და მედიკომ. მთავრობა კარგად გიყურებს, არც საფრანგეთი დაგიკავებსო ვიზას. მოკლედ მოვუშერი პასუხი: მე ჩემს ქვეყანაში უკეთ ვგრძნობ-მეთქი თავს.

ბოლო ხანს მოუხშირა ჩვენსას სიარულს მაგ ცეროდენამ.

იცი, რა მითხრა ამ ტუტუცმა დედაკაცმა ამას წინათ? ნათესავიც რომ არ იყოს, რა მოხდაო მერმე? ლამაზი ცოლის პატრონს მოთმინებაც უნდა ყოფნიდეს იმისთვის, რომ მისი ცოლის თაყვანისმცემელნი ოჯახში დადიოდნენო.

ამდენ ხანს საფრანგეთში გიცხოვრია, პიკანტური ფრანგული რომანები წაგიკითხავს და ნუთუ არ იცი, ლამაზ ქალებსა და რელიგიურ კერპებს თაყვანისმცემელნი ასულდგმულებენო მხოლოდ?

ბალზაკი, ფლობერი და ლევ ტოლსტოი ცთუნებისაგან გარყვნილ ქალებს გვიხატავდნენო მუდამ.

ფორნარინა, რაფაელ სანჩიოს ხასა, უბრალო მეფურნის ქალი იყო. პრაქსიტელესის მუზა — ფრინა — უწესო დიაცი, რომელმაც სახალხო დღესასწაულზე სამოსი შემოიძარცვა ზღვისპირად.

„თქვენი ხელოვნებაც იმიტომაა მოსაწყენი, რომ იგი თავის უმთავრეს მიზნად ზნეობრივად უზადო ადამიანების ხატვას შესდგომიაო“.

ნიკო პრესპაპიეს ათამაშებდა ხელში და უკანასკნელი ფრაზის გაგონებაზე მაგიდაზე დაახალა იგი.

„ეჰ, ჩემო ვახტანგ, რაც არის, ეგ არის, ვისაც შენ არ უყვარხარ, მან კლდეს ახალოს თავი“.

„დარდი ნუ გაქვს, ძია ნიკო, არსებობს ასეთი ანდაზაც: ამოღებული ღვინო უნდა დაილიოსო.

მე მგონია, ბედნიერ დღეს ჩამოვსულვარ ამჯერად მედიკოსთან ერთად ბერმუხაში.

ტფილისში ან სხვა რომელიმე დიდ ქალაქში რომ დავსახლებულიყავით, ჩვენს შორის არსებული სხვაობანი ასე მალე ვერ იჩენდნენ თავს, რადგან დიდი ქალაქი შენიღბვის საშუალებას აძლევს ადამიანს, რომელსაც ასეთი რამ ესაჭიროება.

არსებითად ქალაქელების მიერაა გამოგონილი შუა საუკუნეთა მასკარადები. ქალაქელები, რომელთა ცხოვრება შენიღბვას მოითხოვს, ასეთ მასკარადებზე განგებისად ინიღბებოდნენ, რათა წელიწადში ერთხელ მაინც ეთქვათ ერთიმეორისათვის სიმართლე.

სოფელი არ იძლევა შენიღბვის საშუალებას, [illegible] ცირის მეოხებით ყოველი კაცის საქციელი სააშკარაოზეა გამოტანილი".

კნეინა ვარა კაბინეტში შემოვიდა და ფრანგულად უთხრა კორინთელს:

„თქვენს მეუღლეს უარესობა ეტყობა, სიცხსაზომი 39,5 უჩვენებს. დიასახლისობა მე გადამაპირა. გთხოვთ მობრძანდეთ სადილად".

როგორც კორინთელი, ისე ძია ნიკო მოწადინებულნი იყვნენ ზურაბ არადელს როგორმე არ შეემჩნია, ეს ოჯახი რღვევის ზღვრებლამდის რომ იყო მისული. მიუხედავად ამისა, უგუნებობა ძნიად გასაფანტავი აღმოჩნდა.

ვარამ სთქვა:

„დღეს ჯვართ-ამაღლებაა, ბატონებო, ამ დღეს ბოდბელი ეპისკოპოზი სწირავდა ხოლმე სამების კარზე, გველეთში. ეჟვნებიანი ეტლებითა და ცხენებით მოდიოდა აქ კახეთის მთელი თავადაზნაურობა, თვალისმომჭრელი სილამაზის ადამიანები... აჰ, ღმერთო... მაგრამ ვაგლახ, უკვე დაცლილა წმინდა ტაძარი და არავის სურს მას თაყვანისცეს".

ზურაბ არადელმა ღვინო მოსვა და მის გვერდით მჯდარ ძია ნიკოს უთხრა:

„ამ უბედურებას როგორმე გავუძლებთ, ერთი ტყემალი მომაწოდე, ნიკო ბატონო, და ეს უთუოდ აჯობებს ბოდბელი ეპისკოპოზის წირვას".

ცერრდენას რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გოჭის ბარკალს ვეღარ მოეშვა და ხორხში გაეხირა ამიტომაც სათქმელი.

ზურაბ არადელიც მადიანად სჭამდა, ანტრაქტებში თავის აღტაცებას უზიარებდა კორინთელს.

„მე იშვიათად მინახავს ასეთი წარმტაცი პეიზაჟი, ვახტანგ. რა შეუდარებელია კახეთის კავკასიონი აქედან.

ბედნიერი ხარ, ჩემო ვახტანგ, ბედნიერი, მსოფლიოს შემოვლა მოასწარი, გეყოფა ამდენი ხეტიალი გლობუსის გარშემო.

ამ კუთხეში უდიდესი ფლორაა, ეს ყოველივე დიდზე დიდი ასპარეზია მკვლევარი აგრონომისათვის, ჩემმა მზემ.

დაჯექი, ძმაო, ტომები ტომებზე დაალაგე. შენსავით სვებედნი-

ერად უნდა ცხოვრობდეს ყოველი მეცნიერი. ესაა მხოლოდ, რომ-ოდე გოგო-ბიჭი გაკლია, ვახტანგ“...

ვარამ ნაღვლიანად შენიშნა:

„ეჰ, ჩემო ზურაბ, მე ჯერ არავინ მინახავს შვილებისგან გამედ-ნიერებული. ჩვენს დროში რად უნდათ შვილი? ჩვენმა სიძემ ყველაფერი საუკეთესოდ მოუწყო ჩემს დისწულს, მაგრამ სოფელი მაინც მოსაწყენი უდაბნოა, ბატონებო, — ესა სთქვა და რუსულად მიუბრუნდა არადელს: — «Однако, мадам Арадели не пожелала в такой рай попасть, ее как видно, больше устраивает жить на проспекте Руставели»[1].

არადელი ჭამას მოეშვა, საკმაოდ უკმეხად მიუგო ვარას:

„ვინ მოგახსენათ, ქალბატონო? უკვე სამი თვეა, რაც თელავში გადმოვიყვანე ცოლ-შვილი. მე ერთ დღესაც არ ვიცხოვრებდი ისეთ ცოლთან, რომელიც იქ არ წამოვა, სადაც ამას ჩემი პროფესია მო-ითხოვს“.

ცეროდენამ გამოღრღნილი ბარკალი თეფშზე დასდო და სთქვა:

„ეგ სულ მეტაფიზიკური ლაპარაკია, ბატონებო, თანამედროვე სოფელი ჯერაც ვერ იძლევა ინტელიგენციისათვის საჭირო სული-ერ საზრდოს“.

„მე ვეთანხმები ჩემს ბიძაშვილს, — სიტყვა ჩაურთო ვარამ, — ყოველი კულტურული ადამიანის სამშობლო დიდი ქალაქია მხო-ლოდ. ევროპის არისტოკრატია ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნე-ში აიყარა სოფლებიდან, პარიზს, რომს, ბერლინსა და ლონდონს მი-ამშურეს ლორდებმა, გრაფებმა და ბარონებმა.

ქალაქმა შვა ევროპული კულტურა. ფობურგ სენ ჟერმენი რომ არ ყოფილიყო, სტენდალი და ბალზაკი ვერ დასწერდნენ თავიანთ ბრწყინვალე რომანებს“.

კორინთელმა უგუნებოდ გაიღიმა, ვარას თვალი აარიდა და სთქვა:

„განა მარტო რომანების ამბავია ამქვეყნად? თქვენ, როგორცა სჩანს, არც რადიოს უსმენთ, არც გაზეთს კითხულობთ.

ევროპისა და ამერიკის დიდ ქალაქებს დიდი წყევლაც მოაქვთ კაცობრიობისათვის. ისინი იმპერიალიზმის ციტადელები იყვნენ მუდამ.

რომს ანტიურ პერიოდში მეორე სახელიც ერქვა: „ურბს“, ე. ი. ქალაქი. ყოველი ქვეყნის მოსახლეობის სამ მეოთხედზე მეტი სოფ-

---

[1] მადამ არადელმა მაინც არ ისურვა ამ სამოთხეში მოხვედრა, როგორც სჩანს, იგი რუსთაველის პროსპექტზე ცხოვრებას არჩევს.

ლელებისაგან შესდგება, სოფლელებს მუდამ საკუთარი [illegible] უცხოვრიათ.

ევროპისა და ამერიკის დიდი ქალაქების უფსკერო [illegible] ფერმა გააძლო. სწორედ ამან შექმნა ჯერ კიდევ [illegible] ევროპელი ხალხების „დრანგ ნახ ოსტენ“ — აღმოსავლეთისაკენ სწრაფვა.

მანვე გამოიწვია ჯვაროსნული ომები და ყველა ომი იმ დღიდან ამ დღემდე.

თანამედროვე დიდ ქალაქს ვეღარ აუდის საკუთარი ნაციონალური ნედლეულის ბაზარი და იგი ეძიებს ახალს და ახალს აურაცხელ კოლონიებში.

არსებითად ამ ნედლეულის ბაზრებისათვის იღვრებოდა სისხლის მდინარეები სამი თუ ოთხი ათასეული წლის მანძილზე.

გადარეული ჰიტლერის „ლებენს-რაუმს თეორიის“ — სასიცოცხლო სივრცის თეორიის ფესვებს რომ მივსდიოთ, აშკარა გახდება, რომ ბერლინის, ლაიპციგის, ჰამბურგის და მიუნხენის ქალაქური მოსახლეობის უძღები კუჭია ყოველივე ამის მიზეზი.

იანვარში ლონდონის მთავარ ქუჩებში გავლილს შუაზაფხული ეგონება, როცა იგი ინდოეთიდან, მალაკიდან ჩაძოტანილ დურიონებს, კოკოსებს, ანანასებსა და ბანანებს თვალს მოჰკრავს.

ასე რომ არა მარტო დიდი ბრიტანეთის კუნძულები, მისივე კოლონიები და დომინიონები ვეღარ აუდიან ლონდონის გაუმაძღარი კუჭის გამოკვებას.

ბიბლიური ანალოგია რომ ვიხმაროთ, დიდმა ქალაქმა შვა იმპერიალიზმი, იმპერიალიზმმა რასული თეორია და ნაციზმი, ხოლო ამ უკანასკნელმა — ომი.

ომი ესაჭიროება ქალაქების პლუტოკრატიას და არა ხალხს, რადგან ევროპისა და ამერიკის ხალხებს პოლიტიკას ისე ეკითხებიან, როგორც დიფერენციული ინტეგრალების გამოყვანას.

შეიძლება ხელაღებით ითქვას: ახალი ატილა რომ მოევლინოს კაცობრიობას, დიდ ქალაქებს რომ ჩამოუაროს, არავითარი ომი არ იქნება ამქვეყნად, სანამ ეს ქალაქები კვლავ არ აღსდგებიან.

რაიცა შეეხება კრეტინიზმს, ის ადამიანები, რომელთაც ასეთი მიდრეკილება აქვთ, არსად მოიშლიან მას.

მოწყენილმა ბურჟუაზიამ გამოიგონა მონტე-კარლო, ბანქოს თამაშის სატახტო ქალაქი. ახლა რამდენი მილლიონი უსაქმური კლავს დროს ტოტალიზატორებზე, რამდენი ერთობა პინგ-პონგით, დერბით, ჰოკეით“.

ცეროდენამ თხილის სალეწი აიღო სუფრიდან და თხილის ლეწვას შეუდგა, ხარბად იღეჭებოდა და ამბობდა:

„სოფელი კარგია, როცა დიდი მამული და მისი მომვლელები გაგაჩნია. ბაბაჩემს, თავად ჯორჯაძეს სამი ათასი ჰექტარი ჰქონდა და ათასზე მეტი ნაყმევი ჰყავდა.

ბიბლიოთეკა

იგი ჩემსავით თხილის ლეწვაში როდი ჰკარგავდა დროს, თხილის მლეწავები თავზე ადგნენ სადილობისას.

მთელი ეს არაშენდა-გველეთი ჩემი დედულეთი იყო. მარტო მუხისა და წაბლის ტევრების მოჭრაში შემოგვაძლია იტალიის ერთმა სააქციო საზოგადოებამ ორასი ათასი ოქროს მანეთი. არაფერი შემარჩინეს და ციხეში მიკრეს თავი“.

ცეროდენა დადუმდა. ღვინო მოსვა, ახლა უფრო ენერგიულად შეუდგა თხილის ლეწვას. თანაც ამბობდა:

„არაშენდა-გველეთი მე რომ შემრჩენოდა, არასოდეს ვაზნარებს არ მოვაწყობდი აქ. ეს არარენტაბელური ამბავია. ტყეებს გავჩეხდი, ხოლო ახოებს საიალაღოდ მივცემდი თუშ მეცხვარეებს.

საერთოდ თანამედროვე ტექნიკის შემოსვლა ჩვენს სოფელში არც ისე სახარბიელოა, როგორც ეს ბევრს ეოცნებება. ცივილიზაცია საბოლოოდ მოსპობს ეროვნებებსა და მათ ნაციონალურ თავისებურებას ნიუველირებას მოუწყობს. მხოლოდ პრიმიტიულმა სახალხო მეურნეობამ შეინახა ხალხთა ნაციონალური იერი. ინგლისურმა ენამ დაიპყრო როგორც რკინიგზის, ისე გემების მეურნეობანი, ფრანგულმა — დიპლომატია და საერთაშორისო ამბები.

მე რომ ქუჩაში მამა ღმერთი შემეყაროს, ასი წლის შემდეგ ისევ აქ მოგიყვანო, რომ შემომთავაზოს, უარს მოვახსენებდი.

წამომიდგენია როგორ გადათხრილი იქნება ჩვენი უტურფესი ალაზნის ველი გრეიდერებითა და ექსკავატორებით. სირენების ღრიალი აიკლებს აქაურობას, მილების კვამლი შერყვნის ამ საუცხოო ლანდშაფტებს, რკინის ხიდები და საკანატო გზები დაამახინჯებენ კავკასიონის ზურმუხტ მთებს“.

„მაშ აგრე გამოდის, ფეოდალიზმის სიბნელეს უნდა მივუბრუნდეთ, უწიგნურობას და უგზაობას, არა?“ გესლიანად შენიშნა კორინთელმა.

„აგრე გამოდის, თქვენ ისტორიის ჩარხის უკუღმა დაბრუნებას მიელტვით?“ უთხრა ზურაბ არადელმა მოღუშულ ცეროდენას.

„ისტორია, ჰმ, კაცობრიობის ისტორია რაღაა? მართლაც ნამდვილი დომხალი, ძალადობისა და ველურობის დომხალი“.

კორინთელი აღშფოთდა ამის გამგონე, მაგრამ შეეცადა თავი

შეეკავებინა. იდაყვების მოცაცუნებით ანიშნა მის გვერდით მსხდარ ძია ნიკოს და არადელს, ავდგეთო.

როცა სამივენი ბაღში გავიდნენ, ზურაბმა ვერ დამალა თავისი უკმაყოფილება:

„მაშ აგრე ამბობდი, ვახტანგ, ეს კაცი ინჟენერია-ეკონომისტია, გიტყდე, იგი არცხვენს მრავალ პატიოსან ქართველ ინჟენერს. მე არ მესმის, როგორ ბედავს იგი შენს სახლში ასეთი უხამსი აზრების გამოთქმას:“

„რა ვქნა, ჩემო ზურაბ, ჩვენ, ქართველებს, სხვათა შორის ერთი ცუდი ჩვეულებაც გვაქვს შემორჩენილი: სტუმარს ბევრ რამეს ვაპატიებთ ხოლმე. მაინც დარწმუნებული იყავი, ამიერიდან იგი ფეხს ველარ შემოდგამს ჩემს სახლში!“

•

ბაღში მოსაუბრეთ შემოესმათ: ვარამ გადასძახა საძილო ოთახში მწოლარე მედიკოს: ახლავე მოვალთო. შემდგომ ამისა კორინთელმა თვალი წაატანა თუ როგორ გადაიარა კიბის თავი ორმა ლანდმა, ჭიშკარი გააღეს და შარაგზაზე გავიდნენ ხმადაბლა მოსაუბრენი.

კორინთელი მიხვდა: ვარა და ცეროდენა წავიდნენ სადღაც...

ძია ნიკო და არადელი დიდხანს ეეედრნენ კორინთელს: მანქანაში ჩაესხდეთ, ექიმ კანდელაკის ოჯახში ვართო სამივენი მიწვეულნი. კორინთელი უარზე დადგა: ხვალ დილით მთავრობის კომისსიას მოველითო მე და ციხისთავი.

როცა მანქანამ თან წაიყვანა სტუმრები, თემშარაზე უქუდოდ დარჩენილმა კორინთელმა გაიფიქრა: საექიმო პუნქტისაკენ გავისეირნებ და სუსქიას გავუვლიო, მაგრამ ამჯერად დაძლია მოძალებული წადილი და ეზოში შებრუნდა.

კიბეზე ასულიც არ იყო კორინთელი, როცა შემოესმა მედიკოს ძახილი: „მაია, მაია“... აღარსად სჩანდა იგი.

„მაია, წყალი მომიტანე“, ისევ შემოესმა კორინთელს..

კორინთელი ჩამოვიდა კიბიდან, მწვანე სკამზე ჩამოჯდა ქარაფის პირად. შესცქეროდა ვარსკვლავების ნელინელ გამოჩინებას ცაზე. ესმოდა მედიკოს ძახილი და ფიქრობდა თავისთვის:

„შენ, იმის ღირსიც არა ხარ, რომ წყალი მოგაწოდოს კაცმა“...

„რა საოცარია ცხოვრება, — ფიქრობდა ვახტანგ კორინთელი. — რა უცნაურად გამოეთიშები ხანდახან ისეთ ადამიანს, რომელიც შენი სულის მენახევრე იყო. ოდესღაც ამ ქალისათვის სიცოცხლე-

საც არ დავიშურებდი, ახლა იგი წევს დაბნელებულ ოთახში, დასიცხული წყალს ითხოვს ამაოდ“...

მედიკოს ძახილი შესწყდა. ვახტანგ კორინთელი იჯდა და ქავაქსიონს უკვრეტდა ახლა. მთვარე დაქათქათებდა ვერცხლის ტალღებით მოოჭვილ ქედს.

შორიდან, ძლიერ შორიდან მოისმოდა მარტოხელა წეროს ძახილი, ისეთი სევდიანი და უმწეო. კორინთელმა უნებურად ალაზნის ჭალებისაკენ გაიხედა. უკვრეტდა სივრცეს, მაგრამ არსად სჩანდა წერო.

კორინთელს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, ახლოვდებაო ეს ძახილი; მიაშტერდა მოლიბრო ცას, ძახილი უფრო და უფრო მკაფიოდ მოისმოდა, მაგრამ, თვით იგი არა სჩანდა, ვინც ასე გულისმომწყვლელად იძახოდა. უცნაურად აწრიალდა კორინთელი, უფრო ახლოს მივიდა ქარაფის კიდესთან, ახლა ცას მოარიდა მზერა, ეგებ ძირს გადაშლილ ტყეების კენწეროებზე მოფრინავდესო წერო; თვალსაწიერი გამსჭვირვალე იყო, მაგრამ მისი სილუეტი ალარსად სჩანდა.

ისევ სკამზე ჩამოჯდა და სწორედ ამ დროს მან თვალი მოჰკრა: თალხი ლანდი მოჰქროდა სამხრეთიდან გამალებული. კორინთელის დაძაბული მზერა უკვე ამჩნევდა, თუ როგორ გამოეყო სიმრუმეს წინწაშვერილი თავკისერი ფრინველისა, მერმე მისი განიერი ფრთების მოხაზულობა. იგი მედგრად მიაპობდა ჰაერს და იძახოდა.

ეს იყო სასოწარკვეთილი ძახილი ზეცის თავანს შერჩენილი მარტოსულისა, ძახილი დაცალებული მიჯნურისა, რომლებსაც გულისტოლი დაკარგვოდა, მიწაზე და ეთერის უფსკრულებში დაეძებდა მას...

წერო ჩრდილოეთისაკენ გაუჩინარებული არ იყო ჯერაც, კორინთელი ადგა, შინ შევიდა. მას ისევ შემოესმა მედიკოს ძახილი: „მაია, მაია“.

კორინთელმა ქუდი და ჯოხი აიღო, ბიქინა უკან გამოუდგა; მან ხელში აიტაცა ცხოველი, კუთხეში დააწვინა და კარი მაგრად გამოიხურა.

*

ახალშენში ნელ-ნელა წყდებოდა გამვლელთა ჟრიამული. ელნათურები ოდნავ ბეუტავდნენ, უსუსურ სინათლეს ჰფენდნენ ხარაჩოებიან ახალ ნაგებობებს, ახლად გაყვანილ შარებს, რომელთა გასწვრივ დაზვინული ხრეშის პირამიდები ირმის ტბამდის მრავალწერტილებად გაწკაპულიყვნენ.

სადღაც კარი ჭრიალებდა, ვიღაცეები სადღაც მიიჩქარიოდნენ. შუკებიდან საქონლის ბღავილი ისმოდა. ტრაქტორები ბუბუნებდნენ შორს, ურმები მიჭრიალებდნენ ტაატით.

ფაფახიან კაცს თოხლი შეესვა მხარზე, ბავშვივით ეჭერებოდა, საალერსო სიტყვებს ედუდუნებოდა: მას უკან მისდევდა ბავშვალა ანი დედაკაცი, რომელსაც აკვანი მიჰქონდა ხელით.

მასწავლებელ ქალს პატარა გოგონების გუნდი მიჰყავდა გზაზე.

შეღერებული ბიჭუნების რაზმეული ჩქარი ნაბიჯით მისდევდა ქოჩორა პიონერხელმძღვანელს.

„ერთი, ორი, ერთი, ორი!“ ისმოდა ნახევრად ბნელში. ფეხების რიტმიული ტკაპუნი რეფრენად მისდევდა ამ ხმებს.

ნაბდისქუდიანი ბიჭუნა სახრით მიერეკებოდა კამეჩებს. ეს კამეჩები თუჯის ფიგურებს მიაგავდნენ, თხემიდან ტერფამდის ლაფში ამოსვრილნი.

ხმლიანი ხევსური თოკით მიათრევდა ზედ შუაგულ გზაზე შავ ღორს. გაავებული ცხოველი ენერგიულად ეურჩებოდა თავის პატრონს.

სჩანდა: ხმალ-დაშნიან რაინდს ერცხვინებოდა ეგზომ არაროგანტიულ ცხოველთან მოგზაურობა, უშვერად ლანძღავდა ღრუტუნას.

გაჯიქდებოდა ღორი, მიეჭრებოდა ხევსური, უთავაზებდა პანღურს, ისტერიულ ყვირილს მორთავდა შეურაცხყოფილი. ბოლოს ხევსურმა დიდხანს ეძება ქვა და მოკირწყლულ გზაზე რაკი ვერ იპოვნა იგი, ქარქაშიანად მოიხსნა ხმალი და ხელტუკივით დასცხო იგი ღორს. ყალხზე შესდგა პირუტყვი, ბრაზმორეულმა გამოაჩინა თავისი თეთრი, ლაპლაპა ეშვები.

კორინთელს გაეღიმა ხმლიანი რაინდისა და შავი ღორის ორთაბრძოლის შემყურეს.

საიდგანღაც ბავშვის გაბმული ტირილი მოისმოდა.

კორინთელი გზის პირად შესდგა. ახლადაგებულ სახლის აივანზე ქალი გამოვიდა, მან რიკულებზე გადაკიდებული ზეწარი ბილო და ისევ შინ შევიდა.

ბავშვი განაგრძობდა ტირილს. იგი ისეთი გულისმომწყვლელი იყო, კორინთელი იდგა თემშარაზე და მანამ ადგილიდან არ დაძრულა, სანამდის ტირილი არ შეწყდა.

კორინთელმა სუსქიას ოთახში მბეუტავი სინათლე რა შენიშნა, გაიხარა: მას ისე მაგრად შემოსწოლოდა მარტოობისაგან მოგვრილი დარდი, დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ და მხოლოდ სუსქიასთან შეყრა თუ განკურნავდა ამ წუთში.

ხელების ფათურით მიჰყვა გრძელსა და ვიწრო დერეფანს.
ბობღია ლანდი წინ გადაეღობა დერეფნის ბოლოს:
ვინა გნებავთო, ბატონო?
კორინთელმა დარაჯი მათე შეიცნო.
ექიმი მინდელი იკითხა.
„აგრე დამიბარა, შენ ხარ ჩემი ბატონი, თუ ვინმემ მიკითხოს, მომიცადოსო. ექიმი ავადმყოფთან იხმეს სასწრაფოდ. შემობრძანდით მის ოთახში, საცაა მოვა, ბატონო“.
დარაჯმა გასაღები დაარაჩხუნა, კარი გააღო და სუსქიას ოთახში შეუძღვა სტუმარს. უცნაური სისუფთავე და წესრიგი დაემყარებინა ქალს ამ პატარა, დაბალჭერიან ოთახში, რომლის კარ-ფანჯრებს საღებავების სუნი ადიოდა ჯერაც.
კედელზე ბალღიანი მადონას რეპროდუქცია ეკიდა, მაგიდაზე რამდენიმე ფლაკონის გვერდით ფაიფურის ვაზა იდგა, შიგ ოდნავ შემჭკნარი ყვავილები იდო.
მათე კარის ზღურბლთან იდგა და ნელი ხმით ესაუბრებოდა კორინთელს:
„ასეთი გამრჯელი ქალის მნახველი არა ვარ, შენ ხარ ჩემი ბატონი, მთელი დღე შრომობს, მუდამ ბავშვები ახვევია გარს. მისთვის არც ძილია და არც მოსვენება.
მთელს გველეთში ორად ორი ექიმია, ის მეორე, ქალაქს წავიდა. მთელი ახალშენის მცხოვრებნი ექიმ მინდელის კარზე დგანან.
ამ სამი დღის წინათ თევზი უჭამია ერთ ხევსურს და მოწამლულა ბედშავი, სიკვდილს ხელიდან გამოგლიჯა იგი. გუშინწინ თუშ მეცხვარეს ხანჯლით დაუჭრია გზადგავლილი მეველე“.
რათაო? იკითხა კორინთელმა.
„რათა და თუშის ცხენს გზის პირას სიმინდი მოუჭამია, გაავებულა მეველე და დედა შეუგინებია იმ თუშისათვის. მოგეხსენება, რა გულფიცხები არიან თუშები, ხანჯლით დაუჭრია ი ბედშავი მეველე. მერე ის იყო, სულთმობრძავი მეველე მიათრიეს საექიმოში, მინდელის ქალმა სასწრაფოდ ამოუკერა მუცელი. როგორც იყო, სიცოცხლე შეარჩინა.
აგეთი კაცთმოყვარე ქალის მნახველი არა ვარ, შენ ხარ ჩემი ბატონი. ლუკმას გაგიყოფს, ეგეთი ვინმეა ჩვენი ექიმი. შემეევედრება ხოლმე, დამეწვიეთ სადილად, მათე, მარტო ჭამა შემძაგდაო, სულ ამას ჩივის“.
ეს უკანასკნელი ფრაზა შაშარივით მისწვდა კორინთელის გულს, უცნაური სიბრალული აღეძრა ამ მარტოხელა ქალის მიმართ.
კორინთელმა საათს დახედა. უკვე ათს გადაცდენილიყო ისარი.

კიდევ მოვიცდიო ცოტა ხანს გაიფიქრა და ახლა მათეს დაუწყო გამოკითხვა მისი ცხოვრების ვითარებათა გამო.

როგორც ეს უბირ ადამიანებს სჩვევიათ, მათე [illegible] შეუდგა თავისი ბიოგრაფიის დაწვრილებით მოყოლას [illegible] ეწყალ ყოფილა მათე: იმერეთიდან ზედსიძედ მოსულს სახლ-კარი ჰქონია ალაზნის გადაღმა.

ორი ვაჟი გერმანიასთან ომში დაღუპვია, მესამე ტფილისში ზედსიძედ შესულა. მათეს მხედველობა შესუსტებია დამწუხრებულს.

„ჩემი ხელობა პურს ვეღარ მაჭმევს, შენ ხარ ჩემი ბატონი. ძაფს ვეღარ ვუყრი ნემსში, ვერც მახათს ვხმარობ, ისე მიკანკალებს ხელი. დარაჯად ამიყვანეს და ვუცდი სიკვდილს ჩემს სადარაჯოზე".

ახლა ეს იკითხა მათემ: ომი თუ არისო მოსალოდნელი? ი მესამე ვაჟიც რომ ომში წაიყვანონ, ალაზანში უნდა დავიხრჩოო თავი.

კორინთელმა ანუგეშა მოხუცი: ფაშისტები ვერ გაბედავენო ომს.

როცა თავისი ბიოგრაფიის თხრობა მოათავა მათემ, თავი მოიფხანა და წაიდუდუნა:

„ი მეველეს თუ სიცხემ აუწია, შესაძლოა დილამდესაც არ მოვიდეს ექიმი".

კორინთელმა ხელახლა დახედა საათს, წამოდგა, მშვიდობა დაუბარა დარაჯს და დაბნელებულ თემშარას დაადგა.

უკვე ეძინათ გველეთის ახალმოსახლეებს, ალაზნის ჭალებიდან მოისმოდა მამალი ხოხბების გაბმული ყივილი. მამუკასეულ ციხესა და ეკლესიას ჩაურა კორინთელმა, სილამე და სიცარიელე იმზირებოდნენ შელეწილი ბასტიონების კარიბჭეებიდან, ჭოტი იძახოდა სადღაც...

კორინთელის გულში გადმოინთხა ნანგრევთა და ნატამალთაგან ამდგარი სევდა, ბნელში დანთქმული ქამთაგან მონაბერი.

შინმიბრუნებულმა ფეხაკრეფით აიარა კიბე. მედიკოს ოთახში ჯერაც ბჟუტავდა სინათლე. სასადილოდან ვარას ხროტინი ისმოდა.

კაბინეტის კარი შეაღო თუ არა, ბიჟინა შემოეგება კუნტრუშით. კორინთელმა ბალღივით აიტაცა ეს უმანკო პირუტყვი ხელში და აკოცა მის გიშრისფერ, მშვენიერ დრუნჩს. მას აგრე ეგონა: ამქვეყნად ეს ნუკრი ყოფილიყოს მისთვის უახლოესი არსება ამ წუთში.

ბულბულების ორკესტრი

ინჟენერის, ცეროდენას, უკანასკნელმა სტუმრობამ ასე თუ ისე დააჩქარა გორდისეული კვანძის გახსნა. ამას ზედ დაერთო კიდევ ერთი გარემოება:

კორინთელმა მხოლოდ ორჯერ ინახულა ექიმი მინდელი და ამან იკმარა: საექიმო პუნქტის ექთანებმა მთელს ახალშენში მითქმა-მოთქმა შექნეს ექიმისა და პროფესორის ურთიერთობათა გამო. ეს ჩურჩული დაუყონებლივ მისწვდა ვარას სმენას.

ერთ საღამოს ციხისთავმა გამოუარა კორინთელს, ყვარელს თან წაიყვანა სასწრაფოდ მოწვეულ თათბირზე. ნავარაუდევი იყო, თათბირი სამ დღეს უნდა გაგრძელებულიყო, ამიტომაც კორინთელმა მანქანიდან გადმოსძახა მაიას: მასზეგ მოვალო.

მოხდა ისე, რომ იმავე ღამეს ციხისთავი ტფილისს გაიძახეს მოულოდნელად და თათბირი გაქარდა, ასე რომ კორინთელი ღამის სამ საათზე მიბრუნდა გველეთში.

ახილმა ერთი შეუტია ბაღში შემოსულს, როგორც კი შეიცნო პატრონი, ალერსიანად გაუძღვა კოტეჯისკენ მიმავალს. წინა კარი დაგმანული დაუხვდა კორინთელს, კარის ალაგთან, საველე საწოლზე ხვრინავდა მაია.

კორინთელმა ერთ-ორჯერ დააკაკუნა ფრთხილად და რაკი არავინ გამოეხმიანა, შეებრალა მოხუცი, ირგვლივ შემოუარა სახლს იმ იმედით, ეგებ რომელიმე კარი დაკეტილი არ აღმოჩნდესო.

ამაო იყო ცდა, მხოლოდ მისი კაბინეტის ფანჯრისთვალი ღია დარჩენოდა მაიას. ფრთხილად აძვრა ფანჯრის რაფაზე, ხელი ჩაჰყო ფანჯრისთვალიდან, საკეტი გააღო და სულმოუთქმელად გადაძვრა თავის კაბინეტში.

ძილი არ მოეკიდა. ბოლოს, ის იყო თვლემა წაეპოტინა მის ქუთუთოებს, ხმადაბალი ორთა საუბარი მისწვდა საძილო ოთახიდან მის სმენას. ვარა ეუბნებოდა მედიკოს ფრანგულად:

...„შენი პროფესორი, როგორც იქნა, სწვევია საწადელს, ხომ ვამბობდი, „მა შერ“[1], რა ხელი აქვს-მეთქი დიაკვნის შვილიშვილს ვაჩნაძიანთ ქალთან. კანალია კანალიას[2] აჰკიდებია.

ხომ გაფრთხილებდი, მედიკო, თელავში, როგორ მოილხინა ნიკოსას იმ ღამეს ვახტანგმა, თვალები უბზინავდა, როცა ლუკა მეთონის ქალს ელაპარაკებოდა სუფრაზე.

---

[1] ჩემო ძვირფასო.

[2] ძაღლების ხროვა.

შენ ნამდვილი ცხვარი ხარ და არც კი გესმის, მამაკაცი რომ თევზსა ჰგავს ერთ რამეში: თუ ლაყუჩებში არ წაეტანე, უთუოდ გაგისხლტება ხელიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ არც კი გაგიგია, ნავახშმევს თავათ რომ ... პროფესორმა თავისი დამა.

მე სრულ ერთ საათს ვიცადე და მერე წამძინებია.

რა იცი, იმ ღამეს ზოგი რამ რომ არ დასთქვეს. ახლა ჩემთვის ცხადია, ეს მან გადმოაყვანინა სუსქია საექიმო პუნქტის გამგედ. ამიტომაც ვერ დავძარით იგი ბერმუხიდან.

ხომ ფაქტია, ვახტანგს საზღვარგარეთ მივლინება შესთავაზეს და მტკიცე უარი უთქვამს თურმე. ახლა ყოველივე გასაგებია ჩემთვის".

„არა მგონია, დეიდა, — მიუგო მედიკომ, — მას მოყირჭებული აქვს ევროპული ცივილიზაცია, ამიტომაც სიამოვნებით ცხოვრობს დათვების ამ ბუნაგში".

„ჰა, ჰა, ცივილიზაცია მოსწყინდა გუდამშიერ დიაკვნის შვილიშვილს და ბერმუხის ნაკელის სუნი მონატრებია, არა? ღმერთო, რა სნობიზმია ეს ყოველივე!

ჭეშმარიტად სასაცილონი არიან ეს თანამედროვე ჩაილდ ჰაროლდები! ევროპის ცივილიზაციას ყოველ გზაჯვარედინზე ლანძღავენ, თანაც არხეინად დასეირნობენ მერსედეს-ბენცის ფირმის მანქანებით.

ინგლისურ კოსტიუმებს არ იშორებენ, ამერიკული ავტოკალმებით სწერენ. ჰა, ჰა, ჰა".

ახლა ისევ მედიკოს ხმა მოესმა კორინთელს:

„სწორედ გითხრა, მე ის ამბები არა მჯერა, დეიდა".

„ყველაფერი შენი ბრალია, ჩემო კარგო, როგორც გინდა, ისე იანგარიშე", სთქვა ვარამ ქართულად და მერმე ისევ ფრანგულად განაგრძო:

„ლამაზ ქალებს და გაყოყოჩებულ მწერლებს ერთი და იგივე სენი სჭირთ: ყოველ თქვენთაგანს აგრე ჰგონია, ვერვინ შეგვცვლისო; ამიტომაც გეკარგებათ შესაძლებელი მეტოქის წინაშე სიფრთხილე".

„არა, თქვენ სცდებით, დეიდაჩემო, მე ჩემს თავს არასოდეს ვთვლიდი მზეთუნახავად, მით უმეტეს ეხლა, როცა ჭაღარამ თავზე გადამათოვა.

არც იმას ვფიქრობ, რაიმე სერიოზული ურთიერთობა ჰქონდეს ვახტანგს მინდელის ქალთან. ეგეც რომ არ იყოს, აწი ჩემთვის ეს

სულერთია. მე შემძულდა კიდეც ჩემი ქმარი და აღარც მას ვუყვარვარ უკვე. „სე ტუ...“[1].

ეზოდან ახილის ყეფა მოისმა. ვარამ თითქმის ხმამაღლა სთქვა:

„გაჩუმდი, ვგონებ მობრუნდა ვახტანგი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

ბნელში მონასმენმა დიალოგმა კორინთელი გააფრთხილა. უკვე მოგვიანებით, მაგრამ მაინც გადაწყვიტეს ვახტანგმა და სუსქიამ გველეთში არ შეხვედროდნენ ურთიერთს.

შაბათამდის ორივენი თავგამეტებით მუშაობდნენ. სამუშაო დღის ბოლოს ირმის ტბის გადაღმა უცდიდა მათ მანქანა, რამდენიმე კილომეტრის მანძილზე გასცდებოდნენ გველეთის სანახებს, ბოლოს მოსძებნიდნენ უკაცრიელ ადგილას, ხეობაში სადმე და მხოლოდ ნაშუაღამევს ბრუნდებოდნენ შინ.

ერთხელ კორინთელი დაჰპირდა სუსქიას, ნაღვარევის ხევში წაგიყვან, ბულბულების ორკესტრი უნდა მოგასმენინოო.

ყვარლის გზაზე სულ ხუთიოდე ყილომეტრიც არა ჰქონდათ გავლილი, სწორედ ვერხვებთან გაჭირვეულდა მანქანის მოტორი.

შემთხვევითობის უცნაურ ჭირვეულობას მოეწადინა აგრე: სწორედ იმ საღამოს გულის შემოტევა მოუვიდა მედიკოს. საექიმო პუნქტიდან მინდელის შემცვლელი ექიმი მოიყვანეს, მაგრამ ქაფურის ზეთი ვეღარსად იშოვნეს. ვარამ არ ითაკილა, გველეთიდან მომავალ სატვირთო მანქანას ჩაუჯდა კაბინაში და წამლის მოსატანად წავიდა ყვარელს.

სწორედ ვერხვებთან ასეთი რამ ნახეს მისმა ცნობისმოყვარე თვალებმა: ანდრო ახდილ კაპოტთან იდგა, ვახტანგი და სუსქია მანქანაში ისხდნენ. ორივენი ისე გართულიყვნენ საუბრით, არც კი შეუმჩნევიათ სატვირთო მანქანიდან მოთვალთვალე ვარა.

*

შოფერმა ანდრომ რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ აამუშავა მანქანა.

ალვები,

თუთები,

ატმები მიჰქრობდნენ სივრცეში.

---

[1] გათავდა, მორჩა.

მოსიყვარულე თვალით გასცქეროდა კორინთელი კორდების კალთებზე შეფენილ ვაზნარების კვადრატებს, მარნების გვერდით პირდაბჩენილ ქვევრებს, პარიზის ხსნარში ამოთხვრილ წამპეებში მონებივრე კამეჩებს, თხემებზე შეფენილ ფარებს.

ბოლოს დაიწყო უკაცრიელი ხეობა. ქარაფების კიდეს აღმართული ციხეები გოროზად გადასცქეროდნენ უფსკრულებს. ეთერში მორიალე ორბები ცაში ირაოს აკეთებდნენ.

კორდზე წამომჯდარი ბიჭი სალამურს უკრავდა, სადღაც ტრაქტორი ბრდღვინავდა.

მეველე მეველეს გადასძახოდა მთის წოპზე გადამდგარი, მერმე დავარდებოდა სიჩუმე და ეს ძერასფერი კლდეები, ეს თვალჩალამებული ხევები, ველური ყვავილებით მოჩითული კორდები, ზვარეში გაბრწყინვებული ალვები და ფიჭვები, ეს ყოველივე თხოულობდა აკვარელის დიდოსტატს.

კორინთელი ისე ჭაბუკურად აღტყინებული იყო სასურველთან მარტო ყოფნისაგან, დიდხანს არ შეუმჩნევია, რომ შოფერი ანდრო მთვრალი იყო, ხოლო როცა მას მეორეჯერ აერია გზა, და შეეკითხა პროფესორს, მარჯვნივ ვიაროო, თუ მარცხნით, ვახტანგმა ბოდიში მოიხადა სუსქიასთან და შოფერს მიუჯდა გვერდით.

როცა ანდრო მკვეთრად ამუხრუჭებდა, ან მანქანის თვალი ახლოს გაუვლიდა რომელიმე ქარაფს, კორინთელი თრთოდა და ცახცახებდა ისე, როგორც ავტოში პირველად ჩამსხდართ ემართებათ ხოლმე.

ბოლოს ველარ მოითმინა ვახტანგმა და უჩურჩულა შოფერს:

„მე შენ გუშინ გაგაფრთხილე, დღეისათვის მოგემზადებინა მანქანა, ამიტომაც არ უნდა დაგელია ღვინო“.

„არხეინად იყავი, ბატონო პროფესორო, სანამ ანდრო ცოცხალია, მას მკლავი არ უღალატებს. ღვინო მე რას მიზამს, ბატონო პროფესორო, მე ღვინო კი არა, სიკვდილიც ვერ მომერევა“.

კორინთელი გააცინა ანდროსაგან ასეთი ქადილის მოსმენამ, უნაყოფოდ ჩასთვალა მთვრალ კაცთან კამათი.

მაინც არა ცხრებოდა ანდრო:

„მიკვირს, დღეს რა მოგდით, ბატონო პროფესორო, თელავიდან რომ მოვდიოდით იმ უკუნეთში, თვალს ძლივს ვახელდი, რულზე მეძინებოდა, თქვენ არხეინად იჯექით ჩემს გვერდით“.

ისევ დადუმება არჩია კორინთელმა. მზერა ესროლა მეწყერებისა და ლაღუმებისგან შელეწილ კლდეებს. ისინი ფანქრით ჩანახაზებივით მოსჩანდნენ. ეს შრეების სიმეტრიული განლაგება, ეს ციხეებივით აზვინული ქორედ-ქორედები ამეღავნებდნენ გოროზი ბუნების უცნაურს გულზვიადობას.

ხეობა უფრო და უფრო ვიწროვდებოდა, მზე ჯერაც ანათებდა კავკასიონის რილო-ჭრელოს, მაგრამ ამ ხეობაში უკვე წვებოდნენ პირამიდისებრ აზვინული მთების ჩრდილები.

გრეიდერი განუკითხავად დაეტოვებინათ გზის პირად დაქანცულ შოფერს არხეინად ეძინა, თავის საჯდომზე პირქვედაბრუნებულს.

სჩანდა: ლაღუმები დაეშინათ კლდეებისათვის, ლოდები და გოროხები უწესრიგოდ ეყარნენ აქა-იქ, და ეს ყოველივე აძნელებდა მანქანის წინსვლას.

სუსქიამ შენიშნა: ვახტანგი ძლიერ ღელავდა, ბოლოს მთლად უცნაური ამბავი მოხდა. მხარმარცხნით გაუხვიეს ხევში, და ვახტანგმა თვალი წაატანა, თუ როგორ უსწორა მანქანამ მოსახვევში დაყენებულ გრეიდერს.

ეს შოფერმაც თავის დროზე შენიშნა, ამიტომაც მკვეთრად მოუხვია უფსკრულისაკენ.

იმდენი მაინც იმარჯვა ანდრომ, საურმე გზაზე შეაყენა წინა თვლები და სწორედ ამ დროს მას ხელიდან გაუსხლტა საჭე და მთელი ინერციით დაეშვა მანქანა ხევისკენ. ყვირილი მორთეს ხევს გადაღმა მდგარმა მეცხვარეებმა.

სუსქიამ თვალი შეასწრო, თუ როგორ მოეშვა დამფრთხალი ანდრო საჭეს, ჰაეო — დაიძახა და გაასავსავა ზეაწეული ხელები. ვახტანგი ლანდის უსწრაფესად წამოიჭრა თავის ადგილიდან, ანდროს გადაეფარა ზედ, საჭე წაართვა და როგორც იქნა, შესძლო მანქანის ნებისმიერი ინერციის შესუსტება, ღვიის ბუჩქზე მიაგდო და ხელის მუხრუჭი მოზიდა მკვეთრად.

კორინთელი გაფითრებული ჩამოხტა კაბინიდან, საკმაოდ უხეში ტონით უბრძანა ანდროს: ძირს ჩამოსულიყო. სუსქიას მიეშველა და მანქანიდან გადმოსვა.

ბოლოს კორდზე ავიდა, მოგვეშველეთო, გადასძახა მეცხვარეებს. თორმეტმა კაცმა ძლივს ამოათრია თემშარაზე უკუსვლით მანქანა.

ახლა თავათ კორინთელს მიჰყავდა მანქანა სულ ალმა და ალმა. ამჯერად უფრო და უფრო ფართოვდებოდა ხეობა, ლოდები და გორმახები მოხშირდნენ.

„ხომ არ დავბრუნდეთ, ვახტანგ?“ იკითხა სუსქიამ, თუმცა თავათ არამცდაარამც არ უნდოდა შინ მიბრუნება.

„არა, — სთქვა კორინთელმა, — მე არ მიყვარს გზიდან დაბრუნება.

ხომ არ გეშინია?“

ეკითხება ვახტანგი ქალს.

„მე სიკვდილისაც არ მეშინია, ვახტანგ“, მიუგო ქალმა, თავის გულშივე დასძინა: „მით უმეტეს შენთან“.

„სტოპ“, წამოიძახა ანდრომ.

ხის ბოგირი გრეიდერებსა და ტრაქტორებს ჩაელეწათ.

კორინთელი მანქანიდან ჩამოვიდა. ბოგირის ქვეშ მოქცეულ ხევის წყალს ჩაჰედა და სთქვა:

„სამუხლე წყალია, სუსქია“.

სუსქიაც გადმოვიდა, წყალს დახედა.

დასთქვეს: ანდრო და მანქანა ბოგირს გამოღმა დაეტოვებინათ. როცა ბილიკი ჩაიარეს, ვახტანგმა უთხრა ქალს:

„მე გადაგიყვან, ნუ გეშინია“.

სუსქია ოდნავ შეყოყმანდა. კორინთელმა ბალღივით აიტაცა იგი და გალმა გაიყვანა.

მამაკაცს ელექტრონის დენივით შემოენთო ქალის რბილი სხეულის სიტფო.

სამშვიდობოს რა გავიდნენ, მომღიმარმა ქალმა სთქვა:

„ხიფათი ამშვენებს კიდევაც მგზავრობას“.

„არა მარტო მგზავრობას, ცხოვრებასაც ამშვენებს ხიფათი“, დასძინა კორინთელმა.

ისინი მცირე ხანს მდუმარედ მიჰყვებოდნენ ლოდებივით დახერგილ გზას.

„ეს მეორედ გადამარჩინე, ძვირფასო, სიკვდილს“...

კორინთელი გამოკითხვას მოერიდა ამჯერად.

ერთბაშად გზისპირად აფრინდა კარაქისფერი ქორი. ორივემ თვალი შეასწრეს, თუ როგორ აიტაცა მტაცებელმა მახლობელ ჩირგვიდან გნოლი.

„როგორი უგულოა ბუნება, — სთქვა ვახტანგმა, — ის გნოლი ჯერაც ცოცხალია, მაგრამ ისე გაოგნებულია, ძლიერის მიერ მონუსხული, კრინტის დაძვრაც ვერ გაუბედავს.

ეს ყველაფერი ჰიპნოტიზმის ამბებია, იცოდე“.

მხარმარცხნით გაუხვიეს თუ არა, ბულბულის გალობა შემოესმათ, მგზავრები შესდგნენ. ხმას გაკმინდავდა ერთი, ახლა მეორე შეეხმიანებოდა მას ხევს გადაღმიდან.

მიდიოდნენ ორივენი და სულ ახალი და ახალი დასტა მგალობლებისა ებმებოდნენ ამ ხეობაში გამართულ ტურნირში. დასხდნენ და უსმინეს ბულბულების ორკესტრს.

„ვიაროთ“, სთქვა ვახტანგმა და გორის გადაღმიდან ამოსულ მთვარეს შეხედა. მთელი ხეობა გაანათა მოლიცლიცე შუქმა, ბულ-

ბულები არა სცხრებოდნენ და მდუმარედ მიმავალთ აცილებდნენ თავიანთი გალობით.

ვასკვლავებით მოჭედილი ცა ზედ დაბჯენოდა ხეობის გარშემო მოჯარულ, ცაში აჭრილ მწვერვალებს. ხევის წყალი საამოდ ჩხრიალებდა, მთვარის შუქით გავსილი ხეობა სთვლემდა ნათლის შუქითა და ბულბულების გალობით დამტკბარი.

გზის ასაქცევთან გადმომდგარიყო უზარმაზარი ციხის შავი სილუეტი, მდუმარე, დიდებული და გრანდიოზული; მთვარის შუქზედაც ეტყობოდა მას, ცალი კიდე ჩამოელეწა მიწისძვრებს.

გრანიტის კვადრატები ზედახორად შესხდომოდნენ ერთმანეთს. მათი ლტოლვა შეეჩერებინა კოლოსალურ ტრაპეციის მინაგვარ, ხავსმოდებულ ლოდს, რომელიც დევის სარეცელივით აზვინულიყო ამ ხეობის გავაკებაზე.

ვახტანგმა არც დახედა დევის სარეცელს, მის გარშემო ეყარნენ მომცრო ლოდები, გრანიტის კვადრატები.

„მოდი, აქ შევისვენოთ“, სთქვა კორინთელმა . და სუსქიას მკლავში წაავლო ხელი. ლოდიდან ლოდზე, კვადრატიდან კვადრატზე ავიდნენ ორივენი მაღლა და ამ ხავსმოდებულ ლოდზე დასხდნენ.

მცირე ხანს უჰვრეტდნენ მთვარის შუქით განათებულ ხეობას, რომლის უბეებში გატვრინულიყო ღამე.

ზღვას მიაგავდა ხშირი ტყით დაბურული ხეობა. შორს, ძლიერ შორს, თვალსაწიერის დასასრულს, ირგვლივ მოჯარული მთის მწვერვალები იდგნენ თეთრად შესუდრულნი და მთელი ეს მანძილი მათ ქვემოთ ისე მოსჩანდა, როგორც მთვლემარე ზღვა.

ვახტანგმა თავი გადაუწია ქალს. მთვარისკენ მიაბრუნა იგი, ღრმად, ღრმად ჩახედა ნაღვლიან თვალებში. მერმე ხელი წაუცაცუნა მის გრუზა თმებს.

სულ ახლოს მიიტანა ტუჩ-პირი ქალის მთრთოლვარე, მშვენიერ ტუჩებთან, თავი შეიკავა, აღელდა უცნაურად და მთელს სხეულზე შემოეგზნო ისეთი მხურვალება, როგორსაც მოჰგვრის ხოლმე ნასმურევს ძველთა ძველი ქინძმარაული...

და როცა ორივენი წააქცია ენებამ ხავსმოდებულ ლოდზე, ვახტანგმა შენიშნა: პირალმა მწოლარე თმებგაშლილი ქალი მთვარეს შესცქეროდა, უცნაური დარდი კიაფობდა მის დიდრონ თვალების თეთრონებში.

„ეს რა სთქვი, სუსქია, წეღან? მეორედ შენ გადამარჩინეო სიკვდილს. მე მაინტერესებს, პირველად ვინ გადაგარჩინა, ან რა გჭირდა მაინც სასიკვდილო?“

„ეს ამბავი პროვინციულ რომანებს მოგვაგონებს ოდნავ, მაგრამ ეს მოხდა იმ წელს, როცა შენ პარიზს გაემგზავრე პირველად, მე საწამლავი დავლიე შენგან განშორებით გულგასერილმა და ძია ნიკომ დროზე მიშველა“...

ვახტანგმა შეხედა ქალს უფრო მეტის დაკვირვებით, ვიდრე ადამიანს მის სახის ყოველ ნაკვთში კითხულობდა იგი განგლერილ სიმბოლის ნაჩრდილევს.

პირალმა მწოლარე ქალი განაგრძობდა ლაპარაკს, თითქოს ცას ეუბნებაო თავის აღსარებას.

„მამაკაცები უგულონი ხართ, ვახტანგ, მე აგრე მგონია, თქვენ ვერასოდეს ჩასწვდებით იმ იდუმალ მწუხარებას, რომელსაც აყენებთ ქალს.

თუ არა ვცდები, თქვენ გიხარიათ კიდევაც, ასეთნი რომა ხართ, თითქოს ეს უგულობა მამაკაცობის აქტივში შედიოდეს, არა?

ამიტომაც ხდება ალბათ: თანამედროვე ქალი არჩევს მარტოკა შეებას ცხოვრებას, მარტოკა დარჩეს სიცოცხლისა და სიკვდილის პირისპირ.

გამოტეხილად გითხრა, მე გადამძალა ჯანგანმა, თორემ არ მინდოდა გველეთს წამოსვლა. არა, არ მინდოდა-მეთქი რომ ვამბობ, ეს არაა მთლად სწორი...

ნდომით მინდოდა, მაგრამ გონების ძალით გადაწყვეტილი მქონდა: აღარ შეგხვედროდი ხელმეორედ სადმე. ჩემმა პროფესიამ და განვლილმა მწუხარებამ იმდენი ჯანი წამართვა, მეეჭვება, ახალი ტანჯვისთვის რომ მეყოს ძალა...

ეგეც არ იყოს, შენ ულამაზესი ქალი გყავს ცოლად, უბედნიერესი კაცი ხარ და რად გინდა, მე უარესად გამიმწარდეს ისედაც გამწარებული ცხოვრება, ვახტანგ?“

კორინთელს ვაკაცური თავაზიანობა არ აძლევდა ნებას, აუგად ეხსენებინა თავისი ცოლყოფილი, ესღა წაიდუდუნა უარგუმენტოდ, უმწეოდ:

„შენ არც კი იცი, როგორი მარტოხელა ვარ, სუსქია... ან როგორი უბედური... საქმე ისაა, მე ამის მიზეზს ვერც გაგიმხელ. შენ მართალი ხარ: ჩვენ, მამაკაცები, ტლანქები ვართ და უგულონი. სამაგიეროდ, ჩვენ ვისჯებით კიდევაც. მეც მივიღე დამსახურებული სასჯელი...“

გულხმიერმა ქალმა ნათქვამის ქვეტექსტში ამოიკითხა ისიც, რისი გამჟღავნებაც არ იკადრა კორინთელმა, ბოლოს ესღა უთხრა მას:

„სამაგიეროდ, თქვენ მეცნიერება გაქვთ ნუგეშის მომგებელად“.

ეჰ, ჩემო სუსქია, მეცნიერის ცხოვრება ტანტალუსის ტანჯვას მოგვაგონებს. შენ განაგონი გექნება, ალბათ, ფრიგიის მეფის, ტანტალუსის ამბავი. იგი ღმერთებმა დასაჯეს: ყელამდის წყალში იდგა და წყურვილი აბრჩობდა...

მეცნიერებაც აგრეა, მთელი ცხოვრება უნდა შეალიო მას, სულ ცოტა რამეს მიაღწევ თუ არა, სიბერე კარზე მომდგარია უკვე...

ეგეც არ იყოს, ადამიანს ცხოვრებაც უნდა... მე არც კი მიცხოვრია ნამდვილი ცხოვრებით. მობეზრებული მქონდა მუდამ სხვის ქვეყნებში ხეტიალი, საკუთარი ოჯახის სიტკბოს მოკლებულს.

მეც შენსავით ბავშვები მიყვარდა მუდამ. გენიოსი და ველური ერთ პუნქტში ხვდებიან ურთიერთს: ეს არის ბავშვებისადმი სიყვარული. ამ ცხოვრების ყვავილია ბავშვი, მაგრამ ყველაფერი ისე მოეწყო, არც ოჯახი მეღირსა და არც ბავშვი“...

„შენ როგორ ფიქრობ, ვახტანგ, იმ წელს რომ არ წასულიყავი პარიზს, ხომ შესაძლო იყო, ჩვენ ორივენი ბედნიერნი ვყოფილიყავით?“

„მე მეშინია, სუსქია, ეგებ სიყვარული მაშინ ჩნდებოდეს ორთა შორის, როცა ისინი ასცდებიან ხოლმე ერთმანეთს“.

განგებისად იხუმრა კორინთელმა, თვითონვე ინანა: რად ჩავიდინეო ეგ.

ამის გამგონეს ხმა არ ამოუღია ქალს. იგი ისევ პირალმა იწვა ხავსიან ლოდზე, თავისი დიდრონი თვალებით შესცქეროდა ვარსკვლავიან ცას და ყურს უგდებდა ბულბულების ორკესტრს...

ვაქკაცი ისევ წაეტანა მის გრუზა თმებს, რომელთაც მთვარის შუქზედაც ეტყობოდა ფერი იმ ალისა, ცეცხლმოდებული ვაზის წალამი რომ გამოსცემს ხოლმე. არამიწიერი სილამაზით ბრწყინავდა ქალი... როცა ვნება დაუცხრა ორივეს, კორინთელი იდაყვებზე დაყრდნობილი დიდხანს იწვა მის გვერდით. ეს უზარმაზარი გრანიტის ლოდი გემის ჭვინტივით შეჭრილიყო ძირს გადაშლილ ხეობაში და ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა კორინთელს: თითქოს ამ მთვარიან ღამეში გემით მიდიოდნენ გამიჯნურებულნი უსასრულო ოკეანეში...

მოუთავებელი სახლი

ისევ დაიწყო დაძაბული მუშაობის სეზონი. ციხისთავი და კორინთელი მოულოდნელად გაიწვიეს ტფილისს. ერთი კვირის შემდეგ მათ თან ჩამოიყვანეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი კომისია;

რომელშიაც შედიოდა რამდენიმე სახელმოხვეჭილი აგრონომი და ნიადაგმცოდნე. სამი ათასი ჰექტარი გამოყვეს არაშენდა-გველეთის ზეგანზე ვაზნარების მოსაწყობად. ძალიანი მექანიზმები ჩამოიტანეს.

ოთხი ბრიგადა შეადგინეს როგორც ბერმუხის, ასე მეზობელი კოლმეურნეობებიდან. ამ ბრიგადების ხელმძღვანელად [illegible] დანიშნა რაიკომმა, ასე რომ უთენია შინიდან გასული შეღამებამდის შინ ვერ ბრუნდებოდა გოდერძი.

გველეთის ზეგანიდან მოისმოდა მექანიზმების გრუხუნი და რაზრაზი. ტრაქტორები ღამღამობითაც განაგრძობდნენ ბორგვას, ასე რომ ეს გამუდმებული გუგუნი, რახრახი და რაზრაზიც მოწმობდა, რომ ადამიანებს სასტიკი ომი გაემართათ ბუნების უჯიათობასთან გველეთის ზეგანზე.

სწორედ ეგზომ უმარჯვო მომენტში ითავა თედო თარალაშვილმა გოდერძის პაპისეული სახლის გადაკეთების საქმე. გოდერძი შიშობდა, ვაითუ ასეთ დროს საკუთარი სახლისათვის ზრუნვა აუგათ ჩამომართვანო, მაგრამ თედო თავისას არ იშლიდა: არ მიყვარსო გადადებული საქმე. ბოლოს მთლად გასახარელი ამბავი მოიტანა თედომ: ციხისთავი თავათ დაინტერესებულა ამ საქმით: ოლონდ მაგ საწყალ ბიჭს რაიმე უშველეთ, ხე-ტყეს მე მოგცემთო საფონდო ფასებში.

კვირა დღით შაბათობა მოაწყო თედომ. ოცდაათი ვაჟკაცი ხალისიანად წამოეშველა გოდერძის ოჯახს. გაჭირდა პაპა მიქელას და მისი სულით ავადმყოფი ქალის მეზობლისას გახიზნვა.

განსაკუთრებით გაჯიქდა თებრონე. მის დაბნელებულ გონებას ვერასგზით მიაწვდინეს მახლობლებმა ახალის ასაგებად ძველი სახლის დანგრევის აუცილებლობა.

როცა ძველის რღვევას შეუდგნენ, იგი აღშფოთდა, სავსე თუნგს ხელი წამოავლო, წყალი გადაასხა ხუროებსა და დურგლებს თავზე. როცა მეზობლისას წაყვანა დაუპირეს, შემცხადებულსავით აკივლდა: პაპისეული სახლ-კარი ამიწიოკეს და ახლა შინიდანაც მაგდებენო.

ბოლოს მოიყვანეს მისი სიყრმის მეგობარი, მეზობლიანთ დარო. ბევრი უჩიჩინა ამ უკანასკნელმა თებრონეს: არავინ არაფერს არ აღღვევს, ძველი იმისათვის უნდა დანგრიონ, რომ ახალი ააგონ და გოდერძის ცოლი შერთონო. ამის გამგონე მთლად გაშმაგდა თებრონე: გოდერძის ცოლი გარეთ გამაგდებსო.

ბოლოს ასეთ ხერხს მიმართა დარომ: დღეს ათენგენობაა, საკლავი წავუყვანოთო ქვაკაცას წმიდა გიორგის. ხატის ხსენებაზე ზე-

წამოიჭრა თებრონე. ჩაცმა დაიწყო, მაგრამ ისევ შეყოყმანდა. ახლა თოხლი მოიყვანა დარომ.

თოხლს ხელი ჩასჭიდა სულით ავადმყოფმა, ბოლოს, როგორც იქნა, სამების კარის ნაცვლად თავის სახლში წაიყვანა იგი დარომ.

ნუნუმ მეზობლიანთ ქალ-რძალნი მოიშველია, [illegible] დებდა ხელოსნებს.

ყველაფერი ჩინებულად წარიმართა, მაგრამ საქმე არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ეს თედო თარალაშვილს ეოცნებებოდა. როცა გამოცდილმა ხუროებმა მიქელასეული სახლის კედელ-ყურე დაათვალიერეს, როგორც საძირკველი, ისე კოქები და კაკუტები დამპალი აღმოჩნდა. ასე რომ გოდერძი იძულებული გახდა თავისი დანაზოგიდან ხე-ტყე შეეძინა, მაგრამ მაინც მიაკლდათ ხე-ტყე.

ჯერაც კედლები აყვანილი არ იყო, როცა ჭიშკართან მანქანა გაჩერდა. გოდერძიმ ცული ჯირკვზე დაარჭო და ეზო გადაიარა. გაოცდა, ეზოში შემოსული კორინთელი რა დაინახა.

„მშვიდობა ამ ოჯახს, — სთქვა პროფესორმა ღიმილით. — მე არ შემიძლია გულგრილად ჩავუარო რომელიმე ახალ მშენებლობას. მახარებს, სახლის ხელახლა აგება რომ განგიზრახავს, გოდერძი.

როცა მშენებლობას შევნიშნავ სადმე, ყმაწვილივით გავჩერდები და დიდხანს ვაკვირდები ხუროებისა და კალატოზების საქმიანობას“.

„მხოლოდ ერთი ოთახის მიშენებას ვაპირებ, ბატონო პროფესორო“, მოკრძალებით მიუგო გოდერძიმ.

„ერთი ოთახი რა ბედენაა, ბარე სამი მიაშენე, გოდერძი“.

„მოგეხსენებათ, ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო, ამხანაგო პროფესორო“.

„როგორც გავიგე, ამხანაგები უანგაროდ გშველიან, მაშ რა გაბრკოლებს, გოდერძი?“ სთქვა კორინთელმა და მის გარშემო მოგროვილ ხელოსნებს გადახედა.

თედომ სთქვა:

„მეც აგრე ვურჩევდი, ამხანაგო პროფესორო, გოდერძის. სადაცაა ცოლი უნდა შევრთოთ. მოხუცებსაც თავთავიანთი კუთხე ესაჭიროებათ“.

„დიდძალი ხე-ტყე დამჭირდება, ამხანაგო პროფესორო“.

„ხე-ტყეს მე მოგცემ, გოდერძი. არ მეგონა, ფინური სახლი თუ მომივიდოდა, ამიტომაც იმდენი მოვიმარაგე, სამ ოთახსაც თამამად ეყოფა. როცა გინდა წაიღე, გაყიდვით მე ხომ არ გავყიდი მთავრობის მიერ მოცემულ მასალას, მე ის უკვე არაფრად მესაჭიროება“.

გოდერძი ყმაწვილივით წამოწითლდა და მიუგო:

„არა, ეს თქვენ დაგჭირდებათ, ამხანაგო პროფესორო, ეგენ კიდევ მოგიხდეთ რაიმეს მიშენება“.

„არა, ჩემო გოდერძი, მე აწი აღარაფერს ავაშენებ. დღეს-ხვალ შესაძლოა თელავს, ან ტფილისს გადავსახლდე და ალბათ ამ-ნემს ფინურ სახლსაც ბერმუხელებს დავუტოვებ ბიბლიოთეკისათვის“.

„ოღონდ თქვენ ნუ წაბრძანდებით ბერმუხიდან და ხე-ტყეს ციხისთავიც გვჭირდება, ამხანაგო პროფესორო“, სიტყვა ჩაურთო თედომ.

„მე აქ დროებით ვარ ჩამოსული, ჩემო თედო, გველეთზე ვაზნარების მოშენება მოთავდება თუ არა, ალბათ წასვლა მომიხდება“...

თედომ იდაყვზე ხელი მოუცაცუნა პროფესორს, დარღვეული სახლის ბალავრისკენ წაიყვანა. კორინთელმა ნასახლარზე დარჩენილ დედაბოძს დაადგა თვალი.

„დიდად საინტერესო მოვლენაა ეს დედაბოძი“, ეუბნება პროფესორი თედოს და გოდერძის. სულ ახლოს მივიდა დედაბოძთან, ხელი შეახო და სთქვა:

„მუხაა!“

მუხაა, დაუმოწმა თედომ.

„ამ დედაბოძის მოშლა არ დამანებე პაპაჩემმა. სანამ მე ცოცხალი ვარ, აგრე იყოსო“, ამბობდა გოდერძი.

„კარგი უქნია“, სთქვა პროფესორმა.

„დროული კაცები აგრე ამბობენ, ეს სახლი ორასი წლის წინათ უნდა იყოსო აშენებული. თუმცა პაპა მიქელა აგრე ამტკიცებს: სამასი წლისაა, მაგრამ ეგ საეჭვო უნდა იყოს. როცა ერეკლე მეფე ყვარლის ციხესთან ებრძოდა ლეკებს, ამ სახლში გაუთევია ღამე“.

თხუთმეტი ოსტატი უჯდა ერთადერთ ვარცლს. მათ უკვე მოთავებული ჰქონდათ ბურის ჭამა. კორინთელის დანახვაზე ფეხზე წამოდგნენ და მოკრძალებულად მიესალმნენ მას.

თედომ ვარცლთან მიიყვანა კორინთელი და უთხრა:

„ეს თხილის ვარცლი მესამე თაობიდანაა ამ ოჯახში შემონახული“.

პროფესორმა რულეტი მოატანინა გოდერძის, გაზომა ვარცლის გაბარიტი და სთქვა:

„ერთი მეტრი და ორი სანტიმეტრია“.

„ამ ვარცლზე ოდესღაც მთელი გვარი სჭამდა ბურს“, ღიმილით შენიშნა თედომ.

მესამე დღეს სამი, კიდემდის გავსილი მანქანით გამოგზავნა კორინთელმა ხე-ტყე.

პროფესორ კორინთელის შემთხვევითს გამოვლას მოჰყვა სახლის ბალავერის განერცობა, საერთოდ, მთელი სახლის ხელახლა დაგეგმვა. თავდაპირველად გოდერძი და ნუნუ ყოყმანობდნენ, ისინი თავადაც მოწადინებულნი იყვნენ, ისეთი სახლი აეგოთ, რომელშიაც ოჯახის წევრებს საკუთარი კუთხე ექნებოდათ.

ამ ყოყმანის მიზეზი ხე-ტყის მასალის უკმარობა როდი იყო: კოლმეურნეობის თავმჯდომარესა და ბრიგადირს არ უნდოდათ მეშურნეთათვის ჭორაობის საბაბი მიეცათ.

კორინთელის ავტორიტეტმა იკმარა და საბოლოოდ გადაწყდა: სამი პატარა ოთახი მიეშენებინათ ერთი დიდი დარბაზისათვის, რომელშიაც ხელუხლებელი დარჩებოდა დედაბოძი, შუა-ცეცხლი და სოფლური სოხანე.

როცა ეს ოთხთვალიანი სახლი ააგეს, საბოლოოდ გამორკვა, რომ კიდევ ერთი ათასი კრამიტი უნდა შეეძინათ სახლის მთლიანად გადასახურავად.

პაპა მიქელა, თებრონე და ბაბლია დედაბოძიან დარბაზში დასახლდნენ ისევ, დანარჩენი სამი ოთახი ჯერაც გადახურული არ იყო, ამიტომ გოდერძი იძულებული გახდა, ისევ იმავე ოთახში ეცხოვრა, სადაც პაპამისი და სულით ავადმყოფი მამიდა იმყოფებოდნენ.

პაპა მიქელა დღენიადაგ ებუზღუნებოდა გოდერძის, ყვარელს წასულიყო და კრამიტი ჩამოეტანა, მაგრამ ეს უკანასკნელი „მაცა, მაცა"-თი აშოშმინებდა უსინათლოს.

არაშენდა-გველეთზე დაწყებულმა საქმემ შეიწირა გოდერძის მთელი ენერგია, იგი ქანცმილეული ბრუნდებოდა შინ, ყოველ შაბათს აპირებდა კრამიტის ჩამოსატანად წასვლას და ხელსაყრელი დრო ვერ მოეხელთებინა.

ბოლოს ისევ თედო ჩაერია საქმეში. ერთ საღამოს ასეთი რამ უთხრა გოდერძის თედომ:

„თუ შენი ნებაც იქნება, გოდერძი, მე ჩავულაპარაკებ ციხისთავს: ეგებ გაგათავისუფლოს ორიოდე დღით, მეც წამოგყვები ყვარელს, დასასრული მივცეთ ამ საქმეს".

პაპა მიქელა მდუმარედ ისმენდა თედოს სიტყვებს, თავჩაქინდრული ხვნეშოდა ჟამიდან ჟამზე.

„იცი, ძია თედო, — სთქვა გოდერძიმ, — სწორედ გითხრა, მე ჩემს პარტბილეთს ვერ გადავაყოლებ ამ სახლს. მთელი ჩვენი რაიონის მოწინავე ადამიანები დღენიადაგ იღვწიან საქვეყნო საქმისათ-

ვის, შენ თავათ განსაჯე, ძია თედო, აბა რას ემგვანება, ასეთ დროს მე ერთი გამოვეთიშო მათ, ყვარელს გავიქცე და ამ გზით საშორაო საბაბი მივცე ჩემს მტერ-მოყვარეთა.

პირველი რიგის სამუშაოებს მოვათავებთ თუ არა გელეთში, გულარხეინად წავალ ყვარელს. ჩემდა ბედად, ჯერ-ჯერობით ჩანებული ამინდებია, წვიმაც რომ მოვიდეს, რა დაუშავდება. ჩემ სახლს. დამტვერილ ფიცრებს ჩამორეცხავს და ეგ იქნება".

ნიორთავამ კარი შემოაღო, ერთი ყუთი ლურსმანი მოუტანა საჩუქრად ახალმოსახლეს.

„ეს ლურსმნები ამ სამი წლის წინათ ვიპოვნე ყვარლის გზაზე, გოდერძი, — სთქვა ნიორთავამ. — ამაოდ ვეძიე მათი დამკარგველი. არ კი ვიცოდი, თუ ოდესმე გამომადგებოდა. თავი წამეკამეს მისმა მნახველებმა კითხვა-გამოკითხვით. ყოველ კაცს ეგ აინტერესებდა, სად გიყიდიაო ეს ლურსმნები?

ბოლოს კანკრემ, ლალბაწამ და გაგრიამ მასხრად ამიგდეს, ნიორთავას ლურსმნები უყიდია, ახლა სახლი და ცოლ-შვილი აკლიაო. ავიღე და ხვიმრში ჩავაგდე ეს ყუთი, მთლად გადამავიწყდა მისი არსებობა, მხოლოდ დღეს გამახსენდა და მოგიტანე კიდევაც".

„ეჰ, ჩემო სოლომონ, — კვნესოდა პაპა მიქელა, — ის დრო სჯობდა, როცა ულურსმნოდ ვაგებდით სახლებს. პაპაჩემისეულ სახლში არც ერთი ლურსმანი არ უპოვნიათ ოსტატებს".

ახლა ნიორთავამ ასეთი რამ უთხრა გოდერძის:

„როგორც ყური გამეხვრიტა, კრამიტის შესაძენი ფული არა გქონია. ასიოდე თუმანი მაქვს შავი დღისათვის შემონახული, მოდი, ეს ფული გაიხმარე და, როცა გექნება, ჩამასესხე, გოდერძი".

„გმადლობთ, ძია სოლომონ, შენი შეწუხება არ დამჭირდება ვგონებ, მაგრამ კრამიტის ჩამოტანას ორიოდე დღე მაინც უნდა და ამდენ ხანს ჯერ ვერ მოვცდები, როგორც სჩანს".

ნიორთავამ თავი მოიფხანა და სთქვა:

„აბა მე ერთი რამეს გეტყვი ჩემის მოკლე ჭკუითა, გოდერძი. მე თავათ არამც თუ სახლი, ბოსელიც არასოდეს ამიშენებია. მაგრამ სხვათა მაგალითზე ერთ რამეს დავკვირვებივარ: როგორც კი სახლის მშენებლობას ხელს ააცდენს კაცი, მერე მირჩება და შირჩება საქმე.

ყვარელსა და თელავს შორის ხშირად გიმგზავრია, ალბათ გზაში შეგიმჩნევია ერთი უსახურავო სახლი. უკანასკნელი ომის დროს წამოიწყო იგი მისმა პატრონმა.

შენს ოჯახში მუდამ მშვიდობა ქნას გამჩენმა და... ცოლის შერ-

თვას აპირებდა ის კაცი, საცოლე მოუკვდა მოულოდნელად. აწ რა ჭირად მინდაო სახლი, თავი მიანება სახლის გადახურვას.

ახლა სხვა ქალი დანიშნა, ისევ შეუღგა საქმეს. ამასობაში ჯარში გაიწვიეს ის კაცი.

ფრონტიდან მობრუნებულს საცოლე გათხოვილი დაუხვდა. დიდხანს იყოყმანა და იჩალიჩა. ამასობაში სიბერე წამოეწია — და დღესაც ცხოვრობს იგი პაპისეულ გომურში.

სდგას თემშარაზე ეს უსახურავო სახლი, როგორც ქუდმოხდილი მათხოვარი გზაჯვარედინზე, ზამთარ-ზაფხულ აწვიმს და ათოვს მის კედლებს"...

აბრია და მეზობლიანთ დარო შემოვიდნენ, მიესალმნენ დამხვდურებს. აბრია მიქელას გვერდით დაჯდა. ჩიბუხს აბოლებდა, ყურს მიუგდებდა საუბარს. მიქელამ თავისი დავსილი თვალები მიაშტერა იმ ადგილს, საიდანაც ნიორთავას ხმა მოესმოდა და სთქვა:

„შაქარი შენს პირს, სოლომონ ჩემო, მეც ბევრი მინახამს მოუთავებელი სახლი და უნდა გითხრა, ამაზე უარესი სანახაობა ცოტაა ამქვეყნად; ებრაელებს წყევლა აქვთ ასეთი: სახლი დაგრჩესო დაუხურავი. უსახურავო სახლი საქვეყნოდ თავსა სჭრის თავის პატრონს.

თემშარაზე გამომდგარა და გაჰყვირის თავის ამშენებლის უთავქამობის გამო. ამბობდეს თითქოს საქვეყნოდ: ხალხო, შემომხედეთ, რა უნიათო პატრონი მყამსო.

მეც ამას ვეეედრებოდი დღენიადაგ გოდერძის: თავი მოაბი-მეთქი ამ საქმეს. მე როგორც უბედური ვარ და უსინათლო, ისე მენდობიან-მეთქი ას თუმანს.

ეგეც არ იყოს, ერთ დეკეულს გავიმეტებ, ან ათიოდე ჰექტარს გავყიდი. ასეთი რა გაგჭირვებია, მეშურნენი რომ გავახაროთ-მეთქი".

გოდერძის გული ატკინა მიქელას ნათქვამმა:

„აქ ფულის ამბავი როდია, პაპაჩემო, ამდენ ფულს მეც მოვუყრიდი თავს, მაგრამ თქვენ ყველას გავიწყდებათ, რომ მე, როგორც კომუნისტი, ჩემს პირად საქმეებს საქვეყნოებს წინ ვერ დავუყენებ. ეგეც არ იყოს, მე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვარ და მომეტებული პასუხისმგებლობა მომეთხოვება".

ნიორთავამ მხრები აიჩეჩა:

„განა პარტია იმას მოითხოვს შენგან, რაკი შენ კომუნისტი ხარ და თავმჯდომარე, თავზე დაგაწვიმოს? მე რამდენ თავმჯდომარეს ვიცნობ, სახლიცა აქვთ და კარიცა".

„ზოგმა თავმჯდომარემ ჯიბეებიც გაისქელა ხალხის ნაამაგდა-

რითია“, სიტყვა ჩააკერა აბრიამ და თავისი ყალიონი ააფშუკუნა.

„აგეთებს პროკურატურაში გაუჩნდებათ, ძია აბრია, საქმეს“, მიუგო გოდერძიმ.

პროკურორის ხსენებაზე უსიამოდ შეიშმუშნა [illegible] ააფშუკუნა ჩიბუხი, დიდხანს ახველა, ბოლოს გასწი-[illegible] [illegible] და ხვავრიელად დაადუქა სოხანეზე. ხოლო გოდერძიმ დასძინა:

„ყველაფერი იქნება, ყველაფერი თავის დროზე გაკეთდება, პაპაჩემო, ოღონდ მოთმინებაა საჭირო“.

„მოთმინებაო, ჰი, ჰი, — ხითხითებდა აბრია ავსიტყვა. — ჩვენზე მეტი მოთმინება ვისა აქვს ამქვეყნად?

მე და მიქელას თუ მოთმინება გვაკლია, ალაზანს თევზი დაკლებია მაშინ.

მე და პაპაჩემს რომ მოთმინება გვაქვს. იმდენი არც ერთ ლომა კამეჩს არ ექნება. არ ვარგიხართ ჩვენი ახალგაზრდები, ეგ არი.

სწორედ შენი ხნისამ ავიშენე მე სამთვალიანი სახლი და ცოლშვილს მოვეკიდე. საწყალ მამაჩემს ერთი დაფეხვილი გომურის მეტი არაფერი დაუტოვებია ჩემთვის. მე დედასა და ძმებს ვარჩენდი, ათასი ცხვარი მყამდა, შვიდი ფურ-კამეჩი და ამდენივე ცხენი.

შენ წიგნის ცოდნას იქადნი და პაპისეული სახლიც ვერ შეგიკეთებია. განა ეგაა საქმე?

ცხვირმოუხოცელმა გომბიომ გაჯობა, ჩემი ძმის შვილიშვილმა, ნუნუმ, მან მოახერხა სახლის შეკეთება და ხელახლა გადახურვა“.

ამ სიტყვებზე მეზობლიანთ დაროს გაეღიმა, რადგან მას დიახაც ეამა თავისი სქესის ხოტბის მოსმენა იმ კაცისაგან, ვინც დღენიადაგ დიაცების ძაგებით იყო გართული.

ხოლო გოდერძის ბრაზისაგან ღაწვისთავები შეუფაკლდა, ერთი კი დააპირა მაგრად გამოელანძღა ეს ავყია ბებერი, მაგრამ ველარაფერი შეჰკადრა სტუმარს.

ნიორთავა შეწუხდა, მის მიერ წამოწყებულმა სიტყვამ ასეთი უსიამო საუბარი რომ გამოიწვია, მასპინძლებს დაემშვიდობა და წავიდა.

გოდერძის თავაზიანობით წახალისებულმა აბრიამ განაგრძო ქირდვა:

„თქვენისთანა მატრაბაზებს ან ცოლი რად უნდათ ან სახლი, შვილოსან. თქვენ პროლეტარობა გენატრებოდათ მუდამ და გახდით კიდევაც პროლეტარები“ (ამ უკანასკნელ სიტყვას ისე მძაღედ წარმოსთქვამდა აბრია, თითქოს იგი მართლაც საძაგებელი რამ ყოფილიყო).

„აბა რა გეგონათ, შვილოსან, ეს მოყვება კრებებზე უთავეამო სიარულს და ვნის ჭარტალს, ცალიერ ენად რომ ხართ ქცეული დიდი და პატარა.

განა მარტო სახლის აგებისას, თქვენ ყველაფერში ანგრე გემართებათ, შვილოსან. ათასგვარ გეგმებს მოებლაუჭებით, და ბოლოს ყველაფერი მოუთავებელი გრჩებათ.

ჯერ ბერმუხის ვაზნარების რთველი ვერ მოგიწევიათ და გველეთის ზეგანს წაეტანეთ.

მანდ რომ თქვენ სოფელი ააშენოთ. იქ მე მამასახლისად ნუ დამნიშნავთ. მე ვიცი, მოგეწევათ ქვაკაცას წმიდა გიორგის წყევლა. განა მარტო თქვენისთანებისათვის მოუგრეხია ქვაკაცას კისერი, მამუკა ერისთავის ამბავი არ მოგვიდეთ.

ის თქვენი პროფესორი შუშუტაა, მაგ ბედშავი, მან წამოიწყო ამ ვაზნარების მოშენების უთავეამო საქმე, მაგას უკვე უწია ქვაკაცას წყევლამ.

გუშლამ ვნახე გზაზე მიდიოდა და თავის ძაღლს ესაუბრებოდა. ვერ გამიგია, რა პროფესორია ეგ კაცი, ნიორთავასთან ერთად ქეიფობს წისქვილში.

განა მარტო სოფლად მოგდით ეგეთი რამეები, ქალაქშიაც იგივე გემართებათ, შვილოსან. ამ დღეებში ტფილისში ვიყავი.

— ჰოდა, განაგრძო აბრიამ, — ქალაქშიაც ანგრე გემართებათ, შვილოსან.

მთელი დღე დავყიალობდი ტფილისში. ხიდი დაუწყიათ, თავი ვერ მოუბამთ, სახლის კედლები აუგიათ, სახურავი არსად სჩანს, ქუჩიდან რიყის ქვები აუყრიათ, ეგეც ვერ მოუთავებიათ.

მშვენიერი სახლი დაულეწიათ, ბაღს აშენებენო, აღარც ბაღი სჩანს სადმე და არც სახლი.

ანგრე ხართ, შვილოსან, თქვენ, დაუმთავრებელი საქმეების ოსტატები ხართ, თუ დამიჯერებთ“.

გოდერძის ბრაზი წაეკიდა. მიხვდა, რის გამო ავობდა აბრია. მაინც შეეცადა თავშეკავებულად ელაპარაკა:

„აბა მე ერთ რამეს გეტყვი, ძია აბრიავ, თუ იცი, რასა ჰქვია მოშაინე?“

„მოშაინე რა დოზანაა, ბიჭავ?“

„მოშაინე იმ კაცსა ჰქვია, ძია აბრიავ, რომელიც სხვის მიერ წამოწყებულ საქმეზე ამ უკანასკნელის დასრულებამდის მსჯავრს გამოიტანს უმართებულოს.

ცნობილია: კაცს უნდა აცალო საქმის მოთავება და მერმე გამოიტანო მსჯავრი. გარდა ამისა, როგორც შენი ნათქვამიდან სჩანს,

სხვა სიკეთის გარდა დაუკვირვებელიც ბრძანდები, ძია აბრიავ. ერთი მიბრძანე, ამ წლების მანძილზე რამდენგზის ყოფილხარ ქალაქში?“.

„რამდენგზის და ერთგზის.

მე რა საქმე მაქვს მანდა. ძველ დროს დავდიოდი ქალაქში, ცხვარს ვყიდდი, კაი საფასურსაც ვიღებდი, ახლა რა შინდა ქალაქში; იმ გაოხრებულ მოსამართლეს რომ არ ვეხმე, არც ჩავიდოდი“.

„ოო, მეც ეგ მინდოდა გამეგო. შენ ერთი დღით ჩახვედი ქალაქში და მოუთავებელი მშენებლობანი გინახავს. ცხადია, ერთ დღეს ვერ მოათავებდნენ ხიდებს, სახლებსა და ბაღებს.

აბა ჩადი ერთი წლის შემდეგ, თუ ეს ყოველივე მოთავებული არ დაგიხვდეს. მე თითქმის ყოველ წელს, ყოველ თვეს დავდივარ ქალაქში და კარგად ვამჩნევ, თუ როგორ იწყებენ და ათავებენ სახლების, ქუჩების და ხიდების აგებას და როგორ ამთავრებენ მათ“.

აბრია თავათაც მიხვდა, ჩიხში რომ მოამწყვდიეს, ზაინც არ იტეხდა იხტიბარს და დუდღუნებდა:

„აღდგომა და ხვალეო, ვნახოთ, შვილოსან, აგრე თუ იარე გარეგარე, აბა როგორ მოითავებ ამ სახლს. შენ ამაოდ ბგონია: ესაო და ხის სახლს ვერაფერს

გზაჯვარედინზე მიღწეულს ვიღაც ახმახმა ხელი დაჰკრა მხარზე, ლალბაწა შეიცნო გოდერძიმ.

„შენსას მოვდიოდი ამ წუთში, გოდერძი, დღეს ჩემი ბავშვი გავატარე მმაჩში, იცი რა ბიჭი მყამს, გოდერძი? მირონის ბიჭია, იცოდე. ჰოდა, შენთან მოვდიოდი ამ წუთში, ვახშმად [illegible] პატიჟნე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდერძიმ ნახევრად ბნელშიაც შენიშნა, თუ როგორ უბრწყინავდა ლალბაწას სახე.

„გმადლობთ, ჩემო სტეფანე, დღეს გადაუდებელი საქმე მაქვს ერთი“.

„შენ რომ იცოდე, რა ბედნიერი ვარ, გოდერძი, შენი კეთილი გულის ამბავი რომ ვიცი, უთუოდ მოიცლი ამ საღამოს ჩემთვის. შენც მიგიძღვის წილი ჩემი ცხოვრების წალმა წარმართვაში, გოდერძი. შენ კარგად იცი, მე მუდამ ღვინისა და უწესო დიაცების მოტრფიალე ვიყავი, ჩემი ახალგაზრდობა მათ შევალიე, არც კი მეგონა, ღვინოზე და ქალზე უტკბესი თუ რაიმე იყო ამქვეყნად.

მაგრამ ჩემმა თეთრომ ისეთი ბედნიერება შემოიტანა ჩემს კარგამოკეტილ ოჯახში, მე სად შემწევს ამის ნიჭი, შენ გადმოგცე, თუ რა ბედნიერება ყოფილა შვილის ყოლა.

რომელი ქალი, რა ღვინო შეედრება ჩემს პატარა ირაკლის. იცოდე, შენც გირჩევ მალე მოაწერო ხელი. ხუთი დღე ვიმუშავე, ძმაო, შენს სახლში, ვინ მამაძაღლი, კიდევ ათ დღეს მოგეშველები, ოღონდ ახლა წამო, თუ ჩემი ძმა ხარ“.

გოდერძი შესძრა ეგზომ გულითადმა მიპატიჟებამ, მაგრამ აგრე იფიქრა, გუნებას გავუფუჭებო მასპინძელს, ისევ იფარა „გადაუდებელი საქმე“ და გზაჯვარედინზე გაეყარა ლალბაწას.

ახლა მისი ერთადერთი წადილი ის იყო: ნუნუს გადაყროდა სადმე. შინ წასულიყო მასთან? იცოდა, სამი დღის წინად გაცივდა ნუნუ. არ უნდოდა მწოლარეს წვევოდა აგრე მოგვიანებით.

ყურმოკვრით იცოდა იგიც, რომ გოდერძის პაპისეული სახლის გადაკეთებამ ფრიად გაართულა დედინაცვლისა და გერის ურთიერთობანი. ქეთუა დღენიადაგ ეჩიჩინებოდა ნუნუს: სახლი ხომ მოათავეთ, ეხლა მაინც მოაწერეთო ხელი.

ერთი გარემოებაც ზედ დაერთო ყოველივე ამას: ქეთუას კოოპერატივის ნოქარი აკიდებოდა, ვინმე უშვერიძე. ზედსიძედ აპირებდა ნუნუს მამისეულ ოჯახში მისვლას.

წინა ღამით ესიზმრა გოდერძის: ვითომ პაპისეული სახლის გადახურვა მოეთავებინათ, ნუნუ და გოდერძი ბუხრის პირას ისხდნენ

და წაბლს სწვავდნენ. ყუმბარასავით გრიალებდა ღადარში ჩაყრილი წაბლი.

ცხოვრებაში ხშირად ხდება ასეთი რამეც: სასურველი ადამიანი დაგესიზმრება, მეორე დღეს გაიხედავ და წინ შემოგეყრება.

აგრე მოხდა იმ საღამოსაც. რამდენიმე ნაბიჯი გადასულიყო, არ იყო გზაჯვარედინიდან გოდერძი, ნუნუ მოდიოდა ნელი ნაბიჯით მისკენ. ელექტროს ძაბუნ სინათლეზედაც შეამჩნია გოდერძიმ ნაავადარი ნუნუს სახით ფერმკრთალობა.

მიდიოდნენ ტალახიან გზაზე. თქორავდა დაეინებით და გადაუღებლად. ტელეგრაფის მავთულებზე ცრემლებივით ეკიდნენ წვეთები. გოდერძი გამალებული გასცქეროდა დასავლეთისაკენ ოდნავ სულ ოდნავ შეწითლებულ ცას. თავის გუნებაში ეკვედრებოდა კიდევაც განგებას. ამ საღამოს მაინც გადაეკარა.

გოდერძის უგუნებობამ მთლად მოშხამა ნუნუ. იგი სულ რამდენიმე წუთის წინ წაჰკიდებოდა ქეთუას, უხმოდ მიჰყვებოდა გოდერძის, თანაც ათვალიერებდა თემშარის გაღმა-გამოღმა ჩამწკრივებულ ახალ სახლებს. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს პირველად ჰხედავდა მათ.

ლალბაწას სახლს ჩაუარეს.

ეს ბედშავი ლალბაწაც, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ჩალით გადახურულ ქოხში ცხოვრობდა, როგორც იქნა, ელირსა საკუთარ ოჯახს, ფიქრობდა ნუნუ.

მხოლოდ ნუნუ და გოდერძი დარჩნენ დღემდის აგრე უბინაონი და უშინაონი, და ბედნიერება ასე ახლოს იყო მოსული, რა ცოტა რამ აკლდათ მათ? ერთი ათასი ცალი კრამიტის ყვარლიდან გამოტანა.

„ვინ დაგვწყეველა ასე მწარედ? ვინ იცის, ეგებ ორ კვირასაც არ გადაიკაროს!“...

ამ წვიმიან დღეს მიჰყვებიან ორივენი ლაფიან თემშარას და არსად მთელს სოფელში ერთი გადახურული კუთხე არ ეგულებათ, დასხდნენ და დასტკბნენ ერთად ყოფნითა.

„ძია შიოსთან ხომ არ გავიაროთ?“ შეეკითხა გოდერძი ქალს.

„ამ ტალახში რა გაგვიყვანს ალაზანს გაღმა? ეგეც არ იყოს, ძია შიოს მე ვეღარ დავენახვები“.

ლალბაწას სახლიდან სიმღერა მოისმოდა. აივანზე გასულ ვაზების მწვანეში რიალებდა თეთრკაბიანი თეთროს სილუეტი, იგი ხელში ათამაშებდა პატარა ირაკლის. გაუმართავ სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ტიტინებდა ბალღი, ოთხახმით მიმავალ ცხენოსანივით ხტოდა იგი, შეჰხაროდა მწვანეში მოქათქათე ელექტროს ციმციმს.

კიკლი კიკლი კიბესაო,
როსტომიანთ ციხესაო,
მისდგომია კურდღელი,
აკნაწუნებს კბილებსაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესძახოდა ბედნიერი თეთრო თავის პირმშოს.

გოდერძიმ თითქმის ჩურჩულით უთხრა მის გვერდით მიმავალ ქალს:

„ლალბაწამ დამპატიჟა წელან, მაგრამ...“

„რად არ წახვედი მერე?“

„შენ დაგეძებდი, ამიტომაც არ ვინდომე წასვლა“.

მიუგო გოდერძიმ და მკლავში ხელი წაავლო ნუნუს.

„შენ შედი თუ გინდა, მე შინ წავალ“.

„თუ შენ წამოხვალ, ჰო“.

„არა, ამ წუთში შენს მეტს ვერავის ავიტან, გოდერძი“.

ისევ გახედა თვალსაწიერს გოდერძიმ.

ქედანისფერ ღრუბლებიდან გამოკრთომას აპირებდნენ ძაბუნი სხივები ჩამავალი მზისა. ამ ღრუბლებს გადალმა ენთებოდა ნელ-ნელ ქარვის ფერების ათინათი, თითქოს შეიწყნარარ გამიჯნურებულთა აჯა და გაღიმებას ლამობდა ცა...

მართლაც წამოუქროლა ზენა ქარმა, აპარპაშდნენ გზის პირად ჩაწკაპული თუთები. ნუნუ და გოდერძი უკვე შინდნარში იყვნენ შესულნი, როცა ცარცისფერი ფორეჯები მოედო ცას და აქა-იქ აყვავდნენ ვარსკვლავები მოთეთრო ფრთილების ბლონდის გადალმა.

განმარტოებული იდგა ღამის ნაბდით შებურვილი ბერმუხა, მისი ვასვასა მწვანის შარიშური უკვე მკაფიოდ მოესმოდა ქალვაჟს. ქედნები დაფრთხნენ ნაბიჯების ჩქამზე, ირგვლივ დავანებულ სიჩუმეში გახმიანდა მათი ფრთების საამური ფრთ... ფრთ...

ცაში ატყორცნილი მასსა მწვანისა ზღვისებრ შრიალებდა ბნელში. მალე ზენაქარი დაცხრა, მოჭარბდნენ მუქლურჯი ფერები ცაზე.

ნუნუმ სთქვა თითქმის მავედრალი კილოთი:

„ბოლოს როდისღა მიდიხარ კრამიტის მოსატანად, გოდერძი?“

„დღეს შაბათია, არა, ზეგ წავალ, თუ საქმემ გამიშვა. ერთი რამ არის კიდევ: კრამიტის ქარხნამდის ჯერაც არ დაუგიათ გუდრონი და თუ წვიმა იქნა, ვერავითარი მანქანა ვერ მიუდგება აგურ-კრამიტის ქარხანას“...

ისევ გაიხედა გოდერძიმ მზის დასავლისკენ, დასძინა.

„ვგონებ გადაიკარა, ალბათ ზეგ აღარ იქნება წვიმა“.

„იცოდე, მე შინ არ მედგომება, გოდერძი. ის ლოთი უშვერიძე

თუ ზედსიძედ მოიყვანა ქეთუამ, მე სახლიდან უნდა გავიქცე. მაგ ნოქარს ორი ცოლი ჰყოლია თურმე, ერთი ტფილისში, მეორე თელავში, გუშინწინ ის თელაველი ცოლი მოუვარდა ქეთუას. თუ ჩემს ქმარს არ ჩამოსცილდები, სახლ-კარს გადაგიწვავ.

გუშინ უშვერიძე მოვიდა მთვრალი, გაბრანგული, ქეთუას წაეკიდა, ხელი მოვაწეროთ, ყველაფერი გავყიდოთ და ქალაქს წავიდეთო".

„დარდი ნუ გაქვს, ნუნუ, მაგ ნოქარსაც მოვიყვანთ ჭკუაზე. ამდენ ხანს მოგვითმენია და ორიოდე კვირაც მაცალე".

ეს უთხრა ნუნუს და ხელი მოხვია წელზე. ნუნუს მხნეობა მოჰგვარა ვაჟკაცის ძალოვანი მკლავის შემოჭდომამ.....

დიდხანს ისხდნენ ბერმუხის ქვეშ. კანტიკუნტად მოესმოდათ, თუ როგორ ეცემოდნენ კენწეროდან დაძრული წვეთები წვიმისა ძირს, სართულებსავით განლაგებულ შტოებზე, რაღაც უჩინარ, მონოტონურ რიტმს აყოლილნი.

თრთოდა ნუნუ, ამ წუთში მან თავადაც არ იცოდა, თუ რას დაენამა მისი ღაწვები, კარზე მომდგარი ბედნიერების მიერ მოგვრილ ცრემლებს, თუ ბერმუხის მწვანიდან ჩამონაყონ შხეფებს წვიმისას?

დიალოგები

22 ივნისს სოფელი ბერმუხაც შეაშფოთა რადიოს ხმამ. შემცხადებულსავით წიოდა რადიო. ეს ის დრო იყო, როცა ბრიგადირებს სამუშაოდ გამოჰყავდათ კოლმეურნენი.

ვენახებიდან, ფერმებიდან, ფარეხებიდან გამოცვივდა ხალხი, ფართობებზე მიმავალი ტრაქტორები და სატვირთო მანქანები მიატოვეს შოფრებმა და ტრაქტორისტებმა, სოფლსაბჭოს მოედანზე მოგროვდნენ, აღელვებულნი მისჩერებოდნენ ხეებზე გატანილ რეპროდუქტორების ხახას...

*

ვახტანგ კორინთელი გათენებამდის სწერდა. გამოძინებაც ვერ მოესწრო, ისე გამოაღვიძა რადიომ. დამდუღრულივით წამოიჭრა საწოლიდან და რადიომიმღებს მივარდა.

...„ჰალო, ჰალო, მოუსმინეთ ამხანაგ მოლოტოვს"...

კორინთელმა სასწრაფოდ ტანთ ჩაიცვა, არ კი იცოდა, სად წასულიყო, რა მოექმედა? კაბინეტის კართან ატუზულიყო ვარა, სჩანდა, რადიოს უსმენდა ოგიცა.

მაია შემოფაცურდა: საუზმეს თუ ინებებო?

რა დროს საუზმეაო, თითქმის უკმეხად უპასუხა კორინთელმა მოხუცს, რომელსაც მუდამ თავაზიანად ექცეოდა ხოლმე. გაოგნებულმა მაიამ კარი გაიხურა.

კორინთელი წარამარა მიდიოდა მიმღებთან, გაფლასორთოლეთ ესმენდა, ბოლოს ადგებოდა და ბოლთას სცემდა ოთახში.

დერეფნიდან ვარას ომახიანი ხმა ისმოდა, ხანაც უხიაგი ჩხრიალი ჭურჭლისა, ისეთი, როგორიც ან ძლიერ გახარებულს, ან ასევე გაბრაზებულს გამოსდის ხოლმე ხელიდან.

„რა მოხდა, რა მოხდა, კნეინა ვარა?" ეკითხებოდა მაია.

„ომია, ომი, ჩემო მაია".

„ვინ გვებრძვის ნეტა, კნეინა ვარა?"

„გერმანია, გერმანია, ჩემო მაია".

„მარტოა მერე ის წყეული გერმანია?"

„მარტო როგორაა, მასთანაა იტალია, რუმინეთი, მთელი ქვეყანა".

„რას გვერჩიან მერე ის ოხრიშვილები? ვაი ჩემი შვილების ბრალი", კვნესოდა მაია.

„შენს შვილებს რა უშავს, ჩემო მაია, ეგებ მათთვის უკეთესიც იყოს".

„რა უკეთესი? ომი რა შავქვად გვინდა, კნეინა ვარა?"

„ჩვენ ვინა გვკითხავს, ქა, მთელს ქვეყანას უნდა ომი".

„მაინც სადაა ის ტიალი გერმანია, კნეინა ვარა?"

„რუსეთის მეზობლად, ახლოს, სულ ახლო.

შენ ჯერ რძე დაადგი, მედიკოს ახველებს, მერე გეტყვი, ჩემო მაია".

„არა, შვილებს გაფიცებ, მე რძეს დავადგამ, მაგრამ ახლავე მითხარი, ჩვენ მოვერევით თუ ისინი?"

„შენ რძე დაადგი, ჩემო მაია, რა თქმა უნდა, ვინც გაიმარჯვებს, ის მოერევა მას, ვისაც დაამარცხებენ".

„ვაი ჩვენი შვილების ბრალი".

კორინთელი აღაშფოთა ვარას უტიფარმა ყბედობამ. იგი მზად იყო დერეფანში გასულიყო და პირდაპირ ქუჩაში გაეგდო ეს ყიამყრალი დიაცი. რადიომიმღები საზღვარზე შეტაკების ამბავს გადმოსცემდა უკვე.

როცა ეს მოთავდა, კარი გააღო, დერეფანში აღარავინ იყო. საასადილო ოთახში შეიხედა და ასეთ სურათს წააწყდა:

ვარა როიალს მისჯდომოდა, გახარებული უკრავდა შოპენის პოლონეზს. წელში მოდრეკილი, საცოდავი მაია დაბალ სკამზე დაკუნ-

ცხულიყო, ხელების პეშვში ჩაერგო ტუჩ-პირი და ქვითინებდა: „ვაი ჩემი შვილების ბრალი“...

კორინთელის შემოსვლაზე ვარამ მაშინალურად შესწყვიტა დაკვრა, სულ ახლოს მიეჭრა კორინთელს და ფრანგულად უთხრა:

„თქვენი მეუღლე თავს კარგად გრძნობს, მონ შუნ ქანდრ, მე უკვე მზადა მაქვს შაშხიანი ომლეტი[1]“...

„მე პირადად ჭამის გუნებაზე არა ვარ ახლა, თქვენ მიირთვით შაშხიანი ომლეტი, ბატონო“. მიუგო კორინთელმა და ცხვირწინ გამოუხურა კარი სახტად დარჩენილ დედაკაცს.

ჭიშკართან შესდგა კორინთელი. ნეტავ სად არისო ანდრო? ეს გაიფიქრა და სწორედ ამ დროს გაიხშუილა მანქანამ და შესდგა.

კორინთელი მიესალმა შოფერს და გვერდით მოუჯდა. მყისვე შენიშნა, ნასვამი იყო იგი.

როგორა ხარო, ჩემო ანდრო?

„ყველაზე უკეთ, პროფესორო ბატონო. ჩვენ ყველანი ცოტას ვღელავთ, მაგრამ არა შიშის გამო, არა, ჩემი თავი მოგიკვდეს, თუ თქვენს ანდროს ვინმესი შეეშინდეს.

შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა. დაღრეჯილობას პატრონიც მოკვდომია.

ამ დილით ჩვენმა ბიჭებმა ფიცი დავდეთ, ფაშისტებს იქ შევრეკავთ, საიდანაც გამომძვრალან.

მე კომუნისტი არა ვარ, მაგრამ რა ვუყოთ, ქართველი ვაჟკაცი ხომა ვარ, ქიციც ვიცი და ქიცმაცურიც! ანდრო ცოცხლად გამოიტირეთ თქვენ, თუ მაგ ფაშისტებმა რაიმეში მაჯობონ, მაგათი...“ (აქ ანდრომ საკმაოდ უცენზურო სიტყვები იხმარა, მაგრამ კორინთელმა ყური აარიდა მათ).

იგივ მხნე, იგივ მღერალი,
მებრძოლი შავი ბედისა.

„ბიჭოს, მე არ მეგონა შენ გრიგოლ ორბელიანსაც თუ იცნობდი! ბარაქალა, ანდრო“.

„როგორ არ ვიცნობ, ზეპირად ვიცი მისი ლექსები, იმას ვენაცვალე... ის იყო არა მარტო დიდი პოეტი, დიდი ვაჟკაციცა. ხომ დედა უტირია შამილასა და მის ლეკებს“.

„ყოჩაღ, ჩემო ანდრო, აბა შენ იცი, სირცხვილი არ გვაჭამო. გვასახელე, მე კი არა, შენი მშობლები, ჩვენი ქვეყანა“.

---

[1] ერბო-კვერცხი.

„რასა ბრძანებ, პროფესორო ბატონო, რა ვუყოთ, რომ შოფერი ვარ“...

„რას ჰქვია შოფერი? შოფერი რითია სხვა მშრომელებზე ნაკლები. განა თქვენ არ გესაჭიროებათ სამშობლო? მე არასოდეს ისე არ მინანია, ახალგაზრდა რომ არა ვარ, როგორც ახლა! ეგეც შოფერი: ეს ოხერი წნევა არ მაწუხებდეს, დღესვე წავიდოდი, თუ მისჭირდა საქმე, ჩვენც მოგუყვებით, ბებრები“.

„მე ხვალამ მივდივარ, ჩემო პროფესორო: ცუდად არ მახსენოთ, თუ მომკლეს, — რა ვუყოთ, რომ ხანდახან გეურჩებოდით და ვხვამდი. საცოლე მამიკვდა ტიფით, იმიტომაც ვსვამდი. ახლა მე ის მაწუხებს, თქვენ როგორ მოუვლით ამ მანქანას უჩემოდ, აჰ, რა კარგი მანქანაა“.

„ყველაფერი მიპატიებია, ჩემო ანდრო, შენთვის, გულთან ახლოსაც არ მიიკარო ეს ამბავი. რაც შეეხება მანქანას, მე მანქანიანად არ გამოვსულვარ დედის საშოდან. ცოტა ხანს თავათ ვაჩანჩალებ. რა დროს მანქანაა, ქვეყანა განსაცდელშია, მანქანა ჭირსაც წაუღია“.

გუდრონიან გზას გადასცდა მანქანა, იგი უკვე ხშირ-ხშირად ბუქსაობდა. კორინთელმა უთხრა ანდროს:

„შენ ალბათ ლევ ტოლსტოიც წაგიკითხავს, ჩემო ანდრო, არა?“

„რატომაც არა, „ჰაჯი მურატი“ წავიკითხე ამას წინათ, ქართულად“.

„ჰოდა „ჰაჯი მურატში“ აღწერილია როგორ გმირულად, უდრტვინველად კვდებოდნენ რუსი სალდათები შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვწუხვარ, ტოლსტოი არავინ დააინტერესა მაშინ, თორემ კავკასიის ომების ისტორიაში თვით რუს გენერლებს და პოლკოვნიკებს აქვთ აღწერილი, რამდენი ათეული ათასი ქართველი გლეხი კვდებოდა ღუნიბის და გერგებილის მისადგომებთან, რუს თანამოძმეებთან ერთად მხარდამხარ. განა მარტო დაღესტანში? ყარსთან, ბათუმთან, არდაგანსა და ახალციხეში.

ბარე ორასი წლის მანძილზე რუსის ხალხთან ერთად გვიღვრია სისხლი, ჩემო ანდრო, საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში. და შენ იგიც გეცოდინება, არაფერი ისე არ აკავშირებს ადამიანებს, როგორც სისხლი“...

შოფერმა მოსხლეტილად შეაყენა მანქანა საექიმო პუნქტთან. სუსქია ღამის მორიგეობიდან უთენია მოსულიყო, ამიტომაც არაფერი სცოდნოდა. როცა ეს ახალი ამბავი გაიგო, გადაფითრდა. კარი მიხურა, სტუმარს სკამი მიუტანა და სთქვა:

„იცი, ვახტანგ, მე ამ ბოლო ხანს ცუდი სიზმრები მქონდა, შენ არ გიმხელდი, სულ მუდამ რაღაც საშინელის მოლოდინში ვიყავი, მერმე ის იყო, როცა ავარია შეგვემთხვა ნაღვარევ[illegible]-ვინუ-გეში. ეს იყო და გაიარა-მეთქი.

ამ კვირა ისევ დამეწყო ცუდი სიზმრები, გუშლამ მესიზმრა, ვითომ გველეთის ჭაობებში დავტოპავდით მე და შენ ფეხშიშველა, გველები და წურბელები მეტმასნებოდნენ წვივებზე...

თუმცა სიზმარი რა ბედენაა, შენ ისე ბედნიერი გამხადე მე სვედამწვარი და გაუხარელი, ქვეშეცნეულად ვგრძნობდი, ეს ბედნიერება არ შემრჩება-მეთქი. მე ვინ მომცა ბედი. ვინ იცის, რა მოგველის ან ჩვენ, ან ჩვენს ქვეყანას. ეაი ჩვენ, ამ ჟამთა სიავის შემსწრეთ"...

„ნუ კრთიხარ, გულო, შენ რომ მამაცი ქალი ხარ, იმიტომაც შემიყვარდი. ერთი ჩინური ანდაზა მაქვს მინიშნებული: ვაჟკაცს რომ გაუჭირდება, მას სხვა გზა არ დარჩენია, გარდა ბრძოლისაო. ხომ ჰგავს ეს ჩვენი რუსთველის „ჭირსა შიგან გამაგრება"-ს?"

ეს უთხრა ვახტანგმა და ნაღვლიან თვალებში აკოცა ქალს...

*

მეწისქვილე ნიორთავა ამჩნევდა: ამ ბოლოხანს ინჟენერი ცეროდენა, აბრია და კანკრე ხშირად პურმარილობდნენ და ჩურჩულებდნენ ერთად. ხან გველეთში ადიოდნენ ჰესის კანტორაში, სალამოობით, მერმე წისქვილში მოიტანდნენ კონიაკს, ღვინოს და სამწვადე ხორცს; როცა ნიორთავა წაუსწრებდა მათ ხმადაბლა მოსაუბრეთა, დადუმდებოდნენ, ხუმრობას დაუწყებდნენ მასპინძელს.

სწორედ იმ ღამეს გვიან მოვიდნენ ცეროდენა და კანკრე, ღვინო და ყველი მოიტანეს. ნიორთავა უგუნებოდ იყო, რადგან კუჭის ტკივილი აწუხებდა.

ჩააცივდნენ, გვერდით მოისვეს, ბევრი ეეედრნენ, მაგრამ ღვინოს არ დააკარა მასპინძელმა პირი, სუფრაზე ჩამოეძინა.

ბოლოს გაეცალა მათ და დაწვა. მოქეიფენი ჯერაც გამწე სმით იყვნენ გართულნი, როცა განთიადმა შემოიხედა ციხის წისქვილის ერთადერთ სარკმელში. კანკრემ ფეხში ხელი წაავლო მძინარე მასპინძელს, ანჯღრევდა, ეძახდა.

ნიორთავა დაფეთებული წამოვარდა.

„რა იყო, რა მოხდა?"

„არაფერი, მშვიდობა ქვეყანაზე და კაცთა შორის სათნოება.

გული მოგვწყვიტა ცალიერმა ღვინომ, შენ სადღაც დაშაშხელი ინდოური გიკიდია, ვერ მივაგენი, ძია სოლომონ“.

ვიდრე ნიორთავა თავის დაბებკილ ჯუბას გადაიცვამდა, ქუსლით დააბრახუნა ვიღაცამ კარზე. კანკრე წინ შეეგება ... სულს.

ბიბლიოთეკა

აბრია გაეხირა კარის ჩარჩოში, ცალ ხელში სავსე ტიკი ეჭირა, ცალშიაც ნახევარი თოხლი.

„ყველაფერ სიკეთეს შეესწარი, პაპა აბრია“, ახორხოცდა კანკრე.

აბრიამ კანკრეს შეაჩეჩა ხელში ეს ყოველივე, თავათ დაბალ სუფრასთან ჩამოჯდა ჯირკვზე, გაცივებული კამეჩივით ქშინავდა და ამბობდა:

„მე არ ვაპირებდი მოსვლას, უქეიფოდ ვიყავი, იმიტომაც არ წამოგყევით წუხელ, მაგრამ ისეთი რამ გავიგე, ველარ გავძელი უთქვენოდ, ჯეელებო, ეგ არის და ეგ“.

ცეროდენასა და კანკრეს სული ყელში მოებჯინათ, თვალები აუციმციმდათ, ერთობლივად მიაძახეს:

„რა მოხდა, ჩქარა გვითხარი, პაპა აბრია?“

სახეგაბრწყინებულმა აბრიამ ქიმუნჯი ჰკრა კანკრეს:

„ჯერ თქვენ მაღარიჩი ჩამოდით, შვილოსან“.

ახლა ნიორთავაც დაინტერესდა:

„მაინც რა ამბავია, აბრიავ?“

„რა ამბავია და მათი განკითხვის დღე დადგა: ომია, შვილოსან, ომი“.

„ოჰო, — ახორხოცდა ცეროდენა, რომელიც უკვე ძლივსღა აბრუნებდა ენას. — გაიხარენით, გაიხარენით. ეგეც შენ, ნიორთავა! ხომ გეუბნებოდით, ფაშისტები მაგრად აურევენ-მეთქი“.

„თქვენ ისე გახარებული ხართ, ჩემის თვრამეტიანებო, თითქოს პირველი თოვლის მოსვლას შესწრებიხართო. ომიაო? მერე თქვენ რა გიხარიათ?“

ესა სთქვა ნიორთავამ და შეშა დაუმატა კერას.

„ეჰ, რა ჰქენი, შე კაი კაცო, ის ჩაღველფილი არა სჯობდა მწვადებისათვის?“ დაიბრუხუნა აბრიამ.

„შე კაცო, მე თავში ამივარდა ეს უხიაგი ამბავი, თქვენ მწვადები გადარდებთ“.

„მემრე შენ რა გადარდებს, შე სახეძაღლო, ერთბაშად გემები არ ჩაგიძირონ შავს ზღვაში, ან სავაჭროები არ დაგიბომბონ ტფილისში“, იჯღანებოდა კანკრე.

„ეჰ, რა გელაპარაკოთ თქვენისთანა ქარაოცებს, ქვეყანა იქცეო-

და და ტურა ქორწილს შვრებოდაო“, ესა სთქვა ნიორთავამ, უბარმაზარი ტომარა წამოიკიდა და კოდში გადაუძახა. ბოლოს კარი გააღო და ღარის ასაშვებად წავიდა.

ცეროდენა თამადობას განაგრძობდა. ჯამი აიღო, ვარიკუნ გაიხედა და სთქვა:

„დალიეთ, მოილხინეთ, ძმებო, ქრისტე აღსდგა. შენ რაღად მოგიწყენია, პაპა აბრიავ, აგრემც გნახავ, პაპიჩემისეულ იალაღებზე ათი ათასიან ფარას მიუძღოდე შენი კომბლით ხელში“.

„ეჰ, ჩემო ინჯილერო, ყველგან ის ტიალი ვაზი ჩასჩარეს, ამ ჩემს გახერგილ ზურგზე ხომ ვერ მოვაძოვებ ცხვარს“.

„ჯერ მოიცა, ერთი ორი შავი ტუზი დაუჯდეს ჩვენს მტრებს და მაგ ზვრების სეირს გაჩვენებ: ნავენახარად გადავაქცევ... მე და კანკრემ ვიცით ეს საიდუმლო“... სთქვა და კანკრეს ჩაუკრა თვალი.

აბრიამ თავი აიღო, შეეკითხა: როგორ მოახდენთო ასეთ სასწაულს?

ცეროდენას ასე ხელაღებით არ უნდოდა კარტების გაშლა და სიტყვა ბანზე აუგდო:

„მართლაც, სულ დამავიწყდა, დაპირებული შეგისრულე, გუშინწინ ტფილისიდან ჩამოგიტანე ქორიკოზის წყევლა. შენ ერთი ადი ქვაკაცას წმ. გიორგის კარზე და შენებურად დააქუხე ეს წყევლა, ნახე, რა სასწაული მოხდეს... ქვას აადუღებს, იცოდე, ისეთი წყევლაა, ახლა ამინდიც ხელს უწყობს ამ საქმეს“.

აბრიამ ისევ აპირებდა კითხვის მონაცვლებას: როგორ აპირებთო შენ და კანკრე „მაგ სასწაულის“ მოხდენას, მაგრამ ნიორთავა წისქვილში შემობრუნდა და აბრიამ ენის წვერზე დაიჭირა სათქმელი.

როცა ჯამმა შემოიარა, ხელახლა გაავსო იგი თამადამ და ეშმაკურად გაეხუმრა კანკრეს:

„შენ, რა თქმა უნდა, ხვალვე წახვალ ომში?“

„ომიო? ომი კი არა, ტოროლა. მე და ომი?! — ყომარბაზობდა კანკრე, — მე მთელი ჩემი სიცოცხლე ორ რამეს ვეომები, ჩემო ინჯინერო, ღვინოსა და ქალს. ამაღამ ერთ ლამაზმანს უნდა ვეომო, ან მე და ან ის...“

„კაი მოგეცა, კაი მეომარი ყოფილხარ, ერთი ასეთი ომი წააგე კიდევაც, ცხვირიდან ძმარი გადინეს“, უთხრა ნიორთავამ.

„წადი, შე გველიჭამია, შენ ის გირჩევნია, შენს ქვრივებს მიხედო, ნეკრესის ქარებიდან დახუთულ დედაკაცებს რომ დასდევ.

ერთი შენა მყავხარ დიდი სარდალი, შენ თუ ომში წახვედი, ერთბაშად დანავსავ ჰიტლერის ტანკებს. ჰე, ჰე, შენ ვინ წაგიყვანს

ჯარში, უკანასკნელ მამალ ბატს როცა წაიყვანენ ფრონტზე, შემდეგ ჯერი შენი იქნება“.

„მე ყოველ ომში შენზე მეტ ვაუკაცობას გამოვიჩენ, იცოდე, კანკრე“.

„არა, მე შენ უფრო ჭკვიანი კაცი მეგონე, ნიორთავამ, სიტყვა ჩააკერა ცეროდენამ.

„ჭკუა ვინ მისცა მაგ ჩემონალას, თავკისერი ბატის ჭუკს მიუგავს“, იგესლებოდა კანკრე.

„შენ აბრიას ფურკამეჩივით გაგსივებია თავი, ამიტომაც სახვეტად გიყრია ჭკუა მაგ გოგრაში, შენმა შზემ“, მიუგო ნიორთავამ, ადგა და ისე გავიდა გარედ.

ცეროდენამ დახურულ კარს მზერა ესროლა და უთხრა აბრიას:

„რაო, ის გაოხრებული ვარდოსანიძე მართლაც მორჩენილა?“

აბრიამაც ჯერ კარისკენ გაიხედა და ნაღვლიანად წაიდუდუნა:

„ჯერ არა და ვგონებ გამომჯობინდეს ის მკვდარძაღლი. თუ ვარდოსანიძემ ყველაფერი დაფქვა, ჩვენ სამივემ უნდა ვუტიოთ აქაურობას, შვილოსან“.

„ფიქრი არაა, — სთქვა კანკრემ, — მე ხვალ ყვარელს მივდივარ, კაცს მივუგზავნი, თუ გაგიციხართ, ოთხში ამოგიღებთ-მეთქი. ეგეც არ იყოს, ახლა ბოლშევიკებს ჩვენთვის სადღა სცალიათ“.

„მაგას ნუ იტყვი, კანკრე, ვარდოსანიძემ თუ დაფქვა, შენი მტერია... — ჩურჩულით სთქვა ცეროდენამ, — საქმე ჭადრაკულად იქნება, იცოდე“.

„ფიქრი არაა, ფეხებსაც ვერ მოგვჭამენ, თუ გაწყრა ღმერთი, მთათუშეთში გადაგიყვანთ მე და აბრია ისეთ ორწოხებში, ჭინკა ვერ დაგვიჭერს“, რიხიანად ამბობდა კანკრე.

*

გოდერძი ამაოდ ეძებდა ფართობზე იმ დილით ნუნუს. ბრიგადირი არსად სჩანდა. სხვა არა იყოს რა, იმ დღეს უნდა მოეთავებინათ მწვანე ოპერაციები დიდ ვენახში.

უკვე შუადღე გადავიდა, ნუნუ აღარსად იყო. არც ამბის მომტანი სჩანდა ვინმე. შეშფოთდა გოდერძი: უბედურება რამ ხომ არ მოსწიესო საცოდავ ქალს იმ ლოთმა უშვერიძემ და ქეთუამ.

არასოდეს ასე არ მოსწყურებია ნუნუს ნახვა გოდერძის, როგორც ამ განსაცდელის დღეს. ბოლოს შავსოფლელ გოგონებს გამოჰკითხავდა ფრთხილად, თქვენი ბრიგადირი ავად ხომ არ გამხდარაო?

ნუნუს მეზობელმა, თეონამ უჩურჩულა: კოოპერატივის ნოქარს, უშვერიძეს ქალაქს წაუყვანია ქეთუა, გაჭირვეულებული მალხაზი ხიდან ჩამოვარდნილა და ფეხი მოუტეხია საცოდავს. ნუნუ ავადმყოფს უვლისო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდერძი მოუსვენრად დაწრიალებდა ფართობზე, სამეურნეო დღე მოთავდა, მაგრამ საშველი არ დაადგა დაღამებას. დღისით, მზისით არ უნდოდა შავსოფელში გავლა, მარტოხელა ქალთან შინ მისვლა.

საღამო ჟამს, როცა გოდერძიმ შეაღო კარი, ნუნუს ოთახში სანახევროდ ბნელოდა, კაჩხაზე დაკიდული გობრონისეული ფაფახი, ტყაპუჭი და ქამარ-ხანჯალი თვალში მოხვდა ახალმოსულს, აგრე ეგონა, ფაფახიანი, ხანჯლიანი კაცი ატუზულაო კედელზე.

რამდენიმე ნაბიჯიც გადადგა სტუმარმა და შენიშნა: ლოგინზე მწოლარე მალხაზს ორივე ხელი მკერდზე დაეკრიფა, მის საწოლთან დაბალ სკამზე მიმჯდარ ნუნუს საკუთარ მკლავებზე დასძინებოდა პირქვედამხობილს.

ნაბიჯის ჩქამზე ზეწამოიჭრა ქალი:

ვინა ხარო?

წამოიძახა შემკრთალმა.

რა მოგვიდა, ქალო, მე ვარო.

გოდერძიმ ასანთს გაჰკრა და დაბოლილ ლამპას მოუკიდა. ახლა უკვე გარკვევით შენიშნა: დაწითლებული თვალები ჰქონდა ნუნუს.

„რა მოგსვლია, ნუნუ, გიტირია, როგორც სჩანს!“

„აბა გასახარელი რაღა გვაქვს, გოდერძი? ქვეყანა განსაცდელშია, ახლა საკუთარი უბედურებაც ზედ დაემატა“.

„ბიჭს რა მოსვლია, ნუნუ?“

ნუნუმ მძინარეს გადახედა და ჩურჩულით მიუგო:

„გუშინ ის ოხერი უშვერიძე აუტყდა ქეთუას: ქალაქს წავიდეთ და იქაურ მმაჩში მოვაწეროთო ხელი. აქ რომ მოვაწეროთ, თელაველი ცოლი გაიგებს და მოგვივარდებაო.

მალხაზი გაჭირვეულდა, ეეედრა დედამისს, მამაჩემის მაგიერი არავინ მაჩვენოო.

თუ შინიდან წასულხარ, თავს მოვიკლავო. მართლაც ეზოდანაც არ იყვნენ გასული, მსხლის ხეზე ავარდა მალხაზი და იქიდან გადმოიგდო თავი.

გასაოცარია, ცოცხალი როგორღა გადარჩა? ქეთუა და უშვერიძე შემობრუნდნენ. ერთი აკოცა ქეთუამ ბავშვს, დამიბარა, მინდელის ქალი იხმეო, უშვერიძე აღარ მოეშვა, მატარებელზე ვიგვიანებთო, ავადმყოფი მე დამიტოვეს და წავიდნენ.

ექიმთან გასაგზავნი არავინ მყავდა, მთელი ღამე თეთრად გავა-

თენეთ, „ვაი დედას“ იძახოდა ბავშვი; დილით მეზობლიანთ მარუას მოვაყვანინე ექიმი მინდელი, მოტეხილობა აღმოაჩნდა მარცხენა წვივისა ბავშვს.

გაიხაროს მინდელის ქალმა, თაბაშირში ჩაუყენა ფეხი, მერე ის იყო, როგორც იქნა, წაიძინა ყმაწვილმა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდერძი გვერდით მიუჯდა ნუნუს. ქალმა მარჯვენა ხელი გამოართვა ვაჟს, მუხლისთავზე დაიდო, ნაზად ხელს უსვამდა ზედ.

„შენ წასვლა მოგიწევს, გოდერძი, ალბათ?“

„რა სათქმელია, აბა ქალებთან და მოხუცებთან ერთად ხომ არ დავრჩები? დღეს ციხისთავმა გამოგვიარა, ჩამილაპარაკა: თუ გინდა, დაგჯავშნავო. შორს დავიჭირე ასეთი საქმე: რომელი ინვალიდი მე მნახეთ-მეთქი.

შენ რას იტყვი, კოლმეურნეობას რა ვუყოთო? ისევ თედოს ჩააბარეთ-მეთქი, თუ თქვენი ნებაც იქნება.

მე უკვე მზად ვარ, ნუნუ, ამაღამ საქმეების გადაბარებას თუ მოვრჩი, გვიან მაინც გამოგივლი.

ჩემს ოჯახს შენ უნდა მიხედო, აბა საცოდავი ბაბლია რისი გამკეთებელია, მე მგონია, ყველაფერი რიგზე იქნება. შენ ყოჩაღი გოგო ხარ, უჩემობა უფრო გაგაკაჟებს. შენი იმედი მაქვს, ნუნუ.

მე მხოლოდ ერთ რამეს ვწუხვარ: შენ ბევრს იდარდებ და თმები გაგიჭაღარავდება და მე ყველაფერზე მეტად შენი გრუზა ნაწნავები მიყვარდა, ნუნუ“.

გოდერძიმ შენიშნა: ნუნუმ თავი ძირს დახარა, ოდნავ შეუტოკდა მხრისთავები და ერთადერთი ცრემლი დაეცა გოდერძის მარჯვენას.

ბოლოს ისევ მაღლა ასწია ნუნუმ თავი და ქუთუთოებზე მომდგარ ცრემლების მოუწმენდლად ჩურჩულით უთხრა გოდერძის.

„თმების გაჭაღარავებას არ დავეძებ, გოდერძი, ოღონდ შენ დაგვიბრუნდი მშვიდობით. დღე და ღამეს გავასწორებ, იმ საწყლებს ლუკმას გავუყოფ. შენ ესა სთქვი, მე მარტო არა ვარ, გოდერძი...

შენს ჩამოსვლამდის მომიხდება ალბათ მოლოგინება, მაგრამ რა ვუყოთ ბავშვს? ამ საგიჟეთში ბავშვს კი არა. მე აღარ მეედგომება, ხელიც არ მოუწერიათ და თავპირს ამტვრევენ ერთიმეორეს, წარმოგიდგენია, მერე რა მოხდება“.

გოდერძიმ მაჯის საათს დახედა, ათ საათზე პარტიული კრება იწყებაო, წაიდუდუნა და მძიმედ წამოდგა. ნუნუ ეეედრა: კიდევ დარჩიო ცოტა ხანს. როცა გოდერძი წასვლას დაადგა კვლავ, ნუნუმ უთხრა: თუ მთლად გვიან არ გათავდა კრება, მაინც გამოიარე, რას დავეძებ, ყიამყრალები რას იტყვიანო.

გოდერძიმ სთქვა:

თუ ამაღამ ვერ მოვედი, ხვალ გამოგივლი და ხელიც მოვაწეროთო ბარელამ მმაჩში. ზეადგომისას გარიხინდა გოდერძის სკამი, მალხაზმა გაიღვიძა, შუქი ჩააქვრეთო, მორთო ღნავილი.

როცა გოდერძის გაცილებას დაადგა ნუნუ, მალხაზი კაბაზე მისწვდა, აყვირდა: დედამ მიმატოვა, ახლა შენც უნდა მიმაგდოო?

ნუნუ გულშემოყრილი მიუჯდა ავადმყოფის საწოლს, მხოლოდ თვალი შეასწრო მხედრული ნაბიჯით კარისაკენ მიმავალ გოდერძის ზურგს.

მამისეული ხანჯალი

ნუნუმ ლამპა ჩააქრო, მაგრამ ავზნიანი ყმაწვილი მაინც არ ასვენებდა ღამისთევისგან გატანჯულ ქალს. ებუზღუნებოდა: დედა გამითხოვდა, ხვალ შენც გათხოვებას აპირებ, მე მარტო მტოვებთ, იცოდე, ისევ ავალო მსხლის ხეზე და ახლა ნამდვილად მოვიკლავო თავს.

ნუნუ ანუგეშებდა: მე არასოდეს მიგატოვებ, არც ვთხოვდებიო, გოდერძი ომში მიდის, მე არც კი ვფიქრობო გათხოვებას: მაგრამ არავითარი შეგონება არა სწვდებოდა ყმაწვილის დაბნელებულ გონებას. როცა სიტყვები უმწეონი გახდნენ, ნუნუს გული ამოუჯდა, ქვითინებდა, მისტიროდა თავის გაუხარებელ სვეს...

ბოლოს მარჯვენა წაართვა ყმაწვილმა ქალს, მკერდზე მიიხუტა და, როგორც იქნა, თვლემა მოერია ჭირვეულს.

დიდხანს უცადა ნუნუმ გოდერძის, მცირეოდენი ჩამიჩუმი მკაფიოდ სწვდებოდა მის სმენას, ეზოში თხა ახველებდა, ბოსლის კართან ძროხა ხვნეშოდა, კიბეზე მწოლარე ძაღლი იქექებოდა, არახუნებდა ფიცარზე კუდს.

უკვე დაიწყეს მამლებმა ყივილი, სახურავზე გაავებული კატები ჩხაოდნენ, ძაღლები ყეფდნენ სადღაც, აზვავდებოდნენ და მერმე ეს ერთობლივი ყეფა ჩაკვდებოდა ერთბაშად და ისევ ისმოდა თხის ხველება და ძროხის ქშენა.

ნუნუმ მარცხენა მკლავი ამოიდო თავქვეშ და ასე უმარჯვოდ პირქვედამხობილი მიეცა ფიქრს. ჯერ უცნაურ ბურანში იყო, ცხადლივ ესიტყვებოდა კიდევაც ფრონტზე მიმავალ საქმროს:

„ათასი კრამიტი თუ ვიშოვნე, გადავსახლდე თუ არა პაპა მიქელასთან? ბიჭი თუ მეყოლა, მართლაც მიქელას დავარქმევ შენი სურვილისამებრ. ოღონდ შენ ჩამოდი მშვიდობით, გოდერძი, დეე მე გამითეთრდეს თმები...

გახსოვს, გოდერძი, მე და შენ რომ ბერმუხის ქვეშ ვისხედით და რომანისტებს ვაბრალებდით ავკაცობას?

ჩვენ აგრე გვეგონა, თითქოს ისინი განგებისად აწყობენ მიჯნურთა საქმეს ისე, რომ ძალაუნებურად გაყრიან სასურველებს ერთიმეორისაგან, რათა მკითხველებს გული დასწყვიტონ.

თურმე ვცდებოდით მე და შენ ორივენი, გოდერძი, თავათ ცხოვრება ყოფილა თურმე უდიდესი გამთიშველი გულის-სწორთა, უბოროტესი რომანისტი ამ ქვეყანაზე, აურაცხელი, დაუწერელი რომანების ავტორი.

მერმე რა ახლოს იყო ბედნიერება, სულ ერთი მტკაველის სიშორეზე, და გულბოროტმა ცხოვრებამ გაგვყარა ერთმანეთს მე და შენ, გოდერძი.

ოღონდ შენ ჩამოდი მშვიდობით, დეე მე გამითეთრდეს თმები...“

ამას ცხადლივ ეუბნებოდა ნუნუ თავის სასურველს, თითქოს გოდერძი იქვე მჯდარიყოს მასთან.

. . . . . .

ძილი შემპარავად ეპოტინებოდა ნუნუს ქუთუთოებს, ნელ-ნელა აბამდა პოტიკებს ზედ. დიდხანს უცადა გოდერძის. როცა მისი მოსვლის იმედი დაჰკარგა, მოაგონდა: გოდერძის გასვლის შემდეგ კარი გადაურაზავი რომ დარჩა.

ფრთხილად გამოართვა მარჯვენა ავადმყოფს, ფეხაკრეფით გავიდა შრამელში, კარი გადარაზა, ისევ შემობრუნდა ოთახში.

საათი გაჩერებულიყო. ფანჯრიდან გაიხედა. ძროხა არხეინად იცოხნებოდა; ხბო ბოსლიდან გამოპარულიყო, საყვარლად მიხუტებოდა დედას და ტკბილად ეძინა.

მიწაზე პირქვედამხობილ თხას ახველებდა. მთვარე ზედ წოპზე დაჯდომოდა გორაკს, თითქოს სადაცაა ძირს დაგორდებაო ეს ამოდენა ცეცხლოვანი ბურთი. ყვარლის მთებისკენ აგზავნიდა სხივებს, ახლადამოღებულ აბრეშუმისებრ ხასხასას. ბულბული უსტვენდა სადღაც...

მალხაზმა დაიკვნესა, ნუნუ ფანჯარას მოსცილდა, ავადმყოფის საწოლთან დაემხო ისევ. ხელახლა წაართვა ავადმყოფმა მარჯვენა ნუნუს და მკერდში ჩაიბღუჯა.

ნუნუმ გადასწყვიტა აწ აღარ მოვაო გოდერძი, ამიტომაც მინებდა თვლემას...

უცნაური სიზმარი ნახა: უმთვარო ქარიან ღამეში მიგელავდნენ მაზუთში ამოგანგლული მაღალრქიანი ლოკომოტივები სტეპზე.

ღია პლატფორმებზე სქელდრუნჩიანი ზარბაზნები მოჩანდნენ ლაფეტებზე შედგმულნი.

მათ კიდეებზე ბერმუხელი და ალაზანსგადაღმელი ბიჭები იდგნენ. ხელში ტყვიამფრქვევები და ხიშტიანი თოფები ეჭირათ.....

მიბლაოდნენ მაზუთით გაზინთული ლოკომოტივები, სქელდრუნჩიანი ზარბაზნები ცეცხლს ანთხევდნენ, მიწა ზანზარებდა, ცას ხანძარი ეკიდებოდა, გავარვარებულ ღრუბლებში შავფრთიანი არწივები დარიალებდნენ, სვასტიკები ჰქონდათ მიკერებული მკერდზე...

. . . . . .

გოდერძი და ნუნუ თვითმფრინავში სხედან, მრისხანედ ბუბუნებს მოტორი, პროპელერი ფხრეწს ცეცხლმემოგზნებულ ღრუბლებს, გოდერძი ვეფხვივით დასტრიალებს თვითმფრინავის კრიალა, ბზრიალა აგრეგატებს, ხანაც ტყვიამფრქვევს მისწვდება და მოისმის ბედითი კაკანი ტყვიისა...

ახლა თვითმფრინავისკენ წამოვიდნენ შავფრთიანი, სვასტიკიანი არწივები.

„ნეტავ მართლაც არწივებია, თუ ფაშისტების ბომბდამშენები?“ ფიქრობს ნუნუ და გოდერძის მკერდზე ეკვრის ვაგლახად შემკრთალი.

სულ ახლოს, სულ ახლოს მიეჭრნენ არწივები თვითმფრინავს, ცეცხლოვან თვალებს უბრიალებენ, უკვე მოესმის ნუნუს, თუ როგორ უტლაშუნებენ თვითმფრინავს ფრთებს და ყივიან ბედითად.

გოდერძის ოფლი გადასდის შუბლზე, გააფთრებული თავს დასტრიალებს აგრეგატებს, პროპელერი თავბრუდამსხმელად ბრუნავს. ფხრეწს მგლისფერ ღრუბლებს.

უცებ ლიწინ-ლიწინით დაიმსხვრა თვითმფრინავის ფანჯარა; სვასტიკიანი არწივი შემოიჭრა პილოტის კაბინაში და ზედ ყვრიმალზე მიაჯდა გოდერძის. ფრთებს აბარტყუნებს და კორტნის...

გოდერძიმ სატევარი გაიძრო და... სისხლით გაივსო პილოტის კაბინა... სასუნთქი ჰაერი აღარ ყოფნით ნუნუს და გოდერძის, სისხლის მორევი ყელამდის მისწვდა ორივეს. უნდა შეჰკივლოს ნუნუმ და ხმა აღარ ამოდის ხორხიდან.

ამ დროს მოისმა საშინელი რაჯგუნი შრამელის კარიდან, ნუნუ დაფეთებული ზეწამოიჭრა, ხელი წაართვა მძინარეს, შრამელისკენ წალასლასდა.

თავდაპირველად აგრე იფიქრა ნუნუმ: გოდერძი მოსულაო, ალბათ. შრამელში თავი გაჰყო და შეეხმიანა:

რომელი ხარო?

ჯერ იყო და ხმა არ გაიღო არავინ. ქარი ხომ არ ამოსულაო, გაიფიქრა და ფანჯრიდან გაიხედა, ხის წვეროკინები გარინდებულნი იყვნენ. ალბათ მომეჩვენაო, გაიფიქრა ქალმა და ისევ საწოლისკენ გაემართა.

ბიბლიოთეკა

ახლა სავსებით გარკვევით მოისმა კაკუნი. ისევ გავიდა შრამელში ნუნუ და კვლავ შესძახა:

რომელი ხარო?

კარს გადაღმა ვიღაცამ ჩაახველა. ისევ მოუნაცვლა ნუნუმ კარს უკან მდგომარეს კითხვა.

გოდერძი ვარო, მოისმა საკმაოდ მოკრძალებული ხმა.

ნუნუ დაეჭვდა, ეს არა ჰგავდა გოდერძის ხმას. კარის ჭუჭრუტანიდან გაიხედა: ვიღაც ახმახის ლანდი გამოჩნდა. კიდევ შეიჭვრიტა, მწყემსური, წილამურებიანი ქუდი ეხურა უცხოს და მხრებგანიერი მთიულური ნაბადი.

იგი უკვე აღარ იძლეოდა ხელმესამე შეკითხვაზე პასუხს, ქუშშემდგარი ცხენივით ხვნეშოდა და მაგრად აწვებოდა ვაგლახად აჭრიალებულ კარს შრამელისას.

ნუნუ გაოცდა: თუ ეგ კაცი უცხოთაგანია, ძაღლმა რად არ შეუყეფაო მაინც? ისევ გაიხედა ფანჯრიდან, ძაღლი გომურის წინ იჯდა ახლა და იქექებოდა.

ისევ შრამელში გაწრიალდა ნუნუ. უკვე აღარ კრთოდა იგი და უთხრა საკმაოდ მტკიცედ კარს უკან მდგომარეს:

„გოდერძი ასეთ დროს არასოდეს მოსულა ჩემთან, წადი ახლავე აქედან, ვინცა ხარ, თორემ განანებ, იცოდე“.

„ჰე, ჰე, შენ რა უნდა მიქნა, ჭუკო?“

„გირჩევ შენს გზაზე წადი, კარს ნუ მიმტვრევ და ავადმყოფი არ გამიღვიძო“.

„მე კიდევ გირჩევ გამიღო კარი, თორემ ეს კარი მე ვერ დამაკავებს“.

ამის თქმა მოასწრო უცხომ და გამოქანებული ეძგერა კარს. ნუნუ ოთახში გაბრუნებას აპირებდა და ამ დროს მოძალებული ხელახლა მოეხალა კარს, სანახევროდ დამპალმა კარის ჩარჩომ რაზა ვერ დააკავა და კარი გაიღო ანაზდად.

კარის ადგილიდან ისკუპა ბობღია ლანდმა და თავის ძალოვან მკლავებში ჩაბღუჯა ქალი, იქვე მდგარ ტახტამდის მიათრია იგი, ბალღივით დაისვა მუხლზე და უთხრა:

„გოდერძი რომ ვყოფილიყავი, ხომ გამიღებდი, შე უნამუსო, კარს?“

ნუნუს სახეში ეცა გახელებული მამაკაცის ტუჩ-პირიდან ამოსული ღვინის სუნი და მიუგო:

„უნამუსო და ბანდიტი შენა ხარ, კანკრე“.

„რაცა ვარ, ეგა ვარ, ნუნუ, გოდერძისა და მისი [illegible] აღსასრული კარზეა, ამაღამ ჩემი თუ არ გახდები, [illegible] რჩობ, მერე მამისეულ ხანჯალს გამოვიტან შინიდან და გოდერძის ისე ავკეპავ, როგორც სამწვადე თოხლს აკეპავენ ხოლმე თუშები“.

ნუნუ ემუდარა: ხელი გამიშვი და ისე ვილაპარაკოთ, მუქარით არაფერი გამოგივაო.

„ნათლიამ მიამბო, თურმე შენ დაგიკვეხნია, ჩემი გულისთვის ცხვირ-პირიდან სისხლი ადინაო გოდერძიმ კანკრეს“.

ამბობდა ბრაზისაგან დუქმორეული ვაჟი.

„ყველაფერს გეფიცები, კანკრე, არაფერი ამის მსგავსი მე არსად მითქვამს“.

გახელებული კანკრე მიხვდა, რომ ეს სიმართლე იყო. მოეწონა, ნუნუს ასეთი რამ რომ არ უთქვამს.

„შენ კარგი გოგო ხარ, ნუნუ, ამას არ იტყოდი, ამიტომაც მიყვარხარ“, უთხრა კანკრემ, ძუძუების სრესა და კოცნა დაუწყო ქალს.

„კანკრე, ხელები დაიმოკლე, თორემ განანებ, იცოდე“.

„ჰე, ჰე, შენ რა უნდა მიქნა, ჭუკო?“

„რაც მოგივა, იმას მერმე ნახავ“.

„გეუბნები, ნუნუ, თუ ამაღამ ჩემი არ გახდები, ახლავე გამოვიტან მამისეულ ხანჯალს, ჯერ თქვენ მოგითავებთ ხელს და მერე მეც მოვიკლავ თავს“.

ესა სთქვა კანკრემ და მუთაქამდის მიათრია ქალი. თავათ ტაბტის წინ დაიჩოქა, ჯერ ემუდარა, ისევ დაუწყო მუქარა, ახლა შუქრიდან ხვეწნაზე გადავიდა, სიყრმიდანვე შენ მიყვარდი, ქალაქიდანაც შენთვის ჩამოვედიო.

შუბლზე ხელს უსვამდა, ხელებს წაართმევდა და უკოცნიდა.

ქალმა უთხრა საკმაოდ მშვიდად ღვინისა და ვნებისგან გონებაღრეულ ვაჟს:

„შენ უფრო შეგნებული კაცი მეგონე, კანკრე, ძალადობა რა საჭიროა? მოდი დავსხდეთ და ვილაპარაკოთ ისე, როგორც გონიერ ადამიანებს ესა სჩვევიათ“...

კანკრეს იმედი მოეცა, რაკი „მოლაპარაკებამდის“ მივიდა საქმე. ხელები შეუშვა ლოგინზე დაკრულს, წამოაყენა, ახლა თავათაც გვერდით მიუჯდა და თითქმის გაბზარული, შესაბრალისი ხმით დაიწყო:

„გამაგიჟა შენმა სიყვარულმა, ნუნუ, ნუთუ არ გეცოდები, მე

და შენ სიყრმის მეგობრები ვართ, ერთად გვითამაშია, ერთად გვიტარებია ბავშვობა.

ნუ ხარ უგულო, ქალო, თუნდაც ერთხელ დამნებდი, ვინ იცის, ეგებ გამომინელდეს. შენი სიყვარული როგორმე [illegible] ხლეს განაცვალებ, იცოდე.

ვინ გაიგებს ამას, მთელმა შავმა სოფელმა იცის, რომ გოდერძისთან ნაცხოვრები ხარ, გოდერძი ამაღამ მიდის ფრონტზე, ეს ხომ იცი, ნუნუ?

შენ არც იმას აფასებ, მე შენი გულისთვის ლამის არ იყო ზედ შევასკდი კობერიძეს, მე რომ არა, შენი დედინაცვალი უთუოდ მიგათხოვებდა კობერიძეს, ხომა?"

ნუნუმ მხრები აიჩეჩა:

„რაო ვითომ, მე საწვიმარი გუგაი ხომ არ ვიყავი, საითკენაც სურდა, იქითკენ გადავესროლე ჩემს დედინაცვალს?

აბა, იცი რას გეტყვი, კანკრე, — თითქმის ჩურჩულით განაგრძო ქალმა, — შენ ხომ არ მიდიხარ ომში, გოდერძი ამაღამ მიჰყავთ, არა? კიდევ ერთი დღე მოიცადე. ახლა ბავშვი არ გამიღვიძო, იცოდე. დამშვიდდი ოღონდ, დავსხდეთ და ვილაპარაკოთ".

„ომშიო? ჰო, ჰო, მე რა მინდა ომში? კომუნისტებმა იტვხონ თავი", ახორხოცდა გახარებული კანკრე.

უცნაური ეს იყო, სწორედ ამ წუთში ატირდა მალხაზი.

„შენ აქ ჩამოჯექი და მე ახლავე მოვალ, მამის სულს გეფიცები, ახლავე მოვალ, კანკრე".

ვაჟი მოლბა, დათმობის გზას დაადგა, ხელი უშვა ქალს, რომელსაც კანკრესთან ბრძოლისგან დალილავებული ჰქონდა მაჯები და ყელ-კისერი.

ახლა კანკრემ ერთი მიაძახა ოთახისკენ მიმავალს:

მალე მოდი, იცოდე, თორემ სადაცაა გათენება მოგვისწრებსო.

როცა მარტო დარჩა, უცნაური მოთენთილობა იგრძნო იოგებში ღვინოსთან და ქალთან ნაბრძოლმა ვაჟმა. ახლა მისი აღრეული გონება და მოდუნებული სხეული მოსვენებასა და ძილს მოითხოვდა.

მხართეძოზე წამოწვა, მუთაქა მხრისთავის ქვეშ დაიდო... ქუთუთოები უმძიმდებოდნენ, მაგრამ მის გონებას ბურღავდა ქვეშეცნეული აზრი: არ დამეძინოს, გათენებამ არ მომისწროსო.

მოუხშირეს მამლებმა ყივილს.

მცირედი გაფაჩუნებაც კმაროდა და კანკრე წარამარა ზეწამოიჭრებოდა. ახლა ერთადერთი რამ აშინებდა: ვაჟთუ ის ოხერი მარუა, რომელიც ყოველ წუთში დაწანწალებდა ხან შაქრის, ხან

ფქვილის, ხან მარილის „სასესხებლად“, შემობორიალებულიყო და მთელი გეგმები ჩაეფუშა კანკრესათვის.

წარამარა თვალებს იფშვნეტდა ლოდინისაგან დაოსებული კანკრე, მოხუჭავდა თვალს, ისევ შეიმართებოდა, გახედავდა [illegible] დარჩენილ კარს. ნაბიჯების ჩქამის ნაცვლად იქიდან [illegible] ლხაზის ბუზღუნი, ხანაც ნუნუს ალერსიანი ტკბილი ჩურჩული.

ახლა ტახტზე მწოლარე ნატრობდა: მის თავთით მჯდარიყო ნუნუ და ასეთი ალერსიანი ჩურჩული სმენოდა მისგან. ღვინისაგან ცნობამიხდილმა კრიალოსანის მძივებსავით გადასთვალა ნუნუს ტუჩებისაგან დაცდენილი საიმედო სიტყვები.

„შენ ხომ ომში არ მიდიხარ, კანკრე. გოდერძი ამაღამ მიდის, დავსხდეთ და მოვილაპარაკოთ“.

ახლა უკვე აყვედრიდა ოდნავ გამოფხიზლებული კანკრე თავის თავს: დროზე რომ მეპოვნა საერთო ენა ნუნუსთან, ახლა ჩემი იქნებოდაო იგი, ინანა შარშანდელი თავდასხმა და ამაღამდელი ძალით შემოლეწვა კარისა.

სხვაგვარი იმედებიც გამოძვრნენ მისი სულის უაღრეს ჯურღმულიდან:

„ეგება მართალი იყოს ნათია თარალაშვილი, გოდერძისა და ნუნუს შორის შავმა კატამ გაირბინაო, რომ ამტკიცებდა?

გოდერძიმ განზრახ არ დაახურვინა სახლი, თორემ ათას ცალ კრამიტს როგორ ვერ იშოვნიდა. ეს ყოველივე იმისთვის მოსჩმახა გოდერძიმ, ნუნუსთან ხელისმოწერა გადაედო და ფეხი აეთრია როგორმე“.

ამასაც ნათია ამბობდა.

აა?!

იძალა რიყრაყმა. ჩიტების ერთობლივი ყივილი ისმოდა ბოსტნიდან. ბულბული კვნესოდა სადღაც. საყვარელი არსების მოლოდინი და გალობა ბულბულისა განუზომელ ნეტარებას ანიჭებდა ღვინისაგან დაოსებულსა და ვნებისგან გახელებულს.

კანკრე ტახტზე ჩამოჯდა, ჩექმა გაიხადა, რადგან უხიაგად უჭერდა ცალი. საკინძე გაიხსნა და საალერსოდ მოემზადა გამიჯნურებული...

ამ დროს მოისმა ნაბიჯების ჩქამი...

ზეწამოიჭრა კანკრე, ახლა თავათვე ესმოდა ძლიერი აჩქროლება საკუთარი გულისა.

კარი ფართოდ გაიღო და ჰოი საოცრებავ!

კარის ჩარჩოებში გახეევებული იდგა ფაფახიანი, ტყაპუჭიანი მამაკაცის ლანდი.

სატევარი ბედითად ელავდა მის ხელში.

ხომ არ გაცოცხლდაო ის გაოხრებული გობრონ უჯრიანელი? ერთი გაიფიქრა კანკრემ, თვალები მოიფშვნიტა. არაერთგზის უნახავს კანკრეს გობრონი გაბრანგული მთვრალი, ხანჯალ[illegible] რომ უტევდა დიდსა და მცირეს.

ეს ხანჯლიანი, ფაფხიანი კაცი ჯიქურ მიეჭრა ტახტზე მჯდომარეს და უყივლა:

„კანკრე, ადექი ახლავე და დასტოვე ჩემი სახლი, თორემ გაგაქრობ, იცოდე“.

კანკრე შეცფუნდა, ტახტზე წამოიჭოტა და აქედან უნდოდა თავზე დახტომით იარაღი აერთმია ამის მთქმელისთვის, მაგრამ დაასწრო მომხვდურმა და ბაყვებში ჩასცა გავარვარებული ხანჯალი.

დაკოდილი ნადირივით ერთი დაიღმუვლა კანკრემ და როცა ცნობამიხდილი სოხანეზე დაეცა პირქვე, მალხაზის ღრიალი მოესმა ნუნუს, მან იქვე დააგდო ხანჯალი, რათა გასისხლიანებული იარაღი არ დაენახა ბავშვს...

*

დილაადრიან მარუამ შემოირბინა ფქვილის სასესხებლად და როცა საკუთარ სისხლში პირქვემწოლარე კანკრე შენიშნა, აბრია, ლუო და ფოცხვერი უჯრიანელები მოიყვანა ნუნუს თხოვნისამებრ.

გვარის უხუცესების თვალწინ აიღო ნუნუმ მამისეული ხანჯალი ხელში, მზრუნველი ხელით გასწმინდა და ისევ თავის ადგილას დააბინავა. მერმე გამობრუნდა და უთხრა აბრიას:

„არ მომეშვა, პაპა აბრიავ, ეგ თქვენი კანკრე, ახლა ნახეთ, რა მოუვიდა.“

როცა მძიმედ დაჭრილ კანკრეს, ნაბადში გახვეულს, მიათრევდნენ უჯრიანელთა გვარის უხუცესები, აბრიამ ნაღვლიანად უთხრა ლუოს:

„მე ხომ გეუბნებოდი, ბიჭავ, ჯერ კიდევ შარშან: ქალი რომ დინამიტის აფეთქებას ისწავლის, მამაკაცსაც იოლად მოჰკლავსმეთქი, ჰა...“

მიტინგი

მეორე დღეც არანაკლებად მღელვარე იყო.

გოდერძის, უთენია შინიდან გასულს, საუზმისთვისაც არ მოუცლია. ხან კოლმეურნეობის კანტორაში იჯდა, საქმეებს აბარებდა

ელოს. ხანაც ნაკვეთზე დარბოდა, ქალთაგან ახლად გამოყოფილ ბრიგადირებს სამერმისო თადარიგსა და რჩევებს აძლევდა.

ნაშუადღევს ერთი საათით დაეთხოვა ყვარელს წასასვლელად თედოს:

„ვინ იცის, ეგებ ამაღამვე მომიხდეს, ძია თედო, ფრონტზე წასვლა, ბარე წავალთ მე და ნუნუ და ხელს მოვაწერთ“.

თედოს სახე გაუბრწყინდა. წამოდგა, გადაკოცნა და მიულოცა.

„კარგს იზამ, შვილო, ხომ იცი ყიამყრალი შავსოფლელების ამბავი. ეს ფორმალური მხარეა, მაგრამ მაინც საჭიროა“.

გოდერძიმ რამდენიმე წუთით შეირბინა ნუნუსთან. ნუნუ შეკრთა! ვაჲთუ წუხანდელი ამბავი გაიგოო, როცა ვაჟმა უთხრა: ყვარელს წავიდეთ, ხელი მოვაწეროთო, დამშვიდდა. ნუნუმ სთქვა,

„კარგი იქნება, თუ შენ წახვალ და ამბავს გაიგებ წინასწარ“.

„რა ამბავს?“

„რა და ჩემი ბიძაშვილი და მისი საცოლე ყოფილან გუშინწინ, მმაჩის გამგე ეს ერთი კვირეა, რაც ავად გამხდარა, შემცვლელიც არა ჰყოლია თურმე მაგ ოჯახქორს“.

ერთ საათსაც არ გაუვლია, მანქანის სიგნალი შემოესმა ნუნუს. უკვე მარუას ეხვეწებოდა იგი, ერთი საათით დარჩიო მალხაზთან.

გოდერძი შემოვიდა და ასეთი რამ სთქვა: სამ დღესაც ველარ ადგებაო მმაჩის გამგე.

ნუნუს უსიამოდ გააჟრჟოლა. ამის გამგონეს. მოაგონდა, რა შავი დღე დააყენეს აბრიამ და მისმა ძმებმა თეთროს ხელისმოუწერლად შვილის გაჩენისათვის. ეს მღელვარება არ გაუმხილა გოდერძის, მცირეოდენი იმედი მაინც ღიმღამობდა ნუნუს გულში: შესაძლოა ამ რამდენიმე დღეში არ მოუწიოსო ფრონტზე წასვლა გოდერძის.

კოლმეურნეობის კანტორაში მიბრუნებულს ასეთი ამბავი დაახვედრეს გოდერძის: ციხისთავმა და კომკავშირის რაიკომის მდივანმა გამოიარეს და სთქვეს: შვიდი სოფლის ახალგაზრდობა, ფრონტზე მიმავალი, ბერმუხის ქვეშ მოგროვდნენ და აქ უცადონო სამხედრო კომისრისა და სატვირთო მანქანების მოსვლას. სახელდახელო მიტინგიც უნდა მოაწყოთო ამ საღამოს.

ჯერაც მზე არ იყო ჩასული, დიდძალმა ხალხმა მოიყარა ბერმუხის ქვეშ თავი. როგორც ხატიონებს სჩვეოდათ ძველად, ჯგუფ-ჯგუფად გარს უსხდნენ ირგვლივ გამართულ კოცონებს, მწვადებს სწვავდნენ, მასლაათობდნენ და მღეროდნენ.

აქა-იქ მამაკაცები ულიმღამოდ ცეკვავდნენ. რადგან ქალები ცეკვის გუნებაზე არ იყვნენ.

დაჯოჯმანდა გველეთის ახალმოსახლე ხევსური ხირჩლა ოჩიაური, გაშალა თავისი გრძელი მკლავები, ქორივით მოუარა ქმრებს, ძმებისა და საქმროების გასაცილებლად მოსულ ქალებს. შაგრამ არავის ეხალისებოდა ამ ვეება ვაჟკაცთან ცეკვა, თანაც თავისი ტანმორჩილობის გამოჩენება.

საქმე რა მისჭირდა, წამოდგა ლოყებღაჟღაჟა, ბრგე ვაჟკაცი მეღორე პოპოლა, წინამო და წინსაფარი გამოსტყუა რომელიღაც ხევსურ გოგონას და ქალურად ჩამოუარა. ჰრანჭია სასძლოსავით იგრიხებოდა, ხან მწყაზარად დაგოგავდა, ხან კეკლუცად გადახრიდა თავს განზე, თითებს ათამაშებდა, იმანჭებოდა ეს უზარმაზარი დევკაცი და ეს შეუსაბამობა განგებისად გამოჩენებულ ქალურ კეკლუცობასა და მის დათვურ მიხვრა-მოხვრას შორის ჰომერისეულ ხარხარს იწვევდა მოსეირნეთა შორის.

რაკი ომში მიდიხართ, ბარე საომარი რამ ითამაშეთო, იფარიკავეთ, ან იჭიდავეთო, წამოიძახა გიგლა გაბედაიძემ.

შამილისა და შეთეს ომი ითამაშეთო ბარემ, სთქვა ოთხმოცი წლის ბერიკაცმა ოთარ ხეცოძემ.

დიდხანს ეძიეს შეთე გულუხაიძის როლის შემსრულებელი, ბოლოს ნიორთავას დაადო ხელი ხეცოძემ.

მოიგონეთ შენი სახელოვანი დიდი პაპა.

ნიორთავა ნაღვინევი იყო და თავპატიჟის დადება არ დასჭირვებია, არც იმას მოერიდა, რომ მისი პარტნერი ასეთი გოლიათური ანაგობისა იყო. გველეთის ახალმოსახლე ხევსურებმა საიდგანღაც გამოსჩხრიკეს ხევსურული ჯაჭვის პერანგი, მუზარადი, ფარი და ფრანგული.

ვის უნდა ეკისრა შამილობა? ამ როლის შესრულების მოწადინე არავინ აღმოჩნდა, ამიტომაც ისევ ხირჩლას დაადო ხეცოძემ ხელი. ხირჩლა მთვრალი იყო და ამიტომაც დათანხმდა, თუმცა ლეკები და ქისტები მაინცდამაინც არ უყვარდა მას.

იმამი შამილი თავისი ნაიბებითურთ დაბანაკდა ბერმუხის მხარმარცხნით, წნორის ჯირკვზე, ხოლო შეთე გულუხაიძე, მისი ვაჟები და თუში ვაჟკაცები ბერმუხიდან მხარმარჯვნივ დადგნენ.

შეთე გულუხაიძეს ეახლნენ შამილის მოციქულები და მოახსენეს:

როგორც ჩვენ, ისე თქვენც მთიელები ვართ, ხომ ხედავთ ბარი ებრძვის მთას. მოდი ფიც-ვერცხლი ვჭამოთ, ერთად შევებრძოლოთ რუსების თეთრ ხელმწიფეს და მის ქვეშევრდომ ბარელებს.

თუ თქვენ ამას არ იზამთ, თუშების ციხე-კოშკებს გავტეხავ, მერმე კახეთს დავლაშქრავ, მერმე ქალაქში შევალო ჩემის თეთრი ცხენითა, მერმე ქართველებისა და რუსების სისხლით მტკვარს შევღებავო, ერეკლე მეფის გვირგვინს თავზე დავიდგამო, იმუქრებოდა იმამი შამილი.

უპასუხა შეთე გულუხაიძემ შამილს: ჩვენ ერთმორწმუნე რუსებს არ ვუღალატებთ, არც თუ ფიც-ვერცხლის ჭამა გვინდაო თქვენთან, თუ მეფე ერეკლეს გვირგვინი მოგნატრებია, ერთ კუდა ვირს გამოგიგზავნით, ყველიერზე ტფილისში გვეწვიე და ყეენად დაგვიდექიო, თუ საქმე შემოგლევია ყ...ები დაფხანეო ჩემს ვირს.

მაშინ განრისხდა იმამი შამილი, ხმალმა გაგვასწოროსო, შეუთვალა შეთეს.

ბერმუხის ქვეშ ხმალამოწვდილნი შეხვდნენ ერთმანეთს შეთე და შამილი. უყივლეს ერთიმეორეს, შემოურბინეს წრეს და გაიელვეს, გაიწკრიალეს ჰაერში ხმლებმა.

გარსმოჯარული ხალხი გაოცებული შესცქეროდა სოლომონ გულუხაიძეს. მუზარადსა და ჯაჭვის პერანგს ომახიანი იერი მიეცა მისთვის, უზადო ოსტატობით ხმარობდა იგი ხმალს. წამოვიდოდა შარასავით აფხორილი გრძელმკლავებიანი შამილი, შეუძახებდა მრისხანედ მობუბუნე „მტერს“, მაგრამ არ შედრკებოდა ტანმორჩილი შეთე, თავს განზე გადასწევდა, ზეაღმართულ ხმალქვეშ შეუვარდებოდა ამ გოლიათს, ზედიზედ შეუტევდა მოძალებულს და უკუაქცევდა.

განრისხდებოდა გულგოროზი შამილი, დააბრიალებდა ხარისებრ თვალებს, აგრე ეგონებოდა მაცქერალს: ერთს კიდევ შეუბერავს ეს დევკაცი მოცოროზ შეთეს და ყინულზე დავარდნილ ნაპერწკალსავით გააქრობსო, მაგრამ ისევ შეუტევდა ხმალდახმალ შეთე, ისევ ატყდებოდა ხმლების წკრიალი და ფარების ჟღრიალი, ხმალამოწვდილნი უყივლებდნენ ერთიმეორეს და უკუქცევას დაადგებოდა გრძელმკლავიანი დევკაცი.

ახლა მოსეირენიც ატყობდნენ უკვე, ვაგლახად მოიქანცა ახმახი შამილი, წურწურით ჩამოდიოდა მუზარადიდან ოფლი, ქუშშეყრილი ცხენივით ქშინავდა. შეთემ ზედიზედ მიიტანა იერიში და ბერმუხისაკენ უკუაქცია იგი.

გაბოროტდა შამილი, შეუძახა და შეუტია შეთეს. მაყურებლებს უკვე ეგონათ, სადაცაა ჩხუბად იქცევაო ფამაში.

ელავდნენ ხმლები, ცეცხლს აფრქვევდნენ ფხიდან, ჟრიალებდნენ სპილენძის ფარები.

„გამიმაგრდი, ჯაბანო თუშო“, დაიღრიალა და გააფთრებული

დაჯოჯანდა შამილი, მარჯვენა მკერდი წინ წამოაგდო, მოუქნია მოპირდაპირეს თავისი გრძელი ხმალი, შუაში გაუპო ფარი.

ფარის ნამუსრევი გადააგდო შეთემ, ისედაც ტანმორჩილი ძირს დაიხარა, ხმალი ისაფრა რამდენჯერმე, ხმლის მოქნევას [illegible] მოპირდაპირეს და ბერმუხისკენ მისრისა იგი.

როცა სიმაღლიდან ძირს დაეშვა გოროზი შამილი, შეთე დანდობილად მიეჭრა ელვისებრი სისწრაფით, ისევ მოუცარა ძლიერი მოქნევა ფრანგულისა, გაუძლო შამილის მედგარ შემოტევას და წრიულად შემოტრიალებული ხმლის წვერით ხელიდან გააგდებინა ლაპლაპა ფრანგული.

„ვაშა, ვაშა, სოლომონ", შესძახეს თუშებმა გამარჯვებულს და ხელში აიყვანეს იგი.

„გაოცებული ვარ, პროფესორო ბატონო, — ეუბნება გოდერძი კორინთელს, — ამდენი ხანია ვიცნობ ნიორთავას, ჩემს დღეში მოფარიკავე არ მინახავს იგი. დახეთ, რა ოსტატურად ხმარობდა ხმალს".

„ასეა, ჩემო გოდერძი, ვინ იცის რა და რა ნიჭი სთვლემს ხანდახან ადამიანში და გარემოება გამოაჩენს მხოლოდ ამ ნიჭს. უდიდესი და უმძიმესი საქმე მაინც ეგ არის: ადამიანმა დროზე მიაგნოს თავის მოწოდებას. გუშინ დეპეშა გამაგზავნინა სოლომონმა შტაბში, მოხალისედ მიდის ფრონტზე".

ამასობაში მიტინგი დაიწყო.

„აქლემის კუზზე" შესდგა ციხისთავი და მოუწოდა პარტიულსა და უპარტიო ახალგაზრდობას, ჯეროვანი პასუხი გაეცათ გათავხედებული ფაშისტებისათვის.

კომკავშირელები, პარტიულები და უპარტიონი ზედიზედ სცვლიდნენ ტრიბუნაზე ერთმანეთს: ხელაანთ ვანო, მეღორე პოპოლა, კოლა სოკოლოვი, ნიკა უჯრიაული, ხეცოძეები, ტარკომაიძეები და მირიანაშვილები. ორატორები ფიცსა სდებდნენ ხალხის წინაშე ღირსეული პასუხი გაეცათ მტრისთვის.

სიტყვა აიღო მეწისქვილე სოლომონ გულუხაიძემ:

„ამხანაგებო, თქვენ არასოდეს ოხუნჯობის მეტი არაფერი გაგიგონიათ აქამდის ჩემგან. ახლა უკვე ხუმრობის დრო აღარაა. ჩვენ უნდა შევეცადოთ ისე ვიბრძოლოთ, სახუმარო მდგომარეობაში ჩაცვივდნენ ჩვენი ქვეყნის მტრები... აბა თქვენ იცით, ჩვენო ქოჩორა ბიჭებო, ხომ გაგიგონიათ: წყალი წავა და ქვიშა დარჩება, ფული წავა და ქისა დარჩება, კაცი წავა და სახელი დარჩება. მალე ჩვენ, ბებრებიც მოგყვებით. ეგებ გამართლდეს ანდაზა: ბე-

ბერი ხარის რქაცა ხნავსო. ახლა მოგაგონებთ ჩვენი ხალხის საყვარელ ლექსს:

მთაში გაზრდილო ვაჟკაცო,
ხმალს როდი მოგიშივდება,
ომში შეხვალ და გამოხვალ,
გული არ შეგიშინდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგრიალა ერთობლივმა ტაშმა.

ბოლოს ტრიბუნაზე ავიდა პროფესორი კორინთელი და სთქვა:

„ამხანაგებო, ძმებო, დებო, მე ლაპარაკი არ მემარჯვება. აღარც დროა საამისოდ. ერთი არაბული ანდაზა გამიგონია: გრძელი თოკია კარგი, ხოლო სიტყვა — მოკლე.

ჩვენი ქვეყანა განსაცდელშია, ამიტომაც უდიდეს დაძაბვას ძალებისას მოითხოვს იგი ჩვენგან როგორც ბრძოლის ველზე, ისე შინ, ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობათა ფართობებზე.

კახელებო, თუშებო, ფშაველებო და ხევსურებო, კახეთი საქართველოს მოწინავე პოსტი იყო მუდამ. ეს თქვენი შორეული წინაპრები, თქვენი პაპის პაპები ეკვეთებოდნენ პირველნი აღმოსავლეთიდან შემოჭრილ ბარბაროსებს.

ომში მიმავალნო ვაჟკაცებო, ძმებო, მუდამ გახსოვდეთ, რომ ჩვენ კავკასიის მეკარეები ვიყავით, ვართ და ვიქნებით მუდამ. ჩვენი ხალხის გმირული ბრძოლების ამბავი ჯერაც ახსოვთ ყარსის, ბაიბურთის და არზრუმის შელეწილ ციხეებს. ისიც გახსოვდეთ, ძმებო, ყველაზე სასტიკი ბრძოლის ველი ეს ჩვეულებრივი საწოლია, რამდენადაც კაცობრიობის სამ მეოთხედს საკუთარ ლოგინზე უხდება სიკვდილი.

ახლა თქვენი ვალია დასავლეთიდან მოვლენილ ცივილიზებულ ბარბაროსებს ისე მამაცურად შეებრძოლოთ, როგორც აღმოსავლეთელების წინააღმდეგ უქნიათ ჩვენს წინაპრებს“.

მთვარე უკვე გამოსულიყო ღრუბლების მორევიდან, როცა მანქანებზე მოეწყვნენ ომში მიმავალნი. კორინთელი და ნიორთავა დიდხანს ისხდნენ ხმის ამოუღებლად ბერმუხის ქვეშ და ნაღვლიანად გასცქეროდნენ ალაზნისაკენ მიმავალ დაცარიელებულ გზას...

პანტომიმის დასასრული

მიტინგიდან შინ მიბრუნებულს, ძია ნიკო დაუხვდა კორინთელს. იგიც საკმარისად აღელვებული სჩანდა, მაგრამ მაინც ცდილობდა ეს არ შეემჩნია როგორმე. თავდახრილი იჯდა სავარძელში ძია ნიკო და ამბობდა:

„ამ განსაცდელის ჟამს ისე მოგვენატრეთ მე და მამიდაშენს, სამსახურიდან გამოვიპარე. ხომ იცი, ასეთ დროს გინდა შენს უახლოეს ადამიანთან იყვე. გეგედრება მამიდაშენი, ერთი ორი დღით მოგვეჩვენეთ თელავში. ჩვენ ყველაზე მეტად ის გვაწუხებს, ვახ-ტანგ, ასეთ საშინელ დროს არეული რომ გაქვს ოჯახი.

ოდესღაც, სადღაც ამომიკითხავს ერთი ჭკვიანი კაცის ნათქვამი: ჩემი ოჯახი ჩემი ციხე-კოშკიაო.

თუ ადამიანს ეს ციხე მაგარი აქვს, იგი გარედაც კარგად იბრძოლებს. ახლა ჩვენ ყველას დიდი სულიერი მხნეობა გვმართებს, ვახტანგ, რა თქმა უნდა, ეს შენ ჩემგან არ გესწავლება“.

„იგიც უთქვამს, ძია ნიკო, ქართველ ხალხს, ციხე შიგნიდან გატყდებაო, და ჩემდა ბედად გატეხილი ციხის პატრონი ეს მე ვარ. შენ რომ გუშინწინ მოგესმინა იმ წყეული ვარას და საცოდავი მაიას დიალოგი, უთუოდ აღშფოთდებოდი საერთოდ გულდინჯი ვაჟკაცი. ხომ ხედავ, რამდენ რამეს ვიტან“.

„საერთოდ გამოტეხილად უნდა გითხრა, ვახტანგ, ამჯერად ჩემი ჩამოსვლის ერთადერთი მიზანია ეს გითხრა: ისეთი განსაცდელით სავსე ცხოვრება ჩამოდგა, ახლა უკვე ყოყმანის დრო აღარაა; ვგონებ, არც იმის მტკიცება დამჭირდება, რომ მე და მამიდაშენი უახლოესი ადამიანები ვართ შენთვის, რა თქმა უნდა“.

„განა მარტო უახლოესი? უძვირფასესიცა, ძია ნიკო“.

„თუ ეს აგრეა, ვახტანგ, ნება უნდა მომცე ამ საღამოს სავსებით გულახდილი ვიყვე“.

დიდხანს ილაპარაკა ნიკო მირიანაშვილმა იგავური ენით, თუხთუხებდა, ღელავდა, ქშინავდა, ენა უბორძიკებდა, გულით ეწადა შესაძლებლად თავაზიანი ფორმა მოეძებნა სათქმელისათვის, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა, მიადგებოდა სათქმელს და ისევ უკან იხევდა, ანდაზებს იშველიებდა, და წარამარა იმეორებდა: „რა სათქმელია“, „რა თქმა უნდა“.

ბოლოს ვახტანგი მიხვდა, რისი თქმაც ეწადა მოხუცს.

„თავისთავად ცხადია, ძია ნიკო, გულახდილობა არა მარტო ამშვენებს მას, ვინც ასეთ ნიჭს იჩენს, იგი შველის მათაც, ვის მიმართაც გულახდილობას იჩენენ.

რუსთაველი მოვიგონოთ: სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსაო. გენიოსურადაა ნათქვამი, არა?

ძველი საზოგადოება იმიტომაც დაიშალა ჩვენში და იღუპება იქაც, სადაც იგი კიდევ შერჩენილა, რომ მთელი ცხოვრება ამ საზოგადოებისა სიცრუესა და ფლიდობას ემყარებოდა.

ერთმა დიდმა კაცმა ურჩია თავის ეპოქის ადამიანებს: „ოცა შინიდან გადიხართ, გულისკლიტენი შინ დასტოვეთო.

ერთი საუკუნის შემდეგ აგრეთვე დიდმა გულმეცნიერმა, რომელიც ზედმიწევნით იცნობდა ბურჟუაზიულ საზოგადოებას, ფამამად განაცხადა:

„ჩვენს თანადროულ საზოგადოებას ერთი და უმთავრესი ბურჯი აქვს შედგმული, ეგ არის სიცრუე“.

მე დავსძენდი: დღეს ეს ბურჯი რომ გამოაცალო მას, დაინგრევიან ოჯახები, აიშლებიან ნათესავები და მეგობრები.

რაიცა შეეხება ნათესავებს, მე ამის გამო ჩემი პირადი შეხედულება მაქვს, რომელიც, ღმერთმა იცოდეს, არც ერთი დიდი მწერლისგან არ მისესხნია. ნათესავობა გადმონაშთია გვაროვნული წყობილებისა, რომელსაც მე მაინცდამაინც დიდად არ ვაფასებ.

როცა ჩვენი ცხოვრება კერძო საკუთრებას ემყარებოდა, ეს ინსტიტუტი მიუცილებელიც იყო ეგების, ახლა იგი დრომოჭმული რუდიმენტია, რამდენადაც ხანდახან არანათესავი უფრო მახლობელია შენთვის, მსოფლმხედველობისა და სულის ერთგვარობის მეოხებითა, ვიდრე ათასი ნათესავი.

მე მრავალი ნათესავი მყავს, რომელთაც შეგნებულად არა ვხვდები. შენ და მამიდაჩემი მარტო ნათესავები როდი ხართ ჩემი, არამედ უძვირფასესი მეგობრებიცა, ამიტომაც შენ არ დაგჭირდება მობოდიშება და მოიარებით ჩემთან საუბარი“.

„რაკი ეს აგრეა. მე პირდაპირ გეტყვი, ვახტანგ: ცხოველისა და ადამიანის სკელეტში ყველაზე მეტად მცირე მოცულობისა, თითქოს არც ისე მნიშვნელოვანი ძვალთა სისტემაში, ეს კბილია.

მოგეხსენება, გასათხოვარ ქალსა და გასაყიდელ ცხენს ყველაზე ადრე კბილებს უსინჯავენ მათი მუშტრები.

სიბერე და სიკვდილი უპირველეს ყოვლისა ჩვენს პირის ღრუში შემოიჭრებიან ხოლმე და კბილებს შემუსრავენ.

ხომ ეგზომ საჭიროა და სანუკველი კბილი, მაგრამ როცა იგი დაჩირქდება და შეგვაწუხებს, ჩვენ ძალით ამოვგლეჯთ ხოლმე მას.

ერთხელ მთათუშეთში ყოფნისას ნაშუალამევს ისე შემაწუხა კბილმა, ისეთი ჯოჯოხეთური ტკივილები მომაყენა, ალბათ დამცინებ, ჩემი სანადირო ბებუთი ჩავიყავი პირში და ორი კბილი მივლეწე.

მე, ასე თუ ისე, მედიცინა შემისწავლია და წარმომიდგენია რა ბარბაროსული საქციელი ჩავიდინე, არა?“

ვახტანგმა გაიღიმა და სთქვა:

„ძია ნიკო, შენი იგავების გარეშეც ჩემთვის ყოველივე ნათე-

ლია. საქმე ისაა, რისი თქმაც შენ გეძნელება, ჩემში უკვე მოგწონებულია.

მე საკმაოდ გულფიცხი ვარ, მაგრამ სერიოზულ ამბებს დიდხანს ვწონი და ვზომავ, და თუ რაიმე გადაწყვეტილებას დავადექი, — აქ უკვე ყოყმანი და ჭოჭმანი არ დამჭირდება არამც და არამც.

„მაშ პირდაპირ უნდა გითხრა, არა?“

ამის თქმა მოასწრო ნიკომ და ვარამ შემოაღო კარი. კორინთელი გაოცდა, რადგან ამ შემთხვევის გარდა, საკმაოდ თავხედ „ბიძია ვარას“ არასოდეს დაუკაკუნებლად არ შემოუღია კარი იმ ოთახისა, რომელიც კორინთელისათვის კაბინეტიც იყო და საწოლიც.

ვახტანგი აიმღვრა, ხოლო ძია ნიკო სახტად დარჩა. ქალთა სქესის მიმართ მუდამ გალანტური ნიკო ჯერ უძრავად იჯდა, მერმე საკმაოდ მტრული მზერა ესროლა კარის ჩარჩოებში გახირულს.

„ბატონებო, მედიკო გთხოვთ, ერთად ვივახშმოთ, მაიამ სანაქებო ხაჭაპურები დააცხო, საუკეთესო ტოლმა გვაქვს ვაზის ფოთოლში მოშუშული, რაც ასე უყვარს ჩემს ძვირფას სიძეს. ე ვუ ზანპრი“ [1], დასძინა ფრანგულად.

ნიკომ თავი ჩაღუნა, კორინთელი წამოდგა და უთხრა ახლადმოსულს:

„ჯერ მე მინდა რამდენიმე სიტყვა გითხრა, ქალბატონო, დაბრძანდით. კარგია, ძია ნიკოც რომ აქ ბრძანდება“.

ვარა გახევდა და გადაფითრდა, უსიტყვოდ დაემორჩილა მასპინძლის მიერ საკმაოდ კატეგორიულად ნათქვამს და ხელამს წაეპოტინა. კორინთელმა იატაკს დახედა და სთქვა:

„მე, რა თქმა უნდა, დიდად გმადლობთ, აგრე გულუხვ გამასპინძლებას რომ მპირდებით ჩემს სახლში. ერთი რამ მაკვირვებს ოღონდ, ეს რამდენი თვეა უკვე წარამარა მეპატიჟებით და ვერ ამჩნევთ, მე მუდამ რომ გავურბივარ თქვენთან სიახლოვეს, მით უფრო ჭამას. განა მარტო თქვენთან, თქვენს დისწულთანაც“.

ვარამ წარბები აიწკიპა და მიუგო:

„ჩემი დისწული?! რასა ბრძანებ, მონ შერ ჟანდრ, ჩემი დისწული უწინარეს ყოვლისა კანონიერი მეუღლეა თქვენი“.

„აბა მე უნდა მოგახსენოთ ერთი ახალი ამბავი: დიდი ხანია, რაც თქვენ დისწულს კანონიერ მეუღლედ არა ვთვლი და თქვენც ამაოდ მიწოდებთ წარამარა „ძვირფას სიძეს“ ფრანგულად.

ალბათ ისიც ცხადია თქვენთვის, თუ ვინმეს თქვენი სიძეობა არა

[1] გთხოვთ.

სურს, მას ფრანგულად კი არა, სანსკრიტულადაც რომ სიძე შეარქვათ, იგი მაინც ვერ გახდება თქვენი სიძე, ხომა?"

ვარა უკვე მაგრად შეცფუნდა, მაგრამ მაინც არ იმჩნევდა ანას:

„რასა ბრძანებთ, მუსიო კორინთელი, მე ასეთი ამბავი პირველად მესმის.

მე არ ვიცი თქვენ რა მოგეჩვენათ, ამდენ ხანსაც გაკვირვებულ ვიყავი, მუდამ აცრეზილი რომ მიყურებდით, მე ამას თქვენს უგუნებობას მივაწერდი, ღამის მუშაობით გამოწვეულს.

ასეთი მკაცრი სიტყვების საბაბი არც ჩემს დისწულს და მით უმეტეს მე არასოდეს მოგვიცია თქვენთვის".

„იცით, ქალბატონო ვარა, მე მგონია უკვე დროა დასასრული მივცეთ ან კურიოზულ პანტომიმას[1], რომლის მთავარი გმირები ვართ თქვენი დისწული, თქვენ და თქვენი უმორჩილესი მონა — ვახტანგ კორინთელი. ეხლა მაინც დაბეჯითებით იცოდეთ, მე არ გახლავართ თქვენი სიძე; თქვენთვის ძვირფასი სიძე პარიზში ბრძანდება იტალიური მოგზაურობიდან მშვიდობით შინმიბრუნებული.

ვინძლო თქვენ და მედიკო მას ვერ მისწვდეთ, გასაგები მიზეზების გამო, სასიძოებს აქაც ბევრს იშოვნით, რამდენადაც თქვენი დისწული, როგორც თქვენ ამტკიცებთ, ცისფერსისხლიანი ლანაზმანია. თუ არა ვცდები, თქვენ უკვე გყავთ ერთ-ერთი კანდიდატი, რომელსაც ცალი მხრიდან მაინც მოეპოვება თავადური სისხლი".

„რასა ბრძანებთ, მუსიო კორინთელი, მუსიო შარკუტიეს იტალიური მოგზაურობაო? ეს ამბავი პირველად მესმის".

„თუ თქვენ ეს გადაგავიწყდათ, მოსძებნეთ თქვენს ალბომებში ის ფოტოსურათები, რომელიც ერთი თვის წინად პარიზიდან გაგზავნეთ თქვენმა დამ, ეფემიამ".

ვარა აილეწა.

„რომელი ფოტოსურათები? ვინ მიიღო, ვინ ნახა? ვინ მოსჭორა ასეთი გაუგონარი ამბები?"

ძია ნიკომ თავი ასწია, ჯერ მოღუშული მზერა ესროლა ვარას და საკმაოდ ხმამაღლა უთხრა:

„იცით, ქალბატონო, უნდა გამოგიტყდეთ, ამ საქმის გამორკვევაში მე ნიმიძღვის ჩემდა უნებურად ბრალი. მე გავხსენი პირველად სავსებით შეგნებულად ის პაკეტი, რომელშიაც ეფემიას წე-

---

[1] პ ა ნ ტ ო მ ი მ ა — ბერძნულად, ესიტყვოდ შესრულებული დრამა, ან რაიმე თამაში.

რილი და შარკუტიეს ფოტოსურათები იყო და მეკე გამოგზავნეთ, იცით ვისი ხელით?"

„ვისი ხელით, როდის?"

„შოფერის ანდროს ხელით".

„აფსუს, ის შოფერი რომ ფრონტზეა წასული, ეს ერთ-ერთ ლე ახლავე გამოირკვევოდა".

კორინთელმა მწარედ გაიღიმა და სთქვა:

„იცით, ქალბატონო, მე უნდა დაგამშვიდოთ, ანდრო ავად გამხდარა და ბოლოდ ზეგ მიჰყავთ ფრონტზე, თუ თქვენ ასეთ უტიფრობას არ მოიშლით, მე ახლავე გამოვიძახებ და პირში წაგაყენებთ ჩემს შოფერყოფილს".

ვარა გაშრა.

ახლა ნიკო მირიანიშვილმა, რომელიც აქამდის თავჩაქინდრული იჯდა, მზერა გაუსწორა წვეროსან დიაცს და უთხრა:

„იცით, ქალბატონო, მე სამოცდაათი წელი ისე ვიცხოვრე ამქვეყნად, არც სხვისი პაკეტი გამიხსნია და არც სხვათა ჩურჩულისთვის დამიგდია შეგნებულად ყური. მე შენთხვევით ვისვენებდი ნაქეიფარი ჩემს ბაღში იმ საბედისწერო ღამეს, როცა თქვენ არც მთლად ჭკვიანურ შეგონებებს უჩიჩინებდით მედიკოს.

მე ყველაფერი შევისმინე, გარდა რამდენიმე ფრანგული ფრაზისა, რომელთაც თქვენ და მედიკო მორიგეობით წამოისროდით ხოლმე.

ამ საუბრის შინაარსი მე დავუმალე ვახტანგს, მე ძველი მორალის კაცი ვარ და ერთგვარი სიმხდალეც გამომაჩნდა ამ შემთხვევაში.

სამაგიეროდ ის პაკეტი მე გავხსენი და გადავეცი ვახტანგს. მე ვფიქრობ სხვაგვარად არ შემეძლო მოვქცეულიყავ. ახლა, როგორც ჰხედავთ, ყველაფერი ნათელია ჩვენთვის". ესა სთქვა და ვახტანგს გადახედა ნიკომ.

ვარა ზეწამოიჭრა, მაგრამ კორინთელმა მიაძახა, კარისკენ მიმავალს:

„კიდევ სამიოდე წუთი მოიცადეთ. შესაძლოა მე კიდევ ერთ ხანს მყოფნოდა მოთმინება თქვენი და თქვენი დისწულის ოინბაზობის ატანისა, მაგრამ ამ ფარსის დასასრული დააჩქარა თქვენმა უტაქტო დიალოგმა საცოდავ მაიასთან გუშინ დილას გამართულმა".

„უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, ეს ყოველივე თითიდან გამოწრეული ამბებია, მე თქვენ გარწმუნებთ". ფრანგულად ჩაილაპარაკა ვარამ და კარისკენ გაემართა საკმაოდ წელში მოდრეკილი.

სტიროდნენ თუშის ქალები;
არ მოგვიდნენ ქმრები.

ახალგაზრდების ფრონტზე წასვლა სულ მალე დაეტყო კოლმეურნეობას. გეგმები შეუსრულებელი რჩებოდა. თოხები, ბარები და ცულები ქალებს შერჩათ ხელში.

ურმებს ქალები უძღოდნენ, ტვირთს ისინი ეზიდებოდნენ, ქალები ხნავდნენ და ქალები სთესავდნენ, როგორც ამორძალების მითიურ სამყაროში.

არაშენდა-გველეთში მუშაობა შესწყდა, საბჭოურ მეურნეობისათვის განკუთვნილი სამუშაონი დააკონსერვეს: იგივე მოუვიდა მშენებლობას იმ არხისას, რომელსაც ალაზანს გადაღმელ ურწყული მიწებისათვის უნდა მიეწოდებინა წყალი; უკვე აღარ მოჰქონდათ ტფილისიდან სტანდარტული სახლები, არც ახალმოსახლენი მოჰყავდათ, საბავშვო ბაგის მშენებლობაც ვეღარ მოათავეს.

მტს-ის მანქანებსა და ტრაქტორებზე ქალები შესვეს.

ფრონტებიდან მხოლოდ კანტიკუნტად თუ ვინმეს მოუვიდოდა წერილი. ნუნუ როგორც კი ყურს მოჰკრავდა ასეთ რამეს, უთუოდ გამოსძებნიდა იმ ოჯახს, გამოჰკითხავდა: გოდერძის გამო ხომ არაფერი მოუწერიაო?

ბოლოს ზედიზედ მოვიდა ბერმუხაში ამბავი: ფაშისტების სატანკო ერთეულთან შეტაკებაში მოჰკლეს ტანკისტი ხელაანთ ვანო ქერჩში, ავტომატით დაცხრილეს კორინთელის შოფერი ანდრო, რომელმაც ცხრა ტყვიას გაუძლო, ბოლოს ხელბომბით ააფეთქა ფაშისტების ბლინდაჟი.

ბერმუხელი ქალები მოუთმენლად მოელოდნენ ფოსტალიონის, გეოს გამოჩენას.

პირველი მსოფლიო ომის ინვალიდს, ცალი თვალი ტყვიისაგან ჰქონდა დავსილი გეოს. ამპუტირებულ მარჯვენა ფეხზე ტყავის ქოშიანი პროტეზი ჰქონდა. ორმოცდაათ წელს მიბჯენილ ნაომარ კაცს მაყვლისფერი თნაწვერი შემორჩენოდა, ცხენისებრ გრძელ თავზე თუშური ქუდი ეხურა, მუდამ შავი ბლუზა ეცვა, საკინძეგაღელილი.

ნიადაგ მწყემსური კომბალი ეჭირა ხელში, რადგან ძაღლები რატომღაც მტრობდნენ ამ წვერგაბურძგვნილ, როხროხა გოლიათს.

მიადგებოდა რომელიმე ეზოს, დაიძახებდა თუ არა წერილის მიმღების სახელსა და გვარს, გამოენთებოდნენ მყეფარები.

ისინი, ვისაც დაჯილდოებისა და კარგად ყოფნის მაუწყებელ ბა-

რათებს მოუტანდა გეო, სასტიკად დატუქსავდნენ ძალლებს, ზოგჯერ პურ-მარილზედაც მიიწვევდნენ გეოს. მაგრამ ხანდახან ისიც ხდებოდა, მთელი ოჯახი აზრიალდებოდა, დიდი და მცირე მოთქმას მოყვებოდა, ვისლა ახსოვდა მაშინ ავისმაცნე ფოსტალიონი.

სწორედ ასეთ დროს გაიმართებოდა ხოლმე ბრძოლა-კომბალი შემართულ გეოსა და უბნის ძალლებს შორის.

ომის დაწყების პირველ თვეებში კანტიკუნტად მოჰქონდა გეოს ცუდი ამბავი სოფელში. ამ უკანასკნელ ხანს გეომ უკვე ზედიზედ მოიტანა სამკუთხედად დაკეცილი, უმარკო წერილები, მათ ხელს აწერდა პოლკის უფროსი, რომელიც აუწყებდა ჭირისუფალთ ომში დაღუპულთა და უკვალოდ დაკარგულთა შესახებ.

როცა ერთეულები ათეულებმა შესცვალეს, ხოლო ათეულები ასეულებმა, გამოჩნდებოდა თუ არა სერზე ცალთვალა გეო, დედებს, ცოლებსა და დებს სისხლი ეყინებოდათ ძარღვებში, არვინ იცოდა თუ ვისი სიკვდილის ცნობა მოჰქონდა ფოსტალიონს თავისი შავი ჩანთით.

ინდოურის მთაზე ფაშისტური ძოტების დაბომბვისას მოჰკლეს კოლმეურნეობის მოანგარიშე, ყოფილი ტანკისტი ავთანდილ ტარკოშაიძე, მევენახეყოფილი არტილერისტი ბლიაძე, საცხენე ფერმის გამგეყოფილი — სერჟანტი კოპეშავიძე, მეღვინე მახათაძე, მოლარე კვირიკაშვილი, ბუხჰალტერი — კვერიშვილი.

აგვისტოს პირველი კვირის განმავლობაში მოიტანა გეომ ოცდაჩვიდმეტი ბერმუხელი და ოცი გველეთელი მეომრების მოკვლის, დაჭრის და ლაზარეთებში, ოპერაციის დროს გარდაცვალების ამბავი.

გეო ნიადაგ მთვრალი იყო, რადგან მარტოოდენ მოკლულთა და უკვალოდ დაკარგულთა ამბებს როდი აუწყებდა იგი ჭირისუფლებს. საამური ამბის მოტანისათვის ვინ არ შეასმევდა მას ღვინოს.

ბერმუხელთა შორის ყველაზე უკანასკნელად ნიორთავა წავიდა ფრონტზე.

ნუნუ, საგანგებოდ სთხოვა ნიორთავას: გოდერძის გამო თუ სადმე რაიმეს ყური მოჰკრა, წამსვე მომწერეო. ეს იყო შემოდგომის დამდეგს. ნიორთავამ მტკიცე პირობა მისცა. რამდენიმე თვე გავიდა და არც მისგან ისმოდა ბაიბური ამდენ ხანს.

ერთხელ თეთროს წამოსცდა: ფრონტიდან წერილი მომივიდაო. უნდოდა ეთქვა გოდერძის მსუბუქად დაჭრის ამბავი, მაგრამ თავი შეიკავა, ენის წვერზე დაიჭირა სათქმელი და წაიბუტბუტა: „სტეფანე აგრე იწერება, კარგად არისო გოდერძი“.

კოლმეურნეობის აქტიური ბრიგადირის, ნუნუს წარმატებანი დიახაც შეზღუდა პატარა მიქელას დაბადებამ. უჯირაულთა გვარის

უხუცესები ყალყზე შესდგნენ, განსაკუთრებით აბრია, ლეკარ და უთი.

გზაჯვარედინებზე ამას გაყვიროდნენ: ნუნუმ თავი ნოგვერა, ბუში ეყოლაო. მხოლოდ ფოცხვერი არ იზიარებდა [illegible] ბის აღშფოთებას. რა მოხდა მერმე? ომში მიმავალ [illegible] ხელისმოწერა ვერ მოასწრო, ჩანოვა და ხელს მოაწერსო.

ქეთუა მოშაინობდა: ხომ არ მომეშველეთ, როცა კობერიძეზე გათხოვება დავუპირე ნუნუს, ახლა თავათ იგემეთო ეს სამარცხვინო ამბავი.

საერთოდ ყველანი, ვისაც გოდერძი სძულდა, მტრულად შეხვდნენ პატარა მიქელას ამქვეყნად მოსვლას.

გაავებული ბრდღვინავდა აბრია-ავსიტყვა: უშვერად ლანძღავდა ნუნუს, „კახპას", „გვარის შემრცხვენელს" უწოდებდა ნას.

ამ საქციელის საფანელიც გოდერძისადმი სიძულვილი იყო. აბრია და მისი არიფები ანგარიშში მოსტყუვდნენ, მათ აგრე ეგონათ, მთავრობა ომშია გახვეული, ჩვენთვის ვინ მოიცლისო ახლა, მაგრამ სწორედ 23 ივნისს პროკურორმა ხიდაშელმა დაიბარა აბრია.

როცა ხიდაშელი შეეკითხა, ბრიგადირს ვარდოსანიძეს თუ იცნობო? მან კატეგორიული უარი სთქვა. როცა ვარდოსანიძე საავადყოფოდან გამოიყვანეს და პირში წაუყენეს, აბრია გაშრა, დაიბნა და ესღა წაილულლულა: ამ კაცს კი ვიცნობ, მაგრამ მისი გვარი არ ვიცოდიო.

პროკურატურას სიგნალები ჰქონდა, რომ აბრია უჯირაულს ნაბუშარი ბატკნებისა და კოლმეურნეობის ფარებიდან მოწყვეტილი არაერთი ნოტო გაუყიდია. გაყიდვაში სხვებიც შველოდნენ, ვიღაც-ვიღაცეები ამ მიტაცებულ ცხვრებს ჰკლავდნენ და მანქანებით აგზავნიდნენ ტფილისში.

აბრია ჯერ „მაგრად" იყო, „არ ვიცი", „არ მინახავს", „არავის ვიცნობო", ამტკიცებდა.

პროკურორი დაემუქრა: თუ შენ არ დაგვისახელებ იმ პირებს, ვისაც შენ კოლმეურნეობის ფერმიდან გაყიდულ ცხვრების საფასს უზიარებდი. უეჭველად დაგაპატიმრებთო.

ვარდოსანიძეს გული შეუწუხდა დაკითხვისას, რადგან იგი ჯერაც განკურნებული არ იყო; აბრია შინ გამოისტუმრეს; ახლა მისი ერთადერთი იმედი იყო: ეგებ მოკვდესო ვარდოსანიძე.

აბრიამ კარგად იცოდა, ეს საქმე გოდერძის თაოსნობით რომ გადაეცა პროკურატურას; გოდერძი შორს იყო, ახლა ნან თავისი სიძულვილი გოდერძის ცოლ-შვილზე გადაიტანა. მის გულში სდუღდა შურისძიების ველური გრძნობა...

როცა ნუნუს ვაჟი შეეძინა, პაპა მიქელა ცას ეწია სიხარულისა-გან, უმთავრესად იმიტომ, რომ გოდერძის შვილს მეტ[illegible] ფრიად ახარებდა სიკვდილის ზღურბლთან მიღწეულ[illegible] სახელი და გვარი არ ჩაჰქრებოდა მის სიკვდილთან ერთად.

საბავშვო ბაგისათვის განკუთვნილი სახლის ვერ მოთავებამ განსაკუთრებით დააღონა ნუნუ. იგი იძულებული იყო პატარა მიქელა თავქარიანი მარუას და ბნედიანი მალხაზის ამარა დაეტოვებინა.

როგორც კი მოახელებდა ოდნავ თავისუფალ დროს, გულგახეთქილი შინ მოვარდებოდა ნუნუ, ძუძუს მოაწოვებდა პატარას და დამდუღრულსავით გარბოდა სამუშაოდ.

მარუა ჰხედავდა, მის იქით გზა არა ჰქონდა ნუნუს: ამიტომაც წარამარა წუწუნებდა, გასამრჯელოს მომატებასა სთხოვდა.

უშვერიძის ზედსიძედ შემოსვლან მთლად არია ნუნუს ოჯახი. თავდაპირველად ნუნუს იმედი ჰქონდა, ფრონტზე გაიწვევენო უშვერიძეს, მაგრამ ამ უკანასკნელს თიაქარი აღმოაჩნდა და ამის მეოხებით შინ დარჩა.

ნუნუ იძულებული გახდა ბავშვიანად შრამელში გადასახლებულიყო და ახლადშეუღლებულთათვის დაეთმო ერთადერთი ოთახი. შრამელს სიფრიფანა კედლები ჰქონდა, ამიტომაც წარამარა ცივდებოდა პატარა ნიქელა.

ქეთუა და მისი ქმარი დღენიადაგ ჩხუბობდნენ. უშვერიძე ყოველ შაბათს მთვრალი მოდიოდა შინ, ხანაც გალეშილ ძმაკაცებსაც თან მოიყვანდა. სტუმრები ჭიშკრამდისაც არ იქნებოდნენ მისული, ცოლ-ქმარს შორის იწყებოდა თავპირის მტვრევა და თეფშების სროლა.

უსიამოვნებათა მთავარი მიზეზი გობრონისეული სახლ-კარის გაყიდვისა და ტფილისს გადაბარგების საკითხი იყო. ან შფოთს ასაზრდოებდა არა მარტო ქეთუას გამუდმებული ნატვრა ტფილისში საცხოვრებლად გადასვლისა, არამედ ის გარემოებაც, რომ უშვერიძის თელაველი ცოლი ნამეტნავად აგრესიული გახდა, იგი ყოველ კვირას ჩამოუვლიდა ქმარყოფილს, ქეძაფის გადასხმას და სხვა ამგვარ „სასიამოვნო ამბებს“ ჰპირდებოდა.

რაკი ტფილისელი ცოლი უფრო მონთმენიანი აღმოჩნდა, ამიტომაც ქალაქს გადაბარგებას მიესწრაფოდა უშვერიძე.

სახლ-კარის მყიდველი არავინ სჩანდა. ეგეც არ იყოს, არც ის ამბავი მოსჩანდა იოლ საქმედ, კოლმეურნეობის წარჩინებული ბრი-

გადირი, ისიც ბავშვიანი, ასე ხელაღებით როგორ გაეყვანათ მამისეულ სახლიდან.

უშვერიძე არ იზიარებდა ქეთუას შიშს, იგი იმედს არა ჰკარგავდა, რომ გამუდმებული სკანდალები და შევიწროება ნუნუს ბოლოს და ბოლოს აიძულებდნენ გოდერძის პაპის ოჯახს შეხიზვნოდა.

ქეთუას ნუნუზე უფრო მეტად გოდერძი სძაგდა. მას ომში წასულისათვისაც ვერ ეპატიებინა, რომ კოლმეურნეობის ფართობზე გაჰყავდა „ავადმყოფი" ქალი.

ეს ცხოველური სიძულვილი ქეთუამაც პატარა მიქელაზე გადაიტანა. მუდამ ამას ამტკიცებდა ქეთუა: პირწავარდნილი გოდერძიაო ეს ბავშვი. ნუნუს შინ არ ყოფნისას ტირილით რომ სული ამოხდომოდა ჩვილს, ქეთუა ხელს არ წამოსწევდა.

ავად გახდებოდა ბალღი, სწყევლიდა, ნატრობდა: ეგებ უწიოსო სიკვდილნა.

ერთ საღამოს ასეთი ამბავი მოხდა: რძის შემოსატანად გარედ გასულ მარუას ტახტზე მიეგდო პატარა მიქელა. შიმშილისაგან გაოფთრებული ტახი შრამელში შემოვარდნილიყო.

შენთხვევით შემოვიდა მალხაზი და ხედავს: ტახი ბავშვის გასაგლეჯად მიიწევს, ხოლო ქეთუა კერასთან ზის და ცომსა ზელს სრულიად არხეინად.

მალხაზმა ურდული დაუშინა ლორს.

„რას ერჩი, შე გასაქრობო, მაგ ლორს?!" აჩხავლდა ქეთუა.

*

პაპა მიქელას სმენასაც მისწვდა ის ამბავი, თუ როგორ სტანჯავდნენ ნუნუს ქეთუა და მისი ქმარი. ახლა მიქელას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი სულ მოკლე ხანში, მოკეთეების დახმარებით, ჩამოეტანა საიდანმე ათასი ცალი კრამიტი.

ისიც განაგონი ჰქონდა: მუშახელის ფრონტზე გაწვევის გამო შეწყდაო მუშაობა ყვარლის აგურ-კრამიტის ქარხანაში, მაგრამ სადაცაა ამუშავდებაო ეს ქარხანა.

თუ ეს არ გამართლდა, არწმუნებდა მიქელა ნუნუს, ჩალით ნაინც გადავხურავო იმ სამ ოთახს, შენთვისა და გოდერძისათვის განკუთვნილთ.

როცა პატარა მიქელა ავად გახდებოდა, პაპა მიქელა უზომოდ ღელავდა, ლოგინიდან დგებოდა, ჯოხის რაკუნით დადიოდა ოთახში, წარამარა ეკითხებოდა ბაბლიას: ერთი გაიხედე, ნუნუ თუ მოდისო?

თუ საღამოს ნუხუს კრებაზე გაიწვევდნენ, ბაბლიას აგზავნიდა ბავშვის ჯანმრთელობის გამოსაკითხავად.

განუზომელად უყვარდა ბავშვი, თავს ინუგეშებდა ბერიკაცი: ეგებ გოდერძი ნომიკლეს იმ მხეცებმა ომში, ეს ბალღი მაინც შეინარჩინოსო ღმერთმა იმედად და გვარის გამგრძელებლად.

ერთ საღამოს აბრიამ და ფოცხვერიმ მოინახულეს პაპა მიქელა. მანპინძელმა გაუზიარა სტუმრებს თავისი გულისჭირი ამ ვითარებათა გამო:

„დამიბრიყვეს, ჩემო აბრია, უსინათლო და უბედური, თორემ ამას როგორ გამიბედავდნენ ის ცანცარა ქეთუა და მისი ლოთი ქმარი, აპოხტივით ავკეპავდი მაგ გარეწრებს ხანჯლით.

ქრისტიანები არ არიან, ღმერთი არა სწამთ მაგ ურჯულოებს, მამისეულ ოჯახში რომ არ აყენებენ ჩემს რძალსა და ჩემს შვილის-შვილის-შვილს?

ცოტა დამაცადონ მაგ ღმერთძაღლებმა, თათრის ვალს ავიღებ, ამ სახლს გადავხურავ და გადმოვიყვან მაგ საწყლებს...“

აბრია მოღუშული იჯდა, აბოლებდა თავის ჩიბუხს და მდუმარე უსმენდა ნიქელას. ერთბაშად ხველება აუტყდა, დიდხანს ახველა, მერმე გასწი-გამოსწია მუხლისთავები, სოხანეზე დაადუჟა და სთქვა:

„ჰე, რა უნდა გითხრა, ჩემო მიქელა, მე მაინც მგონია, შენ უფრო კარგად უნდა დაუკვირდე ამ საქმეს.

ხომ იცი, შენ ჭკვიანი კაცი ხარ, მაგრამ უფრო მეტი სიფრთხილე გმართებს, ვიდრე ჩვენა, რადგან ავად თუ კარგად, ჩვენ, ვისაც თვალები ვერ დაგვივსეს ჯერაც, საკუთარი თვალით ვხედავთ კიდევ ადამიანების ავ-კარგსა.

შენ დღევანდელი ადამიანები ისე მიამიტი და გულწართალი არ გეგონოს, როგორიც გინახამს ხოლმე შენს ჯეელობაში. როცა კაცი კაცსა ჰგავდა და დედაკაცი — დედაკაცს, როცა ვაჟკაცი ნამუსიანად ატარებდა ფაფახს და დიაცი — მანდილს.

ღმერთმა ყოველივე სიკეთე მოგცეს და ხვალ რომ თვალის სინათლე დაგიბრუნდეს, მიქელავ, იცოდე, შენ ვეღარ იცნობ ადამიანებს, ისე შესცვალა ამ წყეულმა დრომ კაცი და ქალი.

მე შენს ოჯახურ საქმეებში რა ხელი მაქვს, მაგრამ ერთ რამეს გეტყოდი მიქელავ: გოდერძის კანონიერ ცოლად რომ ნდომოდა ნუნუ, ხელის მოწერასაც მოახერხებდა როგორმე. თუნდაც ომში წასვლის დღეს, არა?“

ნიქელამ თავი ჩაჰქინდრა და ხმა არ გაიღო.

ფოცხვერი თავის ძმაზე უფრო წესიერი კაცი იყო, ამიტომაც

გული აევლვრა ამ სიტყვების გამგონეს და გაუბედავად წაიდუდუნა:

„მე ენგრე მგონია, შენ სცდები, აბრიავ, იმ დღეს კორინთელმა მანქანა ათხოვა გოდერძის, ყვარელს წავიდა წინასწარ, მაგრამ მაჩის გამგე ლოგინად ჩავარდნილი აღმოჩნდა, ამიტომაც [illegible] ლი დაბრუნდა, აქეთობას მე წამომიყვანა იმ მანქანითა ყვარლიდან და ეს ამბავი გზაში მიამბო“.

„აბა რეებს როშავ, ბიჭავ, — შეუღრინა აბრიამ უმცროს ძმას, — შენ რა იცი, ეს ამბავი მოწყობილი რომ არ იყო! ან ის თუ იცი, შვილოსან, ეს ჩვენი ნუნუ, ჩვენი გვარის შემარცხვენელი სათრეველა ხასად რომ ჰყავდა გოდერძის?

ეგეცაა: განა მარტო გოდერძი ყვარობდა ნუნუს? ხომ იცი, ჩვენი ბერმუხელი ბიჭების ამბავი, ისინი ულაყებივით დაედებიან ხოლმე ლამაზ ქალებს.

კობერიძე და კანკრეც ხომ ნუნუს გამო დაერიენ ერთმანეთს, მე გავაშველე, თორემ ბებუთები მზად ჰქონდათ, შვილოსან.

აბა შეეკითხე ქეთუას, ტფილისში ყოფნის დროს კინოში თუ არ დაჰყავდა კობერიძეს ნუნუ. შენ დაბერდი და არც კი იცი, კინოებში რას უშვრებიან ქალებს.

დიაცის ამბავს ვინ გაიგებს, შვილოსან, ისიც დღევანდელი ქალისა, დღენიადაგ კინოებში, კრებებზე და სათიეებში რომ ხვდებიან მანაკაცებს.

უფრო მეტს გეტყვი, მიქელავ, ალბათ შენც გექნება განაგონი კანკრეს დაჭრის ამბავი“.

ყური მოვკარიო, სთქვა მიქელამ და თავი ჩაჰქინდრა, თითქოს მძიმე რამ ტვირთი დაადვესო თავზე.

„ზოგი სულელი ანგრე ფიქრობს, — განაგრძო ავსიტყვამ, — თითქოს ნუნუს დაეჭრას კანკრე. თვითონ განსაჯე, მიქელავ, როდის იყო, ხანჯლებს რომ ატრიალებდა ნუნუ. ჰე, ჰე.

თუ სიმართლე გინდა გაიგო, ჩემო მიქელავ, გოდერძიმ მიუსწრო იმ ლამეს კანკრეს და ხანჯლით დასჭრა. მე და ჩემმა ძმებმა მივუსწარით სულთმობრძავს. კანკრეს ნაბადი მოეხადა, ფეხშიშველი იყო და საკინძეგახსნილი.

როცა ჩვენ მივედით, სისხლიანი ხანჯალი კარს უკან ეგდო, იმავე ოთახში. კანკრე იცლებოდა სისხლისგან. გამოვიდა ნუნუ და ჩვენს თვალწინ გასწინდა ხანჯალი.

შენთვისაც ცხადია, მიქელავ, ნუნუს რომ დაეჭრა კანკრე, თვითონვე გასწმენდდა თავის დროზე იმ ხანჯალს, როც ასეთ რამეს ჩაიდენდა, ხომ ნათელია?

გოდერძიმ დასჭრა კანკრე, ხანჯლის გაწმენდა დაავიწყდა და ისე გაიქცა.

მე პროკურორთან დამაბეზღა შენმა გოდერძიმ, მაგრამ შენი ხათრით მე და ჩემმა ძმებმა მივაჩუმათეთ ეს ამბავი, ოღრმ გოდერძის უეჭველად დაიჭერდნენ".

ეს უკანასკნელი საუბარი სავსებით მართებულად მიიჩნია მიქელამ, მისთვის ძნელად წარმოსადგენი იყო, რომ ეგზომ სათნო და გულნაზი ნუნუ მოახერხებდა ხანჯლით დაეჭრა ვაჟკაცი, ისიც ისეთი ანგალი, როგორიცაა კანკრე.

აბრიას ისევ აუტყდა ხველება, ბაბლიას მიერ მიწოდებული წყალი მოსვა და განაგრძო:

„ეგეც არ იყოს, მე არა ერთხელ მყანს ის ბალღი ნანახი: უნდა გითხრა, მიქელავ ჩემო, სავსებით არა ჰგავს იგი გოდერძის...

მე აგრე მგონია და დანარჩენი შენ იცი, სიფრთხილე გმართებს ყოველ შემთხვევაში. ისე გამამაძალლდა ხალხი, თვალხილულებს აძრობენ ქუთუთოებს.

გოდერძი მშვიდობით დაგვიბრუნოს ღმერთმა და დიაცების მეტს რას იშოვნის. ჰე, ვინ იცის რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე, არ მესმის სწორედ, სხვისი ბუში რად უნდა არჩინო შენა".

ბაბლიას გული აემღვრა ნუნუს ძაგებისაგან, სხვა ვერავითარი საბუთი მოიტანა და ესღა წაიდუდუნა:

„ჰო, მაგრამ, ძია აბრიავ, ეს ბავშვი თუ გოდერძის არ იყო, პაპაჩემის სახელი რაღად დაარქვა ნუნუმ?"

აბრიამ დამცინავი ღიმილით მიუგო ბაბლიას:

„შენ რა გესმის, ბღარო, აბა რა ჭკუა აქვს სახელის დარქმევას? აბრია ჩვენი სოფლის ხუცესს ერქვა, მაგრამ მე მღვდლის შვილი ან შვილიშვილი ხომ არა ვარ?

რა ვიცით, პაპიშენის სახელი ეგებ იმიტომაც დაარქვა თავის ბავშვს ნუნუმ, პაპა მიქელასთვის რომ შეეტყუებინა ბუში".

პაპა მიქელამ შუბლზე შემოიკრა ხელი და დაიკვნესა: „ვაი ჩემს დღეს"...

*

მიქელა გააოცა და დაამწუხრა ამ გაფრთხილებამ. მას ფრიად სათნო ადამიანად ჰყავდა მინიშნებული ნუნუ.

ხომ ეგზომ გადატვირთული იყო ეს უბედური ქალი შინ და გარეთ, თითქმის ყოველ საღამოს შეეოიგლიდა გოდერძისას. თავგამეტებით შველოდა ბაბლიას უსინათლო პაპისა და სულით ავადმყოფი მამიდის მოვლაში.

თვეში ერთხელ თავის დახაზოგს მოუტანდა პაპა მიქელას, ყოველ შაბათს თავათ დაბანდა ხოლმე მოხუცებულს თავსა და ფეხს.

ახლა დარდი გაუჩნდა მიქელას. ყოველ კაცს ამას ეკითხებოდა უსინათლო: მართალი მითხარით, თქვე ქრისტიანებო, ჰგავსო თუ არა ჰგავსო პატარა ნიქელა გოდერძის?

ცნობილია: ძუძუთა ბალღების თავიანთ მშობლებთან მიმსგავსების ამბავი არც თუ ისე იოლად გამოსარკვევია.

ზოგი არწმუნებდა მიქელას: ნამდვილად ჰგავსო, ხოლო სხვანი ეტყოდნენ ხოლმე: სრულიადაც არა ჰგავსო და ეს ერთობლივი არ აღიარება მსგავსებისა იჭვის გესლს ანთხევდა უსინათლოს გულში. მთავარი ის იყო, მას თავათ არ შეეძლო ამის შემოწმება.

ნუნუმ შეამჩნია კიდევაც, რომ პაპა მიქელამ თავისი გულტფილი დამოკიდებულება მისდამი იძულებული თავაზიანობით შესცვალა, მაგრამ თავს იმითი ინუგეშებდა: ალბათ მე მეჩვენებაო.

ერთხელ ყვარლიდან ჩამოსულებმა აცნობეს ნუნუს: აგურ-კრამიტის ქარხანა როგორც იქნა აამუშავესო.

ნუნუმ ერთ საღამოს თავისი დანაზოგი შემოურბენია პაპა მიქელას და გახარებულმა ამცნო ეს ამბავი.

მიქელამ ხმაც არ გაიღო. ორივე ხელი წაივლო თმებში და როცა ბაბლია მიეჭრა, მთელი ბღუჯა ჭაღარა გამოაცალა თითებიდან უსინათლოს.

ფული უკან დაუბრუნა მიქელამ ნუნუს. სჯობს ეგ ფული შენს ბავშვს ნოახმაროო, უთხრა მშრალად, ისევ დადუმდა და თავისი დავსილი თვალები დააშტერა სოხანეს...

ამ მუნჯურმა სცენამ საბოლოოდ დაარწმუნა ნუნუ, რომ ავისმიმთხრობნი აქაც უგებდნენ მას თავიანთ მუხანათურ ხვანჯებს.

უსიტყვოდ გავიდა გარედ და თვალცრემლიანი მიჰყვა მამისეულ სახლისკენ მინავალ ბნელ შუკას...

•

ნუნუს სულიერ სიმძიმილს კიდევ ერთი ამბავი ზედ დაერთო: მას შემდეგ, რაც აბრიამ და მისმა ძმებმა მძიმედ დაჭრილი კანკრე ნაბადში შებურვილი სადღაც წაიყვანეს, კანკრეს სადაურობის გამო ბაიბური არ ისმოდა.

ეს საქმე როგორც იქნა მიჩქმალეს უჯირაულთა გვარის თავკაცებმა, რადგან კარგად იცოდნენ, ნუნუ თავათ არ აღძრავდა საქმეს, ხოლო თვითონ მათ ხელისუფლებისათვის რომ ეცნობებინათ ეს, პროკურორი უცილოდ დაატუსაღებდა კანკრეს, ბოლოს მათაც არ მოაკლდებოდათ სასამართლოში წანწალი.

ნუნუ თავის მხრივ მოერიდა თავის დროზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრას კანკრეს მიმართ, რადგან იგი დარწმუნებული იყო, გოდერძი ამჯერად უცილოდ ნოჰკლავდა ამ ხელმეორე თავდასხმისათვის კანკრეს და თავათაც თავს დაიღუპავდა; ეგეც სრა ნყინს, შავსოფლელები ზღაპრულ ამბებს აჰკიდებდნენ ამ თავდასხმას და ეს ყოველივე მაინცდამაინც დიდად სასახელო არ იქნებოდა წესიერი ქალის სახელისათვის.

ერთხელ ასეთი ხმაც მისწვდა ნუნუს: დაჭრილი კანკრე მთათუშეთში გადახიზნესო აბრიამ და უთიმ.

მარუა სულ სხვა რამეს ამტკიცებდა: კანკრე ისე დაასახიჩრა ჭრილობამ, იგი ყავარჯნებით დადისო ქალაქში. იქადნებაო კიდევაც: როგორც კი ყავარჯნებს გადავაგდებ, ბერმუხას ჩავალ, გოდერძისა და ნუნუს საბოლოო ანგარიშს გავუსწორებო.

ახლა, როცა გოდერძი გვერდით აღარ ჰყავდა ნუნუს, მას უკვე სერიოზული შიში ჰქონდა: ვაითუ ერთ მშვენიერ დღეს მომივარდეს თავზე ხელაღებული კანკრე და შური იძიოსო.

ამიტომაც ერიდებოდა საღამოობით შინიდან გასვლას. შრამელის კარები გააკეთებინა, ღამღამობით მძიმე ურდულებით ჰკეტავდა მათ.

იმაშიც დარწმუნებული იყო ნუნუ, გახულიგნებული კანკრე კიდევაც რომ მორჩენილიყო, არამც და არამც ფრონტზე არ წავიდოდა.

ერთ საღამოს თედო თარალაშვილი დაიმარტოხელა ნუნუმ და თითქმის ყველაფერი წვრილად უამბო კანკრეს მიერ მოწყობილ თავდასხმისა და მისი დაჭრის გამო.

მხოლოდ ერთი დეტალი არ გაუმხილა, სახელდობრ ისა, უჯრაულთა უხუცესებმა ნაბდით შებურვილი კანკრე რომ გადამალეს საღღაც...

თედო გულდასმით მოუსმინა ნუნუს და უთხრა:

როგორც კი ბერმუხაში გამოჩნდება კანკრე, უცილოდ დავაჭერინებო მას. ეგეც იცოდე, ბრალად შენზე თავდასხმას როდი დავუდებ. გოდერძის თავის დროზე ნაამბობი ჰქონდა კანკრეს მიერ ირმის მოკვლის ამბავი, მაგრამ ჩვენ იმედი გვქონდა საბოლოოდ გამოსწორდებაო კანკრე.

არც ეს ამბავი იყო მაინცდაინც სანუგეშო ნუნუსთვის. მან კარგად იცოდა, ეს ყოველივე უარესად გააბოროტებდა აბრიას და მის ძმებს...

...გოდერძის ფრონტზე წასვლიდან ერთი წელიც არ იყო გასული, ნუნუს სავსებით გაუთეთრდა თმები...

ისედაც მცირერიცხოვანი სოფელი დაცალიერდა, დამწუხრდა. აღარ მოისმოდა სიმღერები ალაზნის ველიდან. საქონელ და ცხვარი სულს ღაფავდა ფარეხებსა და ბოსლებში.

ბიბლიოთეკა

თითქოს იყნოსესო ვაჟკაცების ომში წასვლა, უცნაურად გაზულუქდა ნადირიც, ტურები შემოეჩვევნენ ვენახებს, დაცუცქდებოდნენ ვაზების ძირში და სძიძგნიდნენ ყურძენს.

მთლად უცნაურ ამბავს წაესწრო ცალთვალა გაიოზი: დიდ ვენახში ოთხი მგელი შესულიყო, ისინიც შველოდნენ ტურებს.

ერთი ნათგანი მოჰკლა გაიოზმა და სოფელში მოათრია თავათ. მგლის ხროვა ორგზის თავს დაესხა ცხვრის ფარეხებს. კავკასიონიდან ჩამობოტებული დათვები არხეინად დათარეშობდნენ სიმინდებში, სრულიადაც არ ერიდებოდნენ ფართობებზე მომუშავე ქალებს.

თოვლიანი და სუსხიანი ზამთარი ტირია გაზაფხულმა შესცვალა. მოხშირებულმა წვიმებმა არც ვენახების საგაზაფხულო ბარვა. დაიცალა ხალხს, არც გასხვლა, არც შეყელვა.

მაისის თხუთმეტს სუსხიანი ქარ-წვიმა წამოიწყო, ნაშუადღევს ლეკიმთიდან წამოვიდნენ აფხორილი, შავლეგო ღრუბლები და ზუსტად ბერმუხის თავზე დაბანაკდნენ.

დროულმა კაცებმა მეხის ღრუბლები შეიცვნეს. დიდი და მცირე გულისთრთოლვით შესცქეროდა განრისხებულ ცას:

ჯერ იყო და უცნაური ხივილი მოისმა, მერმე წამოვიდა მერეხი: ორ წუთსაც არ გაუელია, ალმასივით ციმციმა სეტყვამ გადაათეთრა მიწა.

ხალხს ეგონა ამას გვაკმარებსო ბუნება, ამიტომაც ბრიგადები განაგრძნობდნენ ფართობებზე მუშაობას.

ერთბაშად გაისმა ქუხილი, ახლა ცერცვის ოდენა სეტყვა დაუშინა ვარდებისა და ვაზების ქვეყანას. იგი ყოველ წუთში ძლიერდებოდა. ბოლოს სანერგე ფარდულს მიაშურა ხალხმა.

ყველაზე ბოლოს მოაღწია ცალთვალა გაიოზმა, სამ ადგილას დაბეგვილი ჰქონდა კეფა. ჩიტის კვერცხისოდენაო, ანტკიცებდა იგი.

სანერგე ფარდულიდან ხედავდა ხალხი: მგლისხევს გადაღმა, სერზე ცხვარს მიერეკებოდნენ მწყემსები; სეტყვა ისე გაძლიერდა, ერთობლივად აბღავლდნენ ცხვრები. მწყემსებმა პანიური ყვირილი მორთეს. ახლა უკვე მართლაც ჩიტის კვერცხისოდენა სეტყვა ცვიოდა სანერგე ფარდულის ოლეში.

ადამიანები გულნაღვლიანად შესცქეროდნენ ამ სასტიკ სანახაობას, უმოწყალოდ რეჯგვავდა სეტყვა ეგზომ ხანგრძლივი და თავგამეტებული შროშის ნაყოფს.

როცა მეხის ღრუბელმა ადგილი გადაინაცვლა ცაზე, ნუნუმ და მისმა ბრიგადამ პირველ უბანს მიაშურეს. სეტყვას დაელეწნა ყველა მარტო ფაფუკი ყლორტები და მტევნები, საკმაოდ რქათამამი ვაზებიცა.

ნუნუ გულშემოყრილი დადიოდა მწკრივებში, ყოველ ვაზთან ჩერდებოდა, ათვალიერებდა ყოველი მათგანის წყლულებს. მის ფერხთით ეფარნენ ნატყვიარივით დაფხრეწილი ფოთლები, მომსხვრეული ლერწები და მტევნების ნამუსრევები.

ნაგვემი ვაზები სტიროდნენ, ნასეტყვარი ჭრილობებისგან იღვრებოდა სითხე. სტიროდა მრავალი ათასი ვაზი ალაზანს გაღმა-გამოღმა იმ დღეს...

და განა მარტო ვაზები?..

*

სამუშაო დღე გათავდა, ნუნუ დიდხანს არ მიბრუნებულა სანერგე ფარდულში, იგი ფეხმორთხმული იჯდა მიწაზე, ორივე პეშვში ჩაებღუჯა თავი და მოსთქვამდა:

„მე უკვე გამითეთრდა თმები, გოდერძი. ოღონდ შენ დაგვიბრუნდი მშვიდობით და მე დამათოვოს ჭაღარამ თავზე. უგულო ბუნებამ დაგვსეტყვა და გააოხრა ჩვენი ნაამაგდარი ვენახი...

მე დავმარტოვდი, გავუბედურდი.

ოღონდ შენ დაგვიბრუნდი მშვიდობით და მე უარესად გამითეთრდეს თმები...“

. . . . . .

ფართობებიდან უკვე წასულნი იყვნენ კოლმეურნენი, როცა უქუდო, თავგაჩეჩილი მოხუცის სილუეტი გამოჩნდა მგლისხევისკენ ნიმავალ ბილიკზე. იგი წარამარა შესდგებოდა ხოლმე, გულდასმით ათვალიერებდა სეტყვისაგან დარეჯგვილ ვაზებს.

თავისი უხეში ფეხებით სთელავდა მიწაზე დაყრილ ნარტოალებს, ჩამოლეწილ ლერწებს, მტევნებზე შემჭკნარ რტოებს. მიაბოტებდა ახმახი მოხუცი და თავისთვის დუდუნებდა ლოცვას, თუ შელოცვას.

მან გადაიარა მგლისხევი, მამუკასეული უბნის ხუთივე სექტორი, ბოლოს მიაღწია იმ ნახიდურაძდის, სადაც შარშანწინ ირემი ზედგადაეცლო ეკლიან ღობეს.

გადაიხედა ძირს, წყლით გავსილ ხრამში, მერმე გაუხვია ბარ-მარცხნით. ნაბიჯი შეანელა, ახლადმოშენებულ ზვარს დაადგა თვალი. ამ ვაზების შეყელვა ვერ მოესწროთ კოლმეურნეებს. ესენი შტამიანად ძირს დაენარცხებინა სეტყვას და ისე დაექცია, თითქოს კამეჩების ჯოგს გადაუთქერავსო.

გველეთის ჰესისკენ მინავალ ბეტონის ხიდზე შესდგა ბერიკაცი, ერთხელ კიდევ მიხედა განადგურებულ ზვარს და ხიდი გადაიარა.

გველეთის ახალშენში მას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ახალშენის მკვიდრნი გახიზნულანო სადღაც. საქიმო პუნქტის შესავალთან რამდენიმე წითელყელსახვევიანი ბავშვი ჩალიჩობდა.

დარაჯმა მათემ მიაძახა მოხუცს: საითკენ გაგიწევიაო, ძია აბრიავ?

ქვაკაცის კარზე მივდივარო სალოცავად, ნიუგდო პასუხი მკითხავს.

აბრიამ ჩაუარა მამუკასეული სახლის ნანგრევებს, მერმე ბეჭებშელეწილ ტაძარში შეაბოტა, ქორიკოზის ფრესკის წინ დაიჩოქა. დიდხანს უჩუმრად ლოცულობდა.

შესცქეროდა ყვითელ თორიან და ყვითელ ღაწვიან ქორიკოზს, დუდუნებდა მისივე სახელით ჩვენს დრომდის მოღწეულ ბნელ სიტყვებს:

...„წყეულიმც იყოს უკუნითი უკუნისამდე, ვინც მამუკა ერისთავისეულ მამულში ამიერიდან ბალავარი ჩაჰყაროს, სასახლე, სახლი ან მარანი ააგოს, წისქვილი, ხელა ან ქოლბაგი დადგას, ბალი გაიშენოს, იფქლი დათესოს და ვაზი გაახაროს.

ეს წყევლა ჩემი ქვაკაცას წმიდა კარზე წარმოთქმულ, ეწიოს მას და მის ნათესავს თაობიდან თაობამდის და წარიხოცოს გასაგისი მისი ვითარცა ჯეჯილი მკალისაგან, ვითარცა ვენახი სეტყვისაგან, ჰამინ“...

ბერმუხასა და შავსოფელს უკვე თავზე გადაფოფრებოდა ღამე.

სტიროდნენ ახალშენი ვაზები ბნელში...

და განა მარტო ვაზები?..

ირემი და ღამის დიქტორი

დილის ათ საათზე ციხისთავმა ნანქანა გამოუგზავნა კორინთელს, სასწრაფოდ ჩამოსვლა სთხოვა. ნიკო წამოდგა, თავათაც დააპირა ყვარელს წასვლა.

„არა, ძია ნიკო, დღეს მაინც კვირაა, ჩემს ჩამოსვლამდი დარჩი

როგორმე, მინდოდა შენის თანდასწრებით ორიოდე სიტყვა მეთქვა მედიკოსთვის. დღეს საბოლოოდ უნდა გამოირკვეს ბევრი რამ"...

უთხრა კორინთელმა და ოთახიდან გავიდა აჩქარებული ნაბიჯით.

სასადილოს ღიჭედ დარჩენილ კარიდან თვალი მოჰკრა ქალთა-თელმა: მედიკო და ვარა გახსნილ კოფრებისა და სკივრების წინ ისხდნენ, ჭოთქოთობდნენ, ტუალეტებს ალაგებდნენ ვაშკარანებში.

მაიას გაჰქონდა და გამოჰქონდა კაბები, მოსასხამები, ქურქები, ტუფლები და ქუდები. კეტავდნენ, ისევ აღებდნენ კოფრებსა და სკივრებს. კრიახობდა ვარა, უხეშად უყვირიდა მაიას.

პარიზელ ბომონდის ქალის ტუალეტი ელავდა და ვარვარებდა ღიჭედ დარჩენილი კარებიდან. ამ ფაიდეშინების, კრეპდეშინების, კრეპჟორჟეტების ლივლივმა მოაგონა კორინთელს პარიზელი „საზოგადოების დამების", დემიმონდენების ლეგიონები, რომელნიც ბრილიანტებისა და აბრეშუმების მიერ მინიჭებული ბრწყინვალეებით ჰფარავენ თავიანთ სულიერ სიცალიერეს.

კორინთელი წავიდა თუ არა, წინალამით უძილარს, თვლემა მოერია ნიკოს: აგრე იფიქრა: ცოტას წავწვები, თვალს მოვატყუებო; ის-ის იყო პიჯაკი გაიხადა. შეზლონგზე წანოწვა, ფრთხილად დააკაკუნა ვიღაცამ კარზე.

მოხუცი ზეწამოიჭრა და პიჯაკი ჩაიცვა ხელახლა.

მედიკო შემოვიდა აღელვებული, ფერმკრთალი. ჭაღარა მორეოდა მის მშვენიერ, ჯიშიან თავს. ნაოჭები შემატებოდა თვალის უპეებისა და ღაწვისთავების არეებში.

შავი მუსლიმის კაბა ეცვა, ერთადერთი ნსხვილი მარგალიტი ელავდა ლოპოთის მარმარილოსებრ თეთრ მკერდზე. საერთოდ მგლოვიარე ქალს ჰგავდა ამ წუთში მედიკო დამწუხრებული სახის იერითა და ჩაცმულობითაც.

ნიკო წამოდგა და სკამი მიაწოდა მანდილოსანს, ხელის ჩამორთმევა არც კი დაუპირებია. მედიკო სტუმარივით ჩამოჯდა სკამზე. შესაბრალისად წელში მოდრეკილი იჯდა ტანკენარი ქალი და შეჩივოდა მოხუცს:

„ხომ ხედავთ, ძია ნიკო, როგორ დაგვენგრა ოჯახი, ღმერთი მყავს მოწმედ, მე არ მიმიძღვის ბრალი.

ერთადერთი ბრალი ჩემი ეგ არის, გრძნობას რომ ავყევი და ვახტანგს..." ეს წინადადება ვერ დაათავა მედიკომ, ენა წაუბორძიკდა მღელვარების გამო, თვალის თეთრონებში ცრემლმა გაიელვა, ბოლოს როგორც იყო მოერია თავს და განაგრძო:

„ვახტანგი მუდამ მისაყვედურებდა: შენი დანაშაული შენი სა-

კუთარი თავის წინაშე ეგ არის, რომ ანგარიშიანობას აყოლილი ცოლად გაჰყევიო შარკუტიეს.

მე ახლა აღარც კი ვიცი, ნიკო ბატონო, ბოლოს როგორ უნდა მოიქცეს ქალი, რომელ ერთს აჰყვეს, გრძნობას თუ ანგარებას?

როცა ანგარიშიანობას ავყევი, ვთქვათ შევცდი, ახალგახდა ვიყავი და გამოუცდელი, როცა უკვე მოწიფულმა გრძნობებს გადავაყოლე ჩემი დაწყობილი ოჯახი, ბრწყინვალე მდგომარეობა და არც ისე საუგო პრესტიჟი, ხომ ხედავთ, ამჯერადაც რომ შევცდი".

ნიკომ მზერა გაუმართა ვაგლახად წელში მოდრეკილ ქალს, რაღაც უცნაური სიბრალული წაეკიდა გულზე, მაგრამ მაინც ეს უთხრა:

„მე რა უფლება მაქვს, მედიკო ბატონო, თქვენი საქციელის განსჯისა, მაგრამ რაკი მეკითხებით, ერთ რამეს მოგახსენებთ:

ყველაზე დიდ შეცდომას ჩადის ხოლმე ყოველი ადამიანი, როცა იგი თავის პირად ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, მე აქ ვგულისხმობ ცოლ-ქმრულ ცხოვრებას, მესამე პირს ჩარევს, სულ ერთია ვინც არ უნდა იყოს იგი.

სხვისთვის დასარიგებელი ჭკუა მე ვინ მომცა, მაგრამ ცოტა რამ ნეც ამომიკითხავს ჭკვიანი ადამიანების ნაწერებიდან, და ჩემი საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მცირეოდენი დაკვირვებანი მეც მომიხდენია.

ოჯახური ცხოვრების შესახებ იმდენი დაწერილა, ეს ყოველივე რომ მოაგროვოს კაცმა, ერთ ქალაქში არ დაეტევა. მაგრამ ჯერაც მრავალი რამ საკვირველია და უცნაური. ვინ იცის, კიდევ რანდენს დასწერენ მწერლები.

მაპატიეთ გულახდილობა და თქვენი პირადული ცხოვრების კატასტროფაში თქვენს ორივე დედას მიუძღვის ბრალი.

ასეთ რამეებში თუნდაც ასი კაცის რჩევა უნდა მოისმინო, მაგრამ საკუთარ გულისხმას უნდა მიენდო, რა თქმა უნდა".

ძია ნიკოს სმენას მანქანის ბუბუნი ნისწვდა. მას აგრე ეგონა ვახტანგი მობრუნდაო.

ვარამ კარი შემოაღო, ოთახში შემოუსვლელად, ფრანგულად უთხრა რაღაც მედიკოს. ნიკომ მიახლოებით გაიგო ეს ფრაზა: ბატონი ცეროდენაშვილი მობრძანდაო.

ამ უკანასკნელის გვარის გაგონებაზე უსიამოდ შეიშმუშნა ნიკო, შეწუხდა: ვაითუ ვახტანგი მობრუნდესო ახლავე.

მედიკო ნაშინალურად წამოდგა. წელში გაიმართა და სთქვა:

„მე ამიტომაც შემოვედი, ძია ნიკო, თქვენთან"... აქ კვლავინდე-

ბურად წაბორძიკდა მედიკოს ენა, ბოლოს ისევ მოერია მღელვარებას და განაგრძო:

...„ვახტანგმა ისეთი უხამსობა გამოიჩინა დეიდაჩემის მიმართ, მე არ შენიძლია დღეიდან ამ სახლში დარჩენა.

ეს ყოველივე არც ისე მოულოდნელი ყოფილა ჩემთვის, გულმართლად ვენდობოდი მის პატიოსნებას, მაგრამ აქაც შევცდი...

მეუბნებოდნენ: მინდელის ქალთან რომანი აქვსო, არ ვიჯერებდი. ახლა უკვე ამეხილა თვალი.

მე არც ჩემი ოჯახის, არც ჩემი გვარის ტრადიციები ნებას არ ნაძლევს დავრჩე თავმოყვარეობაშელახული ქალის მდგომარეობაში. ჩვენ ახლავე მივდივართ და ვახტანგს შეუძლია არც მომიკითხოს“.

სთქვა მედიკომ, თავი დაუქნია გამოსალმების ნიშნად ნიკოს და სწრაფი ნაბიჯით მიაშურა კარს.....

ნიკო გატვრინული იწვა შეზლონგზე პირაღმა. ესმოდა ცეროდენას მჟახე ხმა, ვიოლაცეების ტლანქი ნაბიჯების ჩქამი, კოფრების, სკივრების იატაკზე თრევა, კარის ძგიდეებზე მიხლა და რაჯგუნი, მტვირთავების შეძახილი:

„ერთად“,

ვარას კრიახი:

„ფრთხილად“, „ასწი, ასწი“, „არ მიახალო“.

ნიკო წამოდგა, ჯერ ნერვიულად ბოლთასა სცემდა ოთახში, ძერმე კართან მივიდა, დერეფანში გასვლა დააპირა, მაგრამ უხერხულობა შეიცნო და ისევ შეზლონგზე წამოწვა, რადგან მღელვარებისაგან მუხლი მოეკვეთა.

როცა გაფითრებულმა მაიამ ამცნო: წავიდნენო, ნიკომ კარი გააღო. საოცარი უწესრიგობა სუფევდა ირგვლივ. ოთახებსა და დერეფნებში მიმოყრილი იყო თმები ქალისა, ნაგლეჯები ჯღანისა, კელნის წყლის ცალიერი ფლაკონები, ნამუსრევები ლამპის შუშებისა, ნახრჩოლები ნავთქურებისა, ჭვინტმოტეხილი გრაფინები.

მინებჩალეწილ ფანჯრებში ოფლით გაზინთული ბალიშები გაეკვეტებინათ, იატაკზე ქონიანი ლაქები მოსჩანდნენ, რაზების არეში ცხიმით გაეცურათ კარები.

ნიკოს შეეცოდა კორინთელი: როგორ უძლებდაო ამ ამბებს სისუფთავის ეგზომ მოყვარული კაცი.

მოხუცმა კიბე ჩაირბინა, ბაღში გავიდა და ქარაფიდან გადაიხედა.

არაშენდა-ბერმუხის შოსეზე მიჩახჩახებდა დანჯღრეული სატვირთო მანქანა ურთიერთზე ხედახორად შეწყობილ ჩემოდნებზე

იჯდა გრძელკისერა, თმაგაჩეჩილი ვარა: კოფის ბოლოკიდეში ცეროდენა მობღაუჭებოდა კაცის სიმაღლე კოფრს, რომელიც თავთაც სკივრზე იყო შეკოლიკებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

•

თათბირი რა ნოთავდა ყვარელში, ციხისთავმა თავის კაბინეტში დაიმარტოხელა კორინთელი და ეუბნება:

„ახალი ამბავი ხომ იცით, ვახტანგ?"

რაო? შეეკითხა კორინთელი.

„გუშინ რაიკომის ბიუროზე მოვხსენით ჰესის უფროსი ინჟენერი ცეროდენაშვილი. მისი საქმე პროკურატურას გადაეცა. ჰესის გამგედ დავნიშნეთ ინჟენერი ჯორჯაძე, საქმიანი კაცი სჩანს. ლენინის ორდენი აქვს მიღებული, რამდენიმე სასოფლო ჰესი აქვს გამართული".

„ცეროდენაშვილი რად მოხსენით?" შეეკითხა კორინთელი.

„ათასი ტონა ცემენტი დააკლდა. გარდა ამისა, აბრია უჯრიულთან და იმ ხულიგან კანკრესთან ჰქონია კავშირი. ნაბუშარ ბატკნებს იპარავდნენ თურმე სისტემატურად სხვადასხვა კოლმეურნეობათა ფარეხებიდან.

გარდა ამისა, ჯორჯაძემ გულმოდგინედ შეისწავლა ჩვენი ჰესი, საავარიო მდგომარეობაშიაო, აგრე ამტკიცებს, დიდძალი ცემენტია, როგორც ჩანს, მრპარული.

ხომ დაჟინებით მოვითხოვდით მე და თქვენ სარეზერვო სიმკვრივე ათზე ნაკლები არ ყოფილიყო, ხსნარი ლაბორატორული წესით გაგვესინჯა წინასწარ,..

არ დაგვანება, სპეციალისტი მე ვარ და ჩემს საქმეში ნუ ერევითო. ტფილისიდან კომისსია ჩამოიყვანა, თუ გახსოვთ: როგორც სჩანს, მათთან მოსძებნა საერთო ენა, იპურმარილეს, ილოთეს და ეს საქმე მიაჩუმათეს.

მართალია, მე უფრო ენერგიულად უნდა ჩავრეულიყავი ამ საქმეში, მაგრამ რაიკომის მდივნის უფლებებიც შეზღუდულია.

სხვა არა იყოს რა, მე უნივერსალურად განსწავლული კაცი არა ვარ.

მახსოვს, თქვენ სულ ამას მიჩიჩინებდით: ცემენტის ხსნარი ლაბორატორული წესით გავსინჯოთო. საქმე საშურო იყო, ხსნარის ტფილისში წაღებას და გასინჯვას დრო უნდოდა და მე აქ დავუშვი. უეჭველი შეცდომა".

საღამოხანს ყვარლიდან მობრუნებული ციხისთავის მანქანას თან მოჰყვა კორინთელი. სავსებით ჭაღარა შოფერი ჩამოიყვანა, იასე. ციხისთავის მანქანა გაისტუმრა, იასეს დაავალა: ნერსედესბენცი ფარდულიდან გამოეყვანა და ჭიშკართან მოეცადა.

როცა კიბეზე ამოდიოდა კორინთელი, დაინახა: გრძელტარიანი ცოცხი ეჭირა ხელში მაია, გულმოდგინედ ჰგვიდა ოთახებსა და დერეფნებს.

„აბა შენ იცი, ჩემო მაია, კნეინა ვარას მოსაგონარად არაფერი დასტოვო აქ“.

ძია ნიკო სავარძელში იჯდა და გაზეთს კითხულობდა. კორინთელმა ქუდი საკიდზე მიაგდო, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და სთქვა:

„როცა ნაია მაგ გაოხრებული ვარას მეუღნეობის ნამუსრევებს გარეთ გაჰხვეტავს, საბოლოოდ ამოვისუნთქავ, ძია ნიკო. ისიც კარგია, მედიკოსთან გასაუბრება რომ აღარ დამჭირდა: რა საჭიროა ლაპარაკი, როცა სიტყვებს ფუნქცია დაკარგული აქვთ უკვე.

წუხელ მთელი ღამე არ დამაძინა მათმა ქოთქოთმა. კრუხივით კრიახობდა ვარა, ქაქანებდა, ალაგებდა სკივრებსა და კოფრებში მედიკოს ტუალეტებს.

სწორედ გითხრა, შარკუტიეს მიერ ნაყიდი ჭინჭების სიახლოვე ისე მაწუხებდა, როგორც ძირმაგარა ჯანსაღ სხეულს. რა და რა ტანსაცმელი არ ვუყიდე ამ წლების მანძილზე მედიკოს, მაინც არ იშლიდა პარიზული კაბების ჩაცმას. არა ერთხელ მიფიქრია: ბენზინს გადავასხამ და დავწვავ-მეთქი ამ კაბებს.

უწინარეს ყოვლისა, შენი მადლობელი ვარ, ძია ნიკო, თავის დროზე რომ მისიგნალე, თორემ გაპამპულებული მენელაოსის[1] მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი.

აგრე საბწუხაროდ დამთავრდა ჩემი გამწარებული და შრომით სავსე ცხოვრების ეს მონაკვეთი. შენ ხომ გახდი ყოველივე ამის მოწმე. ახლა მანქანაში ჩავსხდეთ და მინდა დაგასწრო ჩემი ცხოვრების ნამდვილი გაზაფხულის დასაწყისს, რა თქმა უნდა, მოგვიანებით ჩამომდგარს.

მე ჩენი ბაღიდან ხშირად ვჭვრეტ ხოლმე ბერმუხას. ეს მუხა სიმბოლიურ არსებად მყავს მინიშნებული. იგი თავის ხანდაზმულობის მიუხედავად ყოველ გაზაფხულზე ახალსა და ახალ ყლორტებს დაისხამს ხოლმე ნაძველარებზე.

---

[1] ჰომეროსის პოემის გმირი, მშვენიერი ელენეს ქმარი.

ეს არის სიცოცხლის მარადჟამული მიმოქცევის უკვდავი ინსტინქტი. ფრანგები „ელან ვიტალს“ ეტყვიან ამას.

შეც არა ვკარგავ ინედს, რომ ჩემი ტანჯული სიცოცხლე ხელახლა იფეთქებს როგორც ბერმუხის ნარტოალებზე გაბახლებული მორჩი, მით უმეტეს, რომ სუსქია ფეხმძიმედაა...

ეგ შენი და მამიდაჩემის დაკინებული სურვილიც იყო, ვგონებ...“

მაია შემოფათურდა.

„აბა შენ იცი, მაია, კარგად დაალაგე და გაასუფთავე აქაურობა, სტუმრები მოდიან“.

„მე ყველაფერს კოხტად დაგილაგებთ, პროფესორო ბატონო, ოღონდ ეგ მითხარით ახლავე: ჩვენ მოვერევით თუ ისინი?“

„რა თქმა უნდა, ჩვენ მოვერევით ჩვენს მტრებს, ჩემო მაია“.

„ღმერთმა გაცოცხლოს, შვილო, ხუთი შვილიშვილი გავგზავნე ომში“.

კორინთელმა ქუდი აიღო. ნიკო უსიტყვოდ თან გაჰყვა და მანქანაში ჩაუჯდა მას.

„ეხარმარცხნით წადი, ჩემო იასე“.

ეუბნება კორინთელი შოფერს.

მცირე ხანს მდუმარედ ისხდნენ მანქანაში, ახლა ნიკომ დაარღვია დუმილი:

„შინ დაგვხვდება ნეტავ სუსქია?“

„დღეს ისვენებს, ალბათ შინ იქნება...“

კორინთელმა ასანთი გაჰკრა, პაპიროსს მოუკიდა და სთქვა:

„ახლა შენ ნახავ, ძია ნიკო, რა ღარიბად ცხოვრობს ეს ქალი, მაგრამ ჩივილს ვერ გაიგონებ მისგან. მე არ ვიზიარებ შეხედულებას იმ ადამიანებისას, რომელთაც ჰაუპერიზმი იდეალად აქვთ დასახული. სიღარიბე ხშირად სიზარმაცისა და ბედოვლათობის შედეგია, მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას: სიღარიბე უდიდესი მასწავლებელია ამ ცხოვრებაში.

მარჯვნით გაუხვიე, ჩემო იასე. — მიაძახა კორინთელმა შოფერს და განაგრძო:

ბაირონს გარდა, თითქმის ყველა გენიოსი სიღარიბესთანაა ნაბრძოლი, ბაირონი გალაღებული და მოყიჭებული ცხოვრების ნსხვერპლი გახდა ბოლოს და ბოლოს.

უბრალო ადამიანისთვისაც სიღარიბე ხასიათის გამომწრთობი ბრძმედია უთუოდ.

იმ ჭაობს მოერიდე, იასე, მარჯვნით გაუხვიე და იმ მოუთბევ-ბელ სახლთან გაჩერდი, — უთხრა შოფერს კორინთელმა და ისევ ძია ნიკოს მიუბრუნდა: — ვინც სიღარიბის უღელს უდრტვინველად ატარებს, ნამდვილი ადამიანი იგია".

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარაჯი მათე თავაზიანად შენიოეგება სტუმრებს.

სუსქია შილიფად ჩაცმული იყო, ნიკოს დანახვაზე შეკრთა, ორივე ხელს იკიდებდა ხალათის ბორტებზე, ცდილობდა დავიწროებული სამოსით როგორმე დაეფარა თავისი ძუძუ-მკერდის სისავსე.

ძია ნიკომ შუბლზე აკოცა ქალს და საკმაოდ დანჯღრეულ სკამზე ჩამოჯდა.

კარგა ხანია რაც სუსქია არ ენახა მას: ორსულობას დაემშვენებინა იგი. მის სახეზე ნატამალიც არა სჩანდა იმ ტალებისა, რომელნიც ზოგიერთ ფეხმძიმე ქალს შეუდგება ხოლმე, ისედაც გათქვირული თეძოები უფრო მეტად დასრულებოდა და ეს განსაკუთრებით მიმზიდველად ხდიდა მას.

ნაყოფიერების ღმერთქალის დახატვა თუ ვინმეს დასჭირდა, ეს ქალი უნდა აიყვანოსო თავის მოდელად, გაიფიქრა ძია ნიკომ.

მასპინძელი დაფაცურდა.

„ეს რა უცხო სტუმარი მომიყვანე ასე გაუფრთხილებლად, ვახტანგ. თუმცა ღვინო კი მაქვს კარგი, ახლავე ხაჭაპურებს დავაცხობ", ესა სთქვა და ნავთქურას დაუწყო ძებნა.

ვახტანგმა დააშოშმინა.

„ნუ ღელავ, არაფერი არაა საჭირო, შენ ჩაიცვი, ბარგი შეჰკარი, ჩემი შოფერი და დარაჯი მათე გვიშველიან".

„სად მივდივართ, რა მოხდა?" იკითხა შეცფუნებულმა ქალმა.

„ჩემსას".

კორინთელმა შეასწორა წელან ნათქვამი:

„ესე იგი ჩვენსას".

ქალი გაოცდა.

„სადაა ეს ჩვენსას?"

„ჩემსას". ღიმილით დასძინა კორინთელმა.

სუსქიამ მზერა გაუმართა კორინთელს, ნაღვინევი ხომ არ არისო?

„როგორ? განა მე ახლაც ღარა მაქვს უფლება იქ წაგიყვანო, სადაც მე მინდა?"

ნიკო ჩაერია საუბარში:

„შე კაიკაცო, ნუ დასტანჯე ეს ქალი, ბარემ პირდაპირ უთხარი, რისი თქმაც გინდა".

როცა ეს სურვილი შეუსრულა ძია ნიკოს ვახტანგმა, ქალი ჯერ

გაფითრდა, მერმე უეცრად სიწითლე შემოეგზნო სახეზე, მღელვარებისაგან ფეხზე ადგომა ველარ შესძლო და საწოლზე ჩამოჯდა... ბოლოს შეუდგა თავისი ღარიბი ტუალეტის მოგროვებას. ძია ნიკომ თვალი შეავლო ამ უბრალო ჩითის კაბებს, ქუსლმოქცეულ ტუფლებს, გახუნებულ ბერეტებს, ძგიდეშემოცვეთილ ჩემოდნებს. ბოლოს თვალი აარიდა მის საქმიანობას და მკლავში ხელი წაავლო კორინთელს:

გარეთ გავიდეთ, დავაცალოთო ჩაცმა.

. . . . . .

გახარებული დაფაცურობდა მაია. მას მთელი ბინა დაეკრიალებინა, ყოველივე წესრიგზე მოეყვანა, ხაჭაპურები დაეცხო, ქათმები შეებრაწა.

სამნი გარს უსხდნენ საქორწინო სუფრას.

როცა სავალდებულო სადღეგრძელოები მოათავა ძია ნიკომ, სავსე ყანწი მიუშვირა პატარძალს და უთხრა:

„ნეტავ სად არის ახლა ის უცნობი მხატვარი, რომელმაც ჯერაც ქალწული დაგხატა, სასკია. მე სად შემწევს ისეთი ნიჭი, შენი სილამაზე ავწერო ამ წუთში, ან მიახლოებით გამოვხატო ის სიხარული, რომელსაც ამჟამად განვიცდი.

შენ ახლა გაცილებით უფრო მშვენიერი ხარ, სასკია, ვიდრე შენი ნათლიის მიერ დახატულ სურათში სჩანხარ, მე ჯერ მთვრალი არ გახლავარ, უფრო მეტს გეტყვი: ვიდრე რემბრანდტის საყვარელი.

მე არ მესმის პოეტები და მხატვრები რად ერიდებიან ფეხმძიმე ქალების დახატვას და შექებას. ეს არის ისეთი მომენტი ქალის ცხოვრებაში, როგორიც ვარდისა ვარდობისთვეში, როცა იგი კოკორს დაისხამს. ან ვაზისა, როცა იგი ყვავილობს.

ამ ყანწით მინდა ვადღეგრძელო ამ ოჯახის მომავალი მემკვიდრე.

ჩვენ, ქართველები, მეომარი ხალხი ვიყავით მუდამ, ამიტომაც თოფისა და ხანჯლის ბატარებელი გვესაჭიროებოდა და ამის გამო შემოგვრჩა ატავისტური სიყვარული ვაჟისადმი.

მე ერთი უბრალო, ტრადიციული ქართველი კაცი ვარ, რომელიც მუდამ ვერ უსწორებს ნაბიჯს საერთო აზროვნების პროგრესს.

გისურვებთ ორივეს, ვაჟი იქნეს ამ ოჯახის მემკვიდრე და ის ვადღეგრძელოთ“.

ესა სთქვა ძია ნიკომ, ადგა და ორივენი გადაკოცნა.

ბიჟინა შემოკუნტრუშდა, შუა ოთახში შესდგა. სუსქიამ ხილის ჭამა მიატოვა და შვლის ნუკრს წაეტანა.

„მოდი, ბოდი, ჩემო ლამაზო“, უთხრა ბიჟინას.

ყურებდაცქვეტილი ნუკრი სტუმართან მიბაკუნდა, სუსქიამ

ხელი გადაუსვა ქედზე და საკოცნელად წაეტანა მის მშვენიერ ღრუნჩს.

ძია ნიკოს ნაადრევად მოჰკიდებოდა რატომღაც თრობა. იგი გახარებული შესცქეროდა ბუნების ამ ორ ჯიშდასრულებულ მშვენებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . . . . .

როცა ძია ნიკო წაიყვანა შოფერმა იასემ, კორინთელმა ბაღში ჩაიყვანა სუსქია. ვარდები მოუკრიფა და თავზე გადააყარა. სიცილით უთხრა თანაც:

„სულტნები ოქროს გადააყრიდნენ ხოლმე ქორწილის დღეს თავიანთ საცოლეს თავზე. ასე ნოიქცა სულტანი ყიას-ედდინი, მან ოქრო გადააყარა დიდი თამარის შვილის შვილს, თამარს.

რადგანაც მე არც სულტანი ვარ და არც ოქროები გამაჩნია, ჩემი ხელით გაზრდილი ვარდები უნდა გადაგაყარო თავზე“.

ისხდნენ და გასცქეროდნენ კავკასიონის თვალისმომჭრელ რილოჭრელოს. ოფორტით მოხატული ციხე-კოშკებივით იდგნენ უღელტეხილს გადაღმა ღრუბლები წინკლდეებზე.

ქამიდან ქამზე ელავდა... ელვის ლეკური თავს წაჰკვეთდა რომელიმე მწვერვალს, ხანაც გაანათებდა მალახიტისფერ კორდებს, ისინი ისეთი საყვარელნი იყვნენ. ხელის ნოსმა მოუნდებოდა მაცქერალს.

ახლა სულ ზევით, კავკასიონის მაღალ რეგიონებში დანავარდობდა ელვა. გაიელვებდა ერთს და გამოაჩნდებოდა სტავრისებრ ხასხასა ღრუბლებით მოგებული სვრელი, და იგი მოსჩანდა, როგორც ჰესპერიდების ბაღნარისკენ მიმავალი შარა, ვარდებით მოგებული.

კორინთელმა სთქვა:

„გახსოვს ნაღვარევის ხევი, ბულბულების ორკესტრი, ის გემისებური ხავსიანი ლოდი, რომელზედაც მე და შენ ვიწექით“...

„ჩემთვის უბედნიერესი დღე ამქვეყნად“.

ჩუმად სთქვა სუსქიამ.

ახილმა შეუღრინა ბიჟინას.

ვახტანგმა ყვრიმალში უჩქმიტა ძაღლს.

„ნუ ხარ ფაშისტი, ახილ“. ახლა სუსქიას მიუბრუნდა:

„სანამ ძია ნიკოს მიერ ნადღეგრძელევი ვაჟკაცი არ დაიბადება, ჩვენ ოთხნი შევადგენთ ამ ოჯახს: შენ, ბიჟინა, ახილი და მე“.

„მაია?“ ღიმილით იკითხა სუსქიამ.

„ჰო, მართლაც, საწყალი მაია“.

. . . . . .

ჭოტის ხმა მოდიოდა შორიდან. სუსქია გასცქეროდა ნთვარის შუქით განათებულ ვარდებსა და ვაზებს, ჩრდილის ქოლგების ქვეშ მთვლემარე ნაყოფსავსე ხეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგმა სთქვა:

„მე რომ პოეტი ვიყვე, უთუოდ დავწერდი ნეთა ქებას. როცა ეს კოშმარი სუფევდა ჩემს სახლში, დღისით ვუვლიდი ვაზებსა და ვარდებს, როგორც ყმა, როგორც მიჯნური, საღამოს დავჯდებოდი აქ და ვსტკბებოდი მათი სურნელებითა და დუმილით.

მე ვიტყოდი: ხეები, საერთოდ მცენარეები, ცხოველებზე ნეტად საყვარელნი არიან. ბუნებას არ მიუცია მათთვის ხმის გაღების ნიჭი, მშიას ვერ იტყვიან, ვერც მწყურიას; სიცოცხლეს, ზრდას და ავადობას დუმილით განიცდიან, ზეზემდგარი ეგებებიან სიკვდილს, როგორც ანტიური ტრაგედიების გმირები“.

სუსქიამ ბაღის ბოლოს გამართულ ბოსტნისკენ გაიხედა და სთქვა:

„რეჰანის სუნი მოდის ბოსტნიდან, ვახტანგ. მე ძლიერ მიყვარს რეჰანის სუნი“.

„შეხე კომბოსტოს თავებს, სუსქია, ფოლადის მუზარადებივით ლაპლაპებენ მთვარის სინათლეზე, ხომა? მხოლოდ ეს სურათი მიწამლავს შენთან ყოფნის ბედნიერებას, რადგან ომს მაგონებს იგი“.

ამის თქმა მოასწრო ვახტანგმა და უცნაური ლიწინ-ლიწინი შემოესმა ბოსტანს. გადაღმელ ძეძვის ღობიდან. ახილი წამოვარდა, ვახტანგი ყრონტში ნისწვდა მას.

ირემმა გადმოანგრია ძეძვის ღობე და ბოსტანში შემოიჭრა. ირემსა და ბაღში მსხდართა შორის იასამნის ბუჩქი იყო.

თავი დახარეო, უჩურჩულა ვახტანგმა ქალს.

ირემი დასწვდა კომბოსტოს თავებს, ქარაფისკენ მიდიოდა, მოკბეჩდა კომბოსტოს, თავს ასწევდა, ისევ მოკბეჩდა.

ბოლოს მიადგა ქარაფს.

ახლა იასამნის ბუჩქს მიფარებულნი სულ ახლოს ჰხედავდნენ მთვარის შუქზე განჩრდილულ ნადირს გველისხის ქვეშ მდგარს და ეს სიხარულით ავსებდა მათ გულებს.

სასოწარკვეთილი ყვიროდა ფურ-ირემი, გადასცქეროდა ბერმუხას, თითქოს მანდ ეძებსო თავის მეუღლის მკვლელს.....

ორნი სულგანაბულნი შესცქეროდნენ ბუნების ამ იშვიათ აპოთეოზს, რომელიც თითქოს მოაგონებდა ფრონტზე წასული ვაჟკაცების მეუღლეებსა და სასძლოებს — ომს, გულისწორთა გამთიშველს.

ვახტანგი გველცემულივით წამოდგა, მკლავზე ხელი წაიღო თავის ცოლს და სახლისკენ წაიყვანა, მაგრამ შინმისულს, ჯერ მისწვდა რადიოს ხმები: ფრონტის უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემდა ღამის დიქტორი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამგავი შავი ზღვისა და ერთი თევზისა

ვახტანგ კორინთელს ბარათი მოუვიდა ფრონტიდან [1].

„ძვირფასო ამხანაგო პროფესორო! ვასრულებ შეპირებულს, — იწერებოდა სოლომონ გულუხაიძე. — შეძლებისამებრ მოგითხრობთ ჩვენს თავგადასავალს. მე ხომ გადაწყვეტილი მქონდა კალამი არასოდეს ამეღო ხელში, მაგრამ ისეთი გაუგონარი ამბები გადაგვხდა თავს, მოუცილებელი სურვილი აღმეძრა, ზოგი რამ მაინც მომეწერა თქვენთვის.

გოდერძი ელანიძეს სოხუმში შევხვდი პირველად, იგი იქ უცდიდა საავიაციო პოლკში განწესებას. ამის შემდეგ იგი ნალჩიკში გადაუგზავნიათ, ოთხჯერ დაუჭრიათ, უფროსი ლეიტენანტის წოდება მიუღია.

თებერვლის დამლევამდის ჩვენ ქერჩში ვიბრძოდით ქართული დივიზიის რიგებში, აქ იყვნენ ტანკისტები: ხელაანთ ვანო, მარტიაშვილი სტეფანე, კოლა სოკოლოვი, როსტიაშვილი ნიკო, იგივე მეღორე პოპოლა და ხირჩლა ოჩიაური, სწორედ ის ახმახი ხევსური, რომელიც ჩემთან ფარიკაობდა ბერმუხის ქვეშ. მარტში გოდერძიც აქ ჩამოიყვანეს.

მე არ შევუდგები დაწვრილებით თხრობას იმისას, რაც გადამხდა თავს ამ ერთი წლის მანძილზე, სად შემწევს იმის უნარი, თუნდაც მიახლოებით აგიწეროთ ბლინდაჟებში გამართული ბრძოლები და ღამეული იერიშები.

მოგეცეს ლხენა, ვიჯერე ფაშისტ გველებზე ნადირობით გული. ლესნერის მიერ ნაჩუქარი პისტოლეტიც აქ გამოვიყენე არა ერთგზის.

საჯერ დამჭრეს. ნულარ მკითხავთ, რა წამება გადამხდა ამ ლაზარეთებშიც, სადაც ჯერაც ცოცხალი ადამიანი შესცქერი როგორც საკუთარი, ისე შენივე ამხანაგების ხორცის თანდათან ლპობას.

---

[1] ლეიტენანტის სოლომონ გულუხაიძის ეს ბარათი სავსებით მოულოდნელად მე ჩამივარდა ხელში, ჩართულ ნოველებად გადავაკეთე. რა თქმა უნდა, ისინი ენობრივად შესწორებულია და ალაგ-ალაგ შეკვეცილი ჩემს მიერ — კ. გ.

(უნდა გამოგიტყდეთ, ლაზარეთი ბრძოლის ველზე უფრო საშინელია). როცა ფაშისტებმა თავისი შტურმბატალიონები ჩრდილო კავკასიას შეუსიეს, უკვე პარაშუტიდან დესანტებს და დივერსანტებს ყრიდნენ ჩვენს მთებში და საქართველოს დასალაშქრავად ემზადებოდნენ, მთიელები შეგვარჩიეს და ტუაპსეში ‍ ‍ ‍

ღამღამობით მესიზმრებოდა: ვითომ ციხიწისქვილში ვზიგართ, შიშხინა მწვადებსა და ცხელ დედას-პურებს შევექცევით, ქირმმარაულს მივირთმევთ... უცებ გამონაღვიძებს რაჯგუნი და რაკუნი, ისევ ზღვის უდაბნოში მოყიალე გემზე ვართ და გვშია.

მე მგონია ყოველ სატკივარზე უარესია შიმშილთან ბრძოლა. ორ დღეს კარგი დარები იდგა, მესამე დღეს ქარბორბალა ამოვარდა და შიმშილი გამოგვინელეს შტორმებმა.

კოლა სოკოლოვისა და ნეღორე პოპოლას გარდა თითქმის ყველას ზღვის ავადმყოფობამ დარია ხელი.

ავად გაგვიხდა მაიორი შალამბერიძე, ჩვენი ეშელონის მეთაური. სიკვდილის პირზე მიაყენა ხირჩლა ოჩიაური.

გამოირკვა: ხირჩლას მხოლოდ დახატული თუ ენახა ზღვა. კელასაგან დაკბენილ დათვივით ბურდღუნებდა და გორავდა ნარზე. როგორც კი იძალებდა ღელვა, გულისრევა აუტყდებოდა, ბრაგვანს გაადენდა ძირს. წელი მოგვწყდა ამ ვეება ვაქკაცის ნარზე ათრევისაგან.

კაპიტანი სმირნოვი მოვიდა, დაგვხედა. გაიღიმა და სთქვა:

„რამ წაგახდინათ, ბიჭებო, ქართველი ვაქკაცები არა ხართ?"

„ქართველები მხოლოდ ხმელეთზე ვართ ვაქკაცები, ამხანაგო კაპიტანო", მივუგე.

ისევ დამშვიდდა ზღვა. ახლა შიმშილმა მოგვიჭირა თავისი ჭანგები. კაპიტანი სმირნოვი მაინც არა სცხრებოდა, შევიპარებოდით რომელიმე პორტში, ატყდებოდა ზარბაზნების გრიალი და ისევ ზღვას შევაფარებდით თავს.

მიუხედავად ამ გაძაღლებული ყოფისა, დაუცხრომელი ბრძოლებისა და სისხლის წვიმების განმცდელნი ისე ვგრძნობდით თავს, თითქოს ნცურავ სამოთხეში ვიყოფებოდით. განსაკუთრებით როცა ზღვა დაწყნარდებოდა და მუქლურჯი ტალღები ფიანდაზად ქვეშ გაეგებოდნენ გემს.

ხანდახან მთვარე გადმოგვხედავდა, მივცურავდით ხმელეთიდან გაძევებულნი, როგორც სიზმარეთს მიმავალი სტუმრები.

ხირჩლა ოჩიაურიც გამოცოცხლდა. ისევ დაიწყო თავისი ომახიანი ბუხუნი: კავკასიონის მთებში თუ მოვიგდე ლემენცები ხელში, ნამჯასავით გავჯეგავო მაგ ღორისდასმულებს.

განა მარტო ქადილი იცოდა ხირჩლამ. მე ჩემის თვალით ვნახე, როცა ფაშისტების ბლინდაჟი ავიღეთ ერთი, ხირჩლა ხელჩართულ ბრძოლაში ესესელებთან. კაცი კაცს შესტყორცნა ტარიელსავით.

ეს იყო ოღონდ, ვერაფრით ამოვყორეთ ბედშავი ხირჩლა. მშია, მშიაო, იძახდა ბალღივით. ყოველი ჩვენთაგანი იკლებდა ულუფას,

მაგრამ ფარაონის ძროხასავით მუდამ მშიერი იყო ეგი, ამიტომაც „ფარაონის ხარი“ დაარქვეს მას ბიჭებმა. ეს ამბავი არც ისე ხანგრძელია, ორი მეტრი სიმაღლისა იყო ხირჩლა. ერთხელ სამეო ზარბაზნის გამწევს მოტორი ჩაუქრა, მარტო ერთი ტერჩლა ეფეთქა ზედ და ტალახიდან გამოათრია ზარბაზანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არანაკლები უძღომელობა გამოიჩინეს მეღორე პოპოლამ და კოლა სოკოლოვმა. ქერჩიდან წამოსვლისას ჩვენ დაგვირიგეს ოც-ოცი კონსერვი და დაშაშხული ლოქო, თითო მეტრის სიგრძე იქნებოდა ყოველი მათგანი.

ხირჩლამ, პოპოლამ და სოკოლოვმა თავიანთი კონსერვები და თევზები შესანსლეს, ჩემი და გოდერძის კონსერვები ზედ მიაყოლეს, ახლა ჩამომეკიდნენ: გინდა თუ არა, შენი ლოქოც გვიწილადეო.

მე და გოდერძიმ მოვითათბირეთ, ეს ლოქო რომ გამოგვეჩინა, ჩიტის ულუფა შეხვდებოდა ყოველ ჩვენგანს. ტუაპსეში რომ ჩავალთ, იქ შევექცეთო, ასე გადავწყვიტეთ.

მე ძლიერ მიყვარს თევზი, ბიჭები ისე დალესილნი მიძუგძუგებდნენ, ვგრძნობდი, ნებით ან ძალით წამგლეჯდნენ უცილოდ, ამიტომაც ჩვენს სქელ მზარეულს მივაბარე, ტიხონს. დავანამუსე: ჩვენ ბიჭებთან არ გამთქვა-მეთქი...

ჩვენს უძღომელებს აგრე ეგონათ, ის ლოქო მე სანივთე ტოპრაკში მქონდა გადამალული. მოვიდოდნენ, ჩამოჯდებოდნენ ჩემს ნარზე, ხოტბას ასხამდნენ ლოქოს როგორც „საუკეთესო თევზს“, ზუთხი ან ორაგული ახლოს ვერ მივლენო ლოქოსთან.

ლოქოსთან ერთად მეც მაქებდნენ: დიდი პურმარილიანი კაციაო ლეიტენანტი გულუხაიძე.

შიმშილს გვიორკეცებდა დამშეული ბიჭების ნატვრა.

მომიჯდებოდა რომელიმე მათგანი და ნატრობდა:

„ნეტავ მაჭამა კახურად, მრგვალად მოხარშული დედალი ნივრის წვენში ჩადებული, იფ, იფ“.

ახლა მეორე იტყოდა:

„ამას მე მირჩევნია კაი ბატკნის მწვადი, ვაზის წალამზე შემწვარი“.

„თოხლისას დამიწუნებ, შენმა მზემ“, იტყოდა სხვა.

„არც ჩალაჯი გვატკენს კბილებს“, ამბობდა მეღორე პოპოლა.

„არა, ხაში, ლავაში და ჭაჭის არაყი უფრო მეტად მოგვიხდებოდა ამ დილით“, იჯღანებოდა კოლა სოკოლოვი.

„თონეში შემწვარ გოჭს რას უწუნებთ, ბიჭებო, ხელის შეხებისას რომ იმსხვრევა გატკიცინებული, წითელ-ყვითლად დაბრაწული კანი.

ჰაი, ჰაი, რა გოჭები ჰყავს დედაჩემს. ერთი ჭურის თავზე დგგვსვა ახლა“, ინატრა აფხაზეთელმა აფაქიძემ.

სხვები სხვას ნატრობდნენ: ინდოურის საცივს, გელაქნურ ორაგულს, რიონის ზუთხს, ოჩხის თევზს, რომელსაც შავ ქვირითი აქვს ჩალექილი მუცელში.

ხომ ასე ვიტანჯებოდით, მაგრამ ახალგაზრდული სული შეუმუსვრელია, მეც ავყევი ახალგაზრდებს.

ას წელსაც რომ ვიცხოვრო ამ წუთისოფელში, არ გავამხელ, დავბერდი-მეთქი, არც ხუმრობას მოვიშლი ოდესმე, თუნდაც ეშმაკებმა კაჩხაზე დამკიდონ ფეხით.

გარდა ამისა, ყოველ ბრძოლაში, ყოველ გასაჭირში მაგონდება ხოლმე თქვენი სიტყვები: უსასტიკესი ბრძოლის ველი ადამიანისა საკუთარი საწოლიაო, რომ დაბარეთ ჩვენს მეომრებს.

ერთ დღეს გამომეჭიმნენ ნარზე მწოლარეს სერჟანტი კოლა სოკოლოვი და მეზარბაზნეები: ხირჩლა ოჩიაური, ნიკო როსტიაშვილი, სამხედრო სალამი მომცეს და მითხრეს:

„ნება გვიბოძე, ამხანაგო ლეიტენანტო, სანამ ამ გემზე ვიმყოფებით, ისევ ნიორთავა გიწოდოთ“.

მე მივხვდი, თუ რა მუცლის გვრემა აწუხებდა ნათ: როგორც მათ უფროსს, ვერ მიბედავდნენ ლაზღანდარობას, თუ მე მივცემდი ნებას შერქმეული სახელის წოდებისას. მერმე ხელს გამოიღებდნენ და შეეცდებოდნენ თავიანთი საკბილო ძალით ან ნებით მიეტაცებინათ.

გამეცინა და ვუპასუხე: ნებას გაძლევთ-ნეთქი.

თანაც აგრე ვფიქრობ ჩემთვის: რა დიდი ჩინები მე მაწუხებს, ნიორთავა დამიძახონ, გინდაც კიკო.

ეს სახელი მე მაგონებს კახეთს, ჩვენს საყვარელ კავკასიონს, ყოველ თქვენთაგანს და ალაზნის ველს.

რაც ბერმუხიდან წავედი, მე ეს შერქმეული სახელი არც გაბიგონია. თქვენ კარგად იცით, მე თავაზიანი ვარ ცხოვრებაში, მაგრამ სამხედრო სამსახურში აფთარივით ავი გავხდი, გაწურული მყავდა ჩვენი ბიჭები: ცხადია, აქ თამაშისა და ლაზღანდარობის დრო არ არის.

დაწინაურდა სოკოლოვი, იგივე „პუშკინი“ და მითხრა:

„ნიორთავა, ჩვენო საყვარელო ძმაო, შენ ხომ იცი, ფრიცების მესერშმიტები კვალდაკვალ მოგვსდევენ, შესაძლოა ბომბები დაგვიშინონ და შენ თავათ გახდე ლოქოების საჭმელი; შენ ზღვამ გაწყინა და მადა არ მოგცა ღმერთმა, დაგვითმე შენი ლოქო, თორემ ხომ იცი, როგორც მიცვალებულებს თმები, ისე ეზრდება და-

შაშხულ ლოქოსაც ულვაშები და ბოლოს შენ სიგრძე გაუხდება“.

მე ვუთხარი:

„პუშკინ, წადი, ძმაო, ნომცილდი თავიდან, ჩემი კონსერვები ხომ შესანსლეთ, ღმერთმა შეგარგოთ; თუ, როგორც შენ ამბობ, დაშაშხულ ლოქოსაც ულვაშები ეზრდება, როცა ტუბაში ჩავალთ, ეს მსუქანი ულვაშები თქვენ მიირთვით“.

როგორც იქნა მოვიცილე თავიდან ეს უძღომელები.

ზღვა სავსებით დაწყნარდა, მესერშმიტები აღარსად სჩანდნენ. ახლა მე და გოდერძიმ ერთი კედლის გაზეთიც მოვაფოხრიკეთ.

მე ცოტა არ იყოს ხატვა მემარჯვება. უსაქმურობისგან კარიკატურების ხატვას მივყავი ხელი.

ხევსური ხირჩლა დავხატე, მუზარადიან, ჩოხიან დევკაცს იოანე მოციქულის მიბაძვით ხმალი გაურჭვია პირში. ქვევით წარწერა აქვს ასეთი: „ნეტავი ლოქოდ გაქცია, ხმალო“.

მეორე დღეს ისევ ახალი კარიკატურა დავხატე: ხევსური ხირჩლა და მზარეული ტიხონი; გაბრაზებული ხირჩლა ეჩხუბება ტიხონს:

„შენ მე ნიორთავას ულუფით უნდა შემაჯერო, ნიორთავას ულუფა ჩემს მარჯვენა ფეხსაც ვერ გამოკვებავს“.

იქვე დაცუცქული „პუშკინი“ ამბობს:

„რა ეშველება ნარცხენას, ტიხონ? ორი ულუფა მიართვი ხირჩლას“.

მესამე დღე აღინიშნა ასეთი კარიკატურით ჩვენს კედლის გაზეთში: პოეტი პუშკინი უზარმაზარ სვეტის თავზე დახატულია. ქვევით კოლა სოკოლოვი დაცუცქულა. დიდი პუშკინი ეუბნება პატარა „პუშკინს“:

„თმაწვერით ნუ მბაძავ, კოლა, გიჯობს ჭკუით მომბაძო“.

ჩვენი მდგომარეობა არც ისე სასიხარულო იყო, მაგრამ მაინც ვლაღობდით და ვიცინოდით, და სიცილით ვებრძოდით შიშსა და შიმშილს.

ერთ საღამოს დაიწყო საშინელი შტორმი. ისეთი კაკუნი და რაკუნი ატყდა კაჟუტებში. გეგონებოდათ ჭინკები შემოსევიანო გემს.

ქარი ზედ ეხეოდა ანძებს შორის გაბმულ მავთულებზე, შეცხადებულსავით წიოდა. მე გემბანიდან ვხედავ თუ როგორ გულისდებოდა ნელ-ნელა შავი ზღვა.

ერთბაშად დაიმსხვრა ზღვის ზედაპირი, თითქოს ავმა სულებმა ამოხეთქესო უფსკრულებიდან, ამოძრავდნენ ტალღები, ერთიმეორეს ახტებოდნენ ისინი თავზე, თითქოს ოთურმას თამაშობენო, ნერმე ბორცვებად იქცეოდნენ, გამოქანდებოდნენ, ზედახორად შეასხდებოდნენ ერთმანეთს, ნაფოტივით ათამაშებდნენ ჩვენს გემს.

მე მზარეულთან ჩავედი. ტიხონმა პილპილიანი არაყი დამალევინა, ზღვის ავადობის წამალიაო. თავი წავაჭრევინე ლოქოსთვის, ჩავედი ჩვენს ბიჭებთან: იატაკზე განრთხმული იწვნენ პოპოლა, „პუშკინი“ და ხირჩლა.

„ა ბიჭებო, მე და გოდერძიმ ლოქო შევჭამეთ, ეს თავი ოქროსკაა დაგიტოვეთ“.

მწარედ გაიღიმა კოლამ და ეს წაიბუტბუტა:

„ახლა ბებიაშენს გაუგზავნე ლოქოს თავი, ძუნწო ნიორთავა“.

ხირჩლამ მითხრა:

„ჰო, მაგრამ შენ როგორ უძლებ ასეთ ღელვას, ნიორთავა, ეშმაკის კერძო?“

„აბა მე სიმართლეს გეტყვით, ბიჭებო, — მივუგე მე. — ღორმუცელები რომა ხართ და სხვისი ულუფაც რომ არ გყოფნით, იმიტომ გემართებათ ეგ“.

მეორე დღეს ზღვა დაწყნარდა. მე ნთელი ღამე წიგნს ვკითხულობდი, ამიტომ გვიანამდის მეძინა. ერთბაშად უცნაური რყევა შევიცანი, რყევა და შეკავებული სიცილი.

თვალი გავახილე: ხირჩლა და პოპოლა მომდგომოდნენ, ერთს თავკისერში წაეკლო ხელი, მეორეს ფეხებზე, მარწევდნენ და მაქანავებდნენ, თანაც სიცილისგან იგუდებოდნენ.

კოლა სოკოლოვი ჩემს ტოპრაკს მისდგომოდა და გულიანად ჩხრეკდა.

„აბაოდ დაძვრები, მანდ ვერაფერს იპოვნი, ჩემო კოლა!“

ვეუბნები „პუშკინს“.

„აბა მე გეტყვი, ნიორთავა, სანამ არ გაგვიმხელ სად გადამალე ლოქო, იმდენს გაქანავებთ და გარყევთ, ზღვის ღელვა მოგენატრება, იცოდე“.

არ გასჭრა არც ფიცმა, არც იმის მტკიცებამ, რომ მე და გოდერძის შეჭმული გვაქვს-მეთქი ლოქო. ხირჩლამ ირწმუნა ჩემი ნათქვამი და გამეცალა, კოლამ და პოპოლამ განაგრძეს ჩხრეკა.

ყველაფერი გადმოაქოთეს და ლოქოს ნაცვლად იპოვნეს რეოლვერი „ვალტერის“ სისტემისა და ერთიც ელექტროფანარი „ხოჭო“. ეს უკანასკნელი მოყვანილობითა და განგებისად კრიალა შავი ფერით ძლიერ წააგავდა ნამდვილ ხოჭოს. ეს ნივთები ჩემს მიერ მოკლულ გერმანელ ოფიცერს ავართვი.

ახლა აბიხირდნენ: ესენი მაინც გვაჩუქეო.

ამ საჩუქრებმაც არ იკმარეს. ერთ ღამეს მოვიდა პოპოლა და გვეუბნება: საიდუმლოდ გავიგე, ამაღამ განგაში იქნება, მესერშმიტების თავდასხმას მოელისო მაიორი შავგულიძე.

„პუშკინმა“ სერიოზული გაბრმეტყველებით მითხრა:

„მაინც ვიღუპებით, ხომ ხედავ, ნიორთავა, მოიტა შენი ლოქო, ერთი ლოთიანად გავძღეთ სიკვდილის წინ“.

ისეთი დამწუხრებული გამომეტყველება მიიღო სოკოლოვმა, მე მართლაც დავუჯერე მათ ნათქვამს, წამოვდექი და მზარეულთან ვაპირებდი წასვლას, გოდერძი მომღიმარი შემომეგება წინ.

„არ გაბრიყვდე, სოლომონ, არავითარი განგაში არ იქნება, არ გამოაჩინო ლოქო“.

მეშვიდე დღეს ტუაპსეს ვუახლოვდებოდით, ჩვენ უკვე ბარგის შეკვრას შევუდექით. „პუშკინი“ მეუბნება ჩურჩულით: განგაში იქნებაო ახლავე. ნე მეგონა ისევ მატყუებდნენ, არხეინად ვიწექი მხართეძოზე. ამ დროს მართლაც ატყდა განგაში, გემბანზე გავედით თუ არა, ჩვენმა მეზენიტეებმა ასტეხეს სროლა. ვუთვალთვალებთ მოღრუბლულ ცას. ბოლოს შევნიშნეთ: ორი თვითმფრინავი გამოჩნდა ტალახისფერ ღრუბლებში. ისინი წამიერად გაიელვებდნენ, ისევ მიეფარებოდნენ თვალს.

ბოლოს ერთი მათგანი ჩამოაგდეს ჩვენმა მეზენიტეებმა, მეორე დასავლეთისკენ გაფრინდა.

ტუაპსეს პორტამდის ორიოდე კილომეტრი გვიკლდა, ისევ ასტეხეს ჩვენმა მეზენიტეებმა სროლა, მაგრამ უცებ გაისმა საშინელი გრიალი, გემი „ანაპა“ შუაში ვახლიჩა ბომბმა.

მე არც კი ნახსოვს რა მოხდა მერმე, მე და რამდენიმე მეომარი ზღვაში აღმოვჩნდით, ერთ უზარმაზარ, შეღებილ ფიცარს ვებღაუჭებოდით.

ჩემს გვერდით დაფორთხავდა ზღვაში ჩვენი სქელი მზარეული ტიხონი თავისი თეთრი ჩაჩით. ძალიან სასაცილო იყო ამ ღიპიანი კაცის ბაყაყური.

მე ძველი მეთევზე ვარ, მაგრამ რიგიანი ცურვა არც მისწავლია, ცხადი იყო ჩემთვის: ის საცოდავი „ძაღლური“, რომელიც ალაზანზე მყოფნიდა, შავ ზღვაზე არ გაბრმადგებოდა. ჩვენმა ბიჭებმა მხარული გაჰკრეს და პორტს მიაშურეს.

გოდერძი პირველი მოვიდა ჩემთან, მითხრა: მკლავში ხელს წაგავლებ, მეორე ხელით ვცურავ და ისე მიგიყვანო კატერებამდის. კატერები მართლაც მოდიოდნენ ჩვენსკენ. მე სავსებით გათოშილი ვიყავი, ხელ-ფეხი წამერთვაო თითქოს, მაგრამ არ დავთანხმდი, მოვუცდი-მეთქი კატერებს.

ახლა პოპოლა და პუშკინი მოვიდნენ.

„აჰა, ნიორთავა, — მეუბნება პუშკინი, — იცოდე, შენი სული

ჩვენს ხელშია! ახლა მაინც გვითხარი, სადა გქონდა გადამალული ის ლოქო?“

მხოლოდ მაშინ გავთქვი ჩემი საიდუმლო.

პუშკინმა და პოპოლამ აქეთ-იქით გამიყარეს მცლავი, ცალცალი ხელით ცურავდნენ, ისე წამიყვანეს კატერებისკენ.

მაიორმა შალამბერიძემ სალდათები დაათვლევინა. ათი კაცი გვაკლდა. კატერებში ჩაგვსხა და წარგვგზავნა იქითკენ, სადაც გემი „ანაპა“ დაინთქა ზღვაში.

ნიკო როსტიაშვილმა ხელი შუბლზე მიიჩრდილა, იყვირა: აგერ მოცურავენო ჩვენი ბიჭები. რამდენიმე კაცის თავი ნოსტანდა ტალღებში. როცა მივეახლეთ, შევძრწუნდით: ტანს მოცილებული თავები ჩვენსკენ მოჰქონდა ზღვას. თურმე ნუ იტყვით, ადამიანის თავი არ იძირება ზღვაში.

როცა ხმელეთისკენ გავბრუნდით, ვნახეთ, ზღვას ზედ ნაპირზე მიერიყა ჩემი თავწაჭრილი ლოქო, ხირჩლა, პოპოლა და პუშკინი ისე დამწუხრებულნი იყვნენ, მათ უკვე კრინტი არ დაუძრავთ ლოქოს გამო.

ჩვენ ორ დღეს ვუცადეთ ტუაპსეში გენერალ ლესელიძის ბრძანებას. პოპოლამ ერთი მოხუცი ოქრომჭედელი ჩერქეზი გამოსჩხრიკა, ჩემს მიერ ნაჩუქარ რევოლვერისა და ხოჭოს სახელურზე ამოატვიფრინა შერქმეული ჩემი სახელი „ნიორთავა“.

რევოლვერი და „ხოჭო“

გაზაფხული ბარს სწვევოდა უკვე, ხოლო კავკასიონის მთიანეთში ლელმა იწყებოდა მხოლოდ. სატანკო დივიზიის ერთ-ერთი ბატალიონი იცავდა ყუბანის ხეობის ყელს სწორედ იმ ადგილას, სადაც ეს მდინარე მაღალმთიან რაიონებიდან გამოდის უკვე.

მძაფრად დახრამული ნდინარის გალმა წრიულად გაწკაპული იყო გორაკები, ხოლო მის მოსახვევთან დელტა უმნიშვნელო: ამ დელტასთან ეს გორაკები ისე უახლოვდებოდნენ ურთიერთს, ორი უკანასკნელის წოპზე შემდგარი კაცი თამამად მიაწვდენს ხმას მეორეს. სწორედ ამ ადგილას შემოდის ხეობაში საკმაოდ განიერი თეშარა.

ბატალიონის მეთაურს, მაიორ შალამბერიძეს ნაბრძანები ჰქონდა დივიზიის შტაბიდან: რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ეს გზა დაეცვა და ფაშისტების სატანკო ნაწილები ხეობაში არ შემოეშვა, თორემ ქართული დივიზიის მარცხენა ფრთა მოჭრილი აღმოჩნდებოდა.

ამ გორაკებზე მიწური დაცვის ხაზი ჰქონდა მოწყობილი ბატალიონს. ბლინდაჟებს შენიღბვაც არა სჭირდებოდა, რადგან დათოვლილი ჩირგვები ფარავდნენ მათ.

ყოველ ბლინდაჟში საზენიტო ზარბაზანი იდგა [illegible] სამთო ზარბაზანი, პეტერებიც ჰქონდათ, ტანკებს [illegible] თოფები.

გორაკებს შორის უნაღლესზე საკომანდო პუნქტი იყო. მწყემსურ ფაფახსავით აწოწილი იყო ეს წოპი, წიწვიანი ტყით შემოსილი.

ერთადერთი მძაფრად დაკლაკნილი შარა ადიოდა ზედ, მხოლოდ ჯორებით ამოჰქონდათ საჭურველი და სურსათი. სამიოდე საზენიტო იდგა საკომანდო პუნქტზე, რადგან ტანკებს გარდა მტრის ავიაციაც ხშირად ესხმოდა ამ ბატალიონს თავს.

შეუნელებელ ბრძოლებში ბატალიონი თითქმის განახევრდა, მაგრამ წინააღმდეგობის სული შეუმუსვრელი აღმოჩნდა.

უკუაქცევდნენ რონელიმე საატაკო კოლონას, გამოხდებოდა მცირეოდენი ხანი, ახლა მეორე და მესამე საატაკო კოლონა მოადგებოდა ხეობის ყელს.

ვიდრე ყინვები იდგა, ფაშისტები არა ცხრებოდნენ, დაიწყო თუ არა საგაზაფხულო წვიმები, ამოისუნთქა ბატალიონმა. ერთბაშად შენელდა ფაშისტების შემოტევა.

კაპიტანი შალამბერიძე აფრთხილებდა მეომრებს: ეს სიჩუმე მეხთატეხის კვირაძალიაო. წარამარა უთვალთვალებდა ბარომეტრს. სწორედ ანიტომაც წარგზავნა მან მტრის პოზიციებს გადაღმა მზვერავები: ხირჩლა ოჩიაური, კოლა სოკოლოვი და ნიკო როსტიაშვილი, რომელთაც მთელს დივიზიაში ვაიფქვეს სახელი, როგორც უმამაცესმა მზვერავებმა და მთასვლელებმა.

ზამთრის პირობებში თხილამურებით, წრიაპებითა და ბანდურებით აღჭურვილნი კავკასიონისა და მის განაშტოებთა მწვერვალებზე ისე გადადიოდნენ, როგორც საკუთარ კარის ზღურბლზე გადადის ხოლმე კაცი.

მზვერავებს საგანგებოდ აცმევდნენ ხოლმე თეთრი ბატკნის ტყავისაგან გაკეთებულ ტყაპუჭებს და ეს უადვილებდა მათ დათოვლილ მიდამოებში მტერთან მიპარვას.

დაზვერვის გარდა ისინი სხვა დავალებებსაც ასრულებდნენ: მიპარვით ხოცავდნენ გუშაგებს, პონტონებსა და ბოგირებს აფეთქებდნენ, ხანაც მაგრად გაკოჭილ „ენებსაც“ მოათრევდნენ ხოლმე ბატალიონში.

როცა დიდი მასშტაბის ოპერაციების ჩატარება დასჭირდებოდა

ბატალიონს, საგანგებოდ არჩევდნენ სვანებს, თუშებს, ხევსურებს, ნოხევეებსა და ფშაველებს.

მხოლოდ ერთ რამეს უჩივოდა მაიორი შალამბერიძე: ხირჩლა ოჩიაური ნამეტნავად ავგული იყო, თუ ძალიან გაუძალიანდებოდა რომელიმე ფაშისტი, სასტიკ დღეს დააყრიდა ხოლმე მას.

ამ სამი მზვერავის წასვლის შემდეგ ბარე ათი დღე გავიდა, ხანბეტერი არ ისმოდა მათგან. ბატალიონის ხელმძღვანელობა ნაღვლობდა უკვე: ვაითუ დაგვიხოცესო ეს მამაცი ვაჟკაცები.

ერთ ღამეს ლეიტენანტი სოლომონ გულუხაიძე იყო მორიგედ საკომანდო პუნქტზე. ნაშუაღამევს ქარ-წვიმა დაიწყო, გათენებისას თოვლი მოვიდა.

ლეიტენანტი გულუხაიძე ბლინდაჟიდან გამოდიოდა, ისე შემოესმა ახალი თოვლის ჭრაჭუნი და ქშენა. პისტოლეტი შეწკიპა და ფანარი მიანათა ბილიკის თავს.

სანი კაცი თითქმის მუხლებით ამოდიოდა ბილიკზე, ნაბადში გახვეულ ტვირთს მოათრევდნენ.

რომელი ხარო? შესძახა გულუხაიძემ.

თეთრქურქიანი ახმახი წელში გაიმართა: „არ გვესროლო, ჩვენა ვართ", სთქვა ხმადაბლა.

გულუხაიძემ ხირჩლა შეიცნო.

სამმა თეთრქურქიანმა პირველსავე ბლინდაჟში შეათრიეს ტვირთი და როცა ნაბადი შემოხსნეს, ფაშისტი ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი წამოჯდა მხრებგაკრული საწოლზე. ძლივს ინაგრებდა ეს თმებგაბურძგვნილი თავს, უკმაყოფილოდ ჯაჯღანებდა თანდამსწრეთათვის გაუგებარ ენაზე.

ლეიტენანტ გულუხაიძემ უბრძანა სერჟანტებს: გაუხსენითო მხარმკლავი ტყვეს.

მზვერავებს ისე მაგრად გაეკოჭათ იგი, ვიდრე თოკებს შემოხსნიდნენ, უკვე ინათა. გულუხაიძე თავზე წამოადგა პირქვე დამხობილს, ჩაბალახი მოხსნა თავპირიდან. მხარზე ხელი მოუცაცუნა: ადექიო, მიაძახა.

მიწაზე დამხობილნა წამოდგომა არ ინდომა. წამოჯდა უცნაურად სახედაღრეჯილი, მუხლისთავები მტკივაო, მუნჯურად ანიშნა ლეიტენატს.

ერთხანს ასე იყო ორივე ხელზე დაყრდნობილი. ისე უმარჯვოდ იჯდა, კაცს ეგონებოდა, სადაცაა წამოიქცევაო. გულუხაიძემ უბრძანა სერჟანტებს: პირიდან ბამბები გამოუღეთო.

„კიდევ არ დაგვერიოს და არ დაგვკბინოს მაგ სახეძაღლმა", სთქვა როსტიაშვილმა და მუნჯურად ანიშნა: შენ თავათ გამოიღეო

პირიდან ბაღბა. როცა ეს მოხდა, ტყვემ კბილები დააკნაწუნა, თითქოს უნდოდა თავათ დარწმუნებულიყო: კბილები თუ შემრჩაო მრთელი.

დასცქეროდა მიწას და ბუტბუტებდა თავის ენაზე.

„გააღვიძეთ სერჟანტი წიკლაური და აქ მომგვარეთ“, ბრძანა ლეიტენანტ გულუხაიძემ.

მზვერავებმა ქურქები გაიხადეს, სველ ბანდულებს იხსნიდნენ.

„ლამის არ იყო თავი არ შემომაკლა მაგ მწერელთ ტყვემ!“ ბურდღუნებდა ხირჩლა ოჩიაური.

ნიკო როსტიაშვილი ეუბნებოდა გულუხაიძეს:

„ღვინის ქურდი თხლეზე შეისწრესო, აგრე ნაუვიდა ამ ნემენცს: სოფელში ორი ბატი მოეპარა. ტყისპირად ჩირგვებში ვიჯექით სულგანაბულნი. როცა გაგვისწორდა, ხირჩლა გამაენთო, შემკრთალმა მოუქნია ბატი და თავში უთაქა ხირჩლას.

ოცი წუთი ებრძოდნენ ერთმანეთს. ბოლოს წამაიკიდა ხირჩლამ და მიწაზე გააპრტყელა. მე თოკი მზადა მქონდა, ნხრები გავუკარი. კარგა ხანს იწვა პირქვე დამხობილი. მერმე მივედით, გადმობრუნება რა დავუპირეთ, მაჯებში გვეცა, დაგვერია და ძალლივით დაგვკბინა.

გაცოფდა ხირჩლა: დავახრჩობო მაგ გველის მართვეს. შეგვეშინდა არ მოგუდოსო, ძლივს გამოვართვით ხელიდან. კოლამ ბაღბებით გამოუტენა პირი, ბოლოს წამოაჯდა ხირჩლა და როგორც ცხენს ამოსდებენ ხოლმე პირზე თოფრას, ისე აუკრა ჩაბალახით პირი“.

ბლინდაჟში მოსეირენი შეეოიჭრნენ, წითელარმიელები გულმოდგინედ ათვალიერებდნენ ტყვეს. ახალგაზრდა იყო, დათვის ბელივით ჩაკურატებული. ბატისბეიტისფერი, მეჩხერი წვერი ჰქონდა მოკლე ნიკაპიანსა და ლოყებგაბუშტულ გერმანელს. სიმინდის ხაშარივით წითელ-ყვითელი კულულები უწესრიგოდ ჩამოშლოდა შუბლზე. მარჯვენა ლოყასა და ყვრიმალზე ხიშტისაგან მიყენებული შრამები აჩნდა.

ვიდრე სერჟანტი წიკლაური ნოვიდოდა, გულუხაიძემ წითელარმიელებს უბრძანა გარედ გასულიყვნენ. არაყი და თევზის კონსერვი გამოუტანა გათოშილ მზვერავებს.

ნიკო როსტიაშვილმა სამი თითით ამოიღო თევზი კონსერვის კოლოფიდან, პური მოუტეხა და გამოშვერილ ხელებში ჩაუდო ტყვეს.

მან თევზი ახლოს მიიტანა ცხვირთან, უსუნა და თავი შეიკავა ჭამისაგან.

„ჰამე, შე ღმერთძაღლო“, მიაძახა კოლა სოკოლოვმა.

„ნოეშვით მაგ ღორისდასმულს! თუ არ ჩაცეცხლავს, ბაბაჩემთანაც წასულა“, ბუზღუნებდა ხირჩლა და მადიანად ილუკმებოდა. როგორც კი შემოვიდა სერჟანტი წიკლაური, ტყვემ თავი ასწია და თვალი გაუმართა მას.

„Nun Bursche, was haben Sie uns zu berichten?“ [1] შეეკითხა წიკლაური.

ესეც შენიშნა: ტყვეს ეამა მშობლიური ენის გაგონება. სახის კუნთები აუთამაშდა, წამოძალებული სიხარულის ნატამალმა გამოაშუქა მუქლურჯ თვალებიდან. ზემო-ტუჩი ოდნავ, სულ ოდნავ შეუტოკდა, ისევ ნიწას დააშტერდა და გაოცებულმა სთქვა:

„Berichten?! Was soll ich hier berichten, Herr Serjant? Als einem Soldat der Reichsarmee mir obliegt zu schweigen. Sie haben doch wahrscheinlich gehört, Schweigen ist Gold, Schweigen ist Cold manchmae“[2].

„Nein, nein, junger Mann, Schweigen ist nicht immer Gold...“[3]

მიუგო წიკლაურმა.

ბოლოს დახედა მის ხელებს და უთხრა:

„Essen Sie..“

ტყვემ ცხვირთან მიიტანა თევზი და წაიბუტბუტა:

მოწამლული ხომ არ არისო ეს კონსერვი?

„რატომ ამბობთ ამას?“ შეეკითხა წიკლაური.

„არა, მე ისე ვთქვი, განაგონი მაქვს, თქვენ თურმე საჭმლით წაგლავთ ხოლმე სამხედრო ტყვეებს“.

წიკლაურმა ნამტსრევი აიღო როგორც კონსერვისაგან, ისე პურისაგან და პირში ჩაიდო, დაღეჭა და ირონიულად მიუგო:

„ხომ ხედავთ, თუ როგორ ვწამლავთ სამხედრო ტყვეებს?“

გერმანელმა პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, ისე გაისმა სამხედრო კომანდა: „სმენა“.

კარავში მყოფნი წამოცვივდნენ და ძხედრულად გაიჭიმნენ. სამხედრო ტყვეც წამოდგა, იგიც ასევე მოიქცა.

ბლინდაჟში შემოვიდნენ მაიორი შალამბერიძე, უფროსი ლეი-

---

[1] „ჰაბუკო, რას გვიამბობ, ჰა?“.

[2] „გიამბოთ? რა უნდა გიამბოთ, ბატონო სერჟანტო? როგორც გერმანიის არმიის სალდათს, მე დაკისრებული მაქვს მხოლოდ დუმილი, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში. თქვენ ალბათ გსმენიათ, ბატონო, დუმილი ოქროა, და მართლაც დუმილი ოქროა ზოგჯერ“.

[3] „არა, ახალგაზრდავ, დუმილი ყოველთვის როდია ოქრო“.

ტენანტი გოდერძი ელანიძე და პოლიტხელი ეჯიბია. მაიორმა ბრაზიანი მზერა ესროლა ტყვეს, ლეიტენანტ გულუხაიძესა და სერჟანტ წიკლაურს გადახედა და უთხრა:

„აჭამეთ მაგ ოხერს და მერმე მე ნომგვარეთ მესამე ბლინდაჟში“.

ესა სთქვა მაიორმა და სამივენი ბლინდაჟიდან გავიდნენ.

*

მაიორი შალამბერიძე თავდაპირველად დივიზიის შტაბში აპირებდა ახლადშეპყრობილი ტყვის გადაგზავნას, მაგრამ შტაბი საკმაოდ შორს იყო.

მაიორს შეუძლებლად არ მიაჩნდა ისეთი რამ დასცდენოდა მას, რაც უსწრაფეს რეაგირებას მოითხოვდა, ამიტომ აჩქარებდა პოლიტხელს ეჯიბიას და თარჯიმანს წიკლაურს, რაც შეიძლება მალე მოეთავებინათ მისი დაკითხვა.

სამ დღეს ამაოდ ეწვალა თარჯიმანი წიკლაური: სახელის, გვარისა და სამხედრო წოდების მეტი ვერაფერი ათქმევინეს: ემილ ცუგმაიერ, ლეიტენანტი.

იმ დღეებში ხირჩლას ცუგმაიერისაგან დაკბენილი მკლავი დაუჩირქდა. იგი წინდაწინ დარწმუნებული იყო, ტყვე გაჯიქდება, ჩვენებებს არ მისცემს წიკლაურს და საბოლოოდ მე გადმომიგდებენო „დასამუშავებლად“ მას. ამიტომაც მესამე ბლინდაჟის შესავალთან იყო ატუზული მუდამ.

მეოთხე დღესაც ბევრი უჩიჩინეს ცუგმაიერს ეჯიბიამ და წიკლაურმა, არაყი წინ დაუდგეს, პაპიროსები შესთავაზეს, არც ერთს ხელი არ ახლო, სთქვა: არაყი ჩემს დღეში არ დამილევია, პაპიროსის ბოლსაც კი ვერ ვიტანო.

„მე ვიცი მაგის წამალი“, ირონიით ეუბნება ეჯიბია წიკლაურს. „აბა ერთი ხირჩლა ოჩიაური მომგვარეთ აქ“.

როცა ხირჩლა გაიჯგიმა პოლიტხელის წინაშე, ეჯიბია მიუბრუნდა წიკლაურს და უთხრა:

„ერთი გადაუთარგმნე მაგ წვერძაღლს: რაკი ადამიანური სიტყვა არ ესმის, ამ სერჟანტს გაჰყვეს დივიზიის შტაბში და იქ უჩვენებენ, თუ რა ოქროა დუმილი“.

ცუგმაიერმა ახედა ამ დევკაცს, უსიამოდ შეიშმუშნა და განაგრძო დუმილი.

„ისიც უნდა გითხრათ, — დასძინა წიკლაურმა, — თქვენ ისე დაგიკბენიათ ჩვენი სერჟანტი, გარანტიას ვერ გაძლევთ, ცოცხლად

თუ მიგიყვანს იგი შტაბში. ეს სერჟანტი ისეთი ბრაზიანია ხანდა-ხან ჩვენც გვეშინია მისი“, ყასიდად უთხრა წიკლაურმა.

ცუგმაიერმა კიდევ ერთხელ შეავლო თვალი ხირჩლას, ახლა უკვე გააჟრჟოლა ტანში და სთქვა:

„დაუძახეთ ბატალიონის უფროსს, ზოგიერთ ცნობას ... ცემთ“. ესა სთქვა ბორძიკით, მაგრამ იქვე დასძინა:

„რა თქმა უნდა, რაც მე შემეხება“...

როცა შალამბერიძე ბლინდაჟში შემოვიდა, წამოვარდა ტყვე, სამხედრო სალამი მისცა მაიორს. ისევ დაჯდა ვაგლახად წელში მოდრეკილი, ყურს მიუგდებდა დაკითხვას, უხალისოდ და ყოყმანით პასუხობდა.

ცუგმაიერი მასწავლებელი აღმოჩნდა, ქრისტიან სოციალისტური პარტიის წევრყოფილი. უცოლო, მორწმუნე კათოლიკე.

როცა წიკლაური ყუბანის მხარეში მოქმედი დივიზიების განლაგების საკითხებს შეეხო ფრთხილად, მან ორივე ხელი ზეასწია და ჰაერში გაასავსავა:

„არა, არა, მაგ ამბებს ნუ მკითხავთ, ეს მე არ მეხება“.

წიკლაურმა შენიშნა ზომაზე მეტად განერვიულებული იყო ტყვე, ახლა ისევ დაუყვავა; მისი ოჯახური ვითარების გამოკითხვას შეუდგა.

მოხუცი დედა მყავსო, მამა ომში მომიკლესო რუსებმა; არმიაში ჩემი გაწვევის დღეს სამზარეულოს გაზით მოიწამლაო თავი დედამ და დაბრმავდაო. ჩემს გარდა პატრონი არა ჰყავსო, მე რომ აქ მომკლან, ალბათ სამადლო სახლში გადაიყვანენო კეთილი მეზობლები დედას, ამბობდა დამწუხრებული, ორივე ხელი საფეთქლებზე შემოეწყო, დაღონებული დასჩერებოდა საკუთარ მუხლებს.

დაკითხველნი დაკვირვებით უთვალთვალებდნენ ტყვეს. დედის ხსენებამ ოდნავ, სულ ოდნავ აუწყალა თვალები მას. მღელვარების დასაკებლად ერთი დაახველა, მის წინაშე დაყრილ პაპიროსებს დახედა, მოწევის ნება სთხოვა მაიორს, და როცა ნება დართეს, გააბოლა (სულ დაავიწყდა, პაპიროსს არ ვეწევიო, რომ ამბობდა წელან).

„საერთოდ მე მერჩია მოვეკალი იმ საშინელ კაცს, რომელმაც დამიჭირა, — აღოიკვნესა ტყვემ, — ოჰ, რა ღონიერი ყოფილა ის სერჟანტი, საკრამენტ. საკრამენტ[1].

როცა ის თეთრქურქიანი სერჟანტი მეცა, აგრე მეგონა: ჩრდილოეთის თეთრი დათვი დამეძგერა-მეთქი... მე ბოქსიორი ვიყავი

---

[1] იტალიური წყევლა, ბავარიულ ჟარგონში შესული.

სტუდენტობის დროს, ოცი წუთის მანძილზე ძლივს გავუძელი, ლავიწები კინაღამ არ ჩამილეწა, ახლაც ყოველი სახსარი მტკივა მასთან ნაბრძოლს“.

„ბავარიელი ხარ?“ შეეკითხა წიკლაური.

ბავარიის ხსენებაზე სახე გაუბრწყინდა ცუგმაიერს.

„თქვენ როგორ მიხვდით ნე ბავარიელი რომა ვარ, ჰა? მაპატიეთ ცნობის წადილი და თქვენ ხად ისწავლეთ გერმანული ენა? რა საქმის კაცი იყავით ომამდის?“ ზედიზედ მიაყარა კითხვები დამკითხველს ტყვემ.

წიკლაურმა გაიცინა და უპასუხა მოკლედ:

გერმანული ბავარიაში ვისწავლე. ბავარიაში იტყვიანო „საკრამენტს“. ომამდის დოცენტი ვიყავიო ტფილისის უნივერსიტეტში.

ცუგმაიერი გაოცდა:

„როგორ? განა უნივერსიტეტიც გაქვთ თქვენ ტფილისში? საერთოდ თქვენი ქვეყანა არც ისეთი ბნელი ყოფილა, როგორც გაზეთები სწერდნენ. ნე აგრე მსმენია, კავკასიაში დათვები შეიპარებიან ხოლმე ქალაქში და შაქარს იპარავენო“.

როგორც კი გუნება გამოუკეთდა ტყვეს, წიკლაურმა სატანკო დივიზიების დისლოკაცია ახსენა იმავ. უცნაურად აიმღვრა და ათუხთუხდა ცუგმაიერი:

„ჰერრ დოცენტ, მართალია, მე ფაშისტი არა ვარ, მაგრამ ფიცით ვარ შეკრული. გთხოვთ ჩვენი არმიის დისლოკაციის ამბავი მეტი აღარ მკითხოთ, მე მორწმუნე ვარ, ფიცი მაქვს მიცემული, გესმით? ხულ ერთია, ვერაფერს დამაცდენინებთ“.

მაიორმა შალამბერიძემ სთქვა:

„ამხანაგო სერჟანტო, გადაუთარგმნეთ ამხედრო ტყვეს: როგორც თავათ ამბობს, იგი მასწავლებელი ყოფილა და ქრისტიანი: ბატები მაინც მოუპარავს; როგორც ვიცით, ქრისტე ქურდობას არ ჰქადაგებდა, არა?“

როცა ყოველივე ეს გადაუთარგმნეს ტყვეს, იგი ისევ ათუხთუხდა. ნერვიულად ფააპარპალა თავისი მწიფური წამწამები და თითქმის იყვირა:

„ოო, ეგ დარჩება ჩემი ცხოვრების უდიდეს სირცხვილად, მართალს ბრძანებს ბატონი მაიორი, მე მოვიპარე ორი ბატი, ისინი არც მიჭამია, როგორც იცით.

მე ძლიერ მიყვარს ბატი, მერმე რუსული ბატი; რუსული ბატზე უფრო გენრიელი ქვეყანაზე არაფერია.

ჩემო ბატონებო, შიმშილი ისეთი აფთარია, თუ იგი ქეჩოზე დაგაჯდა, რას არ ჩაგადენინებს.

მე ვამტკიცებ, თუ კაცობრიობამ შიმშილს სძლია, დანაშაულები თუ სავსებით არა, სანახევროდ მაინც შემცირდება“.

წიკლაურს შეეშინდა ნამეტნავად განყენებულ საუბარზე არ გადავიდესო ტყვე, ისევ შეეკითხა სატანკო დივიზიის გამო, მაგრამ ცუგმაიერი გველცემულივით ზეწამოიჭრა და ისტერიული ხმით იყვირა:

„არა, არ შემიძლია, მე ღმერთი მწამს, უსინათლო დედა მყავს სახლში, არ შემიძლია, ფიცს ვერ გამატეხინებთ“.

მაშინ მაიორმა შალამბერიძემ ხელახლა ახმობინა ხირჩლა ოჩიაური, ცურგმაიერი გაიტვრინა ხირჩლას დანახვაზე და ასადგომად ვერ აკრიფა ძვლები.

შალამბერიძემ ხმამაღლა უთხრა სერჟანტს:

„წაიყვანეთ სამხედრო ტყვე ემილ ცუგმაიერი დივიზიის შტაბში ახლავე“.

ხირჩლამ მკლავში წაავლო ხელი ცუგმაიერს და ქართულად უთხრა:

„ადექი, შე ღორისდასმულო“.

ცუგმაიერმა კარგად გაარჩია მისთვის გაუგებარ ენაზე ნათქვამი, თავისი სახელი და გვარი, „დივიზია და შტაბი“, ადგა და აცახცახებული მიჰყვა ბლინდაჟის გასასვლელამდის ოჩიაურს. მერმე გამობრუნდა, ისევ თავის ადგილზე დაჯდა და განაგრძო ჩვენება:

გამოირკვა: ფაშისტების ეს მეხუთე სატანკო დივიზია მდგარა დელტის გაღაღნა. ფაშისტების შემოტევა იმიტომაც შეწყვეტილა ადრიან გაზაფხულზე, რომ მათ ბენზინი და საარტილერიო საჭურველი შემოკლებიათ.

ახლა ყოველივე მზადა აქვთ შემოტევის დასაწყებად, უგუდრონო თემშარაზე ტანკები ბუქსაობას დაიწყებენო.

ისიც ათქმევინეს ცუგმაიერს: როგორც კი ოდნავ მოყინავს გზებს, წამსვე შეტევაზე გადმოვაო ეს მეხუთე სატანკო დივიზია. არც ის დაუმალავს ცუგმაიერს: ამ დივიზიამ გზა უნდა გაუხსნასო ნის უკან მომდგარ შტურმბატალიონებს და ენჯუკის ხეობით საქართველოში აპირებენო შეჭრას.

ცუგმაიერისავე ჩვენებიდან გამოირკვა, რომ მარტის პირველ რიცხვებში ეს მეხუთე დივიზიის შტაბს დივერსანტები გადაუსხამს თვითმფრინავით ენჯუკის ხეობაში, დივერსანტებისათვის დაუვალებიათ ამ ხეობის ტოპოგრაფიული პირობებისა და გზების შესწავლა. დესანტის ხელმძღვანელი ყოფილა კონტრდაზვერვის ჰაუპტმანი[1] რუდოლფ შტამლერ.

[1] ჰაუპტმან — პოლკოვნიკი, მეთაური, თავკაცი.

ბატალიონის ხელმძღვანელობამ დაუყოვნებლივ ტელეფონით აცნობა ეს ამბავი დივიზიის შტაბს და მაშველი ძალა ითხოვა. უპასუხეს დივიზიის შტაბიდან: როგორც კი ლეღმა მოთავდება და გზებს ოდნავ მოყინავს, წამსვე გამოგიგზავნითო მაშველ ძალას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*

სამ დღეს ყინულავდა მთებში, ბოლოს დასავლეთის ქარმა დაუბერა და ყინვები დაიწყო. პირველ ღამეს მთელი ბატალიონი ფეხზე იდგა. გათენებისას ჯერ კიდევ რიეტრაჟის ბურუსით იყო მოცული დელტის გადაღმა ნთვლემარე ტყე და სწორედ აქედან მოისმა ტანკების ბუბუნი.

ბატალიონის კომანდირი შალამბერიძე, მისი შემცვლელი უფროსი ლეიტენანტი ელანიძე და პოლიტხელი ეჯიბია უკვე ბინოკლებიდან ხედავდნენ თუ როგორ გამოდიოდნენ ტანკები ტყიდან.

„ცეცხლი!“ იყვირა შალამბერიძემ და ლეიტენანტმა გულუხაიძემ ტელეფონით აცნობა ეს ბრძანება დანარჩენ ბლინდაჟებს.

როგორც საკომანდო პუნქტის, ისე გორაკების ბატარეები აქუხდნენ. აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები.

მაიორი შალამბერიძე ხედავდა: ორი ტანკი წყობიდან გამოიყვანა არტილერიის ცეცხლმა, მაგრამ დანარჩენებმა სისწრაფეს უმატეს და უკვე უახლოვდებოდნენ დელტას: ცეცხლის გრიგალის მიუხედავად მოისწრაფოდნენ ხეობის ყელისაკენ, თავათაც საპასუხო ცეცხლს უშენდნენ ბლინდაჟებს.

ცხადი იყო, განსაცდელი ახლოვდებოდა. თუ ეს კოლონა ხეობაში შეიჭრებოდა, მერმე გაძნელდებოდა მისი უკან გამოყვანა. გარდა ამისა, ნან არც კი იცოდა თუ რამდენი ტანკი ან რამდენი სამარქაფო ბატალიონი მოყვებოდა ამ სატანკო კოლონას უკან.

ბრძანება გადააცემინა ბლინდაჟებისათვის, მომსახურე პერსონალი ზარბაზნებთან და საზენიტოებთან დარჩენილიყო, ხოლო დანარჩენები პეტერებით, გრანატებითა და ბოთლში გამზადებული საწვავით შეგებებოდნენ ტანკების კოლონას.

გამოღმელ ბლინდაჟებიდან გამოსულმა მეომრებმა ფერდობზე გაფენილი ტყე ისაფრეს, გაიფანტნენ, იდაყვებზე ხოხვით ჩაცოსრიალდნენ დალმართში და გაშლილ თემშარაზე გადაეღობნენ ტანკებს.

„იერიშზე — ურაა!“ იყვირა შალამბერიძემ და ზედგომილად გაუძღვა მეომრებს წინ. პირველ ტანკს ესროლა გრანატა, ტანკი აფეთქდა. მაგრამ მის უკან მომავალი ტანკის ლუკიდან ამოძვრა ფაშისტი, ავტომატი ესროლა შალამბერიძეს. შალამბერიძე წაიქცა.

გოდერძი მიეჭრა მძიმედ დაჭრილს და იყვირა:

„თქვენი განკარგულება, ამხანაგო მაიორო“.

„იერიშზე წაიყვანე ბატალიონი!“ უბრძანა უფროს ლეიტენანტს სულთმობრძავმა შალამბერიძემ.

გოდერძი მიუბრუნდა მის უკან მომავალ ნეომრებს და შესძახა:

„ისმინეთ ჩემი კომანდა!“ თავათაც ზედგომილად წაიყვანა ატაკაზე მის უკან გაფანტულად მომავალი მეომრები, მეთაურ ტანკს ესროლა გრანატა, უზარბაზარი ტანკი „ადოლფ ჰიტლერი“ აფეთქდა.

ახლა მის უკან მომავალი ტანკი დაწინაურდა, იგი ტყვიამფრქვევიდან ესროდა მთის ფერდობზე ხოხვით მომავალ მეომრებს.

ვიღაცამ ფაუსტ პატრონა ესროლა ამ მეორე ტანკს, მას მუხლუხოები გაუფუჭდა და დადგა.

ლეიტენანტი გულუხაიძე იდაყვებზე ხოხვით შესრიალდა ნის ქვეშ და გაინაბა, სამი ტანკისტი ზედიზედ დაცხრილა გულუხაიძემ.

ამ ტანკის უკან კიდევ ორ ტანკს გაუფუჭეს მუხლუხოები სეტყვასავით წამოსულმა გრანატებმა. სერჟანტი ხირჩლა ოჩიაური ცალ მუხლზე დაჩოქილი ესროდა გაფუჭებულ ტანკებიდან გადმომხტარ ფაშისტებს, მერმე ერთი უძრავი ტანკი ისაფრა, აგრე ხოცავდა ტანკებიდან გამოცვენილთ.

ტყიდან სულ ახალი და ახალი ტანკები გამოდიოდნენ, ცეცხლის ქარბორბალას უშენდნენ თენშარას გაყოლებით გამოსულ ბატალიონს.

ფიჭვნარში ჩასაფრული მეომრები პეტერებს ესროდნენ ტანკებს. წყობიდან გამოსული ტანკის ლუკიდან ამოძვრა თმებგაბურძგვნილი ტანკისტი. მისგან გასროლილმა ტყვიამ თავისქალა გაუხვრიტა ხელაანთ ვანოს. სამხრამდის გასტანა სისხლისღვრამ, ბოლოს უკუქცევას დაადგა ტანკების კოლონა და ტყეს შეაფარა თავი.

*

კარგა ხანს ეყოთ ფაშისტებს ეს სისხლიანი გაკვეთილი. ბატალიონიც საგრძნობლად დაზარალდა. მაიორი შალამბერიძე და ორასამდის ნეომარი ყუბანის პირად გათხრილ ძმათა სასაფლაოზე დამარხეს.

შალამბერიძეს შემცვლელად მაიორი თუხარელი გამოვზავნეს. მეორე დღეს მოვიდა დივიზიის შტაბიდან ბრძანება: დაუყოვნებლივ გაეგზავნათ გამოცდილი მზვერავი მთასვლელები და რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, „დაევარცხნათ“ ენჯუკის ხეობის სექტორის მთათა მწვერვალები და დივერსანტები შეეპყრობთ.

ბატალიონის ხელმძღვანელებმა ნოითათბირეს და გადაწყვიტეს,

ჯერ სამიოდე გამოცდილი მზვერავი წარეგზავნათ გზებისა და ვითარების შესასწავლად.

ისინი გამოარკვევდნენ წინასწარ, თუ რითი წაელოთ იარაღი, საჭურველი და სურსათი.

მოხალისენი თავათ გამოცხადდნენ: ნიკო როსტიაშვილი, ... სოკოლოვი. ოღონდ ისინი ამას სთხოვდნენ ბატალიონის უფროსს: ხირჩლა ოჩიაური და ერთი ჯორი გაგვატანეთო.

მზვერავები მზადებას შეუდგნენ, მაგრამ ცუგცაიერისაგან დაკბენილ ხირჩლას ინფექცია ჩასვლოდა ჭრილობაში და სიცხე მისცა გამგზავრების წინა ღამეს. თუმცა ხირჩლამ წასვლა დააპირა, ბატალიონის ექიმმა ნება არ დართო.

როსტიაშვილმა და სოკოლოვმა უთენია აჰკიდეს ჯორს ერთი კარავი, საჭურველი და გზას დაადგნენ.

*

ათი დღე გავიდა და მზვერავები აღარსად სჩანდნენ. შეშფოთდა თუხარელი, ბატალიონის კომანდირი. დივიზიის უფროსის ბრძანების შესრულება გვიანდებოდა, თანაც აწუხებდა საუკეთესო მზვერავების ბგრე უკვალოდ დაკარგვა.

პოლიტხელმა ეჯიბიამ წარდგინება გაუკეთა მაიორ თუხარელს: ნება მიბოძეთ ათი გამოცდილი მთასვლელი შევარჩიო, მე დავიჭერ დივერსანტებს, გზადაგზა ჩვენს მზვერავებსაც მოვძებნიო.

ახლადდანიშნული ბატალიონის უფროსი ვერ შეელია გამოცდილ პოლიტხელს, უფროსი ლეიტენანტი გოდერძი ელანიძე ახმობინა და დააყალა:

ათი საუკეთესო მთასვლელი, გამოცდილი მზვერავი შეერჩია და დაუყოვნებლივ წასულიყო მთებში.

გოდერძიმ მიუგო:

„თუ თქვენი ნებაც იქნება, ათი ბევრია, ამხანაგო მაიორო, გაგვიჭირდება მათთვის საკმარისი სურსათის იმ ღრანტებში თრევა და ეს ნაკლებად მობილურს გახდის ჩასატარებელ ოპერაციებს.

მე მინიშნებული მყავს ერთი თუში, ერთი ხევსური, ერთი ნოხევე და ერთი სვანი, თუ კიდევ ერთ მოხევესაც გამატან, სავსებით საკმარისი იქნება“...

„რომელი ერთი?“

შეეკითხა მაიორი.

„სერჟანტი წიკლაური, შიოლა. იგიც საუკეთესო მთასვლელია და გულადი ვაჟკაცი... მოგეხსენებათ, დივერსანტს ან „ენას“ რომ დაიჭერ, ძნელია მუნჯურად მისი წამოყვანა.

ამას წინადაც ჩვენი მზვერავები: თარჯიმანი წიკლაური რომ თან გვყოლოდა, ცუგმაიერის ჩამოთრევა არც ისე გაგვიჭირდებოდაო. მართლაც და მოგეხსენებათ, ხანდახან სიტყვა თოკზე უკეთ დააბამს კაცს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიორს გაეცინა და სთქვა:

„საქმე ისაა, წიკლაური ჩვენ გვესაჭიროება აქ, უცხო ენის მცოდნე ბატალიონსაც არ აწყენს, მაგრამ რა ვქნა, ოლონდ ის დივერსანტები დაიჭირე და ჩვენი ბიჭები გამოჩხრიკე, ჯანი გავარდეს, წაიყვანე სერჟანტი წიკლაური“.

გოდერძიმ თან წაიყვანა ლეიტენანტი გულუხაიძე, სერჟანტები: შიოლა წიკლაური, გიგოლა აფხანაური, ეგნატე ბენდელიანი, ხირჩლა ოჩიაური, რომელსაც უკვე მორჩენილი ჰქონდა მკლავი. ორ ჯორს აჰკიდეს ერთი ტყვიამფრქვევი, ერთი კარავი, საჭურველი, სურსათი და შეუდგნენ აღმართებს.

ჩაიცვამდნენ თავიანთ ტყაპუჭებს, ივლიდნენ, ივლიდნენ ხევ-ხევ, ისევ მთას გადაივლიდნენ, ჩავიდოდნენ ბარში — აქ გაზაფხული დაუხვდებოდათ მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოსხივებული: არა მარტო ია და იელი, ალაგ-ალაგ ტყემლებიც ჰყვაოდნენ.

ისევ შეუდგებოდნენ მთას, ხელახლა გამოიღებდნენ თავიანთ ტყაპუჭებს, ივლიდნენ, ივლიდნენ — აქ ზამთარი შეეყრებოდათ გაზაფხულის ალერსით გამთიარებს, თავისი დაუცხრომელი ქარწვიმითა და ქარბუქით. ზვავები უკეტავდნენ გზებს.

გაყინულ ბილიკზე ვეღარ დადიოდა ტვირთიანი ჯორი, ხირჩლა ოჩიაურსა და ეგნატე ბენდელიანს აკიდებდნენ ტყვიამფრქვევს, ხოლო ჯორი ორ-ორ კაცს მოჰყავდათ.

ხანდახან გაურჩდებოდა ჯორი, სამნი ძლივს დასძრავდნენ ხოლმე ადგილიდან ჭირვეულ ცხოველს.

შევიდოდნენ აულში, გამოჰკითხავდნენ დიდსა და მცირეს დივერსანტებისა და დაკარგული მზვერავების ამბავს, ისევ შეუდგებოდნენ დამრეცილ ბილიკებს...

ივლიდნენ, ივლიდნენ...

ერთ დღეს ორი ოსი შემოეყარათ, ერთი მოხუცი და ერთიც ჟღალწვერიანი. ჯიხვი მოეკლათ და ღვლეჭით მოათრევდნენ ნადირს.

გოდერძიმ გამარჯვება უთხრა მგზავრებს, მათაც იგივე ჰკითხა, რაც მრავალთათვის უკითხავს მრავალგზის.

მოხუცი ცხინვალელი აღმოჩნდა, ქართულსა და ოსურს ერთმანეთში ურევდა. და სთქვა ამ ოსმა ასეთი რამ:

„ამ ერთი კვირის წინ მე და ჩემი ქვისლი ჯიხვზე სანადიროდ მივდიოდით შუანას ხევისკენ. აი იმ მთას რომ გადახედავთ, ამის

შემდეგ ნახევარ დღეს ივლით, ხევის წისქვილი შეგხვდებათ ერთი.

ამ წისქვილთან სროლა იყო, ჩვენ ტყეში ვიყავით განაბულნი, და ვხედავდით თუ როგორ ესროდნენ ვიღაცეები ავტომატებსა და შამხანებს ერთმანეთს.

აქეთობას გამოვკითხეთ მეწისქვილეს, მან აგრე გვითხრა: ორს ებრძოდნენო შვიდნი.

წისქვილს გამოვცდით ერთი საათის სავალზე, სამი მოხუცი ჩერქეზი შეგხვდა. ისინიც სანადიროდ მოდიოდნენ თურმე. იმ წისქვილის მახლობლად ერთი აულია კლდის პირად, იმ აულიდან ყოფილან ის ჩერქეზები.

ეს ჩერქეზები ამ ჩემი ქვისლის ნაცნობები აღმოჩნდნენ. გამოვკითხეთ წისქვილთან მომხდარი შეტაკების ამბავი. ერთმა მათგანმა ასეთი რამ გვითხრა, ალდარ [1]:

ჩვენ მთლად უცნაური ამბავი ვნახეთ. იმ წისქვილიდან ერთი დღის სავალზე ულრანი ფიჭვნარია. ამ ფიჭვნარში საყდრის ნანგრევია ერთი, ქარაფის პირად, მის მახლობლად მუსულმანების სასაფლაო, სასაფლაოს ზევით — დანგრეული მეჩეთი.

იქ შველზე ვნადირობდით ამ სამი დღის წინად. ოთხმა იარაღიანმა ორი გაკოჭილი კაცი გამოათრია ნასაყდრალიდან; არ ვიცი, ის ორნი ცოცხალნი იყვნენ თუ მოკლული, აიღეს და ქარაფიდან გადაისროლეს.

ჩვენ შევშინდით და შორს მოვიარეთ, მეჩეთთან მოვედით, იქიდან ფრთხილად მივეპარეთ იმ ნასაყდრალს. ვიღაც მელოტი კაცი დაცუცქულიყო ეზოში, თხას წველავდა.

ეს იყო და ეს, სხვა ვერაფერი ვნახეთ. ბოლოს ის მელოტი ბერიკაცი სადღაც გაჰქრა. კარგა ხანს ვიცადეთ ფიჭვნარში. სხვა ადამიანის ჭაჭანება არსად იყო. აი, ეს არის ყველაფერი, რაც ჩვენ გავიგონეთ, ალდარ. კარგია, თქვენ რომ შეგხვდით, ჩემი ქვისლი დღეს სოფლსაბჭოში აპირებდა ამის განცხადებას".

გოდერძი აიმღვრა ამის გამგონე. ოსებს მადლობა უთხრა ამ ცნობის მოწოდებისათვის. ვიჩქაროთო, მიაძახა მეომრებს.

რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო გოდერძიმ, ისევ გამობრუნდა ცხინვალელი ოსი და სთქვა:

„თქვენ თუ გგონიათ ამ ჯორს იქ აიყვანთ? იმ მთებში თხები ძლივს ადიან, ალდარ".

„სად ცხოვრობ?" შეეკითხა გოდერძი.

---

1 ოსურად: ბატონო.

ოსმა მთის უბეში მიყუჟულ ქოხებზე ხელი მიაშვირა:

„ე ის მეორე სახლია ჩემი ქვისლისა, მე იქა ვცხოვრობ, ალდარ“.

„აბა, იცი რას გეტყვი, ძია კაცო, ეს ჯორი თქვენ ჩაიბარეთ, თუ მშვიდობა იქნა, გამოვიველით და თან წავიყვანთ“.

„მშვიდობა მოგცეს მამალმერთმა, ალდარ“, სთქვა მოხუცმა და ორივენი მოასხდნენ ჯორს.

ტყვიამფრქვევი ხირჩლამ და ბვნდელიანმა აიკიდეს ახლა. ბილიკები ისევ მაღლა და მაღლა შიიწევდნენ. ისევ დაიწყო წიწვიანი ტყის საუფლო. იალბუზი იჯდა მარმარილოს ტახტზე, ზეცის თავანისათვის შეეშვირა თავი.

„მე არ ვიცი ჯოჯოხეთი მართლაც თუ არსებობს. მაგრამ თუ სადმეა იგი, ასეთი ბილიკები იქნება მანდაც“, გაიხუმრა ლეიტენანტმა გულუხაიძემ.

*

მხოლოდ მეორე დღეს მიაღწიეს ხევის წისქვილამდის. სამი ქალი კერასთან იჯდა, მეწისქვილე აულში წასულიყო. გოდერძიმ შეამოწმა ოსების ნათხრობი. სამივემ დაადასტურეს: ხანგრძლივი სროლა იყოო იმ დღეს.

ტყვიებით დაცხრილული კედლები უჩვენეს. შვიდი კაცი შეუსწრიათ ამ წისქვილში ორს... ჩვენ აულში ვიყავით, ე იმ მთის წოპზე, კაცები შინ არ იყვნენ, შიშისაგან ვთრთოდითო.

ბოლოს მეწისქვილეც მოვიდა. გოდერძიმ დაიმარტოხელა მოხუცი. თანამიმდევრულად, თავაზიანად, ფრთხილად გამოჰკითხავდა უმცირეს დეტალებსაც. მეწისქვილემ ასეთი ჩვენება მისცა.

ეს ჩვენი წისქვილი შესაკეთებელი იყო, ოსტატები დააყენაო სოფლსაბჭომ. ისინი ჯარში გაიწვიეს. გელაზები დაზიანებულნი იყვნენ, მე საქმე არა მქონდა, ამიტომაც აულში გადავსახლდი. მოსულან შვიდნი, ბოქლომი გაუღიათ, ისევ დაუკეტიათ, უკანა კარიდან შედიოდნენ და გამოდიოდნენ ღამღამობით თურმე.

იმ ორს მიუკვლევია, სროლა აუტეხეს შვიდ კაცს, სამნი მოკლეს, მაგრამ დანარჩენები გამოცვივდნენ; დაჭრეს, გაკოჭეს ის ორი და სადღაც გაიტაცესო.

„მერმე ხალხი არ იყო ახლომახლოს?“ შეეკითხა ლეიტენანტი გულუხაიძე მოხუცს.

„რომელი ხალხი, ჩვენს აულში ხუთი მოსახლეა, ახალგაზრდები ჯარშია, ჩვენ, ბებრებს ბრძოლის თავი სადა გვაქვს?“

„შენ როგორ ფიქრობ, ისინი, ვინც წისქვილში იმალებოდნენ, ყაჩაღები იყვნენ თუ ფაშისტები?“ შეეკითხა გოდერძი.

„მე რა ვიცი, შვილო, თავათ არ მინახავს არც ერთი“, მიუგო მეწისქვილემ.

„რაიმე ხომ არ დარჩენიათ წისქვილში, აქ?“ შეეკითხა გოდერძი.

„იმ ორს, ვინც დაჭრეს და გათოკეს, ერთი ~~ჯოხი~~ დარჩენიათ, ასე გვიამბეს ქალებმა და მთავრობას ჩააბარეს ის ~~ჯოხი~~.

გარდა ამისა, გუშინ ვიპოვნე ჩემს სასთუმალს ქვეშ ერთი რევოლვერი და ერთიც უცნაური ნივთი, რომლის დანიშნულება არ ვიცი“.

სთქვა მეწისქვილემ და გოდერძის გადასცა ვალტერის სისტემის რევოლვერი და ელექტროფარანი „ხოჭო“.

როცა გოდერძიმ ან საგნების სახელურებს დახედა, ამოიკითხა: „ნიორთავა“. ახლა ცხადი გახდა, რომ ნიკო როსტიაშვილი და კოლა სოკოლოვი უნდა ყოფილიყვნენ ის ორნი, რომელნიც ებრძოდნენ წისქვილში შვიდ კაცს.

ამულეტი [1]

„ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზევით და მორალური კანონი ჩემში“.

ემანუელ კანტი

„ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩვენს ზევით და შეწკიპული ავტომატები ჩვენს ხელში“.

დივერსანტის რუდოლფ
შტამლერის ჩვენებიდან

მხოლოდ მესამე ღღეს მიაღწიეს წითელარმიელებმა ორკუზიან მთას. წიწვიანი ტყეები იყო ირგვლივ. აქა-იქ ახოები მოსჩანდნენ. ახოებსა და გზებზე ადამიანის ჭაჭანება არ ისმოდა. ასე უგზო-უკვლოდ იხეტიალეს ბარე ორ საათს...

ერთბაშად ყმაწვილების ჟივილ-ხივილი შემოესმათ. ჩერქეზი ბავშვები თხებს აძოვებდნენ ახოში. მათი უფროსი არავინ სჩანდა, ამიტომაც ყმაწვილებს ჰკითხეს:

აქ ნასაყდრალი ხომ არ გეგულებათო სადმე?

ყმაწვილთაგან ყველაზე უფროსი ხალისიანად თან წაყვა მათ: მე მიგიყვანთო ნასაყდრალამდის.

კიდევ იარეს ორიოდე საათს, ბილიკები სულ მაღლა და მაღლა

---

[1] ავგაროზი, ძვირფასი ქვის ან ლითონისგან გაკეთებული ნივთი, რომელსაც ცრუმორწმუნენი ატარებენ ავი თვალისა და ხიფათის თავიდან ასაცდენად.

მიიწევდნენ. ალაგ-ალაგ ისეთ ნაძვებს ხვდებოდნენ, სამი კაცი ხელს ვერ შემოაწვდენდა.

ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა მაღალი ქარაფი, ქარაფზე ნასაყდრალი, ნასაყდრალს ზემოდ მუსულმანური სასაფლაო, ოდნავ მოშორებით, პარალელური გორაკის ტერასზე — ნამეჩეთარი.

ერთბაშად თოვლი წამოვიდა, მსხვილ-მსხვილი ფანტელები შეასხდნენ ნაძვების თათებს.

გოდერძი დაჰკითხავდა მწყემსებს:

ამ დღეებში აქეთ ხომ არ გიძოვებიათო თხები?

ჩერქეზი ბიჭუნა ძლივს ამტვრევდა რუსულს, მაინც გააგებინა: ამ დილით ჩამოვიარეთო იმ ნასაყდრალთან.

იმ ნანგრევებში ხომ არავინ ცხოვრობსო, ან თოფიანი კაცები ხომ არ გინახავსო?

არა, იქ არავინ ცხოვრობსო, არც თოფიანები გვინახავსო მანდ, ამ დილით ჩვენი აულის მოლაყოფილი ვნახეთ, სწორედ ამ ადგილას ჩამოდიოდაო მთიდან.

გოდერძი შეწუხდა: ვაითუ არავინ დაგვიხვდესო იმ ნასაყდრალში და ამდენი ჯაფა უქმად დაგვეკარგოს.

მოერიდნენ ნასაყდრალისაკენ მიმავალ შარას, მარჯვნით გაუხვიეს, ტყის ბილიკს აჰყვნენ და მუსულმანურ სასაფლაომდის მიაღწიეს. ამ გავერანებულ ძეძვებში ჩაფლულ სასაფლაოზე აურაცხელი აყირავებული ფიქალები იდგნენ ირგვლივ, ასე რომ შორიდან მაცქერალს ზეალმართული ფარები ეგონებოდა ისინი...

სთოვდა და ბარდნიდა დაუცხრომლად. უცნაური სიჩუმე და სიტფო სუფევდა ამ უკაცრიელ მიდამოში. მხოლოდ ჩხიკვების აბეზარი ჩხავილი თუ დაარღვევდა მყუდროებას, ირგვლივ დავანებულს.

მეჩეთს გუმბათი მხოლოდ ერთ ადგილას ჰქონდა მრთელი, ასე რომ ჩვენმა მგზავრებმა მყუდრო კუთხე მოსძებნეს და აქ გაშალეს თავიანთი თეთრი ქურქები. გოდერძიმ უბრძანა სერჟანტებს ტყვიამფრქვევი შემოსავალთან დაედგათ იმ ანგარიშით, რომ მტერი ლულა ნასაყდრალისკენ ყოფილიყო მიქცეული.

როცა ამ საქმეს მორჩნენ, ყარაული მიუჩინეს ტყვიამფრქვევს და პურის ჭამას შეუდგნენ.

გოდერძი ელანიძემ მოქმედების ასეთი გეგმა დასახა:

ერთი საათის შემდეგ ორი კაცი ჩაეგზავნათ ნასაყდრალისაკენ. ისინი დაზვერავდნენ მის შემოგარენს წინასწარ.

ლეიტენანტმა გულუხაიძემ და სერჟანტმა ოჩიაურმა თავათ განაცხადეს სურვილი: ჩვენ დავზვერავთო ნასაყდრალის მიდამოებს...

თავიანთი თეთრი ქურქები ჩაიცვეს, თითო კარაბინი და პისტო-

ლეტი თან წაიღეს და ხოხვით ჩაიარეს ის ბილიკი, რომელიც მეჩეთიდან მუსულმანურ სასაფლაოსაკენ მიდიოდა. ჯერ მზე ნაბეღარების წვეროკინებზე იყო გაბლანდული, ამიტომაც შიშობდნენ: ვაითუ ნასაყდრალიდან დაგვინახონო. იდაყვებზე ხოხვით მისრიალებდნენ დამრეცილ ბილიკებზე.

როცა მუსულმანურ სასაფლაოს მიაღწიეს, აქ წელში მოდრეკილნი წავიდნენ. ფიქალებს ეფარებოდნენ თანაც.

თოფის მისაწვდენ მანძილზე შესდგა გულუხაიძე, გაიხედა ნასაყდრალისაკენ, მის შესავალთან მელოტი კაცი დაცუცქულიყო და თხას წველიდა.

გულუხაიძემ უჩურჩულა ოჩიაურს:

იდაყვებზე ხოხვით ვიაროთო.

სასაფლაომდის რა მიაღწიეს, წამოდგნენ, წამოყირავებულ ლოდებს ეფარებოდნენ და ისე მიდიოდნენ ნასაყდრალისაკენ. როცა მელოტი კაცი ადგა და ნასაყდრალში შეიტანა რძიანი კასრი, მათ გადაირბინეს სასაფლაოსა და ნასაყდრალს შორის დარჩენილი მანძილი და დასავლეთისაკენ მდებარე ჩირგვნარი ისაფრეს. ეკვდერის კარი მოსინჯეს, დაგმანული დაუხვდათ იგი.

გულუხაიძემ სარკმლის ნიშის ქვეშ მიაყენა ოჩიაური და ნიშზე აძვრა. მის ზურგზე გასულმა ჩალეწილი ფანჯრიდან ფრთხილად გადაიხედა: შუაგულში ცეცხლი ენთო, ცეცხლის პირად ნაბადი ეგო, ნაბადზე ქერა კაცი იწვა.

ოთხნი მის გარშემო ისხდნენ, რაღაცას სჭამდნენ, მელოტი თეთრწვერა კაცი აქეთ-იქით დაფუსფუსებდა.

ახლა ნასაყდრალს შეავლო მოთვალთვალემ მზერა: დანგრეულ კანკელზე ურჩხულზე მონადირე წმ. გიორგი მოსჩანდა, კედლებზე წმ. მამების გამოხუნებული ფიგურები. ჩამოლეწილი გუმბათის ქვემოთ, აღმოსავლეთის მხარეს, გამოსახული იყო კალთებგაშლილი, გრძელწვერა ღმერთი საბაოთ, მას წარბებს ზემოდ გადარეცხილი ჰქონდა საღებავი, მარტო ცხვირი და წვერი მოუჩანდა. როგორც ამ ღმერთის ფართოდ გაშლილი კალთები, ისე მის ქვეშ ღრუბელზე დაჩოქილი ანგელოზების ფიგურები ტყვიისაგან იყვნენ დაცხრილულნი.

გულუხაიძე კარგა ხანს იდგა სარკმლის ნიშში ლანდიით განაბული, მას ესმოდა კიდევაც კერის პირად მსხდართა საუბარი, მაგრამ ეს ხმა ეხოს გამოსცემდა, ვერც კი გაარჩია, თუ რა ენაზე ლაპარაკობდნენ ისინი.

არც ეს ძუნწი ცნობები, გულუხაიძის მიერ საკმაოდ ზუსტად მოთხრობილნი, აძლევდნენ საშუალებას მზვერავებს, მიახლოებით

მაინც გამოერკვიათ თუ ვინ იყვნენ ნასაყდრალში შეხიზნულნი: დივერსანტები თუ ბანდიტები? თუ ორივენი ერთად?

გოდერძის პირველი შეკითხვა ასეთი იყო: რამდენი კარი აქვსო ნასაყდრალს?

ორი კარიო, უპასუხა გულუხაიძემ.

„დაკეტილი იყო ეს ორი კარი თუ ღია?“ იკითხა წიკლაურმა.

„დაკეტილი იყო როგორც ეკლესიის ორივე კარი, ისე მინაშენიცა“, დასძინა გულუხაიძემ.

ახლა ეს იკითხა გოდერძიმ:

„ისინი ოთხნი არიან, არა?“

„არა, ხუთნი“, მიუგო გულუხაიძემ.

„კეთილი და პატიოსანი, ხუთნი, არა? ვთქვათ, როგორც შენ ამბობ, სოლომონ, ერთი, ნაბადზე მწოლარე, ავადმყოფია, ან დაჭრილი, ამ ოთხმა კაცმა რად არ იფიქრა ყარაულის დაყენებისათვის? აა? ამ საკითხს რომ დაუკვირდეს კაცი, უნდა დავასკვნათ, რომ ისინი დივერსანტები როდი არიან, არამედ ხეპრე ბანდიტები“.

გოდერძი არ დაეთანხმა წიკლაურს.

„სწორედ ეს ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ისინი დივერსანტები არიან. როგორ შეუძლიათ მათ სხვის ქვეყანაში ყარაულები დააყენონ?

ერთი სიტყვით, დივერსანტებია თუ ბანდიტები, ამას ხვალ ვნახავთ... და გავუსწორებთ კიდევაც ანგარიშებს შეძლებისამებრ“, სთქვა გოდერძიმ და თავის ტყაპუჭში გამოეხვია.

გოდერძის არ დაეძინა. მეჩეთის გუმბათიდან ჩამოსული შუქი მთვარისა ზედ სახეზე ეცემოდა მას. წამოდგა, გულუხაიძე გააღვიძა და უთხრა:

„ჩვენ შეცდომა დავუშვით, სოლომონ, ერთი“.

„რა შეცდომა?“ იკითხა გულუხაიძემ.

„ჩემთვის ცხადზე უცხადესია, ისინი, სულ ერთია, ბანდიტებია თუ დივერსანტები, აუცილებლად ღამ-ღამობით მაინც დააყენებდნენ ყარაულებს. შენ რას იტყვი, სოლომონ?“

გულუხაიძე დააფიქრა გოდერძის ნათქვამმა:

„ეს ამბავი ჭკუასთან ახლოა, გოდერძი. მოდი, მივეპაროთ ნასაყდრალს და ვუთვალთვალოთ“.

კარაბინები აიღეს და მუსულმანურ სასაფლაოზე ჩაირბინეს ფრთხილად. ფიქალებს ამოეფარნენ, ხმაგაკმენდილი ისხდნენ და უთვალთვალებდნენ ნასაყდრალის დაკეტილ კარს. ერთი საათიც არ იყო გასული, ნასაყდრალში ორი ავტომატიანი კაცი შევიდა, ხუთი-

ოდე წუთიც არ იყო გასული, ორი შაშხანიანი ნასაყდრალიდან გამოვიდა. ნასაყდრალის კარი დაკეტეს ისევ.

„ხედავ, ჩემო სოლომონ, ორნი ნასაყდრალში შევიდნენ და ორნი გამოვიდნენ. უეჭველია ისინი ყარაულებს აყენებენ ქამალობით მაინც“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

გარიჟრაჟზე ოპერაციისთვის მზადებას მორჩნენ. ბენდელიანი ტყვიამფრქვევთან დასტოვეს. მეჩეთიდან გამოსვლისას გოდერძიმ მზერა გაუმართა ხირჩლას და ყველას საგულისხმოდ სთქვა:

„ახლავე გაფრთხილებთ, ამხანაგებო, მტკიცედ დაიცავით ჩვენი ბატალიონის უფროსის ბრძანება. ჩვენ უნდა ვეცადოთ როგორმე ცოცხალად დავიჭიროთ დივერსანტები, ყოველ შემთხვევაში ორიოდე მაინც: თუ ყველა დავხოცეთ, მკვდრებს რას გამოვკითხავთ?“

გეგმა ასეთი იყო: მომეტებულის სიფრთხილით ჩაერბინათ ჩირგვნარი, რომელიც მეჩეთსა და სასაფლაოს შორის მდებარეობდა. სასაფლაოზე დაუყოვნებლივ უნდა გაფანტულიყვნენ.

გულუხაიძე და ოჩიაური დასავლეთიდან მოუვლიდნენ ნასაყდრალს, მინაშენის კარებს შეამტვრევდნენ როგორმე და ნასაყდრალში შეიჭრებოდნენ.

იდაყვებზე ხოხვით გაიარეს მეჩხერი ნაძვნარი. მუსულმანურ სასაფლაოს რა მიაღწიეს, აქ გაიფანტნენ. წელში მოკუზულნი მიდიოდნენ, ეფარებოდნენ წამოყირავებულ ფიქალებს. გოდერძიმ თვალი მოჰკრა: მელოტი კაცი ნასაყდრალის წინ დაცუცქულიყო და თხას წველავდა.

გულუხაიძე თოფის სასროლზე მიეპარა ამ მელოტს, მაგრამ მოუხეშავმა ხირჩლამ ქვას წამოჰკრა ფეხი. ქვა ფიქალებს მიეხალა. ამ უმნიშვნელო გახმაურებამ იკმარა, მელოტმა კაცმა ერთი გაიხედა სასაფლაოსკენ და თოფიანის დანახვაზე დაფრთხა, თხის წველას მოეშვა, იყვირა „ალლაჰ“ და ხელებაწეული გადაიხვეწა ქარაფიდან.

ხირჩლას მოაგონდა გოდერძის გაფრთხილება და არ ესროლა გაქცეულს. მელოტის ყვირილზე ოთხი ავტომატიანი გამოვარდა ნასაყდრალიდან, მათ აირბინეს ის ბრეკი, რომელიც ნასაყდრალსა და სასაფლაოს შორის იყო ალმართული, აყირავებული ფიქალები იფარეს, და წითელარმიელებს დაუშინეს ავტომატები.

როგორც გოდერძი, ისე სერჟანტები კანტიკუნტად ისროდნენ მიწაზე განრთხმულნი. ოჩიაურმა სარკმლის ნიშზე ასვლისას უშვე-

ლა გულუხაიძეს და თავათ სასაფლაოსაკენ გაემართა. ასე რომ ხირჩლა ზურგში მოექცა ფიქალების პირველ მწკრივში განაბულ ორ კაცს და სროლა აუტეხა მათ. ავტომატიანებმა ადგილის გადანაცვლება მოასწრეს, საპირისპირო მხარეს მოუწვნენ ფიქალებს და დაუშინეს ავტომატები. ხირჩლამ ისაფრა აყირავებული ფიქალი...

გოდერძის პირისპირ ფიქალს ამოფარებული კაცი გამუდმებით ისროდა ერთხანს, მერმე გაყუჩდა. გოდერძიმ ირისკა. მოსცილდა კაცის სიმაღლე ფიქალს, რომლის უკან თავათ იყო განაბული, საკმაოდ მაღალ მავზოლეის გადაღმა მდგომარეს ესროლა.

მოპირდაპირემ დაუბრუნა ტყვია. გოდერძი განგებისად წაიქცა და ფეხები ააფხარკალა ჰაერში. მოპირდაპირე გაბრიყვდა, დანდობილად გამოძვრა საფარიდან და გადახედა წაქცეულს. გოდერძიმ ნიშანში ამოიღო მტერი, ნიყვივით დაასქდა იგი მიწას. ერთი გაიბრძოლა, მერმე პირაღმა გადაბრუნდა, ხელებგაშლილი იწვა ასე, თითქოს ზეცას აღსარებას ეუბნებაო.

ახლა მისი ამხანაგი, წაქცეულ ლოდს გადაღმა გაწოლილი, შეეცადა სამაგიერო მიეზღო გოდერძისათვის. იგი ერთხანს ზედიზედ უშენდა გოდერძის ავტომატს, მერმე ერთბაშად დადუმდა.

გოდერძი მიხვდა, ვაზნები რომ გაუთავდა მოწინააღმდეგეს. ამ უკანასკნელმა ავტომატი ხელიდან გააგდო, ოთხზე შემდგარი ძალლივით გაიქცა ნასაყდრალისაკენ. ნასაყდრალის ღია კარებამდის მისულს გოდერძის ტყვია მიეწია.

იგი ხელებგაშლილი და პირქვე დამხობილი დარჩა კარის ზღურბლზე. თავი ნასაყდრალში ჰქონდა შეყოფილი, თითქოს საველრებლად შესვლას აპირებდა.

გოდერძი არ მოეშვა თავის ფიქალს, რადგან ვიღაც ავტომატს უშენდა მას ხანგამოშვებით. შველა გაბედაიძეს ვაზნები გაუთავდა. იგი იდაყვებზე ხოხვით გამოემართა გოდერძისაკენ. ერთბაშად ტყვია მიეწია მას, კარაბინი ხელიდან გააგდო და მიწაზე დაჰკრა ნიკაპი.

ახლა ხირჩლა შეეცადა ადგილი შეენაცვლებინა, იგიც იდაყვებზე ხოხვით ჩასრიალდა დაღმართში, მაგრამ ერთბაშად მარცხენა ხელზე მოხვდა ტყვია, ერთი დაიზმუვლა, წამოდგა და რა შენიშნა: ვაზნები გამოელიაო მოპირდაპირეს, წამოვარდა, მიეჭრა მიწაზე განრთხმულს და ხანჯლით დაჰკლა იგი. მეოთხე უკვე ჩრდილოეთისკენ გარბოდა, რათა მეჩეთისათვის შეეფარებინა თავი, მაგრამ ბენდელიანის ტყვიამფრქვევმა უწია მას.

გულუხაიძე კარგა ხანს იყო სარკმლის ნიშში განაბული. იგი ხე-

დავდა: ნაბადზე მწოლარე წარამარა ისროდა საზღვაო პარაბელ-ლუმს.

დასცლიდა სავაზნეს, ისევ გაავსებდა. ისროდა, იმ ვარაუდით, რომ კარებში არავინ შემოეშვა. როცა დაინახა თუ როგორ მოჰ-კლეს კარის ზღურბლზე მოსული მისი ამხანაგი, უარესად გაცოფ-და, მოუხშირა სროლას.

ნაბადზე მჯდომმა თვალი შეასწრო ფანჯრის ნიშში გატვრინულ-ლანდს, დანდობილად ესროლა მას. გულუხაიძემ მისი ტანის შუა-ლედი ამოიღო ნიშანში. ერთი ამოიკვნესა, გაიბრძოლა ნაბადზე მჯდომმა და საკუთარ ხელებზე დააყრდნო თავი.

როცა სროლა შესწყდა, გოდერძიმ ხირჩლას შეაჩეჩა თავისი კა-რაბინი, კარის ზღურბლთან მწოლარე ცხედარს ზედ გადაახტა და შეწკიპული პისტოლეტით ხელში პირველი შევარდა ნასაყდრალში. ისევ წამოიწია ნაბადზე მწოლარე და პარაბელლუმი ესროლა გო-დერძის.

გოდერძიმ სროლითვე უპასუხა. ანაზდად თვალი შეასწრო, თუ როგორ დაემხო იგი პირქვე და ნაბდის კალთა გადაიფარა თავზე.

ამასობაში წიკლაურმა მოაღწია და გერმანულად უყვირა ნაბდის ქვეშ მწოლარეს: „ადექი, ასწიე ხელები!“

იმ კაცმა ნაბდის კალთა გვერდზე გადააგდო, წამოიწია და უპა-სუხა გერმანულადვე წიკლაურს:

„ჰეი თქვე მშიშარებო, დაჭრილ მეომარს რომელი ვაჟკაცი ესვ-რის?“

წიკლაურმა მიუგო:

თუ დაჭრილი იყავი, რევოლვერს რად გვესროდიო?

გერმანელი ჯერ მიაშტერდა წიკლაურს. მერმე ორივე მკლავზე პირქვე დაემხო, ნაბდის კალთა თავზე გადაიფარა და დადუმდა.

გოდერძი ეუბნება თარჯიმანს:

„ახლა მე უკვე ვიცი, ვინცა ბრძანდება, ყასიდად მაინც ჰკითხეთ ვინაობა“.

წიკლაურმა ნაბდის კალთა მოაცალა პირქვე მწოლარეს, ვინა ხა-რო? შეეკითხა გერმანულად.

კითხული წამოიწია ნაბდიდან, ორივე ხელს დაებჯინა და სთქვა:

„იცით, ჰერრ, მე გერმანელი ოფიცერი ვარ და ნება არა მაქვს ჩემი ვინაობა გავთქვა. წინა კვირას თქვენებთან შეტაკება გვქონდა. თეძოს თავი დამტვრეული მაქვს, ვერ ავდგები, რადგან დიდძალი სისხლი დავკარგე, ძველი ჭრილობა დამიჩირქდა. ამას წინად მეორე ტყვია მომხვდა ბარძაყში და სისხლისაგან ვიცლები“.

გოდერძის ეგონა ცრუობსო ტყვე, წიკლაურს მიმართა:

„გადაეცით მაგ ოფიცერს, ოფიცრობა თქვენ ვერაფერს გიშველის-თქო ამ შემთხვევაში... ხვალვე წაგიყვანთ შტაბში და იქ გათქმევინებენ-თქო სიმართლეს“.

ახლა ფაშისტის პასუხი ითარგმნა:

„მე ალბათ ამაღამ მოვკვდები, ამიტომაც ვერსად წამიყვანთ, ჰერრ“.

ესა სთქვა ტყვემ, ჯერ ორივე ხელით დაებჯინა მიწას, მერმე წაიქცა, ნაბადი გადაიფარა თავზე და დაიკვნესა:

„Jch sterbe Mutti“ [1].

„გადახადე ნაბადი!“ უბრძანა ოჩიაურს გოდერძიმ.

როცა მისი ნაბრძანი შესრულდა, გოდერძიმ შენიშნა: სისხლში ცურავდა დაჭრილი. გოდერძი ხედავდა განსაცდელის მოახლოვებას. ეს ერთადერთი დივერსანტი თუ მოკვდებოდა, მთელი ეს ჯაფა და მსხვერპლი წყალში გადაყრილი აღმოჩნდებოდა.

თავზე წამოადგა გულშემოყრილს და გერმანულად აკითხვინა წიკლაურს:

ბამბა და ბინტი თუ გაქვსო სადმე?

მე იმდენი სისხლი დავკარგე ამ დღეებში, გამითავდაო ბამბა და ბინტი, მიუგო ტყვემ.

გოდერძიმ სასწრაფოდ გაიხადა ტყაპუჭი და ბლუზა, მერმე პერანგიც მოიცილა თავიდან, შიშველ ტანზე ბლუზა გადაიცვა კვლავ.

ნაკუწებად აქცია თავისი პერანგი. ოჩიაური და წიკლაური მოიშველია და მაგრად შეუხვიეს სისხლში ამოსვრილი ბარძაყი ტყვეს.

ხირჩლა ბურდღუნებდა:

„ამისათვის მოვსულვართ, ამ გველის მართვეს რომ ჭრილობები შევუხვიოთ?“

წყალიო, ამაოდ ეეედრებოდა დაჭრილი სამივეს.

მცირე ხანს იწვა იგი, მერმე ისევ წამოდგა საკუთარ ხელებზე დაყრდნობილი და მიუბრუნდა გოდერძის:

„მე მეგონა მომკლავდით და თქვენ ჭრილობებს მიხვევთ? ისიც უნდა მოგახსენოთ, ჰერრ ობერლოიტენანტ [2], თქვენ ძლიერ იღბლიანი კაცი ყოფილხართ. მე ძველი სნაიპერი გახლავართ, მერწმუნეთ, არ დაგაცდენდით ტყვიას, მაგრამ თქვენ ისეთ დროს შემეჩეხეთ, როცა ბრძოლის გუნებაზე აღარ ვარ უკვე“.

წიკლაურმა უთარგმნა გოდერძის პასუხი:

---

[1] გიკვდები დედიკო.

[2] ბატონო უფროსო ლეიტენანტო.

„ჩვენ ხომ თქვენისთანა მხეცები არა ვართ, დაჭრილი ტყვეები რომ ვხოცოთ“.

„ამაში თქვენ ცამდის მართალი ხართ. იგივე გვითხრა ერთმა თქვენმა სერჟანტმა, როცა ხევის წისქვილიდან აქ მოვიყვანეთ დაჭრილი: მე უბრალო მეღორე ვარ, მაინც არ ვიკადრე ცხარე ბრძოლაში თქვენი დაჭრილების დახოცვა, თქვენ განათლებული ხალხი ხართ და სიცხიან ავადმყოფებს გვასამართლებთო“.

„დაიწყეთ ჩხრეკა“, უბრძანა გოდერძიმ სერჟანტებს.

ტყვეს ფრენჩის ჯიბეში ორი ბალღის ფოტოსურათის გარდა არაფერი აღმოაჩნდა. სასთუმალთან გდებული საველე ჩანთა ხელში აიღო წიკლაურმა, ბლოკნოტები, ნახაზები და დოკუმენტები ამოალაგა.

ხუთვერსიანი რუკა სსრ კავშირისა, ასეთივე კავკასიისა. დანარჩენმა სერჟანტებმა კუთხიდან გამოიტანეს რადიომიმღები და რადიოგადამცემი, ნაირ-ნაირი პისტოლეტები, ფოტოაპარატები, ავტომატები და დუმ-დუმ ტყვიები.

გოდერძიმ აკითხვინა წიკლაურს:

„თქვენ სადა გქონდათ პირველი შეტაკება ჩვენებთან?“

„ხევის წისქვილში“, მიუგო ტყვემ.

გოდერძიმ გულუხაიძე იხმო, ვალტერის სისტემის პისტოლეტი და ელექტროფანარი „ხოჭო“ გამოართვა, ახლოს მიუტანა ტყვეს და ათქმევინა წიკლაურს:

„თუ თქვენ არ გვეტყვით თუ ვის წაართვით ეს ორი ნივთი, ახლავე ამოგართმევთ სულს“.

„მუქარა უკვე ზედმეტია, ჰერრ. ჩვენ ეს ორი ნივთი ავართვით იმ ორ სერჟანტს, რომელნიც თავს დაგვესხნენ ხევის წისქვილთან“...

„რა იქნა ის ორი სერჟანტი?“

„ჩვენ ისინი დავჭერით ბრძოლაში, მხარგაკრული აქ ამოვიყვანეთ, ბევრი ვაწამეთ, მაგრამ არც თავიანთი სამხედრო ნაწილის სადაურობა გასთქვეს, არც სახელი და გვარი, სიკვდილი ირჩიეს.

ერთი მათგანი მეღორე იყო, მეორე რუსების პოეტს, პუშკინს ჰგავდა.

დღეს თქვენ შემოგაკვდათ ორი ეფრეიტორი: ერთი ინჟინერი იყო, მან საუცხოოდ იცოდა ენები, სხვათა შორის რუსულიც. ეს მან მითარგმნა თქვენი სერჟანტების ნაუბარი.

მეორე არქიტექტორი იყო, ორივენი აღშფოთებულნი იყვნენ იმ საზიზღარი საქმის გამო, რომელიც ჩვენ ჩავიდინეთ მექანიურად, სოლდათურად.

მას შემდეგ ჩვენ მთელი კვირა ვისხედით ამ გაერანებულ ტა-

ძარში, ვსაუბრობდით, ვლანძღავდით ჰიტლერის ფურიოზულ რეჟიმს, ჩვენს თავსაც.

სხვათა შორის არქიტექტორი, სწორედ იგი, რომელსაც კარის ზღურბლთან უწია ტყვიამ, აღმოსავლეთის ხელოვნებათა დიდი მცნობი იყო, მან გულდასმით დაათვალიერა ეს ძველი ტაძარი, აგრე სთქვა: ქართულიაო. გულახდილად გითხრათ, მე არც კი ვიცოდი თუ თქვენ ლამაზი ქალების, ლამაზი მთებისა და ღვინის გარდა რამე გაგაჩნდათ.

საერთოდ ამ ამბებმა ჩვენ შეგვარყია. ალბათ, თქვენ აგრე გგონიათ, მე თქვენი შემეშინდა და იმიტომაც ვიყავ თითქოს ასე გულახდილი. მე რომ ლაჩარი ვყოფილიყავ, აქამდისაც ვერ მოვაღწევდი.

აჰ, ნეტავ ვყოფილიყავ ლაჩარი, როგორც ჩემი ზოგიერთი ამხანაგი, რომელნიც რაიხის[1] სამინისტროებში თბილად მოწყობილნი ცხოვრობენ ახლაც.

რა ჰყრია ასეთ სიმამაცეში? კანტი უდიდესი მშიშარა იყო, სველ მიწაზე ფეხის დადგმისაც კი ეშინოდა, მაგრამ რამდენ მილლიონ მამაცსა და სულელ გენერალს ასესხებდა ჭკუას. ჩვენ გადავაფურთხეთ უკვე კანტს, ჩვენ მთელ კაცობრიობას გადავაფურთხეთ.

კანტის ბრძნულად ნათქვამი: „ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზევით და მორალური კანონი ჩემში", ჩვენ აგრე შევცვალეთ: „ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩვენს ზევით და შეწკიპული ავტომატები ჩვენს ხელში".

მე უკვე სიკვდილის ზღურბლთან ვარ მისული და უკვე აღარავისი მეშინია, ჰერრ. საერთოდ ვინც სიკვდილს ჩემსავით ხშირად გასთამაშებია, მას არაფრის შეეშინდება.

ეს ორი წელია, რაც მე სიკვდილის ანგელოზივით დავქრივარ ცაში და ბოროტებას ვთესავ. ვინ მოსთვლის რამდენი ქალაქი და სოფელი დამიბომბავს, რამდენი დივერსია მომიწყვია.

მე ფილოსოფიის დოქტორი ვარ, ისტორიაც გვარიანად ვიცი, ეს ამბავი არც ისე ახალია. კაცობრიობას ჟამიდან ჟამზე დაეუფლება ხოლმე ისტერია. რელიგიური ომები მოიგონეთ, ჯვაროსნული ლაშქრობანი, ჭინკებისა და კუდიანების პროცესსები, მასსური ყივილი, ცრუქრისტეები და ანტიქრისტეები, ებრაელების ჟლეტა და სხვა მისთანანი. თქვენი ამხანაგების წამებამ ჩვენ ძლიერ დაგვაფიქრა.

რა ფასი აქვსო ჩვენს განათლებას, ამბობდა არქიტექტორი. სწორედ იგი, კარის ზღურბლთან რომ უწია თქვენმა ტყვიამ. მეღორემ

---

[1] იგულისხმება გერმანია.

გვაჯობაო, ხევის წისქვილთან მომხდარ ბრძოლაში ისინი ტყვეს არ მოუნაცვლებდნენ წაქცეულ მტერს. თქვენ უკანასკნელი ბერანგი შემოიხიეთ, რათა ჭრილობა შეგეხვიათ ჩემთვის, ჩვენ დაჭრილები ვაწამეთ და ქარაფიდან გადავყარეთ.

როგორც სჩანს, თქვენ დიდი ჰუმანიური კულტურის ფატარებელი ხალხის შვილები ხართ და ჯერ არ შერყვნილხართ იქ ქალაქის ცივილიზაციისაგან, რომელმაც ევროპა მოიყვანა ამ გრანდიოზულ კატასტროფამდის.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ სამმა იმდენი ვიფიქრეთ და ვინაღვლეთ, გადაწყვეტილი გვქონდა: თუ გერმანიაში ცოცხალნი ჩავიდოდით, ფაშისტების პარტიისათვის ზურგი შეგვექცია.

ადამიანის ამბავი აგრეა, ჰერრ ობერლეიტენანტ. ვიღაც-ვიღაცეები მექანიურ თოჯინასავით დაგვქოქავენ და ამის შემდეგ ანგარიშმიუცემლად მივდივართ, კი არ მივდივართ, მივჰქრივართ, კი არ მივჰქრივართ, მივფრინავთ, სანამ კატასტროფას არ წავაწყდებით.

ოჰ, რა ძნელია ეს კატასტროფა, კატასტროფა არა მარტო გემისა და თვითმფრინავისა, მსოფლმხედველობისა და სულისაა განსაკუთრებით ბედითი.

როცა გველი თავის პერანგს იცვლის, ლოდს ქვეშ გაძვრება, ტკივილებს განიცდის ალბათ.

მე აფრიკის ჯუნგლებში მინადირნია. ასეთ დროს იქაური გველები ისე გულის წამლებად წევიან და სივიან, თმები ყალყზე აგიდგებათ ამ ხმის გაგონებაზე.

ამ დანგრეულ ტაძარში მოგვიხდა ჩვენ ამ კატასტროფის განცდა. ამ ნასაყდრალიდან ვუთვალთვალებდი ამ შეუდარებელ მყინვარებს.

მე ალპები, პირინეები და აპენინები მრავალგზის გადამილახავს ფეხითა და თვითმფრინავით, და ასეთი სილამაზე არსად მინახავს. აქ ვნახე მე პირველად ეთერში გაყინული მარადჟამობა...

კავკასიონი გრანდიოზულია, თვალწარმტაცი, თანაც მრისხანე. ახლა გასაგებია ჩემთვის, ღმერთებთან მებრძოლი პრომეთე აქ დაიბადაო, რომ ამტკიცებდნენ ძველი ბერძნები.

აქ, ქვემოთ, ბარში უბრალო მშრომელი ხალხი ხნავს და სთესავს; ჩვენ კი ბომბებს თავზე ვაყრით მათ და სიკვდილს ვთესავთ.

ამ დღეებში რამდენჯერ მინატრია ჩემი საყვარელი ცოლი, ჩემი ორი ბავშვი, დედაჩემი და ჩემი ძუძუს დაი — ფრიდაც. იგი მამაჩემის ასისტენტია. ჭკუის კოლოფი ყოფილა ეს ქალი: მუდამ ამას გვიჩიჩინებდა მე და მამაჩემს — რა თქვენი საქმეაო კაცის კვლა და ფაშისტობა, არ გირჩევნიათ თქვენს მეცნიერებას მიხედოთო? ახლა ვხედავ, ქალმაც რომ გვაჯობა ჭკუაში, მაგრამ უკვე გვიანაა. ფრიდა

მოწყალების დად აპირებდა ფრონტზე წამოსვლას. მე არ დავანებე. მამა ჯიუტია, ის ფაშისტების ყურმოჭრილი მონაა. აქ ქვემოდ [illegible] დავსახლდებოდი, მიწას მოვხნავდი, ნაყოფიერ ხეებს დავრგავდი... აი ნახეთ", — სთქვა მან, ფრენჩის ჯიბიდან ამოიღო [illegible] ფოტოგრ[illegible] რათები. გოდერძიმ დახედა, ისევ დაუბრუნა უკან.

„მამა რას აკეთებს?" აკითხვინა გოდერძიმ წიკლაურს.

„მედიცინის პროფესორია, სამხედრო ლაზარეთის დირექტორი".

ახლა სახელი და გვარი, სამხედრო წოდება ჰკითხეს ტყვეს.

რუდოლფ შტამლერი, ფილოსოფიის დოქტორი, კონტრდაზვერვის ჰაუპტმანი [1].

„მე ფილოსოფიის კათედრას მაძლევდნენ ომამდის, ბონში, — განაგრძო შტამლერმა, — სამტომიანი შრომა მაქვს კანტის ეთიკის შესახებ დაწერილი.

რა ფასი აქვს ამას ყოველივეს? ეს ყველაფერი წყალში გადამივარდა, კონტრდაზვერვის სკოლა დამასრულებინეს სასწრაფოდ, რათა ხალხების აწიოკება და ქალაქების დაბომბვა მესწავლა.

ჩვენ სახელი გავუტეხეთ მაღალნიჭიერ გერმანელ ხალხს, თქვენ, ალბათ, ყოველი გერმანელი ფაშისტი გგონიათ, ყველა გერმანელი ბანდიტი, ალბათ ასე ფიქრობთ: მე მხოლოდ სიკვდილის შიში ვალაპარაკებს.

მე ხვალ დილამდისაც ვერ გავატან ალბათ, ჩემთვის ისიც სულ ერთია, თქვენ რას იფიქრებთ. თუ რომელიმე თქვენთაგანს წერა შეგიძლიათ, ან თუ მწერალს რომელიმეს იცნობთ, უამბეთ მას ჩემი ალსარება ამ ძველი ტაძრის ნანგრევებს ქვეშ, სიკვდილის მოლოდინში თქმული.

აიხედეთ ზევით, შეხედეთ იმ თავწაჭრილ ღმერთს საბაოთს, თავისი ფართედ გაშლილი კალთები რომ გადაუფარებია ჩვენთვის.

ეს თანამედროვე ევროპის სიმბოლიური სურათია: თავწაჭრილ ღმერთს ტყვიებით დაფხრეწილი კალთა გადაუფარებია გამხეცებული ერებისათვის.

რომის გამოფშუტურებული პაპი ვატიკანში ლოცულობს და ხალხს აუწყებს ახალ ჯვაროსნულ ომს, კომუნიზმის წინააღმდეგ ატეხილს".

ვიდრე ზემოთქმულის თარგმანს მოასწრებდა დოცენტი წიკლაური, რუდოლფ შტამლერმა განაგრძო:

In Europa ist schon längst verklungen die prahlerischen Gerede über Liberté, Fraternité und Egaiité und allerlei Quatsch über Humanismus.

---

[1] გერმ. პოლკოვნიკი, მეთაური.

„Der große Goethe meinte: es würde die Zeit kommen, als Orient und occident einander die Hände reichen werden.

Auf diesmal reichen wir dem Orient die Hände, aber statt einer Friedenspalme 'wir haben in den Händen die Automatgewähre.

Ein wircklich kluger Mann hat es neulich gesagt; es ist mit den Völker genau so wie mit Einzelnen, nur das zählt mit, was sie aus sich selbst und auf eigene Kosten lernen und die Jrrtümer der Gegenwart bilden den Schatz der Zukunft.

Leider das alles ist schon zu spät für mich und meine Parteigenossen und es würde uns Kaum helfen.

So leben wir ùnter der Ägide eines enthäupteten Gottes, ohne Gott, ohne Religion und ohne Moral"[1].

რუდოლფ შტამლერმა საკინძე შემოიფხრიწა, ყელიდან მოიგლიჯა შავ ზონარზე შებმული ამულეტი და უთხრა წიკლაურს:

„ამ ამულეტმა კარგი სამსახური გამიწია დღემდის. იგი მაჩუქა ჩემმა მეუღლემ ფრონტზე წამოსვლის დღეს. ეს ამულეტი მიფარავდა, როცა უკრაინისა და ბელორუსიის ქალაქებს ვბომბავდი.

ვინ იცის რამდენჯერ დამდევნებიან თქვენი ბომბდამშენები, რამდენი საზენიტო ზარბაზნის ცეცხლის გრიგალები უვნებლად გამივლია.

დღეს მიმუხთლა ჩემმა ამულეტმა", სთქვა და კერის გადაღმა გადაისროლა იგი.

ლეიტენანტი გულუხაიძე ადგა. ცეცხლთან მიიტანა იგი. ეს აღმოჩნდა სერდოლიკის გემმა, რომელზედაც გამოსახული იყო მგელზე ამხედრებული რქიანი სატანა.

მხოლოდ საღამო ჟამს მოათავა გოდერძიმ შტამლერის დაკითხვა

---

[1] ევროპაში უკვე დიდი ხანია, რაც შეწყდა ყოველივე ტრაბახი თავისუფლების, თანასწორობის და ძმობის შესახებ. შესწყდა ყოველგვარი ყბედობა ჰუმანიზმის გამო.

დიდი გოეტე ოცნებობდა იმ დროისათვის, როცა აღმოსავლეთი და დასავლეთი ძმურად ხელს გაუწვდიან ერთიერთს.

ამ ჯერადაც ჩვენ ხელს ვუწვდით აღმოსავლეთს, მაგრამ მშვიდობის პალმის ნაცვლად ავტომატები გვიჭირავს ხელში.

ერთმა ნამდვილად ჭკვიანმა კაცმა სთქვა ამას წინად: ხალხებსაც ისე ემართებათ, როგორც ცალკეულ პიროვნებებს მოსდით ხოლმე: მხოლოდ ისაა ანგარიშგასაწევი მათთვის, რასაც საკუთარი გამოცდილებიდან და საკუთარი ტანჯვის საფასით ისწავლიან ხოლმე. და აწმყოს შეცდომები მომავლის საგანძურს წარმოადგენენ უცილოდ.

ეს ყოველივე ჩემთვის და ჩემი პარტიული ამხანაგებისათვის. ამაოა უკვე. ეს ჩვენ ვერას გვიშველის და ასე ვცხოვრობთ ჩვენ თავწაჭრილი ღმერთის ეგიდის ქვეშ უღმერთოდ, ურელიგიოდ და ყოველივე მორალის გარეშე".

მის ჩანთაში ნაპოვნი დოკუმენტების მიხედვით შეპყრობილი აღმოჩნდა ფაშისტური კონტრდაზვერვის ჰაუპტმანი, ფილოსოფიის დოქტორი ბონის უნივერსიტეტისა. 28 წლისა, ცოლიანი, დავალებული ჰქონდა ენჯუკის ხეობის დაზვერვა და ტოპოგრაფიული ნიშანების თვითმფრინავით გადაღება.

ზუსტად ერთი კვირის შემდეგ დანიშნულ ადგილას დივერსანტები მოელოდნენ ენჯუკის ხეობაში თვითმფრინავს.

გამოირკვა: ის მელოტი კაცი, რომელიც დილაობით თხას სწველიდა, ყოფილა თურმე მახლობელი აულის მოლაყოფილი, რომელიც ორი კვირის მანძილზე ემსახურებოდა და შველოდა დივერსანტებს.

მთელი ღამე არ სძინებია გოდერძი ელანიძეს. ოთხი მიცვალებული, ორი დაჭრილი და ბრძოლისაგან დაქანცული წითელარმიელები ისვენებდნენ ამ დაცეულ ნასაყდრალში, რომლისთვისაც ებრაელების თავწაჭრილ ღმერთს ტყვიებით დაცხრილული თავისი კალთა გადაეფარებინა...

მ ი ნ ა წ ე რ ი: მეორე დღეს ლეიტენანტი გულუხაიძე და სერჟანტი ოჩიაური გააგზავნა გოდერძიმ მახლობელი აულებიდან მამაკაცების მოსაყვანად.

თორმეტმა კაცმა ძლივს შესძლო მძიმედ დაჭრილი შტამლერის აყვანა და დივერსანტებისათვის ჩამორთმეული აპარატებისა და იარაღის ატანა დივიზიის შტაბში.

ბედნიერება და უკვდავება

„... დიდება შემოდგომას, ქამსა სთვლისასა, როცა ყოველ წამს ჰხედავ ხელკალთიან მესაელეებს შავი ყურძნით დატვირთულთ.

ვაზის ფოთლები ცისარტყელას ფერებით შემკულან. მსხალი დამსგავსებია აბრეშუმის ქისას, რომელშიაც კვერცხი დევს.

ცალი ღაწვი შესწითლებია, ცალიც შეყვითლებია, თითქოს ლოყებშეფაკლული ავადმყოფიაო.

ბროწეულის ნაყოფი ფეხმძიმე ქალსა ჰგავს, რომელსაც პატარა ბიჭებით სავსე აქვს მუცელი"...

მ ი ნ უ ჩ ე რ ი ს „დ ი ვ ა ნ ი დ ა ნ"

შემოდგომა ისევ მოვიდა კახეთში, სადაც მას მტევნებით, პურის თაველებით და ატმებით შემკული ტახტი უცდის ყოველ წელს. სეტყვის მიერ აკლებულ ვენახებშიაც კრეფდნენ მერთველეები აქა-

იქ ყურძენს, რადგან ყველა უბანს თანაბრად არ მოხვედრია სეტყვა. მაჭარი სდუღდა მარნებში...

დილიდან ვე გამომთვრალი ფოსტალიონი გეო სოფელში დააბრტებდა და ბეჯითად არიგებდა სიკვდილის უწყებებს.

ბელორუსიის ფრონტზე ფაშისტებმა ავტომატებიდ დაცხრილეს კოლმეურნეობის მოანგარიშე — გამეზარდაშვილი. უკრაინის ფრონტზე მტრის ბლინდაჟის აღებისას ხელის გრანატით მოჰკლეს მეფრინველეობის ფერმის გამგე — მირიანაშვილი იონა და მისი ძმა კოტე.

ფინეთის საზღვარზე მოჰკლეს სამი ძმა გოდერძიშვილი: შიო, გივი და ზაქარა.

კალუგის ლაზარეთში შრაპნელის ნამსხვრევების ამოღებას გადაყვნენ სერჟანტები: ქადაგიძე, იორამაშვილი და ნადირაშვილი.

ფაშისტური ტანკის „ტიგრის" აფეთქებისას გერმანელმა ტანკისტებმა ტყვიამფრქვევით მოჰკლეს გვარდიის კაპიტანი ჯორჯაძე, სატანკო კოლონასთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ: გვარდიის მაიორი ტუსიშვილი, კაპიტანი გვერდწითელი, გვარდიის პოლკოვნიკი ვაჩნაძე.

ვიდრე გოდერძი ელანიძე ჩრდილო-კავკასიაში იბრძოდა, თითქმის ყოველ თვეს უგზავნიდა ბარათებს ნუნუს. ყოველ წერილში ამას სთხოვდა:

ჩვენთვის განკუთვნილი ოთახები გადახურეთ როგორმე კრამიტით. როგორც კი ამ საქმეს მორჩე, პაპიჩემის სახლში გადადი, ბავშვს კარგად მოუარე, მოხუცებს მიხედეო. ხანდახან ძვლები მოაგროვე და ჩემს საყვარელ ძაღლს, მგელას მიუტანეო.

ამის შემდეგ ერთ ორ თვეს არაფერი მოუწერია. მერმე ისევ მოიტანა გეომ გოდერძის ბარათი:

აქ ერთი მეგობარი გავიჩინე, უფროსი ლეიტენანტი ბურჟინსკი, ივანე ნიკოლოზის-ძე, ფრონტისმიერი მეგობარი ჩემი.

მას ძლიერ მოეწონა შენს მიერ გამოგზავნილი თუთუნი. კიდევ გამოგზავნეო ის თუთუნი, ნახევარი ბურჟინსკის უნდა მივცეო.

გაზეთებშიაც გაიელვა გოდერძის სახელმა: რომელიღაც კორესპონდენტი ახსენებდა ნალჩიკთან მებრძოლ ქართული დივიზიის მეომართა გმირობას, გოდერძისაც აქებდა წერილის ავტორი.

ერთი კვირის შემდეგ თედო თარალაშვილმა გადასცა ნუნუს გაზეთი.

უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება ამოიკითხა ამ გაზეთში ნუნუმ. გოდერძისთვის მიენიჭებინათ კავკასიის დაცვის მედალი. ერთი თვის

შემდეგ ისევ მოიტანა სხვა წერილი გეომ: ლენინის ორდენზე წარმადგინეს, კაპიტანის ჩინი მომანიჭესო, იწერებოდა გოდერძი.

როგორც იქნა, საწადელი ამისრულდა: საავიაციო პოლკში გამაწესესო. ორი თვეა, რაც მტრის ტერიტორიას ვბომბავთ, ეფიტომაც ვერ მოგწერეო ბარათი.

ამ გასახარელი ამბების მოტანისთვის კარგი საუზმე აჭამა ნუნუმ გეოს და რიგიანად გამოათრო კიდევაც. მეორე დღესვე უპასუხა გოდერძის ნუნუმ, ორი კილო თუთუნი და მოსაკითხი გადაუგზავნა.

ეს იყო და ეს.

სამი თვე გავიდა, დანარჩენ უჯირაულებს სასიხარულო წერილები ამოუტანა გეომ: ზოგს ორდენები მიეღო, ზოგს დაწინაურება, ზოგიც ლაზარეთიდან გამოწერილაო გაჯანსაღებული.

გოდერძისაგან ბაიბური არ ისმოდა. ნუნუს სასოწარეკვეთა. ერთი გაიფიქრა: ვინ იცის ეგებ მიქელასას ვეგულებოდე გოდერძის და იქ მიგზავნიდესო წერილებს. იყოყმანა, იყოყმანა და ბოლოს ეწვია პაპა მიქელას.

როცა ბაბლიამ ამცნო მოხუცს: ნუნუ მოვიდაო, ვაგლახად მოიღუშა უსინათლო, არც კი მოუკითხავს თავისი შვილიშვილი.

რა უნდაო? შეეკითხა ბაბლიას. ბაბლიამ უთხრა ნუნუს მოსვლის მიზეზი; არავითარი წერილი არ მიმიღიაო, მკვახედ მიუგო მიქელამ და სოხანეს დააშტერა თავისი დავსილი თვალები.

გოდერძის ხსენებაზე აყვირდა თებრონე:

„წუხელ ღვთისმშობელი მესიზმრა, აგრე მითხრა: ხვალ ჩამოვაო გოდერძი, ჩამოვა თუ არა, შავ ღორს წავიყვან, სამღვთოს შევწირავო გველეთის წმიდა გიორგის“.

*

ბოლოხანს მთლად დაკარგა წონასწორობა ნუნუმ. როგორც კი გაიგებდა: მახლობელ სოფელში ფრონტიდან ბარათი მოსვლიაო ვინმეს, თავისუფალ დროს მოახელებდა თუ არა, წავიდოდა, გამოიკითხავდა: გოდერძი ხომ არ უხსენებიაო მავანსა და მავანს ფრონტიდან გამოგზავნილ წერილში?

ამ გზით რომ ვერაფერს გახდა, ხან პოლკის უფროსს უგზავნიდა ყოველ კვირას შეკითხვას, ხანაც გოდერძის მეგობარს—ბურჭინსკის.

ფოსტალიონის გეოს დანახვაზე თრთოდა, თანაც წარამარა ევედრებოდა: როგორც კი გოდერძის წერილი ხელში ჩაგივარდეს, დაუყოვნებლივ მომიტანეო, ცოლ-შვილს აფიცებდა გეოს, სამაგიეროდ კარგ საუზმეს ჰპირდებოდა. გეოც თავის მხრით მტკიცე პირობას იძლეოდა, დაუყოვნებლივ მოეტანა წერილი.

ერთ საღამოს სიცხე მისცა პატარა მიქელას. მთელი დღე ფართობზე ნამუშევარმა თეთრად უთია ავადმყოფს ღამე. გარიჟრაჟზე წასთვლიმა ნუნუს, უცებ გაიგონა თავისი სახელი და გვარი. ალბათ მომეჩვენაო, იფიქრა, ისევ თავი მიანება თვლემას. ხელახლა წამოიყვირა ვიღაცამ ეზოში:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„უჯირაული ნუნუ".

ჩაცმაც ვერ მოასწრო ნუნუმ, ქეთუამ კარი გააღო, მიაძახა მას, ვინცა ყვიროდა ეზოში: სძინავსო ნუნუს, შემდგომ ამისა უხიაგად გამოიხურა კარი.

მესამედ მთლად ისტერიული ღრიალი მოესმა ნუნუს. დამდუღრულივით ყვიროდა ვიღაცა ეზოში.

წამოვარდა ნუნუ და ეზოში გავიდა. გეო და ძაღლი შებმოდნენ ურთიერთს. ფოსტალიონის შუაში გადატეხილი კომბალი იქვე ეგდო. გეო ქვებს უშენდა მყეფარს, უკანასკნელ ქვას არ იმეტებდა, ღრიალით, მუქარით და ფეხების ბაკუნით იგერიებდა ძაღლს.

როცა საფრთხემ გაიარა, გააფთრებულმა გეომ უთხრა მასპინძელს:

„ხომ შეგისრულე პირობა? — მერმე გაიკრიჭა და დასძინა: — საუზმეც არ მიჭამია, ისე მოვედი".

ნუნუ ათრთოლდა, ჯერ გაწითლდა, მერმე გადაფითრდა, ახლოს მიეჭრა გეოს, მაგრამ იგი თავის შავ ჩანთაში იქექებოდა დიდხანს, ბოლს ამოიღო სამკუთხედად დაკეცილი საველე ბარათი და ნუნუს გაუშვირა.

ბედითად დაუბრიალა ერთადერთი თვალი.

ჯერ კიდევ წარწერის მიხედვით დაასკვნა ნუნუმ, გოდერძის ხელს არ ჰგავდა იგი. თვალთ დაუბნელდა. გარკვევით იგრძნო: ოდნავ შეჰქანდა კიდევაც, მაგრამ მხნეობა მოიკრიფა. თვალებზე ხელი მოისვა, კიდევ დახედა ბარათს.

იწერებოდა ავიაციის უფროსი ლეიტენანტი ბურჟინსკი, ივანე ნიკოლოზის-ძე.

15 აგვისტოს კაპიტან ელანიძის თვითმფრინავი 134 სხვა ბომბდამშენებთან ერთად მტრის ზურგის დასაბომბად წარგზავნეს და უკან აღარ დაბრუნებულა.

მხოლოდ 30 აგვისტოს მივიღეთ კონტრდაზვერვის ცნობა: ამ თვითმფრინავმა დაბომბა პილაუს რაიონი და ფაშისტური საზენიტო არტილერიის ცეცხლში მოჰყვაო.

ბურჟინსკი სამძიმარს უცხადებდა თავისი მეგობრის მეუღლეს.

ნუნუს ხელიდან გაუვარდა ბარათი და იქვე ჩაიკეცა. გეომ საუზ-

მის იმედი რა დაჰკარგა, უკანასკნელი ქვა გადააგდო და ფაცხაფუცხით მოუსვა.

ქეთუამ ოთახიდან დაინახა ეს სცენა, მაგრამ არხეინად განაგრძო თეფშების რეცხვა. მალხაზი ფანჯრიდან გადმოხტა, აკოცა წაქცეულს და წამოაყენა.

ნუნუ პირქვე დაემხო თავის საწოლზე, მის უსასრულო ტვირთს ბანს აძლევდა დასიცხული პატარა მიქელას ტირილი. ცრემლებს ღვრიდა მალხაზიც, თუმცა მას არ უკითხავს და არც სცოდნია რა მოხდა.

შემდგომ ამისა ნუნუმ გოდერძის ქვრივად შერაცხა თავი. თალხი ჩაიცვა და უნუგეშებელ მწუხარებას გულის კარი გაუღო.

•

ორიოდე კვირის შემდეგ ფაშისტური მესსერშმიტები დასაზვურად ეწვიენ კახეთს. გადუქროლეს ვაზებისა და ვარდების ქვეყანას და ლეკიმთისკენ გაფრინდნენ.

ფოსტალიონ გეოს მოსვენება არ ჰქონდა, იგი ენერგიულად დაჩლახუნობდა გზებსა და ბილიკებზე, მამაცურად ებრძოდა ორღობეში გამოცვენილ ძაღლებს და არიგებდა სიკვდილის უწყებებს...

არაშენდა-გველეთშიაც ხშირად მოდიოდა გეო, ახალშენის მოსახლენი არც ისე შორს იყვნენ კორინთელის კოტეჯიდან.

როგორც კი გეოს დაინახავდნენ სუსქია და მაია, შიშისაგან კრთოდნენ...

ჩვენთან ხომ არ მოდისო გეო? რამდენიმე წუთი გაივლიდა და შემცხადებელთა კივილი ისმოდა უკვე...

•

ერთ საღამოს სუსქია და ვახტანგი ბაღში ისხდნენ. შვილის ნუკრს — ბიჟინას აჭმევდნენ ხელით მოგროვილ ბალახს. კორინთელი ეუბნება ცოლს:

„ბუნებაა ჩვენი დიდი მასწავლებელი. შეხედე რა ბედნიერი არსებაა ბიჟინა, რა მცირე რამ კმარა მის გასახარებლად.

მცირედით გულის შეჯერება და ბედნიერების იოლად შეგრძნობა სულით სპეტაკ არსებათა ნიჭია უთუოდ.

გაუმაძღრობისა და სიხარბის შედეგია ის სისხლის წვიმები, რომელნიც თავს დააცხრა ჩვენს თანადროულ კაცობრიობას. ასეთ მძიმე დროს ჩვენ უკვე ვხედავთ, კაცობრიობა როგორც განუკვეთელი ერთეული, ისევე არ არსებობს, როგორც ცხენობრიობა“.

ამის თქმა მოასწრო კორინთელმა და გეომ ჩაიარა. სუსქიას გააჟრჟოლა გეოს დანახვაზე, სთქვა:

„ჩვენსკენ არ მოდიოდეს ეს ოჯახქორი გეო. ერთადერთი ძმა შემომრჩა ცხრა და-ძმიდან, ჩემი ავთანდილის უბედურება, ალბათ, გავიგო, არცკი ვიცი, როგორ გადავურჩები ამ ამბავს.

იცი, ვახტანგ, ოდესღაც, სადღაც მინახავს სურათი: „ხიკვდილის ანგელოზი“ — ახმახი, ღაწვმაღალი, ცარიელი ჩონჩხი. სწორედ იმასა ჰგავს ეს უბედური გეო, ნამდვილი მიქელ-გაბრიელია, გრძელი და ბნელი ფრთები აკლია მხოლოდ.

შენ ხომ იცი, ვახტანგ, როცა გეოს დაინახავენ თურმე ქალები და ბავშვები ისე გაინაბებიან, როგორც ბეღურები, რომელთაც თავზე ქორმა გადუქროლა“.

„ეჰ, ჩემო კარგო, — ამბობდა ვახტანგი, — რა შუაშია ეგ საწყალი გეო? სიკვდილი იმათ, ვინც ჩვენი ქვეყანა გახვია ამ ომში.

ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, მე პირდაპირ მრცხვენია ტფილისის ან თელავის ქუჩებზე გამოჩენა. ჩემს წამოწითლებულ ლოყებს რა შეხედავს კაცი, უთუოდ ჯანმრთელი ვეგონები.

ახლა ყოველი ნამდვილი ვაჟკაცი ფრონტზე უნდა იყვეს. ეს ოხერი წნევა რომ არ მაწუხებდეს, ხვალვე წავიდოდი. ასეთ საქმეებში მე ფატალისტი ვარ ოდნავ. ყოველ კაცს თავის დროზე უწევს სიკვდილი...“

სუსქიამ ისევ ომის ამბები წამოიწყო:

ვინ იცის, ეგებ მოკლესო კიდევაც ჩემი ძმა, ავთანდილი.

კორინთელი ხედავდა, მელანქოლიურ ფიქრებს რომ მიეცა სუსქია, ამიტომაც უთხრა:

„შენ ხომ იცი, ძველს საქართველოში მხოლოდ საამურ ამბებს უამბობდნენ და ლამაზს საგნებს უჩვენებდნენ ხოლმე ორსულ ქალებს. მიტომაც მიჰყავდათ ისინი ჩვენი ფრესკის ოსტატთა შედევრების სანახავად ტაძრებში, ჩონგურის დაკვრითა და სძლისპირების გალობით ართობდნენ მათ.

მოვეშვათ ამ უსიამო ამბებს და ფიქრებს, სუსქია. უცქირე ჩვენს საყვარელ კავკასიონს: ბუნებაა ერთადერთი წამალი გულმწუხარისა, მე არა მგონია ბევრი იყოს მსოფლიოში ისეთი ქვეყანა, რომელსაც მთელი თავისი სიგრძის მანძილზე ასეთი გრანდიოზული სანახაობა ჰქონდეს თვალწინ, როგორიცაა კავკასიონი.

მე ეს სამოსახლო იმიტომაც ავირჩიე, რომ აქედან განსაკუთრებით ლამაზია ეს მწვერვალები. როცა შენ შორს იყავი ჩემგან, მე აქ ვიჯექი საღამოობით და ვსტკბებოდი კავკასიონის ჰვრეტითა.

ნახე, ნახე, მარჯვნით, ლეკიმთაზე სინგურისფერი ღრუბელია გაწოლილი, ნახტომისათვის მომზადებულ ვეფხს არა ჰგავს?

მარცხნით გაიხედე: მარმარილოს ბასტიონებია, უზარმაზარი წამახული ქონგურებითა.

ხომ ასე გადათეთრებულია ეს მწვერვალები, მათ ... ხიტის ფერისაა მთელი ეს მასივი, თითქოს სავსებით ლურჯი ზღვიდან ამოუყვიათო იმ მწვერვალებს თავი.

მე ძლიერ ვწუხვარ, ჩვენ მხატვართა შორის ლანდშაფტისტები რომ არა სჩანან და ჯერ არც არავის უცდია აკვარელით დახატვა ამ მთების სილამაზისა".

ბალში დავანებულ ჩრდილებს გამოეყო ბიკინა, მოკუნტრუშდა, სუსქიას მუხლზე დაადო თავი.

შეღამდა. ღამურებმა დაიწყეს ფრენა. ისინი წყვილად დაფარფატებდნენ კოტეჯის გარშემო, უცნაურად წრიპინებდნენ თანაც.

სუსქიამ სთქვა:

„იცი, ვახტანგ, მე ყოველი სულიერი მიყვარს ამ ბუნებაში, გველი რომ გველია, ისიც არა მძულს; სწორედ გითხრა, გველი მაოცებს კიდევაც თავის უცნაურის ანაგობითა.

ერთადერთი არსება ეს ღამურაა, რომელიც მძაგს და არ ვიცი რად გააჩინა იგი განგებამ?

შესაძლოა ეგ იმიტომ მომდიოდეს, რომ ბავშვობიდან ასე შთამაგონეს: ღამურა თმებში ჩააფრინდება ხოლმე მძინარე ქალს და გულის სისხლს გამოსწოვსო, მერმე შეუძლებელიაო თურმე მისი მოცილება, სანამ თმებს არ გადაპარსავენ".

„რას ამბობ, სუსქია? — მიუგო კორინთელმა, — ეს მტკნარი ზღაპარია... ეს ჭორი მთელს მსოფლიოშია რატომღაც გავრცელებული... ანტიურ სამყაროშიაც ვამპირებსა და ჰარპიებს უკავშირებდნენ ღამურებს.

არსებითად ეს სავსებით უმწეო არსებაა, ტყეებსა და ნანგრევებს ეტანებიან ღამურები, ისინი მწიფე ხილს სწუწნიან, ვენახებს თუ შეეჩვიენ, ყურძენს გააჩანაგებენ.

სამხრეთ ევროპაში მე მინახავს ჩვენებურ ღამურაზე ოდნავ უფრო დიდი ფორმის ღამურა, რომელსაც რონოლოფუსს უწოდებენ.

რონოლოფუსი მძინარე მტრედებს, შველსა და ირმებს მიეპარება ხოლმე ღამღამობით და მცირეოდენ სისხლს გამოსწოვს, დაახლოებით ისევე, როგორც წურბელი ავადმყოფ ადამიანს. ეგ არის და ეგ..."

„მე არ მესმის, ვახტანგ, ამ გველეთში საიდან გაჩნდა ამდენი ღა-

მურა? როცა შენ აქ მომიყვანე, იმ პირველ ღამეს არ შეძინა, შენ წასთვლემდი თუ არა, მე ვცახცახებდი შიშისაგან".

„ეს ადვილად გასაგებია, გველეთის ნაციხრებსა და ნასაყდრალებში მრავლობენ ისინი, ქვაკაცას ტაძარში და მამაცას სასახლეში ცხოვრობენ და იქიდან მოდიან...

ახლა შემოდგომაა, ღამურები უკანასკნელ მარულას მართავენ ალბათ, სულ მალე ქვაკაცას წმ. გიორგის ტაძარს შეეხიზნებიან და მის თაღებს ქვეშ თავქვე დაკიდულნი მოუცდიან გაზაფხულს".

მიუგო სუსქიას ქმარმა.

კორინთელი ხედავდა, ეს შეგონებანი საკმარისნი არ აღმოჩნდნენ. სუსქია მკლავში წაეპოტინა ქმარს და აგრე უთხრა:

„არა, წავიდეთ, ვახტანგ, ბიჟინაც შინ შევიყვანოთ, სისხლი არ გამოსწოვონ მაგ საძაგლებმა ნუკრს".

„ბატონი ბრძანდები", უთხრა კორინთელმა, კიბეებზე ასვლისას უშველა ფეხმძიმე ქალს, მერმე გამობრუნდა და ბიჟინაც შეიყვანა სახლში.

•

კორინთელი ყოველ მეორე დღეს ინსტიტუტში მიდიოდა, შინმიბრუნებული თავის შრომაზე მუშაობას განაგრძობდა. მეუღლემ ისეთი პირობები შეუქმნა, შრომის ნაყოფიერება გაურკეცდა მეცნიერს. როგორც კი სამსახურიდან მობრუნდებოდა სუსქია, სანიადაგო სამოსს გადაიცვამდა, შავ სამუშაოსაც არ ერიდებოდა, ეცოდებოდა მოხუცი მაია... თავათ მიართმევდა საწერ მაგიდასთან მიჯაჭვულ ქმარს ყავას და ხილს. ცერებზე დადიოდა, ერიდებოდა სტუმრიანობას.

ღვთის ქალიაო ჩემი ახალი ქალბატონი, ყველას აგრე ეუბნებოდა მაია, რომელსაც თავისი ახალგაზრდობა გულგოროზი „კნეინების" რისხვის ქვეშ ჰქონდა გატარებული.

ერთ დღეს კორინთელი გახარებული შევიდა სასადილო ოთახში. ცოლს ამცნო:

ერთ თვეში მოვათავებო ჩემს შრომას. ამასობაში შენც მოილოგინებო ღვთით. ტფილისს წავალთ, დასაბეჭდად გადავცემო შრომას.

ეს უნდა ყოფილიყო უჩვეულო სიხარული ახლადშექმნილ ოჯახისათვის, მაგრამ ამაზე უფრო დიდი ბედნიერება კარზე იყო უკვე მომდგარი.

ხუმრობით დასთქვეს წინასწარ: თუ ვაჟი დაიბადებოდა, როსტომი დაერქმიათ, კორინთელის მამის სახელი.

კორინთელი ცდილობდა უსიამო ამბებისათვის განერიდებინა როგორმე ცოლი. მას ძლიერ ეშინოდა სუსქიას ძმის, ავთანდილის დაღუპვის ცნობა არ მოეტანა გეოს, ამიტომაც დაავალა შოფერს.

თუ რაიმე წერილი მოვიდოდა ფრონტიდან, თავათ გამოეთხოვა ფოსტალიონისათვის.

შოფერმა ბევრი ეძია სოფელში გეო, იგი ყვარელს წასული აღმოჩნდა.

კორინთელი ამჩნევდა: უკანასკნელ დღეებში სუსქიას მოუხშირა გულისრევამ და თავის ტკივილმა. იგი ახლა უკვე დაბეჯითებით სთხოვდა ცოლს: ესარგებლნა სადეკრეტო შვებულებით, რომელსაც მოლოგინების წინა ხანებში ანიჭებს ხოლმე მელოგინე ქალს საბჭოური კოდექსი.

სუსქია არ აპირებდა სამსახურში სიარულის აღკვეთას, აგრე აშოშმინებდა კორინთელს:

სადაცაა ჩემი შემცვლელი ექიმი მუშაობას დაიწყებს, მანამდის უხერხულიაო საექიმო პუნქტის დატოვება.

ერთ საღამოს ინსტიტუტიდან გვიან მობრუნდა კორინთელი. ჭიშკართან თვალცრემლიანი მაია შემოეგება. სუსქიას სამსახურში გული წასვლოდა, დღის პირველ საათზე საკაცით მოეყვანათ იგი.

მაიას უმარჯვნია, ცნობიერებაში მოუყვანია ავადმყოფი. საღამო ხანს აიჩემა თურმე სუსქიამ: სული მეხუთება, ბაღში გავალო.

გეო შემოხეტებულა ეზოში. მაია აცახცახებულა მის დანახვაზე, ხოლო სუსქიას გულზე შემოყროდა. მაიას და გეოს ძლივს მოუსულიერებით იგი და როგორც იყო შინ შეუყვანიათ. ბოლოს გამორკვეულა:

სრულიად უმნიშვნელო წერილი მოუტანია გეოს ტფილისური გამომცემლობიდან.

როცა გაფითრებული კორინთელი საძილო ოთახში შევიდა, სუსქიამ უნებლიე ტყუილი ისაფრა, ძაბუნი ხმით ეუბნება ქმარს:

ახლა უკეთ ვარო, ვახტანგ.

კორინთელი კარგად ამჩნევდა მის დალუულ სახეს, დაშრეტაზე მიმდგარ თვალებს, ამიტომაც უცნაურად შეწუხდა. დიდხანს მოუსვენრად დაწრიალებდა თავის კაბინეტში, ბოლს მაიას შეეთათბირა:

რა ვქნათო?

როცა მაიას თათბირისაგან ვერაფერი გამოიტანა, ნაცვლად იმისა, რომ ექიმი მოეყვანა ყვარლიდან, თელავს წარგზავნა მანქანა, მამიდა თეკლა და ძია ნიკო იხმო სასწრაფოდ.

ძია ნიკო გააოცა კორინთელის უმწეობამ და დაბნეულობამ. ყვარელს გააგზავნა მანქანა და რაიონის ექიმი მოაყვანინა.

ეს ექიმი უცხვირპირო კაცი აღმოჩნდა. ქუდიანად, გალოშიანად და სალამის მიუცემლად შემობორიალდა სასადილოთახში, ორ ქალ-მაკაცს გადახედა და იკითხა:

ვინ არისო აქ ავადმყოფი?

ბოლოს ხმისამოუღებლად გასინჯა ორსული. შემდგომ ამისა, კორინთელის კაბინეტში შევიდა, უსაყვედურა პროფესორს: დაგიგვიანებიათო ჩემი ხმობა.

წასვლისას როყიოდ მიახალა ჭირისუფლებს:

მე თუ დამიჯერებთ, დაუყონებლივ უნდა განვკვეთოთ მელოგინე, ბავშვი მაინც გადავარჩინოთო.

კორინთელი გადაფითრდა, ძია ნიკოსა და მამიდა თეკლას გადახედა. რაკი ელდანაცემმა მოხუცებმა ხმა არ გაიღეს, თავათაც დადუმდა. ადგა, ჰონორარი მიაჩეჩა ექიმს.

ნიკომ იგი ცივად მიაცილა მანქანამდის და კორინთელის კაბინეტში მიბრუნდა.

კორინთელი საწერ მაგიდას მისჯდომოდა, ორივე ხელი საფეთქლებზე შემოეწყო. საშინელი მწუხარება გამოსჭვიოდა მის გაოგნებულ მზერისაგან.

ძია ნიკო თავზე წამოადგა მდუმარეს:

„რას ვუცდით, ვახტანგ. ხომ ხედავ, განსაცდელი მომდგარია ჯარზე“.

„მეც აღარ ვიცი რა უნდა ექნათ, ძია ნიკო? ეს ექიმი შუშუტა სჩანს... და...“

„როგორ თუ რა ექნათ, დაუყოვნებლივ გააგზავნე მანქანა ტფილისს, გინეკოლოგი შუშანია ვიხმოთ“.

„პროფესორი შუშანია ჩემი მეგობარია, მანქანა მას თავათაც ჰყავს. მოდი ვუდეპეშოთ, ჰა?“

„ვუდეპეშოთ? სჯობს ელვა გავაგზავნოთ ახლავე ყვარლიდან“. სთქვა ბრძანების კილოთი ნიკომ და დასძინა:

„აბა, დასწერე ელვის ტექსტი“.

ვახტანგი მაშინალურად დაემორჩილა ნიკოს ნათქვამს. ხუთიოდე სტრიქონი ორჯერ დასწერა და ორჯერვე დახია. თავათ ამჩნევდა: ასოები ვერ გამოჰყავდა, გრამმატიული შეცდომები მოსდიოდა. კალამი მიაჩეჩა ნიკოს და უთხრა:

„მე წერა-კითხვა დამვიწყებია, როგორც თავათ ჰხედავ, მოდი შენ დასწერე, ძია ნიკო“...

ელვის გაგზავნის შემდეგ ორიოდე დღე გავიდა. პროფესორი შუშანია არსად სჩანდა, სუსქიას ჯანმრთელობა უფრო-და უფრო-ვ-ა-ა-ა

სთქვა, თავი კედლისკენ მიიბრუნა, მხოლოდ ბალიშის სისველე შეიცნო და ცნობიერება წაერთო მელოგინეს...

თეკლამ ვეღარ აიტანა ამ საშინელი სიტყვების სიმძიმე. ჯერ ორივე ხელი სახეზე აიფარა, იტირა, იტირა და მერმე ეს უპასუხა მას, ვისაც მისი პასუხი უკვე აღარ ესმოდა:

„რა სათქმელია, შვილო, მე კარგად ვიცნობ პროფესორ შუშანიას, იგი თავის საქმის ოტატია, აი ნახავ, როგორ გადაგარჩენს განსაცდელს.

ღვთისმშობელი მარიამი არ მოინდომებს შენი გაუხარებელი ცხოვრება ასეთი ძნელბედობით დამთავრდეს. ღვთისმშობელი ყველა მშობიარეთა შემწყალეა, შვილო“.

•

გინეკოლოგის შუშანიას მანქანას ჯერაც ბერმუხა-გველეთის აღმართი არ ჰქონდა გადალახული, შოფერი იასე შემოვიდა და ამცნო დამწუხრებულ ოჯახს: ვგონებ მობრძანდებაო პროფესორი.

მთელი ოჯახი ჭიშკართან მოგროვდა. ამ ნაღვლიანი სახეების დანახვაზე პროფესორმა განგებისად უდარდელი და გულმხიარული გამომეტყველება გამოიჩინა. საერთო სალამის შემდეგ კორინთელს ხელი ჩამოართვა და უთხრა:

„ეს რა მშვენიერი კუთხისთვის მიგიგნიათ, პროფესორო ბატონო“.

კორინთელი დაიბნა, არ მოელოდა ასეთ გულგრილობას მეგობრისაგან, არ იცოდა რა ეპასუხნა. შუშანიამ ბაღს მოავლო თვალი და სთქვა:

„აჰ, რა საუცხოო ბაღჩა მოგიწყვიათ!“ ბოლოს საქმეზე გადავიდა ერთბაშად:

„როგორაა თქვენი მელოგინე?“

ცუდადო, მიუგო კორინთელმა საკმაოდ უგუნებოდ.

„ეჰ, მამა-პაპათა წესი დაგირღვევიათ, პროფესორო ბატონო: როცა ჩვენი დედები შობდნენ, ჩვენი მამები ტყეებს მიაშურებდნენ და ნადირობით იმსუბუქებდნენ დარდს“.

„სწორია, სწორია, განათლება ზომაზე მეტად არბილებს ზოგს“, სიტყვა ჩაურთო ნიკომ.

„ექიმი თუ მოგიყვანიათ ვინმე?“ იკითხა პროფესორმა.

„რაიონის ექიმი გვყავდა, მელოგინის განკვეთა მოითხოვა“, მიუგო კორინთელმა.

„ნუ გეშინიათ, ცუდია დაღრეჯილობა“. ჩაიდუდუნა პროფესორმა, მერმე შოფერს, იასეს მიაძახა:

„მიდი, გეთაყვა, ჩემს მანქანაში ექთანია, აქ მომგვარე ის ქალი, ჩემი ხელსაწყოც ამოიტანე ახლავე“.

ატირებული მამიდა თეკლა ახლოს მივიდა პროფესორთან და უთხრა:

„გეევედრებით, ბატონო პროფესორო, დედა და შვილი ორივენი გადაგვირჩინე. მშობიარეს არ დაუჯეროთ, ორივე, ორივე“.

„რასა ბრძანებთ, ბატონო? მე ორივეს გადასარჩენად ვარ მოსული, განა ის არ გვეყოფა, ამდენ ვაჟკაცებს რომ ვკარგავთ ფრონტებზე“.

ძია ნიკომ თვალი შეასწორა: როცა საძილო ოთახში შედიოდა პროფესორი, იგი ოდნავ გაფითრდა. გაიმართა წელში საერთოდ ოდნავ მოდრეკილი, ისეთი ომახიანი სახე მიიღო, თითქოს საომრად მიდისო.

კარის ზღურბლთან გამობრუნდა, მკაცრი ხმით მიაძახა მძსპინძლებს:

„ამ მოხუცი ქალის მეტი არავინ შემოვიდეს აქ, თეთრი ხალათი ჩააცვით ამ ქალს“.

*

კორინთელი ფანჯარასთან იდგა, თითებს ნერვიულად არაკუნებდა მინებზე. გარედ სწვიმდა, მოღუშული და სევდიანი დღე იყო. მოეშვა ფანჯარას, დაწრიალებდა, ადგილს ვერ პოულობდა. ბოლოს ველარ გაუძლო საძილო ოთახიდან მოწეულ კვნესას, უქუდოდ გავიდა ბაღში.

ძია ნიკო და მამიდა თეკლა საათს მისჩერებოდნენ... ოთხმოცი წუთი გავიდა, დაიჟრიალა კედლის საათმა და ამ დროს ბავშვის ტირილიც გაისმა.

გინეკოლოგი მომღიმარი და მოზეიმე გამოვიდა სასადილოში და სთქვა:

„კიდევ ერთი მეომარი შევმატე ქართულ დივიზიას“.

თეკლა მიეჭრა, ჯერ შესაბრალისად წაეპოტინა თეთრხალათიან პროფესორს, მერმე მარჯვენა ხელი წაართვა და ზედ ეამბორა.

„ქრისტე ღმერთს გამოუგზავნიხარ ჩვენს ოჯახში, პროფესორო ბატონო“

„ვაჟის მამა მომგვარეთ, მე მაგ უკეთესი ვაჟკაცი მეგონა, გაიქცა, არა?“

სთქვა პროფესორმა.

როცა ნიკომ გახარებული კორინთელი, წვიმისაგან მთლად გაზუზული, მიჰგვარა გინეკოლოგს, კორინთელმა მაგრად ჩამოართვა პროფესორს ხელი და უთხრა:

„ჩემი გვარი დაშრეტის წინაშე იდგა, პროფესორ ეტონი, სამივე მამისძმას ჩემსას ქალები ჰყავთ. თქვენ არ[illegible] ლეთ ჩემს გვარს“...

ხანმოკლე საუზმის დროს პროფესორი შუშანია ოხუნჯობდა, უწყინარ ანეგდოტებს ყვებოდა, თანადამსწრეებს აცინებდა და თავათაც იცინოდა. ღვინის სმაში ხუმრობით ეჯიბრებოდა ძია ნიკოს.

ემუქრებოდა მასპინძელს: გირჩევნიათ არ შემაჩვიოთ ამ საუცხოვო ქინძმარაულს, თორემ მე კახეთში ხშირად დავდივარ ჩემს პაციენტებთან და უსაშველოდ დაგლაშქრავთო, იცოდეთ.

მანქანაში ჩაჯდომისას უაღრესად მკაცრი გამომეტყველებით უთხრა კორინთელს:

„მშობიარეს კატასტროფული მდგომარეობა ჰქონდა, უჩემოდ არამცდაარამც არ ააყენოთ, ორი კვირის შემდე მე თელავში საქმე მაქვს, უთუოდ გამოგივლით. მანამდის სასტიკად აუკრძალეთ მელოგინეს ხანგრძლივად წამოჯდომა და ლაპარაკი, ეცადეთ ყოველივე მღელვარებას განარიდოთ.

თუ რაიმე გართულება ჩამოდგეს, მიდებეშეთ და უცილოდ ჩამოვალ.

*

მამიდა თეკლა შინ დაიტოვა კორინთელმა. ძია ნიკო ყოველ მეორე დღეს მოჰყავდა შოფერს. ნიკომ ჩამოუარაკა ცოლ-ქმარს ძეობის აღნიშვნის შესახებ. პროფესორმა შორს დაიჭირა ეს საქმე:

„რა დროს ნადიმებია, ძია ნიკო, ხალხი შავებშია. ერთ ორ კაცს ვთხოვოთ, განსაკუთრებით მახლობლებს. ბევრი სტუმარი რომ მოგროვდეს, ღვინოს დალევენ, სიმღერებსაც შემოსძახებენ, ხალხი დამწუხრებულია, არ ივარგებს, ძია ნიკო, არა?...“

შაბათ საღამოს ზურაბ არადელი ჩამოვიდა თელავიდან, ლუკა მინდელი თან ჩამოიყვანა... ვახშმობამდის ბაღში ისხდნენ სამნი. კორინთელი ეუბნება ძია ნიკოსა და ზურაბ არადელს:

„აგრე მგონია, ვიღაც უჩინარის ხელმა ჩამომხსნა-მეთქი წლების სიმძიმილი. როგორც ყოველი ჯანსაღი მამაკაცი, მეც დიაცთ მოყვარული ვიყავი მუდამ, ხანგრძლივად მიცხოვრია უცოლოდ, ისიც ისეთ სოდომში, როგორიცაა პარიზი.

მრავალი ლამაზმანის ფიზიკური სიყვარულით დავმტკბარვარ, მაგრამ იმასთან შედარებით, რასაც ახლა განვიცდი, ეს ყოველივე ჩმახვა აღმოჩნდა მტკნარი.

მე მგონია, შვილის ყოლა უდიდესი ბედნიერებაა ამქვეყნად. შვილი ის მარჯვალია „ელან ვიტალის“, ესე-იგი სიცოცხლის შეუმუსვრელი ინსტინქტის უწყვეტელი ჯაჭვისა, რომელიც უბნელეს წარსულს და უბრწყინვალეს მომავალს ხიდად გაედება ხოლმე“.

ნიკომ სთქვა:

„იცი, ვახტანგ, ჩემგან ნუ ეტყვი სუსქიას და შენს ადგილზე მე მას სამსახურიდან გამოვიყვანდი. ხომ ხედავ, მაია დაბერდა, მოჯამაგირობა აღარავის უნდა. ამხელა ოჯახი აქვს მოსავლელი. ახლა ბავშვი ეყოლა. იმედია ერთს არ დასჯერდებით. ოჯახი მინიატიურული რესპუბლიკაა, შენ ეგ არ გესწავლება. დიდი ჯაფა უნდა მის მოვლას, არა?

ჩვენი ქალები უკიდურესობაში ვარდებიან ხანდახან. ერთნი ისეთივე უქნარებია, როგორიც შენი პირველი მეუღლე იყო, მეორენი სუსქიასავით თავგამეტებული მშრომელები.

მე აქამდის ვერ გითხარი, ორი კვირის წინად სუსქია ფარდებს ჰკიდებდა თურმე კარნიზებზე, ძირს ჩამოვარდნილა. მადლობა ღმერთს, ხიფათს გადარჩა“.

„არ დაგიმალავ, ძია ნიკო, — მიუგო კორინთელმა. — მეც ბევრი ვეჩიჩინე სუსქიას, ეგებ დაანებო-მეთქი სამსახურს თავი. არა ჰქნა: მე ამდენი მისწავლია და მიშრომია ჩემს პროფესიაში პრესტიჟის მოსაპოვებლად, როგორ ავაღოო ამას ყოველივეს ხელი? გარდა ამისა, მე თავათ მიყვარსო ჩემი ხელობა. ესა სთქვა და მერმე აღარც ჩავაცივდი“.

არადელმა წაიდუდუნა:

„ეჰ, ბევრი აკრიტიკეს ამ ერთი საუკუნის მანძილზედაც ოჯახი ბალზაკმა და ტოლსტოიმ, იბსენმა და სტრინდბერგმა, მაგრამ სოციალური ცხოვრების უკეთესი ფორმა მაინც ვერავინ გამოსძებნა ჯერხნობით“.

ძია ნიკომ შენიშნა:

„ძველისა და არსებულის გაკრიტიკება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ახალისა და აქამდის არარსებულის შექმნა. ადამიანებს ბუზღუნი უფრო ემარჯვებათ, ვიდრე გულის შეჯერება იმითი, რაც მათ გააჩნიათ. ჩვენი რუსთველი აქაც უბადლოა. მოიგონეთ: „რაცა ვის რა ღმერთმა მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს“.

არადელმა განაგრძო:

„წეღან ხსენებულმა მწერლებმა დიდი ამბოხი წარმოშვეს მთელს მსოფლიოში. ამას მოჰყვა ოჯახების უწყვეტელი რღვევა. ვინ იცის, რამდენმა სულელმა ქალმა დაარღვია ოჯახი იბსენის ნორას ზეგავლენით.

ახლა რამდენი მილლიონი ოჯახის დედა გააბოზა ფლობერის მადამ ბოვარიმ. მე პროფანი ვარ ლიტერატურაში, მაინც ვამჩნევ: გენიოსები დიდ აზრებთან ერთად გაუგონარ პარადოქსებსაც არ თაკილობენ ხოლმე.

კაცუნები იქვე არიან დადარაჯებულნი, ისინი [illegible] ვენ გენიოსების ნამდვილად გენიოსურ აზრებს და როგორც კი მათ რაიმე აბსურდი დასცდებათ პირიდან, წამსვე წამოეგებიან ანკესზე.

დიდკაცებისადმი დიდ საქმეში მიბაძვაა ძნელი. ვაჟა-ფშაველასებური წვერის დაყენება ყოველ მეხაშეს შეუძლია, მაგრამ აბა ვინმემ სცადოს მისი პოემების ბადალის შექმნა?!

რაიცა შეეხება ბედნიერებას, მე უსაზმნო ნატვრად მიმაჩნია ამ ქვეყნად ორი რამ: ბედნიერებისა და უკვდავების ძიება. ამ პლანეტაზე ყოველივე უკვდავია და ყოველივე მოკვდავი.

ბედნიერება ზღვის მედუზასა ჰგავს. ერთგვარ პროტოპლაზმას, რომელიც ხელის შეხების უმალ სისხლად იქცევა. ხოლო უკვდავება ბერძნული მითოლოგიის მედუზას, გორგონას ქალს, რომელსაც მინერვამ ნაწნავები გველებად უქცია. ამიტომაც ვისაც მედუზა შეხედავდა, მყისვე ქვად აქცევდა მას.

ამის შემდეგ, როგორც ჰხედავთ, ყველა ნამდვილი დიდკაცი ქვის ქანდაკებების სახით განაგრძობს აქ ყოფნას. გენიოსებს ხომ სიყრმიდანვე გაქვავება აქვთ მისწილი, რა თქმა უნდა, ზოგჯერ ჩაქვავებაც...

უკვდავებას მე ვინ მაღირსებს, მაგრამ თუ არა ვცდები, იგიც მოსაწყენია, რამდენადაც დაუსაბამოა და უკუნითი.

ბედნიერება თავისი წარმავლობითა და წამიერებითაა გულისდამწყვეტი, რადგან ერთი წამი, გინდაც ათი საუკუნე, მარადჟამობის წინაშე მხოლოდ ერთი დაფახულებაა თვალისა".

მაია მოვიდა და ვახშმად მობრძანდითო, სთხოვა სტუმრებს, არდელი არ ეშვებოდა საუბარს, მაგრამ ერთბაშად აშრიალდნენ წვიმის შხეფები ფოთლებზე...

ბედნიერება, რომელიც მედუზას ჰგავდა...

სუსქიას წამოდგომის გამო კამათი შეიქმნა. კორინთელი და მამიდა თეკლა წინააღმდეგი იყვნენ: პროფესორ შუშანიას მიერ დათქმული ვადა ჯერ არ გასულაო.

ძია ნიკო აგრე ამბობდა:

ასე თუ ისე ძეობას ვიხდით, უხერხულია, ცოტა ხნით მაინც არ წამოდგეს, მოგვეჩვენოს და ისევ წამოწვესო.

ბოლოს თავათ მელოგინემ გადასწყვიტა საკითხი.

ჩამაცვითო, სთხოვა თეკლასა და მაიას. პირობა მისცა ქმარს: ოციოდე წუთის შემდეგ ისევ დავწვებიო.

„რას ნიშნავს ახალგაზრდული ჯანი! მხოლოდ ჩვენს [illegible] შემორჩა შეუმუსვრელი ფიზიკური სიმრთელე. გაფაქიზებული წუთ-დების ნაშიერი რომ ყოფილიყო, ამდენი ტანჯვის შემდეგ ასე მალე როგორ წამოდგებოდა მელოგინე ქალი“, ფიქრობდა ზურაბ არადელი, როცა სუსქიას შესცქეროდა სუფრის თავში მჯდომარეს.

ოდნავ, სულ ოდნავ დაშრეტილიყვნენ ხასხასა ფერები მისი სახისა, მარტოოდენ მისი გრუზა, ვასვასა ნაწნავები, ჯიშიანი თავის გარშემო შემოგრაგნილი, უკუფენდნენ იმ საამურ ფერს ალისას, რომელსაც გამოსცემს ხოლმე ცეცხლშემოგზნებული წალამი ვაზისა.

ალერსიანი და რბილი ხმა ამოდიოდა ყელიდან მას. გახუნებული, თელავური ტანისამოსის ნაცვლად, სახელგანთქმული პროფესორის მეუღლეს ეცვა სოლიდურად, სადად, დიდი გემოვნებითა.

ერთადერთი მედალიონი სერდოლიკისა ეკიდა ყელზე, ამ მედალიონზე მოსჩანდა ანტიური გემმა, რომელიც გამოსახავდა ანტილოპზე მონადირე დიანას.

ერთადერთი ბეჭედი ჰქონდა ხელზე, ბაჯაღლო ოქროსი.

მისი ხელმარჯვეობა და გემოვნება უკვე დასტყობოდა კორინთელის სახლს, რომელიც ბელეშა დიასახლისების ხელში ფაცანების საერთო საცხოვრებელს უფრო წააგავდა, ვიდრე პროფესორის ოჯახს.

ლინგჩამომსხვრეული, უგემოვნო ჭურჭელი შეეცვალა საქსის სერვიზს, ტიულის გაქათქათებული ფარდები და მძიმე პორტიერები ეკიდნენ ბრინჯაოს კარნიზებზე.

არა მარტო კარ-ფანჯრები, მათი სახელურები და რაზებიც კი ვარვარებდნენ. ჭერზე ხუთლამპიანი ლიუსტრა ბრწყინავდა აგრეთვე ბრინჯაოსი.

არავინ ამას არ იმჩნევდა, მაგრამ ყველას ყურადღებას იპყრობდა სუსქიას მამა — ლუკა. მას ოდნავ უპროპორციო თავი ჰქონდა, კოხტად გადავარცხნილი თეთრი თმები, ჟღალი წვერი, ბარისებური ფორმისა, ზემო კიდეებში ხვეული, დიდრონი თვალები, ჭაღარა წარბებიდან ამაყად გამომზირალნი.

ნაუღლარი ხარივით ძლიერი და დანაოჭებული ქედი ჰქონდა,

ოდნავ კუთხოვანი, განიერი ბეჭები. ამ ახალ კოსტიუმში ვინმე უცხოს რომ დაენახა იგი, არამცდაარამც არ იტყოდა: მეთონეო.

კორინთელი ირიბ მზერას ესროდა ხანდახან თავის სიმამრს, და მისი გამოჩორგვილი, ძალოვანი ანაგობა მოაგონებდა [illegible] ტაძრების ბარელიეფებს იმ პერიოდისას, როცა ჩვენს [illegible] არ ემარჯვებოდათ ადამიანის სხეულის ნაწილთა ელასტიურობის ჯეროვანად გამოსახვა.

საერთოდ ლუკა მინდელი მიაგავდა რომელიღაც მახარობელს, ქართული ფრესკოს უსახელო ოსტატების მიერ შესრულებულს.

იგი ვერ მიმხვდარიყო თავისი სკამი სუფრასთან ახლოს მოეწია, ამის გამო წელში მოხრილი უჯდა სუფრას, ჩანგლის ხმარება ხშირად ავიწყდებოდა.

საერთოდ უთხოვნელად არაფერს სჭამდა ლუკა, მორიდებულად ციცქნიდა კერძს. როცა კიდევ შეეპატიჟებოდა სიძე, ჯერ ხელს იშველიებდა, მერმე უცებ მოაგონდებოდა ჩანგალი და სწორედ იქ წაავლებდა მას ხელს, სადაც ოდნავ მოდრეკილია ყოველი ჩქიფი.

ჭამის დროს პურის ნამუსრევი ხელიდან გაუვარდა, იატაკიდან აიღო, ეამბორა და შესჭამა. სუფრასთან მუნჯივით იჯდა, ხმას არ იღებდა.

ოდნავ ყრუ იყო ლუკა და როცა ვინმე გამოელაპარაკებოდა, გაშლილ ხელს მარჯვენა ყურზე მიიდებდა ხოლმე.

კორინთელმა მარენგოს საუკეთესო საკოსტიუმე გაუგზავნა ერთი თვის წინად სიმამრს. სუსქიამ შეაკერინა მამისთვის ეს მასალა. ახლა ეს ფეშენებლური ინგლისური კოსტიუმი ზედ ეცვა, ნასხვისარივით ადგა ტანზე.

კორინთელს გულით ეწადა ლუკასთან გასაუბრება, მაგრამ საუბრის საგანი ვერ შეერჩია.

„თქვენ ავად ყოფილხართ, მამავ ბატონო, მაპატიეთ, რომ ვერ გინახულეთ, მაგრამ ძლიერ მოუცლელი ვიყავი მაშინ“.

„მე დიდი ხანია თვალებს ვიტკიებ, შვილო, ეგ ჩემმა ხელობამ მიყო: ნიადაგ ცხელ თონეში ყურებამ თვალების ანთება დამმართა.

ექიმები მუშაობას მიშლიან, მაგრამ ცოტაოდენი ჯანი კიდევ შემომრჩენია და არც ის მინდა, სხვის ხელებს შევაჩერდე. ერთადერთი ვაჟი მყავდა, უკვე ექვსი თვეა, არაფერი მოუწერია. ვინ იცის, მამიკლეს ეგების კიდევაც“.

„რატომ სხვის ხელებს? ჩვენ აქ არა ვართ? რა გაგვიჭირდა ისეთი, თქვენ გამუშავოთ, ისიც ავადმყოფი!!?“

„ქართული პური ყველას უყვარს, შვილო, მაგრამ ამ ხელობას ყველა გაურბის. ახალგაზრდები არ კადრულობენ მეთონეობას, თე-

ლავში ხუთიოდე ბებერი შემოვრჩით ამ საქმეს. როცა ჩვენ აღარ ვიქნებით, ქართულ პურს არავინ გამოაცხობს.

ყველაფერს ცოდნა უნდა, მოგეხსენებათ, ყოველ ... მსხვერპლს მოითხოვს, შვილო, თუ პატიოსნად გააკეთ ...

პურის ჭამა ადვილია, მაგრამ პატიოსანი პურის ჭამაა ძნელი".

პროფესორმა არადელმა დიასახლისი ადღეგრძელა, ძეობა მოულოცა და მშვიდობით გადარჩენა.

სუსქიამ სთქვა:

„მე აგრე მგონია: ხელახლა გავჩნდი-მეთქი ამქვეყნად. არსებითად მოვკვდი კიდევაც ერთის წამით. პროფესორ შუშანიას რომ არ მოესწრო, უკვე ვეთხოვებოდი წუთისოფელს.

ერთბაშად ჩრდილებად იქცა ყოველივე. თვალით ვხედავდი ჩემს ირგვლივ მოფუსფუსე ვახტანგს, მამიდა თეკლას, ძია ნიკოსა და მაიას, მაგრამ მათი ხმა არ მესმოდა. აგრე მეგონა: ეტყვი ლანდები გარს მეხვევიან-მეთქი. ხმა წამერთო, ენა ჩამივარდა...

მწყურიოდა, მინდოდა რომელიმე მათგანისათვის წყალი მეთხოვა და ღონე არ შემწევდა ბგერები გამეღო.

დედები ალბათ იმიტომაც იბრძვიან ასე მამაცურად თავიანთი შვილებისათვის, რადგან ისინი მშობიარობისას ერთხელ მაინც იგემებენ სიკვდილს".

კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა სუსქიას, მაგრამ კორინთელმა შეაწყვეტინა:

„გეყოფა ახლა, სუსქია, ნუ ლაპარაკობ, ნუ ღელავ, ჩემო, ხომ დაგიბარა პროფესორმა შუშანიამ: არ იღელვო, არ ილაპარაკო, არც იაროო. მე ვიცი, შენ ამ ძვირფასი სტუმრების ხათრით წამოდექი, თორემ ჯერ ადრე იყო"...

„შენ მართალს ამბობ, ვახტანგ, მე ოდნავ თავბრუ მესხმის კიდევაც".

ვახტანგი და თეკლა წამოდგომას აპირებდნენ მის გასაყვანად, სწორედ ამ დროს მოისმა ახილის ყეფა...

ვახტანგი კარისკენ გაემართა, სწორედ ამ დროს შოფერი იასე შემოვიდა და სთქვა:

„ერთი შავებიანი ქალი და ერთი ყმაწვილი მოსულან, პროფესორო ბატონო, ექიმს კითხულობენ".

კორინთელი გახევდა, თეკლა წამოვარდა, უკან გაბრუნებულ შოფერს კარამდის მისდია და მიაძახა:

„აგრე უთხარი, ჩემო იასე, ავად არის-თქო ექიმი".

სუსქია აწრიალდა. ქმარს ეუბნება:

„ეგ როგორ იქნება, ვახტანგ. ექიმს ხომ ნება არა აქვს ავადმყოფობა მოიმიზეზოს?

მოვიდნენ და ვნახოთ ვინ არიან და რა გასჭირვებიათ?“ — ბიბლიოთეკა

კორინთელმა მხრები აიჩეჩა:

„როგორ თუ მოიმიზეზოს? განა შენ ჯანსაღი ხარ უკვე?“

სუსქიამ ქმრის ნათქვამს სმენა აარიდა, წამოდგა, დერეფანში წამოეწია თეკლას და შოფერს, სასტუმრო ოთახშიაც გაიგონეს მისი ნათქვამი:

„მობრძანდით-თქო უთხარი, იასე, გეთაყვა“.

ხუთ წუთსაც არ გაუვლია, შავებიანი ქალი და წვრილკისერა ყმაწვილი შემოიყვანა სასადილო ოთახში შოფერმა.

კორინთელმა რა დაინახა გამხდარი, საცოდავად მობუზული ნუნუ, გულმტკივნეულად ჰკითხა:

„რა გაგჭირვებია, ნუნუ?“

„ეს მესამე დღეა ბავშვს რაღაც ახრჩობს. შესაძლოა ყოველ წუთში გამომეცალოს ხელიდან“.

„სიცხე რამდენი აქვს?“

„ეს მეორე დღეა, რაც ორმოცი აქვს ზედიზედ“.

ახლა სუსქიას მიუბრუნდა ნუნუ და ეუბნება:

„მე რომ ძლიერ არ გამჭირვებოდა, თქვენ არ შეგაწუხებდით ამ მდგომარეობაში. ჩემთვის მუდამ დაუვიწყარი იქნება თქვენი ამაგი, ჩემს ბავშვზე გაწეული. ყვარელს ვაფრინე კაცი, ერთი ექიმი ტფილისს გაუგზავნიათ კონფერენციაზე, მეორე ავად ყოფილა.

რა ვქნა, ქმარი ფრონტზე დამეღუპა, ჩემმა ნათესავებმა ხელი ამაღეს. ეს კიდევ ცოტაა, ჩემი ქმრის ნათესავებსაც შეაძულეს როგორც ჩემი თავი, ისე ერთადერთი ჩემი ბავშვიცა“.

„რაო, გოდერძი დაიღუპა?“ შეშფოთებულად იკითხა კორინთელმა.

„უკვალოდ დაკარგულია-მეთქი, აგრე ვამბობ, თორემ ნამდვილი ამბავი რომ გაიგონ, მთლად გადამთქერავენ უჯირაულები“.

„ექიმი ხომ არ მოგიყვანიათ?“ შეეკითხა სუსქია.

„გუშინ რაიონის ექიმი მოვიყვანე, ვგონებ დიფტერიტიაო, თელავს უნდა წაიყვანო, კარანტინში გამოარკვევენო, აგრე სთქვა.

„ჩაბრძანდით მანქანაში, მე გადავიცვამ და ამ წუთში მოვალ“. სთქვა სუსქიამ, საძილო ოთახში შევიდა ენერგიული ნაბიჯით.

ჩაცმაზე მიშველეო, მიაძახა მამიდა თეკლას.

სუფრის გარშემო მსხდარნი გახევდნენ. მაიამ შემწვარი ინდოური შემოიტანა, არავის გახსენებია ჭამა.

მალხაზმა სუფრისაკენ გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი, ჯერ ბრინჯაოს ლუსტრას მიაშტერდა და მერმე ჰკითხა კორინთელს:

„რად დინდა ამდენი სინათლე, ძია?“

„სინათლე რაც უფრო ბევრია, მით უკეთესია, ბიჭო“, უხალისოდ მიუგო კორინთელმა.

„ჩვენ სულ არა დვაქვს სინათლე“, ნაღვლიანად სთქვა ყმაწვილმა.

კორინთელმა შენიშნა: გახარებული მისჩერებოდა ყმაწვილი სუფრას.

„შესჭამე რამე“, უთხრა მასპინძელმა მალხაზს, ხაშლამა დაუდვა წინ.

არა, მე ინდოურის ბარკალი მიყვარსო, სთქვა სტუმარმა და ვიდრე მას ბარკალს მოუჭრიდნენ, სავსე ჭიქას ღვინისას წამოავლო ხელი და მასპინძლის უკითხავად გადაუძახა სტომაქში.

მადიანად ღიჭნიდა ბარკალს, ცხვირიდან გამოსულ ბოტოტს ზედ აყოლებდა საჭმელს. სუფრის გარშემო მსხდარნი სიბრალულით შესცქეროდნენ ამ წვრილკისერა დეგენერატს.

ერთბაშად ნუნუ შემობრუნდა სასადილო ოთახში.

„თავი ნუ მოგვჭერი, ბიჭო!“ უთხრა ყმაწვილს, მაჯაში ხელი წაავლო და ძალით წაათრია.

პროფესორი არადელი გარინდებული შესცქეროდა ამ სცენას.

მან ძია ნიკოს უჩურჩულა: რა უცნაურად ჰგავსო ეს ქალი სუსქიას?

ნიკომ სთქვა:

„ეს ქალი წინადაც მინახავს, მაგრამ მას შემდეგ რაც სუსქია გახდა, შუაში გაჭრილი კაკლის ლებანივით ჰგვანან ერთმანეთს“.

მამიდა თეკლამ საძილო ოთახში გასდია სუსქიას. ეეედრებოდა:

ამ ავდარში ნუ მიდიხარო, ვახტანგი მანქანას ათხოვებს იმ ქალს, ახლავე მოაყვანინებსო ექიმს.

კორინთელი უცნაურმა დეპრესიამ მოიცვა. ისეთი გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა, მან აღარ იცოდა რა ეთქვა, რა მოემოქმედნა? როცა თეკლამ მანქანა ახსენა, ჭკუაში დაუჯდა ეს ამბავი, თავათაც შევიდა საძილო ოთახში და უთხრა სუსქიას:

„თუ გინდა მე ჩავალ და ვეტყვი იმ უბედურ ქალს, მართლაც და ახლავე თელავიდან მოვაყვანინებ ექიმს. ბოლოს, მე თავათ წავალ და ჩამოვიყვან-მეთქი, აგრე ვეტყვი.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შენ უთუოდ გავნებს შავისოფლის ოლოროჩოლორო გზებზე მანქანით წასვლა, მერმე, რამდენადაც ვიცი, ნუნუს სახლს მანქანაც ვერ უდგება, ამ ბნელ ღამეს ატალახებული ბილიკებით უნდა იარო“.

„არა, ვახტანგ, შენ თავათ განსაჯე რა უხერხულ მდგომარეობაში ვართ ჩაყენებული, — ამბობდა სუსქია. — სულ სხვაა, მე რომ დაწოლილი დავხვედროდი იმ ბედშავს, მაგრამ სუფრას ვუჯექი და მას ვერავინ დაარწმუნებს, შეუძლოდ რომ ვარ.

ნუ გავიწყდება, მე ექიმი ვარ და თავათაც ადვილად ვავადმყოფებ. ამ საწყალს ქალს ქმარი დაეღუპა ომში, ისედაც ჯოჯოხეთურ პირობებში ცხოვრობს, მთელი სოფელი შეძრულია მისი საცოდავობისაგან და მე არ მეკადრება, თუნდაც როგორც შენს მეუღლეს, უგულობა გამოვიჩინო.

სხვა არა იყოს რა, ხომ იტყვიან: პროფესორის ცოლი გახდა და გაიპრანჭაო? როცა ნუნუს ავად ჰყავდა წინეებში ბავშვი, არა ერთხელ ვყოფილვარ იმ სახლში. მანქანა ზედ ჭიშკარს მიადგება, თუ ჩვენმა იასემ იმარჯვა“.

ძია ნიკო სუფრიდან წამოდგა, კაბინეტში გაიხმო კორინთელი და აღელვებულმა უთხრა:

„იცი, ჩემო ვახტანგ, მე ძლიერ მიმძიმს ამ საქმეში ჩარევა, ამიტომაც ვსდუმდი აქამდის. მე შენს ადგილას რომ ვიყვე, კატეგორიულად ავუკრძალავდი ცოლს ავადმყოფთან წასვლას ამ შემთხვევაში“.

„რა ვქნა, ძია ნიკო, მართალია, ჩემი ცოლია სუსქია, მაგრამ მას თავისი პროფესიული მოვალეობაც აქვს დაკისრებული. გარდა ამისა, ეს ამბები ისე ფატალურად გადაესკვნენ ურთიერთს, ჩიხში ვარ მომწყვდეული“...

„აბა მე ერთ რამეს გეტყვი, ვახტანგ, ოღონდ მაპატიე გულახდილობა: თქვენ, ნამეტნავად განათლებულნი, ცოტა უხერხემლონი ხართ. ისიც უნდა გითხრა — ქალის პროფესია და ცოლობა შეუთავსებელი საქმეა. შესაძლოა, მე ჩამორჩენილ კაცად ჩამთვალო, მაგრამ ეს შენი საქმეა“.

როცა სუსქია საძილო ოთახიდან გამოდიოდა, ახლა ლუკა მინდელი გადაეღობა თავის ქალიშვილს წინ:

„მე პირველად ვარ შენს სახლში, შვილო, ეს თხოვნა შემისრულე როგორმე: სად უნდა წახვიდე ამ თავსხმაში, ისიც ავადმყოფი? ხომ გეუბნება შენი მეუღლე, იმ გაჭირვებულს სხვა ექიმს მოვგვრიო ახლავე“.

სუსქიამ მიუგო:

„შენ ხომ წეღან ამბობდი, მამავ, ყოველი ხელობა თავგანწირვას მოითხოვსო. ვიდრემდის იმ საწყალ ბავშვს ექიმს მოუყვანენ, შესაძლოა სული ამოხდეს. განა არ იცი, რა უგულობას იჩენენ რაიონის

ექიმები ხანდახან, ისინი ძალზე გადატვირთულნი არიან და თავი აქვთ მობეზრებული.

ნუნუ გაჭირვებულია, როგორც სჩანს, ფულიც არა აქვს.

ჩემი მოვალეობა მხოლოდ ეგაა: გაჭირვებულ [illegible] ვუშველო. არა?"

„მე ჩემი გითხარი და სხვა შენ იცი, შვილო".

ჩაილუღლუღა დაღონებულმა ლუკამ და თავის ადგილზე დაჯდა თავჩაქინდრული. კორინთელმა მანქანაში ჩასვა სუსქია, თავათაც გვერდით მოუჯდა.

მაია იმის გამოც იყო შეწუხებული, რომ ძეობა ასე სამწუხაროდ დასრულდა.

„ნუთუ იმ უბედური, შუშუტა მალხაზის გამოსაბესტავად ვიჯაფეთ მე და თქვენ?"

წასჩურჩულა მაიამ თეკლას.

მამიდა თეკლას ნერვიულობა ყველას გადაედო. სტუმრები გაოგნებულნი ისხდნენ, წარამარა მისჩერებოდნენ კედლის საათის ციფერბლატს. უკვე სამს უჩვენებდა ისარი, არც მანქანა სჩანდა სადმე, არც სუსქია და არც კორინთელი.

ძია ნიკომ პიჯაკი ჩაიცვა, ქოლგა და გალოშები მოატანინა მაიას.

ბოდიშობდა სტუმრებთან: მოკლეებით ჩავირბენ ბერმუხაში და აქეთ გამოვყვებიო ვახტანგს.

შავმა ფიქრებმა მოუარეს მამიდა თეკლას: ვინ იცის, ეგებ სუსქია უარესად გახდა და მეც თან გავყვებიო ნიკოს.

ზურაბ არადელიც წამოდგა, მეც წამოვალო, სთქვა.

გარედ დაუცხრომლად სწვიმდა, უკვე ქოლგებსა და გალოშებს ეძებდა მაია და ამ დროს გაისმა მანქანის სიგნალი.

ძია ნიკო გველცემულივით წამოიჭრა, მანქანის გაშუქებული ფარები უკვე ცეცხლოვან თვალებს უბრიალებდნენ კარს. ძია ნიკომ შორიდანვე შენიშნა: მანქანიდან ჩამოვიდა იასე და მარტოკა გამოემართა კიბისკენ.

„სუსქია სადაა?" მიაძახა თეკლამ.

„რა მოხდა, იასე?" ჰკითხა შეცფუნებულმა ნიკომ შოფერს.

„მანქანას ვერ შემოვიყვან, ნიაღვარს ბოგირი ჩაურეცხავს, ბატონო".

ლუღლუღებდა თავჩალუნული იასე დამნაშავესავით, თითქოს მისი ბრალი ყოფილიყოს, რომ ბოგირი ნიაღვარს ჩაერეცხა.

„სუსქია სადაა?" იკითხა ისევ თეკლამ.

„ქალბატონი ცოტა უგუნებოდ შეიქმნა გზაში და მანქანიდან ვერ გადმოვიყვანეთ.

უნდა წამობრძანდეთ და გადმოყვანაზე გვიშველოთ“.

ოთხმა კაცმა გადმოიყვანა შეუძლოდ შექმნილი ქალი.

სუსქიას მთელი საათის მანძილზე აბრუნებდნენ.

ერთბაშად პატარა როსტო ატირდა, ავადმყოფმა ძუძუ მისცა ბავშვს. ბოლოს, როცა მკერდიდან მოაშორეს ჩვილი, მოლეული ხმით უთხრა მის საწოლთან მსხდომარეთ ვახტანგსა და თეკლას:

„მე კმაყოფილი ვარ, იმ უბედური გოდერძის ვაჟი რომ გამოვტაცე სიკვდილს, ნამდვილი დიფტერია აქვს. სულზე მივუსწარი, თორემ უეჭველად დაიხრჩობოდა ბავშვი“,

ერთხმად გადაწყდა: დაუყოვნებლივ გაეგზავნათ იასე ყვარელს და პროფესორ შუშანიასადმი გასაგზავნი ელვა გადაეცა მას იქაურ ფოსტიდან.

*

პროფესორი შუშანია გათენებისას ჩამოვიდა გველეთში. მანქანა სავსებით ამოგანგლული იყო ლაფში. იგი მოლუშული შევიდა სასადილო ოთახში და საერთო სალამი აკმარა მის გარშემო მოგროვილ ჭირისუფლებს.

თავჩაღუნულმა მოისმინა იმ ღამეს მომხდარი ფატალური ამბავი და საძილო ოთახისკენ გაემართა მარტოკა. თხუთმეტ წუთსაც არ გაუგლია, კორინთელი კაბინეტში შეიყვანა და ეუბნება მასპინძელს:

„დაბრძანდი“.

კორინთელი მაშინალურად დაემორჩილა მის ნათქვამს.

„გულახდილად უნდა გითხრა, ჩემო მეგობარო, ძლიერ მაოცებს თქვენი ამბავი. ვაჟკაცი არ უნდა აჰყვეს ქალების გულჩვილობას. მე ხომ დაგიბარეთ, ვახტანგ, ორ კვირაზე ადრე არ ააყენოთ-მეთქი მელოგინე?

არ მინდოდა პანიკის შექმნა, რადგან მე წესად მაქვს: ჭირისუფალის განერვიულებას ვერიდო. ძლიერ რთული მშობიარება ჰქონდა მშობიარეს... სხვა მოვლენებიც შევნიშნე იმ დღეს“. ესა სთქვა და ბოლთისცემა დაიწყო კაბინეტში.

„ახლა როგორღაა?“ იკითხა კორინთელმა და წამოდგა.

„ახლა რაღა გითხრათ? ტრომბოფლებიტთან გვაქვს, ჩემო კარგო, საქმე. გარდა ამისა, საშვილოსნოს შეკუმშვაც საგრძნობია“....

„ტრომბა!“ გაიმეორა ზარდაცემულმა კორინთელმა. ამ სიტყვებისაგან წარმოშობილი შიშის შემსუბუქებას ამაოდ შეეცადა პროფესორი.

ისიც შენიშნა ჭირისუფალმა, რა გულისტკივილით წარმოსთქვა

მან ეს საშინელი, ტყვიასავით მძიმე და სატევარივით დაუზოგავი სიტყვა...

კორინთელს მუხლები მოეკვეთა, იგი საწერ მაგიდას წაეკიდა ცალი ხელით და სკამზე დაჯდომა ძლივს მოასწრო, საფეთქლებში სიმწრის ოფლის გამოქონვა შეიცნო, თვალების თეთრონებში აცეკვდნენ თალხი ბურთულები...

*

სუსქიას გადარჩენის იმედი მაშინ მიიწურა კორინთელის გულში, როცა პროფესორმა შუშანიამ საუზმეზე უარი სთქვა, გაკვრითაც არ დაპირებია მანქანის გარშემო მოგროვილ ჭირისუფლებს, თუ როდის აპირებდა ისევ გამოვლას.

*

იმ დღეს სუსქიას ხითქმის დაკარგული ჰქონდა ცნობიერება, დღედაღამ სასთუმალთან უჯდა კორინთელი თავის საყვარელ ცოლს და მისი დალეული სახის ყოველი კუნთის შეტოკებისას გრძნობდა, თუ რა გმირულად ებრძოდა იგი იმ სატანჯველს, რომლის სახელი ავადმყოფმა თავათ არ იცოდა.

პატარა როსტო, რომელიც აქამდის უჩვეულოდ ჩუმი იყო და კეთილი ზნისა, უცნაურად შეიცვალა, განერვიულდა, თითქოს ცნობიერებამოკლებული ჩვილი ქვეშეცნეულად გრძნობდა, თუ რა მწარედ ებრძოდა სიკვდილს მისი საყვარელი დედა...

როსტოს წაართვეს დედის თეთრი, მშვენიერი ძუძუები, მათი მარჯნისფერი, წამახული კერტები და მოჰგვარეს ერთი ბელეშა, გაჩეჩილი დედაკაცი, რომელსაც მეჭეჭებიანი, ყვითელი ძუძუები ჰქონდა...

ბალღი ჯერ გაიბრძოლებდა, თავისი პაწია, ვარდისფერი თითებით უპირებდა მათ მოშორებას და როცა ძიძა მიეძალებოდა, პირში ჩასჩრიდა დაჩუტულ ძუძუს, ხარბად მოეკიდებოდა ზედ და გამალებული სწოვდა, სანამ გულისრევა არ წამოუვლიდა.

*

ორ დღეს უგრძნობლად იყო მელოგინე. უთენია როსტოს ტირილმა გამოაღვიძა, ხელები ვერ გაუწოდა შვილს, მხოლოდ ეს გაიფიქრა:

„მშვიდობით, ჩემო სიცოცხლევ“.

მერმე ძიძას შეხედა გაოცებულმა, გაუკვირდა: ვინ არისო ეს გაჩეჩილი დედაკაცი?

ავადმყოფს სიზმარი ეგონა ეს ყოველივე და თვლემამ წაართვა ცნობიერება კვლავ. საღამო ხანს სულ ორიოდე წუთს თვალგახელილი იწვა, მხოლოდ ესღა ჰკითხა მამიდა თეკლას:

ავთანდილის წერილი ხომ არ მოუტანიაო გეოს?

ეს მოხდა შაბათ საღამოს. მეორე დილით ისევ გაახილა თვალი, იქვე მჯდარ ქმარს უცქირა, უცქირა, ერთადერთმა ცრემლმა გამოყონა მისი თვალის თეთრონიდან. წამოცოცდა, წამოცოცდა ეს ცრემლი და როცა მან ღაწვისთავამდის მიაღწია, ეს უთხრა კორინთელს:

„ხომ არ შეგჯავრდი, ვახტანგ?"

„რაში მატყობ, რას ამბობ, ძვირფასო?"

„აბა რად მიზიხარ ასე შორს? ახლოს მოდი ჩემთან".

„ძლიერ ცხელა, მეშინია არ შეგაწუხო".

„მოდი"...

კორინთელმა ლოგინთან მისწია სკამი.

„იცოდე, მე სულ მალე მოვკვდები, ვახტანგ.

შენ ცოლი შეირთე, ცოდვა ხარ მარტოკა, ოღონდ როსტო არ დამიჩაგროთ, იცოდე, მხოლოდ ამას გთხოვ"...

სთქვა და თვალები დახუჭა, ახლა უკვე ღაპაღუპით წამოუვიდნენ ცრემლები. ისინი მოცოცავდნენ ღაწვისთავებზე.

ვახტანგი ცხვირსახოცით უშრობდა ცრემლებს. მერე თვალების გაუხელელად წარმოსთქვა ავადმყოფმა წყვეტილი სიტყვები:

„იცოდე, ვახტანგ... შენს ბაღში დამმარხე... იქ, უნაბის ქვეშ, გესმის... დეე, როსტომ და ბიჟინამ იბაკუნონ ჩემს საფლავზე"..

ვახტანგმა შუბლზე აკოცა და უთხრა თვალდახუჭულს:

„ნუ ეძლევი შავნაღვლიანობას, სუსქია. სიცოცხლისათვის იფიქრე, პროფესორი შუშანია მოვა და ისევ გადაგარჩენს".

სუსქიამ ხმა არ გაიღო. ჩუმად, ჩუმად სტიროდა მხოლოდ...

•

უკანასკნელ დღეებში ეს აიჩემა ავადმყოფმა:

ღამურები დაფრინავენ ოთახში, თმებში არ მეცესო ღამურა.

ერთი ორი ღამურა მართლაც შემოდიოდა მწუხრისას სასადილო ოთახში, ტრიალებდნენ ლიუსტრის გარშემო და ისევ მიაშურებდნენ ბაღში გალურსულ ჩრდილებს...

კორინთელი ამაოდ წავიდა თელავს მეტალიური ბადეების სასყიდლად.

ცხელოდა იმ დღეებში, ფანჯრების დაკეტვა არ ივარგებდა, ისე-
დაც სული მეხუთებაო, ჩიოდა ავადმყოფი. სხვა გზა ალარ იყო,
მაია და თეკლა პირსახოცებით უქშენდნენ ღამურებს.

ხანდახან არავითარი ღამურა არსად იყო, მაინც სწუხდა ავად-
მყოფი: ღამურებით გაივსოო ოთახი.

ერთ ღამეს ეზმანა სუსქიას: აივანზე ამობოტდა გერ, შავი ჩანთა
კისერზე ეკიდა. მიქელ-გაბრიელს ჰგავდა, ბნელი და გრძელი ფრთე-
ბი გამოსხმოდა მხრებზე.

მოიყუდა გეომ თითბერის გრძელი სპყვირი პირზე და დაიქუხა:
„მოჰკლეს კაპიტანი ავთანდილ მინდელი“.
სუსქიამ ისევ იტირა და წაერთვა ცნობიერება.

უკანასკნელ დღეს ირმის ბლავილმა გამოაღვიძა უთენია. ჯერაც
ჩრდილები არ გაყოროდნენ ხეებს. ფანჯრიდან ხედავდა იგი ქარვის
მტევნებს, რქათამამ ვაზებზე დაკიდულთ, ლალისნაყოფებიან
უნაბს, ლოყებწამოწითლებულ ატმებსა და ნაგვიანევ ვარდებს. გვე-
ლისხე წითელ-ყვითლად ღვიოდა ქარაფის კიდეზე.

ღამენათევი თეკლა და ვახტანგი თავშექცეულად იწვნენ შეზ-
ლონგზე და ხვრინავდნენ...

ქარაფზე გადამდგარიყო ფეურირემი და საწყალობლად ბღაოდა...

•

ავადმყოფს მოეჩვენა: საძილო ოთახში შემოფარფატდა ღამურა,
განა თუ ერთი, ათასზე მეტი. თავდაღმა დაეკიდნენ ბროლის წილა-
მურებს ლიუსტრისას. რაწკუნებდნენ წილამურები, თავქვე დაკი-
დული, ღამურები ახამხამებდნენ შავ ფოთებს, წივოდნენ და უხ-
მობდნენ უკვე ჩრდილეთში გაპარულ ღამეს...

მერმე აგრე ეგონა სუსქიას: ღამურები მოეშვნენო ლიუსტრის
წილამურებს და კვრინჩხივით შემოეწყვნენ მის დაგრაგნილ ნაწნა-
ვებს.

ღამურები, რომელნიც მძინარე მტრედებსა და შველებს სისხლს
გამოსწოვენ ხოლმე...

ერთი შეჰკივლა გულისწამღებად სუსქიამ: მიშველეო, ვახტანგ,
და როცა დაფეთებული ვახტანგი და თეკლა თავზე წამოადგნენ,
მას უკვე გაყოროდა სული...

ისიც შენიშნა ჭირისუფალმა: სისხლში ცურავდა მიცვალებული.

ამ წუთში მოაგონდა კორინთელს ბედნიერება, რომელიც ზღვის
მედუზასავით სისხლად დაიქცევა ხოლმე ხელის შევლების უმალ.

ვახტანგ კორინთელმა დაკრიფა თავის ბაღში შემორჩენილი უკანასკნელი ვარდები და როგორც ქორწილის დღეს, თავზე გადააყარა მინდელის ქალს, ასე რომ პირაღმა მწოლარეს მოუჩანდა მხოლოდ შუბლი და თავის გარშემო შემოგრაგნილი ნაწნავები.

ისინი უკვე აღარ მოაგონებდნენ კორინთელს საამურ ფერს ალისას, რომელსაც გამოსცემს ხოლმე ცეცხლშემოგზნებული წალამი ვაზისა...

IN CAPZEPE ET TENEBPAE [1]

„ყელზე მოგეხვევით, მილიონებო“,

ფ რ ი დ რ ი ხ შ ი ლ ლ ე რ ი

„მე მადლობას ვუძღვნი განგებას, რომ თვალებზე არ ამაფარა ის ნიღაბი, რომელსაც მეცნიერული განათლება ეწოდება. მე შევძელი მრავალი მიამიტური ცთომილება თავიდან ამეცილებინა. ახლა უკვე თავათ ვიმკი ჩემივე მიღწევების ნაყოფს.

მე ვუახლოვდები ყინულისებრი თვითდამშვიდებით ყველაფერს, და ამას ჩავდივარ ყოველივე ცრურწმენის გარეშე.

განგებამ ასე განაწესა, რომ მე უნდა გავხდე უდიდესი განმათავისუფლებელი კაცობრიობისა.

მე ვანთავისუფლებ ადამიანებს გონივრულად თავშეკავების არტახებისაგან, რასაც აქამდის შეკოჭილი ჰყავდა ისინი. ვანთავისუფლებ მათ ბინძური და გამხრწნელი თავდამცირებისაგან, რომელსაც განიცდის პიროვნება იმ ქიმერისაგან, რასაც სინიდისსა და მორალს ეტყვიან ხოლმე.

ვანთავისუფლებ ადამიანებს თავისუფლებისა და პირადი დამოუკიდებლობის მოთხოვნილებისაგან, რადგან ეს ყოველივე მხოლოდ ზოგიერთებს ძალუძთ აიტანონ.

ქრისტიანულ დოქტრინას, ადამიანური სულის უსაზღვრო მნიშვნელობის შესახებ არსებულს, მე უშველებელის გარკვეულობით დავუპირისპირე მესსიანური დოქტრინა ცალკეული პიროვნებისა და ნაციის არსებობის უმნიშვნელობისათვის, ხოლო იმ დოგმას, რომელიც შეეხებოდა მოყვასისათვის თავგანწირვას და მაცხოვრის ხელით მოკვდინების ამბებს, პირისპირ შეეხეჩა დოგმა ახალი ლიდერისა და სჯულმდებელის გამო, რომელიც მის წინაშე თავმოდრეკილ მასსებს ანთავისუფლებს თავისუფალი ნების კრთებისაგან“.

შ ე შ ლ ი ლ ი ს წ ე რ ი ლ ებ ი დ ან (ი გ უ ლ ი ს ხ მ ე ბ ა ჰ ი ტ ლ ე რ ი ს „შ ა ვ ი დ ა თ ე თ რ ი მ ა გ ი ა“).

„რეხტს, რეხტს, რეხტს!“[2] ყვიროდა ქინჩგასუქებული, ჯუჯა ვახტმაისტერი, მარჯვენა მხარეზე სვასტიკა ჰქონდა ამოქარგული მას და უშველებელი, პრუსსიული ხმალი ეკიდა წელზე. ინდოუ-

1 საპყრობილესა და წყვდიადში.

2 მარჯვნისაკენ.

ოვით გაფხორილი მისდევდა რაზმეულს, რომელიც შეწყობილი ავტომატებით მიერეკებოდა სამხედრო ტყვეების ეშელონს.

ყურებდაცქვეტილი გერმანული მგელძაღლები ფეხდაფეხ მისდევდნენ „ესესელებს“, გულმოდგინედ უთვალთვალებდნენ ტყვეებს.

დაფდაფების ბრაგუნი ისმოდა და ჩექმებიანთა რიტმული მარში. ტყვეები თოვლში იყვნენ ამოგანგლული.

განაწამები სახეები და დათოვლილი ფარაჯები ისეთ იერს აძლევდნენ მათ, თითქოს ცოცხალი ადამიანები როდი ყოფილიყვნენ ისინი, არამედ თეთრად შესუდრული სულების ხროვა.

გარეუბნის შეკოლიკებულ, დაბალ სახლებს შორის სამიჯნო ჯვრებივით აღმართულიყვნენ ყორნებით დახუნძლული სატელეგრაფო სვეტები. ამ ფრინველების გულისწამღები ყრანტალი ისმოდა მხოლოდ უკაცრიელი დაბის ქუჩებზე.

კვერცხის ყვითელივით მზე ისე უღიმღამოდ ანათებდა ალიუმინის ცაზე, თითქოს ზეციერი მნათობი როდი ყოფილიყო იგი, არამედ რომელიმე უნიჭო მხატვრის მიერ დადღაბნილი სურათი.

„ჰალტ!“[1] დაიჩხავლა ვახტმაისტერმა. ეშელონმა შეანელა ფეხების რიტმიული ბაკუნი, ბოლოს ერთბაშად შესწყდა.

შავადშეღებილ ჭიშკრის თავზე უკვე მოსჩანდა მშვილდებრ გადარეკილი მიხაკისფერი აკრა, რომელზედაც ეწერა „K. L. 13.37. საგანგებო დანიშნულების ლაგერი“.

შავი ჭიშკარი გააღეს ხმალამოწვდილმა ვახტერებმა. ახმახი, მწითური ოფიცერი გამოვიდა. მას ორდენების მთელი კანკელი ჰქონდა მკერდზე.

„ახტუნგ!“[2] დამდუღრულივით იყვირა ვახტმაისტერმა, სამხედრო სალამით ახლოს მიეჭრა ჭიშკრიდან გამოსულს და უპატაკა:

„ჰერრ კომენდანტ! ეშელონში სამასი სამხედრო ტყვეა, ას ოცი ურია, სამი გაურკვეველი ტომის აზიატი, დანარჩენი სხვადასხვა ეროვნებისანი“.

როცა სამხედრო ტყვეები ლაგერის კანტორაში სარეგისტრაციოდ შერეკეს, ვიწრო დერეფნებში დაიშალნენ მწკრივები და ნაირ-ნაირ ენათა ბგერები გახმიანდნენ ირგვლივ.

ეს კონცლაგერი მოთავსებული იყო გაუქმებული ქარხნის ტერიტორიაზე. ეკლიანი მავთულით სამკეცად შემორაგვულ ეზოში ფანჯრებჩალეწილი მთავარი კორპუსი იდგა, მის ირგვლივ თვალსაწიე-

---

[1] სდექ, შესდექ.
[2] სმენა.

რამდის მოსჩანდნენ ასევე გაპარტახებული შრამელები, მინა-შენები.

ეკლიანი მავთულებით დახლართული ღობეების გაყოლებით მგლის ორმოები გაემართათ და მათ კიდეებზე ესსესელები და მათი მგელძაღლები დადიოდნენ დღისით და ღამით.

ყოველ ას ნაბიჯზე გოტური ეკლესიის გუმბათივით წვეტწამახული საყარაულო კოშკები იყო, ყოველ კოშკში ტყვიამფრქვევი იდგა და მათ ლაგერის მთავარი კორპუსისაკენ მიშვერილი ჰქონდათ ლულა.

„წიკლაური...“ იყვირა რეგისტრატორმა და ფანჯრის თავიდან გამოჰყო მოტვლეპილი თავი. წიკლაური ჯერაც არ იყო ფანჯრის თვალამდის მისული, ამ გვარის გაგონებაზე დერეფნის ბოლოდან დაიძრა გამხდარი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი, ბრბო გაარღვია და უკან დაუდგა წიკლაურს: როცა მან საქმე მრათავა, პირისპირ შეეხეჩა გამობრუნებულს და გადაეხვია.

„გოდერძი, შენა?“ წამოიძახა შეცფუნებულმა წიკლაურმა და თავათაც სამგზის აკოცა მეგობარს.

„შენ აქ საიდან გაჩნდი, შიოლა?“

„ოსვენციმიდან. გზაში ორჯერ მოგკარი თვალი, მაგრამ ისე გამოცვლილხარ, ვეღარ გიცანი. ბოლოს თქვენს ვაგონში მოსვლა მინდოდა, აღარ გამომიშვა ვახტმაისტერმა“.

„ჩვენი ბიჭები ხომ არ მოყოლიან ამ ეშელონს სხვანი?“ იკითხა გოდერძიმ.

„ხირჩლა ოჩიაური იყო მახლობელ ვაგონში, დამაცა, ეგებ მოგიყვანო“. სთქვა წიკლაურმა და ბრბოში გაერია.

გოდერძიმ ძლივს იცნო ოჩიაური. სადღა იყო ლოყებღაჟღაჟა, სიცოცხლის მოყვარული ხირჩლა? იგი დაკოჭლებულიყო, სკელეტს დამგვანებოდა... სიცილს გადაჩვევოდა.

„აქ რად მოგვათრიეს ამ ძაღლთაპირებმა, გოდერძი?“ შეეკითხა ოჩიაური.

„მე რა ვიცი, ჩემო ხირჩლა, რას გვიპირებენ ეს გარეწარები“.

„მომკლა ამ გაუთავებელმა წანწალმა ლაგერიდან ლაგერში, ზოგჯერ მე გავრბივარ, ხანაც ისინი დამათრევენ“, ჩიოდა ხირჩლა.

„მე და ხირჩლა სამჯერ გავიქეცით, მგელძაღლები მოგვისიეს, ხელტუკებით გვცემეს. ხირჩლას წვივები აქვს ესსესელების ძაღლებისაგან დაჭმული“, სთქვა წიკლაურმა.

„ბარე დაგვხოცონ მაგ მწერელთ ტყვეებმა, მოვისვენებთ და ეგ იქნება“, წაიდუდუნა ნაღვლიანად ხირჩლამ.

„შენ არა გშვენის ასეთი დაღრეჯილობა, ხირჩლა. რა გაეწყობა, სანამდის პირში სული გვიდგას, უნდა ვიტანჯოთ, აგერ ნახავ, ჩვენ კიდევ გავიბრძოლებთ ერთს", უთხრა გოდერძიმ, და მხარზე დაარტყა ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი კორპუსის მთელ სიგრძეზე სარდაფიანი ეტაჟი იყო. თითქმის ყოველ კამერას ფანჯრები ჰქონდა ჩალეწილი. ჯვარედინ რკინის ხლართულებს გადაღმა ხელბორკილიანი ტუსაღების ზემოტანილა მოჩანდა.

სარდაფებში გამომწყვდეულებს ზოგს ბორკილები ჰქონდათ ხელ-ფეხზე ასხმული, ზოგს გიჟის პერანგი ეცვა, ზოგიც პირდაპირ ჯაჭვით იყო მიბმული კედელზე. მათი უწმაწური გინება, ხორხოცი და შიზოფრენიკული ხარხარი მთელს ეზოში ისმოდა.

„ეს რა სარდაფია?" შეეკითხა წიკლაური წვეროსან ფრანგს, რომელსაც კრიალა, შავი ცილინდრი თავზე შერჩენოდა, ხოლო მხრებზე დასვრილი, დაკონკილი საბანი ჰქონდა წამოსხმული.

„ჰმ, აქ ამწყვდევენ გაურჩებულ ტყვეებს, ზოგჯერ გიჟებს, შიზოფრენიკებს, ხანაც სიმულიანტებს, რომელთაც მუშაობა არ უნდათ და სიგიჟეს იგონებენ.

ხანაც ისეთ მოქალაქეებს, რომელთაც შპიონობაში სდებენ ბრალს.

ეს უკანასკნელი სულ ადვილი საქმეა: თუ ვინმემ ფრანგული იცის, უეჭველად ფრანგების შპიონადა სთვლიან, თუ იტალიური, მაშინაც საფრანგეთის შპიონად რატომღაც.. მათთვის ყველა შპიონია, ვინც მათი ჭკუის არაა.

ამ ეტაჟს „პურგატორიოს"[1] უწოდებენ ტყვეები ხუმრობით. რადგან აქ მოხვედრილი ტყვეების ერთ ნაწილს ან გაზების კამერაში მოამთობენ, ან პირდაპირ ხვრეტენ ავტომატებით, ამას „ეგზეკუცია" ეწოდება".

განმარტა კითხულმა და განაგრძო ბოლთისცემა სარდაფების გასწვრივ.

ამ სართულის მთელს სიგრძეზე უწესრიგოდ ეყარნენ წყობიდან გამოსული მანქანების აგრეგატები, გაუქმებული მოტორები, ამწევი კრანების ნაწილები, თუჯის როფები და გეჯები, ურთიერთზე შეკოლიკებული რელსები, თვითმფრინავების პროპელერები და ალიუმინის ყუთები, პირალმა გადაბრუნებული ავტოები.

კარცერების ფანჯრებთან მოსულნი ჩამოსხდებოდნენ ხოლმე აქ, თუმცა ლაგერის ადმინისტრაცია უშლიდა ამას.

---

1 სალხინებელი.

ჩამოსხდებოდნენ ზედ და სიბრალულით შესცქეროდნენ ამ სარდაფებში დაბმულ და დაბორკილ ტყვეებს.

„Janette, I love You“ [1], როხროხებდა ვიღაც მელოტი ინგლისელი.

„ვახტმაისტერ ვალტერ, თუ ვაჟკაცი ხარ, აქ ჩამოდი, ამ ბორკილებით გაგიტეხავ თავს, შე გერმანელო ღორო“, ყვიროდა ფრანგი პილოტი.

„რალფ, რალფ, რალფ, სადა ხარ, სადა? შენს ღვთისმშობელს... შენს წმინდანებს... რალფ, შე მოღალატევ, ფაშისტების შპიონო, თუ აქედან გამოვძვერი, შენს ნაწლავებს ისე დავახვევ ჩემს ფინურ დანაზე, როგორც მოხარშულ მაკარონს ჩანგალზე. რალფ, რალფ...“ ღრიალებდა ნიდერლანდურად შავგვრემანი ვაჟკაცი, ფანჯრების წინ მოგროვილთ უთვალთვალებდა. კბილებს აკრაჭუნებდა, რკინის ხლართულს ეჭიდებოდა, მაგრამ არსად სჩანდა რალფ.

„ლე ბომ, ლე კომონ...“ [2], ყვიროდა ვიღაცა ფრანგულად...

„საკრამენტო“, „საკრედიაბლ“, „დონნერვეტერ“, „ფუ“, „ტოლლ“ [3] — მრავალი ენის საძაგებელი სიტყვები ისმოდა ამ სარდაფებიდან.

ბორკილიანი ტყვეები ისე უწმაწურად აგინებდნენ ღვთისმშობელს, როგორც მთვრალი პოლიციელი აბეზარ კახპას.

ლოყებღაღაჟა ელზასელი, რომელსაც მხოლოდ ფეხებზე ჰქონდა ბორკილები, ნამჯით სავსე თუჯის გეჯაში ჩამჯდარიყო და ისე კრიახობდა, როგორც ეს კვერცხის დადებისას სჩვევია დედალს. სამი გამურული ბიჭი იქვე ჩაცუცქებულიყო, ერთი მამალივით ხორხოცობდა, დანარჩენები დედლებივით კაკანებდნენ.

ამ კონცერტის გამგონე თუ სარდაფში არ ჩაიხედავდა, მართლაც ეგონებოდა, ქათმები სდებენო კვერცხებს.

სარკმლებიდან არ მოსჩანდნენ, თორემ სხვანიც ეწეოდნენ ამგვარ საქმიანობას: ზოგი ბულბულივით უსტვენდა, ზოგი ჭოტს ბაძავდა, ზოგი გუგულს, ზოგი ისევე იძახოდა, როგორც ხილის გამყიდველებს სჩვევიათ იტალიის სამხრეთში.

ზოგი საპიპინებელს აფშვიტინებდა და მოსეირეთ მოაგონებდა იმ მემწვანილე დედაკაცებს, რომელნიც ასეთი საპიპინებელით უხმობენ ხოლმე თავიანთ მუშტრებს პარიზული მრავალსართულიანი სახლების ეზოებში.

---

[1] ჟანეტ, მიყვარხარ.

[2] გერმანელები, ღორები. („ლე ბომ“ კომბოსტოს თავებს ჰქვია).

[3] წყევლა ფრანგული, იტალიური.

პერანგშემოფხრეწილი, თმაგაბურძგვნილი პოლონელი მოადგა რკინის ხლართულს. ფანჯრის გასწვრივ მოსეირნე საბანწამოსხმულ ცილინდრიან ფრანგს პაპიროსი სთხოვა.

ხმა არ გასცა ფრანგმა.

„შენ ჰეი, სქელო, ბორდელის დირექტორი ხომ არა ხარ, ამდენს რომ ფიქრობ?“ ფრანგულად მიაძახა პოლონელმა.

საბნიანი ფრანგი სულ ახლოს მივიდა რკინის ხლართულთან და პირდაპირ თვალებში შეადუღა თმაგაბურძგვნილს.

პოლონელი რკინის ხლართს ეცა ამაოდ, „პშაკროვ“ — ძაღლის სისხლოო, მიაყოლა ცილინდრიანს.

უწვერული, ქალაჩუნა შვეიცარიელი ბიჭი გრეტხენის მონოლოგს მღეროდა ფაუსტიდან:

„Meine Mutter ein Hur,

. . . . . .

Mein Vater ein Schelm“[1].

ვიღაც ჭერა კაცი დანტეს ტერცინებს გალობდა:

„Per me si va citta dolenta,
Per me si va nell' eterno dolente,
„Per me si va la perduta gente“[2].

როგორც ჯოჯოხეთში ვირგილიუსი, ისე უძღვებოდა წიკლაურ-თავის მეგობრებს.

ფრანგებს, რუსებს, ინგლისელებს, ბელგიელებს, პოლონელებს, ჰოლანდიელებსა და ელზასელებს ეკითხებოდა: თავისუფალი ნარები ხომ არსად გეგულებათო?

„სად მივდივართ, შიოლა?“ იკითხა ოჩიაურმა.

„თავისუფალი ნარები უნდა ვიპოვოთ სადმე, ხომ ხედავ, ჭერეხებივით ჩაწოლილია ყოველგან ხალხი“, მიუგო წიკლაურმა.

მეგზური დაიქანცა, უკვე ველარ იკვლევდა ტყვეებით დახორგილ დერეფნებში გზას.

ახლა გოდერძი წავიდა წინ, ტყვეებს ნარები არა ყოფნიდათ, ზოგი იატაკზე დაყრილ ნამჯაზე იწვა, ზოგს დასაჯდომიც აღარა ჰქონდა, კედელზე აყუდებული სთვლემდა.

---

1 დედაჩემი კახპაა,
მამაჩემი ეშმაკი.

2 ჩემგან მიდიან ტანჯვის ქალაქში,
ჩემგან იწყება უსაზღვრო სევდა.
ბნელი სამყარო სულწაწყმედილთა.
(დანტე, „ჯოჯოხეთი“, ქება III).

გაავებულნი იცინოდნენ, სტიროდნენ, მღეროდნენ, ყვიროდნენ, აგინებდნენ ღვთისმშობელ მარიამს.

ვიღაც ჭიანურს უკრავდა ზემოთა ნარზე, მცირეწლოვანი ყმაწვილები დამალულობიას თამაშობდნენ, დაშლიგინებდნენ ამ ენაღრეულ ბაბილონში.

ვიღაც საამური ხმით მღეროდა:

...როცა ხეები კვირტს მოისხამენ,
ტოროლა ავა წკრიალით ცაში,
სინათლე დასძლევს მაშინ სიღამეს,
ალვის შტოებში ატყდება ტაში,
როცა მერცხლები ისევე მოვლენ,
თქვენ ნახეთ მაშინ, თქვენ ნახეთ მაშინ!!...

რაც უფრო წინ მიდიოდნენ, მით უფრო საგრძნობელი ხდებოდა აურზაური, ღრიანცელი, უსუფთაობა. რაღაც ნაფლეთები ეყარნენ ბატაკზე ირგვლივ.

წიკლაურმა შენიშნა: გოდერძის დანახვაზე ვიღაც მაღალმა ქერა კაცმა გაარღვია ბრბო, გოდერძის წამოეწია, შემოაბრუნა, იყვირა: „ელანიძე" და გადაეხვია.

„ბურჟინსკი, შენა?" წამოიძახა გახარებულმა გოდერძიმ და თავათაც აკოცა ყვრიმალში მას.

„ამას რას ვხედავ, მე ჯერ მოჩვენება მეგონე, ცოცხლებში არ მეგულებოდი", სთქვა ბურჟინსკიმ და მერმე ზედიზედ მიახალა კითხვები გოდერძის:

— რომელი ლაგერიდან?

— როდის?

— ხომ არ იცი რად მოგიყვანეს?

— მაიდანიკიდან.

— დღეს.

— ვინ იცის რად მოგვიყვანესო.

„ადგილი ფუ გაქვთ? — შეეკითხა ბურჟინსკი. — ჩემი კამერიდან ბარე ოცი კაცი წაიყვანეს ეგზეკუციაში. საშინელი სურათები ვნახეთ. ზოგი ლოცულობდა, ზოგი ტიროდა, ზოგი ხარხარებდა".

ნახევარი საათის განმავლობაში მიდიოდნენ დახორგილ დერეფნებში ოთხნი...

„აჰა, აქ მოდით ბიჭებო", სთქვა ბურჟინსკიმ და თავის ნარზე მიუთითა. მოპირდაპირე ნარებზე თერთმეტი შავწვერა, შავკოსტიუმიანი და ერთი თეთრწვერა მოხუცი სდუმდნენ, მხოლოდ იშვიათად გადაუგდებდნენ ხოლმე ერთიმეორეს თითო სიტყვას. გულხელდაკრეფილნი ისხდნენ.

საერთოდ ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდნენ, თითქოს სეირის საყურებლად ყოფილიყვნენ ამ ლაგერში მოწვეულნი.

„ესენი ებრაელი რაბინებია, — ხმადაბლა უთხრა ამხანაგებს ბურჟინსკიმ. — ფაშისტებმა იხმეს თურმე ეს უბედურები.

გამოუცხადეს: ჩვენ პატივსა ვცემთ თქვენს რელიგიას, ამა და ამ დღეს გამოცხადდით. იერუსალიმს გაგგზავნით. ოღონდ დიდი ბაგაჟი არ წამოიღოთ, გემზე ადგილი არ გვექნებაო ამდენი.

შეგიძლიათ ოქრო-ვერცხლი და ვალუტა წამოიღოთ, რადგან საზღვარს რა გადახვალთ, ჩვენი ფული არ გამოვადგებათო.

რაბინები ისევე მოიქცნენ, როგორც უბრძანეს, ბოლოს ყველაფერი წაართვეს და იერუსალიმის ნაცვლად აქ მოიყვანეს“.

ყველამ დუმილით უპასუხა ბურჟინსკის ნათხრობს.

*

ბურჟინსკიმ მახორკა მიაწოდა თავის სტუმრებს და გოდერძის მიუბრუნდა:

„მე დამნაშავე ვარ შენი მეუღლის წინაშე... მას შემდეგ, რაც ჩვენი კონტრდაზვერვის ცნობა მოვიდა შტაბში, ყოველ კვირას მიგზავნიდა შენი მეუღლე შეკითხვას. ბოლოს იძულებული გავხდი მიმეწერა: დაგვეღუპა-მეთქი“.

ბურჟინსკიმ შენიშნა: გოდერძი გაფითრდა, მაგრამ მღელვარება დაიოკა. ბურჟინსკიმ შთაბეჭდილების შესარბილებლად სთქვა:

„სხვათა შორის აქ მეზობელ კამერაში თქვენი თანამემამულეა ერთი, მწითური კაცი. იგი საერთოდ გაოგნებული დადის. ხმას არ იღებს“.

სამივენი გაჰყვნენ ბურჟინსკის.

„გულუხაიძე!“

იყვირა გოდერძიმ. ნარზე მწოლარე დაფეთებული წამოვარდა.

„სიზმარია თუ სიცხადე?“ წამოიძახა და სამივენი გადაკოცნა.

კამერაში დაბრუნებულებს ლოცვად დამდგარი დაუხვდნენ რაბინები.

„ამ საწყლებს აგრე ჰგონიათ, აქ ლოცვას და მოსვენებას დაანებებენ“. ესა სთქვა ბურჟინსკიმ და ვახტმაისტერის ჩხავილი გაისმა:

„სად არის ამ კამერის მამასახლისი?“

აქა ვარო, მიუგო ბურჟინსკიმ.

„წუხელ კანალიზაციის მილები გახეთქილა, მოიტა ის თორმეტი რაბინი“.

რაბინები თავჩაქინდრულნი გაჰყვნენ ვახტმაისტერს.

„იცოდეთ, ბიჭებო, არ გაამხილოთ, ქართველები რომ ხართ, თორემ სტალინის ჯავრს თქვენზე ამოიყრიან. თუშები ვართ-თქო ასე უთხარით. გარდა ამისა, ადმინისტრაციას მრავალი ჯაშუში ჰყავს ისევე ტყვეების წრიდან.

ფაშისტების გინებას მოერიდეთ. საერთოდ „გულს ნურავის გაუხსნით. რად გინდათ ზედმეტჯერ გათრიონ კარცერში“. აფრთხილებდა ქართველ მეგობრებს ბურჟინსკი.

„ჩვენ სულ ასე ვწერთ ანკეტებში“, სთქვა წიკლაურმა.

„ცივი იარაღი თუ გაქვთ, გადამალეთ, ყოველ კვირას ჩხრეკაა აქ“.

„იარაღი მომცა, მაგათ დედას ვუტირებდი“, ნაღვლიანად ამბობდა ხირჩლა ოჩიაური.

„შენ როგორ ჩაგიგდეს მაგ ძაღლებმა ხელში?“ ჰკითხა ბურჟინსკიმ ბოდერძის.

„მე პილაუს ვბომბავდი. სამი მესსერშმიტი გამომიდგა. პროპელლერი დამიმსხვრია ტყვიამ. იძულებითი დაჯდომა მომიხდა... სამ თვეს გვმალავდა მე და ბორტმექანიკოსს ერთი პოლონელი მეთევზე.

ბოლოს სილეზიას წავედით. იქიდან კოვპაკის პარტიზანულ პოლკს უნდა შევერთებოდით. საქონლის ვაგონში გვმალავდა ერთი სილეზიელი კონდუქტორი.

ერთ ღამეს წყლის დასალევად ჩავედით. წყლის გამყიდველმა ქალმა გესტაპო დაგვაყენა თავზე.

ცოსენში ჩაგვიყვანეს. იქ ტიფი ატყდა, კარანტინში ჩაგვაგდეს. კარანტინიდან გავიქეცით.

ტყეში ვიმალებოდით, ნაყარ ხილსა და მცენარეთა ბოლქვებს ვჭამდით. დღისით ტყეში გვეძინა, ღამე კომპასი გვეჭირა ხელში, მივდიოდით პოლონეთის მხარეს.

ერთხელ ღამის პატრულს შევეხეჩეთ. მექანიკოსი მომიკლეს, მე მკლავში დამჭრეს. ორივემ საიქიოს გავისტუმრეთ სამნი.

მერმე მაიდანეკში წამათრიეს საკაცით. წყლით სავსე ბოჭკებში ჩამაგდეს ხელებშებორკილი. ბედად წყალი არ გაიყინა და გადავრჩი..“

ახლა ბურჟინსკიმ სთქვა:

„მე და სამი სერჟანტი მტრის ზურგში გადაგვსხეს პარაშიუტით ჩვენებმა... რკინიგზის ლიანდაგი ავყარეთ სამ ადგილას. ბოლოს ერთ ჭაობში მოგვიმწყვდიეს, ჯერ ძაღლები მოგვისიეს. დავხოცეთ ძაღლები, ახლა თვითონ გვეცენ ესესელები, ბარე შვიდს გავუხვრიტეთ კეფა, მერმე ის იყო, სერჟანტები დამიხოცეს და მე თავში

დამჭრეს. ერთი კვირის შემდეგ დახაუს ლაგერში გამომეღ-ვიძა“.

გულუხაიძე გავიდა მეზობელ კამერაში და ბენდელიანი შემო-იყვანა.

„ოსვენციმში სამი ათასი ტიფიანი დახვრიტეს „სანიტარული მოსაზრებით“, მე მესაფლავე ვიყავი, რკინის გორგოლაჭებით და-ვათრევდი მკვდრებს და ვმარხავდით...“ ამბობდა ბენდელიანი.

„მე მესაფლავეც ვიყავი და ცხედრების ექსპედიტორიც, — სი-ტყვა ჩაურთო გულუხაიძემ. — გორგოლაჭები და ვაგონეტები მოგ-ვცეს. ასე ვეზიდებოდით სარდაფებში დახვრეტილებს, „საგაზო მანქანებში“ მოშთობილებს, ჩვენსავე ამხანაგებს გვამარხვინებდნენ ტყეში.

ერთ ღამეს საშინელი მერეხი ატყდა. ვიდროვე, ბუჩქებს ამო-ვეფარე, მოვუსვი. სეტყვასავით დამაყარეს ტყვიები, მაინც გადავ-რჩი. ერთ პოლონელ დედაბერს შევეკედლე. ერთ თვეს შემინახა. ავად გახდა, კვდებოდა. დამეღრიჯა: ქსენძი მომიყვანეო. სწორედ იმ წვერძაღლმა ხუცესმა დამიჭირა. შეეშინდა, მოგზავნილი არ იყოსო და გესტაპოს ჩამაბარა“.

წიკლაურმა უფრო საშინელი ამბები წამოიწყო:

„მე პირველად იანოვსკის ლაგერში მოვხვდი. იქ იყო ცნობილი სიკვდილის ფაბრიკა. საგანგებო კურსები ჰქონდათ მოწყობილი. კურსანტებად მარტო ოფიცრებს იღებდნენ. ცხედრების დაწვას ას-წავლიდნენ და მათი ძვლების დაფქვას.

ვინმე პოლკოვნიკი შაილოკი განაგებდა ამ საქმეს. ადამიანების ძვლებისაგან მიღებულ ფქვილს ნაყოფიერ ხეებს უყრიდნენ“.

„ჩვენ ლაგერთან ლაზარეთი გვაქვს. ეს არის ნამდვილი ჯოჯო-ხეთი. მისი უფროსია შტაბსფიურერ, პროფესორი ფელიქს შტამ-ლერი“.

სთქვა ბურჟინსკიმ.

ამ გვარის ხსენებაზე ერთმანეთს გადახედეს ქართველმა ტყვე-ებმა და ბურჟინსკიმ გაწაგრძო:

„გიჟების იროდს უწოდებენ ამ პროფესორს. მისი წინადადებით 1942 წელს კიევის საგიჟეთში შეცვივდნენ ესესელები. ოთხმოცი გიჟი აწამეს. პროფესორი შტამლერი ხან ნავთს უშხაპუნებდა მათ კანს ქვეშ, ხან ბენზინს.

ქალებს საშოს უქრობდა მაღალი ვოლტაჟის ელექტრობით, ხა-ნაც ჰაერისგან განტვირთულ კამერებში ჰყრიდა. ზოგს ფილტვები უსკდებოდა, ზოგი უარესად გიჟდებოდა.

ბოლოს განაცხადა შტამლერმა: გიჟები არ ვარგებ�ანო საექს-

პერიმენტოდ. მერმე ის იყო, გაგიჟებული ესსესელები შეცვივდნენ საგიჟეში, ავტომატებით ამოხოცეს რვაასი გიჟი. ერთი სიტყვით, მათი სადისტური პრაქტიკის წინაშე გახუნდა ყოველივე, რაც შექსპირსა და ედგარ პოს, სტივენსონსა და დოსტოევსკის დაუწერიათ გამხეცებული ადამიანის შესახებ.

„ოდესღაც მთელი ქვეყანა შეძრული იყო ჩანგის-ხანის ორიოდე კაცისთვის ტყავის გაძრობისაგან: ამ ლაგერებში ათასობით ტყვეს აძრობენ ტყავს“, დასძინა წიკლაურმა.

„ამას წინად ამ ლაგერში მოღალატე ტყვეების დახმარებით შეადგინეს ორკესტრი. ვიღაც კომპოზიტორს, ისევე სამხედრო ტყვეს, დააწერინეს „სიკვდილის ტანგო“. როცა ეგზეკუციაში მიჰყავდათ ტყვეები, ამ ტანგოს უკრავდნენ, ბოლოს ორკესტრანტები დახვრიტეს და ახლები მოიყვანეს“, ამბობდა ბურჟინსკი.

„ვაცეკის ლაგერში კომენდანტი იყო ერთი, ვინმე პოლკოვნიკი ვილჰაუზ, — დაიწყო გულუხაიძემ. — იგი ყოველ დილას სხვადასხვა სიმაღლის ტყვეებს გაიყვანდა და მათი დახვრეტით ავარჯიშებდა თავის მაუზერს.

ერთხელ მეც გამიყვანა. ოც ნაბიჯზე დამაყენა. სამჯერ მესროლა, სამჯერვე დამაცდინა. ახლოს მომეჭრა, დამტვრეული რუსულით მითხრა.

ურია ხარო თუ ქრისტიანი?

მე პირჯვარი დავიწერე.

ყოველი მონათლული ებრაელიც იწერსო პირჯვარს.

მე შარვალზე ხელი წავივლე: თუ ნებას მომცემთ, ბატონო კომენდანტო, ნამდვილ საბუთს გიჩვენებთ-მეთქი.

გაეცინა, თავხედი ყოფილხარო, მითხრა. მერმე ისევ მომბრუნდა და მკითხა:

რა ეროვნების ხარო? განზრახ არ ვუთხარი ქართველი, თუში ვარ-მეთქი.

ვერ გაიგო თუ ვინ არის თუში, თავი გააქნია და მითხრა:

„სულ ერთია, ვინცა ხარ, ბედი გქონია, მე პირველად ვნახე კაცი, რომელსაც ტყვია დავაცდინე“.

ერთხელ ნახერხის პურის ჯერში ვიდექით ბარე სამასი ტყვე. მოგვეჭრა, განრისხებულმა იკითხა:

„ვინ არის აქ პირველი?“

მე ვარო, მიუგო რაბინმა. განზე გაიყვანა და სამი ტყვია ესროლა. იმ დღეს ებრაელ ტყვეებში ხმა გავრცელდა: ებრაელებს უკრძალავენო წინა რიგებში დგომას. ახლა ჯერის ბოლოს რიგებში მო-

ქუჩდნენ საცოდავები. მეორე დღესაც მოვიდა კომენდანტი ვილ-ჰაუზი და იკითხა:

„ვინ არის აქ უკანასკნელი?“

მე ვარო, უთხრა მოხუცმა ებრაელმა. ისიც გაიყვანა და სამი ტყვია მასაც დაახალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ, ჰეი, წვერწითელავ, წაიღე, სარდაფში ჩააგდეო ისინი, მიყვირა და გაგვეცალა“.

ახლა ოჩიაური აპირებდა თავის თავგადასავლის მოყოლას.

„ახტუნგ!“

გაისმა ვახტმაისტერის ჩხავილი. ტყვეები ნარებიდან წამოცვივდნენ. დერეფანში გამოჩნდა ლაგერის კომენდანტი. მას თან ახლდნენ სამი ესესელი ოფიცერი და ორი ქალი, რომელთაც წითელი ჯვრის ნიშნები ჰქონდათ მხრისთავებზე. კომენდანტმა ქორული მზერა მოავლო ახლადმოყვანილ ტყვეებს.

„სკელეტების კოლლექციისათვის კარგი ეგზემპლარებია“, გადაუჩურჩულა მის გვერდით მდგარ მწითურ კაცს, რომელსაც ორდენების კანკელი ჰქონდა მკერდზე.

„რომელია მამასახლისი“? იკითხა მოღუშულმა კომენდანტმა.

მე ვარო, მიუგო ბურჟინსკიმ.

„ამაღამ დაჭრილი ტყვეების ეშელონი მოდის, სამასი კაცით გამოდი პერონზე“.

როცა ისინი წავიდნენ, ბურჟინსკიმ უჩურჩულა ქართველებს:

„ის ორდენებიანი, მწითური, ეგ არის გიქების იროდი — პროფესორი შტამლერი“.

•

ათასი ტყვე უცდიდა გათენებამდის დაჭრილების ეშელონს. როცა დაპლომბილი ვაგონები გახსნეს, ათას ხუთასი ტიტველი ცხედარი სელდის თევზებივით ეყარნენ ერთიმეორეზე. ვაგონეტებზე და რკინის გორგოლაჭებზე შეჰყარეს და მახლობელ ტყეში გააზიდვინეს ტყვეებს.

როცა დაოსებული ქართველები ისევ კამერაში მოიყვანა ბურჟინსკიმ, თორმეტი რაბინი ლოცვად დამდგარიყო. მათი შავი ფრაკები და კოხტად დაუთოებული ლამპასიანი შარვლები ადამიანის ეკსრამენტებში იყო ამოგანგლული, ყველაზე უფროსი თეთრწვერა ყანყალებდა და გალობდა:

... „და დაიპნეს სამოსელნი თვისნი და იტირეს ტირილითა დიდითა და დაიხსნეს ნაცარნი თავსა ზედა თვისთა და დაემხვეს პირითა ქვეყანასა ზედა“...

დანარჩენი თერთმეტი სევდიანი ღიღინით ბანს აძლევდნენ უხუცეს რაბინს; გულისმომკვლელი ზუნი ისმოდა, ისეთი სევდიანი, თითქოს ისრაელის თორმეტი მუხლის ნათესავნი მისტირიანო იერუსალიმიდან მათი დეპორტაციის პირველ დღეს...

ნაშუალამევს ხანგრძლივი ჩხრეკა მოაწყვეს ლაგერში, თუ ვინმეს რამე გააჩნდა, ყველანი დაძარცვეს. ქართველებს არაფერი აღმოაჩნდათ არც ჯიბეებში, არც კარდონის ხელჩემოდნებში, მხოლოდ სოლომონ გულუხაიძეს უპოვნეს ამულეტი, რომელიც დივერსანტმა რუდოლფ შტამლერმა მიუგდო მას.

„ბიჟუების ირაოდი"

კონცლაგერში უკვე მოთავებული იყო გადათვლა. ბნელსა და გრძელ დერეფნებში ოდნავ ბჟუტავდა ელექტრონათურების ძაბუნი სინათლე. საბანწამოსხმული ტყვეები ლანდებივით დაღოღავდნენ აქა-იქ.

უკვე შენელებულიყო ის დაუცხრომელი გნიასი, რომელიც დილიდანვე თან სდევდა ლაგერის მოუსვენარ ცხოვრებას.

ასეთ დროს დაშრეტაზე მიდგებოდა ხოლმე ადამიანური ენერგია და თვით კარცერებიდან აღარ ისმოდა ხელბორკილიანი ტყვეების, გიჟის პერანგებში გაქაჩული შიზოფრენიკების ხორხოცი.

ნარებზე ჭერეხებივით გაწოლილთა შორის ზოგი ხვრინავდა, ზოგი ლოცულობდა, ზოგი ბოდავდა. ზოგს ძილი არ მოკიდებოდა, მის გვერდით მწოლარე ამხანაგისაკენ პირი შეექცია და უთხრობდა მას თავისი ოჯახის ან სამშობლოს ტკბილად მოსაგონარ ამბებს.

სხვანი ზედ იატაკზე დამსხდარიყვნენ წრიულად და ხმადაბლა მასლაათობდნენ.

კამერის მამასახლისს — ბურჟინსკის მახორკის პაპიროსი მუჭში ეჭირა, ფრთხილად აბოლებდა, ჩურჩულით უთხრობდა ქართველ მეგობრებს თავის თავგადასავალს, ლაგერებიდან გაპარვის, ისევ დაპატიმრების, კარცერებში ცემისა და შიმშილის ამბებს.

ამას ყოველივეს კომიურ ასპექტში წარმოადგენდა იგი, თავათაც იცინოდა და აცინებდა თავის მსმენელებს.

ბურჟინსკი აქა-იქ იგონებდა ქალებთან შემთხვევითს შეხვედრებსაც. მამაკაცები სიამოვნებით უსმენდნენ პიკანტურ ისტორიებს. მთხრობელი არ ერიდებოდა ბილწსიტყვაობას, საერთოდ ისეთ გამოთქმებს, რომელთაც ქალებთან სიახლოვეს დანატრებულნი სიამოვნებით მიმართავენ ხოლმე.

„ივან, — ეუბნება ბურჟინსკის გოდერძი, — თუ ძმა ხარ ამ გვიამბე, თუ როგორ შეუვარდი ესსესელებისაგან გაქცეული პასტორის[1] ცოლს საწოლში“.

„ეჰ, ამ წლებში იმდენი რამ გადამხდა, რომელიმე [illegible] რომ მოვუთხრო, საინტერესო წიგნს დასწერდა უთუოდ [illegible]

სილეზიაში ეტაპიდან გავექეცი ესსესელებს, ისინი მოტოციკლეტებით მომსდევდნენ, თანაც მესროდნენ. ბნელოდა, ამიტომაც გადავურჩი ტყვიების მერეხს.

ბოლოს გზა მოვეჭერი, ჭაობები გადავტოპე, სოფლის ბოლოს განმარტოებულ სახლს მივადექი ერთს.

ოდნავ ბნელოდა ბინაში. ღია ფანჯრიდან პიანინოს ხმა მოისმოდა... ბაღში გადავძვერი, ცერებზე შევდექი; ერთ ოთახში ფაშფაშა, ქერა დედაკაცი პიანინოს უჯდა, ლისტის რაპსოდიას უკრავდა.

საძილო ოთახში პასტორის სურათი ეკიდა, მის ქვემოთ წყვილი საწოლი, იყო გერმანული, მაღალი ბუმბულებითა და ფუნთუშა ბალიშებით გაწყობილი.

ფანჯრიდან შევხტი, ტანზე გავიხადე და ერთ-ერთ ლოგინში შევძვერი, თავზე ბალიშები და ბუმბული გადავიყარე. ასე განაბულს უკვე მომესმა ესსესელების სტვენა და გნიასი.

ბოლოს ისიც გავიგონე, ერთმა მათგანმა დააკაკუნა სასადილო ოთახის ფანჯრის რაფაზე ავტომატის ლულით, დიასახლისს შეეკითხა:

აქ რუსი ხომ არ შემოსულაო?

რუსს აქ რა უნდაო? უკმეხად მიუგო ქალმა, ფანჯარა გაიხურა და განაგრძო დაკვრა.

როცა პიანინო დადუმდა, ტანთ გაიხადა, ცოტა ხანს იპრანჭებოდა სარკესთან; უცნაურად ავღელდი პერანგისამარა დედაკაცის დანახვაზე, მაგრამ გავილურსე. ბოლოს ჩემს გვერდით მდგარ ლოგინში ჩაწვა.

როგორც კი მისი ხვრინვა შემომესმა, თავი გამოვყავი ბუმბულებიდან. კედლიდან სათვალიანი, მოღუშული პასტორის პორტრეტი გადმომცქეროდა.

დიდხანს ვკოცნე მძინარე ქალი, მაგრამ არ გაეღვიძა.

ავდექი, პიანინოს მივუჯექი და ლისტის იგივე რაპსოდია დავუკარი.

პერანგისამარა თავზე წამომადგა დედაკაცი. როგორც სჩანს, მიხ-

---

1 პროტესტანტების მღვდელი.

ვდა, ვინც ვიყავი, ამხედ-დამხედა: აქ თქვენ რამ მოგიყვანათო? მეკითხება ღიმილით.

თქვენმა სიყვარულმა-მეთქი, კეთილო ფრაუ, ვუთხარი და წავეტანე.

მოიცადე, შე სულწასულო, ფანჯრებს მაგრად გადავრაზავ, თორემ ესსესელები შემოგვიცვივიანო, სთქვა, ფანჯრები მაგრად დაკეტა, და ლოგინში შემომყვა...".

„მერმე?" შეეკითხა წიკლაური.

„დანარჩენი თქვენ წარმოიდგინეთ. მოხდა ის, რაც ხდება ხოლმე რომანებშიაც ასეთ შემთხვევაში. მთელი ღამე ვინებივრეთ პასტორის საწოლში. შავსათვალიანი, ბუსავით მოლუშული პასტორი კედლიდან გადმოგვცქეროდა.

ეჰ, მამაკაცები სასტიკად გვებრძოდნენ, მაგრამ ქალის მოსიყვარულე გული ხშირად სიტკბოებას გვაგრძნობინებდა ხოლმე..."

„თითქმის ასეთივე ამბავი შეემთხვა ჩვენს გულუხაიძესაც", სთქვა ღიმილით გოდერძიმ.

თვითონ მოგვიყევით, ჩააცივდა, მაგრამ გულუხაიძე უარზე დადგა.

ახლა გოდერძიმ სთქვა:

„ჩვენი სოლომონი ვაგონიდან გაექცა თურმე პოზნანის მახლობლად ჟანდარმებს. ფაშისტების მიერ აყრილ პოლონურ სოფლამდის მისდიეს გაქცეულს.

სოლომონი ერთ მიტოვებულ სახლში შევარდნილა. ადამიანის ჭაჭანებაც არსად იყო, ერთ ოთახში ხატის წინ ძაბუნი სინათლე ბჟუტავდა.

იმავე კუთხეში საუცხოოდ მორთული ქალი იდგა. სოლომონმა ფეხზე გაიხადა, ფერხთით დაუვარდა და უთხრა მლოცველს:

„ვეჩურ დობრე, პანენკო"[1].

ხმა არ გაიღო უცნობმა, ქალს დანატრებულმა სოლომონმა სიყვარული შეჰფიცა სათნო არსებას და წვივებზე დაუწყო კოცნა, მაგრამ აფსუს... ეს „ღვთისმოსავი ასული" აღმოჩნდა მკერავის მანეკენი".

ახლა დანარჩენებიც მოჰყვნენ ამურულ ამბებს, ისევ ატყდა სიცილი.

„თფუი, თფუ, ჩვენ იმდენს ვიცინით, ეგზეკუციაში არ გაგვიშვან ამაღამ", ესა სთქვა წიკლაურმა და კამერის კართან აჩხავლდა ვახტმაისტერი ვალტერი:

---

[1] საღამო მშვიდობისა, ქალბატონო.

„ბურჟინსკი!“

ბურჟინსკიმ ფეხზე ჩაცმაც ვერ მოასწრო, ისე გამოეჭიმა ვასტ-მაისტერს.

„პროფესორ შტამლერის კლინიკაში გეძახიან“, ტყვეობა ნებლიერ ტერმა მამასახლისს.

ბურჟინსკი გაფითრდა. გზადაგზა იცვამდა ჩექმას, თანაც ბურდღუნებდა:

„ეჰ, სასიკეთო საქმეზე არ მეძახიან ეს ძაღლიშვილები“.

ბურჟინსკი წაიყვანეს. ტყვეებს გუნება გაუფუჭდათ. გოდერძი ნარეებს შორის დაწრიალებდა თავჩაქინდრული.

„ასე ხდება მუდამ ამ დაწყეველილ ლაგერებში, ტყვესთან დამეგობრებას ვერ მოასწრებ, ისე გამოგაცლიან ხელიდან“.

ამბობდა წიკლაური.

„წაგვაშხამებენ ალბათ წეღანდელ სიცილს“, დასძინა გულუხაიძემ.

ორი საათი გავიდა, არსად სჩანდა ბურჟინსკი. ათასგვარი ვარაუდი გამოითქვა... ზოგი ამბობდა: ეგებ კარცერში ჩააგდესო, ზოგი ფიქრობდა: სხვა ლაგერში გადაიყვანესო...

კიდევ გავიდა ერთი საათი.

ქართველებს გარდა ყველას ეძინა, როცა ბურჟინსკი შემოვიდა და ნარზე დაახალა თავისი ქუდი.

„ჰეი, ბიჭებო, კაპუტ[1] ჩვენი საქმე“, სთქვა ახლადმოსულმა. ყველანი წამოდგნენ, გარსშემოერტყნენ ბურჟინსკის.

„მე არ მიყვარს პანიკის ატეხა, მაგრამ აქ ჩვენ პატარძლები არა ვართ, გული შეგვიწუხდეს. რომ დაგიმალოთ, რა გამოვა? გიჟების იროდის კლინიკაში გამომიძახეს. დამკითხავდა ექიმი ფრიდა შტამლერი, პროფესორის ასისტენტი.

ეს ქალი ხშირად დაჰყვება ხოლმე პროფესორს, როცა ეს უკანასკნელი ჩვენს ლაგერს ათვალიერებს.

ამ დედაკაცზე ათასგვარი ხმები დადის, ზოგი ამბობს: მისი საყვარელიაო, ზოგიც პროფესორის ქალიშვილად სთვლის ამ ქალს. თუ ქალიშვილია, მიკვირს როგორ გაუჩნდა ამ ჯოჯოს ასეთი ანგელოზი.

ერთი სიტყვით, ეს ფროლაინ შტამლერი დამკითხავდა; ჩემს ჩვენებას იწერდა პროფესორის ორდინატორი, ძროხასავით გაზიზინებული დედაკაცი ფრაუ ბერტა, რომელსაც ნიკაპამდის ატანილი აქვს თავისი გაფუებული ძუძუები.

ფრიდა შტამლერმა ეს მითხრა:

---

[1] გერმ. ჟარგონი: დაიმსხვრა, გათავდა, დაიღუპა.

„სამხედრო ტყვეების ეს უკანასკნელი ეშელონები ჰიმლერის ბრძანებით მოკრეფილია გერმანიის ყველა ლაგერიდან, ოცდაცამეტი ეროვნებისანი. აქედან სამასი ტყვე ჩვენს კლინიკას გადმოსცეს.

ჩვენ ცნობა გვაქვს, თქვენს კამერაში იმყოფება ოთხი აზიატი გაურკვეველი ეროვნებისა, რამდენადაც ვიცი, ისინი ანკეტაში უჩვენებენ, თუშები ვართო.

შენ უნდა მოგვცე წინასწარი ცნობები თუ ვინ არიან და რანი არიან ეს თუშები?

კლინიკის დირექტორი, პროფესორი შტამლერი ფრიად დაინტერესებულია ამ სამხედრო ტყვეების ვინაობით. აგრე ამბობს: დიდად საინტერესო საცდელი მასალაა ჩვენი კლინიკისათვის“.

თავი მოვიკატუნე: მე კავკასიაში ნამყოფი არა ვარ, არ ვიცი-მეთქი თუ რას ნიშნავს „თუში“.

„ჩვენც ბევრი ვეძიეთ ლექსიკონებში, მაგრამ არსად სწერიაო ამ ხალხის სახელწოდება“, სთქვა ფრიდა შტამლერმა.

ამ ქალს ცუდი სახელი არა აქვს ტყვეებს შორის. ზოგი ასე ამტკიცებს: შედარებით ლმობიერიაო, ამიტომაც, როცა ის გაზიზინებული ფრაუ ბერტა ოთახიდან გავიდა, შევეკითხე:

რად მოაქუჩეს-მეთქი ეს სამასი კაცი ამ ლაგერში?

კარისკენ გაიხედა, თავისი ვარდისფერი თითი მიიდო ტუჩზე და მითხრა:

„ტსტ! ეს სახელმწიფური საიდუმლოა... ერთი რამ შემიძლია გითხრათ: ვგონებ შტრასსბურგის ანატომიურ მუზეუმში აგზავნიან მათ“.

მე ისევ დავეჯღანე, შევეცადე რაიმე დაწვრილებითი ცნობა გამომეტყუებინა მისთვის.

ისევ მიიდო ტუჩ-პირზე თავისი ვარდისფერი თითი და მითხრა:

„ტსტ!“ ბოლოს ადგა, გარს მომიარა, დაკვირვებით დაათვალიერა ჩემი თავკისერი და მკითხა:

წმინდა სისხლის რუსი ხარო?

თავი დავუქნიე, ჰო-მეთქი.

ანტროპოლოგიის თვალსაზრისით საინტერესო თავისქალა გაქვსო. შესაძლოა შენც მოხვდე შტრასსბურგს გასაგზავნთა კოლლექციაში.

მე გამბედაობა მოვიკრიბე და ვუთხარი:

თქვენც ორიგინალური თავისქალა გაქვთ-მეთქი.

რა თვალსაზრისიდანო? მკითხა.

მამაკაცის თვალსაზრისიდან-მეთქი.

გაიცინა, თავისი მშვენიერი კბილები მომანათა და მითხრა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგწონსო ჩემი თავისქალა?

დიახაც-მეთქი.

არაფერი გამოვაო, სთქვა.

რათა-მეთქი?

მე ამორძალი ვარ, თავათ ვირჩევო მამაკაცს.

ახლა მთლად გულუბრყვილო კაცად მოვიკატუნე თავი: ამორძალი რა არის-მეთქი?

შენ ოფიცერი ხარ და როგორ არ იცი ცნობილი მითი ამორძალების შესახებ: ძველ ბერძნებს შავი ზღვის პირად ეგულებოდათ მეომარი დედაკაცები — ამორძალები, რომელნიც თავიანთ წრეში საქმროებს არ იგუებდნენ, მეზობელ ხალხებს მოსტაცებდნენ მამაკაცებს, თავს დაიგრილებდნენ და ისევ გააგდებდნენო მათ.

მე ისევ გავთამამდი, ახალი კომპლიმენტი შევაპარე. ეს შეეხებოდა მის მშვენიერ ძუძუ-მკერდს, ბრიუსელის აჟურებიან ნაქსოვში შეფარვულს. ისევ მიიტანა თავისი ვარდისფერი თითი ტუჩპირზე და სთქვა:

„ტსტ! ფრაუ ბერტა მოდის“.

მართლაც შემოგორდა გაზიზინებული ფრაუ ბერტა, რენტგენზე გადაღებული სკელეტები შემოიტანა და სთქვა:

„ფროლაინ ფრიდა, ნახე როგორა ჰგვანან ეს ჩონჩხები არიელებისას. ჰა?“

მე ვსდუმდი და ისინი გამალებული უჰვრეტდნენ ამ ჩონჩხებს, გულარეული შევსცქეროდი ამ სანახაობას“.

ბურჟინსკიმ თხრობა შესწყვიტა, საკუთარ მუხლისთავებს დასცქეროდა მცირე ხანს, ბოლოს თავი აიღო და სთქვა:

„ხომ არ აჯობებდა ამჯერად გეთქვათ ქართველები ვართ-თქო?“

„არა, შენ სცდები, ივან, ანკეტის ცნობებთან არ შეიძლება თამაში. შესაძლოა ზედმეტჯერ დაგვსაჯონ ამისათვის“. თითქმის ერთხმად სთქვეს ალანიძემ და წიკლაურმა.

„მე უკვე აღარ ვიცი, რა გირჩიოთ, ძმებო. ისიც საგულისხმოა, ბარე ოცი ქართველი ჰყავდათ თქვენს მოსვლამდის ამ კარცერებში. „ლოსტს“ უშხაპუნებდნენ, ხანაც 80% ძმარა-ალიუმინის — ალიუმინ-აცეტიკუმს.

ერთმა ქართველმა ფერშალი დაახრჩო. იმ ღამესვე დახვრიტეს, მეორემ ის პროფესორი შტამლერი წამოაქცია და ვახტმაისტერს რომ არ მიესწრო, მოგუდავდა. ყველანი ეგზეკუციაში გაუშვეს მეორე დღეს.

მკითხა კიდევაც ფრიდა შტამლერმა; ქართველები ხომ არ არიანო ის თუშები?

„წარმოდგენა არა მაქვს-მეთქი, ვიცრუე“, დასძინა ბურჟინსკიმ.

არა, რაც მოგვივა, მოგვივა, ერთხელ მიცემულ ჩვენებას დავადგეთო, ერთხმად დაადგინეს ქართველმა ტყვეებმა.

„საერთოდ უნდა გამოგიტყდეთ, ძმებო, ბინძურ ისტორიაში ვარ ჩავარდნილი.

ჩემდა საუბედუროდ ტყვედ მოხვედრის პირველ დღესვე წამომცდა, გერმანული ვიცი-მეთქი.

ჯერ ჩამაცივდნენ: ჯაშუში გახდიო. კვირაში ერთხელ ლაგერიდან გასვლის უფლებას დამპირდნენ, ერთ წყვილ ჩექმას და ერთ კილო თეთრ პურს.

უარი ვერ გავბედე, ვერც თანხმობა ვუთხარი. ბოლოს მამასახლისად დამაყენეს. ეს რა ჩემი საქმეა, მაგრამ აქაც ეშველი ჩვენიანებს შეძლებისამებრ. საერთოდ, ისე მომბეზრდა სიცოცხლე, ნეტავ მალე მოვყვე ეგზეკუციაში.

მოდი, ბიჭებო, მაინც ვილუპებით, რაიმე ვიღონოთ, ჰა?“ ამბობდა ბურჟინსკი.

„ნუ ღელავ, ივან, თავს წაგვაცლიან, მეტი ხომ არაფერი მოხდება... შენგან არ მიკვირს, შეუდრეკელო ივან?“ ეუბნება გოდერძი.

„ეჰ დავიღალე. ჩემო გოდერძი“.

დიდხანს სდუმდა ბურჟინსკი, მერმე წიკლაურს მიუბრუნდა:

„იცით, ამხანაგო შიოლა, თქვენ მაინცდამაინც ნუ გაამხელთ გერმანულის ცოდნას, ქალებს ხომ იცით ენა უსწრებთ, შესაძლოა რაიმე წამოსცდეთ და დაიმახსოვრეთ.

გარდა ამისა, ამ ლაგერებში მათ თარჯიმანები აკლიათ და ან შპიონობას შემოგთავაზებენ, ან თარჯიმანობას. ორივესგან დაგიფაროთ ღმერთმა.

საერთოდ გოდერძი მართალს ამბობს: არ დავღონდეთ, ბიჭებო, დალმართში მომგორავ თავისქალასი არ იყოს, გადასახდელი გადაგვხდა. დაგვხოცავენ ეს პირძაღლები, სხვა რაღა იქნება.

მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ვნატრობდი შტრასსბურგის დიდებული ტაძარი მენახა, ვაითუ ჩემმა ძვლებმა ნახონ იგი“.

ბურჟინსკის კამერაში მთელი ღამე არავის სძინებია. ამ კამერის ერთადერთი ფანჯარა კარცერებისაკენ გამოდიოდა.

უთენია ატყდა ბორკილების ჩხრიალი, გინება, ყვირილი: „მიშველეთ“, „ჯალათებო, დაგვხოცეთ ბარემ“, „ბანდიტებო, რას შვრებით?“

ებრაელ რაბინთა შორის უხუცესი ყანყალებდა, ლოცულობდა და თერთმეტი შავოსანი რაბინის ხუნი. მას ბანს აძლევდა:

„ამათ ზედა მე ვტირ, თვალმან ჩემმან გამოადინა წყალი... გაწკაფნა ხორცი ჩემი და ტყავი ჩემი, ძვალნი ჩემნი დამუსრა სრულიად... და დამსვა ბნელსა, ვითარცა მკვდარნი საუკუნენი“...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*

მეორე დღეს უთენია მოვარდა ვახტმაისტერი ვალტერი და დამდუღრულივით იყვირა:

„ბურჟინსკი“.

ბურჟინსკი საცვლებისამარა ეახლა.

„მოიტა ის ხუთი ტყვე გაუგონარი აზიატური წარმოშობისა“.

ბურჟინსკიმ თავი მოიკატუნა, თითქოს არ იცოდა რას მოითხოვდნენ მისგან.

„მე არ ვიცი, ჰერრ ვახტმაისტერ, თუ ვის გულისხმობთ ამ შემთხვევაში?“

ვალტერმა დაფხრეწილი ბლოკნოტი ამოიღო და გაჯახირებულად ამოიკითხა:

„ელანიძი გოდერძი, გულუხაიძე სოლომონ, ოჩიაურ ხირჩლა, ციკლაურ შოლა, ბენდელიან იგნატ“.

როცა ეს ხუთი ტყვე ჩამწკრივდა, ვახტმაისტერმა ვალტერმა და შვიდმა ჟანდარმმა ლაგერის ჭიშკრიდან გაიყვანეს ისინი. ქუჩის გადაღმა მდებარე უზარმაზარ სახლზე აბრა იყო და ზედ ეწერა:

„Wissenschaftlich—experimehtale Klinik. Eine Filiale der Annenerbe“[1].

ეს დაღვრემილი, ნაცრისფერი სახლი, რომელშიაც პროფესორი შტამლერის კლინიკა იყო მოთავსებული, თავის სიძველის მიუხედავად, უზადოდ გაეკრიალებინათ. ლინოლეუმით მოგებული დერეფნები ვარვარებდნენ, მიუხედავად ამისა, აუტანელი სუნი იდგა ირგვლივ ქიმიკალებისა, შმორისა და ჩირქისა.

შპრიცებითა და ნაირ-ნაირი პრეპარატებით აღჭურვილი ექიმები, ექთანები და სანიტარი ქალები საქმიანად დაფუსფუსებდნენ, ისტერიული ტირილი, ხანაც ყვირილი ისმოდა ოთახებიდან.

ახმახი, ღიპიანი ესესელი ოფიცერი დააბოტებდა დერეფნებში, უკითხავად აღებდა ექიმებისა და ორდინატორების კაბინეტთა კარებს და იმუქრებოდა:

„შტიილ“[2].

---

1 „სამეცნიერო-საექსპერიმენტო კლინიკა, წინაპართა მემკვიდრეობის ფილიალი“.

2 ჩუმად.

ვახტმაისტერი ვალტერი გაიჯგიმა მის დანახვაზე, სამხედრო სალამი მისცა და უპატაკა:

„ხუთი აზიატი გაურკვეველი ეროვნებისა მიმყავს პროფესორ შტამლერის კაბინეტში, ჰერრ გრუპენფიურერ“[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდხანს ატარა ვახტმაისტერმა ტყვეები და ბოლოს მიადგა წარწერას:

„დირექტორი — მედიცინის დოქტორი, პროფესორი, შტაბსფიურერ ფელიქს შტამლერი“.

ვალტერმა მაღალი კარები შეაღო და მდიდრულად მორთულ დარბაზში შეიყვანა ტყვეები. ჰიტლერისა და ჰიმლერის სურათებს ქვემოდ უზარმაზარ მაგიდაზე გამწკრივებულ ტელეფონებს უჯდა ქერაკულულიანი, მაღალმკერდიანი ქალი. მან ვერ გაიგონა ვახტმაისტერის მისალმება, რადგან ტელეფონის მილი ეჭირა ხელში და ტკბილი, ყელისმიერი ხმით ეუბნებოდა ვიღაცას:

„ბატონი პროფესორი შტამლერი ხუთ საათზე მობრძანდება. შესაძლოა კომისსია მოიყვანოს. მაღალი თანამდებობის პირებს მოველით: ჰიმლერის მდივანს — ბრანდს, გენერალ ფონ კალკროიტს, პროფესორ ჰირტს, შტრასბურგის უნივერსიტეტთან არსებული ანატომიური მუზეუმის დირექტორს, პროფესორ რაინჰოლდს. ჩვენი კლინიკა უნდა დაათვალიერონ...

ხვალ არა მცალია... ჩემი დაბადების დღეა.

გამოიარეთ, ცოტა აბზენტი დავლიოთ, ბევრი შამპანური, ჩემს მიერ გაკეთებულ ტორტებს გაგასინჯებთ... დალევთ? მეც დავლევ.

ამ კლინიკაში ნერვები გამიფუჭდა... გამოიარეთ, ბარონესა ფონ ედელვაიზერიც იქნება... გვიანაც იყოს, მაინც მობრძანდით... ნახვამდის... ხვალამდის“.

როცა ტელეფონის მილი დასდო, ტყვეებს თვალი შეავლო და ეუბნება მის წინაშე გაჯგიმულ ვახტმაისტერს:

„ესენი ვინ არიან, ვალტერ?“

„ის ხუთი აზიატი გაურკვეველი ეროვნებისა, მოწყალეო ფროლაინ“.

ტყვეებს მიუბრუნდა ფროლაინ შტამლერი:

. გერმანული თუ იციანო სამხედრო ტყვეებმა?

არავინაო, უპასუხეს.

ახლა აქცენტიანი რუსულით იკითხა: „რუსული?“

ყველამ ვიცითო, მიუგო გოდერძიმ.

ზარის ღილზე თითი დააჭირა. ექთანმა მოირბინა.

---

[1] ესესელთა ჩინია. სიტყვა-სიტყვით: ჯგუფების ხელმძღვანელი.

ორდინატორი, ფრაუ ბერტა მომგვარეთო, უბრძანა ექთანს.

შემოგორდა ჩაკურატებული ფრაუ ბერტა, რომელსაც გაფუ-ბული ძუძუები მართლაც ნიკაპამდის სწვდებოდა თითქმის.

ახლა ვახტმაისტერს უბრძანა ფროლაინ შტამლერმა:

„თქვენ და ჟანდარმებმა დერეფანში მოიცადეთ, ვალტერ“ ბა-ჯის საათს დახედა და სთქვა:

„პროცედურებს ორი საათი დასჭირდება, ფრაუ ბერტა, არა?“

ორი საათი ცოტაა, მიუგო ბერტამ, ანკეტები უნდა შევადგი-ნოთ, ფოტოსურათებიც უნდა გადავუღოთ, ეხლა თავისქალებისა, ტორზოს და კიდურების დეტალურად გაზომვას, რენტგენზე გადა-ღებასაც დრო უნდაო.

დანარჩენ მანიპულაციებს თუ შემდეგისთვის გადავდებთ, უკა-ნასკნელი სამი საათი მაინც დაგვჭირდებაო.

ხუთ საათზე მოდიო, უბრძანა ფროლაინ შტამლერმა ვახტმაის-ტერს.

ვალტერი ისევ გაიჯგიმა, მესმისო, წაიდუდუნა და გავიდა.

ფროლაინ შტამლერი წამოდგა. სამხედრო ტყვეებს მიეახლა. მცირე ხანს ათვალიერებდა მათს ანაგობას და თავკისერს, ბოლოს გერმანულად უთხრა ორდინატორს: „Ausgereichnete Exemplaren!“[1] ბრწყინვალე ეგზემპლარებიაო ეს აზიატები, დაუდასტურა ფრაუ ბერტამ და თავათაც დაუწყო თვალიერება მათ.

ფროლაინ შტამლერი გულუხაიძესთან მივიდა, რუსულად ჰკითხა:

ურია ხომ არა ხარო?

ქრისტიანი ვარო, მიუგო კითხულმა.

ფრაუ ბერტამ გოდერძის მხარზე დაადო ხელი და უთხრა ფრო-ლაინ შტამლერს:

„Ein hüpscher lungling Schade um ihn! Wenn ich so iung wäre, wie Sie, ich hätte mich tödlich in ihm „sverliebt“[2]

ფროლაინ ფრიდას ღიმილმა გადაურბინა ტუჩ-პირზე, ხელახლა ახედ-დახედა გოდერძის და გერმანულად მიუგო ფრაუ ბერტას:

„საიდან იცით, რომ მე უკვე არა ვარ მასზე შეყვარებული? ეს ორი კვირაა, მას ვაკვირდები, პირდაპირ მენატრებოდა მისი ნახვა, ამიტომაც დავყვებოდი ჩემს მამინაცვალს ლაგერში.

აჰ, რა ლამაზი ვაჟკაცია, ღმერთო! ხვალ ჩემს დღეობაზე მისი

---

[1] ბრწყინვალე ეგზემპლარებია.

[2] ლამაზი ჭაბუკია, ცოდვაა... მე რომ თქვენსავით ახალგაზრდა ვიყვე, სასიკ-ვდილოდ შემიყვარდებოდა.

თავი უნდა ვთხოვო ჩემს მამინაცვალს, შენ რას იტყოდი, ფრაუ ბერტა, ჰა?"

„ფრთხილად იყავი, ფროლაინ შტამლერ, მე მეშინია არ იეჭვიანოს შენმა მამინაცვალმა და ხვალვე არ გაგზავნოს იგი შტრასსბურგს".

წიკლაურმა ეს ყოველივე შეისმინა; მაგრამ [illegible] ეტყვირვებულად შეხედა ფრიდა შტამლერის გამომწვევ ძუძუ-მკერდსა და მაღალ თეძოებს.

ქალები გოდერძისთან მივიდნენ ისევ. გოდერძის ბრაზი წაეკიდა გულზე, ეს ორი დიაცი ისე დაეინებით რომ უჭვრეტდნენ მას. თითქოს გასაყიდი ცხენი ყოფილ'იყოს იგი.

„ფრაუ ბერტა,— სთქვა ფროლაინ შტამლერმა,— ეს ვაჟი, როგორც სჩანს, ამ აზიელების თავკაცია, მე მინდა მას ზოგი რამ გამოვკითხო, მანიპულაციებსაც ჩავუტარებ თუ გინდა.

დანარჩენები თქვენ წაიყვანეთ, ზომები ზუსტად აუღეთ, ხომ იცით რა ჭირვეულია ჩვენი პროფესორი".

როცა ფრაუ ბერტამ ტყვეები გაიყვანა, ფრიდა შავი რუბეროიდით დაგმანულ კართან მივიდა, ინგლისურმა საკეტმა ტკაცუნი მოადინა. მერმე ისევ მიბრუნდა საწერ მაგიდასთან, რადგან ტელეფონმა დაიწკრიალა. მოუსმინა და მიუგო:

„ყველაფერს გავაკეთებ, პროფესორო ბატონო". ბოლოს თავათ აიღო სხვა ტელეფონის მილი და ჩასძახა:

„ფრაუ ბერტა, ესეცაა პროფესორმა დარეკა, რვა საათისთვის ყველაფერი მზად იყოსო, ჰიმლერის კომისსია თუ მოვიდეს, მანქანა გამოგზავნეთ და დაუყოვნებლივ მოვალო".

ტელეფონის მილ'ი თავის ადგილას დასდო და გოდერძის ეუბნება რუსულად:

Вы курите?

გოდერძი არ მოელოდა ამ კითხვას, მხრები აიჩეჩა და მიუგო:

ვწევ, მაგრამ ახლა არ მინდაო.

ფრიდამ საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო, თუნუქის პრიალა კოლოფი ამოიღო, გახსნა, ჯერ თავათ უყნოსა, ერთი პაპიროსი ამოიღო, ცეცხლი მოუკიდა, გააბოლა, მერმე გაუწოდა გოდერძის და უთხრა:

„ნუ გეშინიათ, მოსწიეთ, აქ ვერავინ შემოვა, ეს არის საუკეთესო ამერიკული პაპიროსი „კეპსტენ", ცოტა ოპიუმი აქვს გარეული". გოდერძიმ ხელახლა უთხრა მადლობა, თავათაც გააბოლა. დაჯექითო, უბრძანა ვაჟს ფრიდამ, ბოლოს ისევ შეხედა მას და უთხრა:

ოპიუმი თუ მოგიწევიათო?

არაო, მიუგო გოდერძიმ, თავი დახარა და საკუთარ მუხლისთავებს დახედა.

კონიაკს თუ სვამთო? შეეკითხა ქალი.

გოდერძიმ შეხედა და არაფერი მიუგო.

ფრიდამ ისევ გამოაღო გრძელი უჯრა, კონიაკი ამოიღო, ბრუნლის ჭიქაში ჩაუსხა და სთქვა:

„ეს საუკეთესო კონიაკია, ფრანგული“.

კონიაკის ბოთლს ისევ გაუკეთა საცობი და შეინახა.

„თქვენ თუნდაც ერთი წუთით დაივიწყეთ, რომ ტყვე ხართ“.

გოდერძიმ გაიღიმა და არაფერი უთხრა.

„დალიეთ კონიაკი“.

გოდერძიმ ცოტა მოსვა.

„მოსწიეთ პაპიროსი“.

„ერთი ხომ მოვწიე?“

„თუნდაც ერთი წუთით დაივიწყეთ, რომ ტყვე ხართ“.

„ეს როგორ შეიძლება?“

„კონიაკი დალიეთ“.

„მე რომ აქ დავთვრე, თქვენ უსიამოვნება შეგხვდებათ, მე რა, ისედაც სასიკვდილო კაცი ვარ“.

„თქვენ თავადი ხომ არა ხართ? ან ხომ არ გეშინიათ არ მოგწამლოთ?“

„არც თავადი ვარ და არც მოწამვლის მეშინია, საერთოდ არაფრის მეშინია“, მიუგო გოდერძიმ.

„მაშ თქვენ გლეხი ხართ? გლეხები საერთოდ გაუმაძღრებია“.

„გააჩნია რომელი გლეხი?“

„ეგების თქვენ ბოლშევიკების მიერ გაგლეხებული აზნაური იყვეთ, არა? თქვენ ქრისტიანი ხართ თუ მაჰმადიანი?“

„ნამდვილი გლეხი ვარ.— მიუგო გოდერძიმ.— ამჟამად არც ერთი. ჩემი მამა-პაპა ქრისტიანი იყო“.

„მე ქრისტიანი ვარ და ადამიანი მიყვარს“.

„თუ ადამიანი გიყვართ, აქ რა გინდათ?“

„მე ჩემმა მამინაცვალმა დამაძალა აქ მუშაობა, სულ ერთია, სადაც არ უნდა წავიდე, ყველგან ფაშისტებს უნდა ვემსახურო, არა? საერთოდ მინდა გავიქცე ამ ჯოჯოხეთიდან“.

„მაშ თქვენ ფაშისტი არა ხართ?“

„ტსტ!“ სთქვა ფრიდამ და თავისი ვარდისფერი თითი მიიდო ტუჩებზე. მერმე ეს უთხრა გოდერძის:

„ასეთ რამეზე ნუ ვილაპარაკებთ. მე ქრისტიანი ვარ და ადამიანი, სხვა არაფერი“.

ტელეფონის წკრიალი გაისმა. ფრიდა შეკრთა, მილი აიღო და დიდხანს უძახა:

„ჰალო, ჰალო“.

ბოლოს უპასუხა მოკლედ: „პროფესორი სამი საათის შემდეგ მობრძანდება. მე არა მცალია. სამხედრო ტყვეები მყავს“.

ახლა ისევ მიუბრუნდა გოდერძის:

„გულახდილად მითხარით, რა არის თუში? ნუ გეშინიათ, მე არ გაგცემთ“.

გოდერძიმ განგებისად მოღუშული სახე მიიღო.

ხალხიაო ასეთი, კავკასიაში ცხოვრობს.

„რამდენი ხართ სულ?“

„ხუთიოდე ათასი“.

„რა ცოტა ყოფილხართ? სამწუხაროა“.

„რატომ სამწუხარო?“

„ასეთი ლამაზი ხალხი ყოფილხართ და ასე ცოტა. ესენი (სთქვა და ჰიტლერისა და ჰიმლერის პორტრეტებს ახედა) ორმოცმილლიონიან ერებს უპირებენ გაქრობას და თქვენ რა გეშველებათ?“

„ჩვენ ხომ მარტო არა ვართ? ორასი მილლიონია ჩვენს კავშირში“.

„მართალი მითხარით, თქვენ მართლა გლეხი ხართ?“

„რად მეკითხებით ამას?“

„ასეთი ჭკვიანი გლეხი ვინ გაიგონა?“

„განა აზნაურებსა და ვაჭრებს შორის ცოტაა სულელი?“

„ეჰ, თქვენ მართალი ხართ, ბარონები და გრაფები მეტწილად ქარაფშუტებია“.

ფრიდამ ისევ გამოსწია გრძელი უჯრა, კონიაკის ბოთლს საცობი ახადა, დაუსხა გოდერძის, დალიეო, სთხოვა.

გოდერძიმ ხელი დააფარა თავის ჭიქაზე, უთხრა:

„არა, უხერხულია თქვენთვის, მე თუნდაც სამ ბოთლს დავლევდი, მაგრამ თქვენთვის“...

ფრიდა ადგა, გოდერძისთან მივიდა, კულულებზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

„როგორი გაურყვნელი მამაკაცი ყოფილხარ!“

გოდერძი გაწითლდა.

„ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავ, მამაკაცი რომ წითლდებოდეს“, სთქვა ფრიდამ და გვერდით მიუჯდა, ისევ გადაუსვა კულულებზე ხელი და ჰკითხა:

„თქვენ ცოლი გყავთ?“

მყავსო, მიუგო გოდერძიმ.

„ფოტოსურათი ხომ არა გაქვთ?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდერძიმ ამოიღო და გადასცა ნუნუს სურათი.

„აჰ, რა ლამაზია! ესეც გლეხია?“ სთქვა ფრიდამ.

ეგეც გლეხიაო, მიუგო გოდერძიმ.

ბავშვი თუ გყავსო?

მეყოლა, მაგრამ არ მინახავსო.

ფოტოსურათი თუ გაქვსო?

ფოტოსურათი გამომიგზავნეს, მაგრამ არ მიმიღიაო.

ფრიდა მოულოდნელად შენობით ლაპარაკზე გადავიდა.

„შენ სად იბრძოდი?“

„სად მოვთვალო რა და რა ფრონტზე?..“

„1942 წელს?“

„ყუბანში“.

„რას ამბობ? ჩემი ძმა დაიღუპა ყუბანში“.

„რა გვარია?“

„კაცმა რომ თქვას, იგი დედითაა ჩემი ძმა, მე ფონ მანტოიფელი ვარ გვარად, ჩემი ნახევარი ძმა — შტამლერი“.

„რა თანამდებობის იყო თქვენი ძმა?“

„კონტრდაზვერვის ჰაუპტმანი“.

გოდერძიმ თავი გააქნია, ასეთი გმირი არ გამიგონიაო, იცრუა შეგნებულად.

„ამათ დამიღუპეს ჩემი საყვარელი ძმა“, სთქვა ფრიდამ და ისევ ახედა ჰიტლერის და ჰიმლერის პორტრეტებს.

„ის ნახევარი ძმა იყო ჩემი, მაგრამ შესანიშნავი ვაჟკაცი. ფაშისტებმა გარყვნეს და ჰეშმარიტების გზიდან გადააცდინეს, თორემ ახლა იგი იქნებოდა ბონის უნივერსიტეტის პროფესორი“.

გოდერძის ემცხეთა ეს ამბავი, მაგრამ არაფერი სთქვა და ახალი პაპიროსი აიღო, გააბოლა და იგრძნო ოპიუმისაგან მოკიდებული თრობა.

„ჩემს მამინაცვალს დიდი ტრამვა აქვს ჩემი ძმის დაღუპვის შემდეგ. იგი შურს იძიებს ამ უბედურ სამხედრო ტყვეებზე. თქვენ ხომ იცით, რა ხდება ამ ბნელი სახლის კედლებს შორის?“

არ ვიცი, განზრახ მიუგო გოდერძიმ.

„დერეფნებში ხომ გესმოდათ ისტერიული ტირილი და ღრიანცელი? კანს ქვეშ „ლოსტს“ [1], ბენზინსა და ალგუმინ-აცეტიკუმს უშხაპუნებენ ტყვეებს, ზოგსაც ჰაერისაგან განტვირთულ კამერაში ამწყვდევენ, ზოგს ფილტვები უსკდება, ზოგი გიჟდება.

---

[1] გერმანელი ექიმების მიერ გამოგონილი პრეპარატი, შხამიანი ქიმიკალებისაგან შემდგარი.

შენი მეგობრებიც იმ საცდელ კამერებში წაიყვანეს წყლან. მე განზრახ ჩამოგტოვეთ თქვენ აქ. ბევრს ვფიქრობ, ეგებ შეგარჩინოთ სიცოცხლე".

გოდერძიმ მღელვარება დაიოკა. ნება სთხოვა ფრიდას, ისევ მოუკიდა პაპიროსს ცეცხლი და უთხრა:

„გულახდილად მითხარით ოღონდ და ჩემში მოვდება ეს საიდუმლო: რისთვის გაგზავნიან შტრასსბურგში?"

ფრიდამ კარისკენ გაიხედა და სთქვა:

„მე ამას დღეს ვერ გეტყვით, მაგრამ გპირდებით, რამდენიმე დღით გადავადებინო შტრასსბურგის ამბავი... ხვალ ჩემი დღეობაა და მე ვთხოვ ჩემს მამინაცვალს... მთლად დაბეჯითებით ვერ დაგპირდებით, ეგებ შევძლო რამდენიმე დღით გადავადებინო, მერმე თქვენ თავათ იღონეთ რაიმე. ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით.

ყოველ შემთხვევაში მალე გამოგიძახებთ ისევ და მაშინ ვნახოთ".

ისევ გაისმა ტელეფონის წკრიალი. ფრიდა შეკრთა. თავის ადგილას მიირბინა და ტელეფონებს მიუჯდა.

„ჰალლო, გისმენთ". ხმა გასცა ვიღაცას. მერმე მიუგო:

„ყველაფერი მზადაა, ის ხუთი აზიელი მოვაყვანინეთ. მე და ბერტა უკვე შევუდექით მანიპულაციებს". სთქვა და გოდერძის მიუბრუნდა:

„ახლა თქვენ ადექით და კარებთან გაჩერდით. პროფესორი მოდის".

გოდერძი კართან მივიდა და კედელთან აიწურა.

ფრიდამ ისევ აიღო ტელეფონის საყვირი და ჩასძახა:

„საექსპერიმენტო მოიტანეთ". მერმე დასძინა:

„ფრაუ ბერტა, პროფესორი მოდის, ახლავე მოიყვანეთ ის აზიელები".

...კარი ისე გაიღო, როგორც ეს ნერვიულ ადამიანებს სჩვევიათ. ოთახში აჩქარებული ნაბიჯით შემოვიდა ახოვანი, ბრგე, თავგადაპარსული კაცი.

პრიალა პენსნეს გადაღმა აპარპალებდა მწითურ წამწამებს, მან განრისხებული და ზიზღიანი მზერა ესროლა გოდერძის, ფროლაინ შტამლერს უთხრა:

„სად არიან დანარჩენები?"

„ახლავე მოიყვანს ბერტა".

ამის თქმა მოასწრო ფრიდამ და ბერტამ ტყვეები ოთახში შემოიყვანა.

პროფესორი თავის კაბინეტში შევიდა, მცირე ხანს გალურსუ-

ლნი ფეხზე იდგნენ ფრიდა და ბერტა. ბოლოს დაიწკრიალა ზარმა და ორივენი მეორე ოთახში შეუძღვნენ ტყვეებს.

უზარმაზარ კაბინეტში ორი დიდი ფოტოსურათი ეკიდა, ჰიტლერისა და ჰიმლერისა. გრძელსა და ვრცელ საწერ მაგიდაზე ტელეფონების მთელი ლაშქარი იდგა.

კედელზე მსოფლიოს ვრცელი რუკა იყო გაკრული, ჭინძისთავებზე წამოცმული სვასტიკიანი პაწია დროშები გაწკაპულიყვნენ ბერლინიდან ალექსანდრიამდის, აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრებიდან სტალინგრადამდის.

პროფესორი ყურადღებით ათვალიერებდა ახალ ფოსტას, ხსნიდა დალუქულ კონვერტებს, ისევ აწყობდა გახსნილ პაკეტებს ერთიმეორეზე.

ფრიდა და ბერტა სალდათებივით გაჯგიმულნი იდგნენ. ბოლოს პროფესორმა თავი აიღო და სთქვა:

„ფრიდა, ამათი მანიპულაციები ჩატარებულია?“

„ყველასი, გარდა ერთისა“, მიუგო ქალმა და გოდერძის მიაშვირა თითი.

„ის ერთი რად გამოსტოვეთ?“

„როგორც ვახტმაისტერი ვალტერი ამბობს, ეს უნდა იყოს მათი მეთაური, ამიტომაც ცალკე დავკითხე. კავკასიის ფრონტზე ნაბრძოლი ყოფილა“...

პროფესორმა მრისხანე მზერა ესროლა გოდერძის. მერმე გულუხაიძეს მიაშტერდა.

„ფრიდა, ერთი შეეკითხე, ებრაელი ხომ არ არის ეს ტიპი?“

როცა ფრიდამ უთარგმნა გულუხაიძის პასუხი, პროფესორმა ფრიდას და ბერტას ახედა და ჩაილაპარაკა:

„შესაძლოა კავკასიის ებრაელი იყოს და მალავდეს,— ისევ ახედა გულუხაიძეს თავს და დასძინა: — სემიტური თავისქალა არა აქვს. მაინც გამოგვადგება კოლექციის ნაირსახეობისათვის“.

ისევ აიღო დალუქული პაკეტი, გაფხრიწა, ცოტა ხანს იკითხა და უთხრა ფრიდას:

„არ გამოკითხეთ თუ რა ტომია ეს თუში? ან რამდენი მილლიონია ეს ხალხი?“

ფრიდამ მიუგო:

„აგრე ამბობენ, პირაქეთ კავკასიაში ცხოვრობენო, ხუთი ათასი სული ყოფილან მთლად“.

„აჰ, რა საჭიროა ეს მიკრო-ხალხები? ხუთიათასი შპიონი გვყავს ჩვენ ერთ რომელიმე ქალაქში შტრასბურგის ანატომიურ მუზეუმს თუ გამოადგებიან ისინი. ჩვენ გვაქვს ჩვენი ფიურერის პირდაპირი

მითითება და ბარბაროსას პლანიც[1] ამას ითვალისწინებს, საბჭოთა კავშირის ხალხებს ამპუტაცია უნდა გავუკეთოთ. რამდენიმე ოასული ერთეული სავსებით უნდა გავეღლიტოთ.

ის, რაც ახლა ხდება, ჩვენი ბრალი როდია. ბუნებამ გვიკარნახა ჩვენ, ნაციონალ-სოციალისტებს, სასტიკნი და დაუზოგველნი ვიყვეთ, რადგან თავათ ბუნებაა სასტიკი.

მაღალი ხეები დაბლებს ჩრდილავენ, დიდი თევზები ლიფსიტებით იკვებებიან, ლომები და ვეფხვები გასწყდებოდნენ, ტურები და მელიები რომ შეცოდებოდათ.

განა ჩვენს ფიურერს არ უყვარს საკუთარი ნაცია, ამდენ სისხლს რომ ანთხევინებს მას? განა მე არ მიყვარდა ჩემი ერთადერთი ვაჟი, უყოყმანოდ რომ გავგზავნე ომის ქარცეცხლში?"

ბრდღვინავდა პროფესორი შტამლერი.

ორმა ტელეფონმა ერთად დაიწკრიალა. ორივეს ერთი და იგივე უპასუხა: ოც წუთში დამირეკეთო. და განაგრძო:

„აქამდის მთელი მსოფლიოს დიპლომატები თვალთმაქცურად სცრუობდნენ: ჩვენ სუსტებს ვიცავთო ძლიერებისგან: ჩვენმა ფიურერმა თვალი აგვიხილა და ახლა თამამად ვაცხადებთ მთელს მსოფლიოში: უკვე დრო დადგა ისეთი, როცა ძლიერები უნდა დავიცვათ სუსტებისაგან, რადგან სუსტები არ ესაჭიროება ბუნებას".

ისევ დაიწკრიალა ტელეფონმა, ისევ გაიმეორა პროფესორმა: ოც წუთში დამირეკეთო, მერმე ბერტას მიუბრუნდა და უთხრა:

„ფრაუ ბერტა, დაურეკე ვახტმაისტერს ვალტერს, ახლავე აქ მოვიდეს".

როცა ბერტა კაბინეტიდან გავიდა, პროფესორმა ფრიდას მიმართა საკმაოდ განრისხებული ტონით:

„ფროლაინ ფრიდა, იცოდეთ, ზუსტად უთარგმნეთ ჩემი ნათქვამი ამ ტყვეებს. ჯერ კიდევ ამ ერთი კვირის წინად უნდა გაგვეგზავნეთ-თქო შტრასსბურგში, თქვენ კი არა, თქვენი თავისქალები და სკელეტები. საერთოდ ზოგიერთი ხალხები მხოლოდ ანტროპოლოგიურ ექსპონატებად თუ გამოდგებიან-თქო ანატომიურ მუზეუმებში.

დიახ, ერთი კვირის წინად უნდა გადაგვეგზავნა, მაგრამ მე შეეაჩერე ეს საქმე"...

ესა სთქვა პროფესორმა და ვახტმაისტერი შემოიყვანა ბერტამ.

ვალტერი გამოეჯგიმა პროფესორს:

„რას გვიბრძანებთ, ჰერრ შტაბსფიურერ?"

---

[1] გულისხმობდა საბჭოთა კავშირის ხალხების აყრას და გაჟლიტას.

პროფესორმა გამოაღო თავისი საწერი მაგიდის გრძელი უჯრა, ამულეტი გამოიღო და წინ დაიდო, მერმე ვახტმაისტერს მიმართა:

„ამ ხუთეულში რომელ ერთს უპოვნე ეს ამულეტი?"

ვახტმაისტერმა მხარზე ხელი მოუცაცუნა [illegible] და ეუბნება პროფესორს:

„ამ ჩიაკაცს, ჰერრ შტაბსფიუერერ".

ახლა ფრიდას ეუბნება პროფესორი:

„ფროლაინ ფრიდა, გადაუთარგმნე ამ ჩიაკაცს, როგორც ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენება, ისე გვითხრას სად და როდის ამოართვა მან ეს ამულეტი ჩემს ვაჟს, რუდოლფს, თორემ იცოდეს, დღესვე გადააცლიან თავს".

გულუხაიძე გაფითრდა და მიუგო:

„შარშან ჩვენი ბატალიონი ებრძოდა ას მეხუთე სატანკო დივიზიას ყუბანში, რუდოლფ შტამლერი და მისი სერჟანტები ჩვენს ზურგში გადასხეს სადივერსიო საქმეებისათვის. მერმე ის იყო ენჯუკის ხეობაში აღმოჩნდნენ ისინი, ბრძოლის დროს დავჭერით და დავატყვევეთ.

ჩვენ დავალება გვქონდა: ცოცხალი წამოგვეყვანა შტაბში, მაგრამ დიდხანს გვებრძოდა და მე იძულებული გავხდი თეძოსთავზე დამეჭრა.

ეს ამულეტი თავათ მოიხსნა ყელიდან და გადააგდო, მე იგი არაფრად მესაჭიროებოდა, როგორც ლამაზად გაკეთებული ნივთი, ჯიბეში ჩამრჩა".

„ჰმ! — გესლიანად გაიცინა პროფესორმა, — როგორ დაგიჯეროთ, რომ ჩემი ვაჟი თავათ გადააგდებდა ამ ამულეტს? შენ ხომ ზუსტად მითარგმნე მისი ნათქვამი, ფრიდა?"

„მე გადაგითარგმნით სიტყვა-სიტყვით", — ეუბნება წიკლაური პროფესორს. და როცა ყოველივე დაწვრილებით უამბეს მას, პროფესორი შტამლერი ჯერ გაწითლდა, მერმე გაფითრდა და წაილუღლუღა:

„მაშ თქვენ არ მოგიკლავთ, მხოლოდ დასჭერით იგი, არა?"

წიკლაურმა განუმეორა:

„ჩვენ ნაბრძანები გვქონდა ცოცხალი ჩაგვეგდო იგი ხელში, გარდა ამისა, თქვენი ვაჟი უკვე დაჭრილი იყო წინა დღეებში ჩვენს ამხანაგებთან ნაბრძოლი.

ამ ამხანაგმა უკანასკნელი პერანგი გაიძრო, ნაკუწებად აქცია და ჭრილობები შეუხვია დაჭრილს". სთქვა წიკლაურმა და თითი მიაშვირა გოდერძის.

პროფესორმა გაოცებული მზერა შეავლო ამ უკანასკნელს და წიკლაურმა განაგრძო:

„ბოლოს შეგიძლიათ შეამოწმოთ: საბჭოური არმიის სტატუტით აკრძალულია დაჭრილისათვის ტყვიის მონაცვლება.

„აბა მე თქვენ გეტყვით, დღესვე ელვას გავუგზავნი გერმანიის სტოკჰოლმელ ელჩს, შეამოწმოს თქვენი ნათქვამი საერთაშორისო წითელი ჯვრის მეშვეობით. თუ ჩემი ვაჟი ცოცხალი აღმოჩნდა მართლაც, თქვენ ყველას სიცოცხლეს გაჩუქებთ, იცოდეთ, თუ არა და ხომ იცით რა მოგელით?“...

სთქვა პროფესორმა და კიდევ დახედა ამულეტს. თანადამსწრეებმა თვალი მოჰკრეს, ცრემლმა გაიელვა მის თვალის თეთრონებში.

მან დაახველა, წამოდგა, მსოფლიო რუკასთან მივიდა და სთქვა:

„აბა სად არის აქ ენჯუკის ხეობა?“

წიკლაურმა დიდხანს აფათურა თითი ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე და ბოლოს უჩვენა მას ენჯუკის ხეობა რუკაზე.

ფრიდამ ველარ შესძლო დგომა, საწერ მაგიდას მიუჯდა, ორივე მკლავზე თავი დასდო და ატირდა...

„გაიყვანეთ ტყვეები და ჩემს განკარგულებას უცადეთ, მანამდის ხელი არ ახლოთ ამ თუშებს“, უბრძანა პროფესორმა შტამლერმა ვახტმაისტერს.

უკვე ღამის თორმეტი საათი იყო, როცა ქართველი ტყვეები ლაგერში დააბრუნა ვალტერმა.

ამორძალი

რუდოლფ შტამლერი ისე მძიმედ იყო დაჭრილი, არც გოდერძისა და არც წიკლაურს იმედი არ ჰქონდათ, ცოცხალი თუ გადარჩებოდა იგი. ისიც კარგად იცოდნენ, ასეთ შემთხვევაში შურს იძიებდა გიჟების ბოროტი.

ერთი კვირა გავიდა საშინელი განკითხვის მოლოდინში. როგორც კი ვახტმაისტერი ვალტერი მოვიდოდა და ბურჟინსკის გამოიძახებდა, ტყვეები უკვე მზად იყვნენ სიკვდილთან პირისპირ წარსადგომად.

ბურჟინსკიმ და სოლომონ გულუხაიძემ ათასგვარი გეგმა დასახეს: ფეხსადგილების გადაღმა ხვრელი გაეკეთებინათ, ორი ესესელი მოეხრჩოთ და აგურის ქარხნისკენ გაქცეულიყვნენ.

აგურის ქარხანაში სამუშაოდ დაჰყავდათ ხირჩლა ოჩიაური და

სოლომონ გულუხაიძე, ისინი ამტკიცებდნენ: ამ ქარხნამდის თუ სული მოვიტანეთ, ეს ნამდვილი ციხე-სიმაგრეაო.

ერთ დღეს ვახტმაისტერმა ვალტერმა ხირჩლა ოჩიაურსა და სოლომონ გულუხაიძეს დაავალა ლაგერის ეზოდან რკინეულის, ბუნუქის და თუჯის ნამუსრევების ხრამში გადაყრა, ეზოს დასუფთავებაც მათ დაავალეს სასწრაფოდ, რადგან ჰიმლერის კომისსიას მოელოდნენ.

ხირჩლამ და სოლომონმა იმ დღეს იპოვნეს დანა, მთელი წყრთის სიგრძისა, და გახარებულებმა მოიტანეს კამერაში. ბურჟინსკიმ სლიპი ქვა გამოჩხრიკა სადღაც, ასე რომ როგორც კი დანარჩენები ძილს მიეცემოდნენ, ბურჟინსკი და ხირჩლა ჩუმად ლესავდნენ ამ დანას. თანაც უქადოდნენ მას ჰიტლერს, ჰიმლერს, ჰესს, ჰერინგსა და პროფესორ შტამლერს.

წიკლაურს ეცინებოდა, ავტომატებით აღჭურვილ ესესელებს ამ დანით რომ ემუქრებოდნენ ბიჭები.

სოლომონ გულუხაიძე ხუმრობდა:

„ჩვენი საქმე ახლა კარგადაა. ერთადერთი დანა გვაქვს და არც ერთი ავტომატი“.

ხირჩლა ოჩიაური იქადოდა: ამ დანით ერთ ავტომატიანს როცა ყელს გამოვღადრავ, დანაც გვექნებაო და ავტომატიცა.

უკვე ძილმა მოიცვა ლაგერი. ბურჟინსკი და ხუთი ქართველი ტყვე პირქვედამხობილნი იწვნენ ნარებზე.

უხუცესი რაბინი ღიღინებდა:

„აღმოფხვრა კბილნი ჩემნი ქვითა, და მაჭამა მე ნაცარი და განაყენა მშვიდობისაკენ სული ჩემი“.

თერთმეტი შავოსანის ნაღვლიანი ზუნი ბანს აძლევდნენ მას...

•

ერთ დღეს კამერაში შემოვიდა ვალტერი და იყვირა:

„ბურჟინსკი!“

აცახცახებული გამოეჯგიმა ვახტმაისტერს ბურჟინსკი.

„მოიტათ სასწრაფოდ ის მაღალი თუში, მე იმისი გვარი არ დამამახსოვრდა“.

„რომელი? ოჩიაური, ჰერრ ვახტმაისტერ?“ ჰკითხა და ხირჩლაზე მიაშვირა ბურჟინსკიმ თითი.

„არა, ის ლამაზი, კულულებიანი თუში“.

გოდერძი წამოდგა. ხმის ამოუღებლად გაჰყვა ვალტერს. ტყვე-

ები დადუმდნენ. ისინი შესჩერებოდნენ გაფითრებულ ბურჟუაზიის, არც ეს უკანასკნელი იღებდა ხმას...

ვალტერი თვალყურს ადევნებდა გოდერძის. იგი დაღვრემილი და გაფითრებული იყო, მაგრამ ამაყად ეჭირა თავი, არც კვნესა, თუნდაც მუნჯურად ეკითხა ვახტმაისტერისათვის: სად მიგყავარო?

ბიბლიოთეკა

მდუმარედ ჩაჯდა უფანჯრო შავ მანქანაში, რომელსაც „ყორანს" უწოდებდნენ ხუმრობით ტყვეები.

დიდხანს იარა „ყორანმა" მიხვეულ-მოხვეულ შუკებში და ბოლოს მაღალი, შავი ჭიშკარი გააღო ჭაღარა ჟანდარმმა. მანქანა მიადგა პატარა სასახლეს, რომელსაც გოტური წოწოლა კოშკი ჰქონდა და მწვანედ შეღებილი კარ-ფანჯრები.

ყურებდაცქვეტილი გერმანული ცხვრისძაღლები გამოხტნენ და ახლადმოსულებს ყეფა აუტეხეს.

აივანზე გამოვიდა ფარჩის ხალათიანი ქერა ქალი, ძაღლებს დაუტატანა და ვახტმაისტერს უბრძანა შემოეყვანა ტყვე.

თავათ არც კი შეხედა ამ უკანასკნელს, ისე შევიდა დარბაზში.

როცა ვალტერმა უზარმაზარ ზალაში შეიყვანა გოდერძი, შიგ არავინ იყო. ხელახლა გამოჩნდა ფრიდა შტამლერი და უთხრა ვახტმაისტერს:

„პროფესორმა შტამლერმა გიბრძანათ მანქანა და ჟანდარმები ბაყარაულოში დასტოვოთ, როცა გამოკითხვას დავასრულებთ, დაგირეკავთ".

ვალტერი კვლავ გაიჯგიმა, მხედრული სალამი მისცა ფრიდა შტამლერს და ჟანდარმებიანად გავიდა ეზოში.

სამიოდე ოთახზე გაატარა ფრიდამ გოდერძი და მეოთხეში საკარძელზე დასვა. დაბალი სუფრა წინ დაუდგა. გამოუტანა კონიაკი, ღვინო, შოკოლადები და კეპსტენის პაპიროსები.

გვერდით მიუჯდა საკმაოდ მჭიდროდ. კულულებზე ხელი გადაუსვა, კონიაკი შესთავაზა და უთხრა რუსულად:

„მე ვხედავ, თქვენ კეთილშობილი ადამიანი უნდა იყვეთ. თუ რაიმე წმიდათაწმიდა გიწამებიათ ამქვეყნად, გულახდილად მითხარით, ჩემი ძმა ხომ არ შემოგკვდომიათ შეტაკების დროს, ჰა?"

გოდერძიმ მიუგო:

„გეფიცებით ყველაფერს, რაც კი მიყვარს, ის რაც ჩვენ ვუჩვენეთ მამათქვენს, ყოველივე სწორიბ. დარწმუნებული იყავით, უიარაღო კაცს, ისიც დაჭრილს, ჩვენ, თუშები, ტყვიას არ ვესვრით".

ფრიდამ ისევ გადაუსვა ხელი კულულებზე ვაეს და უთხრა:

„ის კაცი ჩემი მამინაცვალია მხოლოდ. დედაჩემი ბარონ მანტოიფელის ქვრივი იყო, მე ათი წლის ვიყავი, როცა იგი პროფესორ შტამლერზე გათხოვდა. ამ საზიზღარმა კაცმა თავის გვარზე მომნათლა და გამაუბედურა.

რა საჭიროა სიცრუე, მე არსებითად მისი ცოლი ვარ ამქამად, რადგან დიდი ხანია საშვილოსნოს კიბო სჭირს დედაჩემს. ჩემი ხახევარი ძმის რუდოლფის დაღუპვის შემდეგ დედაჩემი ლოგინად ჩავარდა, ჩემმა მამინაცვალმა მამაკაცობა დაჰკარგა. ამის გამო მთლად გაცოფდა, ყველა მამაკაცის მიმართ იჭვიანობს, სიცოცხლეს მიწამლავს“...

გოდერძიმ მხოლოდ ახლა შენიშნა: მთვრალი იყო ფრიდა შტამლერი. ქალმა ბოთლს საცობი მოხსნა. გოდერძის დაუსხა, დალიეო, სთხოვა.

ვაჟმა მოკრძალებულად მოსვა შამპანური.

ქალმა ისტერიული ხმით გაუმეორა:

„დალიე! ჩვენ ყველანი ისე უბედური ვართ, ყოველდღე უნდა დავთვრეთ. ადამიანები გამხეცდნენ, ყველანი წავიბილწეთ, უნდა დავთვრეთ, რომ არ გავგიჟდეთ“.

გოდერძიმ კედლის საათს მიხედა. იქიდან გამოძვრა მეტალიური გუგული და დაიძახა: „გუგუ“...

ვაჟს ესიამოვნა ეს პატარა ამბავი, კიდევ შეხედა კედლის საათს და ეუბნება ქალს:

„მე მეშინია, თქვენმა მამინაცვალმა არ მოგვისწროს“.

ფრიდამ გაიცინა.

„მე მოვატყუე ის იდიოტი ვახტმაისტერი... ჩემი მამინაცვალი ჰიმლერმა გაიძახა ბერლინში. შესაძლოა ამ საღამოს მობრუნდეს. ნუ გეშინია, აქ სავსებით მარტონი ვართ მე და შენ. მოსამსახურეები კინოში გავგზავნე განგებ“.

„ხომ გითხარით ერთხელ, მე არავის მეშინია-მეთქი, თქვენ მებრალებით მხოლოდ“.

ფრიდა ადგა, კულულებზე ხელი გადაუსვა გოდერძის და შუბლზე აკოცა. მერმე სუფრიდან აიღო ბროლის მაღალფეხიანი ბოკალი, ტუჩებთან მიუტანა და უთხრა:

„დავლიოთ, რათა დაგვავიწყდეს, რომ შენ სასიკვდილოდ განწირული ტყვე ხარ, მე არანაკლებ უბედური ქალი, რომელსაც ბავშვობაშივე ნამუსი ახადა მამინაცვალმა და ახლაც ჩემს სისხლსა სვამს ეს სვავი დღედალამ“.

ფრიდა ადგა. ეტაჟერიდან გადმოიღო საფიანით დაკანული პატარა წიგნი, გოდერძის მიუტანა და უთხრა:

„წიგნის კითხვა თუ გიყვარს?“

რატომ მკითხავ?

„რა ვიცი, თანამედროვე ადამიანები ისე გამოაყეყეჩა კინომ, წიგნის კითხვას დახუთულ კინოებში ჯდომას არჩევენ. ბევრ-ბევრ წიგნს კითხავ ერთი არაბი პოეტის პატარა ლექსს:

ბიბლიოთეკა

ღვინო ბრძენთა მეგობარია,— ლოთების მტერი.
ზომიერად მირთმეული — წამალია, ეხოდოდ შესმული — შხამი
ღვინო ასაზრდოებს სულსა და ხორცს.
მისი ფერი უფრო საამოა, ვიდრე ვარდისა.
ღვინო ხანდახან უფრო მწარეა და სასარგებლო,
ვიდრე ბრძენის მიერ მოწოდებული შეგონება...
შევსვათ ნელ-ნელა სურნელოვანი ღვინო, .
მთვრალი ვეახლოთ ღმერთს...

მე ცუდად გადაგითარგმნე, თორემ ამ წიგნში უკეთ სწერია“. დასძინა ფრიდამ.

გოდერძის მოეწონა ეს ლექსი, მაგრამ არაფერი სთქვა. ახლა წითელი ტოკაური ღვინო გამოუტანა ფრიდამ, თავათ დალია. დაუსხა და უკვე შენობით უთხრა:

„იცი, რად დაგიბარე?“

არაო, მიუგო ვაჟმა.

„შესაძლოა შენ ეს ყოველივე ქალურ სისულელედ ჩასთვალო, მაგრამ მე მინდოდა მეკითხა: სიკვდილს რომ გადაგარჩინო, ჩემი საყვარელი ხომ გახდები, თუ გინდა ქმარი?“...

გოდერძიმ გაოცებულმა შეხედა ღვინისაგან ლოყებშეფაკლულ ქალს, გაუღიმა, არაფერი უთხრა.

ხოლო ფრიდამ განაგრძო:

„ეს ვილლა პროფესორ შტამლერს ეკუთვნის ამჟამად, მაგრამ მას გულის მანკი სჭირს და სადაცაა ჩაძაღლდება, ორას სამოცი აქვს წნევა.

მე და დედაჩემს დაგვრჩება განა მარტო ეს ვილლა, — ერთი მილლიონი ოქროს მარკაც რაიხსბანკში, ორი სახლი ბერლინში.

მე გამოვისყიდი შენს სიცოცხლეს როგორმე. ლაგერის კომენდანტი დიდი მექრთამეა, მასზე უფრო წუწკია ვახტმაისტერი ვალტერი. შენს თანამემამულეებს, ორას ებრაელსა და თქვენს მამასახლისს, ბურჟინსკის, ალბათ ამ დღეებში წვრილი ყალიბის ტყვიით დახვრეტენ, ტყავსა და ხორცს გააცლიან და მათ სკელეტებს შტრასსბურგის ანატომიურ მუზეუმს გადაუგზავნიან“.

„რატომ წვრილი ტყვიით?“ იკითხა შეცფუნებულმა გოდერძიმ.

„სკელეტები რომ არ გააფუჭონ. ლაგერის უფროსი სულ არაა საჭირო, მე მაგ გაწუწკებულ ვახტმაისტერს სამას მარკას ვაჩუქებ და შენს მაგივრად რომელიმე ფრანგს გააძრობენ ტყავს.

შენ გიკვირს ყოველივე ეს, არა? აქამდის თუ მამაკაცები თავად ირჩევდნენ საყვარლებსა და საცოლეებს, ამიერიდან ქალებსაც უნდა მოგვცეს ასეთივე უფლება“...

გოდერძი მცირე ხანს სდუმდა და იატაკს დასჩერებოდა, მერმე მიუგო:

„აბა მე გეტყვი გულახდილად, ფრიდა, ბედნიერებაა, როცა ვინმეს ძლიერ უყვარხარ, ისიც შენისთანა ლამაზს, მაგრამ მე ასეთ რამეს ვერ ჩავიდენ, ვერც ამხანაგებს დავთმობ, ვერც სამშობლოს და ვერც ჩემს ოჯახს: რაც მომივა, ეგ არის“...

ფრიდამ ორივე ხელით თავი გადაუწია ვაუს, სამგზის აკოცა ტუჩებში, მერმე თვალებში ჩააშტერდა და უთხრა:

„ნუთუ მართლა გლეხი ხარ შენ, ასეთი კეთილშობილი?“

გლეხი ვარო, ხელახლა დაუმოწმა გოდერძიმ.

ფრიდამ წელზე ხელი მოხვია გოდერძის, სააბაზანო ოთახში გაიყვანა და ეუბნება:

„მე ექიმი ვარ. მამაკაცები არ ერიდებიან ჩემთან გაშიშვლებას. ტანთ გაიხადე და იბანავე“.

როცა გოდერძი ბანაობას მორჩა, ფრიდამ ფოსტლები, პიჯამა და კელნის წყალი მოუტანა. პიჯამა ჩააცვა, ოდეკოლონი თავზე გადაასხა, ისევ გავიდა თავის ბუდუარში, ახლა კოტის ფირმის სუნამო მოუტანა, ისიც აპკურა. ხელახლა მიიყვანა პატარა მაგიდასთან, დასვა. ახლა რაინული ღვინო დაუსხა.

დალიეო, უთხრა. მერმე ორივე ხელი შემოხვია და შეზლონგისაკენ წაიყვანა...

როცა ვნებები დაცხრნენ, ფრიდა ეუბნება ვაუს:

„აბა მე ერთ რამეს გეტყვი, ძვირფასო, ჩემს მამინაცვალს პასუხი მოუვიდა გერმანიის სტოკჰოლმელი ელჩისაგან: საერთაშორისო წითელი ჯვრის ცნობით, ჩემი ნახევარი ძმა რუდოლფ შტამლერი მოურჩენიათ მოსკოვის ერთ ლაზარეთში. ორი თვის წინად. იგი ლაზარეთიდან უნდა გამოეწერათ, მაგრამ წინა ღამით თავი ჩამოუხრჩვია პირსახოცით.

სანიტარ ქალს მისი წერილიც უპოვნია მეორე დღეს: ჩემს დაღუპვას ნურავის დააბრალებთ, მსოფლმხედველობის კატასტროფა ვერ გადავიტანეო.

ამ ამბის შემდეგ ჩემი მამინაცვალი მთლად გაცოფდა. თავის

შეპირების მიუხედავად ბრძანება გასცა: თქვენ ხუთივენი ჯერ სათანადოდ უნდა დაგამუშავონ ჩვენს კლინიკაში და მერმე"...

ფრიდას თვალები აუწყალდა. ბოლოს დასძინა:

„ჩემი დაბადების დღეს შეეეედრე პროფესორს: ეტრასსბურგში გასაგზავნთა სიიდან ამოეღო შენი სახელი და გვარი. „ესლანად ფაიღიმა და მითხრა: „შენ როგორც სჩანს გინდა ჩვენი დროის სალომე გახდე, მე კარგად ვიცი „ირიოდს" რომ მიწოდებენ ტყვეები, ეს სასახელოა ჩემთვის, როცა მტრები მლანძღავენ; თუ გინდა თავს მოვაკვეთინებ იმ თუშისათვის და ლანგარზე დადებულს მოგიძღვნი, ისევე, როგორც ირიოდმა, გალილეას ტეტრარხმა მიართვა იოანეს თავი თავის გარყვნილ გერს. ჰა?" [1]. მერმე ის იყო ამ ღამეს თმებით დამითრია და მცემა...

საერთოდ გადაწყვეტილია, თებერვლის დამლევს გიპირებენ ეტრასსბურგს გაგზავნას, მანამდის თავს უნდა უშველოთ, როგორმე".

გოდერძი სდუმდა, ხოლო ფრიდამ დასძინა:

„მე ყურმოკვრით ვიცი, ამ მოკლე ხანში საჰაერო განგაში იქნება თქვენს ლაგერში. ისარგებლეთ ამ აურზაურით, ერთ ორ ესესელს იარაღი აყარეთ, ეკლის მავთულები დაელექტროებულია, იცოდეთ, შეგიძლიათ საბნები ზედ გადააფინოთ და თავს უშველოთ როგორმე.

მე შევეცდები ზუსტად გავიგო თუ რომელ დღეს იქნება განგაში, ჩემი ექთანი, პოლონელი ქალი ნიოლა ხშირად დადის ლაგერში სანიტრებთან ერთად ავადმყოფების ლაგერიდან გამოსაყვანად.

ეს ქალი სანდოა, მისი პირით შემოგითვლით რაც საჭიროა. შესაძლოა ერთი კომპასიც გამოგიგზავნოთ".

ტელეფონის წკრიალმა გასთიშა შეზლონგზე მონებივრენი.

ფრიდამ პენუარი წამოისხა შიშველ ტანზე... გოდერძიმ თავისი დაკონკილი ძველმანები ჩაიცვა ისევ.

ფრიდამ ტელეფონით ლაპარაკი რა მოათავა, ჟანდარმები გამოიძახა.

. პროფესორი ხუთ წუთში მოვაო, ათრთოლებულმა უთხრა გოდერძის.

---

[1] იგულისხმება ბიბლიური ლეგენდა: ირიოდმა, გალილეას ტეტრარხმა, რა გაიგო ქრისტეს დაბადება, გააჟლეტინა ძუძუთა ბავშვები ჰურიასტანში. როცა იოანე ნათლისმცემელი ჰურიასტანს ჩავიდა, მან შეიპყრო იგი.

ტყვე იოანე შეუყვარდა ირიოდის გერს — სალომეს, რომელმაც თავისი დაბადების დღეს სთხოვა მამინაცვალს იოანეს თავი. ირიოდის ბრძანებისამებრ, იოანეს თავი წარკვეთეს და ლანგარზე დადებული მიართვა იგი ირიოდმა თავის გერს.

დერეფანში გასელამდის სამგზის აკოცა ტუჩებზე და ტალანში შემოსულ ვალტერსა და ჟანდარმებს გადასცა იგი.

როცა შავი მანქანა, „ყორანი“ პროფესორის ეზოდან გადიოდა, ფრიდა შტამლერი შეზლონგზე პირქვე იწვა და ბალღივით ქვითინებდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გველთან ფილნაუარი

ეს უცნაური ამბავი მოხდა ორშაბათს.

ნუნუ სხვა ბრიგადირებთან ერთად ყვარელს მიდიოდა თათბირზე. პატარა მიქელა მარუასათვის უნდა დაეტოვებინა. მარუა გაოჩნდა, კოოპერატივში მარკიზეტის გამოტანას აპირებენ, უკანასკნელი კაბა შემომაცვდა, ჯერში უნდა ჩავდგეო.

ნუნუ დაჰპირდა: ოღონდ კარგად მოუარე ბავშვს, მე ჩამოგიტანო ყვარლიდან მარკიზეტის საკაბეს.

მარუამ ანგელოზები ჩამოიყვანა ციდან: ოღონდ მარკიზეტის საკაბე ჩამომიტანე და ერთი წუთითაც არ დავტოვებო პატარა მიქელას. მალხაზს ციება სჭირდა, წინა ღამის უძილარს ოცდაცხრამეტი გრადუსი სიცხე ჰქონდა.

ნუნუს უმძიმდა ავადმყოფი ძმის მარტო დატოვება, მაგრამ კოლექტივის თავმჯდომარე თედო თარალაშვილი სთხოვდა: აუცილებლად წასულიყო თათბირზე.

იმ დილით ქეთუა და მისი ქმარი ტფილისს აპირებდნენ წასვლას, ისინი უთენია გავიდნენ შინიდან ქალაქს მიმავალი ავტობუსის საძებნელად. ნუნუ ჭიშკრიდან გამობრუნდა, ხელახლა სთხოვა მარუას:

ავადმყოფი მალხაზის ამარა არ დაეტოვებინა მიქელა, არც თავისას წაეყვანა იგი, რადგან მარუას ღორები ჰყავდა ეზოში.

მოხდა ისე, რომ თელავში დანიშნული თათბირი გადაიდო, რადგან ქალებისა და მოხუცების ამარა დარჩენილი კოლექტივები ვერ შეელიენ ბრიგადირებს. ნუნუ ორიოდე საათის შემდეგ შინ მიბრუნდა იმავე ავტობუსით, რომლითაც წავიდა.

გულისთრთოლვით შევიდა მამისეულ ეზოში. ძაღლი კარისალაგთან იწვა. სახლიდან ჩქამიც არ ისმოდა. აგრე ივარაუდა ნუნუმ: პატარა მიქელა დაუძინებიაო მარუას.

დახედა ბავშვის საწოლს შრამელში, ცარიელი დაუხვდა საწოლი.

ოთახში შეიხედა, არც ბავშვი სჩანდა სადმე და აღარც მარუა.

თავი დაიმშვიდა ნუნუმ: ალბათ თავის სახლში წაუყვანიაო ბავშვი მარუას.

მალხაზს შეეკითხებიო, გაიფიქრა, ვაგლახად მოკუნტული ავადმყოფი იწვა და ხვრინავდა. დიდხანს იდგა ნუნუ მალხაზის სასაფეთქლამალთან, შეეცოდა წინალამის უძილარი და არ გააღვიძა. ნაზად მოუცაცუნა თავის ძმას ლოყაზე ხელი, მალხაზმა დაიკვნესა და გვერდი იცვალა.

ახლა გადასწყვიტა ნუნუმ: მარუასას გაქცეულიყო.

სულმოუთქმელად აყვა დამრეცილ ბილიკს. ჭიშკართან მისულიც არ იყო, გამოვარდა ბომბორა ცხვრის ძაღლი და ყეფა აუტეხა სტუმარს. ეზოში ადამიანის ჭაჭანება არ იყო, მხოლოდ ღორები დაჯირითობდნენ ბოსტანში. შეკრთა ამ ცხოველების დანახვაზე ნუნუ.

„მარუა!“

დაიძახა სტუმარმა.

უარესად გახელდა ძაღლი, იგი ღობეს აწყდებოდა. უფროდაუფრო ავდებოდა მყეფარი, ნუნუს ბრაზი წაეკიდა გულზე: სად წავიდაო ეს გასაქრობი მარუა?

„კოლმეურნეობაში მუშაობას რა მოსთხოვენ, ღვიძლის ტკივილი, თავბრუსხმა, გულის მანკი, სწორი ნაწლავის ანთება, ეშმაკი და დოზანა მზადა აქვს ჩამოსათვლელად, ისე კი ერთ ადგილას ვერ ჩერდება, ფოსტის ცხენივით დაჩაქჩაქებს სოფელ-სოფელ“, ფიქრობდა ნუნუ.

ახალი იმედი გაუჩნდა სასოწარკვეთილს:

გორაკს გადაღმა სცხოვრობდა მეგობარი მარუასი, მასავით უქნარა და მესოფლია დედაკაცი — პელო. ალბათ იმ პელოსას წავიდა და თან წაიყვანაო მიქელა.

სვენებ-სვენებით მიჰყვა დაქანცული ნუნუ ალმართს. გაიხედა:

მარუა და პელო გორაკიდან ჩამოდიოდნენ, სადღა იყო ბავშვი? რაღაც ტოპრაკი ეჭირა მარუას ხელში და არხეინად მოსაუბრობდნენ.

ნუნუს თვალთ დაუბნელდა, ლამის იყო არ წაიქცა ფლატეს პირად მიმავალ ბილიკზე. თავბრუ დაესხა და ჩაიკეცა.

როცა ქალები თავზე წამოადგნენ, ნუნუმ ამაოდ სცადა წამოდგომა, საწყალობელი ხმით შეესიტყვა:

„მიქელა რა უყავი, მარუა?“

„რას ვუზამდი, ქა, მალხაზს დავუტოვე ბავშვი“.

ნუნუს ცეცხლი შემოეგზნო გულზე, საფეთქლებზე ჭირის ოფლი დაასხა. კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა და ხორხის არეში გაეხი-

რა სათქმელი. როცა პელომ წამოაყენა ნუნუ, მან ეს უთხრა მარუას:

„მე ხომ გთხოვე განმეორებით, მარუა, არავის ანდო-მეთქი ბავშვი?“

„აბა რა, რა მექნა ქა? მარკიზეტს აძლევდნენ ჩვენს კოოპერატივში. მე და პელო გავიქეცით, ფული ვისესხეთ, მაგრამ არ მოგვიწია: ათ-ათი კილო მარილი ვიყიდეთ, ხომ იცი, როცა ღორის დაშაშხვის დრო მოდგება, მარილი აღარ იქნება კოოპერატივში“.

„მე დაგპირდი და ჩამოგიტანე კიდევაც მარკიზეტის საკაბე, ეს რა მიქენი, შე გასაქრობო?“

ცრემლმორეული ამბობდა ნუნუ.

„რას ამბობ ქა, ბავშვი სად წავიდოდა? მაშ მარკიზეტის საკაბე ჩამომიტანე, ნუნუ? შენ გაიხარე, გო“. და მოჰყვა მარუა ენის ჭარტალს და მარკიზეტის ქსოვილის ქებას.

ნუნუს მეზობლებს სათითაოდ ჩამოუარეს სამივემ: არავის უნახავს, ვინმეს რომ გამოეყვანა გობრონის ეზოდან ნუნუს ბავშვი.

ნუნუ თავის საწოლზე იწვა და უსასოოდ სტიროდა, ცრემლს ღვრიდა მარუაც, მაგრამ მისი ცრემლები სიხარულისას უფრო წაგავდა, რადგან მარუა ძლიერ აღტაცებული იყო, როგორც იქნა რომ ეღირსა მარკიზეტის საკაბეს...

ნუნუს ბედნიერმა აზრმა გაუელვა თავში: ბაბლია მოაგონდა. იგი ბოლო ხანს ხშირ-ხშირად შემოვიდოდა ხოლმე თავისი ძმისწულის სანახავად.

აგრე ივარაუდა ნუნუმ: ალბათ ბაბლიამ გამოიარა, მიუხედავი ბავშვი ნახა და თან წაიყვანაო.

ამ იმედით გამხნევებული ნუნუ პაპა მიქელას სახლისაკენ გაიქცა.

ჭიშკრამდის მიღწეულს სმენის სიმცდარეც დაემართა: ბავშვის ტირილი შემოესმა. ცას ეწია სიხარულისაგან ნუნუ. ეგებ გული იბრუნაო ბავშვის მიმართ პაპა მიქელამ.

„ბაბლია, ჰაუ ბაბლია!“ დაიძახა ნუნუმ.

ძაღლი მგელა გამოვარდა უსახურავო სახლიდან. ჯერ წამოვიდა ყეფითა და მუქარით ჭიშკრისაკენ, მაგრამ ნუნუს დანახვაზე მოლბა, კუდის ქიცინით შეეგება მას.

გოდერძის საყვარელი ძაღლის დანახვაზე ცრემლებმა იწვიმეს ნუნუს თვალებიდან. მან დაიჩოქა, ორივე ხელები მოხვია თავკისერზე პირუტყვს და ზედ კეფაზე აკოცა.

ამასობაში ბაბლიამაც მოაღწია...

ბაბლია ატირდა, რა შეიცნო დაიკარგაო ბავშვი.

„სად?.. როდის? რას ამბობ, ქალო?“...

კვნესოდა ბაბლია.

როცა ატირებული ნუნუ ჭიშკრიდან გამობრუნდა, ბაბლია უკან გამოუდგა მას და მიაძახა:

„ახლა სად წახვალ, ნუნუ?“

„აბა რა ვიცი სად წავიდე? სიკვდილში, ჩემო ბაბლია“.

ათასგვარი ფიქრები ბუდეაშლილ კელასავით ირეოდნენ გამწარებული დედის გულში.

ჯერ იყო და კანკრეს მისწვდა მისი ფიქრი: ეგებ შური იძია კანკრემ, მანქანით ჩამოიქროლა და გაიტაცაო ბავშვი.

ბოლოს ეჭვიც უმართებულოდ შეიცნო ნუნუმ. მარუას ნათქვამი მოაგონდა: კანკრე ექსპედიტორად დამდგარაო ტფილისში, არხეინად ცხოვრობს, ცოლის შერთვას აპირებსო.

ახლა ქეთუასა და მის ქმარზე შეჩერდა ნუნუს ეჭვი: ეგებ ტფილისს თან წაიყვანეს, რათა ვინმე უშვილოს მიაჩეჩონო ჩემი ბავშვი.

კოლმეურნეობის კანტორასთან არ იყო მისული ნუნუ, თეთრო შემოეგება, ლალბაწას ცოლი. თეთროც ტფილისს მინავალა, მაგრამ ავტობუსში ადგილი ვერ ეშოვნა და უკან ბრუნდებოდა.

ჩემმა დედინაცვალმა და მისმა ქმარმა თუ იშოვნესო ადგილი? შეეკითხა ნუნუ თეთროს.

ისინი ჩემზე ადრე იყვნენ მისულნი, ძლივს შეასწრესო ავტობუსში, სთქვა თეთრომ.

ნუნუმ ვერც კი მოასწრო თავისი დარდის თეთროსათვის გაზიარება, თედო თარალაშვილმა მკლავში ხელი წაავლო ნუნუს, შემოაბრუნა და თათბირის გადადების მიზეზების გამოკითხვას შეუდგა.

თედომ შენიშნა, ნუნუ ლაპარაკსაც ძლივს ახერხებდა, კოლმეურნეობის კანტორაში დაიმარტოხელა და ყოველივე დაწვრილებით გამოჰკითხა.

„ნუ გეშინია,— ეუბნება თედო.— ტირილი როდი გვმართებს, არამედ მოქმედება. კარგია, რომ შეგხვდი. ფერმაში ვაპირებდი წასვლას. ამ წუთში ტელეფონით მელაპარაკებოდა პროკურორი ხიდაშელი. აბრია უჯრარულის საქმეზე აპირებს ისედაც ჩამოსვლას. ყოველ შემთხვევაში ხელახლა გამოვიძახებ, სერჟანტები ჩამოიყვანოს“...

*

პროკურორმა სათითაოდ დაჰკითხა ნუნუს მეზობლები, მაგრამ მათ იგივე გაიმეორეს, რაც ერთი საათის წინ უთხრეს ნუნუს.

გობრონისეული სახლი განკერძოებით იდგა შავსოფელში, ესეც

არ იყოს ლოგინად ჩავარდნილი მოხუცების გარდა ორშაბათ დღეს არავინ ყოფილა შინ, ასე რომ „სავსებით გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა“, როგორც ფიქრობდა თედო თარალაშვილი.

„აბა, ახლა თქვენი ძმა მაჩვენეთ“, ეუბნება პროკურორი ნუნუს.

თუმცა საკმაოდ მაღალი სიცხე ჰქონდა მალხაზს, მაინც იცნო მან ხიდაშელი. თავი წამოსწია, იდაყვი ბალიშზე დააყრდნო და ისე აძლევდა პასუხებს პროკურორს.

ამჯერად უცნაურად აღელდა პროკურორისა და სერჟანტების დანახვაზე. ხიდაშელმა თავდაპირველად თავი ვერ გაართვა სიცხისაგან გაოგნებული მალხაზის ბუტუტს. იგი ჯერ ასე ამბობდა:

ეს მახსოვს, თუ როგორ მომიყვანა მარუამ ბავშვი, ფერხთით ჩამიწვინა და გავიდაო. სხვა აღარაფერი მახსოვსო.

ხიდაშელმა დაუყვავა, ნუ ღელავო, კარგად დაფიქრდი და ისე მიპასუხეო კითხვებზე.

„შენ ხომ გახსოვს, ფანქარი რომ გაჩუქე ერთხელ?“

მახსოვსო, სთქვა მალხაზმა.

„აგერ მაქვს იმაზე უკეთესი ფანქარი. თუ ყველა კითხვაზე კარგად მომიგებ, უთუოდ გაჩუქებ ამ ფანქარს“.

უთხრა ხიდაშელმა და მწვანე ფანქარი შეათამაშა ხელში. მალხაზს თვალები გაუბრწყინდა ფანქრის დანახვაზე და წაეტანა ამ ნივთს.

ხიდაშელმა უთხრა:

„აბა თუ მოიგონებ, ბიჭიკო, რა გითხრა მარუამ, როცა ბავშვი ფერხთით ჩაგიწვინა?“

„კოოპერატივში საკაბე მიუღიათ, გავიქცევი და მალე მოვალო“. მიუგო მალხაზმა.

„კეთილი. სხვა არაფერი უთქვამს?“

არაფერიო, მიუგო მალხაზმა.

„ახლა ეს მითხარი, მალხაზ, ამის შემდეგ ხომ არ მობრუნდა მარუა?“

„ნწუ“, მიუგო ყმაწვილმა.

„შენ რას იტყვი, ბიჭიკო, ბავშვი თუ ატირდა, როცა მარუა წავიდა?“

„ჰო, ძლიერ სტიროდა, როცა მარუა წავიდა“.

„მერმე?“

მერმე გაჩუმდაო.

„ახლა ესა სთქვი, ბიჭიკო, მას შემდეგ, რაც მარუა წავიდა, ხომ არავინ შემოსულა ამ ოთახში უცხო?“

მალხაზმა თავი გააქნია: არავინ შემოსულაო უცხო.

„ეგებ მოიგონო, ამის შემდეგ ხომ არ უტირნია პატარა მიქელას?“

„როგორ არა, მე მეძინა, როცა გავიღვიძე, ბავშვის ტირილი შემომესმა მეორე ოთახიდან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ იცი, რატომ სტიროდა ბავშვი?

არ ვიცი.

„მაშ მარუას წასვლის შემდეგ არავინ შემოსულა, არა?“

ისევ შეეკითხა ხიდაშელი.

„როგორ არა, ვილაცეები დადიოდნენ.., რაღაცას ჩურჩულებდნენ“.

„ვინ იყვნენ, თუ იცი?“

ოთახში ბნელოდა, ვგონებ დედაჩემი და აბრია უნდა ყოფილიყვნენო. კარში გამავალთა ზურგს წავატანეო თვალი.

როცა ხიდაშელი შეეცადა დაედასტურებინა თავისი ნათქვამი მალხაზს, მან იუარა წეღანთქმული. მე სიცხე მქონდა, თვალები მეხუჭებოდა და ვგონებ სიზმარში ვნახეო ქეთუა და აბრია.

ხიდაშელმა არ დაუჯერა მალხაზს წეღან ნათქვამი, შეეკითხა:

„ბავშვი არ მიყავდათ დედაშენსა და აბრიას?“

არ მახსოვს, სთქვა მალხაზმა.

„ტირილი ხომ არ გაგიგონია?“

შეეკითხა ხიდაშელი.

ჰო, სტიროდაო.

„ამ ოთახში სტიროდა თუ იმ პატარა ოთახში?“

„ჯერ აქ სტიროდა და მერმე იქ“.

თედო გაოცებული იყო. მას სარწმუნოდ არ მიაჩნდა დასიცხული მალხაზის საკმაოდ არეული ჩვენება. მით უფრო დაეჭვებული იყო, რომ მას აბრია მთათუშეთში ეგულებოდა, ხოლო ქეთუა და მისი ქმარი თედომ თავათ ნახა ამ დილით: ისინი ტფილისს მიმავალ ავტობუსში სხდებოდნენ.

პროკურორმა შრამელში გაიხმო თედო და ნუნუ, უთხრა:

„აფსუს, ჩვენი მაძებარი ძაღლები სამხედრო უწყებას გადავეცი, თორემ ამ საქმეში უთუოდ გამოვიყენებდით მათ“.

თედომ სთქვა:

„მაძებარი ძაღლი პროფესორ კორინთელსა ჰყავს კარგი, ხომ გახსოვთ, შარშანწინ რომ წავიყვანეთ, მაგრამ იგი ამჟამად მგლოვიარედაა და მე მგონია, უხერხულიც იქნება მისი შეწუხება. თუ თქვენ პირადად სთხოვთ, იგი უარს არ გეტყვით, ოღონდ ესაა, უცხო კაცის ხელმძღვანელობით ძაღლი არ იმუშავებს“.

პროკურორმა სთქვა:

„მე პირადად არც ისე ახლოს ვარ მასთან. რამდენადაც ვიცი, კორინთელი ისეთი კეთილშობილი კაცია, არ შეიძლება მან არ გაიგოს ამ მდგომარეობის ტრაგიზმი“.

თედომ კეფაზე მოიფხანა და მერმე ეს უთხრა ხელმწიფეს:

მაშ კარგი, მე და ნუნუ წავალთ, საქმე დაყოვნებს, თუ თქვენს მანქანას და სერჟანტებს გაგვატანთ, კიდევ უკეთესი“.

*

თედოსა და ნუნუს კიბის თავთან დაუხვდა მაია. აივანზე თმაგაჩეჩილი ძიძა იჯდა და პატარა როსტოს ათამაშებდა ხელში.

მაია შეყოყმანდა: პროფესორი გათენებამდის მუშაობდა, ნაბრძანები მაქვს, გვიანობამდის არ გავაღვიძოო.

თედომ უთხრა:

„პასუხს მე ვაგებ, ჩემო მაია, ისეთი გაჭირვება გვაქვს, მისი გაღვიძება აუცილებელია“.

მაია სულ მალე გამობრუნდა.

მობრძანდით, უთხრა სტუმრებს და სასადილო ოთახში დასვა ისინი.

ნუნუმ ოთახში შესვლის უმალ შენიშნა სუსქიას გადიდებული სურათი, რომელსაც უკვე დამჭკნარი ვარდების გირლანდები ერტყა გარს.

უყურა, უყურა ფოტოსურათს ამ ძვირფასი ადამიანისას, რომელმაც მისი ბავშვის სიცოცხლისათვის გასწირა თავი, მუხლისთავებზე დაყრდნობილ ხელებში თავი ჩარგო და ატირდა.

პროფესორი კორინთელი საწოლი ოთახიდან გამოვიდა. მას დატანჯული, ფერწასული სახე ჰქონდა.

ნუნუს დანახვაზე იგი შეკრთა...

ამ წუთში საოცრად ჰგავდა დაზაფრულ ნუნუ სუსქიას, სიკვდილის სარეცელზე მწოლარეს, კორინთელმა ორგზის შეხედა მას და ბოლოს თედოს მიუბრუნდა:

რა გაგჭირვებიათო, ამხანაგო თედო?

კორინთელი აღაშფოთა ამ საშინელმა ამბავმა, თედოს მიერ მოკლედ მოთხრობილმა.

ბოდიშობდა: მე ცოტა შეუძლოდ ვარ, თორემ წამოვიდოდიო თავათ.

თედომ სერჟანტი იხმო, კორინთელმა ახილი მოაყვანინა მაიას. პროფესორმა თავათ შეაბა საბელი ახილს, ძაღლის მანქანაში ჩასმისას უშველა სერჟანტებს, ძაღლი გაოჩნდა, შეუღრინა სერჟანტებს, მაგრამ ბოლოს მინებდა მათ.

ერთი საათიც არ იყო გასული, ისევ მოვიდა მანქანით თედო და ამცნო პროფესორს: არ დაგვემორჩილაო ახილი, პროფესორს ეცა და შარვლის ტოტი შემოახიაო.

ბიბლიოთეკა

კორინთელმა სანიადაგო ტანისამოსი ჩაიცვა და თან გაჰყვა თედოს.

როცა პროფესორი კორინთელი ნუნუსას მივიდა, ხიდაშელმა უბრძანა სერჟანტებს: აბრიას სახლში „წასულიყვნენ და მისი ფეხსაცმელი ან რომელიმე მის მიერ ამ მოკლე ხანში ნაცვამი ჯღანი მოეტანათ დაუყოვნებლივ.

მაოს, აბრიას ცოლს, გული გადაუტრიალდა, როცა მილიციის სერჟანტები დაინახა მანქანით შემოსულნი ეზოში. მაომ კარგად იცოდა, აბრიას დღე-დღეზე რომ უპირებდნენ დაჭერას. როცა სერჟანტებმა მხოლოდ ჯღანები მოსთხოვეს, ჯერ გაოცდა, მერმე ხელი წამოუსვა მის ძველ ჩექმებს, ფეხსაცმელებსა და ქალამნებს და ყველანი უკლებლივ გამოაგზავნა გახარებულმა.

ხიდაშელმა სათითაოდ აყნოსვინა ახილს ამ ძველმანებისათვის. ბოლოს კორინთელმა ხმამაღლა შესძახა თავის ძაღლს:

„ახილ, შერშ"[1].

ახილი ჯერ ოთახში დატრიალდა, მერმე შრამელში გავარდა. ყველანი თან გაჰყვნენ მას. ახილმა გადაირბინა შავსოფლის დაღვლარჭნილი შარები და ბილიკები, ბერმუხის თემშარაზე გავიდა.

მხარმარჯვნით დასტოვა სანერგე ფარდული, მამუკასეული უბანი, აქედან მელისხევს მიჰყვა, გადაიარა ბეტონის ხიდი, ბერმუხაგველეთის აღმართი აირბინა და ახალ შოსეზე გავიდა.

გვერდით ჩაუარა მამუკასეულ სასახლეს, ქვაკაცს წმ. გიორგის ტაძართან წრე გააკეთა რატომღაც, მერმე ზიგზაგებით მისუნსულობდა, სანამ საექიმო პუნქტს არ გასცდა. ირმის ტბას რა მიეახლა, აქაც წრეს შემოურბინა, შევარდა ლაქაშითა და კატაბარდით დაბურულ ჭაობში და დიდ მუხისაკენ გაემართა გულდაგულ.

დათვებს ძროხა დაეგლიჯათ. ვაგლახად დაძიძგნილი მძორის ნაკუწები ეყარა აქა-იქ. ჯგუფ-ჯგუფად უსხდნენ არწივები დათვების ნასუფრალს. კაცს ეგონებოდა, კავკასიონის მთები დაცლილაო ამ ფრინველებისაგან: აქ იყვნენ თავმოტვლეპილი კრავიჭამიები, რომელნიც თოროსანი რაინდებივით დაჯოჯმანებდნენ, ქვიშისფერი ორბები, კლდისფერი, შავ-შავნი, ჯაჭვისფერნი და სხვანი და სხვანი.

---

[1] ახილ, ეძიე.

ტურები დაშლიგინებდნენ ღიჭიანში, ხანაც შესდგებოდნენ და მოკრძალებული უძუძგურებდნენ ფრინველთა მეფეების ამ უჩვეულო ნადიმს, ძერები და ქორები ირაოს აკეთებდნენ ცაში.

ასე გამოდიოდა: მათ წინასწარ შეეცნოთ ის ამბავი, რომ სუსტებს მოთმენა მართებთ, ვიდრე უძლიერესთ არ მოყიჩქენთ ლრეობა.

ყორნებს წნორები დაეხუნძათ, მათი ყრანტალი ალ'აზანს გადაღმა გაისმოდა. ჩხიკვები და კაჭკაჭები შემცხადებულივით გაჭკიოდნენ, საერთოდ ტყის ბინადარნი საასპარეზოდ გამოეწვია ამ ამბავს.

ახილმა შორიახლოდან ჩაუარა არწივების ზეიმს, დიდ მუხისაკენ აიღო სვლის გეზი. ოფლში გაღვარული კორინთელი, ხიდაშელი და ნუნუ კვალდაკვალ მისდევდნენ ძაღლს. თედო სვენებ-სვენებით მიჰყვებოდა მათ უკან.

კორინთელი უეცრად გახევდა და თავის ბრაუნინგისაკენ წაიღო ხელი. იგი საკუთარ თვალს არ უჯერებდა: აღარც იცოდა კოშმარული სიზმარი იყო ეს თუ ცხადლივ ხედავდა ამ უცნაურ სანახაობას?

მაყვლიანისაკენ მისრიალ'ებდა კაცის სიმაღლეზე ზეაღმართული, უზარმაზარი გიურზა, მას მთელი მტკაველის სიგანეზე დაეფჩინა ხახა; აგრე ეგონა მაცქერალს: იცინისო იგი კიდევაც. მზეს შესციცინებდა ალმასებრ ვასვასა, წვრილი თვალები. უცნაურად ვარვარებდა თეთრად და შავად დაწინწკლული მისი ქერეჭი.

კორინთელმა იგრძნო, ძლიერ ახლოს რომ შეეხეჩა ქვეწარმავალს, ორიოდე ნაბიჯით უკან დაიხია და გულდაგულ ესროლა. მახრჩობელამ განზე გადააგდო თავი, კამეჩის მუხლის სისხო მისი სხეული ჯერ შტორმისაგან აზვავებულ ტალღასავით ავარდა ჰაერში, მერმე მიწაზე მოადინა ზღართანი და დაიგრაგნა.

ხიდაშელმა მოუნაცვლა მას ტყვია, მაგრამ გიურზა კიდევ დიდხანს ებრძოდა სიკვდილს...

რევოლვერის ხმაზე აზრიალდა ტყე, ათას ყრონტს აღმოხდა ყივილი და ყრანტალი... როცა კვლავ მყუდროება გამეფდა, კორინთელმა ტყეში გაიგონა ბავშვის ტირილი. იგი არ დაერიდა ქაცვიან კატაბარდებს, ჭაობში შეიჭრა. მაყვლიანში სტიროდა ჭინჭებში შეფუთვნილი პატარა მიქელა...

*

იმავე კვირას ხუთშაბათს ქეთუა ქალაქიდან ჩამობრუნდა. იგი თავის ტკივილს უჩივოდა, თავშეხვეული დადიოდა და კრუსუნებდა. საღამოს საიდუმლოდ გაანდო მარუას: ჩემი ქმარი გზაში წამეკიდა, ავლაბარში მცემა და ქუჩაზე დამტოვაო.

პროკურორის ხიდაშელ'ის სანქციის თანახმად იმ ღამესვე დაატიმრეს ქეთუა.

მხოლოდ სამი დღის შემდეგ გამოტყდა იგი, ყოველივე დაწვრილებით უამბო ხიდაშელს:

„კობერიძე მოსვენებას არ გვაძლევდა მე და ჩემს ქმარს, ნუნუ უნდოდა ცოლად, თანაც იძახოდა: კვიციანი ქალი არ ჭირდება. ბოლოს გადავწყვიტეთ: თავიდან მოგვეცილებინა ბუში.

აბრია, ჩემი ქმარი და მე მთელი თვე ვთათბირობდით: როგორ მოგვეწყო ეგ საქმე? ბოლოს აბრიამ მოიგონა ძველთაძველი თუშური ჩვეულება და გვითხრა: გველთან ვუყაროთო გოდერძის ბალღს წილი“.

მე თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავიო ბავშვის დაღუპვისა, ამბობდა ქეთუა: ტფილისს უნდა წამეყვანა და იქ მიმეჩეჩებინაო ვინმესთვის, მაგრამ აბრიამ აიჩემა: ირმის ტბის ჭაობში დაგვეგდო ბავშვი, იმ იმედით, რომ გველ'ები დაგესლავდნენ მას.

ქეთუა თავდაპირველად აგრე ამტკიცებდა: უშვერიძეს არ უდევსო ამ საქმეში ბრალი. ბოლოს ველარ გაუძლო ხიდაშელის გამუდმებულ დაკითხვებს, თავის ქმარსაც დაადო ხელი:

„დღე და ღამ მიჩიჩინებდა: ბავშვს მოვაცილებთ თუ არა, წამსვე მითხოვდება კობერიძეს ნუნუ და ჩვენც იოლად შევძლებთო სახლ-კარის გაყიდვას“...

*

დიდხანს ამაოდ ატარა ფოსტალიონმა გეომ პროკურატურის უწყება აბრია უჯირაულის სახლში, ორ თვეს ეძია აბრია მილიციამ მთელს კახეთში, მთათუშეთსაც წარგზავნეს გადაცმული სერჟანტები, მაგრამ ამჯერად. მნახველიც ვერავინ იპოვნეს...

საჰაერო განგაში

...„კონცლაგერის ტყვეებმა ისარგებლეს საჰაერო განგაშით: ესესელებს იარაღი აჰყარეს, დაელექტროებულ ეკლიან მავთულებზე საბნები გადააფარეს და გაიქცნენ...“

ნიურნბერგის პროცესის
სტენოგრამებიდან

ფრიდა შტამლ'ერის სიგნალები მაინცდამაინც სარწმუნოდ არ მიაჩნდა წიკლაურს: ვინ იცის რას ბოდავდაო აღტყინებული, მთვრალი დედაკაცი.

ბურჟინსკიმ სთქვა: ჩვენ შეძლებისამებრ ვემზადოთ, თუ საჰა-

ერო განგაში შესდგა, ხომ კარგი, თუ არა და ჩვენ ჩვენი ვქნათო.

ხირჩლა ოჩიაურს მარტო თავისი დანის იმედი ჰქონდა: ვიდრე საჰაერო განგაში გამოცხადდებოდეს, შეიძლება ჩვენ სიქა გაგვაცალონ, ამიტომაც ნურავის განვაზრახებთ; როცა ფეხსაცმელში [illegible] გვიყვანენ, იქ დაუყოვნებლივ ორ ესესელს საათებს [illegible] ვით გამოვლადრავ ყელს და თავს ვუშველითო მერმე.

გოდერძი და ბურჟინსკი უსაზმნო ავანტიურად სთვლიდნენ ექვსიოდე კაცის მიერ წამოწყებულ აჯანყებას: მოტოციკლებით გამოგვიდგებიან ესესელები და დაგვხოცავენო.

ამიტომაც გადაწყდა: საიდუმლო კავშირი გაებათ რუსებთან, სომხებთან, უკრაინელებთან, ბელორუსებთან და პოლონელებთან.

მხოლოდ ასეთი პირობით: ხუთიოდე სანდო კაცისათვის გაემხილათ ეს საიდუმლო. ამ ხუთეულში ყოველი თავკაცი ათ-ათს განაზრახებდა და როცა ათეულის მეთაური პაროლს წამოიძახებდა, აჯანყება უნდა დაწყებულიყო.

წიკლაურმა წინადადება შემოიტანა: ინგლისელები, ფრანგები, ბელგიელები და ჰოლანდიელებიც განვაზრახოთო, მაგრამ გოდერძიმ და ბურჟინსკიმ შორს დაიჭირეს ეს საქმე:

ჩვენ მაგათ კარგად ვერ ვიცნობთ, არც ენა გვესმის მათი: ვინმემ რომ გაგვცეს, ვადაზე ადრე გაგვაძრობენო ტყავს.

თუ საჰაერო განგაში მართლაც შესდგა და აჯანყებას თავი მოვაბით, ისინი სტიქიურად აგვყვებიანო.

აჯანყების თანამზრახველებად ბურჟინსკიმ დაასახელა უკრაინელი მაიორი კირიჩენკო, ბელორუსი კაპიტანი სმოლიჩი და პოლონელი — ფელიქს ფალკივსკი:

„ამ სამ კაცს ისევე ვენდობი, როგორც ჩემს თავს: პირველი ორი უკრაინისა და ბელორუსიის ფრონტებზე მყავს ბრძოლის ველზე დაცდილი, ხოლო ფალკივსკი ამ ლაგერში გავიცანი, უბრალო ჟურნალისტია, მაგრამ უშიშარი ვაჟკაცი. მას პოლონელების აჯანყება მოუწყვია ამას წინად სლავუტაში, დღე-დღეზე ელის სიკვდილის განაჩენს“.

გოდერძიმ სთქვა:

„ყირიმისა და ყუბანის ფრონტებზე მე დავუძმობილდი ერთ სომეხსა და ერთ ოსს, ოჰანეზ კარაპეტიანს და კოხტა ასაევს, მე ამ ორს ისევე ვენდობი, როგორც ყოველ თქვენგანს.

ორივენი შეუდრეკელი ვაჟკაცებია, ესენი თავიანთი მხრიდან განაზრახებენ თავიანთ თვისტომებს“.

მოვლენები აჯანყებულთა სასარგებლოდ წაეწყვნენ ურთიერთს.

ერთ საღამოს ხანძარი გაჩნდა კონცლაგერში.

ლაგერის კომენდატურამ ეს ამბავი ებრაელებს გადააბრალა, იმ ღამესვე დახვრიტეს თორმეტი რაბინი და ოცდახუთი ებრაელი ვაჭარი.

არსებითად ეს ხანძარი მოხდა იმის გამო, რომ კონცლაგერის ადმინისტრაციამ ვერ შესძლო პაპიროსის წევის აღკვეთა კონცლაგერის კამერებში.

ინგლისელები, ფრანგები, ჰოლანდიელები და ბელგიელები თუთუნს ღეჭავდნენ, ხანაც ბურნუთს იყრიდნენ ცხვირში, ამით იკმაყოფილებდნენ ნიკოტინისადმი მიდრეკილებას.

მახორკა ლაგერს გარეთ მომუშავე ტყვეებს შემოჰქონდათ კონტრაბანდად.

დანარჩენებმა ვერ მოიშალეს მუშტში ჩამალული მახორკის პაპიროსის წევა. ერთ ბელორუსს ნარზე დასძინებოდა პაპიროსით ხელში. ცეცხლი მოედო მის მატრასს, თვით გატენილს, აქედან მის მეზობლად მწოლარეთა მატრასებს გადაედო, ერთბაშად იფეთქა ხანძარმა პირველ კორპუსში.

ღამის პირველ საათზე ვალტერმა გამოიძახა საყარაულო პოლკი. ესესელებმა ავტომატების კონდახებით სცემეს ვისაც მისწვდნენ, სამი ათასი შიშველი ტყვე გამოჰყარეს დათოვლილ ეზოში.

მეხანძრეები მოსცვივდნენ, შლანგებით მიუშვეს წყალი ცეცხლმოდებულ მატრასებს, მერმე ესესელებმა ისევ შეჰყარეს გათოშილი ტყვეები კამერებში, ასე რომ მატრასები და ტანისამოსი სავსებით სველი დაუხვდათ ტყვეებს.

მრავალთაგან მრავალს ტანისამოსი დაეწვათ, ცხენის უხეში საბნები დაურიგეს დაზარალებულ ტყვეებს. რადგან ევროპელებს უსაცვლოდ წოლა სჩვევიათ, ბევრს საცვლებიც დაეწვათ, ასე რომ მეორე დღეს ისინი, ვისაც საცვლები და ტანისამოსი დაეწვათ, ადამის კოსტიუმის ამარა დასეირნობდნენ თოვლში, ზოგსაც ცხენის საბნები ჰქონდა წამოსხმული.

მეხანძრეებმა წყლით გაავსეს ეზოში დადგმული კასრები და ბაკები, სათადარიგო შლანგები დასტოვეს პირველ კორპუსში, შესასვლელ კარებთან.

ერთ დღეს ბურჟინსკიმ განზე გაიხმო გოდერძი და უთხრა:

„ააშენოს ღმერთმა ამ ხანძრის მომწყობი, ეს რომ არ მომხდა-

რიყო, არც ამ შლანგებს მოიტანდნენ, მე და გულუხაიძემ უკვე გადავწყვიტეთ, ეს შლანგები სათანადოდ გამოვიყენოთ".

„როგორ?"

შეეკითხა გოდერძი.

„თავის დროზე გაჩვენებთ.— ამბობს ბურჟინსკი, და ეშმაკურად იღიმება.— შენი ამორძალის ნათქვამი თუ გამართლდა, ესსესელებს შავ დღეს დავაყენებთ". მკლავში ხელი წაავლო გოდერძის და წასჩურჩულა:

„მე და გულუხაიძეს უკვე შემუშავებული გვქავს გეგმა. მაგრამ ეს აგურის გალავანი ძლიერ მაღალია".

„რომელი გალავანი?"

„აი ეს, პირველ კორპუსსა და მთავარ ჭიშკარს შორის რომ არის".

გოდერძიმ ახედ-დახედა გალავანს.

„ხელსაყრელი პირობები რომც გვექნეს, მთავარ ჭიშკრიდან ჩვენ ველარ გავალთ, მის გადაღმა ესსესელების პოლკი დგას. პირიქით, მოქმედებას რა შეუდგებით, ეს ჭიშკარი შიგნიდან უნდა გადავკეტოთ.

აგურის ქარხანაში თუ გვინდა მოვხვდეთ, გადავლახოთ ეს გალავანი, ბოლოს სამკეცი ეკლის მავთულის ხლართები".

მოსაუბრეებს გულუხაიძე შემოუერთდა. იგი მიხვდა, რის გამოც იყო ლაპარაკი.

„იცი, გოდერძი, მე ასე ვამბობ: ხირჩლა მივაყენოთ კედელთან, დანარჩენები ზურგზე შეახტებიან და ჰოპ... ჰოპ..."

„მერმე ხირჩლა ვის დავუტოვოთ?"

„მე დავრჩები გალავანზე და ხირჩლას ვუშველი ამოსვლაზე".

„არა, ჩემო სოლომონ, ეს ზღაპარია. ის, რაც ჩვენ განზრახული გვაქვს, ელვის უსწრაფესად უნდა მოხდეს, თორემ ესსესელები ავტომატების ცეცხლს გახსნიან წამსვე", ამბობდა ბურჟინსკი.

გოდერძიმ ახედ-დახედა გალავანს და სთქვა:

„შენ მართალი ხარ, ივან. ამ გალავანს ჭინკაც ვერ გადააახტება. კიდევ მოვიფიქროთ, ვნახოთ..."

•

მეორე დღეს ხანძრისაგან დაფუფქული ტყვეების საავადმყოფოში გადასაყვანად გამოგზავნეს კონცლაგერში ექიმი მახნილოვი, პროფესორ შტამლერის ორდინატორი — ფრაუ ბერტა და ექთანი ნიოლა. ამ უკანასკნელმა ფრიდა შტამლერის წერილი მუჭში ჩაუდვა ბურჟინსკის გოდერძისათვის გადასაცემად.

უკვე დანამდვილებით გავიგე: საჰაერო განგაში თებერვლის 13-ს, საღამოს ცხრა საათსა და 15 წუთზე იქნებაო, იწერებოდა ფრიდა. ერთი კომპასი გამოეტანებინა ნიოლასათვის მას.

გოდერძის და მის მეგობრებს მთელი ღამე არ სძინებიათ. ნაშუაღამევს ბურჟინსკის კამერაში საბანწამოსხმულნი მოვიდნენ: კაპიტანი სმოლიჩი, მაიორი კირიჩენკო, კარაპეტიანი, ასაევი და ფალკევსკი.

აგურის გალავანზე გადახტომის საკითხმა აზრთა სხვაობა გამოიწვია. ახლადშეძენილი მოკავშირეებიც წინააღმდეგნი იყვნენ ფეხსადგილებთან ღობის განგრევისა და იქიდან გაქცევისა, რადგან ამ მხარეს სწორ შოსეზე უნდა გასულიყვნენ გაქცეულები, გარდა ამისა, ეკლის მავთულების ექვსმაგი ხაზი უნდა გადაელახნათ.

აგურის გალავანს რა გადალახავდნენ, სამმაგ ხლართს გადაევლებოდნენ და მერმე გავიდოდნენ ოლროჩოლრო გზაზე, რომელიც პირდაპირ აგურის ქარხნისაკენ გაიყვანდა შეთქმულებს.

აგურის ქარხანა გორაკზე იყო. ასე რომ ეს დათოვლილი, ცერაღმართული გზა უმარჯვო იქნებოდა ესესელებისათვის, რომელნიც მოტოციკლებით გამოუდგებოდნენ ალბათ გაქცეულებს. გარდა ამისა, ერთი უპირატესობა ჰქონდა ამ მხარეს გაქცევას: აგურის ქარხნის გადაღმა ტყე იყო, საკმაოდ დაბურული.

ბურჟინსკის კარგად სცნობებიყო აგურის ქარხნის სანახები, ტანკსაწინააღმდეგო ორმოების სათხრელად აგზავნიდნენ მას თურმე იმ მიდამოებში, ხანაც თოვლს ახვეტინებდნენ ამ ქარხნის მახლობლად გამართულ ჰაეროდრომებზე.

„შესაძლოა აქ ყველა ამხანაგმა არ იცოდეს, რომ ჩვენი კონცლაგერი პოლონური ქალაქის სლავუტას გარეუბანშია. ორასი კილომეტრის რადიუსზე პოლონური მოსახლეობაა, მე თუ ცოცხალი გადავრჩი, მეგზურობას ვიკისრებ, პოლონელები ყველგან გაგვიწევენ დახმარებას“, ამბობდა ფალკევსკი.

ბურჟინსკიმ სთქვა:

„ორას კილომეტრს რა გავივლით, კომპასი ხელთ გვაქვს, ბოლოს ჩრდილოეთისაკენ კიდევ ასი კილომეტრი ვიაროთ და კოვპაკის პარტიზანული შტაბის მოძებნა ჩემზე იყოს“.

იმავე ღამესვე გადაწყდა პაროლად დაეთქვათ: „ცამეტი“.

ბურჟინსკი წარამარა დგებოდა, ამინდს უთვალთვალებდა. დაუცხრომლად სთოვდა. გათენებისას ქარი ამოვარდა და ყინვა დაიწყო. გრადუსი 36-ს უჩვენებდა.

„ბუნებაც ჩვენ გვეხმარება“, უჩურჩულა გოდერძის ბურჟინსკიმ.

გათენებისას მოვარდა ვახტმაისტერი ვალტერი და იყვირა:

„ბურჟინსკი!“

როცა ბურჟინსკი გამოეჭიმა ვახტმაისტერს, ვალტერმა ჩააყვირა:

„ჰეი რუსო, გამოიყვანე თორმეტი რაბინი და ხუთი აზიატი, პირველი კორპუსიდან მთავარ ჭიშკრამდის თოვლი უნდა გავხვეტოთ, კარგად დატკეპნეთ გზა, კომისსიას მოველით“.

ბურჟინსკის გაეცინა გუნებაში: ხომ არ გაგიჟებულაო ვალტერი?

„რაბინები სადღაა, ჰერრ ვახტმაისტერ?“

„რა იქნენ რაბინები?“ დასჭყივლა ვალტერმა ისევ.

„გუშინწინ არ დახვრიტეთ, ჰერრ ვახტმაისტერ?“

ვალტერი შეცფუნდა.

„ჰო, სულ დამავიწყდა, ისინი ალ'ბათ მამა ღმერთთან გალობენ ახლა. სულ ერთია, თორმეტი ებრაელი ვაჭარი მოიტა, ან რუსი...“

„მესმის, ჰერრ ვახტმაისტერ!“ მიუგო ბურჟინსკიმ, თანაც შეატყო, ვალტერს დილაადრიან უკვე მოესწრო არყით გამოთრობა.

როცა თორმეტი რუსი და ხუთი ქართველი თოვლს ხვეტავდნენ, გულუხაიძე მიეპარა მამასახლისს და უჩურჩულა:

„შენ რას იტყვი, ივან, ღმერთს ჩვენთვის გამოუგზავნია ეს თოვლი. ურიგო ხომ არ იქნებოდა აგურის გალავნისაკენ რომ მიგვეწია მოხვეტილი თოვლი, ჰა?“

„ჰო, მართლაც, კარგი აზრია, მეც ამას ვფიქრობდი ამ წუთში, ეშმაკის ფეხო, სოლომონ, ჰი, ჰი“.

როცა თოვლის ხვეტა მოათავეს, ვალ'ტერმა დაათვალიერა გატკეპნილი გზა, მოიწონა და პირველი პოსტისკენ წაჩინდრიკდა.

ბურჟინსკიმ ეშმაკურად ჩაიხითხითა და უთხრა ელანიძესა და გულუხაიძეს:

„ახლა ოჩიაურის გალავანზე მიყუდება არ დაგვჭირდება, არა? ვალტერი მთვრალია და ვერც კი შენიშნა, რომ ამ გალავანს ახლა ბალღიც გადაახტება, იმდენი თოვლი მივახვეტინე ბიჭებს“.

*

თებერვლის ცამეტს, ზუსტად 9 საათსა და 15 წუთზე, სლავუტას ლოკომოტივები აბღავლდნენ. აკივლდნენ ქარხნების სირენები, კათოლ'იკური ეკლესიების სამრეკლოებზე დაარისხეს ზარები. კონცლაგერში ელექტროს შუქი ჩააქრეს თუ არა, ფალკივსკი ავარდა ნარზე და პოლონურად იყვირა:

„ცამეტი“.

პოლონელებმა დალეწეს ნარებს შორის გამართული მოაჯირე-

ბი, ხელტუკები გაიკეთეს და ეცნენ მეორე კორპუსის კარებთან მდგარ ავტომატიან ესესელებს.

ფრანგებმა რა გაიგეს, პოლონელები აჯანყდნენო, ორ ესესელს ავტომატები წაართვეს და მარსელიოზას სიმღერით გამოცვივდნენ ეზოში. სარდაფები შელეწეს, ხელბორკილიანი ტყვეები და შიზოფრენიკები ეზოში გამოყარეს.

ამ ალიაქოთზე პირველი კორპუსის კარებს მოაწყდა ვახტმაისტერი ვალტერი, მას შეწკიპული პარაბელუმი ეჭირა ხელში. გოდერძის და ბურჟინსკის უკვე მოესწროთ ორი ესესელისათვის ავტომატების წართმევა და როცა ვალტერმა ქუსლი დაუშინა კარებს, ხირჩლა ოჩიაურმა კარი გაუღო, თავათ-კარის უკან გაინაბა, ღრიალით შემოვარდნილ ვალტერს ეცა და გავარვარებული დანა ჩასცა ზურგში.

ლაგერის ადმინისტრაცია დაიბნა, კომენდატი პოლკის უფროსთან გაიქცა, ელექტროშუქის ანთება ვერავინ გაბედა, რადგან საჰაერო განგაში მოთავებული არ იყო, მეორე საგუშაგოდან ათიოდე ესესელი გამოვარდა, ეზოში მორბოდნენ და უსაზმნოდ ისროდნენ ავტომატებს. მთვარიანი ღამე იყო.

გოდერძი, ბურჟინსკი, კარაპეტიანი და სმოლიჩი სროლითვე შეეგებნენ წინ, ჯერ საეგებიოდ ესროდნენ ესესელებს, მერმე თოვლში წაწვნენ და ავტომატები დაუშინეს მათ. ამასობაში ფრანგებმაც მოაღწიეს, შვიდნი დასჭრეს, სამიც მოჰკლეს.

სარდაფებიდან გამოვარდნილ გუშაგებს გულუხაიძემ და ასაევმა წყლის შლანგები მიუშვირეს, ცივი წყლისაგან გათოშილებმა სროლა ვეღარ შესძლეს, ამასობაში მთავარ კორპუსიდან გამოცვენილი ტყვეები ლაგერის ეზოში დაყრილ აგრეგატებს ამოეფარნენ, ქვები და ხელტუკები დაუშინეს ესესელებს.

ბურჟინსკი, გოდერძი და ფალკივსკი ჭიშკრისკენ გაიქცნენ, ორ გუშაგს იარაღი აჰყარეს და ჭიშკარი მაგრად გადარაზეს.

აჯანყებულები აგურის გალავანზე ხტებოდნენ უკვე. ეკლის მავთულებზე საბნებს აფენდნენ და არხეინად ზედ გადადიოდნენ.

მესამე საგუშაგომ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია აჯანყებულებს. სწორედ იმ წუთს, როცა მათ აგურის გალავანი გადალახეს, სამი ავტომატიანი გუშაგის შესაცვლელად სამნი მოსულიყვნენ. მათ რა დაინახეს გაქცეულები, ავტომატები დაუშინეს, ოციოდე კაცი წაიქცა თოვლში.

გოდერძი და ბურჟინსკი იდაყვებით წაფორთხდნენ საგუშაგოსაკენ, სამი ესესელი ყირამალა გადმოვარდა ძირს, ახლა დანარჩენი

სამი შევარდა ფიცრულში და ჭუჭრუტანიდან ისროდნენ ავტომატებს.

კარგა ხანს გაგრძელდა სროლა, ბოლოს ერთბაშად დადუმდა საგუშაგო, გოდერძი და ბურჟინსკი შიგ შევიდნენ: ესესელები სისხლისაგან იცლებოდნენ უკვე.

ეკლიანი მავთულების უკანასკნელი ხაზი გადალახეს აჯანყებულებმა და აგურის ქარხნისაკენ მოკურცხლეს. საყარაულო პოლკმა შემოლეწა რკინის ჭიშკარი, მაგრამ შეთქმულები უკვე აღარ იყვნენ კონცლაგერის ეზოში.

ესესელების მთელი რაზმეული მოახტა მოტოციკლეტებს და გაქცეულებს უკან გამოუდგა, მაგრამ გაყინულ, ცერადმართულ გზაზე მოტოციკლებმა ბუქსაობა დაიწყეს. მაშინ მოტოციკლები გზის პირად დაჰყარეს ესესელებმა და სირბილით მიაშურეს აგურის ქარხანას.

ქარხნის მისადგომებთან სასტიკი ბრძოლა გაუმართეს აჯანყებულებმა ფაშისტებს. ათიოდე შეთქმული ავტომატებს ისროდა, დანარჩენები აგურის შტაბელებს ამოეფარნენ, აგურებს უშენდნენ ესესელებს. ორმოციოდე დახოცეს, ზოგი ტყვიით, ზოგი აგურით.

უკვე თენდებოდა, როცა ვაზნები შემოაკლდათ აჯანყებულებს. გოდერძიმ, ბურჟინსკიმ და ფალკივსკიმ აგურის ქარხნის რკინის ჭიშკარი დაგმანეს, ისევ დაუშინეს ავტომატები მოიერიშე ესესელებს და ამგვარად გაქცევის საშუალება მისცეს ხალხს, ბოლოს თავათაც შემოაკლდათ ვაზნები, ტყისკენ დააპირეს გაპარვა, მაგრამ ამასობაში აეროდრომის მხრიდან შემოევლოთ ფაშისტებს და სამივენი დააპატიმრეს...

გოდერძის ამჯერად მეშვიდე ტყვია მოხვდა მარჯვენა მკლავში. ხოლო ბურჟინსკის ავტომატის კონდახით ჩაუმსხვრიეს ლავიწი.

•

მეორე დღეს რადიოში გამოვიდა სლავუტას ქალაქის თავი, დოქტორი ჰირში და ამცნო სლავუტას მომიჯნე რაიონების მოსახლეობას: კონცლაგერიდან გამოქცეული სამხედრო ტყვეები კანონს გარეშე გამოცხადებული არიან და სადაც მათ წააწყდეთ, დაუყოვნებლივ დახოცეთო.

დოქტორი ჰირში აფრთხილებდა პოლონურ მოსახლეობას: ვინც გაქცეულებს შეივრდომებს, დაუყოვნებლივ დავხვრეტთო.

იმავე დღეს დააპატიმრეს აგურის ქარხნის დირექტორი, რომელ-

საც ორი მოხუცი დარაჯის ამარა დაეტოვებინა ქარხანა. დახვრიტეს ათი პოლონელი მძევალი.

იქვით შეიპყრეს ექიმი მახნილოვი, ექთანი ნიოლა და ასისტენტი ფრიდა შტამლერი. ეს უკანასკნელი ორდინატორმა ბურტამ დააბეზღა თურმე: სამხედრო ტყვეებს ხელს უწყობდა გაქცევისას. პროფესორმა შტამლერმა გაათავისუფლებინა იგი, ძაღლებისათვის განკუთვნილი მათრახით სცემა თავის გერს, მაგრამ ამ ამბავმა ისე ააღელვა პროფესორი, ტვინში სისხლის ჩაქცევამ იმსხვერპლა გიჟების ეროდი. . . . . .

•

როცა გოდერძი ელანიძე, ივან ბურჟინსკი და ფელიქს ფალკივსკი კონცლაგერში დააბრუნეს ისევ, ისინი „წითელ კამერაში" შეჰყარეს. ტყვეებმა კარგად იცოდნენ, რომ მასში ათავსებდნენ ხოლმე ისეთ პირებს, რომელთაც სიკვდილი მისჯილი ჰქონდათ უკვე.

აქ მათ დაუხვდათ ოთხმოცდახუთი ტყვე, რომელნიც აგურის ქარხანაში მომხდარ ბრძოლის დროს დასჭრეს ესესელებმა. დაჭრილთა შორის უმეტესად იყვნენ რუსები, პოლონელები, ებრაელები, ფრანგები და უკრაინელები.

ამავე კამერაში მოათავსეს რატომღაც ვენელი დიდვაჭარი ფრიშენბერგი, რომელიც კონცლაგერში აჯანყების დაწყებისას მატრასების ქვეშ დამალულიყო...

ექვსი დღის განმავლობაში მხოლოდ წყალს ასმევდნენ ტყვეებს, რათა შიმშილისაგან ქანცმილეულებს წინააღმდეგობის გაწევის უნარი დაჰკარგოდათ.

ფრიშენბერგი ახლად მოყვანილი იყო ლაგერში, აქებდა და ადიდებდა ჰიტლერსა და ჰიმლერს. ამტკიცებდა: ფაშისტური ხელისუფლება უსამართლოდ არავის დასჯისო.

ყოველდღე განცხადებას აგზავნიდა ჰიტლერის სახელზე. ღამით ოხრავდა და სტიროდა, დღისით განცხადებებს სწერდა, თავს აბეზრებდა წუწუნით ყველას, ყოველ კაცს ეკითხებოდა:

„რა ვქნათ, რა ვქნათ?"

ბოლოს ფრიშენბერგი გამოუტყდა ბურჟინსკის: ექვსი მილიონი მარკა, ასი კილოგრამი ოქრო შევწირე ფაშისტური არმიისთვის ხელისუფლებას და მე არ მჯერა, ასე უმართებულოდ რომ დამსაჯონო.

ტყვეები გაოცებულნი იყვნენ: კვირეები კვირეებს სცვლიდნენ და დასაკითხავად არავინ მოდიოდა.

ზოგს მართლაც სჯეროდა, ამ აჯანყების გამო გამოძიება დაიწყებაო, თანაც იმედი ჰქონდათ: ალბათ ეს საქმე დიდხანს გაჭიანურდება, ამასობაში შესაძლოა ჰიტლერი დამარცხდეს და თავისუფლება გვეღირსოსო.

ერთადერთი ფრიშენბერგი სწერდა განცხადებებს, დამკითხეთო, ეველრებოდა ფაშისტებს.

სლავუტაში ორჯერ მოხდა საჰაერო განგაში, ეს ორი უკანასკნელი სავარჯიშო როდი იყო,— საბჭოური ავიაცია თავს დაესხა აეროდრომს და ათიოდე თვითმფრინავი აფრენამდის გაანადგურეს.

ბურჟინსკი უფრო რეალურად უცქეროდა ამ საქმეს. გამოსაძიებელი აქ რაღააო? აჯანყება მოუწყეთ ფაშისტებს, ასამდე ესსესელი დავხოცეთ, ალბათ ეგზეკუციაში გაგვიშვებენო ყველას.

ერთ დილას მოვარდა ახალი ვახტმაისტერი შტილბაუმი და იყვირა:

ტანკსაწინააღმდეგო ორმოების სათხრელად წამოდითო ყველანი.

ბურჟინსკის არ მოეწონა ეს ამბავი, მაგრამ პანიკის ატეხა არ უნდოდა და თავის ჩექმებს დაუწყო ძებნა, როცა ისინი ჩაიცვა, მხოლოდ გოდერძის უჩურჩულა:

„ეჰ, რაბინებთან გვაგზავნიან, ალბათ, ჩემო გოდერძი“.

„რაც არის, ეგ არის, ივან“.

მიუგო ელანიძემ.

ფრიშენბერგი დაეღრიჯა შტილბაუმს: განცხადების დაწერა დამაცალეთო.

„განცხადებები საღამოს სწერეთ, ჯერ ორმოების თხრაა საჭირო და არა ლიტერატურა“.

წითელი კამერის დერეფანთან მოაყენეს „ყორანი“.

როცა ვახტმაისტერი შემოვიდა, ფალკივსკი ნარზე ჩამოჯდა. ვახტმაისტერი მივიდა ფალკივსკისთან, ადექიო, უბრძანა. ფალკივსკიმ ხმა არ გასცა.

მაშინ ვახტმაისტერი ეცა ფალკივსკის და ძალით წამოყენება დაუპირა, ფალკივსკიმ სახეში გაარტყა შტილბაუმს, ეს უკანასკნელი წაიქცა და აყვირდა.

შემოცვივდნენ ესსესელები და კონდახები დაუშინეს ფალკივსკის ცხვირპირში.

მან სამი კბილი სისხლიან ფურთხს გამოაყოლა და პირველი შევიდა „ყორანში“.

ბურჟინსკის არ სჯეროდა, თუ ტანკსაწინააღმდეგო ორმოების სათხრელად მიჰყავდა ტყვეები ვახტმაისტერს. მას არა ერთხელ უთხრია ამგვარი ორმოები, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ბარები და

ნიჩბები მიჰქონდათ ლაგერიდან. ამგვარი დაეჭვება არ ეეუხიარა ამხანაგებს, აგრე ფიქრობდა: რად გავუხეთქოო წინასწარ გული. მაინც შეეკითხა ვახტმაისტერს ცალყბად: ბარები და ნიჩბები რად არ წამოვიღეთო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქ დაგხვდებაო, მიუგო შტილბაუმმა.

„ყორანი“ გაჩერდა აეროდრომის გადაღმა, მინდორზე. როცა ტყვეები მანქანიდან გამორეკეს, მათ დაინახეს აეროდრომზე მიმოყრილი ნამუსრევები თვითმფრინავებისა.

გორაკზე აგურის ქარხანა მოსჩანდა, ცაში თვითმფრინავები დაჰქროდნენ, მათი გუგუნი აყრუებდა მიდამოს.

ტანკსაწინააღმდეგო ორმოებამდის რა მიაღწიეს, ბურჟინსკი ისევ შეეკითხა ვახტმაისტერს: სადღაა ბარები და ნიჩბები?

„როცა სამმეტრიან ორმოებში ჩაგყრით, მაშინ მოვატანინებთ ბარებსა და ნიჩბებს“, უპასუხა ვახტმაისტერმა.

ტყვეები ტანკსაწინააღმდეგო ორმოების კიდეებზე გაამწკრივეს, ესესელები თოფის სასროლ მანძილზე უკუიქცნენ და ტყვეებს ცხედრების სუნი მისწვდა უკვე.

შტილბაუმმა იყვირა:

„ფოიერ!“[1]

და ატყდა ავტომატების რაკრაკი.

ფრიშენბერგს კიდევ არა სჯეროდა, რომ მათ ესროდნენ, ალბათ ვარჯიშობენო, ეუბნება თავის გვერდით მდგარ ბურჟინსკის და გოდერძის.

პირველი ბათქის შემდეგ ორმოციოდე კაცი ჩაცვივდა თხრილებში, ფრიშენბერგს მარჯვენა მკლავში გაუარა ტყვიამ, იგი უცნაურად დაფრთხა, აყვირდა, გოდერძისა და ბურჟინსკის მოებღაუჭა და ორივენი თან გადაიყოლა სამიოდე მეტრის სიღრმე ორმოში.

ფალკივსკიმ არ დააყოვნა, გაიგონა თუ არა პირველი ბათქი. მიწაზე დაცუცქდა, მეორე რა შემოესმა, იგიც გადავარდა ხაროში...

ორმოში ახლად დახოცილი ტყვეები ეყარნენ, ჯერაც ოხშივარი ასდიოდა სისხლს.

„ცხედრები ვისაფროთ, ივან“, წასჩურჩულა გოდერძიმ ბურჟინსკის.

უზარმაზარი დევკაცის გვამი წამოაყენა და მკერდზე დაიწვინა.

ხუთ წუთსაც არ გაუელია, ისევ გაისმა „ფოიერ“ და ავტომატების რაკრაკი. ერთბაშად შესწყდა სროლა, ავტომატების ხმა ბომბების გრიალმა შესცვალა. ბურჟინსკიმ ცხედრის იღლიიდან თავი გამოჰყო, უჩურჩულა გოდერძის:

[1] ცეცხლი.

„ალბათ ჩვენი ბომბდამშენები თავს დაესხნენ აეროდრომს“.

ბღაოდნენ ლოკომოტივები, გულისწამღებად წიოდნენ ქარხნების სირენები, ეკლესიების სამრეკლოზე არისხებდნენ ზარებს.....

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*

როცა სისხლში ამოსვრილი გოდერძი, ბურჟინსკი, ფალკივსკი და ფრიშენბერგი დიდის ვაი-ვაგლახით ამოძვრნენ ორმოდან, ნისლი იდგა აეროდრომის მინდორზე, სლავუტაში ისევ საჰაერო განგაში იყო, ბომბების გრიალი ისმოდა კანტიკუნტად.

„რა ვქნათ?“

კვნესოდა ფრიშენბერგი.

„რა ვქნათ და ერთი კოხტა განცხადება მივწეროთ მაგ სახეძაღლს ჰიტლერს“.

გაიხუმრა ბურჟინსკიმ.

„აი ამას ეწოდება სახრჩობელას ჰუმორი“, სთქვა ფალკივსკიმ.

ტალახისებრ ღრუბლებში ფოლადისფერად იელვა, ტყვეებმა უკან მიხედვაც ვერ მოასწრეს, ბომბები დაუშინეს აეროდრომს.

„მომყევით“, უყვირა თავის მეგობრებს ფალკივსკიმ და ტყისაკენ გაიქცა.

. . . . . .

MIRACUIUM MAQNUM[1]

„ყურძნის მტევანმა უამბო თურმე ერთ მოხუცს: მე სიცუღლეტემ მომიარა, მზეს გაეუმიჯნურდი და დავორსულდი, არსთა განრიგემ დამსაჯა კვდევაც ამისთვის.

ქოჩორზე ხელი წამავლო, მზისკენ მიმიქცია პირი, ამიტომაც გავშავდი.

ეგეც არ მაკმარა, კრაზანები მომისია. მომდგნენ და დამკბინეს ამ კრაზანებმა.

მერმე მოცვივდნენ ადამიანები, ყელი გამომჭრეს დანით, საწნეხელში ჩამაგდეს.. ფეხებით ზედ შემდგნენ, ძვალი და ხორცი დამილეწეს.

სისხლი ჩემი კასრებში ჩაასხეს.

ბოლოს დასხდნენ, სვეს იგი, იმღერეს და ჰიანური ააკვნესეს ჩემი სისხლით კამომთვრალებმა“.

მინუჩერის „დივანი“.

ბერმუხის კოლმეურნეობის საქმეები უარესობისაკენ მიიწევდნენ. სასტიკმა ზამთარმა ძლიერ დააზიანა კოლმეურნეობის ცხვარი. დოლი ადრე დაიწყო, დიდძალი უდღეური ბატკნები დაჰყარეს

[1] დიდი საოცრება.

ცუდად მოვლილმა ცხვრებმა. მწყემსთა შორის ახალგაზრდები და ჯანმაგარნი ფრონტზე წავიდნენ, მოხუცთა და ჭარმაგთა შორის მეტწილად ბობოლაყოფილნი იყვნენ, რომელთაც ჯერ კიდევ სჯეროდათ, რომ კოლექტივი მიწების მიმართ შესაძლო [illegible] ელდეს, მაგრამ კოლექტიური ცხვარი უაზრობაა.

ეს ძველი მწყემსები მთათუშეთსა და ლეკიმთის გზებით ხშირად გადადიოდნენ ცხვართან ერთად ჩრდილო კავკასიაში, თვალნათლივ ხედავდნენ იმ ბრძოლებს, რომელიც კომუნისტებს და ფაშისტებს შორის კავკასიონზედაც მიმდინარეობდა.

მთებში ათასი ჯურის ბნელი ელემენტი ბოგინებდა, ფაშისტები ორჯონიკიძეს რა მიუახლოვდნენ, ავის მზრახველებმა თავი წამოჰყვეს, წარამარა ხმას არხევდნენ: კოლექტივი მოისპობა და კერძო საკუთრებას აღადგენენო.

ეს ყოველივე მოქმედებდა მოხუცებულ თუშ მეცხვარეებზე.

ბერმუხის კოლმეურნეობის საერთო კრებებზე გამოდიოდნენ ეს მეცხვარეები და შეუფარველად ამბობდნენ: ხომ ჰხედავთ, ჩრდილო კავკასიაში ველარ მიგვყავს ცხვარი, ჩვენს მხარეში საძოვრები აღარ დასტოვეთ, ვაზები ჩაჰყარეთ ყველგან, ამაოდ ვეწვალებით მათ მოვლაში; მოდი ამოვძირკვოთ ვაზები, კვლავ საძოვრებად ვაქციოთო ბერმუხისა და არაშენდა-გველეთის ზეგანი.

ზოგიც ასეთ წინადადებას იძლეოდა: ვაზნარები ამოვაძირკვინოთ, მგლისხევს გადაღმა, მამუკასეულ უბნებში საძოვრები გავმართოთ, გამოღმა პური და სიმინდი ვთესოთო.

თედო თარალაშვილი და ნუნუ ყოველ კრებაზე გამოდიოდნენ, სასტიკად ებრძოდნენ მოხუცებულ მეცხვარეებს: კიდევ გავიჭირვოთ ცოტა, ომი ჩვენი გამარჯვებით დასრულდება, ნულარ დავკარგავთო ამდენ ამაგს.

არც მევენახეობისა და მარცვლეული კულტურების საქმე მიდიოდა სახარბიელოდ: ბერიკაცები და ქალები ველარ აუდიოდნენ ვენახების ბარვასა და თოხნას, პარიზული ხსნარისა და გოგირდის შეფრქვევას, სხლვას, შეყელვასა და ქირქლას შემოცლას.

შაბიამნისა და გოგირდის შემოტანაც გაჭირდა.

თედო თარალაშვილი ველარ მოასწრებდა რომელიმე ხელმარჯვე ქალის დაწინაურებას ან პრემირებას, ფოსტალიონი გეო ქმრისა, ძმისა ან ვაჟის მოკვლის ცნობას მოუტანდა მას. ზოგი ლოგინად ჩავარდებოდა დარდისაგან. ზოგიც მუშაობაზე გულს აიყრიდა. ამაოდ შეახსენებდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე მათ გაუტეხე-

ლი ნუნუს მაგალითს. ამის გამო მომეტებულად შეიძულეს ქალებმა „წინამასწარა“ ნუნუ.

ამგვარად დღე-დღეზე კლებულობდა შრომისნაყოფიერება.

არაშენდა-გველეთში ახლადჩაყრილი ვაზები სავსებით უპატრონოდ დარჩნენ. ამ სანახებში ახლადჩასახლებულ ხევსურებს, თუშებსა და ფშავლებს არც უყვარდათ და არც ემარჯვებოდათ ვაზის მოვლა. დამხმარე მუშახელი აღარსად იყო.

პროფესორი კორინთელი გულისტკივილით ხედავდა თუ როგორ მიიწევდა დაღუპვისაკენ მთელი მისი ნაამაგარი.

სუსქიას სიკვდილის შემდეგ მას გაეცალა მთელი ხალისი და მხნეობა, თავის კაპიტალურ შრომაზედაც აიყარა გული, თვეში ერთხელაც არ მოიკითხავდა თავის მიკროუბანს. ხანდახან მოიკრეფდა ძალას, წაიმუშავებდა, სურდო შეეყრებოდა თუ არა პატარა როსტოს, ისევ მიაგდებდა საწერს.

ამ განწყობილებამ წვრილმანებშიაც იჩინა თავი: წვერგაუპარსავი დადიოდა საკონსულტაციოდ თელავის ინსტიტუტში, გაუუთავებელი და ლაქებიანი კოსტიუმი ეცვა მუდამ.

ბელეშა ძიძა რიგიანად ვერ უვლიდა ბავშვს, ამიტომაც წარამარა ავადმყოფობდა პატარა როსტო, ასე რომ კორინთელი იძულებული იყო ბავშვის მოვლაში თავათ დაედო წილი, მუდამ სიცხის საზომი და ოყნა ჰქონდა საძებარი.

მოხუცებულ მაიას სამი შვილიშვილი მოუკლეს ფრონტზე, ამ ამბავმა მას სავსებით მოუთავა ხელი, გეოს მოსვლის შიშით ეზოშიაც ეზარებოდა გასვლა.

თელავის ინსტიტუტშიაც შეფერხდა მუშაობა. პრაქტიკანტი ვაქები ომში წავიდნენ, რამდენიმე სტუდენტი ქალი თავს ვერ ართმევდა სამუშაოს. დააწინაურებდნენ რომელიმე ქალს, ერთბაშად გათხოვდებოდა იგი, ასე რომ საცდელი მუშაობა დაეფუშა ინსტიტუტის ხელმძღვანელებს.

ამასობაში ტფილისურმა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა ორგზის შემოსთავაზა კორინთელს აგრობიოლოგიის კათედრა, კორინთელმა უკვე აღარ იცოდა რა ექნა. ტფილისს გადასვლა უნდოდა, მაგრამ ერთგვარ უხერხულობას ჰგრძნობდა.

რაიონის ხელმძღვანელობის ცდა ახლა იქითკენ იყო მიმართული, მთლად არ დაღუპულიყო მეცხოველეობა, რომელიც მამაკაცის შრომას ემყარებოდა უპირატესად.

ციხისთავი ამჩნევდა, თუ რა ღრმა დამწუხრებული იყო კორინთელი. ისიც კარგად იცოდა, რომ ტფილისი კათედრას სთავაზობდა პროფესორს. ამიტომაც შიშობდა ამ ძნელბედობის დროს არ წაერ-

თმიათ მისთვის დიდი ცოდნით აღჭურვილი მეცნიერი, რომლის თათბირის მეოხებით ბევრი რამ გაკეთდა არა მარტო ბერმუხასა და არაშენდაში, მთელს რაიონში.

კვირა დილას ეწვია ციხისთავი პროფესორს. იგი ბალში მიჯდომოდა პატარა მაგიდას და წიგნს კითხულობდა...

სტუმარმა ბოდიში მოიხადა ხელის შეშლის გამო.

„როდის ასრულებთ თქვენს შრომას, ვახტანგ?"

„ეჰ, ძლიერ მიჭირს, მართალი გითხრათ. წერა შეუძლებელია ორ ვითარებაში: როცა ადამიანი ძლიერ ბედნიერია ან ასევე დამწუხრებული.

მე ისე დავიქანცე, ასე მგონია წავიქცევი-მეთქი. მოგეხსენებათ, ხესა და დგამს ბჯენი გადაარჩენს ხოლმე წაქცევას, მაგრამ ადამიანს ბჯენი ვეღარ შველის".

„მე მგონია ადამიანის ბჯენია რწმენა", ჩაურთო ციხისთავმა.

„სუსქიას სიკვდილის შემდეგ ჩემი ოჯახიც შემჯავრდა,— განაგრძო კორინთელმა,— ამ ხეებს რომ უყურებთ, ამ სახლს, ყოველ მცენარეს, ყოველ საგანს ათასგზის შემოვლებია მისი ხელი. ამ ხეხილს იგი რწყავდა, ამ ვარდებს ის უვლიდა...

აჰ, მე სანტიმენტალობაში გადავვარდი, ამხანაგო ციხისთავო, ვიცი ეს არ ვარგა, მაგრამ თუ ადამიანმა თავის მოყვასს გული არ გაუხსნა, ზაფრისაგან მოიგუდება".

„ეს ყოველივე გასაგებია ჩემთვის, ვახტანგ, მაგრამ თქვენგანვე მაქვს განაგონი, ვაქაცს რა გაუჭირდება, მას არაფერი დარჩენია გარდა ბრძოლისა, მე დავუმატებდი, სულიერი მხნეობისა".

მაია მოფათურდა, ღვინო და ხილი მოიტანა. კორინთელმა ღვინო გაასინჯა სტუმარს.

„მე აგრე მგონია,— ამბობდა კორინთელი,— ამ გარემოს რომ მოვცილდები, შესაძლოა ძალი შემემატოს. თუ აქედან წავედი, მე მინდა ეს ჩემი კოტეჯი და ბაღი სოფლის ბიბლიოთეკისათვის დაგიტოვოთ, ამ წიგნის ჰონორარი მერგება, ნაწილს წიგნების შესაძენად გადავდებ".

„ეს კარგი საქმეა, ვახტანგ, მაგრამ თქვენ თავათ ხართ მოარული ბიბლიოთეკა, თქვენისთანა ადამიანი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ათასი ბიბლიოთეკა. ეს სხვა დროს იყო. ახლა, ახლა მე არა მგონია, ასეთ გაჭირვების დროს მიგვატოვოთ.

კიდევ მოითმინეთ ცოტა, სადაცაა ჩვენი ქვეყნის მტრები კისერს მოიტეხენ, როცა არაშენდა-გველეთზე ათიოდე ათას მოსახლეს მოვაწყობთ, ორმოც ათას ვაზს გავახარებთ, ჩვენი მისია მოთავებული

იქნება... ეგეც თქვენგანვე მაქვს განაგონი: სამშობლოს სიყვარული აბსტრაქციაა უსაქმოდ; ისიც სწორია, რომ ვინც თავისი ქვეყნის მივარდნილ კუთხეს წინ წასწევს, იგიც დიდი პატრიოტია".

„სწორია", სთქვა კორინთელმა.

„ყოველმა კაცმა რომ ეს შეიგნოს, ჩვენ სხვა არაფერი გვიხდა, არა?"

„უთუოდ" დაუდასტურა კორინთელმა.

„განა მარტო იმათ ევალებათ სამშობლოს დაცვა, ვინც ამ წუთში ბლინდაჟებში სხედან? ჩვენც საკმაოდ დიდი მოვალეობა გვაქვს დაკისრებული: მათი ცოლ-შვილის, მათი ოჯახების დაცვა, არა?"

„ჭეშმარიტად აგრეა", მიუგო კორინთელმა.

„მეც ძლიერ დავიღალე, ვახტანგ, ათ წელზე მეტია რაიონში ვმუშაობ, ომს რა დავასრულებთ, ალბათ მეც გადავალ ტფილისს და ისეთ სამუშაოს მოვკიდებ ხელს, რომელსაც არც იმდენი პასუხისგება დასჭირდება.

გეუბნებოდით კიდევაც ერთხელ: ისეთ კაცებს, რომელნიც რაიკომის მდივნობას ღირსეულად გასწევენ, ალბათ აწი მოამზადებს პარტია. რაიკომის მდივანი უნივერსალურად განსწავლული კაცი უნდა იყოს, ჩვენში მრავალნი არიან ისეთნი, რომელნიც სათამადოდ უფრო გამოდგებიან, ვიდრე რაიკომის მდივნად.

ზოგს ასე ჰგონია: მანქანაში ჯდომა, ღვინის სმა და კაბინეტი ეყოფა რაიკომის მდივანს".

ციხისთავმა მაჯის საათს დახედა, ხელის შეშლისათვის ბოდიში მოიხადა კვლავ. კორინთელმა გულითადად სთხოვა:

ღარიბულ სადილზე დამეწვიეო.

„დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი, ვახტანგ, მაგრამ ჩვენი რაიონის ცხვარი მთათუშეთშია წასული, ერთი საათის შემდეგ ალვანს მივდივარ მანქანით, იქიდან ცხენებით უნდა ვიაროთ ორ დღეს".

ციხისთავი წავიდა თუ არა, კორინთელი ისევ მიბრუნდა ბაღში, ბოლთასა სცემდა. იგი ძლიერ დააფიქრა წეღანდელმა საუბარმა.

...„ეგეც შენ, ვახტანგ კორინთელო, ისე მაგრად დაცემულხარ, შეგონებათა მოსმენაც კი დაგჭირვებია. ათ წელზე მეტია, რაც ეს კაცი განუზომელ ჯაფასა და რაიონის მოუწყობელ ცხოვრების შედეგებს უდრტვინველად იტანს.

თუ იგი თავს მოვალედა სთვლის თავის ხალხს ამ შეჭირვების ჟამს არ გაეცალოს, შენ ამ ორიოდე წლის მანძილზე რა გააკეთე იმდენი?..

...მართლაცდა ჩვენ, ინტელიგენტები, ნამეტნავად დიდი აზრისანი ვართ ჩვენი საკუთარი პერსონისა და მისი კაპრიზების შესახებ.

განა მრავალი წიგნის წაკითხვა, ან მათი დაწერა ანთავისუფლებს ადამიანს იმ მოვალეობისაგან, რომელსაც სამშობლო აკისრებს მას? არასოდეს"...

უთხრა კორინთელმა იმ დღეს თავის თავს. იმავე ხანამოს დაჯდა და მისწერა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორს: ომის დამთავრებამდე ვერ ჩამოვალ ტფილისს.

*

კორინთელმა არ გაუმხილა ციხისთავს ერთ-ერთი მიზეზთაგანი გაქცევისა კი არა, გაქცევის დაპირებისა: მას ძლიერ უმძიმდა ნუნუსთან ნიადაგ შეხვედრა.

კორინთელი ხშირად ხედავდა მას, დაუდევრად შეკერილ თალხ კაბაში მორთულს: ხან ჭიგოებს დაათრევდა იგი, ხან სეკატორი ეჭირა ხელში, თავზე ადგა რომელიმე უგერგილო დედაკაცს, ასწავლიდა სხვლას; ხან პაწია საბერველი ეჭირა ხელში, ულაზათო ცელულოიდის სათვალე ჰქონდა ცხვირის კეხზე გადადებული და გოგირდს აფრქვევდა ვაზს.

ციხისთავის სტუმრობის შემდეგ კორინთელმა მოუხშირა ვენახებში სიარულს... თავს მოუყრიდა ბრიგადებს, მითითებებს აძლევდა, ხელახლა განუმარტავდა არაერთგზის ნათქვამს.

ერთ საღამოს კორინთელი ვაზებს ათვალიერებდა. სამი ბრიგადირი ქალი გვერდით მოსდევდა, წარამარა ჩერდებოდა პროფესორი მწკრივებში. დაათვალიერებდა ფოთლებს, რქებს, ხანაც შტამებსაც. უხსნიდა მათ თუ რომელი ვაზი რითი იყო სნეული, რა საშუალებანი ეხმარათ ამა თუ იმ სენის აღმოსაფხვრელად.

ზარის ხმა გაისმა. ბრიგადირები გამოემშვიდობნენ პროფესორს და სანერგე ფარდულისაკენ წავიდნენ, რათა ხელსაწყოები ჩაებარებინათ ცალთვალა გაიოზისათვის.

... ერთბაშად მსუბუქი თქორი დაიწყო, კორინთელი დაფიქრებული მიჰყვა თავის საყვარელ მიკროუბნის მწკრივებს, მან გაიხარა, რა დაინახა მის მიერ დარგული ვაზები მშვენივრად წამოჩიტულიყვნენ, ზოგ-ზოგი ყვავილში იყო კიდევაც.

უცნაურად თამამი რქები დაესხათ, გაზაფხულის წვიმა წინწკლებად ეცემოდა ახალგაზრდა ფოთლებზე, რომელთაც მოოქროვილი სილურჯე გადაჰკრავდა ოდნავ.

„აფსუს, მხატვარი არა ვარ, ამ ვაზების ფოთლის ფერი რომ გამოვსახო", გაიფიქრა მან.

კორინთელს ნაბიჯების ჩქამი შემოესმა.

შორიდან თვალი მოჰკრა ახალგაზრდა ქალს. პარიზის ხსნარში ამოთხვრილს, მას ვერმორელის აპარატი ეკიდა ზურგზე. დაფიქრებული მოდიოდა მწკრივებს შორის მისკენ. როცა იგი მოუახლოვდა კორინთელს, ნუნუ შეიცნო და მიესალმა.

„თქვენ რატომ აგიკიდიათ აპარატი, ნუნუ, აკი თქვენ ბრიგადირი ხართ?"

შეეკითხა კორინთელი.

„გაბედაიძის ქალს ვაჟი მოუკლეს ფრონტზე, ჩემს ბრიგადაში იშვიათად თუ ვინმეს ემარჯვება შეწამვლა, მე თქვენს მიკროუბანს ვუვლიდი დღეს. რაც თქვენ უბედურება თავს დაგატყდათ, განსაკუთრებით ყურადღებას ვაქცევდი მას".

„გმადლობთ, ნუნუ, ჩემს ვაზებს უკვე ეტყობა თქვენი მზრუნველობა"...

კორინთელს კიდევ უნდოდა უქუდოდ ეარნა გაზაფხულის წვიმის ქვეშ, მაგრამ იძალა წვიმამ და სანერგეს ფარდულისაკენ წავიდნენ ორივენი.

ფარდულში ცალთვალა გაიოზის გარდა არავინ იყო, პატარა ხელადა წინ ედგა გაიოზს და ნელ-ნელა წრუპავდა ღვინოს.

როცა ნუნუმ აპარატი მოიხსნა და დასველებული თავშალი თავიდან მოიშორა, კორინთელმა შენიშნა მოხშირებული ჭაღარა მის თავზე.

განუზომელ მწუხარებას და შრომას მისთვის წაემატებინა წლები, ოდნავ შესამჩნევი ნაოჭები გასჩენოდა თვალის უპეებში, ასე რომ იგი ზედმიწევნით დამგვანებოდა სუსქიას, სიკვდილის სარეცელზე მწოლარეს.

პროფესორის დანახვაზე დატრიალდა გაიოზი, სამფეხა სკამი გამოათრია და წინ დაუდგა. კორინთელი არ დაჯდა, ნუნუს შესთავაზა: დაიმუხლეო ცოტა.

ნუნუმაც უარი სთქვა დაჯდომაზე.

„რითი გასიამოვნოთ, პროფესორო ბატონო, ეგებ ცივი ღვინო ინებოთ ცოტა?"

უთხრა გაიოზმა კორინთელს.

„ნუ სწუხდები, ჩემო გაიოზ, კარგი იქნება თუ ვინმე პატარა ბიჭს იშოვი, ეგებ ჩემი მანქანა მოაყვანინოთ, რაიკავშირის წინა დგას ალბათ".

ვიდრე გაიოზი ბიჭს მოსძებნიდა, ნუნუმ სთქვა:

„მე ყურმოკვრით მესმოდა, თქვენ ხშირ-ხშირად ავადმყოფობდით, პროფესორო ბატონო, ამ ზამთარში... მინდოდა მოვსულიყავი, მაგრამ ხომ იცით ჩვენი ქართველი ქალების სიშორეხვის ამბავი,

ვერ გავბედე, მოგერიდეთ. ისე ძლიერ მაწუხებდა თქვენი ავადმყოფობა"...

„გმადლობთ, ჩემო ნუნუ, თანაგრძნობისათვის".

კორინთელმა პაპიროსი ამოიღო, ასანთი წაუკიდა, და ნუნუმ სთქვა:

„მე ისეთი დავალებული ვარ თქვენგან და განსაკუთრებით თქვენი მეუღლისაგან, მთელი ჩემი სიცოცხლე რომ გეყმოთ, თქვენს პატივისცემას ვერ გადავიხდი. რა ვქნა, საშინელი უბედურება მეწვია, ბოლოს ისევ და ისევ თქვენი მფარველობა რომ არა, ჩემი ერთადერთი შვილიც არ შემრჩებოდა.

ახლა მდგომარეობა გამომიკეთდა: დეიდაჩემი ჩამოვიდა შილდიდან. უშვილო ქვრივი ქალია, აქამდისაც შემეძლო ჩამომეყვანა, მაგრამ ის უბედური ქეთუა არ დამიყენებდა; ახლა დეიდაჩემი შემომეხიდა, თუ ნებას მომცემთ, ბატონო პროფესორო, ხანდახან მაინც მოვალ. განაგონი მაქვს: თქვენი მსახური მაია დარდისაგან ლოგინად ჩავარდნილა თურმე, თუ ნებას მომცემთ, გამოვივლი ხოლმე და ბავშვს მაინც მივხედავ, პროფესორო ბატონო".

კორინთელი შესძრა ასეთმა გულმხურვალებამ.

„რას ბრძანებ, ნუნუ, რად უნდა შეგაწუხოთ, გმადლობთ, ჩემო ნუნუ, მე ამ დღეებში ძია ნიკო მიგზავნის ერთ ჯანიან დედაკაცს. მაია მაინც მეყოლება, იგი ჩემი ოჯახის ერთგულია, მამიდა თეკლას რიგიანი ძიძაც უშოვნია ჩემთვის, ასე რომ თქვენი შეწუხება არ დამჭირდება"...

ვიდრე მანქანა მოვიდოდა, კორინთელი შეეკითხა ნუნუს:

„სხვა რა არის თქვენს ცხოვრებაში ახალი?"

„ახალი და კარგი ბევრი არაფერი,— ამბობდა ნუნუ,— მე პირდაპირ მრცხვენია, ყოველგვარი ჩემი ძნელბედობა თქვენამდის უნდა მოვიდეს უცილოდ. ნეტავი არ გავჩენილიყავი ამქვეყნად ასე უბედური და უპატრონო"...

„მაინც რა მოხდა, ნუნუ?"

ჩაჰკითხა კორინთელმა.

„ღამღამობით ვიღაც მოდის, აკაკუნებს კარზე. მოგეხსენებათ, მამაკაცი სახლში არა გვყავს. მე და დეიდაჩემი კარებს დავგმანავთ ხოლმე და შიშისაგან ვცახცახებთ. მთელი ღამე არ გვაძინებს ის ოხერი".

ესა სთქვა ნუნუმ, გაიოზი გამოცხადდა: მანქანა მოვიდა, მოახსენა პროფესორს.

„იასე, წამოიღე ამანათი?"

შეეკითხა კორინთელი შოფერს.

„აქა მაქვს, ბატონო“, მიუგო იასემ და უჩვენა პატრონის ადგილზე დადგმული მოზრდილი ყუთი.

კორინთელი ნუნუს მიუჯდა გვერდით და უთხრა:

„რაღაც წიგნები გამომიგზავნეს ტფილისიდან, აქ ... დიდა იასე“.

ბიბლიოთეკა

მანქანა მეტად ირყეოდა შავისოფლის ოღროჩოღრო შარაზე, ნუნუს სხეული უნებურად ეხლებოდა მას, მამაკაცი ისე ღელავდა, როგორც მაშინ, როცა სუსქია სულ პირველად ჩაჯდა მის გვერდით მანქანაში.

როცა ნუნუ შინამდის მიაცილა კორინთელმა, ხელი ჩამოართვა და უთხრა:

„ნუ გეშინიათ, ნუნუ, მაგრად დაუდექით ცხოვრებას. ერთხელაც იქნება იმ გარეწარსაც მივაკვლევთ, ვინც ძილსა და მოსვენებას გიკარგავთ“.

დიდხანს არ დაეძინა კორინთელს.

დაწოლის წინ მან გაანათა თავისი საძილო ოთახი, თვალი შეავლო სუსქიას სურათს, მისივე დაცარიელებული საწოლის გასწვრივ კედელზე დაკიდულს... ფიქრობდა:

„რა უცნაური ჭირვეულობაა ბუნებისა! როგორ შეიძლება ორი სავსებით ურთიერთისაგან დაშორებული გვარის ნაშიერი ასე ზედმიწევნით დაემგვანოს ურთიერთს!

რამდენი გამონაკლისი აქვს ამ კანონებს, რომელნიც უცდომელ ჭეშმარიტებად მიაჩნიათ ჩვენს ბიოლოგებსა და აგრონომებს — მირაკულუმ მაგნუმ“... თითქმის ხმამაღლა სთქვა კორინთელმა...

*

ციხისთავთან საუბრის შემდეგ კორინთელი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა როგორც თავის მიკროუბანს, ისე კოლმეურნეობის ზვრებს.

ადრინდელი ხალისი ნელ-ნელა აპირებდა აღორძინებას მის გულში. ჭობრუნდებოდა თუ არა ფელავიდან, ისაუზმებდა, საწიადაგო ტანისამოსს მოსძებნიდა, სანადირო ჩექმებს ჩაიცვამდა, თავის სეკატორს ჯიბეში ჩაიდებდა და მიდიოდა ზვრების მოსავლელად.

ერთ ორ კვირას ამას ვერ ამჩნევდა, მაგრამ ბოლოს კორინთელმა თავისი თავი ამხილა ერთ რამეში:

მას მოთხოვნილებად გადაექცა პირველ უბანში გადასვლა და ნუნუს მოძებნა.

ცნობილია: ყოველ ადამიანს საკმაოდ დიდი მიდრეკილება აქვს

თავის გამართლებისაკენ. კორინთელიც აგრე არწმუნებდა თავის თავს: ამ ამბავში არავითარი ეროტიკა არ არისო. ნუთუ ამის გარეშე არ შეიძლებაო მამაკაცი დაუმეგობრდეს ქალს?

ნამდვილად კი აგრე ეოცნებებოდა, თითქოს ეს ადამიანი, რომელიც სუსქიას სიკვდილის შემდეგ ჩამოდგა მის ცხოვრებაში, ნელ-ნელა აპირებდა შევსებას.

მოხშირებული შეხვედრებისას ნუნუს სახისა და ანაგობის ყოველ დეტალს მომეტებულის გულისყურით აკვირდებოდა.

ნუნუსაც ისეთივე საამო, რბილი და ყელისმიერი ხმა ჰქონდა, როგორც სუსქიას, დაბალი ტემბრი ჰქონდა მის ხმას, ხოლო მის სიცილსაც კრიალა ბგერები თანახლდა. როცა მზისკენ მიიქცევდა სახეს, ნუნუც სუსქიასავით მოხუჭავდა ხოლმე თვალებს.

კორინთელი მეტწილად დღის ბოლოს ბრუნდებოდა თელავიდან. შოფერს აჩქარებდა გზადაგზა, თვალს არ აშორებდა საათს, შინ არც კი შეივლიდა, ისე მიდიოდა კოლმეურნეობის ზვრებში.

ისიც ხდებოდა ხანდახან, თედო იხმობდა ხოლმე კოლმეურნეობის კანტორაში ნუნუს. კორინთელი სწუხდა, როცა ნუნუს ველარ იპოვნიდა ნაკვეთზე, შეშფოთდებოდა: ეგებ ავად გახდა, ან ახალი რამ უბედურება შეემთხვაო ამ გაწამებულ ადამიანს.

კორინთელი განგებისად ჩქმალავდა სიხარულს, როცა რომელიმე უბანში წააწყდებოდა ნუნუს.

რადგან ნუნუ ყველაზე მეტად გულმოდგინე მუშაკი იყო, ყველაზე გვიან მიდიოდა ფართობიდან. ბოლოს საუბარს შეყვებოდნენ, მიყვებოდნენ მწკრივებს.

კორინთელი წარამარა შესდგებოდა ხოლმე რომელიმე დასნეულებულ ვაზთან, დაავადებულ ფოთოლს მოსწყვეტდა, ხელის გულზე დაიდებდა და უხსნიდა ნუნუს, რა და რა ავადობის ნიშნებს იძლეოდა ესა თუ ის ფოთოლი. ხანაც ცუდად აკრულ რქებს შემოაჭრიდა სახვევს, მზრუნველი ხელით ისევ ააკრავდა მას.

ხანდახან შეუბრალებლად ქენჯნიდა იგი თავის თავს:

„მაინცდამაინც ვერაფერი -სახელია ნამდვილი პატრიოტისათვის გაუმიჯნურდე ომში დაღუპული ვაჟკაცის ქვრივს, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი შემთხვევით შენს ცოლყოფილსა ჰგავს ფიზიკურად.

ღმერთო, ამაცდინე ამ ცთუნებას!

სქესობრივი აღტყინება ხანდახან უთუოდ წააგავს იმ სატანას, რომელიც ქარაფიდან უფსკრულში გადახტომას ურჩევდა ქრისტეს.

კულტურა სულისა თავშეკავებას გულისხობს და სიდარბაისლეს. ვახტანგ კორინთელო, გაუფრთხილდი ამ ჯადოსან ქალს. არ დაგავიწყდეს, რომ ჯაღარა სულის გაწმენდის მაცნეა უთუოდ“...

ერთ დღეს პირველ უბანში მიდიოდნენ პროფესორი და ბრიგადირი. კორინთელი გზადაგზა უზიარებდა ნუნუს თავის აგრობიოლოგიურ დაკვირვებებს ნიადაგისმიერი ქიმიურ[illegible] ფოთლისა და ყვავილის მეტამორფოზის, ნაყოფის [illegible] ფესვთა სისტემის გამო.

„თქვენ თუ გახსოვთ, ნუნუ, ციხისწისქვილში რომ გიამბეთ შარშანწინ იმ სასწაულმოქმედი ძალის შესახებ, რომელსაც მიაწერდა დიდი პოეტი ჰომეროსი კოლხურ ღვინოს, კირკეს ღვინოს.

ჩვენ ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, რომ ორი-სამი ათასი წლის წინად რაც სასწაულად და ცრურწმენად იყო მიჩნეული, სინამდვილედ იქცა.

გაოცდებით, როცა გაიგებთ, თუ რა სასწაულთმოქმედი ძალა აქვს ვაზის ნაყოფს, ან რა მნიშვნელობა აქვს მას თანამედროვე ელექტრონული ტექნიკისათვის. სახელდობრ, პიეზოელექტრობისათვის“.

კორინთელი უსიტყვოდ მიხვდა, რომ მისი მსმენელი თავს ვერ ართმევდა მის ნათხრობს. ამიტომაც უკან დაიხია, მხარზე ხელი მოუცაცუნა ნუნუს და უთხრა:

„ელექტრობის შესახებ მე გაკვრით მისაუბრნია თქვენთან. ელექტრობამ ისეთივე რევოლიუცია მოახდინა ჩვენს საუკუნეში, როგორც ორთქლმა და ქვემეხის გამოგონებამ ოდესღაც.

ჩვენი ეპოქის უპირატესი სასწაული — რადიო და ატომური ენერგია ელექტრობაში პოულობენ საწყისს.

ჯერ კიდევ ძველბერძნები იცნობდნენ ელექტრონის იდუმალ ძალას.

ელექტრონს ფილოსოფოსი პლატონი ახსენებს პირველად. უნდა გითხრა, ელექტრობა მრავალგვარია: ფარადეული, გალვანური, კონტაქტური. არსებობს სტრეფოელექტრობა, პიროელექტრობა, და პიეზოელექტრობა. ე. ი. ელექტრონული პოლიარობა, რომელიც კრისტალურ ნივთიერებათა ძალდატანებითი შეკუმშვისაგან წარმოიშვება.

როცა ყურძნის ჭაჭას ხანგრძლივად დააყენებენ, ჭურჭელის კიდეებში ჩნდება ერთგვარი კრისტალები. მათ იყენებენ პიეზოელექტრონული ეფექტების მისაღებად. ამ კრისტალებს ფირფიტებად აქცევენ, ელექტროდებით აღჭურავენ და ოკეანის ფსკერზე გახმიანებულ ბგერებს იჭერენ.

თავდაპირველად ასეთი ფირფიტები იხმარა ფრანგმა მეცნიერმა

ლანქევენმა როგორც შუქის გამღებელი, ხოლო ამის შემდეგ, როგორც მიმღებნი უფაქიზესი ხმებისა ოკეანის უფსკრულებიდან.

ამ მეცნიერმა შექმნა ბოლოს მთელი თეორია „ეთოს მეთოდის შესახებ“.

პეზოელექტრობას უშუალო კავშირი აქვს ატომური ენერგიის წარმოებასთან, სხვა დროს ვეცდები გაგიმარტოთ, თუ რა არის ატომის გული. როგორც ჰხედავთ, ყურძენი მარტო კვების პროდუქტებს როდი შეიცავს“...

ნუნუმ თავი ჩაღუნა და წაიდუდუნა:

„ამ ამბების არმცოდნეს მარტივად ეჩვენება ყველაფერი ეს. ვენახი დარგე, გასხალი, შეწაღლე და რთველი მოიწიე. მეც ასე უბრალოდ მქონდა ყველაფერი წარმოდგენილი“.

„როგორი დიდი სხვაობაა ცხოველსა და მცენარეს შორის,— განაგრძო კორინთელმა.— ცხოველი მუდამ იმის ცდაშია, ყურადღება მიიქციოს, თავისი არსებობის ხმაური შეახსენოს კაცს. ყაჭყაჭი ჩხავის, მგელი ყმუის, ძაღლი ყეფს; მცენარეც ხომ იგივე სულდგმულია, მაგრამ მუდამ განაბულია იგი, თითქოს მომეტებულად გულამაყიაო. ასე განგებისად სდუმს, რათა უჩუმრად შემოინახოს ის მიუწვდომელი საიდუმლო, რომელიც ყოველ წუთში ხდება მასში მზისა და მიწის შენაცვლებულ ზეგავლენათაგან.

უნდა გითხრათ, ნუნუ, პირდაპირ გაოცებული ვარ ხანდახან მცენარის გულმეცნიერებისაგან. აბა, შეხედეთ, ეგერ ატამზე გასულა დაუდევარი ბრიგადირის სეკატორს გადარჩენილი წაზრდილი რქა ვაზისა, პწკლები გაუშვერია და მეორე ატმის შტოს ეპოტინება, რათა ხელსაყრელი პირობები შეუქმნას თავის ზრდას.

ერთი მითხარით, ვინ ასწავლა ეგ ამბავი მას, ან მიმართება ვინ მისცა? ქართულ ვაზებში ყველაზე მეტად უცნაურია რქაწითელი, აი დახედეთ ამ შტამდაბალ ვაზებს, ისინი თავათ პოულობენ და ებღაუჭებიან მავთულებსა და ჭიგოებს, ამიტომაც აგრე უყვარს ჩვენს ხალხს რქაწითელი.

შუა საუკუნეებში მიწას და მის ბინადართ „მირაკულუმ მაგნუმს“ — დიდ საოცრებას უწოდებდნენ. მართლაც და უვიცი ადამიანისათვის ის, რაც ბუნებაში ხდება ჩვენს თვალწინ, გაოცებას არ იწვევს, მისთვის ეს ყოველივე „თავისთავად“ ცხადია. ნიუტონამდის რამდენ შლეგს უნახავს ვაშლის ხიდან ნაყოფის ჩამოვარდნა, მაგრამ გრავიტაციის კანონი, რომლის გამოც ამას წინად გესაუბრეთ, ნიუტონამდის არავის გამოუგონია, არა?

ბრძენკაცისათვის თავათ მიწაა დიდი საოცრება.

მე აგრე მგონია, რაც უნდა ახალი და ახალი კანონები აღმოაჩი-

ნოს მეცნიერებამ, ბუნება მაინც დარჩება ერთგვარი კრიპტოგრაფი, იდუმალწერა“.

ახლა ერთ მაღალშტამიან ვაზს მიადგა კორინთელი. გაიხარა მისი ტანკენარობითა და რქათამამობით.

„აი თუნდაც ამ ვაზის ფოთლები აიღეთ, ისინი [illegible] და იმავე თარგზე მოუჭრიაო არსთგანმრიგეს. აბა [illegible] ფოთოლი ურთიერთს. მცირეოდენი სხვაობა მაინც არის მათ შორის.

დიდი საოცრებაა,— გაიმეორა კორინთელმა.— ჭეშმარიტად დიდება მას, ვინც მდედრი და მამრი, მსგავსება და განსხვავება შეჰქმნა, სიმძიმე და სიმსუბუქე, სიმაღლე და სიდაბლე, სიმკვრივე და ჰაეროვნება დაადგინა, ვინც ფერთა სიუხვით აავსო ეს სამყარო, რომელშიაც ჩვენ ტირილით მოვდივართ და ვეღარც მისგან განშორებას ვახერხებთ უცრემლოდ“. . . . . .

ვახტანგ კორინთელის უკანასკნელი ღამე

იმავე თვეს მოხდა ერთი უსიამო ამბავი: როცა ციხისთავი ალვანებიდან ბრუნდებოდა, სოფელ აბანოსთან ხუთი შეიარაღებული კაცი თავს დაესხა მანქანით მომავალს და სროლა აუტეხეს.

ციხისთავმა და მისმა შოფერმა ჯერ მანქანიდანვე დაუშინეს მათ ავტომატები, მერმე მანქანიდან გამოძვრნენ, გზის პირას დაყრილი ლოდები ისაფრეს, თავდამსხმელთაგანი ერთი დასჭრეს და დანარჩენები გააქციეს...

მძიმედ დაჭრილი აღმოჩნდა ვინმე ლექსო გაბედაიძე, იგი ციხისთავმა საავადმყოფოში წაიყვანა იმ დღესვე, პროკურორი ხიდაშელი დაუყოვნებლივ მივიდა მის დასაკითხავად, მაგრამ გაბედაიძე ცნობამიხდილი იყო და დაკითხვა ვერ მოხერხდა.

*

უსიამო ამბები ისევ წაეწყვნენ ურთიერთს. მესამე დღეს ირმის ტბის ჭაობში ვიღაცამ თოფით მოჰკლა ფურ-ირემი. ბერმუხელი ღორ-ხბოს მწყემსები შორიდან ხედავდნენ ამ ამბავს, მაგრამ რადგან ჩაბალახით ყბაახვეული იყო ირმის მკვლელი, ყმაწვილებს ვერ შეეცნოთ იგი.

*

იმ დღესვე დაიწყო დაუცხრომელი წვიმები, დილიდანვე ლეკიმთაზე მოგროვდნენ შავლეგო ღრუბლები, ისინი გოროზად დაბა-

ნაკდნენ ნაძვების გიგანტურ საჩეჩელებზე, ახლა სხვანი, უფრო შავნი წამოვიდნენ აღმოსავლეთიდან, როგორც აქლემებზე აღმოვდრებული შავადმოსილი მხედრები, და ატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი კავკასიონის მწვერვალებზე, ცაი ფეხით ჩამოდგა.

წვიმდა და სეტყვას ურევდა ხანაც, აქუხდნენ ნაუბი, თითქოს ქვემეხები დაუდგამთო სპეროზიას და ლეკიმთის მწვერვალებზე. აქამდის მშვიდად მთვლემარე კავკასიონი გვრგვინავდა და ღვრინავდა, თითქოს მთებს შემოესმათ მათ გადაღმა ამტყდარი კანონადა ზარბაზნებისა, ადგნენ და აჯანყდნენ მთები, თითქოს თავათაც მოუნდათ პასუხის გაცემა მტრისათვის. . . . . .

*

ყვარლიდან ჩამოსულებმა ლექსო გაბედაიძის დაჭრა ციხისთავზე გადაიტანეს რატომღაც.

კორინთელი ცუდად იყო იმ დღეს, ვაზნარებში სიარულმა, მზვარეში მუშაობამ და გველეთის აღმართზე ხშირ-ხშირად ფეხით ამოსვლამ წნევა მოუმატეს. ციხისთავის დაჭრის ამბავი რა გაიგო, საოცრად აღშფოთდა, იასე გამოიძახა და ყვარელს წავიდა ამ თავსხმის დროს.

გაიხარა, როცა სავსებით ჯანსაღი ციხისთავი წინ შემოეგება.

ციხისთავი შესძრა პროფესორის მიერ გამოჩენილმა გულისხმიერებამ, საუზმეზე მიიწვია კორინთელი.

თავისი თავგადასავლის თხრობაც მოთავებული არა ჰქონდა რაიკომის მდივანს, როცა ბერმუხიდან მიღებული ტელეფონოგრამა შემოიტანა მდივანმა ქალმა.

გველეთის ელსადგურის სამარქაფო არხი გადაუკეტია ვიღაცას, წყალი ბერმუხაში გადმოვარდა და ლამისაა მთელი სოფელი წალეკოსო, იუწყებოდა თედო თარალაშვილი.

ორივენი მანქანაში ჩასხდნენ და ბერმუხისაკენ გაეშურნენ.

წვიმდა გადაუღებლად, თითქოს ცის საქანელნი გახსნილან და არსთა განმრიგე წარღვნას უპირებსო ქვეყანას.

ალაგ-ალაგ კლდეები ჩამორეცხა ნიაღვარს, გზები დაეხერგათ ლოდებს. მგზავრები წარამარა შეაყენებდნენ მანქანას, იასე ასუფთავებდა გზას.

ჯერ კიდევ ვერხვებამდისაც არ იყვნენ მისულნი, მანქანა გზის პირად დასტოვეს, რადგან მოტორში ჩავიდა წყალი. თავათ ფეხდაფეხ მიჰყვნენ მდინარედ ქცეულ თემშარას.

ხუთ წუთში უკან გამობრუნდნენ, კოსტიუმები გაინადენ, ხალეს ჩააბარეს და გაუდგნენ გზას.

ბერმუხაში ჩასულ'თ საზარელი სურათი დაუხვდათ: ქუჩები და შუკები მდინარეებად ქცეულიყვნენ, მთავარ ქუჩაზე ზღვისებრი სიმდორით მიდგანდგარებდა მღვრიე წყალი, ბავშვის აკვნები, ცხვრები და გარუჯული ფიცრები მოჰქონდა თან.

ციხისთავს პირველ შეხვედრილმა მოხუცმა ამცნო: სოფელში დარჩენილი ჭარმაგი ვაჟკაცები დილიდანვე ალაზანზე გაგზავნესო წყალდიდობისაგან წაღებული ბორნის გამოსათრევად.

ოჯახებიდან მოთქმა ისმოდა. ზოგს ძლივს გაესწრო სახლიდან, გორაკებზე იდგნენ და კივოდნენ ქალები. სოფელში დარჩენილი ჭაღარა მამაკაცები ტიტველნი დატოპავდნენ ბარებით აღჭურვილნი, ალ'აგ-ალაგ გზას აძლევდნენ შეტბორებულ წყალს, რომელიც ელვაზე ესწრაფესად იპყრობდა ახალსა და ახალ ფართობებს.

მგლისხევი ტბად ქცეულიყო. ვენახებში ისეთი წყალი იდგა, ჭიგოების ზეთავები ძლივს მოსჩანდა.

უკვე მთელ სოფელს გაეგო, რომ ვიღაც ავისმზრახველებს სამარქაფო არხის შლიუზი გადაეკეტა და ამიტომაც სოფლისკენ მოიწევდა წყალი.

გველეთის ზეგნიდან წყლის კასკადები გადმოდიოდნენ ვრიალით. ბეტონის ხიდის ორივე თავი წყალს ჩაერეცხა, მისი მოაჯირები ძლივს მოსჩანდა დალმართში გადავარდნილ' წყალში. შავსოფელსა და დანარჩენ უბნებს შორის მისვლა-მოსვლა შესწყდა.

კოლმეურნეობის კანტორას აივნის მოაჯირებამდე მისწვდენოდა წყალი, თედო თარალაშვილი, სოფლსაბჭოს თავმჯდომარე, ხეცოძე გიორგი, ორი ჭაღარა კოლმეურნე დასტოპავდნენ ქამრამდის მიწვდენილ წყალში. ხალხს ამხნევებდნენ, ყვირილით იძლეოდნენ განკარგულებებს. ყვარლიდან ჩამოსული მილიციელები და მეხანძრეები შავსოფელში ჩარჩენილიყვნენ.

ციხისთავმა აიყოლია სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ხეცოძე და კორინთელს მიუბრუნდა: „თქვენ როგორმე ჩამოგვრჩით, ამხანაგო პროფესორო, ჩვენ აწი ცურვით ვიცლით გველეთის ჰესამდის“.

კორინთელმა იწყინა ეს გაფრთხილება, ცურვა მეც ვიცი და თავათაც გადაეშვა წყალში.

მთელი ერთი საათი ებრძოდა სტიქიას სამი კაცი. ბეტონის ხიდ-

ზე გადაიარეს დიდის ვაი-ვაგლახით. გველეთში უარესად მძვინვარებდა სტიქია, ახლად აგებული სახლების აივნებზე ირეოდნენ ბალღებიანი ქალები, ციხისთავის შეძახილზე გამხნევდნენ.

ბოლოს ცურვით გაიარეს ახლადმოგებული შოსე, მხარმარცხნით, შოსესა და ელსადგურს შორის უშველებელი ტბა [illegible] ბული, საბარქაფო არხიდან გრიალით მოდიოდა წყალი.

კორინთელი და ციხისთავი პირველნი მივიდნენ ამ არხის შლიუზამდის და გადაკეტეს იგი. ნახევარ საათში წყალმა საგრძნობლად დაიკლო.

ციხისთავი და კორინთელი ქვაკაცის ტაძრის ნანგრევებს შეეხიზნენ, რადგან აქაურობას ვერ მისწვდებოდა წყალი. როცა ისინი ბერმუხაში მიბრუნდნენ, მხოლოდ მგლისხევში იდგა აქა-იქ ტბები, ხოლო ნახიდურთან, სადაც ხარ-ირემი გადაევლო ეკლიან ღობეს, მთელი ზღვა იდგა ჯერაც...

კორინთელი შემცივნებული მოვიდა იმ საღამოს შინ. მაიამ ცეცხლი დაუნთო ბუხარში, მაგრამ უცნაურად აძაგძაგებდა მას. ამასობაში იასემაც მოაღწია, დააწვინა კორინთელი, კონიაკი და ცხელი ჩაი ასვა, მერმე არყით დაუზილა მთელი სხეული, მაგრამ მაინც მცივაო, იძახოდა ავადმყოფი. ტუჩ-პირი გალურჯებული ჰქონდა და კბილებს აკაწკაწებდა.

მეორე დღეს ყვარელს გაგზავნა მაიამ მანქანა, ექიმი კანდელაკი მოაყვანინა. მისი დიაგნოზი იყო ტროპიკული ციება. წნევამ 265 უწია. 40 გრადუსზე ავარდა სიცხე. კორინთელი უშფოთველად მინებდა ავადმყოფობას. როცა კანდელაკი წავიდა, მაიას ხელით ანიშნა ახლოს მოდიო.

ჰერმე შეეკითხა:

ის უცხვირპირო უბნის ექიმი ხომ არ იყოო ეს კაცი, სუსქიას რომ მოვგვარეთ სიკვდილის დღეებში.

შვილები და შვილიშვილები იფიცა მაიამ, ექიმი კანდელაკი იყოო. საძილო ოთახის ფანჯრიდან მოსჩანდა ქარაფის კიდეზე მდგარი გველისხე, წითელ-ყვითელი ფერებით დამშვენებული. გველისხის ქვეშ ყურებდაცქვეტილი ბიჟინა გადასცქეროდა უფსკრულს.

იქვე სატელეგრაფო სვეტების ზეთავები მოსჩანდნენ. მავთულებზე ორ მწკრივად დამსხდარიყვნენ დაგვიანებული მერცხლები. ისინი ნოტის ნიშნებს მიაგავდნენ, პარალელურ ხაზებს შორის ჩახატულებს.

ერთბაშად ეს შენიშნა კორინთელმა: წამოუარა ახილმა გარინდებულ ბიჟინას, თეძოსთავზე უკბინა. ბიჟინა ახტა და ქარაფიდან გადაიხვეწა.

ჰაუო, იყვირა კორინთელმა, მაგრამ წამოდგომა ვეღარ შესძლო, მაია თავზე წამოადგა.

რა მოხდაო? ჰკითხა.

მაგრამ კორინთელს უკვე აღარ ჰქონდა სიტყვის ალმოთქმის ძალა...

ამის შემდეგ დიდხანს იწვა ავადმყოფი პირქვე. კუთხეში გულურსული მაია ამჩნევდა, ვიღაცას ესიტყვებოდა იგი... მერმე სთქვა საკმაოდ ხმამაღლა

კიდევ წვიმსო?

არაო, მიუგო მაიამ, თუმცა ხელახლა დაწყებულიყო წვიმა.

რა ამბავი მოიტანაო ციხისთავის შესახებ ყვარლიდან იასემ?

მაიას განაგონი ჰქონდა იასეს ნათქვამი, ციხისთავიც ავად გამხდარიყო, ყურთასმენა დაკარგვოდა მღელვარებისაგან სავსებით, მაგრამ არ გაუმხილა, ანუგეშა, კარგად ყოფილაო ციხისთავი.

ცოტა ხანს სდუმდა და მერმე ეს უთხრა კორინთელმა მაიას:

„ბავშვი მომიყვანეთ".

ამასობაში ძია ნიკო და მამიდა თეკლაც მოსულიყვნენ. ძია ნიკომ ხელში აიყვანა პატარა როსტო, მიგვარა კორინთელს. შუბლზე აკოცა მწოლარეს, ბავშვი ჩაახუტა შამას და ატირდა.

კორინთელმა უთხრა სასთუმალთან გახევებულ მოხუცებს:

„როსტოს თქვენ გაბარებთ, ძია ნიკო და მამიდა თეკლა". სთქვა და კედლისკენ მიბრუნდა.

ნიკომ შენიშნა, თვალები აუწყალდა ავადმყოფს, თავათაც აღელდა, ერთი დაახველა და შეიკავა ცრემლები.

თეკლა საწოლის წინ დაჩოქილი სტირდა.

მაია შემოფათურდა, ჩურჩულით უთხრა ძია ნიკოს:

ნუნუ მოვიდაო.

ნუნუ თავზე წამოადგა ავადმყოფს, კორინთელი გადმობრუნდა და უთხრა:

„მოხვედი, სუსქია?" ერთადერთი ცრემლი გადმოვარდა მის ანოებულ ლოყაზე.

ნუნუ გაშეშდა, ხმა არ გაიღო...

„მე ცუდად ვარ, სუსქია, აბა, შენ იცი... როსტოს უპატრონე", სთქვა და ისევ მიბრუნდა კედლისაკენ... ძილფხიზლობდა... და ეზმანებოდა დასიცხულ ავადმყოფს, თითქოს სუსქიას გვერდით იწვა ხავსიან ლოდზე ნაღვარევის ხევში.

ირგვლივ ზღვა იყო უსასრულო. სად იყო ხავსიანი ლოდი?

ბულბულების ორკესტრი ისმოდა და ნელ-ნელა მიცურავდა გემი, წყალსა და ზღვას მოეცვა გზები და ხეობები, ტლაშუნებდა

ტალღა მთვარიან ღამეში, ცას შებჯენოდნენ ბოლის მყინვარწვერები, წყალში ცურავდა ნამრუდისფერი კავკასიონი.

- უცებ აგრუხუნდნენ მთები, ელავდა სპეროზიას მთაზე.

ატოკდა გემი, აზვავდა ზღვა, მიწა იძრა, გრიგალ[illegible]

ატყდა კაკუნი და რაჯგუნი, ვიღაცა ქარზე [illegible] ზღვაზე [illegible] ძლიერი მოუვლიდა გემს უკანიდან და ზეასწევდა, ხელს შეუშვებდა, ისევ დაანარცხებდა ზღვაზე.

ერთბაშად იგრიალა მთებში, გასქდა როშკას მწვერვალი, ცეცხლოვანი კვამლი ამოანერწყვა კრატერმა.

კვამლი? კვამლი არ იყო ეს. ღამესავით შავი გიურზა ამოვიდა ამ კრატერიდან და მისწვდა სუსქიას თავის ორკაპიანი ენით...

იტანჯება კორინთელი, ლამობს თავის ბრაუნინგს მიაწვდინოს ხელი და უშველოს სუსქიას, მაგრამ ხელები დაკრული აქვს ხავსიან ლოდზე.

„ჰაუუ“, ერთი დაიგმინა სულმწარედ ავადმყოფმა და ერთი წუთსაც არ გაუვლია, არც ზღვა იყო სადმე, არც კავკასიონი და აღარც ამ ზმანების მხილველი...

თვითნებურად მოგანავე

ბევრი იმტვრიეს თავი ყველა ამ ამბების გამო თედომ და პროკურორმა ხიდაშელმა, ბოლოს ეჭვებმა კანკრეს გარშემო მოიყარეს თავი. მართლაც და უცნაურად წაეწყვნენ ურთიერთს: ფურ-ირემის მოკვლა, ნუნუს კარზე ღამეული კაკუნი, ელსადგურის სამარქაფო შლიუზის გახსნა და ციხისთავზე თავდასხმის მოხდენა...

თედომ კანკრეს დაჭერის სანქცია გამოსთხოვა პროკურორ ხიდაშელს. ბრალდების მიზეზად დასახული იყო ფურ-ირემის მოკვლა...

კანკრე თელავში დააპატიმრეს, ნაპარავ ბატკნის ხორცს ყიდდა ბაზარში მთვრალი, გაბრანგული. ხიდაშელმა რამოდენიმე ბრალდება წაუყენა მას ერთბაშად. კანკრემ ქვა ისროლა და თავი შეუშვირა. ბოლოს როგორც იქნა გამოტყდა, მე მოვკალიო ფურ-ირემი.

თავის მართლებასაც შეეცადა: თავისი ბღავილით აწუხებდა სოფელს, რისი მაქნისი იყოო დაცალებული ფურ-ირემი?

ამასობაში. ლექსო გაბედაიძე გამომჯობინდა. მცირეწლოვანი აღმოჩნდა იგი, აბრია უჯრატულის დისწულის შვილი. თუმცა შავი წვერულვაში კვრინჩხივით დასეოდა სახეზე. შოფრის თანაშემწედ ვიყავიო კანკრესთან. ჯერ ლოთობას და ხელმრუდობას შემაჩვიეო,

მერმე კანკრემ და აბრიამ დამიყოლიეს, მთათუშეთში ვიღაც ბანდიტები დაქრთამეს, მერმე ის იყო ციხისთავს დავუხვდითო; აბრიამ მთათუშეთში იმალებოდა, ის და კანკრე თელავში შეხვდნენ ერთმანეთს, ჯერ ციხისთავს დავესხით თავს, მერმე ელსადგურის შლეგუზები გადაკეტესო...

როცა კანკრეს პირზე დააყენეს ლექსო გაბედაიძე, თავათაც გამოტყდა: აბრიას ჩიჩინს ავყევით, ელსადგურის შლეგუზი იმ მიზნით გადავკეტეთ, ბერმუხის ვაზნარები წყალს გადაერეცხაო.

ინჟენერ ცეროდენას კარნახით ვმოქმედებდით, მაგრამ ვერ მოვზომეთ, ლამის იყო სოფელი არ გავატანეთო წყალს.

ერთი კვირის შემდეგ ცეროდენაშვილიც დაიჭირეს და ჩამოიყვანეს ტფილისიდან: იგიც იოლად გამოტყდა თავის დანაშულში; მე ფაშისტების გამარჯვების იმედი მქონდა, იმიტომაც განვაზრახეო აბრია და კანკრე, დანაშაულიც ჩემის შთაგონებით ჩაიდინესო მათ.

არც ის დაუმალავს ინჟენერ ცეროდენაშვილს, რომ მან მიითვისა 500 ტონა ცემენტი:

საწნეო და სამარქაფო არხები თიხანარევი ცემენტით ვავაკეთეთ, ვიცოდი ინჟენერ ჯორჯაძე არკვევდა გველეთის ჰესის მშენებლობის საქმეს. საბოლოოდ ყველაფერს გამოიკვლევდნენ, ამიტომაც გადავწყვიტეო ელექტროსადგურის დაზიანება.

*

აბრიამ დიდხანს ველარ შესძლო ტყე-ტყე სიარული. სამმა ნათლიმამამ შინიდან დაითხოვა იგი. ამასობაში მას ძველმა თიაქარმა გაუხსენა, ერთ საღამოს თავის სახლში მიბრუნდა...

ნიადაგ ლოცულობდა, ევედრებოდა ღმერთს, მიქელ-გაბრიელს დავიწყნოდა მისი სახელი და გვარი.

როცა ფოსტალიონი გეო მოიტანდა პროკურორის უწყებას მეათეჯერ, ყველას უნდა ეთქვა: აქ არა ცხოვრობს აბრია უჯრიაული, არამედ აბრია-ავსიტყვა...

*

ერთ დღეს საშინელი გუგუნი გაისმა ჰაერში. წინა დღეებში თელავში ჰქონდა აბრიას განაგონი: გოდერძი ცოცხალიაო. შიშის ზარმა შეიპყრო აბრია, ცაში აიხედა. გაიფიქრა: ეგებ გოდერძი მოსულაო ამ თვითმფრინავით, რათა აბრიას სახლ-კარს დაარტყას ბომბა. ოდნავ დამშვიდდა, როცა თვითმფრინავი ლეკიმთისაკენ გაბრუნდა...

შესალამოვდა. აბრიას შიოდა, არსად სჩანდა მაო, ჯერ მთელს ეზოში იარა და იყვირა: „მაო, მაო“...

როცა ბატების გარდა არავინ გასცა ხმა, დასწყევლა ის დღე, როცა მაო შეირთო ცოლად, აგინა და სწყევლა თავსა [illegible] ქვაკაცას წმ. გიორგის ღვლეჭილით მოეგრიხოსო მაოს [illegible] შეყროდეს მაოს, შიოდეს და პური ვერ ეჭამოს, წყუროდეს და წყალი ვერ შეესვამოს, სიკვდილი ეწადოს და საკუთარ ლოგინზე სიკვდილი ნუ ეღირსოსო მაოს.

მე აქ ვიტანჯები დევნილი და შიმშილისაგან გათანგული, ის ალბათ ზისო სადმე, სამეზობლოში, და უქმი ტიტინით ერთობაო უქნარ დედაკაცებთან ერთად.

საშინელი სიძაბუნე შეიცნო საერთოდ უშიშარმა ბერიკაცმა. მოკლეებით გადავალ გველეთში, ქვაკაცას წმ. გიორგის შევავედრებო სულს.

როგორც ზამთრის პირად სოფელში შეპარვული ბებერი მგელი, რომელსაც კბილების დაცვენის გამო ვირთხებზე უხდება ხოლმე ბოსლების სიახლოვეს ნადირობა, მილასლასებდა აბრია-ავსიტყვა ბერმუხის ვიწრო შუკებში.

აგრე ივარაუდა: ვენახებზე გადავივლი და გზას მოვჭრიო ამგვარად.

კვირა დღე იყო და კარგად იცოდა, ვაზნარებში არავინ იქნებოდა. გზა და გზა იგი ამჩნევდა თავის ავკაცობის შედეგებს, წყალდიდობისაგან დანგრეულ ქოხმახებს, გადარეცხილ და დასილულ ბალბოსტნებს.

ხრამებსა და ორმოებში ჯერ კიდევ იდგნენ ტბორები. ერთბაშად თავი შერგო სანერგე ფარდულის გვერდით გაკეთებულ ჭიშკარში და ჩქარი ნაბიჯით მიჰყვა მგლისხევისაკენ მიმავალ ბილიკა, რათა იქიდან ბეტონის ხიდი გადაევლო და გველეთის შოსეს დადგომოდა.

ერთბაშად მოესმა ძახილი:

„აბრია, ჰაუ აბრია!“

ერთი გაიფიქრა მიმავალმა, წავუყრუებ, ვითომ მე არა ვარო აბრია, მაგრამ დამძახებელი გამოუდგა და სირბილით წამოეწია. ერთი უკან მოიხედა აბრიამ და თოფიანი დარაჯი, გაიოზი შეიცნო.

„მოიცა, სად მირბიხარ, ავსიტყვა, ფოსტალიონი გეო დაგეძებს, რაღაც უწყება უჭირავს ხელში, ამ წუთში აქ იყო“.

სიტყვა „უწყება“ ეკალივით შეერჭო აბრიას ყურში, პასუხი არ გასცა ცალთვალა გაიოზს და სირბილით მიჰყვა ბილიკს. ათი მეტრიც არა ჰქონდა გავლილი, სტვენა შემოესმა.

უკან მოიხედა, შავბლუზიანი, ახმახი გეო და მილიციელი კვალ-დაკვალ მოსდევდნენ მას.

ირბინა, ირბინა აბრიამ და ნახიდურთან რა მიაღწია, სწორედ იმ ადგილს მიაწყდა, სადაც ხარ-ირემი მიადგა უზარმაზარ ხრამსა და ზედ გადაევლო.

რადგან აბრია უკვე ველარ იყო ხარ-ირემივით ძლიერი და ფეხმარდი, მან ალარ ინდომა უკან გამობრუნება და თავქვე ჩაეშვა წყლით გავსილ ხრამში...

ვიდრე იგი ფსკერს უწევდა, კლდის ქიმს დაჰკრა თავი და ორიოდე წუთის შემდეგ ისევ ზედაპირზე ამოატივტივა წყალმა მისი ეშველებელი გვამი.

ხევს გადალმა აბრიას ცოლი, მაო მოდიოდა, ფიჩხი მოექონდა, ხოლო ლექსო გაბედაიძის უბედურ მამას, ქანგოს, თივით დატვირთული ურემი მოჰყავდა.

ატირებულმა მაომ, ფიჩხის კონები განზე გადააგდო, ტალახიან გზაზე დაუჩოქა მეურმეს და შეევედრა:

უშველეო მოხუცებულ აბრიას.

„არა, ჩემო მაო, აბრია თავისნება კაცია, როგორც სურდეს, ისე იბანავოს“.

მიუგო ქანგომ და ხარებს მოუტლაშუნა შოლტი...

სასწაული ვაზის ყვავილობისა

ეპილოგი

„მოილოდებოდეთ, ვითარცა წვიმაჲ, აღმოთქუმაჲ ჩემი, და გარდამოვედინ, ვითარცა ცუარი, სიტყვანი ჩემნი, ვითარცა წვიმაჲ კლერტსა ზედა, და ვითარცა თოვლი თივასა“...

გამოხდა ხანი...

ეს ომიც ისე მოულოდნელად დამთავრდა, როგორც არა ერთი დაწყებულა და დასრულებულა ამ პლანეტაზე. ვინც ცოცხალი გადაურჩა ამ გაუგონარი სისხლის წვიმებს, შინ დაბრუნდა მეტნაკლები სახელითა და დიდებით. ჩვენს გმირებს შორის ბევრი დაიღუპა ჩვენი ქვეყნის დაცვისათვის გაწეულ ბრძოლებში.

ბერმუხაში ყველაზე ადრე ჩამოვიდა მეწისქვილედყოფილი სოლომონ გულუხაიძე. მას ორდენების მთელი კანკელი უმშვენებდა მკერდს. მართებულად იქადოდა ნიორთავა: პაპიჩემის სისხლი ავიღეო.

ბოლოს სოლომონმა ამცნო ქვეყანას შველა გაბედაიძის, ნიკა უჯრიაულის, კოლა სოკოლოვის, ხელაანთა ვანოს, ნიკო როსტიაშვილისა და სტეფანე მარტიაშვილის სიკვდილი, მაგრამ ვერაფერი აუწყა ნუნუს და პაპა მიქელას.

ვერც ის სთქვა, თუ რა ბედი ეწვია გოდერძის, სლავუტას ადგილ-ადგილის ქარხანაში მომხდარი ბრძოლების შემდეგ. მერმე ის იყო გოდერძი კიდევ ერთხელ შეიმცხადეს მისმა მახლობლებმა.

ნუნუს უკვე საკვებით გაუთეთრდა თმები...

*

ამასობაში ბერმუხაში ბევრი რამ გაკეთდა. განადგურების ზღურბლთან მისული ზვრები ისევ ააყვავეს მშრომელთა ხელებმა. გველეთში ათასი სტანდარტული სახლი დადგეს ნასახლარების, ნასაყდრალებისა და ნაციხარების სანახებში. გველეთის ჰესი საფუძვლიანად გადააკეთა ინჟენერმა ჯორჯაძემ. იქვე მოეწყო ვაზის საბჭოური მეურნეობა.

ირმის ტბის ჭაობები საკვებით ამოაშვრეს.

როგორც იყო აშენდა არაშენდა.

კორინთელის კოტეჯში სასოფლო ბიბლიოთეკა მოაწყობინა ციხისთავმა. ვახტანგ კორინთელის ვაჟი, როსტო, ნიკო მირიანაშვილმა იშვილა, იგი ამჟამად თელავში სწავლობს წარმატებით.

*

მე მუავს მთელს საქართველოში ნადირობისმიერი მეგობრები, ასეთი იყო ჩემთვის გოდერძი ელანიძეც. ჯიხვზე, მშველზე, ხოხობზე ნადირობის სეზონში ხშირად ჩავდიოდი ხოლმე მასთან, ამიტომაც განსაკუთრებით მაინტერესებდა მისი ბედი.

ერთ დღეს სოლომონ გულუხაიძემ წერილი მომწერა, გოდერძის უეცარი დაბრუნება მამცნო. მე ფრიად გამაოცა ამ ამბავმა.

ჩემი ლიტერატურული საქმეები მივატოვე და ბერმუხას ჩავედი. ციხიწისქვილში აღარ დამიხვდა სოლომონი, რაიკავშირის თავმჯდომარედ დაენიშნათ თურმე იგი.

სამწუხარო ის იყო, რომ გოდერძის იმდენი უტანჯია ომის დასრულებამდის პარტიზანულ ბრძოლებში და კონცლაგერში ხელახლა ჯდომისას, საკვებით დამუნჯებული დაბრუნდა შინ.

როგორც გულუხაიძემ მიამბო, პაპა მიქელამ და მამიდამისმა ბაბალემ შავი ღორი წაიყვანეს ქვაკაცის წმ. გიორგის კარზე, ბევრი ალოცვინეს და შეულოცეს, ნუნუმ სამგზის აჩვენა იგი ტფილისელ დიდ ექიმებს, მაგრამ კონტუზირების ამ მძიმე ფორმას საშველი არ დაადგა...

ტყის ქათამზე ნადირობა ადრე მოვათავეთ, რადგან ხანგრძლივი წვიმები დაიწყო, როგორც კი კავკასიონზე ქეჭა-ქუხილი ატყდა. როცა კვლავ გამოიდარა, სოლომონ გულუხაიძემ ბერმუხას ჩამიყვანა გოდერძის სანახავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ გითხრათ არ მიამა მისი დანახვა.

ამ შესანიშნავ ვაჟკაცს შრამებით დამახინჯებული ჰქონდა მთელი სახე, მარჯვენა ხელზე ტყავის შავი ხელთათმანი ეცვა, მხოლოდ ცერი და საჩვენებელი თითი შერჩენოდა ამ ხელზე, დანარჩენები ავტომატის სროლის დროს დამსხვრეოდა.

გულუხაიძემ მითხრა:

„მე მგონია, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ უშველოთ გოდერძის, კონსტანტინე ბატონო“.

მე გავვოცდი: რას ამბობ-მეთქი, სოლომონ ჩემო?

„მე მწერალი არა ვარ, მაგრამ კარგად ვიცი, თუ რა ჯადო აქვს მწერლის სიტყვას. შენს სიტყვას წვიმები მოჰყავს, გრიგალების ატეხა და ზღვათა ამბოხება შეუძლია, შენ არსთაგანმრიგემ მოგანიჭა მრავალი საუკუნის წინად გარდაცვლილთა კვლავ ამეტყველების უნარი.

შენს მიერ მოკლული გმირების გამო ჩვენ ისევ ვსტირით, თითქოს ჩვენი უგულითადესი ძმები და დები ყოფილიყვნენ ისინი“...

ღირსი არა ვარ იმისა, რასაც შენ მომაწერ, ჩემო სოლომონ, მაინც წავიდეთ, ვნახოთ-მეთქი, მივუგე.

მე იმ დღეს მართლაც ვინატრე მომნუსხველი ძალა სიტყვისა, რომლითაც ქრისტემ გამოაფხიზლა ლეტარგიულ ძილში გადასული ლაზარე, რადგან კარგად ვიცი, რა უცნაურად დააელექტრონებს ხოლმე მწერლის სიტყვა მილლიონ ადამიანთა გულებს: ზოგჯერ ეპოქებს შესძრავს, ყირაზე დააყენებს იმპერიებს, ადამიანებს ატირებს და აცინებს არყოფილი გმირების სიკვდილისა და არმომხდარი ამბების გამო.

ეს მოხდა ვაზის ყვავილობის დღეებში.

ნუნუ, სოლომონი, ხირჩლა ოჩიაური და მე, ამ სტრიქონების ავტორი, გვერდით მივყვებოდით პირველი უბნის სანაქებოდ აყვავებულ ვაზების მწკრივებს.

გოდერძის მკლავზე ხელი წავავლე და ვუთხარი:

„გოდერძი, მიმოიხედე ირგვლივ, ნახე რა მშვენიერია ეს ქვეყანა ნაქუხილარზე, ნამდვილი ბაღნარია ჰესპერიდების! მიხედე შენს საყვარელ კავკასიონს, სადაც მე და შენ დათვებს, მგლებსა და ფოცხვერებს შევბმივართ ხოლმე.

თვალი მოავლე შენს კახეთს, ვაზებისა და ვარდების ქვეყანას. ნახე ვაზის ყვავილობა, ნამდვილი სასწაული დედამიწისა".

„მართლაც, მართლაც მშვენიერია ვაზის ყვავილობა", სთქვა გოდერძიმ.

ეროვნული

მე და სოლომონი ვერიდებოდით ბევრი გამოკითხვით არ დავაბეზ-ქანცა ახლად ენაადგმული.

ცნობის წადილმა მაინც წაგვძლია და ზოგი რამ გავიგეთ: ტანკსაწინააღმდეგო ორმოებიდან გაქცეული, კოვპაკის პარტიზანულ პოლკში მიუყვანიათ ბურჟინსკისა და ფალკევსკის გოდერძი.

ამის შემდეგ ორ წელს ებრძოდნენ თურმე ფაშისტებს.

ბოლოს გარემოცვაში მოხვედრილან პარტიზანელთა პოლკთან ერთად. მერმე ის იყო ოსვენციმის კონცლაგერში მანამდის სტანჯეს ფაშისტებმა იგი, სანამ ენა არ ჩაუვარდა ამ წამებისაგან შეძრულს...

1945 წლის 8 მაისს წითელ არმიას აუღია ეს კონცლაგერი.

ახლაც მძიმე-მძიმედ ლაპარაკობდა გოდერძი, ყბებზე კუნთები უკანკალებდა ყოველი სიტყვის წარმოთქმისას და ნერვიულად აპარპალებდა თვალებს.

სოლომონმა დამანამუსა: გოდერძის ნუ ეტყვი და პაპა მიქელა სამღვთოს დაკლავსო დღეს.

მართლაცდა ბერმუხის ქვეშ მწვადები შესწვეს იმ დღეს.

აქ იყვნენ პაპა მიქელა, ნუნუ, სოლომონ გულუხაიძე, ხირჩლა ოჩიაური, ბერმუხელი მასწავლებლები და ექიმები, ბაბლიას მუხლზე უჯდა პატარა მიქელა.

ჩვენ დავლიეთ ომში დაღუპული გმირების სახსენებელი, ბოლოს გოდერძიმ ასწია თასი და სთქვა:

„ეს გაუმარჯოს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს, მე კიდევ დამრჩა ორი თითი მარჯვენა ხელზე და თუ საჭირო იქნა, ავტომატის ჩახმახს ესეც ეყოფა"...

პაპა მიქელამ ორივე ხელით აიყვანა პატარა მიქელა და აჩვენა იგი ზეციერ მნათობს, თანაც ისე გახარებული იყო ბედნიერი მოხუცი, თითქოს საკუთარი თვალით ენახა მზე...

კვლავინდებურად საამოდ შრიალებდა ბერმუხა. შეუდრეკელი ბერმუხა. რომელიც მარად დარჩება ჩემს წარმოდგენაში, როგორც სიმბოლო ქართველი ხალხის უკვდავი და შეუმუსვრელი სულისა...

დაიწერა 1951 — 55 წლებში.

ტფილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

ვაზის უვავილობა

ბერმუხა (პროლოგი) . . . 7
უთქმელის ნათქვამი . . . 19
ორბის ნადავლი . . . 32
ვახტანგ კორინთელის მოგონებათა ღამე . . . 40
შრომადღეები . . . 54
პითაგორას თეორემა . . . 71
ციხიწისქვილში წარმოთქმული სადღეგრძელონი . . . 89
კრაველის ქუდი . . . 106
სოციალისტური შეჯიბრება . . . 121
თავდასხმა . . . 130
ერთუცნობიანი განტოლება . . . 143
შინმიბრუნება . . . 167
რა ბედი ეწვია იაპონელ ჯენტლმენს . . . 196
ირმის სიკვდილი . . . 201
ზმანებანი ნასმურევისა . . . 239
„პირველთაგანვე იყო საქმე“ . . . 267
რისთვის ებრძოდა აბრია ალაზანს . . . 283
ჭონდრისკაცის იტალიური მოგზაურობანი . . . 296
ქვაკაცას ნაყმევნი . . . 305
ძლევა უძლეველისა . . . 317
ქედანი . . . 332
ციება . . . 348
სოლომონ გულუხაიძის აღსარებანი . . . 356
მტყუანს კარამდე მიჰყვნენ . . . 379
წვიმა . . . 388
ბიჟინა . . . 407
ბულბულების ორკესტრი . . . 421
მოუთავებელი სახლი . . . 429
დიალოგები . . . 442
მამისეული ხანჯალი . . . 452
მიტინგი . . . 459
პანტომიმის დასასრული . . . 464
ვაზის ტირილი . . . 470

ირემი და ღამის დიქტორი 480
ამბავი შავი ზღვისა და ერთი თევზისა 493
რევოლვერი და „ხოვთ“ 501
ამულეტი 516
ბედნიერება და უკვდავება 529
ბედნიერება, რომელიც მედუზას ჰგავდა 544
IN CAPZEPE ET TENEBPAE 556
„გიჟების ოროდი“ 568
ამორძალი 586
გველთან წილნაყარი 593
საჰაერო განგაში 602
MIRACUIUM MAQNUM 613
ვახტანგ კორინთელის უკანასკნელი ღამე 625
თვითნებურად მობანავე 630
სასწაული ვაზის ყვავილობისა (ეპილოგი) 633

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ლეილა ნანიტაშვილი
მხატვარი ლადო გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი დავით დუნდუა
ტექნიკური რედაქტორი ნანა მანიკაშვილი
კორექტორი ელენე ევანია
გამომშვები გიული ბენიძე

გადაეცა წარმოებას 12/I 78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/VIII-78 წ. საბეჭდი ქაღალდი № 3 60 × 90¹/₁₆. ნაბეჭდი თაბახი 40. სააღრ.-საგამომც. თაბახი 35,45. ტირაჟი 30 000. შეკვ. № 57.

ფასი 3 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის, 5.

საქართველოს სსრ გამსახკომის საგამომცემლო-პოლიგრაფიული გაერთიანება „განათლების" კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат издательско-полиграфического объединения «Ганатлеба» Госкомиздата Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Гамсахурдиа Константин Семенович

Собрание сочинений в 10 томах

Том V

ЦВЕТЕНИЕ ЛОЗЫ

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა